თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
Издательство Тбилисского Университета

АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР
ТБИЛИССКИЙ ГОСУДАРСТВЕННИЙ УНИВЕРСИТЕТ

Н. А. ДЖАВАХИШВИЛИ

СОЧИНЕНИЯ В ДВЕНАДЦАТИ ТОМАХ

ТОМ
III

1982. ТБИЛИСИ

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ივანე ჯავახიშვილი

თხზულებანი თორმეტ ტომად

ტომი
III

თბილისი 1982

9 (C 41)
9 (47.922)+90 (47. 922)
ჯ. 145

ივანე ჯავახიშვილის თხზულებათა 12-ტომეულის
მთავარი სარედაქციო კოლეგია:

დ. ჩხიკვიშვილი (მთავარი რედაქტორი),
ა. ბარამიძე, ვ. ბერიძე, ვ. გაბაშვილი,
თ. გამყრელიძე, პ. გუგუშვილი,
ი. დოლიძე, მ. დუმბაძე, ქ. ლომთათიძე,
მ. ლორთქიფანიძე, გ. მელიქიშვილი, ე. მეტრეველი,
ა. სურგულაძე, ს. ყაუხჩიშვილი ა. შანიძე, ა. ჩიქობავა,
გ. ჩიტაია, შ. ძიძიგური, ა. ჯავახიშვილი, გ. ჯიბლაძე.

მთავარი სარედაქციო კოლეგიის
მდივანი მ. ინასარიძე

ივანე ჯავახიშვილის თხზულებათა III ტომში ქვეყნდება "ქართველი ერის ისტორიის" ადრე გამოცემული III და IV ტომები, რომლებშიაც ასახულია ჩვენი ქვეყნის წარსული XIII ს. დამდეგიდან ვიდრე XV ს. ბოლომდე. ეს ტომები გაერთიანებული სახით პირველად ქვეყნდება.

წინამდებარე გამოცემაში გათვალისწინებულია აქამდე არსებული ყველა გამოცემა და მეცნიერის არქივში დაცული ავტოგრაფული ტექსტები წიგნს ერთვის ერთი ნაწილი მეცნიერის მიერ 1940 წ. დაწერილი საქართველოს ისტორიის "მოკლე კურსიდან", სადაც, 1924 წ. გამოქვეყნებულ IV ტომთან შედარებით, რამდენადმე განსხვავებულ ასპექტშია განზოგადებული XV საუკუნის ისტორიული მოვლენები.

ტომის რედაქტორი მამია დუმბაძე

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1982

Д 10600
М603 (06)-82

რედაქტორისაგან

ივ. ჯავახიშვილის "ქართველი ერის ისტორიის" II წიგნი 1913 წელს გამოქვეყნდა და XIII ს. დამდეგის ამბებით სრულდებოდა. მას უშუალოდ უნდა მოჰყოლოდა XIII –XIV საუკუნეებისადმი მიძღვნილი III ტომი, მაგრამ, ამასთან დაკავშირებული დიდი სიძნელეების გამო, მისი განხორციელება მომავლისათვის გადაიდო. 1924 წ. მეცნიერმა გამოსცა IV ტომის მეორე ნაწილი – XV საუკუნის ისტორია, III წიგნის დასრულება კი სიცოცხლის უკანასკნელ წელს შესძლო. დაისტამბა ეს ტომი 1941 წ.

აღნიშნული ტომების მომზადების პარალელურად და შუალედებში მეცნიერი დაკავებული იყო დიდმნიშვნელოვანი სამუშაოებით – წერდა და აქვეყნებდა ფუნდამენტურ განმაზოგადებელ ნარკვევებს - ქართული სამართლის ისტორია, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, საქართველოს ეკონომიური ისტორია, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა და სხვ.

წინამდებარე III ტომში იბეჭდება ქართველი ერის ისტორიის ადრე გამოქვეყნებული III და IVტომები, რომლებშიაც შუქდება ჩვენი ქვეყნის წარსული XIII ს. 10-იანი წლებიდან ვიდრე XV ს. ბოლომდე. საფუძვლად აღებულია III ტომის 1941 წ. და IV ტომის 1924 წ. გამოცემები. ტექსტებზე მუშაობის დროს გათვალისწინებულია მეცნიერის პირად არქივში დაცული მასალები და ამ ტომების მერმინდელი გამოცემებიც აკად. ს. ყაუხჩიშვილის რედაქტორობით: 1949 და 1966 წწ. დაბეჭდილი III ტომის ე. წ. "ვრცელი ვარიანტი" და IV ტომის I ნაწილი დამატებით (1967 წ.).

რედაქციამ შეისწავლა III ტომის ხელნაწერები და ე. წ. "ვრცელ ვარიანტთან" შედარებით უპირატესობა მისცა "მოკლე ვარიანტს".

1941 წ. გამოცემისათვის წამძღვარებულ ცნობაში – "გამომცემლობისაგან"- ნათქვამია, რომ "ნაშრომის ეს შემოკლებული რედაქცია ავტორმა ჩააბარა" სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქ. ფილიალის ნ. მარის სახ. ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტში "ცოტა ხნით ადრე თავის გარდაცვალებამდე, რის გამოც ინსტიტუტს არ ჰქონდა საშუალება დასთათბირებოდა ავტორს ნაშრომის ტექსტთან დაკავშირებული რიგი საკითხების შესახებ"; ამიტომ გამომცემლობამ "ტექსტი უცვლელად" დაბეჭდა და აცნობა მკითხველებს, რომ არსებობდა ამ ნაშრომის "ვრცელი რედაქცია", რომელსაც "პირველი შესაძლებლობისთანავე" გამოაქვეყნებდნენ. რედაქტორის გვარი მითითებული არაა.

III ტომის რედაქტორობა 1940 წ. 11 დეკემბერს დაუვალებიათ პროფ. ს. ჯანაშიასათვის, რომელიც მაშინ ზემოთ აღნიშნული ინსტიტუტის დირექტორი იყო და სსრ კავშირის მეცნ. აკადემიის საქართველოს ფილიალის სარედაქციო– საგამომცემლო საბჭოსაც თავმჯდომარეობდა[1]. როგორც ჩანს, სახელმძღვანელო სამუშაოებით გადატვირთული ს. ჯანაშიას თხოვნით III ტომის გამოცემისადმი მეურვეობა ს. ყაუხჩიშვილს უკისრია და პირნათლადაც შეუსრულებია. მასვე ეკუთვნის წიგნისათვის წამძღვარებული "წინასიტყვაობაც" ("გამომცემლობისაგან ")[2].

ამრიგად, III ტომის პირველი გამოცემა "დაიბეჭდა უცვლელად", რედაქტორის ხელშეუხებლად და ამით შეიძლება ავხსნათ, რომ რედაქტორი წიგნში აღნიშნული არაა; "ვრცელი ვარიანტის" გამოცემა უახლოეს ხანში ივარაუდებოდა, მაგრამ ეს დანაპირები იმ

---

[1] საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის ცენტრ. არქივი, ფ. 7 აღწ. 1 შ. ე. 5, გვ. 2.

[2] იხ. ქართველი ერის ისტორიის 1967 წ. გამოცემული IV ტომის წინასიტყვაობა, გვ. 3-4.

პერიოდში ვერ განხორციელდა; საფიქრებელია, რომ მისი ადრე გამოცემა დააბრკოლა არა მარტო დიდი სამამულო ომის ვითარებამ, არამედ იმ გარემოებამაც, რომ სარედაქციო–საგამომცემლო საბჭოს ამ ვარიანტის შესახებ ადრე ზუსტი ცნობა არ უნდა ჰქონოდა და ალბათ გვიან გაირკვა, რომ იგი ავტორს გამოსაცემად სათანადოდ გამზადებული არ დაუტოვებია.

დაცულია 1941 წ. გამოცემული III ტომის ავტოგრაფული ხელნაწერი[3], მაგრამ არაა შემონახული სასტამბოდ წარდგენილი გადაბეჭდილი ეგზემპლარი. ხელნაწერისა და გამოქვეყნებული ტექსტების შედარება ცხადყოფს, რომ ავტორს საწერ მანქანაზე გადაბეჭდილი ცალი უსწორებია. სამწუხაროდ, ნაშრომს ავტორის წინასიტყვაობა არ ახლავს; მისი გაკეთება, ალბათ, წიგნის ბეჭდვის პროცესში იყო ნავარაუდევი. ხელნაწერში სრულად არაა ასახული ნაშრომის გეგმა – დანაწილება თავებად და პარაგრაფებად, სამაგიეროდ ცალკეა შემონახული დახვეწილ – შევსებული "სარჩევი"[4], რომელიც ავტორს გადაბეჭდილ ტექსტში ჩაურთავს, რითაც ხელნაწერში წარმოდგენილი სქემა გამდიდრებულია; სარჩევში კარგად მოჩანს XIII-XIV სს. საქართველოს ისტორიის ავტორისეული პერიოდიზაცია.

ავტოგრაფულ ხელნაწერს, გამოქვეყნებული ტექსტისაგან განსხვავებით, III თავიდან მოყოლებული ვიდრე ბოლომდე, თან გასდევს ფრჩხილებში დასმული მითითებები გამოყენებულ წყაროებსა და ლიტერატურაზე. ეს შენიშვნები ავტორს, როგორც ჩანს, სასტამბო ცალიდან ამოუღია; თუმცა არაა გამორიცხული შესაძლებლობა, რომ მომეტებულად შემოკლებული და ძნელად გასარკვევი ეს შენიშვნები სტამბაში ამოეღოთ, რადგან მოელოდნენ სრული სამეცნიერო აპარატის შემცველი ვარიანტის გამოქვეყნებას. ავტორისავე სხვა რიგის შესწორებანი სასტამბო ცალში ენობრივ – სტილისტური დახვეწის მიზანს ემსახურებოდა.

"ვრცელი" და "მოკლე" ვარიანტების ხელნაწერთა შეჯერებამ, აგრეთვე, ცხადყო, რომ მეცნიერის მიზანი იმ ეტაპზე იყო III ტომის იმ სახით გამოცემა, რომლითაც იგი განხორციელდა 1941 წ. ე. წ. "ვრცელი ვარიანტი" ავტორისათვის უნდა ყოფილიყო ისტორიის საშენი ფაქტობრივი მასალების დადგენა - გამოძიების საფეხური, რომლის შემდეგ შესაძლებელი გახდებოდა ფართო მასებისათვის საკითხავი ისტორიის გადმოცემა. ასეთი ისტორია არ უნდა გადატვირთულიყო ფაქტების კრიტიკული განხილვისადმი მიძღვნილი მსჯელობით. ეს იქიდანაც ჩანს, რომ ვრცელი ვარიანტი მხოლოდ ფრაგმენტების სახითაა შემონახული; მისი ზოგიერთი ნაწილი სათანადო რედაქციული გადამუშავების შემდეგ, ავტორს მოკლე ვარიანტში შეუტანია.

ფართო მასებისათვის საინტერესოდ საკითხავი ისტორიის დაწერა ივ. ჯავახიშვილის ადრინდელი ფიქრისა და ზრუნვის საგანი ყოფილა.

"საქართველოს ისტოიის მეცნიერულ - კრიტიკულ შესწავლას, - წერდა ივ. ჯავახიშვილი 1928 წ., - ჯერ კიდევ იმ დონემდე არ მიუღწევია, რა დონეზედაც ძველი საბერძნეთის, რომისა და დასავლეთი ევროპის ისტორია იმყოფება, რომ ისტორიკოსმა ძირითადი ფაქტების უცილობლობის წყალობით თითქმის სრულებით დაუსაბუთებლად სწეროს და მარტო ზოგადი პრობლემების განხილვით იყოს გატაცებული"; ამიტომ იგი უმჯობესად მიიჩნევდა "ყოველმხრივ დასაბუთებული ისტორიის წერას", რაც იმისათვის იყო საჭირო, რომ შესაძლებელი გამხდარიყო "ადვილად წასაკითხი და ლამაზი" ისტორიის დაწერა, წარმტაცი "თეორიებისა და დებულებების წამოყენება". იგი დასძენდა, რომ მომავლისათვის განზრახული ჰქონდა "საქართველოს ისტორიის ზოგადი კურსის გამოცემაც"[5].

---

[3] იხ. ივ. ჯავახიშვილის პირადი არქივი, № 261.

[4] ივ. ჯავახიშვილის პირადი არქივი, № 280.

[5] ქართველი ერის ისტორია, წ. I, 1928, გვ. X.

ჩვენი აზრით, 1941 წ. გამოცემული III ტომი სწორედ ასეთი "ზოგადი კურსის" განხორციელების ერთ-ერთ ცდას წარმოადგენს. გამოირჩევა განზოგადების საკმაოდ ფართო მასშტაბით.

როგორც უკვე ითქვა, "ვრცელი ვარიანტი" სრული სახით არაა შემონახული. აკად. ს. ყაუხჩიშვილის 1949 და 1966 წწ. გამოცემებში ეს ვარიანტი დაკომპლექტებულია 1941 წ. გამოცემული წიგნის და იმ მასალების მიხედვით, რომლებიც განსვენებული მეცნიერის არქივში ინახება[6]. მათი მნიშვნელობა მეცნიერებისათვის უდავოა.

წინამდებარე გამოცემა თანდართულ შენიშვნებში ითვალისწინებს განსხვავებას III ტომის ავტოგრაფულ ხელნაწერსა და 1941წ. გამოცემულ ტექსტებს შორის. ეს უმთავრესად ეხება ხელნაწერში დამოწმებულ პირველწყაროებსა და ლიტერატურას, რომელიც ავტორისეულ შემოკლებათა დაცვით ჩავიტანეთ სქოლიოებში. საერთოდ, ხელნაწერის მიხედვით აღდგენილი სქოლიოები მხოლოდ ნაწილობრივ ასახავს მეცნიერის მიერ გამოყენებულ წყაროთა და ლიტერატურის მასშტაბს. მათი მეტნაკლებად სრული დასახელება წარმოდგენილია 1966 წ. გამოქვეყნებულ III ტომში, რომლითაც ჩვენ ვსარგებლობთ წინამდებარე გამოცემაში გამოტოვებულ რიგ სქოლიოთა აღდგენის დროს. ასეთ შემთხვევაში რედაქცია ცდილობს დაიცვას სქოლიოთა შერჩევის ავტორისეული კურსი. ჩვენს მიერ დასმული შენიშვნები მოტანილია კვადრატულ ფრჩხილებში. ტომს წავუმძღვარეთ შემოკლებულ სქოლიოთა გაშიფვრის სია.

ძველი III და IVტომების ერთ III ტომად გამოცემისას რედაქციამ შეინარჩუნა მათი სხვადასხვა დროს დაწერისა და გამოქვეყნების გარეგნული ნიშნები.

IV ტომის პირველი ნაწილი – XV საუკუნე, რომელიც ჩვენს ტომში "II ნაწილის" სახითაა შესული, 1924 წელს ჟურნალ "ჩვენი მეცნიერების" ფურცლებზე იბეჭდებოდა, მერე კი, იმავე წელს, ცალკე წიგნის სახით გამოქვეყნდა. ავტორი შენიშნავდა, რომ იგი მან 1918 – 21 წლებში დაწერა. ასე რომ, IV და III ტომებს ერთმანეთისაგან 20-ზე მეტი წელი აშორებდა. ახლა პირველი (XIII-XI V სს) და მეორე (XV ს.) ნაწილების ერთად გამოცემას აკავშირებს ქრონოლოგიური თანამიმდევრობა, საერთო სარჩევი, საძიებელი, პაგინაცია. სარედაქციო შენიშვნები წარმოდგენილია ნაწილების მიხედვით.

XV ს. ისტორიის შემცველი წიგნი მეორე გამოცემის სახით შევიდა "ქართველი ერის ისტორიის" 1948 წ. გამოცემულ IV ტომში (რედ. ს. ყაუხჩიშვილი და ალ. ჯავახიშვილი). ამ გამოცემის წინასიტყვაობაში ნათქვამია, რომ იგი "დაბეჭდილია უცვლელად, თავისი თავფურცლითა და წინასიტყვაობით, ქრონოლოგიური ტაბულითა და ლიტერატურის სიით. რედაქციული ცვლილებები შეეხო მხოლოდ კორექტურული შეცდომების გასწორებას, ლიტერატურის მითითებათა ჩატანას სქოლიოებში და ქვესათაურების გარეგან გაფორმებას". ეს ტექსტი ზუსტადაა განმეორებული IV ტომის 1967 წ. გამოცემაში.

ივ. ჯავახიშვილმა თავის სიცოცხლეში ვერ მოასწრო IV ტომის II ნაწილის (XVIს.) დასრულება. 1948 წ. გამოცემულ IV ტომში II ნაწილის სახით წარმოდგენილია მხოლოდ ავტორის მიერ დატოვებული ხელნაწერი მასალა, რომელიც XVI საუკუნის ისტორიაზე მეცნიერის მიერ ჩატარებული ინტენსიური მუშაობის მაჩვენებელია. როგორც რედაქტორები ს. ყაუხჩიშვილი და ალ. ჯავახიშვილი შენიშნავენ, მეცნიერს ამ მიმართულებით კვლევა არ დაუსრულებია, მაგრამ რაც გააკეთა, უდავოდ დიდი მნიშვნელობისაა. ანალოგიური ფრაგმენტული მასალებითაა წარმოდგენილი XVII- XVIII სს. ისტორია 1967 წ. გამოცემულ IV ტომშიაც.

---

[6] იხ. ქართველი ერის ისტორია, წ. III, 1949, გვ. 1-2 და ამავე ტომის 1966 წ. გამოცემა, გვ. 5-7.

XVს. ისტორიის ამსახველი ტექსტი წინამდებარე გამოცემაში იბეჭდება ზემოთ აღნიშნული 1967 წ. გამოცემის მიხედვით. გასწორებულია ზოგიერთი კორექტურული უზუსტობა.

ივ. ჯავახიშვილის თხზულებათა 12-ტომეულში ქვეყნდება მეცნიერის მიერ გამოქვეყნებული ძირითადი ნაშრომები. ამიტომ ჩვენს ტომში, ისე როგორც I და II ტომებში, შეტანილია "ქართველი ერის ისტორიის" შემადგენელი ნაწილები იმ სახით, როგორითაც იგი ავტორმა დაასრულა.

წარმოდგენილი ტექსტების საკონტროლოდ გამოყენებულია მეცნიერის ყველა გამოქვეყნებული ნაშრომი, მიძღვნილი XIII- XV სს. ისტორიის პრობლემისადმი.

1938 - 1939 წლებში ივ. ჯავახიშვილი საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს შექმნაზე მუშაობდა. ავტორთა კოლექტივში (ს. ჯანაშიას, ნ. ბერძენიშვილის, გ. ხაჭაპურიძის, მონაწილეობით) მას XI-XVსს. ისტორიის დაწერა ეკისრებოდა. ამის მაჩვენებელია მისსავე არქივში დაცული ხელნაწერი ნაშრომი (№ 266), საწერ მანქანაზე გადაბეჭდილი, ორ ცალად, ჩასწორებული ავტორისავე ხელით. ესაა საქართველოს XI-XVსს. ისტორიის მოკლე კურსი, რომელიც უცვლელად გამოაქვეყნა ს. ყაუხჩიშვილმა 1949 წელს.; ამ ტექსტის ერთი ნაწილი XIII-XVსს. –მანვე განმეორებით დაბეჭდა დამატების სახით 1966 წ. გამოცემული ქართველი ერის ისტორიის III წიგნშიაც. სწორედ ამ "მოკლე კურსის" საფუძველზეა შედგენილი 1940 წ. ხელნაწერის უფლებით გამოქვეყნებული საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს ჯავახიშვილისეული ნაწილი (ავტორი პირადად ესწრებოდა მის საჯარო განხილვას იმავე წელს). ეს ნაწილი "მოკლე კურსთან" შედარებით კიდევ უფრო მოკლეა (166-270 გვ.); შინაარსობრივად, მოვლენათა გაშუქების თვალსაზრისით, მათ შორის განსხვავება არაა; ჭარბადაა ტექსტობრივი განმეორებები.

ჩვენ გამართლებულად მივიჩნიეთ წინამდებარე ტომისათვის აღნიშნული მოკლე კურსის იმ ნაწილის დართვა, რომელშიაც XV საუკუნეა ასახული. ეს იმით აიხსნება, რომ ავტორმა XV ს. ვრცელი ისტორია, როგორც ზემოთ ითქვა, 20 წლით ადრე დაწერა. მისგან განსხვავებით მოკლე კურსში ავტორი კიდევ უფრო ღრმად განაზოგადებს ამ საუკუნის სოციალურ – პოლიტიკურ პროცესებს; ეს უფრო ნათლად მოჩანს პარაგრაფებში – "მოსახლეობის სოციალური განშრევების პროცესი", "მშრომელი ხალხის მდგომარეობის გაუარესება და ბატონყმობის ჩასახვა", "პატრონყმობის გვერდით ბატონყმობის გაჩენა და გაბატონება", "ბატონყმობის წარმომშობი საფუძველი" და სხვ.

"მოკლე კურსში" გაშუქებული XIII-XIV სს. ამბები დამატებაში იმიტომ არ შეგვაქვს, რომ წინამდებარე ტომში დასტამბული ამ პერიოდის ვრცელი ისტორია ავტორის მიერ დაწერილია ამ კურსთან ერთდროულად. მათ შორის, ისტორიის პროცესებზე მსჯელობის თვალსაზრისით, რაიმე განსხვავება არაა. მოკლე კურსის ეს მონაკვეთი მთლიანად ემყარება 1941 წ. გამოქვეყნებულ III ტომს.

აღნიშნული დამატების გამოცემისას რედაქცია ემყარება მეცნიერის არქივში დაცულ ხელნაწერს და მისი სტამბური ანაწყობის ავტორისეულ კორექტურას (№ 266), შესრულებულს 1940 წელს; ამასთანავე, გათვალისწინებულია ს. ყაუხჩიშვილის მიერ 1966 წ. III ტომის დამატების სახით გამოცემული ტექსტიც; შესწორებულია ამ გამოცემის დროს გაპარული ზოგიერთი უზუსტობა.

ამრიგად, ივ. ჯავახიშვილის თხზულებათა III ტომი ქვეყნდება ავტორის მიერ თავის დროზე განხორციელებული მესამე და მეოთხე ტომების მიხედვით. ავტორისავე პერიოდიზაციის ნიშნით ამ ტომს ყოფთ ორ ნაწილად – პირველი ნაწილი ასახავს XIII-XIV სს., ხოლო მეორე ნაწილი – XV საუკუნის საქართველოს წარსულს.

აკად. ს. ყაუხჩიშვილის დახასიათებით, ივ. ჯავახიშვილმა მესამე ტომის სახით მოგვცა "საქართველოს ისტორიის ყველაზე რთული პერიოდისადმი" მიძღვნილი "ერთადერთი მეცნიერული გამოკვლევა". ამ ტომშიაც, ისევე როგორც სხვა ტომებში, შეისწავლა და კრიტიკულად გადაამუშავა არსებული, მის მიერვე გამოვლენილი თუ მიგნებული, პირველწყაროები და ლიტერატურა, ისტორიის საშენ მასალად აქცია ისინი, ჩამოაყალიბა თავისი ღრმამეცნიერული თვალსაზრისი განსახილველი ეპოქის ისტორიის ძირითად პროცესებზე.

III ტომშიაც მეცნიერმა ნაკლები ყურადღება დაუთმო ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების საკითხებს, მაგრამ ეს ივ. ჯავახიშვილის თავისებური კვლევის მეთოდით აიხსნებოდა. მან ადრიდანვე აიღო კურსი მშობლიური ისტორიის უმთავრეს პრობლემათა ცალ-ცალკე შესწავლის მიმართულებით; ასეთი სამუშაოს შესრულების მეორე ეტაპზე უნდა დაწერილიყო ისტორია, სადაც საზოგადოებრივი განვითარება ნაჩვენები იქნებოდა მთელი მისი კონკრეტულობითა და მრავალსახოვნებით. ასეთი ჩანაფიქრის განხორციელება ივ. ჯავახიშვილმა ვერ მოასწრო. საქართველოს პოლიტიკურ-ისტორიული მოვლენებისადმი მეტი ყურადღება ივ. ჯავახიშვილის "ქართველი ერის ისტორიაში" რამდენადმე იმითაც აიხსნებოდა, რომ პროგრესულ დემოკრატიული იდეებით აღჭურვილმა მეცნიერმა, "ხალხის დიადი მოძრაობის" მონაწილე, თავის მხრებზეც გადაიტანა რევოლუციამდელი სამშობლოს მძიმე ხვედრი. ეროვნული და სოციალური თავისუფლებისათვის ბრძოლაში ჩაბმული მეცნიერი, როგორც ჩანს, ფიქრობდა, რომ მცირერიცხოვანი ერის ისტორიაში პოლიტიკურ მოვლენათა გაშუქებას შედარებით მეტი ყურადღება უნდა დათმობოდა. სავსებით გასაგებია ისიც, რომ საბჭოურ პერიოდში მეცნიერი თვალსაჩინოდ ავლენდა დიდ ყურადღებას ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების პრობლემებისადმი. ამის მაჩვენებელია 1928-1935 წლებში გამოქვეყნებული ფუძემდებლური ნარკვევები – "ქართული სამართლის ისტორია" და "საქართველოს ეკონომიური ისტორია", რომელთაც მის თხზულებათა 12 –ტომეულში ოთხი წიგნი დაეთმობა.

საკმაოდ ხანგრძლივი დრო გავიდა ივ. ჯავახიშვილის მიერ საქართველოს XIII-XVსს. ისტორიის დაწერის დროიდან. მიუხედავად ამისა, მისი მნიშვნელობა ქართული ისტორიოგრაფიისათვის დღესაც განუზომელია.

ივ. ჯავახიშვილის გარდაცვალების შემდეგ საქართველოს ისტორიის ხსენებილი პერიოდის შესწავლაც გაფართოვდა და გაღრმავდა. დაიწერა მონოგრაფები, ნარკვევები, არაჩვეულებრივად გაიზარდა მშობლიური ისტორიის პრობლემებზე მომუშავე მეცნიერთა რაოდენობა. ჩვენი ტომის კომენტარებში, გამონაკლისის სახით, მითითებულია სიახლის შემცველი ნარკვევები, სადაც ესა თუ ის საკითხი უფრო მეტი სისრულითა და სიღრმით შუქდება. იქვეა წარმოდგენილი ზოგიერთი ფაქტობრივი ხასიათის დაზუსტება.

III ტომის რედაქტირებაში ჩვენთან ერთად მონაწილეობდა უმცროსი მეცნიერ თანამშრომელი ვაჟა კიკნაძე, რომელმაც შეუდარა ერთმანეთს გამოქვეყნებული ტექსტები და მეცნიერის არქივში დაცული ავტოგრაფული დედნები, გაშიფრა სქოლიოებში მიღებული შემოკლებანი, გაასწორა წყაროებისა და ლიტერატურის დამოწმებაში გაპარული ზოგიერთი შეცდომა და სათანადო წვლილი შეიტანა კომენტარების შედგენაში.

ქართველი ერის ისტორია

წიგნი მესამე

ნაწილი პირველი

XIII-XIVსს.)

სქოლიოებში მითითებულ შემოკლებათა განმარტება

აბად-არ-რეზაკ - აბად –არ-რაზაყ სამარყანდი, Notice de l'ouvrage persan qui a pourtitre Matlaassaadeïn ou-madjma-albahreïn, მ. კატრმერის ფრანგული თარგმანი, პარიზი, 1843 (Notices et extraits, ტ. XIV, ნაწ. I).

ბართოლდი, К ист. крестъянс. движ.-Бартолъд В. В., К истории кристъянских движений в Персин: «Из далекого и близкого прошлого. Сборник Этюдов из всеобщей истории в честъ 50-летия научн. жизни Н. И. Кареева», Пг-Москва, 1923.

ბართოლდი. Персидская надписъ – Бартолъд В. В., Персидская надписъ на стене Анийской мечети Мануче, СПб, 1911 (Анийская серия №5).

ბართოლდი, Туркестан. – Бартольд В. В., Туркестан в эпоху монгольского нашествия, ч. I тексты, С/ Пб, 1898 г., ч. II иссоедование СПб, 1900.

ბართოლდი, Улуг,-Бартолъд В. В., Улуг-бек и его время. Пг., 1918 (ЗРАН по ист.-филолог, одт., т. XIII, №5).

ნ. ბერძენიშვილი, ფეოდ. ურთ. მას. I-ნ. ბერძენიშვილი, ფეოდალური ურთიერთობიდან XV ს-ში (დოკუმენტები კრიტიკული წერილით). დაიბეჭდა "მასალებში საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის", ნ. I, თბ., 1937.

რბოსე, Addit. et eclair.-Brosset M., Additions et eclaircissiments a lhistoire de la Géorgie, depuis I'antiquitè jusqu'en 1469 d.J.C., SPb, 1851.

ბროსე, H.d.g., I-Brosset M.-Histoire de la Gèorgie depuis I'Antiquite jusqu'au XIX-e siècle, trad. du Georgien, t. I, S/Bb, 1849.

განძაკელი კირაკოს, 1909წ. გამოც., - კირაკოს განძაკეცი, (სომხური) თბ., 1909.

მათეოს განძასარელის ცნობა, ილ. აბულაძ - ილ. აბულაძე. მათეოს განძასარელის ცნობა ქართველთა მეფის კონსტანტინეს შესახებ, "ენიმკის მოამბე" V-VI, თბ., 1040.

ფ. გორგიჯანიძე - ფ. გორგიჯანიძე, საქართველოს ისტორია; თხზულების ბოლო ნაწილი გამოქვეყნებული ს. კაკაბაძის მიერ. იხ. "საისტორიო მოამბე", 1925, II; არსებობს ცალკე გამოც., თბ., 1926.

ეგნატაშვილი ბერის ახალი ქართლის ცხოვრება – ახალი ქართლის ცხოვრება XVIIIს. დამდ., ივ. ჯავახიშვილის გამოცემა, თბ., 1940.

ვარდანი, ისტორია – ვარდანი, (სომხური), ემინის გამოცემა, მოსკოვი, 1861.

ვახუშტი, ისტ. ბაქრ. –ვახუშტი ბატონიშვილი, საქართველოს ისტორია, ნაწ. I. დ. ბაქრაძის გამოცემა, თბ., 1885.

ვახუშტი, ქრონ. ჭიჭ.- ვახუშტი საქართველოს ცხოვრება (ქრონოგრაფია გვ. 360-327) ზ.ჭიჭინაძის გამოცემა, თბ., 1913.
“ვიმ. ტარეგ.” კოსტანიანცი, (სომხური), ს.- პეტერბურგი,1913.
ვლადიმირც.- Владимирцов Б. Я. Общественный строй монголов. Монголъский кочевой феодализм. Л., 1934. (მისივე: Чингиз –хан, Берлин - Петерб.-Москва,1922).
თამარაშვილი, ისტ. კათ. – მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, თბ., 1902.
თაყაიშვილი, А.Э., Вып. II, III - Такаишвили Е. С., Археологические экскурсии, разыскания и заметки, вып. II, III, ИКОИМАО, თბ., 1905, 1907.
იბნ არაბშახ – იბნ არაბშახი. ”ქითაბ ჯაიბ ალ-მაკდურ ფი ახბარ თიმურ”, (არაბული ტექსტი), ქაირო, 1887.
იბნალასირი (Fragm.)-M. Defremery,Fragments de Geographes et d’historiens arabes et persans,“Jornal Asiatique”, Paris 1849, IV-e serie, June, Nov—Decembre.
კლავიხო- Руи Гонзалес де Клавихо, Дневник путешествия ко двору Тимура в Самарканд в 1403- 1406 гг., перевод и коммент. И.И. Срезневского, СПБ, 1882 (Сб, ОРЯС, т. XXVIIII ,№1).
მაკრიზი, Histoire des Mamelouks...—El—Makrizi, Histoire des sultans Mamelouks de I’Egipte, ფრანგული თარგმანი, კომენტარიებითურთ მ. კატრმერისა, ტ. I, II, პარიზი 1837 – 1845.
მალაქია, ისტორია –მალაქია (იგივე გრ. ანკრეცი), (სომხური) პატკანიანის გამოც., ს. –პეტერბურგი, 1870.
ნ. მარი, Надписъ Епифания. – Н. Марр, Надпись Епифания, католикоса Грузии, Известия Акад. наук, Пг., 1910.
მარიამ დ.´ ფსი ქ´ ცა -იხ. ჟამთააღმწერელი.
მელიორანსკი, Араб филолог. – Араб филолог о моноголъском языке, арабский текст издал, снабдил переводом, глоссариями и комментарием П. М. Мелиоранский ЗВОРАОБ, т. XV, С/Пб, 1904.
მელიქსეთ-ბეგი, ქობერი-ლ. მელიქსეთ-ბეგი, ქობერი და მისი სომხური და ქართული წარწერები, თბილისის უნივერსიტეტის მოამბე, VII, 1927.
თ. მეწოფელი – თომა მეწოფეცი, (სომხური) შაჰნაზარიანის გამოცემა, პრიზი, 1860.
მირხონდი – Mirkhond ,Vie de Djenghiz-Khan, ა. ჟობერის გამოცემა, პარიზი, 1841 (Chrestomathies Orientales, I).
Müller K., II-A. K. Műller, Der Islam im Morgen – und Abendland, Bd. II, Berlin, 1887.
ლ. მუსხელიშვილი, დმანისი – ლ. მუსხელიშვილი, დმანისი, დაიბეჭდა კრებულში “შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა”, თბ., 1938.
მოჰამედ ენ ნესევი , Histoire du Sultan.. მოჰამედ ენ ნასავიბ, Histoire du Sultan Djelal ed Din Mankobirti prinse du Kharezm, par Mohammed en-Nesawi, t, I, II. არაბულიდან თარგმნა ო. ჰუდას-მა , პარიზი, 1891, 1895 (PELOV III-^{e} ser., vol, IX – X).
სტ. ორბელიანი, ისტორია – სტ. ორბელიანი, (სომხური) , თბ. 1910.
დ’ოსონი- იხ. რადიშ-ედ – დინი.
Петрушевский, Хамд. Казвини как источник.-Петрушевский И. П., Хамдуллах Казвини как источник по социалъно-экономической истории Восточного Закавказъя, «Известия АН СССР», 1937, №4.

ჟამთააღმწერელი - ”ქართლის ცხოვრება”, მარიამ დედოფლისეული ვარიანტი, ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, თბ., 1906.
ი. ჟორდანია, - Опис, II- Жордания Ф., Описание рукописей Тифлисского церковного музея, Карталино-Кахетинского духовенства, кн. II, Тифл., 1903.
თ. ჟორდანია, შიო-მღვიმის ისტ. საბ. – თ. ჟორდანია. ისტორიული საბუთები შიო-მღვიმის მონასტრისა და ”ძეგლი ვაჰანის ქვაბთა”, თბ.,1896.
რაშიდედდინი, I, III- რაშიდ –ად-დინი, Histoire des Mongols de la perse, ècrite en persen par Raschid eddin, მ. კატრმერის გამოცემა, ტ. I, პარიზი, 1836 (Coll. orient.).ასევე: ”Djami el-teverikh”, Histoire generale du monde par Fadl Allah Rashid. ed-Din, ე. ხლოშეს გამოცემა, ტ. II, ლეიდენი-ლონდონი, 1911 (GMS, XVIII, 2). ივ. ჯავახიშვილი რაშიდ- ად - დინის შრომას ამოწმებს აგრეთვე დ’ოსონის შრომის მიხედვით: d’Ohsson, Histore des Mongols depuis Tehinguizkhan jusqu’a Timour-bey ou Tamerlan I- II, La Haye- Amsterdam. 1834-1835.
სომხ. ხელნაწ. საც. ხ. №1537 – მატენადარანის სომხურ ხელნაწერთა საცავის ხელნაწერი №1537.
ტიზენჰაუზენი, Заметка Элъкалъкашанди -Тизенгаузен В. Г. Заметка Элъкалъкашанди о грузинах, ЗВОРАОб, СПб, 1886, т. I, вып. III. (გვ.. 208-216, არსებობს ცალკე ამონაბეჭდიც).
Трапез. хроника Мих. Панарета. ალ. ხახანაშვილის გამოც.-Трапезудская хроника Михаила Панарета. Греческий текст с переводом, предисловием и комментариями издал А. Хаханов. М., 1905 (Труды по Востоковедению, издаваемые Лазаревским институтом восточнх язкыов, выпуск XXII).
უსპენსკი – Успенский ф. П., Очреки из истории Трапезунской империи, Л-д, 1929.
ქკ ’ ბი, - იხ. ”ძეგლი ერისთავთა”, თ. ჟორდანიას გამოც.
Schiltberger H. Reise- Büch – l. Schltberger, Reisen in Europa, Asia und Africa von 1397 bis 1424, ნეუმანის გამოცემა, მიუნხენი, 1859. აგრეთვე: Reisenbuch, ed. Langmatel, Tübingen, 1883 (Bibliothek des Literarishen Vereins in Stuttgart N 172)
შერეფედდინი I, II-შერეფ ედ-დინ ალი იეზდი, The Zafarnamah by Mavlánά Sharfaddin (!) Ali of yazd, ed by M. M. llahdad, ტ. I, II, კალკუტა, 1887 - 1888 (სპარსული ტექსტი).
”ძეგლი ერისთავთა” – ძეგლი ერისთავთა, თ. ჟორდანიას გამოცემა, ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი, წ. II, თბ. 1897.
”ძეგლის დადება” – ძეგლის დადება გიორგი ბრწყინვალისა, თ. ჟორდანიას გამოც.,(პრეამბულა), ქრონიკები, II, თბ., 1897.
”წიგნი სამართლისა”- წიგნი სამართლისა კაცთა შეცოდებისა ყოველისავე, თ. ჟორდანიას გამოც. ქრონიკები, II.
ჰამმერი, I, II, - Hammer-Purgshtall J., Geschichte der LLchane, das ist der Mongolen in Persien, Bd.I - II, Darmstadt, 1842-1843.

პერიოდული გამოცემების შემოკლებათა განმარტება

ენიმკის მოამბე - ნ. მარის სახ. ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე
ЗВОРАОБ - Записки Восточного Отделения Руского Археологического общества.
ЗРАН - Записки Росийской Фкадемии наук.
ИКОМАО - Известия Кавк. Отделения Московского Археологического Обшества.
МАК - Материалы по археологии Кавказа.
ОРЯС - Отделение Русского Языка и Словесности Акад. Наук.
BSOAS – Bulletin of the School of Oriental and African Studies, Universiti of London.
Coll. orient. - Collections orientales. Manuscrits inèdits de la Bibliothèque royale (imperialè, nationale), traduits et publiès…
GMS -"E. L. W. Gibb. Memorial" Series.
Notices et extraits- Notices et extraits des manuscrits de la Bibliotheque du roi (impèriale, nationale) et autres bibliotheques, Paris.
PELOV- Publications dè I`Ecole des langues orientales vivantes.

საქართველოს სახელმწიფო დიდი მემკვიდრეობისა და ფართო პოლიტიკური ამოცანებისათვის შეუფერებელ მემკვიდრე-მესვეურთა ხელში: გიორგი IV და რუსუდანი

I. გიორგი IV-ლაშა

1. გიორგი - ლაშას ბუნების თავისებურება და მისი პოლიტიკური საქმიანობა

თამარის გარდაცვალების შემდეგ საქართველოს სახელმწიფო სამეფო ტახტი მის ჭაბუკ შვილს ლაშა-გიორგის ერგო. უკვე თავის სიცოცხლეშივე დედამ თორმეტი წლის თავისი მომავალი მემკვიდრე თანამოსაყდრედ დასვა. ოცი წლის იყო, როდესაც ბედმა ამ ჭაბუკს სრულიად საქართველოს, მე-12 ს. განმავლობაში მახლობელს აღმოსავლეთში უკვე უძლიერეს და მოწინავედ ქცეულ სახელმწიფოს, მესაჭეობა არგუნა.

იმ ხანაში საქართველოს, შინაგანს გაერთიანებასა და პოლიტიკურ ზრდასთან ერთად, ძლევამოსილი ომებითა და სამხედრო ძალით შემოერთებული ქვეყნის მოსახლეობის გულის მოგება და მომტკიცება სჭირდებოდა, ბრძნული, წინდახედული პოლიტიკისა, სრული მყუდროების დამყარებისა და კეთილმოსურნე სოციალ-ეკონომიური და კულტურული საქმიანობის საშუალებით. ასეთი დიდი მოვალეობის განხორციელება მხოლოდ თამარისებრ

შორსგამჭვრეტელი საერთაშორისო პოლიტიკის გამგრძელებელს შეეძლო, რომელსაც ამასთანავე, დავით აღმაშენებელის მსგავსად, მიზანშეწონილი, გეგმიანი სახელმწიფოებრივი საქმიანობის ნიჭი და მისი ასრულებისათვის ყოველგვარი დაბრკოლების გადამლახავი ნებისყოფაც აღმოაჩნდებოდა.

სამწუხაროდ, რაინდული სულისკვეთებითა და პატიოსნებით უხვად დაჯილდოვებული ლაშა-გიორგი, ვითარცა დედისერთა ვაჟიშვილს სჩვევია, განებივრებული და თავისნათქვამა ჭაბუკი გამოდგა. მას ზემოაღნიშნული ფართო და დიდი ამოცანებისათვის არც სათანადო ძალა შესწევდა. იმ უაღრესად დიდი სახელმწიფოებრივი პრობლემის გადასაჭრელად, რომელიც საქართველოს შემდგომი წარმატებისა და ძლიერების განმტკიცებისათვის საჭირო იყო, ლაშა – გიორგი გამოსადეგი ვერ აღმოჩნდა.

რასაკვირველია, არც თვით საქართველოში და არც ყმადნაფიცსა და არც მოსაზღვრე ქვეყნებში ხალხს ახალგაზრდა მეფის ხასიათის ნაკლი არ გამოჰპარვია. ამიტომაც პირველად ყმადნაფიცმა სამფლობელოებმა სცადეს ლაშა-გიორგის სიჭაბუკით ესარგებლათ, ხოლო ყველაზე უწინ განძის ათაბაგმა მოისურვა განთავისუფლება: განუდგა საქართველოს და ხარკის მოცემაზე უარი განაცხადა. ახალგაზრდა მეფემ წარჩინებულებთან ერთად გადასწყვიტა უმალ ამ პირველი მცდელობისათვის ყურადღება მიექცია, რომ განძის მფლობელს მიმბაძველები არ აღმოსჩენოდნენ, და საქართველოს სახელმწიფოს ჯარი მთავარსარდლის მეთაურობითა და ჭაბუკი მეფის მონაწილებით, განძის ათაბაგის სამფლობელოს მიადგა.

განძამდის განდგომილ ათაბაგს წინააღმდეგობა არსად გაუწევია. თავის დედაქალაქის დასაცავადაც წინ დახვედრა და ქალაქს გარეთ შებრძოლება ვერ გაუბედია, არამედ თავის ლაშქრითურთ შიგ განძაში გამაგრდა.

საქართველოს მთავარსარდლობას, ქალაქის იერიშით აღების მაგიერ, ათაბაგისა და მისი მთელი სამხედრო ძალის იქ შემწყვდევა უცვნია უფრო მიზანშეწონილად. მართალია, ამ წესით განმდგარი ქვეყნის მმართველის დამორჩილებისათვის გაცილებით უფრო მეტი დრო იყო საჭირო, მაგრამ ალყაშემორტყმული ათაბაგი სულ ერთია იძულებული იქნებოდა ქედი მოეხარა და ასე-კი, სამაგიეროდ, არც გარემოცულ ქალაქთა და საქართველოს ჯარის სისხლი დაიღვრებოდა ტყუილ-უბრალოდ და არც დამორჩილებული მოსახლეობის გული საქართველოსადმი ისე გაბოროტებული იქნებოდა, როგორც იერიშთა და მკაცრი სამხედრო საშუალებით დაპყრობა–განადგურების შემდგომ. ჭაბუკ ლაშა-გიორგის–კი საქმის ასეთი გაჭიანურება ვერაფრად მოსწონებია: მას სწრაფი და გადამწყვეტი ბრძოლა სწყუროდა.

რაკი ლაშა-გიორგის თავისი აზრი მთავარსარდლობაში სამხედრო ბჭობის დროს, ეტყობა, ვერ გაუტანია, ამიტომ გადაუწყვეტია დამოუკიდებლივ და სხვებისათვის უცნობელად თითონ დაეწყო აქტიური საომარი მოქმედება. ამ მიზნით თავის ნაწილითგან 4000 რჩეული ჯარისკაცი წაიყვანა და ამ მცირე ძალით განძას იმ მხრითგან შემოუარა, რომელიც მტკვრისაკენ იხედებოდა.

განძის ათაბაგს მეფის ასეთი მცირერიცხოვანი ჯარით წამოსვლის არ გამოჰპარვია და უეცრად ქალაქიდან გაროშემომვლელ ამ რაზმს დიდი ძალითურთ თავს დაესხა. ატეხილს სასტიკსა და მეტად სისხლისმღვრელ ბრძოლაში, მეთაურთა და თვით ლაშა–გიორგის მაგალითითა და გამამხნევებელი მამაცობის წყალობით, თუმცა დიდი მსხვერპლის განწირვის შემდგომ, ქართველთა რაზმმა მაინც განძელები დაამარცხა. მაგრამ განძელთა ლაშქრის გადარჩენილმა მცირერიცხოვანმა ნაწილმა ქ. განძის ზღუდეში უკან დახევა მოახერხა და ამრიგად ლაშა – გიორგიმ დასახულ მიზანს მაინც ვერ მიაღწია. იმისდა მიუხედავად, რომ მის განხორციელებას ამოდენა ხალხის სიცოცხლე შეეწირა[7].

---

[7] [**ჟამთააღმწერელი,** გვ. 541-543].

განძაში მომწყვდეულნი მცხოვრებნი გარემოცვისაგან გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩაცვივდნენ და ამის გამო ათაბაგი ბოლოს იძულებული იყო ისევ ქედი მოეხარა: იგი საქართველოს მეფის ხარკის წინანდებურად ძლევას შეჰპირდა და თანაც განდგომის პატიებას ევედრებოდა. ლაშა-გიორგიმ ვედრება შეისმინა. ათაბაგისაგან დიდი და ძვირფასი ძღვენი მიიღო, ხარკი კვლავ განუჩინა. დატყვევებული განძელებიც-კი განთავისუფლა და გამარჯვებული დედაქალაქში დაბრუნდა.

საქართველოს სამხრეთისა და სამხრეთ-დასავლეთის სანაპიროს ზოგმა ყმადნაფიცთაგანმაც სცადა საქართველოს ჩამოჰშორებოდა. ამის გამო 1219 წ. ლაშა-გიორგიმ იქითკენაც გაილაშქრა და ორონტი და სხვა ციხეები ნახჭავნამდე კვლავ აიღო. ამავე მიზეზის გამო ხლათის სულტნის წინააღმდეგაც აუცილებელი გახდა ამხედრება, მაგრამ ხლათის მფლობელიც დამარცხდა და ისევ საქართველოს დაჰმორჩილდა. დასასრულ, სახელმწიფოს ძლიერება უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთისაკენაც იქნა განმტკიცებული: კარნუქალაქენი საქართველოს დაუერთგულდნენ და კიდევაც დაემოყვრნენ.

საქართველოში ამრიგად შიგნითაც და ყმადნაფიცებთან, მეზობლებთანაც უკვე სრული მყუდროება იყო დამყარებული, რომ ლაშა-გიორგის დასავლეთ ევროპითგან რომის პაპის ჰონორიუსის ეპისტოლე მოუვიდა, რომელშიც ის საქართველოს მეფეს სთხოვდა თავისი ძლევამოსილი ჯარითურთ მაჰმადიანთა წინააღმდეგ პალესტინის განსათავისუფლებლად კვლავ განზრახულს ჯვაროსანთა ომში მონაწილეობა მიეღო. პაპს მიზნად ჰქონდა დასახული, რომ ამით დასავლეთითგან წამოსული ჯვაროსნებისათვის ბრძოლა გაეადვილებინა. ლაშა-გიორგის რაინდული სულისკვეთებისათვის ეს წინადადება იმდენად მომხიბლავი აღმოჩნდა, რომ ჯვაროსანთა ომში მხურვალე მონაწილეობის მისაღებად დაუყოვნებლივ მზადებას შეუდგა, მაგრამ სრულებით მოულოდნელად თვით საქართველოს საზღვრებს მანამდე უცნობი მტერი მოადგა და ამ გარემოებამ საქმეთა მიმდინარეობას სულ სხვა მიმართულება მისცა[8].

2. მონღოლთა პირველი ხანმოკლე გამოჩენა საქართველოში და გიორგი –ლაშას ნაადრევი სიკვდილი

კარზე მომდგარი უცხო მტერი მონღოლები იყვნენ, რომელთა ვინაობა არამცთუ მარტო მაშინდელი საქართვეოლოსათვის, არამედ მთელი დანარჩენი მახლობელი აღმოსავლეთის მცხოვრებისთათვისაც-კი სრულებით უცნობი იყო. ეს გარემოება არც გასაკვირველია, რათგან მონღოლები შორეული ქვეყნითგან დაიძრნენ და მხოლოდ რამდენიმე ათეული წლები იყო, რაც ისინი საისტორიოსა და პოლიტიკურ ასპარეზზე გამოვიდნენ.

მონღოლთა მეთაურს, ჩინგიზ-ხანს, ყველა თვისტომების გაერთიანებისა და მათ უზენაეს მბრძანებელად, ყაანად, ქცევის შემდეგ, ხვარაზმშაჰ მუჰამმედთან და მის შვილ ჯალალედინთან შურისძიებით ნაკარნახევმა, დაუნდობელმა ბრძოლამ პირი ერანისაკენ აბრუნებინა. როდესაც ხვარაზმშაჰი მუჰამმედი და მისი შვილი ჯალალედინი დამარცხდნენ და უკანასკნელი ღაზნაში გაიქცა ახალი ლაშქრის შესაგროვებლადა და მონღოლების მრისხანე მბრძანებელთან კვლავ შესაბრძოლებლად, ჩინგიხ-ხანმა, თავისი მომავალი სამხედრო მოქმედების ასპარეზის უზრუნველყოფისათვის, ორი თავისი ყველაზე მარჯვე სარდალი, ჯებე და სუბუდაი, ღაზნასა, ღარჯისტანსა, ზაბულსა და ქაბულში 30000 ცხენოსანი ჯარითურთ დასაზვერავადა და გზების შესაკრავად წარგზავნა. ისინი ხვარაზმშაჰს კვალდაკვალ სდევნიდნენ და, იმისდა მიხედვით, როგორც თანდათან ჯალალედინი უფროდაუფრო

[8] [**მ. თამარაშვილი,** ისტ. კათ., გვ. 563, 567].

დასავლეთით, ერანისაკენ და ერანის მიწაწყალზე, ლამობდა ფეხის მოკიდებასა და გამაგრებას, მონღოლებიც ამავე გზით მოჰყვებოდნენ და დაგეშილ მეძებარ-მწევრებივით, მას ნადირის მსგავსად, მოსვენებას არ აძლევდნენ.

დასაზვერავადა და გზების შესაკრავად წარვლენილი მონღოლთა სარდლები, დავალების ასრულების შემდეგ, უნდა ისევ მონღოლეთში, ყაანის ურდოში, დაბრუნებულიყვნენ. ამისათვის მათ პირი უკვე უნდა ჩრდილოეთისაკენ ებრუნათ და თავიანთ სამშობლოში დარუბანდის გზით მისულიყვნენ. ჩრდილოეთს ერანში, ადარბადაგამდე რომ მიაღწიეს, მათ, საძოვრების გულისათვისაც, თანაც, ვითარცა დარუბანდისაკენ მიმავალ გზაზე მდებარეს, რანისა და შირვანის საძოვრებსა და მიწაწყალსაც უნდა მოსდგომოდნენ. ეს-კი, რამდენადაც ზემოაღნიშნული ქვეყანა საქართველოს სახელმწიფოს ყმადნაფიცის სამფლობელოებს, წარმოადგენდა, საქართველოს საზღვრების გადმოლახვას უდრიდა. სწორედ ასეც მოხდა: 1220 წ. მონღოლთა 20000 მხედრისაგან შემდგარს ჯარს ჯებესა და საბუდაის მეთაურობით საქართველოს სახელმწიფოს საზღვარი გადმოულახავს. ეს ისე მოულოდნელად მოხდარა, რომ ქართველთა მონაპირე 10000 კაცისაგან შემდგარ ჯარს წინ მომავალი უცხო მტრისათვის მხოლოდ დადევნება–ღა შესძლებია.

შემდეგ ლაშა-გიორგის სასწრაფოდ საკმაოდ მოზრდილი ჯარისათვის მოუყრია თავი, მაგრამ აქ მონღოლებს საქართველოს ჯარის წინააღმდეგ თავიანთი ჩვეულებრივი სამხედრო ხერხი გამოუყენებიათ : ლაშქრის ორად გაყოფა და ერთი ნაწილის გარკვეულ ადგილას წინასწარ ჩასაფრება, მეორე ნაწილის–კი ჯერ პირისპირ შებრძოლება, ხოლო შემდეგ განზრახ იმ ადგილამდე უკუქცევა, სადაც მათი ლაშქრის ჩასაფრებული ნაწილი იყო და იქ დადევნებული მტრის წინითგან და უკანითგან მოქცევა და ამით, თავს ზარის დაცემის შემდგომ, მოწინააღმდეგის განადგურება. მონღოლთა ბელადს ჩინგიზ-ხანს ამ ნაცადი სამხედრო საწშუალებით ბევრგან გაუმარჯვია, და საქართველოს ჯარიც ასევე დამარცხდა და საგრძნობლად დაზარალდა კიდეც[9]. ასეთი გამარჯვების შემდგომაც მონღოლებმა, გზების ვიწროობისა და ტყით დაბურულობის გამო, უკან დადევნება ვერ გაბედავს და უკუ იქცნენ.

ერთი წლის შემდგომ მონღოლები კვლავ საქართველოსაკენ წამოვიდნენ, მაგრამ, შეიტყეს თუ არა თავიანთი ჯაშუშებისაგან, რომ ქართველებს მათთან საბრძოლველად ჯარი უკვე მზად ჰყავდათ, უკანვე გაბრუდნენ. სასწრაფოდ საქართველოს გაეცალნენ, დარუბანდისკენ მიმავალი ჩრდილოეთის გზით დაღისტანზე გადაიარეს და ისევ თავიანთ სამშობლოში მივიდნენ.

დამახასიათებელია, რომ ამ მოულოდნელი და უცნობი მტრის ლაშქრის ვინაობა, მათი წასვლის შემდეგაც, საქართველოში იმდენად ხეირიანად არ სცოდნიათ, რომ ლაშა-გიორგის დროინდელს მემატიანეს მათი სახელიც–კი მოხსენებული არა აქვს, ხოლო ამ ამბის სამი წლის შემდგომაც, თავის ძმის ლაშა –გიორგის სიკვდილის უმალ გამეფებული რუსუდანი ისევე, როგორც იოანე ათაბაგი მხარგრძელი 1223 წ. რომის პაპს ჰონორიუსს სწერდნენ, რომ მონღოლები ქრისტიანები გვეგონნნენ, მაგრამ ცუდი ქრისტიანები გამოდგნენო, თუმცა ქრისტიანობასთან მათ რწმენას საერთო არაფერი ჰქონდა და ისინი წარმართნი იყვნენ, შამანობის მიმდევარნი.

საქართველოში მონღოლთ გამოჩენა და გაცლა შემთხვევით და უმნიშვნელო მოვლენად მიუჩნევიათ და არც მის მიზეზებს და არც მათი ძლიერების საშიშროებას, ეტყობა, მაშინდელი მმართველი წრეები არ გამოჰკიდებიან. ლაშა-გიორგი დამშვიდებული თავისი დის რუსუდანის გათხოვებას შეუდგა: სხვადასხვა მთხოვნელთა შორის მას უმჯობესად შარვანშაჰი უცვნია. ბაგავანში ათი დღის განმავლობაში ნიშნობის წესიც კი გადაუხდია, მაგრამ სწორედ იქ ყოფნის

---

[9] **(კარაკოზ განძაკელი,** 1909 წ. გამ., გვ. 191 – 192.).

დროს მოულოდნელად 1222 წ. 18 იანვარს ლაშა-გიორგი გარდაიცვალა. რამ გამოიწვია ასეთი უეცარი სიკვდილი, არა ჩანს,- მის თანამედროვე მემატიანესაც-კი ამაზე არაფერი აქვს ნათქვამი. მისი ერთი გამონათქვამის მიხედვით, რომ მონღოლებთან ბრძოლის დროს "პირველი წყლულება მათგან იქმნა"-ო, შესაძლებელია გვეფიქრა მხოლოდ, რომ ეს ცნობა ლაშა-გიორგის გულისხმობს და ჭაბუკი მეფეც სწორედ ამ წყლულებმა იმსხვერპლა.

3. გიორგი-ლაშას ზოგადი დახასიათება

ლაშა-გიორგი გულადი მებრძოლი, გულწრფელი და რაინდული სულისკვეთებით გამსჭვალული ჭაბუკი, განათლებული, ხელოვნებისა და სახიობა-გასართობის მოყვარული ადამიანი და დამოუკიდებელი, თავისუფალი აზროვნების მიმდევარი პიროვნება იყო. დედისაგან მას გულკეთილობა და ლმობიერება ჰქონდა თანდაყოლილი. ქართული სისხლის სამართლის სასჯელთა სისტემაში დიდებული თამარის მიერ განხორციელებული ცვლილება, რომლითაც მან სიკვდილად დასჯა და სხვა დამასახიჩრებელი, თუ ადამიანის ღირსების გამაწბილებელი სასჯელები აღკვეთა, გიორგი-ლაშასაც მტკიცედ ჰქონდა დაცული.

მაგრამ, ვითარცა დედისერთა ვაჟიშვილს და ნებიერად გაზრდილს უფლისწულს, ლაშა–გიორგის თანდათანობით თავისნათქვამი და თვითნება ადამიანისათვის დამახასიათებელი ნაკლი გამოაჩნდა, თავის გარშემოც თანდათანობით თავისი თანამოაზრე თანამოასაკენი შემოიკრიბა, დედის ნაცადი ხელისუფლები-კი ჩამოიცილა. თუმცა ლაშა-გიორგიმ იმდენი სახელმწიფოებრივი ალღო გამოიჩინა, რომ მამაპაპათა და დედის ნაანდერძევი სრულიადი საქართველოს ყოველივე მონაპოვრის შენარჩუნება შესძლო და ამ დიდი სახელმწიფოს მთლიანობის დაცვაც მოახერხა, რაც უკვე მას დიდ ღირსებად ჩაეთვლებოდა, მაგრამ ეტყობა ლაშა-გიორგის მაინც ნათლად წარმოდგენილი არ ჰქონდა ის დიდი პასუხისმგებლობა, რომელიც მას, ვითარცა სამეფოს უზენაეს საჭეთმპყრობელსა და კეთილდღეობის მესვეურს, ეკისრებოდა და რომლის სიმძიმეც მას მკაფიოდ უნდა ჰქონოდა შეგნებული.

როგორც ცალკეული, კერძო მოქალაქე, ლაშა-გიორგი იმ დროისათვის ბევრი მხრით საინტერესო პიროვნებად უნდა იქმნეს მიჩნეული: თავისი რწმენის დასაცავად გამომჟღავნებული მისი მტკიცე ნებისყოფა, ეკლესიისადმი მისი თავისუფალი დამოკიდებულება, მისი გატაცება სახიობა-სანახაობითა და ხშირად ათეისტობამდი მიმავალი თეოსოფიურ მოძღვრების მიმდევარ სუფიების რინდთა წრესთან დაახლოვებულობა[10], მას იმხანისათვის ისეთ არაჩვეულებრივ ადამიანად გვაგულისხმებინებს, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში განმტკიცებული ძველი რწმენისა და ზნეობის დარღვევას არ ერიდება ხოლმე. ამ მხრივ მისი ქცევისა და თავგადასავლის მოკლე მიმოხილვაც საინტერესო სურათს გადაუშლის ადამიანს.

ველისციხეში ყოფნისას ლაშა-გიორგის ერთი მომხიბლავი ლამაზი გათხოვილი ქალი უნახავს. მის გაცნობას ჭაბუკი მეფის გულში იმდენად ღრმა სიყვარულის გრძნობა ჩაუნერგავს, რომ თავი ვერ შეუკავებია, ქმრისათვის ცოლი წაურთმევია და თავისთან წაუყვანია. ამ ველისციხელი ქალისაგან მას ვაჟიშვილიც–კი შეეძინა, რომელსაც სახელად დავითი უწოდა.

ადვილი წარმოსადგენელია თუ რა შთაბეჭდილება უნდა მოეხდინა მაშინ მეფის ამ საქციელს, რომელიც ქვეშევრდომისაგან გვირგვინნაკურთხი ცოლის წაგვრას წარმოადგენდა,

---

[10] ამაზე 1921წ. მქონდა მოხსენება წაკითხული და დაწვრილებით "ჟამთააღმწერელის" კრიტიკულ განხილვაში მაქვს საუბარი.

დანაშაულებას, რომლისთვისაც ყოველი ჩვეულებრივი მოქალაქეც–კი საქართველოში კანონის წინაშე პასუხისმგებელი იყო. ამიტომაც ვაზირები და ეკლესიის უმაღლესი წარმომადგენელნი მივიდნენ და სთხოვეს მეფეს, წამოგვრილი ცოლი, მისი სატრფო, ისევე ქმრისათვის დაენებებინა. თითონ–კი ცოლი შეერთო. ქართული სახელმწიფო სამართლით, მეფეს თავისი ქვეშევრდომის ცოლად შერთვა არ შეეძლო, არამედ თანამეცხედრედ მას უთუოდ რომელიმე სამეფო საგვარეულოს ასული უნდა მოეყვანა.

ლაშა-გიორგიმ მოსულთ თავის სატრფოს განტევებაზე გადაჭრილი უარი განუცხადა: ველისციხელ ქალს ის თავის ცოლად სთვლიდა და სამღვდელოების დარიგების მოსმენა მან თურმე არც-კი მოისურვა.

როდესაც ამ მუდარა-შთაგონების ცდის გზით ვაზირები და ეკლესიის მესვეურნი ვერას გახდნენ, მათ იმავე საშუალებას მიჰმართეს, რომელიც მე-9 ს. კლარჯეთის უდაბნოთა განთქმულმა არქიმანდრიტმა გრიგოლ ხანძთელმა აშოტ დიდი კურაპალატის წინააღმდეგ იხმარა: სასახლეში მივიდნენ, ველისციხელი მანდილოსანი გამოიყვანეს, ისევ თავის ქმარს დაუბრუნეს და ჭაბუკ მეფეს ამრიგად მისი გულის სატრფო ჩამოაშორეს.

საერო და საეკლესიო ხელისუფლების მმართველ წრეებს იმედი ჰქონდათ, რომ ლაშა-გიორგი ამის შემდეგ მაინც ცოლს შეირთავდა, მაგრამ ეს მოლოდინი არ გამართლდა: სხვა ქალის შერთვა მეფემ არ მოისურვა და სიკვდილამდე უცოლოდ დარჩა.

ეს ამბავი ლაშა-გიორგის გატაცების გულწრფელობასაცა და სიყვარულის გრძნობის სიღრმე-სიძლიერესაც ამტკიცებდა, ისევე, როგორც კანონიერი და უკანონო ცოლობისადმი და თვით ეკლესიის მოძღვრებისადმი ამ შემთხვევაში თავისებურს დამოკიდებულებასა და თავისუფალ აზროვნებასაც მკაფიოდ ამჟღავნებდა.

ნიჭიერ მწერალს შესაძლებელია ზემომოთხრობილი ”ვისრამიანის” მსგავსი მომხიბლავი, თანაც სოციალური პრობლემებით დაყურსვილი რომანისათვის გამოეყენებინა კიდევაც, ლაშა-გიორგი რომ ქვეყნის მესვეური არ ყოფილიყო, რომელსაც არ უნდა დაჰვიწყებოდა, რომ მის მოვალეობას ქვეშევრდომებისათვის კანონის შელახვის მაგალითის მიცემა არ შეადგენდა და რომ მას უფლება არ ჰქონდა, თავისი პირადი ბედნიერება უმწეო მოქალაქის უბედურებაზე აეგო. რაც კერძო პირს შესაძლებელია ეპატიოს, იმას ქვეყნის მმართველს ხალხი ვერ მიუტევებს და ამიტომაც იყო, რომ ლაშა-გიორგის საქციელს თანამედროვეთა შორისაც მითქმა-მოთქმა გამოუწვევია და მომდევნო ხანაშიც, მთელი საუკუნის განმავლობაში საქართველოს პოლიტიკური საქმეების მიმდინარეობაშიც-კი, როგორც შემდეგში თავთავის ადგილას დავრწმუნდებით, ლაშა-გიორგის ამდროინდელი ამბების ანარეკლი მკაფიოდ მოჩანს.

4. ეკონომიკური კრიზისის პირველი ნიშანი საქართველოში.

ზემოაღნიშნულიც რომ არ ყოფილიყო საქართველოს სახელმწიფოს საჭეთმპყრობელს, რომელსაც თავისი მოვალეობის პასუხისმგებლობა შეგნებული ექნებოდა, იმოდენა საზრუნავი აღმოუჩნდებოდა, რომ თავისი პირადი ინტერენსები მას უნდა უნებლიედ დაჰვიწყებოდა, რადგან სიფხიზლე მარტო პოლიტიკურ ცხოვრებაში–კი არ იყო საჭირო, არამედ სოციალურ-ეკონომიკურ სფეროშიც. აღსანიშნავია, რომ მე-13 ს. მეორე ათეულში დაწყებულია ეკონომიური კრიზისი, რომლის მიზეზი და გარემოება ჯერ კიდევ გამოსარკვევია: ფასების მატებასთან ერთად, ცხოვრებაც საგრძნობლად გაძვირებულა. ყველგან საქართველოში ერთიდაიმავე სიმძაფრით დაიწყო იგი და დაეტყო ყოფა-ცხოვრებას, თუ არა, ჯერ არ ვიცით, მაგრამ საქართველოს სახელმწიფოს სამხრეთს ნაწილში, სომხეთის ოდინდელს დედაქალაქს ანისში მისი სიდუხჭირე რომ ეკონომიურ ურთიერთობას უკვე სცვლიდა, ეს 1218 წ. ეტიფანე კათალიკოზის განჩინებითგანაც ნათლად ჩანს.

ეტყობა, ცხოვრების ამ გაძვირებასთან დაკავშირებით, ანისის "მართალმა--დიდებელი", ქალკიდონიანი, მოძღვრების სამღვდელოებას საეკლესიო წესების (ჯვარისწერის, მიცვალებულის ანდერძის აგებისა და სხვ.) ასრულებისათვის დაწესებული ფულადი და სულადი მისაცემელი თავისი ქართველი და სომეხ-ქალკიდონიანი მრევლისათვის ძალზე გაუდიდებია. სახელდობრ, ხუცესთ თითოეული წესის საფასურად 100 ტფილური დრამა (ე. ი. ტფილისში მოჭრილი ქართული ფული) და სულადად კარგი პურისჭამა (ანუ ქორწილში კარგად გამასპინძლება, მიცვალებულისათვის კარგი ქელეხი) და სხვ. მისაცემელი საწირავად (მაგ. ზროხის მთლიანი ტყავი) მოუთხოვია.

საეკლესიო წესების ასრულებისათვის ხუცესთაგან გასამრჯელოს წინათ არსებული ნიხრის მრევლისათვის ასეთ გადიდებას ქართველ-სომეხ- ქალკიდონიანი მოსახლეობა აღუშფოთებია. მას თავისი სამღვდელოების ამ უსამართლო მადიანობისათვის ერთსულოვნად გაუწევია წინააღმდეგობა და ასეთი დიდი გასამრჯელოს მიცემაზე უარი უთქვამს. მრევლის ასეთი საერთო წინააღმდეგობისდა მიუხედავად, ხუცესთაც, თავიანთი მოთხოვნის ძალდატანებით გასატანად, ამაზე ნაკლებ ფასად წესების ასრულებაზე უარი განუცხადებიათ და თავიანთი მოვალეობის ასრულება ასეთ შემთხვევაში არ უკისრიათ. ეკლესიის მსახურთა ასეთ ქცევასა და მათგან ბრძოლის ასეთი საშუალებისათვის მიმართვას მრევლის გული უფრო გაუბოროტებია და სამღვდელოებასა და სამწყსოს შორის ისეთი მტრობა ჩამოვარდნილა, რომ მცხოვრებთაც საპასუხოდ ხუცებისათვის სხვა ჩვეულებრივი მისაცემლის ძლევაც შეუწყვეტიათ, ეკლესიებში სიარულისათვისაც კი თავი მიუნებებიათ.

ანისის სამღვდელოებასა და ქართველ-სომეხ-ქალკიდონიან მრევლს შორის ატეხილი უთანხმოება და ჩამოვარდნილი მტრობა 1218 წლისათვის იმდენად გამწვავებულა, რომ თვით საქართველოს ეკლესიის უზენაეს ორგანოსი და მმართველის, კათოლიკოზ-პატრიარქის ჩარევაც–კი აუცილებელი გამხდარა. ეტიფანე კათოლიკოზს უსარგებლია შემთხვევით, რომ იმ დროს ანისში ახლად აგებული ეკლესია იყო საკურთხებელი და ჩასვლისთანავე ამ საქმის გამოძიებას შესდგომია. სამღვდელოების მიერ მრევლისადმი წამოყენებული მოთხოვნა ეტიფანეს "ყოვლად უწესოდ" უცვნია და თვით მათი ასეთი ქცევაც საჯაროდ დაუგმია, რაც საყდრის კედელზე ამოჭრილს თავის განჩინებაშიც საყოველთაოდ საცნობელად აღუნიშნავს. ხუცესთაგან დაწესებული ნიხრიც მას უსამართლოდ და გადამეტებულად აღუარებია და, მრევლის შესაძლებლობისა და იმდროინდელი ეკონომიური ვითარების გათვალისწინებით, მღვდლების მადისათვის საზღვარი დაუდია; ფულადი გასამრჯელო მას სამჯერ, ხოლო სულადი ამაზე კიდევ უფრო მეტადაც-კი შეუმცირებია. მას დაუწესებია, რომ უკანასკნელი მხოლოდ შეძლების კვალობაზე უნდა ყოფილიყო დამოკიდებული, "ძალისაებრ" მისაცემლად ქცეულიყო[11].

ამრიგად, ჩვენ წინ ეკონომიურ ნიადაგზე აღმოცენებული მაშინდელი ბრძოლის ერთი შემთხვევთაგანია, რომელიც მრავლის გამარჯვებით დამთავრდა, მაგრამ აქ მხოლოდ ბრძოლის დასაწყისია, რომელიც, როგორც დავრწმუნდებით, შემდეგშიც არ შენელებულა.

II. რუსუდან მეფე

1. გამეფება და მთავრობის წვრილმანი საქმიანობა პირველ წლებში

[11] [**ნ. მარი,** Надписъ Епифания, 1910, გვ.. 1437-1442].

ლაშა-გიორგის ნაადრევი სიკვდილის შემდეგ, უმალ საქართველოს სახელმწიფო ტახტის კანონიერი მემკვიდრის საკითხი თითქოს უნდა კვლავ წამოჭრილიყო, მაგრამ მაშინდელი ქართული სახელმწიფო სამართლის თანახმად, "უკანონო" შვილი მამის სრულუფლებიანი მემკვიდრე არ იყო და ლაშა-გიორგიც უნებლიედ თავისი ვაჟიშვილს მხოლოდ სათანადო აღზრდასა და ქონებრივად უზრუნველყოფაზე უკანასკნელი განკარგულების გაცემით უნდა დაკმაყოფილებულიყო. დავითისთვის მას საუფლისწულო დაუტოვებია.

დარბაზის მიერ საქართველოს სამეფო ტახტზე ლაშა-გიორგის და, რუსუდანი, იყო აყვანილი. მისი მეფედ კურთხევა საეკლესიოცა და სამოქალაქოც მის სრულუფლებიანს გახელმწიფებას საყოველთაოდ ცხად-ჰყოფდა.

რასაკვირველია, ყმადნაფიცმა სამფლობელოებმა და მეზობლებმა, საქართველოში ქალის გამეფების გაგებისთანავე, ისევ თავი წამოყვეს. სამწუხაროდ ეხლა საქართველოს მესაჭეობა კვლავ ქალს ჩაუვარდა ხელში, მაგრამ თამარისებრ ბრძენსა და ძლიერი ნებისყოფის პატრონსა და დედის თანამესაყდრეობით გამობრძმედილს-კი არა, არამედ სახელმწიფო საქმეებში სრულებით გამოუცდელსა და პასუხსაგები მოვალეობისათვის შეუფერებელს, განებივრებულ არსებას. სახელოვანი დედისგან მას, ეტყობა, უფრო სილამაზე ჰქონდა დამკვიდრებული, ვიდრე სხვა მისი მაღალი გონებრივი და ზნეობრივი თისებები. საქართველოს-კი ეხლა წინანდელზე უფრო ძლიერი ნებისყოფის მქონებელი პიროვნება, შორსგამჭვრეტელი და გამოცდილი პოლიტიკოსი სჭირდებოდა, რომელიც შინაურობაშიცა და საგარეო პოლიტიკაშიც დინჯი წინდახედულობით იმოქმედებდა: გათამამებულსა და ერთმანეთში მოქიშპე დიდგვარიან აზნაურებსაც თავიანთ ქერქში ჩააყენებდა და, უცხოეთის ამბებისათვის დროულად თვალყურისდევნებით, გარეთგან მომავალს გრიგალისებურ ქარიშხალსა და კარზე მომდგარ განსაცდელსაც სათანადოდ მომზადებული დაჰხვდებოდა. საერთაშორისო და საეროვნებათაშორისო პოლიტიკაც საქართველოს მთავრობას მაშინ თამარისებრ ბრძნული და შორსგამჭვრეტელი უნდა ჰქონოდა.

ლაშა-გიორგის მოულოდნელი სიკვდილისა და გლოვის წესის გამო, რუსუდანის ნიშნობა უნდა შემწყდარიყო და ქორწინების საკითხიც მერმისისთვის გადადებულიყო. რუსუდანის სამეფო ტახტზე დასმის შემდეგ, შირვანშაჰის მის ქმრად მოყვანაც ჩაშლილა. დარბაზის ერსა და კარზე მყოფ დიდ ხელისუფლებს გადაუწყვეტიათ, რომ რუსუდანისათვის ქმრად რუმის სულტანის, აზრუმის მფლობელის თოღრილ-შაჰის ძე მოღის–ედინი მოეყვანათ. სხვა ღირსებასთან ერთად, ის ლამაზიც იყო და მშვენიერი რუსუდანიც ისე გაგიჟებით უყვარდა თურმე, რომ საქართველოს მთავრობის მიერ დადებული პირობა, წინასწარ მაჰმადიანობა უარეყო და გაქრისტიანებულიყო, უყოყმანოდ მიეღო[12]. 1223 წ. რუსუდანი დააქორწინეს. მისგან ჯერ ქალი ეყოლა, რომელსაც დედამ თამარი უწოდა, შემდეგ-კი ვაჟი, რომელსაც სახელად დავითი დაარქვა.

ლაშა-გიორგის გარდაცვალებისა და რუსუდანის გამეფების შემდეგ, 1222 წლითგან მოყოლებული 1225 წ. - მდე საქართველო წვრილ-წვრილ ბრძოლებში იყო გართული. ჩვენი ქვეყნის იმდროინდელ მესვეურთ მაშინდელ საერთაშორისო მდგომარეობის მთელი საშიშროება სრულებით არ ესმოდათ.

2. საქართველოს მთავრობის მედიდური დაუდევრობა და ჯალალედინის შემოსვლა

[12] [მოჰამედ ენ **ნესევი** Histoire du Sultan Djalal ed- din Mankoberti, გვ. 209].

ჯერ კიდევ ჯალალედინის მამამ მუჰამმედ ხვარაზმშაჰმა თავისი პოლიტიკური გავლენის ქვეშ ადერბაიჯანის მოქცევა განიზრახა და მისი დაცვა-მფარველობა დაიჩემა. მან ეს საქართველოს მთავრობასაც-კი აცნობა, მაგრამ მონღოლთაგან დევნილს სიკვდილმა მოუსწრო და წადილი განუხორციელებელი დარჩა. მონღოლთაგან აგრეთვე დამარცხებულმა და ლტოლვილმა მისმა შვილმა ჯალალედინმაც რომ ერანში ფეხის მოკიდება და გამაგრება სცადა, მაშინვე მოიწადინა თავისი თავი ყველა მაჰმადიანების მფარველადა და სპარსელთა ძლევამოსილების განმაახლებლად მოეჩვენებინა: დადგა დრო, როცა საქართველო დარწმუნდება, რომ მის ძალმომრეობას ერანში ბოლო მოეღება და ყველა მაჰმადიანებიც ქრისტიან ქართველთა მიმძლავრებისაგან განთავისუფლდებიანო. ქართველთა დამარცხების გარდა, მიზნად მე არაფერი მაქვს დასახული და, როდესაც ამას მივაღწევ და ერანს გავაერთიანებ, დანარჩენ მეზობლებთან მშვიდობიან მეგობრულ ურთიერთობას დავამყარებო, სწერდა იგი მახლობელი აღმოსავლეთისა და უპირველესად საქართველოს ყმადნაფიც მუსლიმან სამფლობელოების მმართველებს, რომ ამით ისინი თავისკენ გადაებირებინა და მათგან ყოველმხრივი დახმარება მიიღო. მართლაც ჯალალედინის ამ ანკესს ზოგი წამოეგო და მას, ვითარცა განმათავისუფლებელს, მიემხრო.

მოახერხა თუ არა სამხრეთ ადერბეჯანში ნაწილობრივ მომაგრება, ჯალალედინმა საქართველოს მთავრობას მუქარითა და ქადილით სავსე მომართვა გამოუგზავნა, რომელშიც ნებაყოფლობით დამორჩილებას თხოულობდა.

საქართველოს მაშინდელ მესვეურთ, წინა წლებში დატრიალებული ამბების შემდეგაც, საერთაშორისო ვითარებაში მომხდარი ცვლილება სრულებით შეგნებული არ ჰქონდათ. საინტერესო ასპარეზზე ახლად გამოჩენილი ძალის მთელი საშიშროება მათ ვერ გაუგიათ. ეტყობა, თავიანთი თავი მათ დავით აღმაშენებელისა და თამარის დროინდელ ხანის მსგავსად წინანდებურად მახლობელ აღმოსავლეთში პირობების მოკარნახე, უძლეველ ბატონ-პატრონად მიაჩნდათ. ამიტომაც ჯალალედინმა საქართველოს მთავრობისაგან მედიდურობით სავსე, დამცინავი პასუხი მიიღო: მამა შენი შენზე ძლიერი იყო და რაც მას მონღოლებისაგან დაემართა, შენც კარგად იცი. იგივე მონღოლები ჩვენც შეგვებრძოლნენ, მაგრამ მიზანმიუღწევლივ გაგვეცალნენ და გაიქცნენო. ამ პასუხიდან ჩანს, რომ საქართველოს მესვეურთ მონღოლთა მცირერიცხოვანი ნაწილი, რომელთანაც მათ ბრძოლა მოუხდათ და რომელნიც მართლაც ჩრდილოეთის გზით ისევ თავიანთ სამშობლოში დაბრუნდნენ, მონღოლთა ლაშქრის მთავარ ძალად მოსჩვენებიათ და მათი წასვლაც გაუგებრობით მონღოლების დამარცხებად და თავიანთ გამარჯვებად მიუჩნევიათ.

ამრიგად, ირკვევა, რომ საქართველოს მთავარსარდლობა ივანე მხარგრძელის მეთაურობით ჯალალედინს არაფრად აგდებდა. ასეთი დამოკიდებულების გამო, რასაკვირველია, მას პოლიტიკური სიფხიზლე და სამხედრო სიფრთხილის აუცილებლობის შეგნებაც მოდუნებული უნდა ჰქონოდა, საფიქრებელია, რომ ამავე მიზეზით საომარი სამზადისიც მათ ჯეროვანი სიძლიერითა და სისწრაფით არ უწარმოებიათ.

3. გარნისის ბრძოლა და მარცხი, დვინისა და ტფილისის აღება ჯალალედინისაგან

ჯალალედინმა სამართლიანად განსაჯა, რომ უმჯობესი იყო უმალ მოქმედება დაეწყო, სანამ საქართველო ბრძოლისათვის სათანადოდ მომზადებას მოასწრებდა. ამიტომ

მრავალრიცხოვანი, კარგად შეიარაღებული ლაშქრითუთრთ 1225 წ. შემოდგომას დაიძრა, დვინის სანახებს შეესია და მის აოხრებას მიჰყო ხელი, თუმცა-კი თვით ქ. დვინს არ შეჰბრძოლებია. საქართველოს მთავრობა ამ ამბავს მაინც უნდა გამოეფხიზლებინა. ამის შემდგომ მზადება მართლაც უკვე დაიწყო, მაგრამ ჯალალედინი დიდი სისწრაფით მოქმედებდა: ის წინ მოიწევდა, მას ჩრდილოეთისაკენ ეშურებოდა და ამიტომაც მაღლობზე მდებარე გარნისის მიდამოებს მიადგა. თავისი დიდი ლაშქრითურთ იგი გარნისის დაბლობში დაბანაკდა, რათგან მაღლობი უკვე საქართველოს ჯარისაგან დაკავებული დახვდა.

აქ ჯალალედინმა შეატყო, რომ ქართველთა მთავარსარდლობა არ ჩქარობდა და ცდილობდა საქმე გაეჭიანურებია, ალბათ, სანამ გადამწყვეტი ბრძოლისათვის საკმაო სამხედრო ძალა მოიყრიდა თავს. მაგრამ ამ შემთხვევაშიც ჯალალედინმა სამართლიანად უფრო ხელსაყრელად სცნო, დაუყოვნებლივ ბრძოლა დაეწყო, და მოწინააღმდეგეზე უმალ იერიში მიეტანა. მისი ანგარიში მთლიანად გამართლდა: სასტიკსა და უაღრესად სისხლისმღვრელ ბრძოლაში ჯალალედინმა გაიმარჯვა[13]. იმას გარდა, რომ სამხედრო თვალმსაზრისით გარნისის მტრისაგან დაპყრობა მეტად საზიანო იყო, პოლიტიკურადაც საქართველოსათვის ეს უკვე საგრძნობს მარცხს წარმოადგენდა.

გარნისი რომ აიღო, ჯალალედინმა კვლავ სამხრეთისაკენ იბრუნა პირი. რათგან იქ ქ. დვინი ჯერ აუღებელი იყო, რაც მისთვის საფრთხეს წარმოადგენდა. მან ქ. დვინის აღება მოახერხა და აღებისთანავე ეს მდიდარი სავაჭრო ცენტრი მთლიანად გაცარცვა.

რაკი დვინიც უკვე დაპყრობილი ჰქონდა, ჯალალედინი სწრაფად საქართველოს დედაქალაქისაკენ გამოეშურა, რომ თავრეჟითგან ცნობა მოუვიდა სამხრეთ ადერბეჯანში მის წინააღმდეგ განზრახული აჯანყების შესახებ. ამის გამო მან საქართველოს უკვე დაკავებულს მიწაწყალზე თავის ლაშქრის ერთი ნაწილი დასტოვა, რომელსაც ამ ქვეყნის რბევა დაავალა, თითონ-კი ლაშქრის მეორე ნაწილითურთ შეთქმულების მოსასპობად თავრეჟისაკენ გაემგზავრა.

თავრეჟი ყოფნის დროსაც ჯალალედინს საქართველოსაკენ ჰქონდა გულისყური. იქვე მან გადასწყვიტა, საქართველოს წინააღმდეგ მტრული მოქმედება აღმოსავლეთის მხრითგანაც დაეწყო. ამ მიზნით მან თავისი ლაშქრის ერთი ნაწილი საქართველოს ყმადნაფიცი სამფლობელოს, ქ. განძისა და მისი სანახების, დასაპყრობად წარგზავნა. ეს დავალება ასრულებულ იქნა კიდევაც.

როდესაც ჯალალედინმა შეთქმულების განმზრახნი მოსპო, 1225 წ. დეკემბერში თავრეჟითგან ისევ ტფილისისაკენ გამოემგზავრა. რუსუდან მეფე ჯალალედინის მოახლოვებისთანავე დასავლეთს საქართველოში გაიხიზნა და ქუთაისში გადავიდა, ხოლო ტფილისის დაცვა მემნა და ბოცო ბოცოს ძეთ დაავალა. სწრაფი დაბნეულობის გამო, მთავარსარდლობის საერთო ხელმძღვანელობა მტრისთვის წინააღმდეგობის გასაწევად უკვე არ სჩანდა. ასეთ პირობებში ჯალალედინმა 1226 წ. 9 მარტს, ტფილისელ მაჰმადიანთა ერთი ნაწილის ღალატისა და შინათგამცემლობის წყალობით, როდესაც ციხისთავი მემნა ბრძოლის დაწყების წინ ვერაგულად იქმნა ერთი სპარსელისაგან მოკლული, საქართველოს დედაქალაქის აღება მოახერხა.

ხვარაზმშაჰმა თავის ლაშქარს ტფილისი მთლიანად გააცარცვინა. მისივე განკარგულებით მცხოვრებნი ორ,- ქრისტიანეთა და მაჰმადიანთა,- ნაწილად იყვნენ გაყოფილნი. ქართველები და სომხები, რომელნიც გამაჰმადიანებაზე უარზე იყვნენ, უწყალოდ დახოცილ იქმნენ, ხოლო გამაჰმადიანებულნი მან ტყვეებად გამოაცხადა. ჯალალედინის ყველა მდივან-მწიგნობარნი დილითგან საღამომდის საქართველოს დედაქალაქში ხელში ჩაგდებული

[13] [**ჟამთააღმწერელი,** გვ. 567-569].

უამრავი სახელმწიფო სიმდიდრის აღნუსხვას აწარმოებდნენ და მაინც, ჯალალედინის კარის ისტორიკოსის სიტყვით, დავალებულ სამუშაოს ვერ ასდიოდნენ[14].

ტფილისში მცხოვრებ მაჰმადიან მოღალატეთა შორის, რომელიც ჯალალედინს მიემხრნენ, თვით არზრუმის მმართველის ის უფლისწულიც-კი აღმოჩნდა, რომელმაც, დედოფლის სიყვარულით თავდავიწყებამდე გატაცებულმა, თავის დროზე მაჰმადიანობას თავი დაანება და გაქრისტიანდა, რომ ამ გზით მის ქმრობას ჰღირსებოდა. საქართველოს მთავრობისა და რუსუდანის ქუთაისში გადასვლის დროს ტფილისში დარჩენილი არზრუმელი უფლისწული, ხვარაზმშაჰისაგან ტფილისის აღების უმალ, ჯალალედინს წარსდგომია და ისევ ისე გამაჰმადიანებულა. ხვარაზმშაჰს, რასაკვირველია, მისთვის მაჰმადიანობისაგან განდგომის დანაშაულებაც უპატიებია და უხვადაც დაუსაჩუქრებია.

თუ შინათგამცემლობით აღებული ტფილისი ჯალალედინის ლაშქარს ჰქონდა დაპყრობილი, საქართველოს დედაქალაქის მთავარი სიმაგრე, ისნის ციხე, კვლავ ქართველების ხელში იყო. იქ ვერაგულად მოკლული ციხისთავის მემნას ძმა ბოცო იყო შერჩენილი მეციხოვნე ჯარითურთ გამაგრებული, მაგრამ ისნის ციხეც მტრისაგან გარემოცული იყო. რაკი საქართველოს მთავარსარდლობას ისანში ჩაკეტილ მეციხოვნეთა მდგომარეობა უიმედოდ მიუჩნევია და მისი აზრით მათ წინააღმდეგობას თითქოს საქმის გამოსწორება აღარ შეეძლო, ამიტომ რუსუდანმა მისი დაცვა უმიზნო მსხვერპლის გაწირვად ჩასთვალა და ბოცო ციხისთავს აცნობა, რომ ბრძოლა შეეწყვიტა.

ისანში შემწყვდეული მეციხოვნენი ამის წინააღმდეგნი ყოფილან. მაგრამ მაინც, მთავრობის ბრძანებისამებრ, ბოცომ, ისნის ციხისთავმა, ჯალალედინს დანებების პირობების შესახებ მოსალაპარაკებლად მოციქულები გაუგზავნა. ზამთრის დიდი სიმკაცრით გაჭირვებაში მყოფმა ხვარაზმშაჰმა ისნის ციხისთავის საზავო პირობები მიიღო და მეციხოვნეთ გზა დაანება. ამიერითგან საქართველოს სახელმწიფოს დედაქალაქი მთლიანად ჯალალედინს ჩაუვარდა ხელში.

ტფილისის დაპყრობა ჯალალედინისათვის უდიდესი გამარჯვება იყო: ამ ამბავმა მას მახლობელი აღმოსავლეთის მაჰმადიანთა შორის სახელი მოუხვეჭა მით უმეტეს, რომ აჩქარებით არაერთს ეს გარემოება ქართველთაგან ვითომც დაჩაგრულ მაჰმადიანობის ქრისტიანებზე კვლავ გამარჯვების მომასწავებლად ეჩვენა. საქართველოსთვის ხომ ეს ისეთი მარცხი და უბედურება იყო, რომელთან შედარებით ბუღა თურქის დროინდელი შემოსევა და ტფილისის გადაწვაც-კი პატარა შემთხვევად მოჩანს: საქართველოს სახელმწიფოს უძლეველობის ხმაგანფენილობასაც ამ ამბავმა, რა თქმა უნდა, დიდი ზიანი მიაყენა.

ტფილისის ხელში ჩაგდების შემდგომ ჯალალედინი საქართველოს სხვა ნაწილების რბევას შეუდგა, მაგრამ ერაყითგან ამბავი მოუვიდა, რომ იქ მის წინააღმდეგ შეთქმულების სამზადისში იყვნენ, და ამიტომ საქართველოთგან მას სასწრაფოდ წასვლა მოუხდა, ქვეყნის დასარბევად-კი თავისი ლაშქრის ერთი ნაწილი დასტოვა.

4. საქართველოს მთავარსარდლობის დაბნეულობა და უგეგმო ბრძოლა

1226 წ. სექტემბერში რომ ჯალალედინი ერაყითგან ისევე საქართველოში დაბრუნდა, ბრძოლა კვლავ განახლდა. მის საომარს მოქმედებას ყველაზე მეტად თვით საქართველოს სამხედრო ხელისუფლების დაქსაქსულობა უწყობდა ხელს: შეერთებული ძალით

[14] [**ნესევი,** გვ. 203; **იბნ ალასირი** (Fragm),გვ. 489]

შებრძოლების მაგიერ, მხედართმთავრები ცალ-ცალკე ციხექალაქებში ჩაიკეტნენ და იქ გამაგრდნენ.

იოანე ათაბაგი და მისი ხელქვეითნი ზოგნი ანისში იყვნენ ჩაკეტილნი, ზოგი კარის ციხქალაქში იმყოფებოდა. ამიტომაც ჯალალედინმა ამ ორი მაგარი და მნიშვნელოვანი ციხექალაქის აღება გადაწყვიტა. ამ მიზნით მან თავისი ლაშქარი ორად გაჰყო და ერთი ნაწილით თავის მეთაურობით ანისს შემოარტყა ალყა, მეორე-კი კარის ციხის ხელში ჩასაგდებად გაგზავნა.

ორგანვე ხვარაზმშაჰის ლაშქარს მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს და ჯალალედინიც იძულებული იყო მიზანმიუღწევლად ანისსა და კარს დროებით ჩამოსცლოდა და ისევ ტფლისში დაბრუნებულიყო.

მაგრამ ჯალალედინი ტფლისში განზრახ დაბრუნდა: მის ზრახვასა და იდუმალ გეგმას ქ. ხლათის აღება შეადგენდა. სწორედ ამ დასახული მიზნის განხორციელების გასაადვილებლად,- ხლათელების სიფხიზლის მოსადუნებლად და შემდეგ მათზე მოულოდნელად თავზე დასასხმელად, - ჯალალედინი ტფილისისაკენ გამოეშურა, ათი დღის შემდეგ-კი თავისი მთავარი ლაშქარითურთ სასწრაფოდ საქართველოს ყმადნაფიც ხალათისაკენ გაემგზავრა.

ასეთი სამხედრო ცბიერებისა და ზრახვის საიდუმლოდ დაცვისდა მიუხედავად ხლათელებს ჯალალედინის მისვლამდე ორი დღით უწინარეს საქართველოთგან მოსალოდნელი საფრთხის ამბავი აცნობეს. ამ გარემოებამ მათ საშუალება მისცა მტერს საკმაოდ მომზადებულნი დაჰხვედროდნენ.

5. პოლიტიკური მდგომარეობის გაუმჯობესება და ტფილისის მტრის ხელითგან დროებით გამოგლეჯა

ამ დროისათვის მახლობელი აღმოსავლეთის მაჰმადიანთა ჯალალედინისადმი დამოკიდებულებაც უკვე ძალზე შეცვლილი იყო: თუ პირველად გამოჩენისას მას თავისი თავი საქართველოსგან შევიწროებული მუსლიმანების მხსნელადა და მაჰმადიანობის განმათავისუფლებლად მოჰქონდა,- არაერთს მათგანს გულუბრყვილოდ მაშინ ეს სჯეროდა კიდეც, - მწარე გამოცდილებამ, ხვარაზმშაჰის ლაშქრის თავაშვებულმა ბრალიანისა და უბრალოს მხეცურმა ხოცვა-ჟლეტამა და თვით მაჰმადიანთა მროსახლეობისაც-კი შეუბრალებელმა დაბეგვრამა და ცარცვამ, ყველას აუხილა თვალები და ჯალალედინი ყველას მშვიდობიანი ხალხის დამწიოკებელ და ქვეყნის გამაოხრებელ, მოხეტიალე მტარვალად წარმოუდგა. მაშინ საქართველოს სახელმწიფოს ყმადნაფიცობა და მფარველობა მახლობელი აღმოსავლეთის მაჰმადიანობისათვის უკვე სანატრელი გახდა, ჯალალედინისადმი-კი ყველგან მტრული დამოკიდებულება განმტკიცდა. ხლათელებმაც კარგად იცოდნენ, რაც მოელოდათ. თუ რომ ხვარაზმშაჰს ხელში ჩაუვარდებოდნენ, ამიტომაც იყო, რომ ისინი ჯალალედინს თავგანწირულს წინააღმდეგობას უწევდნენ.

ტფილისში ხვარაზმელების ერთი წლის განმავლობაში მბრძანებლობა უკვე საკმარისი აღმოჩნდა, რომ იქაურ მაჰმადიანებსაც, რომელნიც ჯალალედინს პირველად აგრეთვე აღტაცებით შეეგებნენ, თავინთი მოღალატური საქციელი სანანურად გახდომოდათ და დარწმუნებულიყვნენ, რომ მუსლიმანთა მხსნელად თავის თავის მომჩვენებელი ხვარაზმშაჰი თავისი ლაშქრითურთ ნამდვილად სისხლის მღვრელი და ყველაფრის გამანადგურებელი მტარვალი გამოდგა. ამიტომაც გაჭირვებაში ჩავარდნილმა ტფილისში შერჩენილმა მაჰმადიანმა

მოსახლეობამ საქართველოს მთავრობას საიდუმლოდ ხვარაზმელთა იქ დატოვეკბული მეციხოვნე ლაშქრის სიმცირე და უილაჯობა აცნობა და ევედრებოდა, ხვარაზმელთა ხელითგან ეხსნა ისინი საჩქაროდ. ვერც ჯალალედინის მხარეზე გადასულმა არზრუმელმა ბატონიშვილმა გაუძლო ხვარაზმშაჰის თავგასულობას, გამოიპარა ტფილისითგან, მაჰმადიანობა კვლავ უარჰყო და დედაქალაქში იმ დროს არსებული მდგომარეობის შესახებ საქართველოს მთავრობას დაწვრილებითი საიდუმლო ცნობები მიუტანა.

რაკი ჯალალედინი ხლათის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაიფლა და ტფილისი შორს იყო, რომ მოშველება შესძლებოდა, მისი მეციხოვნე ჯარიც საქართველოს დედაქალაქში უმწეო მდგომარეობაში აღმოჩნდა და თვით მაჰმადიანნიც-კი იქ ხვარაზმელების განდევნის მონატრულნი იყვნენ, საქართველოს მთავრობამ სასწრაფოდ ტფილისისაკენ ჯარი გაგზავნა და 1226 წ. დამლევს ტფილისი მტრისაგან გაანთავისუფლა[15].

ამავე დროს აღმოსავლეთით მდებარე საქართველოს ყმადნაფიცი სამფლობელოების ხვარაზმელ დამპყრობელთა ხელითგან გამოსაგლეჯადაც საქართველოს მთავრობამ შაქსა და კაბალაშიც წარგზავნა ჯარი. საკმარისი იყო კაბალაში ჩაყენებულს ხვარაზმშაჰის მმართველს საქართველოს ჯარის მოახლოვების ამბავი გაეგო, რომ უბრძოლველად გაქცეულიყო და ქალაქი დაენებებინა. ხლათში მდგომმა ჯალალედინმა-კი, საკმაოდ ხანგრძლივი ბრძოლისდა მიუხედავად, არამცთუ ხლათელების წინააღმდეგობის დაძლევა ვერ შესძლო, არამედ, თავის სამშობლოს დაცვით გალომებულმა ხალათელებმა მისი ლაშქრის დიდი ზარალით უკუგდებაც-კი მოახერხა. ასეთ პირობებში ხვარაზმშაჰი იძულებული იყო ხლათისათვის თავი მიენებებინა და მთელი თავისი ლაშქრითურთ ისევ საქართველოში დაბრუნებულიყო.

საქართველოს მთავრობასა და სამხედრო ხელისუფლების მეთაურთ ჯალალედინთან იმ დროს შებრძოლება რატომღაც მიზანშეწონილად არ მიუჩნევიათ, მაგრამ ხვარაზმშაჰისათვისაც ტფილისში გამაგრების საშუალება რომ მოესპოთ, ქალაქი დაუცლიათ და 1227 წ. დამდეგს თითონვე გადაუწვავთ.

6. ჯალალედინის უკანასკნელი გამარჯვება და საქართველოთგან გაქცევა მონღოლთა კვლავ გამოჩენის გამო

ხვარაზმშაჰის თავაშვებული ნავარდით მობეზრებულმა რუმის, შამისა და შაჰარმენის სამფლობელოების მესვეურებმა საქართველოს მთავრობასთან მოლაპარაკება დაიწყეს შეერთებული ძალით ჯალალედინის გასანადგურებლად. ეს ამბავი ხვარაზმშაჰს არ გამოჰპარვია და ამ შემთხვევაშიც მან დასწრება და შებმა ამჯობინა, სანამ მოკავშირეები მზადებას დაამთავრებდნენ. 1227 – 8 წ. მიჯნაზე ჯალალედინი მთელი თავისი ლაშქრითურთ საქართველოს ჯარს ბოლნისის ჩრდილოეთით შეებრძოლა. ქართველებს ჯერ საკმაო ძალა მოკრებილი არ ჰქონდათ და მხოლოდ 40000 მეომარზე ცოტა მეტი ჰყავდათ. გააფთრებული ბრძოლის შემდეგ, ამ შემთხვევაშიც ხვარაზმშაჰმა გაიმარჯვა. ჯალალედინმა იმდენი შესძლო, რომ 1229წ. დამლევს ხლათის აღებაც-კი მოახერხა, მაგრამ ეს მისი უკანასკნელი გამარჯვება-ღა იყო.

მონღოლებს ხვარაზმშაჰის შურისძიების წყურვილი და მისი სრული განადგურების წადილი ოდნავადაც არ ჰქონდათ. 1230 წ. აგვისტოს ახ. ხ. ჯალალედინს ამბავი მოუვიდა, რომ

[15] [**ნესევი,** გვ. 209-211;**იბნ ალასირი** (Fragm),498].

მონღოლები სპარსეთის სამხრეთ ადერბეჯანს უახლოვდებოდნენ. ამის გაგონება და მისი აყრა ერთი იყო. ის ჯერ მარაღაში მივიდა, შემდეგ კვალდაკვალ დადევნებული მონღოლთა ლაშქრისაგან თავის გადასარჩენად, ის, თავისი ჯარისა და ყველა თანამებრძოლთაგან მიტოვებული, ბასიანის მთებში გაიქცა, მაგრამ იქ 1231 წ. 17 აგვისტოს ერთი ქურთის მიერ იქნა მოკლული[16].

7. ჯალალედინის დახასიათება, როგორც სარდლისა და პოლიტიკოსის

ჯალალედინი, უეჭველია, ნიჭიერი სარდალი და სამხედრო საქმის კარგი მომწყობი იყო, მაგრამ სამაგიეროდ მას ოდნავი სახელმწიფოებრივი სიბრძნე და პოლიტიკური შორსგამჭვრეტელობა არ მოეპოვებოდა. მას, თავისი მამაპაპეული ხვარაზმშაჰების საბრძანებლითაგან გაძევებულსა და მონღოლებისთანა ძლევამოსილი მტრის მყოლს, იმდენი შეგნება ვერ აღმოაჩნდა, რომ, მტკიცე პოლიტიკური ნიადაგის შეუქმნელად, მას არსად ფეხის იმდენად მომაგრება არ შეეძლებოდა, რომ ახალს, უცხო ადგილას სახელმწიფოც შეექმნა და მონღოლებისათვისაც გაეწია წინააღმდეგობა. ჯალალედინს არ ესმოდა, რომ მკვიდრი, პოლიტიკური საფუძვლის დადება მარტო სამხედრო მოქმედებით, ახალ-ახალი ქვეყნების დაპყრობითა და ხალხის ჟლეტით, მომხრე მოსახლეობისაც-კი უკიდურესი დაბეგვრითა და ყველას მომდურებით არ შეიძლებოდა. მისი მუდმივი ლაშქრობა-კი იმოდენა ქონებრივ სახსარს თხოულობდა, რომ თვით იმ მაჰმადიან ქვეყნებსაც-კი, რომელნიც პირველ ხანებში მას, ვითარცა მხსნელს, მიემხრნენ, არ შეეძლოთ მისთვის მისაცემი გადასახადების ტვირთი და მისი ხარბი თანამებრძოლებისა და მოხელეების ცარცვა-გლეჯვა აეტანათ.

ჯალალედინის მთელმა მოქმედებამა და ძალითა, თუ მომხრეობით დასაკუთრებული ქვეყნებისა და მოსახლეობისადმი უხეშმა და დაუზოგავმა მოპყრობამ მის თანამორწმუნეებს აგრძნობინა, რომ მისი ბატონობა წინანდელზე, რომლისაგანაც განთავისუფლებით მას თავი მოჰქონდა, არამცთუ უკეთესი არ იყო, არამედ ქვეყნისა და ხალხისათვის გაცილებით უფრო საზიანო და საზარალო გამოდგა. მისი სამხედრო ძლევამოსილების შედეგი ყველგან, სადაც კი მას ფეხი შეუდგამს, ერთიდაიგივე იყო: განადგურებისა და მოსახლეობის აწიოკება-გატყავებას გარდა, მის აქ ყოფნას არაფერი დაუტოვებია.

ჯალალედინი იმდენად უგუნური პოლიტიკოსი აღმოჩნდა, რომ მას ისიც კი არ ესმოდა, თუ მთელი თავისი მოქმედებით როგორ უმზადებდა თვითვე საუკეთესოდ ნიადაგს თავისი დაუძინებელი მტრების გამარჯვებას. განა მისი გამანადგურებელი მოღვაწეობა არ იყო, რომ მონღოლებს შეუწყო ხელი, მის შემდგომ მახლობელ აღმოსავლეთში თითქმის უბრძოლველად გაბატონებულიყვნენ? ერანში და მცირე აზიაში მყოფ სამფლობელოებთანა და საქართველოს სახელმწიფოს მთავრობასთან შეთანხმებისა და მონღოლების წინააღმდეგ შეერთებული ძალით შებრძოლების მაგიერ, მან, თავის ქვეყნითგან ლტოლვილმა, როგორღაც წარმოიდგინა, რომ თითქოს ერთი დაკვრით ერანსაც აღადგენდა, უზარმაზარ სახელმწიფოსაც შეჰქმნიდა და მონღოლებსაც გაანადგურებდა. ნამდვილად-კი ისე გამოვიდა, რომ მახლობელი აღმოსავლეთის განადგურებითა და თავის წინააღმდეგ ყველას ამხედრებით, მან მხოლოდ თავისი დაუძინებელი მტრების მონღოლების გამარჯვებას დაახვედრა საუცხოოდ შემზადებული ასპარეზი.

---

[16] [**ჟამთააღმწერელი,** გვ. 591; **ნესევი,** 413].

8. რუსუდანისაგან თავისი შვილის დავით IV-ის თანამოსაყდრედ დასმა

აღმოსავლეთ საქართველოში ჯალალედინის ხვარაზმელთა თარეშის დროს, დასავლეთ საქართველოში გადასულმა რუსუდან მეფემ, უეჭველია, სახელმწიფო დარბაზის დასტურით, 1230 წ. ახ. ხ. თანამოსაყდრედ თავისი 5 წლის ვაჟიშვილი დავითი დასვა და აკურთხებინა. მაშინდელი პოლიტიკური ვითარების გამო, დავითის თანამოსაყდრედა და მეფედ დასმა–კურთხევას დარბაზის ერნი და დიდებულნი აღმოსავლეთ საქართველოთგან ვერ დაესწრნენ.

თუმცა ჯერ ჯალალედინის გაქცევამ, ხოლო შემდეგ მისმა მოკვლამ მახლობელი აღმოსავლეთი იხსნა, მაგრამ ვერც ამის შემდგომ დამყარებული მყუდროება გამოდგა ხანგრძლივი. სულ რამდენიმე წელიწადი იყო გასული, რაც საქართველოს მთავრობა რუსუდანის მეთაურობით ქუთაისითგან ისევ დედაქალაქს ტფილისში დაბრუნდა და აფორიაქებულმა ქვეყანამაც თანდათან დაწყნარება იწყო, რომ მონღოლთა ურდოები კვლავ კავკასიას ეწვივნენ, მაგრამ ეხლა-კი უფრო გარკვეული დამპყრობელობითი მიზნითა და ამიტომაც დიდი სამხედრო ძალითურთ.

9. მონღოლთა კვლავ გამოჩენა მახლობელი აღმოსავლეთის დასაპყრობად

პირველმა დაზვერვამ მონღოლთა სარდლებს უკვე საკმაო გამოცდილებაც შესძინა და იმ ქვეყნების მდგომარეობაც, რომელთა ხელში ჩაგდებაც მიზნად დაისახეს, მათ საკმაოდ კარგად ჰქონდათ გაგებული. ერანში ყველგან პოლიტიკური დაწვრილმანება და სამფლობელოების დაქუცმაცებასთან დაკავშირებული ქიშპობა დახვდათ. საქართველოს სახელმწიფოში წინანდებურად ძლიერი დიდი ნებისყოფის პატრონის, ქვეყნის მართვა-გამგეობის უცილობელი მესვეურისა და სამხედრო ძლიერებაზე და მზაობაზე დაუცხრომელად მზრუნველის მაგიერ, გამოუცდელი და ისეთი სახელმწიფოს მესაჭეობისათვის, როგორიც მაშინ საქართველო იყო, რუსუდანივით გამოუდეგარი პიროვნება იმყოფებოდა. თავისი მოვალეობის შემგნები და პოლიტიკური შორსგამჭვრეტელობის მქონებელი პირებიც მთავრობისა და მთავარსარდლობის გავლენიან წევრთა შორის აღარ ჩანდნენ. პირიქით, დიდგვარიან აზნაურთა და საქვეყნოდ გამრიგე მსხვილ მოხელეთა საგვარეულოებს შორის მეტოქეობა და ქიშპობაც-კი იყო შეპარული. ასეთ პირობებში, შეუთანხმებლობასა და საკუთარ კეთილდღეობაგანდიდებაზე ოცნებაში უნდა სახელმწიფოს კეთილდღეობაზე ზრუნვის მოვალეობის შეგნება გამქრალიყო და ქვეყნის წარმატებისა და გამაგრებისათვის დაუცხრომელი საქმიანობა, რა თქმა უნდა, მოდუნებული იქნებოდა. დასასრულ, ჯალალედინის ლაშქრობამა და თარეშმა ხომ ერანის სამფლობელოები და საქართველოს სახელმწიფო ისეთ მდგომარეობაში ჩააგდო, რომ მონღოლებს თავიანთი ახალი მიზნის განსახორციელებლად უკვე დიდი წინააღმდეგობის შიში აღარ უნდა ჰქონოდათ.

10. მონღოლთა მეორე შემოსევა საქართველოს დასაპყრობად და მთავარსარდლობისა და საქვეყნოდ გამრიგე ხელისუფალთა სრული დაბნეულობა და უილაჯობა

ჩრდილოეთს ერანში, ადერბეჯანში, ფეხის მოკიდების შემდგომ მონღოლები უფრო ჩრდილოეთისაკენ წამოვიდნენ მით უმეტეს, რომ აქეთკენ მათ ზამთრისა და საზაფხულო საუკეთესო საძოვარი ადგილები ეგულებოდათ. ამ ფართობის მტკიცედ ხელში ჩაგდებას, მათი მუდმივი მომთაბარეობის გამო, მონღოლებისათვის უაღრესი მნიშვნელობა ჰქონდა. პირველად ისინი ქალ. ბარდავს მიადგნენ, მისი დაპყრობის შემდგომ, 1235 წ.-კი ქ. განძის ასაღებად წამოვიდნენ[17].

ნებაყოფლობით დანებებაზე მოსალაპარაკებლად მისული მონღოლთა ელჩების დანახვამ განძელები ისე ააღელვა, რომ მათ მონღოლთა მოციქულები დახოცეს. ამით განრისხებულმა მონღოლებმა განძა აღებისთანავე მთლიანად გაცარცვეს და გაანადგურეს.

რამდენადაც განძა საქართველოს ყმადნაფიცი იყო, ზემოაღნიშნული გარემოებაც მისთვის უკვე საზიანო იყო. მაგრამ მონღოლები ამით არ დაკმაყოფილებულან და პირდაპირ თვით საქართველოში შემოიჭრნენ. ქ. შამქორი ამ დროს საქართველოს ეკუთვნოდა და ვარამ გაგელის საგამგეოში იყო მოქცეული. ამიტომ, როდესაც შამქორელებმა საქართველოს საზღვრებისაკენ მონღოლთა გამოლაშქრების ამბავი გაიგეს, უმალ ვარამ გაგელს სთხოვეს, რომ მისულიყო და მტრის წინააღმდეგ ბრძოლისათვის ხელმძღვანელობა გაეწია. მაგრამ აღმოსავლეთის ესოდენ მნიშვნელოვანი სანაპიროს ამ გამგემ თავისი მოვალეობა დაივიწყა და არამც თუ შამქორელებს არ მიეშველა, არამედ თავის შვილსაც-კი დაუშალა, რომ შამქორში წასულიყო და ხელმძღვანელობა გაეწია. მონღოლებთან შებრძოლების მაგიერ თვით ვარამ გაგელი, მონღოლთა მოახლოვებისთანავე, უბძოლველად ლაჩრულად გაიქცა.

უხელმძღვანელოდ მიტოვებულმა შამქორელებმა, ნებაყოფლობით მტრისათვის დამორჩილებას, მაინც წინააღმდეგობის გაწევა არჩიეს და სამზადისს შეუდგნენ. მაგრამ მონღოლებმა შამქორის აღება მაინც მოახერხეს, ხალხი გაჟლიტეს, ქალაქი ჯერ გაცარცვეს, ხოლო შემდეგ გადასწვეს.

რაკი აღმ. სანაპიროს გამგე გაქცეული იყო, მონღოლებს ადვილად შეეძლოთ ქ. გარდაბანამდე ყველაფერი ჩაეგდოთ ხელში. სხვებივით უმწეო მდგომარეობაში და უხელმძღვანელოდ მიტოვებულმა გარდაბანელებმა გადასწყვიტეს, რომ განადგურებას ისევ დამორჩილება ემჯობინებოდა და მონღოლებს ნებაყოფლობით დაემორჩილნენ.

ისევე, როგორც მონაპირე გონებადაბნეული და ლაჩარი გამოდგა, საქართველოს მთავრობამაც, რუსუდანისა და ავაგ ამირსპასალარითურთ, თავისი სრული უმწეობა და დაბნეულობა გამოამჟღავნა. მონღოლების მოახლოების თანავე, რუსუდანი ტფილისითგან ისევ ქუთაისში გადავიდა. დამახასიათებელია, რომ ასეთ განსაცდელის დროს საქართველოს დედაქალაქის დაცვა მხოლოდ ტფილისის ციხისთავს დაეკისრა და მთავარსარდალი, ამირსპასალარი, ავაგ მხარგრძელი ასეთს მნიშვნელოვანს გარემოებაში მაშინდელ წყაროებში არც-კია მოხსენებული.

რუსუდანმა, უეჭველია, სამხედრო ხელისუფლების რჩევისა და გადაწყვეტილების თანახმად, ქუთაისში გადასვლის წინ, დედაქალაქის ციხისთავს, მუხასძეს, განკარგულება მისცა, რომ თათრების, ანუ მონღოლების ქ. დმანისამდე მოახლოვებისთანავე, ტფილისი დაეცალა და დაეწვა, რომ ახალ მტერსაც ხვარაზმელებივით მისი გამოყენება არ შესძლებოდა.

---

[17] [**ვარდანი,** ისტორია, გვ.189].

საქართველოს მხედართმვავრობის ასეთი სისუსტის და მიუხედავად, მონღოლები მაინც ომს ფრთხილად და წინდახედულად აწარმოებდნენ. ტფილისს ხომ აღმოსავლეთითგან მოუახლოვდნენ, ეხლა სამხრეთითგანაც დაიწყეს სამხედრო მოქმედება. ცნობილია, რომ ფამბაკის ქედის გადმოლახვის შემდეგ, ლორეს ციხესა და ველს აღმოსავლეთ საქართველოს და მისი დედაქალაქის დასაცავად უაღრესი მნიშვნელობა ჰქონდა. ამიტომ იყო, რომ ლორეს ციხე საქართველოს ჯარის მთავარსარდლის, ამირსპასალარის, საჯდომად ითვლებოდა. ამ დროს, საქართველოს პოლიტიკური საზღვრების უკვე შორს სამხრეთისაკენ წაწევის გამო, ეს ადგილი მანდატურთუხუცესს შანშე მხარგრძელს ჰქონდა ხელთ. მაგრამ იგიც უფრო თავის გადარჩენაზე ფიქრობდა, ვიდრე მისდამი რწმუნებული სანახების დაცვაზე. შანშემ ციხე-ქალაქ ლორეს დაცვა თავის სიმამრს მიანდო, თითონ–კი იქაურობას გაეცალა. მისი სიმამრი კიდევ ციხის ბუნებრივ სიმაგრესა და ძნელად მისავალობაზე დაიმედებული, უფრო სმა-ჭამისა და დროს გატარებას ანდომებდა დროს, ვიდრე მტრისათვის წინააღმდეგობის გაწევაზე ზრუნვას. ამიტომ არც გასაკვირველია, რომ მონღოლებმა ამ ძლიერი ციხის ხელში ჩაგდებაც მოახერხეს[18].

შემდეგ ჯერი უკვე ქ. დმანისზეც მიდგა. შანშე მანდატურთუხუცესმა იმაზე უკეთესი ვერა მოისაზრა რა, რომ აჭარაში გაიქცა. დმანისიც, რა თქმა უნდა, მონღოლებმა აიღეს.

დმანისის შემდგომ უკანასკნელი ადგილი, სადაც მაშინ სამხრეთითგან მომავალი მტრის შეჩერება შეიძლებოდა, ბუნებითაცა და ადამიანის საალმშენებლო ხელოვნებითაც კარგად გამაგრებული ადგილი ციხე-ქალაქი სამშვილდე-ღა იყო. მაგრამ აქაც მონღოლებს სათანადო წინააღმდეგობა არ უნახავთ. ამრიგად, ტფილისისაკენ მომავალს გზაზე უკვე ყოველივე დაბრკოლება მონღოლებს გადალახული ჰქონდათ და ტფილისიც, რასაკვირველია, უნდა კვლავ მტერს ჩაჰვარდნოდა ხელში.

11. მტერთან ბრძოლის მცდარი გეგმის საბედისწერო შედეგი

ამის შემდგომაც საქართველოს მთავრობისა და მთავარსარდლობის მოქმედება არ შეცვლილა. სახელმწიფოს მართვა-გამგეობის ორგანიზაცია მოსპობილივით იყო და დარბაზის კარსა მყოფი უდიდესი ხელისუფლები თითქოს არც-კი არსებობდნენ. საქვეყნოდ გამრიგე სანაპიროების მმართველობის საქციელი ხომ უკვე ვიცით, იმდროინდელი ამბების აღწერილობა ისეთ შთაბეჭდილებას სტოვებს, რომ თვით ცენტრალური ხელისუფლების უზენაეს წარმომადგენელთ, ვაზირებსაც–კი, თავიანთი მოვალეობა დავიწყებული ჰქონდათ და მარტო თავიანთი თავის გადარჩენაზე-ღა ზრუნავდნენ. მანდატურთუხუცესი, ის პირი, რომელსაც ვაზირთა შორის სახელმწიფოს შინაგანი მყუდროებისა და წესიერების დაცვა ჰქონდა დაკისრებული, შანშე მხარგრძელი, როგორც ვიცით, მონღოლებისაგან თავის დასაღწევად აჭარაში გადაიხვეწა. საქართველოს სახელმწიფოს მთელი სამხედრო ძალის მთავარსარდალიც, ავაგ ამირსპასალარი, იმავე გზას დაადგა: იმანაც ქვეყნის კეთილდღეობაზე ზრუნვა და თავისი მოვალეობის ასრულება პირადად უშიშროებაზე მზრუნველობას ანაცვალა, - მტრის წინააღმდეგ ბრძოლის მოწყობისა და ხელმძღვანელობის მაგიერ, ის კაენის ციხეში შეიხიზნა და თავისი ჭკუით იქ ლამობდა მონღოლებისაგან გადარჩენას. როდესაც ვაზირები ასე იქცეოდნენ, რასაკვირველია, სხვებმაც მათს უგუნურსა და დამღუპველ

[18] [**კარაკოზ განძაკელი,** გვ. 239-240; **ჟამთააღმწერელი,** გვ. 594].

მაგალითს მიჰბაძეს. ქვეყანა სრულმა დაქსაქსულობამ მოიცვა და სახელმწიფოს ორგანიზაცია განრღვეული ადამიანის სხეულს დაემსგავსა.

მონღოლებს თავიანთთვის ამაზე ხელსაყრელ საომარ პირობებზე ოცნებაც-კი შეეძლოთ: ყველა დიდი მხედართმთავრები და მოხელეები თავთავიანთ ციხეებში შეხიზნულები იყვნენ და ამის წყალობით, შეერთებული ძალის მაგიერ, მათ მხოლოდ ამ გაბნეული ძალის ნაწილ-ნაწილად განადგურება-ღა სჭირდებოდათ. მონღოლთა მთავარსარდლობა სწორედ ასეც მოიქცა: მან უპირველესად კაენის, ანისისა და კარის ძლიერი და უმნიშვნელოვანესი ციხეების აღებას მიაქცია ყურადღება და თითოეული მათგანისათვის ალყის შემოსარტყმელად ცალცალკე სამხედრო ნაწილები დაგზავნა.

საყურადღებოა, რომ, როდესაც მონღოლები მხარგრძელთაგან უპატრონოდ მიტოვებულს ანისის ციხე-ქალაქს მიადგნენ და მცხოვრებლებს ნებაყოფლობით დამორჩილების წინადადება მისცეს, აღშფოთებულმა ხალხმა მტრის წინაშე უბრძოლველად ქედის მოხრა არ მოისურვა და არამც თუ ნებაყოფლობით თათრების მონობის უღლის დადება იუკადრისა, არამედ უაღრესმა მღელვარებამ განრისხებულ მოსახლეობას იმდენად დააკარგვინა გონიერება, რომ ანელებმა მოგზავნილი ელჩებიც-კი დახოცეს. ასეთი საქციელით გაშმაგებულმა მონღოლებმა არა დაზოგეს რა, რომ ქ. ანისი აეღოთ და მცხოვრებნი ამ დანაშაულისათვის სასტიკად დაესაჯათ. ანელ მოქალაქეთა მედგარი წინააღმდეგობისდა მიუხედავად, სათანადო სამხედრო ხელმძღვანელობას მოკლებული ქალაქი ბოლოს მაინც თათრებს ჩაუვარდათ ხელში და მათ ამ მდიდარი ქალაქის გაცარცვით, ბრალიანისა და უბრალო ხალხის განურჩევლად ამოჟლეტით, თავიანთი ელჩების დახოცვისათვის ველური შურისძიების წყურვილი მოიკლეს.

რა თქმა უნდა, ხეირი არც თავის მოვალეობის დამვიწყებლებს, კაენში შეხიზნულს, საქართველოს მთელი სამხედრო ძალის მთავარსარდალს, ამირსპასალარს ავაგ მხარგრძელს, დაჰყრია, რომელმაც თავისი თავის უზრუნველყოფისათვის სამხედრო თვალსაზრისით ისეთი მნიშვნელოვანი ციხე-ქალაქი, როგორიც ანისი იყო, უპატრონოდ მიატოვა და განწირა. მონღოლთა ლაშქარის სარდალმა ჩორმაღანმა კაენის ციხე გარემოიცვა. ამრიგად, საქართველოს ჯარის მთავარსარდალი მონღოლებმა მოიმწყვდიეს: ეხლა კი ის ხელითგან ველარსად წაუვიდოდათ.

12. ამირსპასალარისაგან მტრისათვის თვითნებურად დამორჩილების სამარცხვინო მაგალითის მიცემა და მონღოლებთან ბრძოლის ჩაშლა

ბრძოლის მერმინდელი მიმდინარეობისათვის იმასაც ჰქონდა საბედისწერო გავლენა, რომ საქართველოს სახელმწიფოს ვაზირთა და დიდ ხელისუფალთაგან შემოსეული მტრისათვის თვითნებურად და ნებაყოფლობით დამორჩილების სამარცხვინო პირველი მაგალითი, სწორედ თავისი საქციელით ასე უგუნურად მახეში გაბმულმა ამ ავაგ ამირსპასალარმავე მისცა: მონღოლებისათვის განებების შესახებ მოსალაპარაკებლადაც მან მიუგზავნა ჩორმაღან ნოინსმოციქული[19]. ვითარცა მეფისა და მთავრობის შეუკითხავად და ნებადაურთველად გადადგმული ნაბიჯი, მისი საქციელი ქვეყნის ღალატს უდრიდა. მაგრამ მის საზრუნავს ხომ უკვე ქვეყნის კეთილდღეობა აღარ შეადგენდა: პირადად მას ისიც აკმაყოფილებდა, თუ, მისი ნებაყოფლობითი დამორჩილების შემდგომ მონღოლები მთელ

[19] [**ჟამთააღმწერელი,** გვ. 596-98].

საგამგეო ქონებას შეუნარჩუნებდნენ და მის საგამგეო და საპატრონო ქვეყნის წინააღმდეგ სამხედრო მოქმედებას შესწყვეტდნენ.

ასეთ პირობებზე მონღოლთა ნოინი რატომ არ უნდა დათანხმებულიყო? ან, რისთვის უნდა ეომნა მას, თუ-კი წინააღმდეგობის გაუწევლივ დაემორჩილებოდნენ? მაგრამ ჩორმაღანმა რომ ავაგს მისგან შეთვლილი პირობით დანებებაზე თანხმობა გამოუცხადა და ამირსპასალარი კაენის ციხითგან გამოიყვანა, ავაგს იგი მაინც არ ენდო, არამედ სამხედრო თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ამ ქვეყნის ყველა ციხე-სიმაგრეებში მონღოლთა მცველი ჯარი ჩააყენა.

როდესაც ამირსპასალარი, სახელმწიფოს მთელი სამხედრო ძალაუფლების ხელში მქონებელი თანამდებობის პირი, ასე მოიქცა, რა გასაკვირველია, რომ სხვებსაც ასეთი მაგალითისათვის მიებაძათ! მტრის წინაშე მეორე ქედის მომხრელი მანდატურთუხუცესი შანშე მხარგრძელი აღმოჩნდა, რომელმაც მონღოლებთან თავისი შეთანხმების მოსაგვარებლად შუამავლობა, ამ საქმეში უკვე გამოცდილს, ავაგ ამირსპასალარს მიანდო, რა თქმა უნდა, ესეც მონღოლთა მთავარსარდლობისათვის თრიად სასიამოვნო გარემოება იყო მით უმეტეს, რომ დამორჩილების პირობები იგივე რჩებოდა, რაც ავაგთან იყო დადებული. შანშეს განადგურებული ანისი დაუბრუნდა.

შემდეგ ყველაზე შორს გაქცეულს ვარამ გაგელსაც შეეძლო დარწმუნებულიყო, რომ თავისი პირადი კეთილდღეობის შესანარჩუნებლად თავისი საგამგეო ქვეყნის მტრის შიშით ლაჩრულად მიტოვებასა და გალტოლვას გარდა, სხვა უფრო ადვილი საშუალებაც არსებობდა და ვარამ გაგელი თავისი შვილ აღბუღათურთ ისევე, როგორც ჰასან ჯალალ ხაჩილენიც, ზემოაღნიშნულივე გზით და პირობით მონღოლთ დაჰნებდნენ და დაემორჩილნენ. უპატრონოდ მიტოვებულს თავიანთ საგამგეო ქვეყნას მათ ეხლა უკვე უშიშრად შეეძლოდ დაჰბრუნებოდნენ!

საქართველოს სახელმწიფოს სამხრეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთის სანაპიროების შემდეგ, ჯერი უკვე ჰერეთ-კახეთისა, ქართლისა და ჯავახეთის მონღოლებთან თვითნებურად ამავე პირობით შეთანხმებაზეც მიდგა.

13. სამცხის ერისთავ-ერისთავის იოანე-ყუარყურა ჯაყელის შეგნებული პატიოსანი ქცევა და მტერთან განმარტოვებული ბრძოლის უიმედობა

დიდ ხელისუფალთა სახელმწიფოებრივი და ზოგად-ეროვნული ინტერესის სრული მივიწყებისა და თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შეგნების ესოდენი დაკარგვის დროს, მხოლოდ სამცხის ერისთავთ-ერისთავმა იოანე-ყუარყუარა ციხისჯვარელ-ჯაყელმა შეინარჩუნა ორივე ეს თვისება: სიმტკიცე გამოიჩინა და მტრის წინაშე ქედი არ მოიხარა. ასეთი წინააღმდეგობის გამო, მონღოლების მთელი მრისხანება სამცხეს დაატყდა თავზე: საქართველოს ამ თემის რბევა-აოხრება ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. როგორ შეეძლო აღმოსავლეთ საქართველოს ამ ერთად-ერთ პატარა თემს მოზღვავებულ მტერს გაჰმკლავებოდა, როდესაც მის მმართველს მეშველი არსაითგან ჰყავდა? ყველა ზემოაღნიშნული სანაპიროებისა და თემების მონღოლებისათვის ნებაყოფლობით დამორჩილების შემდეგ, წინააღმდეგობის დიდხანს გაგრძელებას, სამცხის განადგურებისა და ხალხის გაწყვეტის გარდა, არაფერი სხვა არ შეიძლება მოჰყოლოდა: საქმე უკვე წაგებული იყო! ამიტომ იოანე ყუარყუარა ციხისჯვარელმა-ჯაყელმა რუსუდან მეფეს საქმის ვითარება მოახსენა და გაუთვალისწინა. ასეთ პირობებში მონღოლებთან ბრძოლის განმარტოებით

გაგრძელების მიზანშეუწონელობა მოახსენა და მათთან შეთანხმებაზე მოლაპარაკების დასაწყებად ნებართვა სთხოვა. რუსუდანმა დასტური მისცა და ამის შემდგომ სამხედრო მოქმედება უკვე სამცხეშიც შესწყდა[20].

ამრიგად მთელი აღმოსავლეთი საქართველო ყველა სანაპიროებითა და ყმადნაფიც სამფლობელოებითურთ მონღოლებს ჩაუვარდათ ხელში. ლიხის მთის გადალახვა და დასავლეთ საქართველოში გადასვლა-კი მათ არ უცდიათ.

14. რუსუდანის ამაო ცდა მონღოლთა წინააღმდეგ დასავლეთ ევროპითგან სამხედრო დახმარების მისაღებად

ასეთ მდგომარეობაში ჩავარდნილს რუსუდანსა და საქართველოს მთავრობას გაახსენდათ, რომ, ლაშა-გიორგის მეფობის დამლევს, რომის პაპმა სთხოვა საქართველოს, პალესტინის მაჰმადიანთაგან განსათავისუფლებლად განზრახულს ჯვაროსანთა ომში თავისი ჯარითურთ მონაწილეობა მიეღო,, რომ დასავლეთელებს ბრძოლა გაადვილებოდათ. მაშინ ეს განზრახვა, გარეშე მიზეზის გამო, ჩაიშალა. ეხლა, როდესაც თვით საქართველო მონღოლებმა განსაცდელში ჩააგდეს, რატომ საქართველოს მთავრობას არ შეეძლო თავის მხრით დასავლეთ ევროპის ქრისტიანე სახელმწიფოებისათვის ასევე სამხედრო დახმარება ეთხოვა, მით უმეტეს, რომ მონღოლთა საშიშროება მათთვისაც გასაგები უნდა გამხდარიყო, ასე უმსჯელიათ მაშინდელ პოლიტიკოსებს საქართველოში.

თავისი გეგმის განსახორციელებლად რუსუდან მეფეს, ეტყობა, 1239 წ. ახ. ხ. რომის პაპთან, გრიგოლ მე-9-ესთან, ეპისტოლე გაუგზავნია, რომელშიც მონღოლთაგან საქართველოზე თავს დამტყდარი განსაცდელი იყო აწერილი და სადაც რუსუდანი დასავლეთელ ქრისტიანებს სამხედრო დახმარებას სთხოვდა მონღოლების წინააღმდეგ. რომის პაპის გულის მოსაგებად, საქართველოს მთავრობა აგრეთვე ატყობინებდა, ჩვენ აღმოსავლეთისა და დასავლეთის ეკლესიების შეერთების მონატრულნი ვართო.

მაშინდელი პოლიტიკური ვითარების გამო, ამ ეპისტოლემაც-კი რომის პაპის კარამდე დაგვიანებით მიაღწია. 1240 წ. დაწერილი საპასუხო ეპისტოლითგან გამოირკვა, რომ გრიგოლ მე-9-ს საქართველოს მთავრობისათვის სასიხარულოს არაფრის შეტყობინება არ შეეძლო: არამცთუ იგი სამხედრო დახმარებაზე უარს უთვლიდა, პირიქით ის წერდა კიდევაც, ჩვენ თვითონაც ისეთ მდგომარეობაში ვართ, რომ სწორედ შეგეცოდებითო. მაგრამ მაინც გულს ნუ გაიტეხთ: ამ ჩვენ ეპისტოლესთან ერთად, მოქადაგე მონაზონ-მისიონერებს გიგზავნით ეკლესიათა შეერთების განსახორციელებლად!..[21]

15. მონღოლთა განდევნის ყოველგვარი იმედის გაქარწყდება და მათთან შეთანხმება-დაზავების აუცილებლობა

[20] [**ჟამთააღმრიცხველი,** გვ. 598-600].

[21] [**ჟამთააღმრიცხველი,** ისტ. კათოლიკობისა, გვ. 570]

დასავლეთ ევროპითგან, სამხედრო დახმარების მაგიერ, კათოლიკე მონაზონ-მისიონერების გამომგზავრებისა და მოსვლის ამბავი რუსუდანსა და საქართველოს მთავრობას, ცხადია, ცუდს გუნებაზე დააყენებდა. რაკი ეს უკანასკნელი იმედიც გაცრუვდა და მონღოლთაგან აღმოსავლეთ საქართველოს განთავისუფლების შესაძლებლობა არსაითგან-ღა ჩანდა, ამიტომ ახალ პოლიტიკურ მდგომარეობას, ნებსით, თუ უნებლიედ, ანგარიში უნდა გასწეოდა. თუმცა, მართალია, დასავლეთი საქართველო მტერს არც დაპყრობილი და არც გადალახული არ ჰქონდა, მისი დამოუკიდებლობაც წინანდებურად შეურყეველი იყო, მაგრამ მთელი აღმოსავლეთ საქართველო ხომ მტერს ხელში ეჭირა? ამ გარემოებამ ახალი ვითარება შექმნა, რომლისთვისაც მაშინდელ პოლიტიკოსებს უნდა განსაკუთრებული ყურადღება მიექციათ.

იმ დროისათვის საქართველოში დამყარებული მდგომარეობითგან ორგვარი გამოსავალი იყო შესაძლებელი: ან საქართველოს სახელმწიფოს მთავრობა უნდა არსებულს ვითარებას შეჰრიგებოდა, ან რაიმე გზით მისი გამოსწორება ეცადნა. პირველი გამოსავალი საქართველოს ორად გაყოფისა და პოლიტიკური მთლიანობის მოსპობის მომასწავებელი იყო. ეს იმდენად დიდს ეროვნულსა და სახელმწიფოებრივს საფრთხეს წარმოადგენდა, რომ მისი დამღუპველი ყველა შედეგის გათვალისწინებაც-კი ძნელი იყო. ამიტომაც მმართველ წრეებს, თუ-კი მათ ოდნავი პოლიტიკური ალღო და შორსმჭვრეტელობა აღმოაჩნდებოდათ, მეორე შესაძლებლობის უცდელად, არსებულ ვითარებასთან შერიგების არც უფლება ჰქონდათ და არც შეეძლოთ. მეორე გამოსავალი-კი მხოლოდ მონღოლებთან მოლაპარაკებისა და შეთანხმების გზით იყო მისაღწევი.

უეჭველია, სწორედ ამით უნდა აიხსნებოდეს, რომ რუსუდანმა გადასწყვიტა, მონღოლებთან საერთო საზავო პირობებზე მოლაპარაკება დაეწყო[22]. ამ მიზნით მათ მთავარსარდლობასთან უკვე საკმაოდ შეჩვეულნი მხარგრძელები, ამირსპასალარი ავაგ და შანშე მანდატურთუხუცესი, ვარამ გაგელი და შოთა კუპრი მოციქულებად წარგზავნა. მაგრამ იგი მარტო ამით არ დაკმაყოფილებულა: რუსუდანმა გადასწყვიტა უშუალოდ თვით ბათო ყაანისათვის მიემართნა, რომ უვნებლობის სიმტკიცის აღქმა პირადად მისგან მიეღო. უამისოდ ის მონღოლებისათვის მინდობას, ქუთაისითგან საქართველოს დედაქალაქში გადმოსვლასა და საზავო შეთანხმების საბოლოოდ დამთავრებას, ვერ ბედავდა. ბათო ყაენთან ჩრდილოეთში რუსუდანმა თვით საქართველოს მთავრობის თავჯდომარე, ვაზირთა უპირველესი და მწიგნობართუხუცესი, არსენი წარავლინა. მხოლოდ მისგან ამ საპასუხისმგებლო დავალების ასრულებისა და მისი იქითგან დაბრუნების შემდგომ, საქართველოსა და მონღოლთა საყაანოს შორის ზოგადი პოლიტიკური და საზავო შეთანხმება მოხერხდა.

16. ზავის პირობები და დავით IV-ის მონღოლთა ყაანის ურდოში გამგზავრება, რუსუდანის სიკვდილი

[22] [**ჟამთააღმრიცხველი,** გვ. 600-604].

საქართველოს მთავრობამ მონღოლთა საყაანოს უზენაესობა სცნო ზოგადად და ნებაყოფლობით, მაგრამ ამ უფლებრივი განსხვავებით, ლიხთ-ამერეთში, ვითარცა ძალით დაპყრობილში, საქართველოს ხელისუფლებას გარდა, მონღოლთა საყაანოს უმაღლესი მოხელეებიც იქნებოდნენ და ლაშქარიც დარჩებოდა, დასავლეთი საქართველო-კი, ვითარცა მონღოლთა უზენაესობის ნებაყოფლობით მცნობელი, მონღოლთაგან თავისუფალი დარჩებოდა. საქართველო ამასთანავე მონღოლთა საყაანოსთვის ყოველწრიულად 50000 ოქროს პერპერის გამოღებას კისრულობდა. მონღოლები თავიანთ მხრივ რუსუდანის ძეს დავითს სრულიადი საქართველოს სახელმწიფოს მეფედ სცნობდნენ. ამ გზით საქართველოს პოლიტიკური მთლიანობა დაურღვეველი რჩებოდა.

დადებული პირობის თანახმად, რუსუდანი თავის შვილითა და თანამოსაყდრით დავითითურთ 1242-3 წ. ისევ საქართველოს დედაქალაქს ტფილისში გადმოვიდა, სადაც ის საზეიმოდ მეფედ უნდა დაესვათ. მაგრამ მონღოლთა ადგილობრივმა ხელისუფლებამ დავითი საქართველოს მეფედ დასამტკიცებლად ჯერ ბათო ყაანთან გაგზავნა, ხოლო შემდეგ იქიდგან მანგუ დიდ ყაანთანაც მოუხდა წასვლა. ამ დროითგან მოყოლებული სამეფო ტახტზე ასასვლელად მონღოლთა ყაანის ურდოში გამგზავრება და იქ დამტკიცება შემოვიდა წესად, რისთვისაც შორეულს ქვეყანაში წასვლა და საკმაოდ ხანგრძლივი მგზავრობა იყო ხოლმე საჭირო. ამ შემთხვევაშიც ჯერ ბათოსთან მისვლასა და ყოფნას, შემდეგ მანგუ ყაანთან გამგზავრება-მიღწევას ორი წელიწადი მოუნდა. დავითის დედას რუსუდანს, რომელსაც თავის სიცოცხლის განმავლობაში ისედაც ბევრი უბედურება ჰქონდა ნანახი, შვილის ამბის უქონლობის მწუხარებაც დაერთო ზედა, ცხოვრების ბედის ტრიალის ამდენი უკუღმართობით დასნეულებული იგი 1245 წ. ტფილისში გარდაიცვალა.

ამრიგად, მოულოდნელად საქართველო სრულებით ახალსა და შორეული ქვეყნებითგან მოსულს უცხო ხალხს გაეცნო, რომლის სოციალური და პოლიტიკური წესწყობილებაც, მსოფლმხედველობაცა და კულტურაც ქართველოებისათვის ცნობილისაგან ძირიანად განსხვავდებოდა. ასი წლის განმავლობაში მათ ბატონობას საქართველოში შეუძლებელია თავისი ღრმა კვალი არ დაეჩნია, როგორც ქვეყნის ისევე ხალხის მდგომარეობაზე, და თვალსაჩინო ცვლილება არ გამოეწვია ჩვენი წინაპრების იმდროინდელ თაობათა ყოფა-ცხოვრებასა და მდგომარეობაში. ამიტომაც საქართველოს ამ ხნის პოლიტიკური და კულტურული ვითარების გასაგებად, ისევე, როგორც ჩვენი წინაპრები გაეცნენ მონღოლებს, ჩვენც, სანამ ისტორიული ამბების მიმდინარეობაზე მოთხრობის გაგრძელებას შევუდგებოდეთ, უნდა მონღოლთა მაშინდელი ვითარება ზოგადად მაინც გავითვალისწინოთ.

III. მონღოლნი, მათი სოციალურ-პოლიტიკური წესწყობილება, ყოთაცხოვრება და კულტურული განვითარების დონე მე-12 ს. დამლევსა და მე-13 ს. დამდეგს

1. მონღოლთა გვარტომობა და ყოფაცხოვრება

მონღოლთა სამშობლო ციმბირი იყო. მათ ჰქონდათ დაკავებული მიწა-წყლის ფართობი ერთი მხრით ბაიკალის ტბასთან და მდ. ენისეის ზედა ნაწილისა და მდ. ირტიშის გაყოლებით, - იქ მონღოლთა ტყეში მობინადრე ტომები ცხოვრობდნენ, - მეორე მხრით ბარისა და მთის

საძოვრების მთელი სივრცე ყულუნ-ბუირის ტბითგან მოყოლებული ალტაის მთების დასავლეთის განშტოებამდე.

მონღოლნი, თურქებთან ერთად, მონღოლურ მოდგმას ეკუთვნიან, რომლისაც კანის ფერსაცა და ფიზიკურ აგებულებასაც თავისი განმასხვავებელი თვისებები ჰქონდა.

მათი სხეულის კანის ფერი მოყვითანო იყო და ეს თვისება მონღოლებს დღევანდლამდე აქვთ შენარჩუნებული. თურქებს კანის ფერი, ახალ ადგილებზე გადმოსახლებისა და მრავალ საუკუნეთა განმავლობაში სხვა მოდგმის ერებთან შერევის შედეგად, საგრძნობლად გაუთეთრდათ.

მონღოლთა სხეულის გარეგნობის თავისებურება ყველაზე მკაფიოდ თავზე და პირისახეზეა შესამჩნევი. მახლობელი აღმოსავლეთისა და ევროპის იმდროინდელ ისტორიკოსებსა სწორედ ეს გარემოება აქვთ აღნიშნული და მათთვის უჩვეულო მონღოლთა ასეთი გარეგნობა დაწვრილებით აქვთ აღწერილი. მონღოლებს შავი უხეში თმით შემოსილი სხვილი თავი ჰქონდათ, წარბ-წამწამები და წვერ-ულვაშიც ამავე ფერისა, მაგრამ ბაგეები და ნიკაპი ბალნით თხლად ჰქონდათ მოფენილი. მონღოლს, კანს გარდა, მაინც უმთავრესად წვრილი, ღრმად და ერთმანეთისაგან მოშორებით, თანაც ირიბად ჩამჯდარი თვალები და მეტად დაბალი, მაგრამ განიერ-ნესტოებიანი ცხვირი ასხვავებდა ადამიანთა დანარჩენ მოდგმისაგან. წინათ თურქებსაც თავისა და პირისახის ასეთივე თვისებები ჰქონდათ, მაგრამ, ზემოაღნიშნული მიზეზების გამოვე, ამ მხრივაც მათ დიდი ცვლილება დაეტყოთ, მონღოლურსა და თურქულს ენებს შლორისაც უცილობელი ნათესაობაა.

ყოფაცხოვრებისა და წესწყობილების მიხედვით, მონღოლნი მე-12 ს. ორ მთავარ ჯგუფად იყოფებოდნენ. მათ ტომთა ერთი ჯგუფი ტყეებში ცხოვრობდა და უმთავრესად მონადირეობით ირჩენდა თავს, ტომთა მეორე ჯგუფი ველად მცხოვრები იყო და მისი არსებობის მთავარ წყაროს მესაქონლეობა შეადგენდა[23]. მკვიდრი ბინადრობა არც ერთს ამ ჯგუფთაგანს არ მოეპოვებოდა, არამედ, მონადირეობისა და მესაქონლნობის საჭიროებისდა მიხედვით, ისინი ადგილითგან ადგილზე გადადიოდნენ. მესაქონლეობა მომთაბარეობაზე იყო დამყარებული, რათგან ზაფხულის სიცხეში მთიანეთის საძოვრებში, სიგრილესთან ერთად, საქონლისათვის საკვებიც უკეთესი მოიპოვებოდა[24].

ცხადია, რომ მესაქონლეობის მიმდევარ მონღოლთა ტომების შტო განვითარებით მონადირეობის მიმდევრებზე უნდა მაღლა მდგარიყო, მაგრამ მესაქონლე ტომებიც კულტურულად საკმაოდ დაბალ საფეხურზე იდგნენ. ისინი რქოსან სხვილფეხა და წვრილფეხა საქონლის, - ძროხების, ხარების, ცხვრებისა და თხების, - მეტადრე-კი ცხენების მოშენებას მისდევდნენ. ცხენებსა და ხარებს შესაჯდომად და შესაბმელად ხმარობდნენ, ცხვარსა და თხას-კი მათთვის მნიშვნელობა უმთავრესად როგორც სახორცე და მატყლ-ბალნის მომცემ საქონელსა ჰქონდა. მათი მეურნეობის მთავარ საზრუნავს ცხენთმომშენებლობა შეადგენდა, რათგან ცხენი მონღოლისათვის მარტო იმით-კი არ იყო ძვირფასი, მიმოსვლისამ და ნავარდისათვის იმაზე უკეთეს ცხოველს ვერ იშოვიდა, არამედ აგრეთვე ვითარცა მეწველი და სახორცე საქონელიც. მონღოლების საყვარელი სასმელი ხომ სწორედ ცხენის რძისაგან შემზადებული ნოყიერი და შუშხუნა ყუმისი იყო, რომელიც წმინდა და ბოროტებისაგან გამკურნელ სასმელადაც-კი ჰქონდათ მიჩნეული. ცხენის ხორცი –კი მონღოლისათვის ყველა სხვა პირიტყვის ხორცზე უფრო სანუკვარი იყო და არაფრის ჭამას ის ისე გულიანად არ ეტანებოდა, პროგორც ცხენის ხორცისაგან შემზადებულ საჭმელებს. ზემოაღნიშნული მიზეზების გამო, მეცხენეობას მონღოლთა მეურნეობაში მთავარი მნიშვნელობა ჰქონდა.

---

[23] **ვლადიმირცოვი,** გვ.33

[24] იქვე,

მაგრამ მონღოლები მესაქონლეობასაც-კი არ მისდევდნენ ფართოდ, არამედ მხოლოდ იმდენად, რამდენადაც საკუთარი მოთხოვნილებებისათვის სჭირდებოდათ. რაკი მათი მეურნეობის ეს მთავარი დარგიც ექსტენსიური იყო, დანაკლისის შესავსებად მონღოლები მონადირეობასაც გატაცებით ეტანებოდნენ, მონღოლეთში ნამყოფი მეცამეტე საუკუნის დას. ევროპის მწერლის რუბრუკვისის ცნობით, მონღოლების საკვების მნიშვნელოვანს ნაწილს სწორედ ნანადირევი შეადგენდა[25].

მონღოლები საერთოდ და ყველა მათი ყაანებიც, პირველი გამაერთიანებლის ჩინგიზ-ხანითგან მოყოლებული, ნადირობას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ და ყველა თავიანთი ქვეშევრდომისათვის სავალდებულოდ სთვლიდნენ. ეს მარტო იმით კი არ აიხსნება, რომ მონადირეობას, ვითარცა მონღოლთა კვებისათვის მნიშვნელოვან წყაროს, დიდი ეკონომიური ღირებულება ჰქონდა, მონღოლთა მეთაურნი ნადირობას ისევე უყურებდნენ, როგორც სამხედროსა და ბრძოლისათვის მზაობის წინასწარ ვარჯიშობასაც: ახალგაზრდა მონადირენი აქ ეჩვეოდნენ შვილდისრის მარჯვედ გამოყენებას, მხეცისაგან მოსალოდნელი განსაცდელის წინაშე უშიშროებასა და აზროვნებისა და მოქმედების სწრაფად მოხმარებას. რასაკვირველია, მონღოლები მონადირეობას ეტანებოდნენ, როგორც გასართობსა და დღესასწაულსაც, ამიტომ ჩვეულებად ჰქონდათ, რომ ყოველი დიდი ბრძოლისა და გამარჯვების შემდგომ, ხანგრძლივი მოლხენითა და უხვი ჭამასმითურთ ფართოდ მოწყობილი ნადირობაც უნდა გაემართათ ოლმე.

მონღოლებმა ნადირობა შვილდისრითაც იცოდნენ და მიმინო-შავარდნითაც. ცალცალკე ნადირობას გარდა, მათ საერთო ნადირობაც ჰქონდათ დაწესებული, რომლისათვისაც დიდი ფართობი იყო ხოლმე ერთ ადგილას ჯერგის წესით, ნადირის მრავლად მომწყვდევისა და დახოცვის მიზნით, გარშემორტყმული. სწორედ ასეთს ჯერგის ნადირობაში მონაწილეობა ითვლებოდა ყველასთვის სავალდებულო ბეგარად.

მესაქონლეობისა და მომთაბარეობის მიმდევარ მონღოლთ, საცხოვრებელიც შესაფერისი ჰქონდათ. თუ მონადირე ტყის მონღოლებს თავიანთი მოთხოვნილების დაკმაყოფილება ფიჩხ-ფოთლითა და ნადირის ტყავებით დაფარული ქოხითაც შეეძლოთ, მესაქონლე მონღოლს საძოვრითგან საძოვარზე გადასვლისათვის მოძრავი ბინა სჭირდებოდა: მთელი თავისი ოჯახით ის უკვე ქეჩებით გარშემოვლებულსა და დაფარულს ხარგაში ცხოვრობდა. მონღოლისათვის ასეთი საცხოვრებელი იმით იყო კარგი, რომ ასე აბარგება უადვილდებოდა: როდესაც საძოვრის გამოსაცვლელად, ან და მტრის თავდასხმის მოლოდინში, თუ მტერზე გასალაშქრებლად, მას სწრაფი აყრა სჭირდებოდა, მას ამ ხარგის მთელი ბარგი-ბარხანითა და ავლადიდებით ურემზე დადგმის მეტი არა უნდოდა რა. შიგ თავისი ცოლშვილის შესხმაც-კი შეეძლო და ამნაირად მას ყოველთვის საშუალება ჰქონდა შეუფერხებლივ მთელი თავისი სახლობითა და ქონებით გზას გასდგომოდა.

სასოფლო მეურნეობის ისეთი დარგები, როგორც მემინდვრეობაა, მონღოლებს არ ჰქონდათ, რათგან ამისთვის მკვიდრი ბინადრობა იყო საჭირო. საკვებადაც ისინი პურეულს არ ეტანებოდნენ. მთელი მათი მეურნეობა - მრეწველობა მომთაბარეობითს მესაქონლეობასა და ლაშქარ-ნადირობასთან იყო უმჭიდროესად დაკავშირებული. ხისგან ურმებს, ხარგებისათვის ჩარჩოს ნაწილებს, უნაგირებს, შვილდისრებს, შუბის ბუნებსა და სხვასაც ამის მსგავსსავე ამზადებდნენ. ნადირისა და საქონლის ტყავეულობისაგან ქალამნები, ღვედები, თასმები, ცხენის შესაკმაზად და ურმებში საქონლის შესაბმელად მოწყობილობა-მოსართავები კეთდებოდა. რაკი იარაღად მონღოლებს უმთავრესად შვილდისარი, შუბი და ხმალი ჰქონდათ,

---

[25] **ვლადიმირცოვი,** გვ. 40.

ამ დარგის ხელოსნობაც მხოლოდ ამ მცირე მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად იყო განკუთვნილი.

ბუნებრივია, რომ მონღოლების საქმიანობის ასეთი მცირე ნაყოფიერების გამო, მათ იარაღი და ქსოვილებიც ჰკლებოდათ, ამიტომვე მათი შეძენაც სჭირდებოდათ. ამის გამოვე ისინი უმთავრესად ტყავეულობით იმოსებოდნენ, მეტადრე იმ ხანაში, სანამ ჩინგიზ-ხანი მონღოლებს უზარმაზარ საბრძანებელს შეუქმნიდა და სხვა დაპყრობილი ხალხების შრომით შექმნილს მრავალნაირს მდიდარ ნაწარმოებებს ხელთ ჩაუგდებდა.

რასაკვირველია, ფართო დამპყრობელობითს პოლიტიკურ ასპარეზზე გამოყვანამ მონღოლთა მარტივი სამეურნეო მოთხოვნილება ძალზე შესცვალა: მათ იარაღიც, საკვებიცა და სამოსიც დიდი რაოდენობით დასჭირდათ. ახალ-ახალი ქვეყნების ნახვამა და იქაური მაღალი კულტურული ყოფაცხოვრების გაცნობამ, უკეთესი პირობების შექმნის სურვილი მათაც ნაწილობრივ აღუძრა: მათ ფულის, ძვირფასი ქსოვილების, ტანსაცმელ-სამკაულების შეძენის ხარბი წადილი გაუჩნდათ. ასეთ პირობებში, რა თქმა უნდა, სხვადასხვა ხელოსნებიცა და ვაჭრებიც საჭირონი გახდნენ.

2. მონღოლთა სოციალური წესწყობილება

მონღოლთა სოციალური წყობილების საფუძველს გვარი (ძველად ობაღ-ად, შემდეგ ობოღ, ანუ ობახ-ად წოდებული) შეადგენდა, რომლის მოყვანილი მონღოლური სახელი იგივეა, რაც თურქული ამავე ცნების გამომხატველნი ომახ, ობაყ და ობა. საგვარეულოს თითოეულმა მონღოლმა წევრმა თავისი გვარის პირველი წინაპრის სახელი და შთამომავლობითი შტო ზედმიწევნით იცოდა, რათგან ამას ბავშობითგანვე უფროსი წევრები, დედ-მამა უპირველესად, უმცროსებს ასწავლიდნენ. ამის წყალობით გვაროვნული მიკუთვნილობის გრძნობა მონღოლებს ღრმად ჰქონდათ გულში ჩანერგილი, რასაც მონღოლთა თავგადასავლისათვის უაღრესი მნიშვნელობა ჰქონდა.

გვარების შთამომავლობის გამრავლების გამო, მათი დანაწილება ბუნებრივი გზითაც სწარმოებდა და შეყრილობის საშუალებითაც მათი შემადგენლობა იცვლებოდა.

გვარების კავშირი უკვე ირგენ-ს, ე. ი. ტომსა და თემს შეადგენდა, ხოლო ტომებისა და თემების გაერთიანებას ულუს-ი ეწოდებოდა, რომელიც მნიშვნელობით უკვე დაახლოვებით სახელმწიფოს უდრიდა. ისევე, როგორც ცალკეული ოჯახისა და გვარის სადგომს ჲურტ-ი ერქვა, ყაანისა და ბატონიშვილების სადგომსაც თავისი სახელი, ორდუ, ჰქონდა, რომელიც ქართულში ხმოვანთა ადგილმონაცვლეობით ურდო-დ არის ქცეული.

მონღოლები თავიანთ გვაროვნულ შთამომავლობას დიდ ყურადღებას აქცევდნენ და თანამოგვარეებს, რომელთაც ურუხ-ს უწოდებდნენ, სხვა გვარის შვილებისაგან, რომელნიც მათთვის უცხონი იყვნენ და რომელთაც ისინი ჯად-ებს ეძახდნენ, მკაცრად არჩევდნენ ხოლმე. საფიქრებელია, რომ მონღოლთა ხანაში უნდა იყოს ქართულშიც ტერმინი ურუხი შემოსული, რომელიც, თუმცა ქართულშიც აგრეთვე გვარის ცნებასთან დაკავშირებულს სიტყვას წარმოადგენს, მაგრამ მონღოლურისაგან განსხვავებით, უკვე მხოლოდ ცხოველთა შთამომავლობის აღსანიშნავად იხმარება, და როგორც საბა ორბელიანს განმარტებული აქვს "ურუხი ხვასტაგთ გვარის", ე. ი. შინაური საქონლის ჯიშის გამომხატველ ტერმინად არის ქცეული.

მონღოლს უფლება არ ჰქონდა ცოლად თავისი საგვარეულოს რომელიმე ქალიშვილი შეერთო, არამედ უეჭველად სხვა გვარის შვილი უნდა მოეყვანა. ამის გამო საცოლოს მოსაყვანად ზოგჯერ დიდ მანძილზე უხდებოდათ წასვლა, ხოლო თანხმობის მისაღებად ურვადის მიცემაც იყო საჭირო.

მონღოლები მრავალცოლიანობის წესს მისდევდნენ და თითოეულ მათგანს იმდენი ცოლის მოყვანა შეეძლო, რამდენის შენახვასაც მისი ქონებრივი სახსარი საშუალებას მისცემდა. მრავალ ცოლებს შორის მხოლოდ პირველი ითვლებოდა უფროსად. მრავალცოლიანობის გამო, მონღოლებს შვილებიც ბევრი ჰყავდათ, ისე რომ მონღოლთა ზოგიერთი ბატონიშვილის ოჯახის წევრთა რიცხვი ასობით ითვლებოდა კიდევაც. რასაკვირველია, ასეთი ვითარება შეუძლებელია შინაური შურისა და შუღლის ბუდედ არ ქცეულიყო.

მონღოლებს წესად ჰქონდათ, რომ გარდაცვლილი ძმის ცოლი უნდა მომდევნო ძმას ეცოლნა. მეტის თქმაც შეიძლება: მონღოლური ჩვეულების თანახმად, შვილები თავიანთი გარდაცვლილი მამის დაქვრივებულ ცოლებსაც-კი ირთავდნენ, მათ მხოლოდ თავიანთი დედის ცოლად შერთვა ჰქონდათ აკრძალული[26].

რაკი თავისი ზნეჩვეულებით მონღოლს საცოლო უნდა უეჭველად სხვა საგვარეულოთგან ეთხოვა და მოეყვანა, ამიტომ ყოველი ასეთი საგვარეულო მისთვის მანამდე უცხო, ე. ი. ჯად-ი იყო, მაგრამ, მასთან დამოყვრების შემდეგ, ამ გვარის წევრები უკვე მისი ცოლის ნათესავები ტ̈რ̈გ̈ჯდ-ები ხდებოდნენ, ე. ი. მისი თვისნი (ხუდა) იყვნენ. ამრიგად, უცხო გვაროვნობათა შორის ნათესაობა და კავშირი მყარდებოდა.

გვაროვნული წესწყობილების ძლიერებისდა მიუხედავად, გვარი ამ ხანაშიც განუყოფელ ერთეულს არ წარმოადგენდა, არამედ უკვე ოჯახებად იყო გაყოფილი. თუმცა საგვარეულო საძოვრები საერთო იყო, მაგრამ თითოეულ ოჯახს თავისი მეურნეობა ჰქონდა და, როდესაც მამა გარდაიცვლებოდა, დარჩენილ ქონებას შვილები ინაწილებდნენ. უფროს შვილს უმცროსი ძმები განსაკუთრებული პატივისცემით უნდა მოპყრობოდნენ. საგვარეულოს უფროს შვილს ეწოდებოდა ხოლმე ბეკი, რომელსაც უფლება ჰქონდა თეთრი ტანისამოსიც ჩაეცვა და ყოველთვის თეთრ ცხენზე მჯდარიყო, ამასთანავე ყრილობის დროს მას უმაღლესი ადგილი უნდა დასთმობოდა. მაგრამ მემკვიდრეობის მონღოლური წესით მამის ბინა და იქ დაცული უმთავრესი ქონება უფროს შვილს-კი არ ეკუთვნოდა, როგორც ჩვეულებრივ სხვაგან იყო ხოლმე, არამედ უმცროსს, რომელიც ამრიგად მამის ბინის კერის მცველად ხდებოდა და რომელსაც ამის გამო ოდჩიგინ-ი, ანუ ოდჯიგინ-ი ეწოდებოდა, რაც კერის თავადს ნიშნავდა, -ან და მას ეჯენ-ს ეძახდნენ, ე. ი. უფალს, მფლობელს. მონღოლური სამართლის გავლენით ქართულ სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობაშიც მე-14-ე საუკუნითგან მოყოლებული ძველი საუფროსოს გვერდით საუმცროსოც ჩნდება.

ქალი მონღოლთა სოციალური წესწყობილებითა და ყოფაცხოვრებაშიც, მრავალცოლიანობის უეჭველი უარყოფითი გავლენისდა მიუხედავად, მაინც გაცილებით უფრო უკეთეს მდგომარეობაში იყო, ვიდრე მაჰმადიანთა ქვეყნებში. მართალია, მას მონღოლური მეურნეობის ტვირთის უმეტესი ნაწილის ზიდვა უხდებოდა. იმას გარდა, რომ იგი შინაურ საქონელის მომვლელი, მწველელი და შემდღვებელი იყო, მას ტყავებიც უნდა დაემზადებინა და გამოეყვანა, მისგან ტანისამოსი და ფეხსაცმელიც შეეკერა, ურემიც გაემართა. საძოვრითგან აყრის დროს, ხარგა ზედ დაედგა, დაბინავებისას ურმითგან ჩამოეღო და ახალი საძოვრის ადგილზე მოეწყო. მაგრამ, სწორედ მისი მოვალეობის ასეთი ფართო საქმიანობის წყალობით, ქალი მონღოლთა შორის არ შეიძლება, რომ, მაჰმადიანი ქალის მსგავსად, ჰარამხანაში ჩამწყვდეული და გარეშე საზოგადოებას მთლიანად მოწყვეტილი ყოფილიყო. მას შეუდარებლივ უფრო მეტი უფლებაცა და უფრო მეტი თავისუფლებაცა ჰქონდა მოპოვებული: იგი ყიდულობდა და ჰყიდიდა ყველაფერს, რაც-კი მეურნეობისათვის საჭირო იყო.

ამას გარდა მკვიდრი ბინადრობის უქონლობის წესმა მონღოლი ქალები თავიანთი ქმრებისა და ძმების თანამგზავრად აქცია, მათი სიხარულისა და გაჭირვების მონაწილედ

---

[26] **ვლადიმირცოვი,** გვ. 173, შენ.5.

გახადა. ესეთ პირობებში გასაკვირველი არაფერია, რომ თვით ყაანები და ბატონიშვილებიც-კი თავიანთი უფროსი ცოლების აზრსა და რჩევას ანგარიშს უწევდნენ. დაქვრივებული ცოლი და დედა ხომ თავისი შვილების მთელი ქონების ერთად-ერთი, განუსაზღვრელი უფლების მქონებელი, გამგე იყო მათ სრულწლოვანობამდე. რამდენადაც თავიანთი გარდაცვლილი ქმრების საუფლისწულოები და ლაშქრის მართვაგამგეობა, დაობლებული შვილების წამოზრდამდე, მათ ხელში იყო, მათ საშუალება ჰქონდათ თვით პოლიტიკურ ცხოვრებაშიც-კი მონაწილეობა მიეღოთ. მონღოლთა ყაანების ქვრივებს არა-ერთხელ თავიანთი განსვენებული ქმრების საბრძანებლის მესაჭეობაც-კი ხელში ჰქონდათ.

თანამოგვარენი და ნათესავები განსაცდელისა და გაჭირვების დროს უნდა ერთმანეთს დაჰხმარებოდნენ და ჩვეულებრივ ასეც ხდებოდა ხოლმე, თუ-კი საგვარეულოებს შორის მტრობა და შუღლი არ იყო ჩამოვარდნილი, რაც მონღოლთა ცხოვრებაში იშვიათი მოვლენა არ ყოფილა. ასეთ სამწუხარო შემთხვევებში ერთი და იმავე ურუხის წევრები, არამცთუ თავიანთ მოვალეობას ივიწყებდნენ, არამედ მათ შორის დაუნდობელი მტრობა და ბრძოლა სწარმოებდა, თავდასხმაც ცარცვა-გლეჯითა და ძალმომრეობითურთ. ასეთ პირობებში ურუხ-თანამოგვარეების მდგომარეობა, თუ ჯად-უცხოებისაზედ უარესი არა, უკეთესი მაინც არ იყო ხოლმე.

ვაი იმას, ვინც ასეთი შურისძიებით აღზნებულს ბრძოლაში დამარცხებული აღმოჩნდებოდა: ვინც თავდასხმასა და განადგურებას გადაურჩებოდა, ის, კაცი იყო, თუ ქალი, დიდი, თუ პატარა, ან თავის დამონავების ბედს უნდა დაჰმორჩილებოდა, ან და სიკვდილის მეტი მას არა მოელოდა რა. ასეთ შემთხვევებში გამარჯვებულს არც მათი ნათესაობა და არც თანამოგვარეობა, ურუხიანობა, არაფრად აწუხებდა: თავისიანი და უცხო, ურუხი და ჯადი მისთვის სულ ერთი იყო.

უკვე მოხსენებულს თვისებას გარდა, საგვარეულოთა და ტომთა შორის მონღოლეთში არსებულს განკერძოებას ძველად ასე თუ ისე ძმადნაფიცობა ჰშველოდა, როდესაც ორი სხვადასხვა გვარის შვილი მეგობრობისა და ურთიერთი დახმარების აღთქმას სდებდნენ და ანდა, ძმადნაფიცნი ხდებოდნენ. მონღოლური შეხედულებით ძმადნაფიცნი ვალდებულნი იყვნენ ერთიერთმანეთის სიცოცხლე ყოველი განსაცდელისაგან დაეცვათ და გასაჭირში ჩავარდნილ მოძმეს დაჰხმარებოდნენ. ამ ორ პირს, ძმობის ფიცისა და ურთიერთისათვის საჩუქრების გადაცემის შემდეგ, თითქოს საერთო სიცოცხლე უნდა ჰქონოდა. მაგრამ შემდეგ, როდესაც საგვარეულოების რღვევის პროცესი გაძლიერდა, საკმარისი იყო ძლიერი უთანხმოება და შუღლი ჩამოვარდნილიყო, რომ წინანდელნი ძმადნაფიცნი უკვე ერთმანეთის დაუძინებელ და დაუნდობელ მტრებად ქცეულიყვნენ.

მონღოლთა სოციალური შემადგენლობა ერთნაირი არ იყო, არამედ უთანასწორობა მათს წესწყობილებაშიც უკვე კარგად იყო საგრძნობი. თავისუფალ საგვარეულოებს გარდა, დამოკიდებული და მაშასადამე უფლებაშეზღუდვილებიც არსებობდნენ, რომელთაც უნაღან ბოღოლ-ს უწოდებდნენ. ისინი ცალკეულ პირს-კი არ ემორჩილებოდნენ და ემსახურებოდნენ, არამედ მთელს მეპატრონე საგვარეულოს: ჩვეულებრივ ისინი დამორჩილებული გვაროვნობის წარმომადგენელნი იყვნენ და შთამომავლობას წარმოადგენდნენ. მათ მოვალეობას სამსახური შეადგენდა: იმათ მეპატრონე საგვარეულოსთან ერთად მომთაბარეობა და ლაშქარ-ნადირობა უნდა ეწარმოებინათ და ყველა ამისთვის საჭირო მომსახურეობაც გაეწიათ. ზოგჯერ დამოკიდებულება მეპატრონე და ყმადქცეულ საგვარეულოებს შორის თანდათან იმდენად უმჯობესდებოდა ხოლმე, რომ, თუ-კი დამოკიდებული გვარი მონათესავე შთამომავლობისა არ იყო, მეპატრონე გვარის შვილებს მათგან თავიანთი საცოლოების მოყვანაც-კი შეეძლოთ[27]. ამ

[27] **ვლადიმირცოვი,** გვ. 64-65.

მხრით ის პატრონყმური დამოკიდებულება, რომელიც მონღოლთა უნაღან-ბოღოლ-ებსა და მეპატრონე საგვარეულოს შორის არსებობდა, ძალზე განსხვავდებოდა ქართულ და დას. ევროპის პატრონყმობის წესებისაგან.

მაგრამ გაცილებით უარეს მდგომარეობაში იყვნენ მონღოლთა ის ყმები, რომელნიც ნასყიდობით იყვნენ შეძენილნი და მით უმეტეს დატყვევებულთაგან ყმად ქცეულნი. ამ უკანასკნელთა მდგომარეობა, რასაკვირველია, სხვებზე უფრო მძიმე იყო.

მონღოლებს მონებიც ჰყავდათ, რომელთაც ᾔტᾔლე-ბოღოლ-ს ეძახდნენ და რომელნიც შინაურ მოთხოვნილებათა მომსახურეობისათვის იყვნენ განკუთვნილნი.

ყმები, რასაკვირველია, ყველას არ ჰყავდათ, არამედ ყაანსა და მისი საგვარეულოს წევრებს, ბატონიშვილებსა და დიდ ხელისუფლებს, ნოᲣნ–ებს, ანუ, როგორც ქართველები უწოდებდნენ, ნოინებს.

ყმობისაგან თავისუფალნი, ან და განთავისუფლებულნიც იყვნენ მონღოლთა შორის. მონღოლურად მათ დარხან-ი ეწოდებოდა, სახელი და ტერმინი, რომელიც თითქმის ამავე მნიშვნელობით, უფრო-კი გადასახადებისაგან შეუვალისა და განთავისუფლებულის გამოსახატავად, თარხანის სახით, მონღოლთა ბატონობის ხანითგან მოყოლებული ქართულმაც შეითვისა.

პატრონყმობის არსებობამ მონღოლთა მმართველი მომთაბარე გვარები დიდ ერთეულებად აქცია, რომელთა შედგენილობაც, ვითარცა მეპატრონე საგვარეულოსა და სხვადასხვა გზით დამორჩილებულ ყმათა გვარებისა და შინამოსამსახურთაგან წარმომდგარი, ჭრელი იყო სოციალურად და მრავალრიცხოვანი და რთული რიცხობრივად.

მონღოლური საპატრონყმოს თავისებურებას მონღოლური ყოფაცხოვრებისა და მეურნეობის საერთო თვისება,-სამოსახლო მკვიდრობის უქონლობა და მომთაბარეობითი მესაქონლეობა,-შეადგენდა. ყველა სხვა ქვეყნების პატრონყმობისაგან, ფეოდალიზმისაგან, იგი თავისი უმკვიდრობით განსხვავდებოდა; ამ უზარმაზარ საპატრონყმოს მთელი თავისი რთული შედგენილობითა და ავლადიდება-მეურნეობით წელიწადში ორჯერ მაინც თავისი ბინადრობის ადგილი აუცილებლად უნდა მოენაცვლებინა.

მონღოლთა ორგანიზაცია ორი ერთეულის, გვარისა და ოჯახის, წესებზე იყო დამყარებული, მაგრამ ამის გვერდით გაჩნდა სხვა ძალაც, რომელმაც შემდეგში ზემოდასახელებულს ორ ძირითად ერთეულზე მეტი მნიშვნელობა მოიპოვა და მონღოლთა ფართო ასპარეზზე გამოსვლისათვის უფრო მარჯვე აღმოჩნდა. სახელდობრ, საგვარეულო წევრთაგან სხვებზე გამბედავნი და სხვა ტომის გვართაზე თავდასხმისა და ცარცვა-გლეჯის დროს მეკობრობაში მარჯვენი და ბედიანნი, ამიტომაც უფრო შეძლებულნი და მდიდარნი, გვარიშვილთა საერთო წრეს გამოეყვნენ და დაწინაურდნენ. მეკობრობა-მოლაშქრეობაში გამორჩენის იმედით, ასეთ პირებს სხვებიც ადვილად ემხრობოდნენ და თავიანთ მხრითაც მათ ძალას ჰმატებდნენ. ამრიგად, ისინი საგვარეულოთა წიაღითგან გამოეყვნენ და სხვათა მეთაურებად იქცნენ. მათ, რასაკვირველია, განსაკუთრებული სახელებიც ჰქონდათ, რომელთაგან თითოეული მათი ერთერთი თვისებისთაგანის გამომხატველი იყო. ვითარცა გულად მეომრებს, მათ ბაადურ-ი ეწოდებოდათ, სახელი, რომელიც მონღოლებისაგან ქართულმაც შეითვისა და მამაკაცისათვის საქართველოში საკმაოდ გავრცელებულ სახელადაც აქცია, რუსულში ხომ, ბაგატირ-ის სახით, ეგევე მონღოლური ტერმინი გმირის გამომხატველ სინონიმად იქცა. ვითარცა მეთაურებს, მათ ნოᲣან-ი ანუ ქართული იმდროინდელი გამოთქმით ნოინ-ები ეწოდებოდათ. მათ ზოგჯერ ბეკ-საც ეძახდნენ.[28]

---

[28] **ვლადიმირცოვი,** გვ. 98, შენ.2.

ასეთ ბედმარჯვესა და გამდიდრებულ მეთაურებს, რა თქმა უნდა, თავიანთ მრავალრიცხოვანი ყმებიც ჰყავდათ და სხვადასხვა საგვარეულოთაგან წამოსული პირადი მსახურნიც, რომელთაც ნოქერ–ები ეწოდებოდათ და რომელნიც მეთაურისათვის მეკობრობა–ლაშქრობაში ყველაზე უფრო გამოსადეგნი და ერთგულნი, ამიტომაც უფრო მისანდონიც, ერთსა და იმავე დროს თან მეკობრეებიც და მთავარი მეკობრის მეგობრებიც იყვნენ[29].

თუმცა ყოფაცხოვრების წესმა მონღოლნი ერთმანეთისგან შორიშორს ყოფნას მიაჩვია და მათთვის შეჯგუფული, სოფლურ-ქალაქური ცხოვრება აუტანელი იყო, მაინც, ამისდა მიუხედავად, მონღოლები ძველადაც მთლად დაქსაქსულები არ იყვნენ, არამედ სხვადასხვა საგვარეულოებსა და ტომებს შორის კავშირი არსებობდა.

გვარების კავშირს, თემს, თავისი მთლიანობისა და საერთო აზრის გამომხატველად სათემო სათათბირო შეკრებილობა ჰქონდა, რომელსაც მონღოლურად ხურულტაჲ, ანუ ყურულტაჲ ეწოდებოდა. იქ საგვარეულოების უფროსებიც, წარჩინებული პირებიცა და სხვა გავლენიანი მოყმენიც-კი იყრიდნენ ხოლმე თავს. ამნაირ თათბირზე სხვათა შორის თემის ლაშქარ-ნადირობის მეთაურსა და მომწყობსაც ირჩევდნენ ხოლმე, რომელსაც ხაანი ეწოდებოდა. ასეთ თათბირის გადაწყვეტილებას ყოველთვის სავალდებულო ძალა არ ჰქონდა, მაგრამ, როცა დადგენილობა თანხმობრივი იყო, მისი განხორციელებაც ადვილდებოდა, მაგრამ, თუ მოწინააღმდეგენი აღმოჩნდებოდნენ, მაშინ საქმეს მხოლოდ იძულება და სამხედრო ძალა სწყვეტდა. ასე იყო თავითგანვე და ასევე იყო შემდეგშიც, ჩინგიზ-ხანისაგან თავისი დიდი საბრძანებლის შექმნის მერმეც. მაგრამ, თუმცა ამ ხანაშიც ახალი ყაანის ასაყვანად ყურულტაჲს ყოველთვის მართავდნენ ხოლმე, მხოლოდ გასაყაანებლად განკუთვნილის ბედი ყურყულტაჲს მონაწილეთა სურვილზე-კი, არა. არამედ მთლიანად ძლიერ მომხრეთა ჯგუფზე იყო დამოკიდებული, ამასთანავე საკითხი ყურყულტაჲმდე სწყდებოდა, ყურყულტაჲს-კი უფრო გარეგნული, საზეიმო მნიშვნელობა-ღა რჩებოდა, როდესაც შეკრებილთ უნდა უკვე მოგვარებული "არჩევანი"-სათვის ვითომც-და დასტური მიეცათ. ისინი მხოლოდ ხალიჩაზე დასმული ახალი ყაანის სხვებთან ერთად რამდენჯერმე ჰაერში აწვა-მილოცვით-ღა უნდა დაკმაყოფილებულიყვნენ.

3. ჩინგიზ-ხანისაგან შექმნილი მონღოლთა ახალი ორგანიზაცია

მართალია, როგორც აღნიშნული იყო, ძველად ხაან-ებს, ე. ი. თემის ლაშქარ-ნადირობის წინამძღოლებსა და მეთაურებს, ყურულტაჲ ირჩევდა, მაგრამ მათი ძალა იმდენად ამ არჩევანზე არ იყო დამყარებული, რამდენადაც მათ პირად გამჭრიახობასა და ხერხზე. ასევე პირადი პოლიტიკური მართველობის ნიჭითა და ორგანიზაციის უნარით მოახერხა ჩინგიზ-ხანმაც თავისი ხელისუფლების განმტკიცება და უზარმაზარი საბრძანებლის შექმნაც.

რასაკვირველია, მეკობრობა–ნავარდს მიჩვეული და მუდმივი მომთაბარეობითი მესაქონლეობის მეურნეობით კმაყოფილნი მონღოლთა ტომები ყოველთვის იმ პირის მომხრე აღმოჩნდებოდნენ, ვინც მეკობრობასა და ლაშქარ-ნადირობაში უფრო მარჯვე გამოდგებოდა, და რომელიც თავისი გამარჯვებით მათ მრავალრიცხოვანს ტყვესა და ნადავლს ჩაუგდებდა ხელში. ამ შემთხვევაში ხაანისა და ყაანის მომხრე ნოქერებსა და მათ მბრძანებელ-წინამძღოლს ერთიდაიგივე მიზნები ჰქონდათ, ერთიდაიგივე სანატრელი და იდეალები. ამიტომაც ნოქრები

---

[29] **ნოქარ-**ის სახით, მონღოლთაგან სპარსულში შეთვისებული ეს სიტყვა, მე-17-18 ს. საქართველოშიც ჩნდება, ჯერ, ვითარცა ერანის სამხედრო ძალის გარკვეული ნაწილის სახელი, შემდეგში, ვითარცა სავაჭრო დაწესებულების უფროსის, ვაჭრისა და მედუქნის, თანაშემწის გამომხატველი ტერმინი.

ისევე ცდილობდნენ მეთაურის გამარჯვებისათვის ყოველნაირად შეეწყოთ ხელი, როგორც ის თითონ იყო მოწადინებული. საუკეთესო ნადავლსა და ტყვესაც ისინი, რასაკვირველია, წინამძღოლს მიართმევდნენ, რათგან კარგად იცოდნენ, რომ იგივე მეთაური მათაც უხვად დაასაჩუქრებდა და ამ ნატყვენავ–ნადავლითგან თითონაც ბევრი რამ კარგი ეერგებოდათ. მონღოლური სალაშქრო ზნეჩვეულებით ხომ სამხედრო მოქმედების დროს მოწინააღმდეგის ხელში ჩაგდებული მთელი ქონება და ტყვეები, წინამძღოლისათვის განკუთვნილი ხვედრის გამოყოფის შემდეგ, მონაწილე მოლაშქრეთა შორის თანასწორად უნდა ყოფილიყო გაყოფილი.

მე-13 ს. მონღოლური ეპიკური ისტორიის ცნობით, თვით ჩინგიზ-ხანსაც თავისი მოვალეობა მონღოლ თანამემამულე და თანამებრძოლთა წინაშე ასევე ესმოდა: მე ვფიქრობდიო, ამბობს იგი, რომ რაკი მეფე ვარ და მრავალ ქვეყნებისათვის ლაშქრის წინამძღოლად ვიქეცი, მომხრეებისადმი მოვალეობაც მქონდა და ცხენის ჯოგი, ცხვრის ფარები, ურმებიც ბევრი ჩამვარდნია ხელში, ცოლები და ბიჭები, ხალხიც ტყვედ მრგებია, ყველა ეს თქვენთვისვე მომიცია. გამართულ ჯერგისა და ნადირობის დროსაც ნადირი თქვენსკენ გამომიდევნია დასახოცადაო[30].

დაპყრობილი ქვეყნებისა და მოსახლეობისადმი ჩიგნგიზ-ხანის დამოკიდებულების გასათვალისწინებლად ყურადღების ღირსია ის, რაც მან თავის მახლობელ თანამებრძოლებს, ბოორჩისა და მუხალის, მონღოლური მატიანეს ცნობით, განძეულობით უხვად დასაჩუქრების შემდეგ უფხრა: მე ჯერ გინის ხალხი (ჩრდილო ჩინეთში მობინადრე იყო) თქვენთვის არ გამინაწილებია, ეხლა-კი ორმა გინის მფლობელის გვაროვნობის შთამომავლობა ერთმანეთში თანასწორად გაიყავით: მისი კარგი ჭაბუკები მემიმინოებად დაიყენეთ, მათი ლამაზი ქალწულები კი თქვენი ცოლების მოახლეებად გახადეთო[31].

რასაკვირველია, ასეთი გამორჩენის მოიმედეთ ჩიგგიზ-ხანის მომხრეებსაც მისთვის შეეძლოთ გულწრფელად ეთქვათ ის, რაც იმავე მონღოლურს ეპიკურ ისტორიას მათგან ჩინგიზ-ხანის გაყაანების წინ წარმოთქმულ ფიცად აქვს მოყვანილი: ”ჩვენ შენი გაყაანება გვინდა. როდესაც შენ ყაანი იქნები, მრავალრიცხოვან მტრებთან ბრძოლის დროს მიწინავეობას ვიკისრებთ, ხოლო თუ მარტის მშვენიერ ქალწულებსა და ცოლებს, საუკეთესო, ცხენებსაც ხელში ჩავიგდებთ, შენ დაგითმობთ”-ო.

მეტად დამახასიათებელია თვით ჩინგიზ-ხანის ხორჩისათვის შემდეგი ნათქვამიც იმ დროს, რომელსაც მას ნოინის თანამდებობას აძლევდა: ”ჩემს ჭაბუკობაში შენ წინასწარმეტყველური სიტყვა სთქვი ჩემს შესახებ, ჩემი მოღვაწეობის მონაწილე და ამხანაგი იყავი. ამიტომაც უფლებას გაძლევ დამორჩილებულ ხალხთა შორის 30 მშვენიერი ცოლი და ქალწული აირჩიო”-ო[32].

ყველა ზემომოყვანილითგანაც ნათლად ჩანს, თუ რა შეადგენდა მონღოლთა ოცნებასა და იდეალს: ველური მეკობრე ადამიანისა და ტომის აზროვნება, ყაჩაღური სულისკვეთებისა და მარტივი ცხოველური მოთხოვნილების დაკმაყოფილება. გამარჯვებული მონღოლის მსჯელობით დამარცხებული მოწინააღმდეგე მთელი თავისი ნათესაობითა და ქონებით, საგნის მსგავსად, მისი განუსაზღვრელი საკუთრება იყო: მტრის ლამაზი ქალიშვილები და ცოლები, თუ მოისურვებდა მისი პირუტყული ჟინის მსხვერპლად უნდა გამხდარიყვნენ, მთელი მისი ქონებაც მას უნდა ჰრგებოდა. სხვა მიზანი მას არ ჰქონდა და ამიტომაცაა, რომ მონღოლთა მეთაურისათვის საქებურად ითვლებოდა, როცა ამბობდნენ: ცოლები, მსახურნი, ჯოგები და ფარები მას უთვალავი ჰყავსო.

---

[30] **ვლადიმირცოვი,** გვ.94.

[31] **ვლადიმირცოცოვი,** გვ. 118-119, შენ. 9. (“საიდუმლო თქმულების” მიხედვით).

[32] იქვე, გვ. 80, 105-106.

ცხადია, რომ, როგორც მეთაური მსჯელობდა, ისეთივე უნდა ყოფილიყვნენ მისი უახლოესი თანამებრძოლნი და სარდლებიც. ცნობილია, რომ ჩინგიზ-ხანს ოთხი გამოჩენილი მხედართ-მთავარი ჰყავდა: ჯებე, ყუბილაჲ, ჯელმე და სუბედაჲ, ანუ სუბუდაჲ (ასე ეძახდნენ ქართველები). მონღოლურ ეპიკურ ისტორიაში მოთხრობილია, რომ, როდესაც ჩინგიზ-ხანის მომხრეს ჯამუხას ამ ოთხი სარდლის შესახებ შეეკითხნენ, ვინ არიანო, მან ასე უპასუხაო: ესენი ჩემი, ტემუჩჟენის (ე. ი. ჩინგის-ხანის) ადამიანის ხორცით გამოკვებილი ოთხი ქოფაკია, მან ისინი რკინის ჯაჭვით დააბა. ამ ქოფაკებს სპილენძის შუბლი, ბასრი (გამოკვეთილი) კბილები, სადგისებრი ენა და რკინის გული აქვთ. მათრახის მაგიერ, მოხრილი ხმლები უჭირავთ, დილის ნამსა სვამენ და ქარს მიჰყვებიან. ბრძოლაში ადამიანის ხორცის შთანთქმას არიან მიჩვეულნი. ეხლა ისინი უკვე აშვებულები არიან და სიხარულისაგან ნერწყვი სდით. ეს ოთხი ნაგაზი ჯებე, ყუბილაჲ, ჯელმე და საბუდაჲ არიანო.

ასეთი შედარება მარტო იმ ჯამუხას-კი არ მოსვლია აზრად, არამედ, იმავე წყაროს ცნობით, თვით ჩინგიზ-ხანსაც თავის ამ ოთხი სარდლისათვის ამაზე უკეთესი, საპატიო და უფრო შესაფერისი, შედარება ვერ მოუძებნია. ერთხელ ჩინგიზმა ყუბილაჲს უთხრაო: შენ ქედფიცხელნი და ურჩნი დაგიმორჩილებია. შენ, ჯელმე, ჯებე და სუბუდაჲ ოთხი მრისხანე ქოფაკებივით მყავხართო. სადაც-კი არ გამიგზავნიხართ, მაგარი ქვები დაგიმსხვრევიათ, კლდეები დაგითრგუნავთ, წყლის მიმდინარეობა შეგიჩერებიათ. ამიტომაც ნაბრძანები მქონდა ბრძოლის დროს ყოველთვის ყოფილიყავითო[33].

მონღოლთა არამცთუ საშუალო დონის ადამიანის, არამედ თვით მათი უდიდესი მეთაურის და ორგანიზატორის კულტურულ იდეალების გასათვალისწინებლად ასევე ფრიად დამახასიათებელია "ბილიკ"-ში დაცული და ჩინგიზ-ხანისავე ნათქვამად მიჩნეული დებულება: "ჩვენ სანადიროდ მივემგზავრებით და მთის ირმებს ბლომად ვხოცავთ, ჩვენ სალაშქროდ მოვდივართ და მტრებს ბლომად ვხოცავთ"[34].

კარგი სმა-ჭამა, ლხინი მომთაბარეობის სიამოვნება და ომში ადამიანის სისხლის ღვრის წყურვილი, სანადირო გასართობის მსგავსად! ეს იყო მთელი ის ავლადიდება, რომლითაც ჩინგიზ-ხანი და მისი თანამებრძოლი მონღოლები მოევლინენ მაშინდელ კულტურულ ქვეყნებს!

ჩინგიზ-ხანმა, როგორც სარდალმა და ორგანიზატორმა, არაჩვეულებრივი ნიჭი გამოიჩინა. მან კარგად შეიგნო მონღოლთა ასეთი სულისკვეთება და მარჯვედ გამოიყენა იგი. მან ჯარის ორგანიზაციის ახალი წესი შემოიღო და, გვაროვნობათა მიხედვით დანაწილების წინანდელ ჩვეულებას, აღრიცხვაზე დამყარებული წესი დაუპირისპირა. მთელი მოსახლეობა ათეულებად, ასეულებად, ათასეულებად და ათიათასეულებად დაჰყო. ასეთი დანაწილება იმაზე იყო დამყარებული, რომ თითოეული ამ ერთეულთაგანი ვალდებული იყო მოთხოვნისამებრ 10, 100, 1000, 10000 მოლაშქრე გამოეყვანა. ყოველ ამ ერთეულს თავისი უფროსი ჰყავდა: ათისთავი, ასისთავი, ათასისთავი და ათიათასისთავი. ათისთავს გარდა, ყველა დანარჩენ ამ თანამდებობის პირთა ხელისუფლება მემკვიდრეობითი იყო და მათ საერთო სახელად შემოღებული იქნა ნოჲონ-ი, ან იგივე ნოინი, ტერმინი, თუმცა ჩინური იყო, მაგრამ უკვე დიდი ხანია მონოლებს შეთავისებული ჰქონდათ.

ასეულებად, ათასეულებად და ბევრეულებად, ანუ ათიათასეულებად (დუმ̆ან-ებად) გაყოფის დროს, ზოგჯერ ამისთვის მიკუთვნებულ საგვარეულოთა რიცხვი იმდენი მოლაშქრის გამოსაყვანად საკმარისი არ აღმოჩნდა, რამდენიც დაწესებული იყო, ამიტომ ჩინგიზ-ხანმა

---

[33] **ვლადიმირცოვი,** გვ. 91.

[34] **რაშიდედდინი,** III, გვ. 124; **ვლადიმირცოვი,**გვ. 81.

დანაკლისის შესავსებად მათ სხვადასხვა საგვარეულოთა ნაწილები მიუმატა[35]. ამ საშუალებას, შეუძლებელია, რომ მონღოლთა ისედაც შერყეული საგვარეულო წესწყობილებისათვის საფუძვლის ქვაკუთხედი არ გამოეცალა და მისი რღვევა არ დაეჩქარებინა. ეს ჩინგიზ-ხანისათვისაც და მისგან შექმნილი საბრძანებლისთვისაც ფრიად ხელსაყრელი იყო, რათგან, ძველი გვაროვნული წესწყობილების მაგიერ, უკვე სამხედრო ორგანიზაცია შეიქმნა, რომელიც მთლიანად მისგან იყო დამოკიდებული და მისი ხელში შემყურე უნდა გამხდარიყო.

ამას გარდა, ჩინგიზ- ხანმა შექმნა თავისთვის დღისა და ღამის მცველების ცალკე რაზმი. თავდაპირველად დღის მცველთა რიცხვი 70-ს არ აღემატებოდა, ღამის მცველნიც 80 იყო მხოლოდ, მაგრამ შემდეგში, როდესაც მან საყაანო დააარსა, ღამის მცველთა რიცხვი 10.000-მდე გაადიდა. ამ მცველებს მონღოლურად, ქეშიკ-ები ეწოდებოდათ. ქეშიკებად მოწინავე წრითგან ირჩევდნენ მხოლოდ თვალადს, ტანადსა, მარჯვე მოლაშქრეს და, რასაკვირველია, უაღრესად სანდოსა და ერთგულს. მათ იმდენად დიდი უფლება ჰქონდათ მინიჭებული, რომ შეეძლოთ განუსჯელად მოეკლათ ყველა, ვისაც-კი ღამით თავის მბრძანებლის სადგომის მახლობლად შეამჩნევდნენ.

რაკი მეთაურს, მონღოლური ძველი წესის თანახმად, თავის მსახურ-ნოქრები, თავშესაფარს გარდა, უნდა ჭამა-სმით, შესამოსითა და იარაღითაც უზრუნველეყო, ამიტომ მეთაურს მათთვის, ან ყველაფერი თითონ უნდა მიეცა, ან და რაიმე გზით საშუალება გამოენახა, რომ თავიანთი თავიც დაეკმაყოფილებინათ და პატრონის სამსახურისათვისაც შესაფერისად გამოწყობილ-შეიარაღებულნი ყოფილიყვნენ. ხოლო, რაკი ველად თაისუფალ ცხოვრებას მიჩვეულნი მონღოლნი, თუ გაჭირვება არ დაატანდა ძალას, მსახურად ნებაყოფლობით არ წავიდოდა, ამიტომ ეს მსახური, ნოქრები, მადიანი ხალხი იყო და ყოველი ნავარდი მათთვის გამორჩენის თვალსაზისით სასურველსა და კარგ საქმეს წარმოადგენდა. ამრიგად, მეთაურიცა და მისი თანამოლაშქრენიც მეკობრეთა ოცნებით იყვნენ გამსაჭვალულნი, რათგან მათთვის უხვი საშოვრის მოპოვება ამ გზით იყო უფრო ადვილი.

უეჭველია, ზემოაღნიშნულით ისინი შესაძლებელია მხოლოდ პირველ ხანებში დაკმაოფილებულიყვნენ, მეორე-კი, როდესაც მონღოლებს უკვე მრავალი ქვეყანა ჩაუვარდათ ხეში და ახალ-ახალი ლაშქრობის მოწყობა ისეთ ადვილ საქმედ აღარ იქცა, როგორც წინათ იყო, მონღოლ დამპყრობელთა მადიანობის დაცხრომისათვისაც სხვა წყარო უნდა ყოფილიყო აღმოჩენილი. შემოსავლის ასეთ წყაროდ დაპყრობილი ქვეყნების საპატრონოდ და საჭმელად გაცემა გამოდგა.

ჩინგიზ-ხანი დაპყრობილ დამორჩილებული ტომებისა და ქვეყნების მმართველად თავის ისეთ ერთგულ თანამებრძოლებს ნიშნავდა, რომელთა მამაცობა და ნიჭი მას უკვე კარგად ჰქონდა გამოცდილი და რომელნიც მისი გულწრფელნი მიმდევარნი იყვნენ. ჩინგიზ-ხანის ბრძნულ გამონათქვამთა კრებულში სხვათა შორის მისი შემდეგი დებულებაა მოყვანილი: დუმანის (ე. ი. 10000), ათასეულისა და ასეულის ბეგებს, რომელნიც წლის დამდეგსა და დამლევს ჩვენი აზრის მოსასმენად მოდიან ხოლმე, ჯარის უფროსობა შეუძლიანთ, ხოლო ვინც თავის ხარგაში ზის და ჩვენ აზრს ყურს არ უგდებს, ასეთ პირებს უფროსობა შეჰშვენითო.[36]

ამრიგად, ხელისუფლების მიღებისათვის ყაანის უცილობელი მიმდევრობა იყო საჭირო. ერთ-ერთ პირის ათიათასის უფროსად დანიშვის დროს, ჩინგიზ-ხანისაგან ნათქვამის მსაგავსად, მას უნდა თავისი მბრძანებლის საკეთილდღეოდ ღამით გამწარებული მგლის თვისება გამოეჩინა, დღისით შავი ყორანივით ყოფილიყო[37]. ამნაირად, დაპყრობილი

---

[35] **ვლადიმირცოვი,** გვ. 108-109.
[36] **რაშიდ ედდინი,** III, გვ. 121-22.
[37] **ვლადიმირცოვი,** გვ. 107.

ქვეყნებისა და ხალხის მართვა-გამგეობა ყაანის ნათესაობას, ბატონიშვილებსა და მის ერთგულ თანამებრძოლებს ჩაუვარდათ ხელში.

ტომებისა და ქვეყნის მმართველად დანიშნულს უფლისწულებსა და უდიდეს ნოინებს თავიანთს საგამგეოში განუსაზღვრელი უფლება ჰქონდათ მინიჭებული: ბრალდებულის ბედიღბალი და დამნაშავედ მიჩნეულის სიკვდილ-სიცოცხლე მთლიანად მათ ხელში იყო.

ჯუვეინის ცნობით, ყველა დიდი და მცირე ნოინი, ისევე როგორც დანარჩენი მონღოლებიც, გარკვეულ ულუსებთანა და მათ ხელისუფლებთან იყვნენ მიმაგრებულნი. არც ერთს მათგანს უფლება არ ჰქონდა თითონ, ნებადაურთველად, სხვა ნოინთან გადასულიყო და მას დაჰკავშირებოდა. ასეთი თვითნებური გადასვლა იმდენად მძიმე დანაშაულად ითვლებოდა, რომ ასეთ პირებს სიკვდილითაც-კი სჯიდნენ[38].

ჩინგიზ-ხანმა კარგად იცოდა თავისი უახლოესი თანამშრომლების მრისხანე და თავშეუკავებელი ხასიათი და ამიტომ ის თავის შვილებს ურჩევდა მცირე ნოინებისა და ბეკებისადმი დასჯის დროს სიფრთხილე და აუჩქარებლობა გამოეჩინათ. ის უფლისწულებს, თავისსავე შვილებს, არიგებდა: ეს ბეგები თქვენთვის მომიცია, მაგრამ, შვილნო ჩემნო, თქვენ ჯეელები ხართ, მათ კი ცხოვრების უკვე დიდი გზა აქვთ განვლილი. თუ რომელიმე მათგანი რამეს დააშავებს, მხოლოდ თქვენ სურვილს ნუ აჰყვებით და ნუ მოჰკლავთ, არამედ ჯერ შემეკითხეთ, შემდეგ ერთმანეთშიც მოითათბირეთ და მაშინ, ვისაც სასჯელის ღირსად სცნობთ, დასაჯეთო. ჩინგიზ-ხანი უფროს-უმცროს მოხელეებისადმი ლმობიერების მსგავსად გონიერების გამოჩენასაც-კი ურჩევდა: რაკი უფროსი ბეგები გულით მსახურებენ, ამიტომ, თუ რამეს დააშავებენ, მათი ბრალი საჯაროდ გამოარკვიეთ, რომ ამ საქმის გამო გულში ჯავრი არ ჩაჰყვეთ და ამასთანვე დარწმუნდნენ კიდეც, რომ, რაც მათ გადახდებათ, მრისხანებისა და უგუნურების გამო-კი არ დაემართებათ, არამედ მხოლოდ მათივე დანაშაულების შედეგად. მაგრამ მონღოლთა ყაანის უფლისწულებისა და დიდი ხელისუფლების მოქმედება რომ ასეთი გონიერების მაგიერ ხშირად სწორედ მრისხანებითა და თავშეუკავებლობით არ ყოფილიყო ნაკარნახევი, ცხადია, ჩინგიზ-ხანს თავისი შვილების ამნაირად დარიგება არ დასჭირდებოდა.

თვით მონღოლთა უზარმაზარი საბრძანებლის დამაარსებელსაც მრისხანების არა-ერთი მაგალითი მიუცია სხვებისათვის. თვით მისივე მსჯელობით, ერთი ადამიანის დანაშაულებისათვის ყველა მის მახლობლებსაც უნდა ეგოთ პასუხი. ჩინგიზ-ხანის ბრძნულს გამონათქვამებში სწორედ ასეც არის აღნიშნული: ყოველ ბეგს, ე. ი. ხელისუფალს, რომელიც თავისი საგამგეოს საქმეებს ვერ გაუძღვება, თავის ცოლშვილითურთ პასუხისმგებლად ვთვლით და მის მაგიერ ვისმე სხვას ამოვირჩევთო[39]. ამრიგად დანაშაულებისათვის, პირადი პასუხისმგებლობის მაგიერ, აქ ოჯახობრივი პასუხისმგებლობაა წესად მიღებული, ე. ი. ისეთი იურიდიული აზროვნობა, რომელიც გვაროვნულ პასუხისმგებლობის წესისაგან მხოლოდ ოდნავ განსხვავდება. შურისძიებისა და შიშის ზარის ჩანერგვის მეტი აქ არაფერია მოკარნახედ საგულისხმებელი. ესეც-კია, რომ უამისოდ ველურ თავისუფლებას მოკარნახედ საგულისხმებელი. ესეც-კია, რომ უამისოდ ველურ თავისუფლებას მიჩვეული მონღოლების თვითნებობის ალაგმვა და მოვალეობის წესიერი ასრულების აუცილებლობის შეგნების ჩანერგვა ალბათ სხვა საშუალებით ვერც მოხერხდებოდა.

რაკი მონღოლები შემდეგშიც მომთაბარეობით მესაქონლეობის მიმდევარნი დარჩნენ, ამიტომ მათი არსებობის საკითხს, დიდი საბრძანებლის შექმნის შემდეგაც, საქონლისათვის საჭირო საძოვრები წარმოადგენდა. თავდაპირველად გარკვეული ფართობის საძოვარი მთლიანად გვარს ეკუთვნოდა, შემდეგ მეთაურისა და სულ ბოლოს ყაანის, უფლისწულებისა

---

[38] **ბართოლდი,** Туркестан, გვ. 415.

[39] **რაშიდედდინი, I**გვ. 77, 167, 111, 122.

და დიდი ხელისუფალი ნოინების განკარგულებაში გადავიდა: ისინი ანაწილებდნენ საძოვრებს და საზღვრავდნენ მათ ფართობსა. მათ ნებადაურთველად არავის უფლება არ ჰქონდა ადგილი მოენაცვლებინა სხვაგან სადმე წასულიყო. მათზევე იყო დამოკიდებული, თუ საგამგეოს რომელ მოხელეს სად უნდა ჰქონოდა სადგომი[40].

საძოვრებად განკუთვნილ ფართობს გარეშე, მონღოლთა ყაანსა და მის დიდ ხელისუფლებს ცალკე ნაკვეთებიც ჰქონდათ ნაკრძალად, ყურუღ-ად, გამოყოფილი, სახელდობრ სხვადასხვა სიდიდის ფართობი საჯერგო ნადირობისათვის და ხანის საგვარეულოს სასაფლაოდ.

თუმცა საქონელი მონღოლთა ყოველი საგვარეულოსა და ოჯახის საკუთრებას წარმოადგენდა, მაგრამ მას შემდგომ, რაც საძოვრების განაწილების უფლება ჯერ მეთაურებმა, ხოლო მერმე ყაანმა და მისმა მოხელეებმა ჩაიგდეს ხელში და პატრონყმობაც დამყარდა, მონღოლებს მოვალეობაცა და გადასახადებიც გაუჩნდათ, მათი გამოღებაც მოუხდათ. ცხადია, რომ სხვადასხვა ახლად გაჩენილი ეს მოვალეობა უნდა მონღოლთა ყოფაცხოვრებასა და მეურნეობასთან ყოფილიყო დაკავშირებული. ხოლო, რაკი მათი ყოფაცხოვრება და მეურნეობა მესაქონლეობასა და ლაშქრობა-ნადირობაზე იყო დამყარებული, ამიტომაც მათი გამოსაღებელიც მესაქონლეობას უნდა დასწოლოდა ტვირთად, ბეგარად-კი ჯერგის ნადირობისა და ლაშქრობისათვის საჭირო რაოდენობით შეიარაღებული ხალხის გამოყვანა იქცა.

მესაქონლეობაზე გამოსაღებლად დასაკლავი საქონლის გამოყვანა და საწველად გაცემა დაწესდა. ჩინგიზ-ხანის დროსვე უკვე საკმაოდ ბევრი გადასახადები ჩანს, მაგრამ ჯუვეინის მათი მხოლოდ სახელები მოეპოვება, რაობა და სიდიდე-კი განსაზღვრული არ არის. მე-13 ს. მონღოლური მატიანითა და ჩინური ცნობით, ჩინგიზის მემკვიდრის ოგედე-ხანის დროს საგადასახადო სისტემის მოწესრიგება დაიწყო და გადაწყდა, რომ რქოსან სხვილფეხა ნადირისა და წვრილფეხა ფარის100 სულ საქონელზე თითო საქონელი უნდა მოეცათ, ხოლო ცხენის ჯოგის 100 ცხენზე ერთი ფაშატი[41]. ნამდვილად-კი ამაზე გაცილებით უფრო მეტი გადასახადები არსებობდა. რის შესახებაც შემდეგ გვექნება საგანგებოდ საუბარი.

საერთოდ უნდა გათვალისწინებული იყოს, რომ დაწესებული გადასახადების მოკრების დროს მოხელეთა ისეთი თვითნებობა და ძალმომრეობა სუფევდა, რომ, დას. ევროპითგან მონღოლეთში მე-13 ს. ნაყოფი დამკვირვებლების ცნობით, მონღოლთა ყაანს და მის დიდ ხელისუფლებს ყველაფრის წაღება და წართმევა შეეძლოთ, რაც-კი მოეწონებოდათ და რამდენიც კი მოჰსურდებოდათ. მდგომარეობის ასეთი დახასიათების სისწორე იმ გარემოებითაც მტკიცდება, რომ მონღოლთა ხანის სპარსელი ისტორიკოსების ჯუვეინისა და რაშიდ-ედ-დინის თხზულებებშიც გადასახადების აკრების დროს ბატონიშვილებისა და მოხელეებისაგან ჩანადენს ასეთ უწესოებაზე ბევრგან არის ჩივილი.

4. მონღოლთა კულტურული დონე და ამაზე დამოკიდებული მათი საბრძანებლის ბედიღბალი

ჩინგიზ-ხანისაგან შექმნილი მონღოლთა საბრძანებლის საბოლოო ბედიღბლის გასაგებად ერთი საყურადღებო გარემოებაა აღსანიშნავი: იმისდა მიუხედავად, რომ ჩინგიზ-ხანმა

---

[40] **ვლადიმირცოვი,** გვ. 110-112.
[41] იქვე, გვ.114.

უშველებელი საყაანო დააარსა, რომელსაც საგვარეულოსთან, რა თქმა უნდა, შეუძლებელია რაიმე საერთო ჰქონოდა და თითონ მანაც პირადად თავის თანამემამულეების გვაროვნული წესწყობილების რღვევას თავისი ზემოაღნიშნული მოქმედებით ხელი შეეწყო, მაინც გვაროვნული მსოფლმხედველობა მასაც, ეტყობა, იმდენად ჰქონდა ძვალრბილში გამჯდარი, რომ ახლად დაარსებული თავისი საბრძანებელი თავის შვილებს კერძო საგვარეულო საკუთრების მსგავსად გაუყო და თავის მახლობელ თანამებრძოლთაც უწყალობა. საყაანო ამრიგად მას ყაანის საგვარეულო საკუთრებად ჰქონდა მიჩნეული და ისე გამოდიოდა, თითქოს მის საგვარეულოს ყოველ წევრს, ბატონიშვილს, ამ სამფლობელოს რომელიმე ნაწილის თავისთვის საუფლისწულოდ მიღების უფლება ჰქონდეს[42]. მართალია, ასეთი საუფლისწულოების მკვიდრი მოსახლეობა თავდაპირველად ყაანს ექვემდებარებოდა და ამ მოსახლეობისათავის მას საგანგებოდ მიჩენილი მოხელეები, დარუღანი, ჰყავდა, უფლისწულებს-კი მხოლოდ მათგან აღებული გადასახადები ერგებოდათ (ამ გადასახადების აკრების უფლება თითონ მაინც არ ჰქონდათ), მაგრამ ასეთი ვითარებაც მხოლოდ პირველ ხანებში იყო, შემდეგ-კი თანდათანობით საუფლისწულოს მთელი მოსახლეობა გამგე უფლისწულთა ხელში გადავიდა და მათი დამოკიდებულებაც ყაანისაგან ფორმალური გახდა.

მონღოლთაგან დაპყრობილი კულტურული სახელმწიფოების სხვადასხვა ნაწილების ყაანებისაგან საუფლისწულოდ და საპატრონყმოდ გაცემა რომ დაიწყო, ამ სახელმწიფოების მოსახლეობას მარტო ესა თუ ის უფლისწული, ან და ნოინი-კი არ დააწვა კისერზე, არამედ მთელი მისი ურდო ან და ტომი და საგვარეულოც, რომელნიც მას თან სდევდნენ და რომელთაც ისინი, ვითარცა დამპყრობელ ძალას, ეყრდნობოდნენ. ხოლო, რაკი მონღოლებიც, როგორც უკვე ვიცით, თავიანთი ცოლშვილებითა და მთელი ჯოგ-ნახირ-ფარებითურთ მიდიოდნენ ყველგან, ამიტომ მათი სადმე დაბინავება ახალი ხალხის გადასახლებასა და ჩასახლებას უდრიდა. ამ მონღოლებს ზამთარ-ზაფხულისათვის სადგომ-საძოვრებიც ხომ სჭირდებოდათ, ამიტომ, ცხადია, რომ სადაც ისინი თავიანთვის ფართობს აირჩევდნენ, ადგილობრივ მკვიდრ მოსახლეობას იქ აღარც ედგომებოდა და იმ ადგილებს იგი ვერც საძოვრად-ღა გამოიყენებდა. ამრიგად დაპყრობილი ქვეყნების მკვიდრ მცხოვრებთ დაპყრობილთა მარტო მოხელეებისა-კი არა, არამედ მონღოლთა მთელი ტომების დედაბუდიანად და საქონლიანად შენახვის ტვირთიც აწვებოდათ.

ჩინგიზ-ხანს კარგად ჰქონდა შეგნებული ვაჭრობა–მრეწველობის დიდი მნიშვნელობა. ამიტომ პირადად ისიცა და მისი მომდევნო მონღოლთა ყაენებიც ცდილობდნენ ვაჭრებისა და ხელოსნებისათვის თითქოს ხელშემწყობი პირობები შეექმნათ. მათ ჰსურდათ, რომ ვაჭრობასა და ხელოსნობას თვით მონღოლთა შორისაც ფეხი მოეკიდა და მისი ცოდნა გავრცელებულიყო.

რაკი მონღოლთ, მათი განვითარების დაბალი კულტურული დონის გამო, ვაჭრები სრულებით არ ჰყავდათ, ხოლო ხელოსნები ცოტანი და მხოლოდ ვიწროდ შემოფარგლული სამეურნეო საჭიროების დასაკმაყოფილებლად გამოსადეგნი მოეპოვებოდათ, დიდი კულტურული ერების ყოფაცხოვრების დანახვამ-კი მათ ხელოსნობის მთელი მნიშვნელობა მწვავედ აგრძნობინა, ამიტომ, ამისათვის შესაფერისი საკუთარი პირების ნაკლებობასა და უქონლობის შევსება, მათ ისევე სცადეს, როგორც არაერთხელ წინათ და სხვა ქვეყნების დამპყრობელთ უცდიათ: კულტურულად დაწინაურებული და კარგად განსწავლული ხელოსნების მყოლი დაპყრობელი ქვეყნებითგან მონღოლებმა ხელოსნები აჰყარეს და თავიანთ სურვილისამებრ არჩეულს ადგილზე დაასახლეს. მათ ეგონათ, რომ ამნაირად იქ მონღოლებს შორისაც ხელოსნობის ეს დარგების ეს დარგები და მაღალხარისხოვანი ცოდნა გაჩნდებოდა[43].

---

[42] იქვე, გვ. 98-99.

[43] **ვლადიმირცოვი,** გვ. 115.

გამართლდა თუ არა, მონღოლთა ეს ოცნება, ამაზე შემდეგ, თავის ადგილას, გვექნება საუბარი, ამჟამად-კი ჩვენთვის უფრო ის გავლენა საყურადღებო, რომელიც მონღოლთაგან დაპყრობილი კულტურული ქვეყნების წარმატებაზე მათი ყაანების ზემოაღნიშნულს პოლიტიკას უნდა მოეხდინა. ცხადია, რომ ასეთ საშუალებას ადგილობრივი წარმოება-ხელოსნობისათვის დიდი ზიანი უნდა მიეყენებინა და, უეჭველია, მათ დაქვეითებისათვის ხელი უნდა შეეწყო.

დამწერლობა მონღოლებს მხოლოდ ფართო დამპყრობლობითს პოლიტიკურ ასპარეზზე გამოსვლის ხანაში გაუჩნდათ. მონღოლური ანბანი უიღურთაგან არის შეთვისებული და უიღურნივე იყვნენ მათი მასწავლებელნი და პირველი მდივანმწიგნობრები. თვით ჩინგიზ-ხანი წერაკითხვის უცოლდინარი იყო, მაგრამ მისი მნიშვნელობა კარგად ესმოდა და ყოველნაირად ცდილობდა, რომ თავის უფლისწულებისა და თანამეტომეთათვის წერაკითხვა და განათლება შეესწავლებინებინა. მისი ყოველივე ცდა მხოლოდ ამაო გამოდგა: მონღოლთაგან არც ბატონიშვილებსა და არც სხვას ვისმე ამისათვის გულმოდგინეობა და მოთმინება არ გამოუჩენია – განათლება მაღალ წრეებშიცა და ხალხშიც ნელი ნაბიჯითა და სუსტად ვრცელდებოდა. თუმცა მონღოლებმა მეზობელთგან ზოგი რამე შეითვისეს, მეტადრე უიღურებისა და ჩინელებისაგან, რომელთაც ძველ დროითგანვე უკვე მაღალი კულტურა ჰქონდათ, მაგრამ მონღოლები თავიანთი ყოფაცხოვრების წესით იმდენად განსხვავდებოდნენ ჩინელებისაგან, რომ მათგან მხოლოდ ზოგიერთი რაიმეს შეთვისება შეეძლოთ გარეგნულად.

ვითარცა უბინადრო მომთაბარე მესაქონლე ხალხის შვილთ შეეფერება, მონღოლები სამოქალაქო მართვაგამგეობასა და სამოხელეო საქმიანობაშიც გამოუცდელნი იყვნენ, ამიტომ მონღოლთა ხელისუფლებს მათდამი დაკისრებული თანამდებობის ასასრულებლად მცოდნე პირები სჭირდებოდათ თანაშეემწეობად. ასეთი მოხელეების მოძებნა-შერჩევა-კი მათ უიღურთა, ნესტორიან ასურელებსა და ხავარაზმ –ერან-არაბეთის მაჰმადიან იმ სოვდაგრებსა და მოხელეთა შორის შეეძლოთ, რომელთაც, ვითარცა მონღოლეთში ნამყოფებმა, მონღოლური იცოდნენ და თავიანთ ახალ ბატონებისათვის ამ მხრივაც გამოსადეგნი იყვნენ. მონღოლთ თავიანთ შორის დაპყრობილი ქვეყნების მოსახლეობის ენების მცოდნენი არ გააჩნდათ, ამიტომ მათ მოენე შუამავლებიც, თარჯიმანიც სჭირდებოდობათ. ამ თარჯიმნებს დიდი ძალა ჩაუვარდათ ხელში და მათზე მაშინდელ დროში ბევრი იყო დამოკიდებული. რაკი მონღოლთა მაღალი თანამდებობის პირნი არც სამოქალაქო მართვაგამგეობაში იყვნენ გამოცდილნი და არც ენები იცოდნენ, რომ მათ ქვეშე მყოფი ხალხის ჭირვარამი და მიყენებული უსამართლობის უშუალოდ გაგება შესძლებოდათ, ამიტომ მათი მოქმედება თითქმის მთლიანად ამ მოენე მოხელეების პატიოსნება-სინდისიერებაზე იყო დამოკიდებული, რაც ამ ხანაში იშვიათი თვისება იყო.

შემდეგ უნდა ითქვას, რომ მონღოლთა საერთო ნაკლს მაგარი სასმელებისადმი თავშეუკავებელი მიდრეკილება შეადგენდა. მათ შორის ლოთობა ძალზე იყო გავრცელებული. ამ სენმა, მრავალცოლიანობასა და სქესობრივ თავაშვებულებასთან ერთად, მათ მმართველ წრეს დიდი ზიანი მიაყენა და მათ ფიზიკურსა და სულიერ გადაგვარებას შეუწყო ხელი.

ყველა ზემონათქვამიდან ცხადი გახდებოდა, თუ რამდენად დიდი განსხვავება არსებობდა ძლევამოსილ მონღოლებსა და მაშინდელი მახლობელი აღმოსავლეთის დაპყრობილ ხალხებს შორის, როგორც სოციალური და სახელმწიფო წესწყობილების, ისევე კულტურის განვითარების დონის მხრით. უკანასკნელნი ყველაფრით უფრო მაღლა იდგნენ.

5. ჩინგიზ-ხანისა და მონღოლთა გამარჯვება- ძლევამოსილების მიზეზები

ბუნებრივად იბადება საკითხი, მაშ როგორ მოხდა, რომ ასეთი უპირატესობისდა მიუხედავად, მონღოლებმა გაიმარჯვეს და ჩინგიზ-ხანმა ისეთი ვრცელი და გასაოცრად მრავალეროვნებიანი საბრძანებლის შექმნა შესძლო, რომლის მსგავსი არც მანამდე და არც შემდეგში ოდესმე ყოფილა?

ცხადია, არავის ფიქრად არ მოუვა, რომ მონღოლების ლაშქრობას ჩინგიზ-ხანის მეთაურობით მახლობელი აღმოსავლეთის კულტურის ისტორიაში ოდნავად მაინც ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობის რაიმე მსგავსი მნიშვნელობა მიაკუთვნოს, თუმცა-კი მათი ბატონობის კულტურული მნიშვნელობის აღმსარებელი მეცნიერი არა ერთი გამოჩენილა. ამგვარადვე მონღოლთა გამოჩენა საისტორიო ასპარეზზე არაბთა მსგავსი მოვლენისაგანაც ძირიანად განსხვავდება. ახლად გამაჰმადიანებულსა და გაერთიანებულ არაბებს, ყველგან, სადაც ისინი შედიოდნენ, თან ახალი სარწმუნოებრივი მოძღვრება მიჰქონდათ, რომლის გასავრცელებლად მათ ხშირად ქადაგებით დაჯერებაზე უფრო მეტად პირველ ხანებში ძალმომრეობა და ცეცხლი და მახვილი გამოუყენებიათ, ხოლო შემდეგში არა-პირდაპირი, პოლიტიკური და ფინანსიური საშუალებანი. მოონღოლები კერპთაყვანისმცემელნი, შამანები, იყვნენ და თავიანთი სარწმუნოების სხვაგან გასავრცელებლად ოდნავაც თავი არ შეუწუხებიათ. არც ერთი ცნობა არ მოგვეპოვება, რომ ასეთი აზრი მათ ოდესმე მოსვლოდეთ. პირიქით, ისინი ყველა სხვა სარწმუნოებას შიშით, კრძალვითა და პატივისცემით ეპყრობოდნენ და არავინ მათი ბატონობის დროს ისეთ ხელსაყრელ პირობებში არ ყოფილა, როგორშიც ყველა აღსარების მღვდელმსახურნი იყვნენ. მონღოლთა ლაშქრობა უფრო ჰუნექბისა და ვანდალების შემოსევას მიაგავდა: სამხედრო და სამეკობრო-დამპყრობლობით მიზნების გარდა, არც ჩინგიზ-ხანს და არც მის მემკვიდრე ყაანებს არათერი იდეური ამოცანა გარეგნულადაც-კი არ დაუსახავთ.

მონღოლებს ისტორიის ფართო სარბიელზე ახლად გამოსული ხალხის სიცოცხლითა და ენერგიით სავსე ჭაბუკური ძალა ჰქონდათ. ეს ახალგაზრდული ენერგია და ლაშქრობა-ნადირობის დაუშრეტელი ხალისი ჩინგიზ-ხანმა მარჯვედ გამოიყენა და თავის შექმნილი იმ სამხედრო ორგანიზაციით, რომლის შესახებაც უკვე გვქონდა საუბარი, მთელი მონღოლეთი ნამდვილ სამხედრო ბანაკად აქცია. ამან მას საშუალება მისცა მთელი ხალხის ძალღონე ყოველ წუთს საჭიროებისამებრ დაუბრკოლებლივ გამოეყენებინა.

ასეთ პირობებში მონღოლთა მკვიდრი ბინადრობის უქონლობაც-კი ფრიად ხელსაყრელი გამოდგა, რათგან ცხადია, რომ მთელი შემადგენლობითა და სარჩო-საბადებლით სწრაფი გადასვლ-გადმოსვლის ასეთი შესაძლებლობა მონღოლებს სხვებთან ბრძოლის დროს დიდ უპირატესობას ანიჭებდა: სამხედრო მოქმედების გამო მოყენებული ზარალის შევსებას ახალ-ახალი მოლაშქრეების გამოყვანით ისინი ადვილად ახერხებდნენ. მათ მკვიდრ ბინადრების წესის მიმდევარ მოწინააღმდეგეს –კი ამისათვის ბრძოლის ველზე ახალი ძალის გასაწევად დროც გაცილებით მეტი სჭირდებოდა და სახსრებიც.

ამის საწინააღმდეგოდ მახლობელ აღმოსავლეთში, მეტადრე ერანში, სრული დაქსაქსულობა სუფევდა: ათაბაგის ქიშპობა-მტრობა და უმწეობა იყო. არაბთა სახალიფოს ხომ დიდი ხანია უკვე ძალა გამოლეული ჰქონდა და თვით ხალიფაც სხვა მოდგმის მოლაშქრეთა მეთაურების სათამაშო ბურთად იყო გცეული. საქართველოს სახელმწიფოებრივი სიმტკიცე ლაშა-გიორგისა და რუსუდანის მეფობის დროს შეირყა ცალკე ამ ორი პირის ასეთი პასუხსაგები თანამდებობისთვის შეუფერებლობით, უფრო მეტად-კი დიდგვარიან აზნაურ მეპატრონეთა თვითნებობა-ქიშპობის აულაგმელობით. ძლიერი ნობისყოფის პატრონი მესაჭის უყოლობამ ამ დიდ ხელისუფლებს თავიანთი მოვალეობა დაავიწყა და პირად კეთილდღეობაზე ზრუნვამ სახელმწიფო ინტერესები ანაცვლებინა. დასასრულ, როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, ხვარაზმშაჰ ჯალალედინმაც თავისი უგუნური პოლიტიკით მისდა

უნებურად მონღოლებს გზა გაუკაფა და მათ გამარჯვებას უკვე მთლიანად შემზადებული ნიადაგი დაახვედრა.

ამასთანავე უცილობელია ჩინგიზ-ხანის დიდი სამხედრო ნიჭიც: მან ფართოდ გამოიყენა ერთი სამხედრო ხერხი, რომელმაც მონღოლებს ხშირად მოიპოვა გამარჯვება მათზე გაცილებით უფრო მრავალრიცხოვან მოწინააღმდეგესთან ბრძოლის დროსაც, -ლაშქრის ორ ნაწილად გაყოფა, ერთი ნაწილის გარკვეულ ადგილას უკან ჩასაფრება, მეორე ნაწილით-კი პირისპირ შებრძოლება, რომელთაგან ამ უკანასკნელს წინასწარ ნაბრძანები ჰქონდა ბრძოლის დროს განზრახ უკან დაეხია და ვითომცდა გაქცეულიყო ჩასაფრებულთა ადგილამდე. როდესაც მოწინააღმდეგის შესატყუებლად გაქცეული მონღოლთა რაზმი ჩასაფრებულთა ადგილს გასცილდებოდა, მაშინ უკვე ისინი უნდა შემდგარიყვნენ და, საფრითგან ამოცვივნულ მონღოლთა რაზმთან ერთად, შეცდენილი მტერი შუაში მოექციათ. მონღოლთა ასეთს მოულოდნელ ორმხრივს შეტევას, რასაკვირველია, ვერავინ გაუძლებდა და მოწინააღმდეგე ჯარი იღუპებოდა.

მას შემდგომაც, როდესაც ომი უკვე დამთავრებული ჰქონდათ, ქვეყანა და ხალხიც დამორჩილებული ჰყავდათ, არასდროს მონღოლები ადგილობრივ მოსახლეობაში ქალაქებსა და სოფლებში არ დაბინავებულან. მათ და მათ ოჯახობას, ისევე როგორც ჯოგ- ფარებს, დიდი ფართობის საძოვარ- სადგომები სჭირდებოდათ და მათი ბინაც იქვე იყო ხოლმე. ამგვარად, ამ დროსაც ისინი კვლავ ადგილობრივ მკვიდრთაგან განცალკევებულს სამხედრო ბანაკს წარმოადგენდნენ, რომელიც, თანამედროვე საოკუპაციო ჯარის მსგავსად, ყოველ ჟამს საბრძოლველად გამზადებული იყო. ასეთი წესი მათ საშუალებას აძლევდა აჯანყების ყოველივე ცდისათვის სწრაფად წინააღმდეგობა გაეწიათ და ადვილად ჩაექროთ.

IV. უმეფობის ხანა საქართველოში

1. მონღოლთაგან საქართველოში შემოღებული წყობილება და უმეფობის დროს დამყარებული მდგობამეობა.

დავითი რუსუდანის ძის მონღოლთა ყაანის ურდოში წასვლამა და იქ ხანგრძლივ ჩარჩენამ, ისევე როგორც რუსუდანის სიკვდილმა, საქართველო უმეფო ქვეყნად და უპატრონო სახელმწიფოდ აქცია, რათგან ლიხთამერეთში გაბატონებული მონღოლთა სამხედრო ხელისუფლება მხოლოდ დამპყრობელი ძალა იყო.

საქართველოსა და მონღოლთა სახელმწიფო წესწყობილებათა შორისაცა და კულტურულ მდგომარეობისა და უფლებრივი შეგნების დონის მხრითაც, როგორც უკვე დავრწმუნდით, ფრიად დიდი განსხვავება იყო. რა თქმა უნდა, შეუძლებელია, რომ ამის გამო საქართველოს სახელმწიფოებრივობასა და კულტურულ მდგომარეობას მონღოლთა პოლიტიკური ბატონობის კვალი არ დასტყობოდა. მონღოლთა საყაანო სამხედრო საპატრონყმო წესწყობილებასა, მომთაბარე, ექსტენსიურს მეურნეობაზე და ომიანობით მონაპოვარს სახსრებზე სახსრებზე დამყარებულს საბრძანებელს წარმოადგენდა. ამისდა გვარად იქ მთავარი მნიშვნელობა სამხედრო ძალასა და ხელისუფლებას ჰქონდა: ქვეყნისა და ხალხის ბედიღბალი მათ ხელში იყო. საქართველოს სახელმწიფო წესწყობილება-კი სამოქალაქო ხელისუფლების უპირატესობაზე იყო დამყარებული და სამხედრო ხელისუფლებაც მას ექვემდებარებოდა: უკვე მარტო ის გარემოებაც, რომ წიგნობართუხუცესი, ქართული სახელმწიფო სამართლის თანახმად, ვაზირთა ყოველთა, მათ შორის სამხედრო

მინისტრის, ამირსპასალარისაც, უპირველესი და სავაზიროს თავმჯდომარე იყო, საქართველოში სამოქალაქო ხელისუფლების სამხედროზე უპირატესობის უცილობელად გამომჟღავნებულია. მონღოლთა საყაანოში-კი მართვაგამგეობის საჭე მთლიანად ერთეულების უფროსთა ხელში იყო. ქვეყანა 10000 მოლაშქრის უფროსებს, დუმანის ნოინებსა და 1000-ის თავებს ემორჩილებოდა, ხოლო სამოქალაქო ხელისუფლების, უმეტესად არა-მონღოლთაგან გამოსულ-შერჩეული, თანამდებობის პირნი ზემოაღნიშნულ მონღოლთა მხედართმთავრებს ექვემდებარებოდნენ.

დაპყრობილ ქვეყნებში მონღოლებს იმაზე მეტი სახელმწიფოებრივი სიბრძნის მიტანა, რაც თითონ გააჩნდათ, რასაკვირეველია, არ შეეძლოთ და საქართველოც მათ ამის გამო ასევე დუმნებად დაჰყვეს და დუმნების, ანუ "ბევრის", 10000 მოლაშქრის უფროსები დანიშნეს, რომლითაც მონღოლური სახელმწიფო წესწყობილებისამებრ ყოველგვარი სათანადო უპირატესობა უნდა მიეღოთ.

ქართველი ჟამთააღმწერელის ცნობით, მთელი საქართველო მონღოლებს სულ 8 დუმანად გაუყვიათ: აღმოსავლეთითგან რომ დავიწყოთ, პირველ დუმანად შამახიის მთებითგან მოყოლებული ტფილისამდე გადაჭიმულ მტკვრის ჩრდილოეთით მდებარე მთელი ფართობის, - ჰერეთის, კახეთისა და კამბეჩიანის თემების სპა გამოუყვიათ. ამ დუმნის უფროსად მათ ეგარსლან ბაკურციხელი დანიშნეს[44].

მეორე დუმანის სათავეში მანდატურთუხუცესი შანშე მხარგრძელი ჩააყენეს და მას მისი და ავაგ მხარგრძელის საგამგეოს, ე. ი. უმთავრესად სომხეთის თემების, სპა დაექვემდებარა.

მესამე დუმანს საქართველოს სახელმწიფოს მტკვრის სამხრეთით მდებარე აღმოსავლეთის სანაპიროს ლაშქარი შეადგენდა. ეს დუმანი მთელი ამ ქვეყნის მმართველს, ვარამ გაგელს, ჰქონდა დაქვემდებარებული.

მეოთხე დუმნად ქართლის ჯარი იყო გამოყოფილი, რომელიც მთლად ქართლისავე ერსთავთ-ერისთავს გრიგოლ სურამელს მისცეს.

მეხუთე დუმანს ჯავახეთის სამხედრო ძალა შეადგენდა, რომელიც გამრეკელ-თორელს ჩაჰბარდა.

მეექვსე დუმანი სამცხისა და მესხეთის დანარჩენი, კარნუ-ქალაქამდე გადაჭიმული, თემების მოლაშქრეთაგან შესდგებოდა, რომლის მეთაურობაც ციხისჯვარელს ჯაყელს მიენდო.

მეშვიდე და მერვე დუმანებად დას. საქართველოს თემების ჯარი ყოფილა გამოყოფილი, რომლის სათავეშიც ცოტნე დადიანი და რაჭის ერისთავი იქნენ ჩაყენებულნი[45]. თუმცა ისტორიკოსს აღნიშნული არა აქვს, თუ რომელი თემი რომელ მათგანს ექვემდებარებოდა, მაგრამ საფიქრებელია, რომ ცოტნე დადიანს ეგრისი და გურია, რაჭის ერისთავს-კი ლიხთიმერეთის დანარჩენი აღმ. თემები ექნებოდა ხელთ.

მაგრამ ამასთანავე ის გარემოებაც უნდა გვქონდეს გათვალისწინებული, რომ რამდენადაც დას. საქართველო მონღოლებს დაპყრობილი არ ჰქონდათ და იქ მონღოლთა ყაანის უზენაესობა მხოლოდ ნებაყოფლობითი შეთანხმების ძალით იყო ცნობილი, ლიხთიმერეთის ორი დუმანითგან ჯარი შესაძლებელია მხოლოდ მანამდე გამოსულიყო, ვიდრე დავით რუსუდანის ძე მონღოლებს არ აუჯანყდებოდა და არ გადაუდგებოდა. ამის შემდეგ-კი ცხადია, მონღოლური დუმნები შესაძლებელია მარტო აღმ. საქართველოში ყოფილიყო.

---

[44] [**ჟამთაამწერელი,** გვ. 623, 629].

[45] [**იქვე,** გვ. 623-624].

საყურადღებო გარემოებაა, რომ მონღოლთა ეს საგამგეო-სამხედრო სიტემა საქართველოში მაინც ვერ განმტკიცდა და მოსალოდნელი კვალი ქართულ სახელმწიფოებრივობაშიც ვერ დასტოვა: დუმან-ნოინის წოდებულება და თვით ტერმინი დამანიც-კი იმდროინდელს ქართულ საბუთებში ჯერ რსადა ჩანს. მართალია, ნაწილობრივ ეს იმითაც უნდა აიხსნებოდეს, რომ ამგვარი ორგანიზაცია მონღოლური სახელმწიფოებრივობის კუთვნილებას შეადგენდა და მონღოლთა პოლიტიკური ბატონობის განსამტკიცებლად შექმნილი წყობილება იყო. მაგრამ რამდენადაც ქართველებს ამ ბატონების არც შენარჩუნებისა და მით უმეტეს არც განმტკიცების არავითარი სურვილი არ ჰქონდათ და ეს გარემოება ყველა მაშინდელი განმტკიცებულისათვისაც ცხადად შესამჩნევი ყოფილა, რასაკვირველია, მონღოლთა ადგილობრივმა ხელისუფლებამაც კარგად იცოდა, ამიტომ საეჭვოა, რომ მათ თავითგანვე საქართველოს დუმნების ქართველ და სომეხ მთავრებისადმი სრული ნდობა ჰქონოდათ და რომ იმათთვის სათანადო ხელისუფლებითა და სამხედრო ძალით აღჭურვილი მონღოლთა მეთვალყურეებიც არ მიეჩინათ. ხოლო მონღოლთა წინააღმდეგ საქართველოში არაერთგზის ამტყდარი აჯანყება მათ დაარწმუნებდა, რომ ასეთი ძალაუფლების მქონებელი საქართველოს დიდებულების არსებობა მათთვის არამც თუ ხელსაყრელი არ იყო, არამედ ხიფათსაც კი წარმოადგენდა. ამით უნდა აიხსნებოდეს, რომ მე-13 ს. შუა წლებითგან მოყოლებული ქართველი ჟამთააღმწერელის თხზულებაშიც-კი ცნობები საქართველოს დუმნის მთავრობის შესახებ ქრება, მონღოლთა ბატონობის ამბების მომთხრობელ სპარსულ საისტორიო წყაროებში ხომ ამაზე სრულებით არაფერია ნათქვამი. ამ წყობილების არსებობა საქართველოში, ეტყობა, მეტად ხანმოკლე ყოფილა.

თუ დუმნებად დანაწილებისა და მართვაგამგეობის მონღოლური წესი საქართველოში ვერ განმტკიცდა, სამაგიეროდ სამხედრო წრეების უზენაესობის პრინციპმა საქართველოს სახელმწიფო წესწყობილებაზე მაინც ძლიერი გავლენა მოახდინა და კვალიც დასტოვა. უეჭველია, მონღოლთა წესწყობილების წყალობით სამხედრო ხელისუფლების უმაღლესი წარმომადგენელნი აღმ. საქართველოშიც უნდა სწრაფად გაძლიერებულიყვნენ და ამავე მიზეზის გამო, სამოქალაქო ხელისუფლების წინანდელი მნიშვნელობა და გავლენიანობა თანდათან დაჩრდილულიყო, ხოლო შემდეგში მისი ოდინდელი უპირატესობაც მთლიანად მოსპობილიყო.

საქართველოს სახელმწიფო წესწყობტლებაში მონღოლთა ბატონობის ხანაში მომხდარი ცვლილება გარეგნულად სხვაზე უწინარეს და უფრო მკაფიოდ იმაში მოჩანს, რომ მე-13 ს., ისტორიულ ამბებში მეფის შემდგომ ქვეყნის პირველი საჭეთმპყრობელის, მწიგნობართუხუცესისა და ვაზირთა უპირველესის, ხსენება იშვიათად-ღა გვხვდება და სამაგიეროდ თითქმის ყველგან ათაბაგი და ამირსპასალარი, ან და ათაბაგ-ამირსპასალარი ჩანან და მეფის საქართველოთგან გამგზავრების დროს მესაჭეობა მესტუმრის ხელშიც-კი გადადის.

მონღოლთა ბატონობის ხანაში ადამიანის დაწინაურება და აღზევებაც ბევრნაირად მონღოლთა მფარველობასა და სურვილზე იყო დამოკიდებული. რა თქმა უნდა, ასეთ შემთხვევაში პირად ნიჭს და გამჭრიახობასაც ჰქონდა მნიშვნელობა, მაგრამ ამაზე უფრო მეტად, რასაკვირველია, შემგუებლობის უნარსა და თავისი პირადი კეთილდღეობის მისაღწევად საშუალებათა განურჩევლად და მარჯვედ გამოყენებისადმი მიდრეკილებასაც. როდესაც დაწიაურება თუნდაც ჭკუასა, ნიჭსა და ცოდნაზე იყო დამოკიდებული, ადამიანის აღზევება შესაძლებელია ისევე სწრაფად ბედუკუღმართად დამთავრებულიყო, თუ რომ ჭკუასა გულის ნადებს თან შორსგამჭვრეტელობაც არ ახლდა და განდიდებისა და გამდიდრების წადილის სულსწრაფობა გონიერებით ნაკარნახევი წინდახედულობითა და გულცივი ანგარიშით არ იყო შეკავებული.

2. ეგარსლან ბაკურციხელის მცდელობა საქართველოს მესაჭეობის ხელში ჩასაგდებად და მისი საწინააღმდეგოდ ტახტის კანონიერი მემკვიდრის ძებნა-წამოყენება

მონღოლთა ბატონობის დროს წლების განმავლობაში დამყარებულს უმეფობის ხანაში სხვებზე მეტად დიდებულთა შორის საქართველოში ეგარსლან ბაკურციხელი დაწინაურებულა და აღზევებულა. დიდი ჭკუა და იშვიათი მჭერმეტყველების ნიჭი მას თურმე ისეთ უპირატესობას აძლევლა, რომ მის აზრს ყველა უნებლიეთ იზიარებდა[46]. ამ გარემოებამ ის მაშინდელი საქართველოს უცილობელ ხელმძღვანელად აქცია: მის რჩევას ყველანი, მათ შორის უმაღლესი ძალაუფლებით აღჭურვილი ხელისუფლებიც, როგორც ბრძანებას ისე ემორჩილებოდნენ. ეგარსლან ბაუკრციხელის, საქვეყნოდ გამრიგე და სამხედრო ხელისუფლის, ესოდენი აღზევება და მართვაგამგეობის სათავეში მოქცევა, უეჭველია, მხოლოდ მონღოლთა წესწყობილების წყალობით იყო შესაძლებელი, ქართული სახელმწიფო სამართლით მას თავისი სფერო ექნებოდა.

ესოდენი აღზევებაც კი ეგარსლან ბაკურციხელს ეტყობა უკვე აღარ აკმაყოფილებდა: სწრაფმა დაწინაურებამ მას გონიერება დააკარგვინა და პატივმოყვარეობამ წასძლია და საქართველოში მან უკვე სრული განმთავრებაც-კი მოიწადინა. იმ გარემოებამ, რომ ეგარსლან ბაკურციხელის ასეთს მისწრაფებას დიდებულთა წრის ერთ ჯგუფში მომხრენი აღმოუჩნდა, იმდენად წაიტყუა, რომ მას მალე თავისი ოცნების განხორციელებლის იმედიც-კი მიეცა, მაგრამ საქმეთა მიმდინარეობამ ეგარსლან ბაკურციხელი მალე დაარწმუნა, თუ რამდენად უნიადაგო იყო მისი ასეთი წადილი.

თუ მანამდის საქართველოს მაღალი წრეები, დიდებულები, ეგარსლან ბაკურციხელის მეთაურობას უცილობლად სცნობდნენ, მოთმინებით უცდიდნენ მონღოლთა ყაანის ურდოში წასული დავით რუსუდანის ძის ამბავსა და საქართველოს საქმეებს მისი საერთო ხელმძღვანელობით განაგებდნენ, საკმარისი იყო ამ პატივმოყვარე ადამიანის უკანასკნელი გულისნადები გამომჟღავნებულიყო, რომ საქმეთა მიმდინარეობას სულ სხვა მიმართულება მიეღო და მის წინააღმდეგ დიდებულთა ფრიად გავლენიანი და მძლავრი უმრავლესობა დარაზმულიყო.

ეგარსლან ბაკურციხელის მრავალრიცხოვან მოწინააღმდეგეთა ჯგუფში უკვე ისეთი დიდი მოხეელები და ერმრავალი საგვარეულოების წარმომადგენელნი აღმოჩნდნენ, როგორც ყუარყუარე ჯაყელი, გამრეკელი-თორელი, სარგის თმოგველი, გრიგოლ სურამელი, შანშე მხარგრძნლი, ვარამ გაგელი, ორბელნი და სხვა ერისთავნი იყვნენ. არც ერთს მათგანს არავითარი სურვილი არ ჰქონდა თავის ბატონად და უზენაეს ბრძანებელად ეგარსლან ბაკურციხელი გაეხადნა, რომელიც მათ არც შთამომავლობითა და არც სამოხელეო ღირსებით თავიანთ თავზე უმაღლესად და უპირატესად არ მიაჩნდათ.

ამრიგად, საქართველო უნდა ორ მოწინააღმდეგე ბანაკად გაყოფილიყო, რასაც თავისთავად უთანხმოება და შინაგანი ბრძოლის გაჩაღება მოჰყოლოდა შედეგად. ამის თავითგან აცილება შესაძლებელი იყო მხოლოდ საქართველოს სახელმწიფოს ტახტის კანონიერი მემკვიდრის წამოყენებით და სწორედ ამ მიზეზის გამო და ამნაირად ეს საკითხი კვლავ გადაუდებელ საჭირბოროტო ამოცანად იქცა[47].

---

[46] [იქვე, გვ. 629].
[47] [იქვე, გვ. 638].

რაკი დავით რუსუდანის ძე დიდი ყაანის ურდოში ჩარჩა და დანამდვილებით ჯერ არავინ იცოდა, თუ როგორ დატრიალდებოდა მისი ბედი, ამიტომ ასეთ პირობებში საქართველოს იმ მესვეურებმა, რომელთაც ეგარსლან-ბაკურციხელის თავისთავზე დასკუპება არავითარ შემთხვევაში არ ჰსურდათ, სახელმწიფო ტახტისათვის სხვა მემკვიდრის მოძებნა უცილობლად საჭიროდ მიიჩნიეს და გადაუდებელ მიზნად დაისახეს.

საქართველოს სამეფო საგვარეულოს ერთად-ერთი შთამომავალი ლაშა-გიორგის "უკანონო" შვილი დავითი-ღა იყო გადარჩენი და სხვა აღარავინ მოიპოვებოდა. ამიტომაც ეგარსლაგ ბაკურციხელის მოწინააღმდეგე დიდებულთა ჯგუფმა მონღოლთა ადგილობრივი ხელისუფლების წინაშე დავით ლაშა-გიორგის ძის რუმის სასულტნოთგან, სადაც ის იმყოფებოდა, ჩამოყვანისა და საქართველოს სამეფო ტახტზე აყვანის შესახებ შუამდგომლობა დაიწყო და, სათანადო თანხმობის მიღების თანავე, 1245-ნწ. თავისი განზრახვა განახორციელა კიდევაც.

ეგარსლან ბაკურციხელი მაინც უკვე იმდენად გამდიდურებული იყო, რომ, ამით ნაწყენი, იმ დროს, როდესაც ყველამ დავით ლაშა-გიორგის ძის საქართველოში ჩამოსვლისას ტახტის მემკვიდრედ განზრახულს ბატონიშვილს გაეგებნენ, მან დახვედრაც კი არ მოისურვა.

3. დავით V-ის გიორგი-ლაშას ძის საქართველოს ტახტის მემკვიდრედ დასახელება და გამწვავებული ბრძოლა დავით IV-ისა და დავით V-ის მომხრეთა შორის საქართველოშიც და ყაანის კარზეც

ცხადია, რომ ვერც ეგარსლან ბაკურციხელი და ვერც მისი მომხრე ჯგუფი საქართველოს სახეომწიფო საჭედმპყრობელად ახლადწამოყენებულს კანდიდატს უკამათოდ და უბრძოლველად ვერ შეიწყნარებდნენ.

რა თქმა უნდა, ბრძოლის დროს ყველაზე უფრო ადვილი იყო მისი კანონიერების საკითხის საკამათოდ გცევა, და ამ ჯგუფსაც მიზანშეწონილად უცვნია, რომ თავისი შეტევა სწორედ ამ მხრით დაეწყო: დავით უფლისწული ლაშა-გიორგის კანონიერი შვილი ხომ არ არის, მაშასადამე, მას საქართველოს სახელმწიფოს დამკვიდრების უფლება არა აქვს. საკითხის ასე დაყენება მით უფრო იყო ხელსაყრელი, რომ ამ თვალსაზრისს ბევრნი ისეთნიც აღიარებდნენ სრულ ჭეშმარიტებად და მთლიანადაც გაიზიარებდნენ, რომელნიც ეგარსლან ბაკურციხელის გაბატონების მომხრენი ოდნავადაც არ იყვნენ.

ერთად-ერთი, რის თქმაც დავით ლაშა-გიორგის ძის მომხრე დიდებულთა ჯგუფს თავის წინადადებისა და ნაბიჯის გასამართლებლად შეეძლო, ის იყო, რომ სამეფო ტახტის კანონიერი მემკვიდრე უკვე აღარ ჩანდა და მაშინდელ მდგომაროეობაში სხვა კანდიდატი არ შეიძლება ყოფილიყო.

რაკი ქართული სახელმწიფო სამართლის ძალით დავით ლაშა-გიორგის ძის გამეფების კანონიერება მეტად ძნელი დასაცავი იქმნებოდა, ამიტომ ეს საკამათო საკითხი უნდა მონღოლთა დიდ ყაანს გადაეწყვიტა, მითუმეტეს, რომ მონღოლთა ადგილობრივ მოხელეობას ასეთი უფლება არც-კი ჰქონდა. ამრიგად და ამიტომ დავით ლაშა-გიორგის ძეც მონღოლთა დიდი ყაანის ურდოში იქმნა გაგზავნილი. გასამეფებლად ამორჩეულს უფლისწულს გამგზავრებისას თან მისი მომხრე ჯგუფის ზოგიერთი წარმომადგენელნი გაჰყვნენ, როგორც

მაგ. ამირსპასალარის ზაქარია შანშას ძე, აღბუღა ვარამ გაგელისძე, სარგის თმოგველი და სხვანი.

მონღოლთა დიდი ყაანის ურდოში დავით ლაშა-გიორგის ძეს და მის ამალას, მოულოდნელად დავით რუსუდანის ძე დახვდა. ამ გარემოებამ მდგომარეობა წინანდელზე უფრო გაართულა, რათგან, ერთის მაგიერ, საქართველოს სახელმწიფო ტახტის უკვე ორი მაძიებელი აღმოჩნდა. ქართული სამართლის მიედვით ამ საკითხის გადაწყვეტა ძნელი არ იყო და საქაოთველოს მესვეურნიც უკვე ორ მოწინააღმდეგე ჯგუფად რომ არ ყოფილიყვნენ დარაზმულნი, ქვეყნის მთლიანობისათვის ეს უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხი უცხო დამპყრობელი ძალის წინაშე საკამათოდ არ უნდა ექციათ, მაგრამ სახელმწიფოებრივი და ეროვნული მოვალეობის შეგნებას კერძო ჯგუფურმა თვალსაზრისმა სძლია. არც ერთს მხარეს დათმლბა არ ჰსურდა და მონღოლთა ყაანის კარზე ორივე თავისი კანდიდატის სასარგებლოდ ირჯებოდა.

ქართველ ისტორიკოსს თუ დავუჯერებთ, მამიდაშვილ-ბიძაშვილი, ორივე დავითი, ვითომც პირველად მოწინააღმდეგე ჯგუფების ბრძოლაში იმდენად გარეული არ იყვნენ, რამდენადაც მათი მომხრენი ცდილობდნენ, რომ უეჭველად თავიანთი წადილი გაეყვანათ.

საგულისხმოა, რომ, როგორც დავით რუსუდანის ძის მიმხრობნი ისევე დავით ლაშა-გიორგის ძისანი, საქართველოს მთლიანობის თვალსაზრისზე იდგნენ და მეფედ მხოლოდ ერთი ამ ორთაგანის დასმა სწადდათ. ასეთ პირობებში ბრძოლა უნდა ამ ორი კანდიდატის უფლებრივი უპირატესობის მიხედვით გადაწყვეტილიყო და ამ გარემოების გამო მთელი თავისი სიმწვავით წამოიჭრა საკითხი, თუ რომელს ამ ორ დავითთაგანს, რუსუდანის ძეს, თუ ლაშა-გიორგის ძეს, ჰქონდა მეტი უფლება საქართველოს სახელმწიფოს ტახტის კანონიერ მემკვიდრედ ყოფილიყო ცნობილი.

დავით რუსუდანის ძის მომხრე ჯგუფს თავის სასარგებლოდ სამი მოსაზრება და დებულება ჰქონდა: ჯერ ერთი ის, რომ, როდესაც საქართველოში მონღოლები ჯერ შემოჭრილნი და ლიხთ-ამერეთში მოკალათებულნი არ იყვნენ, დავით რუსუდანის ძე უკვე იყო საქართველოს სამეფო ტახტზე დედის თანამოსაყდრედ დასმული. მეორეც ის, რომ, მას შემდგომაც, როდესაც აღმ. საქართველო მტერმა ხელში ჩაიგდო და მონღოლთა ხელისუფლებასთან დაზავება მოხერხდა, საქართველოს სახელმწიფოს ერთადერთ კანონიერ მესაჭედ იგივე დავით რუსდანის ძე იყო ცნობილი და მაშინ ამის მოწინააღმდეგე არავინ აღმოჩენილა და იმ დროს დავით ლაშა-გიორგის ძე არც კი დაუსახელებია ვისმე. მესამე, უფლებრივი თვალსაზრისითაც დავით ლაშა-გირგის ძეს ქართული სახელმწიფო სამართლის ძალით, ვითარცა"უკანონო" შვილს, მამის სამეფო ტახტი არ ეკუთვნოდა.

დავით ლაშა–გიორგის ძესა და მის მომხრე ჯგუფს არცერთი ზემო აღნიშნული დებულების წინააღმდეგ არაფრის თქმა არ შეეძლოთ. ამიტომ მათ საკამათოთ მხოლოდ ის საკითხი გახადეს, ჰქონდა, თუ არა, მდედრობითი სქესის შთამომავლობას უფლება სამეფო ტახტის კანონიერი მემკვიდრე გამხდარიყო იმ შემთხვევაში, როდესაც მამრობითი სქესის შთამომავლობა არსებობდა. ამას ისინი უარყოფდნენ იმისდა მიუხედავად, რომ დავით ლაშა-გიორგის ძე "უკანონო" შვილი იყო: მათი აზრით ასეთ შემთხვევაში უპირატესობა მაინც მამრობითი სქქესის შთამომავლობას უნდა მიჰნიჭებოდა.

ამრიგად, ბოლოსდაბოლოს ქალის უფლება დავით ლაშა-გიორგის ძის მომხრე ჯგუფმა კვლავ საკამათოდ აქცია. ყველაზე მეტად აქ გულმოდგინეობას თურმე სარგის თმოგველი იჩენდა, რომელიც ქალის შთამომავლობის მემკვიდრეობითი უფლების ძლიერი მოწინააღმდეგე ყოფილა.

რაკი მოწინააღმდეგეთა შორის შეთანხმება ვერ მოხდა და დათმობა არც ერთს მათგანს არ ჰსურდა, საცილობელად ქცეული საკითხი მონღოლთა დიდ ყაანს უნდა გადაეწყვიტა.

კანონიერი და უკანონო შვილის საკითხი მხოლოდ ერთ ცოლქმრობის წესწყობილებაში შეიძლება იყოს მონღოლებს–კი მრავალცოლიანობა ჰქონდათ და თვითოეულს მათგანს, როგორც უკვე აღნიშნული იყო, იმდენი ცოლი ჰყავდა, რამდენის შენახვა შეეძლო და მოესურვებოდა. ამიტომაც კანონიერი და უკანონო შვილების ცნება მონღოლებისათვის სრულებით გაუგებარი იყო. შვილებსაც ისინი მხოლოდ წლოვანობით, უფროს-უმცროსობით არჩევდნენ.

რაკი ქართული სახელმწიფოს სამართლის ძალით დავით ლაშა-გიორგის ძესა და მის მომხრე ჯგუფს საქმის მოგება არ შეეძლო, მან, ყაანის კარზე იმ დროს ნამყოფი, დას. ევროპითგან მოსული დესპანის მოწმობით, თურმე მონღოლთა უზენაეს ბრძანებელს თხოვნა მიართვა, რომ საცილობელი საკითხი, თუ ვის ეკუთვნოდა საქართველოს სახელმწიფო ტახტი, ქართული სამართლის მიხედვით-კი არ ყოფილიყო განხილული და გადაწყვეტილი, არამედ მონღოლთა სამართლის ძალით. რა თქმა უნდა, ეს საქციელი არც საკადრისი იყო და არც გონიერი, რამდენადაც დამპყრობელისათვის საქართველოს სახელმწიფო წესწყობილების და სამართლის შელახვის წაქეზებას წარმოადგენდა, მაგრამ მოწინააღმდეგე პოლიტიკური ჯგუფების ვნებათაღელვა და თავისი სურვილის ყოველგვარი საშუალების მიღწევის წადილი იმდენად დიდი იყო, რომ სახელმწიფოს და ეროვნული ინტერესები თითქოს სრულებით დავიწყებული იყო.

თუ თვით ქართველ დიდებულთა ჯგუფი თავისი კანდიდატითურთ ქართული სამართლის დაცვას არ თხოულობდა, რა საფუძველი ექნებოდა მონღოლებს, რომ მისთვის თავი გამოედოთ? განა მონღოლთა ყაანისა და მის მრჩეველთათვის უფრო სასიამოვნოცა და გასაგებიც არ იქნებოდა, რომ კამათი მონღოლური სამაპრთლის თანახმად გადაწყვეტილიყო?

საქმის ასე მოტრიალება დავით ლაშა-გიორგის ძისა და მისი მომხრე ჯგუფისათვის, რასაკვირველია, მეტად ხელსაყრელი იყო, რათგან საქმის მთლიანად მოგებას უქადდა. მაგრამ მათ იმედი ჰქონდათ, რომ მეფობა მაინც მხოლოდდამხოლოდ დავით ლაშა-გიორგის ძეს დარჩებოდა. ეს მათი მოლოდინი-კი არ გამართლდა: ისევე, როგორც კანონიერსა და უკანონო შვილს შორის მათთვის განრჩევა არ იყო, მონღოლთა აზრით, როგორც უკვე ვიცით, სახელმწიფოში რამდენიმე ყაანის არსებობაც მთლიანობას არ ეწინააღმდეგებოდა, - თვით ჩინგიზ-ხანმაც-კი ახლად შექმნილი უზარმზარი საბრძანებელი გაუყო თავის შვილებს, - უფროსს მათგანს მხოლოდ უზენაესობა ჰქონდა მინიჭებული, დანარჩენი ყაანები-კი თანასწორნი იყვნენ.

4. საქართველოს მესვეურთა პოლიტიკური სიბეცის შედეგი და მონღოლთა ყაანის გადაწყვაეტილება

რაკი თვით საქართველოს წარმომადგენელთავე სურვილით საკამათო საკითხი უნდა მონღოლლური სამართლის მიხედვით გადაწყვეტილიყო, მონღოლთა დიდმა ყაანმა გუიუქმაც ასე ამჯობინა და 1247 წელს ქართველთა ამ გაჭიანურებულ დავას ამრიგად მოუღო ბოლო: საქართველოს სახელმწიფო ტახტის ორივე მაძიებელი მეფეებად დაამტკიცა, მაგრამ, რაკი დავით ლაშა-გიორგის ძე წლოვანობით უფრო ხნიერი იყო, ამიტომაც ის უფროს მეფედ დაინიშნა, დავით რუსუდანის ძე-კი, ვითარცა თავის ბიძაშვილზე ჯეელი, უმცროს მეფედ

სცნო[48]. ამნაირად, დავით რუსუდანის ძემ წააგო და დავით ლაშა გიორგის ძემ არსებითად მოიგო, მაგრამ ამ უკანასკნელისა და მის მომხრეთა პოგლიტიკური ჯგუფის სიბეცით, ნამდვილად და უფრო მეტად-კი ქართული სახელმშიფო სამართალი იყო შელახული და მონღოლურმა გაიმარჯვა, საქართველოს სახელმწიფოებრივს მთლიანობას შეექმნა საფრთხე და მონღოლთა ბატონობისათვის უფრო ხელსაყრელი პირობები დამყარდა!

გუჲუქ დიდი ყაანის ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების თანახმად, სრულიად საქართველოს სახელმწიფო შესაძლებელი იყო და ბოლოსდაბოლოს უნდა ორ სამეფოდ გაყოფილიყო, მხოლოდ უფროსი მეფის უზენაესობის შენარჩუნებით. მაგრამ საბედნიეროდ უკანასკნელს ჟამს ამ ორი მოცილე ბიძაშვილ-მამიდაშვილისა და მათ მომხრე დიდებულებს მაინც იმდენი გონიერება აღმოაჩნდათ, რომ ეს შესაძლებლობა უმალ სინამდვილედ არ ექციათ და საქართველოს მთლიანობა მაშინვე არ დაერღვიათ: ორივე დავითი რომ საქართველოში მეფეებად დაბრუნდნენ, მათ მონღოლური წესით სახელმწიფო არ გაუყვიათ, არამედ ერთიცა და მეორეც საქართველოს დედაქალაქში დარჩა და ქვეყნის მართვაგამგეობაც ორივე ხელით წარმოებდა. მაგრამ, მომავალი განხეთქილების ღვარძლის თესლი, რა თქმა უნდა, მაინც ჩაბნეული იყო და მხოლოდ შესაფერისი ამინდი სჭირდებოდა, რომ ღვარძლი ნიადაგითგან ამოსულიყო და თავისი გესლიანი ნაყოფი მოეტანა.

მხოლოდ მონღოლთა სამართლის გამოყენების თხოვნამ მოუპოვა-კი დავით ლაშა-გიორგის ძეს ის გამარჯვება, რომელსაც სხვა გზით ვერ ეღირსებოდა? თუ იმ გარემოებას გავითვალისწინებთ, რომ მას პირველი თანამეცხედრე, ანუ ცოლი, ჯიგდა-ხათუნი მონღოლთა ყაანის ურდოში 1247-8წ. შეურთავს, შესაძლებელია უნებლიედ ეჭვი დაიბადოს, რომ იქნებ ეს ქორწინებაც უფრო პოლიტიკური მოსაზრებით ნაკარნახევი გადაწყვეტილება იყო, ვიდრე მხურვალე ტრფობით გამოწვეული ნაბიჯი.

IV. უმეფობის ხანა საქართველოში

1. მონღოლთაგან საქართველოში შემოღებული წყობილება და უმეფობის დროს დამყარებული მდგობამეობა.

დავითი რუსუდანის ძის მონღოლთა ყაანის ურდოში წასვლამა და იქ ხანგრძლივ ჩარჩენამ, ისევე როგორც რუსუდანის სიკვდილმა, საქართველო უმეფო ქვეყნად და უპატრონო სახელმწიფოდ აქცია, რათგან ლიხთამერეთში გაბატონებული მონღოლთა სამხედრო ხელისუფლება მხოლოდ დამპყრობელი ძალა იყო.

საქართველოსა და მონღოლთა სახელმწიფო წესწყობილებათა შორისაცა და კულტურულ მდგომარეობისა და უფლებრივი შეგნების დონის მხრითაც, როგორც უკვე დავრწმუნდით, ფრიად დიდი განსხვავება იყო. რა თქმა უნდა, შეუძლებელია, რომ ამის გამო საქართველოს სახელმწიფოებრივობასა და კულტურულ მდგომარეობას მონღოლთა პოლიტიკური ბატონობის კვალი არ დასტყობოდა. მონღოლთა საყაანო სამხედრო საპატრონყმო წესწყობილებასა, მომთაბარე, ექსტენსიურს მეურნეობაზე და ომიანობით მონაპოვარს სახსრებზე სახსრებზე დამყარებულს საბრძანებელს წარმოადგენდა. ამისდა გვარად იქ მთავარი მნიშვნელობა სამხედრო ძალასა და ხელისუფლებას ჰქონდა: ქვეყნისა და ხალხის ბედიღბალი მათ ხელში იყო. საქართველოს სახელმწიფო წესწყობილება-კი

[48] [**მარიამ** დ´ფსი ქ´ ცა, გვ. 651].

სამოქალაქო ხელისუფლების უპირატესობაზე იყო დამყარებული და სამხედრო ხელისუფლებაც მას ექვემდებარებოდა: უკვე მარტო ის გარემოებაც, რომ წიგნობართუხუცესი, ქართული სახელმწიფო სამართლის თანახმად, ვაზირთა ყოველთა, მათ შორის სამხედრო მინისტრის, ამირსპასალარისაც, უპირველესი და სავაზიროს თავმჯდომარე იყო, საქართველოში სამოქალაქო ხელისუფლების სამხედროზე უპირატესობის უცილობელად გამომჟღავნებულია. მონღოლთა საყაანოში-კი მართვაგამგეობის საჭე მთლიანად ერთეულების უფროსთა ხელში იყო. ქვეყანა 10000 მოლაშქრის უფროსებს, დუმანის ნოინებსა და 1000-ის თავებს ემორჩილებოდა, ხოლო სამოქალაქო ხელისუფლების, უმეტესად არა-მონღოლთაგან გამოსულ-შერჩეული, თანამდებობის პირნი ზემოაღნიშნულ მონღოლთა მხედართმთავრებს ექვემდებარებოდნენ.

დაპყრობილ ქვეყნებში მონღოლებს იმაზე მეტი სახელმწიფოებრივი სიბრძნის მიტანა, რაც თითონ გააჩნდათ, რასაკვირეველია, არ შეეძლოთ და საქართველოც მათ ამის გამო ასევე დუმნებად დაჰყვეს და დუმნების, ანუ ”ბევრის”, 10000 მოლაშქრის უფროსები დანიშნეს, რომლითაც მონღოლური სახელმწიფო წესწყობილებისამებრ ყოველგვარი სათანადო უპირატესობა უნდა მიეღოთ.

ქართველი ჟამთააღმწერელის ცნობით, მთელი საქართველო მონღოლებს სულ 8 დუმანად გაუყვიათ: აღმოსავლეთითგან რომ დავიწყოთ, პირველ დუმანად შამახიის მთებითგან მოყოლებული ტფილისამდე გადაჭიმულ მტკვრის ჩრდილოეთით მდებარე მთელი ფართობის, - ჰერეთის, კახეთისა და კამბეჩიანის თემების სპა გამოუყვიათ. ამ დუმნის უფროსად მათ ეგარსლან ბაკურციხელი დანიშნეს[49].

მეორე დუმანის სათავეში მანდატურთუხუცესი შანშე მხარგრძელი ჩააყენეს და მას მისი და ავაგ მხარგრძელის საგამგეოს, ე. ი. უმთავრესად სომხეთის თემების, სპა დაექვემდებარა.

მესამე დუმანს საქართველოს სახელმწიფოს მტკვრის სამხრეთით მდებარე აღმოსავლეთის სანაპიროს ლაშქარი შეადგენდა. ეს დუმანი მთელი ამ ქვეყნის მმართველს, ვარამ გაგელს, ჰქონდა დაქვემდებარებული.

მეოთხე დუმნად ქართლის ჯარი იყო გამოყოფილი, რომელიც მთლად ქართლისავე ერსთავთ-ერისთავს გრიგოლ სურამელს მისცეს.

მეხუთე დუმანს ჯავახეთის სამხედრო ძალა შეადგენდა, რომელიც გამრეკელ-თორელს ჩაჰბარდა.

მეექვსე დუმანი სამცხისა და მესხეთის დანარჩენი, კარნუ-ქალაქამდე გადაჭიმული, თემების მოლაშქრეთაგან შესდგებოდა, რომლის მეთაურობაც ციხისჯვარელს ჯაყელს მიენდო.

მეშვიდე და მერვე დუმანებად დას. საქართველოს თემების ჯარი ყოფილა გამოყოფილი, რომლის სათავეშიც ცოტნე დადიანი და რაჭის ერისთავი იქნენ ჩაყენებულნი[50]. თუმცა ისტორიკოსს აღნიშნული არა აქვს, თუ რომელი თემი რომელ მათგანს ექვემდებარებოდა, მაგრამ საფიქრებელია, რომ ცოტნე დადიანს ეგრისი და გურია, რაჭის ერისთავს-კი ლიხთიმერეთის დანარჩენი აღმ. თემები ექნებოდა ხელთ.

მაგრამ ამასთანავე ის გარემოებაც უნდა გვქონდეს გათვალისწინებული, რომ რამდენადაც დას. საქართველო მონღოლებს დაპყრობილი არ ჰქონდათ და იქ მონღოლთა ყაანის უზენაესობა მხოლოდ ნებაყოფლობითი შეთანხმების ძალით იყო ცნობილი, ლიხთიმერეთის ორი დუმანითგან ჯარი შესაძლებელია მხოლოდ მანამდე გამოსულიყო, ვიდრე დავით რუსუდანის ძე მონღოლებს არ აუჯანყდებოდა და არ გადაუდგებოდა. ამის

---

[49] [**ჟამთაამწერელი,** გვ. 623, 629].

[50] [**იქვე,** გვ. 623-624].

შემდეგ-კი ცხადია, მონღოლური დუმნები შესაძლებელია მარტო აღმ. საქართველოში ყოფილიყო.

საყურადღებო გარემოებაა, რომ მონღოლთა ეს საგამგეო-სამხედრო სიტემა საქართველოში მაინც ვერ განმტკიცდა და მოსალოდნელი კვალი ქართულ სახელმწიფოებრივობაშიც ვერ დასტოვა: დუმან-ნოინის წოდებულება და თვით ტერმინი დამანიც-კი იმდროინდელს ქართულ საბუთებში ჯერ რსადა ჩანს. მართალია, ნაწილობრივ ეს იმითაც უნდა აიხსნებოდეს, რომ ამგვარი ორგანიზაცია მონღოლური სახელმწიფოებრივობის კუთვნილებას შეადგენდა და მონღოლთა პოლიტიკური ბატონობის განსამტკიცებლად შექმნილი წყობილება იყო. მაგრამ რამდენადაც ქართველებს ამ ბატონების არც შენარჩუნებისა და მით უმეტეს არც განმტკიცების არავითარი სურვილი არ ჰქონდათ და ეს გარემოება ყველა მაშინდელი განმტკიცებულისათვისაც ცხადად შესამჩნევი ყოფილა, რასაკვირველია, მონღოლთა ადგილობრივმა ხელისუფლებამაც კარგად იცოდა, ამიტომ საეჭვოა, რომ მათ თავითგანვე საქართველოს დუმნების ქართველ და სომეხ მთავრებისადმი სრული ნდობა ჰქონოდათ და რომ იმათთვის სათანადო ხელისუფლებითა და სამხედრო ძალით აღჭურვილი მონღოლთა მეთვალყურეებიც არ მიეჩინათ. ხოლო მონღოლთა წინააღმდეგ საქართველოში არაერთგზის ამტყდარი აჯანყება მათ დაარწმუნებდა, რომ ასეთი ძალაუფლების მქონებელი საქართველოს დიდებულების არსებობა მათთვის არამც თუ ხელსაყრელი არ იყო, არამედ ხიფათსაც კი წარმოადგენდა. ამით უნდა აიხსნებოდეს, რომ მე-13 ს. შუა წლებითგან მოყოლებული ქართველი ჟამთააღმწერელის თხზულებაშიც-კი ცნობები საქართველოს დუმნის მთავრობის შესახებ ქრება, მონღოლთა ბატონობის ამბების მომთხრობელ სპარსულ საისტორიო წყაროებში ხომ ამაზე სრულებით არაფერია ნათქვამი. ამ წყობილების არსებობა საქართველოში, ეტყობა, მეტად ხანმოკლე ყოფილა.

თუ დუმნებად დანაწილებისა და მართვაგამგეობის მონღოლური წესი საქართველოში ვერ განმტკიცდა, სამაგიეროდ სამხედრო წრეების უზენაესობის პრინციპმა საქართველოს სახელმწიფო წესწყობილებაზე მაინც ძლიერი გავლენა მოახდინა და კვალიც დასტოვა. უეჭველია, მონღოლთა წესწყობილების წყალობით სამხედრო ხელისუფლების უმაღლესი წარმომადგენელნი აღმ. საქართველოშიც უნდა სწრაფად გაძლიერებულიყვნენ და ამავე მიზეზის გამო, სამოქალაქო ხელისუფლების წინანდელი მნიშვნელობა და გავლენიანობა თანდათან დაჩრდილულიყო, ხოლო შემდეგში მისი ოდინდელი უპირატესობაც მთლიანად მოსპობილიყო.

საქართველოს სახელმწიფო წესწყობტლებაში მონღოლთა ბატონობის ხანაში მომხდარი ცვლილება გარეგნულად სხვაზე უწინარეს და უფრო მკაფიოდ იმაში მოჩანს, რომ მე-13 ს., ისტორიულ ამბებში მეფის შემდგომ ქვეყნის პირველი საჭეთმპყრობელის, მწიგნობართუხუცესისა და ვაზირთა უპირველესის, ხსენება იშვიათად-ღა გვხვდება და სამაგიეროდ თითქმის ყველგან ათაბაგი და ამირსპასალარი, ან და ათაბაგ-ამირსპასალარი ჩანან და მეფის საქართველოთგან გამგზავრების დროს მესაჭეობა მესტუმრის ხელშიც-კი გადადის.

მონღოლთა ბატონობის ხანაში ადამიანის დაწინაურება და აღზევებაც ბევრნაირად მონღოლთა მფარველობასა და სურვილზე იყო დამოკიდებული. რა თქმა უნდა, ასეთ შემთხვევაში პირად ნიჭს და გამჭრიახობასაც ჰქონდა მნიშვნელობა, მაგრამ ამაზე უფრო მეტად, რასაკვირველია, შემგუებლობის უნარსა და თავისი პირადი კეთილდღეობის მისაღწევად საშუალებათა განურჩევლად და მარჯვედ გამოყენებისადმი მიდრეკილებასაც. როდესაც დაწიაურება თუნდაც ჭკუასა, ნიჭსა და ცოდნაზე იყო დამოკიდებული, ადამიანის აღზევება შესაძლებელია ისევე სწრაფად ბედუკუღმართად დამთავრებულიყო, თუ რომ ჭკუასა გულის ნადებს თან შორსგამჭვრეტელობაც არ ახლდა და განდიდებისა და გამდიდრების წადილის

სულსწრაფობა გონიერებით ნაკარნახევი წინდახედულობითა და გულცივი ანგარიშით არ იყო შეკავებული.

2. ეგარსლან ბაკურციხელის მცდელობა საქართველოს მესაჭეობის ხელში ჩასაგდებად და მისი საწინააღმდეგოდ ტახტის კანონიერი მემკვიდრის ძებნა-წამოყენება

მონღოლთა ბატონობის დროს წლების განმავლობაში დამყარებულს უმეფობის ხანაში სხვებზე მეტად დიდებულთა შორის საქართველოში ეგარსლან ბაკურციხელი დაწინაურებულა და აღზევებულა. დიდი ჭკუა და იშვიათი მჭერმეტყველების ნიჭი მას თურმე ისეთ უპირატესობას აძლევლა, რომ მის აზრს ყველა უნებლიეთ იზიარებდა[51]. ამ გარემოებამ ის მაშინდელი საქართველოს უცილობელ ხელმძღვანელად აქცია: მის რჩევას ყველანი, მათ შორის უმაღლესი ძალაუფლებით აღჭურვილი ხელისუფლებიც, როგორც ბრძანებას ისე ემორჩილებოდნენ. ეგარსლან ბაუკრციხელის, საქვეყნოდ გამრიგე და სამხედრო ხელისუფლის, ესოდენი აღზევება და მართვაგამგეობის სათავეში მოქცევა, უეჭველია, მხოლოდ მონღოლთა წესწყობილების წყალობით იყო შესაძლებელი, ქართული სახელმწიფო სამართლით მას თავისი სფერო ექნებოდა.

ესოდენი აღზევებაც კი ეგარსლან ბაკურციხელს ეტყობა უკვე აღარ აკმაყოფილებდა: სწრაფმა დაწინაურებამ მას გონიერება დააკარგვინა და პატივმოყვარეობამ წასძლია და საქართველოში მან უკვე სრული განმთავრებაც-კი მოიწადინა. იმ გარემოებამ, რომ ეგარსლან ბაკურციხელის ასეთს მისწრაფებას დიდებულთა წრის ერთ ჯგუფში მომხრენი აღმოუჩნდა, იმდენად წაიტყუა, რომ მას მალე თავისი ოცნების განხორციელებლის იმედიც-კი მიეცა, მაგრამ საქმეთა მიმდინარეობამ ეგარსლან ბაკურციხელი მალე დაარწმუნა, თუ რამდენად უნიადაგო იყო მისი ასეთი წადილი.

თუ მანამდის საქართველოს მაღალი წრეები, დიდებულები, ეგარსლან ბაკურციხელის მეთაურობას უცილობლად სცნობდნენ, მოთმინებით უცდიდნენ მონღოლთა ყაანის ურდოში წასული დავით რუსუდანის ძის ამბავსა და საქართველოს საქმეებს მისი საერთო ხელმძღვანელობით განაგებდნენ, საკმარისი იყო ამ პატივმოყვარე ადამიანის უკანასკნელი გულისნადები გამომჟღავნებულიყო, რომ საქმეთა მიმდინარეობას სულ სხვა მიმართულება მიეღო და მის წინააღმდეგ დიდებულთა ფრიად გავლენიანი და მძლავრი უმრავლესობა დარაზმულიყო.

ეგარსლან ბაკურციხელის მრავალრიცხოვან მოწინააღმდეგეთა ჯგუფში უკვე ისეთი დიდი მოხელეები და ერმრავალი საგვარეულოების წარმომადგენელნი აღმოჩნდნენ, როგორც ყუარყუარე ჯაყელი, გამრეკელი-თორელი, სარგის თმოგველი, გრიგოლ სურამელი, შანშე მხარგრძნლი, ვარამ გაგელი, ორბელნი და სხვა ერისთავნი იყვნენ. არც ერთს მათგანს არავითარი სურვილი არ ჰქონდა თავის ბატონად და უზენაეს ბრძანებელად ეგარსლან ბაკურციხელი გაეხადნა, რომელიც მათ არც შთამომავლობითა და არც სამოხელეო ღირსებით თავიანთ თავზე უმაღლესად და უპირატესად არ მიაჩნდათ.

ამრიგად, საქართველო უნდა ორ მოწინააღმდეგე ბანაკად გაყოფილიყო, რასაც თავისთავად უთანხმოება და შინაგანი ბრძოლის გაჩაღება მოჰყოლოდა შედეგად. ამის

---

[51] [იქვე, გვ. 629].

თავითგან აცილება შესაძლებელი იყო მხოლოდ საქართველოს სახელმწიფოს ტახტის კანონიერი მემკვიდრის წამოყენებით და სწორედ ამ მიზეზის გამო და ამნაირად ეს საკითხი კვლავ გადაუდებელ საჭირბოროტო ამოცანად იქცა[52].

რაკი დავით რუსუდანის ძე დიდი ყაანის ურდოში ჩარჩა და დანამდვილებით ჯერ არავინ იცოდა, თუ როგორ დატრიალდებოდა მისი ბედი, ამიტომ ასეთ პირობებში საქართველოს იმ მესვეურებმა, რომელთაც ეგარსლან-ბაკურციხელის თავისთავზე დასკუპება არავითარ შემთხვევაში არ ჰსურდათ, სახელმწიფო ტახტისათვის სხვა მემკვიდრის მოძებნა უცილობლად საჭიროდ მიიჩნიეს და გადაუდებელ მიზნად დაისახეს.

საქართველოს სამეფო საგვარეულოს ერთად-ერთი შთამომავალი ლაშა-გიორგის ”უკანონო” შვილი დავითი-ღა იყო გადარჩენი და სხვა აღარავინ მოიპოვებოდა. ამიტომაც ეგარსლაგ ბაკურციხელის მოწინააღმდეგე დიდებულთა ჯგუფმა მონღოლთა ადგილობრივი ხელისუფლების წინაშე დავით ლაშა-გიორგის ძის რუმის სასულტნოთგან, სადაც ის იმყოფებოდა, ჩამოყვანისა და საქართველოს სამეფო ტახტზე აყვანის შესახებ შუამდგომლობა დაიწყო და, სათანადო თანხმობის მიღების თანავე, 1245-ნწ. თავისი განზრახვა განახორციელა კიდევაც.

ეგარსლან ბაკურციხელი მაინც უკვე იმდენად გამდიდურებული იყო, რომ, ამით ნაწყენი, იმ დროს, როდესაც ყველამ დავით ლაშა-გიორგის ძის საქართველოში ჩამოსვლისას ტახტის მემკვიდრედ განზრახულს ბატონიშვილს გაეგებნენ, მან დახვედრაც კი არ მოისურვა.

3.დავით V-ის გიორგი-ლაშას ძის საქართველოს ტახტის მემკვიდრედ დასახელება და გამწვავებული ბრძოლა დავით IV-ისა და დავით V-ის მომხრეთა შორის საქართველოშიც და ყაანის კარზეც

ცხადია, რომ ვერც ეგარსლან ბაკურციხელი და ვერც მისი მომხრე ჯგუფი საქართველოს სახეიმწიფო საჭედმპყრობელად ახლადწამოყენებულს კანდიდატს უკამათოდ და უბრძოლველად ვერ შეიწყნარებდნენ.

რა თქმა უნდა, ბრძოლის დროს ყველაზე უფრო ადვილი იყო მისი კანონიერების საკითხის საკამათოდ გცევა, და ამ ჯგუფსაც მიზანშეწონილად უცვნია, რომ თავისი შეტევა სწორედ ამ მხრით დაეწყო: დავით უფლისწული ლაშა-გიორგის კანონიერი შვილი ხომ არ არის, მაშასადამე, მას საქართველოს სახელმწიფოს დამკვიდრების უფლება არა აქვს. საკითხის ასე დაყენება მით უფრო იყო ხელსაყრელი, რომ ამ თვალსაზრისს ბევრნი ისეთნიც აღიარებდნენ სრულ ჭეშმარიტებად და მთლიანადაც გაიზიარებდნენ, რომელნიც ეგარსლან ბაკურციხელის გაბატონების მომხრენი ოდნავადაც არ იყვნენ.

ერთად-ერთი, რის თქმაც დავით ლაშა-გიორგის ძის მომხრე დიდებულთა ჯგუფს თავის წინადადებისა და ნაბიჯის გასამართლებლად შეეძლო, ის იყო, რომ სამეფო ტახტის კანონიერი მემკვიდრე უკვე აღარ ჩანდა და მაშინდელ მდგომაროეობაში სხვა კანდიდატი არ შეიძლება ყოფილიყო.

რაკი ქართული სახელმწიფო სამართლის ძალით დავით ლაშა-გიორგის ძის გამეფების კანონიერება მეტად ძნელი დასაცავი იქმნებოდა, ამიტომ ეს საკამათო საკითხი უნდა მონღოლთა დიდ ყაანს გადაეწყვიტა, მითუმეტეს, რომ მონღოლთა ადგილობრივ მოხელეობას

[52] [იქვე, გვ. 638].

ასეთი უფლება არც-კი ჰქონდა. ამრიგად და ამიტომ დავით ლაშა-გიორგის ძეც მონღოლთა დიდი ყაანის ურდოში იქმნა გაგზავნილი. გასამეფებლად ამორჩეულს უფლისწულს გამგზავრებისას თან მისი მომხრე ჯგუფის ზოგიერთი წარმომადგენელნი გაჰყვნენ, როგორც მაგ. ამირსპასალარის ზაქარია შანშას ძე, აღბუღა ვარამ გაგელისძე, სარგის თმოგველი და სხვანი.

მონღოლთა დიდი ყაანის ურდოში დავით ლაშა-გიორგის ძეს და მის ამალას, მოულოდნელად დავით რუსუდანის ძე დახვდა. ამ გარემოებამ მდგომარეობა წინანდელზე უფრო გაართულა, რათგან, ერთის მაგიერ, საქართველოს სახელმწიფო ტახტის უკვე ორი მაძიებელი აღმოჩნდა. ქართული სამართლის მიედვით ამ საკითხის გადაწყვეტა ძნელი არ იყო და საქაოთველოს მესვეურნიც უკვე ორ მოწინააღმდეგე ჯგუფად რომ არ ყოფილიყვნენ დარაზმულნი, ქვეყნის მთლიანობისათვის ეს უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხი უცხო დამპყრობელი ძალის წინაშე საკამათოდ არ უნდა ექციათ, მაგრამ სახელმწიფოებრივი და ეროვნული მოვალეობის შეგნებას კერძო ჯგუფურმა თვალსაზრისმა სძლია. არც ერთს მხარეს დათმლბა არ ჰსურდა და მონღოლთა ყაანის კარზე ორივე თავისი კანდიდატის სასარგებლოდ ირჯებოდა.

ქართველ ისტორიკოსს თუ დავუჯერებთ, მამიდაშვილ-ბიძაშვილი, ორივე დავითი, ვითომც პირველად მოწინააღმდეგე ჯგუფების ბრძოლაში იმდენად გარეული არ იყვნენ, რამდენადაც მათი მომხრენი ცდილობდნენ, რომ უეჭველად თავიანთი წადილი გაეყვანათ.

საგულისხმოა, რომ, როგორც დავით რუსუდანის ძის მიმხრობნი ისევე დავით ლაშა-გიორგის ძისანი, საქართველოს მთლიანობის თვალსაზრისზე იდგნენ და მეფედ მხოლოდ ერთი ამ ორთაგანის დასმა სწადდათ. ასეთ პირობებში ბრძოლა უნდა ამ ორი კანდიდატის უფლებრივი უპირატესობის მიხედვით გადაწყვეტილიყო და ამ გარემოების გამო მთელი თავისი სიმწვავით წამოიჭრა საკითხი, თუ რომელს ამ ორ დავითთაგანს, რუსუდანის ძეს, თუ ლაშა-გიორგის ძეს, ჰქონდა მეტი უფლება საქართველოს სახელმწიფოს ტახტის კანონიერ მემკვიდრედ ყოფილიყო ცნობილი.

დავით რუსუდანის ძის მომხრე ჯგუფს თავის სასარგებლოდ სამი მოსაზრება და დებულება ჰქონდა: ჯერ ერთი ის, რომ, როდესაც საქართველოში მონღოლები ჯერ შემოჭრილნი და ლიხთ-ამერეთში მოკალათებულნი არ იყვნენ, დავით რუსუდანის ძე უკვე იყო საქართველოს სამეფო ტახტზე დედის თანამოსაყდრედ დასმული. მეორეც ის, რომ, მას შემდგომაც, როდესაც აღმ. საქართველო მტერმა ხელში ჩაიგდო და მონღოლთა ხელისუფლებასთან დაზავება მოხერხდა, საქართველოს სახელმწიფოს ერთადერთ კანონიერ მესაჭედ იგივე დავით რუსდანის ძე იყო ცნობილი და მაშინ ამის მოწინააღმდეგე არავინ აღმოჩენილა და იმ დროს დავით ლაშა-გიორგის ძე არც კი დაუსახელებია ვისმე. მესამე, უფლებრივი თვალსაზრისითაც დავით ლაშა-გირგის ძეს ქართული სახელმწიფო სამართლის ძალით, ვითარცა"უკანონო" შვილს, მამის სამეფო ტახტი არ ეკუთვნოდა.

დავით ლაშა–გიორგის ძესა და მის მომხრე ჯგუფს არცერთი ზემო აღნიშნული დებულების წინააღმდეგ არაფრის თქმა არ შეეძლოთ. ამიტომ მათ საკამათოთ მხოლოდ ის საკითხი გახადეს, ჰქონდა, თუ არა, მდედრობითი სქესის შთამომავლობას უფლება სამეფო ტახტის კანონიერი მემკვიდრე გამხდარიყო იმ შემთხვევაში, როდესაც მამრობითი სქესის შთამომავლობა არსებობდა. ამას ისინი უარყოფდნენ იმისდა მიუხედავად, რომ დავით ლაშა-გიორგის ძე "უკანონო" შვილი იყო: მათი აზრით ასეთ შემთხვევაში უპირატესობა მაინც მამრობითი სქქესის შთამომავლობას უნდა მიჰნიჭებოდა.

ამრიგად, ბოლოსდაბოლოს ქალის უფლება დავით ლაშა-გიორგის ძის მომხრე ჯგუფმა კვლავ საკამათოდ აქცია. ყველაზე მეტად აქ გულმოდგინეობას თურმე სარგის თმოგველი

იჩენდა, რომელიც ქალის შთამომავლობის მემკვიდრეობითი უფლების ძლიერი მოწინააღმდეგე ყოფილა.

რაკი მოწინააღმდეგეთა შორის შეთანხმება ვერ მოხდა და დათმობა არც ერთს მათგანს არ ჰსურდა, საცილობელად ქცეული საკითხი მონღოლთა დიდ ყაანს უნდა გადაეწყვიტა.

კანონიერი და უკანონო შვილის საკითხი მხოლოდ ერთ ცოლქმრობის წესწყობილებაში შეიძლება იყოს მონღოლებს–კი მრავალცოლიანობა ჰქონდათ და თვითოეულს მათგანს, როგორც უკვე აღნიშნული იყო, იმდენი ცოლი ჰყავდა, რამდენის შენახვა შეეძლო და მოესურვებოდა. ამიტომაც კანონიერი და უკანონო შვილების ცნება მონღოლებისათვის სრულებით გაუგებარი იყო. შვილებსაც ისინი მხოლოდ წლოვანობით, უფროს-უმცროსობით არჩევდნენ.

რაკი ქართული სახელმწიფოს სამართლის ძალით დავით ლაშა-გიორგის ძესა და მის მომხრე ჯგუფს საქმის მოგება არ შეეძლო, მან, ყაანის კარზე იმ დროს ნამყოფი, დას. ევროპითგან მოსული დესპანის მოწმობით, თურმე მონღოლთა უზენაეს ბრძანებელს თხოვნა მიართვა, რომ საცილობელი საკითხი, თუ ვის ეკუთვნოდა საქართველოს სახელმწიფო ტახტი, ქართული სამართლის მიხედვით-კი არ ყოფილიყო განხილული და გადაწყვეტილი, არამედ მონღოლთა სამართლის ძალით. რა თქმა უნდა, ეს საქციელი არც საკადრისი იყო და არც გონიერი, რამდენადაც დამპყრობელისათვის საქართველოს სახელმწიფო წესწყობილების და სამართლის შელახვის წაქეზებას წარმოადგენდა, მაგრამ მოწინააღმდეგე პოლიტიკური ჯგუფების ვნებათაღელვა და თავისი სურვილის ყოველგვარი საშუალების მიღწევის წადილი იმდენად დიდი იყო, რომ სახელმწიფოს და ეროვნული ინტერესები თითქოს სრულებით დავიწყებული იყო.

თუ თვით ქართველ დიდებულთა ჯგუფი თავისი კანდიდატითურთ ქართული სამართლის დაცვას არ თხოულობდა, რა საფუძველი ექნებოდა მონღოლებს, რომ მისთვის თავი გამოედოთ? განა მონღოლთა ყაანისა და მის მრჩეველთათვის უფრო სასიამოვნოცა და გასაგებიც არ იქნებოდა, რომ კამათი მონღოლური სამაპრთლის თანახმად გადაწყვეტილიყო?

საქმის ასე მოტრიალება დავით ლაშა-გიორგის ძისა და მისი მომხრე ჯგუფისათვის, რასაკვირველია, მეტად ხელსაყრელი იყო, რათგან საქმის მთლიანად მოგებას უქადდა. მაგრამ მათ იმედი ჰქონდათ, რომ მეფობა მაინც მხოლოდდამხოლოდ დავით ლაშა-გიორგის ძეს დარჩებოდა. ეს მათი მოლოდინი-კი არ გამართლდა: ისევე, როგორც კანონიერსა და უკანონო შვილს შორის მათთვის განრჩევა არ იყო, მონღოლთა აზრით, როგორც უკვე ვიცით, სახელმწიფოში რამდენიმე ყაანის არსებობაც მთლიანობას არ ეწინააღმდეგებოდა, - თვით ჩინგიზ-ხანმაც-კი ახლად შექმნილი უზარმზარი საბრძანებელი გაუყო თავის შვილებს, - უფროსს მათგანს მხოლოდ უზენაესობა ჰქონდა მინიჭებული, დანარჩენი ყაანები-კი თანასწორნი იყვნენ.

4. საქართველოს მესვეურთა პოლიტიკური სიბეცის შედეგი და მონღოლთა ყაანის გადაწყვაეტილება

რაკი თვით საქართველოს წარმომადგენელთავე სურვილით საკამათო საკითხი უნდა მონღოლლური სამართლის მიხედვით გადაწყვეტილიყო, მონღოლთა დიდმა ყაანმა გუიუქმაც ასე ამჯობინა და 1247 წელს ქართველთა ამ გაჭიანურებულ დავას ამრიგად მოუღო ბოლო:

საქართველოს სახელმწიფო ტახტის ორივე მაძიებელი მეფეებად დაამტკიცა, მაგრამ, რაკი დავით ლაშა-გიორგის ძე წლოვანობით უფრო ხნიერი იყო, ამიტომაც ის უფროს მეფედ დაინიშნა, დავით რუსუდანის ძე-კი, ვითარცა თავის ბიძაშვილზე ჯელი, უმცროს მეფედ სცნო[53]. ამნაირად, დავით რუსუდანის ძემ წააგო და დავით ლაშა გიორგის ძემ არსებითად მოიგო, მაგრამ ამ უკანასკნელისა და მის მომხრეთა პოგლიტიკური ჯგუფის სიბეცით, ნამდვილად და უფრო მეტად-კი ქართული სახელმშიფო სამართალი იყო შელახული და მონღოლურმა გაიმარჯვა, საქართველოს სახელმწიფოებრივს მთლიანობას შეექმნა საფრთხე და მონღოლთა ბატონობისათვის უფრო ხელსაყრელი პირობები დამყარდა!

გუჲუქ დიდი ყაანის ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების თანახმად, სრულიად საქართველოს სახელმწიფო შესაძლებელი იყო და ბოლოსდაბოლოს უნდა ორ სამეფოდ გაყოფილიყო, მხოლოდ უფროსი მეფის უზენაესობის შენარჩუნებით. მაგრამ საბედნიეროდ უკანასკნელს ჟამს ამ ორი მოცილე ბიძაშვილ-მამიდაშვილისა და მათ მომხრე დიდებულებს მაინც იმდენი გონიერება აღმოაჩნდათ, რომ ეს შესაძლებლობა უმალ სინამდვილედ არ ექციათ და საქართველოს მთლიანობა მაშინვე არ დაერღვიათ: ორივე დავითი რომ საქართველოში მეფეებად დაბრუნდნენ, მათ მონღოლური წესით სახელმწიფო არ გაუყვიათ, არამედ ერთიცა და მეორეც საქართველოს დედაქალაქში დარჩა და ქვეყნის მართვაგამგეობაც ორივე ხელით წარმოებდა. მაგრამ, მომავალი განხეთქილების ღვარძლის თესლი, რა თქმა უნდა, მაინც ჩაბნეული იყო და მხოლოდ შესაფერისი ამინდი სჭირდებოდა, რომ ღვარძლი ნიადაგითგან ამოსულიყო და თავისი გესლიანი ნაყოფი მოეტანა.

მხოლოდ მონღოლთა სამართლის გამოყენების თხოვნამ მოუპოვა-კი დავით ლაშა-გიორგის ძეს ის გამარჯვება, რომელსაც სხვა გზით ვერ ეღირსებოდა? თუ იმ გარემოებას გავითვალისწინებთ, რომ მას პირველი თანამეცხედრე, ანუ ცოლი, ჯიგდა-ხათუნი მონღოლთა ყაანის ურდოში 1247-8წ. შეურთავს, შესაძლებელია უნებლიედ ეჭვი დაიბადოს, რომ იქნებ ეს ქორწინებაც უფრო პოლიტიკური მოსაზრებით ნაკარნახევი გადაწყვეტილება იყო, ვიდრე მხურვალე ტრფობით გამოწვეული ნაბიჯი.

IV. უმეფობის ხანა საქართველოში

1. მონღოლთაგან საქართველოში შემოღებული წყობილება და უმეფობის დროს დამყარებული მდგობამეობა.

დავითი რუსუდანის ძის მონღოლთა ყაანის ურდოში წასვლამა და იქ ხანგრძლივ ჩარჩენამ, ისევე როგორც რუსუდანის სიკვდილმა, საქართველო უმეფო ქვეყნად და უპატრონო სახელმწიფოდ აქცია, რათგან ლიხთამერეთში გაბატონებული მონღოლთა სამხედრო ხელისუფლება მხოლოდ დამპყრობელი ძალა იყო.

საქართველოსა და მონღოლთა სახელმწიფო წესწყობილებათა შორისაცა და კულტურულ მდგომარეობისა და უფლებრივი შეგნების დონის მხრითაც, როგორც უკვე დავრწმუნდით, ფრიად დიდი განსხვავება იყო. რა თქმა უნდა, შეუძლებელია, რომ ამის გამო საქართველოს სახელმწიფოებრივობასა და კულტურულ მდგომარეობას მონღოლთა პოლიტიკური ბატონობის კვალი არ დასტყობოდა. მონღოლთა საყაანო სამხედრო საპატრონყმო წესწყობილებასა, მომთაბარე, ექსტენსიურს მეურნეობაზე და ომიანობით მონაპოვარს სახსრებზე სახსრებზე დამყარებულს საბრძანებელს წარმოადგენდა. ამისდა

[53] [მარიამ დ´ფსი ქ´ ცა, გვ. 651].

გვარად იქ მთავარი მნიშვნელობა სამხედრო ძალასა და ხელისუფლებას ჰქონდა: ქვეყნისა და ხალხის ბედიღბალი მათ ხელში იყო. საქართველოს სახელმწიფო წესწყობილება-კი სამოქალაქო ხელისუფლების უპირატესობაზე იყო დამყარებული და სამხედრო ხელისუფლებაც მას ექვემდებარებოდა: უკვე მარტო ის გარემოებაც, რომ წიგნობართუხუცესი, ქართული სახელმწიფო სამართლის თანახმად, ვაზირთა ყოველთა, მათ შორის სამხედრო მინისტრის, ამირსპასალარისაც, უპირველესი და სავაზიროს თავმჯდომარე იყო, საქართველოში სამოქალაქო ხელისუფლების სამხედროზე უპირატესობის უცილობელად გამომჟღავნებულია. მონღოლთა საყაანოში-კი მართვაგამგეობის საჭე მთლიანად ერთეულების უფროსთა ხელში იყო. ქვეყანა 10000 მოლაშქრის უფროსებს, დუმანის ნოინებსა და 1000-ის თავებს ემორჩილებოდა, ხოლო სამოქალაქო ხელისუფლების, უმეტესად არა-მონღოლთაგან გამოსულ-შერჩეული, თანამდებობის პირნი ზემოაღნიშნულ მონღოლთა მხედართმთავრებს ექვემდებარებოდნენ.

დაპყრობილ ქვეყნებში მონღოლებს იმაზე მეტი სახელმწიფოებრივი სიბრძნის მიტანა, რაც თითონ გააჩნდათ, რასაკვირეველია, არ შეეძლოთ და საქართველოც მათ ამის გამო ასევე დუმნებად დაჰყვეს და დუმნების, ანუ "ბევრის", 10000 მოლაშქრის უფროსები დანიშნეს, რომლითაც მონღოლური სახელმწიფო წესწყობილებისამებრ ყოველგვარი სათანადო უპირატესობა უნდა მიეღოთ.

ქართველი ჟამთააღმწერელის ცნობით, მთელი საქართველო მონღოლებს სულ 8 დუმანად გაუყვიათ: აღმოსავლეთითგან რომ დავიწყოთ, პირველ დუმანად შამახიის მთებითგან მოყოლებული ტფილისამდე გადაჭიმულ მტკვრის ჩრდილოეთით მდებარე მთელი ფართობის, - ჰერეთის, კახეთისა და კამბეჩიანის თემების სპა გამოუყვიათ. ამ დუმნის უფროსად მათ ეგარსლან ბაკურციხელი დანიშნეს[54].

მეორე დუმანის სათავეში მანდატურთუხუცესი შანშე მხარგრძელი ჩააყენეს და მას მისი და ავაგ მხარგრძელის საგამგეოს, ე. ი. უმთავრესად სომხეთის თემების, სპა დაექვემდებარა.

მესამე დუმანს საქართველოს სახელმწიფოს მტკვრის სამხრეთით მდებარე აღმოსავლეთის სანაპიროს ლაშქარი შეადგენდა. ეს დუმანი მთელი ამ ქვეყნის მმართველს, ვარამ გაგელს, ჰქონდა დაქვემდებარებული.

მეოთხე დუმნად ქართლის ჯარი იყო გამოყოფილი, რომელიც მთლად ქართლისავე ერსთავთ-ერისთავს გრიგოლ სურამელს მისცეს.

მეხუთე დუმანს ჯავახეთის სამხედრო ძალა შეადგენდა, რომელიც გამრეკელ-თორელს ჩაჰბარდა.

მეექვსე დუმანი სამცხისა და მესხეთის დანარჩენი, კარნუ-ქალაქამდე გადაჭიმული, თემების მოლაშქრეთაგან შესდგებოდა, რომლის მეთაურობაც ციხისჯვარელს ჯაყელს მიენდო.

მეშვიდე და მერვე დუმანებად დას. საქართველოს თემების ჯარი ყოფილა გამოყოფილი, რომლის სათავეშიც ცოტნე დადიანი და რაჭის ერისთავი იქნენ ჩაყენებულნი[55]. თუმცა ისტორიკოსს აღნიშნული არა აქვს, თუ რომელი თემი რომელ მათგანს ექვემდებარებოდა, მაგრამ საფიქრებელია, რომ ცოტნე დადიანს ეგრისი და გურია, რაჭის ერისთავს-კი ლიხთიმერეთის დანარჩენი აღმ. თემები ექნებოდა ხელთ.

მაგრამ ამასთანავე ის გარემოებაც უნდა გვქონდეს გათვალისწინებული, რომ რამდენადაც დას. საქართველო მონღოლებს დაპყრობილი არ ჰქონდათ და იქ მონღოლთა ყაანის უზენაესობა მხოლოდ ნებაყოფლობითი შეთანხმების ძალით იყო ცნობილი,

---

[54] [**ჟამთაამწერელი,** გვ. 623, 629].

[55] [**იქვე,** გვ. 623-624].

ლიხთიმერეთის ორი დუმანითგან ჯარი შესაძლებელია მხოლოდ მანამდე გამოსულიყო, ვიდრე დავით რუსუდანის ძე მონღოლებს არ აუჯანყდებოდა და არ გადაუდგებოდა. ამის შემდეგ-კი ცხადია, მონღოლური დუმნები შესაძლებელია მარტო აღმ. საქართველოში ყოფილიყო.

საყურადღებო გარემოებაა, რომ მონღოლთა ეს საგამგეო-სამხედრო სიტემა საქართველოში მაინც ვერ განმტკიცდა და მოსალოდნელი კვალი ქართულ სახელმწიფოებრივობაშიც ვერ დასტოვა: დუმან-ნოინის წოდებულება და თვით ტერმინი დამანიც-კი იმდროინდელს ქართულ საბუთებში ჯერ რსადა ჩანს. მართალია, ნაწილობრივ ეს იმითაც უნდა აიხსნებოდეს, რომ ამგვარი ორგანიზაცია მონღოლური სახელმწიფოებრივობის კუთვნილებას შეადგენდა და მონღოლთა პოლიტიკური ბატონობის განსამტკიცებლად შექმნილი წყობილება იყო. მაგრამ რამდენადაც ქართველებს ამ ბატონების არც შენარჩუნებისა და მით უმეტეს არც განმტკიცების არავითარი სურვილი არ ჰქონდათ და ეს გარემოება ყველა მაშინდელი განმტკიცებულისათვისაც ცხადად შესამჩნევი ყოფილა, რასაკვირველია, მონღოლთა ადგილობრივმა ხელისუფლებამაც კარგად იცოდა, ამიტომ საეჭვოა, რომ მათ თავითგანვე საქართველოს დუმნების ქართველ და სომეხ მთავრებისადმი სრული ნდობა ჰქონოდათ და რომ იმათთვის სათანადო ხელისუფლებითა და სამხედრო ძალით აღჭურვილი მონღოლთა მეთვალყურეებიც არ მიეჩინათ. ხოლო მონღოლთა წინააღმდეგ საქართველოში არაერთგზის ამტყდარი აჯანყება მათ დაარწმუნებდა, რომ ასეთი ძალაუფლების მქონებელი საქართველოს დიდებულების არსებობა მათთვის არამც თუ ხელსაყრელი არ იყო, არამედ ხიფათსაც კი წარმოადგენდა. ამით უნდა აიხსნებოდეს, რომ მე-13 ს. შუა წლებითგან მოყოლებული ქართველი ჟამთააღმწერელის თხზულებაშიც-კი ცნობები საქართველოს დუმნის მთავრობის შესახებ ქრება, მონღოლთა ბატონობის ამბების მომთხრობელ სპარსულ საისტორიო წყაროებში ხომ ამაზე სრულებით არაფერია ნათქვამი. ამ წყობილების არსებობა საქართველოში, ეტყობა, მეტად ხანმოკლე ყოფილა.

თუ დუმნებად დანაწილებისა და მართვაგამგეობის მონღოლური წესი საქართველოში ვერ განმტკიცდა, სამაგიეროდ სამხედრო წრეების უზენაესობის პრინციპმა საქართველოს სახელმწიფო წესწყობილებაზე მაინც ძლიერი გავლენა მოახდინა და კვალიც დასტოვა. უეჭველია, მონღოლთა წესწყობილების წყალობით სამხედრო ხელისუფლების უმაღლესი წარმომადგენელნი აღმ. საქართველოშიც უნდა სწრაფად გაძლიერებულიყვნენ და ამავე მიზეზის გამო, სამოქალაქო ხელისუფლების წინანდელი მნიშვნელობა და გავლენიანობა თანდათან დაჩრდილულიყო, ხოლო შემდეგში მისი ოდინდელი უპირატესობაც მთლიანად მოსპობილიყო.

საქართველოს სახელმწიფო წესწყობტლებაში მონღოლთა ბატონობის ხანაში მომხდარი ცვლილება გარეგნულად სხვაზე უწინარეს და უფრო მკაფიოდ იმაში მოჩანს, რომ მე-13 ს., ისტორიულ ამბებში მეფის შემდგომ ქვეყნის პირველი საჭეთმპყრობელის, მწიგნობართუხუცესისა და ვაზირთა უპირველესის, ხსენება იშვიათად-ღა გვხვდება და სამაგიეროდ თითქმის ყველგან ათაბაგი და ამირსპასალარი, ან და ათაბაგ-ამირსპასალარი ჩანან და მეფის საქართველოთგან გამგზავრების დროს მესაჭეობა მესტუმრის ხელშიც-კი გადადის.

მონღოლთა ბატონობის ხანაში ადამიანის დაწინაურება და აღზევებაც ბევრნაირად მონღოლთა მფარველობასა და სურვილზე იყო დამოკიდებული. რა თქმა უნდა, ასეთ შემთხვევაში პირად ნიჭს და გამჭრიახობასაც ჰქონდა მნიშვნელობა, მაგრამ ამაზე უფრო მეტად, რასაკვირველია, შემგუებლობის უნარსა და თავისი პირადი კეთილდღეობის მისაღწევად საშუალებათა განურჩევლად და მარჯვედ გამოყენებისადმი მიდრეკილებასაც. როდესაც დაწიაურება თუნდაც ჭკუასა, ნიჭსა და ცოდნაზე იყო დამოკიდებული, ადამიანის აღზევება

შესაძლებელია ისევე სწრაფად ბედუკუღმართად დამთავრებულიყო, თუ რომ ჭკუასა გულის ნადებს თან შორსგამჭვრეტელობაც არ ახლდა და განდიდებისა და გამდიდრების წადილის სულსწრაფობა გონიერებით ნაკარნახევი წინდახედულობითა და გულცივი ანგარიშით არ იყო შეკავებული.

2. ეგარსლან ბაკურციხელის მცდელობა საქართველოს მესაჭეობის ხელში ჩასაგდებად და მისი საწინააღმდეგოდ ტახტის კანონიერი მემკვიდრის ძებნა-წამოყენება

მონღოლთა ბატონობის დროს წლების განმავლობაში დამყარებულს უმეფობის ხანაში სხვებზე მეტად დიდებულთა შორის საქართველოში ეგარსლან ბაკურციხელი დაწინაურებულა და აღზევებულა. დიდი ჭკუა და იშვიათი მჭერმეტყველების ნიჭი მას თურმე ისეთ უპირატესობას აძლევლა, რომ მის აზრს ყველა უნებლიეთ იზიარებდა[56]. ამ გარემოებამ ის მაშინდელი საქართველოს უცილობელ ხელმძღვანელად აქცია: მის რჩევას ყველანი, მათ შორის უმაღლესი ძალაუფლებით აღჭურვილი ხელისუფლებიც, როგორც ბრძანებას ისე ემორჩილებოდნენ. ეგარსლან ბაუკრციხელის, საქვეყნოდ გამრიგე და სამხედრო ხელისუფლის, ესოდენი აღზევება და მართვაგამგეობის სათავეში მოქცევა, უეჭველია, მხოლოდ მონღოლთა წესწყობილების წყალობით იყო შესაძლებელი, ქართული სახელმწიფო სამართლით მას თავისი სფერო ექნებოდა.

ესოდენი აღზევებაც კი ეგარსლან ბაკურციხელს ეტყობა უკვე აღარ აკმაყოფილებდა: სწრაფმა დაწინაურებამ მას გონიერება დააკარგვინა და პატივმოყვარეობამ წასძლია და საქართველოში მან უკვე სრული განმთავრებაც-კი მოიწადინა. იმ გარემოებამ, რომ ეგარსლან ბაკურციხელის ასეთს მისწრაფებას დიდებულთა წრის ერთ ჯგუფში მომხრენი აღმოუჩნდა, იმდენად წაიტყუა, რომ მას მალე თავისი ოცნების განხორციელებლის იმედიც-კი მიეცა, მაგრამ საქმეთა მიმდინარეობამ ეგარსლან ბაკურციხელი მალე დაარწმუნა, თუ რამდენად უნიადაგო იყო მისი ასეთი წადილი.

თუ მანამდის საქართველოს მაღალი წრეები, დიდებულები, ეგარსლან ბაკურციხელის მეთაურობას უცილობლად სცნობდნენ, მოთმინებით უცდიდნენ მონღოლთა ყაანის ურდოში წასული დავით რუსუდანის ძის ამბავსა და საქართველოს საქმეებს მისი საერთო ხელმძღვანელობით განაგებდნენ, საკმარისი იყო ამ პატივმოყვარე ადამიანის უკანასკნელი გულისნადები გამომჟღავნებულიყო, რომ საქმეთა მიმდინარეობას სულ სხვა მიმართულება მიეღო და მის წინააღმდეგ დიდებულთა ფრიად გავლენიანი და მძლავრი უმრავლესობა დარაზმულიყო.

ეგარსლან ბაკურციხელის მრავალრიცხოვან მოწინააღმდეგეთა ჯგუფში უკვე ისეთი დიდი მოხეელები და ერმრავალი საგვარეულოების წარმომადგენელნი აღმოჩნდნენ, როგორც ყუარყუარე ჯაყელი, გამრეკელი-თორელი, სარგის თმოგველი, გრიგოლ სურამელი, შანშე მხარგრძნლი, ვარამ გაგელი, ორბელნი და სხვა ერისთავნი იყვნენ. არც ერთს მათგანს არავითარი სურვილი არ ჰქონდა თავის ბატონად და უზენაეს ბრძანებელად ეგარსლან

---

[56] [იქვე, გვ. 629].

ბაკურციხელი გაეხადნა, რომელიც მათ არც შთამომავლობითა და არც სამოხელეო ღირსებით თავიანთ თავზე უმაღლესად და უპირატესად არ მიაჩნდათ.

ამრიგად, საქართველო უნდა ორ მოწინააღმდეგე ბანაკად გაყოფილიყო, რასაც თავისთავად უთანხმოება და შინაგანი ბრძოლის გაჩაღება მოჰყოლოდა შედეგად. ამის თავითგან აცილება შესაძლებელი იყო მხოლოდ საქართველოს სახელმწიფოს ტახტის კანონიერი მემკვიდრის წამოყენებით და სწორედ ამ მიზეზის გამო და ამნაირად ეს საკითხი კვლავ გადაუდებელ საჭირბოროტო ამოცანად იქცა[57].

რაკი დავით რუსუდანის ძე დიდი ყაანის ურდოში ჩარჩა და დანამდვილებით ჯერ არავინ იცოდა, თუ როგორ დატრიალდებოდა მისი ბედი, ამიტომ ასეთ პირობებში საქართველოს იმ მესვეურებმა, რომელთაც ეგარსლან-ბაკურციხელის თავისთავზე დასკუპება არავითარ შემთხვევაში არ ჰსურდათ, სახელმწიფო ტახტისათვის სხვა მემკვიდრის მოძებნა უცილობლად საჭიროდ მიიჩნიეს და გადაუდებელ მიზნად დაისახეს.

საქართველოს სამეფო საგვარეულოს ერთად-ერთი შთამომავალი ლაშა-გიორგის ”უკანონო” შვილი დავითი-ღა იყო გადარჩენი და სხვა აღარავინ მოიპოვებოდა. ამიტომაც ეგარსლაგ ბაკურციხელის მოწინააღმდეგე დიდებულთა ჯგუფმა მონღოლთა ადგილობრივი ხელისუფლების წინაშე დავით ლაშა-გიორგის ძის რუმის სასულტნოთგან, სადაც ის იმყოფებოდა, ჩამოყვანისა და საქართველოს სამეფო ტახტზე აყვანის შესახებ შუამდგომლობა დაიწყო და, სათანადო თანხმობის მიღების თანავე, 1245-ნწ. თავისი განზრახვა განახორციელა კიდევაც.

ეგარსლან ბაკურციხელი მაინც უკვე იმდენად გამდიდურებული იყო, რომ, ამით ნაწყენი, იმ დროს, როდესაც ყველამ დავით ლაშა-გიორგის ძის საქართველოში ჩამოსვლისას ტახტის მემკვიდრედ განზრახულს ბატონიშვილს გაეგებნენ, მან დახვედრაც კი არ მოისურვა.

3. დავით V-ის გიორგი-ლაშას ძის საქართველოს ტახტის მემკვიდრედ დასახელება და გამწვავებული ბრძოლა დავით IV-ისა და დავით V-ის მომხრეთა შორის საქართველოშიც და ყაანის კარზეც

ცხადია, რომ ვერც ეგარსლან ბაკურციხელი და ვერც მისი მომხრე ჯგუფი საქართველოს სახეიმწიფო საჭედმპყრობელად ახლადწამოყენებულს კანდიდატს უკამათოდ და უბრძოლველად ვერ შეიწყნარებდნენ.

რა თქმა უნდა, ბრძოლის დროს ყველაზე უფრო ადვილი იყო მისი კანონიერების საკითხის საკამათოდ გცევა, და ამ ჯგუფსაც მიზანშეწონილად უცვნია, რომ თავისი შეტევა სწორედ ამ მხრით დაეწყო: დავით უფლისწული ლაშა-გიორგის კანონიერი შვილი ხომ არ არის, მაშასადამე, მას საქართველოს სახელმწიფოს დამკვიდრების უფლება არა აქვს. საკითხის ასე დაყენება მით უფრო იყო ხელსაყრელი, რომ ამ თვალსაზრისს ბევრნი ისეთნიც აღიარებდნენ სრულ ჭეშმარიტებად და მთლიანადაც გაიზიარებდნენ, რომელნიც ეგარსლან ბაკურციხელის გაბატონების მომხრენი ოდნავადაც არ იყვნენ.

ერთად-ერთი, რის თქმაც დავით ლაშა-გიორგის ძის მომხრე დიდებულთა ჯგუფს თავის წინადადებისა და ნაბიჯის გასამართლებლად შეეძლო, ის იყო, რომ სამეფო ტახტის კანონიერი

[57] [იქვე, გვ. 638].

მემკვიდრე უკვე აღარ ჩანდა და მაშინდელ მდგომაროეობაში სხვა კანდიდატი არ შეიძლება ყოფილიყო.

რაკი ქართული სახელმწიფო სამართლის ძალით დავით ლაშა-გიორგის ძის გამეფების კანონიერება მეტად ძნელი დასაცავი იქმნებოდა, ამიტომ ეს საკამათო საკითხი უნდა მონღოლთა დიდ ყაანს გადაეწყვიტა, მითუმეტეს, რომ მონღოლთა ადგილობრივ მოხელეობას ასეთი უფლება არც-კი ჰქონდა. ამრიგად და ამიტომ დავით ლაშა-გიორგის ძეც მონღოლთა დიდი ყაანის ურდოში იქმნა გაგზავნილი. გასამეფებლად ამორჩეულს უფლისწულს გამგზავრებისას თან მისი მომხრე ჯგუფის ზოგიერთი წარმომადგენელნი გაჰყვნენ, როგორც მაგ. ამირსპასალარის ზაქარია შანშას ძე, აღბუღა ვარამ გაგელისძე, სარგის თმოგველი და სხვანი.

მონღოლთა დიდი ყაანის ურდოში დავით ლაშა-გიორგის ძეს და მის ამალას, მოულოდნელად დავით რუსუდანის ძე დახვდა. ამ გარემოებამ მდგომარეობა წინანდელზე უფრო გაართულა, რათგან, ერთის მაგიერ, საქართველოს სახელმწიფო ტახტის უკვე ორი მაძიებელი აღმოჩნდა. ქართული სამართლის მიედვით ამ საკითხის გადაწყვეტა ძნელი არ იყო და საქაოთველოს მესვეურნიც უკვე ორ მოწინააღმდეგე ჯგუფად რომ არ ყოფილიყვნენ დარაზმულნი, ქვეყნის მთლიანობისათვის ეს უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხი უცხო დამპყრობელი ძალის წინაშე საკამათოდ არ უნდა ექციათ, მაგრამ სახელმწიფოებრივი და ეროვნული მოვალეობის შეგნებას კერძო ჯგუფურმა თვალსაზრისმა სძლია. არც ერთს მხარეს დათმლბა არ ჰსურდა და მონღოლთა ყაანის კარზე ორივე თავისი კანდიდატის სასარგებლოდ ირჯებოდა.

ქართველ ისტორიკოსს თუ დავუჯერებთ, მამიდაშვილ-ბიძაშვილი, ორივე დავითი, ვითომც პირველად მოწინააღმდეგე ჯგუფების ბრძოლაში იმდენად გარეული არ იყვნენ, რამდენადაც მათი მომხრენი ცდილობდნენ, რომ უეჭველად თავიანთი წადილი გაეყვანათ.

საგულისხმოა, რომ, როგორც დავით რუსუდანის ძის მიმხრობნი ისევე დავით ლაშა-გიორგის ძისანი, საქართველოს მთლიანობის თვალსაზრისზე იდგნენ და მეფედ მხოლოდ ერთი ამ ორთაგანის დასმა სწადდათ. ასეთ პირობებში ბრძოლა უნდა ამ ორი კანდიდატის უფლებრივი უპირატესობის მიხედვით გადაწყვეტილიყო და ამ გარემოების გამო მთელი თავისი სიმწვავით წამოიჭრა საკითხი, თუ რომელს ამ ორ დავითთაგანს, რუსუდანის ძეს, თუ ლაშა-გიორგის ძეს, ჰქონდა მეტი უფლება საქართველოს სახელმწიფოს ტახტის კანონიერ მემკვიდრედ ყოფილიყო ცნობილი.

დავით რუსუდანის ძის მომხრე ჯგუფს თავის სასარგებლოდ სამი მოსაზრება და დებულება ჰქონდა: ჯერ ერთი ის, რომ, როდესაც საქართველოში მონღოლები ჯერ შემოჭრილნი და ლიხთ-ამერეთში მოკალათებულნი არ იყვნენ, დავით რუსუდანის ძე უკვე იყო საქართველოს სამეფო ტახტზე დედის თანამოსაყდრედ დასმული. მეორეც ის, რომ, მას შემდგომაც, როდესაც აღმ. საქართველო მტერმა ხელში ჩაიგდო და მონღოლთა ხელისუფლებასთან დაზავება მოხერხდა, საქართველოს სახელმწიფოს ერთადერთ კანონიერ მესაჭედ იგივე დავით რუსდანის ძე იყო ცნობილი და მაშინ ამის მოწინააღმდეგე არავინ აღმოჩენილა და იმ დროს დავით ლაშა-გიორგის ძე არც კი დაუსახელებია ვისმე. მესამე, უფლებრივი თვალსაზრისითაც დავით ლაშა-გირგის ძეს ქართული სახელმწიფო სამართლის ძალით, ვითარცა"უკანონო" შვილს, მამის სამეფო ტახტი არ ეკუთვნოდა.

დავით ლაშა–გიორგის ძესა და მის მომხრე ჯგუფს არცერთი ზემო აღნიშნული დებულების წინააღმდეგ არაფრის თქმა არ შეეძლოთ. ამიტომ მათ საკამათოთ მხოლოდ ის საკითხი გახადეს, ჰქონდა, თუ არა, მდედრობითი სქესის შთამომავლობას უფლება სამეფო ტახტის კანონიერი მემკვიდრე გამხდარიყო იმ შემთხვევაში, როდესაც მამრობითი სქესის

შთამომავლობა არსებობდა. ამას ისინი უარყოფდნენ იმისდა მიუხედავად, რომ დავით ლაშა-გიორგის ძე "უკანონო" შვილი იყო: მათი აზრით ასეთ შემთხვევაში უპირატესობა მაინც მამრობითი სქესის შთამომავლობას უნდა მიჰნიჭებოდა.

ამრიგად, ბოლოსდაბოლოს ქალის უფლება დავით ლაშა-გიორგის ძის მომხრე ჯგუფმა კვლავ საკამათოდ აქცია. ყველაზე მეტად აქ გულმოდგინეობას თურმე სარგის თმოგველი იჩენდა, რომელიც ქალის შთამომავლობის მემკვიდრეობითი უფლების ძლიერი მოწინააღმდეგე ყოფილა.

რაკი მოწინააღმდეგეთა შორის შეთანხმება ვერ მოხდა და დათმობა არც ერთს მათგანს არ ჰსურდა, საცილობელად ქცეული საკითხი მონღოლთა დიდ ყაანს უნდა გადაეწყვიტა.

კანონიერი და უკანონო შვილის საკითხი მხოლოდ ერთ ცოლქმრობის წესწყობილებაში შეიძლება იყოს მონღოლებს–კი მრავალცოლიანობა ჰქონდათ და თვითოეულს მათგანს, როგორც უკვე აღნიშნული იყო, იმდენი ცოლი ჰყავდა, რამდენის შენახვა შეეძლო და მოესურვებოდა. ამიტომაც კანონიერი და უკანონო შვილების ცნება მონღოლებისათვის სრულებით გაუგებარი იყო. შვილებსაც ისინი მხოლოდ წლოვანობით, უფროს-უმცროსობით არჩევდნენ.

რაკი ქართული სახელმწიფოს სამართლის ძალით დავით ლაშა-გიორგის ძესა და მის მომხრე ჯგუფს საქმის მოგება არ შეეძლო, მან, ყაანის კარზე იმ დროს ნამყოფი, დას. ევროპითგან მოსული დესპანის მოწმობით, თურმე მონღოლთა უზენაეს ბრძანებელს თხოვნა მიართვა, რომ საცილობელი საკითხი, თუ ვის ეკუთვნოდა საქართველოს სახელმწიფო ტახტი, ქართული სამართლის მიხედვით-კი არ ყოფილიყო განხილული და გადაწყვეტილი, არამედ მონღოლთა სამართლის ძალით. რა თქმა უნდა, ეს საქციელი არც საკადრისი იყო და არც გონიერი, რამდენადაც დამპყრობელისათვის საქართველოს სახელმწიფო წესწყობილების და სამართლის შელახვის წაქეზებას წარმოადგენდა, მაგრამ მოწინააღმდეგე პოლიტიკური ჯგუფების ვნებათაღელვა და თავისი სურვილის ყოველგვარი საშუალების მიღწევის წადილი იმდენად დიდი იყო, რომ სახელმწიფოს და ეროვნული ინტერესები თითქოს სრულებით დავიწყებული იყო.

თუ თვით ქართველ დიდებულთა ჯგუფი თავისი კანდიდატითურთ ქართული სამართლის დაცვას არ თხოულობდა, რა საფუძველი ექნებოდა მონღოლებს, რომ მისთვის თავი გამოედოთ? განა მონღოლთა ყაანისა და მის მრჩეველთათვის უფრო სასიამოვნოცა და გასაგებიც არ იქნებოდა, რომ კამათი მონღოლური სამაპრთლის თანახმად გადაწყვეტილიყო?

საქმის ასე მოტრიალება დავით ლაშა-გიორგის ძისა და მისი მომხრე ჯგუფისათვის, რასაკვირველია, მეტად ხელსაყრელი იყო, რათგან საქმის მთლიანად მოგებას უქადდა. მაგრამ მათ იმედი ჰქონდათ, რომ მეფობა მაინც მხოლოდდამხოლოდ დავით ლაშა-გიორგის ძეს დარჩებოდა. ეს მათი მოლოდინი-კი არ გამართლდა: ისევე, როგორც კანონიერსა და უკანონო შვილს შორის მათთვის განრჩევა არ იყო, მონღოლთა აზრით, როგორც უკვე ვიცით, სახელმწიფოში რამდენიმე ყაანის არსებობაც მთლიანობას არ ეწინააღმდეგებოდა, - თვით ჩინგიზ-ხანმაც-კი ახლად შექმნილი უზარმზარი საბრძანებელი გაუყო თავის შვილებს, - უფროსს მათგანს მხოლოდ უზენაესობა ჰქონდა მინიჭებული, დანარჩენი ყაანები-კი თანასწორნი იყვნენ.

4. საქართველოს მესვეურთა პოლიტიკური სიბეცის შედეგი და მონღოლთა ყაანის გადაწყვაეტილება

რაკი თვით საქართველოს წარმომადგენელთავე სურვილით საკამათო საკითხი უნდა მონღოლლური სამართლის მიხედვით გადაწყვეტილიყო, მონღოლთა დიდმა ყაანმა გუიუქმაც ასე ამჯობინა და 1247 წელს ქართველთა ამ გაჭიანურებულ დავას ამრიგად მოუღო ბოლო: საქართველოს სახელმწიფო ტახტის ორივე მაძიებელი მეფეებად დაამტკიცა, მაგრამ, რაკი დავით ლაშა-გიორგის ძე წლოვანობით უფრო ხნიერი იყო, ამიტომაც ის უფროს მეფედ დაინიშნა, დავით რუსუდანის ძე-კი, ვითარცა თავის ბიძაშვილზე ჯეელი, უმცროს მეფედ სცნო[58]. ამნაირად, დავით რუსუდანის ძემ წააგო და დავით ლაშა გიორგის ძემ არსებითად მოიგო, მაგრამ ამ უკანასკნელისა და მის მომხრეთა პოგლიტიკური ჯგუფის სიბეცით, ნამდვილად და უფრო მეტად-კი ქართული სახელმშიფო სამართალი იყო შელახული და მონღოლურმა გაიმარჯვა, საქართველოს სახელმწიფოებრივს მთლიანობას შეექმნა საფრთხე და მონღოლთა ბატონობისათვის უფრო ხელსაყრელი პირობები დამყარდა!

გუიუქ დიდი ყაანის ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების თანახმად, სრულიად საქართველოს სახელმწიფო შესაძლებელი იყო და ბოლოსდაბოლოს უნდა ორ სამეფოდ გაყოფილიყო, მხოლოდ უფროსი მეფის უზენაესობის შენარჩუნებით. მაგრამ საბედნიეროდ უკანასკნელს ჟამს ამ ორი მოცილე ბიძაშვილ-მამიდაშვილისა და მათ მომხრე დიდებულებს მაინც იმდენი გონიერება აღმოაჩნდათ, რომ ეს შესაძლებლობა უმალ სინამდვილედ არ ექციათ და საქართველოს მთლიანობა მაშინვე არ დაერღვიათ: ორივე დავითი რომ საქართველოში მეფეებად დაბრუნდნენ, მათ მონღოლური წესით სახელმწიფო არ გაუყვიათ, არამედ ერთიცა და მეორეც საქართველოს დედაქალაქში დარჩა და ქვეყნის მართვაგამგეობაც ორივე ხელით წარმოებდა. მაგრამ, მომავალი განხეთქილების ღვარძლის თესლი, რა თქმა უნდა, მაინც ჩაბნეული იყო და მხოლოდ შესაფერისი ამინდი სჭირდებოდა, რომ ღვარძლი ნიადაგითგან ამოსულიყო და თავისი გესლიანი ნაყოფი მოეტანა.

მხოლოდ მონღოლთა სამართლის გამოყენების თხოვნამ მოუპოვა-კი დავით ლაშა-გიორგის ძეს ის გამარჯვება, რომელსაც სხვა გზით ვერ ეღირსებოდა? თუ იმ გარემოებას გავითვალისწინებთ, რომ მას პირველი თანამეცხედრე, ანუ ცოლი, ჯიგდა-ხათუნი მონღოლთა ყაანის ურდოში 1247-8წ. შეურთავს, შესაძლებელია უნებლიედ ეჭვი დაიბადოს, რომ იქნებ ეს ქორწინებაც უფრო პოლიტიკური მოსაზრებით ნაკარნახევი გადაწყვეტილება იყო, ვიდრე მხურვალე ტრფობით გამოწვეული ნაბიჯი.

V. ორთა მეფობა სრულიად საქართველოში

1. დავითი V, გიორგი-ლაშას ძე, და დავით IV, რუსუდანის ძე

საქართველოს სახელმწიფოს მესვეურ დიდებულთა ორ ბანაკად დაჯგუფებულობისა და უგუნური ბრძოლის წყალობით, როგორც დავრწმუნდით, მოულოდნელად და სრულებით უნებურად საქართველოს სახელმწიფო თუმცა წინანდებურად მთლიან სახელმწიფოდ და სრულიად საქართველოდ დარჩა, მაგრამ ერთი მეფის მაგიერ ტახტზე ორი მეფე აღმოჩნდა, რომელთაგან ერთი უფროსად, მეორე უმცროსად ითვლებოდა.

---

[58] [მარიამ დ´ფსი ქ´ ცა, გვ. 651].

თითქოს განზრახ ამ ორსავე მეფეს სახელიც ერთიდაიგივე, დავითი, ერქვა, ისე რომ მათი გარჩევაც-კი შეუძლებელი იყო, თუ რომ თითოეულს მათგანს რაიმე განმასხვავებელი ნართაული სახელიც არ მიეკუთვნებოდა. მათი თანამედროვენი სწორედ ასე მოიქცნენ და ერთს, სახელდობრ უფროსს, დავით გიორგი-ლაშას ძეს, ულუ ეწოდა მეტსახელად, უმცროსს, დავით რუსუდანის ძეს-კი ნარინი. ქართ. ჟამთაამღწერელის განმარტებით ულუ ნიშნავდა დიდს, უფროსს, ხოლო ნარინ მონღოლურად თხელს, ე. ი., ამ შემთხვევაში, უმცროსს გამოჰხატავდა. ამრიგად ორივეს ნართაულ სახელად თითოეულის უფროს-უმცროსობის გამომხატველი მონღოლური სიტყვა მიჰკუთვნებია.

ნათესაობასა და სეხნაობას გარდა, ამ ორ დავითს საერთო ბევრი არა ჰქონდათ რა: დავით ულუ ტანადი იყო, მაგრამ ენამძიმე და მალემრწმენი. საუბარი ეძნელებოდა და გულუბრყვილობასთან ერთად არა ერთხელ ფიცხი ადამიანის თვისებაც გამოუჩენია. საკმარისი იყო რამე უსიამოვნო ამბავი გაეგო. რომ ადვილად დაეჯერებინა და აჩქარებით თავისი მრისხანება გამოემჟღავნებინა. ამ მალემრწმენობამა და აჩქარებამ არაერთხელ მას ისეთი შეცდომა ჩაადენინა, რომელმაც საქართველოს დიდი ზიანი მიაყენა.

დავით-ულუს, როგორც აღნიშნული გვქონდა, პირველ ცოლად მონღოლი ჯიგდა-ხათუნი ჰყავდა, რომელიც ჯერ კიდევ ყაანის ურდოში ყოფნის დროს შეურთავს. რაკი ჯიგდა-ხათუნი უნაყოფო გამოდგა, ამიტომ, შვილიერების მიზნით, 1249-1250 წ. მოუყვანია ოსი ქალიშვილი, ალთუნი, რომლისგანაც ვაჟიშვილი გიორგი და ასული თამარი შეეძინა. ამ შვილების შეძენის შემდეგ, დავით –ულუს, დადებული პირობის თანახმად, ალთუნი გაუშვია.

ჯიგდა–ხათუნის სიკვდილის შემდეგ, ულუ-დავითმა 1251 წ. თანამეცხედრედ რაჭის ერისთავის, კახაბერიძის ასული გვანცა მოიყვანა, რომელიც წინათ ავაგ ათაბაგზე იყო გათხოვილი და 1249/50 წ. დაქვრივდა. გვანცა დედოფლისაგან ულუ-დავითს 1259 წ. ვაჟიშვილი დემეტრე შეეძინა, შემდეგში თავდადებულად წოდებული.

მონღოლებმა რომ გვანცა დედოფალი, მისი ქმრის, მეფე დავითის, აჯანყების გამო, შეიპყრეს და 1262 წ. მოაკვლევინეს, დავით-ულუმ ერთი წლის შემდეგ, 1263 წ., ისევე მონღოლი უფლისწული, ჭორმაღონ და სირმონ ნოინების და, ესუქნი, შეირთო ცოლად.

დავით რუსუდანის ძე, ანუ, როგორც მაშინ უწოდებდნენ, დავით–ნარინი, ზომიერი სიმაღლის, ტანწვრილი და ლამაზი ჭაბუკი იყო, ამასთანავე ენატკბილი და მჭერმეტყველი მოუბარი. დინჯი სამართლის მომქმედი და გულუხვი ადამიანის სახელიც ჰქონდა მოხვეჭილი. ლაშქრობაში გამგონედ და კარგ, ხელმარჯვე მონადირედ ითვლებოდა.

დავით–ნარინს თანამეცხედრედ, ანუ ცოლად, ამანელის ძეთა ასული თამარი მოუყვანია, რომლისგანაც სამი ვაჟი შესძენია: ვახტანგი, მამაზე უწინარეს გარდაცვლილი, კონსტანტინე და მიქაელ.

პირველი ცოლის სიკვდილის შემდეგ, თანამეცხედრედ 1267 წ. მან მიხეილ მე-8 პალაჲლოღოსის ასული შეირთო, რომლისგანაც ძე ალექსანდრე ეყოლა.

თუმცა უკვე მე-13 ს. დამლევსა და მე-14 ს. პირველ ნახევარში ამ ორი დავითის ერთად მეფობა საცილობელი გამხდარა და ჯერ კიდევ იმავე საუკუნის დასასრულს ზოგიერთი ისტორიკოსები ამტკიცებდნენ, ვითომც მონღოლთა ყაანის ურდოთგან დაბრუნებისთანავე უკმაყოფილო დავით რუსუდანის ძე უმალ დას. საქართველოში და აფხაზეთშიც-კი დამკვიდრებულიყოს, მაგრამ ეს სრულებით მცდარი აზრია.

ამ ორი დავითის ერთდროულად და ერთად მეფობას, ქართ.ჟამთააღმწერელის მიერ დამოწმებულს მათ საერთო სიგელებს გარდა, აბელის ეკლესიის 1250 წ. ახ.ხ. კედლის წარწერაც

ამტკიცებს, რომელშიც ამ ორსავე დავითს მათი თანამედროვე მანგლელი ეპისკოპოზი არსენ შვიდაჲს ძე ერთად მეფეებად ასახელებს[59].

მაგრამ იმ ხანაშიც, როდესაც დავით-ნარინი ჯერ კიდევ დიდი ყაანის ურდოთგან დაბრუნებული არ იყო და მას მონღოლთაგან ჯერ მეფობაც დამტკიცებული არ ჰქონდა, საქართველოს მთავრობამ მისი სახელით 1245 წ. ქ. დმანისში ქართული და სპარსული ზედწერილიანი ფული მოსჭრა. ამ ფულზე დავით მეფის ყაანის ყმობა უკვე აღნიშნულია, მაგრამ თვით ყაანის ვინაობის, მისი სახელის, მოუხსენებლივ. ამით უცილობლად მტკმცდება, რომ თავდაპირველად საქართველოში მეფედ მხოლოდ დავით რუსუდანის ძესა სთვლიდნენ და მისი სახელით ფულის მოჭრა აუცილებლად საჭიროდ უცვნიათ იმისდა მიუხედავადაც, რომ საქართველოს დედაქალაში, ტფილისში, მონღოლთა ხელისუფლების დამკვიდრების გამო, მაშინ ამ ფულის იქ მოჭრა შეუძლებელი ყოფილა და ზარაფხანის ქ. დმანისში გატანა მოჰხდომიათ.

შემდეგ, როდესაც საქართველოში ცნობა მოსვლიათ, რომ ყაანმა მეფობა ორსავე დავითს მისცა, მაგრამ დავით-ულუს უფროსობა მიანიჭა, დავით–ნარინის სახელის შემცველი ფული მხოლოდ ერთხელ-ღა, 1252 წ., მოუჭრიათ, ისიც მარტო სპილენძის, 1247 წლითგან მოყოლებული-კი ვერცხლის ფული, ხოლო 1252 წლის შემდეგ უკვე სპილენძის ფულიც მარტო დავით გიორგი-ლაშას ძის, ვითარცა უფროსი მეფის, სახელით-ღა იჭრებოდა.

2. საქართველოს მდგომარეობა მონღოლთა გაბატონების დასაწყისს ხანაში

1256 წლამდე, როდესაც მანგუ, ანუ მუნქე ყაანმა ერანში ბატონიშვილი ჰულაგუ დანიშნა ყაანად, ანუ ილხანად, საქართველო ჩრდილოეთის ულუსის ყაანს ექვემდებარებოდა, შემდეგ-კი ერანში გაყაანებულს ჰულაგუსა და მის შთამომავლობას. ამიტომ იმისდა მიხედვით დავით მეფეებს ჯერ ბათო ყაანთან უხდებოდათ გამგზავრება, 1256 წ. და შემდეგ უკვე ერანში

ა. მონღოლთაგან შემოღებული გადასახადები და ბეგარა.

თავის ადგილას უკვე აღნიშნული გვქონდა, რომ მონღოლთა თვით უფლისწულთა შორისაც-კი წერაკითხვა იშვიათად თუ ვინმემ იცოდა, ჩვეულებრივი მოხელეები ხომ მოსახსენებელნი არც კი არიან. ასევე ვიცით უკვე, რომ სამოქალაქო საქმეების მცოდნე პირების მონღოლთა შორის უქონლობის გამოც, მონღოლთა ყაანებსა და დიდ ნოინებს უიღური, ასურელი და ხვარაზმელი ან სპარსელი ვაჭრების გამოუყენებლივ არაფრის გაკეთება არ შეეძლოთ. დიდი ყაანისგან განსაკუთრებული ხელისუფლებით აღჭურვილმა არღუნ ნოინმაც თავის უშუალო თანაშემწედ, ულუგ ბიტექჩი-დ, ანუ დიდ მდივნად, რომელსაც ფინანსები ებარა, ხვარაზმელი შერეფედდინი დანიშნა. მიზნად მას დასახული ჰქონდა საყაანო ხაზინისათვის რაც შეიძლება მეტი შემოსავალი აეკრებინებინა. ამის მისაღწევად მონღოლთაგან ხელში ჩაგდებული მთელი საბრძანებელი მან ორ მთავარ ნაწილად გაჰყო: ერთ ნაწილად ის იმ ადგილებს სთვლიდა, რომელნიც მონღოლებს ნებაყოფლობით დაემორჩილნენ, მეორე ნაწილად-კი ძალით დაპყრობილებს. ამისდა მიხედვით გადასახდელი ხარკის სიმძიმეც საგრძნობლად განსხვავდებოდა. შერეფედდინმა მთელი თავისი საფინანსო გეგმა ამაზე ააგო: დაპყრობილი ქვეყნების მოსახლეობას მან ყოველგვარი გადასახადები დაადო[60] და ისეთი

---

[59] [ე. თაყაიშვილი, Арх. экскурсии, III,გვ. 16].

[60] **მორხონდის,** ცნობაა.

სიმკაცრით ახდევინებდა, რომ არავის არ ინდობდა და არაფერს ერიდებოდა, ოღონდ ხარკი მთლიანად ჩაეგდო ხნლში, ქვრივ-ობლებსა და შეუძლებელთაც-კი ყველაფერს ართმევდნენ შეუბრალებლივ. ხარკის გადაუხდელობისათვის სახლების გაცარცვა და მშობლებისაგან შვილების, ხოლო მიწისმოქმედთათვის საქონლის წართმევა და გაყიდვა ჩვეულებრივი მოვლენა იყო.რა გასაკვირველია, რომ ასეთ პირობებში სოფლისა და ქალაქის მოსახლეობა და მეურნეობა გასაჭირში ჩავარდნილიყო. მხოლოდ 1244 წ. შერეფედდინის სიკვდილმა იხსნა ყველა ამ ქვეყნების მცხოვრებნი წურბელასავით გამომწოველი ამ მოხელის საშინელებისაგან.

1246 წ. რომ გუიუქი გაყაანდა, არღუნ ნოინმა სცადა მონღოლთა ბატონიშვილების მოჭარბებული მადიანობა და გადასახადების აკრებისას გავრცელებული მოხელეთა თავაშვებული ბოროტმოქმედება აელაგმა, მაგრამ 1248 წ. გუიუქი გარდაიცვალა და, მუნქე გაყაანდა თუ არა, არეულობა და აჯანყება დაიწყო და ეს განზრახვა ჩაიშალა. 1251 წ. მუნქემ მოწინააღმდეგეებს სძლია და ყაანობას უკვე ნამდვილად შეუდგა. გადასახადებისა და მოლაშქრეთა შესაძლებელი რაოდენობის გამოსარკვევად მთელ საყაანოში ხალხისა და ქონების აღწერის მოხდენა გადაწყდა. ამ დიდი და რთული საქმის განხორციელება არღუნს მიენდო, მაგრამ, ცხადია, რომ, ადგილობრივი პირობების მცოდნე პირების დაუხმარებლივ, მას ასეთი დავალების შესრულება არ შეეძლო. კერძოდ საქართველოს, ერანისა და ადერბეჯანის აღწერის ზოგადი მეთვალყურეობა ხოჯა ნეჯმედდინს მიანდო.

არღუნს რომ, როგორც უიღურული დამწერლობა-მწიგნობრობის მცოდნეს, საყაანოს მოსახლეობისა და მიწაწყლის აღთვალვა-აღწერა დაეკისრა, ეს დავალება მან 1254 წ. შეასრულა კიდეც. მონღოლთა სხვა სამფლობელოებს შორის საქართველოშიც, ვითარცა ყმადნაფიცს სამეფოში, ხალხისა და ქონების აღწერა მოახდინეს.

ამ აღწერის დროს მონღოლთა მთავრობამ ორი მიზანი დაისახა: მას ჯერ ერთი მოზრდილ მამაკაცთა რაოდენობის შესახებ სჭირდებოდა ცნობები, რომ ამისდა მიხედვით გამოერკვია, თუ რამდენი "მხედარი და მეომარი ლაშქრად განმავალი", შეეძლო თითოეული ქვეყნითგან გამოეყვანა და ამისდა მიხედვით ყოველწლივ გასაწვევ მოლაშქრეთა რიცხვი განესაზღვრა. მეორე მხრით მას უნდოდა გაეგო, რამდენი შემოსავალი უნდა ჰქონოდა ყოველნაირი წყაროთგან სხვადასხვა მისი ხელქვეშეთი ქვეყნებითგან.

რამდენად ფართო საგადასახადო დაბეგვრის გეგმა ჰქონდა მონღოლთა საყაანოს განზრახული, თუნდაც იქითგანაც ჩანს, რომ, როდესაც საქართველოში ზემოდასახელებული მიზნის განხორციელებას შეუდგნენ, "იწყეს აღწერად კაცით პირუტყვთამდე, ყანით ვენახთამდე, წალკოტით ბოსტნამდე". ამრიგად, ხალხის აღთვალვასთან დაკავშირებულს ამოცანას გარდა, მოსახლეობის მთელი მოძრავ-უძრავი საკუთრებისა და ქონების აღწერაც მოუხდენიათ.

რაკი ხალხის აღთვალვა მონღოლებს მხოლოდ ლაშქრად წასაყვანად გამოსადეგი პირების რაოდენობის გამოსარკვევად სჭირდებოდათ, ამიტომაც ხალხის აღწერაში მთელი მამრობითი სქესის მოსახლეობა-კი არ უნდა ყოფილიყო შეტანილი, არამედ მხოლოდ ისეთები, რომელთაც იარაღის ხმარება და ბრძოლაში მონაწილეობის მიღება შეეძლოთ. ამისდა მიხედვით ხალხის აღწერის წიგნებში ყველა მამაკაცის შესახებ-კი არ შეჰქონდათ ცნობები, არამედ მხოლოდ 15 წლის ჰასაკითგან მოყოლებული 60 წლის მოხუცებულამდე. აღწერის წიგნს დავთარი ეწოდებოდა და თითოეულ თავს, რომელიც დავთარში იყო შეტანილი, 60 თეთრს ახდევინებდნენ (მალაქიას ცნობით), ანუ (ჯუვეინის სიტყვით) 7 დრაჰკანს. ამასთანავე, ამავე ავტორის ცნობით, ახლის აღწერის დავთარში ყოველ შეტანილს პირს ამდენი ფული მარტო პირველი აღწერის შედგენის დროს-კი არ უნდა გამოეღო, არამედ შემდეგშიც, ყოველწლიურად უნდა ეძლია.

რასაკვირველია, ზემოაღნიშნული ცნობები მონღოლთა საყაანოს მხოლოდ ისეთი შემთხვევისათვის დასჭირდებოდა, როდესაც მთელი მოსახლეობის, ანუ, როგორც საქართველოში ძველად ამბობდნენ ხოლმე, ქუდზე კაცის გაწვევა მოუხდებოდა.

ყოველწლიური სამხედრო ბეგრის მომხდელთა რაოდენობა სხვაგვარ მოსაზრებასა და დებულებაზე იყო დამყარებული, საქართველოში მაინც. ქართველი ჟამათააღმწერელის სიტყვით, მონღოლები "ცხრასა გლეხსა სრულისა მიწის (ე. ი. ფუძისა) მქონებელსა ერთი ლაშქარს წარმავალი კაცი შეაგდიან". ამნაირად, სამხედრო დაბეგვრა კომლობლივ-ქონებრივ საფუძველზე იყო აგებული. რათგან "სრული მიწა", ანუ ფუძე საკომლო საკუთრებას წარმოადგენდა.

აღთვალვა საქართველოში ძველად გავრცელებულს ცხრა-ცხრაობით აღრიცხვის წესით უწარმოებიათ. თითოეული მოლაშქრის გამომყვანელ ერთეულად ცხრა სრულფუძიანი კომლია. მიჩნეული და ყოველს ასეთ ერთეულს მონღოლებთან ლაშქარს წარმავალი ერთი კაცი უნდა გამოეყვანა.

ხალხის აღთვალვა შესაძლებელია მხოლოდ სამხედრო ბეგარის მოსაწესრიგებლად გამომდგარიყო და მას მარტო საყაანოსთვის შეეძლო მოეტანა სარგებლობა, თორემ, როგორც მონღოლთა საბრძანებლის ყველა ქვეყნებისათვის, ისევე საქართველოს სამეფოს მოსახლეობისათვისაც მისი შედეგი უფრო საზიანო გამოდგა, ვიდრე სახეირო. გამოირკვა, რომ ლაშქრად წარმავალთა რაოდენობის განსაზღვრის იმ წესის თანახმად, რომელიც მონღოლთა მთავრობამ დააკანონა, საქართველოს უნდა გამოეყვანა "ცხრა დუმანი კაცი მხედართა თათართა თანა წარმავალი, რომელ არს ცხრა ბევრი ", ე. ი. 90000 მოლაშქრე.

რაკი საქართველოს სახელმწიფოთგან გამოსაყვანი 90000 მეომარი შემდგარა, მაშასადამე, მთელს სამეფოში მაშინ თითოეულ მხედარზე სრული ფუძის მქონებელი ცხრა კომლი უანგარიშნიათ, ე. ი. სულ 810000 კომლი სრულფუძიანი მოსახლე ყოფილა. კომლზე, რომ 5 სული ვივარაუდოთ 4050000 სული გამოვა. ამ 90000-ში, როგორც ვიცით, მამრობითი სქესის მოსახლეობა 15 წლამდე და 60 წელზე უფროსი აღწერაში შეტანილი არ იყო. თუ მათაც ვივარაუდებთ და მივათვლით, მაშინდელი საქართველოს სახელმწიფოს მთელი მოსახლეობა შესაძლებელია დაახლოვებით 4 ½-5 მილიონამდე მაინც ვიანგშარიშოთ. რასაკვირველია, ამ რიცხვში, საკუთრივ საქართველოს გარდა, საქართველოს ფარგლებში მყოფი სომხური და სხვა ეროვნების მოსახლეობაც უნდა ვიგულისხმოთ. მაინც ზემომოყვანილი სტატისტიკური ცნობა ცხად-ჰყოფს, თუ რამდენად მჭიდრო მოსახლეობა ყოფილა მაშინ საქართველოს სახელმწიფოში.

ადვილი წარმოსადგენელია, თუ რამდენად სამძიმო უნდა ყოფილიყო ქვეყნისა და ხალისათვის ყოველწლივ 90000 მხედრის მონღოლთა ლაშქრობაში გაყვანა. ეს ხომ ამოდენა ჯანსაღი ვაჟკაცის ყოველწლიურად თავის კერისა და საქმიანობისაგან მოწყვეტას ნიშნავდა. თავის სამშობლოში მშვიდობიანი ნაყოფიერი მუშაობის მაგიერ, მათ უნდა უცხო ქვეყნებში მონღოლთა გაუმაძღარი მადის დაკმაყოფილებისათვის ებრძოლათ და, რა თქმა უნდა, ხშირად თავი შეეკლადთ კიდეც.

საკმარისია შემდეგ ადამიანმა ზემოაღნიშნულ ცნობას მონღოლთაგან მოწყობილი აღწერის შესახებ გადაავლოს თვალი, რომ დარწმუნდეს, თუ რამდენად მრავალმხრივს დაბეგვრაზე იყო მათგან განზრახული საგადასახადო სისტემა. პირუტყვის, ყანების, ვენახების, წალკოტებისა და ბოსტნების ფართობი მონღოლთა საყაანოს, რასაკვირველია, სასოფლო მეურნეობის ყველა დარგებითგან მოსალოდნენი საგადასახადო შემოსავალის ზოგადი რაოდენობის გამოსაანგარიშებლად სჭირდებოდა. ირკვევა, მაშასადამე, რომ მონღოლებს დაუბეგრავი არა დაუტოვებიათ რა: არც მიწისმოქმედება, არც მებოსტნეობა, მეხილეობა და მევენახეობა და არც მესაქონლეობა.

სასოფლო მეურნეობაზე დადებულ საყაანო გადასახადს მალი ეწოდებოდა. მალს გარდა,არსებობდა .ყაფჩერი, ანუ ყუბჩურ ი, რომელიც ქართულ საბალახეს უდრიდა; 100 საქონელზე პატრონს 1 სული უნდა გამოეყვანა და მიეცა მონღოლებისათვის. შემდეგ ეს საბალახე ფულად გადასახადად აქციეს და ისე იყო განსაზღვრული, რომ უნდა შეძლების კვალობაზე გამოერთმიათ 10 დინარითგან მოყოლებული 1 დინარამდე.

მონღოლებს სავაჭრო გადასახადიც ჰქონდათ შემოღებული, რომელსაც ტამღა ეწოდებოდა: ყოველ 100 თეთრის ნასყიდობაზე 3 თეთრი, ანუ 3% უნდა საყაანოდ ყოფილიყო გადახდილი.

ამას გარდა, ულუფად წოდებული სამოხელეო გამოსაღებელიც იყო დაწესებული: მონღოლთა ათასეულის ნოინისა, ანუ უფროსისათვის ყოველ სოფელს 1 კრავი და 1 დრაჰკანი უნდა მიეცა, ხოლო ათიათასის უფროსისა, ანუ დჯმენ-ნოინისათის 1 ცხვარი და 2 დრაჰკანი.

დასასრულ, ორი ბეგარის მოხდაც იყო სავალდებულო: ერთს მათგანს მონღოლურად ყალანი ეწოდებოდა, ქართულად-კი სალაშქრო, რომელიც თავდაპირველად სამხედრო ბეგარას წარმოადგენდა. შემდეგში ყალანიც ფულად გადასახადად იქცა.

მეორე ბეგარას საიამე ერქვა. მონღოლებმა მთავარ გზებზე გარკვეულ მანძილზე ერთიმეორისაგან დაშორებით იამ-ად წოდებული სადგურები ააგეს, სადაც მოსახლეობას ყაანის ელჩებისა, მოციქულებისა და მოხელეებისათვის, თავისთავად ცხადია, ბატონიშვილებისათვისაც, ცხენები და კვება უნდა დაეხვედრებინათ, თავშესაფარიც მიეცათ. ყველა ამის შესანახად სახსრების გამოღება და ცხენების შენახვა სოფლებითგან გამოყვანილ მეკომურებს ჰქონდათ მოვალეობად დაკისრებული.

როგორც ზემონათქვამიდან ჩანს, მონღოლთა ლაშქრობაში გამუდმებულ მონაწილეობაზე, თუ მეტად არა, იმაზე ნაკლებ შემაწუხებელი არც მათგან დადებული ხარკი იყო. მონღოლთა ყაანებისა და მათი საგვარეულოების მარავალრიცხოვანი მუქთახორა წევრებისა და ამალების, ისევე როგორც დიდი და მცირე ნოინებისა და მათი მადიანი ოჯახების "შენახვას" დიდძალი ქონება სჭირდებოდა და, რაკი თვით მონღოლებს, ვითარცა მომთაბარე მესაქონლეობის, მონადირეობისა და მეკობრობა-ლაშქრობის მიმდევარ ხალხს, თვალგადაუწვდენელ სახელმწიფოსათვის მხოლოდ მცირე შემოსავლის მოცემა შეეძლო, ამიტომაც საყაანოს შემოსავლის ტვირთის უდიდესი ნაწილი ყმადნაფიცისა და დაპყრობილ ქვეყნებს ედვათ კისერზე.

მოსახლეობისათვის მთავარ უბედურებას მაინც ის გარემოება შეადგენდა, რომ კანონით, განსაზღვრულსა და დაწესებულს არც გადასახადებსა და არც ბეგარას არავინ სჯერდებოდა: ხარჯის ამკრები მოხელეებიცა და თვით მონღოლთა თანამდებობის პირნიც ყოველთვის მეტს თხოულობდნენ და, საცა ნებაყოფლობით ამის მიღება არ შეეძლოთ, ძალით მიჰქონდათ. ეროვნებისა და სადაურობის განურჩევლად იმდროინდელი ყველა ისტორიკოს-მოგზაურების ცნობებით მონღოლთაგან გადასახადების აკრება ნამდვილად ყაჩაღთა ბრბოს თარეშს უფრო მიაგავდა.

ბ. საქართველოს იმდროინდელი პოლიტიკური ვითარება

როგორც უკვე ნათქვამი გვქონდა, 1256 წლითგან მოყოლებული საქართველოს პოლიტიკური დამოკიდებულების მთავარი მესვეური გამოიცვალა და ჩრდილოეთის ულუსის მაგიერ, ამ დროითგან მოყოლებული საქართველოს მთავრობა უკვე ერანის მონღოლთა მფლობელს ექვემდებარებოდა.

ერანში ჰულაგუს,ანუ როგორც ქართ. ჟამთაამღწერელი უწოდებს, ულუ-ს გაყაანების შემდგომ, ე. ი. 1256 წ., დავით გიორგი-ლაშას ძე "წარვიდა ყაანს ულოს წინაშე ნიჭითა დიდითა". რასაკვირველია, დავით–ნარინიც ამნაირადვე გაემგზავრებოდა. საფიქრალია, რომ ორივე იქ მისალოცად უნდა ყოფილიყვნენ მისული. ქართველი ისტორიკოსის ცნობით ჰულაგუს მეფე კარგად მიუღია, "პატივითა შეიწყნარა"-ო და განკარგულება გაუცია, რომ მეფეს დავით-ულუს დარბაზობის დროს ნოინებთან ერთად დგომისა და ჯდომის უფლება ჰქონოდა და ამასთანავე "გამკითხველად და ბჭედ", ანუ მონღოლურად იარღუჩ-ად, ე. ი. მოსამართლედაც დაუნიშნავს[61].

უკვე იმ დროითგან მოყოლებული, როდესაც გაყაანებული მენქუს წინააღმდეგ უქედესა და ჯაღატაᲘს ულუსებისაგან მოწყობილი აჯანყება ჩაქრობილ იქმნა და 1251 წ. მონღოლთა საბრძანებელში მენქუმ თავისი ხელისუფლების განმტკიცება და მშვიდობიანობის დამყარება შესძლო, შინაური ბრძოლის გამო შენელებული მონღოლთა მოლაშქრეობა კვლავ განახლდა და მახლობელ აღმოსავლეთშიც ისევ ომი გაჩაღდა. თავიანთი სამხედრო მიზნების მისაღწევად მონღოლები მარტო თითონ აღარ იბრძოდნენ, არამედ ყოველ ლაშქრობაში ყმადნაფიცი სამეფოებისა და დაპყრობილი ქვეყნებითგან გამოყვანილი ჯარიც მიჰყავდათ ხოლმე.

მონღოლთა უღელში შებმული და მათი მძიმე ტვირთის მზიდველი ხალხების მდგომარეობა ყველა ზემოაღნიშნულის გამო საშინელი იყო. სანამ შეეძლოთ და გადაულახავი დაბრკოლება არ გადაეღობათ, მონღოლთა მთავარ ოცნებას საზღვრების გაფართოება და ახალ-ახალი ქვეყნების დაპყრობა-გაცარცვით გამდიდრება შეადგენდა.

როდესაც სხვა მათი ყმადნაფიცი ერები მათი ხშირი ლაშქრობის უნებლიეთი მონაწილენი გახდნენ, ისინიც ასეთ გამუდმებულს სამხედრო მოქმედებას შესჩვეოდნენ. მწარე გამოცდილებამ ისინი დაარწმუნა, რომ მათ ხელში მყოფი ადამიანისათვის შეთხელებული საკუთარი სახსრების შესავსებად და გამდიდრებისათვის ბოლოსდაბოლოს ერთადერთ წყაროდ ომში მოპოვებული და ხელში ჩაგდებული დავლა-ღა რჩებოდა. მართალია, ეს წყარო სახიფათო იყო, რათგან იგი სისხლის ღვრასა და სიცოცხლის განსაცდელთან იყო დაკავშირებული, და რაც ერთმა ომში წარმავალმა არ იცოდა, ბედი რას უქადდა მას, - მოახერხებდა ძვირფას დავლა-ნაცარცვით დაბრუნებას, თუ პირიქით თითონ მოუხდებოდა თავის განწირვა და სულის განტევება. ამიტომაც ამ გზით შეძენილ ქონებას მაშინდელ საქართველოში ნასისხლი ეწოდა, მაგრამ, ვინც განსაცდელს თავს დააღწევდა, მონღოლთა ძლევამოსილი ლაშქრობითგან ხელცარიელი არავითარ შემთხვევაში არ დაბრუნდებოდა. ქართ. ჟამთააღმწერელს ეს გარემოება არა ერთხელ აქვს აღნიშნული, მაგ., მისი სიტყვით, ერზინკისა და რუმის სულტნის დამარცხების შემდგომ "აღივსნეს ქართველნი და თათარნი ყოვლითა სიმდიდრითა, ოქროთა და ვერცხლითა, უცხოთა ლარითა და სამოსელითა," ხოლო "ცხენისა და აქლემისა არა იყო რიცხვი"-ო. იგივე ისტორიკოსი გვიამბობს, რომ ამაზე უფრო გვიან 1258წ. არაბთა სახალიფოს დედაქალაქის ბაღდადის აღების შემდეგ ერანითგან მოსული მონღოლთა და საქართველოთგან გამოყვანილი თანამონაწილე მელაშქრენი ისე გავსებულან ნადავლით, რომ ძვირფას განძეულობას გარდა თურმე უკვე აღარაფერს ეკარებოდნენ და "არავინ აღიღებდა თჳინიერ ოქროსა და ვერცხლისა, თვალისა და მარგალიტისა და შესამოსელთაგან კიდე"

გამდიდრების ასეთმა გზამა და საშუალებამ მაშინ ბევრი გაიტაცა და ლაშქრობით მოპოვებული განძეულობის შესახებ იმდროინდელ საბუთებში მკითხველი არაერთხელ შეხვდება ასეთ ცნობებს. არაერთს ამნაირად თავისი ქონებრივი მდგომარეობა გამოუსწორებია და იაფად შეძენილი ნადავლის შემდეგ უფრო ძვირად გაყიდვით ზოგს ბევრი მოუგია კიდევაც.

---

[61] **ჟამთააღმწერელი,** გვ. 659.

მაგრამ, რასაკვირველია, ეს მარტო მაღალი წრის წარმომადგენლებსა და დიდ სამხედრო პირებზე ითქმის. საერთოდ-კი თითოეულ ასეთ ლაშქრობას ადამიანთა საგრძნობი, ხშირად უდიდესი, რიცხვის სიცოცხლე ეწირებოდა და ყველა ხომ თავის სამშობლოში ნაყოფიერ მუშაობას სცილდებოდა.

თუ გავიხსენებთ, რომ მონღოლთა ყაანებს წესად ჰქონდათ და დიდ ომებში მამაკაც მოსახლეობის 20% გაჰყავდათ ხოლმე და რომ ამოდენა ხალხი მათ ლაშქრობაში უნებლიეთ იყო ჩაბმული, ცხადი გახდება, რომ მათი თითქმის გამუდმებული ომიანობის გამო, ეს სამხედრო ბეგარა მეტად მძიმე და სახალხო მეურნეობის გამანადგურებელ ტვირთად უნდა ქცეულიყო. ამის გასათვალისწინებლად საკმარისია მხოლოდ დიდი ომები დავასახელოთ, უფრო წვრილს ომებსაც რომ თავი დავანებოთ. მოჰლიდების წინააღმდეგ ერანში და მათი სამფლობელოს გასანადგურებლად რმდენიმე წლის განმავლობაში მთიანს მძიმე პირობებში წარმოებულ ბრძოლას, რომელიც 1256 წ. ნოემბრის დამდეგს მოჰლიდების დედაციხის ალამუტის აღებით დამთავრდა, მალევე ბაღდადის სახალიფოს დასაპყრობად დაწყებული ომი მოჰყვა, რომელიც 1258 წ. 10 თებერვალს ქ. ბაღდადის აღებითა და ხალიფას სიკვდილად დასჯით დამთავრდა. ხოლო 1259 წ. ერანის მონღოლმა ილხანმა უკვე ეგვიპტის სულტანის სამფლობელოს ხელში ჩასაგდებადაც დაიწყო ბრძოლა.

3. საქართველოს წესწყობილებაში მომხდარი ღრმა ცვლილება. მედროვეობა

მესტუმრე ჯიქურის აღზევება, მოღვაწეობა და ბედუკუღმართი დასასრული

მონღოლთა უღელქვეშ ყოფნამ მარტო ზემოგადაშლილი სამხედრო და ეკონომიური ზიანი არ გამოიწვია საქართველოში. მისი გავლენა წესწყობილებისა და ყოფაცხოვრების სხვა სფეროებსაც ძლიერად დაეტყო და აქაც დიდი კვალი დააჩნია. სახელმწიფო წესწყობილების წიაღში ამ დროს მომხდარს ცვლილებაზე უკვე გვქონდა საუბარი, მაგრამ მონღოლთა ბატონობამ საქართველოს უფრო ღრმა კვალიც დააჩნია. იმ ხანაში სახელმწიფო ასპარეზზე დაწინაურებისათვის უკვე ყოველთვის წესიერი გზა აღარ იყო საჭირო: პირად დამოკიდებულებას მაშინ წილნანდელზე უფრო მეტი მნიშვნელობა მიენიჭა. დაბალი თანამდებობის პირი, - თუ ქვეყნის მმართველი მის ჩალაპარაკებასა და ჩურჩულს ყურს უგდებდა და მის რჩევას ანგარიშს უწევდა, - შესაძლებელია ისე გაძლიერებულიყო, რომ ყველა თავის ზემდგომ მოხელეებზე უფრო მეტი გავლენა მოეპოვა და სახელმწიფოს ნამდვილ მესაჭედ ქცეულიყო. ასეთ მედროვეთა გაჩენასა და დაწინაურებას მონღოლური წესი უწყობდა ხელს, რათგან ყმადნაფიცი სამფლობელოების სამხედრო ძალა უნდა თვით მეფის, ან და ქვეყნის სათანადო უზენაესი ხელისუფლის მეთაურობით გამოსულიყო. ისედაც მონღოლთა ყაანისაგან დამოკიდებულს ყმადნაფიცი ქვეყნების მმართველებს მის ურდოში ხშირად უხდებოდათ ყოფნა, რაკი ყაანთან და მის გავლენიან მრჩევლებთან შეუთანხმებლივ არცერთი მნიშვნელოვანი სახელმწიფო საქმის მოგვარება არ შეიძლებოდა.

მონღოლთა ხშირი ომიანობისა და უკანასკნელად დასახელებული მიზეზის გამო, საქართველოს მეფეებიც იძულებული იყვნენ ხოლმე თავიანთი სახელმწიფოს მართვა-გამგეობისათვის თავი დაენებებინათ და ან მონღოლთა ლაშქრობაში მიეღოთ მონაწილეობა, ან და ყაანის კარზე გაეტარებინათ დრო. ამის გამოისობით ისინი თავიანთ სამეფოს ხანგრძლივ შორდებოდნენ და ქვეყანაც უმეფოდ რჩებოდა ხოლმე. რაკი ეს მაშინდელ საქართველოში თითქმის ჩვეულებრივ მოვლენად იქცა, ამიტომ მათ უნდა იმაზედაც ეზრუნათ და ისიც გადაეწყვიტათ, თუ თავიანთი მაგიერობა სახელდობრ ვისთვის მიენდოთ.

ქართული სახელმწიფო სამართალი და წესწყობილება რომ უკვე შერყეული არ ყოფილიყო, ამის გადაწყვეტა ძალიან ადვილი იყო, რათგან, მეფის სახელმწიფოში ყოფნის დროსაც-კი, მეფის თანაგამზრახი და ნამდვილი კანონიერი მოადგილე საქართველოში მწიგნობართუხუცესი და ვაზირთა ყოველთა უპირველესი იყო და, მის გარდა, სხვას არავის ჰქონდა უფლება, რომ ასეთი მოვალეობა ეკისრა. მაგრამ მწიგნობართუხუცესის უპირატესობა ჩვენი ქვეყნის მართვა-გამგეობაში, როგორც აღნიშნული გვქონდა, მონღოლთა წესწყობილების გავლენით ამ ხანაში უკვე დაჩრდილული იყო და სახელმწიფო ცხოვრებაში უპირატესობის მოსაპოვებლად უფრო პირად დამოკიდებულებასა და ნდობას მიენიჭა მნიშვნელობა, ვიდრე კანონს.

ქართ.ჟამთააღმწერელის სიტყვით დავით-ულუ ჩრდილოეთის ულუსის ყაანმა ბათომ დაიბარა და მეფეც დიდი საჩუქრებით დატვირთული მასთან გაემგზავრა. საქართველოთგან წასვლის წინ, ქვეყანა ორ პირს ჩააბარა, სახელდობრ:"დაუტევა გამგებლად სახლისა სამეუფოსა დედოფალი ჯიგდა-ხათუნ და მესტუმრე ჯიქურ".

მესტუმრე ჯიქურს დავით გიორგი-ლაშას ძემ სამეფოს ზოგადი მმართველობა დააკისრა და მას დარბაზის კარს მყოფი დაწესებულებანი რომ დაუქვემდებარა, მესტუმრე ჯიქურს დავით გორგი –ლაშას ძემ სამეფოს ზოგადი მმართველობა საქვეყნოდ გამრიგეთა შესახებაც დასტოვა განკარგულება: "თუითოეულისა თემისა [განგება] თუითოეულისა კაცსა შეჰვედროს"-ო, ჟამთააღმწერელი ამბობს[62]. სამწუხაროდ აქ განმარტებული არ არის, დავალება აქაც მეფის პირად არჩევანზე იყო დამყარებული, თუ დავით-ულუმ ამ შემთხვევაში პასუხისმგებლობა თემის უმაღლეს მოხელეებს დააკისრა.

მაგრამ აქ სხვა გარემოებაა საყურადღებო. მონღოლთა ურდოში გამგზავრების წინ, მეფეს სხვა საქვეყნოდ გამრიგეთა შორის ამავე წესით კახეთიც ერთი პირისათვის, სახელდობრ, თორღუა პანკელისათვის ჩაუბარებია: "კახეთიცა პანკელსა თორღუას შეჰვედრა და ამცნო, რათა ბრძანებსა დედოფლისასა ემორჩილებოდეს"-ო. ცხადია, რომ თორღვას პანკისის ერისთავსაც ამ შემთხვევაში ნამდვილად მესტუმრე ჯიქურის ბრძანებათა ასრულება და ხელქვეშეთობა მოუხდებოდა. უეჭველია, ასეთივე განკარგულება ექნებოდა დავით–ულუს გაცემული საქართველოს დანარჩენი თემების უმაღლეს საქვეყნოდ გამრიგე მოხელეების შესახებაც.

ქალი, რომ მეფედ დამჯდარიყო, ეს საქართველოსათვის ახალი რამ არ იქნებოდა, მაგრამ მეფის მაგიერ რომ მის თანამეცხედრეს, დედოფალს, ჰქონდა ხელში ქვეყნის მართვა-გამგეობა, ეს საქართველოს ისტორიაში პირველი შემთხვევა იყო. სამაგიეროდ ასეთი წესი, როგორც დავრწმუნდით, მონღოლებს ჰქონდათ. თუ ამასთანავე გავიხსენებთ, რომ დავით–ულუს ცოლი ჯიგდა-ხათუნი მონღოლთა ბატონიშვილი იყო, მაშინ ცხადი გახდება, რომ ამ შემთხვევაში უცილობლად ცოლის ძლიერი გავლენის ანარეკლი უნდა ჩანდეს.

ისევე, როგორც არაჩვეულებრივი ამბავი იყო, რომ საქართველოს მართვა გამგეობა, მეფის უცხოეთში გამგზავრების დროს, დედოფალს გარდასცემოდა, ისევე და ამაზე გაცილებით უფრო გამნმაცვიფრებელი შთაბეჭდილება უნდა მოეხდინა ყველაზე მაშინდელს

---

[62] **იქვე,** 657.

საქართველოში იმ გარემოებასაც, რომ დავით-ულუმ სამეფოს მმართველობის თანამონაწილედ მესტუმრე დანიშნა, მანდატურთუხუცესის სავაზიროს უწყების მეოთხე-ხარისხოვანი მოხელე. ეს საქართველოს სახელმწიფო წესწყობილებისა და სამოხელეო უფროს-უმცროსობის განრიგების უხეში დარღვევა იყო და ამას, რასაკვირველია, შეუძლებელია ვაზირთა და დიდ ხელისუფალთა წრეში სამართლიანი უკმაყოფილება არ გამოეწვია.

ზემოაღნიშნულ გარემოებას ისიც ერთოდა ზედ, რომ, ისტორიკოსის მოწმობით, ასე მოულოდნელად განდიდებული ეს ჯიქური თითქოს "სხუად არარა ნიჭთა მქონებელი" იყო, იმას გარდა, რომ "იყო ესე ჯიქური ერთგული მეფეთა უმეტეს ყოველთა კაცთა". ის თურმე სწორედ მხოლოდ ამიტომ "განდიდნა მეფისა დავითის მიერ დიდად ერთგულობისათვის".

ვითარცა საქართველოს სახელმწიფო საქმეებში გამოუცდელს, დედოფალ ჯიგდა-ხათუნს მარტოს ქვეყნის გამგეობა, რასაკვირველია, არ შეეძლო და ნამდვილად ყველაფერი უმთავრესად მესტუმრე ჯიქურზე უნდა ყოფილიყო საქართველოში დამოკიდებული. აკი ამ გარემოებას ისტორიკოსიც ადასტურებს: მეფემ ჯიქურს "ჴელთუდვა სამეფოსა და სახლის თვისისა განგება და დაუტევა ტფილისს დედოფალსა წინაშე"-ო[63].

ჟამთააღმწერელის ზემომოყვანილი უარყოფითი დახასიათებისდა მიუხედავად, ჯიქური მაინც მხნე და ქვეყნის მშვიდობიანობისათვის მზრუნველი მმართველი გამოდგა. მას ასეთს აშლილობის ხანაშიც-კი საქართველოში ისეთი მყუდროების დამყარება მოუხერხებია, რომ მის დროს "სრულიად სამეფოსა შინამპარავი და ავაზაკი არ იპოებოდა", ხოლო "თუ სადა გაჩნდის, ძელსა ჩამოჰკიდიანო". ასეთი მკაცრი საშუალებით ჯიქურს წესიერებისა და უშიშროების დამყარება მოუხერხებია და უკვე ესეც მაგარი ხასიათის პიროვნებად გვისურათებს.

მართალია, საქართველოში სიკვდილად დასჯა და დამასახიჩრებელი სასჯელები დიდი თამარის დროს იქმნა უკვე მოსპობილი, მაგრამ ეს იმიტომ იყო იმ ხანაში შესაძლებელი, რომ მაშინდელი საქართველო კულტურულად ფრიად მაღალ დონეზე იდგა. მას შემდგომ-კი, მე-13 ს. პირველ ნახევარში, უკვე აღწერილი ამბების გამო, ცხოვრების პირობებიც ძალზე გადუხჭირდა, ხალხიც კულტურულად დაქვეითდა და ასეთ პირობებში ბოროტი ადამიანების მეხუცურმა ბუნებამაც იმდენად იჩინა თავი, რომ, ულმობელი სიმკაცრის გარდა, სხვას არაფერს შეეძლო მისი შეკავება.

მესტუმრე ჯიქურმა ცალკეულ თემთა ურჩობასაც სძლია და ცენტრს დაუმორჩილა: ისტორიკოსი ამბობს, რომ მან "ფხოველნი მოხარკედა მეჯუარე ყუნა კაცნი იგი მჴეცისა ბუნებისანი"-ო, ე. ი. სახელმწიფო გადასახადების გამოღება დააკისრებინა და წარმართობის მაგიერ ქრისტიანობა მიაღებინაო. უკანასკნელი საშუალება ჯიქურს ალბათ მათ დიდ განათლებად მიაჩნდა.

ჯიქური მშენებლობაზეც ზრუნავდა: მან, ჟამთააღმწერელის მოწმობით, "აღაშენა ისანთაპალატი განგებითა დიდითა"[64], ე. ი. მშვენივრად ნაგები და მოწყობილი სასახლე დაუდგამს, რაც იმ გაჭირვების ხანაში ადვილი არ იყო და, უეჭველია, სახელმწიფო სალაროსა და ხალხს მძიმე ტვირთადაც უნდა დასწოლოდა.

როცა საქართველოს სახელმწიფო წესწყობილების რღვევის მაგალითს თვით მეფე აძლევდა და სამეფოში მოხელეთა ურთიერთობაში ისეთ პირობებს ამყარებდა, როდესაც წინდაწინვე შეიძლებოდა ეთქვა ადამიანს, რომ მათ შორის მტრობა და ურჩობა აუცილებლად უნდა ჩამოვარდნილიყო. რა გასაკვირველი იყო, რომ ასეთი მოლოდინი ასრულებულიყო კიდეც. ჟამთააღმწერელს საქვეყნოდ გამრიგეთა შორის მომხდარი ერთი ასეთი შემთხვევის

---

[63] **ჟამთააღმწერელი,** გვ. 656-657.
[64] **იქვე,** გვ. 657.

ამბავი დაცული აქვს თავის საისტორიო თხზულებაში. მისი სიტყვით, დავით-ულუმ რომ ბათო ყაანთან გამგზავრებისას კახეთის მართვა-გამგეობა თორღვა პანკელს ჩააბარა და ჯიქურს დაუმორჩილა, თორღვამ, როცა დაინახა, რომ მეფეს საქართველოში დაბრუნება მოლოდინზე მეტად შემოუგვიანდა, "ჰგონათორღუამან არღარა მოსულა მეფისა, უკუდგა პანკისსა ციხესა, თუისად დაიჭირა კახეთი და არღარა ემორჩილებოდა დედოფალსა და მესტუმრესა ჯიქურსა"-ო.

მაგრამ თორღვა პანკელის იმედი არ გამართლდა: დავით-ულუ ბათო ყაანისაგან არამცთუ სრულებით უვნებელი, არამედ დიდად პატივცემულიც-კი დაბრუნდა. საქართველოში არსებული წესისამებრ, მეფე ჰერეთს მოუახლოვდა თუ არა, "მიეგებნეს ყოველნი წარჩინებულნი სამეფოსა მისისანი", თვითნება პანკელს გარდა. "თორღუა შეშინებული შეშინებული უკუდგაპანკისს" და იქ გამაგრებასა და თავის დაცვას ლამობდა[65].

დავით-ულუ რომ ტფილისში მოვიდა და საქმის მთელი გარემოება შეიტყო, "თორღუას მოუწოდა მეფემან", მაგრამ ის მაინც " არა მოვიდა კარვად მეფისა, შიშისათჳს". იმისდა მიუხედავად, რომ დავით-ულუმ " მრავალჯერ უწოდა", მაინც მოსვლა ვერ გაბედა და ვერ ენდო, მაშინ ამ საქმის მოგვარებას უკვე თვით მესტუმრე ჯიქური შეუდგა.

თორღვა პანკელის ციხითგან გამოსაყვანად ჯიქურმა ასეთ ხერხს მიჰმართა: "განზრახვითა ჯიქურისათა"-ო, ჟამთააღმწერელი გვიამბობს, "წარვიდა ხორნაბუჯელი, მივიდა თორღუას სახლსა" და სთხოვა, რომ მას მიჰნდობოდა და მეფესთან წაჰყოლოდა, თორღვა ამ მოგზავნილ პატივცემულ პირს მხოლოდ მაშინ ენდო და წამოჰყვა, როდესაც ხორანბუჯელმა, ძველი ქართული წესის თანახმად, ალავერდის წ ˜ა გიორგის ძლიერად მიჩნეული ხატის სამოსელზე გამობმულს თორღვა პანკელს ჯერ უვნებლობის აღთქმის დარღვევისათვის მთელი თავისი სახლობით ამოწყვეტის პასუხისმგებლობის ფიცი მისცა, ხოლო შემდეგ იგი გამოხსნა.

ასეთი საშინელი ფიცით გულდამშვიდებული თორღვა პანკელი ხორნაბუჯელმა მეფესა და ჯიქურს მიჰგვარა ტაბახმელას. მაგრამ "შეურაცხყო აღთქმა და ფიცი და შეიპყრა ჯიქურმან, განზრახვითა დედოფლისათა", და მეფისათვის შეუტყობინებლივ და დაუკითხავად "წარიყუანეს კლდეკართა და გარდამოაგდეს"-ო, დასძენს ჟამთააღმწერელი[66].

ქართველი ისტორიკოსის ზემომოყვანილი მოთხრობა ისეა აგებული, თითქოს ხორნაბუჯელის თორღვასთვის მიგზავნის დროს ჯიქურს ვერაგული განზრახვა არ ჰქონდეს და მხოლოდ შემდეგ ჯიგდა-ხათუნ დედოფლის ჩაგონებით, გაეტეხოს მას ეს აღთქმა და ფიცი.როგორადაც არ უნდა ყოფილიყო, ის მაინც ცხადია, რომ ქვეყნის მართვა-გამგეობის ხელისუფლება დედოფალს ჯიგდა–ხათუნსა და მესტუმრე ჯიქურს მეფის საქართველოში დაბრუნების შემდეგაც, ხელითგან არ გაუშვიათ. მათი თვითნებობა იმდენად დიდი ყოფილა, რომ, ქართული სახელმწიფო და სისხლის სამართლის წინააღმდეგ, მეფის დაუკითხავად სიკვდილით დასჯაც-კი გაუბედნიათ.

როგორც მოულოდნელად და სწრაფად აღზევდა მესტუმრე ჯიქური, მისი დიდებაც ასევე მოულოდნელად და უეცრად გაქარწყლდა და ეწია აღსასრული. სანამ მისი მფარველი დედოფალი ჯიგდა-ხათუნ ცოცხალი იყო, ჯიქურს არა დაჰკლებია რა, მაგრამ, როდესაც დავით გიორგი-ლაშას ძემ ჯიგდას სიკვდილის შემდგომ გვანცა შეირთო, მისმა ბედმა უკვე უკუღმა დაიწყო ტრიალი. მათ შორის მტრული განწყობილება ჩამოვარდნილა. ამიტომაც გვანცას მეფის თანამეცხედრედ ქცევა ყოვლად შემძლე მესტუმრეს ვერაფრად მოსწონებია. ჟამთააღმწერელი აცხადებს: "გვანცას დედოფლობა მძიმედ უჩანდა მესტუმრესა ჯიქურს, რამეთუ მტერ იყვნეს"-

---

[65]**ჟამთააღმწერელი,** გვ. 658.

[66] **იქვე,** გვ. 658-659.

ო[67]. წარსული ძლევამოსილებით განებივრებულს, მას, როგორც ჩანს, თავისი თავი წინანდებურად ქვეყნის სრულ ბატონ-პატრონად მიაჩნდა და ეგონა, რომ დედოფლისადმი მის განწყობილებას დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა.

რა ნიადაგზე იყო აღმოცენებული გვანცას მტრული დამოკიდებულება მესტუმრე ჯიქურისადმი, ქართველ ჟამთააღმწერელს, სამწუხაროდ, განმარტებული არა აქვს, მაგრამ, თუ გავიხსენებთ, რომ დედოფალი რაჭის ერისთავთა საგვარეულოს, კახაბერიძეთა, ასული და ავაგ ათაბაგის ქვრივი იყო, შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ ჯიქური გვანცას თუნდაც იმიტომ უნდა სძულებოდა, რომ იგი, როგორც მედროვე, ქვეყნის სათავეში და ყველა მისიანების თავზე იყო დასკუპებული.

ჯიქურის აღზევებით უკმაყოფილო საქართველოს დიდებულებს ეხლა უკვე მეტად მარჯვე და ხელსაყრელი დრო დაუდგათ, რომ ასეთი შემთხვევით არ ესარგებლათ და ყოვლად-შემძლე მესტუმრის სამუდამოდ თავითგან მოშორება არ ეცადათ. თავიანთი წადილის ასრულების სრული იმედი შესაძლებალია მათ თუნდაც იმიტომ ჰქონოდათ, რომ თითონ "დავით მეფე უმანკო იყო" და მალემრწმენი ისევე, როგორც ჩვეულებრივ გულით " უმანკოსა ყოველნი რწამან", რასაც-კი მისგან იმ დროს სანდოდ მიჩნეული პირი ეტყვის ხოლმე.

დასაღუპავად განწირულს მესტუმრე ჯიქურზე იერიში ასეთ საქმეებში კარგად გამობრძმედილს სუმბათ ორბელს მოუტანია, შესაძლებელია თავისთვის გზის გასაკაფავადაც. ჯიქურის მოსასპობად მას ღალატის შეწამება აურჩევია და ოდესღაც განდგომილთა მომსპობი ეს მესტუმრე "განზრახვითა სუმბატ ორბელისათა შესმენილ იქმნა, ვითარმედ ჯიქურ წარავლენს კაცთა არღუნს წინაშე, რათა აუწყოს ყაანს ულოს სიმდიდრე დავით მეფისა და ეგულების განდგომა"-ო.

ლიტონი დასმენა მალემრწმენი მეფისათვის სრულებით საკმარისი აღმოჩნდა, რომ ასეთი მძიმე ბრალდება გამოუძიებლივ დაეჯერებინა და ულმობელი მსჯავრიც კი დაედო: "წარავლინა მსწრაფლ წინაშე მდგომელნი და ბრძანა მოყუანებად მისი და სახლისა მისისა იავარდყოფად", რაც უმალ ასრულებულ იქმნა.

უკვე შეღამებული ყოფილა, როდესაც ეს ამბავი მოხდარა და წარგზავნილმა წინაშემდგომელებმა ბრძანების თანახმად "წარადგინეს ჯიქური წინაშე მეფისა ღამით". და ამ დროს განრისხებული "მეფე ჯდა ისანთა მხედველი მტკვრისა" და ოდესღაც ყველაზე მისანდო და ძლიერ ადამიანს არც კი მიჰხედა. " და არარა სიტყვა ყო მისთანა, არამედ განუკითხავად ბრძანა შთაგდებად მტკვარსა"[68].

ეს ბრძანებაც ისევე სიტყვის შეუბრუნებლივ და სწრაფად იქნა ასრულებული, როგორც პირველი. მხოლოდ დილით, როდესაც უკვე "განთენდა", ტფილისელებმა "იხილეს ჯიქურ რიყესა ზედა განგდებული წყლისაგან" და, რა თქმა უნდა, "განკვირდეს ყოველანი მხილველნი ანასდათისა სიკვდილისათვის" ჯერ კიდევ გუშინ ამ მთელ საქართველოში ყოვლად–შემძლე და მეფისაგაგნ განუსაზღვრელი ნდობით აღჭურვილი ადამიანისა.

როცა ყოვლად-შემძლე მედროვესა და მბრძანებელს სვებედი უკუღმა დაუწყებს ტრიალს და მისი სიტყვა-ბრძანების უცილობლობაც გაქარწყლდება, მაშინ ასეთ ადამიანს ყველა სწრაფად შემოეცლება ხოლმე. ხშირად მათ შორის მისი მეგობრები და სხვებზე მისანდოდ მიჩნეული პირნიც-კი: ყვოლდად უძლურად ქცეული ის ხომ აღარავისთვის გამოსადეგი არ არის და ვისღა რისთვის დასჭირდება!.. ასევე დაემართა მესტუმრე ჯიქურსაც.

თუმცა, როდესაც საქართველოს დედაქალაქის მოსახლეობამ მეორე დღეს დილით ამ ძლიერი კარისკაცის ასეთი უეცარი სიკვდილისა და მოულოდნელი აღსასრულის ამბავი გაიგო,

---

[67] **ჟამთააღმწერელი,** გვ. 669.
[68] **ჟამთააღმწერი,**გვ. 669.

ყველა გაოცებული იყო, მაგრამ მტკვრის რიყეზე გარიყულს მის გვამს მაინც არავინ მიჰკარებია: ის მის მახლობლებისა და მეგობარ-დავალებულ პირთა გულითგანაც ასევე ამორეცხილი და გარიყული აღმოჩენილა. ჟამთააღმწერელი მოკლედ სჭრის სიტყვას: "არავინ იპოვა დამფვლელი მისი. რამეთუ არა ესვა შვილი"-ო. შვილი არ ჰყავდა სხვა კი არავინ მიჰკარებია. ვისი რა საქმე იყო, ასე მსჯელობდნენ, ეტყობა მისი ყოფილი მეგობრები.

მაგრამ მაინც მაშინდელს საქართველოში ყველა ასე გულცივი და უმადური არ აღმოჩენილა და სწორედ ეს ცნობაა ისტორიისათვის საგულისხმო და საყურადღებო. იგივე ისტორიკოსი მოგვითხრობს: "შეკრებეს ყოველნი გლახაკნი და ობოლ-ქვრივნი და ევედრნეს მეფესა რათა მიანიჭოს გვამი ჯიქურისა, ამად რომე მრავალი კეთილი იქმნა მათზედა"-ო.

რა იგრძნო აჩქარებულმა მალემრწმენმა მეფემ, როდესაც ასეთი არაჩვეულებრივი შემადგენლობის მთხოვნელ-მვედრებელნი წარუდგნენ იმ ადამიანის შესახებ, რომელიც აქამომდე მისი სრული ნდობით იყო აღჭურვილი და თავის ყველაზე ერთგულ და თავგამოდებულ მოხელედ მიაჩნდა, ეხლა-კი ამ წუთისოფელს ასე ულმობელად და განუსჯელად გამოასალმა, ამაზე ჟამთააღმწერელი არას ამბობს. მაგრამ მეფის მოქმედება ამჟღავნებს, რომ მის გულში სინანულის გრძნობას მაინც გაუღვიძია.

ისტორიკოსს ამ არაჩვეულებრივი ამბის დასასრული ასე აქვს აღწერილი: "ისმინა დავით და მისცა გვამი მისი და მრავლით გოდებითა წარიღეს ეკლესიასა წმინდისა ქალწულისა ქრისტინისასა, რომელი, ხვარაზმელთაგან დარღვეული, ახლად აშენებული იყო, და მუნ დაფლეს დიდითა პატივითა, რაც ოდენ გ ლ ა ხ ა კ თ ა ძ ა ლ - ე დ ვ ა"-ო[69].

განა დასაჯერებელია, რომ დავით ულუს ასეთი პატივისცემითა და საჯაროდ დატირებით ჯიქურის დასაფლავების უფლება მიეცა ვისთვისმე, მას რომ სრული რწმენა ჰქონოდა, რომ მისი ყოფილი ყოვლად–შემძლე კარისკაცი მართლაც მოღალატე იყო? თუ მან მაინც დედაქალაქის ღარიბსა და ქვრივ-ობლეებისაგან შემდგარი მოსახლეობის ნაწილს ასეთი ნება დართო, რომელიც მისი საქციელის ცხადს გმობას წარმოადგენდა, ეს უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ, უეჭველია, ჯიქურის დასმენა და ბრალდება მეორე დღეს, როდესაც საქმის გამოსწორება, მართალია, უკვე აღარ შეიძლებოდა, მასაც საეჭვოდ მიუჩნევია და თავისი აჩქარებული მსჯავრი სანანურად გაჰხდომია. ასეც რომ არ ყოფილიყო, საქართველოს დედაქალაქის უღარიბესი და უბედური მოსახლეობის ფენისაგან ჯიქურისადმი გამომჟღავნებული უღრმესი სიყვარული და მისი ასე საშინლად სიკვდილად დასჯის შემდგომაც ასეთი გაბედული ერთგულება ყოველგვარ გამამართლებელ სიტყვასა და დაცვაზე უმჭევრმეტყველესია. მათი მოქმედება ცხად-ჰყოფს, რომ თავისი ძლიერების დროსაც მისი გული ღერიბ-ღატაკისა და ცხოვრებისაგან დაბეჩავებული ადამიანისადმი თანაგრძნობისა და მზრუნველობისათვის დახშული არ ყოფილა და მათი გაჭირვებული მდგომარეობის შეძლებისამებრ შემსუბუქება თავის მოვალეობად მიუჩნევია.

ამრიგად, მესტუმრე ჯიქური არც ურიგო და უჭკუო მმართველი და არც უგულო ადამიანი ყოფილა, მაგრამ მისი თავგადასავლისა და ბედის უკუღმართად დატრიალება ერთი მხრით დავით გიორგი-ლაშას ძის წინდაუხედავი პოლიტიკისა და აჩქარებული ხასიათის, მეტადრე-კი მალემრწმენობის შედეგი იყო, მეორე მხრით და უფრო-კი დიდგვარიან ხელისუფალთა და დიდებულ მოხელეთა შელახული პატივმოყვარეობისა და უფროს-უმცროსობის წესის დარღვევის მსხვერპლი შექმნილა.

---

[69] **ჟამთააღმწერელი,** გვ. 670.

4. დიდი გაჭირვება საქართველოში

ჯერ კიდევ ხვარაზმშაჰ ჯალალედინის აღმ. საქართველოში შვიდი წლის განმავლობაში ბრძოლისა და თარეშის დროს, ქვეყანა ძალზე აოხრდა და დაზარალდა. რაკი ამის შედეგად საქართველოში სასოფლო მეურნეობის წესიერად წარმოება და მიწის დამუშავება შეუძლებელი იყო პური ძალზე გაძვირდა და ისედაც გაწვალებულ ხალხს დიდი შიმშილობა დაატყდა თავს. ხვარაზმელთა შემდგომ ხომ ჩვენს სამშობლოს მონღოლები შემოესივნენ და საქართველო რა საკვირველია, კვლავ დაზარალდა მაგრამ სამხედრო მოქმედებით მოყენებული ზიანიც რომ არ ყოფილიყო, ქვეყნის კვლავ აოხრებისათვის და გასანადგურებლად მარტო მათი ცხენები და აქლემებიც კმაროდა: საუკეთესო საძოვრები მათი საქონლისათვის უნდა ყოფილიყო გამოყოფილი, ხოლო ამაზე მეტად სახნავები იყო ამ საქონლის ფეხით გათელილ-გავერანებული.

ერანის ილხანის ჰულაგუ ყაანის დროს კირაკოზ განძაკელის ცნობით, სხვა გადასახადებს გარდა, შემოღებულ იქმნა აგრეთვე თაღარ-ად წოდებული გადასახადი. ის სულ ცოტა შვიდი სხვადასხვა გამოსაღებლისაგან შესდგებოდა. თაღარი კაცისთავზე დაწესებულ გადასახადს წარმოადგენდა. თვითოეულ პირს ყაანის ხაზინისათვის უნდა მიეცა: 100 ლიტრა პური, 50 ლიტრა ღვინო, 2 ლიტრა ბრინჯი, 3 თოფრაკი, 2 საბელი, 1 ისარი, 1 ნალი და 1 თეთრი. ამას გარდა 20 პირუტყვზე უნდა 1 პირუტყვი, ე. ი. 5% და 20 თეთრი გადაეხადა.

თავის ალაგას უკვე გვქონდა აღნიშნული, რომ ძალზე შემცირებული შემოსავლისა და არსებობის სახრის შევსების ერთადერთ წყაროდ მონღოლთა ბატონობის ხანაში ძლევამოსილი ომიანობითგან მოტანილი ნადავლ-ნაცარცვი შეადგენდა. მაგრამ ესეც შესაძლებელია სამხედრო წრის უფრო მაღალი ფენის ხვედრი ყოფილიყო: ჩვეულებრივი მოლაშქრე გლეხი ისეთს რას ჩაიგდებდა ხელში, რომ გამდიდრებულიყო? ამავე იდროს მთელი საგადასახადო და საბეგრო ტვირთის ზიდვა ბოლოსდაბოლოს გლეხობას უხდებოდა, რათგან საპატრონყმო და სახელმწიფო გადასახადებიცა და მონღოლთაგან დადებული ხარკიც სწორედ მათ უნდა გამოეღოთ. ყველა ამგვარივე ბეგარაც მათვე უნდა მოეხადათ. ამრიგად მდაბიო ხალხის ეკონომიური მდგომარეობა ამ ხანაში ძალზე გაუარესდა.

საყურადღებო გარემოებაა, რომ მონღოლთა შემოსვლის დროს დამპყრობელებს, როგორც დავრწმუნდით, დიდებული ხელისუფლების უფრო ადვილად შეურიგდნენ და შეუთანხმდნენ, ვიდრე ხალხი, რომელსაც წინააღმდეგობის გაუწევლად მორჩილება არ განუცხადებია. ხალხი თითქოს ალღოთი გრძნობდა, რომ მათი შენახვა ბოლოს მაინც სწორედ მას უნდა დასწოლოდა.

მონღოლებთან დაზავების შემდგომ, კირაკოზ განძაკელი ცნობით, საქვეყნოდ გამრიგე დიდი ხელისუფლები, მთავრები, მონღოლებს გულმოდგინედ შველოდნენ ხარკის აკრებას და წართმევაშიც-კი ეხმარებოდნენ თურმე, რათგან იქიდგან მათ თითონაც გამორჩენა ჰქონდათო. ამავე ისტორიკოსის სიტყვით, დიდკაცურსა და მდიდრულ ცხოვრებასა და ჩაცმა-დახურვას მიჩვეულნი ეს მოხელეები თავიანთი შემცირებული შემოსავლის გადიდებას ღარიბების ყვლეფით ცდილობდნენ. ამის მისაღწევად უკვე ამ ხანაში დაუწყიათ საზომების გადიდება, როდესაც გადასახადი თვითონ უნდა მიეღოთ, და განზრახ ნაკლულს საზომებს ხმაროდნენ, როდესაც თითონ მათ ჰქონდათ ხოლმე მისაცემი.

საზომ-საწყაოებით ასე თვითნებურად სარგებლობისათვის მარტო ერისკაცთა წრეში-კი არ მიუყვიათ ხელი, არამედ, როგორც რკონის 1259 წ. კახას მეჭურჭლეთუხუცესის შეწირულობის წიგნითგან ჩანს, ამას თურმე მონასტრებშიც –კი არ ერიდეებოდნენ. სამონასტრო ყმების მდგომარეობა იმდენად გაუარესებულა და მძიმე ყოფილა, რომ იგივე

მეჭურჭლეთუხუცესი კახა გამრეკელი-თორელი თავის ზემოდასახელებულ შეწირულების წიგნში მონასტრის ძმობას ემუდარებოდა: ჩემგან შემოწირული სოფელ ხოვლის გლეხთათვის კარგნი იყავით, კარგად მოეპყარით, ნუ შეაწუხებთო.

გიორგი-ლაშას მეფობაში აღწერილი გვქონდა ის უთანხმოება და მტრული დამოკიდებულება, რომელიც ქ. ანისის "მართლმადიდებელ" ქართველთა და სომეხთა მრევლსა და სამღვდელოებას შორის ჩამოვარდნილა იმის გამო, რომ უკანასკნელს, ცხოვრების გაძვირების გამო, საეკლესიო წესების,- მაგ., გვირგვინთა კურთხევისათვის ქორწინებაში, მიცვალებულისათვის ანდერძის აგებისა და სხვათა ასრულებისათვის, -წინათ და მანამდე არსებული მისაცემელი გასამრჯელო ძალზე გაუდიდებიათ. ეს, როგორც დავრწმუნდით საქართველოს იმდროინდელმა კათალიკოზმა მკაცრად დაჰგმო და გააუქმა.

ეხლა, როდესაც მას შემდგომ საქართველოზე თავდამტყდარმა პოლიტიკური ბედის უკუღმართობამ, ქვეყნის აოხრებამა და მონღოლთა ბატონობის უღელმა ქვეყანა გაცილებით უფრო უარეს მდგომარეობაში ჩააგდო, ცხოვრებაც საშინლად გაძვირდა, საერო სამღვდელოებას თავისი ქონებრივი მდგომარეობის გამოსწორება ისევ საეკლესიო წესებისათვის განკუთვნილი გამოსაღებლის საშუალებით დაუწყია, ე. ი. დაახლოებით იმისი მსგავსმა მოვლენამ, როგორც წინათ ქ. ანისში იყო, ეხლა შუაგულ საქართველოშიც იჩინა თავი, მეტადრე დავით–ულუს მეფობაში. მაგრამ ამ შემთხვევაში უკანონო საწესო გამოსაღებლები უკვე სხვა მიზნით იყო გამოყენებული.

დმანისის ეპისკოპოზს იქაური საყდრის კარიბჭის წარწერაში აღნიშნული აქვს, რომ, როდესაც ის ამ თავის სამწყსოში მისულა, დმანისის ეკლესიებში ისეთი მდგომარეობა დაჰხვედრია, რომ "უმეყვისოთა, უბრალოთა, ქალ-ყრმათა, მამა-დედათა არ მოუშვებდეს, ვიდრე ოქროსა არ აიღებდეს"-ო[70]. ე. ი. უდანაშაულო და ისეთ საცოლქმროებს, რომელთა შორის არავითარი ნათესაობა არ იყო და რომელთაც, მაშასადამე, დაუბრკოლებლივ დაქორწინების უფლება ჰქონდათ დმანისის ეკლესიების მღვდელმსახურნი მაინც ჯვარს არ სწერდნენ, სანამ ისინი მღვდლებს საგანგებოდ ფულს არ გადაუხდიდნენ. ცხადია, რომ ამ წარწერაში დმანისის ეპისკოპოზი თვით ქორწინების, გვირგვინთა კურთხევისათვის გამოსაღებ გასამრჯელოს-კი არ გულისხმობდა, არამედ სხვადასხვა დამაბრკოლებელ გარემოების განზრახ გამოყენებით რომ ჯვარისწერის ნებართვის მისაცემად სთხოვდნენ ისინი. აქ, მაშასადამე, თითქოს უფრო ისეთი ამბავი ჩანს, როგორიც 1263 წ. დავით–ულუსათვის მირთმეულს საეკლესიო დადგენილება-მოხსენებაშია მოთხრობილი, როდესაც ეკლესიისათვის შეწირული მიწების შთამომავალთაგან კვლავ დასაკუთრების შესაჩერებლად სამღვდელოებას ამნაირივე გზით დაუწყია მოქმედება. ამიტომ საფიქრებელია, რომ დმანისშიც "უმეყვისო და უბრალო ქალ-ყრმათა" ქორწინების განზრახ შეფერხება, ან ეკლესიისათვის წართმეული მიწებისათვის სამაგიერო საშუალება უნდა ყოფილიყო, ან და მონღოლთა ბატონობის ხანაში საერთო გაჭირვების გამო საეკლესიო შემოსავლის შემცირების უკანონო გზითა და საშუალებით შევსების მცდელობა. ეს უსამართლობა დმანისის მამათავარს, მისივე განცხადებით, თავის მრევლში გაუუქმებია.

ზოგადად შესაძლებელია ითქვას, რომ, რასაკვირველია, საქართველოს სახელმწიფოს მოსახლეობის ყველა ფენა და წოდება დიდად შეწუხებული და ქონებრივად შევიწროებული იყო, ვაჭრებს გარდა, რომელთაც მონღოლები მფარველობდნენ. ამის წყალობით სოვდაგრებს ამ საერთო გაჭირვების დროს, დიდი მოგება ჰქონდათ, მეტადრე დიდ ვაჭრებს და ურტაღ-ად წოდებულს საკრედიტო, გამსესხებელ-დამგირავებელ ამხანაგობოთა წევრებს. ამიტომ მონღოლთა ბატონობა და მათ გადასახადებ-მოვალეობათა ტვირთი მაშინ თითქმის ყველას

[70] **ლ. მუსხელიშვილი,** დმანისი, გვ.388-389.

განურჩევლად ღვთის რისხვად ეჩვენებოდა. მეჭურჭლეთუხუცესს კახა გამრეკელ-თორელს თავის 1259 წ. რკინის შეწირულობის წიგნში ნათქვამი აქვს: "ღმერთმან შეიბრალოს ქრისტიანობაი და აღარ იყოს ხარაჯობაი აწინდელის დებისაი"-ო. მაგრამ მაინც სხვებზე შეღავათიანი პირობები მონღოლთა ბატონობის ხანაში, ვაჭრებს შემდგომ, ეკლესიას ჰქონდა, მეტადრე განთქმულ სალოცავებსა და დიდ მონასტრებს: გადასახადებისა და სამხედრო ბეგარისაგან შეუვალობა ეკლესიას საშუალებას აძლევდა უცხო დამპყრობელთა წესწყობილებისა და ხარაჯობის სუსხის სიმკაცრე ნაკლებ ეგრძნო. მხოლოდ ცხადია, რომ ქვეყნის საერთო გაჭირვებას შეუძლებელია მაინც მათზეც გავლენა არ მოეხდინა და მათი ქონებრივი მდგომარეობაც არ გაუარესებულიყო.

რამდენად შერყეული იყო საქართველოს ეკონომიური კეთილდღეობა და რაოდენს გაჭირვებაში ჩავარდა მოსახლეობა უკვე მე-13 ს. შუა წლებისათვის, თუნდაც მანგლელ მთავარეპისკოპოზის არსენი მშვილდაღსძის სიტყვებითგანაც ჩანს. აბელიის ეკლესიის კედლის წარწერაში აბელიის ნაგებობის გარემოებაზე მას ნათქვამი აქვს: "გარწმუნოს ღმერთმან, ვინცა ჰნახოთ "ჭირით და რუდუნებით ნამუშაკევი ჩუენი". ამ ეკლესიას "მას ჟამსა ჴელვყავით შენებად, ოდეს თათართა დაეპყრა ესე სამეფო და ყოველი ქვეყნაჲ ძალით და შრომით შეემართებოდა, ჩემებრ გლახაკისა და არარაჲს მქონებლისაგან, გარნა პატრონთა წყალობით ჴელჰყავ და სხვების შესაწევრითაც მოვახერხე ამის აგება"-ო[71].

თუ მთავარეპისკოპოზი ამ დროს უკვე ისე იყო გაღატაკებული, რომ თავის თავს "გლახაკად და არაჲს მქონებლად" სთვლიდა და ასეთი მაღალი თანამდებობის ეკლესიის მსახურს პატარა (7 X 3 მეტრ.) შენობის აგება თავისი სახსრით აღარ შესძლებია, სხვებს რაღა უნდა ეთქვათ და რა მდგომარეობაში უნდა ყოფილიყვნენ, ადვილი წარმოსადგენელია.

თვით მეფეებისათვისაც-კი ძნელი იყო მონღოლთაგან შემოღებული წესებისა და გადასახად-ბეგარის ატანა. ქართ. ჟამთააღმწერელს აქვს აღნიშნული, რომ მონღოლთა გადასახადების ამკრებ მოხელეთა ხელმძღვანელი საქართველოში ისე გაკადნიერდა თურმე და "ესოდენ უწესოებად მიიწია, რომელ, თუ სამზარეულოს მეფისასა ცხვარი, გინა კრავი ისყიდებოდის, მას ზედანცა ხარაჯა წაუღიან, რომელსა იგინი ტამღად უწოდდეს"-ო.

5. აჯანყება მონღოლთა წინააღმდეგ და მისი შედეგი

ა. ამბოხება საქართველოში დავით IV ნარინის მეთაურობით

მონღოლთა ხშირმა მოლაშქრეობამ და მრავალნაირი გადასახად-ბეგარის ტვირთის ესოდენმა სიმძიმემ ქართველი ხალხი მოთმინებითგან გამოეყვანა და ამის გამო აჯანყება დაიწყო. მონღოლთა წინააღმდეგ აჯანყების მეთაურობა დავით- ნარინმა იდო თავის თავზე, დავით–ულუ-კი ამაში არ გარეულა. როგორც მრონღოლთა წყალობით გამარჯვებულს,

[71] **АЭ**, III, გვ. 17.

ბუნებრივია, რომ უფრო მეტი სიფრთხილე გამოეჩინა და მონღოლთა ერთგული დარჩენილიყო. რა თქმა უნდა, მას აღმ. საქართველოს მოსახლეობაშიც ეყოლებოდნენ მომხრენი და უკვე ეს გარემოება ქართველ მებრძოლთა ძალის დაქსაქსვის მომასწავებელი იყო. ასეთ პირობებში აჯანყების მოწყობის მიზანშეწონილობაც უნდა სათუო შექმნილიყო, მაგრამ მდგომარეობა ხალხისათვის იმდენად აუტანელი გამხდარა, რომ აჯანყებას უკვე სტიქიური ხასიათი ჰქონოდა.

ნარინ-დავითის მეთაურობით საქართველოში ამტყდარი აჯანყების ამბის გაგებისთანავე, ჰულაგუ ყაანმა მონღოლთა და მაჰმადიანთაგან შემდგარი დიდი ლაშქარი წარმოგზავნა არღუნ ნოინის, ანუ ამირის სარდლობით. რასაკვირველია, მონღოლთა ერთგულად დარჩენილს დავით-ულუს მომხრე ქართველებსაც მოუხდებოდათ უნებლიედ თანამოძმეების წინააღმდეგ მონღოლთა და მაჰმადიანთა ლაშქრობაში მონაწილეობის მიღება.

ნარინ-დავითის მეთაურობით თავმოყრილს აღმ. საქართველოს აჯანყებულთა ჯარსა და არღუნის მეთაურობით მოსულს მონღოლთა შეერთებულს ლაშქარს შორის ბრძოლა 1259 წ. ორთავე მხრით გააფთრებით იბრძოდნენ და მას დიდი მსხვერპლიც შეეწირა, მაგრამ მაინც არღუნმა გამარჯვება ვერ შეძლო და აჯანყება ვერ ჩააქრო. ეს გარემოება ცხად-ჰყოფს, რომ აჯანყებაში ბევრი იღებდა მონაწილეობას. მხოლოდ ვერც დავით–ნარინმა მოახერხა მონღოლთა განადგურება.

არღუნი იძულებული გახდა ისევ ჰულაგუ ყაანთან გამგზავრებულიყო დამატებით ჯარის სათხოვნელად. ყაანმაც ბრძანება გასცა, რომ საქართველოში გადარჩენილს მონღოლთა შეერთებულ ძალას ერაყის დუმანის ლაშქარი მიჰშველებოდა. ამის გაგების შემდეგ, დავით-ნარინმა ბრძოლის გაგრძელება უიმედო საქმედ მიიჩნია და შეწყვეტა ამჯობინა, თვითონ–კი ლიხითმერეთში გადავიდა და მონღოლთაგან მოსალოდნელი მრისხანე შურისძიებისაგან დასაცავად შეაფარა თავი.

ბ. დავით V-ის ნაგვიანევი აჯანყება და შეთანხმებელი მოქმედებით გამოწვეული მარცხი

ამასობაში დავით-ულუს ჰულაგუ ყაანისაგან მოწერილობა მოუვიდა, რომ აღმ. საქართველოს ჯარითურთ ერანის ილხანების ლაშქრობაში ეგვიპტის სულტნის წინააღმდეგ მიეღო მონაწილეობა. ტფილისთგან გამგზავრების წინ, დავით მეფემ გვანცა დედოფალი მცირეწლოვანი ვაჟიშვილ დიმიტრითურთ ბიჯნისში გაისტუმრა, თითონ-კი ყაანის მოწერილობის ასასრულებლად საქართველოს ჯარითურთ ჯავახეთში გაემგზავრა, რომ იქითგან სამხრეთისაკენ ებრუნა პირი.

ჯავახეთში მისვლისთანავე დავით–ულუმ მოულოდნელად საქართველოს ჯარის მეთაურთა და წარჩინებულთა სამხედრო-პოლიტიკური თათბირი მოუწვია, რომელზედაც თავისი გადაწყვეტილება გამოაცხადა, რომ მას მონღოლებთან ერთად ლაშქრობაში მონაწილეობის მიღება არ ჰსურს და ეგვიპტეში გამგზავრება არ უნდა. თუმცა მეფე დამსწრეთ აზრს შეეკითხა, მაგრამ ამასთანავე განუცხადა, რომ ყველა წარჩინებულ ნებას აძლევს, თავიანთი რწმენის მიხედვით მოიქცნენ. ცხადია, რომ ასეთ ნებართვას შეუძლებელია დავით-ულუს განზრახვა არამცთუ სრულებით უიმედო საქმედ არ ექცია, არამედ მთლად უგუნურ მოქმედებად არ წარმოედგინა: ეგების კერძო ადამიანისათვის ასეთი პასუხსაგები ამოცანის გადაწყვეტისათვის ნებაყოფლობის მინიჭების აზრი პატიოსან საქციელადაც-კი ყოფილიყო მიჩნეული, მაგრამ მეფეს, რომელსაც ქვეყნის კეთილდღეობაზე და ხალხის უვნებლად დაცვაზე

მწრუნველობა ედვა ვალად, როგორ შეეძლო ისეთი აჯანყების დაწყების თაოსნობა ეკისრა, რომლის თავითგანვე ჩაშლას თითონ უწყობდა ხელს?! ასეთი განზრახვისათვის თათბირს მხოლოდ იმ შემთხვევაში ექმნებოდა მნიშვნელობა, თუ მისი გადაწყვეტილება ყველასთვის სავალდებულო გახდებოდა.

თათბირის მონაწილენი ორ ბანაკად გაიყვნენ: დიდი უმრავლესობა აჯანყების წინააღმდეგ აღმოჩნდა. მოწინააღმდეგეთა ჯგუფში ისეთი დიდი ხელისუფლები იყვნენ, როგორიც ივანე შანშას ძე მხარგრძელი, ქართლის ერისთავთ-ერისთავი გრიგოლ სურამელი, მეჭურჭლეთუხუცესი კახა გამრეკელი- თორელი, "ურავლესნი ჰერ-კახნი და ახალქალაქის თავნი და პირნი ქუეყანისანი".

აჯანყების მომხრეთა ჯგუფი ძალზე მცირერიცხოვანი იყო და უმთავრესად სარგის ჯაყელ-ციხისჯვარელი და შავშეთ-კლარჯეთის წარმომადგენელნი ეკუთვნოდნენ მას.

ქართველ ისტორიკოსს აღნიშნული არა აქვს, თუ რა მოსაზრებით უშლიდნენ აჯანყების მოწინააღმდეგენი მეფის თავის განზრახვის განხორციელებას, მაგრამ მაინც ამის მიხვედრა ძნელი არ არის. მართლაც-და, თუ აჯანყების დაწყება იყო, განა არ სჯობდა, რომ დავით-ულუ ამ აზრს მაშინ მიჰმხრობოდა, როდესაც დავით-ნარინის მეთაურობით აღმ. საქართველოს უმეტესი ნაწილი მონღოლებს მაშინ უკვე მთელი საქართველოს ძალასთან მოუხდებოდათ შებრძოლება. თუ არღუნის მეთაურობით მომქმედმა შეერთებულმა ლაშქრობამ დავით–ულუს განზე გადგომით შემცირებულს აჯპანყებულ ქართველთა ჯარს ვერ სძლია, მით უსეტეს მას ცუდი დღე დაადგებოდა, დავით გიორგი-ლაშას ძეს თავის მომხრეებითურთ რომ დავით ნარინთანა და აჯანყებულ ქართველობასთან ერთად ებრძოლა. მას შემდგომ, რაც მისივე მიზეზით ამ აჯანყებისათვის დიდი მსხვერპლის განწირვისდა მიუხედავად, მონღოლთა ლაშქრის სრული განადგურება ვერ მოხერხდა და დაწყებული საქმე ჩაიშალა, ახალი აჯანყების კვლავ დაწყებას რაღა აზრი ჰქონდა? განა შესაძლებელი იყო, რომ ამ შემთხვევაში გამარჯვების რაიმე მოლოდინი ყოფილიყო, როდესაც არღუნი მონღოლთა ყაანთან ახალი მეშველი ლაშქრის სათხოვნელად იყო წასული და ბრძოლა წინანდელზე უფრო მკაცრი და დაუნდობელი იქმნებოდა. ასეთ პირობებში აჯანყების დაწყება უიმედო საქმე იყო და მიზანშეწონილს ნაბიჯს არ წარმოადგენდა.

თითბირის მონაწილეთა უმრავლესობისაგან უარყოფითი პასუხის მიღების შემდეგაც, დავით-ულუმ მაინც მონღოლთა ლაშქრობაში მონაწილეობის მიღებაზე უარი განაცხადა, რაც მონღოლთა თვალსაზრისით აჯანყებას უდრიდა.

წინდაუხედავად დაწყებული საქმე ისევე უაზროდ დამთავრდა: მეფისაგან მიღებული ნებართვის თანახმად, საქართველოს ჯარის უმრავლესობა მონღოლებთან ერთად ეგვიპტის სულტნის წინააღმდეგ განზრახულს ლაშქრობაში მონაწილეობის მისაღებად გაემგზავრა, საქართველოს მეფე დავით-ულუ და მისი მცირერიცხოვანი მომხრენი-კი სამცხეში დარჩნენ სარგის ჯაყელთან. ამრიგად, უკვე ამ გარემოებითგან ცხადი ხდებოდა, რომ აღმ. საქართველოს უდიდესი ნაწილი, თვით პოლიტიკურად მისი ისეთი მნიშვნელოვანი ადგილიც-კი, როგორიც შუაგული ქართლია, მინებებული იყო და უბრძოლველად მონღოლთ ხელში რჩებოდათ. ცხადია, რომ ასეთ პირობებში, თუნდაც დავით გიორგი-ლაშას ძეს სამცხე-შავშეთი–კლარჯეთში გამაგრება შესძლებოდა, ამას შედეგად შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს მთლიანობის დარღვევა მოჰყოლოდა და ამ გზით გამარჯვების მოპოვება, რა თქმა უნდა, ყოვლად შეუძლებელი იყო.

გ. დავით V ულუს აჯანყება და და ბრძოლა მონღოლებთან

როდესაც არღუნი ერაყის დუმნის 20000 მოლაშქრის მეშველი ჯარითურთ საქართველოში დაბრუნდა, აქ მას პოლიტიკური ვითარება უკვე სრულებით შეცვლილი დახვდა. მართალია დავით-ნარინი ლიხითმერეთში გადახიზნული აღმოჩნდა და, მაშასადამე, აჯანყება თავისდა-თავად თითქოს ჩამქრალი ჩანდა, მაგრამ სამაგიეროდ არღუნმა დავით-ულუს აჯანყების ამბავი გაიგო, სწორედ იმ პირის, რომელიც მონღოლთა უერთგულესად იყო მიჩნეული.

დავით გიორგი-ლაშას ძის აჯანყების ამბის გაგებისთანავე მონღოლებმა გვანცა დედოფალი თავისი მცირეწლოვანი შვილითურთ დაიჭირეს და ურდოში ტყვედ წაიყვანეს, ხოლო აღმ. საქართველო და ტფილისი ვიღაც შადინ სომეხს ჩააბარეს. თვითონ არღუნი –კი საქართველოში მყოფი და ერაყითგან მოყვანილი 20000 მეშველი მონღოლთა მოლაშქრეებითურთ, ადგილობრივი ქართული ჯარის ნაწილის მონაწილეობით, დავით–ულუს წინააღმდეგ გაემგზავრა.

დავით გიორგი-ლაშას ძეს და სარგის ჯაყელს სამცხისა და შავშეთ-კლარჯეთითგან მხოლოდ 8000 კაცი მებრძოლი შეუგროვდა. ძალთა ასეთ უთანასწორობაში ერთადერთ მიზანშეწონილ მოქმედებად შესაძლებელია ტაშის-კარის იწროებში გამაგრება და მტრის იქ შეტყუებით გაწყვეტა ყოფილიყო მიჩნეული. სარგის ჯაყელმა-კი რატომღაც მონღოლთა მრავალრიცხოვან ლაშქარზე იერიშის მიტანა გადასწყვიტა და მტერთან შესაბრძოლებლად და მოწინააღმდეგის დასახვედრად, ისეთი მარჯვე ადგილის მაგიერ, როგორც ზემოდასახელებული იწროებია, ქართლის გაშლილი ველი აირჩია. ეს დიდი შეცდომა იყო. ბრძოლა გორის შინდარასა და ახალდაბასთან დეკემბერში მოხდა და სარგის ჯაყელი თავისივე ამ მცდარი სამხედრო გეგმის გამო, აჯანყებულთა ჯარითურთ, რა თქმა უნდა, დამარცხდა.

ახალდაბის ბრძოლაში გამარჯვების შემდეგაც, არღუნს მონღოლთა ძალითურთ მესხეთში შესვლა მაინც არ უცდია. ნაწილობრივ ეს, შესაძლებელია, მისი სიფრთხილით აიხსნებოდეს, რათგან კარგად იცოდა, თუ რამდენად ძნელი იქმნებოდა იქ სამხედრო მოქმედების გაგრძელება. მაგრამ ეგების ეს გაუბედავობა იმითაც იყო ნაკარნახევი, რომ ახალდაბის ბრძოლაში მონღოლთა ლაშქარიც საგრძნობლად იყო დაზარალებული. ასეა თუ ისე, არღუნი კვლავ ყაანთან დაბრუნდა, თუმცა გამარჯვებული, მაგრამ ისე-კი, რომ მთავარი დავალება და ამოცანა, აჯანყებული დავით-ულუს ხელთგდება, მაინც მიუღწეველი დარჩა.

ჰულაგუ ყაანმა 1261 წ. მაისში არღუნი მონღოლთა და ქართველთა შეერთებულ ლაშქრითურთ კვლავ სამცხეს მიუსია. ამ დროისათვის თვით სამცხის მოსახლეობაშიც განხეთქილებამ იჩინა თავი: ბრძოლის გაგრძელება და წინააღმდეგობის გაწევა ტყუილ-უბრალოდ სისხლის ღვრად მიაჩნდათ, ხოლო ზოგნი, შებრძოლების მაგიერ, მონღოლებს მიეგებნენ კიდევაც. თუმცა მონღოლთა ლაშქარი სამცხეს 20 დღის განმავლობაში აოხრებდა, მაგრამ ასეთი განხეთქილების პირობებშიც არღუნმა ჯაყელთა მთავარი საჯდომისა და ბურჯის , ციხისჯვარის, აღება მაინც ვერ შესძლო.

მონღოლთა თარეშის დროს სამცხე, მართალია, საშინლად დაზარალდა, მაგრამ დასახული მთავარი მიზნის ამ შემთხვევაშიც მიუღწევლობის გამო, არღუნმა 1261 წ. ივნისში ისევ უკან დაიხია და სამცხითგან წამოვიდა.

რაკი დავით-ულუ ვერასგზით ხელში ვერ ჩაიგდეს, მონღოლებმა ჯავრი მის ცოლზე, დედოფალ გვანცაზე, იყარეს: გვანცა 1261-2 წ. სიკვდილით დასაჯეს. საქართველოს დიდ ხელისუფლებასაც ცუდი დღე დააყენეს: ამისპასალარი ზაქარია შანშას ძეც სიკვდილით დასაჯეს, რათგან მას თავის სიმამრ სარგის ჯაყელთან და მამასთან შეხიზნულ თავის ცოლთან საიდუმლო კავშირი დასწამეს. მონღოლებს საშუალება ჰქონდათ დარწმუნებულიყვნენ, რომ

ისინიც ვინც აჯანყებას არ მიემხრნენ, გულში მაინც აჯანყებულებს თანაუგრძნობდნენ. ჰასანჯალალ ხაჩინელს იგივე ბედი ეწია, მაგრამ უკვე სხვა მიზეზით: უზარმაზარი შეწერილი ხარკის გადაუხდელობის გამო.

ცალკე მარცხის აოხრებამა და იქაურ მოსახლეობაში შეპარულმა განხეთქილებამ, ცალკე იმ მსხვერპლმა, რომელიც მონღოლთა შურისძიებას ეწირებოდა, დავით გიორგი-ლაშას ძე აიძულა თათბირი მოეწვია იმის გადასაწყვეტად, ღირდა, თუ არა, ბრძოლის კვლავ გარძელება. მსჯელობის დროს სარგის ჯაყელმაც-კი მეფეს აუხსნა, რომ სამცხეს, საქართველოს პატარა თემს, არ შეეძლო მონღოლებსაც გაჰმაგრებოდა და აღმ. საქართველოთგან შეხიზნული ქართველობაც შეენახა, რომ ამიტომ ბრძოლის გაგრძელებას, ამ თემის განადგურების გარდა, შედეგად შეუძლებელია რამე მოჰყოლოდა. სარგის ჯაყელმა ამის გამო დავით-ულუს ურჩია, დასავლეთ საქართველოში გადასულიყო და თავი იქ შეეფარებინა. მეფე ეხლა თითონაც უკვე კარგად ხედავდა და გრძნობდა, რომ სამცხეში აღარ ედგომებოდა და იქ ყოფნა მისთვის საშიში შეიქმნა, იმიტომაც, სარგის ჯაყელის რჩევისამებრ, ლიხითმერეთში გადავიდა.

6. ორივე დავით მეფის ლიხთიმერეთში შეხიზვნა და ამით შექმნილი ვითარება საქართველოში

მონღოლთა წინააღმდეგ ცალცალკეულად და ძალთა წინასწარ დაქსაქსულობით დაწყებული და მცდარი სამხედრო გეგმით წარმოებული აჯანყება, როგორც მოსალოდნელიც იყო, ჩაიშალა. დიდი მსხვერპლის განწირვისდა მიუხედავად, ეს საქმე ვერც გამარჯვებით დამთავრდა და ვერც სახეირო გამოდგა საქართველოსთვის. უკვე წინათ ლიხთიმერეთში გადასულს დავით რუსუდანის ძეს ეხლა დავით გიორგი-ლაშას ძეც მიემატა. აღმოსავლეთი საქართველო კვლავ უმეფოდ დარჩა და მთლიანად მონღოლთა ხელში იმყოფებოდა. ეს გარემოება საქართველოსთვის რასაკვირველია პოლიტიკურ საფრთხეს წარმოადგენდა.

დავით–ნარინმა თავისი დედის ძმისწული და მასთან ერთად გადასული დიდებულები სიხარულით მიიღო. მაგრამ მათ შორის თანხმობა და მშვიდობიანი ურთიერთობა ხანგრძლივი არ გამოდგა. ერთი წლის შემდეგ კვლავ ძველი საკითხი წამოიჭრა. ეხლა წინანდელზე უფრო ცხადი შეიქმნა, რომ ორი მეფე ზედმეტი იყო, მეტადრე მას შემდგომ, როდესაც ორივე ლიხთიმერეთში მოექცა. ისევ დაიბადა აზრი, რომ საქართველოს მხოლოდ ერთი მეფე ჰყოლოდა. ატყდა კამათი და ბრძოლა იმის გამო, თუ რომელს ამ ორ დავითთაგანს უფრო მეტი უფლება ჰქონდა, საქართველოს სახელმწიფოს ერთადერთ მესაჭედ ყოფილიყო ცნობილი. ამ ბრძოლაშიც, იმ ხანის ქართველი ისტორიკოსის სიტყვით, მამიდაშვილ-დეიდისძმიშვილი, თითქოს ოდნავაც-კი ოდნავადაც გარეულნი არ იყვნენ და მშვიდობიან წყალს ვითომც მხოლოდ დიდებულები ამღვრევდნენ. ბრძოლა იმდენად გამწვავდა, რომ შეთქმულების მოწყობაც კი განიზრახეს დავით–ნარინის ტახტითგან ჩამოსაგდებად და დავით–ულუს საქართველოს ერთადერთ მეფედ გამოსაცხადებლად.

შეთქმულების თაოსნობა დავით გიორგი-ლაშას ძის ამალას უნდა ჰკუთვნებოდა, მაგრამ ამის თანამგრძნობნი ლიხთიმერეთის ზოგი დიდებულთაგანიც იყვნენ, როგორც, მაგ., რაჭის ერისთავი კახაბერ კახაბერისძე, ქუაბულის ძენი და ფარაჯანიანნი. მაგრამ დას. საქართველოს ყველაზე გავლენიანი დიდებულნები, მათ შორის ისეთი სახელმოხვეჭილი პირი, როგორიც ბედიანი ჯუანშერის ძე იყო, დავით-ნარინს იცავდნენ.

ატყდა ბრძოლა მოპირდაპირეთა შორის და დასავ. საქართველოც შფოთისა და შუღლის ასპარეზად უნდა ქცეულიყო, თუმცა, რასაკვირველია, სჯობდა, რომ საქართველოში წინანდებურად ერთმთავრობას გაემარჯვა, მაგრამ ისეთ მდგომარეობაში, რომელშიც მაშინ ქვეყანა იმყოფებოდა, განხეთქილების იქაც-კი ჩამოგდება, სადაც მხოლოდ-ღა ჰქონდა საშუალება შერჩენილი ქართველ ხალხს მონღოლთა მძლავრებისა და აუტანელი მოხარკეობისაგან დაეცვა თავი, სრულს პოლიტიკურ სიბეცესა და უგუნურ საქციელს წარმოადგენდა: გარეშე მტრის ძალმომრეობასთან საბრძოლველად ყველაზე მეტად შინაურობაში თანხმობა იყო საჭირო, რათგან განხეთქილება მხოლოდ მოწინააღმდეგეს გაუადვილებდა საქმეს.

დას. საქართველოს გავდენიანი დიდებულების მომხრეობამ დავით–ნარინის მდგომარეობა განამტკიცა და შეთქმულება სამეფო ტახტითგან მის ჩამოსაგდებად ჩაიშალა. ამრიგად, დავით-ულუს მომხრეებს იმედი გაუცრუვდათ. ამავე დროს აღმ. საქართველოთგან, სადაც მონღოლები ბატონობდნენ, ძალზე დამაფიქრებელი ამბავი მოდიოდა. ცხადად საგრძნობი გახდა, რომ შესაძლებელი იყო მონღოლებს საქართველოს სამეფოს მოსასპობად ლიხთამერეთში შადინი დაესვათ მმართველად. ასეთი საშიშროების შესაძლებლობამ დავით-ულუ და მისი მომხრე მმართველი წრეები აიძულა მონღოლებთან შეთანხმებასა შერიგებაზე დაეწყოთ ზრუნვა. რაკი მონღოლებმაც თავიანთ დასახულ მიზანს, რომ აჯანყებული მეფე დავით გიორგი–ლაშას ძე შეეპყრათ, ანდა ბრძოლაში მაინც მოეკლათ, ვერ მიაღწიეს, ამ საქმის უბრძოლველად მოგვარების სურვილი მათაც უნდა ჰქონოდათ.

7. მეფე დავით V-ის, გიორგი-ლაშას ძის, მონღოლებთან დაზავების მიზეზი, კვლავ აღმ. საქართველოში დამკვიდრება და საქართველოს მთლიანობის დარღვევა

დავით რუსუდანის ძეს არც თვითონ ჰქონდა სურვილი მონღოლებს მიჰნდობოდა და არც მათგან ჩანს, რომ დიდი წადილი ჰქონოდათ აჯანყების მეთაურობა დაევიწყათ. ერთხელ ლიხთიმერეთში გადასული, ის სამუდამოდ დარჩა იქ და დამკვიდრდა. სამეფო უფლებრივად გაყოფილი არ იყო. მაგრამ პოლიტიკურად სინამდვილემ საქართველო ორ ცალკეულ ერთეულად აქცია.

წინასწარი საიდუმლო მოლაპარაკების შემდგომ, დავით-ულუ და სარგიზ ჯაყელი–კი ილხანების ყაანის ურდოში გაემგზავრნენ და მონღოლთა მბრძანებელს წარუდგნენ. ჰულაგუ–ყაანისაგან დაკითხვისა და აჯანყების როგორც მიზეზის, ისევე გარემოების გამოძიების დროს, მეფის სრული უმწეობა გამოირკვა. სარგის ჯაყელს რომ ბრალი მთლიანად თავის თავზე არ მიეღო, დავით-ულუ პირადად უკიდურეს განსაცდელში ჩავარდებოდა. აჯანყების მიზეზად მონღოლთაგან საქართველოში ხარკისა და გადასახადების ამკრეფ-მოხელეთა უზენაეს ხელისუფლად დანიშნული ხოჯა-აზიზის ბოროტმოქმედება და ქვეყნის ყვლეფა იყო დასახელებული, რომელთან ბრძოლაც სრულებით შეუძლებელი იყოო, რათგან, მის მომხრე მონღოლ ჯარისკაცთა წყალობით, ყაანთან ჩივილისათვის ქართველებს გზა შეკრული და კარი დახშული ჰქონდათ. ასეთ პირობებში, აჯანყებას გარდა, სხვა აღარავითარი საშუალება აღარ

არსებობდა, რომ ხოჯა–აზიზის ბოროტმოქმედებისა და მტარვალობის ამბავს ყაანის ყურამდის მიეღწიაო.

ჯაყელისაგან თავის ასე მართლებისდა მიუხედავად, არავინ იცოდა, თუ ჰულაგუ-ყაანი ამ საქმეს როგორ გადასწყვეტდა. ამიტომ დავით-ულუს თანამყოლ ქართველებს მეფისა და სარგის ჯაყელის მდგომარეობა საბედისწეროდ მიაჩნდათ. მაგრამ ერთმა გარემოებამ დავით გიორგი-ლაშას ძისა და სარგის ჯაყელის საქმეს სრულებით სხვა მიმართულება მისცა. 1262 წ., იმ დროს, როდესაც ზემოაღნიშნული ბრალდება ჯერ კიდევ ირჩეოდა, ჰულაგუ-ყაანს ჩრდილოეთითგან მოსულმა შიკრიკმა ე. წ. ოქროს ულუსის მბრძანებლის, ბერქა ყაანის, დიდძალი ლაშქრითურთ დაძვრისა და დარუბანდისაკენ სასწრაფოდ გამგზავრების ამბავი მოუტანა. ცხადია, ერანის ილხანი ჰულაგუ-ყაანის მთელი თავისი ძალითურთ მტრის დასახვედრად უნდა ამხედრებულიყო. მოსალოდნელი საფრთხის წინაშე, დავით-ულუსა და სარგის ჯაყელის უკვე კარგა ხანია ჩამქრალი აჯანყების გარჩევას მნიშვნელობა დაეკარგა.

ზემოაღნიშნულზე მეტის თქმაც შეიძლება: ბერქას გამოლაშქრეებამა და ჩრდილოეთითგან შემოჭრამ ერანის ილხანებისათვის აღმ. საქართველოსთან მშვიდობიანი დამოკიდებულების დამყარება და მისი მომადლიერება გადაუდებელ პირველხარისხოვან ამოცანად აქცია. ამაზე იყო ხომ სწორედ დამოკიდებული იმ დიდი საშიშროების თავითგან აღცილება, რომელიც მოსალოდნელი იყო, ქართველებს, რომ ოქროს ულუსისა და ილხანების მონღოლთა გააფთრებული ბრძოლის დროს უკანასკნელთა ლაშქრისათვის ზურგითგან შეტევა დაეწყოთ. ამიტომ ყოველი ღონისძიება უნდა ყოფილიყო ნახმარი, რომ საქართველოს მტერს არ მიმჰხრობოდა და მის ჯარს ბერქა-ყაანის საწინააღმდეგო ომში მონაწილეობა მიეღო. ასეთ პირობებში დავით გიორგი-ლაშას ძის წარსული დანაშაული, რასაკვირველია, ჰულაგუ–ყაანისათვის უკვე წვრილმან საქმედ უნდა ქცეულიყო, ოღონდ საქართველოს მისთვის ზურგი გაემაგრებინა. ამრიგად არამც თუ დავით მეფე და სარგის ჯაყელი განსაცდელს გადაურჩნენ, არამედ შეეძლოთ თავისუფლად დაბრუნებულიყვნენ საქართველოში, რომ სასწრაფოდ სამხედრო მზადებას შესდგომოდნენ.

8. ოქროს ულუსსა და ერანის ილხანებს შორის ატეხილი ბრძოლა და მისი ანარეკლი საქართველოში

უკვე 1262 წ. 14 მაისს ჰულაგუ-ყაანმა თავისი მრავალრიცხოვანი მხედრობა ალატაღითგან დასძრა, ხოლო 1262 წ. ოქტომბერში ბერქა-ყაანის ლაშქრის მოწინავე ნაწილს კავკასიონის ქედი გადმოლახული ჰქონდა და შირვანშიც კი იყო შემოჭრილი. ჰულაგუ-ყაანის ლაშქრის მოწინავენი შირამუნ ნოენის მეთაურობით შამახიის წინ იყვნენ დაბანაკებულნი. ქალაქ შაბურანთან ბერქას ჯარის სარდალი დამარცხებულ და უკუქცეულ იქმნა ისე, რომ ამავე 1262 წ. 21 ნოემბერს თითონ ჰულაგუ-ყაანის დარუბანდისაკენ გაემართა.

ჯერ კიდევ შაბურანში ყოფნის დროს გამომჟღავნდა, რომ ხოჯა-აზიზს, საქართველოს გადასახადების ამკრეფთა მეთაურს, დიდ ვაზირს სეიფედდინსა და ხოჯა მეჯდედდინ თავრეჟელს ბერქა-ყაანთან საიდუმლო კავშირი ჰქონდათ. სამივეს ღალატი დაჰბრალდათ. ამიტომ სამივე იქვე სიკვდილად იქმნენ დასჯილნი.

ერანის ლიხანის ჰულაგუ-ყაანის საქმე ჯერ კარგად მიდიოდა, რათგან მისმა ლაშქარმა დარუბანდიც აიღო, ბერქას ლაშქარიც იმდენად დაამარცხა, რომ კავკასიონის ქედს იქითაც-კი უკუაქცია და ამასთანავე მისმა მოლაშქრეებმა საშინელი ველური შურისძიებით იყარეს ჯავრი თავიანთ თანამოძმეებზე, მათი სქესის და განურჩევლად. ამის შემდეგ დამარცხებული მტრის

დასადევნებლადაც-კი წარგზავნა ჯარი თავისი შვილის აბაღას მეთაურობით, მაგრამ გამარჯვებით გათამამებული და მაგარი სასმელებით გალეშილი ეს მოთარეშე ლაშქარი 1263 წ. 13 იანვარს ბერქასაგან ისე სასტიკად დამარცხდა, რომ კვლავ თერგს აქეთ იქმნა გადმოდევნილი, სადაც დაიღუპა კიდეც.

ჰულაგუს გადარჩენილსა და უკუქცეულს ლაშქარს ეხლა უკვე ბერქას ლაშქარი დაედევნა კვალდაკვალ და დარუბანდიც–კი ხელში ჩაიგდო. ერანის მონღოლთა თავზარდაცემულს ლაშქარს იმდენად ჰქონდა უკვე ბრძოლის უნარი დაკარგული, რომ ჰულაგუ-ყაანმა მტერთან შებმა ვეღარ გაბედა და 1263 წ. 23 აპრილს უბრძოლველად თავრეჟში დაბრუნდა.

თავის საბრძანებლის ამ დედაქალაქში დაბრუნების შემდგომ, მონღოლთა ხანებისა და ყაანების ჩვეულებრივი წესით, ერანის ილხანმა გაჯავრებულ გულზე უდანაშაულო ხალხს დააყენა შავი დღე: ჩრდილოეთის ე. წ. ოქროს ულუსის ვაჭრებს ერანში დიდი აღებმიცემობა ჰქონდათ, საქონელიც მათ მრავლად ეწყოთ იქაურ ქარვასლებში, ფულადაც დიდძალი სიმდიდრე ეჭირათ ხელში. ბერქა-ყაანს რომ ვერა დააკლო რა, აიღო და ჰულაგუ-ყაანმა განკარგულება გასუცა, რომ ჩრდილოეთის ულუსის ყველა ვაჭრები და სოვდაგრები შეეპყრათ და დაეხოცათ, მთელი მათი ქონება-კი განძად, თუ ფულად, სათავნოდ, ჩამოერთვათ. რა თქმა უნდა, ეს ბრძანება უმალ ასრულებულ იქმნა. მაგრამ ამის სამაგიეროდ ბერქა–ყაანმაც მის ქვეყანაში მყოფი ერანის ილხანის ქვეშევრდომი ყველა ვაჭარ-სოვდაგრებიც ასეთივე ველური წესით დაახოცინა და ისიც მათს მთელ სარჩო-საბადებელს დაეპატრონა.

ჰულაგუ–ყაანს ცნობა მოუვიდა, რომ ბერქა ყაანის მის წინააღმდეგ კვლავ აპირებდა გამოლაშქრებას. ამ ამბის გაგებისთანავე ერანის ილხანი თავის საბრძანებლის ჩრდილოეთის საზღვრის გამაგრებას შეუდგა. ამ მიზნით ჰულაგუმ 1263 წ. შემოდგომას შირვანში თეთრი წყლის, მონღოლურად ჩალან-უსუნ–ად წოდებულის, პირას ჯებირისა და სიბას აგებას შეუდგა, ამ სიბაში, როგორც საფარში, ლაშქრის ჩასაყენებლად. ამ დროითგან მოყოლებული 1264 წელს გაზაფხულამდე ჰულაგუს საბრძანებლის სამხედრო ძალა, მათ შორის საქართველოს ჯარიც, მტრის მოლოდინში იქ იყო დაბანაკებული. შემდეგშიც ერანის ილხანს ბერქას შემოსევის შიშით ყოველწლივ სიბაზე სამხედრო ძალა ეყენა. ამის გამო აღმოს. საქართველოსაც მონღოლთა ამ სანაპირო სანგრების დაცვაში მონაწილეობის მისაღებად დიდძალი ხალხის მოცდენა უხდებოდა. ყველა მხედართ-მთავრებსა და თვით მეფე ულუ-დავითსაც კი უნდა ეარნა სიბაზე და ყოველწლივ გარკვეულ ვადამდე ჯართან ერთად მდგარიყო.

საშინელი ეკონომიური კრიზისი საქართველოში და მის შესანელებლად აღმ. საქართველოს მთავრობისაგან გამოყენებული გაბედული აგრალური ღონისძიება

VI. მწიგნობართუხუცესის ბასილ უჯარმელ – ჭყონდიდელის მოღვაწეობა, საქართველოს ეკლესიის გამწვავებული ბრძოლა მთავრობის წინააღმდეგ და მისი შედეგი

1.მწიგნობართუხუცესი ბასილი უჯარმელ-ჭყონდიდელი

როგორც დავრწმუნდით, პოლიტიკური მიზეზით, მეტადრე-კი მონღოლთ სამხედრო მოქმედებით გამოწვეული პირობების გამო, თითქმის გამუდმებით ლაშქრობაში და საქართველოს გარეშე მყოფს დავით გიორგი-ლაშას ძეს არც მათთან შერიგებისა და აღმოს. საქართველოში დამკვიდრების შემდეგ შეძლო თავისი სამეფოს სახელმწიფო საქმეებისა და

მართვა-გამგეობისათვის მოეცალა. ამიტომ ქვეყანა ისევ რომელიმე მოადგილისთვის უნდა ჩაებარებინა. მესტუმრე ჯიქურის შემდგომ, მეფის საქართველოში არყოფნის დროს, საქართველოს მართვა-გამგეობა უკვე მისი კანონიერი მოადგილის მწიგნობართუხუცესისა და ვაზირთა უპირველესის, ხელში გადასულა. მაშინ ეს მაღალი თანამდებობა ბასილ უჯარმელ-ჭყონდიდელს ეჭირა. რა დროითგან მიიღო მან პირველად ეს ხელისუფლება, ჯერ ზედმიწევნით ვერ ირკვევა, მაგრამ მისი უდიდესი ძლიერების ხანა ის დრო იყო, როდესაც მეფე დავით ლაშა-გიორგის ძესა და ქართულ მხედრობას ყოველ წლივ სიბაზე სიარული და დგომა მოუხდათ, ე. ი. ბერქა ყაანის პირველი გამოლაშქრების უმალ[72].

ქართ. ჟამთააღმწერელის მოთხრობითგან ჩანს, რომ მისი მოღვაწეობის წინა ხანა ჯერ კიდევ იმ დროს მიეკუთნებოდა, როდესაც დავით-ულუ მონღოლებს აუჯანყდა და იძულებული იყო ლიხთიმერეთში გადასულიყო, ე. ი. 1260 წ. მას ქვეყნის მესაჭეობა უკვე ხელში ჰქონია. ისტორიკოსის მოწმობით სწორედ იმ ხანაში "მეფისა იმერით ყოფასა შინა დიადი ეწყინა სეფეთა ქვეყანათა", რომელთაც "ვითარცა თჳსთა ხედვიდაო"-ო [73]. მაშასადამე, 1260 წ. –ითგან ხომ უცილობლად, მაგრამ, როგორც ეტყობა, მანამდეც, ეგების მესტუმრე ჯიქურის დაღუპვის შემდეგვე, ბასილს უკვე დიდი მოხელეობა ჰქონდა. რაკი დავით-ულუს დას. საქართველოში ყოფნის დროს სეფე-ქვეყანა, ანუ მეფის საკუთარი მამული, მას ექვემდებარებოდა, საფიქრებელია, რომ მაშინაც, თუ მწიგნობართუხუცესობა არა, მანდატურთუხუცესობა მაინც უნდა ჰქონოდა. ეს ის დრო იყო, როდესაც გამდგარ-გახიზნული მეფის მაგიერ მონღოლებმა აღმ. საქართველოს გამგედ ვინმე შადინი დანიშნეს და ამიტომაც ბასილ უჯარმელს მასთან ერთად და შეთანხმებით უნდა ემოქმედნა.

ბასილი უჯარმელისგან მეფის პირადი მამულის ზიანით მართვა-მოვლისა და თითქოს თავის საკუთრებასავით მოხმარების ზემომოყვანილი ბრალდება, რომელიც ჟამთააღმწერელს აქვს თავის თხზულებაში დაცული, მართალი რომ არ არის და მხოლოდ განზრახ შეთხზულს შემდეგდრონდელ ჭორს წარმოადგენს, ეს თუნდაც იქითგანაც ჩანს. რომ დავით გიორგი-ლაშას ძეს, დას. საქართველოთგან ისევ ამერეთში დაბრუნებისა და ტფილისში კვლავ დამკვიდრების შემდგომ, ბასილი უჯარმელ-ჭყონდიდელისათვის არამც თუ არაფერი სასაყვედურო არ ჰქონია, არამედ მას იგი წინანდელზე უფრო განუდიდებია და მეტი ნდობითაც აღუჭურავს.

2. დიდი ეკონომიური კრიზისი და მიწების ღირებულების უკიდურესი გაიაფების შედეგი.

ბედმა ბასილ უჯარმელს საქართველოს მწიგნობართუხუცესობა და ვაზირთა ყოველთა უპირველესობა მეტად მძიმე ხანასა და პირობებში არგუნა, ჩვენი ქვეყნის მაშინდელზე უფრო უწინარესი ხანის ეკონომიური მდგომარეობის ზოგადი დახასიათების დროს, უკვე აღნიშნული გვქონდა, რომ, მონღოლთა უაღრესად მკაცრი სისტემისა და დიდი მოხარკეობის გამო, მოსახლეობაცა და უძრავ -მოძრავი ქონებაც იმდენად იყო მრავალნაირი გადასახადებითა და ბეგარით დატვირთული, რომ არც მიწის დამმუშავებელისა არც მემამულისათვის უძრავი ქონების პატრონობა თითქმის უკვე ხელსაყრელი აღარ იყო: გადასახადებს ძლივს-ღა ისტუმრებდა იგი, ამის გამო მიწას ფასი დაეკარგა.

---

[72] **ჟამთააღმწერელი,** გვ. 691.
[73] იქვე.

ბევრს ეჩვენებოდა, რომ უკეთესი იყო უძრავი ქონება როგორმე თავითგან მოეშორებინა, ოღონდ გადასახადების შეტანის ვაივაგლახისათვის დაეღწია თავი. მაგრამ მამაპაპეული უძრავი საკუთრების დაკარგვა საერთოდ მაშინდელი ქართველისათვის ადვილი არ იყო, ამიტომ, მდგომარეობის გამოსწორების იმედით, შემოსავლის დანაკლისის დროებით შესავსებად და გადასახადების დასაფარავად ჯერ ურტაღებთან მამულების დაგირავება დაიწყეს. ვალის გადახდის პაემანი რომ დგებოდა, აღებული ფულის დაბრუნებას იმავე ეკონომიური პირობების გამო ბევრი ვეღარ ახერხებდა და დაგირავებული უძრავი ქონება ან ეყიდებოდათ, ან და სხვა გზით ხელითგან ეცლებოდათ. ამან ბევრი მიწის მესაკუთრე და და მიწის დამმუშავებელი დასტოვა უმიწაწყლოდ და საშინელ გაჭირვებაში ჩააგდო. თანდათან ხალხს ცხოვრებისა და არსებობის მთავარი წყარო ესპობოდა, სახელმწიფოს კეთილდღეობასაც ამით, რა თქმა უნდა, ნიადაგი ეცლებოდა.

მწარე გამოცდილებამ ხალხი დაარწმუნა, რომ, მთლიანად უმიწაწყლოდ დარჩენას, მაინც ისევ უკიდურესი გაჭირვების ატანა სჯობდა, რათგან, თუ მიწა დაუმუშავებელი დარჩებოდა, ხალხს სიმშილობა გასწყვეტდა. უძრავი ქონების ამოძრავებამა და მოსახლეობისაგან მამაპაპეულის დიდი ნაწილის დაკარგვამ საქართველოს სახელმწიფო საჭურჭლე და სალაროც, შემოსავლის უაღრესად შემცირების გამო, დიდ განსაცდელში ჩააგდო. საქართველოში მყოფი ფულის უდიდესი ნაწილი მონღოლთა მონღოლთა საყაანოში მიდიოდა გადასახადებისათვის. ფულის მარაგის ძალზე შემცირებამ მისი ღირებულება ძალზე გაადიდა და ამ გარემოებამ მიწას ფასი უფრო მეტად დაუკარგა.

რა თქმა უნდა, არც მოსახლეობასა და არც ერთს გონიერსა და შორსგამჭვრეტელ მოღვაწეს არ შეეძლო ასეთი უკიდურესი განსაცდელისათვის გულხელდაკრეფილი ეცქირა და მდგომარეობის გამოსწორების შესაძლებლობის სხვადასხვა საშუალებაზე არ ეფიქრა და ემსჯელა. ამიტომ ხალხიცა და მთავრობაც მაშინდელ საქართველოში ცდილობდა, თავსდამტყდარი საშინელი გაჭირვების შესამსუბუქებლად რაიმე გამოეძებნა.

3. ეკონომიური კრიზისის შესანელებლად და გაღატაკებული მოსახლეობისათვის დასახმარებლად აღმ. საქართველოს მთავრობისაგან გამოყენებული ღონისძიება.

ასეთი საშუალების ძიების დროს უმამულოდ დარჩენილებისა და მთავრობის მესვეურის ყურადღება უნებლიეთ ეკლესიის შედარებით უკეთესს ეკონომიურ მდგომარეობას უნდა მიეპყრო, რათგან, მონღოლური წესის წყალობით, ყველა სარწმუნოებისა და საკულტო დაწესებულებებს, აღსარებისა და მსოფლმხედველობის განურჩევლად, შეუვალობა და ყოველგვარი შეღავათი ჰქონდათ მინიჭებული. ამასთანავე ეკლესია და მისი ყმები მონღოლთა ბატონობის ხანაში ყველაზე მძიმე მოვალეობის, ყალანის, მოხდისაგანაც იყვნენ განთავისუფლებულნი. ხოლო, თუ ამასთანავე გავიხსენებთ, რომ საქართველოს მთავრობისაგანაც საქართველოს ეკლესიის შეუვალობა და სხვა უპირატესობა ჰქონდა მიღებული, ცხადი გახდება, რომ ეკლესია მაშინ ყველაზე შეღავათიანს პირობებში იყო. რასაკვირველია, ქვეყანაზე თავდამტყდარს გაჭირვებასა და ფულის უაღრესს გაძვირებას შეუძლებელია საეკლესიო დაწესებულებებსა და მათ ქონებრივს მდგომარეობაზე არ მოეხდინა გავლენა, მაგრამ მათი ყოფაცხოვრების ვითარება მაინც დანარჩენ მოსახლეობას სანატრელად ეჩვენებოდა.

გაჭირვებული ხალხი შურით შეჰყურებდა ეკლესიის ამ შედარებითს კეთილდღეობას და ბუნებრივად ებადებოდა აზრი მდგომარეობის ასეთი უთანასწორობის შესახებ მით უმეტეს,

რომ ეკლესიის ასეთი კეთილდღეობის საფუძველს ნაწილობრივ მათივე წინაპრებისაგან შეწირული უძრავი ქონება შეადგენდა, რომელიც მაშინ შემწირველთათვის ზედმეტი იყო, ეხლა-კი მათ გაღატაკებულ შთამომავალთ არსებობის მთავარი სახსარი მოსპობილი ჰქონდათ და თითქმის ლუკმა პურიც-კი სანატრელი გაჰხდომოდათ.

ბუნებრივია, რომ გაჭირვებაში ჩავარდნილს მოსახლეობას უპირველესად მთავრობისა და მეფისათვის მიემართა დახმარება-შველისათვის და ის სწორედ ასეც მოიქცა: გაღატაკებულნი და უმამულოდ დარჩენილნი სთხოვდნენ მეფეს, მათთვის მიწა ეწყალობებინა. ცხადია, რომ ასეთ რთულ სახელმწიფო და ეკონომიური ამოცანისათვის შესაფერისი ღონისძიების გამონახვა თითონ დავით-ულუს არ შეეძლო და მისი გადაწყვეტისათვის ზრუნვა, რასაკვირველია, მწიგნორბართუხუცესს უნდა მოჰხდომოდა.

ბასილ უჯარმელ-ჭყონდიდელმაც გადასწყვიტა, რომ გაჭირვებულთათვის მიწების დასარიგებლად საქართველოს მთავრობას შეეძლო უპირველესად ის უძრავი ქონება გამოეყენებინა, რომელიც ეკლესიას საუკუნეთა განმავლობაში წინანდელ მეფეთაგან მრავლად ჰქონდა შეწირულების სახით მიღებული. ქართული სამართლის ძალით-კი შეწირული ქონების მფლობელს უნდა უეჭველად ეზრუნა, რომ შეწირულება შთამომავლობის ყოველ ახალ თაობისაგანაც ყოფილიყო დამტკიცებული, რათგან წინააღმდეგ შემთხვევაში შეწირულება გაცუდებულად ითვლებოდა და მემკვიდრეებს უფლება ჰქონდათ შენაწირევი უკან დაებრუნებინათ. ბასილ უჯარმელ-ჭყონდიდელს სწორედ სამართლის ამ დებულებით უსარგებლია და დავით მეფისათვის ურჩევია გაღარიბებულ მთხოვნელებისათვის სწორედ ასეთი მიწები დაერიგებინა. იმ დროისათვის ეს მეტად გაბედული და საშიშრად მისაჩნევი გეგმა და საშუალება იყო, რათგან, ეკლესიისათვის შეწირულების უკან წაღება, მორწმუნე ხალხის აზრით, დიდი ცოდვა იყო, მაგრამ დავით გიორგი ლაშას ძეს მწიგნობართუხუცესისა და ვაზირთა უპირველესის ეს რჩევა მოსწონებია და მის განზორციელებას შესდგომია კიდვაც.

4. ეკლესიის უკმაყოფილება და მედგარი ბრძოლა მთავრობის ღონისძიების წინააღმდეგ

რასაკვირველია, პირველსავე ასეთ შემთხვევას, - შეწირული მიწების ზემოაღნიშნული მიზნით ეკლესიისათვის მთავრობისაგან ჩამორთმევასა და გაღარიბებულთათვის წყალობას, ამით დაზარალებულ უწყების უაღრესი აღშფოთება უნდა გამოეწვია. ეკლესიის სათანადო დაწესებულების წარმომადგენლები ცდილობდნენ ჯერ საქმე დარბაზის კარზე გაერიგებინათ. რომ გაცემული ბრძანება გაუქმებული ყოფილიყო. მაგრამ მათი ცდა ამაო გამოდგა.

როდესაც ეკლესიის მესვეურნი დარწმუნდნენ, რომ ზემოაღნიშნული გზით არაფრის გაკეთება არ შეიძლებოდა, მაშინ მათ უკვე თავიანთ საკუთარ იარაღს, საეკლესიო სასჯელს, მიჰმართეს. ამ სასჯელთა შორის ყველაზე ძლიერი შეჩვენება იყო. ვისაც ეს სასჯელი თავს დაატყდებოდა, მას ზიარების, ქორწინების და გვირგვინთა კურთხევის უფლება არ ჰქონდა, ხოლო, თუ გადაიცვლებოდა, ქრისტიანული წესით არც ანდერძის აგება და არც მისი დასაფლავება არ შეიძლებოდა, მაგრამ ეს შეჩვენების მხოლოდ საეკლესიო სფეროთი შემოფარგლული გავლენა იყო. მაშინდელი წესით შეჩვენებულზე თავისი სასჯელი სახელმწიფო ხელისუფლებასაც უდა დაედო და დაკრულვილი უნდა აუცილებლად შერისხულიც ყოფილიყო. შერისხვა-კი იმას ნიშნავდა, რომ იმ პირს უნდა მამული ჩამოჰრთმეოდა და "ლაშქართა შიგა" ყოფნის უფლება აღარ ჰქონოდა, ის უნდა

სამშობლოთგან განედევნათ. ასეთი სასჯელი, გაწბილებას გარდა, ადამიანის სამოქალაქო სიკვდილსაც უდრიდა და ცხადია, რომ ამაზე მძიმე სასჯელის გამოძებნა ეკლესიის მესვეურთ არ შეეძლოთ.

ამ სასჯელის გამოყენება ეკლესიას დასახული მიზნის მიღწევას უქადდა, რათგან, მღვდელმთავართა აზრით, რამდენსამე კაცზე დამტყდარი ასეთი უბედურება სხვებს ყოველგვარ ხალისს დაუკარგავდა ეკლესიისათვის შეწირული მამულები თავიანთთვის აეღოთ.

ამ სასჯელის იარაღად ხმარების დროს ეპისკოპოზები წინდახედულად და ფრთხილად იქცეოდნენ: მთავრობისათვის რომ საბუთი არ მიეცათ, ეფიქრა, ანდა ეთქვა, რომ ის პირები სწორედ ჩამორთმეული მიწებისათვის დაისაჯნენ, მათი დაკრულვის მიზეზად ყოველთვის ამ პირთაგან ვითომცდა ჩადენილი რომელიმე ცოდვა და დანაშაული ჰქონდათ ხოლმე გამოცხადებული.

მაგრამ ეკლესიისგან შეჩვენებულთ კარგად ესმოდათ, თუ ნამდვილად რისთვის დაატყდათ თავს ეკლესიის ასეთი მრისხანება და არც ერთი მათგანი ასეთ სასჯელს არ შეჰრიგებია. პირიქით, ისინი მიდიოდნენ სახელმწიფო დარბაზის კარზე და მთავრობის წინაშე ეკლესიის განაჩენის განსაჩივრებით ცდილობდნენ მოსალოდნელი განსაცდელი თავითგან აეცილებინათ. მირთმეულს საჩივარში მათ ეკლესიის მრისხანების ნამდვილი მიზეზი გამომჟღავნებული ჰქონდათ და ამის გამო მეფესა და მთავრობას სთხოვდნენ, უსამართლოდ დადებული სასჯელი, ვითარცა უკანონო, გაუქმებული ყოფილიყო. მთავრობამ საქმის ასეთი ვითარება თითონაც კარგად იცოდა, ამიტომ ყოველ ასეთს შემთხვევაში სათანადო განკარგულება გაუცია კიდეც.

ამრიგად, ეკლესიის მესვეურთა მოლოდინი, რომ მკაური საეკლესიო სასჯელის მარჯვე საბრძოლველ იარაღად გამოყენებით თავიანთ მიზანს მიაღწევდნენ, არ გამართლდა. პირიქით, ამან მთავრობასთანაცა და მრევლთან, მთელ მოსახლეობასთანაც დამოკიდებულება წინანდელზე უფრო მეტად გაუმწვავა: ხალხს ეკლესიის ასეთი წინააღმდეგობა მისი ანგარებისა და გულქვავობის ნიშნად მიაჩნდა. ის ირწმუნებოდა, რომ სამწყსოს გაჭირვებაზე მზრუნველობისა და კაცთმოყვარეობის მაგიერ, ეკლესიის მესვეურთ ერთადერთ მიზნადა და საზრუნავად მხოლოდ პირადი და თავიანთ დაწესებულებათა ქონებრივი კეთილდღეობა ჰქონდათ დასახული. ამის გამო ხალხი მათ დაუნდობლად ჰგმობდა და გესლით აღსავსე დაცინვითაც-კი ცდილობდა მათ გაწბილებას.

4. მკაცრი განხეთქილება ქართული ეკლესიის მესვეურთა და აღმ. საქართველოს მთავრობას შორის. საეკლესიო კრების მუქარა

ასეთ გამწვავებულს მდგომარეობას ეკლესიის მესვეურნი თითქოს უნდა გამოეფხიზლებინა და მათთვის თვალები აეხილა, მაგრამ ვნებათა ღელვით წონასწორობა-დაკარგულთა მოგონიერებისათვის იმ დროს გიორგი მთაწმინდელივით გამბედავი და პირში მამხილებელი მქადაგებელ-დამრიგებელიც-კი ვეღარაფერს გააწყობდა. ეკლესიის საჭეთმპყრობელმა 1263 წ. საქართველოს საეკლესიო კრება მოიწვია, რომელზედაც გადაწყვიტეს მეფისა და მთავრობისათვის მიემართათ და ეცნობებინათ, რომ, თუ ეკლესიისათვის შეწირული მამულების გაცემა არ შეჩერდებოდა და ჩამორთმეულიც ეკლესიას უკანვე არ დაუბრუნდებოდა, კრებას გადაწყვეტილი ჰქონდა უკიდურესი საშუალებისათვის მიემართა: ეკლესიები დაეკეტა და ყველა საეკლესიო წესების ასრულება შეეჩერებინა.

კრების მონაწილეთა საერთო სახელით დაწერილი მიმართვა მეფე დავით გიორგი-ლაშას ძეს წარედგინა. ამ მოსახსენებელში საეკლესიო კრების წევრთ ყველაფერი აქვთ გამოყენებული: თხოვნა-ვედრებაც, პირადი ხასიათის ჩაგონება და დარიგებაც, იურიდიული და ეკონომიური საბუთიანობაც, დასასრულ მუქარაც-კი. მაგრამ ასე ოსტატურად დაწერილმა მოხსენება-გაფრთხილებამაც საქართველოს მაშინდელი მთავრობა მაინც ვერ შეაშინა და ეკლესიის ეს უკანასკნელი ცდაც სრულებით უნაყოფო გამოდგა: საქმე წაგებული იყო და ამან ეკლესიას, შველის მაგიერ, უფრო ზიანი მოუტანა, რათგან ეკლესიამ თავისი მუქარის განხორციელება ვერ გაბედა. ამით უკვე მისი სრული უძლურობაც გამომჟღავნდა და მუქარა ბაქიობად-ღა იქცა.

ეკლესიის ასე დამარცხებულ მესვეურთ და მსახურებს ვერც ამნაირმა დასასრულმა აგრძნობინა, რომ საერთო საქვეყნო გაჭირვებისა და განსაცდელის დროს მსხვერპლის გაწირვა მათაც უნდა ეკისრათ და ხალხის კეთილდღეობაზე ზრუნვის მოვალეობა არც მათთვის უნდა ყოფილიყო გაუგებარი. გულდანგულ წარმოებულ ბრძოლაში დამარცხებულთ, რასაკვირველია, საომარი ფარხმალი უნდა უნებლიეთ დაეყარათ, მაგრამ იმ პირთათვის, რომელიც ეკლესია თავის უბედურებასა და დამარცხების ბრალსა სდებდა, პატიება მაინც არ შეეძლოთ. უკვე მეფისადმი წარდგენილს მოხსენება-მუქარაში მთელი ამ გეგმის პასუხისმგებლობა მწიგნობართუხუცესსა და ვაზირთა უპირველესს ჰქონდა დაკისრებული. მეფისათვის ბრალის თავზე მოხვევას ვერც გაბედავდნენ და ისედაც ყველამ იცოდა, რომ სახელმწიფო საქმეებისათვის მისი მთავარი და განუსაზღვრელი ნდობით მოსილი მრჩველი სწორედ ბასილ უჯარმელ-ჭყონდიდელი იყო. ამიტომ ეკლესიის მსახურთათვის საქართველოში ყველაზე საძულველ პიროვნებად ეს, იმ დროს ყოვლად-შემძლე, მწიგნობართუხუცესი იქცა. მისდამი მტრულ გრძნობას ისიც აორკეცებდა, რომ ვაზირთა უპირველესი იმავე დროს ხომ ჭყონდიდელ ეპისკოპოზად ითვლებოდა და, მათი აზრით, განა თუნდაც ამის გამო მას სწორედ ეკლესიისათვის არ უნდა დაეჭირა მხარი? ამის მაგიერ-კი ეკლესიის ქონებრივი ძლიერების შემრყეველი საშუალების პირველი გამომგონებელი და მრჩეველი სწორედ ეს ადამიანი აღმოჩნდა. ეკლესიის თვალსაზრისით მწიგნობართუხუცესი უჯარმელ-ჭყონდიდელი შინათგამცემელი მოღალატე გამოდიოდა განა ამას აპატიებდნენ?!

6. დამარცხებული ეკლესიის მესვეურთა შურისძიება და ბასილ მწიგნობართუხუცესის ტრაგიკული დასასრული

აკი არც უპატიებიათ! რაკი ბასილ უჯარმელ-ჭყონდიდელს სხვაფრივ ვერა დააკლეს რა, მის წინააღმდეგ უკვე ფარული და უხილავი ბრძოლა დაიწყო, რომლისგან თავის დაცვა ყველაზე უფრო ძნელია. გავრცელდა ერთი-მეორეზე უფრო მძიმე, სახელის გამტეხი და ჩირქის მომცხები ბრალდება და ბასილ მწიგნობართუხუცესის პიროვნება ჭორების ქსელში გააბეს. დაიწყეს ლაპარაკი, რომ, როდესაც მონღოლების წინააღმდეგ აჯანყებული დავით-ულუ დას. საქართველოში იყო შეხიზნული, ვითომც ბასილი სამეფო მამულებით ისევე სარგებლობდა, როგორც თავის პირადი საკუთრებით, და ამიტომ მეფე ვითომც დიდად ეზარალებინოს.

ვაზირთა უპირველესს იმის ბრალსაც სდებდნენ, რომ იგი სახელმწიფო საქმეებს საქართველოში იმდენად თვითნებურად აწარმოებდა, რომ მეფეს ნამდვილად აღარას ეკითხებოდა და "მთავრობაც მიიტაცა"-ო. ეს ხომ მაინც ყველამ იცოდა, რომ ბასილ მწიგნობართუხუცესი და ჭყონდიდელი თავის დამოუკიდებელი და თავისუფალი ქცევით იმდენად გაკადნიერდა, რომ "ჩოხანიცა აღიჴადნა", ე. ი. საღმდელომთავრო სამოსელი,

რომელიც მას, ვითარცა ჭყონდიდელ მთავარ ეპისკოპოზს, ეცვა და უნდა სცმოდა, გაიხადა და საერო ტანისამოსი ჩაიცვა!

მაგრამ ბასილ-უჯარმელ-ჭყონდიდელის მტრებს კარგად ესმოდათ, რომ მარტო ზემოხსენებული ჭორების გავრცელებით მას მაინც ბოლოს ვერ მოუღებდნენ და ამით მაინც ჯვარს ვერ იყრიდნენ. მართლადაც, განა მეფე დავით გიორგი-ლაშას ძეს მათზე უკეთესად არ უნდა სცოდნოდა, მოუვიდა, თუ არა, ზიანი მის საკუთარ მამულებს? ან რა მოსაგონებელი იყო ასეთი ამბავი ეხლა, როდესაც მაშინ, როგორც ჩანს, მეფეს არავითარი ზარალი არ უგრძვნია და აღმ. საქართველოში დაბრუნებისას ბასილ მწიგნობართუხუცესი წინანდელზე უფრო მეტი ნდობით აღუჭურავს.

ვაზირთა უპირველესისაგან "ჩოხის აღჴდის", ანუ გახდის ბრალდება, უეჭველია, ნამდვილი ამბავი უნდა იყოს, მაგრამ შესაძლებელია ეს მისი ნაბიჯი იმ დაუსრულებელი საყვედურის შედეგიც ყოფილიყო, რომლითაც ბასილ უჯარმელ-ჭყონდიდელს მაშინ ეკლესიის წარმომადგენელნი ავსებდნენ: სამღვდელო პირია, მაგრამ მაინც ეკლესიას მხარი არ დაუჭირა და უღალატაო.

მწიგნობართუხუცესს, როგორც გამორკვეული მაქვს, საქართველოში პირველად დავით აღმაშენებელმა მისცა ჭყონდიდლობა. ამ საშუალებით ამ დიდმა პოლიტიკოსმა ეკლესია სახელმწიფოს დაუქვემდებარა: სხვა მიზანი ამ ღონისძიებას არ ჰქონია და მწიგნობართუხუცესსა და ვაზირთა უპირველესს ნამდვილად ეპისკოპოზობის მოვალეობისათვის არას დროს მოცლა არც ჰქონია. ამიტომ მწიგნობართუხუცესისათვის მღვდელთმსახურის "ჩოხა" მხოლოდ გარეგნულ სამოსელს წარმოადგენდა: ის სახელმწიფო მოღვაწე იყო, რომელსაც მთელი ქვეყნის კეთილდღეობაზე მზრუნველობა ჰქონდა მოვალეობად დაკისრებული. როდესაც ეკლესიის წარმომადგენელთ საშუალება ჰქონდა ბასილი უჯარმელ-ჭყონდიდელისა და ვაზირთა უპირველესისათვის ზემოაღნიშნულის მსგავსი საყვედურითაც სიცოცხლე გაემწარებინათ, მობეზრებულს მას შეეძლო ეთქვა, მე სახელმწიფოს სათავეში მდგომი ხელისუფალი ვარ და არა ეკლესიის მონამორჩილი მსახური, - და სამღვდელო სამოსელი, რომელიც, როგორც აღნიშნული გვქონდა, დიდი ხანია უკვე გარეგნობას წარმოადგენდა, გაეხადგა კიდეც.

ისევე, როგორც წინათ განდიდებული მესტუმრე ჯიქურის დასამხობად და დასაღუპავად აღმოჩნდა საშუალება, ამნაირადვე ყოვლად–შემძლე ბასილ მწიგნობართუხუცესის გასანადგურებლადაც გამონახეს. დაიწყო მითქმა-მოთქმა, ვითომც თავხედმა უჯარმელ-ჭყონდიდელმა ისეთი კადნიერებაც-კი გამოიჩინა, რომ "არა ჰრიდა საწოლსა პატიოსანსა მეფისასა" და "თანა-ეყო ბასილი ესუქნი" დედოფალს: სქესობრივი კავშირი ჰქონდაო! ეს ჭირიც, რასაკვირველია, მეფეს ყურში ჩაუწვეთეს და ამ საშუალებამ ბასილ მწიგნობართუხუცესს უკვე ბოლო მოუღო. ჩვეულებრივი აჩქარებით დავით-ულუმ ბრალდებული "სწრაფლ მოიყუანა" და ისევე გამოუძიებლივ და გაუსამართლებლივ დასაჯა: "ბრძანა ძელსა (ე. ი. ხეზე) დამოკიდება". ეს ბრძანებაც ასრულებულ იქნა: "დამოჰკიდეს ძელსა შუა ქალაქსა"-ო, დასძენს ქართ. ჟამთააღმწერელი.

ბასილ მწიგნობართუხუცესი რომ ამ შემთხვევაშიც პოლიტიკური მტრებისა და, საფიქრებელია, უმთავრესად ეკლესიის წრეებისაგან გავრცელებული უსაფუძვლო ჭორების მსხვერპლი შეიქმნა, ეს მონღოლთა-დროინდელი თვით ქართველი ჟამთააღმწერელის იმ სიტყვებითგანაც ჩანს ცხადად, რომელიც ბასილ უჯარმელის ტრაგიკული დასარულის მოთხრობისათვის ზედ დართული აქვს: ასე დასჯილ იქმნა "რამეთუ იყო მეფე მალემორწმუნე და ლიტონიცა"-ო...

VII. დავით V ულუს მალემრწმენობის შედეგი აღმ. საქართველოს მთლიანობისათვის

მესხეთის ულუსიანად ქცევა

არა ერთი მწარე გამოცდილებისდა მიუხედავად, დავით –ულუ მალემრწმენობას ვერ გადაეჩვია, ვერც ბოროტი ჩამგონებლების ჩურჩულის ყურისგდებისაგან მოახერხა მან თავის დაღწევა. კარგად ვიცით, თუ რამდენი ერთგულებისა და თავგანწირულობის დამტკიუებული მაგალითი უნახავს თავის სიცოცხლეში მეფეს სარგის ჯაყელისაგან, მაგრამ მის იჭვიანობასა და უმადურობას ვერც სარგისი ჯაყელი გადაურჩა. 1266 წ. შემოდგომას, რომ სიბაზე წასვლის დრო დადგა და ”მოუწოდა მეფემან სპათა თჳისთა და სარგის ჯაყელსა”, ჩამოვიდა თუ არა ”სარგის დავით მეფესა წინაშე ტფილისს”, საკმარისი იყო ვიღაც უღირს მესაიდუმლეებს მის ყურში ჩაეწვეთებინათ, რომ მასაც ”სარგისის განდგომილება”დაეჯერებინა. აქაც ამას მისთვის ჩვეულებრივი შედეგი მოჰყვა და მიწოდებული ცნობის შეუმოწმებლივ, მან ადვილად ”დაივიწყნა მსახურებანი მისნი, განზრახვითა უკეთურთა კაცთათა მოუწოდა პალატად და შეიპყრა შინადა ტყუე ყო”[74].

ეს რომ გაიგეს”აზნაურთა თანყოლთა სარგისისთა”, მაშინვე გაიქცნენ და ”წარვიდეს ყაანს წინაშე” საჩივლელად და სათხოვნელადაც, რომ ყაანს უმადური მეფისაგან დატყვევებული სარგის ჯაყელი გამოეთხოვა. ერანის მონღოლთა მბრძანებელი სარგის ჯაყელს კარგად იცნობდა და მან ეს ვედრება, რასაკვირველია, შეასრულა: ჯაყელის აზნაურებს მაშინვე ”მოსცა ელჩი” დავით-ულუსთვის ყაანის ბრძანების შესატყობინებლად. ელჩი ”მოიწია ტფილისს და წარიყუანა სარგის” საქართველოთგან ერანში ყაანის კარზე წარსადგენად[75].

არიგად, უმადური მეფე და მისი უკეთური თანაგამზრახნი და მრჩეველები ხელცარიელნი დარჩნენ.

მთელი ეს საქმე რომ მარტო ამით დამთავრებულიყო, ამაზე მეტი სათქმელი კიდევ არა იქნებოდა რა, მაგრამ ნამდვილად დავით გიორგი-ლაშას ძის ამ უკანასკნელ საქციელს მთელი საქართველოსთვის ფრიად სამწუხარო შედეგი მოჰყვა. ასეთი შემაძრწუნებელი ვერაგობის შემდეგ, როგორ-ღა შეეძლო სამცხის მმართველს, რომ მეფეს ჰნდობოდა, ამიტომაც ჯაყელმა გადასწყვიტა, რომ, ან თავისი თავი უნდა მეფეს მოსალოდნელი შურისძიებისაგან უზრუნველყო, ან და სამშობლოში დაბრუნების იმედი გადაეწყვიტა სამუდამოდ. მას არავითარი სურვილი არ ჰქონდა უკანასკნელ შესაძლებლობას შეჰრიგებოდა, ამიტომ მას სხვა აღარავითარი გზა აღარ ჰქონდა დარჩენილი იმას გარდა, რომ რაიმენაირად თავისი სიცოცხლე განსაცდელის შესაძლებლობისაგან დაეცვა.

მონღოლთა ბატონობის ხანაში ზემოაღნიშნული მიზნის მიღწევა მხოლოდ იმ საშუალებით შეიძლებოდა, თუ ვინმე თავისი თავისა და სამფლობელოსთვის პირდაპირ ყაანის მფარველობა-ყმობის მოპოვებას მოახერხებდა და ყაანის საკუთარ ყმად იქცეოდა. მაშინ ასეთი სახასო საყმოცა და თვით ყმაც უშუალოდ ყაანის საკუთარი მამულების სამმართველოს დაექვემდებარებოდა და სხვას არავის-ღა, არც მეფესა და მით უმეტეს არც რომელსამე დიდ საქვეყნოდ გამრიგეს, გინდ დარბაზის კარს მყოფს ხელისუფალს, არ შეეძლო შეჰხებოდა. ამას მონღოლურ-სპარსულად ხასინჯუ ეწოდებოდა, ქართველები-კი ულოსისას ეძახდნენ, რათგან ისინი ყაანის ულუსის კუთვნილებად ითვლებოდნენ. სარგის ჯაყელმა სწორედ ამ გზით გადასწყვიტა თავისი თავი დავით-ულუს შურისძიებისაგან უზრუნველყო და სამშობლოში

---

[74] **ქამთაალმწერელი,** გვ. 694.
[75] იქვე, გვ. 695.

უშიშრად დაბრუნება მოეხერხებინა. ასეც მოიქცა: ყაანს თავისი მფარველობის ქვეშ მიღება და ყმობა სთხოვა მთელი თავისი სამფლობელოთურთ, გადასდგა ნაბიჯი, რომელიც საქართველოს მთლიანობისა და ძლიერებისათვის საბედისწერო შეიქმნა. ყაანმა ეს თხოვნა, რასაკვირველია, დიდი სიამოვნებით აუსრულა. ან-კი რატომ უნდა ეთქვა უარი, როდესაც მას მოუსვენარი და მუდამ აჯანყებაზე მეოცნებე საქართველოს მთელი მესამედი და თანაც პოლიტიკურად, ეკონომიურად და კულტურულად ისეთი მნიშვნელოვანი ნაწილი, როგორიც მესხეთი იყო, ასე ადვილად ხელში უვარდებოდა!

რასაკვირველია, ეს ნაბიჯი ქართული სახელმწიფოებრივი და ეროვნული თვალსაზრისით სრულ უგუნურებას წარმოადგენდა და საქართველოს ღალატს მიაგავდა. იგი უაღღრესად სახიფათო იყო, მით უმეტეს, რომ საქართველო იმავე მონღოლთა ბატონობით შექმნილი მდგომარეობის გამო ისედაც უკვე ორად იყო განცალკევებული. მაგრამ ლიხთ-იმერეთმა მაინც თავისუფლება შეინარჩუნა ეხლა-კი საქართველოს სახელმწიფოს გამოეყო მისი უმნიშვნელოვანესი ნაწილი, მესხეთი, უშუალოდ დამპყრობელ ძალას დაექვემდებარა და ამით საქართველოს სახელმწიფოებრიობისაგან გამოეყო. ამით, ჩვენი ქვეყნის საერთო სამხედრო დასუსტებას გარდა, თემურს განკერძოებასა და პოლიტიკურ დანაწილებასაც გაეხსნა ფართო გზა. იმ ხანისათვის დამახასიათებელია, რომ არ ჩანს ქართველი ჟამთაღმწერელი ამით მაინცდამაინც აღშფოთებული ყოფილიყოს: მას დამშვიდებით მხოლოდ ამ საქმის ვითარება და მისი ხანგრძლივობა აქვს აღნიშნული: ”მიერითგან იქმნეს ჯაყელნი ულუსისანი ვიდრე ჟამთამდე მეფეთა შორის ბრწყინვალისა და საჩინოსისა დიდისა გიორგისთა”-ო[76].

VIII. ოქროს ულუსსა და ერანის ილხანებს შორის ბრძოლის განახლება და მისი დამღუპველი შედეგი აღმ. საქართველოს მოსახლეობისათვის

მოარული სენის მოდება და დავით V სიკვდილი

თუმცა იმ დიდი დამარცხების შემდგომ, რომელიც ოქროს ულუსის ჯარისაგან იგემა, ჰულაგუ ყაანს შურისძიების იდუმალი ზრახვა ჰქონდა, მაგრამ არ დასცალდა. ამ ხნის განმავლობაში თავის მოპოვებული გამარჯვების გაფართოვება არც ბერქას უცდია, მაგრამ მაინც მშვიდობიანობა ხანგრძლივი არ გამოდგა. თუმცა ულუ-დავითს, ჰულაგუ ყაანის 1265 წ. 8 თებერვალს გარდაცვალების შემდეგ, საშუალება ჰქონდა გაზაფხულზე სიბითგან პირდაპირ საქართველოში დაბრუნებულიყო, მაგრამ, 1265 წ. 19 ივნისს მამის მაგიერ აბაღა გაყანდა თუ არა, ბერქამ გადასწყვიტა ერანის ილხანების წინააღმდეგ ბრძოლა განეახლებინა და მთელი თავისი სამხედრო ძალით დარუბანდისაკენ გამოეშურა კიდეც. აბაღმაც უმალ თავის ლაშქარს

[76] **ჟამთაღმწერელი,** გვ. 695.

მოუყარა თავი და საქართველოთგანაც ულუ-დავითი აღმ. საქართველოს ჯარითურთ ისევ გაიწვია. 1265 წ. 20 ნოემბერს მოწინააღმდეგეთა შორის უკვე ომიც დაიწყო.

ბერქა ყაანისაგან დასახული მიზნის განხორციელების მთელ საშიშროებას ის გარემოებაც კარგად ამჟღავნებდა, რომ მისი ლაშქარი 300 000 მეომრისაგან შესდგებოდა. მტრის ასეთი უზარმაზარი სამხედრო ძალის მოზღვავების გამო, აბაღა ყაანმა თავის ლაშქარს მტკვრის გამოღმა სანაპირო დააკავებინა. პირველივე მისი საზრუნავი ყველგან ხიდების ჩაშლა იყო. რაკი მაშინ წყალდიდობა იყო და ხიდებიც ჩაშლილი დახვდა, ბერქას ამ მრავალრიცხოვანმა მხედრობამ მტკვრის გამოღმა გადმოსვლა ვერ მოახერხა და ამიტომ იძულებული გახდა ტთილისისაკენ დაძრულიყო იმ იმედით, რომ იქ ხიდზე გადმოსულიყო და აბაღას ლაშქარს უკვე ზურგითგან დასცემოდა.

ადვილი წარმოსადგენია, თუ ჰერეთისა და კახეთის მტკვრის, ალაზნისა და იორის სანაპიროებს რა ხეირი დაეყრებოდა მტრის ამდენი მოლაშქრის მოძრაობისა და დგომის გამო: მთელი ეს მჭიდროდ დასახლებული და აყვავებული მხარე ისე განადგურდა და აოხრდა, რომ მას შემდგომ გაუკაცრიელდა და გაპარტახდა. უეჭველია ამაზე ბევრად უკეთესი ბედი არ მოელოდა საქართველოს დანარჩენ ნაწილს და, რა თქმა უნდა, ერანის ილხანის საბრძანებელსაც, რომ ტფილისზე მიმავალი ბერქა ყაანი 1265 წ. მოულოდნელად არ გარდაცვლილიყო და მის სიკვდილს ქვეყანა აუცილებელი საშინელი განსაცდელისაგან არ ეხსნა.

ცხადია, რომ, ბერქას სიკვდილის შემდგომაც, აბაღა ყაანს არ შეეძლო დამშვიდებული ყოფილიყო. ამიტომაც მტრის შესაძლებელი შემოსევის მოსაგერიებლად აბაღა ყოველ წლივ დიდძალი სამხედრო ძალის სიბაზე გზავნას განაგრძობდა. ყველაზე მეტად ამ სამხედრო ბეგრის სიმძიმე აღმ. საქართველოს აწვებოდა, რათგან თეთრი წყალი, ანუ ჩალან-უსუნი, იმავე დროს საქართველოს სახელმწიფო საზღვარი იყო, რომლის დაცვაც ბუნებრივია, რომ უპირველესად მისი მოვალეობა ყოფილიყო. ამის გამო ყოველ შემოდგომაზე საქართველოს ჯარი ყველა მხედართმთავრებითა და თვით მეფითურთ უნდა სიბაზე წასულიყო და გაზაფხულამდე იქ მდგპარიყო. მერმე, რა კი ზაფხულში მთელს ამ არეში აუტანელი სიცხისა და დამცდელი ჰავის გამო გაძლება შეუძლებელი ხდებოდა, მტრის შემოსევის საშიშროებაც ნაკლებ იყო მოსალოდნელი და სიბასაც დაცვა უკვე აღარ სჭირდებოდა ხოლმე.

ამრიგად, სიბის დასაცავად აღმ. საქართველოთგან ყოველწლიურად დიდძალი ჯანსაღი ხალხი უნდა გასულიყო და მონღოლთა მტრის შემოსევის ლოდინში თავის საქმიანობას ტყუილუბრალოდ მოსცდენოდა. ცხადია, თუ რამდენად საზარალო უნდა ყოფილიყო ეს საქართველოსთვის პოლიტიკურად, ეკონომიურად და ხალხის ჯანმრთელობისათვისაც.

ცნობილია, რომ ყოველთვის, როდესაც მრავალრიცხოვანი ჯარი იყრიდა ერთ ადგილას თავს, ძველად სხვადასხვა გადამდები მოარული, მეტადრე მუცლის ავადმყოფობა ჩნდებოდა და მძვინვარებდა ხოლმე. სიბაზეც ასევე მოხდა და საქართველოს ჯარს, როგორც ჩანს, სისხას მაგვარი მუცლის დაავადება ისე მოსდებია, რომ მოარულად ქცეულა და თვით მეფე დავითსა და მის უფროს ვაჟიშვილს გიორგი უფლისწულსაც-კი ამ გადამდები მოარულისაგან თავის დაცვა ვერ მოუხერხებიათ. ადვილი წარმოსადგენელია, მაშასადამე, თუ რამდენად მოდებული უნდა ყოფილიყო ეს მოარული მოსახლეობის უფრო დაბალფენებში, მეტადრე ხალხში. ცხადია, ამ მოარულის მსხვერპლი საქართველოში ფრიად საგრძნობი იქმნებოდა.

მუცლის მოარულით გიორგი უფლისწუდლი პირველად 1266 წ. შემოდგომას გახდა ავად და ძალიან მძიმე ავადმყოფი იყო, მაგრამ მაინც გამოკეთდა. 1267 წ. სიბაზე დგომის დროს, გაზაფხულზე, უკვე მეფე დავით-ულუც ასევე დაავადდა, მაგრამ შემდეგ ისიც დროებით გამოკეთდა. ამავე წელს შემოდგომაზე სიბაზე დგომის დროს გიორგი უფლისწულს ეს

ავადმყოფობა ხელმეორედ შეეყარა. საქართველოში მოყვანამა და ყოველნაირმა მკურნალობამ ვეღარ არგო რა და 1268 წ. გაზაფხულზე გარდაიცვალა კიდევაც[77]. მის მამას, დავით გიორგი-ლაშას ძეს, ეს მოარული ქრონიკულ სნეულებად გადაექცა: მეფე ხან უკეთ შეიქმნებოდა, ხან ავადმყოფობა ისევ აეშლებოდა ხოლმე. ბოლოს, ერთი ასეთი მომჯობინების დროს, 1271 წ. სიბაზე ყოფნაში გაზაფხულზე მოცლის მოარული ისევ შეეყარა, რომელმაც შვილივით მამაც იმსხვერპლა.

დასავლეთ საქართველოს განთავისუფლება მონღოლთა დამოკიდებულებისაგან

IX. დავით-ნარინი და მისი პოლიტიკა

1.დავით IV-ის საგარეო პოლიტიკის გეზი

დავით-ნარინის აჯანყებისა და დას. საქართველოში გადასვლის შემდეგ, ლიხთ -იმერეთის ის პოლიტიკური დამოკიდებულებაც, მონღოლთა საყაანოსთან რუსუდანის დროს დადებული ზავის დროს დამყარდა, შესწყდა. მონღოლებმა დას. საქართველოში ვერც მაშინ და ვერც მერმე გადასვლა ვერ გაბედეს და ამრიგად დას. საქართველო მონღოლთა ყმადნაფიცობისაგან განთავისუფლდა. მაგრამ ლიხთ-იმერეთში დამკვიდრებული დავით-ნარინი, რასაკვირველია, შეუძლებელია მთლად დამშვიდებული ყოფილიყო, რათგან მონღოლთა შურისძიების ამბავი კარგად იცოდა და უნდა გათვალისწინებული ჰქონოდა, რომ ისინი შემდეგში მაინც შეეცდებოდნენ, აჯანყების გაბედვა დაუსჯელად არც მისთვის შეენარჩუნებინათ.

ეგვიპტის სულტნის სამფლობელოს წინააღმდეგ დაწყებული ფართო სამხედრო გეგმის განხორციელების გამო, მონღოლებს ჯერ დავით-ნარინისათვის არ ეცალათ. ამ გარემოებას დავით რუსუდანის ძისათვის საშუალება უნდა მიეცა, რომ დას. საქართველოში შესაფერისად მოწყობილიყო.

ბექა ყაანის ერანის ილხანების წინააღმდეგ მტრული მოქმედების დაწყების შემდეგ, ჰულაგუ ყაანს წინანდელზე უფრო ნაკლებ შეეძლო დავით-ნარინის შურისძიებაზე ეფიქრა. მაგრამ, შორსგამჭვრეტელ პოლიტიკოსს მაინც არ უნდა დაჰვიწყებოდა, რომ მომავალში შესაძლებელი იყო ერანის ილხანს თავისი მრისხანე განზრახვისათვის მარჯვე დროცა და შესაფერისი ძალაც ეშოვა. ამიტომაც მოსალოდნელი განსაცდელისათვის წინასწარი სამზადისი იყო საჭირო. დავით რუსუდანის ძესაც სწორად ასე უმსჯელია და თავისი საგარეო პოლიტიკაც ამისდამიხედვით წარუმართავს.

დავით-ნარინს გადაუწყვეტია, რომ ერანის ილხანების მძლავრებისა და თავდასხმისაგან უზრუნველსაყოფად საქართველოს უნდა მათ პოლიტიკური მეტოქეებთანა და მოწინააღმდეგებთან შეეკრა კავშირი. უეჭველია, სწორედ ამ მიზნით უნდა გაეგზავნა დავით-ნარინს 1264 წ. 24 ოქტ. – 1266 წ. 14 სექტ. შუა თავისი საჩუქრებით დატვირთული დესპანი ეგვიპტის სულტან ბეიბარსთან[78]. ამ უკანასკნელს ეს გარემაოება, უეჭველია, გაახარებდა, რათგან მისთვისაც სასურველი იყო, რომ ჰულაგუ ყაანის მოწინააღმდეგე მისი მოკავშირე

---

[77] [**ჟამთააღმწერელი,** გვ. 696-697].

[78] [**მაკრიზი, Histoire des Mamel, ტ.** II, გვ. 18; იხ. **ბროსე, H. d. G. I.** გვ. 563.]

ყოფილიყო, რამდენადაც ერანის ილხანი მის სამფლობელოს დაპყრობა–დაპატრონებასაც ლამობდა.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩრდილოეთის, ანუ ოქროს ულუსის ყაანებსაც ილხანებთან ბრძოლის დროს სწორედ ეგვიპტის სულტნებთან ჰქონდათ გაცხოველებული მიწერ-მოწერა, ზემოაღნიშნულ გარემოებას უფრო მეტი პოლიტიკური მნიშვნელობა მიენიჭება.

საქართველოს მეფის, დავით რუსუდანის ძისა და ეგვიპტის სულტნის მეგობრული ურთიერთობა ზემოდასახელებული დესპანობის შემდგომაც არ შეწყვეტილა. სამი წლის შემდეგ, 1268 წ. 17 თებ.-17 მარტს შუა, ბეიბარს სულტანს აქითგან კვლავ წერილები მოუვიდა[79].

მაგრამ, ცხადია, რომ ერანის ყაანების მარტო შორეულ მტრებთან დაკავშირებით ბევრი არაფერი გაკეთდებოდა, და აკი დავით-ნარინი მარტო ამით არც დაკმაყოფილებულა. მას გადაუწყვეტია, რომ საქართველოსთვის მონღოლებს შორის შინაური ბრძოლის გაღვივება-გაძლიერება იქნებოდა ფრიად ხელსაყრელი. ამიტომაც ცდილობდა მათ წიაღში ამტყდარი უთანხმოებითაც ესარგებლა, რომ შინაურს ბრძოლას მონღოლები დაესუსტებინა. ამ მიზნით დავით რუსუდანის ძე ცდილობდა, ერანის ილხანების წინააღმდეგ მონღოლთა აჯანყებული მეთაურებისათვის დახმარება გაეწია და მათთვის ზურგი გაემაგრებინა. სწორედ ერთ ასეთ შემთხვევათაგანს გვისურათებს თეგუდარ ნოინის განდგომილების ამბავი.

მონღოლთა ჩრდილოეთის, ოქროს, ულუსსა და სამხრეთის, ერანის, ილხანების ყაანებს შორის არსებული მეტოქეობა შემდეგში, როგორც დავრწმუნდით, დაუცხრომელ მტრობად ქცეული, მარტო სამხედრო ძალის საშუალებით არ ხორციელდებოდა. შეთქმულების მოწყობაც ურიგო იარაღად არ ჰქონდათ მიჩნეული. სწორედ ამ გზით უნდოდა ოქროს ულსს აბაღა ყაანისათვის მოეღო ბოლო.

2. თეგუდარის შეთქმულების გამომჟღავნება
აბაღა ყაანის წინააღმდეგ და მისი შეფარება დას. საქართველოში

ჩრდილოეთის ულუსის ერთ მეტომეთაგანს, თეგუდარ ბატონიშვილს, რომელიც, ვითარცა ოქროს ულუსის წარმომადგენელი, მთელი თავისი ურდოთი, ტომითა და ლაშქრითურთ, ერანში იმყოფებოდა, სწორედ ასეთი საქმე ჰქონდა დავალებული: საიდუმლო შეთანხმების მიხედვით, აბაღა ყაანი უნდა ჩამოეგდოთ. მაგრამ ეს საიდუმლოება შემთხვევით ნაადრევად გამომჟღავნდა და თეგუდარს აუცილებელი განსაცდელისაგან გაქცევით უნდა დაეღწია თავი. თეგუდარმა მთელი თავისი ურდოთი დას. საქართველოში გადასწყვიტა შეხიზვნა იმ იმედით, რომ იქითგან ქედს იქით გადასულიყო. ცხადია, რომ თეგუდარს ამ ამბავამდეც უნდა ჰქონოდა დავით–ნარინთან კავშირი, თუ–კი იგი მისი დახმარებით ასე დაიმედებული ყოფილა.

გაიგო თუ არა აბაღამ, რომ თეგუდარი დას. საქართველოში გასაქცევად გაემგზავრა, მაშინვე გზების შესაკრავად და დასაჭერად თავისი ლაშქარი დაადევნა. მაგრამ მრავალგან დიდ გაჭირვებაში ჩავარდნილმა და ძალზე დაზარალებულმა, მაინც ბრძოლით, არტაან–შავშეთ-აჭარის გზით, თეგუდარმა, როგორც იყო, ქუთაისს მიაღწია და ამრიგად აბაღას მდევარს ლაშქარს ხელითგან გაუსხლტა.

დას. საქართველოს დედაქალაქში მეფე დავით-ნარინმა თეგუდარსა და მის ამალას ისევე, როგორც მის ლაშქარს, ქართველური გულუხვი მასპინძლობა გაუწია და დიდი წვეულება გაუმართა. ქართ. ისტორიკოსის ცნობით, იმ დღეს მონღოლთა ბატონიშვილისა და მის

[79][**მაკრიზი,** იქვე, გვ. 51].

ამალასათვის მისართმევად, ღორსა და ცხვარს გარდა, მარტო ძროხა 500 ყოფილა დაკლული, ხოლო ლაშქრისათვის 600 ცხენი, 2000 ცხვარი და ამდენივე ღორი! ღვინოს ხომ ანგარიში არ ჰქონია: ჭურობით ხდიდნენ და ურმებით მოჰქონდათ თურმე. ცხადია, რომ თეგუდარის ასეთი დახვედრა მარტო სტუმართმოყვარეობის წესით არ შეიძლება ნაკარნახევი ყოფილიყო, მით უმეტეს, რომ ამ მონღოლ ბატონიშვილს დავით-ნარინი იმდენად დაუახლოვდა, რომ თეგუდარის გაშინაურებამდეც-კი მისულა.

ასეთი მზრუნველობის წყალობით, თეგუდარს მძიმე ლაშქრობის შემდეგ რასაკვირველია, კარგადაც შეეძლო დაესვენა და გზაში მიყენებული ზიანისაგანაც უკვე საკმაოდ მომჯობინებულად ეგრძნო თავი. თუმცა მას ოქროს ულუსის ყაანისაგან შემოთვლილი ჰქონდა, რომ მთავარ სამხედრო ძალასთან შესაერთებლად ის ჩრდილოეთში უნდა გადასულიყო, მაგრამ თეგუდარმა იქ გამგზავრებამდე მაინც გადასწყვიტა, აბაღა ყაანისათვის რაიმე გზით სამაგიერო გადაეხადა და ზიანი მიეყენებინა. რაკი ერანში შეჭრას შესაძლებელია მისთვის საბედისწერო შედეგი მოჰყოლოდა, ამიტომ მან ერანის ილხანების ყმადნაფიც საქართველოში მონღოლთა ლაშქარზე თავდასხმა და დარბევა იმჯობინა და ამას მიჰყო კიდევაც ხელი. ჯერ თეგუდარი თავის თანამეტომე მოლაშქრეებითურთ მესხეთში შეიჭრა და ცარცვა-გლეჯა დაიწყო, შემდეგ ქართლშიც და სომხეთშიც-კი გადავიდა და ყველგან თავაშვებულს მეკობრეობასა და ავაზაკობას ეწეოდა.

3. თეგუდარის მტრობის მავნე შედეგი აღმ. საქართველოსათვის და მისი ვერაგობის გამომჟღავნებასთ

ცხადია, რომ თეგუდარის აღმ. საქართველოში ასეთი ნავარდის დროს მარტო აბაღას მონღოლთა ლაშქარს არ მოუვიდოდა ზიანი, არამედ უფრო მეტად ქვეყანა და ხალხი, ადგილობრივი მოსახლეობა დაზარალდებოდა. მართლაც ქართლი და სომხეთის ჩრდილო თემები ამ თარეშმა ძალზე შეაწუხა. ამან, რასაკვირველია, ქართველნიცა და სომხებიც მეტად აღაშფოთა, რათგან მონღოლთა ძმათა შორის მტრობასა და შუღლს მსხვერპლად ისინი უნდა შესწირვოდნენ. ამრიგად, საქმე ისე დატრიალდა, რომ თეგუდარის წინააღმდეგ ბრძოლაში მთელს აღმ. საქართველოს უნებლიედ და გულწრფელადაც-კი უნდა ერანის ილხანის აბაღა ყაანის მხარე დაეჭირა და მხურვალე მონაწილეობა მიეღო.

ამისდა მიუხედავად, აბაღა ყაანის ლაშქარმა თეგუდარი მაინც ხელთ ვერ იგდო, რათგან გაჭირვების დროს მას დას. საქართველოში დასახევი გზა ჰქონდა და თავის შეფარებას იქ ახერხებდა. ამიტომ, რაკი სხვა გამოსავალი ვერ გამონახა, აბაღა ყაანმა ისევ დავით-ნარინს მიუგზავნა თავისი ელჩი და დიდის საჩუქრების შეპირებით სთხოვა, არამც თუ თეგუდარის დახმარებაზე ხელი აეღო, არამედ მისთვის უკან დასახევი გზაც-კი შეეკრა.

შესაძლებელია და თითქმის უეჭველიც-კია, რომ სხვა პირობებში დავით ნარინს აბაღა ყაანისათვის ცივი უარი შეეთვალა, მაგრამ სწორედ ამ დროს გამომჟღავნდა, რომ თეგუდარი თურმე დას. საქართველოშიც შეთქმულების მოწყობასა და ღალატს აპირებდა. ამ გარემოებამ დავით-ნარინი, რასაკვირველია, აბაღა ყაანის თხოვნისა და წინადადების დაკმაყოფილების გუნებაზე დააყენა და ილხანს მისივე ელჩის პირით თანხმობა შეუთვალა.

თეგუდარმა ამის შესახებ, რა თქმა უნდა, არა იცოდა რა, რომ ჩვეულებისამებრ სათარეშოდ ისევ აღმ. საქართველოში გადმოვიდა.აქ, დიდი ბრძოლის შემდგომ, დასახევი გზა შეკრული დახვდა და განწირული მოთარეშე თეგუდარი თავის შვილითურთ 1269 წ. 3ივნ. (ერთი ცნობით), ან და 1270 წ. (მეორე ცნობით) აბაღას მდევარ ლაშქარს ჩაუვარდა ტყვედ.

4. ერანის ყაანის მეამბოხის ღალღურის დას. საქართველოში შეფარება. მისი ვერაგობა და რაჭის ერისთავის კახაბერიძის შინათგამცემლობა

ამ პირველი ცდის სამწუხარო შედეგისდა მიუხედავად, დავით-ნარინი ერანის წინააღმდეგ შემდეგშიც ამავე მოქმედების გეზს იცავდა და ყაანის განდგომილს დიდ ხელისუფალს ეხმარებოდა ხოლმე. სწორედ ამავე მოსაზრებით აბაღა ყაანის გამდგარი ვინმე ღალღური თავისთან შეიფარა და ბრძოლის წარმოებაშიც-კი შეეწია. მაგრამ მერმე დავით-ნარინი დარწმუნდა, რომ ეს ღალღურიც ვერაგი და უმადური კაცი იყო.

დავით-ულუს მომხრე და დავით–ნარინის ძველი ორგული კახაბერ კახაბერისძე და ღალღური შეიზრახნენ, რომ აბაღა ყაანს შეჰრიგებოდნენ და დავით-ნარინი გაეცათ. ამ მიზნით ორივენი გაიპარნენ და ერანის ილხანს წარუდგენენ. რა თქმა უნდა, აბაღას ეს ძალზე უნდა გაჰხარებოდა, რათგან მას საშუალება ეძლეოდა ხელში ჩაეგდო ის მეფე, რომელიც ყველა მის მოღალატეებს თავშესაფარს აძლევდა და ეხმარებოდა. როგორც იყო ასეთ მარჯვე შემთხვევას მოესწრო, როდესაც მას დავით-ნარინზე ჯავრის ამოყრა შეეძლო, და, რასაკვირველია, ამისთვის ღალღურს ძველ დანაშაულს ადვილად შეუნდობდა!

წინასწარი შეთანხმებით აბაღა ყაანს უნდა ღალღურისა და კახაბერ კახაბერიძისათვის მეფეზე მოულოდნელი თავდასხმისათვის და მის შესაპყრობად ერანითგან საკმაო ლაშქარი გაეტანებინა, დანარჩენს ყველაფერს-კი თითონ ისინი კისრულობდნენ. აბაღა ყაანმა ამ ვერაგსა და მოღალატეს სიხარულით 30000 მონღოლი მხედარი გაატანა თან. ამ ძალით მათ თრიალეთზე გადაიარეს, ლიხის მთაც გადალახეს და შინათგამცემლობით ისე მოახერხეს, რომ სრულებით მოულოდნელად დას. საქართველოს დედაქალაქს ქუთაისს დაესხნენ.

ამ დროს მეფე დავით-ნარინი აბანოში იყო, ამიტომ იქითგან გასვლა და თავდამსხმელთაგან გასწრება ძლივს მოასწრო. მოღალატე რაჭის ერისთავსა და მის უმადურს თანაგამზრახ მონღოლს ამრიგად იმედი გაუცრუვდათ და დასახული მიზანი განუხორციელებელი დარჩათ. უკან დახევის გარდა, ამიტომ სხვა აღარაფერი დარჩენოდათ, მაგრამ საქართველოთგან გაცლის წინ ცარცვა-გლეჯით მაინც მოიოხეს გული. ხელცარიელებს უნებლიეთ ისევე აბაღა ყაანთან მოუხდათ დაბრუნება.

შინათგამცემელთა საშუალებით საქართველოს მეფის დავით-ნარინის ხელში ჩაგდება ერანის ილხანისათვის იმდენად მომხიბლავი გეგმა იყო, რომ ერთხელ წამოჭრილს, აბაღა ყაანი მას ისე ადვილად თავს ვერ მიანებებდა. ამიტომ არც გასაკვირველია, რომ ორი წლის შემდგომ იმავე პირების საშუალებით მან ხელმეორედ სცადა ეს ვერაგული ხერხი გამოეყენებინა. მაგრამ ამ შემთხვევაში კახაბერისძისა და ღალღურის ცდა პირველზე უფრო უნაყოფო აღმოჩნდა.

ეხლა უკვე აბაღა ყაანსაც შეეძლო დარწმუნებულიყო, რომ რაჭის ერისთავი მისთვის უკვე გამოსადეგი აღარ იყო და ერანის ილხანის კარზე მის ყოფნასაც აღარავითარი აზრი არ ჰქონდა. ეს კახაბერ კახაბერისძემაც იგრძნო: მოღალატე რაჭის ერისთავი იძულებული იყო ერანითგან აღმ. საქართველოში მოსულიყო და აქ, ყველასგან მოძულებულს, ატენის ხეობაში ეძია ბინა.

ატენის ხეობითგან კახაბერ კახაბერისძემ დავით-ნარინს ხვეწნა-ვედრება დაუწყო, რომ მისთვის დანაშაულება ეპატიებინა და, უვნებლობის ფიცის მიცემის შემდგომ, სამშობლოში დაბრუნების უფლება დაერთო. მეფემ ხასიათის იმდენი სისუსტე გამოიჩინა, რომ ასეთს უღირს პიროვნებას, სამჯერ უკვე ღალატის მომწყობს, აპატია და მე-13 ს. ოთხმოციანი წლების პირველ ნახევარში დაბრუნების ნება დაჰრთო, თანამდებობაც-კი დაუბრუნა. მაგრამ ამ ვერაგ ადამიანს თავისი ზნეჩვეულება არც შემდეგში მოუშლია. რამდენიმე წლის შემდგომ კვლავ

გამომჟღავნდა, რომ მას აღმოს. საქართველოს მონღოლთა მმართველს ალინაყთან ისევ საიდუმლო მიწერ–მოწერა ჰქონდა დავით-ნარინის გამოცემის მოსაწყობად. ამ ამბავმა გულკეთილ მეფე დავით-ნარინსაც-კი მოთმინება დაუკარგა და ეს უმაგალითო უმადური ადამიანი და ოთხგზის მოღალატე სისხლის სამართლის ძველი კანონის თანახმად იქნა დასჯილი: მას თვალთ დაწვა ერთი ხელისა და ფეხის მოკვეთა მიუსაჯეს, მისი შვილი-კი საქართველოთგან გააძევეს და კოსტანტინეპოლში ექსორია ყვეს[80].

5. დავით IV ღონისძიება ტრაპიზონის საკეისროში საქართველოს პოლიტიკური გავლენის აღსადგენად

მონღოლების წინააღმდეგ ბრძოლას გარდა, დავით რუსუდანის ძე ცდილობდა საქართველოსათვის შეენარჩუნებინა პოლიტიკური გავლენის ის სფეროც, რომელიც მას მე-13 ს. დამდეგისათვის სამხრეთ-დასავლეთით მოპოვებული ჰქონდა.

ცნობილია, რომ იმპერიად წოდებული ტრპიზონის სამეფო საქართველოს წყალობით დაარსდა. თამარ მეფის უშუალო ხელმძღვანელობით შეიქმნა მისი სახელმწიფოებრიობაც, რამდენადაც, საქართველოს ჯარისგან ბიზანტიის სამხედრო ძალის დამარცხების შემდგომ, ბიზანტიისგან შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროს წართმეულ ნაწილში კეისარიც თამარმა დასვა. ცხადია, რომ ისევე, როგორც ტრაპიზონის სამეფო საქართველოს წყალობით შეიქმნა, შემდეგშიც საქართველოს სამხედრო ძალის დახმარებას მისთვის ფრიად დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა. ამიტომ ტრაპიზონის სამეფოს სახელმწიფო მართავ-გამგეობაშიც და სამხედრო ორგანიზაციაშიც ქართულ გავლენას უპირატესობა შერჩენოდა.

მონღოლთაგან აღმ. საქართველოს დაპყრობას, ყმადნაფიც სამეფოდ ქცევასა და ამასთან დაკავშირებულს საქართველოს სამხედრო ძლიერების შესუსტებას, რასაკვირველია, არ შეიძლება საქართველოს საგარეო გავლენიანობაზეც კვალი არ დაეჩნია. როგორც უკვე დავრწმუნდით, საქართველოს აღმოსავლეთ-სამხრეთ სანაპიროზე მდებარე ყმადნაფიც სამფლობელოებში სწორედ ასეც მოხდა.

ბოლოსდაბოლოს საქართველოს ძლიერების დასუსტებას სამხრეთ–დასავლეთით მდებარე მის გავლენის ქვეშე მყოფს ტრაპიზონის იმპერიაშიც უნდა საგრძნობი შედეგი მოჰყოლოდა. მონღოლთა ძლევამოსილების ტალღამ უკვე ტრაპიზონის საზღვრამდე მიაღწია, როდესაც იკონიის სულტანი ღიასედინ ქაიხოსრო II ყველა თავის მოკავშირეებითურთ 1244 წ. მონღოლთა ლაშქრისგან დამარცხებულ იქმნა, ისე რომ ყველანი იძულებული გახდნენ მონღოლებისათვის ხარკის ძლევა ეკისრათ. მონღოლთა მეხარკეობა ვერც სელჩუკიან სულტნის ერთმა მოკავშირეთაგანმა, ტრაპიზონის მეორე კეისარ მანუელ პირველმა, აიცდინა თავითგან და, დას. ევროპელ დესპანის 1253 წ. ცნობით მანუელი მონღოლებს ხარკს უხდიდა კიდეც.

ამრიგად დამყარებული პოლიტიკური ვითარების გამო, საქართველოს გავლენის ქვეშ მყოფი ტრაპიზონის საკეისროსათვის მას სამხედრო დახმარება და მიშველება აღარ შეეძლო, რათგან თვით მისი მთელი აღმოსავლეთი ნაწილიც მონღოლთ ჩაუვარდათ ხელში. მართალია, ლიხთ-იმერეთში მონღოლებმა ვერც გაბატონება და ვერც გადასვლა ვერ მოახერხეს, დავით-ნარინის მონღოლების წინააღმდეგ აჯანყნების და დას. საქართველოში გამაგრების შემდგომ ხომ საქართველოს ამ ნაწილმა სრული დამოუკიდებლობაც მოიპოვა, მაგრამ მისი სამხედრო ძალა იმდენად შემცირებული იყო, რომ სხვას ვეღარავის მიეშველებოდა.

---

[80] [ჟამთააღმწერელი, გვ.720-721].

რასაკვირველია, საქართველოს პოლიტიკურ დასუსტებასთან ერთად, ტრაპიზონში მისი გავლენაც უნდა შემცირებულიყო. საქართველოს მეტოქე ბიზანტიური დასისათვის, ცხადია, ეს მეტად ხელსაყრელი გარემოება იყო, რომ ასეთი მარჯვე შემთხვევით არ ესარგებლა. ასეც მოხდა: ტრაპიზონის სამეფოს შინაურ პოლტიტიკას ამ ხანაში დიდი ცვლილება დაეტყო. საქართველოს მომხრე ხელისუფლები თანდათანობით თავიანთ თანამდებობას ჩამოაშორეს მათ მაგიერ ბიზანტიის მომხრე დასის წარმომადგენელნი იქმნენ დაწინაურებულნი. რა თქმა უნდა, ეს უბრძოლველად არ მომხდარა და საკმაოდ დიდი მსხვერპლიც შეეწირა, მაგრამ რაკი საქართველოს მომხრე დასს წინანდებურად არც ზურგი ჰქონდა გარეთგან გამაგრებული და არც მასთან კავშირის მნიშვნელობით შეიძლებოდა ოდინდელი უპირატესობის გამართლება, ამიტომ ეს დასი განადგურდა.

6. საქართველოს და ბიზანტიას შორის გაცხარებული ბრძოლა ტრაპიზონის საკეისროში პოლიტიკური გავლენის გამო

ბიზანტიის კეისარმა და მთავრობამ სცადეს ტრაპიზონის სამეფო ჯერ თავისი უშუალო გავლენის ქვეშ მოექციათ, რომ ამით იმპერიის ოდინდელ მთლიანობის აღდგენა დაეწყოთ. გულის მოსაგებად კოსტანტინეპოლის პატრიარქმა 1260 წ. ტრაპიზონის მიტროპოლიტს თავისი სამწყსოს სამღვდელოების ხელდასმის უფლებაც-კი დაუთმო. ბიზანტიასთან კავშირის განსამტკიცებლად ტრაპიზონის კეისარს მანუელ-I-ს თითქოს ბიზანტიის კეისართან დამოყვრებაც-კი უთხოვნია, მაგრამ მართლა ასე იყო, თუ ეს უფრო კოსტანტინეპოლის მთავრობის ნატვრას წარმოადგენდა, ძნელი სათქმელია, მანუელის იმ სამ თანამეცხედრეთაგან-კი, რომელნიც ერთი მეორის შემდგომ შეურთავს, არც ერთი კოსტანტინეპოლელი უფლისწული არ ყოფილა. მანამდე ტრაპიზონის კეისარი საქართველოს სამეფო საგვარეულოს ენათესავებოდა და, როგორც ჩანს, ბიზანტიის მომხრე დასის წადილი, მომავლისათვის ამნაირი კავშირის საშუალებით ქართული პოლიტიკური გავლენის შესაძლებლობა ჩაეშალა, იმ დროს განუხორციელებელი დარჩენილა.

კოსტანტინეპოლის გავლენას ტრაპიზონელები იმიტომ გაურბოდნენ, რომ ბიზანტიის კეისარსა და მთავრობას თავი მედიდურად ეჭირათ და ისინი ტრაპიზონის მეფის დაჯაბნასა და დამცირებას ყოველნაირად ცდილობდნენ: მათი წარმოდგენით, ტრაპიზონელებს უფლება არ ჰქონდათ თავიანთ თავისათვის არც კეისარი ეწოდებინათ, არც კეისრისათვის განკუთვნილი პორფირი და ტარსიკონის (წიითელი ტყავის) ფეხსაცმელი ჩაეცვათ. კოსტანტინეპოლელი პოლიტიკოსები ტრაპიზონის კეისრებს დაცინვით ხან ლაზთა მფლობელს, ან მთავარს, ხან ტრაპიზონის მპყრობელს უწოდებდნენ. რასაკვირველია, ასეთს დამოკიდებულებას არ შეეძლო ტრაპიზონელთა მმართველი წრეების გული მოეგო და კოსტანტინეპოლელებთან დაახლოების მხურვალე მომხრედ გაეხადა.

მანუელ I-ის მესამე თანამეცხედრეს რუსუდანი ერქვა და ეს გარემოება ცხად-ჰყოფს, რომ მასაც საქართველოსთან კეთილმოყვრობა უმჯობინებია. სამხედრო დასს, რომელიც საქართველოსთან იყო დაკავშირებული, ჯერ კიდევ იმდენი ძალა ჰქონდა, რომ კოსტანტინეპოლის გაბატონებისათვის წინააღმდეგობა გაეწია.

პირველმა მარცხმა ბიზანნტიის კეისარსა და მის კარისკაცებს გული ვერ გაუტეხა და შემდეგშიც, როდესაც ტრაპიზონის ტახტზე 1266 წ. იოანე II ავიდა, ბიზანტიის კეისარმა მიხეილ პალეოლოგოსმა ყოველი ღონე იხმარა, რომ ტრაპიზონის კეისარი თავისი პოლიტიკური გავლენის ქვეშ მოექცია. ჯერ იგი შეეცადა დესპანების ხშირხშირად გზავნით იოანე II-სათვის

ჩაეგონებინა, რომ მას უფლება არა აქვს, თავის თავს კეისარი უწოდოს, სამეფო ტანისამოსით შეიმოსოს და კეისრის ნიშნები იხმაროს, რომ კოსტანტინეპოლში მჯდომ მბრძანებელს გარდა, კეისრობა არავის ეკუთვნის.

იოანე II უპასუხებდა, რომ არც ეს წოდებულება და არც სამეფო სამოსელ-ნიშნების ხმარება პირადად მას არ შემოუღია, არამედ მისი წინაპრებისაგან იყო დაწესებული და ამიტომ თითონ მას არც შეუძლია და ამის უფლებას არც ქვეშევრდომები მისცემენ, რომ წინათ განმტკიცებული წესი დაარღვიოს.

როდესაც მიხეილ პალეოლოგოსი დარწმუნდა, რომ ამ გზით ვერაფერს გააწყობდა, თავისი პოლიტიკური მიზნის მისაღწევად სხვა საშუალებას მიჰმართა. იოანე II უცოლო ჭაბუკი იყო და ბიზანტის კეისარმა გადასყვიტა, რომ, რასაც დესპანების მჭერმეტყველური დარიგება-შთაგონებით ვერ ეღირსა, ის მისი გასიძებით მოეხერხებინა. მან ტრაპიზონის კეისარს თავისი ქალიშვილი შესთავაზა თანამეცხედრედ, ამისთვის მიხეილ პალეოლოგოსი იოანე II –ეს კოსტანტინეპოლში ჰპატიჟობდა. თუმცა თვით ტრაპიზონის მრძანებელი თანხმდებოდა, მაგრამ მისი დიდებულნი კონსტანტინეპოლში წასვლას იმასაც უშილიდნენ და არც თითონ უნდოდათ იქ გამგზავრება. მათ სამართლიანად სწორედ იმის შიში ჰქონდათ, რაც შემდეგში მოხდა კიდევაც.

ამ მეორე მარცხის მიუხედავად, ბიზანტიის კეისარმა მესამედაც სცადა დაერწმუნებინა, რომ, მისი სიძობის გარდა, სხვა არავითარი ბოროტი განზრახვა მას არა აქვს. მიხეილ კეისრის ხელახლად წარგზავნილმა დესპანმა და სამღვდელო პირმა იოანე II –ეს შეჰფიცეს, რომ, კეისრის ასულზე ჯვარის დაწერის უმალ, მას დიდი პატივისცემით უკანვე გამოისტუმრებდნენ. იოანე II –ეც დათანხმდა და კოსტანტინე პოლში გაემგზავრა. მაგრამ საკმარისი იყო ის ბიზანტიის სახელმწიფო საზღვარს მიახლოვებოდა, რომ ტრაპიზონის ჭაბუკი კეისარი დარწმუნებულიყო, რამდენად ბავშვურად მოტყუვდა: მას გამოუცხადეს, რომ კეისარის წითელი წუღები გაეხადა და შავი ჩაეცვა, რომ კეისრისათვის განკუთვნილი შესამოსელ-ნიშნების ხმარებაც არ შეიძლებოდა. მაშინ-კი იოანე II-ეს თავისი მალემრწმენობა სანანურად გაუხდა, მაგრამ რაღას გააწყობდა: ბიზანტიის მოხელეებისა და კეისრის ხელში იყო მთლად. ადვილი წარმოსადგენია, რა გუნებაზე უნდა ყოფილიყო ასე სულელურად მოტყუებული ტრაპიზონის კეისარი, მაგრამ იძულებული იყო ყველაფერი აესრულებინა. მას ბიზანტიელი ქალიშვილი მაინც ცოლად შერთეს და უკან დაბრუნებითაც არ აუჩქარებიათ.

ტრაპიზონის კეისრის ბიზანტიელთაგან ასე მოტყუებით ხელში ჩაგდებისა და დამცირების, მეტადრე დასიძების ამბავი საქართველოში ისევე კარგად ექმნებოდათ გაგებული, როგორც თვით ტრაპიზონშიც: ეს ბიზანტიის კეისრისაგან შავი ზღვის ამ სანაპიროზე კვლავ გაბატონების დასაწყისი იყო. ამის არავითარი სურვილი, არც ტრაპიზონელთა საქართველოს მომხრეთა დასსა და არც მით უმეტეს თვით საქართველოს მთავრობას არ შეიძლება ჰქონოდა. უკანასკნელისათვის საქმის ასე დატრიალება სამხრეთ-დასავლეთითაც მტრულად განწყობილი, შუღლის დამთესი ბიზანტიის დამეზობლებას მოასწავებდა. ამიტომ მას არ შეეძლო ტრაპიზონის სამეფოში პოლიტიკური ვითარების ასეთი ცვლილების გულხელდაკრებილ გარეშე მაყურებლად დარჩენილიყო.

უბრძოლველად პოლიტიკური გავლენის ასეთი მნიშვნელოვანი სფეროს ბიზანტიისათვის დათმობა უგუნურება იქნებოდა და, უეჭველია, სწორედ ამიტომ უნდა იყოს, რომ დავით-ნარინი 1282 წ. აპრილში ტრაპიზონის საკეისროში შეიჭრა და ქ. ტრაპიზონი გარემოიცვა, მაგრამ უშედეგოდ[81]. უკანასკნელი გამონათქვამი ტრაპიზონის აღებას ეხება მხოლოდ,

---

[[81] Трапезундская хроника Михаила Панарета, ალ. ხახანაშვილის გამოც.].

ტრაპიზონამდე–კი მიწაწყალი დავით-ნარინს ჰქონდა. თუ იმ გარემოებას გავითვალისწინებთ, რომ იოანე II თავის თანამეცხედრითურთ ტარპიზონში მხოლოდ 1284 წ. 25 აპრილს დაბრუნდა, შესაძლებელია ეჭვი დაიბადოს, რომ ასეთი განსაცდელის დროს, კოსტანტინეპოლში მისი ესოდენ ხანგრძლივი დაყოვნება მარტო ბიზანტიის მთავრობის ბრალი არ იყო, არამედ ამაზე უფრო მეტად ტრაპიზონის სამეფოში დატრიალებული ამბისაც, რათგან უკვე 1282 წ. ბიზანტიის ენერგიული კეისარი მიხეილ VIII პალეოლოგოსი გარდაიცვალა და მის მაგიერ მისი შვილი ანდრონიკე II გამეფდა, რომელიც მეტად სუსტი მმართველი და უბედო მეომარი გამოდგა.

რა გარემოებაში მოუხდა იოანე II-ს 24 აპრილს 1284 წელს თავის სატახტო ქალაქს ტრაპიზონში დაბრუნება, დანამდვილებით ცნობილი არ არის, მაგრამ ამ შემთხვევაში მისი კეისრობა ხანგრძლივი არ გამოდგა: 1285 წ. იოანე II-ის დამ თეოდორამ, რომელიც საქართველოში იყო გათხოვილი, შეჰყარა ჯარი, შეიჭრა ტრაპიზონის საკეისროში და, ტრაპიზონის აღების შემდეგ, თითონ დაჯდა ტახტზე. ცხადია, რომ მისი ჯარი მთლიანად საქართველოს ჯარი უნდა ყოფილიყო და თითონ თეოდორასაც იმავე დროს საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკისა და ქართველთა მომხრე ტრაპიზონელ სამხედრო დასის წყალობით შეეძლო გაემარჯვნა. სამწუხაროდ საქმეთა მერმინდელ მიმდინარეობაზე წყაროებში ცნობები არ მოიპოვება და ამიტომ არა ჩანს, თუ როდის და როგორ მოახერხა 1297 წ. გარდაცვლილმა იოანე II-ემ თავისი ხელისუფლების დაბრუნება და კვლავ გაკეისრება. ამრიგად, ზემომოყვანილი ამბებითგან ნათლად ჩანს, რომ საქართველო მე -13 ს. მეორე ნახევრითგან მოყოლებული ტრაპიზონის საკეისროს, რომელიც მისი წყალობით იყო შექმნილი და რომლის მოსახლეობაც უმთავრესად ქართველთა მოძმე ტომის, ლაზების ანუ ჭანებისაგან, შესდგებოდა და ამიტომ მის ბედიღბალს მისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, ფხიზლად ადევნებდა თვალყურს და იქ თავისი წინანდელი უპირატესი უფლების დაცვას ცდილობდა.

X. აღმ. საქართველო დემეტრე II თავდადებულის დროს

1.აღმ. საქართველო მცირეწლოვანი მეფისა და ძლიერი მედროვის ხელში

1259 წ. დაბადებული დემეტრე II დედის, გვანცა დედოფლის, სიკვდილით დასჯის ჟამს სამი წლის ბავშვი იყო. მისმა მამამ, დავით-ულუმ, რომ მესამედ შეირთო ცოლი, დემეტრე გასაზრდელად ტარსაიჭ ორბელს მიაბარა. მამის სიკვდილის დროს ამრიგად დემეტრე 11-12 წლის ყმაწვილი იყო.

ჩვეულებრივი მონღოლური წესის თანახმად, მცირეწლოვანი დემეტრე II ილხანის ურდოში წაიყვანეს მეფედ დასამტკიცებლად. ყაანმა დაამტკიცა საქართველოს მეფედ და მთელი სახელმწიფო მისცა და დაუმორჩილა, “თვითნიერ სარგის ჯაყელის” სამფლობელოს მესხეთისა, რომელიც, როგორც ვიცით, ულუ-დავითის უმადურობისა და სარგის ჯაყელის პოლიტიკური სიბეცის გამოისობით, ყაანის სახასო სამართველოს კუთვნილებად, ე. წ. ხასინჯუ-დ იქნა გამოცხადებული.

თეორიულად უფრო, ვიდრე რეალურად, საქართველოში მაშინ სთვლიდნენ, რომ დემეტრე – II-ემ წინანდებურად სრულიადი საქართველოს სახელმწიფო მიიღო “ნიკოფსით დარუბანდამდე”, ე. ი. ორზღვას შუა მდებარე კავკასია მთლიანად, მაგრამ ნამდვილად, რომ უკვე

ასე აღარ იყო, ეს ზემომოყვანილთაგან ჩანს, რათგან არც ლიხთ-იმერეთი და არც მესხეთი დემეტრე II-ეს აღარ ექვემდებარებოდა. ამას გარდა საქართველოს საზღვარი აღმოსავლეთითაც არც კასპიის ზღვამდის და მით უმეტეს აღარც დარუბანდამდამდის-ღა აღწევდა. საქართველოს აღმოსავლეთის საზღვარი შამახიის თემამდე, თეთრი წყლის ანუ აღსუ-ს, მონღოლურად ჩალან-უსუნ-ის გაყოლებით მიიმართებოდა. სამხრეთით ანისი და კარი თავიანთი მთელი სანახებითურთ კვლავინდებურად საქართველოს ეკუთვნოდა. ხლატი, ვალაშკერტი, ალატაღი, მანასკერტი, ანუ მელაზგერდი და ვანიკი უკვე საქართველოს ყმადნაფიც სამფლობელოდ აღარ ითვლებოდა. თუმცა ეს მიწაწყალი სომხეთის ვილაიეტად იწოდებოდა, მაგრამ მისი მმართველი მაჰმადიანი იყო.

ცხოვრებისა და პოლიტიკური ვითარების მიმდინარეობა ულმობელად ამსხვრევდა საქართველოს ახლო წარსულის სახელმწიფოებრივს უძლეველობასა და ძლიერებას, მაგრამ ისტორიულად განმტკიცებული იმდროინდელი გამონათქვამი და წოდებულებანი ენასა და მე-13ს. ქართულ მოღვაწეებს მაინც შერჩათ. ამდენად ძნელი იყო ხალხისათვის დამყარებული მდგომარეობის სინამდვილესთან შეგუება! აი მაგ. როგორ მეტყველებს დემეტრე II–ზე აბრაჰამ ჯვარის მტვირთელი გუდარეხის სამრეკლოს 1278 წ. კედლის წარწერაში: “ადიდენ ღ´ნ ძლიერი და უძლეველი მეფედ-მეფე დ[ემეტრე]. მე მიწაჲ მეფობისა მათისაჲ უღირსი მღდელი და ჯუარის მტვირთველი აბრაჰამ ღირს-ვიქმენ აღშენებად სამრეკლოთა ამათ სადიდებლად მეფობისა მათისა-ო[82].

მცირეწლოვან მეფეს, ცხადია, თავისი მოვალეობის პირადად ასრულება არ შეეძლო და მას ამიტომ მზრუნველი უნდა ჰყოლოდა. რა თქმა უნდა, მზრუნველი ამომრჩევნიც ისინი იქნებოდნენ, რომელთაც დემეტრეს მეფობა დაუმტკიცეს. მონღოლთა ყაანი-კი, უეჭველია, ამისათვის მონღოლთა ნდობით აღჭურვილი პირის შერჩევას ამჯობინებდა. ილხანის კარზე დაწინაურებული ასეთი პიროვნება იმ დროს სადუნ მანკაბერდელი იყო და დემეტრე II-საც მზრუნველად სწორედ ის მიუჩინეს. ჯერ კიდევ ყაანის კარზე ყოფნის დროს, მცირეწლოვანმა დემეტრე მეფემ 1272 წ. სადუნს ათაბაგობა უბოძა. ცხადია, რომ ესეც ზეშთაგონებით იქნებოდა მომხდარი.

ისტორიკოსის დახასიათებით, დემეტრე II ლამაზი, ტანმაღალი და ბეჭებ-ბრტყელი, საუცხოვოდ ჩამონაკვთილი, ფერად თეთრწითელი და ქერა, მომუქო, გვრემან-თვალა ჭაბუკი იყო. საუცხოოდ სცოდნია ცხენოსნობა და მშვილდოსნობა. თანაც სათნო ხასიათისა და გულშემატკივარი ადამიანი ყოფილა.

14-15 წ. ყმაწვილი იყო დემეტრე II, რომ ტრაპიზონის კეისრის ასულზე დააქორწინეს. ამ გზით ნათესაური კავშირი საქართველოს სამეფო საგვარეულოსა და ტრაპიზონის მეფეთა ოჯახს შორის კვლავ აღდგენილ იქმნა. ტრაპიზონელი უფლისწულისაგან დემეტრე II-ეს ოთხი ვაჟიშვილი მიეცა: ჯერ დავითი შესძენია, შემდეგ კიდევ სამი ვაჟი – ვახტანგი, მანოელი და ლაშა და ერთი ასულიც, რუსუდანი, ჰყავდა.

დემეტრე II-ემ მეორე ცოლად მონღოლი შეირთო, სოლღარ თათრის ასული, რომლისგანაც აგრეთვე სამი შვილი შეეძინა: ორი ვაჟი –ბაადურ და იადგარ, - და ერთი ქალიშვილი ჯიგდა-ხათუნად სახელდებული[83].

დემეტრემ მესამე ცოლიც მოიყვანა, რომელსაც ნათელა ეწოდებოდა. იგი ბექა ჯაყელის ასული და გიორგი ბრწყინვალის დედა იყო.

---

[82] АЭ, II, гв. 38.

[83] **ჟამთააღმწერელი,** გვ. 719, 734.

2. სადუნ მანკაბერდელი, მედროვე ქვეყნის მმართველი და მისი მოღვაწეობა აღმ. საქართველოში

მონღოლთა შესახებ საუბრის დროს უკვე აღნიშნული გვქონდა, რომ თვით ყაანიცა და საყაანოს დიდი ხელისუფლებიც, მათი ხელქვეშეთი ერების ენების უცოდინარობის გამო, მთლიანად იმ მოენე თარჯიმანებზე იყვნენ დამოკიდებულნი, რომელთაც მონღოლური იცოდნენ. უმეტეს შემთხვევაში მონღოლურის მცოდნე პირები ვაჭრები და სხვადასხვა ბედის მაძიებელნი იყვნენ, რომელნიც უცხო ქვეყნებში სიარულსა და უცხო ხალხში ტრიალსა და შეგუებას კარგად ახდენდნენ. თავიანთს მოქმედებაში მიზნად მათ, რასაკვირველია, უპირველესად ადვილად და სწრაფად გამდიდრება და დაწინაურება ჰქონდათ დასახული, ამისათვსი გამოსადეგი საშუალების თვისებისდა განურჩევლად. თარჯიმნობის დროს, როგორც გადასაწყვეტი საქმისათვის გარკვეული მიმართულების მიცემა, ისევე და უფრო მეტადაც ბრალდებულის სვებედი, ბევრნაირად იმათზე იყო დამოკიდებული, რათგან, გარემოების ვითარების გასაგებად, მათ მოენეობას, მათ თარგმანს მთავარი მნიშვნელობა ჰქონდა. თარჯიმანს ყოველთვის შეეძლო ზოგი რამე შეერბილებინა, ან და გაეძლიერებინა, ან, მჭერმეტყველი ვექილის მსგავსად, წარმოთქმული შეელამაზებინა, ან და წინაუკმო უგულოდ და უფერულად, არაერთხელ, ბრალდებულის მოწინააღმდეგე მხრისაგან წაქეზებულსა და მოქრთამულს, დაემახინჯებინა კიდეც. საკუთარ კეთილდღეობასა და გამორჩენაზე მზრუნველს, ასეთ თარჯიმანს თავის მიზნის მისაღწევად უნდა თავისი ძლევამოსილი ბატონ მონღოლებისათვისაც ეამებინა, მათი მოწყალებაც დაემსახურებინა და საქმეც ისე წაეყვანა, რომ უხვი ქონებრივი გამორჩენაც ჰქონოდა, რაც მექრთამეობით იყო მხოლოდ შესაძლებელი.

ჩინგიზ-ხანიტს ძლევამოსილმა ლაშქრობამ რომ მონღოლები მრავალი მანამდე მათთვის უცნობი ქვეყნისა და ერის მფლობელად გახდა, ასეთ მოენე ხალხს, როგორც სახელმწიფო ასპარეზზე, ისევე სასამართლო დაწესებულნებაში ფართო სარბიელი გაუჩნდა და ამ ხელსაყრელმა გარემოებამ მათ სწრაფს აღზევებასა და ზღაპრულს გამდიდრებას კარგად შეუმზადა ნიადაგი.

ეკონომიური და ზემოაღნიშნული მიზეზების წყალობით, მონღოლთა ბატონობის ხანაში მათგან დაპყრობილსა და ყმადნაფიც ქვეყნებშიც მოსახლეობის სოციალური ფენების შედგენილობაში, როგორც შემდეგში დავრწმუნდებით, დიდი და საგრძნობი ცვლილება მოხდა.

სადუნ მანკაბედელი სწორედ ერთი ასეთ პიროვნებათაგანი გახლდათ. შთამომავლობით გასომხებული ქურთი[84], სომხურს გარდა, ქართულის, სპარსულისა და მონღოლურის კარგი მცოდნე, სწორედ ასეთი ხანისა და ასეთი მონღოლურის კარგი მცოდნე, სწორედ ასეთი ხანისა და ასეთი პოლიტიკური ვითარებისათვის იყო გამოსადეგი ეს მხნე და შეუდრეკელი ნებისყოფით აღჭკრვილი, თანაც ნიჭიერი ადამიანი. დაწინაურება-გამდიდრებისათვის მისთვის გამოსადეგი საშუალების ზნეობრივი ღირებულების განრჩევით თავს ის მაინც-და-მაინც არ იწუხებდა. მისი ეროვნებაც თითქოს საჭიროებისამებრ იცვლებოდა და მონღოლს ის თანამოძმე მონღოლი ეჩვენებოდა, სომეხთან სომეხი, ქართველთან ქართველი იყო: სადაც რა უჯობდა, იმის გამოყენება იცოდა. იმ ხანისათვის დამახასიათებელი უეროვნებო, საკუთარ აღზევება-გამდიდრების წადილით შეპყრობილი, პიროვნებათაგანი გახლდათ.

უკვე ამ ადამიანის სახელია საყურადღებო: მას სადუნი ეწოდებოდა. საბა ორბელიანის განმარტებით, "სადუნი სხუა და სხუა ენის მცოდინარე კაცი"-ს აღმნიშვნელი იყო, მაგრამ ნამდვილად სადუნი მონღოლური სიტყვაა და მეგობარსა და დაახლოებულ კაცსა ნიშნავს[85].

---

[84] **მალაქია,** ისტორია, გვ. 34; კირაკოზ **განძაკელი,** გვ. 197.

[85] **მელიორანსკი,** Араб. Фтлологю, гв.138.

ცხადია, ასეთი მონღოლური სახელი მისთვის მონღოლებს უნდა დაერქმიათ და ესეც უკვე მონღოლებთან მის მჭიდრო დამოკიდებულებასა და ერთგულებას კარგად გვიმჟღავნებს: მათთვის ის მართლაც დაახლოვებული და სანდო პიროვნება, მეგობარი ყოფილა. მეორე მხრით, საგულისხმოა, რომ ქართველნბს ეს მისი სახელი მოენის აღმნიშვნელ სიტყვად მოსჩვენებიათ, რაც, უეჭველია, იმაზე იყო დამყარებული, რომ სადუნის აღზევების ერთ მთავარ მიზეზთაგანს სწორედ მისი ამნაირი მოღვაწეობა შეადგენდა.

სადუნ მანკაბერდელმა თავისი მოენეობის ნიჭი უკვე დავით-ულუს დროს გამოაჩინა: ჰულაგუ ყაანი რომ ამ მეფის განდგომილების ბრალდებას არკვევდა და ასამართლებდა, თარჯიმნად სწორედ სადუნ მანკაბერდელი იყო და მაშინ მის თარჯიმანობას, მის მოხდენილს თარგმანს, ქართველი ჟამთაღმწერელის მოწმობით, ყაანის სულიერ განწყობილებაზე ვითომც დამაწყნარებელი გავლენა უნდა მოეხდინოს. იგი დავით-ულუსათვისაც სანდო პირი იყო. ჯერ კიდევ დიდი თამარ მეფისაგან წამოწეული წინაპრის შთამომავალს, ამ სადუნ მანკაბერდელს დავით-ულუმ გვანცას ასულის ხვაშაქის მზრუნველობა მიანდო, როდესაც მან ხვაშაქის დედა გვანცა შეირთო და თანამეცხედრედ მოიყვანა.

მაგრამ თავისი სწრაფი აღზევება სადუნმა მონღოლთა ყაანის შექება-ხოტბითა და ფალავნობით დაიწყო: ყველა მტრებზე ძლევამოსილება ღმერთმა თქვენ მოგანიჭათ და მანვე კაცთა უმჯობესად გამოგაჩინათო[86]. მის დაწინაურებას –კი ყველაზე მეტად ჰულაგუ ყაანის პირველი ვაზირის საჰიბ დივანის დახმარებამ შეუწყო ხელი, რომელსაც მისი ყოფილი პატრონის, ავაგ ათაბაგის, ასული ხვაშაქი ჰყავდა ცოლად და რომლის მზრუნველობაც, როგორც აღნიშნული იყო, დავით-ულუსაგან სწორედ მას ჰქონდა მინდობილი, ხვაშაქის დედის, გვანცას, მეფის თანამეცხედრედ მოყვანისა და დედოთლად დასმის შემდგომ. ხვაშაქმა სადუნს თავისი ეჯიბობა მისცა, ხოლო, როცა ხვაშაქი აბაღა ყაანის ამ ყოვლად გავლენიანი დიდი ვაზირის საჰიბ-დივანის, ხოჯაშემსედინ ჯუვეინის ცოლი გახდა[87],სადუნს, ვითარცა მის დაახლოვებულ პირს, საქართველოს საკითხების განხილვის დროს მთავარი მნიშვნელობა მიენიჭა და მის ნამდვილ მესაჭედ იქცა.

ამიტომაც, როდესაც, მამის სიკვდილის შემდგომ, მცირეწლოვანი დემეტრე II ჰულაგუ ყაანმა მეფედ დაამტკიცა, ურდოშივე გაათაბაგებულს სადუნ მანკაბერდელს აღმ. საქართველოს ნორჩი მეფეც მთლიანად ხელში ჩაუვარდა. აბაღა ყაანმაც "საქართველოს ლაშქართა საქმე და განგებაც" მას მიანდო. ამრიგად საქართველოს ათაბაგის ყოფილი ყმა, არამც თუ თითონ გაათაბაგდა, არამედ მცირეწლოვანი მეფის მზრუნველად და, მაშასადამე, თვით სამეფოს ბატონ-პატრონადაც –კი იქცა.

სამოხელეო ასპარეზზე სწრაფად აღზევებასთან ერთად, სადუნ მანკაბერდელი ყოველნაირი შემთხვევით სარგებლობდა, რომ თავისი ქონებრივი ავლა-დიდებაც გაემრავლებინა.და გაედიდებინა. ამის მისაღწევად ის ჭაბუკი მეფის გაჭირვებით საარგებლობასაც არ მოჰრიდებია. 1278 წ. ახ.ხ. სადუნმა დემეტრე II-ისაგან თელავისა, ბალაქნისა და ბევრი სხვა ადგილების მიღება მოახერხა. ამავე დროს, როდესაც დემეტრე მეფეს ყაანის ურდოში წასვლა მოუხდა და მას თურმე "ურიცხვი საფასე" მოსთხოვეს, რომლის გადახდა იქვე მეფემ ვერ შესძლო, ამ საფასის გადახდა სადუნ მანკაბედელმა იკისრა, მაგრამ სამაგიეროდ თავისთვის ისეთი მნიშვნელოვანი ადგილის დათმობა მოითხოვა, როგორიც ქალაქი დმანისი და მისი მიმდგომი სანახები იყო. დემეტორე II-ეს მონღოლთაგან მოთხოვნილი დიდი საფასურის გაღებისათვის ასეთი მნიშვნელოვანი ქალაქისა და სანახების გაცემა მეტად ეძნელებოდა, მაგრამ,

---

[86] **ჟამთააღმწერელი,** გვ. 668-669.

[87] იქვე.

გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავარდნილს, სხვა გზა აღარ ჰქონდა და იძულებული იყო, ამ თავგასული ხარბი ხელისუფლის მოთხოვნა დაეკმაყოფილებინა.

მალე გამოირკვა, რომ სადუნ მანკაბერდელიმს მადიანობას მარტო ესეც ვერ გააძღობდა: მას დმანისზე გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი ციხე-ქალაქის ჩაგდება ჰქონდა მოწადინებული. ის იმდენი ეცადა, რომ დემეტრე II–საგან საქართველოს სამხრეთ-დასავლეთის დასაცავად ისეთი მნიშვნელოვანი ადგილის ხელში ჩაგდებაც-კი მოახერხა, როგორიც ქ. კარი (ყარსი) იყო. ამ ციხის მიღების თანავე, სადუნმა ქ. კარი თავის საჯდომად აქცია.

საქართველოს ლაშქრის გამგებლობამა და ყოველი მარჯვე გარემოების თავის სასარგებლოდ გამოყენების უნარმა სადუნს დიდი სიმდიდრე, ოქრო, ვერცხლი და ძვირფასი ქვებიც ჩაუგდო ხელში. მისი საქონლის ჯოგების სიმრავლე ხომ გასაოცარი გახდა. მრავლად დაგროვილი ქონებრივი შეძლება მას საშუალებას აძლევდა იქ, სადაც სხვა გზით სასურველი უძრავი ქონების ხელში ჩაგდება შეუძლებელი ხდებოდა, ფულად შეეძინა: ამნაირადაც, ქართველი სიტორიკოსის სიტყვით, სადუნმა "იყიდნა მრავალნი ქვეყანანი".

სადაც ვერც ამით ხერხდებოდა საქმე, იქ ამ მარჯვე ადამიანს მოყვრობის გზაც ჰქონდა გამოყენებული. კარის მახლობელი სანახები, მაგ. სადუნმა იმ საშუალებით მიიღო, რომ ახალციხელის ასული ითხოვა ცოლად და ამით კარის "მიმდგომი ქვეყანა მოივერაგა ახალციხელთაგან".

სადუნ მანკაბერდელი მონღოლთა ყოფაცხოვრებასა და აზროვნებას ისე შეეუდგა, რომ მათი ზნეობაც შეითვისა და საოჯახო წესშიც მას მოჭარბებული მადიანობა დაეტყო. მონღოლთა წაბაძულობით, მან სამი ცოლი შეირთო. ამასთანავე დამახასიათებელია, რომ საცოლის მოსაპოვებლად სადუნი ისევე მოქმედებდა, როგორც მონღოლური ზნეჩვეულებით იყო დაწესებული.

დემეტრე II-ეს და, თამარი, თავისი დაძმის სურვილის წინააღმდეგ, იძულებული იყო ორად არღუნის შვილს მისთხოვებოდა და ერანში გაჰყოლოდა როდესაც არღუნი გარდაიცვალა, მისი შვილის უნებლიეთი მეუღლე თამარი ქმარმა დროებით ტფილისში მოიყვანა, მაგრამ ქმარს იქითგან გაეპარა და მთიულეთში დაიმალა, სადუნ მანკაბერდელი თამარ ბატონიშვილის მონღოლ ქმარყოფილს შეევაჭრა, რომ თავისი ნაცოლარი მისთვის დაეთმო და მიეყიდნა, და მისგან მსათანადო თანხმობაც მიიღო. სადუნმა რომ თამარ ბატონიშვილის ქმარ-ყოფილთან თავისი საქმე ზემოაღნიშნული წესით გაირიგა, ძმის, დემეტრე II-ის თანხმობით, თამარი შეირთო. შესაძლებელია, ამ უკანასკნელისათვის ერანში, უცხო ქვეყანაში და უკულტურო ადამიანთნ დაბრუნებასა და უნებურ ცოლქმრობაზე მაინც უმჯობესი იყო სადუნ მანკაბედელზე გათხოვებით უზრუნველყოფილიყო სამშობლოში დარჩენილიყო და ისევ თავისიანებთან ახლო ყოფილიყო, მაგრამ, რამდენად საიამოვნო იყო და ნებაყოფლობითი ეს ნაბიჯი, ან თამარისათვის, ან მისი ძმის დემეტრე II-ისათვის, ძნელი სათქმელია. სადუნისათვის-კი ამას, რასაკვირველია, ფრიად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რათგან ამ ქორწინებით, რაც უნდა იყოს, მაინც საქართველოს მეფის სიძე ხდებოდა და ეს გარემოება მის აღზევებას უფრო მეტ ბრწყინვალებას ანიჭებდა!

ქართველი ჟამთააღმწერლის ცნობით, სადუნ მანკაბერდელის ქცევამ, მეტადრე მისმა მრავალრიცხოვნობამ, საქართველოს ეკლესისი კათალიკოზის, მოხუცი ნიკოლოზის, უკმაყოფილება და წყრომა გამოიწვია. ეს არც გასაკვირველია, რამდენადაც მრავალცოლიანობა უწესოება იყო. ნიკოლოზი ბევრს ეცადა, სადუნ მარკაბერდელის ასეთი სიხარბე ჯერ დარგიება-ჩაგონებით, მერმე შეჩვენებითაც-კი აელაგმა და მრავალცოლიანობა დაეშლევინებინა, მაგრამ კათალიკოზის ყოველი ცდა ამაო გამოდგა: სადუნთან მან ვერა გააწყო რა. ისტორიკოსი უზენაესი მწყემსმთავრის სრულს უძლურებას არ მალავს: "მძლავრებისაგან სადუნისა ვერ უძლო

განყენებად”-ო[88]. ასეთ პირობებში კათალიკოზისაგან მისი შეჩვენებაც ცარიელ სიტყვად უნდა დარჩენილიყო.

საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავრის მარცხი შემთხვევითი არ იყო: ისევე, როგორც სადუნ მანკაბერდელმა ძლევამოსილი მბრძანებელი მონღოლების გულის მოგება და წყალობის დამსახურება კარგად იცოდა, მას, როგორც ეტყობა, აგრეთვე ისიც ნათლად ჰქონდა გათვალისწინებული, რომ მარტო ამით დაკმაყოფილება არ შეიძლებოდა და მას მეორე გავლენიანი წრის კეთილი განწყობილების დამსახურებაც, არამცთუ არ ავნებდა, არამედ სახელსაც-კი მოუხვეჭდა.

სადუნ მანკაბედელს, მართალია, არაერთი ასეთი ცოდვა და დანაშაული ჰქონდა ჩადენილი, რომლისთვის ეკლესიას იგი უნდა გაეძევებინა და მძიმე სასჯელიც დაედო, მაგრამ, თავისი ოსტატურად გამოყენებული საშუალებით, მან ისე მოახერხა, რომ არამც თუ ასეთი უსიამოვნება აიცდინა თავითგან, არამედ გავლენიანი სასულიერო წრე მოიმადლიერა და თავის შემასმენლადაც-კი აქცია.ქართული და სომხური საეკლესიო წრეების წარმომადგენელნი ერთმხრივ მის დიდ ღირსებას აღიარებენ და მართვა- გამგეობის მის ნიჭს აქებენ. ქართველი ჟამთააღმწერელის მოწმობით, სადუნ მანბერდელი “კეთილად განაგებდა საქმეთა საქართველოისათა, რამეთუ დღეთა მისთა არა იქნებოდა ძალი თათართაგან და, უსამართლო, არცა დიდთა ნოინთაგან და არცა ელჩთაგან”-ო.

ჩვენ უკვე კარგად ვიცით, თუ რა საშინელებას წარმოადგენდა მონღოლთა მოხელეების ბოროტმოქმედება გადასახადების აკრების დროს და ელჩების თვითნებობა მოგზაურობის დროს: ორივე მცარცველთა ბრბოს მოქმედებას უფრო მიაგავდა, ვიდრე სახელმწიფო დაწესებულებათა წარმომადგენელთაგან თავიანთი მოვალეობის ასრულებას. მონღოლთა ბატონობის ყველა ისტორიკოსებისა და მოგზაურების თხზულებები სავსეა ამის შესახები ცნობებით. შესაძლებელია, რომ ამ სფეროში სადუნის ღვაწლის ზემომოყვანილი დახასიათება მთლად უსაფუძვლო არც იყოს, რათგან სადუნ მანკაბერდელს, როგორც მონღოლთა ყაანის კარზე ფრიად გავლენიან პირს, სხვებზე უფრო ადვილად შეეძლო ასეთ დამნაშავე მოხელეების დასჯევინება მოეხერხებინა და ამით საქართველოში, წინანდელთან შედარებით, უფრო მეტი წესიერებაც დამყარებულიყო. მაგრამ ჟამთააღმწერელის დახასიათებაცა და მისდროინდელი მდგომარეობის დასურათებაც რომ ძალზე გაზვიადებული უნდა იყოს, შეუძლებელია ამის შესახებ რაიმე ეჭვი არ სებობდეს.

ამ ხნის ქართველი და სომეხი ისტორიკოსებისაგან სადუნის მაღალი ღირსების ქება-დიდება, უეჭველია, ბევრნაირად იმ მადლობის გრძგობით არის გამოწვეული, რომელიც ამ საეკლესიო წრეების ყველა წარმომადგენლებს მისდამი ჰქონდათ. მათ თხზულებებითგან ისიც კარგად ჩანს, თუ რით მოახერხა სამ ცოლიანმა სადუნ მანკაბერდელმა ეკლესიის გულის ისე მოგება. ქართველი ჟამთააღმწერელი თვითონვე ამბობს: »იქმნა კეთილცა საქმე მონასტერთა და გლახაკთა (ე. ი. ბერმონაზონთა) მიმართ, რამეთუ დღეთა ცხოვრებისა მისისათა მან მისცა ყალანი და მალი ათორმეტთა უდაბნოთა გარეჯისათა და განათავისუფლნა ქუეყანანი გარეჯისანი»-ო. განა ასეთი დახმარებისათვის მათი გული სადუნისადმი მადლობის გრძნობით არ უნდა აღვსილიყო?!

მაგრამ ერისკაცთა, მეტადრე ქართველ და სომეხ დიდებულთა შორის, საქართველოს სახელმწიფოში სადუნ მანკაბერდელს მოწინააღმდეგენიცა და მისი სწრაფი აღზევება-გამდიდრების შურით შემაცქერელნი ბლომად ჰყავდა. მისდამი მტრული გრძნობა და განწყობილება, რასაკვირველია, იმითაც იყო გამოწვეული, რომ ეს კაცი უცხო, დამპყრობელ მონღოლთა ძალასთან დაახლოვებულებითა და მათდამი ერთგული სამსახურით დაწინაურდა,

[88] **ჟამთააღმწერელი,** გვ. 725.

მაგრამ ეგების ამაზე მეტად უფრო იმითაც, რომ უკვე კარგა ხანია დაწინაურებული, წინანდელ საგვარეულოებითგან გამოსულს ხელისუფლებს, საშუალებათა განურჩევლობით, ნიადაგსაც ფეხითგან აცლიდა და დიდი თანამდებობისაცა და უამრავი მოძრავ-უძრავი ქონების ხელში ჩაგდებასაც ახერხებდა.

სადუნ მანკაბერდელმა, როგორც უკვე ვიცით, ერანის ილხანის გულის მოგება და ნდობის დამსახურება იმდენად ოსტატურად მოახერხა, რომ ამ თავის ერთგულსა და ხელმაჯვე კარისკაცს «საქართველოსა ლაქართა საქმე და განგება ჴელთ უდვა ყაანმან»[89]. რასაკვირველია, ეს საქართველოს სამეფოს შინაურ საქმეებში ჩარევას უდრიდა და დანარჩენი მოხელეების უფლების შელახვას წარმოადგენდა. ამიტომაც სადუნის ამ გზითა და ასეთი საშუალებით განდიდებას შეუძლებელია მეფე დემეტრესა და საქართველოს სხვა ხელისუფლების უკმაყოფილება არ გამოეწვია. სადუნი ამრიგად ცალკე იდგა, დანარჩენი დიდებულები კიდევ ცალკე იყვნენ დაჯგუფებულნი, თუმცა მათ წრეშიც ზოგიერთ წევრთა შორის მეტოქეობა და მტრობაც-კი არსებობდა, მაგრამ სადუნ მანკაბერდელისადმი უკმაყოფილება მათ მაინც აერთებდათ. ამავე მიზეზის გამო ისინი მეფის გარშემო იყვნენ შემოკრებილნი: «დარბაისელნი ქართველნი და სომხითარნი და ჰერ-კახნი მეფეს წინაშე იყუნენ»-ო[90], ჟამთააღმწერელი გვიამბობს.

3. მეტოქეობა დიდ საგვარეულოთა წარმომადგენლებს შორის ხელისუფლების გამო

1281წ. რომ ათაბაგი სადუნ მანკაბერდელი გარდაიცვალა, დემეტრე II-ემ ათაბაგობა მის ძეს ხუტლუბუღას-კი არ მისცა, როგორც ის მოელოდა, არამედ ტარსაიჭ ორბელს, ხუტლუბუღას-კი მარტო ამირსპასალარობით მოუხდა დაკმაყოფილება. მაგრამ დემეტრე II-ემ ხუტლუბუღას მისი მამის მამული მაინც შეუნარჩუნა[91]. ამრიგად ორბელთა გვარისგანადგურებას გადარჩენილი და გახიზნული წარმომადგენლის შთამომავლობამ დიდი ხნის წინათ დაკარგული გავლენის აღდგენა და საქვეყნოდ გამრიგეთა შორის პირველი ადგილის დაკავება კვლავ მოახერხა. ეს მხოლოდ იმიტომ მოხდა შესაძლებელი, რომ მხარგრძელთა საგვარეულოს წარმომადგენელს უკვე მანამდე სადუნ მანკაბერდელმა სძლია, რა თქმა უნდა, მონღოლთა მფარველობის წყალობით. ეხლა–კი თვით სადუნის შვილს მოუვიდა მარცხი და მასზე მეტად ტარსაიჭ ორბელი დაწინაურდა.

საქმის ამნაირად დატრიალებას შეუძლებელია მხარგრძელთა საგვარეულოს უფროსი შტოისა და სადუნ მანკაბერდელის შვილის ხუტლუბუღას უკმაყოფილება არ გამოეწვია. მხარგრძელთა გულისწყრომა სხვა დიდგვარიან აზნაურებისათვის უფრო ადვილი გასაგები იყო, რათგან, რაც არ უნდა ყოფილიყო, მხარგრძელნი სადუნივით ახლად დაწინაურებულნი არ იყვნენ და არც მის მსგავსად მონღოლთა სამსახურისთვის და მათი დახმარება-მფარველობით აღზევდნენ, არამედ საქართველოს სახელმწიფოსადმი ერთგულებით. ტარსაიჭ ორბელის გაათაბაგება-კი ხომ იმ გვარის შთამომავლობის დაწინაურებას ნიშნავდა, რომელიც

---

[89] **ჟამთააღმწერელი**, გვ. 718.
[90] **იქვე**.
[91] **ჟამთააღმწერელი,** გვ.729.

სახელმწიფოს ღალატისათვის სახელმწიფოში განადგურებულ იქმნა. სტ. ორბელიანის ცნობით, ტარსაიჭ ორბელს დემეტრე II-ემ სამხრეთის ათაბაგობა მისცა[92], მაშასადამე, სრული ვაზირობა-კი არა, არამედ გარკვეული თემის საქვეყნოდ გამრიგეთა უფროსობა, მაგრამ მხარგრძელთათვის და ხუტლუბუღასთვის სწორედ ეს გარემოება იყო უსიამოვნო, რათგან ამ გზით ტარსაიჭ ორბელი მხარგრძელთა და ხუტლუბუღას ხელში მყოფი სომხეთის თემების უზენაეს გამგედ და მეთვალყურედ ხდებოდა.

მეტოქეობისა და სიძულვილისდა მიუხედავად, ერანის ილხანების კარზე სადუნ მანკაბერდელის ყოვლადშემძლებლობისა და მისი არაჩვეულებრივი გამჭრიახობის გამო, მის მოწინააღმდეგეებს კარგად ესმოდათ, რომ ასეთ კაცთან ბრძოლა ადვილი არ იყო. ამიტომ, თუ ვინმე მასთან შებრძოლებას მოისურვებდა, უნდა კიდევაც დაუნდობელი ბრძოლისათვის ყოფილიყო მზად: ან უნდა გამარჯვება მოეხერხებინა და ის მოესპო, ან თუ ჯობნას ვერ შესძლებდა, უნდა დაჰმორჩილებოდა, არა და საქართველოთგან ნებაყოფლობით გასცლოდა ისევე, როგორც მაგ. "ორნი ძმანი აბულეთის ძენი სადუნისაგან ლტოლვილნი" რომში იყვნენ შეხიზნულნი, რუმის მმართველ მონღოლთა ბატონიშვილ ყონღურტაჲსთან (1277 წ ივლ.-1284 წ. 17 იანვ.), აბაღ ყაანის ძმასთან, რომელთანაც იძულებული იყვნენ სიკვდილამდე დარჩენილიყვნენ.

4. აღმ. საქართველოს ჯარის ერანის ყაანთა ყველა ლაშქრობაში აუცილებელი მონაწილეობის დამღუპველი შედეგი

აღმ. საქართველოს სამეფოს ჯარს მეფითურთ წინანდებურად უხდებოდა მონღოლთა ყოველს დიდ ლაშქრობაში მონვაწილეობის მიღება და, რაკი თანდათანობით მათმა ბედმა უკუღმა დაიწყო, ტრიალი, არაერთხელ დიდად დამარცხებულან და ძალზე დაზარალებულნიც დაბრუნებულან უკან. ასე იყო მაგ. გილანელების წინააღმდეგ ომის დროს, როდესაც აბაღა ყაანის შეერთებულ ლაშქარს საკმაო შემთხვევა ჰქონდა დარწმუნებულიყო, თუ რამდენად ძნელი ასაღები იყო გილანში "სიმაგრენი ქვეყანისანი", რომ ისინი "უბრძოლველ იყო" და ამის გამო "არა ეგებოდა დაპყრობა" ამ ქვეყნისა[93].

1278 წ. ახ. ხ. დემეტრე II რომ სრულოვანი შეიქმნა, სახელმწიფოს მართვა-გამგეობას უკვე თითონ შეუდგა. მაგრამ მონღოლთა მძლავრობის გამო, საქართველოს ამ მეფესაც ისევე, როგორც მათ სხვა ყმადნაფიცებსაც, თავისი ქვეყნის საქმეებისათვის საკმაო მოცლა არ ჰქონდა: მასაც ხომ მონღოლთა ყოველ დიდ ლაშქრობაში უნდა მიეღო თავის ჯართან ერთად პირადადაც მონაწილეობა. ამიტომ დემეტრე II-ესაც აღმ. საქართველოს ჯარითურთ შორეულ ქვეყანაში გამგზავრება და ისეთ ომებშიც გარევა უხდებოდა, რომელშიც პირადად არავითარი მოსაზრება არ შეიძლება ჰქონოდა გარეულიყო. მაგ., რა ჰქონოდა საქართველოს ეგვიპტის სტილთან საბრძოლველი? პირიქით, ბუნებრივია, რომ საქართველო მისი მოკავშირე ყოფილიყო, რათგან მათი საერთო მტერი სწორედ მონღოლები იყვნენ. როგორც ვიცით, დას. საქართველოში, სადაც დავით-ნარინს მონღოლებისაგანგ დამოუკიდებელი პოლიტიკის წარმოების საშუალება ჰქონდა, ეგვიპტესთან სწორედ მეგობრული ურთიერთობაც არსებობდა. აღმ. საქართველო და დემეტრე II –კი უნდა მონღოლებს გაჰყოლოდა მათ წინააღმდეგ საბრძოლველად.

---

[92][**სტ. ორბელიანი,** ისტორია, გვ. 426].

[93] [**სტ. ორბელიანი,** ისტორია, გვ. 733].

ეგვიპტის სულტნის ფუნდუყდარ ბეიბარსის სამტროდ კვლავ დაწყებულს ლაშქრობაში აღმ. საქართველოს მხედრობაც იღებდა მონაწილეობას. ამ ომში მონღოლები დამარცხდნენ: 1277 წ. 16 აპრილის ბრძოლაში, რუმის სულტნის ფარვანას გამცემლობის გამო, ერანის ილხანის ძალა საშინლად დაზარალდა და უკუქცეულ იქმნა. აქ ქართველოთგანაც ბევრი დაიღუპა, ისე რომ 3000 მეომრითგან სიკვდილს ცოტანი-ღა გადაურჩნენ.

დიდი დამარცხებით დამთავრდა 1280 წ. ასურეთში ერანის ილხანისაგან დაწყებული ლაშქრობა მანგუდემურის მეთაურობით ეგვიპტის სასულტნოს წინააღმდეგ, რომელშიც 50000 მონღოლი და 30000 ქართველი, სომეხი და ბერძენი მეომარი იღებდა მონაწილეობას. ქ. ჰამასთან მომხდარს ბრძოლაში მონღოლთა შეერთებული მხედრობა ძალზე დამარცხებული უკუქცეულ იქმნა. ამ ბრძოლაშიც "უმრავლესნი ქართველნი მოისრნეს"[94].

ასეთი მარცხის და მიუხედავად. ერანის ილხანმა ერთი წლის შემდეგ, 1281 წ., ისევე დაიწყო ეგვიპტესთან ომი, ერანის ილხანმა ერთი წლის შემდეგ, 1281 წ., ისევ დაიწყო ეგვიპტესთან ომი, რომელშიც დემეტრე II-ეს პირველად პირადად მონაწილეობის მიღება. მონღოლთა მოლაშქრეების რიცხვი 25 000 აღწევდა, საქართველოთგან 5000 ჯარისკაცი იყო გამოყვანილი. პირველი მნიშვნელოვანი ბრძოლა ქ. დუბაზაკთან მოხდა, მეორე–კი ქ. ამასიის (ჰემმს) მახლობლად 1281 წ. 30 ოქტომბერს. ამ ქალაქს მანსურ სულტანი იცავდა ეგვიპტის ჯარითურთ, მონღოლთა სარდლის მანგუდემურის დაჭრის გამო, მონღოლები შედრკნენ და საშინლად დამარცხდნენ. ამ ბრძოლასაც დიდძალი მსხვერპლი შეეწირა და ქართველთაგან უმრავლესობა დაიღუპა. თვით მეფე დემეტრე II-ეც–კი ძლივს გადაურჩა სიკვდილს.

5. დიდი ქონებრივი გაჭირვება და ხალხის გაღარიბება

მონღოლთა ბატონობის იმ ხანაშიც, რომელიც დემეტრე თავდადებულისა და მომდევნო დროს შეიცავს, ყველა ზემოაღნიშნული მიზეზების გამო, რასაკვირველია, მოსახლეობის ყველა ფენის დიდი ქონებრივი გაჭირვება და სიღატაკე არამც თუ არ შენელებულა, არამედ თანდათან უფრო ძლიერდებოდა. ამის ცხადმყოფელი არაერთი იმდროინდელი უტყუარი ცნობა მოგვეპოვება.

დემეტრე II–ის დროს აღმ. საქართველოს ეკონომიური მდგომარეობის წინანდელზე უფრო გამწვავება იმ სიღარიბითაც მტკიცდება, რომელიც უფრო მეტად ქალაქებში, უპირველესად ტფილისში, იყო საგრძნობი. ჟამთააღმწერელს მოთხრობილი აქვს, რომ მეფეს ჩვეულებად ჰქონია ღამით ქალაქის შემოვლა, რომ გლახაკთა, დავრდომილთა და ორბელებისათვის ფულადი დახმარება აღმოეჩინა. ისინიც, რაკი დემეტრე II–ის ეს ჩვეულება იცოდნენ, იმ დროსათვის ქალაქის ქუჩებში გამოდიოდნენ, რომ მეფის ქველმოქმედებით თავიანთი გაჭირვება ოდნავად მაინც შეემსუბუქებინათ. ისტორიკოსს ეს ცნობა მეფის სათნო ხასიათისა და გულკეთილობის წარმოსადგენად აქვს მოყვანილი და ამის უარყოფა არც შეიძლება, მაგრამ ეგევე ცნობა საყურადღებოა, როგორც შემოსახლების გაღარიბების გამომმჟღავნებული გარემოებაც.

ქობერის, ანუ ქობაირის ეკლესიის 1292 წ. კედლის წარწერაშიც იმ ხანის მდგომარეობა კარგად არის დახასიათებული. იქ სხვათა შორის ნათქვამია: "შაჰნშე მანდატურთ-უხუცესისა ძე ბერი გიორგი ღირს ვიქმენ დიდსა იწროებასა შინა ჟამთა და ნაკლულევანებასა საჴმართასა და

[94] **იქვე.** გვ. 725-728.

დავფიქლე ეკლესია ესე ყოველით კპრისბჭითურთ და დალეწილნი ზედაით ქვისაგან მევე შევკაზმენ”-ო[95].

ქობერის 1295 წ. წარწერითგან ირკვევა, რომ ხალხის საერთო სიღატაკე შემდეგშიც შეუნელებლივ მძვინვარებდა და მის საქმიანობას ძალზე აფერხებდა კიდეც. ეს კარგადა ჩანს ამ წარწერის მთელი შინაარსითგან:

“მე უღირსი შაჰანშა მანდატურთ-უხუცესისა ძე მჯარგრძელი და თანამეცხედრე ჩემი ათაბაგისა და ამირსპასალარისა სადუნისა ასული ვანანე ღირს ვიქმენით აღშენებად სამრეკლო-სამარხისა ამის ჩუენისა იწროებასა შინა დიდსა ჟამთასა”-ო. ისინი ბოდიშს იხდიან, რომ, ქონებრივი გაჭირვების გამო, მათი ანაგები შესაფერისი მასალისაგან ვერ არის აშენებული და ღვთაებას სთხოვენ: “ნუ ქვათა უნდოებასა მიხედავთ, არამედ სასოებისა გულსმოდგინებასაო”-ო[96].

აღმ. საქართველოს და თვით სამცხე –ჯავახეთის არც ერთი თემი არ იყო, სადაც ამ საშინელს ეკონომიურ კრიზისს თავისი მსახვრელი ხელი არ დაედო: დაწყებული საქმე და შენობა უსახსრობის გამო დაუმთავრებელი რჩებოდა, დაზიანებული ნაგებობათა შეკეთებას ვეღარ ახერხებდა ადამიანი. ასეთი სურათი გვეშლება ჩვენ მაგ. ხორენის ეკლესიის წარწერაში, რომელშიც ვინმე ჩოგა მოგვითხრობს: “ოდეს თათართა ყოველი ქუეყანაჲ წაგვართო, მისგან დაუმთავრებელნი კარიბჭენი მე ჩოგა გავათავენ” და ისიც მხოლოდ იმის წყალობით, რომ “ოცდაჩვიდმეტი ათასი თეთრი კათალიკოზისა (sic!) და მეფისა ვახმარე”-ო[97].

ქონებრივი სიღატაკე, უკიდურესი გაჭირვება და დიდი ეკონომიური კრიზისი, რომელსაც დასასრული არ უჩანდა, მონღოლთა იმავე აუტანელი საგადასახადო-საბეგრო ტვირთისა და ხშირი ლაშქრობის შემდეგი იყო, რომელიც უკანასკნელ ხანებში ჩვეულებრივ მარცხით თავდებოდა და რომელსაც ამიტომაც აღ. საქართველოს მოსახლეობის სიცოცხლის შეწირვისა და სხვაფრივაც ზარალის გარდა შედეგად სხვა აღარაფერი ჰქონდა.

მონღოლთა ყოფაცხოვრებისა და მოძრაობა-მოგზაურობის წესიც ისეთი იყო, რომ, თუნდაც ბოროტი განზრახვაც-კი არ ჰქონოდათ, მაინც მათი მისვლაც-კი მათი ნახვით “გაბედნიერებულისათვის” საზიანო ხდებოდა ისევე როგორც ქართულს ხალხურ ანდაზაშია ნათქვამი: “აზნაურის სტუმრობაო, ნუ გგონია ხუმრობაო”. მოონღოლთა თვით სტუმრობა და დარბაზობაც-კი უნებლიეთს მასპინძელს არაფერს სასიხარულოს არ უქადდა და მეტად საზარალო იყო, რათგან მონღოლთა დიდი მოხელეები მარტოდ-მარტო არსად დადიოდნენ, არამედ თავიანთ რაზმებითურთ და მათ შესანახავად გასაწევი ხარჯიც საკმარისი იყო, რომ მასპინძელი გატყავებულიყო.

ასვე დაემართა სამცხის სპასალარს სარგის ჯაყელსა და მის სამფლობელოს. როგორც უკვე ვიცით, ის მონღოლთა ყაანის მფარველობის ქვეშ იმყოფებოდა და ამის გამო მას ერანის ილხანეყბის მაღალი თანამდებობის პირებიც, რასაკვირველია, პატივისცემით ეპყრობოდნენ. არღუნ-აღამ რომ სარგის ჯაყელის სიბერისაგან დავრდომილობის ამბავი შეიტყო და გაიგო, რომ “დაბერებულ იყო სენთაგან სიბერისათა და დაჴსნილ იყო ყოველითა ასოთა”, მის სანახავად სამცხეში გაემგზავრა. მან მესხეთში მისვლამდე, რასაკვირველია, “შემოვლო სომხითი, ტფილისი და ქართლი მჴედრითა ორი ბევრითა”, ე. ი. 20000 მოალაშქრითუთრთ. რა თქმა უნდა, ეს არც აღმ. საქართველოს და არც თვით სამცხეს ხეირს არ დააყრიდა და ისტორიკოსსაც აღნიშნული აქვს:

---

[95] **ლ. მელქისეთ-ბეგი,** ქობერი, გვ. 70.
[96] **იქვე,** გვ. 71.
[97]**MAK, VII,** გვ. 319.

არღუნის სტუმრობა “დიდად ავნებდა ქვეყანასა, დაღათუ არა ბოროტისმყოფელი, არამედ საზრდელისა ძალითა დიდად დასჭირდა ქვეყანა”-ო[98].

6. დიდი სტიქიური უბედურება კატასტროფული მიწისძვრის გამო

მონღოლთა ბატონობისაგან მიყენებულს ზარალს მოულოდნელად ზედ ამ ხანაში დიდი სტიქიური უბედურებაც დაერთო. სწორედ ამ დროს საქართველოში კატასტროფული მიწისძვრა მოხდა, რომელიც რამდენჯერმე გამეორდა და რომელმაც ხალხიც დიდძალი იმსხვერპლა და ქონებაც გაანადგურა. ”ვნების კვრიაკე” იყო, რომ “დიდსა ოთხშაბათსა შეიძრა მძაფრად ქვეყანა”, ე. ი. მიწა.

შემდეგ “კუალად ხუთშაბათსა მცირედ შეიძრა, ხოლო როდესაც “მოიწია პარასკევი.., კუალადცა შეიძრა ქვეყანა და დაყუდდა”. მაგრამ როცა “მოიწია შაბათი და იქმნა სამ ჟამად დღე და ხვალისა დღე ჯარ-იყო სიხარულისა აღდგომისათჳს უფლისა და ყოველნი მოელოდეს სიხარულსა”, საშინელი ამბავი დატრიალდა: “საფუძვლითურთ შეიძრა ქვეყანა და შეძრწუნდა” იმდენად ძლიერად, რომ “დაიქცეს საყდარნი და მონასტერნი, ეკლესიანი და ციხენი, სახლნი და ნაშენებნი მოოჴრდეს, მთანი და ბორცვნი დაიზვინნეს, კლდენი სახედ მტვერისა დაიგალნეს”. ამავე დროს “მიწა განიპო და შავი წყალი, მსგავსად კუპრისა, აღმოიჭრა” ქვეშითგან, ხოლო “ხენი დაეცნეს და ირყეოდიან ძვრასა [თანა] ქვეყანისასა”[99].

კატასტროფული მიწისძვრა სამცხეში კარგა ხანს გაგრძელდა: ისტორიკოსის ცნობით, “ვიდრე თთვისა ერთისა ჟამთამდე”. ამ ხნის განმავლობაში სტიქიურმა უბედურებამ ამ თემს მეტად დიდი ზიანი მიაყენა: “სამცხეს… საყდარი, ეკლესია და ციხე არსად დარჩა დაუქცევარი” და, რასაკვირველია, თანაც “ურიცხვი სული მოსწყდა”. ამ მიწისძვრის დროს, სხვათა შორის, აწყურის საყდარიც დაიქცა, ისე-კი, რომ ლიტანიობის გამო აწყურის ღვთისმშობლის ხატი “საშუალ საყდრისა ესვენა” და, როცა შენობა მიწისძვრისაგან შეირყა, ზევითგან “გუმბათი ჩამოიჭრა და, ვითარ ქუდი კაცისა, ესრეთ თავსა დაერქვა”-ო[100].

თუმცა ქართ. ჟამთააღმწერელი ამტკიცებბს. ვითომც ასეთი მიწისძვრა მარტო სამცხის თემში იყო, მაგრამ თვით მასვე აქვს აღნიშნული, რომ მაშინვე “მცხეთის საყდარიცა დაიქცა”, და უკვე ეს ცხად-ჰყოფს, რომ ეგების ეს საბედისწერო-კი არა, მაგრამ უფრო სუბუქად ქართლშიც ყოფილა.

მონღოლთა ბატონობის ქვეშ მყოფი ქვეყნებისა და ყმადნაფიცი სამეფოების და სხვა სამფლობელოების მოსახლეობისა და მეურნეობის სავალალო მდგომარეობა იმდენად ცხადი იყო, რომ ეს გარემოება თვით ყაანებმაც იცოდნენ: სხვა არა იყოს რა, შემოსავალი რომ აკლდებოდა, ამას მაინც ხომ უნდა ეგრძნობინებინა გასაჭირი. ამიტომაც აბაღა ყაანმა მოსახლეობის რაოდენობის გაგება მოინდომა. ამისათვის-კი, რასაკვირველია, ხალხის ხელახალი აღწერა იყო საჭირო. აბაღას უნდოდა გაეგო, თუ “რომელი ქვეყანა აოჴრდა, გინა აღშენდა,” და ამ მიზნით მან “აღთვალა ახლად”. მე-13 ს. ოთხმოციან წლების დამლევს მომხდარი ამ ხალხის აღწერისა და აღრიცხვის შემდგომ გამოირკვა, რომ “უმრავლესნი მოოჴრებული იყო”, ხოლო

---

[98]**ჟამთააღმწერელი,** გვ. 723.
[99] **ჟამთააღმწერელი,** გვ. 724.
[100] **იქვე.**

ყველაზე “ უმეტეს ჰერეთი და კახეთი, რამეთუ კამბეჩიანის ვაკენი მოოჴრებულიყო გამოსვლასა მას თათართასა, ოდეს გამოვიდა ყაანი დიდი ბერქა”-ო[101].

აბაღა ყაანის დროს განხორციელებული ხელმეორე ხალხის აღწერის აღმსრულებლად ქართ. ჟამთააღმწერელი არღუნს ასახელებს, რომელიც, მისივე სიტყვით, პირველი აღწერის მომწყობი იყო., ე. ი. არღუნ-აღას: “ამათ ჟამთა კუალად გამოვიდა იგივე არღუნ, რომელსაც აღერიცხნეს ყოველნი საბრძანებელნი ყოველთა ყაანთანი, რათა აღთვალოს ქვეყანა”[102], მაგრამ, სპარსულ წყაროს მიხედვით, არღუნ-აღას ამ ხანაში იჯარით გაცემული ქონების გამგებლობა ჰქონდა ჩაბარებული, ხალხის აღწერა-კი საქართველოში შემსედდინს ჰქონდა დავალებული[103].

7. ეკონომიური კრიზისით გამოწვეული მოძრაობა და აგრარული ბრძოლა

როგორც ყველა ზემომოყვანილი ცნობებითგან ირკვევა, ის დიდი კატასტროფული ეკონომიური კრიზისი, რომელმაც აღმ. საქართველოში მე-13 ს. უკვე შუაწლებითგან იჩინა თავი, მართლაც შეუნელებლივ მძვინვარებდა და მისი გამანადგურებელი გავლენაც ხალხის ყოფაცხოვრებასა და კეთილდღეობას სულ უფროდაუფრო ღრმად დაეტყო. ცხადია, როგმ ასეთ პირობებში დავით-ულუს მეფობაში ბასილ უჯარმელ-ჭყონდიდელის მწიგნობართუხუცესობის დროსვე დაწყებული დიდი აგრარული მოძრაობა და ბრძოლაც შეუძლებელია დაწყნარებულიყო. პირიქით, ჟამთააღმწერელს დემეტრე II-ის მეფობაში სოციალური ბრძოლის გამწვავების გარემოებაზე არაერთხელ აქვს საუბარი: “იწყეს ურთიერთას მძლავრებად და მიხვეჭად” და დიდი თვითნებობა და ძალმომრეობა გვარცელდა ისე, რომ “არავინ იპოვებოდა სამართლის მყოფელი”-ო . ამავე ისტორიკოსის ცნობით, დემეტრე II მეფობაში “მთავართა იწყეს ჴელის შეხებად საყდართა და მონასტერთა და იწყეს მიტაცებად სოფელთა და აგარაკთა, უმეტეს მესხთა საყდარსა ზედადიდებულსა აწყვერისასა”[104]. მაშასადამე, ის მოძრაობა, რომელიც დავით–ულუს მეფობის დროს დაიწყო, უფრო მეტად გავრცელებულა და მესხეთსაც მოსდებია. ამას გარდა, თუ წინათ ამ მოძრაობას მეფეთა მიერ ეკლესიისათვის შეწირული მიწების ჩამორთმევა მოჰყვა შედეგად, ეხლა უკვე კერძო მესაკუთრეთა მიერ შეწირული მამულების დატაცებისათვისაც მიუყვიათ ფართოდ ხელი და ამ სოციალურ ბრძოლას ეკლესიასა და მრევლს შორის სტიქიური ხასიათი მიუღია.

იმისდა მიუხედავად, რომ ჟამთააღმწერელი თითონაც სასულიერო წრის წევრი ჩანს, მაინც ის მკითხველს არ უმალავს, რომ მიმხვეჭეოლობის მადა მაღალი თანამდებობის პირებითგან მოყოლებული ხუცესამდის საეკლესიო წრეშიც ძალიან იყო გავრცეებული: “იყო მღდელმთავარი და მღდელი ლაღ, ამპარტავან, ანგაარ, ბოროტისმყოფელი”-ო.

ცნობა საეკლესიო მიწების მე-13 ს. მეორე ნახევარში დატაცების შესახებ საქართველოში, როგორც საბუთებით, ისევე წარწერებითაც დასტურდება. მაგ., ქობერის ეკლესიის 1292 წ. წარწერაში შანშე მანდატურთუხუცესის შვილს ბერს გიორგის ნათქვამი აქვს: ქობერის ეკლესიას ისევ დავუბრუნე და “დავიჴსენ მიმძლავრებით წანაღები ზუარი რატისეული მეზურითა და განუსაკუთრე იმასვე ეკლესიას უცხოთესლთაგან (ე. ი. მონღოლთაგან) წანაღები”-ო[105].

---

[101] **ჟამთააღმწერელი,** გვ. 719-120.
[102] **იქვე,** გვ. 719.
[103] **ჰამმერი,** I, გვ. 248, 300.
[104] **ჟამთააღმწერელი,** გვ. 722- 723.
[105] **ლ. მელიქსეთ-ბეგი,** ქობერი , გვ. 70.

8. ეკლესიის გავლენიანობის შერყევა-შემცირება საქართველოში

ეკლესიისა და მის მსახურთა გავლენა მოსახლეობის ყველა ფენაზე, მეფითგან მოყოლებული გლეხამდე, ამ ხანაში აღმ. საქართველოში ძალზე შერყეული ჩანს. თვით იმდროინდელი ქართველი ისტორიკოსი არ მალავს ეკლესიის გავლენის თითქმის სრულს გაქარწყლებას. მეფესაცა და დიდებულებს "თუმცა უწესობათა დიდად ამხილებდა ნიკოლოზ კათალიკოზი ნიკოლოზ მაწყუერელი ჯუანშერის ძე"-ო, მაგრამ არც მათ დარიგებასა და არც მათ მხილებას არავინ მოურჯულებია: "არავინ ყურად იღებდა სიტყუასა მათსა"-ო[106], ჩივის ჟამთააღმწერელი.

თუმცა დემეტრე II-ის სამცოლიანობას ნიკოლოზ კათალიკოზი ხშირად ძალიან ჰგმობდა და "ამხილებდა მრავლად", თანაც ემუდარებოდა ამ უწესო ქორწინებისათვის თავი დაენებებინა, მაგრამ მისი ყოველივე ცდა ამაო გამოდგა და ვერას გზით "ვერ არწმუნა". რაკი ნიკოლოზ კათალიკოზმა იგრძნო, რომ მას აღარავითარი ზნეობრივი გავლენა აღარ ჰქონდა, გადასწყვიტა, რომ საქართველოს ეკლესიის მესაჭეობისაგან გადადგომას გარდა, მას აღარავითარი სხვა გამოსავალი თავის გამომჟღავნებულ უმწეობისაგან არ ჰქონდა და ამიტომაც "დაუტევა კათალიკოზობა".

ფიქრობდა, თუ არა, ნიკოლოზ კათალიკოზი, რომ მეფეზე ამ თავისი გადადგომით მოახდენდა გავლენას, არა ჩანს, მაგრამ უფრო საფიქრებელია, რომ ის პირიქით დარწმუნდა, თუ რამდენად უსაფუძვლო ოცნება იყო მაშინდელ ვითარებაში ასეთ თავაშვებულობის ალაგმვასა და შეჩერებაზე. ეს იმიტომ არის საფიქრებელი, რომ ამ გადამდგარმა მწყემსმთავარმა თითონვე "ჴელითა თვისითა აკურთხა ჯვარისმტვირთველი მეფისა აბრაამ კათალიკოზად", ისეთი პირი, რომელიც მეფესთან მანამდეც დაახლოვებული იყო და, თუ მას რაიმე გავლენის მოხდენა შეეძლო, მისი ზნეობრივი გავლენის შედეგი, უეჭველია, უნდა უკვე გამოჩენილიყო. მაშასადამე, ამიერითგან დემეტრე II-ეს შეეძლო უფრო დამშვიდებული ყოფილიყო, რათგან კათალიკოზის უსიამოვნო მხილებისაგან ეხლა მაინც უზრუნველყოფილი იქნებოდა.

მეფის მეორე მამხილებელს, ბასილ ათონელს, მონაზონსა და განთქმულ საეკლესიო მოღვაწესაც, ნიკოლოზ კათალიკოზივით იმედგაცრუებულს მოუხდა მოუხდა გაბრუნება. ვერც მისმა მჭერმეტყველებამა და ვერც მისმა დაშინებამ "ვერ არწმუნა მეფესა" და დემეტრე II-ემ "შეურაცხყო სიტყუა მისი"-ო[107]. ასევე უნაყოფო გამოდგა მისი ცდა მთავართა მოსარჯულებლადაც. მაშინ მან მეფესა და მის დიდებულებს უწესო ცხოვრებისათვის სასჯელად საშინელი მომავალი უწინასწარმეტყველა, მაგრამ ვერც ამან შეაშინა ვინმე: ეტყობა, რომ ქრისტიანული რწმენის სიმტკიცე მაშინდელს საქართველოში უკვე ძალზე იყო შერყეული.

9. მონღოლთა საყაანოში ატეხილს შინაურ ბრძოლაში დემეტრე II ის ჩათრევით გამოწვეული განსაცდელი.

---

[106] **ჟამთააღმწერელი,** გვ.723.

[107] **ჟამთააღმწერელი,** გვ. 730-731.

რაც უფრო მეტი დრო გადიოდა და მონღოლთა ულუსების ყაანებს შორის ნათესაური გრძნობა უფრო და უფრო სუსტდებოდა, ინტერესთა სხვაობის ნიადაგზე აღმოცენებული მეტოქეობაც თანდათან მწვავდებოდა. ჩრდილოეთისა და სამხრეთის, ერანის ილხანების ულუსებს შორის ხომ, როგორც უკვე ვიცით, დაუცხრომელი მტრობა და ბრძოლაც-კი გაჩაღდა. თვით ცალკეულ ულუსებს შიგნითაც მონღოლთა მაღალ წრეში, ყაანსა და ბატონიშვილებს, ისევე როგორც ნოინებს შორის, უთანხმოება და შუღლი გახშირდა. ერანის მონღოლთა საყაანოში ჯგუფობრივობამ იჩინა თავი და თანდათანობით ამ უცხო ქვეყნებში გაბატონებული ხალხის მაღალ წრეს შინაური ბრძოლა ისე მოედო, რომ იშვიათი შემთხვევა იყო, ყაანის წინააღმდეგ რამდენიმე შეთქმულება არ ყოფილიყო მოწყობილი. არა ერთი მათგანი სწორედ ასეთ შეთქმულებას შეეწირა კიდეც მსხვერპლად.

რამდენადაც ყმადნაფიცი სამეფოების სათავეში მყოფი პირების მდგომარეობა და ბედი მთლიანად მონღოლთა ყაანისა და მმართველი წრის განწყობილებაზე იყო დამოკიდებული, ყმადნაფიუი მეფეები, სულტნები და სხვა მეთაურები, თუნდაც რომ მათ არ ჰსურვებოდათ, მაინც მონღოლთა მაღალი წრეებისა და ყაანების შუღლში უნებლიედ უნდა გარეულიყვნენ, რასაც შესაძლებელია ზოგჯერ საბედისწერო შედეგი მოჰყოლოდა.

აბაღა ყაანი, რომ 1 აპრილს 1282 წ. გარდაიცვალა, ერანის მონღოლთა ნოინებმა ამავე წლის 6 მაისს ყაანად აბაღას ძმა აჰმადი დასვეს. აჰმადი მისი მაჰმადიანური სახელი იყო, გამაჰმადიანებამდე-კი მას მონღოლური სახელი თეგუდარი ერქვა. აჰმადისაგან მამაპაპეული სარწმუნოების უარყოფამ მის პიროვნებას დიდი ზიანი მიაყენა. ისედაც თავისი მაღალი ხელისუფლებისათვის აჰმადი შეუფერებელი აღმოჩნდა: ქართ.ჟამთააღმწერელის დახასიათებით, "არა-რა ნიჭთა საკელმწიფოთა მქონებელი" ყოფილა. ამიტომ მისი ყაანობაც ძალიან ხანმოკლე გამოდგა.

უკვე მისი ყაანობის მეორე წელს აჰმადის ძმამ, რუმის მმართველმა ყონღურადამ, შეთქმულება მოაწყო. მაგრამ ეს გამომჟღავნდა და აჰხმად ყაანმა რუმითგან თავისი ძმა ყონღურადა მოაყვანინა და 1284 წ. იანვარში მუღანში მოაკვლევინა. მასთან ერთად სიკვდილად დასჯილ იქმნენ რუმის სულტანი დიასედინი და "ორნი ძმანი ძაგან აბულეთისძენი"[108]. ქართ. ჟამთააღმწერელი ამტკიცებს, რომ უკანასკნელნი "ხუტლუბუღა, ძემან სადუნისამან მოაკვდინა"-ო[109]. თუ ეს ცნობა სწორია, მაშ მამის ჯავრი შვილს მაინც ამოუყრია!

აღმ. საქართველოს მეფეც უნებლიედ ერანის ილხანებისა და მონღოლთა მაღალი წრეების შინაურ ბრძოლაში იქმნა ჩათრეული. აჰმად ყაანმა თავის უნიჭობისა, გამაჰმადიანებულობის გამო და თავისი ქცევითაც თანამოძმე მონღოლთა შორის ისეთი სიძულვილი დაიმსახურა, რომ ბოლოს აჰმადს უკმაყოფილო ნოინები ხვარასანში აჯანყდნენ და მის მაგიერ აბაღას შვილი არღუნი გააყაანეს.

აჯანყების ამბის შეტყობინებისთანავე, აჰმადმა თავისი სპაც შეჰყარა და აღმ. საქართველოთგანაც მოსაშველებლად დემეტრე II დაიბარა თავისი ჯარითურთ. მეფეც მთელი თავისი სამხედრო ძალითა და სადუნ მანკაბერდელის შვილის, ამირსპასალარ ხუტლუბუღას, მანდატურთუხუცესის ივანე მხარგრძელის, შაწშას ძისა, და სხვა დიდებულების თანხლებით ერანში გემგზავრა. აჰმადმა შეერთებული ჯარითურთ გაყაენებული არღუნი 1284 წ. ყაზმინთან დაამარცხა. მისმა სარდალმა ალინაყმა, უვნებლობის ფიცის მიცემის შემდეგ, არღუნი ხელში ჩაიგდო და აჰმად ყაანს წარუდგინა. ამავე წლის 29 ივნისს აჰმადმა არღუნს ვითომც აპატია, მაგრამ ნამდვილად არღუნი ისევ ალინაყს ჩააბარა, რომ შემდეგში მოეკვლევინებია. დემეტრე II თავის ჯარითურთ საქართველოში დაბრუნდა.

---

[108] **ჟამთააღმწერელი,** გვ. 729; **სტ. ორბელიანი,** გვ. 425.

[109] **ჟამთააღმწერელი,** გვ. 729.

აჰმადის გამარჯვება მაინც ხანგრძლივი არ იყო: ნოინები მას კვლავ აუჯანყდნენ და ჯერ ალინაყს ღამით კარავში თავს დაესხნენ და იქვე მოკლეს, ხოლო დილით ისევ არღუნი გააყაანეს, შემდეგ-კი აჰმადს დაედევნენ მოსაკლავად. ამასთანავე ნოინებმა დემეტრე II-ეს შემოუთვალეს, რომ აჰმადს წინანდებურად აღარ მოჰშველებოდა. მეფემაც ნოინების ეს თხოვნა აასრულა, უმწეო მდგომარეობაში მყოფს აჰმადს ნოინები უჟანში (=უჩენს) დაეწივნენ და 1284 წ. 10 აგვისტოს საბლით მოაშთვეს.

ეხლა არღუნს შეეძლო უკვე თავისი თავი საბოლოოდ გაყაანებულად ეგრძნო და დამშვიდებული ყოფილიყო, მით უმეტეს, რომ მონღოლური წესით, მან აჰმადის ყველა დაახლოებული პირებიც მოაკვლევინა და ყმადნაფიც ქვეყნებშიც თავისი ახალი წარმომადგენლები გაგზავნა მმართველებად. მათ შორის აღმ. საქართველოში თავისი ბიძა, ჰულაგუ ყაანის მერვე შვილი, აჯაჲ დანიშნა[110].

არღუნის გაყაანებისას დემეტრე II-ის მდგომარეობა წინანდნლზე უფრო გაუმჯობესდა და განმტკიცდა, რათგან ერანის ამ ილხანის უმთავრესი მრჩეველი და უდიდესი ხელისუფალი ბუღა საქართველოს მეფის მახლოებელი და მასთან მჭიდროდ დაკავშირებული პირი იყო.

შინაურობაში გამარჯვებამ არღუნ ყაანსაც დიდი ხნის მშვიდობიანობა, მაინც ვერ მიანიჭა. მონღოლთა ულუსებს შორის ერთხელ ატეხილი მეტოქეობისა და მტრობის ჩაქრობა ვერ ხერხდებოდა, არამედ დროდადრო შუღლი ისევ მძაფრად იჩენდა ხოლმე თავს. 1288 წ. გაზაფხულზე მაგ. არღუნ ყაანს ხვარასნითგან მოსულმა შიკრიკებმა ამბავი მოუტანეს, რომ კაიდუ ყაანის ორი ნოინი, კინჯუ და ნაურუზი 30000 ცხენოსანი მოლაშქრითურთ ერანზე მოდიოდნენ და ბალახი, მარავი და შაბურკან უკვე განადგურებული ჰქონდათ, თვით სინჯარამდისაც-კი იყვნენ მისულნი[111], ხოლო 1288 წ. 5 მაისს არღუნს აცნობეს, რომ ყივჩაღთა ანუ ოქროს ურდოს ყაანის უძლიერესი ნოინი და სარდალი ნოყაჲც "ხაზარეთს" ველითგან დიდი ლაშქრითურთ აგრეთვე ერანის ილხანის საბრძანებლის სამტროდ მოეშურებოდა. დარუბანდელთა განდგომილებისა და ღალატის წყალობით, ნოყაჲმ ეს მნიშვნელოვანი ციხე-ქალაქი ხელში ჩაიგდო და იქითგან დაძრული სამხრეთისაკენ მოდიოდა, თან გზა და გზა ქვეყანას აოხრებდა და ვაჭრებს სცარცვავდა. არღუნ ყაანმა თავისი ჯარითურთ სასწრაფოდ პირი მტრის წინააღმდეგ, დარუბანდისაკენ იბრუნა და საქართველოთგანაც დემეტრე II დაიბარა მთელი თავისი ჯარითურთ. ყაანმა და მისმა მხედრობამ მტკვარს მიაღწიეს თუ არა, ლაშქარი გაღმა გავიდა, თითონ-კი შამახიასთან დაბანაკდა, ხოლო თავისი მოწინავე რაზმი ყაანმა ჩრდილოეთისაკენ გაგზავნა. რამდენიმე ხნის შემდეგ არღუნ ყაანს ახარეს, რომ მტერმა უკან დაიხია და ამის შემდეგ არღუნიც ისევ თავის ქვეყანაში დაბრუნდა[112].

10. ბუღა ჩინგსანგის შეთქმულების გამომჟღავნება და დემეტრეს მეფობის ტრაგიკული დასასრული

მალე ცხადი შეიქმნა, რომ სწორედ იგივე გარემოება, ერანის ილხანის ყოვლად-შემძლე პირველ ვაზირ ბუღასთან დემეტრე II–ის მჭიდრო კავშირი, რომელმაც ამ მეფის მდგომარეობა განამტკიცა, ბოლოს მისი ტრაგიკული აღსასრულის მთავარ მიზეზად იქცა. როგორც მონღოლთა საყაანოში თითქმის ჩვეულებრივი მოვლენა იყო, არღუნ ყაანის წინააღმდეგაც შეთქმულების

---

[110] **ჰამმერი,** I, გვ.359.

[111]**ჰამმერი,** I, გვ. 375.

[112] იქვე, გვ. 376.

მზადებას შეუდგნენ. მისი მოწყობის მეთაურობა არღუნის იმ ყოვლად ძლიერს ხელისუფალს ბუღას დაჰბრალდა, რომელსაც, როგორც არღუნის უაღრესი ნდობით აღჭურვილს, ყაანისაგან 1286 წ. მონღოლური სახელისუფლო განრიგების უმაღლესი წოდებულება, ჩინგსანგობაც-კი ჰქონდა მინიჭებული.

ბუღა ჩინგსანგის შეთქმულების გამომჟღავნებამ, არამცთუ მის ბატონობას, არამედ მის სიცოცხლესაც ბოლო მოუღო: 1289 წ. 17 იანვარს თვით ბუღა სიკვდილად იქმნა დასჯილი. მის შვილსა და ყველა ნათესავებსაც იგივე ბედი ეწიათ, ისევე როგორც აგრეთვე ყველა ამ შეთქმულების მონაწილეებსაც.

უკვე იმ მჭიდრო და მეგობრული დამოკიდებულების გამო, რომელიც ბუღასა და დემეტრე II-ეს შორის არსებობდა, მეფე, მონღოლური წესის თანახმად, უნდა განსაცდელში ჩავარდნილიყო, მაგრამ, ამას გარდა, შეთქმულების მონაწილეობაც დასწამეს და ეს უკვე საკმარისი იყო, რომ დემეტრე II ყაანთან ყოფილიყო დაბარებული და გამოძიება დაეწყოთ. თუმცა ქართ. ჟამთააღმწერელი გვარწმუნებს, რომ სასამართლოში ბუღა ჩინგსანგის თანაგამზრახობა მეფეს ვერ დაუმტკიცეს და უდანაშაულოდ სცნეს, მაგრამ, რაკი 1289 წ. 12 მარტს დემეტრე II-ეც, როგორც თვით ქართ. ისტორიკოსსაც აქვს აღნიშნული, სიკვდილით დასაჯეს, ეს გარემოება მის რწმუნებას, რომ სასამართლომ უდანაშაულობა აღიარა, საეჭვოდ ხდის.

თავის დებულების გასამართლებად ჟამთააღმწერელს ის მოსაზრება აქვს მოყვანილი, რომ ვითომც თვით არღუნ ყაანი ყოყმანობდა და ვერ გადაეწყვიტა, მეფეც სხვებივით სიკვდილად დაესაჯა, თუ არა[113],და, რაკი მონღოლებმა "არგნითა სცეს მეფესა", დემეტრე II-ეს, ამიტომაც საფიქრებელი იყო და იქ ქართველ დამსწრეთაც ასევე "ეგონა ყოველთა არღარა მოკვლა მეფისა, რამეთუ წესად აქვნდა, რა არგნითა სციან, არღარა მოაკვდინიან"-ო. მაგრამ ეს მოლოდინი არ გამართლდა და ყაანი მაინც "არა დამშვიდნა გულისწყრომისაგან" და, უეჭველია, მისივე ბრძანებით დემეტრე II "წარიყუანეს სამსჯავროსა სახლსა, რომელსა დივანხანად უწოდდეს"-ო. ამ სასამართლოშიც საქმის გარჩევის დროს, ქართ. ისტორიკოსის სიტყვით, "ვერა ბრალი პოვეს"[114], მაგრამ მეფე მაინც ისევ ულმობელად იქმნა დასჯილი, როგორც შეთქმულების დანარჩენი ნამდვილი მონაწილენი.

ქართ. ჟამთააღმწერელის ცნობით, დემეტრე II–ის საქმის ასე საბედისწეროდ შებრუნების ბრალი თითქოს ორ პიროვნებას ედებოდა. მას ნათქვამი აქვს: "იტყჳანამასცა: ხოჯა-აზიზის შვილი, რომლისა მამა მოეკლა მეფესა დავითს, ხუტლუბუღა და იგი, ორნივე მტერობად შეითქვნეს მეფისა" წინააღმდეგ და მის დაღუპვასაც მათ შეუწყეს ხელიო[115]. ისტორიკოსის მოთხრობითგან ცხადი ხდება, რომ ამ შემთხვევაში მას ხელთ წერილობითი წყარო არ ჰქონია. არამედ მხოლოდ ზეპირი ("იტყჳიან ამასცა"-ო). ზეპირსიტყვაობის დაღი ამ ცნობას მკაფიოდ აჩნევია კიდევაც. მართალია, დავით–ულუც ძალზე უკმაყოფილო იყო ხოჯა-აზიზის მცარცველობით საგადასახადო საქმიანობით საქართველოში, მაგრამ მაინც იგი, როგორც დავრწმუნდით, ამ უკმაყოფილების მსხვერპლი-კი არ შეიქმნა, არამედ ხოჯა-აზიზი ერანის თვით ილხანის ჰულაგუს ბრძანებით იქმნა მოკლული ბერქას ულუსთან საიდუმლო კავშირისათვის, ღალატისათვის, რომელიც მას დასწამეს. ამრიგად, ხოჯა-აზიზის შვილს შესაძლებელია დემეტრე თავდადებულისადმი მტრული განწყობილება ჰქონოდა, მაგრამ თავის მამის მოკვლის გამო-კი არა, არამედ მხოლოდ ყაანის წინაშე მისი მოღვაწეობის პირშავად წარმოდგენისათვის.

თანამედროვეებს შესაძლებელია, ხუტლუბუღაზე უფრო მეტი საფუძველი ჰქონოდათ, ეჭვი შეეტანათ, რათგან ყველამ იცოდა, თუ რამდენად ნაწყენი იყო იგი, როცა მამის, სადუნ

---

[113] **ჟამთააღმწერელი,** გვ. 739.

[114] იქვე, 740.

[115] იქვე, გვ. 739.

მანკაბერდელის, სიკდილის შემდეგ, ათაბაგობა დემეტრე II-ემ მას-კი არა, როგორც ის მოელოდა, არამედ მის ერთ-ერთ მეტოქეთაგანს, ტარსაიჭ ორბელს, უწყალობა. ამსთანავე ხუტლუბუღას მტრობა და შურის მაძიებლობაც ყველამ კარგად იცოდა: ამისათვის საკმარისი იყო თუნდაც ძაგან აბულეთის ძის ორი ძმის ამბავიც, რომელნიც ხუტლუბუღას მამის, სადუნ მანკაბერდელის, შურისძიებას რუმის სასულტნოში გახიზვნით გაექცნენ, მაგრამ ბოლოს მაინც სწორედ მისი შვილის, ხუტლუბუღას, შურისმაძიებლობის მსხვერპლნი შეიქმნენ.

ხუტლუბუღა რომ დემეტრე თავდადებულის ტრაგიკულს ბედში ასე-თუ-ისე მართლაც გარეული უნდა ყოფილიყო, ეს იქითგანაც ჩანს, რომ მისი მოკვლის გამო აღმ. საქართველოში მეფედ დასასმელად მონღოლთათვის სასურველი პირის მოძებნა არღუნ ყაანმა სწორედ მას დაავალა. ჟამთააღმწერელი იმასაც კი ამტკიცებს, რომ, როდესაც თითონ არღუნს ვერ გადაეწყვიტა, დემეტრე II სიკვდილად დაისაჯა, თუ არა, რათგან მას ის გარემოება აშინებდა, მის მაგიერ საქართველოში სამეფოდ შესაფერისს ვერავის იშოვიდა, ხუტლუბუღამ მოახსენა არღუნ ყაანსა "ნუ იურვი (ე. ი. სწუხარ) მაგას, რამეთუ მე მოვიყვანო შვილი აფხაზთა მეფისა დავითისა, სახელით ვახტანგ და მას უბოძე მეფობა, რომელ ორივე სამეფო ბრძანებასა შენსა მორჩილებდეს"-ო. არღუნს ეს რჩევა ძალიან მოეწონა და ამან დემეტრე II-ის საქმესაც უკვე საბოლოოდ საბედისწერო მიმართულება მისცა.

რაკი დემეტრე თავდადებულის შემდეგ საქ. სამეფო ტახტზე მართლაც სწორედ დავით-ნარინის შვილი იქმნა დასმული, ამიტომ, ცხადია, რომ ეს გეგმა უკვე წინდაწინვე შემუშავებული და არღუნ ყაანთან შეთანხმებული უნდა ყოფილიყო და, რათგან აღმ. საქართველოს დიდებულთაგან ილხანების კარზე ყველაზე გავლენიანი და თავისიანად მიჩნეული სწორედ ხუტლუბუღა იყო, ამიტომ, ცხადია, რომ ასეთი მნიშვნელოვანი პოლიტიკური საკითხი, ხუტლუბუღას დაუკითხავად და აქტიური მონაწილეობის გარეშე, ვერ გადაწყდებოდა. ყველა ამ მოსაზრებათა გამო ჟამთააღმწერელის ცნობა სინამდვილეს ძალიან დაშორებული არ უნდა იყოს.

ბუღა ჩინგსანგის შეპყრობისა და გასამართლების ამბის მიღებისთანავე, საკმარისი იყო დემეტრე II–ეს ყაანისაგან ურდოში დასაბარებლად მოელოდა მას, და ელჩი, რომ მეფე უმალ მიმხვდარიყო, რა განსაცდელიც მოელოდა მას. დემეტრე II-ემ კარგად იცოდა, რომ, რაკი მას შეთქმულების მონაწილეობას შესწამებდნენ, მისი ბედიც ისეთივე იქმნებოდა, როგორიც თვით ბუღასი. ამიტომ მან სახელმწიფო დარბაზი მოიწვია და შეეკითხა, როგორ მოქცეულიყო, ნებაყოფლობით წასულიყო, თუ არა, და, ყაანის წინაშე წარდგომის მაგიერ, საქართველოს მიუვალ ადგილებში შეხიზვნით თავისი თავი აუცილებელი განსაცდელისაგან დაეცვა.

დარბაზის წევრები წაუსვლელობას და მთიულეთში გამაგრებას ურჩევდნენ. ისინი მეფეს მაგალითად თვით მისივე მამის, დავით-ულუს, მოქმედებას უსახლებდნენ, როდესაც იგი, აჯანყების შემდგომ, ყაანის მრისხანებისაგან თავის თავის გადასარჩენად, ლიხთ-იმერეთში გადავიდა და ამით მართლაც განსაცდელს თავი დააღწია. მაგრამ დემეტრე II-ემ ეს რჩევა უარჰყო იმიტომ, რომ მის მთიულეთში შეხიზვნის საპასუხოდ არღუნ ყაანი აღმ. საქართველოში ხალხს დააწიოკებდა და ქვეყანას აოხრებდა. ის ამბობდა: "თუ არა წარვიდე ურდოსა და წარვიდე მთიულეთს სიმაგრეთა შინა და დავიცვა თავი ჩემი, - აჰა, ყოველი სამეფო ჩემი წინაშე მათსა ძეს! – იხილეთ, რავდენი სული ქრისტიანი სიკვდილს მიეცემის და ტყუე იქმნების!"-ო[116]. სწორედ ეს აშინებდა მეფეს ან "რა სარგებელ არს ცხოვრება ჩემი, უკეთუ ჩემთჳს მრავალი სული მოკვდეს და მე ტვირთმძიმე განვიდე სოფლისა ამისგან"-აო. მას არ სურდა, რომ უდანაშაულო ხალხი მისთვის დასჯილიყო. დემეტრე II ეუბნებოდა დარბაზის წევრთ: მე მეცოდება, "მეწყალის უბრალო ერი", რომელნიც, "ვითარცა ცხოვარნი, კლვად უღონო არიან და არასად აქვთ ნუგეშინის ცემა" ხოლმე, როდესაც მტერი ქვეყნის დარბევას დაიწყებსო. ამიტომაც მე დავსდებ სულსა ჩემსა

[116] იქვე, გვ. 737.

ერისთაჳს ჩემისა და არა დავიშლი ურდოსა წასვლას”-აო[117]. მას იმედი ჰქონდა, რომ, თუ ის მონღოლთა ყაანის სამსჯავროს არ დაემალებოდა, შესაძლებელი იყო საქმე მხოლოდ მისი პირადი პასუხისმგებლობით დამთავრებულიყო: ”უკეთუ მე მომკლან, ვჰგონებ, რომე ქვეყანა უვნებლად დარჩების”-ო[118]

ბოლოს დარბაზის წევრნიც დათანხმდნენ, რომ მეფე ყაანთან გამგზავრებულიყო. ურდოში გამგზავრების წინ, დემეტრე II უკანასკნელი განკარგულებების გაცემასა და თავისი სახლობის წევრთა უზრუნველყოფას შეუდგა, რათგან, მონღოლური წესით, ყველაზე მეტი განსაცდელი მათ მოელოდათ: მან ”განუჩინა შვილთა საყოფელი”,ხოლო ”ყოველთა მთავართა, რომელნი არა თანაწაჰყუეს, შეჰვედრნა შვილნი თჳსნი და წარგზავნნა რომელიმე მთიულეთს და რომელიმე კახეთს, ხოლო ყრმა მცირე გიორგი წარგზავნა ტაოს, იშხნის ციხესა ასპარაბეთს. ამთგან ვახტანგი მთიულეთში გაისტუმრა, ხოლო დემეტრე II-ის მეორე ცოლი მონღოლთა ასული სოლღარ თავის მამასთან გაემგზავრა და თან თავისი ორი შვილი, ბაადური და იედგარი, გაიყოლა[119].

ყველას დაბინავებაზე განკარგულების გაცემის შემდგომ, დემეტრე მეფე თითონაც გაუდგა გზას ურდოში წასავლელად. იქ მიმავალმა მან მხოლოდ თავისი შვილი დავითი გაიყოლა თან, იმ მოსაზრებით და ”იმისთჳს, რომელ უეჭველ იქმნას ყაანი და ჰგონოს ერთგულება მისი”-ო. მაგრამ უკვე იმ დროს, როდესაც დემეტრე II ურდოს უახლოვდებოდა, გზაზე ყაანის წარმოგზავნილი ნოინი შეხვდა, რომელმაც” მყის აღიღო ყოველი ბარგი და სიმდიდრე მისი და მეფე პყრობილ–ყო”. არღუნ ყაანს წინაშე წარდგენის შემდეგაც, მეფე ისევე შეპყრობილი დასტოვეს.

მონღოლური სამართლის წარმოების თანახმად, დემეტრე II ეს უთხრეს, რომ თვითონვე აღნიშნოს და ”აღწეროს ყოველი სიმდიდრე მისი, საჭურჭლე, ზროხა და ცხვარი და ყოველი საქონელი მისი”. ეს ცნობები მეფის მთელი ქონების ჩამოსართმევად სჭირდებოდათ. დემეტრე II-ესაც რა შეეძლო, იძულებული იყო ბრძანება აესრულებინა და, რაკი ”არღარა იყო ღონე”, ამიტომაც ” აღწერა, რაცა აქვნდა, სიმდიდრე ფრიადი”.

ყველა საჭირო ცნობების მიღების შემდეგ, არღუნ ყაანმა საქართველოში უმალ ”წარგზავნა კაცი” და მონღოლებმა ”წარიღეს ყოველი” ისე, რომ მეფის ქონებითგან ”არა რა დაშთა”, იმიტომ რომაო, გვიხსნის ქართ. ჟამთააღმწერელი, ”მოქალაქეთაცა უწყოდეს საგანძურნი მეფისანი და შინაგამცემელ იქმნეს” საიდუმლოებისაო[120].

მთელი სიმდიდრის ჩამორთმევისა და უკანასკნელი გასამართლების შემდეგ დემეტრე II არღუნ ყაანის ბრძანებით 1289 წ. 12 მარტს მოვაკანში მდ. მტკვრის პირას, სიკვდილად იქმნა დასჯილი.

მამის ბედი დემეტრე თავდადებულის ვაჟიშვილს დავითსაც მოელოდა, ერთ გავლენიან მონღოლ ნოინს რომ არ გადაერჩინა იგი და არღუნი უდანაშაულო ბავშვის დანდობაზე არ დაეყოლიებინა[121].

აღ. საქართველო კვლავ უმეფოდ დარჩა. დემეტრე თავდადებულის მთელი ოჯახი გაბნეული და მიმალული იყო და, ასეც რომ არ ყოფილიყო, ყაანი არც ერთს მის წევრთაგანს გამეფების არ მისცემდა.

---

[117] იქვე, გვ. 738.
[118] იქვე, გვ. 737
[119] იქვე, გვ. 738-743.
[120] **ჟამთააღმწერელი,** გვ. 738-739.
[121] იქვე, გვ. 742.

11. დემეტრე II თავდადებულის პიროვნების ზოგადი დახასიათება

დემეტრე II-ის ზოგადი დახასიათბა ადვილი არ არის, რათგან ცნობები მის შესახებ ორნაირი თვისებისა მოგვეპოვება. მისს თავგანწირულებას მრონღოლთა-დროინდელს ჟამთააღმწერელზე ისეთი შთაბეჭდილება მოუხდენია, რომ ის უარყოფითი დამოკიდებულება, რომელიც საეკლესიო წრეებში დემეტრე II-ისადმი მანამდე სუფევდა მისი საეკლესიო უძრავი ქონების გაღარიბებულ ერისკაცთათვის გაცემისა და თავისი სამცოლიანობით ხალხისათვის ცუდი მაგალითის მიცემის გამო, თავის მოთხრობაში მას, როგორც ეტყობა, შერბილებული უნდა ჰქონდეს.

თუ თანამედროვე ისტორიკოსი მის პიროვნებას წარმოადგენს ისევე, როგორც სინამდვილეში და თავის ყოველდღიურს საქმიანობა-მოღვაწეობაში მოჩანს, უნდა ითქვას, რომ დემეტრე II-ის დამოკიდებულება ქრისტიანული მოძღვრებისადმი ძალზე შერყეული ყოფილა. მის გულში ეკლესიისა და მისი, როგორც მწყემსთმთავრისა, ისევე მოძღვართადმი, ოდნავი პატივისცემაც-კი არ ჩანს, ამ მხრივ ის გიორგი–ლაშას მიაგავს.

აღსანიშნავია აგრეთვე დემეტრე II-ის მიერ დავით–ულუსა და ბასილ უჯარმელ–ჭყონდიდელის პოლიტიკოსის გაზიარებაცა და მისი შეუჩერებლივ განგრძობაც საეკლესიო შეწირული მამულების გამოსაყენებლად დიდი ეკონომიური კრიზისის შემსუბუქებისთვის . არ ეტყობა, რომ ამ შემთხვევაშიც მას ეკლესიის წყევლა –კრულვის რაიმე შიში ჰქონოდეს. აქ მას მხოლოდ სახელმწიფოებრივი ინტერესით უხელმძღვანელია: გაჭირვება ძლიერდებოდა, სხვა საშუალება-კი მისი ოდნავ მაინც შესანელებლად საქართველოს მაშინდელ მთავრობას არ გააჩნდა, ამიტომ წინანდელი პოლიტიკის განგრძობა აუცილებელი იყო, და მასაც ეკლესიის წინაშე უკან არ დაუხევია.

დამახასიათებელია, რომ ეს გარემოება მაშინდელ და მომდევნო ხანის საეკლესიო წრეებს იმდენად არ ესმოდათ, ან ეგების არც-კი უნდოდათ გაეგოთ, რომ ქართველი ჟამთააღმწერელი გულუბრყვილოდ ამტკიცებს კიდეც, ვითომც მეფე დემეტრე II-ემა და საქართველოს დიდებულებმა ქვეყნის დაწყნარებისა და მოსავლის უხვობის გავლენით, ”რაკი მოეცალეს მცირედ ჭირთაგან და განისვენებდეს”, ასეთს უწესო განცხრომასა და ძალმომრეობასაც იმიტომ მიჰყვეს ხელი, ”მიდრკეს გზისაგან საღმრთოსა, იწყეს განდგომად”-ო[122].

თუ სამცოლიანობაზე ასე მსჯელობას, შესაძლებელია, კიდევ ასე-თუ-ისე რაიმე დამაჯერებლობა მაინც ჰქონოდა, ეს ხომ ყველამ კარგად იცოდა, რომ, არც ქვეყანასა და არც ხალხს, დემეტრე II-ის მეფობაში, თუნდაც მარტო მონღოლთა ხშირი ლაშქრობის გამო, დაწყნარება არ ჰღირსებია, სიღარიბე ხომ არამც თუ არ შემცირებულა, არამედ წინანდელზე უფრო მეტადაც-კი გაძლიერდა, ცხადია, რომ, მაშინდელი ყოფაცხოვრების აბობოქრებული ვითარებისა და სოციალური ბრძოლის მიზეზის ამნაირად ახსნა, სრული გულუბრყვილობა იყო.

დემეტრე II-ეს, საქართველოს იმდროინდელი პოლიტიკური მდგომარეობის გამო, შემთხვევა ჰქონდა უფრო თავისი სამხედრო სიქველე და მამაცობა გამოეჩინა, ვიდრე სახელმწიფოებრივს მოღვაწეობაში სამოქალაქო ასპარეზზე თავისი გამჭრიახობა გამოემჟღავნებინა. მონღოლთა მომხრეებიით გათამამებული დიდებულისა და გადიდკაცებული მედროვე მოხელეების გარემოცვაში, აღმ. საქართველოს მეფეს გაბედული შინაური პოლიტიკის წარმოების შესაძლებლობა სრულებით მოსპობილი ჰქონდა. ჟამთააღმწერელისაგან გაკვრით მოხსენებული ზოგიერთი ცნობებითგან მაინც საკმაოდ მკაფიოდ მოჩანს რომ, თუმცა ფარულად

[122] იქვე, გვ. 722.

მას ასეთ მედროვეთა წინააღმდეგ ბრძოლა უცდია, მაგრამ არაერთხელ დასახული მიზნის მისაღწევად მას გადაულახავი დაბრკოლება დაჰხვედრია.

იმდროინდელი მძიმე ეკონომიური პირობებისდა მიუხედავად, დემეტრე II ცდილობდა აგრეთვე მონღოლთა ბატონობის წყალობით დაზარალებულ-აოხრებული ქვეყანა გაეკაცრიელებინა, ამოწყვეტილისა და გაქცეული მოსახლეობის მაგიერ სხვების დასახლებით გაპარტახებული მიწები კვლავ დაემუშავებინა და ისტორიკოსიც მოგვითხრობს, რომ მეფემ "აღაშენნა ქვეყანანი მოოჴრებულნი"-ო.

დემეტრე II–ეს ნაგებობათა მშენებლობაშიც შეუტანია წვლილი და, თუმცა ეს ცნობა მეფის ზემოაღნიშნულ დამოკიდებულებას როგორღაც თითქოს ნაკლებ შეეფერება, მაგრამ, ისტორიკოსის სიტყვით, მანვე ააგო "პალატსა შინა მონასტერი ისანთა, საყოფელად მეტეხთა ღ´თისმშობლისა და შეამკო განგებითა დიდითა და შესწირნა სოფელნი და ზვარნი და განუჩინნა მონაზონთა საზრდელი და განაგო განგებითა კეთილითა"-ო[123].

მართალია, მაშინდელ საეკლესიო წრეებს შეეძლოთ ეთქვათ, ეს ადამიანი, თავისი მარჯვენით ეკლესიის კეთილდღეობას ანადნურებს და ძირს უთხრის, მის მოძღვრებას არ ემორჩილება, მთელი თავისი მოქმედებით მისი გავლენის გაქარწყლებას ხელს უწყობს და იმავე დროს მონასტერს აშენებსო! მაგრამ როგორც ჩანს, დემეტრე II–ეს ეკლესიის მესვეურთათვის უნდოდა ეჩვენებინა, რომ, თუ ისინი მის საქმეებში არ ჩაერეოდნენ და თავიანთ ქერქში იქნებოდნენ, მასაც შეეძლო მათთვის რამე სამაგიერო გადაეხადა.

საფიქრებელია, რომ ჟამთააღმწერელს ზემომოყვანილს ცნობაში იმ ნაგებობაზე უნდა ჰქონდეს საუბარი, რომელიც "მეტეხის" ხელოვნების მუზეუმს ეკუთვნის. ეს ძეგლი ამჟამად ჩვენთვისაც საყურადღებოა, მაგრამ უკვე მხოლოდ როგორც მე-13 ს. მეორე ნახევრის ქართული ხუროთმოძღვრების მაღალი ღირსების უტყვი პირუთვნელი მოწმე. ამის დამამტკიცებელია დღევანდლამდე შერჩენილი მისი საუცხოოდ მოჩუქურთმებული კარიბჭე და ერთგანაც, თუმცა ულმობელი დროისაგან ძალზე დაზიანებული, მაგრამ ამ სახითაც ძლიერი შთაბეჭდილების მომხდენი აქა-იქ ჯერ კიდევ გადარჩენილი სამკაული ასეთ საშინელ ხანაშიც-კი ქართულ ხელოვნებას ასეთი მაღალხარისხოვანი ხუროთმოძღვრული ძეგლების შექმნის უნარი შეუნარჩუნებია და ეს გარემოება ქართველი ხალხის დიდი ნიჭისა და ენერგიის უცილობელი გამომჟღავნებული არის.

ისტორიკოსს დემეტრე II-ის რაინდული თვისებები და გულშემატკივრობაც აქვს აღნიშნული. მას არ ავიწყდებოდა ის უბედური გაღატაკებულნი, რომელნიც იძულებულნი ყოფილან ტფილისის ქუჩებში სამათხოვროდ ხელი გაეშვირათ. მაგრამ ამავე დროს ეტყობა, რომ დემეტრე მეფეს არც თავისი თავი ავიწყდებოდა. პირიქით, ქართ. ჟამთააღმწერლის ცნობითგან ჩანს, რომ დემეტრე II-ეს, თავისი მამის მსგავსად, პირადი ქონებრივი კეთილდღეობის მოპოვების დიდი უნარიც-კი ჰქონია. ისტორიკოსს ეს გარემოება გარკვევით აქვს აღნიშნული: მეფემ "მოიგო სიმდიდრე დიდად-დიდი სიმდიდრესავე ზედა, რომელ დაშთომოდა მამისა მისისაგან"-აო[124]. სამწუხაროდ ავტორს განმარტებული არა აქვს, თუ რა გზითა და როდის შეძლეს მამა-შვილმა, იმ საერთო გაჭირვების დროს, ესოდენ დიდი ქონების დაგროვება, მით სიმდიდრის მთავარ წყაროდ სამხედრო ნადავლი უნდა ვიგულისხმოთ, თუ ეგების საქართველოში მყოფი მათი უძრავ-მოძრავი ქონების შემოსავალიც. ამრიგად, ალტრუისტულიც და წმინდა ეგოისტური სულისკვეთებაც მის ბუნებაში ერთსა და იმავე დროს მკათფიოდ მოჩანს. უკანასკნელი გარემოება, მისი განმაცვიფრებელი სიმდიდრე, მეტადრე იმდროინდელს საერთო საშინელ გაჭირვებას თუ გავიხსენებთ, უსიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენს ეხლაც და,

---

[123] **ჟამთააღმწერელი,** გვ.717.

[124] იქვე, 735.

ჟამთააღმწერელის ერთი ცნობისდა მიხედვით ირკვევა, რომ ამით არც მაშინ ყოფილან კმაყოფილნი, მოსახლეობის ზოგი ფენები მაინც. დემეტრე II-კი იმდენად მდიდარი ყოფილა, რომ ვითომც მონღოლთა ყაანსაც კი გაჰკვირვებოდეს. თუ ქართ. ჟამთააღმწერელს ამ შემთხვევაში ძალზე გადაჭარბებული არა აქვს და დაეჯერება, როდესაც არღუნს საქართველოთგან დემეტრე II-ის მთელი ჩამორთმეული განძეულობა და "საჭურჭლე მეფისა" მიუვიდა, ისიუ-კი თურმე "განჰკჳრდა სიმრავლისათჳს"-ო[125].

მაგრამ ადამიანის ნამდვილი სულიერი და ზნეობრივი თვისებები ყველაზე მკაფიოდ, უეჭველია, განსაცდელის დროს გამომჟღავნდება ხოლმე: სწორედ მაშინ ირკვევა უცილობლად, კაცის ბუნებაში პატიოსნება და გმირული თავგანწირულება სჭარბობს, თუ ცხოველურ-მხეცური მიდრეკილება მას, თავის თავის გარდა, ყველაფერს ავიწყებს და პირადი უშიშროება–სიმრთელის გადასარჩენად მზად არის ყველა სხვები და ყველაფერი ინაცვალოს. ეს დაკვირვება საშუალებას აძლევს მკვლევარს დემეტრე II-ის პიროვნება საბოლოოდ უფრო შეუმცდარად შეაფასოს.

თუ ამ საკითხს ამ თვალსაზრისით მივუდგებით, ცხადი გახდება, რომ დემეტრე II-ის ქცევამ იმ საბედისწერო შემთხვევაში, როდესაც მას უნდა საბოლოოდ გადაეწყვიტა, თავისი პირადი სიცოცხლის გადარჩენაზე ეზრუნა და ამისთვის თუნდაც უდანაშაულო ქართველი ერის კეთილდღეობა და სიცოცხლეც–კი მსხვერპლად შეეწირა, თუ პირიქით, სიკვდილის აუცილებელ სასჯელს არ შეჰშინებოდა და თავისი პირადი მოქმედებისათვის პასუხსაგებად, ხალხის გადარჩენის მიზნით, რაინდული სიმამაცით მტრის წინაშე წარმდგარიყო, დემეტრე II-ის პატიოსანი ბუნება და მაღალი ადამიანური თვისებები სრული სიცხადით გამომჟღავნდა. მის ნაბიჯს, უეჭველია, პირადი პასუხისმგებლობის ღრმა ზნეობრივი შეგნება და თავგანწირულების მომხიბვლელობა ასხივოსნებს. მართალია, ის შედარება, რომლითაც დარბაზის ერს დემეტრე II-ის დარწმუნება მოუსურვებია, რომ მას, თავისი მამის დავით-ულუს მსგავსად, ყაანის მრისხანებისაგან გადასარჩენად უფლება ჰქონდა თავი სადმე შეეფარებინა, მთლად სშორი არ არის, რათგან დავით-ნარინი და დავით–ულუ მონღოლებს თვით საქართველოს აუტანელი მდგომარეობის გამო აუჯანყდნენ და ლიხთ-იმერეთში მხოლოდ აჯანყების ჩაშლის შემდეგ გადავიდნენ, დემეტრე II-ეს-კი ერანის ილხანის წინააღმდეგ სხვა მონღოლ ხელისუფლებთან შეზრახებით მოწყობილს შეთქმულებაში მონაწილეობა, მაშასადემე, მხოლოდ პირადი დანაშაულება, ჰბრალდებოდა, მაგრამ, ამ შედარების მცდარობის და მიუხედავად, განა მასაც არ შეეძლო თავისი სიცოცხლის გადასარჩენად ისე მოქცეულიყო, როგორც მას დარბაისელნი ურჩევდნენ, და, ერანის მრისხანე ყაანთან წასვლის მაგიერ, მართლაც მთიულეთში შეხიზნულიყო? ცნობილია, რომ ასე წინათაც არაერთი ქვეყნის მმართველი მოქცეულა და შემდეგშიც თვით დემეტრე II-ის საკუთარი შვილივე დავით მეფეც მოიქცა და საქართველო, როგორც მერმე დავრწმუნდებით, მტრებს ულმობლად გააოხრებინა. დემეტრე II-ემ-კი თავისი სიცოცხლის გადასარჩენად ქართველი ერის უკიდურეს განსაცდელში ჩაგდება არ მოისურვა და ამით აუცილებელი განადგურება თავითგან ააშორა. ამიტომაც არის, რომ საქართველოში უკვე იმავე ხანაში დემეტრე II-ეს თავდადებულის სახელი მიეკუთვნა. შემდეგში როდესაც მისი ძის, დავით VI-ის მეფობის ამბებზე გადავალთ, გამოირკვევა, რომ დემეტრე II-ის თავგანწირულების გმირობა ყოველთვის უფორო ცხადი და უცილობელი უნდა გამხდარიყო. ისტორიამაც ხალხის ამ მსჯავრს თავისი დასტური მისცა და ერთად-ერთს მეფეს საქართველოში თავდადებულის წოდებულება შეუნარჩუნა.

სრულიადი საქართველოს პოლიტიკური მთლიანობის აღდგენა

[125] იქვე, 739.

XI. ვახტანგ II დავით-ნარინის ძე

1. გაერთიანების მიზანი და გარემოება

დემეტრე II-ის დასჯის შემდგომაც, არღუნ ყაანს საქართველოში მეფობის მოსპობა აზრად არ მოსვლია. პირიქით, მან საჭიროდ სცნო, რომ განთავისუფლებული სამეფო ტახტი წინანდაბურად დაკავებული ყოფილიყო. ქართ. ჟამთააღმწერელის ცნობით, არღუნმა ხუტლუბუღა დაიბარა თავისთან და უთხრა: « აჰა მოვსრენ ყოველნი მტერნი ჩემნი» და მათ შორის «მტერიცა შენი მეფე დემეტრე». ეხლა, როგორც შემპირდი, რომ დავით-ნარინის-ძის მოყვანას მოახერხებ, აასრულე კიდეც და «მოიყუანე ძე აფხაზთა მეფისა», რომ აღმ. საქართველოშიც «იყოს იგი მეფედ». თუ ამას აასრულებ, «მაშინ მოგეთვალოს საქართველო და განაგებდი, ვითარ გენებოს»-ო[126].

არღუნ ყაანის კარზე დასახული გეგმა მონღოლთა თვალსაზრისით კარგად მოფიქრებულს პოლიტიკურ ნაბიჯს წარმოადგენდა, რათგან შესაძლებელი იყო ამ ერთი მოქმედებით ორი მნიშვნელოვანი ამოცანა გადაწყვეტილიყო: ჯერ ერთი დავით-ნარინის ძის აღმ. საქართველოში გამეფების შემდეგ, ცხადია, მისი მამის ერანის ილხანების სამტროდ მიმართული პოლიტიკა უნდა თავისდა-თავად მოსპობილიყო, რასაც ყაანისათვის, რასაკვირველია, ფრიად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მეორე მხრით, დავით-ნარინის ძის საქართველოს დედაქალაქში მეფედ დასმა არღუნს საშუალებას აძლევდა სრულებით ადვილად მოეხერხებინა ისიც-კი, რის განხორციელებაც ერანის ილხანებმა სამხედრო მოქმედებით ვერ შესძლეს: ამის შემდგომ მონღოლთა უზენაესობა დას. საქართველოსაც ხომ ისევ უნდა ეცნო და წინანდებურად ნებაყოფლობით ყმადნაფიცობის ვალდებულება ეკისრა!.

ამ გეგმას საქართველოს პოლიტიკური და ეროვნული თვალსაზრისით მარტო ის მიმზიდველობა ახლავდა, რომ ამით ქვეყნის ორ სამეფოდ გაყოფილობას უნდა ბოლო მოჰღებოდა და სახელმწიფოებრივი მთლიანობაც აღდგენილი იქნებოდა. მაგრამ მეორე მხრით ეს ლიხთ-იმერეთსაც იმ ჯოჯოხეთურს პირობებში მოქცევას უქადდა, რომელშიც ამიერი საქართველო უკვე იმყოფებოდა.

ხუტლუბუღამ ნაკისრი დავალების ასრულება შესძლო: «წარვიდა ხუტლუბუღა მეფესა დავითს წინაშე» და რუსუდანის ძე დაითანხმა. სამწუხაროდ, ჟამთააღმწერელს შეთანხმების პირობების შესახებ არაფერი აქვს ნათქვამი. დავით-ნარინმა თავისი ჯარი შეჰყარა და თავის ვაჟიშვილ ვახტანგითურთ აღმ. საქართველოში გადმოვიდა. მამა-შვილნი «დადგეს ტასისკარს, ქვიშხეთის მინდორსა აქათ». მეფესთან, რასაკვირველია, მონღოლთა ნოინები მივიდნენ ისევე, როგორც აგრეთვე «ყოველნი დიდებულნი საქართველოსანი შემოკრბეს».

დავით-ნარინის თავის შვილთან, ვახტანგთან, გამოყოლის მიზანი, როგორც ჩანს, ის ყოფილა, რომ დარწმუნებულიყო, თუ მონღოლთა ყაანის მიერ წამოყენებულს პოლიტიკურ გეგმას თვით აღმ. საქართველოში რამდენად თანაუგრძნობდენ. მეფის ასეთ წადილს ის გარემოება ამჟღავნებს, რომ დავით-ნარინმა მხოლოდ მას შემდგომ «მოსცა ძე მისი», როდესაც იქ თავმოყრილმა ყველა დიდებულებმა «ყუეს ფიცი და სიმტკიცე ერთგულობისა». ამით უკვე

[126] ჟამთააღმწერელი, გვ. 743.

დამშვიდებული, »მეფე დავით შეიქცა ქუთაისს» და შინ დაბრუნდა, ვახტანგ უფლისწული-კი არღუნ ყაანთან წარსადგენად და დასამტკიცებლად წაიყვანეს[127].

არღუნ ყაანმა «ვახტანგს მოსცა მეფობა». ან რა გასაკვირველია, რომ მიეცა, როდესაც თითონ მისთვის ეს ფრიად სასიხარულო ამბავი იყო, რამდენადაც მას შეეძლო უკვე ეთქვა, რომ ვახტანგმა მისგან მარტო ამიერი სამეფო-კი არ მიიღო, არამედ «ყოველი საქართველო». მეფობასთან ერთად, ერანის ილხანმა, ალბათ დავით-ნარინის ვაჟიშვილის მოთვინიერებისა და თავისთან უფრო მჭიდროდ დაკავშირების მიზნით, აგრეთვე «და თჳსი ოლჯათ ცოლად» გამოაყოლა[128].

ერანითგან საქართველოში დაბრუნებულს, საეკლესიო დალოცვის წესიღა აკლდა და მონღოლები ამის ნებართვის მიცემასაც, რასაკვირველია, არ დაიშურებდნენ, მით უმეტეს, რომ ამით ხომ სრულიადი საქართველოს მათს დაპატრონებას ეკლესიისაგანაც დასტური ეძლეოდა და ლიხთ-იმერეთის მონღოლთა ყაანის ყმადნაფიცად ქცევასაც უფრო მეტი სიმტკიცე უნდა მიჰნიჭებოდა. ვახტანგის მეფედ კურთხევისათვის «შემოკრბეს კათალიკოზი, ეფისკოპოზნი და მთავარნი და დაადგეს გვირგვინი მეფობისა და დასვეს ტახტსა სამეფოსა და აღასრულეს წესი კურთხევისა»-ო[129].

ისტორიკოსის მოწმობით, ამ ამბავმა საქართველოში ხალხი გაახარა, რათგან მათ, მთლიანობის განახლებასთან ერთად, თავიანთი ოდინდელი ძლიერების თანდათანი აღდგენის იმედიც ეძლეოდათ. ჟამთააღმწერელი-კი ამ შემთხვევას ისე გაუტაცნია, რომ გვარწმუნებს კიდეც, ვითომც ვახტანგმა «დაიპყრა ყოველი საქართველო ნიკოფსით დარუბანდამდე, თჳნიერ ჯაყელ-ციხისჯვარელისა»-ო, იმ დროს, როდესაც კარგა ხანი იყო უკვე, რაც დარუბანდი საქართველოს აღარ ეკუთვნოდა და მის მიჯნად აღმოსავლეთით, როგორც აღნიშნული გვქონდა, თეთრი წყალი, ანუ აკ-სუ, ჩალან-უსუნი-ღა ითვლებოდა. ამდენად ძნელი ყოფილა იმდროინდელი ქართველისათვის ცხოვრებაში მომხდარ ცვლილებასთან შერიგება!

ქართ. ჟამთააღმწერელი ვახტანგ დავით-ნარინის ძეს ტანად და მოხდენილი სახის ადამიანად გვისურათებს. იგი დინჯი და ენა-ტკბილი მოუბარი, ამასთანავე განათლებული და «ყოვლისა საქმის მცოდნე»-ც ყოფილა. თავის სახელმწიფოებრივს მოღვაწეობაში იგი თავდაბალი, მოწყალე და გულუხვი გამოდგა, როგორც უზენაესი მართლმსაჯულებით აღჭურვილმა პირმა-კი თავისი სამართლიანობითა და ლმობიერებით ისახელა თავი. ვახტანგის გულსა და გონებაში მაღალი ადამიანური და ზნეობრივი თვისებებისა და დიდი ცოდნის ჩამნერგავად მაშინ მისი განთქმული აღმზრდელი მეცნიერი ფარსმანიშვილი ყოფილა მიჩნეული[130].

2. მედროვე ხუტლუბუღა ათაბაგის თავხედური ქცევა

ისევე როგორც ხუტლუბუღას მამამ, სადუნ მანკაბერდელმა, დემეტრე II-ისაგან, მეფედ დასმისთანავე, საქართველოს ათაბაგობა მიღო და ვაზირი გახდა, ისიც ვახტანგმა სრულიად საქართველოს მეფედ კურთხევისთანავე «აღიყვანა პატივსა ათაბაგობისასა და

---

[127] იქვე, გვ. 743-744.
[128] იქვე, გვ. 744.
[129] **ჟამთააღმწერელი**, გვ. 744.
[130] იქვე, გვ. 744-746.

ამირსპასალარობისასა» და ხუტლუბუღას «უბოძა ორივე ჴელი და განგება სამეფოდ»-[131]. ამრიგად, შვილიც, მამის მსგავსად, ორივე ვაზირობის, ათაბაგობისა და სამხედრო მინისტრის თანამდებობის, მქონებლადაც იქცა და იმერ-ამერი საქართველოც, როგორც ერანის ილხანის მესაიდუმლესა და მისანდობელ პირს, ნამდვილად მასვე ჩაუვარდა ხელში. ბოლოსდაბოლოს ხუტლუბუღა მაინც იმას ეღირსა, რის მიღებაც დემეტრე თავდადებულისაგან მან ვერასგზით ვერ მოახერხა, ამიტომაც მას უფლება ჰქონდა თავისი თავი გამარჯვებულად მიეჩნია.

მაგრამ, როგორც ჩანს, თვითნება ხუტლუბუღას ატანა ვახტანგ მეფისთვისაც ძნელი ყოფილა და, ორი წლის შემდგომ, მათ შორის უკვე მტრობა ჩამოვარდნილა. რაკი ხუტლუბუღა დარწმუნდა, რომ ვახტანგს თავის სურვილისამებრ ვერ ათამაშებდა, მისი თავითგან მოცილება გადასწყვიტა და, რათგან ის მიჩვეული იყო, რომ ყველაფერი სწორედ ისე უნდა მომხდარიყო, როგორც და რასაც ის მოისურვებდა, ამიტომ ისტორიკოსი ამბობს: «ინება ხუტლუბუღა, რათა დავით მეფე ყოს»-ო და ამ მიზნის განსახორციელებლად «ეცადა ნოინთა წინაშე, რათა წარუღონ მეფობა ვახტანგს». უეჭველია, მას იმედი ექნებოდა, რომ მცირეწლოვან დავითს უფრო ადვილად ჩაიგდებდა ხელში და თავის მორჩილად აქცევდა.

ხუტლუბუღასთვის სამწუხაროდ, ამ დროს მისი მფარველი არღუნ ყაანი მძიმე ავადმყოფი იყო და განრღვეული მკვდარს უფრო მიაგავდა, ვიდრე ცოცხალს. მონღოლთა ნოინებთან-კი ხუტლუბუღას ამ საქმის თავის სასარგებლოდ გაჩარხვა გაუჭირდა, თუმცა დავით დემეტრეს ძეს ორიოდე საკმაოდ ძლიერი შემწე ჰყოლია. რაკი ხუტლუბუღამ იდუმალი გზით მიზანს ვერ მიაღწია, მან ეს საქმე მონღოლთა სასამართლომდე მიიყვანა, ეგების იმავე იმედით, რომ იქ თავის კანდიდატს უფრო ადვილად მოაგებინებდა სარჩელს, ისევე, როგორც მისგან გასამეფებლად განკუთვნილი პირის პაპამ, დავით-ულუმაც, თავის დროზე დიდი ყაანის ურდოში, მონღოლური სამართლის მარჯვედ გამოყენებით, ვახტანგ მეფის მამას, დავით-ნარინს, მოუგო საქმე, ამრიგად გათავხედებულმა ხუტლუბუღამ ვახტანგ II-ეც, რომელსაც სრულიადი საქართველოს მეფობა უკვე ორი წლის წინათ თვით ყაანისაგან ჰქონდა დამტკიცებული, ისევ სამეფო ტახტის მაძიებლად აქცია, ამიტომ დავით დემეტრეს ძეცა და ვახტანგ მეფეც მონღოლთა სასამართლოში «საბჭოდცა წარდგეს», რომ გადაწყვეტილიყო, «თუ რომელსა მართებს მეფობა» საქართველოში.

ეგების სხვა გარემოებაში ხუტლუბუღას თავისი განზრახვისა და გადაწყვეტილების გატანა მოეხერხებინა კიდევაც, მაგრამ ამ მედროვის წრესგადასულმა თავაშვებულებამ და პარპაშმა საქართველოს ყველა დიდებულები აღაშფოთა: მათ მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს და ისინი «მტკიცე დგეს ერთგულობასა ვახტანგისასა». ჟამთააღმწერელის მოწმობით «სხვათა მთავართა ქართველთა არა სთნდა მეფობა დავითისი», უეჭველია იმიტომ, რათგან კარგად ესმოდათ, რომ ხუტლუბუღას ის თავის სათამაშო ბურთად ეყოლებოდა ქცეული. ყველა ქართველ დიდებულთა ერთსულოვანი წინააღმდეგობის გამო, ხუტლუბუღამ საქმე წააგო და მონღოლთა ურდოშიც «არა მოსცეს მეფობა დავითს»[132].

ოთხი თვის შემდეგ, მძიმე ავადმყოფი არღუნ ყაანი 1291 წ. მარტში მოკვდა. ამის შემდეგ ხუტლუბუღას, მომხრე ნოინების დახმარებით, კვლავ გამარჯვების იმედი მიეცა, მაგრამ მაინც ვერას გახდა, რათგან მის წინააღმდეგ მოწყობილი ასეთი შუღლისდა მიუხედავად, მაინც «მტკიცედ ეპყრა მეფობა ვახტანგს»[133]. ამავე წელს გაყაანებულმა არღუნის ძმამ ქეღათუმაც

---

[131] იქვე, გვ. 744.
[132] **ჟამთააღმწერელი**, გვ. 745.
[133] იქვე, გვ. 746.

ვახტანგ მეფეს დაუჭირა მხარი და მისი მდგომარეობა ერანის ილხანის კარზეც განმტკიცდა, მაგრამ ვახტანგ II,ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ, მოულოდნელად გარდაიცვალა.

ხანმოკლე მეფობისდა მიუხედავად, ვახტანგმა, ისტორიკოსის ცნობით, პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურა. თვით მის მეტოქეს, დავით დემეტრეს ძესაც-კი ვახტანგ მეფის ესოდენ ხანმოკლე სიცოცხლე და ნაადრევი სიკვდილი მეტად სწყენია: «ვითარ ცნა დავით სიკუდილი ვახტანგისი, განმწარდა სიკეთისა და სიჭაბუკისა მისისათვის და იგლოვა წესისაებრ და ფრიად პატივსცა და წარგზავნა გელათს, სამარხოსა მეფეთასა»-ო ამბობს, ჟამთააღმწერელი[134].

სრულიადი საქართველოს სახელმწიფოებრივი მთლიანობის კვლავ ჩაშლა

XII დავითVI დემეტრე თავდადებულის ძე და კოსტანტინე დავით ნარინის-ძე

1. დავით VI გამეფების გარემოება აღმ. საქართველოში და კოსტანტინესი დას. საქართველოში

ვახტანგის მოულოდნელმა და ნაადრევმა სიკვდილმა დიდი გავლენა მოახდინა საქართველოში. იმ დროსაც, როდესაც ხუტლუბუღამ დავით-ნარინის-ძე არღუნ ყაანს საქართველოს მეფედ გამოსადეგ პირად დაუსახელა, მას პირადად რასაკვირველია, საქართველოს პოლიტიკური და ეროვნული მიზნით არ უხელმძღვანელია, არც მისი გაერთიანების განსახორციელებლად ირჯებოდა. როგორც დავრწმუნდით, ორი წლის შემდეგ ეს ყველასათვის ცხადი უნდა შექმნილიყო. მით უმეტეს ვახტანგ მეფის სიკვდილის შემდეგ ხუტლუბუღა სრულიადი საქართველოს მთლიანობის შესანარჩუნებლად თავს აღარ შეიწუხებდა. გამოცდილებამ დაარწმუნა, რომ მისთვის და მისი თვითნებური ქცევის თავისუფლებისათვის გაერთიანებული, ძლიერი საქართველოს მეფე უფრო საზიანო იყო, დანაწილებული, დასუსტებული ქვეყნის მესაჭე-კი ნამდვილად მის ხელში იქნებოდა.

ვახტანგის მოულოდნელმა სიკვდილმა ისე იმოქმედა მის მოხუცებულს მამაზე, დავით-ნარინზე, რომ «შემდგომად მცირეთა წელთა შეისვენა»-ო 1293 წ. გარდაცვლილი დავით IV-ის მაგიერ, მისი სამი შვილითგან «მიიღო მეფობა კოსტანტინე პირმშოობისა ძალითა», მაგრამ უფროს ძმას მისი მომდევნო მიქაელი აუჯანყდა და რაჭა და არგვეთის თემები ხელში ჩაიგდო[135]. ამის გამო დას. საქართველში შუღლი დაიწყო და ქვეყანაც აიშალა. ასეთი არეულობა კარგა ხანს გაგრძელდა და, თუმცა დროგამოშვებით ძმები შერიგდებოდნენ ხოლმე, მაგრამ

---

[134] **ჟამთააღმწერელი**, გვ. 746-747.
[135] იქვე, გვ.747.

მათი დაზავება ხანგრძლივი არ იყო და აშლილობა და შფოთი კვლავ ატყდებოდა ხოლმე. ამ ძმათა შორის, ბრძოლასა და სისხლის ღვრას მხოლოდ მათმა სიკვდილმა მოუღო ბოლო და ქვეყანა მოასვენა.

ამნაირად, ვახტანგის ნაადრევი სიკვდილის შემდეგ, არამც თუ მარტო საქართველოს მთლიანობა ჩაიშალა, არამედ არეულობამ დას. საქართველოშიც იჩინა თავი და ქვეყნის უფრო მეტი დაქუცმაცების საშიშროება მწვავედ საგრძნობი გახდა.

ქეღათუ ყაანი, ვახტანგ II- ის სიკვდილის შემდეგ, საქართველოს სამეფო ტახტზე ვისმე დასმას არ ჩქარობდა. ხუტლუბუღა, უეჭველია, ეცდებოდა ყაანს უმალ დავით დემეტრეს-ძე დაემტკიცებინა, მაგრამ მას ამისთვის ვერ მოუცლია. შესაძლებელია, ამის მიზეზი გართულებული პოლიტიკური მდგომარეობაც ყოფილიყო.

ჟამთააღმწერელს მოთხრობილი აქვს: «დაჯდა რა ქეღათუ ტახტსა ზედა, განდგა ქალაქი საბერძნეთისა», რათგან «რა საბერძნეთით მოსრულიყო ქეღათუ, ჰგონეს უცალოება ყაანისა და განდგეს». მაგრამ ქეღათუ ყაანმა «მაშინ მოუწოდა ყოველთა სპათა მისთა და მეფისა დემეტრეს-ძესა დავითს [და] მთავართა ქართლისათა» და «საბერძნეთში» გაილაშქრა.

რაკი «საბერძნეთად» აქ ნამდვილად რუმის სასულტნო იგულისხმებოდა და იქ ქეღათუს გაყაანებისას მართლაც ტაღაჯარის აჯანყება მოხდა, ამიტომ საფიქრებელია, რომ ქართველი ისტორიკოსის ზემომოყვანილი ცნობა ამ აჯანყების ერთ ეპიზოდთაგანს უნდა ეხებოდეს.

«საბერძნეთითგან» დაბრუნების შემდეგ, მოუწოდა ყაანმა დავითს და ჰრქვა: ვინათგან დასდევ თავი შენი მსახურებად ჩემთვის და სდგა [ხარ] ერთგულობასა ჩემსა ზედა, მომიცემია მეფობა და სამეფო შენთვის»-ო[136]. რაკი ეს ამბავი ქეღათუს ყაანობის დასაწყისშივე არის ისტორიკოსისაგან ნაგულისხმევი, ამიტომ უნდა 1293 წ. იყოს მომხდარი. ამ თარიღის სისწორე რაშიდედინის იმ სიტყვებითაც[137].დასტურდება, რომ ქეღათუმ სიკვდილის ორი წლით უწინარეს მეფობა დემეტრეს ძეს დავითს მისცა[138]. ქეღათუს მეფობის უკანასკნლელი წელიწადი 1295 წ. იყო, ამიტომ ცხადი ხდება, რომ სპარსელ ისტორიკოსსაც თარიღად 1293 წ. ჰქონია ნაგულისხმევი.

2. დავით VI-ის საბრძანებლის საზღვრები და ოსთა ქართლში თარეში, როგორც ქვეყნის აშლილობის ერთი ნიშანთაგანი

მეფედ დაჯდომის ნებართვის მიღების შემდეგ რომ დავით დემეტრე თავდადებულის ძემ საქართველოს დედაქალაქისაკენ იბრუნა პირი, ჟამთააღმწერელის სიტყვით, «თანა-წარმოატანა სპანი საქართველოსანი, შანშა და ხუტლუბუღა და ყოველნი დიდებულნი». ცხადია, რომ დავითის სამეფო უკვე სრულიად საქართველოს აღარ შეიცავდა, არამედ მხოლოდ ლიხთ-ამერეთისაგან-ღა შესდგებოდა.

---

[136]იქვე, გვ. 749.

[137] **რაშიდედდინს** შეცდომით აქვს ნათქვამი მხოლოდ, რომ ვახტანგ მეფე აჯანყების გამო გადააყენა და მის მაგიერ დავითი გაამეფაო. (ჰამმერი, II, 69). **ვახუშტი** თარიღად 1294 წ. სდებს, ბროსსეს 1292 წ. აქვს მიღებული (H. d. G., I, 612).

[138] ჰამერი,II, გვ.69.

მეფეს ეგონა, რომ მისი პაპის დანაშაული ჯაყელის წინაშე მის შვილს ბექას არ შეეძლო მისთვის, შვილიშვილისათვის, მოეხვია თავზე და პასუხისმგებლობა დაეკისრებია. ამიტომ დავითმა იფიქრა, რომ უკვე დრო იყო, მესხეთი პოლიტიკურად კვლავ უშუალოდ საქართველოს დაჰკავშირებოდა:ტფილისში დაბრუნებისთანავე მან «მოუწოდა სამცხით ბექასა», რომ სხვებთან ერთად მასაც ქვეყნისა და სამეფოს საქმეებში მონაწილეობა მიეღო. მაგრამ დავით VI-ის მოლოდინი არ გამართლდა: ბექამ «არა ინება მოსვლად, რამეთუ ფრიად განდიდებულ იყო» და «თვით არღარა წარვიდის არცა ყაანს წინაშე,, არცა მეფესა თანა»-ო, განმარტებული აქვს ისტორიკოსს. სამაგიეროდ მან დავით VI-ეს თავისი პირმშო შვილი «სამცხის სპასალარი სარგისი» აახლა, რომელმაც დავითს მისი მამის დემეტრე თავდადებულისაგან მიბარებული ქონებაც მიართვაო[139].

საეჭვოა, რომ, თუ ერანის ილხანი დაიბარებდა, ბექას გაებედა და არ წასულიყო, ასეთი ურჩობა რომც გაებედა, ამას მონღოლთა ყაანები, უეჭველია, არ შეარჩენდნენ. მაგრამ დავით VI-ის მიწვევის საპასუხოდ ზრდილობიანი უარი ცხად-ჰყოფდა, რომ მის პოლიტიკურ მისწრაფებას საქართველოს კეთილდღეობა და ძლიერე ბა-კი არა, არამედ პირადი პატივმოყვარეობა და ბატონობა შეადგენდა.

ჯერ კიდევ მაშინ, როცა დავით VI მეფედ დამტკიცებული არ იყო და საქართველოში არც-კი იმყოფებოდა, ქედს აქეთ გადმოსული «იწყეს ოვსთა ოჴრებად, ჴოცად და რბევად და ტყუენვად ქართლისა»[140]. ასეთი მეკობრობით გათამამებულებმა გორის ხელში ჩაგდებაც-კი მოახერხეს. მთი თარეშისა და ცარცვა-გლეჯის მოსასპობად ქართლის ერისთავის ბეგა სურამელის ძეს ამადას მეთაურობით ქართლელებმა მოიყარეს თავი და გორს მიადგნენ. მრავალგზისი ბრძოლისა და ორთავე მხრით დიდი მსხვერპლის შემდეგ, « დასწვეს გორი სრულიად». ოსები გორის ციხეში შეიხიზნენ და, როცა იქაც გაუჭირდათ, «ციხიდაღმან გარდმოშვეს საბლითა კაცი და წარავლინეს მუხრანს მდგომთა თათართა-თანა», დახმარების სათხოვნელად. იმათაც თხოვნა აუსრულეს, გაჭირვებულ ოსებს დაეხმარნენ და ქართველებს ამ მეკობრე ოსებთან ზავი დაადებინეს. ცხადია, რომ ამნაირად მოწყობილს დაზავებას სულიერი განწყობილების დაწყნარებს არ შეეძლო და, ჟამთააღმწერელის ცნობითაც, «მიერითგან შეიქმნა მტრობა შორის ქართველთა და ოვსთა», რომელიც მე-14 ს. პირველ ათეულებამდის გაგრძელდა[141].

დავით VI-ის გამეფების შემდეგაც, თუმცა «ფარაჯან ოვსთა მთავარი მსახურებდა კეთილად მეფესა», როგორც საქართველოს ყმადნაფიცი, მაგრამ, რაკი დავით VI შემდეგშიც «უმეტესთა ჟამთა იყვის წინაშე ყაანისა», ოსთა თარეში ქართლში იშვიათი შემთხვევა არ იყო. ამტომაც « აქვნდათ მტერობა ქართველთა და ოვსთა» და ისე იყვნენ ერთმანეთზე გაბოროტებულნი და «ესოდენ გარდაეკიდნიან ერთმანეთს», რომ, თუ სადმე მათ შეხლა მოუხდებოდათ, «რომელიცა მძლე ექმნის, მოკლის» მოწინააღმდეგეო.

ოსთა კადნიერება იმდენად დიდი იყო, რომ ქართლის ერისთავთ-ერისთავზე თავდასხმასაც თურმე ადვილ საქმედ სთვლიდნენ. ისტორიკოსს ერთი ასეთი შემთხვევის ამბავი აქვს მოთხრობილი ამ ხანს «წარვიდეს ქალაქსა ორნი ოვსნი ვაჭრობად», თითონაც მუზარად-ჯაჭვით შეჭურვილნი და ამალაც. უკან დაბრუნებისას, მათ გზაზე დახვედრილ ერთ გლახაკთან ბაქიაობა დაუწყიათ და დაცინვით უთქვამთ:» ევედრე ღმერთსა, რათა დღეს ჩვენი და სურამელის ბეგას შვილის ჴმალი ერთგან შეიყარნენ»-ო. შემთხვევით ამ ორ ოსს,

---

[139] **ჟამთააღმწერელი**, გვ. 749.
[140] იქვე, გვ. 748.
[141] იქვე, გვ. 749.

რომელთაგან ერთს სახელად სათხისი ჰრქმევია, მეორეს უზურაბეგ, ნატვრა აუსრულდათ, და პატარა მანძილის გავლის შემდეგ, მათ შეხვდათ კიდეც «ნადირობასა შინა მყოფი რატი მცირითა კაცითა და უსაჭურველო». რაკი ოსებმა ბეგა სურამელის შვილი ასეთს მდგომარეობაში ნახეს, მისი უსაჭურველობით გათამამებულები «მყის ზედა მიეტევნეს». მაგრამ რატიმ «აღიღო ფარი და დაუდგა სივიწროესა წყლის გასავალსა» და ჯერ სათხეს «უხეთქნა მუზარადსა, გაუპო და ჩამოაგდო" მკვდარი, შემდეგ, როდესაც რატის «უზურაბეგ მოუჴდა, ჰკრა მასცა ჯაჭვიანსა მჴარსა, განუკუეთა და ჩამოაგდო» ისიც. მაშინ-კი მათ თანამყოლ «სხვათა ოვსთა»-ც თავიანთ მეთაურების ასეთი მოულოდნელი მარცხი და სიკვდილი რომ ნახეს, გაქცევა ირჩიეს[142].

ზემომოყვანილი ამბავი საყურადღებოა, როგორც მკაფიოდ გამომჟღავნებელი გარემოება, თუ რაოდენად შერყეული ყოფილა უკვე მაშინ აღმ. საქართველოს მოსახლეობის მყუდროება. ადამიანს მიმოსვლის უშიშროებაც-კი უზრუნველყოფილი აღარ ჰქონია და მეკობრობა იმ დროს, როგორც ჩანს, ჩვეულებრივ მოვლენად უნდა ყოფილიყო ქცეული.

3. ერანის საყაანოს მონღოლთა შინაურს ბრძოლაში აღმ. საქართველოს მეფის ჩათრვა

ერანის ილხანების ნოინებსა და ქეღათუს შორის ჩამოვარდნილი მტრობის გამო რომ მონღოლთა ბატონიშვილმა ბაიდუმ გაყაანება მოიწადინა, შეთქმულების შესახებ გაფრთხილებულმა ქეღათუ ყაანმა, თაღაჯარის რჩევით, მისი მონაწილე ნოინები არ დახოცა, თუქალ ნოინი-კი საქართველოშიც-კი წარმოავლინა[143].

საქართველოში 1295 წ. მოსვლის შემდეგ, თუქალი «იდგა მთათა არარატისათა» და იქითგან დავით VI-ესთან მოლაპარაკება მოიწადინა. მეფე რომ თუქალთან მივიდა, მან, უეჭველია, წინასწარ განზრახული მიზნით, დავითი დიდი პატივისცემით მიიღო და «შეიყვარა». ამასთანავე თუქალმა «ინება, რომელ ფიცთა მიერ ქმნან ერთობა სიყუარულისა». ეს განზრახვა განახორციელეს კიდეც: «დაამტკიცეს ერთობა». ამ შეთანხმებასა და ერთობის ხელშეკრულებას თან ქონებრივი გამორჩენაც დაერთო, სეხელდობრ, თუქალმა დავით VI-ეს «მოსცა დმანისი, რომელი აქვნდა ხუტლუბუღას ძმასა, განძასარსა»[144]. როგორც ვიცით, დმანისი დემეტრე II-ეს ჯერ კიდევ სადუნ მანკაბერდელმა დასტყუა და მაშინაც ასეთი მნიშვნელოვანი ქალაქის სხვის ხელში გადაცემა მეფეს ძალიან ეძნელებოდა. მით უმეტეს დიდ მონაპოვრად უნდა მიეჩნია მისი დაბრუნება დავით VI-ეს, რომლისთვისაც ეს გარემოება ორი თვალსაზრისით იყო სასიამოვნო: ერთი მხრით, როგორც ხუტლუბუღას გავლენიანობის შემცირების გამომჟღავნებელი, ხოლო მეორე მხრით, როგორც სამხედრო თვალსაზრისითაც და ეკონომიურადაც მნიშვნელოვანი ქალაქის კვლავ დაპატრონება.

4. ერანში ყაზან ყაანის გამარჯვება და სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა

---

[142] იქვე, გვ. 750.
[143] **ჰამერი**, I, გვ. 406.
[144] **ჟამთააღმწერელი**, გვ. 750-771.

ცხადია, თუქალ ნოინის ზემოაღნიშნული მოქმედება პოლიტიკური მიზნით იყო ნაკარნახევი და ბაიდუს გაყაანებისათვის ნიადაგის შემზადებასა და მომხრეთა შეგროვებასთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული. მართლაც, 1295 წ. მარტის დამლევს თუქალი საქართველოში შეკრებილი ჯარითურთ ქეღათუ ყაანის წინააღმდეგ დაიძრა. ეს საკმარისი აღმოჩნდა, რომ ერანში, ფილსუვართან მდგომი ქეღათუ ყაანი შეეპყრათ და 1295 წ. 24 მარტს მოეკლათ. ორი დღის შემდეგ ბაიდუ ყაანად დასვეს[145], მაგრამ ბაიდუს ერანის ილხანობა მეტად ხანმოკლე გამოდგა: შვიდი თვისა და ათი დღის შემდეგ, 1295 წ. 4 ოქტომბერს ბაიდუ უკვე ყაზანმა მოაკვლევინა და თვითონ გაყაანდა[146].

რაკი, მონღოლური წესის მიხედვით, ბაიდუს მოკვლასთან ერთად «მისთანა მრავალნი ნოინნი» მის მომხრეებად ცნობილნიც დაისაჯნენ, ამიტომ დავით VI-საც სახიფათო მდგომარეობა შეექმნა იმ კავშირის გამო, რომელიც მას ბაიდუსთვის თავგამოდებულ მომხრე თუქალ ნოინთან ჰქონდა. მაგრამ ამ დროს განსაცდელს გადაურჩა, «დაიცვა ღ´თან მეფე»-ო. სამაგიეროდ თავზარდაცემული თუქალი შიშით ერანითგან «ივლტოდა და მივიდა სამცხეს ბექასასა, რომელი მთავრობდა ტასისკარითგან ვიდრე კარნუქალაქამდე». თითონ თუქალმა დავით VI-სთან შეხიზვნა თავისთვის სახიფათოდ მიიჩნია, მაგრამ თავისი «შვილი წარგზავნა მეფისა დავითის წინაშე».

ყაზან ყაანი, რასაკვირველია, ამას თუქალს არ შეარჩენდა და ამიტომ «წარმოავლინა მოციქული მეფესა და ბექასა [წინაშე]» და მოსთხოვა, რომ «მისცენ თუქალი და შვილი». ყაანმა ეს მოთხოვნა ორივეს «ორ-გზის» შემოუთვალა, მაგრამ იმათ შეხიზნულების გაცემა არ უნდოდათ და ცდილობდნენ, რომ ყაანს მათთვის ეპატიებინა და თუქალისათვის მიეცა წინასწარ «პირი და ბეჭედი უვნებლობისა». ყაზანმა ეს აასრულა და დავით VI-ემა და ბექამ ამის შემდეგ «მისცეს თუქალი და მისი შვილი ყაანს»[147].

თუმცა, თუქალისა და მისი შვილის დანებების გამო, ყაზან ყაანი დავით მეფის კმაყოფილი იყო, მაგრამ მაინც მან პირადად ყაზანთან წასვლა ვერ გაბედა: «ვერ გულს-იდგინა წარსვლა ურდოსა, შიშისათჳს რომელ აქვნდა სიყვარული თუქალისი», ვაი თუ ბოლოს ისეთივე საქმე დამემართოს, როგორც თუქალსაო[148].

1295 წ. გაყაანებული ოცი წლის ჭაბუკი ყაზანი გამაჰმადიანებული იყო და, ილხანად ქცევის შემდეგ, მან განკარგულება გასცა, რომ ყველგან მის საბრძანებელში ქრისტიანეთა ეკლესიები, მონასტრები, ცეცხლთაყვანისმცემელთა საგზებლები და ბუდდას მოძღვრების მიმდევართა სამლოცველოები დაენგრიათ, ხოლო ხატები და ქანდაკებები დაელეწათ. თავაშვებული სარწმუნოებრივი დევნა, განადგურება და ცარცვა-გლეჯა დაიწყო ისეთივე სიმკაცრით, როგორც მაჰმადიანობის ბატონობის უსაშინელეს ხანაში იყო ხოლმე[149]. სხვა ქვეყნებთან ერთად, რასაკვირველია, საქართველოცა და სომეხთა თემებიც დაზარალდნენ. ამ დევნა-განადგურების თაოსნობასა და ხელმძღვანელობას ქართველი ჟამთააღმწერელი[150] და სტ. ორბელიანი[151] ნაურუზ ნოინს მიაწერენ. მაგრამ ქრისტიანეთა დევნა რომ მარტო ნაურუზის

---

[145] **ჰამმერი**,I, გვ, 408.
[146] იქვე,II გვ. 30.
[147] **ჟამთააღმწერელი**, გვ. 752; **სტ. ორბელიანი**, გვ. 472.
[148] იქვე, გვ. 752.
[149] **ჰამმერი**, II, გვ. 30.
[150] **ჟამთააღმწერელი,** გვ. 752-753.
[151] **სტ. ორბელიანი**, გვ. 472.

გავლენის შედეგად არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს, თუნდაც იქითგანაც ჩანს, რომ წინანდელზე მეტი სიმკაცრით სარწმუნოებრივი დევნა 1298 წ-საც ატყდა, როდესაც ნაურუზი უკვე მკვდარი იყო[152].

ყაზან ყაანის დროს ქრისტიანეთა დევნილობისდა მიუხედავად, ქართველი ჟამთააღმწერელი ყაზანს, როგორც მმართველს, ძალიან აქებს სამართლიანობისა და წესიერბის დამყარებისათვის. მისი სიტყვით « იყო ყაზან ფრიად რამე კეთილი და უბოროტო და სიმართლისმოქმედ იყო უფროს ყოველთა უწინარესთა ყაანთაო»-ო. გაჭირვებული ხალხის მდგომარეობას იმდენად დიდ ყურადღებას აქცევდაო, რომ, შეიტყობდა თუ არა, «გლახაკთა და შეურაცხთა კაცთა» რაიმე გასაჭირს, უეჭველად «თვით განიკითხის პირისპირ». ყაზანს იმდენად «უყუარდა სამართალი, რომელ დღეთა მისთა არა იქმნებოდა ძალი და უსამართლობა არც დიდთა და არც მცირეთა»-ო[153].

მის დიდ ნოინს ხუტლუშაჰს საშუალება ჰქონდა პირადად დარწმუნებულიყო როგორ სცარცვავდნენ და ჰყვლეფდნენ ხალხს აღმ. საქართველოში მონღოლთა საყაანოს გადასახადების ამკრები მოხელეები. საქართველოთგან დაბრუნებულმა ხუტლუშაჰმა ყაზან ყაანის კარზე ამ სამმართველოს უფროსს სადრუდ-დინ ზენჯანელს აღშფოთებით უსაყვედურა კიდევაც, რომ მისი ხელქვეშეთი მოხელეები ამ ქვეყნის ფინანსიურს კეთილდღეობას ძირს უთხრიან. იმის მაგიერ, რომ ამ უფროსს თავისი უწყების ანგაარი თანამშრომლების ალაგმვა ეკისრა, სადრ-უდ-დინ ზენჯანელმა იმის შიშით, რომ ყაზან ყაანი ამ გარემოებას შეიტყობდა და ამისთვის ულმობელად პასუხს აგებინებდა, დასწრება მოიწადინა: ყაზან ყაანთან წარსდგა და თავისი დანაშაულება ურცხვად თვით ხუტლუშაჰს გადააბრალა, საგადასახადო სამმართველოს ამ ვერაგმა უფროსმა ილხანს მოახსენა: ხუტლუშაჰის ხელქვეშეთმა ჯარის უფროსებმა საქართველო გაანადგურესო. ყაზან ყაანმა ამის გამო ხუტლუშაჰს ალმაცერად ცქერა დაუყო, მაგრამ მერმე გაიგო, ვინც იყო ნამდვილი დამნაშავე და ეს უღირსი, თანაც ვერაგი ადამიანი ყაზანმა ხუტლუშაჰს მისცა მოსაკლავად[154].

ყაზან ყაანს ქართველი ჟამთააღმწერელი ტყუილად არ აქებს: ერანის ილახანებს შორის ის მართლაც საუკეთესო და ნიჭიერი, ქვეყნის კეთილდღეობის გაუმჯობესებაზე მზრუნველი მმართველი იყო. სახელმწიფოს წესწყობილებისა და სამართლის, ისევე როგორც ეკონომიური პოლიტიკის არც ერთი ძირითადი საკითხი არ ყოფილა, რომლისთვისაც ყაზან ყაანს ყურადღება არ მიექციოს და მათ გასაუმჯობესებლად ფრიად მნიშვნელოვანი ღონისძიება არ ეხმაროს.

ყაზან ყაანმა კარგად იცოდა იმ აუწერელი უწესობისა და თავაშვებული ბოროტმოქმედების ამბავი, რომელსაც საყაანოს ყველა მოხელეები ურცხვად აწარმოებდნენ. ამის ძირიანად ამოსაფხვრელად, ყაზანმა თავის მთელ საბრძანებელში ხალხისა და ქონების ხელახალი აღწერა მოახდენინა, განსაზღვრა თითოეულზე შეწერილი გადასახადის ოდენობა, შეადგენინა «ხარაჯის კანონი» და მისი დამტკიცებული დედნითგან საყაანოს ბეჭდით შემკულ-შემოწმებული ამონაწერები დაარიგებინა მოსახლეობისათვის, რომ თითოეულ მათგანს სცოდნოდა, რა-და-რა გადასახადი, სახელდობრ რა ოდენობით უნდა გამოეღო ყოველ ნახევარ წელიწადს, რათგან ყაზან ყაანმა გადასახადების ასაკრები ვადა წელიწადში ორჯერ დააწესა. გადასახადების ზოგადი ნორმები ქვებზეც ამოაჭრევინა და მოედნებზე და მიზგითების კედელზე დაამაგრებინა. ამასთანავე ილხანმა საყოველთაოდ გამოაცხადა, რომ ყოველი ქვეყნის

---

[152] **ჰამმერი**,II, გვ. 70-71.
[153] **ჟამთააღმწერელი**, გვ. 754.
[154] **რაშიდედდინი, დოსონი**, IV, გვ. 198-199.

საგადასახადო სამმართველოს უფროსი (ბასკაკი), მოიჯარადრეთა მთავარი გამგე (მელიქი) და მდივან-მწიგნობარი (ბიტექჩი), რომელიც დაკანონებულ ცნობებს შესცვლიდა და სიმართლეს უმტყუნებდა, სიკვდილად დაისჯებოდა, და ამ თავის განკარგულებას ყაზან ყაანი ულმობელად ასრულებდა კიდეც.

უკვე ჩინგიზ-ხანის დროითგან მოყოლებული, ყველა ყაანებმა იცოდნენ, რომ ხალხისათვის ნამდვილ რისხვას სამიმოსვლო, ბეგარა, ე. წ. საიამე წარმოადგენდა. დავალებათა და საქმის სასწრაფოობისა და აუცილებლობის მომიზეზებით, მონღოლთა ყაანების ბატონიშვილები, ელჩები და სხვა მოხელეები გლეხკაცებს მუშაობის დროსაც-კი ართმევდნენ ხოლმე ცხენებს. არა ერთი მათგანი წაყვანილ ცხენს, თუ მოეწონებოდა, პატრონს აღარც უბრუნებდა. ყაზან ყაანმა შიკრიკებს გლეხებისაგან ცხენ-სახედრების წაყვანა -წართმევაც კვლავ სასტიკად აუკრძალა.

მიწის გადასახადებით მეტისმეტი დატვირთულობისა და მაშინ გამეფებული საშინელი მევახშეობის გამო, მისი დამუშავება ხელსაყრელი აღარ იყო. ამიტომ გლეხები თავიანთ მიწას სტოვებდნენ და გარბოდნენ: ქვეყანა გაუკაცრიელდა და გაოხრდა. ყაზან ყაანმა ამ საშიში მდგომარეობის გამოსასწორებლად და მიწისმოქმედებისათვის ხელშემწყობი პირობების შესაქმნელად, რაკი ნაოხარი სოფლების კვლავ აღდგენა განიზრახა, მოახალშენეთა წასაქეზებლად დააკანონა, რომ ყოველი მეკომური, რომელიც გაპარტახებულ მიწას დაამუშავებდა და კორდს გასტეხდა, პირველ წელიწადს ყოველგვარი გადასახადისაგან იქმნებოდა განთავისუფლებული, მეორე წელიწადს გადასახადის ნორმის მხოლოდ ერთი მესამედი ნაწილი გამოერთმეოდა, მესამე წელიწადს-კი ნახევარი. ამისათვის მან ცალკე საახალშენო სამმართველოს მსგავსი დაწესებულებაც-კი დააარსა.

ქვეყნის ეკონომიური კეთილდღეობისათვის ფართო საფუძვლის შესაქმნელად, ყაზან ყაანმა კერძო მესაკუთრეთა ნაოხარ მიწებსაც მიაქცია ყურადღება და ბრძანება გამოსცა, რომ ყველას უფლებას აძლევდა დიდი ხნის განმავლობაში მიტოვებულ-დაუმუშავებული, კორდგაუტეხელ მიწად ქცეული, სხვისი საკუთრება თუნდაც მესაკუთრის დაუკითხავად მოსახნავად და დასამუშავებლად აეღო. პატრონის ნებართვა მხოლოდ იმ შემთხვევაში იყო საჭირო, თუ მიწა მარტო ორი წლის განმავლობაში არ იყო დამუშავებული. თუნდაც რომ ნაოხარ მიწას შემდეგში ნაკვეთის წინანდელი პატრონი გამოსჩენოდა და კორდგამტეხელსა და მოახალშენეს წამოსდავებოდა, წართმევის უფლება მას მაინც არ ჰქონდა, შეეძლო თავისთვის იმ გადასახადის მხოლოდ ერთი მესამედი მოეთხოვა, რომელსაც მოახალშენე, ან დამმუშავებელი მანამდე მთავრობას აძლევდა.

ყველა ამ ღონისძიებამ ქვეყნისა და მოსახლეობის ეკონომიური მდგომარეობის ნელნელა გაუმჯობესებას შეუწყო ხელი.

5. ურთიერთი უნდობლობა ყაზან ყაანსა და დავით VI-ეს შორის, დავით მეფის ურჩობა და მისი ქცევისა და პოლიტიკის საბედისწერო შედეგი ქვეყნისათვის

1297 წ. ნოემბრის დამდეგს ყაზან ყაანმა დავით VI –ეს მოციქული გამოუგზავნა და თავისთან მიიწვია. მეფეც თითქოს ურდოში წასასლელად გაემზადა, მაგრამ ამის მაგიერ კახეთში და ჰერეთში მივიდა. იქ მას მიეგებნენ “ჰერკახნი დიდებულნი და აზნაურნი”, მათ შორის აგრეთვე “ერისთავი სამადავლა, კაცი ყოვლითა სამჴედროთა ზნითა შემკობილი და მოისარი რჩეული”. ჰერეთში მეფე დარბაზის კარს მყოფ უმაღლეს ხელისუფლებს შეეკითხა,

“განეზრახა ვაზირთა, უკეთუ წარვიდე ურდოსა,[ანუ არა]”-ო. ეტყობოდა, რომ დავით VI–ეს, თუქალთან წინანდელი მეგობრობის გამო, მაინც ყაზანის შურისძიებისა ეშინოდა და წასვლა არ უნდოდა, მაგრამ “დაუმტკიცეს ვაზირთა წარსვლა” და ისე გამგზავრება ურჩიეს, მეფემ ამ რჩევას არავითარი ყურადღება არ მიაქცია: ყაზანთან გამგზავრების მაგიერ, მთიულეთში შეიხიზნა და ჟინვანში გამაგრდა. აქ დავით VI –ემ “შეკრა სიბა და მცველნი დაუდგინა”[155], თვით მეფე-კი, სტ. ორბელიანის ცნობით მოდამნახეს ციხეში ყოფილა დაბინავებული[156].

დავით VI მარტო ამით არ დაკმაყოფილებულა: მან იმავე საშუალებას მიჰმართა, რომლითაც თავის დროზე დავით-ნარინი მოქმედებდა ხოლმე. მეფემ გადასწყვიტა ერანისა და ოქროს ურდოებს შორის არსებული მტრობით ესარგებლა და ილხანის წინააღმდეგ სწორედ მათი ეს მეტოქე აემხედრებინა. ამ მიზნით დავით VI–ემ “წარავლინა ძმა თივსი უმრწემესი ვახტანგ ელჩად დიდისა ბათოს შვილისშვილისა” წინაშე და შეჰპირდა, “უქადა გზა გამოსავალად ყაანს,[ყაზანს] ზედა”, რასაკვირველია, თუ იგი მის წინააღმდეგ დაეხმარებოდა. ჩრდილოეთის ურდოს ყაანისათვის ეს იმდენად სასიხარულო ამბავი იყო, რომ ასეთი წინადადება, რასაკვირველია, “მან კეთილად შეიწყნარა”.

ერანის ილხანისათვის ეს ამბავი მეტად სახიფათო შესაძლებლობის მომასწავლებელი იყო, რომ აღმ. საქართველოს მეფისა და ოქროს ურდოს ყაანებს შორის პოლიტიკური კავშირის ჩასაშლელად მას ყოველი ღონისძიება არ ეხმარა, რათგან საკმარისი იყო დავით VI–ეს ჩრდილოეთის ულუსისათვის დარიალანის კარი გაეხსნა, რომ ერანის ილხანის საბრძანებელი დიდს განსაცდელში ჩავარდნილიყო. ამის გამო ყაზან ყაანმა საქართველოში “წარმოგზავნა ხუტლუშაჰ მჴედართ-მთავარი… დიდითა სპითა”, რომელმაც ტთილისში მოსვლისთანავე გაგზავნა “მოციქული მეფესა დავითს წინაშე” და შეუთვალა, რომ მონღოლები მეფესთან ზავს დასდებდნენ, თუ იგი შეჰფიცებდა “ერთგულებასა ყაზანისასა და არა მიქცევასა მტერთა კერძო”, ე. ი. თუ ოქროს ურდოს ყაანს არ მიემხრობოდა. ამ აღთქმის ასრულების საწინდარად მონღოლებმა მეფისაგან “ითხოვეს კაცნი სარწმუნონი მისანდობელად”.

დავით VI ამ პირობას დათანხმდა, მაგრამ თავის მხრითაც ერანის მონღოლებისაგან “ითხოვა მძევალნი”, რის თანხმობაც მიიღო. ამის შემდეგ მეფემ წარავლინა “კათალიკოზი აბრამ, ბურსელი ივანე, ტფილელი ყადი”[157]. ყაზან ყაანის ხელისუფლებმა მეფეს “მისცეს ბეჭედი ყაანისა და სამტკიცე უვნებლობისა”, ხოლო მძევლებად გამოგზავნეს თვით “ხუტლუშას შვილი სიბუჩი (სტ. ორბელიანით შიპაუჩი), ყურუმჩის ძმა არფა და სხვათა ნოინთა შვილნი”[158]. უკვე მთელ ამ გარემოებითგან ჩანს, თუ რამდენად შეშფოთებული ყოფილა ერანის ილხანი იმ საშიშროებით, რომელსაც აღმოსავლეთ საქართველოსა და ჩრდილოეთის ურდოს პოლიტიკური კავშირი უქადდა.

როცა დავით VI-ემ თავისი უვნებლობა ამ წესით უზრუნველჰყო, წავიდა ხუტლუშაჰთან და ყაზან ყაანთან გაზაფხულზე გამგზავრებას შეჰპირდა. ამის შემდგომ მეფე თავისთან დაბრუნდა, მასთან მძევლებად დატოვებული მონღოლები უხვად დაასაჩუქრა, “მისცა ნიჭი დიდი და განუტევა”. ხუტლუშაც საზამთროდ რანში წავიდა[159], მაგრამ გაზაფხულზე დავით VI-ემ ყაზან ყაანთან წასვლა მაინც არ მოისურვა, რათგან ილხანს არ ენდობოდა. ამის მაგიერ მეფემ ისევ ჩრდილოეთისაკენ იბრუნა თავისი პოლიტიკური გეზი და კვლავ “წარავლინა ძმა მისი ბაადურ დიდისა ყაანისა თოხთას წინაშე” ისეთივე წინადადებით, როგორითაც

---

[155] **ჟამთააღმწერელი,** გვ. 755.
[156]**სტ. ორბელიანი,** გვ. 476.
[157] **ჟამთააღმწერელი,** გვ. 755-756.
[158] იქვე, და **სტ. ორბელიანი,** გვ. 477.
[159] იქვე.

პირველად[160]. თოხთა ყაანს (1290-1312 წ.), რა თქმა უნდა, წინანდებურად გაეხარდებოდა, ისევე როგორც ყაზან ყაანი ამ საქციელით განრისხებული ყოფილიყო, მაგრამ პოლიტიკური შორსგამჭვრეტელობა მაინც მას სიფრთხილეს უკარნახებდა.

1301 წ. ყაზან ყაანმა შირვანსა და ლეკეთის მთიანეთში გასწია სანადიროდ, მაგრამ ამავე დროს პოლიტიკური საქმეც მოაგვარა: აქ მას მორჩილების გამოსაცხადებლად დიდი ხნის წინათ აჯანყებული ლეგების ტომთა მეთაურები წარუდგნენ. ამას გარდა ერანის ადერბეჯანითგან კავკასიონის მთებში გაქცეულები და ყაჩაღად გავარდნილებიც, რომელნიც მეზობელ სანახებს თავიანთი მეკობრობით მოსვენებას არ აძლევდნენ, ბლომად შეიპყრეს და დახოცეს[161].

საქართველოში ილხანმა ისევ ხუტლუშა გამოგზავნა, ეხლა უკვე " სპითა ურიცხვითა" და მეფეს ისევ შემოუთვალა, რომ მას თავისი დაპირება აესრულებინა, თანაც სამაგიეროდ ბევრს რამეს ჰპირდებოდა. დავით VI-ემ ისევე "წარავლინა კათალიკოზი აბრამ, ყადი, ტფილელი და იოანე ბურსელი". ხუტლუშამ იოანე ბურსელი შეიპყრა, ცხადია, ვითარცა მეფის შეპირების დარღვევისათვის ერთი პასუხისმგებელი მძევალთაგანი, კათალიკოზი და ყადი-კი უკან გამოისტუმრა. ამას გარდა მონღოლებმა "მოაოჯრეს სომხეთი, ქართლი, თრიალეთი, ეწრო", თითონ-კი მუხრანში დაბანაკდნენ და იქითგან მოყოლებული თიანეთამდის მთელი არე დაიკავეს[162].

ადვილი წარმოსადგენელია, თუ რა დაემართებოდა ამ მხარეს, მაგრამ, რაკი მონღოლებმა ამითაც თავიანთს მიზანს მაინც ვერ მიაღწიეს, ამიტომ დავით VI-ესთან მოლაპარაკება დაიწყეს. მეფე ამ შემთხვევაშიც წინანდებურად მოიქცა და 1302 წლამდე ყოველ შემოდგომა-გაზაფხულზე ამის მსგავსივე ამბავი მეორდებოდა. ასეთ პირობებში აღმ. საქართველოს მდგომარეობა, რა თქმა უნდა, თანდათან სულ უფროდაუფრო უნდა გაუარესებულიყო, რათგან დავით VI-ისაგან მიცემული სიტყვის დარღვევისათვის პასუხისმგებლად მონღოლები ხალხსა ხდიდნენ.

ამ დროს მეფის მთიულეთში შეხიზვნის გამო აოხრდა "ქართლი უბოროტესად", მაგრამ ყაანის მრისხანება ყველა სხვა თემებზე მეტად სწორედ იმ ადგილებსა და ხეობებს დაატყდათ თავს, სადაც დავით VI იმალებოდა. თუმცა უთანასწორო ბრძოლის წარმოება ამ მწირი თემის მცხოვრებთათვის მეტად ძნელი იყო, მაგრამ შალვა ქვენიფნეველს რომ არ ეღალატა და მონღოლებთან მისულს არაგვის ხეობის გზებზე გაძღოლა არ ეკისრა, ამ თემის ბუნებრივი პირობების წყალობით, მთიულეთს წინააღმდეგობის გაწევა კიდევ დიდ ხანს შეეძლო.

მაინც, რაკი დიდებულთა უმრავლესობა მეფეს მხარს უჭერდა და "დადგეს ერთგულებასა მეფისასა სურამელი აჰმადა, ამირეჯიბი აბაზასძე ჭილა და აზნაურნი ქართველნი და სომხითარნი", დავით VI-ემ ბრძოლის გაგრძელება მოახერხა და ცხავატში შესულ მონღოლებს დიდი ზიანიც-კი მიაყენა: სწორედ ამ დროს "მოსწყდა თათარი", რომელნიც–კი "შემოსრულ იყუნეს ვიწროსა გზასა კაცი მეომე ვითარ ხუთასი, რომელნი ვეღარ გამოესწრნეს გზისა სივიწროისაგან" და ამის წყალობით შეიპყრეს ხუთასივე". ზოგი მათგანი დახოცეს, ზოგნი მეფეს ტყვედ მიგვარეს[163].

მაგრამ მონღოლთა ბანაკი მრავალრიცხოვანი ჯარისაგან შესდგებოდა, მათ ომის გაგრძელება დაუბრკოლებლივ შეეძლოთ: აქ ხომ მარტო მონღოლები არ იბრძოდნენ, მათ ჩვეულებრივ თვით საქართველოთგან გამოყვანილი ჯარის გამოყენებაც იცოდნენ. ხოლო ამ

---

[160] **ჟამთააღმწერელი,** გვ. 756.
[161] **დ'ოსონი, IV**, გვ. 309.
[162] **ჟამთააღმწერელი,** გვ. 757. და **სტ. ორბელიანი,** გვ.477.
[163] **ჟამთააღმწერელი**, გვ. 759-760.

შემთხვევაში მონღოლებს "შემწედ ჰყავდა ივანეს ძე შანშა" მხარგრძელი და "მესხნი ლაშქარნი, რომელნი წარმოევლინნეს სამცხის მთავარსა ბექასა, - თორელნი, თმოგველნი და ტაოელნი."

დავით VI-სა და მის მომხრე ზემოაღნიშნულ დიდებულებსაც კარგი და გულადი მებრძოლნი ჰყავდათ. მათ შორის ყველაზე მამაცი და მარჯვე, რასაკვირველია, თვით არაგვის ხეობის მოსახლეობა იყო, რომელიც თავის კერას იცავდა, და რომელმაც ამ კუთხის ყოველივე ბილიკი ზედმიწევნით იცოდა. საერთოდ "მთიულელნი იყუნეს ფერჯით მალე" და ქვეითად ბრძოლაც ეხერხებოდათ, მონღოლებს-კი უფრო ამხედრებულთ უყვარდათ ომის წარმოება. ბუნებრივი პირობების წყალობით, არაგვის ხეობის ვიწროებში ისე ადვილად "ცხენოსანი ვერ შეუვიდოდა საომრად" და ამიტომ აქ უნებლიედ "ქუეითად იბრძოდეს თათარნი".

მაინც თავიანთ სიმრავლით დაიმედებულმა მონღოლებმა ყურუმში ნოინის მეთაურობით ცისკარეზე იერიშის მიტანა გადასწყვიტეს, რათგან იცოდნენ, რომ დავით VI სწორედ იქ იყო შეფარებული და "სპანი მეფისანი" იმ დროს დაბანაკებულნი იყვნენ ჯადის თავსა, გორასა რასმე, რომელ არს ცისკარეს პირისპირ".

დაიწყო ცხარე და უაღრესად სისხლისმღვრელი ბრძოლა, მაგრამ დავით VI-ის მეომარნი მტერს უშიშრად უხვდებოდნენ და "კეთილად ბრძოდეს შინაურნი მეფისანი, ჯადით და ჯევით მოსრულნი რჩეულნი" მოლაშქრენი და ამიტომაც "უმეტეს მოისრვოდეს თათარნი".

რაკი მონღოლთა ჯარს დიდი ზარალი მოუვიდა, მათმა მხედართმთავარმა "იხილა სიმაგრე ქვეყნისა და ცნა, რომელ არა ეგების შესვლა ცისკარეს". რახან დასახული ამოცანა განუხორციელებელი რჩებოდა, ამიტომ "აიყარა ღამით გზასა ლომისთავისასა" და გაჯავრებულ გულზე "დაესხა ქართლს". აქ, თუ სადმე გაუნადგურებელი გადარჩენოდათ, "მოაოჯრეს და წარვიდეს ყაანს ყაზანს წინაშე"[164].

უკვე 1299 წ., როდესაც ყაზან ყაანმა გაიგო, რომ დავით VI ერთგულების ფიცის შემდგომაც, ოქროს ულუსის ყაან თოხთასთან მის წინააღმდეგ მოლაპარაკებას აწარმოებდა, განრისხებულმა გადასწყვიტა მის მაგიერ აღმ. საქართველოს სამეფო ტახტზე სხვა დაესვა. მისი არჩევანი ამ შემთხვევაში დავით VI-ის სულ უმცროს ძმაზე გიორგიზე შეჩერდა, რომელიც ამ დროს ჯერ კიდევ მცირეწლოვანი იყო და მესხეთის მთავრის ბექა ციხისჯვარელ-ჯაყელის სახლში იზრდებოდა. მის მოსაყვანად ყაზან ყაანმა ალინაყის შვილი ყურუმში ნოინი, კიდევ ერთი თავისი შინაურთაგანი და შანშა მხარგრძელი წარგზავნა. ბექამ თანხმობა განაცხადა და გიორგი უფლისწული თავისი ჯარითურთ მათ გამოაყოლა[165]. რასაკვირველია, ყაანს ეს უფრო მისი უფროსი ძმის მოსაგონიერებლად ჰქონდა ჩადენილი, თორემ სხვაფრივ მცირეწლოვან გიორგის თითონ მონღოლებისათვის რა სარგებლობის მოტანა შეეძლო? თუმცა იგი "დასვეს მეფედ ტფილისს", მაგრამ, რამდენადაც ქართლსა და მის მთელს ჩრდილო თიანეთის ნაწილში დავით VI მეფობდა და "სომხითარნიც" მას მხარს უჭერდნენ, "ყრმა მცირე გიორგი" ნამდვილად იქცა მხოლოდ "მეფედ ტფილისისა". ამრიგად, ამითაც მონღოლებისათვის სახეირო არა სჩანდა რა[166].

1301 წ. გაზაფხულის დადგომისთანავე ხუტლუშა ნოინი რომ ყაზან ყაანის ბრძანებით "სპითა უძლიერესითა" ისევ საქართველოში წარმოვიდა, ჯერ "მოიწია ტფილისს და ეგულებოდა შესვლად მთიულეთს". მაშასადამე, ისევ სისხლის ღვრა და ქვეყნის აოხრება უნდა დაწყებულიყო. ამდენი ხნის განმავლობაში აღმ. საქართველოს ყოველწლივმა დაწიოკებამ ისინიც შეაფიქრიანა, რომელნიც აქამდე დავით VI-ეს უჭერდნენ მხარს და მასთან ერთად

---

[164] **ჟამთააღმწერელი,** გვ.760-761.

[165]იქვე, გვ. 758.

[166]იქვე, გვ. 758-759.

მონღოლთა წინააღმდეგ იბრძოდნენ. მათ უკვე საკმაო შემთხვევა ჰქონდათ დარწმუნებულიყვნენ რომ, აღმ.საქართველოს ერთ პატარა თემში შემწყვდეულთ, თავიანთ თავისა და უფრო-კი მეფის დაცვის გარდა, არაფრის გაკეთება არ შეეძლოთ. ასე მონღოლების დამარცხებაზე ფიქრი მხოლოდ თავისი თავის მოტყუება იქნებოდა. ამავე დროს ხალხი იწყვიტებოდა და ქვეყანაც განადგურდა.

მხოლოდ თავზე ხელაღებულ კაცს შეეძლო ამ საშინელი გარემოებისათვის ანგარიში არ გაეწია და ასეთი ბრძოლის აუცილებელს შედეგს არ შეეშინებინა. ჟამთააღმწერელიც ამბობს: როდესაც მონღოლთა ამოდენა ლაშქრის მოსვლა "ცნეს დიდებულთა ამის სამეფოსათა, განკრთეს და ეძიებდეს ღონესა, რათა განერნეს პირისაგან თათართასა" და ვინც-კი ჯერ კიდევ მონღოლთა წინაწლების ჟლეტას გადურჩა, "შეკრებეს მეფესა დავითს წინაშე და მოაჴსენებდეს, რათა წარვიდეს ყაზანს წინაშე", ისე-კი, რომ წინასწარ მისგან "ფიცი და სიმტკიცე აღიღოს უვნებლობისა".

უეჭველია, დავით VI-ეს საუბარი ვერაფრად მოეწონებოდა, მაგრამ მაინც გარეგნულად ვითომც დათანხმდა: "ისმინა მეფემან"-ო. მან ყაზან ყაანს "სთხოვა ზავი და ფიცი". ერანის ილხანმაც "აღუთქვა უვნებლად ყოფა მეფისა და დაცვა ქვეყნისა", მაგრამ მხოლოდ იმ პირობით "უკეთუ ოდენ იხილოს ყაანი." ამის შემდეგ მონღოლთა მბრძანებელი ჰპირდებოდა, რომ ისევ ისე "წარმოგზავნონ დაცული მშვიდობით"[167].

შეთანხმებისა და ყაანისაგან უვნებლობის წიგნის მოსატანად მეფისაგან იგივე ივანე ბურსელი იყო წარგზავნილი და მანაც დავალებული საქმის ასრულება შესძლო: "აღიღო პირი მტკიცე და მოვიდა მეფესა წინაშე". ეს ამბავი, რასაკვირველია, ყველას გაეხარდა და ეხლა უკვე დავით VI-ეს დაჟინებით ურჩევდნენ წასულიყო, მით უმეტეს, რომ მონღოლებმა მძევლებიც კი შემოსთავაზეს. მაგრამ, როცა წასვლის დრო დადგა, მეფე კვლავ შიშმა შეიპყრო და წასვლა აღარ მოიწადინა. საქართველოში ყველას საშუალება ჰქონდა დარწმუნებულიყო, თუ რაოდენი განსხვავება იყო ხალხისა და ქვეყნის უვნებლად გადარჩენისათვის მზრუნველს დემეტრე II თავდადებულსა და მის შვილს დავით VI-ეს შორის, რომელმაც თავისი თავის გადარჩენას მრავალი უდანაშაულო ხალხის სიცოცხლე ანაცვალა და ქვეყანა მონღოლების გასანადგურებლად აქცია.

რასაკვირველია, ასეთ ქცევას შეუძლებელია მეფის ის მცირე გავლენაც არ გაექარწყლებინა ხალხში, რომელიც მას აქამდე შერჩენილი ჰქონდა, და ქვეყნის დაშლისათვის უფრო მეტად არ შეეწყო ხელი. მონღოლები, რომ კვლავ მოტყუებულნი დარჩნენ, ისევ ქვეყნის აოხრებას შეუდგნენ. ხოლო, რაკი "იხილეს დიდებულთა მოოჴრება" წინანდებურად იწყებაო, დავით VI-ეს მოახსენეს, რომ საქართველოს ასეთი განადგურების მოთმენა აღარ შეუძლიათ და ნებართვა სთხოვეს, რომ, ქვეყნის განადგურებისაგან გადასარჩენად, ერანის ილხანს დაჰმორჩილებოდნენ. დავით VI-ეს როგორ შეეძლო უარი ეთქვა, ან რა გამოვიდოდა, თანხმობა რომ არ მიეცა,-სულერთია ეს უმისნებართვოდაც მოხდებოდა, -მანაც დასტური მისცა. ასეთი ფორმალური ნებართვის მიღების შემდეგ გამოირკვა, რომ დიდებულთაგან "უმრავლესნი წარვიდეს, კითხვითა მეფისათა, დაცვისათვის ქვეყანისა" ერანის ილხანის ლაშქრის მთავარსარდალთან და მანაც, რა თქმა უნდა, ყველანი სიხარულით მიიღო. ეს ხომ აღმ. საქართველოს მეფის ხელისუფლების სრული გაქრობისა და სახელმწიფოებრივობის დაშლის გამომჟღავნებელი იყო! მართალია, დავით VI მაინც ვერ ჩაიგდეს ხელში, მაგრამ მისი გავლენა უკვე გაქარწყლებული იყო და ის პირადად, ვითარცა უმრავლესობისაგან მიტოვებული, მონღოლებისთვის უკვე აღარავითარ საშიშროებას აღარ წარმოადგენდა. საქართველოთგან

[167] **ჟამთააღმწერელი,** გვ. 761.

წასვლის წინ, მონღოლთა მოლაშქრეებმა გულის მოსაფხანად და გაცარცვის მიზნით "კუალად მოაოჴრეს ქვეყანა ქართლისა ზემოხსენებული, თვინიერ მთიულეთისა", სადაც შესვლა ვეღარ გაბედეს და ამის შემდეგ "წარვიდეს ურდოსა".

მთიულეთში შეხიზნულმა და უმრავლესობისაგან მიტოვებულმა დავით VI-ემ შალვა ქვენიფნეველის მონღოლთა მიმხრობისათვის დასაჯელად იმაზე უკეთესი ვერ მოიგონარა, რომ იმავე 1301 წ. შემოდგმას "ჩამოდგა ცხრაზმისჴევსა და აოჴრებდა მამულსა შალვა ქვენიფნეველისასა ორგულობისათვის"[168], თითქოს ის, რა ზიანიც ქვეყანას მონღოლთა აოხრებისაგან მოუვიდა, საკმარისი არ იყო! ამაზე მეტი უგუნურება რაღა შეიძლებოდა ყოფილიყო, როდესაც მეფე თავისი ერთი ხელისუფლის ურჩობისათვის ქსნის საერისთაოს მთელ მოსახლეობას ხდიდა პასუხისმგებლად და თავის სახელმწიფოს თემს თემს თვითონვე ანადგურებდა!

დავით VI-ის ასეთი მოქმედების გამო, გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავარდნილმა შალვა ქვენიფნეველმა შუამავლობას მიჰმართა და "ევედრა სურამელსა მსახურთუხუცესსა [და] ქართლის ერისთავსა ჰამადას", რომ მეფეს ქვეყნისა და ხალხის დაწიოკებისათვის თავი დაენებებინა და მისთვისაც დანაშაული შეენდო. ჰამად სურამელმა დავით VI დაითანხმა და, შალვა ქვენითნეველის დაჭერის მაგიერ, გულუბრყვილოდ მხოლოდ ასეთი ძველი ხალხური სასჯელის დადებით დაკმაყოფილდა: მან მოსთხოვა, რომ ქვენიფნეველს საჯაროდ თავზე ნაცარი დაეყარა და თავისი დანაშაულება აღეარებინა. ისიც დათანხმდა თურმე და, ჟამთააღმწერელის სიტყვით, შალვა ქნევიფნეველმა "გარდაიყარა თავსა ნაცარი და იტყოდა: ესეცა არს მისაგებელი ორგულთა მეფეთასა"-ო. თავის განდგომილი ხელისუფლის ასე გაწბილებით დაკმაყოფილებულმა დავით VI-ემ შალვას აპატია[169].

მაგრამ სწორედ ამ დროს მეფეს უფრო უარესი საქმე დაემართა: მოსახლეობის უმრავლესობისაგან მიტოვებულს, მას აღარავის ნდობა აღარ ჰქონდა. ეჭვი მას თვით საკუთარი ძმის ვახტანგის შესახებაც–კი შეეპარა და შეიპყრო. მაგრამ ვახტანგ ბატონიშვილი მისგან "დაპატიმრებული ციხესა ჟინოვანისასა, გამოიპარა და მივიდა ივანე ბურსელისასა", რომელსაც, ვითარცა დავით VI-ისაგან განსაკუთრებული ნდობით აღჭურვილ პირს, ასე შესჩივლა: თუმცა ჩემი ძმისათვის "არარა ბოროტი მიქმინიეს", მაგრამ მან მაინც დამაპატიმრებინა. ეხლაც გამოქცეული, როგორც ხედავ, "არ წავალ ურდოსა მტერთა მისთა თანა". ამიტომ ჩემს ძმას მეფეს, "ჩემი შენსა მოსვლა" აცნობე და მიშუამდგომლე, რომ "თუ ფიცით შემაჯერებს",რომ "არა მავნოს და არა შემიპყრას", ისევ მასთან მივალ და საცხოვრებლად "მცირე სარჩომიცა მომცეს"-ო.

დავით VI ამაზე დათანხმდა, მიინდო, "ფიცით მოიმტკიცა" და თავისთან მიიყვანა. მაგრამ მათ შორის თანხმობა დიდხანს არ გაგრძელებულა. ამ ბატონიშვილმა რომ დაქორწინება მოინდომა, "შაბურის ძის ასული შეირთო ვახტანგ ცოლად". ამ დროითგან მოყოლებული, დავით VI-ის დამოკიდებულება ძმასთან ისევ გამწვავდა. დაიწყო ამის გამო ვახტანგ ბატონიშვილის კვლავ "უპატიოდ ყოფა". ამას უკვე მან ვეღარ გაუძლო ეხლა კი "წარვიდა ურდოს ყაზანის თანა".

ერანის ილხანს ეს ამბავი, რა თქმა უნდა, მეტად იამა: ვახტანგი კარგად მიიღო, "კეთილად შეიწყნარა", და, რაკი დარწმუნდა, რომ დავით VI-სთან არც შეთანხმება შეეძლებოდა და ვერც მისი შეპყრობა მოხერხდა, ამიტომ გადასწყვიტა, მის მაგიერ ისევ მისი ძმა ვახტანგი დაესვა და აასრულა კიდეც: "მოსცა მეფობა"-ო.

---

[168] **ჟამთააღმწერელი,** გვ. 762.
[169] იქვე, გვ. 764.

მაგრამ აღმ. საქართველოში მაშინ ისეთი მდგომარეობა იყო, მარტო მეფობის მიცემა თითქმის აღარაფერსა ნიშნავდა: ტფილისში მცირეწლოვანი გიორგი უფლისწული იჯდა, ხოლო მთელს ჩრდილო მთიანეთში დავით VI ბატონობდა. მეფედ დასაჯდომად სამხედრო ძალა იყო საჭირო და ყაზან ყაანმა ვახტანგ III-ეს "წარმოატანა ხუტლუშა ნოინი სპითა უძლიერესითა", რომლითაც ორივე ტფილისში მოვიდნენ. საქართველოს დედაქალაქში ვახტანგ მეფის ყოფნამ მცირეწლოვანი გიორგის მეფობას ყოველგვარი მნიშვნელობა დაუკარგა და ამიერითგან მოყოლებული გარკვეულ დრომდე მისი სახელი აღარსადა გვხვდება.

ვახტანგ III-სა და ხუტლუშა ნოინთან " შემოიყარნეს ყოველნი თათარნი და ქართველნი", მათ შორის "სამცხის პატრონის ბექას შვილი სარგის სპასალარი, ტაოელნი, თორელნი, თმოგველნი"-ც და "სომხითარნი" მით უმეტეს რომ შანშა (მხარგრძელი) "პირველვე იყო მუნ ტფილისში"[170]. ცხადია, რომ მესხეთის მთავრის შვილი და იქაური ჯარი თვით ყაზან ყაანის ბრძანებით უნდა ყოფილიყო გამოწვეული.

ეხლა კი დავით VI დარწმუნდა, რომ ხუმრობა საქმე აღარ იყო და, როცა გაიგო, რომ მის ძმას "ვახტანგს მეფედ ჰყოფენ", ხუტლუშა ნოინთან მაშინვე "წარმოავლინა იგივე ბურსელი ზავისათვის", თანაც "ურდოს წასვლა"-ც იკისრა, თუ რომ მონღოლები უვნებლობის სიმტკიცის ფიცსა და მძევალს მისცემდნენ. ერანის ილხანი და მისი მთავრობა, დავით VI-ის ჩრდილოეთის ულუსთან პოლიტიკური კავშირის გამო, მის უვნებლად ქცევას ისევე იმდენად მნიშვნელოვან ამოცანად სცნობდნენ, რომ, ამდენი მოტყუებისდა მიუხედავად, ხუტლუშა ნოინმა მას მოლაპარაკება დაუწყო და მისი ყველა პირობებიც მიიღო. დავით VI-ემ თავის მხრით "წარავლინა დედოფალი ოლჯათ და კათალიკოზი აბრამ და ყადი და ბურსელი" საქმის საბოლოოდ მოსაგვარებლად. მონღოლთა ნოინები "ბაზალეთს წინა მოეგებნეს ოლჯათს", თითონ ხუტლუშა ნოინი-კი მუხრანში იყო დაბანაკებული. მოსულთ დიდი პატივისცემით მიღებასთან ერთად, დავით VI-ეს გაუგზავნეს "პირი სიმტკიცისა და ბეჭედი ყაანისა და ჭელის მანდილი, რამეთუ ესე აქვნდა სიმტკიცე ფიცის მინდობისა" და ამასთანავე "აძლიეს ხუტლუშას შვილი სიბაუჩი მძევლად", მაგრამ ოლჯათ დედოფალი უკან აღარ გამოუშვეს, არამედ მხოლოდ კათალიკოზი, ყადი და ბურსელი დააბრუნეს.

დავით VI-ემ ოლჯათ დედოფლის გამოუშვებლობა პირობის დარღვევად მიიჩნია და ბურსელის პირით ხუტლუშას დედოფლის გამოშვება მოსთხოვა. მაშინ მონღოლებმა იფიქრეს, რომ მეფე ამ შემთხვევაშიც მათ მოტყუებას უპირებდა, ამიტომ ხუტლუშა ნოინმა ბურსელი შეიპყრო და უთხრა: თქვენ მეფეს "მე ფიცითა მტკიცითა შევფიცე და არა მოვიდა, აწ მიიღე ტყუილისა ნაცვალი პატიჟი", სასჯელიო და "განრისხებულმან მოაკვდინა ბურსელი".

ამის შემდგომ კი დავით VI-ის ბედი საბოლოოდ გადაწყდა და მონღოლებმა ეხლა უკვე უყოყმანოდ "ვახტანგს დაუმტკიცეს მეფობა"[171]. დავითი ისევ გველეთში შეიხიზნა. მონღოლებმა სხვადასხვა გზით მთიულეთში ლაშქრით შესვლა სცადეს, მაგრამ ძალზე დაზარალებულნი ისევ უკუიქცნენ "წარვიდეს ყაზანს წინაშე".

მართალია, ერანის ილხანების მთავრობისა და ლაშქრისათვის მეტად უსიამოვნო გარემოება იყო, რომ ვერას გზით ვერც აჯანყება ჩააქრეს და ვერც მისი მეთაური მეფე ჩაიგდეს ხელში, მაგრამ საქართველოს ამით მაინც ზიანის მეტი არა მოსვლია რა: რამდენი ხალხის სიცოცხლე და კეთილდღეობა შეეწირა მას მსხვერპლად!

ჟამთააღმწერელი მოგვითხრობს, რომ, რაკი აღმ. საქართველოში "ხუთთა წელთა იყო ოჴრება", ამიტომაც "ამათ შფოთთა შინა რა იყო ქვეყანა ქართლისა, არა იყო მათ ჟამთა შინა

---

[170] **ჟამთააღმწერელი,**გვ. 762-763.

[171] **ჟამთააღმწერელი,** გვ. 764.

თესვა და არცა შენება ყოვლადვე". ამას ბუნებრივ შედეგად 1301 წ. საშინელი სიმშილობა მოჰყვა. ნათესების უაღრესი შემცირების გამო, "იქმნა პურისა მოკლება" იმდენად, რომ "ყოვლადვე არა იპოვებოდა სასყიდლად დიდითა ფასითა"ც-კი. და რაკი შიმშილობა დაიწყო, "ესოდენ განძვინდა შიმშილი", რომ "მძორსა არაწმინდასა ურიდად ჭამდეს" და "სავსე იყუნეს უბანნი და ფოლოცნი, გზანი და მინდორნი, ქალაქნი და სოფელნი მკუდრებითა"-ო[172].

კიდევ კარგი, რომ საქართველოს ბეღელი, მესხეთი, ამ საშინელ აოხრებისაგან ხუთი წლის განმავლობაში არ დაზიანებულა და ამის გამო იქ, სამცხეში, "იპოვებოდა პური სასყიდლად". ამან ოდნავ მაინც შეუმსუბუქა ხალხს თავს დამტყდარი უბედურება და ამიტომაც "უმრავლესი ერი ქართლისა წარვიდა სამცხეს", სადაც დამშეულ ხალხს თვით ბექა მანდატურთუხუცესის მეუღლე ვახახი ეხმარებოდა, რომელიც, ჟამთააღმწერელის მოწმობით, "ფრიადსა და უზომოსა მოწყალებასა" იჩენდა თურმე[173].

XIII. მესხეთის მდგომარეობა და მისი მმართველნი

სარგის და მანდატურთუხუცესი ბექა ჯაყელნი

1. მესხეთის სამთავროს საზღვრები და დამოკიდებულება საქართველოს სამეფოსთან

მას შემდეგ, რაც სარგის ჯაყელმა ყაანის ულუსის მფარველობა მოიპოვება და უშუალოდ ყაანის საკუთარ მამულების სამმართველოს დაექვემდებარა, მისს სამფლობელოსაც გარკვეული საზღვრები უნდა ჰქონოდა. ქართ. ჟამთააღმწერელის სიტყვით, სარგის ჯაყელმა "დაიპყრა ქვეყანა ტასისკარითგან კარნუ-ქალაქამდის, სამცხე, აჭარა, შავშეთი, კლარჯეთი და უმრავლესი ტაო, ვაშლოვანი, ნიგალის ჴევი, არტანუჯი, ათორმეტნი უდაბნონი, კოლა, კარნი [ფორ]ი და ორნივე არტაანნი და მრავალნი სოფელნი ჯავახეთს"[174].

წინათ სარგის ჯაყელი მხოლოდ სამცხის მმართველი და სპასალარი იყო, შემდეგ –კი მან, ეტყობა, კახა გამრეკელ-თორელის მერმე, მეჭურჭლეთუხუცესობა მიიღო და ერთსა-და-იმავე დროს დარბაზის კარსა მყოფი ვაზირიც იყო საქვეყნოდ გამრიგე ხელისუფალიცა და სამხედრო თანამდებობაც ეჭირა. დამახასიათებელია, რომ საქ. მეფის ხელქვეშეთობითგან გამოცალკევებისა და მონღოლთა ყაანთან დაკავშირების შემდგომაც, მან ეს ორივე წოდებულება შეინარჩუნა. ასე, მარტო თითონ-კი არ უწოდებდა თავის თავს, არამედ სხვებიც მას ასევე უწოდებდნენ, მაგ. ჟამთააღმწერელი ამბობს: "ამათ (დემეტრე II-ს) ჟამთა შინა განდიდნა სამცხის სპასალარი და მეჭურჭლეთა-უხუცესი სარგის ჯაყელი და ძე მისი ბექა, რომელნი მთავრობდეს სამცხეს"-ო[175].

ჟამთააღმწერელსვე აღნიშნული აქვს, რომ სარგის ჯაყელი და მისი ვაჟიშვილი ბექა "მსახურებდეს ყაანს აბაღას", რაც, მათი ახალი მდგომარეობა-დამოკიდებულების გამო, არც გასაკვირველია, მაგრამ ამასთანავე ამტკიცებს, რომ ისინი "მორჩილებდეს მეფესა დემეტრეს"-

---

[172]იქვე, გვ. 765.
[173] იქვე, გვ. 766.
[174] **ჟამთააღმწერელი,** გვ. 719.
[175] იქვე, გვ. 718.

აც[176]. სამწუხაროდ განმარტებული არა აქვს, თუ სახელდობრ რით გამოიხატებოდა მათი მორჩილება. იმდროინდელს წყაროებში ამჟამად ამის გამოსარკვევად გამოსადეგი მასალების უქონლობის გამო, ასეთი მნიშვნელოვანი საკითხის გაშუქება შეუძლებელია და ეს მხოლოდ მომავლის ამოცანად უნდა იქმნეს მიჩნეული. ეხლა-კი მაინც ერთი საყურადღებო გარემოების აღნიშვნა შეიძლება. ულუსისად ქცევის შემდეგ არც სარგისსა და არც მის შვილს ბექას, როგორც დავრწმუნდებით, თავიანთი სამოხელეო წოდებულება არ შეუცვლიათ. ამით საქართველოს სამეფოსთან მათი კავშირშეუწყვეტლობაც მჟღავნდებოდა და ის უაღრესად მნიშვნელოვანი გარემოებაც, რომ მათ უზენაესობის პრეტენზიები არ ჰქონდათ. ეს, რასაკვირველია, ცხადჰყოფს, რომ ერთგვარი პოლიტიკური შეგნება მათ მაინც შენარჩუნებული ჰქონდათ და საქართველოს მთლიანობის დაცვის მნიშვნელობაც ესმოდათ. მაგრამ პრაქტიკულად როგორ მოხდა, რომ ბექამ საქართველოს სამეფოს ვაზირობა, მანდატურთუხუცესობა, მიიღო ანდა როგორ ახერხებდა იგი ამ თავისი თანამდებობისა და მოვალეობის ასრულებას, ესეც მომავალში გამოსარკვევი საკითხია. მაშინ იმ ურთიერთობასაც, რომელიც ბექადგან მოყოლებული საქართველოს სამეფოსა და მესხეთის მმართველებს შორის არსებობდა, შუქი მოეფინება.

ჯერ კიდევ მამის მოხუცებულობის დროს მესხეთის მესაჭეობა მისი შვილის ბექა მანდატურთუხუცესის ხელში იყო, სარგის ჯაყელის სიკვდილის შემდეგ-კი ქვეყანა მთლიანად მას ექვემდებარებოდა.

სარგის ჯაყელმა თავის დროზე, როგორც ვიცით, დავით–ულუს იჭვიანობისადა მრისხანებისაგან დასაცავად, მთელი თავისი სამფლობელო ყაანს შეავედრა და მის სახასო სამმართველოს დაუკავშირა, ხასინჯუდ აქცია, ამით საქართველოს მეფის ხელისუფლებისაგან გამოეყო. შემდეგში, რაკი მესხეთის მთავრის პოლიტიკური მდგომარეობა განმტკიცდა, ჯაყელთათვის მათი საბრძანებლის წინანდებურად ხასინჯუდ დარჩენას უნდა უკვე მნიშვნელობა და აზრი დაჰკარგვოდა. ალბათ ამით უნდა აიხსნებოდეს, რომ მერმე ამის ხსენებაც ქრება და მესხეთი ერანის ილხანების მხოლოდ ყმადნაფიც სამთავროდ-ღა ჩანს. ჟამთააღმწერელიც მარტო იმას ამბობს, რომ ბექა ციხისჯვარელი–ჯაყელი, ”ხარაჯას მისცემდა ყაზანს და ლაშქრითა შეეწეოდა”-ო. ეს იყო და ეს! როგორც ჩანს, ამაზე მეტი სხვა არავითარი დამოკიდებქულება მესხეთის მთავარს ერანის ყაანთან აღარა ჰქონია.

ბექა ციხისჯვარელმა-ჯაყელმა მამის მთელი სამფლობელო შეინარჩუნა. ჟამთააღმწერელის ცნობით, მას დიდი სივრცე ეპყრა: ”ტასისკარითგან ვიდრე სპერამდე, ვიდრე ზღვადმდე: სამცხე, აჭარა, შავშეთი, კლარჯეთი, ნიგალის ჴევი, ხოლო ჭანეთი სრულად მოსცა ბერძენმა მეფემან კომნინოსმან”-ო. ბექა საბრძანებელსვე ეკუთვნოდა: ”უმრავლესი ტაო, არტაანი, კოლა, კარნიფორა და კარი”, ამათ შორის ”ქვეყანანი [და] ციხენი, არტანუჯი და უდაბნონი ათორმეტნი კლარჯეთისანი” და, რასაკვირველია, მთელ მოსახლეობასთან ერთად, აგრეთვე ”დიდებულნი აზნაურნი და მონასტერნი ყოველნი მას აქუნდეს”-ო[177].

სარგისაგან პოლიტიკურად და ფინანსიურად საქართველოს სამეფოს ხელისუფლებითგან გამოყოფვის მიუხედავად, მის მემკვიდრეს ბექასაც-კი თავისი წოდებულება არ შეუცვლია არც თითონ და წინანდებურად მანდატურთუხუცესად იწოდებოდა. საგულისხმოა, რომ არც მისს უფრო გაძლიერებულსა და განკერძოებით მეტად გატაცებულ მემკვიდრეებს ჰყავდათ ის სხვანაირად წარმოდგენილი და აღბუღა ათაბაგ-ამირსპასალარსაც მაგ., ”კაცთა შეცოდების სამართლის წიგნში” ბექა სწორედ ასევე ჰყავს მოხსენებული. ”დავდევით წინაშე პატონისა პაპისა-ჩუენისა მანდატურთ-უხუცესისა ბექას განაჩენი”-ო.

---

[176] იქვე, გვ. 719.

[177] **ჟამთააღმწერელი,** გვ. 758.

2. ბექა მანდატურთუხუცესი როგორც ქვეყნის მმართველი და პოლიტიკოსი

ბექა მანდატურთუხუცესი მესხეთის მხნე და მარჯვე მმართველი იყო. ის თავის სამფლობელოს ფხიზლად სდარაჯობდა და მტრის შემოსევის ყოველსავე ცდას უმალ მედგრად წინააღმდეგობას უწევდა. მისი მთავრობის დროს ქართ. ჟამთააღმწერელს მოთხრობილი აქვს რუმის თურქმანთა შემოსევის ამბავი ვინმე აზატ-მოსეს მეთაურობით. თავის მეთარეშე ძალითურთ ის თურმე "მოიწია ბასიანს და ტაოს".

თურქმანთ ისე მოულოდნელად და სწრაფად მოუხერხებიათ თავდასხმა, რომ ადგილობრივი მცხოვრებნი "არა ჰგონებდეს თურქთა გამოჩენას", მტრებს ამიტომაც "ყოველი სოფელი ტაოსა შეუძრავად დახვდათ" და საშუალება ჰქონდათ იქ დაუბრკოლებლივ საშინელ ხოცვა-ჟლეტასა და ცარცვას შესდგომოდნენ.

ზემოაღნიშნული მიზეზის გამოვე, მტერმა საკმაოდ მოზრდილი ადგილი მოითარეშა ისე, რომ "ვაშლოვნით წარსრულნი თურქნი შთავიდეს მურღულს და ნიგალის ჴევს". ასეთი უცები თავდასხმის გამო, მათი ალაგმვა მხოლოდ ზოგან "უვალთა ადგილთა" მოხერხდა და აქაც ისინი"მოისრნეს ჴერჴემლის ძეთა აზნაურთაგან"[178].

ამ დროს ტაოს მმართველად თაყა ფანასკერტელი იყო. მტრის შემოსევა მისთვისაც მოულოდნელი ყოფილა, რაც მაინც-და-მაინც მისი სიფხიზლის დამამტკიცებელი არ არის. ამიტომ ჯარიც ხელთ ცოტა ჰყავდა და ამ მიზეზით "მაშინ ერისთავი ტაოსა თაყა ფანასკერტელი უღონო იყო სიმცროსათჳს ლაშქრისა". ასეთ მდგომარეობაში მყოფს, მას მხოლოდ პატარ-პატარა ბრძოლის წარმოების შესაძლებლობა-ღა დარჩენოდა და მანაც თურქმანებთან "მცირე წყობა ყო ციხისა ძირსა და თავსა". თუმცა აქ მან მტრის დაზარალება მოახერხა, მაგრამ ასეთი მცირედი სამხედრო მოქმედებით შემოსევის მოგერიება მაინც შეუძლებელი იყო და ტაოს ერისთავმა თაყა ფანასკერტელმაც "სიდიდისათჳს თურქთასა ქვეყანით მისით ვერ განასხნა". ტაოს ერისთავის უღონოების გამომჟღავნებამ მტერი უფრო გაათამამა და გაათავხედა: "თურქნი უმეტეს განძვინდეს და მოაოჴრებდეს ტაოსა"[179].

მესხეთის მთავარმა ბექა მანდატურთუხუცესმა, თურქმანთა შემოსევა-თარეშის გაგებისთანავე, "მოუწოდა ყოველთა მის ქვეშე დაწესებულთა" და გაემგზავრა ტაოსა და ბასიანს მტრის განსადევნად. აქ მან შეიტყო, რომ თურქმანნი "წარვიდეს საზამთროსა ადგილსა მათსა". მტერთან ბრძოლის დაწყებამდე, ბექა ჯაყელმა, ქართ. ჟამთააღმწერელის ცნობით, "მოუწოდა წარჩინებულთა სამცხისა, შავშ-კლარჯთა" და ასეთი პოლიტიკური შინაარსის სიტყვით მიჰმართა: "ისმინეთ მთავარნო საქართველოსანო, ძმანო და თანამონათესავენო ჩემნო!.. დიდმან და სახელოვანმან სკიპტრისა და პორფირისა მქონებელთა შორის უმეტეს განთქმულმან მეფემან დავით დასცა და დაამჴვა ძლიერება თურქთა ნათესავისა და აოტნა (ე. ი. გააქცია) სამეფოსაგან მისისა" და იმ დროითგან მოყოლებული საქართველოში "აქამომდე არღარა ჩენილ არიან თურქნი". ხოლო რა ცოდვა დაატრიალეს ეხლა, ან რა ზიანი მიაყენეს მათ ჩვენ ქვეყანას, თქვენც კარგად იცით. ისინი, რასაკვირველია, მარტო ამითაც არ დაკმაყოფილდებიან, არამედ "კუალად განმზადებულ არიან ბოროტის ყოფად ქრისტიანეთა და მოოჴრებად" ჩვენი სამშობლოსი. მათი ასეთი გაკადნიერების მიზეზი ის არის, რომ

---

[178] იქვე, გვ. 767.
[179] იქვე, გვ. 767.

საქართველოს ”მეფე შემცირებულ არს მძლავრებისაგან თათართასა და კუალად პირნი და თავადნი (ე. ი. მეთაურები) საქართველოსანნი განდგომილ არიან და არავინ არს წინააღმდგომ თურქთა”[180].

ამ საუცხოვო პოლიტიკურ მიმართვაში თავითგან ბოლომდის ყველაფერი მართალი იყო, მაგრამ თვით სხვების ასე ბრძნულად დამრიგებელსაცა და ყველა მის მსმენელებსაც კარგად მოეხსენებოდათ, რომ საქართველოს მთთავართაგან განკერძოების პირველი მაგალითი სწორედ მის მამას ჰქონდა მიცემული და თითონაც პირადად თავისი მამის შეცდომის გამოსასწორებლად არაფერი გაუკეთებია. ეხლა, როდესაც მტრის შემოსევისაგან განსაცდნელი მის სამფლობელოსაც დაადგა, საქართველოს მთლიანობის უაღრესი მნიშვნელობა მისთვის ცხადი გამხდარა, მაგრამ დაგვიანებით. თვით ეს შეგნებაც მისი ნებისყოფის მხოლოდ დროებითი მფლობელი იყო და ამიტომაც საქართველოს მაშინდელი სავალალო პოლიტიკური მდგომარეობისათვის ამას არც ჰქონდა მნიშვნელობა. ბექა მანდატურთუხუცესს თავისი სიტყვის ზემომოყვანილი პოლიტიკური საბუთიანობა, ეტყობა, უფრო მჭერმეტყველობისათვის გამოყენებულ საშუალებად ჰქონდა მომარჯვებული, ვიდრე მისი მართლაც ღრმა და გულწრფელი ეროვნული შეგნება იყო.

ბექა ჯაყელი დამსწრეთ მოუწოდებდა შეერთებული ძალით მტრისათვის ღირსეული პასუხი გაეცათ და ყველამ სიხარულით თანხმობა განაცხადა[181].

3. შემოსეულ თურქთა დამარცხება და განდევნა

ზამთარმა და გაზაფხულმა გაიარა თუ არა და დადგა ”არე ზაფხულისა, იწყეს თურქთა აღმომართ-სვლა” და დიდძალ ლაშქარს მოუყარეს თავი, რათგან საქართველოს ცარცვა-გლეჯით ხელის მოთბობის მოწადინებულნი ”არა თურქნი ოდენ იყუნეს, არამედ სპარსნიცა”. რასაკვირველია, ბექამაც თავისს ჯარს მოუყარა თავი. მაგრამ მისი სამხედრო ძალის სიმრავლე მხოლოდ ”ერთი ბევრი და ორი ათასი”, ე. ი. 12.000 იყო, მტერთა შედარებით ძალზე ნაკლები.

თურქმანნი უკვე ”აღმოსრულ იყუნეს მთათა პარხალისათა”და იქაურობა თავიანთთვის ბანაკად ჰქონდათ არჩეული, რომ იქითგან სხვადასხვა მიმართულებით მარბიელი რაზმები ეგზავნათ. მათმა მეთაურმა ისევ ”წარავლინა მჴედრები ტყუენვად ვაშლოვნისა”, ხოლო შემდეგ ”ეგულებოდა მოსვლად ქვეყნად ბექასა სამცხეს და ქართლს და სომხითს”-აც-კი.

ვაშლოვანთან მომხდარ ბრძოლაში ბექას ჯარის მოწინავე რაზმმა სძლია და მტერიც გაიქცა. მას თვით ბექა დაედევნა და სპერისაკენ გაეშურა[182]. თურქმენთა მეთაური-კი პირიქით 30. 000 მოლაშქრითურთ ვაშლოვანისაკენ წავიდა. ”ძებნად სისხლისა”.შურის საძიებლად. თავისი ძალის მეორე ნაწილი –კი ტაოს ასაოხრებლად გაგზავნა. ბექა მანდატურთუხუცესმა გზაში შეიპყრა ”ოთხნი თურქნი მიმავალნი”და მათ მტრის რაოდენობისა და დაბანაკების შესახებ ცნობების მისაღებად გამოკითხვა დაუწყო: ”ჰკითხა ამბავი, თუ სადა არიან”. მათი ნათქვამის სისწორის გამოსარკვევად მესხეთის მთავარმა ”ოთხნივე ცალკე გაყო” და თითოეულს ცალცალკე დაჰკითხა და, რაკი ”ოთხნივე ერთსა იტყოდეს, წარსვლასა თურქთასა ვაშლოვანს”,ამიტომ ბექამ ” ირწმუნა სიტყვა მათი”. ამისდა გვარად მანაც ”ორად განყო ლაშქარი თჳსი რჩეული” მტრის ორივე ნაწილის წინააღმდეგ საბრძოლველად. ვაშლოვანის მთაზე მყოფ

---

[180] **ჟამთააღმწერელი,** გვ. 767-768.
[181] იქვე, გვ. 768.
[182] **ჟამთააღმწერელი,** გვ. 769.

თურქმანთ ბექას ძის სარგისის მეთაურობით მომქედი ქართველთა ჯარი შეებრძოლა, რომელმაც მტერს სძლია და გააქცია[183].

თვით ბექას მეთაურობით წასული სამხედრო ძალა მტერს ქ. სპერთან დაეწია. მისი მოლაშქრენი "შეივლტოდეს ქალაქსა და ციხესა სპერისასა". მაშინ ქართველი ჯარისკაცები "მოადგეს ქალაქსა სპერსა და პირველსავე ომსა აღიღეს ქალაქი, თჳნიერ ციხისა"-ო. ამით დამთავრდა ბექა მანდატურთუხუცესის ბრძოლა შემოსეული მტრის წინააღმდეგ, რომელიც დამარცხებულ იქმნა[184].

ეს ამბავი საყურადღებოა, როგორც საქართველოს სამხრეთ-დასავლეთის საზღვრებთან თურქთა ტომების კვლავ გაძლიერებისა და იერიშების განახლების დასაწყისი. ამ შემთხვევაში ისინი არამც თუ ძალზე დაზარალებულნი უკუქცეულ იქმნენ, არამედ ქონებრივადაც ბევრი დაკარგეს, მაგრამ მაინც მცირე აზიის დასავალს ნაწილში თურქთა გაძლიერების პროცესი შემდეგშიც შეუჩერებლივ სწარმოებდა. მარტო ამ გარემოებასაც უნდა გონს მოეყვანა ქართველი პოლიტიკოსები და განდიდებისა და გადიდკაცების ოცნებით გაბრუებული მთავრები და უმაღლესი ხელისუფლები. მაგრამ იმ ხანად, როგორც დავრწმუნდით საქართველოს მთლიანობა იმდენად დაშლილი იყო, რომ მეფეს თითქმის აღარავითარი ძალა აღარ ჰქონდა, მთავრებს-კი ერთობის აუცილებლობა პირზე ეკერათ და მჭერმეტყველობის სამკაულად ჰქონდათ ნაქცევი, ვიდრე ამის მართლაც გულწრფელად მოწადინებულნი იყვნენ. ყოველი მათგანი უპირველესად თავის განდიდებაზე და სხვის დამცირებაზე ფიქრობდა, ერთობის საჭიროება მას მხოლოდ მაშინ გაახსენდებოდა, როცა პირველად თითონ, ან და მისი სამფლობელო, ჩავარდებოდა განსაცდელში. ასეთ ვითარებაში ისიც კარგი იყო, თუ ეს მთავრები თავიანთ სამფლობელოს ხეირიანი და მხნე მმართველ-დამცველნი მაინც გამოდგებოდნენ.

4. ბექას მზრუნველობა მესხეთის კეთილდღეობისა და მშვიდობიანი წარმატებისათვის და ტრაპიზონის საკეისროში ქართული პოლიტიკური გავლენის დასაცავად

მარჯვე მმართველის თვისება ბექას, უეჭველია, საკმაოდ ჰქონდა: პირად გულადობასა და სამხედრო სიქველესთან ერთად, ის ქვეყნის კარგი გამრიგე გამოდგა. მესხეთში მან წესიერების დამყარებაც შესთძლო და მოსახლეობის მართლმსაჯულების უზრუნველყოფისათვის, ცხოვრების ახალ ვითარებასთან შეფარდებული ახალი საკანონმდებლო ძეგლის შედგენის აუცილებლობა შეიგნო. ამ მიზნით მესხეთის ყველა თემის მოსახლეობის მაღალი წრის წარმომადგენელნი და ხელისუფალნი მოიწვია და, ზოგადად მსჯელობის შემდეგ, სამართლის წიგნიც შეადგინა, რომელსაც ჰქვია "წიგნი სამართლისა კაცთა შეცოდებისა ყოველისავე".ეს კანონები, უეჭველია, ქართული სამართლის საყურადღებო ძეგლია.

საქართველოს მეფის ხელისუფლების დასუსტების გამო, ქართული პოლიტიკური ინტერესების ტრაპიზონის საკეიროში დამცველობაც ბექა მანდატურთუხუცესს ჩაუვარდა ხელში. ბრძოლა, რომელიც იქ ქართველთა და ბიზანტიელთა მომხრე დასებსა და მიმართულება-გავლენათა შორის არსებობდა და რომელზედაც წინათ უკვე გვქონდა საუბარი, არამც თუ არ დამცხრალა, არამედ თანდათან უფროდაუფრო გაძლიერდა. ტრაპიზონზე თავისი

---

[183] იქვე, გვ. 770-771.
[184] იქვე, გვ. 773.

ჰეგემონიისა და პოლიტიკური მეურვეობისათვის კანონიერების აჩრდილის შესაქმნელად ბიზანტიის მთავრობამ განზრახ შეთხზა, ვითომც 1297 წ. გარდაცვლილს ტრაპიზონის კეისარს იოანე II-ეს თავისი მცირეწლოვანი მემკვიდრის ალექსი II-ის მეურვეობა ბიზანტიის კეისრის ანდრონიკე II პალეოლოგოსისათვის ეანდერძოს, და, ვითომც ამ მოვალეობით გამსჭვალულმა ანდრონიკე II-ემ და მისმა უპირველესმა კარისკაცმა ხუმნამ, გადასწყვიტეს, რომ ჭაბუკი ალექსი II დაეცოლიანებინათ. ბიზანტიის ცბიერმა მოხელემ მოიწადინა ერთსადაიმავე დროს თავისი პირადი საქმეც გაერიგებინა და ბიზანტიის პოლიტიკის ტრაპიზონში განმტკიცებაც მოეხერხებინა: ამ მიზნით ტრაპიზონის ჭაბუკი კეისრისათვის საცოლოდ მან თავისივე ქალიშვილის არჩევა სთხოვა ბიზანტიის მბრძანებელს. მანაც ეს გეგმა მოიწონა და უკვე ამ გადაწყვეტილების ასრულებას უნდა შესდგომოდნენ, რომ მოულოდნელად განზრახული საქმე მთლიანად ჩაიშალა.

საქართველოშიცა და ტრაპიზონშიც ბიზანტიის მთავრობის ნამდვილი ზრახვა და მთელი ამ გეგმის პოლიტიკური შედეგი კარგად ესმოდათ. არც თვით ტრაპიზონის მმართველ წრეებს სურდათ კოსტანტინეპოლის დამამცირებელი ჰეგემონიის მსხვერპლნი გამხდარიყვნენ, არც საქართველოს პოლიტიკოსებს მიაჩნდათ შესაძლებლად, რომ მათგან შექმნილსა და უმთავრესად მის მომმე ლაზების მოსახლეობისაგან შემდგარი მათი მეზობელი სამეფო ბიზანტიისათვის დეთმოთ, ან და ხელში მისი ჩაგდების საშუალება მიეცათ. ამიტომ საქართველოს მომხრე პოლიტიკურმა დასმა დასწრება გადასწყვიტა და ალექსი II-ეს მესხეთის მთავრის, ძლიერი ბექა მანდატურთუხუცესის, ასული შერთეს ცოლად.

ამ ამბავმა კოსტანტინეპოლში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია, მაგრამ ბიზანტიის კეისარი და იმედგაცრუებული მისი მრჩეველი მაინც მარტო ამით დაკმაყოფილებას არ აპირებდნენ: ანდრონიკე II-ემ, ვითომც როგორც მეურვემ, გადასწყვიტა თავისი დისწულის ეს ქორწინება უკანონოდ გამოეცხადებინა და ამით ალექსი II-ისათვის ძალა დაეტანებინა ამ ქართველ ცოლს გაჰყროდა. ქორწინების უკანონოდ გამოცხადებისათვის ბიზანტიის კეისარმა კოსტანტინეპოლის პატრიარქსა და სინოდს მიჰმართა, მაგრამ პატრიარქმა და სინოდის წევრთა უმრავლესობამ ამ ქორწინების უკანონოდ ცნობისათვის ბიზანტიის კეისარს დასტური არ მისცა.

ამის შემდეგ ანდრონიკე II-ემ სცადა ესევე იმ დროს კოსტანტინეპოლში მყოფი თავისი დის, ალექსი II-ის დედის, შვილზე ზნეობრივი გავლენით მოეხერხებინა. მისი და თითქოს თანახმა იყო კიდევაც ძმის სურვილი აესრულებინა, მაგრამ იმ გარემოების მომიზეზებით, რომ შორითგან და სხვების შუამავლობით ამის მოხერხება შეუძლებელი იყო, თხოულობდა, რომ ის ტრაპიზონში გაეშვათ. იმ იმედით, რომ ის თავის დაპირებას მართლაც აასრულებდა, კოსტანტინეპოლის კეისარმა დას სწავლის ნება დართო. მაგრამ მოულოდნელად არც პირადად ბიზანტიის მბრძანებელისა და არც მისი კანცლერის მოლოდინი არ გამართლდა: დედოფალს, ალექსი II-ის დედას, არამცთუ ქორწინების ჩაშლისათვის ხელი არ შეუწყვია, არამედ პირიქით თავის ვაჟიშვილს გადადგმული ნაბიჯი და არჩევანი მოუწონა.

ამნაირად, ტრაპიზონის სამეფოში საქართველოს მომხრე პოლიტიკურმა დასმა გამიმარჯვა და ქართული პოლიტიკური გავლენაც გაძლიერდა. ამან თვით ტრაპიზონის საკეისროს საშუალება მისცა თურქთა შემოსევა-თავდასხმაც აელაგმა და მოსახლეობაც ზღვის სანაპიროზე მოთარეშე მეკობრეებისაგანაც უზრუნველ ეყო. მაგრამ ბიზნტიის მთავრობა მაინც არ ისვენებდა.

ალექსი II-ეს ბექას ასულისაგან ოთხი ვაჟიშვილი შეეძინა: ანდრონიკე, ვასილი, მანუელი-აზახუტლუ და გიორგი-აღბუღა. ორს უმცროსს, როგორც ვხედავთ, იმ დროს საქართველოში და მეტადრე მესხეთში, ჯაყელთა სახლობაში, გავრცელებული მონღოლური სახელები ჰრქმევიათ.

ალექსი II რომ 1330 წ. გარდაიცვალა და მის უფროს შვილს, ანდრონიკეს ხანმოკლე სიცოცხლე არგუნა ბედმა, მცირეწლოვანი მანუელი იქმნა გამეფებული. ამით ბიზანტიის მთავრობამ ისარგებლა და 13333 წ. მოულოდნელად კოსტანტინეპოლითგან ტრაპიზონში ალექსი II-ის მეორე შვილი, ვასილი, მივიდა, რომელსაც კოსტანტინეპოლში ყოფნისას ცოლად ბიზანტიის კეისრის ანდრონიკე III-ის უკანონო ქალიშვილი ირინე შერთეს ახალმოსულის გასაკეისრებლად ნიადაგი წინასწარ მომზადებული აღმოჩნდა. ჩაიგდეს თუ არა ვასილმა და ბიზანტიის მომხრეთგან შემდგარმა პოლიტიკურმა დასმა ხელისუფლება ტრაპიზონში, მაშინვე მოწინააღმდეგე დასის ხოცვა-ჟლეტას შეუდგნენ. უპირველესად სიკვდილად დასჯილი იყო საკეისროს ორი უმაღლესი თანამდებობის პირი, რომელთაგან ერთი დიდი დუკა ლეკი ჭანჭიძე იყო, რომელიც სამხედრო და სამოქალაქო უფლებებით აღჭურვილი საქვეყნოდ გამრიგედ ითვლებოდა, მეორე დიდი დომესტიკოსი ჯაბა, ტრაპიზონის ჯარის უფროსი[185]. მათი გვარები და სახელები საქართველოსთან მათ კავშირს იმდენად ცხადად ამჟღავნებს, რომ არავითარი ეჭვი არ არის, თუ რა უნდა დაჰმართნოდათ საქართველოს მომხრე დასის დანარჩენ წევრებსაც: ისინიც გაწყვიტეს.

ასეთი საშინელი მარცხის შემდეგაც, არც საქართველოს და არც მის მომხრე ტრაპიზონის პოლიტიკურ დასს, როგორც შემდეგში დავრწმუნდებით, ბრძოლა მაინც არ შეუწყვეტიათ.

XIV. ვახტანგ III

ვახტანგ III-ის საბრძანებელი და მონღოლთა ლაშქრობაში უნებლიეთი მონაწილეობა

ვახტაგნ III-ის სამეფო აღმ. საქართველოსაც-კიაღარ შეიცავდა, რათგან მისი ჩრდილო მთიანეთი, როგორც ვიცით, წინანდებურად დავით VI-ეს ეპყრა, ხოლო მესხეთი ბექა მანდატურთუხუცესის ხელში იყო. ამრიგად ქართ. ჟამთააღმწერლის სამართლიანი ცნობით, მას ცოტა რამე-ღა რჩებოდა: "დაიპყრა ტფილისი და ყოველი სომხითი, დმანისი და სამშვილდე"-ო.

საბედნიეროდ ვახტანგ III-ეს წყნარი და სათნო ხასიათი ჰქონდა და იყო "მშვიდი და მდაბალ, არა-მოშურნე, მყუდრო და უშფოთველი". მის ასეთ თვისებათა წყალობით, აღმ. საქართველო ამ დროს ძმათშორისს სისხლის ღვრას მაინც გადაურჩა, რათგან ვახტანგი პირადად "არა წინააღუდეგობოდა ძმასა თჳსსა დავითს" და მას არ მტრობდა[186].

ვახტანგ III-ეს საშუალება არ ჰქონდა თავისი ნიჭი გამოეჩინა, როგორც ქვეყნის მმართველს, რადგან ისიც იძულებული იყო თავისი სამეფო საქმეების მართვა-განგების მაგიერ, ერანის მონღოლთა ლაშქრობაში ეტარებიანა დრო და შეელია ქართველთა და თავისი სამხედრო ძალა. 1299 წ. ნოემბრის დამლევითგან მოყოლებული, მას ყაზან ყაანისაგან ეგვიპტის სულტნის წინააღმდეგ დაწყებულს ომში მოუხდა მონაწილეობის მიღება, როდესაც ქ. ჰემსი იყო აღებული, იერუსალიმიცა და ქ. დამასკოც, რომლის 1300 წ. ხელში ჩაგდების დროს ქართველებსა და სომხებს, აბულფედას ცნობით, ყაზან ყაანის სასტიკი აკრძალვისდა მიუხედავად, დიდი სიმკაცრე გამოუჩენიათ[187], მონღოლთა შეერთებული ლაშქრის უკან გაბრუნების შემდეგ ოთხმა თვემ განვლო თუ არა, დამასკოელნი აჯანყდნენ. ამიტომ 1300წ. შუა

---

[185] [Трапез. Хроника, ალ. ხახანაშვილის გამომც.].

[186] **ჟამთააღმწერელი,** გვ. 766.

[187] **ჟამთააღმწერელი,** გვ. 773-774. **ჰამმერი, II,** გვ. 86, 91-93, 94.

ენკენისთვეს ყაზან ყაანი იძულებული იყო ხუტლუშას მეთაურობით თავისი ლაშქარი ისევე გაეგზავნა. რა თქმა უნდა, ვახტანგ მეფესა და ქართველთა ჯარსაც მოუხდა მონაწილეობის მიღება[188]. იმისდა მიუხედავად, რომ, ქართველებსა და სომხებს გარდა, მონღოლთა ლაშქარს ამ ომში მონღოლთა ოთხი დიდი მხედართმთავარი უწევდა ხელმძღვანელობას, მაინც ერანის ილხანის მხედრობა 1303 წ. 22 აპრილს საშინლად დამარცხდა და ამ ბრძოლაში "მოსწყდა ურიცხვი თათარი და ქართველნი". სარდლებმა მაინც განსაცდელს უვნებლად დააღწიეს თავი, მათ შორის "ვახტანგ და ნოინნი მშვიდობით დარჩეს და მოვიდეს ყაზანს წინაშე"[189], რომელმაც განრისხებულმა თავისი ნოინები 1303 წ. 19 სექტემბერს ჯოხის ცემით დასაჯა.

ყაზან ყაანს გადაწყვეტილი ჰქონდა მარცხი გამოესწორებინა, გულმოდგინედ ემზადებოდა საომრად და "ეკაზმოდა კვალად სულტანსა, ზედა", მაგრამ ავად გახდა და 1304 წ. გარდაიცვალა. ქართველი ისტორიკოსის სიტყვით, ყაზან ყაანის სიკვდილი "იგლოვა ყოველმან კაცმან სიმართლისათჳს" და იმიტომაც, რომ, მისი მხნე მართა –გამგეობის წყალობით "ავისმოქმედნი და მეკობრე და უსამართლო კაცი აღარ იპოვებოდა საყაანოსა მისსა" –ო.

ყაზანის მაგიერ ერანის ილხნად მისი ძმა დასვეს, რომელსაც მონღოლად ოლჯაითუ (ე. ი. დალოცვილი) ეწოდებოდა, ხოლო მაჰმადიანურ სახელად ხუდაბანდა (ე. ი. უფლის მონა) დაარქვეს. ხალხმა ერანში უკანასკნელი სახელი დაცინვით ხარბანდა-დ (ე. ი. მევირედ) გადაუკეთა[190].

ოლჯაითუ ყაანმა თავის მიზნად გილანელთა დამორჩილება დაისახა. მიუვალი მთებით დაცული გილანი, მანამდე მონღლლთა ყაანებმა ხელში ვერ ჩაიგდეს და ყაზან ყაანის ძმას ამ ქვეყნის დაპყრობა-დამორჩილებით სახელის მოხვეჭა სწადდა. ამიტომ 1306 წ. დიდი ლაშქარი შეჰყარა და საქართველოთგანაც ვახტანგ III და სამცხის მთავარი დაიბარა თავიანთ ჯარითურთ. ოლჯაითუმ მთელი თავისი მხედრობა ოთხ ნაწილად გაჰყო და გილანს ოთხი სხვადასხვა მიმართულებით შეუსია. თითეულს მათგანს დიდი ნოინი მეთაურობდა: ხუტლუშა და მისი შვილი სიბაუჩი, ჩოფანი და ჯალაირიც იღებდნენ ამ ომში მონაწილეობას.

გილანელთა ის ნაწილი, რომელიც ჩოფანის სამხედრო მოქმედების არედ იყო ქცეული, შესეულ მტერს ნებაყოფლობით დაემორჩილა და შესაძლებელია ამ მაგალითისათვის სხვა გილანელებსაც მიებაძათ, მაგრამ ხუტლუშამ გადასწყვიტა თავი ესახელა და ქვეყანა ძალით აეღო. ამის გამო სასტიკი ბრძოლა ატყდა. გულადი გილანელები თავიანთ სამშობლოს თავგამოდებით იცავდნენ. აღმ. საქართველოს ჯარი ვახტანგ მეფის, ხოლო მესხეთისა ბექას ძის მეთაურობით, თვით ყაანის ლაშქრის ნაწილში იმყოფებოდა.

გილანის მთაგორიანობისა და ვიწრო ხეობის სიხშირის წყალობით, მის მამაცს მოსახლეობას საშუალება ჰქონდა ბუნებისაგან ამ ქვეყნის კარგად დაცულობა მარჯვედ გამოეყენებინა. ამრიგად თვით მონღოლებისავე მიზეზით "იქმნა ომი ძლიერი", რომელშიც ქართველებსაც უნებლიედ მონაწილეობა უნდა მეღოთ და რომელშიც მეფე "ვახტანგ წინამბრძოლობდა" კიდეც. სამხედრო მოქმედების არე იერიშის მიმტანს მეტად მძიმე პირობებში აგდებდა, რათგან იქ "გზისა სივიწროვისაგან და ტყისა სიჴშირისანაგან" საჭირო რაოდენობით ქვეითს ჯარსაც-კი არ შეეძლო გავლა, ხოლო "სადაცა მცირე ვაკე იყჳს" და უფრო გაშლილი ადგილი მოიპოვებოდა, სამაგიეროდ მოქმედებას ის გარემოება აძნელებდა, რომ "ლამი იყჳს", რომელშიც მებრძოლი იფლებოდა[191].

---

[188] იქვე და **ჰამმერი, II,** გვ. 106-107.

[189] **ჟამთააღმწერელი,** გვ. 776-777. და **ჰამმერი, II,** 128-129.

[190] **ჟამთააღმწერელი,** გვ. 777.

[191] იქვე, გვ. 773-774.

ასეთ პირობებში ბრძოლის წარმოება მხოლოდ ფრთხილად შეიძლებოდა და ამის გამო საქმე უნდა გაჭიანურებულიყო. მართლაც, "გაგრძელდა ომი" და, თუ მოწინააღმდეგენი "პირველ ისრითა" უმასპინძლდებოდნენ ერთმანეთს, "მერმე ჴმლითა იბრძოდეს თათარნი და ქართველნი", ოლჯაითუ ყაანი ბრძოლის მიმდინარეობას შორითგან ადევნებდა თვალყურს. მოწინააღმდეგენი თავს არ ზოგავდნენ და, როდესაც გახურდა და "შენივთდა ომი", უდიდესი ზარალი, რასაკვირველია, იერიშის მიმტანს ჯარს მოსდიოდა. ამიტომ ვახტანგ III-ის მეთაურობით მომქმედი საქართველოს ჯარისკაცნი, "ადგილთა სივიწროვითა მოისვროდეს ესოდენ" დიდი რაოდენობით, რომ "ათისაგან ძლივ ორნი ცოცხალ იყვნეს სომხითარნი", რომელნიც პირადად მისი სამხედრო ძალის უმოავლესობას შეადგენდნენ და მას "ახლვიდეს". გილანელთა დასამორჩილებლად დაწყებულს ლაშქრობას ამ ომში იმოდენა ხალხი შეეწირა მარტო საქართველოთგანაც-კი, რომ ზოგნი მთლიანად "მოსწყდეს, მრავალნი აზნაურნი უმკჳდრო გაჴდეს (ე ი. უმემკვიდრეოდ ამოწყდნენ), რამეთუ მამა, შვილი და ძმა მუნ" იყვნენ და ყველანი დაიხოცნენ. თვით მეფე ვახტანგიც "მცირედ დაიკოდა ბარკალსა"-ო[192].

ღამემ მოწინააღმდეგე მხარეებს ბრძოლა შეაწყვეტინა და ამ დროს ერანის ილხანს შეეძლო საბედისწერო მდგომარეობას კარგად ჩაჰფიქრებოდა: "იხილა ყაანმან სიმაგრე ქვეყანისა, ტყვითა და კლდითა" დაცულობა და ღამითვე უკან დახევას შეუდგა. მაგრამ გილანელებმა ეს, რასაკვირველია, შეიტყეს, უკან დაედევნენ და უკუქცევის დროსაც დასახევი გზების შეკვრით შემოსეული მტრის განადგურება გადაწყვიტეს. ხუტლუშას შვილის სიბაუჩის წინამძღოლობით მიმავალს ერანის ილხანის მხედრობას გზის შესაკრავად "თავადი (ე. ი. მეთაური) გილანელთა" დაუხვდა, რომელმაც ხარხარის ხეობაში "შეაბა კარი იწროსა შესავალთასა და დაუდგა"თავის რაზმითურთ. მაშინ-კი უკვე თვით ხუტლუშამ იკისრა მოქმედების მეთვალყურეობა: "იგი გარდაჴვდა ცხენისაგან და დაჯდა სკამითა და უბრძანა ბექას ლაშქართა ქვეითად შესვლა". გააფთრებული ბრძოლა გაჩაღდა. გაცხარებული იერიშის დროს, "სტყორცნა ვინმე ისარი და ეცა თავსა შიშველსა ხუტლუშა ნოინსა". ამ მარჯვედ გამოსროლილი ისრისაგან ის "მყის მკუდარ შთაიჭრა სკამისგან". ამის დანახვაზე ლაშქარს სილაჩრის მაგალითი პირველმა მისმა შვილმა სიბაუჩიმ უჩვენა და გაიქცა. რასაკვირველია, სხვებიც ისევე მოიქცნენ. მაგრამ ამ ლტოლვის დროსაც გილანელთა იარაღისაგან ბევრი დაიღუპა იმიტომ, რომ უკან დახევის დროს ისეთი ადგილი დახვდათ, "სადა ბრინჯი დგომილიყო ვაკესა შინა". იქ თურმე "ღამით წყალი ჩაედგოთ" და ამის გამო "ესრეთი ლამი შექმნილიყო, რომე ვერცა ცხენი და ვერცა ქვეითი ვერ გაიარდა". ამით ისარგებლეს გილანელებმა და მონღოლთა და მესხთა რაზმებს ხოცვა დაუწყეს[193].

ერანის ილხანის ლაშქრის მესამე ჯგუფი, რომელშიც მხედართმთავრად ჩოფანი იყო, ხოლო შემადგენელ ნაწილად ჯავახეთის ჯარიც შედიოდა, განსაცდელს შედარებით უკეთ გადაურჩა. ჩოფანმა "ვაკესა ადგილსა" გილანელებს სძლია და ისინი გააქცია. მაგრამ, ბრძუნლი წინდახედულობით, გილანელებს "სიმაგრისა შინა არღარა შეჰყუა, არამედ წყნარად დაბრუნდა". გილანელები, რასაკვირველია, მაინც ცდებოდნენ დამარცხებული მტრისათვის უკან გაბრუნების დროსაც მოსვენება არ მიეცათ. ამიტომ ლაშქრის ზურგის გამაგრება ამ შემთხვევაშიც აუცილებლად საჭირო იყო.

დამახასიათებელია, რომ ისევე, როგორც იერიშის მისატანად ხუტლუშამ ქართველები გაგზავნა და თავი შეაკვლევინა, აქაც ჩოფან ნოინმაც მთელი თავისი ხელქვეშეთი ლაშქრის დაცვის მთელი სიმძიმე ქართველებსვე დააკისრა: სახელდობრ, მან დანიშნა "უკანამავლად ჯავახის შვილი გამრეკელი". ისტორიკოსის მოწმობით, თავის თემის ჯარითურთ ისიც "მჴნედ

---

[192] იქვე, გვ. 774-777.

[193] **ჟამთააღმწერელი,** გვ. 778-779.

იბრძოდა ომსა მას” და ამის წყალობით ჩოფან ნოინის ჯარის ნაწილები ”გარდმოვიდეს მშვიდობით”[194], მაგრამ ადვილი წარმოსადგენელია, თუ რა ფასად დაუჯდებოდათ უკანამავალ რაზმად მებრძოლ ქართველებს მონღოლთა ლაშქრის ასეთი მშვიდობით დაცვა! ამრიგად, 1306 წ. 18 ივნისს ერანის ილხანის ლაშქარმა, როგორც იყო, უჟანში მოიყარა თავი და ამით ლაშქრობაც დამთავრდა[195].

ვახტანგ III 1308 წ. გარდაიცვალა[196]. ხოლო ამის შემდეგ, ”მესამესა წელს”, ნიკრისის სენით მძიმედ დაავადებული დავით VI-ეც მოკვდა[197], ოლჯაითუ ყაანმა, ჟამთააღმწერელის სიტყვით, მის მაგიერ დასვა ”ძე მისი მცირე გიორგი ორწელ მეფე ქმნილი”. როცა ”ოლჯაით სულტანმან წარმოავლინა გიორგი მეფედ”, თან თავისი ნოინებიც გამოაყოლა იმ დავალებით, რომ ”ყოველი საქართველო ერთად შეკრიბონ მეფობასა შინა გიორგისსა”. მონღოლების ყმადნაფიცი საქართველოს ისეთი დაქუცმაცება, როგორც მაშინ იყო, მათ სასურველად არ მიაჩნდათ, რათგან ქვეყნის დაწვრილმანება საქმესაც და გადასახადების წინანდელი რაოდენობით აკრებასაც უძნელებდათ. ამ გეგმის განსახორციელებლად წარმოვლენილმა ნოინებმა აირჩიეს ”შანშე მჯარგრძელი და ზაქარია, ავაგის ასულისა ხვაშაქისა ნაშობი”. საქართველოს სამეფოთგან ყველა უწინ გამოყოფილი ნაწილების, მათ შორის მესხეთისაც, კვლავ დაბრუნება სცადეს. ამ მიზნით ”მივიდეს ჯავახეთს” და ”მიერ კოხტას თავს და აწვევდეს სარგისსა და ყუარყუარეს გამოსვლად” და ისევ საქართველოს სახელმწიფოებრივობის წიაღში დაბრუნება სთხოვეს, მაგრამ მათ თურმე ეს ”არა ინებეს”[198]. რასაკვირველია, ისინი ამას თუნდაც იმიტომ არ მოისურვებდნენ, რომ მეფის მაგიერ, რომელსაც მაშინ, ვითარცა მცირეწლოვანს, ქვეყნის მესაჭეობა არ შეეძლო, მათ მხარგრძელთა ხელქვეშეთობა მოუხდებოდათ. ამას-კი ისინი თავიანთ თავს როგორ აკადრებდნენ, როდესაც საგარეო პოლიტიკურ ურთიერთობაში მათ უკვე მეფეთა სწორიმდგომარეობა და პატივისცემა ჰქონდათ მოპოვებული.

XV. ერანის მონღოლთა და ილხანების დაუძლურებისა და მათი საყაანოს გაქრობის მიზეზები

1. შინაურობაში შუღლი და მონღოლ-დამპყრობელთა დაბალი კულტურული დონე

ოლჯათუ ყაანის 1316 წ. გარდაცვალების შემდგომ, ერანის ილხანად მისი მცირეწლოვანი ვაჟიშვილი აბუსაიდი დასვეს, მაგრამ ნამდვილად მის მაგიერ საყაანოს მისი გამყაანებელი ხვარასნის მმართველი ჩობანი განაგებდა.

ყაზან ყაანი ერნის მონღოლთა უკანასკნელი მბრძანებელი იყო, რომელმაც მონღოლთა სამფლობელოს უკუღმა დატრიალებული ბედის კვლავ წაღმა მოტრიალება მოიწადინა და შეუჩერებელი დაქვეითება–დაუძლურების შეკავება და საყაანოს მართვა-გამგეობის მოწესრიგება სცალა. ამ მხრით მისი ღვაწლი, როგორც თვით მონღოლთა საბრძანებლისათვის, ისევე მათ უღელქვეშ მყოფი სხვა ქვეყნებისათვის დიდი იყო. მაგრამ მონღოლთა ბატონობისათვის საბედისწერო დასასრულის აცდენა ვერც მან მოახერხა. ამის მიზეზი, რა თქმა

---

[194] იქვე, გვ. 779.
[195] **ჰამმერი,** II, გვ. 218.
[196] **H. d. G., I,** 639,n. 3.
[197] **ჟამთააღმწერელი,** გვ. 783.
[198] იქვე, გვ. 783-784.

უნდა, ის გარემოება-კი არ იყო, რომ ყაზან ყაანი უფრო კარგი მმართველი გამოდგა, ვიდრე მხედართმთავარი და თავისი ლაშქრის ბედნიერი ხელმძღვანელი. მონღოლთა სამხედრო ძლევამოსილება უკვე მის გაყაანებამდე კარგა ხნით უწინარეს გაქრა და გამარჯვების მოპოვება ილხანის მხედრობისათვის მანამდისაც უკვე ადვილი საქმე აღარ იყო. ამიტომაც ყველანი დარწმუნდნენ, რომ მათი უძლეველობის წინანდელი შიში თურმე ტყუილი იყო და მათ წინააღმდეგ მარტო მოგერიებითი ბრძოლის წარმოება-კი არ შეიძლებოდა, არამედ შეტევა იერიშის მიტანაც. პირველად ეს მათმა მეტოქეებმა, ეგვიპტის სულტნებმა, შეიგნეს და ერაეთხელ ესოდენ შეცვლილი ვითარება თავიანთ სასარგებლოდ გამოუყენებიათ კიდეც.

მონღოლთა დაუძლურება-დაქვეითებისა და შემდეგ მათი ხელისუფლების სრულადი გაქრობის მიზეზი ზემოაღნიშნულზე უფრო ღრმა იყო. მეტის თქმაც შეიძლება. მონღოლთა საყაანოს თვით საფუძველი ისეთი ჰქონდა, რომ მისი საბედისწერო დასასრული აუცილებელი იყო. უფრო ის არის გასაკვირველი, რომ, თანდაყოლილი ძირითადი სნებიანობისდა მიუხედავად, მან ერთი საუკუნის განმავლობაში მაინც არსებობა შესძლო.

მონღოლთა საყაანოს დამხობისა და სრულიადი დაშლის მთავარი მიზეზი დამპყრობელ მონღოლთა და მათგან დაპყრობილ მრავალრიცხოვან ერთა სოციალ-ეკონომიური და კულტურული განვითარების სხვადასხვაობა იყო. ჩინელებიც, ხვარაზმელნიც, სპარსელნიც, ქართველები და სომხებიც, ყველას ჩამოთვლას რომ არ შევუდგეთ, მონღოლებზე ამ მხრით გაცილებით მაღლა იდგნენ. მათ იმ დროისათვის დაწინაურებული მეურნეობა და ეკონომიკაცა და კულტურული ყოფაცხოვრებაც ჰქონდათ. მათი მწერლობაც და მეცნიერებაც მაღალ დონეზე იყო. მონღოლებმა, თავიანთი ფართო სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის ასპარეზზე გამოსვლის შემდეგაც, მთელი საუკუნის განმავლობაში მწიგნობრობის ფართოდ შეთვისება და ამ ცოდნის თავიანთი არსებობის მთავარ კუთვნილებად ქცევა ვერ შესძლეს. წერაკითხვაც-კი თვით მათ მაღალ წრეებს შორისაც-კი საყოველთაოდ გავრცელებული არ იყო. ეს გარემოება გასაკვირველი არც არის, რათგან კულტურის მაღალი დონის შესაქმნელად აუცილებელ პირობას მკვიდრი ბინადრობა წარმოადგენს, მონღოლების დიდი უმრავლესობა-კი თითქმის ისევ მომთაბარე მესაქონლე-მონადირე ხალხად დარჩა ბოლომდე, როგორც ისინი ჩინგიზ-ხანისაგან ფართო პოლიტიკურ სარბიელზე გამოყვანამდე იყვნენ.

2. სწავლა-განათლებისადმი მონღოლთა სრული გულგრილობა და მათი წინანდებურად მომთაბარე ხალხად დარჩენა

მონღოლთა გონებრივი კულტურისა და ეროვნულ-პოლიტიკური შეგნების სისუსტის ცხადი გამომჟღავნებულია ის გარემოებაც, რომ თვალგადაუწვდენელ სივრცეზე და მრავალრიცხოვან კულტურულ ერებზე თავიანთი ასწლოვანი ბატონობის დროსაც, მათ საკუთარი სახელმწიფოებრივობისა და პოლიტიკური საქმიანობის მომთხრობელი ნამდვილი ისტორიის შექმნაც-კი ვერ შესძლეს: ერთ თხზულებას გარდა, რომელსაც "საიდუმლო თქმულება" ეწოდება, და რომელიც ნამდვილად ისტორია-კი არა, არამედ ეპიკური ნაწარმოებია, მონღოლურად დაწერილი საისტორიო თხზულება არ არსებობდა. სპარსელ ისტორიკოსების, ჯუვეინისა და რაშიდედინის, აგრეთვე ჩინურადაც დაწერილი საისტორიო თხზულებები რომ არ ყოფილიყო, მონღოლთა პოლიტიკური არსებობის ამ უბრწყინვალესი ხანის შესახებაც კაცობრიობას, სხვადასხვა ენაზე დაწერილ წყაროებში შეტანილსა და გაბნეულს ცნობებს გარდა, ბევრი არაფერი ეცოდინებოდა. მონღოლთა პოლიტიკური ისტორიის გაბმულ-დალაგებული და ქრონოლოგიურად განსაზღვრული მოთხრობა მხოლოდ

ზემოდასახელებულ წყაროებში მოიპოვება. ამრიგად, თვით მონღოლთა ყაანებმაც-კი თავიანთი ხალხისა და საყაანოს ისტორიის აღბეჭდისა და ცოდნის აუცილებლობა მხოლოდ იმ დროს შეიგნეს, როდესაც მათი ეროვნების მთავარი განმასხვავებული კუთვნილება, მონღოლური ენა, დაპყრობილ ერთა ენამ დაჯაბნა და თავისი თავი კულტურის ერთად-ერთ იარაღად აქცევინა.

ამას გაარდა, ჩინგიზ-ხანის მიერ დაპყრობილი და ხელში ჩაგდებული მიწა-წყალი და ახლად დაარსებული უზარმაზარი საყაანოს მრავალირცხოვანი მოსახლეობა, რომელსაც მონღოლებთან საერთო არაფერი ჰქონდა, დამპყრობელს მონღოლთა ურდოებს, კულტურულ უპირატესობასთან ერთად, რიცხობრივადაც იმდენად სჭარბობდა, რომ მონღოლები ყველგან დიდ უმცირესობას შეადგენდნენ და ამის გამო მათ არც სიმრავლით შეეძლოთ დაპყრობილ ერებსა და ქვეყნებზე გავლენა მოეხდინათ. პირიქით ცხადია, რომ მონღოლები, თავიანთ თანამეტომეთა შედარებითი სიმცირისა და დაბალი კულტურული დონის გამო, რიცხობრივად და კულტურულად მათზე უფრო ძლიერი დაპყრობილი ერების გავლენას ვერას გზით თავითგან ვერ აიშორებდნენ.

მართალია, მკვიდრი ბინადრობის უქონლობა მონღოლებს სხვა ქვეყნების დაპყრობისას ძალიან გამოადგათ, მაგრამ ჩინგიზ-ხანმა იმოდენა ქვეყნები და იმდენი ერები დაიპყრო, რომ ასეთ დიდ სივრცესა და ხალხის ასეთ სიმრავლეს რიცხობრივად ვერც ერთი დამპყრობელი ერი, რაგინდ მრავალირიცხოვანიც არ უნდა ყოფილიყო იგი, ვერ გასწვდებოდა. ასეთ პირობებში სამხედრო მოქმედებით მოპოვებული უპირატესობის ხანგრძლივ შენარჩუნებაცა და შემდგომი წარმატების უნარის გაუნიავებლად დაცვაც მხოლოდ მაღალი კულტურული დონით თუ შეიძლებოდა. მონღოლებს-კი სწორედ ეს აკლდათ. რაც უფროდაუფრო მეტ ქვეყნებს იპყრობდნენ ისინი, ყოველ ასეთს ტერიტორიულ გაფართოებას ბოლოს აუცილებლად მათი ძალის დაქსაქსა-დასუსტება უნდა გამოეწვია, რათგან, ცხადია, რომ რიცხობრივად დამპყრობელთა ოდენობა ამ დროს, ომიანობისაგან მოყენებული ზარალისაგან თუ არ შემცირდებოდა, მაინც-და-მაინც საგრძნობლად ვერ გადიდებოდა. პირიქით, ყოველი ახალი ქვეყნისა და ხალხის შემოერთება დაპყრობილ ერთა ოდენობას ადიდებდა და დამპყრობელ მონღოლთა და დაპყრობილ დანარჩენ ხალხთა შორის მანამდე არსებული შეფარდებაც სულ უფროდაუფრო მონღოლთათვის უნდა გაუარესებულიყო და, უეჭველია, უარესდებოდა კიდეც.

მონღოლთა ყაანების პოლიტიკური და სამხედრო საქმიანობის ზემოაღნიშნული მიმართულებისა და დასახული ამოცანების გზების მიხედვით, მათ იმ პირობებში, რომელშიც ისინი იმყოფებოდნენ, მოპოვებული სამხედრო გამარჯვებისა და დაპყრობილ-ყმადნაფიც ქვეყნების პოლიტიკური ბატონობის ერთი საუკუნის განმავლობაშიც შენარჩუნება მხოლოდ თავიანთი განსაკუთრებული წყობილების წყალობით შეეძლოთ.

3. დამპყრობელ მონღოლთა დაპყრობილ მაღალკულტუროსან ხალხთაგან განცალკევებით დაბანაკების წესი და ადგილობრივი მოსახლეობისაგან განკერძოება, საოკუპაციო ჯარის მსგავსად

სადაც-კი მონღოლები მიდიოდნენ, გამარჯვებისას დაპყრობილ ქვეყანაში დარჩებოდნენ თუ არა, არც ქალაქებსა და მკვიდრს სოფლის მოსახლეობის არეშიც, დადგომა არ შეეძლოთ, რათგან თან მონღოლებს თავიანთი ოჯახები და საქონელიც დაჰყავდათ და ამიტომ თავისიანებისათვის ხარგების დასადგმელი ფართო ადგილი და საქონლისათვის საზაფხულო

და ზამთრის საძოვრები სჭირდებოდათ. ამას ისინი, ცხადია, ვერც ქალაქებში და ვერც მჭიდროდ დასახლებულ ადგილებში ქალაქებს გარეთაც ვერ იშოვიდნენ. ამის გამო დამპყრობელი მონღოლები ყველგან დაპყრობილი მოსახლეობისაგან განცალკევებით იყვნენ ხოლმე დაბინავებულნი.

მონღოლთა დაბინავების ასეთი წესი ერანში და საქართველოში სპარსული, ქართული და სომხური საისტორიო თხზულებებით მტკიცდება. ხოლო ჩინეთის შესახებ ეს გარემოება მარკო პოლოს მოთხრობითაც დასტურდება. თავის ნაშრომში მას შემდეგი საყურადღებო ცნობები და უფრო საგულისხმო მსჯელობაც მოეპოვება: მთელ ჩინეთში და ყაანის დანარჩენ ყველა სამფლობელოებში ბევრნი არიან ორგულნი და გამცემნი, რომელნიც მზად არიან აჯანყდნენ. ამიტომ ყოველ ქვეყანაში და სანახებში, სადაც დიდი ქალაქები და ბევრი ხალხია, ლაშქარია საჭირო, ლაშქარს ქალაქ გარეთ, ოთხი–ხუთი კილომეტრის სიშორეზე აყენებენ ხოლმე, ქალაქებს-კი უფლებას არ აძლევენ, რომ ზღუდე-გალავანი და კარები ჰქონდეთ, რომ მათ საჭიროებისამებრ ქალაქში დაუბრკოლებლივ შესვლა შეეძლოთ. ჯარები მათ სხვადასხვა ადგილას ოცდაათ-ორმოცი დღის სავალზე ერთი მეორისაგან დაშორებით ჰყავთ დაბანაკებული. დიდი ყაანი ყოველ ორ წელიწადში ერთხელ სცვლის ლაშქრის ნაწილებსაც და ჯარის უფროსებსაცაო[199].

იტალიელი ავტორის ზემომოყვანილი ცნობითგან ცხადი ხდება, რომ მონღოლები ჩინეთშიცა და დანარჩენ დაპყრობილ ქვეყნებშიც საოკუპაციო ჯარის ბანაკის მსგავსთდ იყვნენ მოწყობილ-დაბინავებულნი. ასეთი მდგომარეობა შესაძლებელია მხოლოდ დროებითი მოვლენა იყოს, მაგრამ, რაკი საყაანოში ასეთი ვითარება მუდმივ წესად იყო ქცეული, ცხადია, რომ ამნაირი მდგომარეობა მხოლოდ მონღოლთა სახელმწიფოებრივობისა და ბატონობის ანორმალური და მტკიცე ნიადაგის უქონლობის გამომჟღავნებელია. მოსახლეობასა და უცხო ხელისუფლებას შორის ურთიერთ გაგებაზე დამყარებული დამოკიდებულება და წესიერი მშვიდობიანი სამოქალაქო ყოფაცხოვრება ასეთ პირობებში სრულებით შეუძლებული იყო, რათგან მონღოლთა ხელისუფლება თავის სამხედრო ძალითურთ და ადგილობრივი დაპყრობილი მოსახლეობა ორ მარად მოპირდაპირე ბანაკს წარმოადგენდნენ. დამახასიათებელია, რომ ადგილობრივი მოსახლეობის გავლენის საშიშროება მაინც იმდენად დიდი ყოფილა, რომ მონღოლთა ყაანებს თავიანთი ლაშქრის ნაწილების ერთ ალაგს დატოვებაც-კი სასურველად არ მიაჩნდათ. მონღოლთაგან მკვიდრი ბინადრობის უქონლობის წესის ყველა უარყოფითს თვისებებს კულტურის ამაღლების შესაძლებლობის შესაქმნელად, ამრიგად, კიდევ ეს ლაშქრის საოკუპაციო ჯარის მსგავსად დაბანაკების სისტემაც ერთვოდა ზედ და მდგომარეობას უფრო ართულებდა: წარმატებისა და მაღალკულტუროსანი დაპყრობილი მოსახლეობისაგან რისმე შეთვისებისათვის ყოველივე საშუალება თითქოს განზრახ იყო მოსპობილი.

4. დაპყრობილი ქვეყნების ერებთან შედარებით მონღოლ-დამპყრობელთა მცირერიცხოვნებისა და უკულტურობის გამო ეროვნული გადაგვარება და სრულიად გაქრობა

ყველა ზემოაღნიშნულ ხელშემშლელ და დამაბრკოლებელ გარემოებათა მიუხედავად, საბოლოოდ მაინც მონღოლებმა დაპყრობილი მოსახლეობის კულტურის გავლენა ვერ აიცდინეს: ხანგრძლივმა მეზობლობამ თავისი გაიტანა და მაღალმა კულტურამ დაბალს სძლია.

---

[199] **ვლადიმირცოვი** გვ. 126.

მაგრამ მონღოლებისათვის ამას არც ეროვნული და არც სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით სარგებლობა არ მოუტანია, რათგან, რამდენადაც კულტურულად წარმატებისათვის ორი მთავარი პირობა, მკვიდრი ბინადრობის მოკიდება და მათზე მრავალრიცხოვანი და დაწინაურებული დაპყრობილი ერების ენათა შეთვისება, იყო აუცილებლად საჭირო, მონღოლთა სიმცირის გამო, ამ ორი პირობის განხორციელებას უნდა თავისთავად მათი ადგილობრივ უცხო მოსახლეობაში შერევა-გათქვეფისათვისა და დაპყრობილი ერების ენის შეთვისებისათვის, ე. ი. მონღოლთა ეროვნული გადაგვარებისათვის, შეეწყო ხელი. აკი სწორედ ასეც მოხდა! და არსად, საცა-კი წინათ მონღოლთა ძლიერი საყაანო იყო, მონღოლთა მოსახლეობის ნაშთიც-კი აღარ შერჩა და მონღოლურად მეტყველი ხალხი სრულებით უკვალოდ გაქრა.

როგორც უკვე ვიცით, მონღოლთა უდიდესი უმრავლესობა სახელმწიფოს სამოქალაქო მმართველობისა და საქმიანობისათვის სრულებით მოუმზადებელი იყო, ამიტომაც მონღოლთა დიდი სახელმწიფოს და ოთხივე საყაანოების ამ დარგის მოხელეობა, როგორც უკვე თავის ადგილას აღნიშნული გვქონდა, არა-მონღოლთაგან უნდა ყოფილიყო შერჩეული. ერანის ილხანების საბრძანებელშიც სამოქალაქო მართვა-გამგეობა თითქმის მთლიანად სპარსელებს ჩაუვარდათ ხელში, მონღოლებს-კი მხოლოდ სამხედრო ხელისუფლება-ღა შერჩათ.

ამას ზედ სარწმუნოებრივი მსოფლმხედველობის ის განსხვავებაც დაერთო, რომელიც შამან მონღოლებსა და დაპყრობილი ერების ამ დარგის მსოფლმხედველობათა შორის მკვეთრად საგრძნობი იყო. რა თქმა უნდა, კონფუციანობა, ბუდისტობა, ქრისტიანობა და მაჰმადიანობა შამანურობაზე მაღლა იდგა. შეუძლებელია ეს უპირატესობა მონღოლთა მმართველ ფენას არ ეგრძნო და მართლაც ყველგან მათ წიაღში დაპყრობილი ერების სარწმუნოების ძლიერმა გავლენამაც იჩინა თავი: მათი წინანდელი ეროვნული სარწმუნოების, შამანურობის, მაგიერ, დაპყრობილი კულტურული ერების სარწმუნოებამ გაიმარჯვა. ერანშიც ილხანებს შორის, როგორც უკვე ვიცით, მაჰმადიანობა გავრცელდა. მაჰმადიანობის მონღოლთა ურდოში გამარჯვებამ, მაჰმადიან ძლიერ ერთა, თურქების ჩრდილოეთს ულუსში-და სპარსელების, სამხრეთის ულუსში, ერანის საყაანოში, - საბოლოო გაბატონებას იმდენად ფართო გზა გაუკაფა, რომ მონღოლთა სრული ეროვნული გადაგვარებისა და გაქრობის პროცესის შეჩერება უკვე აღარავითარს ძალას აღარ შეეძლო.

რაკი მკვიდრი ბინადრობის მოკიდება მონღოლთა უმრავლესობამ ვერ შესძლო და ბოლომდე მომთაბარედ დარჩა, ამიტომ მათ ეკონომიკასაც მკვიდრი და მაღალი კულტურისათვის საჭირო საფუძველიც ვერ შექმნა. ისინი ვერც მიწისმოქმედებას შეეჩვივნენ და ინტენსიური ხელოსნობისა და მრეწველობისათვისაც მათში შესაფერისი პირობები ვერ აღმოჩნდა. მართალია, როგორც ვიცით, ჩინგიზ-ხანის დროითგანვე მოყოლებული, მონღოლთა ყაანები ცდილობდნენ დაპყრობილი ქვეყნებითგან საუკეთესო ხელოსნების იძულებით თავიანთთან გადასახლებით ხელოსნობის ჩასანერგავად ხელი შეეწყოთ, მაგრამ მონღოლთაგან ეს ძველი ნაცადი ღონეობაც ხალხში ხელოსნობის გასავრცელებლად და შემდეგ ასაყვავებლადაც, სრულებით უნაყოფო გამოდგა. ხელოსნობის ცოდნის შეთვისებისათვის, მომთაბარე მესაქონლე-მონადირე–მოლაშქრე მონღოლებს არავითარი ხალისი არ გამოუჩენიათ. ამისთვის შესაფერისი პირობები აქ არც იყო: მკვიდრი ბინადრობის გარეშე და მცხოვრებთა კულტურული მოთხოვნილების უქონლობის გარემოებაში, ხელოსნობას არც გავრცელება და არც მით უმეტეს განვითარება არ შეეძლო. ძალით გადასახლებული უცხო ხელოსნები ამრიგად თავიანთ ქვეყანასა და ხალხსაც მოსწყდნენ და მოაკლდნენ, რითაც, რასაკვირველია, მათი ერის კულტურასაც ზიანი უნდა მოსვლოდა, და მონღოლთა ამ დარგში დაწინაურებასაც ვერაფრად გამოადგნენ.

XVI. აღმ. საქართველოში მომხდარი ცვლილება მონღოლთა ბატონობის თითქმის საუკუნოვანს ხანაში

1. ქვეყნის მდგომარეობის ზოგადი დახასიათება

საქართველოში მონღოლთა თითიქმის ასწლოვანი ბატონობის საბედისწერო შედეგისა და ქვეყნისა და მოსახლეობისათვის მათი ბარბაროსობის ცხადსაყოფელად ბოლოს ბევრი საუბარი არც-კია საჭირო. იმდროინდელი სინამდვილის საშინელების წარმოსადგენად ხნიერების ულმობელმა გამანადგურებელმა დრომაც-კი ერანის ილხანისა და მონღოლთა მთავრობისაგან გამოცემული წარსულის ძეგლთა შორის, თითქოს განგებ, ერთი ფრიად საყურადღებო ბრძანება დაგვიცვა, რომელშიც საქართველოს სამეფოში მათი ბატონობის წყალობით მე-14 ს. დამდეგისათვის დამყარებული მდგომარეობა საუცხოოდ არის დასურათებული. ამ ბრძანებას მონღოლურად იერლაყი ეწოდება. იგი აბუ-საიდ ბაჰადურ ყაანისაგან იყო გამოცემული, საფიქრებელია, საქართველოში 1319 წ. ილხანის წარმომადგენელის, დიდი ნოინის ყურუმშის, აჯანყების ჩაქრობის მომდევნო წლებში. მას იმდენად დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ ამ ძეგლის ტექსტის აქ თითქმის მთლიანად მოყვანა აუცილებლად საჭიროა.

აბუსაიდის ეს ბრძანება ამოჭრილი იყო წარწერის სახით ქ. ანისის ე. წ. მანუჩეს მაზგითის გარეთი კედლის ქვაზე სპარსულად, იმ ენაზე, რომელიც უკვე ერანის ილხანების ოფიციალურ სახელმწიფლო ენად იყო ქცეული. მაჰმადიანური მოკლე სარწმუნოებრივი შესავლის შემდეგ, იქ ნათქვამია:

“აბუსაიდ ბაჰადურხან

იერლაყი. ამჟამად დედამიწის პირის ფადშაჰის (ხელმწიფის), მსოფლიოს სულტნისა, ქვეყნისა და სარწმუნეობის ამმაღლებელის ტახტ-საჯდომითგან, როდესაც მსოფლიოს მცხოვრებნი აღმოსავლეთითგან და სავლეთამდის მისი მოწყალებისა და სამართლიანობის ჩრდილს ქვეშე იმყოფებიან, მისი განკარგულება და ბრძანება უზენაესმა ჭეშმარიტებამ (ე. ი. ღმერთმა) უმეტესად სრულყოფილყოს! ხოლო ბრძანება ასეთია, რომ, რაკი ქვეყნის ზედაპირიმის ბრძანებასა და დივანის (ე. ი სავაზიროს) განკარგულება მისი კალმის წვერზეა დამოკიდებული, მისი დაკლება, ანდა გადამეტება ვერავინ გაბედოს და, ტამღისა დასამართლიანი ბაჟის გარდა, სხვა აღარაფერი არ გამოართვან და არავის ყალანის, ნემარისა და ტარხ-ისა (გამოსაღებლებისა) და სხვა რამის მომიზებით არ სთხოვონ, როგორც წინათ ქალაქს ანისში და საქართველოს სხვა ვი ლაიეტებში (ქვეყნებში) ყალაანს,ნემარსა და უკანონო გამოსაღებლებსა და ტარხ-ს ძალით ჰკრებდნენ და ავიწროებდნენ (მოსახლეობას და ამის გამო ქვეყანა) გაოხრდა, მდაბიო ხალხი გაიფანტა (და გაიქცა), ამ ქვეყნის ქალაქის მამასახლისებმა ყალანის და დერნაგირის (ე. ი. საქალაქო კარის ბაჟის) გამო თავიანთი უძრავი და მოძრავი ქონება და სახლკარი მიატოვეს და გაიქცნენ»-ო[200].

ამ უაღრესად საყურადღებო წარწერითგან, მაშასადამე, ცხადი ხდება, რომ ერანის მონღოლთა საყაანოში, ყაზან ყაანის უკანასკნელი თავგამოდებული ცდისდა მიუხედავად, მოხელეთა ურიცხვი ბოროტმოქმედებისა და ხალხის უსინდისო ყვლეფის არამცთუ შეჩერება, არამედ ალაგმვაც კი ვერ მოხერხებულა. მეცამეტე საუკუნის ორმოციან წლებითგან მოყოლებული საქართველოს ისტორიის მოთხრობის დროს არაერთხელ გვქონდა შემთხვევა

[200][იხ. ვ. ბართოლდი, Персид. над. на стене анийской мечети мануче, 5-7]

აღგვენიშნა, რომ მონღოლთა ხელისუფლების ასეთს თავაშვებულს მცარცველობაზე თვით ყაანების მთავრობის უმაღლეს მოხელეებსაც-კი მიუქცევიათ რამდენჯერმე ყურადღება და ხალხისა და სახელმწიფოს ამნაირი გამანადგურებელი მდგომარეობის შეცვლა, ამ ბოროტების ამოფხვრაც-კი უცდიათ. მაგრამ ამ მცარცველთა და ბოროტმოქმედთა ხროვის ალაგმვა, რომელსაც ხარკისა, გადასახადებისა და ბაჟების აკრება და ბეგარის მოხდევინება ჰქონდა ხელში ჩაგდებული, მხოლოდ ხანმოკლე დროის განმავლობაში თუ ხერხდებოდა, საერთო მდგომარეობა-კი, ყოველი ასეთი დროებითი გაუმჯობესების შემდგომ, სულ უფრო და უფრო უარესდებოდა.

განა ქვეყნის აკლებას არ უდრიდა, რომ საქართველოს ქალაქების მოსახლეობას, ტამღასა და ბაჟს გარდა, რომლის აკრების უფლება ჰქონდათ მხოლოდ კანონით, წლების განმავლობაში კიდევ სამს, კარგა ხანია უკვე გაუქმებულ, გადასახადსაც სრულებით უკანონოდ ართმევდნენ. დასაჯერებელია მერმე, რომ ერანის ილხანს თავისი ანგაარი მოხელეების ასეთი აღმაშფოთებელი ბოროტმოქმედების შესახებ სრულებით არა სცოდნოდა რა? და თუ შეუძლებელია, რომ ამ ამბავს აბუსაიდის გაყაანებამდეცა და 1316 წ. გაყაანების შემდგომაც-კი მის ყურებამდის არ მიეღწია, მაშინ ამ ყაანის ტრაბახი, ვითომც დედამიწის ზურგზე და მის სამოხელეო დაწესებულებებში ყველაფერი მხოლოდ მისს ბრძანებასა და მისი კალმის წვერის მოსმაზე იყო დამოკიდებული, განა გაწამებული ხალხის დაცინვას არ უდრიდა?!.

ცხადია, რაღაც განსაკუთრებულ გარემოებას უნდა გამოეწვია აბუსაიდის წადილი, რომ საქართველოს მოსახლეობის გული თავისი არაჩვეულებრივი წყალობით მოეგო. საფიქრებელია, რომ მისი ასეთი ქცევა და გამოცემული ბრძანება საქართველოში აჯანყებული ყურმიში ნოინის წინააღმდეგ დაწყებულ ბრძოლასთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული.

მაგრამ, რითაც არ უნდა იყოს ერანის ილხანის ზემომოყვანილი ბრძანება ნაკარნახევი, ეს ძეგლი მაინც მონღოლთა საქართველოში ბატონობისათვის ნამდვილს ანდერძის აგებას წარმოადგენს. მათი მთელი ბარბაროსობის, ქვეყნისა და ხალხისათვის კალმით აუწერელი საშინელების ამაზე უკეთესად დახასიათება სწორედ რომ შეუძლებელი იყო. მონღოლთაგან შექმნილ პირობებში, საქართველოს მოსახლეობას აყრისა და გაქცევის გარდა, თურმე აღარაფერი დარჩენოდა. ქვეყანა აოხრებული და განადგურებულიაო, ამას ერანის ილხანი, მონღოლთა მბრძანებელი, თვითვე ადასტურებს. აქვს, თუ არა, ასეთი გამანადგურებელ-გამაწბილებელი თვითდახასიათების შემდეგ, ვისმე უფლება მონღოლთა ბატონობის ვითომც-და კულტურული მნიშვნელობისა და მშენებლობის შესახებ იმსჯელოს, როგორც ეს წინათ არაერთს პატივცემულ მკვლევარსაც-კი უქნია?

მართალია, რომ მონღოლთა ბატონობის ხანამ მახლობელი აღმოსავლეთისა და ევროპისათვის შესაძლებელი გახადა, შორეული აღმოსავლეთის მდიდარი და თავისებურებით სავსე მაღალხარისხოვანი კულტურა გაეცნო და მისი გავლენის ნაყოფიც ეგემნა. ამის წყალობით ხელოვნების დარგში, მეტადრე მინიატურულ მხატვრობაში, განსაკუთრებული მიმართულებაც-კი შეიქმნა. არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ ამავე ხანაში ევროპისა და აზიის მოსახლეობის გეოგრაფიული და მანამდე უცნობ ხალხთა ცოდნაც მეტად გაფართოვდა, მაგრამ ყველა ეს მონღოლთა ბატონობის უნებლიეთი, თავისდავადი შედეგი იყო. ისტორიამ-კი უნდა განარჩიოს პოლიტიკურ მოღვაწეთა და საისტორიო ასპარეზზე გამოსულ ერთა შეგნებულად დასახული მიზანი და მიზანშეწონილი მოღვაწეობის შედეგი მოვლენათა სტიქიურად თანამყოფისა, ან და მომდევნო, მიზანდაუსახავი და უნებლიეთი შედეგისაგან!

2. საქართველოს სოციალურს წყობილებაში მომხდარი ცვლილება

მონღოლთა ბატონობის ხანაში ზემოაღნიშნული პოლიტიკური და ეკონომიური მიზეზების გამო, საქართველოს სოციალური ვითარებასა და წესწყობილებაშიც დიდი ცვლილება მოხდა.აზნაურთა წოდების წიაღითგან დიდი ხელისუფლებით აღჭურვილი პირები გამოეყვნენ, რომელთა ერთ წრედ, ამ ხანაში მთავრებად სახელდებულნი, სხვილი საქვეყნოდ გამრიგენი იქცნენ. მეორე მხრით, აზნაურთაგან სხვა დიდი მოხელეობის მჭირავი ოჯახები და საგვარეულოებიც იმდენად აღზევდნენ, რომ მათ, აზნაურთაგან განსასხვავებლად, წინანდებურად ისევ აზნაურები-კი არ ეწოდებოდათ, არამედ მხოლოდ დიდებულნი. ასეთი სოციალური განშრეების პროცესის დასაწყისი მე-12 ს-შიც ჩანს, მაგრამ მე-13 ს. იგი უკვე მთლიანად დამთავრებულია. ამ საკითხის გასაშუქებლად ბექა მანდატურთუხუცესის დროის სამართლის წიგნია ფრიად საყურადღებო: იქ მოსახლეობის სოციალური დანაწილების პირველ ერთეულად უკვე აზნაურები აღარა ჩანან, მაგრამ ამ დროს ჯერ არც თავადების წოდების ხსენებაა. პირველი ადგილი ამ ხანაში დიდებულებს აქვთ მიკუთვნებული. აზნაურები-კი სოციალური წესწყობილების უკვე მეორე ფენად არიან მიჩნეულნი. ეს სამართლის მაშინდელს ძეგლშიც სრულებით მკაფიოდ მოჩანს, რომელშიც დანაშაულებათა შედარებითი შეფასება და მათთვის შეფარდებული სასჯელთა სისტემაც სწორედ დიდებულთა და აზნაურთა ცალ-ცალკე სოციალურ ერთეულებად მიჩნევაზეა დამყარებული. აი მაგ., რა და როგორ არის იქ მკვლელობაზე ნათქვამი: «თუ კაცმან კაცი მოკლას: დიდებულმან დიდებული», ან «თუ დიდებულმან აზნაური მოკლას», ან და «აზნაურმან აზნაური მოკლას», ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ასეთი სასჯელი დაედოსო.

ამ ხნის სოციალური ვითარებისათვის მეორე დამახასიათებელ მოვლენას წოდებრივი ღირსების შენარჩუნების დიდი სიძნელე წარმოადგენს. რამდენადაც წოდებრივობა მარტო შთამომავლობითსა და მემკვიდრეობით ღირსებაზე-კი არა, არამედ ამასთანავე და ამაზე უფრო მეტად ეკონომიურ საფუძველზე იყო დამყარებული, იმდენად ქონებრივი მდგომარეობის შერყევა და ამა-თუ-იმ წოდებისათვის აუცილებელი სასხსრების დროთა განმავლობაში დაკარგვა და უქონლობა, მისი სოციალ-უფლებრივი მდგომარეობის ცვლილებასაც იწვევდა ხოლმე. საპატიო აზნაური უნდა «ციხოსან-მონასტროსანი»-ც ყოფილიყო და «ტაზრეული»-ც, ე. ი. საკუთარი სასახლე, ციხე, დასამარხავად მონასტერიცა და, რა თქმა უნდა, შესაფერისი სიდიდის მამულიც ჰქონოდა. ვისაც არც ასეთი შეძლება და არც ყველა ზემოაღნიშნული «ტაზრეულ-ციხოსან-მონასტროსნობა» არ ჰქონდა, ან და უკვე ხელითგან წაუვიდოდა, მას, თუ ამ მდგომარეობის სამი თაობის განმავლობაში გამოსწორებას ვერ მოახერხებდა, თავისდა-თავად საპატიო აზნაურობაც ეკარგებოდა. ბექა მანდატურთუხუცესის დროის საკანონმდებლო ძეგლში ეს პირდაპირ არის აღნიშნული: თუ აზნაურს «ჟამისაგან მამული დამცრობოდეს», ამასთანავე «თუ უციხო-უმონასტრო იყოს» და უკვე «მესამე ნათესავი (ე. ი. თაობა) იყოს, რომე მცრობაჲ დაეწყოს», ან და, თუ ქვეყნის მესაჭე «გასწყრომოდეს მამასა და შვილსა საქმისა რაჲსმე ზედადა ჩამოემცროს», მაშინ ის უკვე ვეღარც საპატიო აზნაურად ჩაითვლებოდა ვეღარც მასთან თანასწორი სოციალური უფლებები შერჩებოდა: ის უკვე მცირე აზნაური იყო.

რასაკვირველია, ცხოვრების მიმდინარეობა მარტო ადამიანის ქონებრივსა და წოდებრივ დაკნინებას არ იწვევდა, არამედ ამის წინაუკმო პროცესიც სწარმოებდა: პირადი ღირსების, სამსახურისა, თუ ქონებრივი დოვლათიანობის მოპოვება-დაგროვების უნარის წყალობით, ადამიანს სოციალური წყობილების დაბალი ფენითგან აღზევებაც შეეძლო. ეს სოციალური პროცესიც ბექა მანდატურთუხუცესის დროინდელს საკანონმდებლო ძეგლში მკაფიოდ არის აღბეჭდილი. იქ, მაგ., ნათქვამია: «თუ მსახური მოიკლას ასეთი, რომე აზნაურიშვილად მის პატრონს ჰყუეს», მკვლელობის ქონებრივ საზღაურად 12000 თეთრი (ე. ი. ვერცხლის ფული) გადაიხადოს, ხოლო, თუ მხოლოდ «მსახურად ჰყუეს», მაშინ მარტო 1000 თეთრი მისცესო. აქეთგან ჩანს, რომ მსახურს პირადად უკვე თავის სიცოცხლეშიც შეეძლო ერთგული

სამსახურითა და თავისი ჭკუა-გამჭრიახობით ისეთი პატივისცემა დაემსახურებინა, რომ მის პატრონს მისთვის აზნაურშვილზე თუ მეტი არა, მისი თანასწორი ღირებულება მაინც მიეცა. ის ჯერ აზნაურშვილად აღზევებული არ იყო, რათგან ამისთვის სამი თაობის განმავლობაში აღზევებისათვის საჭირო სოციალური პირობები უნდა შეენარჩუნებინა, მაგრამ სინამდვილეშიცა და სამართლის სფეროშიც მას ასეთი უფლებები პირადად უკვე მოპოვებული ჰქონდა.

წინა ხანის ამბების განხილვის დროს, აღნიშნული გვქონდა, თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა მიენიჭა სამხედრო სამსახურსა და საქმიანობას მონღოლთა ბატონობის დროს ქონებრივი კეთილდღეობის მოპოვებისა და დაუნჯებისათვისაც და სოციალურად დასაწინაურებლადაც. ამის გამო სამხედრო სამსახურში მყოფთა წრითგანაც და დაბალი სოციალური ფენითგანაც წინ წაწევა იშვიათი მოვლენა არ იყო და ეს პროცესი მეტადრე ამ ხანაში გაძლიერდა. ამ მხრივაც ამ დებულების დამადასტურებელი და მთლად დამარწმუნებელი ცნობები სამართლის იმავე წიგნში გვაქვს დაცული. იქ, მაგ., სწერია: «თუ ქოთლოსან[201]-კარვოსანი აზნაურად მსახურებდეს», მისი მკვლელობისათვის მკვლელს იმდენივე ქონებრივი საზღაური გადაახდევინონ, რამდენიც აზნაურის მკვლელობისათვის არის დაწესებულიო, ე. ი. 12000 თეთრი. კანონში განმარტებულიც არის, თუ რატომ : «ქოთლოსნისა და აბჯროსნისა და კარვოსნისა», თუ-კი მათ «პატონისაგან რომე ჴელი ჰქონდეს», ქონებრივი საზღაური მკვლელობისათვის «თორმეტი ათასი თეთრი არს..., ამად, რომე კარვოსნობას, - ესე ყოველთა წესია, - აზნაურული სჭირს»-ო.

მაგრამ თუ ამ დაწინაურბული ქოთლოსან-აბჯროსან-კარვოსანის «უკანით მისი ძმა, ან შვილი და ნათესავი ვეღარა ისრე მისის წესითა მსახურებდეს პატონთა», მაშინ მათი მკვლელობისათვის ქონებრივი სასჯელი «ათასი თეთრი იყოს», ე. ი. იმდენი, რამდენიც ჩვეულებრივი მსახურისათვის იყო დაწესებული.

ყველა ზემოდასახელებული მიზეზების გამო, მე-13-14 ს. განმავლობაში საქართველოს სოციალურს წესწყობილებაშიცა და შედგენილობაშიც დიდი და ღრმა ცვლილება მოხდა. ბევრი ძველი საგვარეულო ან სრულებით ამოწყდა, ან და ჩამომცრობის გამო, პოლიტიკურ ცხოვრებაში და საისტორიო ასპარეზზე გაქრა, სამაგიეროდ-კი ბევრი ახალი აღზევებულ-დაწინაურებული ჯერ ცალკეული პირები, შემდეგ მთელი მათი შთამომავლობა და გვარეულობანიც-კი იკავებდნენ განთავისუფლებულ ადგილს და პოლიტიკურსა და საისტორიო ფართო ასპარეზზე გამოდიოდნენ.

ერანის ილხანების საბრძანებელში სოფლების აოხრება-გაუკაცრიელებას, როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, ყაზან ყაანმაც მიაქცია ყურადღება. მის დროისათვის ამ მოვლენამ იმდენად საშიში მდგომარეობა შექმნა სახელმწიფოში, რომ მოახალშენეთა მოსახიბლავად ყოველგვარ შეღავათებს გარდა, რომელზედაც უკვე გვქონდა საუბარი, ყაზან ყაანმა საჭიროდ დაინახა მოსახლეობის სტიქიური აყრა ადმინისტრაციული და სოციალური კანონმდებლობის იძულებითი საშუალების გამოყენებით შეეჩერებინა. 1303 წ. მან ბრძანება გამოსცა, რომლითაც გლეხებს თავიანთი მიწებითგან აყრა და თვითნებურად სხვაგან გადასახლება სასტიკად აეკრძალათ, ხოლო ვინც მაინც გაიქცეოდა, ისინი ყველანი უნდა ძალით აუცილებლად თავის ადგილსავე დაებრუნებინათ, თუ რომ მათი გაქცევა-გადასახლებისაგან 30 წლის ხანდაზმულობის ვადა გადასული არ იყო[202]. ამრიგად. მოსახლეობის სტიქიურმა აყრა-

---

[201] გოდლის ანუ კოშკის მქონებელ-მცველი.

[202] იხ. ვ. ბართოლდი, К истор. Крестьянских движений в Персии: «Из делек. и близкого прошлого» в честь Н. И. Кареева, გვ. 60 და შემ. და И. Петрушевский, Хамд. Казвини как источн. Восточн. Закавказья, 887-888.

გადასახლებამ მონღოლთა ყაანებისაგან ნახმარ შემაჩერებელ ერთ საშუალებათაგანად მიწისმოქმედი მოსახლეობის მიწასთან იძულებით მიმაგრების დაკანონება გამოიწვია.

ცხადია, რომ შეუძლებელია ამას მიწის დამმუშავებელ გლეხებსა და მემამულეთა შორის სოციალური ურთიერთობა წინანდელზე უფრო არ გაემწვავებინა და სოფლის მოსახლეობაში ამის გამო წინააღმდეგობასა და ბრძოლას არ ეჩინა თავი.

გლეხთა უფლებრივი მდგომარეობის ამნაირს გაუარესებას ზედ კიდევ ერთი გამართულებელი გარემოებაც დაერთო: მონღოლები პირად ყმობასა და სამოხელეო ხელისუფლებაზე დამყარებულ დამოკიდებულებას ყმობისაგან არ არჩევდნენ, ქართული სახელმწიფო სამართლით-კი ეს ორი სოციალ-პოლიტიკური მოვლენა ერთმანეთისაგან მკაფიოდ განსხვავდებოდა. საქართველოში მონღოლთა ბატონობის დროს, ასეთი გაიგივებისადმი მისწრაფება ქართველ საქვეყნოდ გამრიგე მოხელეებსაც გაუჩნდათ თანდათან და მათაც მოინდომეს მათი ხელქვეშეთი მოსახლეობა თავიანთ ყმებივით ემსახურებინათ და გადასახად-ბეგარით დაეტვირთათ. ეს თითქოს იქ უნდა ყოფილიყო უფრო ადვილი განსახორციელებელი, სადაც პატრონყმური დამოკიდებულება, ან ნაკლებად, ან და სრულებით არ იყო გავრცელებული, სახელდობრ, საქართველოს ჩრდილო მთიანეთში, ქსნისა და არაგვის საერისთავთ-ერისთავოებში.

გიორგი ბრწყინვალის დროინდელი სამართლის წიგნითგან, «ძეგლის დადებითგან», ირკვევა, რომ მე-13 ს. დამლევსა და მე-14 ს. დამდეგს საქართველოს ამ ორ თემში საქვეყნოდ გამრიგეთა, ე. ი. ადმინისტრაციულ თანამდებობის პირთა, - ერისთავების, გამგებლისა დ სხვების,- მკვლელობა გახშირებულა. მხოლოდ ასეთი მკვლელობა ცალკეული პიროვნების და ერთი კაცის მიერ-კი არ ყოფილა ჩადენილი, არამედ მთელი სოფლის, ერთპირი მთელი ხეობისა და თვით მთელი ქვეყნის შეზრახებითა და მონაწილეობით იყო ხოლმე თურმე მოწყობილი. ცხადია, რომ ასეთი მკვლელობა პირადი შურისძიებისა, ან და ვნებათა ღელვის შედეგი ვერ იქმნებოდა, არამედ, უეჭველია, აქ ნამდვილად უაღრესად გამწვავებული სოციალური ბრძოლის გამოხატულება უნდა გვქონდეს, თვით ბრძოლა-კი სწორედ ზემოაღნიშნულ ნიადაგზე იყო აღმოცენებული.

სრულიადი საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება და კვლავ აღდგენა

XVII. გიორგიV ბრწყინვალე

1. გიორგი V-ის პიროვნება და გამეფების გარემოება

საქართველოს სახელმწიფოს მრავალსაუკუნოვანი არსებობის განმავლობაში, ბაგრატ III-ის დავით აღმაშენებლისა და თამარის შემდგომ, არც ერთ მეფეს თანამედროვეთა შორის და შთამომავლობაში ისეთი სახელი არ მოუხვეჭია, როგორც გიორგი V ბრწყინვალემ დაიმსახურა. მისი ქება თანასწორად გვხვდება, როგორც ქართულს, ისევე მეზობლების წყაროებშიც. მისი უარყოფა ვერ შესძლებიათ ისეთ პირებსაც, რომელთა პოლიტიკა მისას მთლიანად ეწინააღმდეგებოდა. მონღოლთადროინდელ ისტორიის მომთხრობელს ქართველ ჟამთააღმწერელს ხომ ისე არსად აქვს მისი სახელი მოხსენებული, რომ მის მოღვაწეობისადმი თავისი აღტაცება არ გამოემჟღავნოს. აი, მაგ., რა აქვს მას გიორგი ბრწყინვალის დაბადებასთან

დაკავშირებით ნათქვამი: დემეტრე თავდადებულს მისმა ცოლმა, ბექა მანდატურთუხუცესის ასულმა ნათელამ, შესძინა მხოლოდშობილი ძე გიორგი, «რომელ უკანასკნელ (ე. ი. შემდგომად) ძმათა მისთა მეფე იქმნა და განდიდნა უმეტეს შემდგომთა მეფეთა, რამეთუ მარტო იყო ძე დედისა. მარტო შვა დედამან, ვითარცა მარგალიტისათჳს, თქმულ არს მარტოება უმჯობესისათჳს, ეგრეთვე გიორგი იპოვა უმჯობესი ყოველთა კაცთა მისჟამისათა, არა ოდენჴელმწიფეთა, არამედ ყოველთა კაცთა»-ო[203]. მისი მამის სიკვდილად დასჯის შემდგომ რომ გიორგი V-ის ყველა ძმების აქეთ-იქით გაქცევა-გახიზვნაზეა საუბარი, იგივე ისტორიკოსი ამბობს: »უმრწემესი (ე. ი. უმცროსი) ძე მისი გიორგი, რომელი უშვა ასულმა ბექასმან, წარიყუანა პაპამან მისმან ბექამან და აღზარდა საკჳრველი და უმჯობესი ყოველთა კაცთა, ვითარცა ქვემორე სიტყუამან (ე. ი. მოთხრობამ) ცხად-ყოს”-ო.

მე-13 ს. დამლევს აღმ. საქართველოს პოლიტიკური დასუსტების გამო ჩრდილო კავკასიითგან ოსთა ქართლში შემოჭრისა და თარეშის გახშირებაზე მოთხრობილს ამბავს იგივე ავტორი შემდეგს ცნობას ურთავს: «მიერითგან შეიქმნა მტერობა შორის ქართველთა და ოვსთა ვიდრემდის მეფეთა შორის ბრწყინვალემან, დიდმან, სახელგანთქმულმან გიორგი განახსნა (იგინი) და აღფხურა»-ო[204].

იქაც, სადაც გიორგი V-ის მეფობისა და სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის აღწერილობა იწყებოდა, შესავალის მსგავსად, ნათქვამია: »აქა დაიწყო აღმოცისკრებად მზემან მეფისამან გიორგი, რომელი აღეზარდა პაპასა მისსა დიდსა ბექასა»-ო[205].

დასასრულ, შესაძლებელია კიდევ მხოლოდ იმ პირის, მესხეთის მთავრის აღბუღა ათაბაგ-ამირსპასალარის, სიტყვებიც მოვიყვანოთ, რომელიც, თავისი განკერძოებითი პოლიტიკის გამო, გიორგი ბრწყინვალის, საქართველოს მთლიანობის აღმადგენელის, გულწრფელი თანამგრძნობი არ შეიძლება ყოფილიყო. მაგრამ მასაც-კი მისი განსაკუთრებული ღვაწლი ქართულ სახელმწიფოებრივობაში არ შეეძლო მაინც არ აღენიშნა: მესხეთის ხუთი თემისათვის შედგენილს სამართლის ჩვენს წიგნში ქონებრივ სასჯელად «დიდისა, წარჩინებულისა მეფისა გიორგის ჟამის თეთრი (ე. ი. ვერცხლის ფული) გავაჩინეთ»-ო.[206]

სამწუხაროდ, გიორგი ბრწყინვალის მეფობის მომთხრობელი ნაწილი დროთა განმავლობაში ქართველი ჟამთააღმწერელის თხზულებაში დაიკარგა. უკვე მე-17 ს. დამლევს ეს ნაწილი აღარ ყოფილა და ვახტანგ მეფისაგან ახალი ქართლის ცხოვრების დასაწერად შეგროვილს საისტორიო ძეგლებს შორისაც ეს წყარო არ აღმოჩენილა. ამრიგად, მთავარი ძეგლი, რომლის მიხედვითაც გიორგი ბრწყინვალის მოღვაწეობის გაშუქება იყო შესაძლებელი, აღარ მოგვეპოვება. მართალია, ეს გარემოება მკვლევარს მეტად უძნელებს საქმეს, მაგრამ ამ ხანის ისტორიის ძირითადი საკითხების ზოგადად გაშუქება, როგორც დავრწმუნდებით, მაინც ხერხდება.

ვახუშტი გიორგი V-ის გამეფების თარიღად 1318 წ. სდებდა, მაგრამ ნამდვილად თავისი სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა მას ამაზე გაცილებით ადრე უნდა დაეწყო. უნდა გათვალისწინებული გვქონდეს ის გარემოება, რომ ყაანის ნებართვით ის ჯერ კიდევ მცირეწლოვანი გაამეფეს. იმ დროს, რასაკვირველია, მას თავისი მოვალეობის ასრლება ჯერ არ ძალუძდა, მაგრამ, სრულწლოვანობისა და მრაჯვე პირობების დამყარების შემდგომ, მას ხელმეორედ გაუმეფებლივაც წეეძლო თავისი ხელისუფლების განხორციელებას შესდგომოდა.

---

[203] **ჟამთააღმწერელი**, გვ. 734-735.
[204] იქვე, გვ. 745-749.
[205] იქვე, გვ. 781.
[206] იხ. ”წიგნი სამართლისა კაცთა შეცოდებისა ყოვლისავე”.

სანამ გიორგი V-ის მოღვაწეობის განხილვას შევუდგებოდეთ, წინასწარ უნდა საქართველოს იმდროინდელს მდგომარეობას ერთხელ კიდევ გადავავლოთ თვალი.

2. აღმ. საქართველოს მდგომარეობა გიორგიV-ის მეფობის ხანაში

მე-13 ს. მეორე ნახევრითგან მძვინვარე დიდი ეკონომიური კრიზისისა და დავით VI-ის დროს აღმ. საქართველოს პოლიტიკური დაქსაქსულობისა და სახელმწიფოებრიობის სრული შერყევის გამო, ამასთანავე წლების განმავლობაში ქართლისა და მთიანეთის მონღოლთა ლაშქრისაგან დაწიოკება-აოხრების შედეგად აღმ. საქართველო უკიდურეს განსაცდელში იყო ჩავარდნილი. ქვეყანა აირია, წესიერი და მყუდრო ცხოვრების ხსენებაც-კი აღარ იყო, ძალმომრეობისა და ცარცვა-გლეჯის შემაკავებელი ხელისუფლება აღარსად ჩანდა. მონღოლების თარეშს, ყივჩაყთა და ოსების მეკობრეთა თავაშვებულობას საზღვარი არა ჰქონდა. ერთმანეთზე თავდასხმა და ხოცვა-ჟლეტა ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. თვით ქართველ ტომთა შორისაც-კი ქიშპობა და შუღლიანობა გახშირდა და ურთიერთშორისი დამოკიდებულება ისე გამწვავდა, რომ უგუნური ძმათა შორის ბრძოლა და სისხლისღვრა, სოფლებისა და ციხე-კოშკების დაუნდობელი განადგურება გამარჯვებულ მხარეს საქებურად და საამაყოდაც-კი მიაჩნდა: თითქოს გარეშე დამპყრობელისა და მტრებისაგან ქვეყნის აოხრება საკმარისი არ ყოფილიყოს, რომ ერთმანეთთან თავიანთი მხეცური ამ დამოკიდებულება-მოპყრობით ისედაც გაპარტახებულ საქართველოს საფუძველსაც-კი ძირს უთხრიდნენ.

ჩვენი ქვეყნის იმდროინდელი სავალალო მდგომარეობა თვით ხალხის წარმომადგენლების მიერაც იყო გიორგი ბრწყინვალისაგან მოწვეულს საქართველოს სახელმწიფო დარბაზის საკანონმდებლო კრებაზე აღიარებული. აი მაგ., დარბაზის ერნი და თემის წარმომადგენელნი მთიანეთში წინათ არსებულ ვითარებაზე რას ამბობენ «ძეგლის დადების» შესავალში: აქ ყველგან «დიდი უსამართლობა და მძლავრებულობა ქმნილ იყო ერთმანერთსა ზედა და... ერთმანერთსა ღალატად დასხმა, დაქცევა ციხეთა, სიკვდილი, ცოლის წაგურა და დაგდება უბრალოსა და მრავალფერნი ულუსობანი» ისე იყო მოდებული, რომ «ყოლა სამართალი არად იყო-ღა»-ო![207].

საქართველოს სახელმწიფო დარბაზის საგანგებო კრების ზემომოყვანილი დახასიათება რომ სრულებით გაზვიადებული არ არის, არამედ იმდროინდელი აბობოქრებული ვნებათა ღელვისა და შუღლიანობის უტყუარ სურათს წარმოადგენს, ამის მრავალი დამადასტურებელი ცნობები იმ ისტორიულ ნაშრომში მოგვეპოვება, რომელიც სწორედ ამავე მთიანეთის ამბავს მოგვითხრობს და რომელსაც სახელად «ძეგლი ერისთავთა» ეწოდება. იქ, მაგ., აღწერილია ქსნის ერისთავის ქვენიფნეველის დროს ცხაოტელთა თავდასხმა ჟამურელებზე. თავდამსხმელები სასტიკად იქმნენ დამარცხებულნი, ისე რომ ბრძოლისა და მათი დევნის დროს «მომკვდარიყო გარეშე წვრილისა ერისა თვრამეტი თავადი. (ე. ი. მთავარი) ჴევისბერი ცხაოტელი»-ო.

ერთი წლის შემდეგ ჟამურელთ უკვე დვალნი დაესხნენ, მაგრამ იმ დროს იქ მყოფნი «ბეგარის მკრეფელნი ცხრაზმელნი»-ც დაეხმარნენ ჟამურელებს, ამიტომ შეშინებული დვალნი გაიქცნენ და ქნოღოს ციხეში შეიხიზნენ. მაშინ ჟამურელებმა ქნოღოელებს მათთან შეფარებული თავდამსხმელი დვალების გაცემა მოსთხოვეს, მაგრამ უარი მიიღეს. ჟამურელებმა რომ ეს გარემოება ქვენიფნეველს მოახსენეს, მეკობრეთა შემფარებლების დასასჯელად მან მაშინვე ქნოღოს წინააღმდეგ გაილაშქრა და ისტორიკოსის სიტყვით დაარღვივნა ციხენი მათნი და მოსწვა ქუეყანა მათი».

---

[207] [« ძეგლის დადება», თ. ჟორდანია, ქრონიკები, II, პრეამბ.]

ასეთი მკაცრი სასჯელის შემდგომაც, დვალებმა თავიანთი თავდამსხმელობა ვერ მოიშალეს და ჟამურელებს ერთი წლის შემდეგ კვლავ თავს დაეცნენ და ყაჩაღურად «წაასხეს ხვასტაგი (საქონელი) ჟამურით». მაშინ კი ქსნის ერისთავმა დვალთა სამაგალითოდ დასჯა გადასწყვიტა: «დაარღვივნა ციხენი მათნი და მოსწვა ქუეყანა მათი». ადამიანთა სიცოცხლის გარდა, იქ, რასაკვირველია, დვალთა მთელი ქონებაც უნდა განადგურებულ-განიავებულიყო. უკანასკნელი გარემოება თვით მემატიანის სიტყვითაც მტკიცდება. მას აღნიშნული აქვს, რომ როგორც ერისთავი «წარმოვიდა დიდად გამარჯვებული», ისევე მისი «ლაშქარნი ყოველნი ალაფითა» ყოფილან დატვირთულნი.

მე-13 ს. განმავლობაში საქართველოში ხალხის კულტურულად დაქვეითების გამო, ეროვნული თვითშემეცნება და ნათესაობის შეგნება ისე დაკნინდა, რომ თემთა და ტომთა შორის შუღლისა და მტრობის ჩამოსაგდებად ზოგჯერ მათი თავმოყვარეობის მცირეოდენი შელახვაც-კი საკმარისი იყო ხოლმე. თუ იმ შემთხვევაშიც-კი, როცა საქართველოს სამეფოს საჭეთმპყრობელად ისეთი ენერგიული და ძლიერი მმართველი იყო, გიორგი ბრწყინვალე, შესაძლებელი ყოფილა ისეთი სამწუხარო შემთხვევა მომხდარიყო, რომ ორ მოძმე ქართველ ტომს შორის, როგორც შემდეგში დავრწმუნდებით, შურით გამოწვეული მტრობა დაიწყო და ერთმანეთის დაუნდობელი ხოცვა-ჟლეტით დამთავრდა, ადვილი წარმოსადგენელია, თუ რა საშინელება უნდა ყოფილიყო იმაზე უწინარეს ხანაში, როდესაც სახელმწიფო ხელისუფლება უძლური იყო და ქვეყნის აშლილობას ბოლო არ უჩანდა.

საუბედუროდ ასეთი სავალალო მდგომარეობა მარტო ისეთს მიყრუებულ ადგილებში არ იყო, როგორც ქსნისა და არაგვის მთიანეთია, არამედ სხვა თემებშიც. რამდენად დაქვეითებული იყო კულტურულად საქართველოს სხვა ნაწილებიც მონღოლთაგან შემოღებული ველური პირობების გავლენით, ეს ქართული სამართლის ძეგლებითგანაც ჩანს მკაფიოდ. ეფთვიმე მთაწმინდელის «მცირე შჯულის კანონი»-თგან ჩანს, რომ უკვე მე-11 ს. დამდეგისათვის ქართული სამართლის ზოგადი მოძღვრება, ნებსითსა და უნებლიეთს მკვლელობას ერთმანეთისაგან მკვეთრად არჩევდა, ხოლო შემთხვევით მომხდარს დანაშაულებადაც-კი არ სთვლიდა. მე-14 ს. პირველ ნახევარში აღმ. საქართველოს მთიანეთისათვის შედგენილს «ძეგლისდადება»-ში-კი მკვლელობა დანაშაულებრივ მოქმედებად არის უკვე მიჩნეული იმ შემთხვევაშიც, თუნდაც ასეთი საქმე ვისმე «უბრალოდ დაემართოს», ე. ი. უნებლიეთ ჰქონდა ჩადენილი და მაშინაც-კი, როცა მკვლელობა უცაბედად მოხდებოდა: ამგვარად იქ ფათერაკისათვისაც-კი სასჯელია დაწესებული! ამავე თვალსაზრისით დამახასიათებელია, რომ ბექა მანდატურთუხუცესის დროს შედგენილს საკანონმდებლო ძეგლშიც მოკლული დიდებულის ოჯახის წევრთა მხრით დიდებულ მკვლელის წინააღმდეგ თვითნებური მტრობა და მისი ქონების გადაწვაც-კი მართებულ და არადანაშაულებრივ მოქმედებად ითვლება. ვიდრე ქვეყნის უზენაესი გამგისაგან გამოგზავნილი სათანადო მოხელე და მაწყუერელისაგან წარმოვლენილი ხატი ჯერ ამ მკვლელობის საქმეში ჩარეული არ იყო, ”მანამდის დაწუა და თუ რასაცა ემტეროს” მოკლულის ნათესაობა მკვლელს ”იგი სისხლსაშიგან (ე. ი. დანაშულებისათვის დაწესებულ სასჯელში) არა მიეფასოს”-ო. ამრიგად სამართალი ადამიანის ვნებათა ღელვით გამოწვეული ძალადობისა და შურისძიების მთლიანად აღკვეთას უკვე მიზნად ვეღარ ისახავდა, არამედ მისი მხოლოდ შეძლებისამებრ შეზღუდვა და ალაგვმა-ღა სწადდა.

მონღოლთადროინდელს ქართველ ჟამთააღმწერელს მონღოლთა მართლმსაჯულების ასეთი ველური წესიც-კი, როგორიც დანაშაულზე წასწრებულის გამოუძიებლივ და გაუსამართლებლივ იქვე მოკვლაა, უკვე მოსწონდა და საქებურადაც-კი მიაჩნდა.

ადამიანთა შორის ურთიერთობაში დამოკიდებულება მესხეთშიც-კი, სადაც შედარებით მაინც უკეთესი პირობები იყო, იმდენად გაუარესებული იყო, რომ კანონმდებელს საჭიროდ

უცვნია საკმაოდ მკაცრი სასჯელი დაეწესებინა ისეთი დანაშაულისათვის, როდესაც ორი თანასწორი და ერთი წრის კაცი «ცოტასა სამდურავისა»-თვისაც-კი მხეცობას იჩენდა: მომდურავი ათვალწუნებულს პირს თურმე თავისსავე მამულში მიუვარდებოდა, დაიჭერდა, შეჰკრავდა და აბჯრით, ან და რითიმე სხვით სცემდა, რამეს დაუზიანებდა, გაათრევდა და, შერცხვენა-გაწბილების მიზნით, სახლში დაამწყვდევდა კიდეც.

ხალხის კულტურული დაქვეითება და გაველურების ნიშანი იმაშიც მოჩანს, რომ საქართველოს იმავე თემში პირადი მტრობის მიზნითა და ჯავრის ამოსაყრელად ზოგნი თურმე მოწინააღმდეგის მიცვალებულებსაც-კი აღარ ინდობდნენ: კანონმდებელნი იძულებულნი გამხდარან იმაზეც ემსჯელათ, რომ «თუ სწორი სწორსა სასაფლაოსა ზედა დაესხას» და მოწინააღმდეგის გარდაცვლილი ნათესავების «საფლავსა ჴელი მიეყოს», მსაჯულს სახელდობრ რა სასჯელი უნდა დაედო.

რა თქმა უნდა, მაშინდელი ცხოვრების პირობებსა და ამ დუხჭირ ხანაში, «ციხისა და საჯდომის ღალატი» ვისგანმე უკვე გასაკვირველსა და არაჩვეულებრივს აღარაფერს წარმოადგენდა. სამაგიეროდ ფრიად საყურადღებოა ბექა მანდატურთუხუცესის-დროინდელი სამართლის წიგნის ის მუხლები, რომელნიც წოდებათა ურთიერთობას გვიხატავენ.

«თუ აზნაური გლეხმან, ანუ დიდებულმან გააუპატიოს და წაუღოს რაᲲმე»-ო, ნათქვამია «კაცთა შეცოდების სამართლის წიგნში». დიდებულნი ამ ხანაში იმდენად ძლიერნი იყვნენ, რომ ცალკეულ აზნაურთა დაჩაგვრა მათ, თუ მოიწადინებდნენ, არ გაუძნელდებოდათ . მაგრამ მეტად საგულისხმოა ის გარემოება, რომ ამ ხანაში თურმე ისეთი რამეც-კი შესაძლებელი ყოფილა, როდესაც აზნაურს გლეხი მიუვარდებოდა და არამცთუ უპატივცემოდ მოეპყრობოდა, არამედ ქონებასაც-კი «წაუღებდა» და წაართმევდა კიდეც რასმე. ცხადია, რომ ასეთი შესაძლებლობა უპირველესად სოციალური ბრძოლის ნიადაგზე უნდა ყოფილიყო აღმოცენებული. აზნაურთა და გლეხთა შორის ურთიერთობა მესხეთში, როგორც ჩანს, ამ ხანაში საკმაოდ გამწვავებული ყოფილა.

დამოკიდებულებათა გაუარესების მთავარი მიზეზთაგანი ყმათა უფლებების შეზღუდვისა და მდგომარეობის გაუარესების შედეგი იყო. ჩვენ უკვე ვიცით, თუ ყაზან ყაანის კანონმდებლობამ გლეხობა რა უფლებრივ მდგომარეობაში ჩააყენა, როგორ მიამაგრა იგი მიწას და სხვაგან გადასახლება აუკრძალა. ქართული სამართლის იმდროინდელმა კანონმაც მიწის მესაკუთრე ყმასაც-კი თავისი უძრავი ქონების პატრონის დაუკითხავად და ნებადაურთველად გაყიდვის უფლება წაართა: «მამულისა განსყიდვა ცუდია (ე. ი. «გაცუდებული», გაბათილებულია) ბატონისა დაუმოწმებლად»-ო. თუ ვინმე ასეთ პირობებში მესაკუთრე ყმის მამულს მაინც იყიდდა, საკანონმდებლო კრებას ეს იმას გარდა, რომ სირეგვნედ მიუჩნევია, ამნაირი მიწების გაყიდვა-შეძენის ხალისის დასაკარგავად, სამართლის წიგნში ქონებრივი სასჯელიც-კი დაუწესებია: თუ იმისდა მიუხედავად იყიდდა ვინმე, «ნახევარი ფასი მსყიდველსა სარეგუნოდ დაუშავდეს», წაერთვასო. მართალია, თითქოს ეს სამართლიანი არ უნდა იყოსო »მაგრამ» ასეთი სასჯელი იმიტომ შემოვიღეთ, რომ ყველამ იცოდეს და მომავალში ბატონის დაუმოწმებლად ყმის მამულს «ნუვინ დაებმის სყიდვასა»-ო.

მიწის მესაკუთრე პატრონის მადიანობასაც ამ ხანაში საგრძნობლად უმატნია: მას მოუწადინებია, რომ უკაცრიელი, ნაოხარი ადგილის მომშენებლისათვის კანონით კუთვნილი სამაგიეროს მიცემაც თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა. წესად იყო მიღებული, რომ სხვის მიწაზე ბაღის, ან და ვენახის, გამშენებელს გაშენებულის ნახევარი საკუთრებად ერგებოდა. თავისი ნახევრის მაგიერ მას, რასაკვირველია, მისი ღირებულების აღება ფულადაც შეეძლო, მაგრამ, თუ ის თვით გაშენებული ნახევრის მიღებას ირჩევდა, მიწის მესაკუთრეს მისი დაჭერა არ შეეძლო, უნდა უეჭველად მიეცა. ამ ხანაში გამშენებლის ეს უფლებაც საცილობლად გაუხდიათ. ამიტომ საკანონმდებლო კრებამ დაადგინა: «თუ კაცმან კაცისა მამული

გააკაცრიელოს რგვითა, ანუ ნაგებითა», მამულის პატრონი გამშენებელს მისი კუთვნილის «დაჭირვას არასემართლების: ნახევარის ფასი მისცეს»-ო. მაგრამ მეორე მხრით, თუ გამშენებელმა გაშენებული «ადგილი მემამულისა გამოითხოოს, არ ემართლების არცა სასყიდლად ბატონისაგან»-ო. ცხადი ხდება, რომ მამულის პატრონები, როდესაც მათთვის ხელსაყრელი იყო, რჩებოდნენ ფასის მიცემით გაშენებული მიწა მთლიანად თითონ ჩაეგდოთ ხელში, ხოლო, როდესაც მათთვის უმჯობესი იყო ნახევარი მიეცათ, მაშინკ-კი გამშენებლისათვის ფასის მიცემის უარზე იდგნენ. ამრიგად, მათ სდომებიათ, რომ სასყიდლის მიღების არჩევანი, რომელიც კანონით გამშენებელს ჰქონდა უპირატესობად მინიჭებული, წაერთვათ და ამ უპირატესობას თითონ დაჰპატრონებოდნენ.

დასასრულ, აგრარულ ნიადაგზე აღმოცენებულ ურთიერთ დამოკიდებულებათა გამწვავების ასეთი გამომჟღავნებული გარემოებაც გვაქვს იმდროინდელს კანონმდებლობაში აღბეჭდილი, როგორიცაა მტრობის მიზნით «ყანასა, ვენაჯსა, ბოსტანსა პირუტყვის» მოსაძოვებლად განზრახ შეშვება[208].

ასეთს მდგომარეობაში ჩავარდნილი იყო საქართველო, რომელსაც პოლიტიკური მთლიანობაც უკვე კარგა ხანია დაკარგული ჰქონდა და დანაწილებული იყო, სახელმწიფო წესწყობილებაც გაბატონებული უცხო ხალხის ძალმომრეობისა და თვით ქართველ მთავართა და დიდგვარიან მოხელეთა თვითნებობის ურჩობისაგან ძალზე შეერყა, ქვეყანაც აუოხრდა და გაუკაცრიელდა. ამის გამო ეკონომიურადაც იგი იმდენად გაჭირვებული და გაღარიბებული იყო, რომ ერანის ილხანებს საქართველოთგან ხარკისა და ყოველგვარი გადასახადის სახით იმის მხოლოდ ერთი მეოთხედი ნაწილის აკრება-ღა შეეძლოთ, რასაც საქართველოს სახელმწიფო სალარო დამოუკიდებლობის ხანაში ყოველწლიურად იღებდა ხოლმე. ასეთ საშინელებაში მყოფ საქართველოს ფრთხილი და შორსგამჭვრეტელი პოლიტიკოსი, მხნე და შეუდრეკელი ნებისყოფის მქონებელი მმართველი თუ გამოიყვანდა განსაცდელითგან. ამრიგად, გიორგი V-ეს მძიმე და მეტად პასუხისაგები მოვალეობა დააწვა, რათგან მემკვიდრეობა, რომელიც მას ბედმა არგუნა, უკიდურესად განადგურებული იყო.

3. გიორგი ბრწყინვალის პოლიტიკის ზოგადი გეზი

ამნაირ რთულ პირობებში ისიც კი ადვილი გადასაწყვეტი არ იყო, თუ გიორგი V-ეს თავისი პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა საითგან და რით დაეწყო: ჯერ შინაური მტრების, გამდგარი მთავრებისა და ურჩი დიდებული მოხელეების ალაგმვასა და დამორჩილებას შესდგომოდა და და ამ გზით ქვეყანა დაეწყნარებინა, საქართველოს მთლიანობა აღედგინა და ამით ძალა მოეკრიბა, ხოლო შემდეგ საქართველოს საგარეო მდგომარეობის გამოსწორებაზე დაეწყო ზრუნვა, თუ წინაუკმო მოქცეულიყო, უპირველესად დამპყრობელ მონღოლებთან დაეწყო ბრძოლა და საქართველო მათი ბატონობა-მტარვალობისაგან გაენთავისუფლებინა.

გიორგი V-ეს, როგორც ჩანს, ბრძნულად გაუწყვეტია, რომ დაქუცმაცებული და გაოხრებული საქართველოსთვის თუნდაც უკვე დასუსტებულ ერანის ილხანების საყაანოსთან ბრძოლის გაგრძელება, ან და კვლავ ატეხა, არამც თუ მიზანშეწონილი პოლიტიკა არ იქნებოდა, არამედ რომ ასეთი სამოქმედო გეზის არჩევას შესაძლებელი იყო საბედისწერო შედეგიც-კი მოჰყოლოდა. ამიტომ, მონღოლებთან ბრძოლას, მან ფრთხილი და მშვიდობიანი პოლიტიკის წარმოება ამჯობინა.

---

[208] [«წიგნი სამართლისა»].

როდესაც ჩობან ნოინმა ერანის ილხანად აბუსაიდი დასვა, ახალი მბრძანებელი იმდენად მცირეწლოვანი იყო (12 წლის), რომ თავისი სახელმწიფოს მართვა-გამგეობა პირადად, რასაკვირველია, არ შეეძლო. ამიტომ 1316 წ. ერანში გაყაანებულს აბუსაიდს მთავარ ვაზირადა და საყაანოს ნამდვილ მესაჭედ ჩობანი ჰყავდა. საქართველოს მეფეს გიორგი ბრწყინვალეს სწორედ ილხანების ამ ყოვლადშემძლე ხელისუფალ ჩობანთან დაახლოვებაზე დაუმყარებია თავისი პოლიტიკა: მათ დიდი მეგობრობაც ჰქონდათ ერთმანეთში. იმდროინდელი არაბული ცნობით, ჩობანი საქართველოს მეფის გულითადი მეგობარი იყო: იგიც გიორგი ბრწყინვალეს აფასებდა და ყოველთვის, როდესაც-კი საჭირო იყო, მას მხარსაც უჭერდა და კიდეც ეხმარებოდა ხოლმე.

მეორე მხრით, გიორგი ბრწყინვალეც თავის პოლიტიკურ მოქმედებაში ჩობანს უწევდა ანგარიშს, სახელმწიფო საქმეებზე ილხანის დიდ ვაზირს ეთათბირებოდა ხოლმე და დარწმუნებულიც იყო, რომ, როცა გაუჭირდებოდა, მისთვის ჩობანის დახმარება ყოველთვის უზრუნველყოფილი იქნებოდა. მართლაც, ჩობანს გიორგი ბრწყინვალის იმედი არასდროს არ გაუცრუებია და განსაცდელში მრავალჯერ დაჰხმარებია ხოლმე.

არც გიორგი ბრწყინვალისა და არც ჩობანის მხრით ის გულითადი მეგობრული დამოკიდებულება, რომელიც მათ შორის არსებობდა, მარტო პირადი გრძნობითა და განწყობილებით არ იყო გამოწვეული, არამედ კარგად შეგნებულს პოლიტიკურს ანგარიშზეც იყო დამყარებული. ჩობანი გიორგი ბრწყინვალის სახელმწიფოებრივს ნიჭსა და შორსგამჭვრეტელობას ძალიან აფასებდა, ამიტომაც იყო, რომ ერანის ყაანების საბრძანებლის საქმეებზე რჩევას მას ეკითხებოდა ხოლმე. ამრიგად, ჩობანისათვის საქართველოს მეფე მარტო როგორც პირადი მეგობარი-კი არ იყო ძვირფასი, არამედ როგორც მისი საუკეთესო თანაგამზრახიც.

ამას გარდა, ერანის ილხანებმა საქართველოს ჯარის გულადობა და ბრძოლაში თავდაუზოგავობა კარგად იცოდნენ. მე-14 ს. დამდეგს, როდესაც პირადად მონღოლთა ძლიერებაც ძალზე შემცირდა და ისინი წინანდელი სიმამაცითაც უკვე ვეღარ ომობდნენ, თანაც, მათ წიაღში პოლიტიკურ შეთქმულებათა გახშირების გამო, მათი თანამოძმენი მათთვის სანდო მხედრობად მისაჩნევიც-კი აღარ იყვნენ, ქართველი ჯარი უკვე მარტო მეშველ ძალას კი აღარ წარმოადგენდა, როგორც ეს წინათ იყო, არამედ იგი მთავარ საყრდნობად იქცა, რომელსაც ისინი ენდობოდნენ და რომლის სიმამაცის იმედი მათ ჰქონდათ.

სწორედ საქართველოსთვის ასე ხელსაყრელად ქცეული ვითარებით ისარგებლა, როგორც ჩანს, გიორგი ბრწყინვალემ და თავისი ქვეყნის საკეთილდღეოდ გამოიყენა. ამრიგად, გიორგი ბრწყინვალის მეფობის პირველ ნახევარში საქართველოს სამეფო ისევ ერანის იმდროინდელს ილხანთან იყო პოლიტიკურად დაკავშირებული და ყმადნაფიცობა მაშინ ჯერ კიდევ არსებობდა. ამიტომაც იერლაყ-ად წოდებული ყაანის ბრძანებანი სქართველოშიც მოდიოდა ხოლმე, მაგრამ, მაშინდელი არაბული ცნობით, მონღოლთა ყაანის ბრძანებათა ძალა და ხელისუფლება საქართველოზე უშუალოდ უკვე აღარ ვრცელდებოდა.

ერანის ილხანს ლაშქარიც მცირერიცხოვანი ეყენა და მთელ საქართველოს სამეფოში 10 000 მოლაშქრეზე მეტი არ იყო, ისიც თურმე მხოლოდ საქართველოს საზღვრების დასაცავად ჰყოლია განკუთვნილი.

სანამ დასახული პოლიტიკური და ეროვნული ამოცანების განსახორციელებლად საჭირო იყო, გიორგი ბრწყინვალეს ასეთი დამოკიდებულება ჰქონდა მონღოლებთან, მერმე, როდესაც მიზანი უკვე მიღწეული იყო, მათი მოშორება გაერთიანებული საქართველოს მეფემ ადვილად მოახერხა. ამ შემთხვევაში გიორგი ბრწყინვალეს თვით ერანის ილხანის აბუსაიდის მოქმედებამაც გაუადვილა საქმე, რათგან საყაანოს ისედაც შერყეულ მდგომარეობას მალე უკანასკნელმა აღსასრულმაც მოუსწრო: საკმარისი იყო 1327 წ. სრულწლოვანად ქცეულს

აბუსაიდს, თავისი მეურვისა და მზრუნველის ჩობან ნოინის თავითგან მოშორების მიზნით, ერანის მონღოლების ეს ერთადერთი ძლიერი და ქვეყნის ოდნავად მაინც შემკავებელი ხელისუფალი, თითონაც და მისი ორი ვაჟიშვილიც მოეკვლევინებინა, რომ მაშინვე საყაანოში არეულობა დაწყებულიყო და ილხანების საბრძანებელსაც ბოლო მოჰღებოდა. ამის შემდეგ გიორგი ბრწყინვალეს საქართელოში მყოფი მონღოლთა ლაშქრისა და ყველა მათი მოხელეების განდევნა-მოსპობა, რასაკვირველია, არ გაუძნელდებოდა.

4. გიორგი ბრწყინვალის შინაური პოლიტიკა

საქართველოში შინაური მყუდროების დასამყარებლად, ყველაზე საშურს მისი შუა თემის, ქართლის, უშიშროებისა და მშვიდობიანი საქმიანობის უზრუნველყოფა შეადგენდა. იმისდა მიუხდავად, ოსთა თარეშს ქართლში არაერთხელ შეჰბრძოლებიან, მაინც მონღოლთა დახმარებითა უფრო-კი ქვეყნის სრული აშლილობის წყალობით, მათი მეკობრული თავდასხმა არც შემდეგში შეწყვეტილა. ისინი გორშიც-კი მძლავრობდნენ წინანდებურად. ამიტომ გიორგი ბრწყინვალემ თავის უპირველეს მიზნად საქართველოს ოსთა თარეშისაგან განთავისუფლება დაისახა. ამისათვის ჯერ ქ. გორითგან მათი განდევნა იყო საჭირო, სადაც მათ უკვე საკმაოდ კარგად მოასწრეს გამაგრება. ამიტომაც, როდესაც გიორგი ბრწყინვალე "მოადგა ოვსთა გორსა მყოფთა", მას იქითგან ოსთა მთლიანად განსადევნად "სამწელ"მოუხდა ბრძოლა[209].

ამ ბრძოლაში ქმნისა და არაგვის საერისთავოების ჯარიც იღებდა მონაწილეობას. მას შემდგომ, რაც ოსები გორითგან უკვე განდევნილები იყვნენ, ქსნისა და არაგვისხეველთა შორის ცილობამ იჩინა თავი იმის გამო, თუ ამ ორი ხეობის მოსახლეობის რომელმა ჯარმა ბრძოლაში უფრო მეტი ქველობა გამოიჩინა. ეს ცილობა იმდენად გამწვავდა, რომ მტრობადაც-კი გადააქცია და ამით აღელვებული ამ ორი მოძმე ტომის წარმომადგენლები ერთმანეთის წინააღმდეგ საბრძოლველად მზადებას შეუდგნენ.

ასეთი უგუნური ძმათაშორისი სისხლისღვრის შესაძლებლობის მოსასპობად, "მოვიდა დავით, ძე გიორგისი და არღაღრა აუშვნა საომრად, არამედ განყარნა ყოველნი ჴევისთავნი და წარგზავნეს ყოველნი აზნაურნი" ქართლელნი. გიორგი ბრწყინვალის შვილის ამ ბრძანებას, არაგვის ხეობის სამ თემს გარდა, ყველანი დაემორჩილნენ. ამ სამი ხეობის მებრძოლთ ეგონათ, რომ მათი ასეთი ვითომცდა დამცირების შერჩენა ქსნისხეველებისათვის არასგზით არ შეიძლებოდა, და ამიტომ ქსნის ერისთავის ქვენიფნეველის ჯარს უკან დაედევნენ.

ამ უაზრო სისხლისღვრის თავითგან ასაცილებლად, გიორგი ბრწყინვალის შვილმა ყოველი ღონე იხმარა და იმდენი ეცადა, რომ შურისძიებით გახელებულს არაგვის ხეობის ამ სამს თემს "დავით, ძე მეფისა, მუჴლთა დაუყრიდა, ლომისასა მყოფთა ხატთა დაუსვენებდეს და ევედრებოდეს, რათა არა სდევდენ", მაგრამ მაინც "მათ არ ისმინეს"[210].

რაკი საქმე ასე დატრიალდა, მაშინ ქსნისხეველთაც პასუხის გაუცემლობა იუკადრისეს და საზიზღარი ძმათაშორისი ბრძოლა და ჟლეტა გაჩაღდა, რომელიც ბოლოს მაინც არაგვისხეველთა დამარცხებით დამთავრდა. რა თქმა უნდა, ამ უგუნურ ბრძოლას დიდი მსხვერპლი შეეწირა.

რაკი ოსები განდევნილები და თავიანთი კადნიერი თავაშვებულობისათვის მკაცრად დასჯილნი იქმნენ, გიორგი ბრწყინვალეს, რასაკვირველია, საქართველოს მთიანეთის მცხოვრებთა შორის წესიერებისა და მყუდროების დამყარებაზეც ზრუნვა უნდა დაეწყო.

---

[209] ["ძეგლი ერისთავთა", ქ˜ კბი, II, გვ. 8].
[210] ["ძეგლი ერისთავთა", ქ˜ კბი, II, გვ. 8-9].

ამას-კი წინასწარი სამზადისი და მოფიქრებაც სჭირდებოდა და ეს თავისი მოვალეობაც მეფემ, როგორც შემდეგში დავრწმუნდებით, პირნათლად აასრულა კიდეც.

საქართველოს ისტორიის მე-13 ს. ხანის სახელმწიფოებრივობის თავისებურებას მთავართა წოდებულების გაჩენა და მათი უაღრესი გაძლიერება შეადგენს. წინათ ამის მსგავსი ვითარება საქართველოში არ ყოფილა და ეს ცვლილება, უეჭველია, ბევრნაირად, ერთი მხრით საქართველოს პოლიმტიკური დასუსტებისა და მეფის ხელისუფლების დაკნინების ბუნებრივი შედეგი უნდა ყოფილიყო, მეორე მხრით მონღოლთა სახელმწიფოებრივობისა და პოლიტიკის გავლენითაც უნდა აიხსნებოდეს. მეფეებს საქართველოში, ურჩი ხელისუფლების მონღოლთაგან მფარველობისა და მათი წაქეზების შიშით, მათი ალაგმვის საშუალება ხშირად სრულებით მოსპობილი ჰქონდათ.

რაკი საქვეყნოდ გამრიგე დიდი ხელისუფლები , მეტადრე-კი მთავრები, ხშირად მონღოლთა მომხრეობას კადრულობდნენ და ამით საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა, რა თქმა უნდა, რთულდებოდა, ამიტომაც გიორგი ბრწყინვალეს კარგად ესმოდა, რომ ვერც დაშლილი სახელმწიფოებრივობის განმტკიცება და ვერც საქართველოს მთლიანობის აღდგენა ვერ მოხერხდებოდა, სანამ გათამამებული საქვეყნოდ გამრიგენი ისევ თავიანთ ქერქში არ იქნებოდნენ ჩამწყვდეულნი.

ამ სახელმწიფო ამოცანის განსახორციელებლად გიორგი ბრწყინვალემ, გარემოებისდა მიხედვით, სხვადასხვა საშუალებას მიჰმართა. უპირველესად მან ერანის მონღოლთა შორის ატეხილი შინაური ბრძოლით ისარგებლა და, რაკი მათ საქართველოს საქმეებისათვის წინანდებურად აღარ ეცალათ, გიორგი ბრწყინვალემ გადასწყვიტა, რომ, დიდგვარიან ხელისუფალთა მტრული მოქმედების ყოველივე შესაძლებლობის საბოლოოდ მოსასპობად, მხოლოდ გადამწყვეტი საშუალება იქმნებოდა გამოსადეგი. ამიტომ მან ”ჰერ-კახთა და სომხითის ერისთავნი, რომელნიც ჩინგიზთ (ე. ი. მონღოლებს) მიუდგნენ, კახეთს ცივზედ მოიწვია და ამოსწყვიტა”.

გიორგი ბრწყინვალე საქართველოს გაერთიენების გეგმის განხორციელების დროს ცდილობდა უფრო ფრთხილად ემოქმედნა. მართალია ის ფხიზლად ადევნებდა თვალყურს, რაც-კი ლიხთ-იმერეთში ხდებოდა, მაგრამ საქმეში ნაადრევად ჩარევა მაინც მიზანშეწონილად არ მიუჩნევია.

როგორც უკვე ვიცით, დავით-ნარინის სიკვდილის შემდეგ გამეფებულს კოსტანტინეს მისივე ძმა მიქაელი აუჯანყდა. ძმათა შორის ბრძოლა ხან შესწყდებოდა, ხან შერიგების შემდეგ, ისევ ატყდებოდა ხოლმე. 1327 წ., ვახუშტისაგან მოყვანილი ცნობის მიხედვით, კოსტანტინე მეფე გარდაიცვალა და მის მაგიერ მეფობას ბოლოს მიქელიც ეღირსა. მაგრამ მას ორ წელიწადს მეტს არ დასცლია და, იმავე წყაროს ცნობით, მიქელ მეფეც 1329 წ. გარდაცვლილა. მას მცირეწლოვანი ვაჟიშვილი ბაგრატი დარჩა. გიორგი ბრწყინვალემ ამით ისარგებლა, ლიხის მთა გადალახა, ქუთაისი აიღო და ბაგრატი თან წამოიყვანა. ამრიგად ორმეფობა მოისპო და საქართველოს სახელწიფოებრივი მთლიანობაც აღდგენილ იქმნა.

იმავე დასახული პოლიტიკური მიზნის მისაღწევად, გიორგი ბრწყინვალემ მესხეთის მთავარის სახელობის, როგორც თავის დედის კერისა და თავის აღმზრდელი ოჯახის, მიმართ სხვა საშუალება გამოიყენა. ძალის და ხელისუფლების ჩამორთმევის მაგიერ, 1334 წ., როდესაც მესხეთის მთავარი სარგისი გარდაიცვალა, მისი შვილი ყუარყუარე მეფემ უკვე თითონ დასვა. ამრიგად, საქართველოს სამეფოსაგან განცალკევებულს მესხეთის პოლიტიკურ არსებობასაც ბოლო მოეღო და საქართველოს სახელმწიფოებრივობას პოლიტიკური, სამხედრო და ეკონომიური თვალსაზრისით ესოდენ მნიშვნელოვანი და ერმრავალი ნაწილიც კვლავ დაბრუნდა. სრულიადი საქართველო ამიერითგან მთლიანად აღდგენილი იყო.

როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, გიორგი ბრწყინვალე მარტო სახელმწიფოს პოლიტიკური გაერთიანებითა და ქვეყანაში მყუდროების დამყარებით არ დაკმაყოფილებულა, არამედ ამის შემდეგ სახელმწიფოს მშვიდობიანი განვითარების თვით შერყეული საფუძვლის, მოსახლეობაში კანონიერების, ჩანერგვასაც შეუდგა. ამრიგად, მისი მოღვაწეობის ასპარეზი ქართული სამართლის სფეროსაც შეეხო. მომდევნო ხანაში, თემურ-ლენგის შემოსევის დროს მომხდარმა საქართველოს აოხრებამ, წინა და ამ საუკუნეების მრავალი ძეგლი იმსხვერპლა და ამიტომ მე-14 ს. ამბების გასაშუქებლად მცირეოდენი, ისიც შემთხვევით გადარჩენილი, მასალა-ღა მოგვეპოვება. ამავე მიზეზის გამო გიორგი ბრწყინვალის ქართული სამართლის სფეროში მოღვაწეობის მთელი სისრულით გათვალისწინების საშუალება უკვე აღარა გვაქვს. ვახტანგ VI-ის სამართლის კოდიკომ მისი დროითგან მხოლოდ "ძეგლის დადება" გადაგვირჩინა. ეს სამართლის წიგნი გიორგი ბრწყინვალისაგან მოწვეული სახელმწიფო დარბაზის საკანონმდებლო კრებისაგან არის შედგენილი და არაგვისა და ქსნის ხეობის მთიულთა თემისათვის იყო გაჩენილი.

ამ ძეგლის შესავალში აღნიშუნლ გარემოებათა მიხედვით ირკვევა, რომ გიორგი ბრწყინვალე ამ საქმეს მაშინ შესდგომია, როდესაც საქართველოს პოლიტიკური სიმტკიცე უკვე მთლიანად განხორციელებული ყოფილა: "ყოველგნით უცილებლად ქონებასა შინა სამეფოსა ჩუენისასა და უცილებლად პყრობასა ტახტისა და სკიპტრისასა" ვიმყოფებითო, ნათქვამი აქვს თვით გიორგი ბრწყინვალეს.

სანამ ტფილისში სახელმწიფო დარბაზის საგანგებო კრებას მოიწვევდა, მეფეს ჯერ ორივე ზემოაღნიშნული ხეობა ადგილობრივ პირადად მოუვლია და მოსახლეობისაგან მოუსმენია, თუ რა შეადგენდა მისთვის ყველაზე საჭირბოროტო და დაუყოვნებლივ მოსაწესრიგებელ საქმეს. ამ მოგზაურობის დროს ტფილისითგან ჯერ ჟინვანში, თავის სასახლეში, მისულა, იქითგან ხადასა და ცხაოტს ასულა, "მუნებურნი ჴევისბერნი და ჰეროვანნი" დაუბარებია და მათი მოხსენება მოუსმენია. ასე აღმა მოგზაურობით გიორგი ბრწყინვალეს დარიელამდის მიუღწევია. შემდეგ "დარიელით მობრუნებულთ" და ლომისაზე გავლით, მეფესა და მის ვაზირებს ცხრაზმის ხევიც დაუთვალიერებიათ და იქაურობის გასაჭირიც მოუსმენიათ.

მუხრანზე გავლით გიორგი ბრწყინვალე ტფილისში დაბრუნდა, მაგრამ, ამასთანავე აგრეთვე "თემისა და თემისა ერისთავნი და ჴევისთავნი და ჴევისბერნი და ჰეროვანნი"-ც თან ჩამოიყვანა[211]. სახელმწიფო დარბაზის საკანონმდებლო კრებაში, ზემოდასახელებულთ საგანგებოდ მოწვეულებს გარდა, რასაკვირველია, ვაზირნი და მოურავნიც ერთი მხრით და ეკლესიის უმაღლესი წარმომადგენელნიც იღებდნენ მონაწილეობას. დარბაზმა მთიულთათვის განკუთვნილი სამართლის წიგნი შეადგინა, რომელსაც "ძეგლის დადება" ეწოდება.

ამ ძეგლის მნიშვნელობა, რა თქმა უნდა, ვერ შეედრება მთელი სამეფოსათვის შედგენილს კანონმდეებლობას და ამ ძეგლის მიხედვითაც არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ქართული სამართლის განვითარების იმდროინდელს დონეზე მსჯელობა, მაგრამ, რამდენადაც იგი საქართველოს ერთს თემში არსებულს უფლებრივს ვითარებას გვითვალისწინებს, ქართული სამართლისა და სოციალური ისტორიისათვის მაინც საყურადღებო და ძვირფასი წყაროა. გიორგი ბრწყინვალეს მთელი იმ ღვაწლის შეფასება-კი, რომელიც მას ზოგადს ქართულს სამართალში მიუძღვის, მხოლოდ მომავალში იქნება შესაძლებელი, ისიც მარტო იმ შემთხვევაში, თუ რაიმე ამისთვის გამოსადეგი ახალი მასალები და ძეგლები აღმოჩნდა.

საქართველოს პოლიტიკური მთლიანობისა და სახელმწიფოში მტკიცე წესწყობილებისა და კულტურული ყოფაცხოვრების აღდგენაზე მზრუნველს გიორგი ბრწყინვალეს, ცხადია,

---

[211] ["ძეგლის დადება", პრეამბ.].

შეუძლებელია, რომ ჩვენი ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებაც არ ეღონნა. მის გამეფებამდე უკვე ყაზან ყაანის ფულის რეფორმას საქართველოსათვისაც ჰქონდა მნიშვნელობა და ყაზანაური თეთრი, როგორც სამაგალითო და სრულფასიანი ვერცხლის ფულის ერთეული, საქართველოშიც გაბატონდა. ბექა მანდატურთუხუცესის დროის საკანონმდებლო ძეგლში, მაგ., ყოველგვარი ქონებრივი საზღაურის გადახდა ამ ფულის ერთეულით იყო ნავარაუდევი და სწორედ"ყაზანაური თეთრი იყო" დაწესებული.

მაგრამ ერანის ილხანების საყაანოს დასუსტებასა და შემდეგ სრულიად მოსპობასთან ერთად, ისეთი ჯანსაღი და სრულფასიანი ფულის ერთეულიც კი, როგორიც ყაზანაური თეთრი იყო, სწრაფად გაქრა და უკვე აღბუღა ათაბაგ-ამირსპასალარის დროს "ყაზანაურობაჲ არღარაჲ იყო".

გიორგი V ბრწყინვალემ საქართველოს ფინანსებშიც თავის მხრით ცვლილება შეიტანა და ახალი ფული მოაჭრევინა, რომელიც სწრაფად გაბატონდა. მას შემდგომ ხანაშიც-კი შერჩა ძალა. ამ დროითგან მოყოლებული ფულადი ანგარიში სწორედ ამით სწარმოებდა ხოლმე. აღბუღა ათაბაგ-ამირსპასალარსაც–კი, რომელიც თავისი სამთავროს საქართველოს მეფისაგან ადმინისტრაციულს დამოუკიდებლობას იცავდა, გულმოდგინედ არ შეეძლო მაინც თავისი სამფლობელოებში მყოფი ცხოვრების ეკონომიურ–ფინანსური ვითარებისათვის ანგარიში არ გაეწია და ამიტომაც ისიც იძულებული იყო მის დროს შედგენილს საკანონმდებლო ძეგლში დანაშაულებათათვის დაწესებული ფულადი საზღაური გიორგი ბრწყინვალის თეთრის ერთეულით დაეკანონებინა, რათგან წინანდელი მონღოლური ყაზანაური თეთრის მაგიერ, მესხეთშიც თვით აღბუღა ათაბაგ-ამირსპასალარის მთავრობის ხანაშიც-კი, სწორედ ეს ქართული ფული იყო ცხოვრებაში გაბატონებული. "კაცთა შეცოდების სამართლის წიგნის" შესავალში მას თითონვე აქვს ეს გარემოება აღიარებული: "ამა ჟამთა შინა ყაზანაურობაჲ არღარაჲ იყო" და ამიტომ "დიდისა წარჩინებულისა მეფისა გიორგის ჟამის თეთრი გავაჩინეთ"-ო.

ამრიგად, გიორგი ბრწყინვალის ბრძნული პოლიტიკის წყალობით, საქართველო მარტო პოლიტიკურად-კი არ გაჯანსაღდა და სახელმწიფოებრივადაც გამაგრდა, არამედ ეკონომიკურადაც მოღონიერება დაიწყო და ქონებრივადაც დოვლათიანობა დაეტყო. ეს გარემოება უკვე საქართველოს დედაქალაქსაც დასჩნევია.

რომის პაპის იოანე XXII-ის 1328 წ. და 1329 წ. დაწერილი ეპისტოლეებითგან ჩანს, რომ ტფილისი იმ დროსაც საუკეთესო, ერმრავალი და მდიდარი, თანაც შესანიშნავი ქალაქი იყო. მის ასეთ თვისებათა მნიშვნელობის გამო, დას. ევროპის ქრისტიანეთა მწყემსმთავარმა და კარდინალების საბჭომ გადასწყვიტა,თავისი მოქადაგეობითი მოღვაწეობის ცენტრი ქ. სმირნითგან ტფილისში გადმოეტანათ, რაც ასრულებულ იქმნა კიდეც[212]. მაგრამ გიორგი ბრწყინვალის დროინდელი საქართველოს ყოველმხრივი დიდი წარმატება და კულტურის მაღალი დონე, თვალსაჩინო ეკონომიური მოღონიერებაც, საკმაო სიცხადითა და სიძლიერით "ხელმწიფის კარის გარიგების" შერჩენილი ნაწილითგანაც ჩანს.

5. გიორგი ბრწყინვალის საგარეო პოლიტიკა და საქართველოს დიდი ხვედრითი წონა მახლობელი აღმოსავლეთის საერთაშორისო ცხოვრებაში.

[212] ისტ. კათოლიკ., გვ. 32-33 და 580-582 [ლათინ. ტექსტ.].

საქართველომ გიორგი ბრწყინვალის სამხედრო ნიჭითა და ბრძნული სახელმწიფოებრივი პოლიტიკის წყალობით თავისი პოლიტიკური ძლიერება მე-14 ს. მეორე მეოთხედისათვის უკვე იმდენად აღიდგინა და შინაურობაშიც სრული მშვიდობიანობის დამყარება შესძლო, რომ მისი ძლიერების ხმაგანთქმულობამ ეგვიპტემდისაც-კი მიაღწია. იქაური იმდროინდელი არაბული წყაროების ცნობით, საქართველო მაშინ დიდ და ვრცელ ქვეყანად და ძლიერ სახელმწიფოდ ითვლებოდა. რომის პაპსაც მოეხსენებოდა, რომ საქართველოს სახელმწიფოში ბევრი სხვა ხალხიც იყო. შორეულს ეგვიპტეში ისიც კარგად იცოდნენ, რომ მაშინდელს საქართველოში მტკიცე ხელისუფლება არსებობდა და მას თავისი საკუთარი მეფე ჰყავდა და რომ მის სატახტო ქალაქად ტფილისი იყო.

საქართველოს ჯარის მამაცობისა და ქრისტიანობის მტკიცედ დამცველის სახელიც შორეულ ქვეყნებში, მათ შორის ეგვიპტეშიც, კარგად იყო ცნობილი.

ჩვენი ქვეყნის განახლებასა და მოღონიერებასთან ერთად, ცხადია, რომ საქართველოს ხვედრითს წონასა და მნიშვნელობას საერთაშორისო ასპარეზეც უნდა კვლავ ემატნა. საქართველოს მეფისაგან იმ დროისათვის საერთაშორისო პოლიტიკურ სფეროში მოპოვებულს გავლენასა და მნიშვნელობას ის მიმართვა-შესხმის წესიც გვიხატავს კარგად, რომლითაც მაშინ ეგვიპტის სულტნები საქართველოს მეფეებისადმი წარმოგზავნილ თავიანთ ეპისტოლეებს წერდნენ ხოლმე. ელ-ომარის ცნობით ეპისტოლეები ასე იწყებოდა: ”დღეგრძელ–ჰყოს ალლაჰმა ბრწყინვალება მისი უდიდებულესობისა, ხელმწიფოსა სახელოვნისა და სახელგანთქმულისა, მამაცისა, უშიშარისა, ძლიერისა, დაუცხრომელად მებრძოლისა, ლომისა, ტახტ-გვირვგვინის მპყრობელისა, თავის სარწმუნოების მფლობელისა, თავის ქვეშევრდომთათვის სამართლიანისა, ბერძენთა (იგულისხმება: ”მართლმადიდებელთა”) მეფეთა შორის საუკეთესოსა, ქართველთა სულტნისა, ზღვათა და სრუტეების სამფლობელოების განძისა, რაინდთა დამცველისა, თავის წინაპართაგან ტახტ-სკიპტრის დამამკვიდრებელისა, რუმისა და ერანის ქვეყნების დამცველისა, იონთა (ე. ი. ძველი საბერძნეთის მეფეთა) მემკვიდრისა, ასურეთის მეფეთა* მფარველისა გვირგვინოსანთა შორის ურჩეულესისა, ქრისტიანთა განმადიდებელისა, იესოს სარწმუნოების საყრდნობისა, ქრისტიან გმირთა ცხებულისა, თავის ბრძანებით წმიდა ადგილთა (ე. ი. პალესტინა-იერუსალიმის) განმადიდებელისა, ნათელღებულთა მისაყრდნობისა, რომის პაპის მეშველისა, მუსლიმანთა მეგობრისა, დაახლოვებულ მეგობართა შორის უმშვენიერესისა მეფეთა და სულტანთა უგულითადესი მეგობრისა”-ო[213].

მე-14 ს. პირველი ნახევრის არაბ მწერლის ელ-ომარის ამ მოწმობით, გიორგი ბრწყინვალე ქრისტიან მეფეთა შორის უსახელოვანესად ითვლებოდა. იმისდა მიუხედავად, რომ მას გულმოდგინე ქრისტიანის სახელი ჰქონდა მოხვეჭილი, ეს გარემოება და მისი რწმენა მას არ უშლიდა სხვა რწმენის წარმომადგენლებთან კარგი დამოკიდებულება ჰქონოდა. ეგვიპტის სულტნები გიორგი ბრწყინვალისადმი წარმოგზავნილს თავიანთს ეპისტოლეებში მას მუსლიმანთა მეგობარსაც-კი უწოდებდნენ. ეს ფრიად საგულისხმო გარემოებაა, რომელიც ამ მეფეს ფართო და თავისუფალი აზროვნების მქონებელ პოლიტიკოსად გვაგულისხმებინებს.

თავის სახელმწიფოში პოლიტიკურად კარგად განმტკიცების შემდეგ, გიორგი ბრწყინვალე საქართველოს საგარეო და საერთაშორისო მდგომარეობის, რომელიც მე-13 ს. განმავლობაში თითქმის სრულებით შერყეული იყო, გამოსწორებასაც შეუდგა. მას მიზნად დასახული ჰქონდა საქართველოსათვის საერთაშორისო სფეროში კვლავ დაებრუნებინა ის გავლენიანობა, რომელიც მას წინათ ძლიერების ხანაში მე-12 ს., მოპოვებული ჰქონდა.

---

[213][ტიზენჰაუზენი, “Заметка Элькалькашанди о Грузинах»: ЗВОРАОб, 1886, т. I, გვ. 208-216].

წარსულში ქრისტიანეთა მთავარ სალოცავ ადგილებში ქართველებს ყველგან საპატიო ადგილი ეკავათ და თავიანთი ეკლესია-მონასტრები ჰქონდათ. უკვე მე-12ს. ქართველებმა, პროხორეს თაოსნობით, ჯვარის მონასტერი ააგეს. დავით აღმაშენებელმა სინას მთის ის მწვერვალიც დაიკავა, სადაც, ებრაელთა გადმოცემით, ვითომც ღმერთი მოსე წინასწარმეტყველს ესაუბრებოდა და ათი მცნება მისცა. სინას ნახევარკუნძულის ამ ყველაზე უმაღლეს მწვერვალზე მან საუცხოვო ქართული ეკლესია ააგებინა და ქართული წირვა ლოცვითურთ მოაწყო. ყველა ამას და ამის მსგავსს, რა თქმა უნდა, მარტო წმინდა სარწმუნოებრივი მნიშვნელობა არ ჰქონდა, არამედ ამავე დროს ეს მთელ მახლობელ აღმოსავლეთში და დასავლეთის ქრისტიანე ხალხთა შორის საქართველოს პოლიტიკურ სახელგანთქმულობასაც უწყობდა ხელს.

საქართველოს პოლიტიკური ძლიერების შერყევისთანავე, ქართველების მდგომარეობა პალესტინაშიც ძალზე გაუარესდა. ქრისტიანეთათვის ისეთი მნიშვნელოვანი სალოცავი, როგორადაც მაშინ ჯვარის მონასტერი იყო მიჩნეული, ჩამოართვეს. ქართველების გულის მოსაკლავადა და თავმოყვარეობის შესალახავად, ჩამორთმეული მიზგითადაც-კი აქციეს.

გიორგი ბრწყინვალემ ქართველთა ამ შელახული უფლებისა და თავმოყვარეობის აღდგენასაც მიაქცია ყურადღება. ამ მიზნით მან ეგვიპტის სულტანს თავისი დესპანები გაუგზავნა და წართმეული ჯვარის მონასტრის ქართველებისათვის დაბრუნება სთხოვა. საქართველოს მეფეს მარტო ზემოაღნიშნული მიზანი არ ჰქონდა დასახული, არამედ მას უნდოდა, რომ საერთოდ პალესტინაში ქრისტიანეთათვის მაჰმადიანთაგან დაწესებული დამამცირებელი წესები და ყველანაირი შევიწროებაც მოსპობილიყო და მათი მდგომარეობა გაუმჯობესებულიყო. ამიტომ გიორგი ბრწყინვალემ თავის დესპანებს დაავალა ჯერ კოსტანტინეპოლში შეეარნათ და მისი წადილი და ცდა ეცნობებინათ. ეტყობა, მას უნდოდა, რომ ქრისტიანეთა ზოგადი მდგომარეობის გაუმჯობესების მისს ასეთ ცდაში ბიზანტიის კეისარსაც მიეღო მონაწილეობა. ამ ამბის გაგებისთანავე, საქართველოს დესპანებთან ერთად კეისარს თავისი დესპანებიც გაუყოლეებია თან.

საქართველოსა და ბიზანტიის დესპანები მართლაც ზღვით ჯერ ალექსანდრიაში მივიდნენ, იქითგან-კი ხმელეთით ქაირომდის მიაღწიეს კიდეც. იქ საქართველოს დესპანებმა ეგვიპტის მთავრობას გიორგი ბრწყინვალის ეპისტოლე მიართვეს, რომელშიც იგი ძალმომრეობით ჩამორთმეული და მაჰმადიანთაგან მიზგითად გადაქცეული ჯვარის მონასტრის ისევ ქართველებისათვის დაბრუნებას თხოულობდა. ამასთანავე საქართველოს მეფე ეგვიპტის სულტანს სთხოვდა, რომ ის განკარგულება და წესიც გაუქმებული ყოფილიყო, რომლითაც ქრისტიანებს ცხენსა და სახედრებზე აქეთ-იქით ორივე ფეხ-ჩამოშვებული ჯდომა აკრძალული ჰქონდათ. ასე მოგზაურობა მხოლოდ მაჰმადიანების უპირატეს უფლებად ითვლებოდა, ქრისტიანები-კი ცხენ-სახედრებზე უნდა ორივე ფეხის ერთი მხრივ გვერდზე ჩამოშვებულნი მჯდარიყვნენ. რაკი ასეთი ბრძანება ქრისტიანეთა დამცირება-გაწბილების წადილით იყო ნაკარნახევი, გიორგი ბრწყინვალემ, ეტყობა, აუცილებლად საჭიროდ დაინახა, რომ თავმოყვარეობის ასეთი შეურაცხმყოფელი წესი მოსპობილიყო და ამით ქრისტიანთა სწორუფლებიანობა აღდგენილი ყოფილიყო.

საქართველოს მეფის არც ერთი ამ ორ თხოვნათაგანის ასრულება მაჰმადიანთა მბრძანებლის, ეგვიპტის სულტნისათვის, ადვილი არ იყო, მაგრამ მაინც, უფრო მეტად პირველ თხოვნას უნდა ჩაეგდო იგი დიდ საგონებელში. ჯვარის მონასტრის ისევ ქართველებისათვის დაბრუნება ხომ მიზგითის კვლავ ქრისტიანეთა სალოცავ ეკლესიად ქცევით დამთავრდებოდა, მართლმორწმუნე მაჰმადიანთა შეხედულება-მოძღვრებით-კი ასეთი საქციელი მძიმე დანაშაულებასა და დიდ ცოდვას წარმოადგენდა. ამნგაირი ნაბიჯის გადასადგმელად ეგვიპტის

სულტნის გავლენიანი სასულიერო წრეები თავიანთ ბრძანებელს დასტურს ისე ადვილად ვერ მისცემდენ.

ესოდენ ძნელად გადასალახავი დაბრკოლებისდა მიუხედავად, ეგვიპტის სულტანმა საქართველოს მეფის ორივე თხოვნა დააკმაყოფილა: ქართველებმა წართმეული ჯვარის მონასტერიც დაიბრუნეს, დანარჩენ ყველა ქრისტიანებთან ერთად ცხენსა და სახედარზე ჯდომის ჩვეულებრივი წესის სწორუფლებიანობაც მოიპოვეს.

უეჭველია, საქართველოს მეფის ორი ზემოაღნიშნული ძნელად ასარულებელი სათხოვარის დაკმაყოფილება ეგვიპტის სულტნისათვის იმ პოლიტიკურ დაპირებას უნდა ეკარნახა, რომელიც საქართველოს მეფეს თავის სათხოვართან ერთად დაურთავს: ის ჰპირდებოდა, რომ საჭიროებისამებრ ეგვიპტის სულტანს დახმარებას გაუწევდა და მიეშველებოდა.

ამრიგად, საქართველომ თავისი საერთაშორისო გავლენის აღდგენა ამ მხრივ მოახერხა და როგორც დანარჩენ ქრისტიანე ერთა სწორუფლებიანობაზეც მზრუნველებმა სახელმწიფომ, თავისი უფრო ფართო პოლიტიკური გეგმაც საყოველთაოდ გამოამჟღავნა. ქართველებმა, წართმეცლი ჯვარის მონასტრის დაბრუნებასთან ერთად, ჩაიბარეს აგრეთვე "კლიტენი იერუსალემისანი" და საქართველოს გამარჯვებული დესპანები მივიდნენ "საფლავსა ქრისტესსა". ქართველ მემატიანეს გამონათქვამი აქ, რა თქმა უნდა, გადაჭარბებული აქვს, რათგან, როგორც ეს დასავლეთ ევროპის იმდროინდელი ლათინური წყაროებითგან ირკვევა, ქართველებს კლიტე-გასაღები მართლაც მიუღიათ, მაგრამ მთელი იერუსალემის-კი არა, არამედ მხოლოდ იესოს საფლავად მიჩნეული სალოცავისა. ეს პალესტინის ერთ ძველს აღწერილობაშიც არის აღნიშნული: ამ საფლავის კლიტე-გასაღები ქართველებს აქვთ და ისინი ამ საფლავს ისე იცავენ, რომ იქითგან დიდძალი ოქროს საფასურადაც-კი ერთ მარცვალსაც არავის დაანებებენო.

ცხადია, რომ ამ ორ დიპლომატურს გამარჯვებას საქართველოს სახელმწიფოსა და ქართველობისათვის მთელს მაშინდელ საქრისტიანო ქვეყნებში, აღმოსავლეთსაცა და დასავლეთშიც, დიდი სახელი უნდა მოეხვეჭა. ამიტომაც სრულებით ბუნებრივია, რომ როდესაც მისმა დესპანებმა მეფის დავალების ასრულების შესახებ მოახსენეს, "ფრიად განიხარა გიორგი მეფემან, რამეთუ მიეცეს კლიტენი ქართველთა"-ო.

6. ტრაპიზონის საკეისროში საქართველოს პოლიტიკური გავლენის აღსადგენად ბრძოლის განახლება.

საქართველოს წინანდელი საგარეო გავლენიანობისა და შელახული უფლების მთლიანად აღსადგენად და ხელითგან გამოგლეჯილი ოდინდელი მნიშვნელოვანი სფეროს უკან დასაბრუნებლად, ტრაპიზონის სამეფო-ღა იყო კიდევ საქმე მოსაგვარებელი. ბიზანტიის მთავრობა, როგორც ვიცით, საქართველოს გავლენის ამ სფეროს ისევ დაეპატრონა და ქართველთა მომხრე დასი ტრაპიზონის სამეფოში გაანადგურა, ასეთი მარცხის გამოსასწორებლად საქართველოშიცა და თვით ტრაპიზონშიც, როგორც ირკვევა, საიდუმლო სამზადისი ჰქონდათ. 1341 წ. 4 ივლისს რომ ტრაპიზონის სამეფოს თურქები შეესივნენ, ქალაქი გაანადგურეს და გადასწვეს, დიდძალი ხალხიც დაიღუპა, ალექსი კომნენის ასულმა და ვასილ I-ის დამ, მოლოზნად შემდგარმა ანამ, ჩვეულებრივ ანა-ხუტლუ-დ წოდებულმა, მოლოზნის სამოსელი გაიხადა და "ლაზიკა"-ში, ე. ი. საქართველოში გამოიქცა. უეჭველია, ბატონიშვილი ანა–ხუტლუ საქართველოში თურქთაგან თავის დასაცავად არ უნდა ყოფილიყო გამოქცეული.

მას სულ სხვა მიზანი ჰქონია. მისი მოქმედებაც წინასწარ მოფიქრებული ყოფილა და, რასაკვირველია, საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებული გეგმით იქნებოდა ნაკარნახევი.

ამავე 1341 წლის ივლისის პირველ ნახევარშივე, როდესაც თურქები ტრაპიზონის სამეფოთგან უკვე გასულნი და შინ დაბრუნებულნი იყვნენ, ანა-ხუტლუ "ლაზთა", ანუ ქართველთა ჯარითურთ თავის ქვეყანაში მივიდა და უკვე 17 ივლისს ამ სამხედრო ძალის დახმარებით მეფობა ხელში ჩაიგდო. ცხადია, რომ ორ კვირაში ასეთი დიდი საქმის მოგვარებას ტრაპიზონის ბატონის ქალი, ნამოლოზნარი ანა–ხუტლუ, საქართველოში ვერ შესძლებდა, წინასწარი შეთანხმებითა და სამზადისით რომ ყველათერი უკვე მოწყობილი არ ჰქონოდა.

უეჭველია, ყველა ეს ტრაპიზონის კეისრის ბასილის თანამეცხედრის, დედოფალ ირინეს, წინააღმდეგ მიმართული შეთქმულება იყო, რათგან ის, ვითარცა ბიზანტიის კეისრის ასული, ტრაპიზონის სამეფოში ბიზანტიის პოლიტიკური გავლენის გამამტკიცებელი ბრძანდებოდა. საქართველოს მომხრე ტრაპიზონელთა დასმა და საქართველოს ჯარმა ირინე დედოფალი ტახტითგან ჩამოაგდეს და ტრაპიზონის კეისრად ანა-ხუტლუ დასვეს. ეს, უეჭველია, საქართველოს მთავრობის თანხმობით უნდა მომხდარიყო.

დასახული მიზნის მიღწევისა და საქართველოს ორიენტაციისა და გავლენის ტრაპიზონში ამ გზით განმტკიცების შემდგომაც, საქართველოთგან მოსული ჯარი მთლიანად უკან არ დაბრუნებულა, არამედ ნაწილი იქვე დარჩა.

რა თქმა უნდა, ბიზანტიის მთავრობა მომხდარს პოლიტიკურ ცვლილებას ადვილად ვერ შეურიგდებოდა და უკვე 30 ივლისს კოსტანტინეპოლითგან ტრაპიზონის ნავთსადგურს სამი გემი მოადგა. ერთს ამ კატარღათგანზე ტრაპიზონის კეისრის ბასილის ძმა, მიხეილ კომნენი იმყოფებოდა და აქვე და დანარჩენ ორ კატარღაზე ბიზანტიის კეისრის ჯარიც იყო. მათ უნდა ტრაპიზონში დატრიალებული ამბისა და მოხდარი ცვლილების ყოველი კვალი მოესპოთ, ბიზანტიის ჰეგემონია კვლავ განემტკიმცებინათ, და მიხეილი, რასაკვირველია, ტრაპიზონის მეფედ დაესვათ.

ხელისუფლების მქონებელ საქართველოს მომხრე ტრაპიზონელთა დასსა და ჯარს იმ წუთს კოსტანტინეპოლითგან მოსული უფლისწულისათვის არამც თუ არავითარი წინააღმდეგობა არ გაუწევია, არამედ პირიქით, ტრაპიზონის მიტროპოლიტი და სხვანი, მიხეილს, როგორც თავიანთ ბრძანებელს, ისე დაუხვდნენ, მაგრამ მალე გამოირკვა, რომ ეს ყველაფერი განზრახ იყო მოწყობილი.

გასაკეისრებლად გამზადებული მიხეილი რომ კატარღითგან ტრაპიზონში ავიდა, სასახლეში ერთი ღამის გატარების გარდა, მეტი დრო მას არ დასცალდა: დილითვე ბიზანტიის გავლენის განსამტკიცებლად ჩამოყვანილი უფლისწული ტახტითგან ჩამოაგდეს, ხოლო კატარღებში მყოფ ბიზანტიის სამხედრო ძალას "ლაზებმა", ე. ი. საქართველოთგან მოსულმა ჯარმა, შვილდ-ისრით აუტეხეს სროლა, ბევრი მათგანი დახოცეს, გემები-კი ხელში ჩაიგდეს.

ტახტითგან ჩამოგდებული მიხეილ კომნენი 7 აგვისტოს ჯერ ოინაონში, შემდეგ ლიმნიაში ექსორია ჰყვეს, ხოლო 10 აგვისტოს გადაყენებული ირინე დედოფალიც თავის სამშობლოში კოსტანტინეპოლში გაისტუმრეს. ამრიგად, ტრაპიზონში საქართველოს პოლიტიკური გავლენა აღდგენილ იქმნა და ბიზანტიის კეისრის ცდა გაქარწყლდა, მაგრამ მალევე საქმე ისევ აირია და საკმაოდ ხანგრძლივი დროის განმავლობაში მოწინააღმდეგეთა შორის ტრაპიზონში გამწვავებული ბრძოლა და ჟლეტა გაჩაღდა. კოსტანტინეპოლში გაქცეულები ისევ ტრაპიზონში დაბრუნდნენ ლიმნიაში დამწყვდეული მიხეილის შვილით იოანეთურთ, რომელიც 1342 წ. ტრაპიზონის კეისრად დასვეს. რასაკვირველია, ეს შესაძლებელი იყო მხოლოდ საქართველოს მომხრე დასის დამარცხების შემდეგ, როდესაც მისი მეთაურები ულმობელად იქმნენ გაწყვეტილები, მათ შორის დედოფალი ანა-ხუტლუც, რომელიც დაახჩვეს. კოსტანტინეპოლისა და საქარველოს მომხრეთა შორის ბრძოლა, როგორც აღნიშნული გვქონდა,

არც ამით დამთავრებულა, არამედ დაუნდობელი ბრძოლა და ხოცვა-ჟლეტა წლების განმავლობაში გრძელდებოდა[214].

დავით VII, გიორგი ბრწყინვალის ძე

1346 წ. რომ გიორგი ბრწყინვალე გარდაიცვალა, მის მაგიერ მისი შვილი დავითი გამეფდა, რომლის შესახებ თითქმის არავითარი ცნობები არ მოგვეპოვება: მისდროინდელი არც საისტორიო თხზულება და არც სანდო და შინაარსიანი საბუთი გადარჩენილი არ არის. ვახუშტის ცნობით, ამ დავით მეფის მეუღლეს სინდუხტარი ჰრქმევია.

ქართლის ცხოვრების შემავსებელთ დავითის მეფობაში საქართველოში სრულს მშვიდობასა და კეთილდღეობაზე აქვთ საუბარი, მაგრამ იმ ნაწყვეტ-ნაწყვეტი ცნობებითაც-კი, რომელნიც შერჩენილი გვაქვს იმ დროითგან, ეს არ მტკიცდება. მაგ., ირკვევა, რომ უკვე 1343 წ. საქართველოში დიდი ქონებრივი გაჭირვება ჩამოვარდნილა, რომელსაც ზედ დიდი სიკვდილობაც დაერთო. ამას ხუცესი ავგაროზ ბანდაის ძე მოგვითხრობს თავის გადაწერილს ეტრატის პარაკლიტონში. შევუდექი მე "მწერალი ავგაროზ ბანდაისძე აღწერად წმიდისა ამის წიგნისა... დიდსა სიგლახაკესა და ეტრატისა სიძჯრესა და შფოთსა და უცალობასა შინა წელსა მას, რომელსა იყო სიკვდილობა, ქორონიკონი იყო ლვ" (36), ე. ი. 1348 წ.[215].

ამ ცნობაში ორ მნიშვნელოვანი გარემოებაა აღბეჭდილი, რომელთაგან ერთი პოლიტიკური და ეკონომიკურია, მეორე კიდევ ხალხის ჯანმრთელობას ეხება. გამონათქვამი შფოთი გვაფიქრებინებს, რომ აქ შინაური შუღლის ამბავი უნდა იგულისხმებოდეს, შესაძლებელია სწორედ იმ თემში, სადაც ამ ცნობის ავტორი პირადად იმყოფებოდა. თუმცა ავგაროზ ბანდაისძეს მძლავრი ეკონომიური გაჭირვება, "დიდი სიგლახაკე და ეტრატის სიძჯრე", როგორც უფრო ყველასთვის საგრძნობი, პირველად აქვს დასახელებული, მაგრამ საფიქრებელია, რომ ამ თავდამტყდარს უბედურებას უნდა "შფოთსა და უცალობას"-თანაც ჰქონოდა უმჭიდრესი კავშირი.

კონკრეტულად რა შფოთს გულისხმობდა ავგაროზი, ამჟამად ძნელი სათქმელია, "დიდი სიკვდილობა"-კი, რომელსაც 1348 წ. საქართველოში თავი უჩენია, უეჭველია, შავი ჭირის მძვინვარების შედეგი უნდა ყოფილიყო. ოქროს ურდოში ჯანიბეგის .ყაანობის დროს უკვე 1346 წ. გაჩნდა შავი ჭირი, რომელიც ხალხს მუსრს ავლებდა, იქითგან ეს მოარული ყირიმსაც მოედო. რაკი შემდეგ შავი ჭირი ჯერ რუმში, ხოლო 1348 წ. ასურეთსა და ეგვიპტეშიც ძალზე გავრცელდა ხალხში ისე, რომ მოსახლეობის ნახევარი ამ მოარულის მსხვერპლი შეიქმნა, ამიტომ ცხადია, რომ რუმსა და ყირიმს შუა მდებარე საქართველოში 1348 წ. გავრცელებელი "დიდი სიკვდილობაც" ამავე შავი ჭირის მოარულის მძვინვარების შემდეგი უნდა ყოფილიყო.

რამდენ ხანს გაგრძელდა საქართველოში შავი ჭირი, ამაზე ცნობები არ მოგვეპოვება. მაგრამ, როგორც შემდეგში დავრწმუნდებით, 1366 წ. ბაგრატ V-ის თანამეცხედრე ელენე დედოფალი სწორედ ამ ავადმყოფობამ იმსხვერპლა და ეს გვაფიქრებინებს, რომ მოარული ჩვენშიც დიდხანს ყოფილა დაბუდებული. საქართველო შემდეგში სხვაფრივაც არ იყო კარგს მდგომარეობაში. აქ უკვე გარეშე მტრისაგან მოყენებული ზიანი ყოფილა უბედურების მთავარი მიზეზი. ერანის ილხანების დაქუცმაცებული მემკვიდრეობის მმართველთა შორის ატეხილს ბრძოლაში ყველაზე ძლიერი ჩობან ნოინის შთამომავლობის მოწინააღმდეგე ჰასან ჯალაირის

---

[214] **უსპენსკი,** გვ. 103-104 და 105-106, ["ტრაპიზონის ქრონიკა", ალ. ხახანაშვილის გამოც.].

[215] **თ. ჟორდანია, Опис. рук., II,93.**

ძმა აშრაფი გამოდგა. მან თავრეჟის ჩაგდება და თავის საჯდომ ქალაქად ქცევა მოახერხა და მთელი ამ სანახების მართვა-გამგეობას დაეპატრონა. აშრაფი ნამდვილი მტარვალი აღმოჩნდა. ბიჯნისის 1358 წ. ორი სომხური წარწერითგან ირკვევა, რომ მელიქ აშრაფი საქართველოს სამეფოსაც შემოჰსევია, კერძოდ ქ. ბიჯნისი დაუნგრევია და ხალხიც ბლომად დაუხოცია[216]. ეს ამბავი, უეჭველია, 1356 წ.–მდე უნდა მომხდარიყო, რათგან ამ წელს აშრაფის მტარვალობით აღშფოთებულმა ერანის ადერბეჯანის ემირებმა ჩრდილოეთის ულუსის ყაანი ჯანიბეგი მოიწვიეს. ის მოვიდა კიდეც და დამარცხებული აშრაფი მოკლა[217].

შევსებული ქართლის ცხოვრების ცნობით, დავით VII-ე 1460 წ. გეგუთში გარდაიცვალა, ხოლო დასაფლავებულია გელათში. სინდუხტარისაგან მას ვაჟიშვილი ბაგრატი ჰყავდა.

1. თემურ-ლენგის შემოსევა და საქართველოს თავგანწირული ბრძოლა მტრებთან დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად

XVIII. ბაგრატ V

ბაგრატ V 1360 წ. გამეფებულა. მისი მეფედ კურთხევის წესი ქუთაისში შეუსრულებიათ, ალბათ ძველი წესის მიხედვით, რათგან, როგორც ქართული ისევე ტრაპიზონელი ისტორიკოსის ცნობების მიხედვით, სრულებით უცილებელია, ბაგრატი გაერთიანებული, სრულიადი საქართველოს მეფე იყო. მიხეილ პანარეტი 1367 წ. ცნობაში მას უკვე "ქართველთა და აბხაზთა" მეფეს უწოდებს, რაც მისგან ლიხთ-იმერეთისაცა და ამერეთისაც სრული მფლობელობის მაუწყებელია.

მაშინდელი საქართველოს სახელმწიფოს საზღვარი სამხრეთ-დასავლეთით მაკრიალის ხეობის იქით ყოფილა. პარხალი ტრაპიზონის საკეისროს ხელში იყო, ამრიგად გონია და მაკრიალის ხეობა, აჭარა, შავშეთი და კლარჯეთი-კი საქართველოს ეკუთვნოდა. ბათომი აჭარითურთ იმ დროს გურიელის საგამგეოში შედიოდა. ბაგრატ მეფის დროს მთელი მესხეთიც საქართველოს სახელმწიფოს ეკუთვნოდა, ქ. ანისიც წინანდებურად საქართველოს ხელში იყო. ეს თემურ-ლენგის ისტორიკოსის შერეფედდინ ალი-ჲეზდის ისტორიითაც მტკიცდება უცილობლად. მაგრამ ამავე დროს იგივე შერეფედდინ ალი-ჲეზდი არც ნახჭავანს, არც გარნისის ციხესა და არც კარის ციხე-ქალაქს საქართველოს კუთვნილებად აღარა სთვლიდა, არამედ ამ სამივე ადგილის აღების ამბავი მას იმ თავში აქვს მოთავსებული, რომელშიც ერანის ადერბეჯანის დაპყრობაა მოთხრობილი[218]. შერეფედდინის თხზულებაში მოხსენებული ამ ციხე-ქალაქების მმართველთა სახელებიც, როგორც, მაგ., გარნისისა შეიხ-ჰასანი[219] და კარისა ფირუზ-ბახტი[220], გვაფიქრებინებს, რომ ისინი მაჰმადიანები უნდა ყოფილიყვნენ.

მაინც ამ ხანაში თავის წინანდელ ყმადნაფიც სამფლობელოებთან, ეტყობა, კავშირი არც საქართველოს ჰქონია შეწყვეტილი და არც იმათ, არამედ მტრისაგან დასაცავად

---

[216] "ვიმ. ტარეგ", გვ. 169-170.
[217] K. Müller, II, გვ. 284.
[218] **შერეფედდინი,** I, გვ. 396-400.
[219] იქვე, გვ. 399.
[220] იქვე, გვ. 400.

დახმარებისათვის მათ საქართველოსთვის მოუმართიათ ხოლმე. საქართველოსაც მათთვის შეძლებისამებრ თავი გამოუდვია.

საქართველოს სახელმწიფოს საზღვარი ბაგრატ V-ის დროს ჩრდილოეთით კავკასიონის ქედს იქითაც-კი გადადიოდა და, როგორც თომა მეწოფელის ცნობითგან ჩანს, დვალეთი და ჩრდილოეთით ოსეთიც საქართველოს ჰკუთნებია.

ბაგრატ V-ის პირველი თანამეცხედრე ელენე დედოფალი ყოფილა, რომლისგანაც მეფეს ორი ვაჟიშვილი, გიორგი და კოსტანტინე, ჰყოლია. 1366 წ. საქართველოში მძვინვარე შავი ჭირისაგან ელენე დედოფალი გარდაცვლილა და ბაგრატ V-ეს მეორე თანამეცხედრედ ტრაპიზონის კეისრის ასული ანა კომნენოსი ჰყავდა, რომელიც მეფემ 1367 წ. ივნისში შეირთო და რომლისაგანაც ვაჟიშვილი დავით შეეძინა.

ბაგრატ V-ეს ასულიც ჰყავდა, რომელიც ამირეჯიბ კახაბერ ჩიჯავაძეზე იყო გათხოვილი. მისგან საზვერელად წოდებული ერთი ვაჟიშვილი შესძენია. დაქვრივების შემდგომ ბაგრატ V-ის ქალიშვილი მოლოზნად შემდგარა და ულუპიად ყოფილა სახელდებული.

ბაგრატი მშვენივრად ჩამონაქვთილი და ახოვანი ვაჟკაცი ყოფილა, მხნეობით აღსავსეც. მას უცდომელი მოისრის სახელიც ჰქონია მოხვეჭილი. ბაგატ V გულად მეომრადაც ითვლებოდა. მისი მაღალი სამხედრო თვისებები და ნიჭი ტრაპიზონელი ისტორიკოსის მ. პანარეტის მოწმობითაც მტკიცდება, რომელიც ბაგრატ მეფეს "უსახელოვანეს მხედართმთავარს" უწოდებს. მე-14 ს. მეორე ნახევრის ერთი სანაჰინელი სომეხი მწერალიც ბაგრატ მეფეს "მძლედ და ძლიერად"იხსენიებს. ცხადია, რომ ქართველნი და უცხონი, თანამედროვენი და შთამომავლობა უმიზეზოდ და უსაფუძვლოდ არ მიანიჭებდნენ მას სახელგანთქმულობას. ამიტომ უფლება გვაქვს ვიფიქროთ, რომ ამ საქებური წოდებულების მიხედვით მას, საქართველოს წინაშე არაერთი მნიშვნელოვანი სამხედრო ღვაწლი უნდა მიუძღოდეს, მაგრამ, იმ ხანის საისტორიო ძეგლების დაღუპვის გამო, ამჟამად არაფრის თქმა არ შეგვიძლია, თუ კონკრეტულად, სად და რა გამარჯვება ჰქონდა ბაგრატV-ეს, როგორც ეტყობა, ჯერ კიდევ თემურ-ლენგის შემოსევამდე, თავის მეფობის დასაწყისშივე მოპოვებული, რომელთაც სამშობლოშიცა და უცხოეთშიც მას ასეთი სახელი მოუხვეჭეს. ეგების ძველი ქართული ხელნაწერების ანდერძ-მინაწერებში შემდეგში ამის შესახებ რაიმე ცნობები აღმოჩნდეს.

მე-14-15 სს. ქართული საისტორიო ძეგლების მთლიანად დაღუპვამ საქართველოს ისტორიის ამ ხანის მკვლევარი ისეთ უცნაურ მდგომარეობაში ჩააგდო, რომ საქართველოს მაშინდელი ამბებისა და საერთო ვითარების გამოსარკვევად უცხო, თანაც სწორედ მტრისაგან დაწერილი, წყაროს გამოყენების გარდა, თითქმის აღარავითარი სხვა საშუალება აღარ მოეპოვება. როგორც "ქართული საისტორიო მწერლობის მიმოხილვა"-ში გამორკვეული მაქვს, არც ვახტანგ მეფის დროს ეგნატაშვილის ბერის მეთაურობით შედგენილს "ახალ ქართლის ცხოვრება"-ში და არც ფარსადან გორგიჯანიძის საისტორიო თხზულებაში იმ ხანის ამბების მოთხრობა დამოუკიდებელ ძველ ქართულ წყაროებზე არ არის დამყარებული. "ერისთავთა ძეგლში" შეტანილი ცნობები-კი მეტად მოკლე და ზოგადად არის გამოთქმული, ამიტომაც მხოლოდ მათი გამოყენება არ შეიძლება. ასეთ პირობებში მკვლევარს, ან უნდა საქართველოს იმდროინდელი მდგომარეობის გაშუქებაზე სრულებით უარი ეთქვა, ანდა უცხო წყაროები გამოეყენებინა და, რასაკვირველია, მათი კრიტიკულად განხილვით, მაშინდელი სინამდვილის გამორკვევა ეცადნა. წინამდებარე წიგნში სწორედ ეს ამოცანაა დასახული და საშუალებაც ასეთივეა გამოყენებული.

თემურ-ლენგის ხანის საისტორიო თხზულებათაგან, რომელიც მახლობელ აღმოსავლეთს ეხება, ჯერჯერობით მხოლოდ შერეფედდინ ალიიეზდის ნაშრომია გამოცემული სპარსულად და სრმხურად კიდევ თომა მეწოფელის "ლანგ-თემურის ისტორია".

თემურ-ლენგის ისტორიკოსის თხზულება დაწერილია მისი მბრძანებლის გარდაცვალების 15 წლის შემდეგ, მაგრამ იგი დამყარებულია თანამედროვე ჩანაწერებზე, სომეხთა ისტორიკოსის ნაწარმოები-კი 1441 წ. ახ. ხანს. ამრიგად, თემურის ხანის შესახებ პირველის ცნობები მეორისას ღირსებით სჯობია.

კონკრეტული ისტორიული ცნობების უქონლობა საშუალებას არ გვაძლევს გამოვარკვიოთ რაც ბაგრატV-ის მეფობის პირველი ორნახევარი ათეული წლის განმავლობაში მოხდა და რამაც მას ძლევამოსილების სახელიც-კი მოუხვეჭა. ამიტომ მკვლევარი იძულებულია საქართველოს პოლიტიკურ თავგადასავლის განხილვა პირდაპირ იმ ხანით დაიწყოს, როდესაც იგი უკვე თემურის შემოსევის მსხვერპლად იქცა.

1. თემურ –ლენგის პოლიტიკურ ასპარეზზე გამოჩენა და საქართველოში მისი პირველი შემოსევის მიზეზი და გარემოება

1336 წ. დაბადებული თემური თავდაპირველად ყაჩაღების ბრბოს მეთაური იყო. ერთერთ ასეთი ნავარდის დროს თემური დაკოჭლდა და მის სახელს ამის შემდეგ კოჭლის გამომხატველი სიტყვაც, ლენგი, დაერთო. 1360 წ. თავისი პირველი ლაშქრობის შემდეგ თემურ-ლენგმა, ათი წლის განმავლობაში იშვიათი სამხედრო ნიჭის წყალობით, დიდი გამარჯვება მოიპოვა: მან მთელი მავერანაჰრის დაპყრობა შესძლო და თავის სატახტო ქალაქად სამარყანდი აქცია. ამის შემდეგაც მისი პატივმოყვარეობა და ბატონობის წყურვილი დაკმაყოფილებული არ იყო. მართალია, მლიქვნელობას მიჩვეულს თემურ-ლენგის სპარსელ ისტორიკოსს შერეფედდინ ალი-ჲეზდის თავისი მბრძანებელი მაჰმადიანების გამავრცელებელ მოციქულთა სწორ ხელმწიფედ ჰყავს წარმოდგენილი, მაგრამ ნამდვილად ამ მრისხანე ადამიანის გულისნადებს უმთავრესად განუსაზღვრელი ბატონობა შეადგენდა. ამის დასარწმუნებლად თვით მისი ის ნათქვამიც კმარა, რომ მთელ ქვეყანას ორი მეფეც კარგად გასწვდებოდა და ეყოფოდაო. ყოველი მისი ლაშქრობა მიზნად უპირველესად სწორედ ახალ-ახალი ქვეყნების ხელში ჩაგდებას ისახავდა, ხოლო შემდეგ იმ ხალხის განადგურებასაც, რომელიც-კი არ მოისურვებდა მისი მონა-მორჩილი გამხდარიყო, ანდა მის მტარვალობისაგან განთავისუფლების ცდას განიზრახავდა და გაბედავდა კიდეც. ასეთ შემთხვევაში ის არავის არ ინდობდა, არც მეგობარსა და არც თავისიანს.

მას შემდგომ, რაც თემურ-ლენგმა 1384 წ. ავღანისტანის დაპყრობა დაამთავრა, ის ლაშქრის შესავსებად თავის სატახტო ქალაქს სამარყანდში დაბრუნდა. რამდენიმე თვის განმავლობაში დასვენების მერმე, ერანის ილხანების ყოფილი საბრძანებლის ნამსხვრევების ხელში ჩასაგდებად დაიძრა და გურგანისა და მაზანდერანის დაპატრონება მოისურვა. თუმცა ამ ქვეყნის მოსახლეობა მას ყველგან მედგარს წინააღმდეგობას უწევდა, მაგრამ თემურმა თავისი ლაშქრის მრავალრიცხოვანობით მაინც სძლია[221].

შემდეგ ჯერი ერანის ილხანების სატახტო ქალაქს თავრეჟზეც მიდგა. 1385 წ. შემოდგომამდე თემურ-ლენგმა ჯელაირელთა შთამომავლებს რეი და სულტანია გამოჰგლიჯა ხელითგან. აქეთგან ტაბარისტანისაკენ იბრუნა პირი, რომ მისი დაპყრობით თავისი თავი მომავალში ყოველნაირი განსაცდელისა და თავდასხმისაგან დაეცვა. როცა იქაური ქალაქების უბრძოლველად დამორჩილება მოახერხა, ისევ სამარყანდში დაბრუნდა თავისი სამხედრო ძალის კვლავ შესავსებად[222].

---

[221] K. Müller, II, გვ. 283-284.

[222] იქვე, გვ. 285.

თემურ-ლენგის ესოდენი ძლევამოსილება და მისი ასეთი დაპყრობელობითი წინსვლა არც მეზობლებსა და არც შორეულებს არაფერს სახეიროს, რასაკვირველია, არ უქადდა. ამიტომ წინათ თემურ-ლენგის მეგობრად ნამყოფი ოქროს ულუსის მბრძანებელი თოხთამიშ ყაანი, რომელიც, 1382 წ. მოსკოვის განადგურების შემდეგ, თავის თავს უაღრესად ძლევამოსილად სთვლიდა, მის მეტოქედ და შემდეგ მტერადაც იქცა. ვითარცა თეთრი ურდოს პატრონს, თოხთამიშს თემურ-ლენგის მისწრაფება ერანის ხელში ჩასაგდებად, რა თქმა უნდა, ვერაფრად მოსწონდა და სწორედ პოლიტიკური ინტერესების შეხლამ ისინი ერთმანეთის მტრებად აქცია.

1385 წ. მაზანდარანისა და რეის დაპყრობის შემდეგ რომ თემური სამარყანდში დაბრუნდა, ამ წლის ზამთარში თოხთამიშ-ხანმა 90.000 ჯარის კაცითურთ დარიალანისა და დარუბანდის გზით თავისი სარდლები ქ. თავრეჟის დასაპყრობად გაგზავნა. ჩრდილოეთის ულუსის ამ ლაშქარში, მონღოლებს გარდა, "ურწმუნონიც", ე. ი. არა მაჰმადიანნიც მრავლად ერივნენ. თოხთამიშის წარმოგზავნილმა ლაშქარმა შირვანზე გაიარა და იქითგან უკვე ერანის ადერბეჯანს შეესია. თუმცა თავრეჟის მმართველმა ამ ქალაქის დაცვა ვერ მოახერხა, მაგრამ მცხოვრებლები ერთი კვირის განმავლობაში მტერს მაინც იგერიებდნენ. მერმე მოზღვავებულმა თოხთამიშელებმა თავრეჟი აიღეს და, მონღოლური ჩვეულებრივი წესით, დაპყრობილი ქალაქი საშინელი სიმკაცრით დააწიოკეს და გააოხრეს. დიდძალი განაცარცვით დატვირთულმა უკანმიმავალმა მოლაშქრეებმა ნახჭავანისა და სივნიეთის თორმეტსავე თემშიც კარგად მოითბეს ხელი და ისევ თავიანთს ულუსში დაბრუნდნენ.

თემურ-ლენგმა რომ ეს ამბავი შეიტყო, რასაკვირველია, ძალიან გაბრაზდა ვითომც იმიტომ, რომ ეს მაჰმადიანთა წინააღმდეგ ჩადენილი მძიმე და მიუტევებელი დანაშაულება იყო, მაგრამ, ნამდვილად იმით უფრო, რომ მისი თავმოყვარეობა იყო შელახული. ცივმა პოლიტიკურმა ანგარიშმა და სამხედრო მოსაზრებამ მისი მღელვარება დაამშვიდა და თემურ–ლენგმა გადასწყვიტა, სანამ ერანს მთლად არ დაიპყრობდა, იქ მტკიცე მართვა-გამგეობას არ მოაწყობდა და ამ ქვეყანაში წესიერებას არ აღადგენდა, მანამდის თოხთამიშისათვის სამაგიერო არ გადაეხადა და მიჩუმებულიყო, ცხადია, მხოლოდ გარეგნულად.

1386 წ. თემურ-ლენგმა თავრეჟი აიღო და ამრიგად ერანის ადერბეჯანში ფეხი ჩადგა, მაგრამ ჩრდილოეთის ულუსის წინააღმდეგ ამხედრების მაგიერ, თემურ-ლენგმა საქართველოს წინააღმდეგ გამოილაშქრა. მონღოლთა მბრძანებლის ასეთი მოქმედების მიზეზი თითქოს გაუგებარია, მაგრამ მის ისტორიკოს თემურ-ლენგისაგან დასახული მიზანი მაინც განმარტებული აქვს: მაჰმადიანობის გასავრცელებლად გიალაშქრა მან საქართველოშიო![223].

უკვე აკად. მ. ბროსსემ თემურის ისტორიკოსისაგან თავის მბრძანებლის ზრახვის ასეთი განმარტება სარწმუნოდ არ მიიჩნია. განსვენებული ფრანგი მეცნიერის აზრით, თემურ-ლენგი ამ შემთხვევაში პოლიტიკური მიზნითაც ხელმძღვანელობდა: მაშინდელი საქართველო, თუმცა წინანდელთან შედარებით უფრო დასუსტებული და ფართობითაც შემცირებული იყო, მაგრამ მაინც საკმაოდ დიდ სახელმწიფოებრივს ერთეულს წარმოადგენდა და ამასთანავე რანი, ყარაბაღი და ლეკეთის მთავრებიც მის ჰეგემონიის ქვეშ იმყოფებოდნენ[224], და მონღოლთა ბატონობისათვის ასეთი სამეფოს ხელში ჩაგდება, რასაკვირველია, სასახელო იქმნებოდა და ამითაც უნდა ყოფილიყო საქართველოში მისი გამოლაშქრებაც გამოწვეულიო.

უეჭველია, აკად. ბროსსეს ზემომოყვანილი მოსაზრება სწორიცა და, რა თქმა უნდა, თემურის ზრახვის უფრო უკეთესად გამომხატველიც უნდა იყოს, მაგრამ მაინც თავრეჟის თოხთამიშ-ხანის ლაშქრისაგან აღების უმალ სწორედ თავრეჟზე და შემდეგ საქართველოს წინააღმდეგ ამხედრებისათვის მას, უეჭველია, ამაზე უფრო უშუალო ასაჩქარებელი მიზეზი

---

[223] **შერეფედდინი, I,** გვ. 401.

[224] **ბროსსე**, Addit. et eclair; add. XXII, გვ. 386.

უნდა ჰქონოდა, თუ იმ პოლიტიკას გავიხსენებთ, რომელსაც საქართველოში მე-13 ს. განმავლობაში ჩრდილოეთის ულუსისადმი აწარმოებდნენ, სახელდობრ, რომ საქართველოს მთავრობას ერანის ილხანების საწინააღმდეგოდ ჩრდილოეთის ულუსი გამოეყენებინა და ამ მიზნით ამ უკანასკნელთან კეთილ-მეგობრული განწყობილება და არაერთხელ კავშირიც ჰქონდა ხოლმე დამყარებული, მაშინ თემურ-ლენგის დროინდელი ზემოაღნიშნული ამბის გაგებაც უფრო გაგვიადვილდება.

თემურის მოქმედების მოულოდნელობა და სისწრაფე ამჟღავნებს, რომ მას საქართველოში შემოსევით მნიშვნელოვანი ამოცანის გადაჭრა უნდა ჰქონოდა დასახული. მისი მთავარი მოწინააღმდეგე, რასაკვირველია, თოხთამიში იყო, მაგრამ, როგორც შეეძლო მას ჩრდილოეთ ერანს ასე ადვილად შეჰსეოდა, კავკასიონის ორივე კარის მფლობელთან რომ კარგი დამოკიდებულება არ ჰქონოდა. სწორედ ამის გამო გვებადება მოსაზრება, რომ, თემურ-ლენგის ერანის ასპარეზზე გამოჩენისთანავე, საქართველოს პოლიტიკოსებს, როგორც ჩანს, თავიანთი თავის გასამაგრებლად და დასაცავად წინანდებურად ისევ ჩრდილოეთის ულუსის გამოყენება გადაუწყვეტიათ. ეს რომ სწორედ ასეც მომხდარა, ამას თოხთამიშ-ხანის ლაშქრის ერანში შეჭრისათვის არჩეული მიმართულებაც ამჟღავნებს: დარუბანდისა და მეტადრე დარიალანის გადმოსავლების დაუბრკოლებლივ გადმოლახვა მის სამხედრო ძალას, დაღისტანის ლეგების ტომებსა და საქართველოსთან რაიმე სახით შეუთანხმებლივ, არ შეეძლო და, ამიტომაც, საფიქრებელია, რომ ოქროს ურდოს მტრული მოქმედებისათვის ხელისშეწყობაში თემურ-ლენგისაგან დაპყრობილი თავრეჟის წინააღმდეგ, თუ ცხადად არა, საიდუმლოდ მაინც საქართველოს მაშინდელი მთავრობა გარეული უნდა ყოფილიყო. ასეთი რამის შემდეგში შესაძლებლობის მოსასპობად და თოხთამიშ-ხანის ლაშქრისათვის სამხრეთით კავკასიაზე მომავალი ყველა გზების შესაკრავადაც, თემურ-ლენგის პოლიტიკური და სამხედრო გეგმისათვის საქართველოს ხელში ჩაგდებას, უეჭველია, ფრიად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. საფიქრებელია, რომ სწორედ ეს უნდა ყოფილიყო ის მთავარი მიზეზი, რომელმაც მას საქართველოში გამოლაშქრება სასწრაფო ამოცანად მიაჩნევინა.

თემურ-ლენგმა რომ თავრეჟი აიღო, მერმე ნახჭავანში, ხალხის საშინელი ჟლეტისა და სანახების აოხრების შემდეგ და ერანის ადერბეჯანის მთლიანად ხელში ჩაგდების უმალ, მთელი ზაფხული თავრეჟსა და მის მიდამოებში გაატარა. აქეთგან მონღოლთა მბრძანებელმა ყველა დარგის საუკეთესო ხელოსნები აჰყარა და თავის სატახტო ქალაქს სამარყანდში გადაასახლა[225].

შემოდგომის დამდეგს თემურმა თავრეჟის მართვა-გამგეობა მუჰამედ სულტან შაჰს ჩააბარა, თითონ-კი ნახჭავნისაკენ გაემართა, ხოლო მისი ლაშქარი მარანდში მივიდა და აქ არეზზე მყოფ ქვითკირის ხიდზე გაიარა. აქეთგან დაძრული ლაშქარი ციხე გარნისს მიადგა და ბრძოლით მისი აღება შესძლო. შემდეგ უკვე არეზზე მდებარე სურმალუს აღებაც მოახერხეს, რის შემდგომაც ეს ადგილი და ციხე დაანგრიეს და გააოხრეს. აქეთგან-კი თემურ-ლენგმა თავის ჯარს ჩრდილო- დასავლეთით უბრუნა პირი და კარის (ყარსის) ციხე-ქალაქის ასაღებად წარგზავნა[226].

კარის ციხის გამგე ფირუზ-ბახტი იყო. მაღალ მთაზე აგებული და მთლიანად ქვიტკირით ნაშენები და კარგად მოზღუდვილი ეს ციხე-ქალაქი მიუვალად ითვლებოდა და ამიტომაცო, თემურ-ლენგის ისტორიკოსი მოგვითხრობს, კარის მეციხოვნეებს არაფრის შიში არ ჰქონდათ. მაგრამ მონღოლთა მბრძანებელმა ყველა საბრძოლველი მანქანები მოამზადებინა და და თავის ლაშქარს ყოველი მხრითგან მედგარი იერიშის მიტანა უბრძანა. კარის მეციხოვენეთა

---

[225] **შერეფედდინი, I,** გვ 398.
[226] იქვე, გვ. 399-400.

დიდი წინააღმდეგობისა და გულადობის გამო, მსხვერპლი თუმცა დიდი იყო, მაგრამ თემურის ლაშქრის სიმრავლემ მაინც სძლია.

როცა კარის ციხე-ქალაქის გამგემ იგრძნო, რომ გამრჯვება მტრისაკენ გადაიხარა, ბრძოლას თავი დაანება და თემურ–ლენგს დაემორჩილა. მაგრამ თვით ციხე-ქალაქი ვერც ამ ნაბიჯმა იხსნა მონღოლთა მბრძანებლის სრულიადი გაცარცვისა და შემდეგ მთლიანად განადგურებისაგან: მისი კედელ-ზღუდეები ძირამდე დანგრეული და მიწასთან გასწორებული იყო[227].

საკმარისია, თემურ-ლენგის მიერ საქართველოში შემოსასევად დაწყებული ლაშქრობის მარტო მისგან დაპყრობილს მთავარ ადგილებსაც დავუკვირდეთ, რომ ადვილად დავრწმუნდეთ, თუ რამდენად კარგი სამხედრო გეგმა ჰქონდა მონღოლთა მბრძანებელს ამისთვის შედგენილი. ნახჭავანი, გარნისი და კარი ამიერ-კავკასიისა და საქართველოს ხელში ჩასაგდებად პირველხარისხოვანი მნიშვნელობის ციხე-ქალაქები იყო, რომელთა დაუფლება შემსევს ზურგსაც უმაგრებდა და იქითგან თავდასხმის საშიშროებისაგანაც უზრუნველჰყოფდა, თანაც მას საშუალებას აძლევდა ამ მაღლობითგან მოკლე გზით შიგ შუაგულ საქართველოში შემოჭრილიყო. მხოლოდ ამიერ-კავკასიის ბუნებრივი ტოპოგრაფიული პირობებისა და სტრატეგიული თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ადგილების კარგს მცოდნეს შეეძლო ასეთი სამხედრო გეგმა შეედგინა. რაკი თემურ-ლენგი წინათ არასდროს ამ ქვეყნებში არ ყოფილა, შეუძლებელია მას ყველა ეს პირადად სცოდნოდა, ამიტომაც საფიქრებელია, რომ ამ ლაშქრობის გეგმის შედგენისას თემურს საქართველოს რომელიღაც კარგი მცოდნე უნდა ჰყოლოდა მრჩეველად.

კარის დაპყრობის შემდეგ, თემურ-ლენგი, იმისდა მიუხედავად, რომ უკვე ზამთარი დამდგარი იყო და ძალზე აცივდა, მთელი თავისი ლაშქრითურთ პირდაპირ საქართველოს დედაქალაქის ტფილისის ხელში ჩასაგდებად გამოემგზავრა. დასახული მიზნის მისაღწევად, მან აღბუღას სამფლობელოზე გავლა გადასწყვიტა და სწორედ ასეც მოიქცა: სპარსელი ისტორიკოსის სიტყვით, ის ამ მაღლობს თემში, უეჭველია, სამცხეში, ისეთ დროს შეიჭრა, როდესაც უკიდურესი სიცივის სიმკაცრემ თურმე ყველაფერი ყინულით მოჰფინა[228]. ჰავის ასეთი საშინელი სუსხისდა მიუხედავად, მონღოლთა მბრძანებელი ქაითუს[229] გზით ქ. ტფილისს მიადგა. საყურადღებო გარემოებაა, რომ მას, ტაშის კარისა და ქართლის გზის მაგიერ, სამხრეთითგან მიმავალი გზა უმჯობინებია.

საქართველოს დედაქალაქს, შერეფედდინ ალი-ჲეზდის სიტყვით, ხომ ისედაც მაგარი ზღუდეები ჰქონდა, მაგრამ საგანგებოდ კიდევ უფრო გამაგრებული იყო. თავიანთი დედაქალაქის ასეთი სიმტკიცით დაიმედებული ქართველები მედგარი ბრძოლისა და სასტიკი წინააღმდეგობის გასაწევად მოემაზადნენ, მაგრამ ტფილისის აღებას არც თემურ-ლენგი სთვლიდა ადვილ საქმედ და ამიტომ გადამწყვეტი ბრძოლა მხოლოდ წინასწარი კარგი მომზადების შემდეგ დაიწყო. უპირველესად იგი ტფილისის გარემოცვასა და გზების შეკვრას შეუდგა. შემდეგ საომარი იარაღისა და საბრძოლველი მანქანების გამართვას მიჰყვეს ხელი. თემურ-ლენგი თავის ლაშქარს პირადად უწევდა სარდლობას და ყველა განკარგულებაც მისგან იყო გაცემული, თავის ჯარისკაცებს მან ტფილისზე იერიშის მიტანის დროს თავის დასაფარავად დიდი ჩელტების[230]* აღება უბრძანა.

---

[227] **შერეფედდინი, I,** გვ. 400.

[228] იქვე, გვ. 401.

[229] **ქაითუ-ს** მთა იხსენიება მე-14 ს. ერთი უსახელო სომეხი ავტორის მატიანეში. იქვე განმარტებულია, რომ ეს მთა ანისის საზღვარზე მდებარეობდა; იქ აბაღა ყაანს საქართველოში შესვლისას ჯალალ თორელი და რატი პუპუნა მოუკლავს.

[230]*ჩელტი დიდი ფარია.

ლაშქრის განაწილებისა და თითოეული რაზმისათვის გარკვეული ადგილის მიჩენის შემდეგ, თემურ-ლენგმა ხმალი იშიშვლა და მთელს თავის ჩელტებ-ამოფარებულს სამხედრო ძალას ტფილისზე ძლიერი იერიში მიატანინა. მედგარი წინააღმდეგობისდა მიუხედავად, თემურ-ლენგის ლაშქარმა თავგანწირული ბრძოლის წყალობით 21 ნოემბერს 1386 წ. ტფილისი აიღო. საქართველოს დედაქალაქის დაპყრობის დროს მონღოლთა ძლევამოსილს მბრძანებელს თვით ბაგრატ მეფეცა და მისი თანამეცხედრე დედოფალი ანა და ვაჟიშვილი დავითიც ტყვედ ჩაუვარდნენ[231].

საგულისხიოა, რომ შერეფედდინი ტფილისის აღების ამბავში საქართველოს დედაქალაქის განადგურებაზე არაფერს მოგვითხრობს. ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ საქართველოს დედაქალაქს თემურისაგან დაპყრობილი თითქმის ყველა ქალაქებისათვის ჩვეულებრივი ბედი არ სწვევია. უეჭველია, შემთხვევითი არ უნდა იყოს მონღოლთა ამ მრისხანე მბრძანებლისაგან ასეთი სრულებით მოულოდნელი ლმობიერება. საფიქრებელია, რომ მისი ამგვარი თავდაჭერილობა პოლიტიკური მიზნით იყო ნაკარნახევი.

ტფილისის აღების უმალ, თემურ-ლენგს აქ დგომით დიდხანს არ დაუყოვნებია: მან თავისი ლაშქარი დასძრა და აღმოსავლეთისაკენ წარგზავნა. ამასთანავე მოპოვებული ძლევამოსილებით გახარებულმა, ეტყობა, ყარიაის ველზე და მახლობლად მდებარე საქართველოს სანახებში მან დიდი ნადირობა გამართა ჯერგით, როდესაც იმოდენა ნადირი, ირემი და არჩვები იქმნა დახოცილი, რომ, ნანადირევის სიმრავლის გამო, ყველას ვერ მოერივნენ და ამიტომაც იძულებულნი იყვნენ ბევრი ნანადირევი მფრინველებისა და მხეცების შესაჭმელად მიეტოვებინათ[232]. გაუმაძღარი სიხარბე მონღოლთა მბრძანებელეს ამ ნადირობაშიც-კი უჩანს.

თემურ-ლენგმა თავისი ლაშქრის მთავარი ნაწილი შაქში წარგზავნა და გზა-და-გზა ციხე-ქალაქების აღება და განადგურება დაავალა. როგორც შერეფედდინის სიტყვებითგან ირკვევა, შაქის მოსახლეობა მაშინ ლეგების მოდგმას ეკუთვნოდა. მათ შორის მაჰმადიანობა ჯერ გავრცელებული არ ყოფილა. ამიტომ თემურ-ლენგმა ამ სანახების, მეტადრე მისი მთიანეთის, დასაპყრობად, ასაწიოკებლადა და გასაცარცვავად მოთარეშენი წარგზავნა, რაც, რასაკვირველია, სიამოვნებით იქმნა ასრულებული.

შემდეგ თემურმა რამდენიმე რაზმი ყუბისა და შუშის სანახებში სათარეშოდაც გამოჰყო, თითონ-კი უფრო ჩრდილოეთით გაემგზავრა კავკასიონის ქედის აღმოსავლეთ-სამხრეთის ფერდობის "უსჯულო" მოსახლეობის დასამორჩილებლად. წარვლენილი რაზმებისაგან ქალაქებისა და ციხეების აღებისა და გაცარცვის შემდგომ, ყველამ, მონღოლთა ბრძანებელთან ქ. კაბალაში მოიმყარა თავი[233]. მერმე ყარაბახის სურხაბთან თემური მტკვარს გამოღმა გადმოვიდა და ქ. ბარდავს მიადგა, რომლის მოსახლეობაც თემურ-ლენგს უბრძოლველად დაემორჩილა[234].

ყარაბაღში მისვლისთანავე თემურ-ლენგმა დატყვევებულ-შეპყრობილი ბაგრატ მეფე თავისთან დაიბარა და მოსთხოვა, რომ გამაჰმადიანებულიყო. ისტორიკოსის შერეფედდინის სიტყვით, თემურის მქადაგებლობითს მჭერმეტყველებასა და საბუთიანობას ბაგრატ V ვითომც-და ისე დაერწმუნებინოს, რომ ბოლოს გამაჰმადიანებაზე თანხმობა მიუცია და გამაჰმადიანებულა. ამასთანავე მონღოლთა მბრძანებლისათვის მას ძვირფასი საჩუქრებიც მიურთმევია, მათ შორის ერთი ჯაჭვის კვართიც, რომელიც ვითომც თვით დავით ებრაელთა მეფისა და წინასწარმეტყველის სახელოსნოში ყოფილიყოს შემზადებული. თემურ-ლენგს ეს

---

[231] **შერეფედდინი, I,** 402-403 და მიხ. **პანარეტის** ქრონ. გვ. 18-19.
[232] **შერეფედდინი, I,** გვ. 403.
[233] **შერეფედდინი, I,** გვ. 404-405.
[234] იქვე, გვ. 407.

საჩუქრები ისე მოსწონებისა, რომ თავის მხრივაც უხვად დასაჩუქრებული ბაგრატ V ისევ საქართველოში დაუბრუნებია, სადაც მისი გავლენით ვითომც ხალხის უმრავლესობაც გამაჰმადიანებულიყოს[235].

თომა მეწოფელს-კი ნათქვამი აქვს, რომ ბაგრატ მეფემ მაჰმადიანობა თითონაც მოჩვენებით მიიღო და ხალხის საქართველოში გამაჰმადიანებასაც იგი განზრახ შეჰპირდა, მხოლოდ იმ მიზნით, რომ თემურ-ლენგის ხელითგან გამოსხლტომა მოეხერხებინა და თავის სამეფოში დაბრუნება შესძლებოდა[236]. რასაკვირველია, ეს სრული ჭეშმარიტებაა. ამიტომ სპარსელი ისტორიკოსის ცნობა, ვითომც საქართველოში მოსახლეობის უმრავლესობას მაჰმადიანობა მიეღოს, მლიქვნელობითს შენათხზს წარმოადგენს. ეს თვით მისივე შემდეგი მოთხრობითგანაც ჩანს, რათგან, როგორც დავრწმუნდებით, თვით მასვე მერმე აღნიშნული აქვს, რომ თემურ-ლენგს მაჰმადიანობის საქართველოში გასავრცელებლად მეორეჯერ მოუხდა გამოლაშქრება.

ისევე, როგორც თანამედროვე სპარსელ ისტორიკოსს განზრახ შეთხზული ზემომოყვანილი ტენდენციური ცნობა აქვს თავის თხზულებაში ჩართული, ასევე უცილობლად ტენდენციურივე და მთლიანად შეთხზული ამბავია თომა მეწოფელის საისტორიო ნაშრომში მოყვანილი შემდეგი ცნობა, ვითომცდა ბაგრატ V-ისგან გამოყენებული ცბიერების შესახებაც. მისს აქ გარემოებას არც კი ექნებოდა მნიშვნელობა, იგი რომ ამ უმცროსი თანამედროვის მიერ არ იყოს დაწერილი და ამის მსგავსივე ცნობა ქართულ საისტორიო მწერლობაში, სახელდობრ, ეგნატაშვილის ბერის "ახალს ქართლის ცხოვრებაშიც", არ გვხვდებოდეს და საქართველოს ისტორიაშიც დღევანდლამდე სრულ ჭეშმარიტებად არ ითვლებოდეს.

თომა მეწოფელი ამბობს: როდესაც თემურ-ლენგმა ბაგრატ მეფეს გამაჰმადიანება მოსთხოვა, სულის წმინდით აღსავსე ქართველთა მეფემ გააბრიყვა იგი და ასე უთხრა (თემურს): "მომეცი მრავალნი ლაშქარნი, რომ საქართველოში შევიდე, მთელი ქვეყანა ავიღო და თქვენ სარწმუნოებაზე მოვაქციო, - რათგან ეს ერი ხუთი ტომისაგან (სომხურად ნათქვამია "ენისაგან") შესდგება, - ყველა მათ დაგიმორჩილებ და თქვენ თანამორწმუნედ ვაქცევ"-ო. ეს (ტომები) არიან: დვალი, ოსი, იმერელი, მეგრელი, აფხაზი, სვანი, ქართველი, მესხი. მას (ე. ი. თემურ-ლენგს) გაეხარდა, (ბაგრატს) დიდი საჩუქრებით პატივი სცა და ბევრი ჯარიც მისცა იგიც აიყარა და ურიცხვი ლაშქრითურთ საქართველოში შევიდა. ხოლო ამავე ბაგრატმა თავის შვილებს, გიორგის, კოსტანტინესა და დავითს საიდუმლოდ შემოუთვალა, რომ ფარულად მშობელს საშველად მოჰგებებოდნენ, რომ მათი (ე. ი. მტრების) ხელითგან გამოსხლტომა შეეძლოს. თითონ მან-კი (ბაგრატმა) ჯაღათაელთა ლაშქარი ვიწროებსა და გაუვალ ადგილებში მიიყვანა. მეფეს შვილებმაც გასავალი გზა დაიკავეს, ხმლები იშიშვლეს და ბევრი მათგანი, როგორც ამბობენ, 12000-ზე მეტი, გაუწყვიტეს. (ამის შემდეგ) თავიანთი მამა წაიყვანეს და თავიანთ სამკვიდრებელში დაბრუნდნენ, ხოლო ბილწმა მტარვალმა თემურმა გაზაფხულზე თავისი ლაშქარი წაასხა და ფარულად ყარა-მაჰმად თურქმანის წინააღმდეგ გაემართა"-ო. დაახლოებით ასევეა არსებითად ეგნატაშვილი ბერის თხზულებაშიც.

იმისდა მიუხედავად, რომ თომა მეწოფელი ბაგრატ V-ის უმცროსი თანამედროვე იყო, მაინც მთელი ზემომოთხრობილი ამბავი თავითგან ბოლომდე შეთხზულია და არაფერი ამის მსგავსი არც შეიძლება მომხდარიყო და არც მომხდარა. თემურ-ლენგი ისეთი ცბიერი და იჭვიანი კაცი იყო, რომ მისი ასე სულელურად მოტყუება არავის შეეძლო. სრულებით დაუჯერებელია მით უმეტეს, რომ ბაგრატ V-ისათვის, ამ გუშინდელი მოწინააღმდეგისთვის, თავისი მრავალრიცხოვანი ლაშქარი მიეცა და სარდლობაც მისთვისვე ჩაებარებინა. ამის გარდა

---

[235] იქვე, გვ. 407-409.

[236] **შაჰნაზ.** გამ., გვ. 20.

თემურ-ლენგს თავის ბანაკში, როგორც მისი სამხედრო მოქმედებითგანაც ცხადად ჩანს, საქართველოს გზების კარგი მცოდნენი საკმაოდ ჰყოლია და თავის ლაშქარს რომელსამე მათგანს, რა თქმა უნდა, მაინც გააყოლებდა. ასეთ პირობებში, ცხადია, ბაგრატ V-ეს მონღოლთა მბრძანებელის ლაშქრის მისი ნებით ვიწროებსა და გაუვალ ადგილებში შემწყვდევის არც უფლებას და არც საშუალებას არავინ მისცემდა.

არაფერი ამის მსგავსის კვალიც-კი შერეფედდინის თხზულებაში არ მოიპოვება. რასაკვირველია, მარტო ეს თავისდა–თავად თომა მეწოფელის ცნობის უსაფუძვლობის დამამტკიცებელ საბუთად ვერ გამოდგება რათგან ეს სპარსელი ისტორიკოსი თემურის მაქებელ-მადიდებელია და სხვაგანაც არაერთგან ყველაფერი ისე არა აქვს აწერილ-გაშუქებული, როგორც ნამდვილად მომხდარა, ზოგი რამე სრულებით მოხსენებულიც-კი არ არის. ამიტომ შესაძლებელია გვეფიქრა, რომ აქაც შერეფედდინმა, უსიამოვნო ამბავის მოთხრობას, დადუმება არჩია. მაგრამ მაინც თომა მეწოფელის მონათხრობი რომ დაუჯერებელია, ამას თვით თემურ-ლენგის მოქმედებაც ცხად-ჰყოფს: 1387 წ. შემდეგ, როდესაც მან ბაგრატ V განათავისუფლა და ისევე საქართველოში დაბრუნების საშუალება მისცა, 1393 წლამდე მას საქართველოს წინააღმდეგ აღარ უომნია. განა დასაჯერებელია, რომ თემურ-ლენგს, რომლის მრისხანე ხასიათი და შურისმაძიებლობა კარგად არის ცნობილი, ან ბაგრატ V-ისა და მისი შვილებისათვის, ან და თვით საქართველოსთვის თავისი მრავალრიცხოვანი ლაშქრის ასე ვერაგულად გაწყვეტა ეპატიებინოს და ამის ოდნავ მაინც მაგვარი თავისი მარცხი ქართველებისათვის შეენარჩუნებინოს?[237]

თემურ-ლენგი–კი, როგორც ცნობილია, საქართველოთგან სხვაგან მიდის საომრად, შვიდი წლის განმავლობაში ყველგან ომობს, არავის ინდობს, თვით თავისიანებსაც, მონღოლებსაც-კი, ისე გამოდის, რომ ქართველებს გარდა. ცხადია, რომ მარტო ეს გარემოებაც საკმარისია იმის დასარწმუნებლად, თუ რამდენად დაუჯერებელი უნდა იყოს თომა მეწოფელის მონათხრობი. ბაგრატ V-ესა და ქართველებს რომ ამის მსგავსი რამე ჩაედინათ, თემურ-ლენგი, უეჭველია, უმალ მრისხანებით სავსე თავის ჩვეულებრივს შურისძიებას შეუდგებოდა და არასგზით საქართველოთგან ისე არ წავიდოდა, რომ სამაგიეროს გადახდა არ ეცადნა მაინც. ამიტომ თომა მეწოფელის მონათხრობი ნახევარი საუკუნის შემდეგ სახელოვანი მებრძოლის ბაგრატ V-ის მოულოდნელი, ხალხისათვის ძნელად დასაჯერებელი და თავმოყვარეობისთვისაც უსიამოვნო მარცხის შესაფერადებლად გაჩენილი თქმულებაა.

იმ დროს, როდესაც ეს ამბავი ვითომცდა უნდა იყოს, მომხდარი, თომა მეწოფელი 11 წლის ბავშვი თუ იქნებოდა, ამიტომ, თემურ-ლენგის ამბების ნახევარ საუკუნის შემდეგ აღწერის დროს, მას ზემომოთხრობილი შემთხვევა, უეჭველია, ზეპირი გარდმოცემით ექმნებოდა გაგონილი. ამ მონათხრობს ზეპირსიტყვაობის კვალი ემჩნევა კიდეც, თუნდაც იქ, სადაც ქართველებისაგან თემურის 12000 მოლაშქრის ვითომცდა გაწყვეტაზე აქვს საუბარი. იქ

---

[237] ამიტომაც **ეგნატაშვილი ბერის** "ახალ ქართლის ცხოვრება"-ში ისე არის მოთხრობილი, ვითომც, ბაგრატისაგან ზემომოთხრობილი ამბის ჩადენის შესახებ ცნობის მიღების შემდეგ, განრისხებული თემურ-ლენგი ყარაბაღშივე დარჩა, რათგან ზამთარი იყო და გაზაფხულის პირას შემოესია საქართველოს და ბაგრატ მეფე და მისი ჯარი სასტიკად დაამარცხა და ქვეყანა გაანადგურაო (§26-27), მართლაც ასე რომ მომხდარიყო, ამის მიხედვით კიდევ შესაძლებელი იყო, **თომა მეწოფელის** ცნობა სიმართლედ გვეცნა, მაგრამ არც **შერეფედდინი** და არც თვით **თომა მეწოფელი** თემურისა და ბაგრატის ასეთი ვითომც მომხდარი მეორე ბრძოლის შესახებ არაფერს არ ამბობენ. საერთოდ ასეთი საშინელი მარცხისა და დამცირების შემდეგ ბაგრატ V-ის სახელი საისტორიო თხზულებებში ჰქრება და, როგორც ჩანს, თავისივე ნაბიჯით შეძრწუნებულს ბაგრატ V-ეს პოლიტიკური მოღვაწეობისთვის თავი დაუნებებია და გადამდგარა. "ახალ ქართლის ცხოვრება"-ში მოთხრობილი თემურის მეორე შემოსევა ნამდვილად მერმინდელ ამბავს წარმოადგენს. აკად. **მ. ბროსესს** (H. d. G., I, 655, n I) სჯეროდა **თომას** ცნობა, მაგრამ ის ამ ამბავს 1393 წ. შემოსევას უკავშირებდა, რაც აგრეთვე სწორი არ არის.

ხომ თვით ავტორსვე აქვს დამატებული: ”როგორც იტყვიან”, ამბობენო. ამრიგად, ზოგჯერ თვით უმცროს თანამედროვეთა ზეპირი გარდმოცემაც-კი ისტორიკოსისათვის ასე საფრთხილოა ხოლმე!

მაშასადამე, თემურ-ლენგმა რომ ბაგრატ V საქართველოში დააბრუნა, მონღოლთა მბრძანებელმა ჩვენი ქვეყნის დამორჩილება უკვე დამთავრებულად მიიჩნია და კავკასიითგან დამშვიდებული წავიდა. მას ამავე 1387 წ. სხვა საზრუნავი გაუჩნდა, რათგან თოხთამიში კვლავ მის სამფლობელოს შეესია და იმ დროს, როდესაც ის საქართველოს აღმ. კავკასიის სამხედრო საქმეებით იყო გართული, უკვე მის სამფლობელოს შუაგულშიც-კი შეიჭრა. ამიტომ თემური იძულებული იყო, ერანის დაპყრობისათვის თავი დაენებებინა და 1387-8 წ. ზამთარში განსაცდელში ჩავარდნილი იმიერ-ოქსანიისაკენ გაეშურა. 1388 წ. ზაფხულში მან ხვარაზმი ააოხრა, რათგან გაგონილი ჰქონდა, რომ მის მეთაურებს თოხთამიშთან ურთიერთობა ჰქონდათ და ეს ღალატად ჩაუთვალა. ამის შემდეგ თემური თვით თოხთამიშის წინააღმდეგ გალაშქრებისათვის და შურის საძიებლად მზადებას შეუდგა, მაგრამ ჩრდილოეთის ულუსის ყაანმა დაასწრო და იმავე 1388 წ. ზამთარში კოკანდს შეესია. თემურ-ლენგი ყივჩაყთა ულუსის ყაანს დაუხვდა, 1389 წ. გაზაფხულზე მომხდარს ბრძოლაში დაამარცხა და თავისი საბრძანებლითგან განდევნა. ესევე და მომდევნო 1390 წ. თემურმა შორეული აღმოსავლეთის საქმეების მოგვარებას მოანდომა.

რაკი იქ ყველაფრის მოწესრიგება შესძლო, თემური 1391 წ. უკვე თოხთამიშის გასანადგურებლად დაიძრა. მართალია, გზაზე, ტაშკენტის ჩრდილოეთით, მას დასაზავებლად წარმოგზავნილი ოქროს ულუსის ელჩები დახვდნენ, მაგრამ თემურმა მათ არავითარი ყურადღება არ მიაქცია და წინსვლა განაგრძო. 18-19 ივნისს 1391 წ. კანდურჩასთან მომხდარს ბრძოლაში თოხთამიშის ლაშქარი იმარჯვებდა, მაგრამ თემურ–ლენგმა ისეთ საშუალებას მიჰმართა, რომ ძლევამოსილება მაინც საბოლოოდ მას შერჩა: თემურმა თოხთამიშ ხანის დროშა განზრახ ძირს დაეშვა, რაც ყოველთვის მბრძანებლის სიკვდილის მაუწყებელი ნიშანი იყო ხოლმე.მედროშე მოსყიდული მედროშე სწორედ ასეც მოიქცა. ამან თოხთამიშის ლაშქარი შეაცდინა: თავისი მეთაურის ვითომც–და სიკვდილით თავზარდაცემული ოქროს ულუსის მხედრობა გაიფანტა. ამ მოღალატის წყალობით ცბიერს თემურ-ლენგს ადვილად შეეძლო გაემარჯვა და მოწინააღმდეგე გაენადგურებინა. მისი ველური ურდოები გაბნეულ მტერს ხოცვა-ჟლეტითა და ქვეყნის ცარცვა-გლეჯით კვალ-და კვალ სდევდნენ.

რასაკვირველია, თემური ცდილობდა ასე ადვილად მოპოვებული გამარჯვება რაც შეიძლება უფრო მეტად თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა და სამხედრო მოქმედებაც სწრაფად გაევრცელებინა და ფართოდ გაეშალა. ამიტომ მან ყივჩაყთა, ანუ ოქროს ულუსის ხანის საბრძანებლის ყველა მიმართულებით სამხედრო ძალა წარგზავნა და მისი ჩრდილოცა და სამხრეთი ნაწილიც აზოვამდე ააოხრებინა. დატყვევებულთა სიმრავლეს ვერ ასდიოდნენ: მარტო თვით თემურ-ლენგისათვის 5000 ჭაბუკი და ლამაზი ქალიშვილი იყო ტყვედ გადარჩეული. 1391 წ. დამლევს მონღოლთა მბრძანებბელს ჩრდილოეთის ულუსიც თითქმის მთლიანად ხელში ჰქონდა ჩაგდებული[238].

1392 წ.-კი თემური ისევ ერანს მიადგა და შირაზში ომობდა, იქითგან ბაღდადისაკენ გაემართა, სადაც თავრეჟითგან გაქცეული ახმედ იბნოვეის-ი ჯელაირი იყო შეფარებული. მან თემურთან შერიგება სცადა, მაგრამ ამაოდ: მონღოლთა მბრძანებელმა მისი შემორიგება არ მოისურვა. მაშინ ის ეგვიპტეში გაიქცა და მთელი თავისი ქონებით მამელუკ ჩერქეზ სულტან

[238] K. Müller, II გვ. 293-296.

ბარკუკთან შეიხიზნა. ეხლა თემურ-ლენგს უკვე შეეძლო 1393 წ. ბაღდადიც უბრძოლველად ჩაეგდო ხელში[239].

თემურ-ლენგის პირველი 1386-7 წ. შემოსევის შემდეგ, საქართველოს რამდენიმე წლის განმავლობაში შეეძლო მშვიდობიანად ეცხოვრა და საშუალება ჰქონდა მტრისაგან განადგურებული ადგილების აღდგენასა და მიყენებული ზიანის გამოსწორებას შესდგომოდა. ქვეყანა უკვე იმდენად დაწყნარდა, რომ სანაჰინის მონასტერში იმ დროს მყოფს ერთ სომეხ გადამწერს ნათქვამი აქვს კიდეც, რომ თავისი ხელნაწერი მან დასწერა ბაგრატ მძლეველისა და ძლიერი მეფის ძის ქართველთა მეფის გიორგის მეფობაში, როდესაც საქართველოში სრული (”ღრმა”) მშვიდობიანობა დამყარდაო[240]. მაგრამ ეს მშვიდობინი წლებიც გაწამებულ ქვეყანას მხოლოდ ცოტა ხნით მოევლინა. თუ სიწყნარის დასაწყისად ბაგრატ V–ის 1387 წ. თემურ-ლენგისგან განთავისუფლების თარიღს ვიანგარიშებთ, მშვიდობიანობის ხანგრძლივობა მაშინდელ საქართველოს ექვს წელიწადზე მეტი არ ჰღირსებია, რათგან უკვე 1393 წ. საქართველო კვლავ თემურ-ლენგის ურდოების თარეშის მსხვერპლად უნდა ქცეულიყო.

2. გიორგი VII, ბაგრატ V -ის ძე და თემურ-ლენგის მეორე შემოსევა საქართველოში.

საქართველოში თემურ-ლენგის მეორე შემოსევის დროს მეფედ ბაგრატ V-კი არ იყო, არამედ სამეფო ტახტზე მის მაგიერ უკვე მისი შვილი გიორგი იჯდა. ეს ვაჰანის მონასტრის ტიბიკონის ერთი მინაწერითაც მტკიცდება უცილობლად: ”დაიწერა ქრონიკონსა: პა: (=1393 წ.) მეფობასა გიორგისა”-ო.[241].

უეჭველია, რომ, რაიმე განსაკუთრებული გარემოება უნდა ყოფილიყო რომ 1387 წ. შემდეგ დამშვიდებულს საქართველოს კვლავ მონღოლთა მბრძანებლის რისხვა დაატყდა თავს. თემურ-ლენგის განრისხებისა და საქართველოში გამოლაშქრების მიზეზის შესახებ საისტორიო წყაროებში არამცთუ თანხმობა არ სუფევს, არამედ სულ სხვადასხვა განმარტება მოგვეპოვება.

შერეფედდინ ალი-ჲეზდი, მაგ., გაიძახის, ვითომც მისი მბრძანებელის საქართველოში მეორე შემოსევის მათავარი მიზანიც მაჰმადიანობის გავრცელება ყოფილიყოს, მაგრამ შემდეგ, სამხედრო მოქმედების მიმდინარეობის აღწერის დროს, ეს გარემოება მას თითონაც თითქოთს სრულებით ავიწყდება და არსად არც გამაჰმადიანებაზე და არც მაჰმადიანთა სამლოცველოს, მიზგითის, აშენებაზე, ან გინდა მიზგითად ქცევაზე არაფერი აქვს ნათქვამი. ცხადია, რომ მეორე შემოსევის ნამდვილი მიზანი ეს არ უნდა ყოფილიყო და, თანაც თემურ-ლენგს გულში სხვათაშორის ასეთი პოლიტიკურ-სარწმუნოებრივი წადილიც ჰქონდა, ეს მისი განზრახვა და გეგმა მაინც ოცნებად ნოებრივი წადილიც ჰქონდა, ეს მისი განზრახვა და გეგმა მაინც ოცნებად დარჩენილა: ცხადი ხდება, რომ ამ მხრივ საქებური მაინც –და –მაინც ვერა გაურიგებია რა.

შერეფედდინი ზემომოყვანილს თავის განმარტებაში თემურის მეორე შემოსევის ნამდვილ მიზეზს, უეჭველია, არ ასახელებს. ეს გარემოება თვით მისივე მომდევნო მოთხრობითაც სრულებით მკაფიოდ მჟღავნდება.

---

[239] იქვე, გვ. 296-298.

[240] სომხ. ხელნაწ. საც. ხ. №1537; ამონაწერების კრებულის გვ. 39.

[241] **თ. ჟორდანია,** შიომღვიმის ისტ. საბუთები, 45, გიორგის გამეფების პირველი წელიწადი ჯერ დანამჟვილებით ვერ ირკვევა. “ახალ ქართლის ცხოვრება”-ში იგი მამის ბაგრატ V-ის, გარდაცვალების შემდეგ არის სამეფო ტახტზე ასული (§ 28), შევსებული ქართლის ცხოვრებით,-ვითომც 1395 წ., რაც ზემომოყვანილს უცილობელს ცნობას, რომლითაც გიორგი უკვე 1393 წ. მეფეა, სრულებით ეწინააღმდეგება. კინკლოსებშიც სხვადასხვა თარიღია დასახელებული.

თუ ადამიანი მონღოლთა მბრძანებლის ისტორიკოსის თხზულებას ჩაუკვირდება, შეამჩნევს, რომ თემურ-ლენგის შემოსევის ნამდვილი მიზეზი საქართველოში იმ დროს მის წინააღმდეგ მომხდარი აჯანყება უნდა ყოფილიყო. აჯანყების მთავარ ბუდედ თემურ-ლენგს მესხეთის თემი, სამცხე, მიუჩნევია. ამიტომაა, რომ 1393 წ. საქართველოში წარგზავნილს მთელ თავის ლაშქარს მან უპირველესად ახალციხისაკენ აბრუნებინა პირი. მონღოლთა მბრძანებელის ამ თემში შეჭრილი ლაშქარი რომ ქვეყანას მოედო, შერეფედდინის სიტყვით, ყველანი ვინც-კი იქ აჯანყებულები იყვნენ, გაანადგურესო[242]. უსიამოვნო ამბისა და ცნობის მიჩქმალვას მიჩვეული სპარსელი პანეგირისტი ისტორიკოსის მხოლოდ ამ სამიოდე სიტყვითგან ჩანს და ირკვევა, რომ მისი მბრძანებელის საქართველოში ამდროინდელი შემოსევის ნამდვილლი მიზეზი მაჰმადიანობის გავრცელება-კი არა, არამედ აჯანყების ჩაქრობა ყოფილა.

შერეფედდინის გაკვრით ნათქვამისა და უფრო უნებლიედ წამოცდენილი ზემომოყვანილი წინადადებითგან მაინც ვერ ირკვევა, თუ რით გამოიხატებოდა ქართველთა მაშინდელი აჯანყება მონღოლთა მრისხანე მტარვალის წინააღმდეგ. მაინც მარტო ის გარემოებაც, რომ თემურ–ლენგმა საჭიროდ სცნო ამ ლაშქრობაში პირადად მიეღო მონაწილეობა, საქართველოში მომხდარი აჯანყების სერიოზულობის გამამჟღავნებელია.

ოთხი სარდლის მეთაურობით ლაშქრის საქართველოში წარვლენის შემდეგ, თემურ-ლენგი თითონაც იქითკენ გაეშურა. მხოლოდ თავისთვის საქართველოში შემოსაჭრელად მან ალატაღის ტყიანეთის გზა ამჯობინა.

მტრის მრავალრიცხოვანს ლაშქარს საქართველოში ყველგან მედგარს წინააღმდეგობას უწევდნენ და გზის გაკაფვა მათ ბრძოლით უხდებოდათ. შემოსული მონღოლები გზა-და-გზა ყველას ხოცავდნენ შეუბრალებლივ და, რაც-კი სადმე შეხვდებოდათ, ანადგურებდნენ.

სამცხის ახალციხეში მისვლამდე, თემურ-ლენგმა, მონღოლური ჩვეულებისამებრ, თავის ლაშქრის გასართობად დიდი ნადირობა გამართა ალბათ ჯავახეთში. რაკი თემურის ისტორიკოსი, ზოგად ცნობებს გარდა მონღოლთაგან ურწმუნო ხალხის ჟლეტისა და ქვეყნის აოხრების შესახებ, არც ერთს კონკრეტულს ამბავს არ მოგვითხრობს და არც ერთს გეოგრაფიულს, ან პირთა სახელს არ იხსენიებს, ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ ამ შემთხვევაში უფრო ბრაზითა და შურისძიებით ნაკარნახევი დაწიოკება იყო, ვიდრე გარკვეულად დასახული სახელმწიფოებრივი, ან სამხედრო გეგმის განხორციელების ცდა.

სამცხითგან მონღოლთა მბრძანებელი პირადად ყარსისაკენ გაემართა და იქ ქალაქს გარეთ დაბანაკდა, სადაც საუცხოო საძოვრებით, მშვენიერი ჰაერითა და წყლით სტკბებოდა[243]. შემდეგ კოლის მთიანეთზე გადავიდა და იქ დადგა. ამ დროს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სათარეშოდ მისი გაგზავნილი რაზმებიც დაბრუნდნენ. სპარსელი ისტორიკოსის ცნობით, საქართველოში მათ ციხეებიც ბევრი აუღიათ და, რასაკვირველია, გაცარცული მოსახლეობის ოქრო და ძვირთფასი ქვებიც ბლომად ჰქონდათ თან მოტანილი. მოსულმა ლაშქარმა თემურ ლენგს შვილიშვილის შეძენაც მიულოცა და ნადავლის სახით მოტანილი განძეულობაც მრავლად მიუძღვნა[244]. დარბეულ ადგილებში მთებიც ციცაბო და ციხეებიც ძალზედ მტკიცე იყო და ამის წყალობით ქართველები კარგად იყვნენ გამაგრებულნი, მაგრამ ზეციერის დახმარებით ყაანის, მხედრობამ მაინც მათი სიმაგრეების აღება შესძლო, ხალხი გაწყვიტა და ქვეყანა გაცარცვაო, ამბობს შერეფედდინი.

რამდენიმე ხნის განმავლობაში თემურ-ლენგი თავისი ლაშქრითურთ იქ იმყოფებოდა, შემდეგ-კი მოლაშქრეთა დასასვენებლად ბარად ჩავიდა. მერმე იქითგანაც აიყარა და

---

[242] **შერეფედდინი,** გვ. 706.
[243] იქვე, გვ.708.
[244] **შერეფედდინი,** გვ. 720.

საქართველოს სატახტო ქალაქს ტფილისში მოვიდა, მაგრამ შემდეგ შაქის ველისაკენ გაემართა, სადაც რამდენსამე დღეს დარჩა[245], ხოლო მერმე მის აღმოსავლეთით მდებარე მთიანეთის მოსახლეობის დაწიოკებას შეუდგა.

3. თემურ-ლენგის მესამე შემოსევა საქართველოში

მონღოლთა ყაანის მადიდებელი ისტორიკოსის ცნობით, თემურ-ლენგი ერთი წლის შემდგომვე, 1394 წ., ვითომც იმავე სარწმუნოებრივი მიზნით, მაჰმადიანობის გავრცელების შესაძლებლობით აღფრთოვანებული, ისევ საქართველოს შემოესია. ამ შემთხვევაში მან არაგვის ხეობის მთიანეთის წინააღმდეგ გამოილაშქრა.

უეჭველია, სპარსელი ისტორიკოსის არც ზემომოყვანილს ცნობებში უნდა გვქონოდეს აღმ. საქართველოს ამ მხარეზე თავდამტყდარი თემურ-ლენგის მრისხანების ნამდვილი მიზეზი და ლაშქრობისათვის დასახული მიზანი სისწორით აღნიშნული. დაუჯერებელია, რომ მას საქართველოს ეს თემი სრულებით შემთხვევით აერჩია. ანდა, განა აზრად მოსასვლელია, რომ არაგვის ხეობამ თემური მხოლოდ იმიტომ დააინტერესა, თითქოს მას რაიმე საფუძველი ჰქონოდეს ეფიქრა, რომ მუჰამედის სარწმუნოების გავრცელებას საქართველოს დანარჩენ თემებზე უფრო ადვილად სწორედ ამ მთიანეთში მოახერხებდა. შერეფედდინს შემდეგში ერთი სიტყვაც-კი არა აქვს ნათქვამი, რომ მონღოლთა მბრძანებელს მოსახლეობისათვის ასეთი წინადადება მიეცეს და არც ლაშქრობის ამბის დასასრულს არის აღნიშნული, რომ თემურ-ლენგის ეს ვითომცდა ოცნება, არაგვის ხეობაში მისი შესევა-თარეშის შემდგომ, განხორციელებულიყოს და მაჰმადიანობას იქ სადმე მოეკიდოს ფეხი.

ამავე დროს ისეთი რამე მოხდა, რომლის გამოც უფრო შესაძლებელია, რომ თემურ-ლენგი საქართველოს მესამედ შემოსევოდა და სწორედ არაგვის ხეობაში შეჭრილიყო. შერეფედდინის ნაშრომში ამ შემოსევის აღწერილობას უშუალოდ ერთი საყურადღებო ცნობა მისდევს: თემურ-ლენგს შირვანითგან ამბავი მოუვიდა, რომ თოხთამიშ-ხანი, რომელმაც წინანდელი დამარცხების შემდეგ თავის საბრძანებელში მაინც კვლავ განმტკიცება შესძლო, დარუბანდის გზით ოთხი ნოინის მეთაურობით ყივჩაყთა ულუსის ლაშქრითურთ შირვანში შეიჭრა და ზოგიერთი ადგილები ააოხრა[246].

ცხადია, რომ თოხთამიშ-ხანს, საქართველოსა და დაღისტნის მეთაურებთან წინასაწარ შეუთანხმებლივ, ასეთი საქმის დაწყება არ შეეძლო. საფიქრებელია, რომ თემურ-ლენგმა თავისი ჯაშუშებისაგან ამ საიდუმლო მოლაპარაკების შესახებ შეიტყო და სწორედ ამიტომაც გადასწყვიტა, დაესწრო და დარიალანის გადმოსავალის, ყველაზე უმოკლესი და საშიში გზის, ხელში ჩაგდებით თოხთამიშის ლაშქრისათვის გზა შეეკრა. მაგრამ იმ დროს, როდესაც ის არაგვის ხეობაში იბრძოდა, თოხთამიშ-ხანმა თავისი სამხედრო ძალა, როგორც შემდეგში დავრწმუნდებით, მეორე, მართალია უფრო გრძელი, სამაგიეროდ უფრო ადვილი გადმოსალახავი გზით წარმოგზავნა.

რასაკვირველია, არაგვის ხეობაში თემურ-ლენგის ჯარს არაერთი ციხე და სიმაგრე ექმნება მაშინ აღებულ-დანგრეული, როგორც ეს შერეფედდინს თავის ისტორიაში მოთხრობილიც აქვს. მაგრამ, რაკი ამ სპარსელ ავტორს არცერთი კონკრეტული გეოგრაფიული და პიროვნებათა შესახები ცნობა მოყვანილი არა აქვს, საეჭვო ხდება, რომ მისი გაზეპირებული

---

[245] იქვე, 730-731.

[246] იქვე, თავი 50-ე K. Müller, II, გვ. 298.

გამონათქვამი მონღოლთა მბრძანებლის ლაშქრის არაგვის ხეობაში გამარჯვებაზე სრულ სიმართლეს წარმოადგანს: ჩვეულებრივი ცარცვა-გლეჯის და თარეშის გარდა, ამ შემოსევას, როგორც ეტყობა, არავითარი მნიშვნელოვანი შედეგი არ უნდა ჰქონოდა.

ამრიგად, თუ თოხთამიშ-ხანის ზემოაღნიშნულ შემოსევასთან ერთად გავიხსენებთ, რომ არაგვის ხეობა საქართველოს ის კარი იყო, რომლითაც უმოკლესი გზით აქეთგან ჩრდილოეთში და იქითგან სამხრეთში, საქართველოსა და შემდეგ მთელს ერანსა და მცირე აზიაში შესევა შეიძლებოდა, ბუნებრივად დაიბადება აზრი, რომ თემურ-ლენგის გამოლაშქრება არაგვის ხეობაში მაჰმადიანობის გასავრცელებლად-კი არა, არამედ სწორედ საქართველოს ამ უაღრესად მნიშვნელოვანი თემისა და გარდასავალის ხელში ჩაგდება-დაპატრონების ზრახვით უნდა ყოფილიყო ნაკარნახევი.

თემურმა დარუბანდის გზით ოქროს ულუსის შემოსული ჯარის შესახებ ცნობის მიღების თანავე, ამ მოუსვენარი მტრისა და მეტოქის წინააღმდეგ საჩქაროდ ლაშქარი გაგზავნა, მაგრამ გამოირკვა, რომ მოწინააღმდეგე მხედრობა უკვე უკან წასულიყო. მონღოლთა მბრძანებელმა მაინც გადასწყვიტა თოხთამიშ-ხანი საბოლოოდ დაემარცხებინა და ამით თავისი საბრძანებელი მისი შემოსევებისაგან სამუდამოდ უზრუნველეყო. 1395 წ. თერგის პირას თემურ-ლენგმა დასახულ მიზანს მიაღწია: თოხთამიში საშინლად დამარცხდა. ეხლა-კი მას საშუალება ჰქონდა ოქროს ურდოს თვით დედაქალაქ სარაჲ-ბერქემდისაც-კი მისულიყო, აეღო, ჯერ მთლიანად გაეცარცვა, ხოლო შემდეგ გადაეწვა კიდეც.

4. თემურ-ლენგის მეხუთე შემოსევა საქართველოში

1396 წ. ზამთარში რომ თემურ-ლენგი თავის სატახტო ქალაქს სამარყანდში დაბრუნდა, მან თავის შვილს მირანშაჰს დასავლეთზე ზრუნვა და მეთვალყურეობა ჩააბარა, პირადად მას-კი უკვე ინდოეთის დაპყრობისა და შთანთქმის წადილიც გაუჩნდა. შეკრებილი ცნობების მიხედვით, ინდოეთი პოლიტიკურად დაქუცმაცებულსა და მოქიშპე სამფლობელოებისაგან შესდგებოდა. შესევისათვის ეს ფრიად ხელსაყრელი გარემოება იყო. ამასთანავე უძველესი დროითგანვე მოყოლებული, ინდოეთი ყველგან თავისი ზღაპრული სიმდიდრითაც იყო განთქმული. ეს ხომ თემურ-ლენგისა და მისი ლაშქრისათვის სწორედ საღერღელის ამშლელი და ნერწყვის მომგვრელი ამბავი უნდა ყოფილიყო: კარგად იცოდნენ, თუ ინდოეთში გალაშქრება და მისი დაპატრონება, რა სიმდიდრის ხელში ჩაგდებასაც უქადდა მათ. ამისთვის მისი მოლაშქრენი, უეჭველია, თავს არ დაიზოგავდნენ. 1398 წ. თემურ-ლენგი მრავალრიცხოვანი ჯარითურთ დაიძრა და ინდოეთს შეესია. ამ წლის დამლევამდის მან იქ დაჰყო და ინდოეთი ხელში ჩაიგდო. 1398 წ. 19 დეკემბერს მას უკვე ქ. დელიც აღებული ჰქონდა[247].

საკმარისი იყო მსოფლიო მონარქიის შექმნით გატაცებული მონღოლთა მბრძანებელი თავის დედაქალაქსა და დასავლეთ ნაწილს ხანგრძლივ მოჰშორებოდა, რომ მისი მტარვლობის უღელქვეშ მოქცეულ მრავალრიცხოვან ქვეყნებსა და ერებს ამით ესარგებლათ და განთავისუფლებისათვის მზადებას შესდგომოდნენ. ამას ის გარემოებაც უწყობდა ხელს, რომ მალე დასავლეთის მმართველად დანიშნული თემურის შვილის მირანშაჰის სრული უმწეობაც გამომჟღავნდა.

---

[247] K. Müller, II გვ. 300-301.

სპარსელი ისტორიკოსი ამბობს: თემურ-ლენგმა რომ ადერბეჯანისა და მახლობელი თემების მართვა-გამგეობა თავის ვაჟიშვილს მირანშაჰს ჩააბარა, ცხენითგან ჩამოვარდნისა და თავზე დაცემის გამო, გაგიჟდაო. ამითა და თემურის ინდოეთში ყოფნით გათამამებულებმა ცხადად მტრობა დაიწყესო.

თემურ-ლენგის სამგზისი შემოსევისდა მიუხედავად, მონღოლთა მბრძანებლის წინაშე ქედის მოხრას არც საქართველო აპირებდა, არამედ ყოველთვის, როცა-კი ემარჯვებოდა ხოლმე, ცდილობდა აქტიური პოლიტიკის წარმოება დაეწყო და თვით შეტევაზეც-კი გადასულიყო. "ერისთავთა ძეგლის" ავტორს სწორედ ამ გარემოების გამომჟღავნებული შემდეგი ამბავი აქვს მოთხრობილი: "გიორგი მეფემ განილაშქრა ალინჯას ყოვლითა სპითა" ქართლ-კახელთა, ლიხთ-იმერელთა, "მესხითა და შირვანელითა"-ო. ცხადია, "სომხითარნი"-ც მის ჯარში იქმნებოდნენ,- "მივიდა ალინჯას და დაჴოცა ლაშქარი და გამოიყუანა ძე სულტანისა, შეყენებული ციხესა ალინჯასსა" და ამის გარდა-"აღჴოცნა მჴედარნი თემურ ყაანისა და მოვიდა გამარჯვებული" საქართველოშიო[248].

ქართველი ისტორიკოსის ცნობის სისწორე თემურ-ლენგის მადიდებელი სპარსელი ისტორიკოსის მოთხრობითაც მტკიცდება. მას ამასთანავე არაერთი საყურადღებო წვრილმანი გარემოებაც აქვს აღნუსხული, რომელიც საშუალებას გვაძლევს საქმის ვითარება უფრო მკაფიოდ გავითვალისწინოთ.

უკვე კარგა ხანი იყო, რაც სულტან ახმედ ჯელაირის შვილი ტაჰერიო, გვიამბობს შერეფედდინი, ალინჯაკის ციხეში სულტან სინჯარ ჰაჯი სეფედდინის მიერ, მისთვის მიცემული ბრძანების თანახმად, გარემოცული იყო. აღების გასაადვილებლად ამ ციხეს მრავალმხრითგან ქვითკირის კედლები მოავლეს ისე, რომ არც ციხითგან შეეძლო ვისმე გარეთ გამოსვლა და არც გარეთგან უშვებდნენ ვისმე ციხეში. ამის გამო მომწყვდეულნი შეწუხდნენ. მაგრამ ქართველებმა მის დასახმარებლად ჯარი შეჰყარეს და გადასარჩენად გაემგზავრნენ. სეიდ ალი შაქისელიც, რომელიც თუმცა მაჰმადიანი იყო, მაგრამ მაინც, მისი საგამგეოს მონღოლთაგან აოხრების გამო, შურისძიების გრძნობით იყო გამსჭვალული, აგრეთვე ქართველებს მიემხრო. ქართველები და ის ტაჰერის მისაშველებლად ერთად ალინჯაკსაც მიადგნენ და ადერბეჯანის ვილაიეტის მაჰმადიანების დარბევასაც კი მიჰყვეს ხელიო.

სულტან სინჯარმა რომ ეს ამბავი შეიტყო, თავრეჟში წავიდა და ბატონიშვილს მირან-შაჰს საქმის ვითარება მოახსენა. იმანაც თავისი შვილი აბუბექრ ბატონიშვილი და ნოინები ლაშქრითურთ ალინჯაკის ციხისაკენ გაგზავნა. მაგრამ ქართველებმა ალინჯაკის ციხის აღება და ტაჰერის განთავისუფლება მაინც შესძლეს. დაპყრობის შემდგომ, ალინჯაკის ციხე ჰაჯი სალეხს, სეიდ ახმედსა და სამს ქართველ აზნაურს, უეჭველია, მეციხოვანე ჯარის უფროსებს, ჩააბარეს.

დასახული სამხედრო და პოლიტიკური მიზნის მიღწევის გამო, ქართველები უკვე შინ დასაბრუნებლად გაემართნენ, რომ თავრეჟითგან გამოგზავნილმა მონღოლთა ლაშქარმა მოუსწროთ და ბრძოლა ატყდა. ქართველებმა ძლიერი იერიში მიიტანეს და, თუმცა სეიდ ალი შაქისელი მოიკლა, მაგრამ მონღოლთა ლაშქარი ქართველებმა მაინც სატიკად დაამარცხეს ისე, რომ აბუბექრ ბატონიშვილმა და მისმა მხედრობამ ისევ თავრეჟში შეაფარეს თავი[249].

ცხადია, რომ ალინჯისა და მახლობელი სანახების მაჰმადიან მფლობელებს დახმარების თხოვნა-ვედრებით თითონ მიუმართავთ საქართველოსათვის და მასაც წინანდებურად მფარველობა და დახმარება გაუწევია.

---

[248]ქკ˜ბი, II გვ. 15.

[249] **შერეფფედინი, II**, გვ. 200-206.

ინდოეთის ლაშქრობითგან სამარყანდში დაბრუნების შემდგომ რომ თემურ-ლენგმა მის საბრძანებელში სხვადასხვა ადგილას მომხდარი ამბები შეიტყო. სათანადო განკარგულებათა გაცემის მერმე, არდაველის გზით ჯერ ყარაბაღისაკენ წამოვიდა, მუღანსა და აღდამში ინადირა, შემდეგ მდ. არეზზე ნავებისაგან გაკეთებულ ხიდზე გადმოვიდა და არანის ყარაბაღში საზამთროდ ჩამოხტა. აქ მას სეიდ ალი შაქისელის შვილი შეიხ იბრაჰიმი ეახლა მორჩილებით თაყვანისმცემელი, და მდიდარი საჩუქრებისა და ყოველნაირი უხვი ძღვენის მომრთმევი[250]. ეს უკვე მონღოლთა მბრძანებელს ისედაც მარჯვედ არჩეულ გზაზე მოქმედებას ძალზე უადვილებდა. ამიტომ საფიქრებელია, რომ იბრაჰიმ შეიხის ეს ნაბიჯი თემურის წინამავალი აგენტების დახმარებით უნდა იყოს მოწყობილი. თემურ-ლენგმა შეიხ იბრაჰიმს შირვაშაჰობა უწყალობა და შინ გაისტუმრა[251].თითონ-კი 1399 წ. ზამთარში თავისი მძიმე ბარგი ყარაბაღში დასტოვა და ნარჩევი ლაშქრითურთ საქართველოში შემოსასევად გამოემართა. მისი ბრძანებით, ყოველი ათეულითგან სამი მხედარი უნდა გამოეყოთ და 10 დღის საგძალიც წამოეღოთ თან.

დამახასიათებელია, რომ ასეთი სრულებით ადვილად მისახვედრი მიზეზისდა მიუხედავად, თემურის მადიდებელი ისტორიკოსი თითქოს განზრახ რევს საქმეს და აცდენს თავის მკითხველებს: მისი სიტყვით თემურის საქართველოში ამ შემოსევის დროსაც ვითომც ერთადერთ წადილს სარწმუნოებრივი აღფრთოვანება, ხოლო მიზანს მარტო მაჰმადიანობის გავრცელება შეადგენდა[252].

თავისი სამხედრო მიზნის განსახორციელებლად თემურ-ლენგს ამ შემთხვევისათვის ყველაზე უმარჯვესი და უადვილესი მიმართულება ჰქონდა არჩეული, რათგან ცნობილია, რომ საქართველოს აღმოსავლეთით ისეთი ბუნებრივად გამაგრებული საზღვარი არა აქვს, როგორც ჩრდილოეთითა და სამხრეთით, სადაც მაღალი, ძნელად გადასალახავი მთები მტრისათვის გზის ადვილად შეკვრის საშუალებას აძლევდა. ვაკე გაშლილი ადგილი, კარგი საძოვრები და სურსათის დიდი სიუხვე მოწინააღმდეგის სამხედრო მოქმედებას ძალზე უწყობდა ხელს. ამ შემთხვევაში-კი მით უმეტეს იყო ეს გაადვილებული, რომ თემურ-ლენგი, უეჭველია, მოსახლეობის თვალების ასახვევად, თავის სამხედრო ამოცანად საჯაროდ "ურწმუნო" ქრისტიან ქართველების გამაჰმადიანებას აცხადებდა და ამ ფანდს აქაურ ფანატიკოსთა გულუბრყვილო წრეებში შესაძლებელი იყო მონღოლთა მბრძანებლისათვის გული მოეგო.

ყარაბაღითგან აყრილი თემური რომ მტკვარს მიადგა, აქ ნავებისაგან შეკრულ ხიდზე გაიარა თითონაცა და მთელმა მისმა ლაშქარმაც. ამ ადგილას თემურ-ლენგს საქართველოს წინანდელი ყმადნაფიცი და მოკავშირენი, შაქისა და შირვანის მმართველებიც-კი შეიხ იბრაჰიმ შირვანისა და სეიდ ახმედი შაქის ლაშქრითურთ მეშველად ეახლნენ. ეს გარემოება საქართველოს მდგომარეობას სამხედრო თვალსაზრისით ძალზე აუარესებდა და თითქმის უიმედოდაც-კი ხდიდა, რათგან ისედაც ძნელი დასაცავი მისი აღმოსავლეთის საზღვარი ეხლა უკვე მთლიანად მტრის მომხრე სამფლობელოების მეზობლად აღმოჩნდა და მათი მთელი სამხედრო ძალაც, რომელიც წინათ მის მხარეზე იყო, უამათოდაც მრავალრიცხოვან მოწინააღმდეგეს უფრო აძლიერებდა.

საქმის ასე კარგად მოგვარების შემდგომ, მრისხანე მტარვალი საქართველოს შემოესია. მის სპარსელ ისტორიკოსს თემურის ამ შემოსევის მსხვერპლად ქცეულ ქართველთა თემის სახელი აღნიშნული არა აქვს, არამედ ნათქვამია მხოლოდ, რომ ეს სანახები ხიმშიას საგამგეოს

---

[250] იქვე, გვ. 216-219.

[251] **შერეფედდინი, II**, გვ. 215.

[252] იქვე, გვ. 222.

წარმოადგენდა[253]. გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით მაინც ცხადია, რომ თემი, რომელსაც მტრის ამ შემოსევის მთელი საშინელება უნდა ეგემნა პირველად, უეჭველად ჰერეთი უნდა ყოფილიყო. ამიტომ ფ. გორგიჯანიძე სიმართლეზე ძალიან დაშორებული არ იყო, როდესაც ამ თემად კახეთს სთვლიდა[254], რომელიც, როგორც ცნობილია, ძველად სწორედ ჰერეთის მომიჯნავე სანახები იყო.

თუმცა ჰერეთის ტყით დაბურვილობა ქართველებს მტერთან ბრძოლას უადვილებდა, მაგრამ თემურ-ლენგი არც ამას შეუშინდა: მან ბრძანება გასცა, რომ ათი დღის განმავლობაში მის ლაშქარს ხეები ეჭრა და ტყეში გზა გაეკაფა.

იმისდა მიუხედავად, რომ ამ დროს ოცი დღის განმავლობაში განუწყვეტლივ თოვდა, მონღოლთა მბრძანებელს ვერც ამან შეუქმნა გადაულახავი დაბრკოლება და თავის ლაშქარს შეუნელებლივ აომებდა. ორთავე მხრით თავგანწირული ბრძოლა სწარმოებდა. მოწინააღმდეგეთა ამ თავგანწირულების მოწმე იყო მთელი იმ ბრძოლის ასპარეზი, რომელიც, 20 დღეში დადებული დიდი თოვლისდა მიუხედავად, დაჭრილ-დახოცილთა სისხლისაგან, შერეფედდინ ალი-ჲეზდის სიტყვით, ლალისა და ბროწეულის ყვავილის ფერად იყო შეღებილი[255].

ქართველთა თავგამომეტებული წინააღმდეგობისდა მიუხედავად, მტრის მრავალრიცხოვანობის გამო, ამ სანახების მმართველი იძულებული გახდა აყსუმდე, ანუ თეთრ-წყალამდე, დაეხია[256], რომელიც, როგორც ვიცით, უკვე მონღოლთა გაბატონების ხანითგან მე-13 საუკუნეში საქართველოს უკიდურეს აღმოსავლეთის საზღვრად იქცა.

ჰერეთის მმართველი ხიმშია თავისი ჯარითა და აყრიდლი მოსახლეობითურთ ამ სანაპირო ადგილის ტყეებში შეიხიზნენ. მიტოვებული ქვეყნის მთელი ავლადიდება, ხალხის დიდძალი ქონება, სხვილფეხა რქოსანი საქონელი, ცხვარი და სხვა პირუტყვი გამარჯვებულ დამპყრობელთ მრავლად ჩაუვარდათ ხელში. ამავე დროს მონღოლთა მბრძანებლის ლაშქარი, მცხოვრებთაგან მიტოვებული სოფლებისა და სახლების ავაზაკურად გაცარცვის შემდგომ, ყველაფერს სწვავდა და ანადგურებდა.

თემურ-ლენგის მრისხანება ვერც ამან დააცხრო. საქართველოს დასამორჩილებლად მან ეკონომიური ბრძოლის წარმოებას მიჰყო ხელი. შერეფედდინის სიტყვებითგან ირკვევა, რომ თემურ-ლენგმა გადასწყვიტა, რომ მისგან დასახული მიზნის მიღწევა მას იმდენად სამხედრო მიქმედებით არ შეეძლებოდა, რამდენადაც ის ამას ქართველი ხალხის თვით ქონებრივი კეთილდღეობისათვის ნიადაგის გამოცლით მოახერხებდა და ამით ამაყ ქედს უნებლიედ მოახრევინებდა. სპარსელი ისტორიკოსის ნააზობითგან ჩანს, რომ თემურ-ლენგს ქართველთა ჭამა-სმის წესისათვისაც-კი მიუქცევია ყურადღება: ამ ქვეყნის კაცი თუ ქალი, თვით ბავშვებიც-კი უღვინოდ და უხილ-მწვანილოთ პურს არ სჭამენ და ცხოვრების სიამოვნებას ვერ გრძნობენო. ქართველებისათვის რომ კვების საშუალებაცა და ეს სიამოვნებაც მოესპო, მონღოლთა მბრძანებელმა შემაძრწუნებელ-გამანადგურებელ საშუალებას მიჰმართა და თავის ლაშქარს უბრძანა, რომ ყველგან ბაღ-ბოსტნები გაეკაფათ და გაენადგურებინათ. ეს ველური ბრძანება, რასაკვირველია, დაუყოვნებლივ ასრულებულ იქმნა.

ამის შემდეგ ჯერი მკვიდრ ხუროთმოძღვრულ ნაგებობათა განადგურებაზეც მიდგა: მისივე ბრძანებით ეკლესიებისა და სამლოცველოების, უეჭველია, სასახლეების დანგრევასაც მიჰყვეს ხელი, შერეფედდინი კვეხულობს კიდეც, რომ, როგორც ინდოეთის ლაშქრობაში ყველა

---

[253] იქვე, გვ. 223.

[254] **ფ. გორგიჯანიძეს** მხოლოდ ეს შემოსევა შეცდომით თემურის პირველ შემოსევად ჰქონდა მიჩნეული, გვ. 93.

[255] **შერეფედდინი, I,** გვ. 223-224.

[256] იქვე, გვ. 224.

იქაური სამლოცველოები დაანგრევიანო, ისევე აქაც, საქართველოში, სუყველაფერი გაანადგურა და მიწასთან გაასწორაო.

ბრძოლა მაინც მთელი თვის განმავლობაში გრძელდებოდა. შერეფედდინის სიტყვით, ამ ხნის განმავლობაში თემურ-ლენგის ლაშქარმა იქ აზნაურებიცა და ხალხიც ბევრი დახოცა[257], რაც ადვილი დასაჯერებელიც არის, მაგრამ, იმისდა მიუხედავად, რომ სპარსელი ისტორიკოსი იკვეხის, ამ ქვეყანაში ალექსანდრე მაკედონელმაც-კი სირცხვილი ჭამა, მისმა მბრძანებელმა-კი ძლევამოსილება მოიპოვა, მაინც საქმის ნამდვილი ვითარება მას მთლად სწორად არ უნდა ჰქონდეს წარმოდგენილი. თითონ მასვე აქვს აღნიშნული, რომ, რაკი დიდი ყინვა იყო და დიდი თოვლისაგან გზებიც შეიკრა, თემურ-ლენგის ლაშქარს ძალზე გაუჭირდა, ცხენებსაც, ხის ქერქის გარდა, საკვები არ ჰქონდათ, ამის გამო მის მხედრობას ბევრი საქონელიც დაეხოცა და რომ ყველა ამან თემურ-ლენგი აიძულა საქართველოთგან უკან დაეხია. ამრიგად, ყაანმა მთელი თავისი ლაშქრითურთ მტკვარი ისევ გადალახა და ყარაბაღში დაბრუნდა[258].

მაშასადამე, თემურ-ლენგის მიზანი არსებითად მიუღწეველი დარჩა: მან ვერც ქვეყნის დამორჩილება შესძლო, ვერც საქართველოს სამეფოს პოლიტიკის მესაჭე, ან გინდა დიდი სამხედრო ხელისუფალი ჩაიგლო ხელში, რომ მისთვის სასურველი ზავის პირობები ეკარნახა და დაედებინა. ჰერეთის მმართველი ხიმშიაც–კი გაუსხლტა ხელითგან.

მართალია, თემურ-ლენგმა საქართველოს აღმოსავლეთის ამ სანაპირო თემს ანაზღაურებული ზიანი და გამანადგურებელი ეკონომიური ვნება მიაყენა, ქონებრივადაც მთლად გაცარცული დასტოვა, მაგრამ თითონაც, რომ ძალზე დაზარალებულიცა და შებერტყილი ბრძანდებოდა, ეს ზემოყვანილი ცნობითგანაც ჩანს და მიზანმიუღწევლივ მის უკან დახევითაც ხომ უცილობლად მტკიცდება. ამასვე ის გარემოებაც ადასტურებს, რომ ალინჯაკის ქართველთაგან ციხის აღებასა და ბრძოლასთან დაკავშირებული საქმის გამოსაძიებლად და დამნაშავეთა დასასჯელად სასამართლოსთვის გადაცემის აზრი თემურ-ლენგს მხოლოდ ასეთ მდგომარეობაში ყარაბაღში დაბრუნებულს მოუვიდა ფიქრად[259]. ცხადია, რომ მტარვალისათვის ყველა ეს სწორედ განზრახული საქმისა და გეგმის ჩაშლის ბოღმას გაუხსენებდა და ჯავრის ამოყრის სურვილი კვლავ ამასვე აღუძრავს.

5. მონღოლთა მბრძანებელის მეხუთე შემოსევა საქართველოში

ზემოაღნიშნული დასახული მიზნის მიუღწევლობის გამო თემურ-ლენგმა მომდევნო 1 400 წ.-ვე თავისი ლაშქარი ისევ აამხედრა და ყარაბაღითგან საქარველოს სამეფოს შიგ შუაგულში, გიორგი მეფის წინააღმდეგ წარგზავნა. ათ დღეში მისი მოლაშქრენი ყარაბაღითგან ბარდავში მივიდნენ და მერმე საქართველოს საზღვარსაც მიაღწევს. იქითგან თემურ-ლენგმა გიორგი მეფეს თავისი ელჩის პირით საქართველოში შეხიზნული სულტან ახმედ ჯალაირის შვილის ტაჰერის გაცემა მოსთხოვა. გიორგი მეფემ თემურ-ლენგს მისი ელჩის პირითვე ამაზე მკვახე პასუხი და ცივი უარი შეუთვალა.

მოციქულისაგან მოტანილმა პასუხმა და ამბავმა მონღოლთა მბრძანებელი, რა თქმა უნდა, საშინლად განარისხა. თემურმა უმალ ბრძანება გასცა, რომ მისი ლაშქარი საქართველოს შეჰსეოდა და ქვეყნის აოხრება დაეწყო[260].

---

[257] **შერეფედდინი,** გვ. 224-226.
[258]იქვე, გვ. 226-227.
[259] იქვე, გვ. 228-229.
[260] იქვე, გვ. 236- 238.

რაკი საქართველოში თავის წინანდელ ლაშქრობათა დროს საკმაოდ მოპოვებული გამოცდილებით მან უკვე იცოდა, რომ სამხედრო ღონისძიებით ამ ქვეყნისა და ხალხის დამორჩილება ვერ ხერხდებოდა, ამიტომ აქაც ბრძოლის იმავე დაუდობელ საშუალებას მიჰმართა, რომელიც მან პირველად ჰერეთში ყოფნისას უკიდურეს საშუალებად გამოიყენა: თავის წარგზავნილ ლაშქარს მან განკარგულება მისცა და დაავალა, რომ საქართველოში მარტო ხალხი-კი არ დაეხოცათ, არამედ მათი სახლები, ნათესები, მოსავალი და ხეხილიც გაენადგურებინათ. ეს ბრძანება, რასაკვირველია, მთლიანად შესრულებულ იქმნა[261]. ამრიგად, თემურ-ლენგმა სამხედრო მოქმედებასთან ერთად, ქართლშიც ეკონომიური და კულტურული განადგურების საშუალებით წარმოებული ბრძოლა დაიწყო და დაუნდობელი, ქართველი ხალხის გაწყვეტისა და სრული განადგურების დამსახველი, ომი გააჩაღა.

რაკი ქართველებს მტრისათვის ბარად წინააღმდეგობის გაწევა გაუჭირდათ, მთებში, მაღლობს გამოქვაბულებსა და სახიზნარებში ავიდნენ და იქითგან განაგრძობდნენ სისხლისმსმელი მოწინააღმდეგის ძლიერი იერიშების მოგერიებას. მაგრამ თემურ-ლენგი ვერც ამ დაბრკოლებამ შეაფიქრიანა: თავისი მოლაშქრეები ზანდუკებში ჩასხა და იმ გამოქვაბულების გასწრივ საბლით ჩამოაშვებინა, საითგანაც შეხიზნული ქართველი ჯარისკაცნი მონღოლთა მბრძანებლის ლაშქარს ისრის სროლით სიცოცხლეს უმწარებდნენ. გამოქვაბულებსა და სახიზნარებთან ამრიგად დაპირისპირების შემდეგ, მტერმა შიგ თავშეფარებულ ქართველებს შვილდისრით სროლა აუტეხა, ხოლო შემდეგ, სადაც-კი მოახერხა, შიგ გამოქვაბულებში შეიჭრა. აქ უკვე ხმლითა და ხელშუბით წარმოებული სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაჩაღდა. სადაც ასეთი საბედისწერო პირობებშიცა და ამ საშუალებითაც მტრის ლაშქარმა ქართველ მეომართა წინააღმდეგობის დაძლევა ვერ შესძლო, იქ თემურ-ლენგმა ზანდუკებით ჩაშვებულებს უკვე ნაძენძ-შემოხვეული, ნავთში ამოვლებული და ცეცხლმოკიდებული ისრის შეტყორცნა დააწყებინა, რომ გამოქვაბულებში თავგანწირულად მებრძოლი ქართველებისათვის ან ცეცხლი მოეკიდებინათ, ანდა შიგ კვამლით ჩაეხრჩოთ.

ყველა ამგვარი საშუალებით მონღოლთა მბრძანებელმა დიდძალი ხალხიც დაახოცინა და, როგორც მისი ისტორიკოსი იკვეხის, ვითომც 15 საუკეთესო ციხეც-კი ააღებინა.მაგრამ შერეფედდინს აქაც არცერთი ამ ციხეთაგანის სახელი აღნიშნული არა აქვს, რაც უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ მისი უკანასკნელი ცნობა, ვითომც ციხეები სწორედ საუკეთესოები იყო, გადაჭარბებული უნდა იყოს. თემურ-ლენგის ბრძანებით ქართლის ამ შუა ნაწილში ასეთი შურისძიების დროს ხელში ჩაგდებულთაგან მხოლოდ იმას ინდობდნენ ვინც გამაჰმადიანებას იკისრებდა, დანარჩენთ ყველას უწყალოდ ხოცავდნენ.

მაინც, აქ წარმოებულმა სამხედრო მოქმედებამაც მონღოლთა მბრძანებელს საშუალება არ მისცა გადამწყვეტი გამარჯვება მოეპოვა საქართველოში, ამიტომ აქეთგან დაიძრა და თავისი ლაშქარი მუხრანისაკენ დასძრა იმ იმედით, რომ გიორგი მეფეს როგორმე იქ მაინც ჩაიგდებდა ხელში, ხოლო თავისი ზურგის უზრუნველსაყოფად ხვარასნელთა ლაშქრისაგან გამოყოფილი მრავალრიცხოვანი საუკეთესო ნაწილი თემურმა ტფილისში წარგზავნა ქალაქის დასაცავად. უკვე ეს გარემოება ამჟღავნებს, თუ რამდენად გართულებული ჰქონდა თემურ-ლენგს მდგომარეობა საქართველოში. მუხრანში მონღოლთა დიდძალი ლაშქრის მისვლის შემდგომ, გიორგი მეფე დასავლეთს საქართველოში გადავიდა[262]. ამნაირად, თემურ-ლენგს მისი ხელში ჩაგდების მოლოდინი აქაც გაუცრუვდა. შერეფედდინის სიტყვით, ქართლის უდიდესი

---

[261] იქვე, გვ. 239.

[262] **შერეფედდინი,** გვ. 240-241.

აზნაურები მაინც იძულებული იყვნენ ყაანს მორჩილებით წარსდგომოდნენ. ამ ხელში ჩაგდებულს თემშიც თემურ-ლენგმა, თავის წესისამებრ, ყველა ეკლესიები დაანგრევინა[263].

ალინჯის ქართველთაგან აღებისა და ამის შედეგად თემურ-ლენგის საშინელი შემოსევის მოკლე, დათარიღებული ცნობა დაცული გვაქვს ლარგვისის 1365 წ. გადაწერილი ეტრატის პარაკლიტონის 1400 წ. მინაწერში, რომელიც თვით ამ ძეგლის დამწერს ავგაროზ ბანდაიძის შვილს გრიგოლს ეკუთვნის. ბროსეს, შემდეგ შესწორებითურთ თ. ჟორდანიასაც ჰქონდათ ეს მინაწერი გამოქვეყნებული. აი რას მოგვითხრობს ავგაროზი: "მეფობასა შინა მეფეთ-მეფისა გიორგი ბაგრატის ძისასა და ერისთაობასა შინა ერისთავისა ქვენიფნეველისა ვირშელისა, ოდეს იგი დიდთა ომთაგან გამარჯვებული ალინჯით [მოვიდა,] მოქცევასა: იდ: (14) ქორონიკონსა: ՊՁ: (88) მაისსა: Ѣ¨ (7) მოვიდა თემურბეგ სულტანი სამარყანელი და მოიტანნა ყაანნი სინჩისა, ჩინეთისა, ქომავეთისა, ხუარაზმისაჲ, ნაროეტისა, საყალბისაჲ, ჩაღანისაჲ,ა სინდეთისაჲ, აღაბისაჲ, ხატაეთისაჲ, ერაყისაჲ, თურქეთისაჲ და სიმრავლისა მათისაჲ არა იყო რიცხვი და მოვლეს ყოველი ქუეყანაჲ და წარტყუენეს და დააქცივნეს საყდარნი, მონასტერნი და ეკლესიანი და აღიხუნეს ყოველნი ციხენი დამოსრეს, ტყუე-ქმნეს და მოაოჴრეს ყოველი ქუეყანაჲ დასავლეთამდის"-ო[264].

თემურ-ლენგის მთავარ მიზანს გიორგი მეფის ხელში ჩაგდება შეადგენდა. მას, უეჭველია, იმედი ექნებოდა, რომ, ან მამასავით მასაც ქედს მოახრევინებდა, ან და დაუნდობლად შურს იძიებდა და საქართველოს საბოლოოდ დაიმორჩილებდა. მაგრამ მოლოდინი არ გაუმართლდა და გიორგი მეფე მტარვალს ეხლაც ხელითგან გაუსხლტა.

თემურ-ლენგს რომ საქართველოს მეფე ხელითგან წაუვიდა და ვერც არაგვის ხეობაში შესძლო მან მთლიანად გზის კაფვა, იძულებული იყო უკან დაეხია: მუხრანის ველზე ბრძოლის გადატანისა და იქაურობის აოხრების შემდეგაც მონღოლთა მბრძანებელი საქმეთა მიმდინარეობით კმაყოფილი არ იყო. ამიტომ ომის შეუნელებლივ გაგრძელება გადასწყვიტა და, შერეფედდინის სიტყვით, მუხრანის ველითგან აყრილი თავის ლაშქარითურთ ჯანიბეგ ქართველის ხეობაში შეიჭრა[265]. სპარსელ ისტორიკოსს ჯანიბეგ ქართველის ვინაობაზე ამაზე მეტი არაფერი ნათქვამი არა აქვს. ეტყობა მხოლოდ, რომ ის ამ ხეობის საქვეყნოდ გამრიგე მოხლე, ერისთავი, უნდა ყოფილიყო. ეგნატაშვილი ბერი, რომლის ამ ხანის ამბების მოთხრობა უმთავრესად სპარსულსა და სომხურ საისტორიო წყაროებზეა დამყარებული, ჯანიბეგს ქართლის მთავრად მიჩნევს (§ 34,), მაგრამ თემურ-ლენგის ისტორიკოსის სიტყვებითგან ნათლად ჩანს, რომ მას ასეთი დიდი თანამდებობა არა ჰქონია და მისი საგამგეო არამცთუ მთელ ქართლს არ შეიცავდა, არამედ ის მხოლოდ ერთი ხეობის უფროსი ყოფილა. ფარსადან გორგიჯანიძე-კი ამ მოხელეს რატომღაც "ჯანოს" და მისი სახელისუფლოს "ჯანოს მამულს" უწოდებს. არც ერთი ამათგანის არც ვინაობა და არც ადგილმდებარეობა განმარტებული არა აქვს. ვახუშტმა იგივე პიროვნება რატომღაც ჯანდიერად აქცია.

თემურ-ლენგის კარის ისტორიკოსის სიტყვებითგან ჩანს, რომ ჯანიბეგის საგამგეო მუხრანის ველის მეზობლად მდებარე და მოსაზღვრე ხეობა უნდა ყოფილიყო. რაკი თემურს საქართველოში ამ შემოსევის დროს სამარი მოქმედება აღმოსავლეთითგან დაწყებული თანდათან დასევლეთისაკენ გადაჰქონდა, მაგრამ ჯერ კიდევ ქართლის ველამდე მისული არ იყო, ამასთანავე ბრძოლის ასპარეზადაც ამ შემთხვევაში უმთავრესად მტკვრის ჩრდილოეთით მდებარე ქართლის ნაწილი ჰქონდა, არჩეული, ამიტომაც უეჭველია, რომ ჯანიბეგის საგამგეოდ

---

[263] იქვე, გვ. 241.
[264] ქკ˜ბი, II, გვ. 204.
[265] **შერეფედდინი,** II, გვ. 242.

უნდა ქსნის დასავლეთით მდებარე ხეობა იგულისხმებოდეს და საფიქრებელია, რომ ეს ჯანიბეგი ზევდგენიძე უნდა ყოფილიყო.

თემურ-ლენგისაგან წარვლენილმა რაზმებმა იქაც მათთვის ჩვეულებრივი თარეში დაიწყეს და დიდძალი ქონება და ვითომც უთვალავი სიმდიდრეც-კი ჩაუგდიათ ხელში. მონღოლთა აოხრებით ილაჯგაწყვეტილი და უღონოქმნილი ჯანიბეგ ქართველი თემურს მორჩილების გამოსაცხადებლად ეახლა და ციხეები, სახიზნარ-გამოქვაბულებიც გადასცაო, ამბობს შერეფედდინი[266]. მაგრამ მისი ამ ცნობის სისწორე სათუო ხდება ამის შემდეგაც მონღოლთა მბრძანებლისაგან გაცემული განკარგულებისა და მთელი მოქმედების გამო.

შერეფედდინი მოგვითხრობს, რომ ჯანიბეგ ქართველი თემურს დაემორჩილა თუ არა, მონღოლთა მბრძანებლის ლაშქარმა მის საგამგეოს მოსახლეობის გაცარცვასა და გაწყვეტას, სახლ-ნაგებობათა ცეცხლით გადაწვასა და აოხრებას მოჰყო ხელიო. ჯანიბეგ ქართველი რომ მართლაც ისე მოქცეულიყო, როგორც კარის ისტორიკოსს აქვს მოთხრობილი, ძნელი დასაჯერებელია, რომ თემურ-ლენგს განადგურება განეგრძო. ასე ის თუნდაც იმიტომ არ მოიქცეოდა, რომ დანარჩენი ქართველებისათვის ეჩვენებინა, თუ რამდენად უფრო უმჯობესი იქნებოდა მათთვის ნებაყოფლობით დამორჩილება, ვიდრე ომისა და წინააღმდეგობის გაგრძელება. თემურ-ლენგი მარტო ნიჭიერი სარდალი არ იყო, არამედ ცბიერი პოლიტიკოსიც და ჩვეულებრივ სხვა ამისთანა შემთხვევაში ის ასე არც მოქცეულა. ამიტომაც საფიქრებელია, რომ ჯანიბეგი მონღოლთა მბრძანებელს ან სრულებით არ დაჰმორჩილებია, ან და ეგების პირადად მორჩილება განუცხადა, მაგრამ მოსახლეობას მისი მაგალითისათვის არ მიუბაძნია.

ამის შემდეგ თავისი მარბიელი ლაშქარი აქეთგან თემურმა უფრო დასავლეთითაც გაუსია და ჯარს იქ უფრო მეტი სიმკაცრით ბრძოლის წარმოებაც უბრძანა, ისე რომ, ხალხის ჟლეტას, სხვილფეხა და წვრილფეხა საქონლის, ცხენებისა და ცხვრის წასხმასა და ციხე-ნაგებობათა განადგურებას გარდა, ამ სანახებშიც ბრძოლის ეკონომიურს საშუალებას, მოსავლის მოსპობასაც, მიჰყვეს ხელი[267].

თემურ-ლენგის ამ გამანადგურებელი შემოსევის შესახებ პატარა იმდროინდელი თარიღიანი ცნობა ჯერ კიდევ ამ საუკუნის დამდეგს თეძმის ხეობაში მდებარე რკონის მონასტრის პატარა ეკლესიის შესავალი კარების მარჯვენა ქვაზე ამოჭრილ წარწერაშიც იყო დაცული, რომელშიც ნათქვამია: ”ქ. აქა მოვიდა ლ [ა] ნგდემორდა და [ა] ქცივნ [ა] ეკლეს [ი] ან [ი] და რკონიცა და [ა] ქცია, ქ [ორონი] კ [ო] ნი იყო ᲠᲬ”(88). ამრიგად, ამ დიდი შემოსევის თარიღი 1400 წ. იმდროინდელი ყველა ცნობებით უცილობლად მტკიცდება. ამ წარწერაში ის გარემოებაა საყურადღებო, რომ თემურ-ლენგის მოთარეშე ლაშქრის გამანადგურებელი სამხედრო საქმიანობის მიმართულება და სივრცეც ირკვევა. ეტყობა, რომ, ქართლის მტკვრის ჩრდილოეთით მდებარე ნაწილში ნავარდის შემდეგ, მას თავისი მარბიელი ლაშქრისათვის საომარი მოქმედების მტკვარ-გამოღმა გადმოტანაც უბრძანებია და მისი მოლაშქრენიც ამ განკარგულების თანახმად, ყველა ისეთ ადგილებში, სადაც, რკონივით შემლებულს მონასტერში, სახარბიელო სიმდიდრის ხელში ჩაგდება მოსალოდნელი იყო, შეჭრილან და თავიანთი მსახვრელი ხელი დაუდვიათ კიდეც.

მაინც უნდა ითქვას, რომ სწორედ რკონის მონასტრის ნაგებობათა მდგომარეობა ცხად-ჰყოფს, რომ არც შერეფედდინისა და არც თვით ქართული და სომხური იმდროინდელი ცნობები შენობა-ციხეების ძირამდე დანგრევის შესახებ იმდროინდელს ნამდვილ ვითარებას მთლად არ შეეფერება: არამცთუ საძირკვლამდისა და მიწასთან გასწორებით, არამედ ნაგებობათა საფუძვლიანად დანგრევაც არ ჩანს. უნდა ითქვას, რომ თითონ მრისხანე მტარვალს

---

[266] იქვე.

[267] **შერეფედდინი,** გვ. 243-244.

ასეც რომ სდომებოდა და მისი მარბიელი ურდოებიც ამგვარი განკარგულების ასრულების ძალიან მოწადინებულნიც რომ ყოფილიყვნენ, ასეთი მიზნის განხორციელება მაინც არ შეეძლოთ: იმდროინდელს საქართველოში ქვითკირის მკვიდრი შენობები იყო გავრცელებული და ასეთ ნაგებობათა საფუძვლიანად დანგრევას მოკლე ხანში მტრის დაუნდობელი ლაშქარიც, რასაკვირველია, ვერც მოასწრებდა და ვერც მოახერხებდა. ამიტომ თემურ-ლენგიცა და მისი თავზეხელაღებული თანამებრძოლნიც უნდა უნებლიედ შენობათა გაოხრება-გავერანებით, უმთავრესად-კი გაცარცვით დაკმაყოფილებულიყვნენ და, როგორც ჩანს, სწორედ ასეც მოქცეულან.

თემურ-ლენგმა თავისი ლაშქარი შემდეგ უკვე ქართლის ველს, შიდა ქართლსაც, შეუსია. იმავე დროს თავის ჯარის ერთი ნაწილი სხვადასხვა მიმართულებითაც დაგზავნა გიორგი მეფის ხელში ჩასაგდებად. ამ მდევარ რაზმებს ჯერ მისი სადმყოფობის გამოსარკვევად დაზვერვა და გამორკვევა ჰქონდა დავალებული, ხოლო შემდეგ შეპყრობაც. მონღოლთა მბრძანებლისაგან წარგზავნილი მოლაშქრენი საქართველოს მეფის კვალს ყველგან დაეძებდნენ. მათ გადაიარეს ხეობები და ტყეები, მაგრამ მისი მიგნება მაინც ვერსად შესძლეს. ამ ძიების დროს გიორგი მეფის მხლებლები და ხელისუფლებიც-კი ჩაიგდეს ხელში, მაგრამ ვერც იმათი გამოტეხა მოახერხეს და მეფის სადმყოფობის ამბავი მათგანაც ვერ გაიგეს. ამით გაბრაზებულმა მდევარმა ლაშქარმა სხვა რომ ვერაფერი გაარიგა-რა, სადაც-კი შეეძლო, ყველაფერი გაანადგურა და გაცარცვა, მტკვარ-გაღმაც-კი გავიდა, მაგრამ იძულებული იყო თავის მრისხანე მბრძანებელს ისევ ხელცარიელი წარსდგომოდა[268]. ამრიგად დავალებული მიზანი აუსრულებელი და მიუღწეველი დარჩა.

ამ დროს აცნობეს, რომ ერთს მაღალ მთის მწვერვალზე აგებულს მიუვალს ციხეში ქართველ აზნაურთა დიდი ჯგუფი იყო შეფარებული. ამის გაგებისთანავე, თემურმა თავისი საუკეთესო მოლაშქრენი ამ ციხის ასაღებად გაგზავნა და თითონაც იქითკენვე გაეშურა. დიდი ცდის, თავგანწირულებისა და ჭახრაკ-მანქანების გამოყენების შემდეგ, ეს მიუვლად მიჩნეული ციხე აიღეს და ყველა იქ შეხიზნულები გაწყვიტეს.

ამის შემდეგ თემურის მარბიელმა რაზმებმა სხვადასხვა ადგილას მოსახლეობის ხოცვა-ჟლეტას მიჰყვეს ხელი და იმოდენა ხალხი გამოასალმეს წუთისოფელსო, რომ, შერეფედდინის კვეხნით, მათი სისხლისაგან მიწა ლალის ფერი გახდა.

ბოლოს მონღოლთა მბრძანებელს აცნობეს, სადაც გიორგი მეფე იმყოფებოდა. თემურმა მაშინვე ბრძანება გასცა, რომ ყველა გზები შეეკრათ, და უმალ თავისი მრავალრიცხოვანი ჯარის ნახევარი მეფის შესაპყრობად გაგზავნა. მაგრამ მოლოდინი არც ამ შემთხვევაში გაუმართლდა: გიორგი მეფე იმის ლაშქარს ისე გაუსხლტა ხელითგან, რომ მისს გზასა და კვალს ვერაფრით მიაგნეს: ეხლა-კი გიორგი მართლაც დას. საქართველოში გადავიდა[269]. ამ გარემოებას "ერისთავთა ძეგლის" ავტორიც ადასტურებს. მას აღნიშნული აქვს, რომ, როდესაც "მოვიდა თემურ სამარყანელი ყოვლითა სპითა" და საქართველოს აოხრებას შეუდგა "დიდთა რისხვითა და გულისწყრომითა... გიორგი მეფე წარვიდა ლიხთიმერით"-ო[270].

თუმცა შერეფედდინის მოთხრობაში ისეა ნათქვამი, გიორგი მეფის დას. საქართველოში გადასვლის შემდგომ, ქართლში მტრის წინააღმდეგ ბრძოლა ვითომც შეწყვეტილიყოს, მაგრამ "ერისთავთა ძეგლის" ავტორის ცნობითგან ირკვევა, რომ ნამდვილად საქმე ასე არ ყოფილა. ის პირიქით ამბობს: "მაშინ ერისთავი ვირშელი უკუდგა ციხესა ბეხშვისასა დედაწულითა და

---

[268] იქვე, გვ. 244-245.
[269] იქვე, გვ. 245-247.
[270] ქკ˜ბი, II, გვ. 15.

ჯოგითა, და თანა ჰყუა კათალიკოზი ელიოზ ყოვლითა საყდრის შვილითურთ: და ხიზნითა დიდითა და ჯოგითა და ცხვრითა”-ო[271].

რა თქმა უნდა, თემურ-ლენგის ლაშქრის ბრძოლა სრულებით ისე დაუბრკოლებლივ და ყველგანაც ისე ძლევამოსილებით არ მიმდინარეობდა, როგორც მისი მადიდებელი ისტორიკოსის მოთხრობითგან გვეხატება. ეს-კი მართალია, რომ უთანასწორო ბრძოლით შეძრწუნებულ-შეშინებულთ და მარჯვე შემთხვევის გამოყენების შესაძლებლობით გახარებულმა პირადი შურისმაძიებლებმაც წამოჰყვეს თავი და თავიანთი უკუღმართი საქმიანობით საქმეს ართულებდნენ. ეხლა საქართველოში უკვე ისეთი, მოღალატენიც-კი აღმოჩნდნენ, რომელნიც მათი სამშობლოს გასანადგურებლად მომავალ მტერს წინ მიუძღოდნენ და გზებს უჩვენებდნენ კიდეც. ერთი ასეთი შემთხვევა ”ერისთავთა ძეგლის” მემატიანეს აქვს აღწერილი. ის ამბობს: ”მოვიდა თემურ და მოუძღვნა წინა ბურდისშვილი ვირშელი” და სწორედ მისით განბრძნობილმა მონღოლთა მბრძანებელმა ”შემუსრნა ყოველნი ციხენი და დააქცივნა ყოველნი საყდარნი, მინდორნი მთანი და ტყენი, კლდენი და ჴევნი და ვითარცა ზღვამან, დაფარა ყოველი ესე ქუეყანა”-ო[272]. მაგრამ მრისხანე მტრის წინააღმდეგ ბრძოლა ამისდა მიუხედავად მაინც არ შეწყვეტილა და ქართველი ხალხის წინააღმდეგობა არ დაშრეტილა. ასეთ გართულებულ მდგომარეობაში ქართველებს მხოლოდ ბრძოლის წესი უნდა შეეცვალათ, რათგან მრავალრიცხოვანი მტრისაგან დაბლობი, გაშლილი ადგილებითგან გაცლა, მთაში შეხიზვნა და გამაგრება, თანაც იქაური ბუნებრივი პირობების მარჯვედ გამოყენებითა და ვიწროებში მისი შეტყუებით განადგურება-ღა იყო შესაძლებელი ბრძოლის ერთ-ერთ მიზანშეწონილ გეგმად ყოფილიყო მიჩნეული. სწორედ ასე მოქმედებდა მაგ. ქსნის ერისთავი: ”მაშინ ვირშელმან უკუაყენა (ე. ი. გადაიყვანა) ხიზანი დედაწულნი ქნოღოს და თვით დადგა ბეხშვეს გარეშე ციხისა”, ხოლო, როცა ”მოვიდა მარბიელი ლაშქარი”თემურ-ლენგისა, ერისთავმა უმალ ”მიაგებინა წინა შვილდოსანნი”, რომელთაც”იწყეს სროლად და ”გამოისხნეს” (ე. ი. განდევნეს) მარბიელნი. მაგრამ მტრებმაც კვლავ ”მოირთვეს (ე. ი. მოიშველიეს) ძალი და კვალად შემოვიდეს უუმრავლესნი და მოვიდეს ციხესა” ასაღებად. თავიანთ მხრით მათ წინააღმდეგაც ”ჩამოეგებნეს აზნაურშვილები და იწყეს სროლად ისართა და დაუხოცეს ცხენები და და დაკოდეს მრავალი ისრითა და კვალად გამოისხნეს (ე. ი. გაასხნეს, უკუაქციეს) ომითა”-ო[273].

ასეთი ორგზისი უკუქცევისდა მიუხედავად, თემურ-ლენგის მოლაშქრენიც თავისას არ იშლიდნენ, არამედ მარბიელად ”კვალად გამოვიდეს და ჰკრეს ქოსსა და შეკრბეს სიმრავლითა დიდითა და წარმოემართნეს ჴევთა, ტყეთა, კლდეთა, მთათა და მომართნეს ციხესა ბეხშვისასა.” მტრის ამ მესამე იერიშის დროს ”დგა ერისთავი (ვირშელი) ზემოსა ციხესა”, როდესაც ამ სიმაგრეს მოწინააღმდეგის იმდენი ლაშქარი მოაწყდა, რამდენსაც ”დაიტევდა სივიწროვე ჴევისა”, მაშინ მათი მოლაშქრენი ”დაქვეითდეს”, ცხენებითგან ჩამომხტარ მტერს უმალ ”ჩამოეგებნეს ვირშელი და მოახლენი” (ე. ი. მახლობელნი) მისნი და იწყეს სროლად”, შემდეგ – კი უკვე ამოიწვადეს (ე. ი. ამოიღეს)ჴრმლები”-ც და ხელჩართული ბრძოლა გაჩაღდა. თემურ-ლენგის მარბიელი ჯარი დიდი იყო, ამ ვიწრო ხეობაში –კი ”ვერ დაეტეოდა ლაშქარი მრავალი”და, რაკი ხელჩართულ ბრძოლაში ”მრავალი მოკვდა მათგანი”, ამიტომ ძალზე შეთხელებულნი უკან ” მიბრუნდნენ წინანი მებრძოლნი”.წინამბრძოლთა უკუქცევის შემდგომ, რასაკვირველია, მტრის მოლაშქრეთა დანარჩენმა რაზმებმაც ყველამ უკან დაიხიეს და

---

[271] ქკ˜ბი, II, გვ. 15.
[272] იქვე, გვ. 15-16.
[273] ქკ˜ბი, II, გვ. 16.

”წარვიდა ყოველი სპა” მათიო. მხოლოდ ამის შემდგომ შეეძლო ვირშელს თავისიანებზეც ეზრუნა და ”ერისთავი გამარჯვებული მივიდა ქნოღოს(ციხეში) ხილვად დედაწულთა”-ო[274].

6. თემურ-ლენგის უკანასკნელი შემოსევის შედეგი და საქართველოს შუაგულის მდგომარეობა

ისევე, როგორც ცალკეულმა პირებმა მტრის შემოსევა თავიანთი პირადი ანგარიშის გასასწორებლად გამოიყენეს, თემობრივს შუღლზე დამყარებულმა შურისძიებამაც თავისი მიზნისათვის გამოსადეგი ნიადაგი ჰპოვა და თავი წამოყო. ”ერისთავთა ძეგლის” აღმწერელს მოთხრობილი აქვს მაგალითად, რომ, როდესაც ქსნის ერისთავმა და ქსნისხეველებმა თემურ-ლენგის მარბიელი ლაშქრის მოგერიება და უკუქცევა შესძლეს და მათი მეთაური ამის შემდგომ ციხე ქნოღოში მდგომ თავისიანებთან მივიდა, ქსნისხეველებზე გადაკიდებულ დვალთა მოკავშირე ერთმა ქნოღოელმა, ხარებამ, ”აუწყა ყოველთა დვალთა, ვითარმედ მტერი თქუენი ყოვლითა [დედაწულითა] სახლსა შინა ჩემსა არს, აწ მოვედით და მოკალთ ესე, რამეთუ ჴელთა შინა ჩუენთა არს”-ო. დვალებს ეს შემოთვლილობა ძალიან მოეწონათ: მაშინვე ”შეკრბეს ყოველნი დვალნი სიხარულითა და წარმოვიდეს” დასასხმელად.

თუმცა ქსნის ერისთავს, ხარებას შანათგამცემლობის ეჭვიც-კი არ შეჰპარვია, მაგრამ, რაკი დვალთა სამზადისის ამბავი ვირშელმა მაინც დროზე შეიტყო, რათგან ”აუწყა კაცმან კეთილმან განზრახვა მათი”, მან ქნოღოთგან აყრა გადასწყვიტა და ”წარმოვიდა ვირშელი ყოვლითურთ” თავის სახლეულებითურთ. დვალთა მომხრეს ხარებას, რასაკვირველია, ეს ვერაფრად მოეწონა, ამიტომ ყოველნაირად ცდილობდა ქსნის ერისთავი ქნოღოში დარჩენაზე დაეთანხმებინა: ხარებამ ”დიდად იხარკა არა წასვლა მათი”-ო. მაგრამ, ხარებისადმი სრული ნდობისდა მიუხედავად, მან მაინც წასვლა არ დაიშალა. გამგზავრების წინ, ვერაგობის არა რის მცოდნემ ”ერისთავმან შემოსა ჴარება სამოსლითა თჳსითა”, მაგრამ მაინც ”დადგომაჲ არა უსმინა”. ქსნის ერისთავი თავისიანებით ქნოღოთგან წავიდა თუ არა, ”მასვე ღამეს მოვიდა ყოველი ლაშქარი დვალთა”, მაგრამ უკვე დაგვიანებულ იყო. ხარება ბრალს დაგვიანებისათვის დვალებს სდებდა. რაკი ვირშელი ხელითგან წაუვიდა და დვალებიც ჯერ მოსულნი არ იყვნენ, თითონ ყოფილმა მასპინძელმა თავი ვეღარ შეიკავა და დამშვიდებით შინ მიმავალს ქსნის ერისთავსა და მისიანებს ”მოეწივა ჴარება და ზოგი რაჲმე სალარო წაუღო”-ო[275].

ქსნის ერისთავს არც ხარებასთვისა და არც მისი მომხრეებისათვის ჩადენილი ვერაგობა არ უპატიებია, არამედ, როცა მტრის საშიშროების აცილებამ ამის საშუალება მისცა, ”ვირშელმან შეკრიბა ლაშქარი, რომელი დარჩომოდა, მივიდა ქნოღოს”. შემდეგ ”ხარება და მიმდგომნი მისნი შეამწყვდივნა ციხესა შინა და დაჴოცნა ყოველნივე და დააქცივნა ციხენი მათნი და დაწვა ქუეყანა მათი და აღავსნა ლაშკარნი ალაფითა”[276].

ამ მრისხანე შურისძიების დროსაც, ქსნის ერისთავმა ვირშელმა ოდნავი ლმობიერება მაინც გამოიჩინა და ხარებას ცოლი, მისი მცირეწლოვანი ვაჟი და ძმა დაინდო: ”განუტევა შვილი ხარებასი, სამისა წლისა ყრმა და მისცა დედასა მისსა და ერთი ძმა ხარებასი”, რომელიც, როგორც ჩანს, ხარებას ღალატში გარეული არ ყოფილა[277].

---

[274] იქვე,
[275] ქკ˜ბი, II, გვ. 16.
[276] იქვე, გვ. 16-17.
[277]იქვე, გვ. 17.

ხარებას თავზე დატრიალებული უბედურების ამბავი შეიტყეს თუ არა, მაშინვე ქსნის ერისთავსა და მის ჯარს "მოუჴდეს დვალნი ბრძოლად, არამედ ვერ შეუძლეს" რაიმე ვნების მიყენება. მაგრამ იმ დროს დვალებისათვის სამაგიეროს გადახდა და დასჯა არც ვირშელმა მოისურვა. მან მხოლოდ შეუთვალა: თუ ჩემი ნახვა გწადიანთ, მე თითონ "მოვალ თქუენად ქუეყანად და თქუენ, რაჲცა გნებავსთ, იგი მიყავით"-ო[278].

უკანასკნელი ლაშქრობის დროს აღმ. საქართველოს მოსახლეობისათვის თემურ-ლენგისაგან მიყენებული ზიანის გასათვალისწინებლად გრიგოლ ავგაროზის ძის ბანდაისძის შემდეგი 1400 წ. ცნობაა საყურადღებო: "შემდგომ მცირედისა ჟამისაჲ დავრჩი ობოლი ხუთთა ძმათაგან და ვსტიროდი თავსა ჩემსა მე, გრიგოლ ბანდაისძე ავგაროზის შვილი". მაგრამ ამ საბრალო ადამიანის უბედურება არც ამით დამთავრებულა, არამედ მალე "მისსა შემდგომად... ღმერთმან... მიმიხუნა (ე. ი. წამართვა) ექუსნი შვილნი, სამნი ვაჟნი და სამნი ქალნი დედით მათითურთ"-ო. ეს მწუხარება-კი ვეღარ აუტანია და ამ ქვეყნად ყოფნის ყოველივე წადილი დაჰკარგვია:" მაშინ უღირსმან შევიმოსე სახე მონაზონებისაჲ" და ჩემთვის ამ ძვირფას არსებათა "საფლავსა ზედა აღვაშენე კარიბჭე და დავხატე ჴელითა ჩემითა"-ო[279].

რამდენად აოხრებული იყო აღმ. საქარველო მონღოლთა მტარვალის მოთარეშეებისაგან ავგაროზ ბანდაისძის შვილის გრიგოლის იმ სიტყვებითგანაც ჩანს, რომ, თემურ-ლენგის ურდოების საქართველოთგან გაცლის შემდგომ "დაწვისაგან მოოჴრებული აღვაშენე ხუთი სახლი"-ო[280]. რამდენი სხვა იქმნებოდა კიდევ მაშინდელ ქართლში ასევე და ეგების ამაზე უფრო მეტიც დაზარალებულ ოჯახები!

როგორც-კი მრისხანე მტერი შუაგულ საქართველოს განშორდა, გადარჩენილ ხალხს, თუმცა სატირალიც ბევრნი ჰყავდა და ქონებრივადაც განადგურების შედეგი ყველასათვის მეტად საგრძნობი იყო, მაინც აოხრებული ქვეყნის აღდგენის ხალისი არ დაჰკარგვია და ყველა მოყენებული ზიანისა და ქონებრივი ზარალის აღდგენას მხნედ შეუდგა. გადაბუგული სახლების შეკეთება დაიწყეს, დანგრეულ სამეურნეო ნაგებობათა ხელახლად აშენებასაც მიჰყვეს ხელი და ამის წყალობით ნელნელა ხალხის სავალალო მდგომარეობასაც ცოტაოდნად გამოკეთება დაეტყო.

ასეთ შემთხვევებში ყველაფერი უმთავრესად ადამიანის გამჭრიახობასა და უნარზე იყო დამოკიდებული, ამიტომ ზოგი ამას უფრო მალე ახერხებდა, ზოგს უკიდურესი ხელმოკლეობა უძნელებდა საქმეს. ყველაზე უფრო ადვილად გამოკეთება მაინც იმათ შეეძლოთ, ვისაც სამსახური ჰქონდა და რომელსაც მიღებული სარგო გარკვეული სახსრით უზრუნველჰყოფდა. აი, მაგ., რას მოგვითხრობს ავგაროზ ბანდაისძის შვილი გრიგოლი თავის ასეთს განმაახლებელ საქმიანობაზე: მტრისაგან გადაბუგული ხუთი სახლი რომ განვაახლე, შემდეგ "ავაგე მარანი და ჩავდგი ორი ჭური, ავაგე ზედა სამყოფი სახლი, ბეღელი, საწოლი, დერეფანი, სამრეკლოჲ და ბოსელი და დავბურე ყოველი სიპითა"-ო[281]. ამასთანავე დასამარხავად რომ კარიბჭე ავაშენე, "დავხატე ჴელითა ჩემითა" და ყოველნაირი სამსახურებელითა და წიგნებითაც უზრუველ ვყავიო. მაგრამ, თუ ყველა ეს მოვახერხე, მხოლოდ "მეფეთა და პატრონთა სამსახურისაგან ეს ოდენ შევძელ"-ო[282].

7. გიორგი მეფისაგან თემურ-ლენგთან დაზავების უშედეგო

[278] იქვე,
[279] იქვე, გვ. 204.
[280] იქვე.*
[281] იქვე, გვ. 205.
[282] იქვე, გვ. 204-205.

ცდა და მტრის მეექვსე შემოსევა მესხეთსა და არაგვის ხეობაში

ლიხთ-იმერეთში გადასვლის შემდეგ, გიორგი მეფეს საშუალება ჰქონდა ქვეყნის მაშინდელ საშინელ მდგომარეობას ჩაჰკვირვებოდა. მისთვისაც ცხადი იყო, რომ აღმოსავლეთ საქართველოს უდიდესი ნაწილის განადგურებისა და ხალხის გაწყვეტის უკანასკნელ მიზეზად თემურ-ლენგის მრისხანებისაგან თავის დასაცავად საქართველოში შემოხიზნული ტაჰერის გაუცემლობა გახდა. გიორგი მეფემ გადასწყვიტა , რომ მტრისათვის ასეთი საბაბის შემდეგშიც მიცემა აღარ შეიძლებოდა და რაკი თავშეფარებულის გაცემა მან მაინც იუკადრისა და არ მოისურვა, ტაჰერს ურჩია რუმში წასულიყო, სადაც, საქართველოში მოსული ცნობების მიხედვით, მისი მამაც იმყოფებოდა. ამის მერმე გიორგი მეფემ თავისი მოციქულის პირით თემურ-ლენგს შეუთვალა, რომ ის თანახმაა მას დაემორჩილოს და ბაჟსა და ხარაჯასაც ყოველწლივ მის ხაზინაში შეიტანს.

თუმცა შერეფედდინი ამბობს, რომ თემურ-ლენგმა გიორგი მეფის თხოვნა თხოვნა შეისმინა და დანაშაულებათა სიმრავლე მიუტევაო, მაგრამ თვით ყაანის ამის უშუალო მომდევნო მოქმედებითგან, რომელიც თვითონ ამავე ისტორიკოსს აქვს მოთხრობილი, ეს არა მტკიცდება. შესაძლებელია, მონღოლთა მბრძანებელი შეჰპირდა კიდევაც, მაგრამ, როგორც ჩანს, მხოლოდ ცარიელი სიტყვით, ნამდვილად-კი, იგი თავისი ლაშქრითურთ მაშინვე საქართველოს ერთი უძლიერესი მთავართაგანის ივანე ჯაყელის საგამგეოში გაეშურა, სადაც ჩვეულებისამებრ ციხეები და სახლები დაანგრევინაო, ამბობს შერეფედდინი[283]. რაკი ისტორიკოსი ამ შემთხვევაშიც ნიშანდობლივად არცერთს გეოგრაფიულ ადგილს არ ასახელებს, საფიქრებელია, რომ მნიშვნელოვანი რამის მიღწევა მისმა ჯარმა იქაც ვერა მოახერხა რა. ამასვე მისი მოქმედებაც ამჟღავნებს, რათგან, სამხრეთ საქართველოში წინსვლის მაგიერ, თემურ-ლენგმა თავის ლაშქარს მოულოდნელად უკან დაახევინა და არაგვის ხეობისაკენ უბრუნა პირი. მისი ასეთი მოქმედება შესაძლებელი იყო, ან იმ გარემოებით ყოფილიყო გამოწვეული, რომ სამცხეში მან გზის გაკაფვა ამ დროს ვერ მოახერხა, ან და იმით, რომ მის ზურგთ უკან, არაგვის ხეობაში, დაწყებული აჯანყების შესახებ მოუვიდა ცნობა და ამან აიძულა მესხეთში დაწყებული სამხედრო მოქმედება შეეწყვიტა.

არაგვის ხეობის მთიელები, როგორც თემურ-ლენგმაც კარგად იცოდა, ბრძოლას მიჩვეული გულადი მეომრები იყვნენ, მაგრამ მაინც მისმა ლაშქარმა ციხეების აღება და სახელების გადაბუგვა-განადგურება მოახერხა[284].

მონღოლთა მბრძანებელმა ამის შემდგომ საქართველო მთლად დაპყრობილად მიიჩნია და დასასვენებლად კოლის საზაფხულო სამოვრებისაკენ გაემგზავრა. მაგრამ იქ ცნობა მოუვიდა, რომ ქართველებს ფანასკერტის ციხეში მრავლად მოეყარათ თავი. ამიტომ ჯერ იქითკენ შეიხ ნურ-ედდინ ნოინი გაგზავნა ლაშქრითურთ, ხოლო შემდეგ თითონ თემურ-ლენგიც მივიდა ფანასკერტში. ხუთი დღის განმავლობაში ბრძოლის დროს მისმა ჯარმა, შერეფედდინის სიტყვით, შვიდი ციხის აღება, იქ შეხიზნულ ქართველების დახოცვა და სიმაგრეთა განადგურება შესძლო, რის მერმე მონღოლთა მბრძანებელი ისევ კოლის მთიანეთში დაბრუნდა[285] და აქ, თავისი ცხენოსანი ჯარის მოსამჯობინებლად, ორ თვეს დარჩა.

თემურ-ლენგი შუაგულ საქართველოთგან წავიდა თუ არა, ქვეყანამ ოდნავ დაწყნარება დაიწყო და "მოვიდა მეფე გიორგი ლიხთ-იმერეთით"-გან. რაკი მას "ესმა დვალთაგან ღალატი ერისთავისა," განრისხნა" და მათი სამაგალითოდ დასჯა გადასწყვიტა.

---

[283] **შერეფედდინი, II,** გვ. 247, 249.
[284] იქვე, გვ. 249-250.
[285] **შერეფედდინი, II,** გვ. 250-251.

მტრის შემოსევის დროს დვალთაგან ჩადენილი ღალატისათვის დასასჯელად გეგმა წინასწარ შეუმუშავებიათ, რომლის მიხედვითაც სამხედრო მოქმედება დვალეთის წინააღმდეგ ერთსა-და–იმავე დროს სამი მხრით უნდა დაეწყოთ. თვით გიორგი მეფე "შემოვიდა გზასა აჩაბეთისასა და იწყო ტყუენვა და აოხრება" დვალებისა, "ხოლო ვირშელ განილაშქრა ზემოსა მხარესა და ჩავიდა სოსხოს და აიღო მას დღესა რვა ციხე და სოფელნი, და ყოველი მოსწვა მოაოჴრა, თჳნიერ კაცთა მათა, რომელთა აუწყეს ღალატი დვალთაგან. მათი ყოველი უვნებლად დაიცვა"[286].

ქსნის ერისთავის მეთაურობით მომქმედმა ჯარმა უფრო შორს წაწევაც შესძლო და ისინი უკვე "მეორესა დღესა მივიდეს ყორს და დაწვეს ციხე და სოფელი ხუთი". თუმცა დვალებს ამ ადგილებითგან აყრილი "ხიზანი მათი შეეყენა ღელესა მთისასა.ადგილსა მაღალსა, ნაპრალსა კლდეთასა შეუვალსა ყოვლითურთ", მაგრამ მაინც ქსნის საერისთვოს მარბეველმა ჯარმა იქამდისაც მიაღწია და "შეუჴდა ლაშქარი სიტყვითა დაუჯერებელსა მას სიმაგრესა", და "აღიღეს ყოველი ალაფი მათი"-ო[287].

დვალეთის წინააღმდეგ მომქმედი მესამე ჯარი მთიულთაგან შესდგებოდა და არაგვის ხეობითგან დაიძრა."მაშინ მთიულნი არაგვით ზედაზნით დარიელამდისინ ყოველნი ერთად შეკრებით იყვნეს და უძღოდა მათ ერისთავი მათი სურამელი "არაგვის ხეობის მთიულებს თავიანთ მხრითაც ჰქონდათ დვალებთან სამტრო, რათგან ისინი მათაც თავს დასხმოდნენ. მაშინ მათ მთიულნი ზოგი მოუკლავთ, ზოგი დაუჭრიათ და ქონებაც გაუტაცნიათ. სწორედ ამის სამაგიეროს გადასახდელად გაეშურნენ მთიულები დვალების წინააღმდეგ, მიადგნენ მათ თემსა და ებრძოდნენ "კლდესა ხოჯისასა ორ-დღე", მაგრამ გზის გაკაფვა მაინც ვერ შესძლეს, იმისდა მიუხედავად, რომ ისინი თავგანწირულად იბრძოდნენ და ამ იერიშის მიტანაში მათ, "დაჰკლებოდა ხუთი კაცი საჩინო" და ამას გარდა აგრეთვე "მოიკლა გამზრდელი ერისთავისა" მათისა. რაკი არაგვისხეველ მთიულებს პირდაპირი ძლიერი შეტევითაც "ვერა ევნო მის სოფლისა დავალთათჳს", მათ მშვიდობიანი მოლაპარაკებით სცადეს საქმის მოგვარება და მათ წინააღმდეგ ქსნისხეველთა გამოლაშქრებასა და მათგან განადგურებასაც დაემუქრნენ. ამით შეშინებულმა ამ სოფლის დვალებმა დაზავება ირჩიეს და აოხრებას ისევ საზღაურის მიცემა იმჯობინეს: "მაშინ დვალთა მისცეს კაცნი მას ომსა შინა შეპყრობილნი და ზროხანი ოთხასნი"[288].

მაგრამ ამით მხოლოდ დვალთა ერთმა სოფელმა იხსნა თავი, რათგან ამის შემდეგ ქსნისა და არაგვის ხეობათა ჯარი შეერთდა და ამიერითგან დვალეთის წინააღმდეგ უკვე საერთო სამხედრო მოქმედება დაიწყო: ერთად "აიყარნეს ორნივე ერისთავნი და ჩაიარეს მაღრანდვალეთი. მივიდა ვირშელი და დადგა როკას". მეფე გიორგის ჯარი აქ უკვე ნამყოფი იყო და, თუმცა მას დვალთაგან მიწაში ჩაფლული განძი ეძებნა, მაგრამ მაინც ვერსად მიეგნო.

როდესაც ქსნისხეველნი როკში მივიდნენ, "ადგილსა მას ლაშქართა ვირშელისათა შეიპყრეს კაცი ივ (16) და მათ ასწავლეს დაფლული მრავალი განძი, რომელი ლაშქართა მეფისათა ვერა ეპოვნა". ამრიგად, ქსნისა და არაგვის ხეობების ჯარს იმოდენა განძნულობა ჩაუვარდა ხელში, რომ იქითგან უფრო შორს წასვლა ვეღარ მოხერხდა, "რამეთუ ვერ ეძლო სვლად ლაშქარსა სიმძიმისაგან ალაფისა", და უკან დაბრუნება მოუხდათ. ამაზე უწინარეს "ქუემოთა მთიულთა მიმართეს კარად მეფისა", ხოლო ქსნის ერისთავიც ვირშელი თავის

---

[286]ქკ˜ბი, გვ. 17-18.
[287]იქვე, გვ. 18.
[288] ქკ˜ბი, II გვ. 18.

ჯარითურთ ”მეორესა დღესა მივიდა... წინაშე მეფისა”, რომელმაც გამარჯვებულნი სიხარულით მიიღო[289].

8. თემურ-ლენგის მეშვიდე შემოსევა საქართველოში

თუმცა გიორგი მეფე თემურ-ლენგს სიტყვიერად მორჩილებასა და ხარკის ძლევას შეჰპირდა, მაგრამ ნამდვილად არც ერთი ამათგანი მას არ აუსრულებია. შესაძლებელია ეს იმითაც ყოფილიყო გამოწვეული, რომ თვით თემურ-ლენგმაც თავისი სიტყვა არ აასრულა და დაზავებაზე თანხმობის გამოცხადების შემდეგაც მესხეთსა და არაგვის ხეობას შეესია, მაგრამ მონღოლთა მბრძანებელმა გადასწყვიტა, რომ სწორედ გიორგი მეფემ პირობა დაარღვია და მოატყუა. ამიტომ თემურ-ლენგმა ამავე 1400 წ. მერდინითგან აყრილს თავის ლაშქარს უბრძანა ალენჯაკისა და საქართველოს წინააღმდეგ ამხედრებულიყო. უკვე ათი წელიწადი იყო, რაც ალინჯა თემურის მეომრებს გარემოცული ჰქონდათ, მაგრამ მისი აღება მაინც ვერ მოეხერხებინათ. ამიტომ იყო, რომ მონღოლთა მბრძანებელმა მას თავისი ნონიები მიუსია მრავალრიცხოვანი მხედრობითურთ. მტრისაგან გარშემორტყმული ალინჯის მცხოვრებნი უკიდურეს გაჭირვებაში იყვნენ ჩაცვივნულნი. შერეფედდინის ცნობით, იქ ისეთი შიმშილობა ყოფილა, რომ ხალხი ვითომც ქერქითა და ტყავითაც-კი იკვებებოდა და ამის გამო ბევრიც დახოცილა. დანარჩენნიც სრულებით ღონემიხდილნი ყოფილან. ასეთ მდგომარეობაში მყოფს მოსახლეობას, დამორჩილების გარდა, სხვა აღარავითარი საშუალება აღარ ჰქონდა და მოქალაქეებმა ქედი მოიხარეს კიდეც[290].

ალინჯას ხელში ჩაგდების შემდეგ, თემურ-ლენგის ლაშქარი პირდაპირ საქართველოსაკენ გამოეშურა და ქვეყნის განადგურებას კვლავ მიჰყო ხელი. გიორგი მეფემ რომ გაითვალისწინა, რაც-კი საქართველოს მტრის ასეთი გამუდმებული თარეშისაგან მოელოდა, თემურისაგან წარმოვლენილ სარდლებთან მოციქულები მიგზავნა და მათი პირით თემურ-ლენგს დამორჩილება შეუთვალა. შიკრიკის საშუალებით სარდლებმა ეს ამბავი თავიანთ მბრძანებელს ახარეს, თითონ ლაშქარი-კი ზოგი კოლის საზაფხულო მთიანეთზე გაემგზავრა, ნაწილი-კი განკარგულების თანახმად, ბაღდადის წინააღმდეგ[291]. მაგრამ დაზავება ვერც ამ შემთხვევაში მოხერხდა, რათგან, 1400 წ. 21 ივლისში, ბაღდადის დაპყრობის შემდეგ, თემურ-ლენგმა თავრეჟში დაბრუნებისთანავე საქართველოში ელჩები წარმოგზავნა და გიორგი მეფეს ხარაჯა, ხარკი და ბაჟი მოსთხოვა. მაგრამ საქართველოს მთავრობა არ ჩქარობდა და არც ეტყობოდა, რომ ამ მოთხოვნის ასრულებას აპირებდა. მხოლოდ მას შემდგომ, როცა ყაანის ურდომ შამქროს მიაღწია, საქართველოში წარვლენილი ელჩები საქართველოთგან დაბრუნდნენ და თან გიორგი მეფის ძმაც მიიყვანეს, რომელმაც გიორგი მეფისაგან თემურ-ლენგისათვის მიძღვნილი საჩუქრები, -დიდძალი განძეულობა, ძვირფასი ქვები, იშვიათი ნივთები და სანადირო ცხოველები, - მიართვა. ასეთ ძღვენთან ერთად, დესპანად წარგზავნილმა გიორგი მეფის ძმამ მოახსენა, რომ, თუ თემური მას წინანდელ დანაშაულს შეუნდობდა, ის ამიერითგან თემურ-ლენგის განკარგულებას დაემორჩილებოდა, ყოველწლიურად მის ხაზინაში ხარაჯასა და ხარკსაც შეიტანდა და თავისი ჯარითაც, რამდენიც საჭირო იქნებოდა, მის მოსაშველებლად გამოვიდოდა[292].

---

[289] იქვე.
[290] **შერეფედდინი,** გვ. 354-355.
[291] იქვე, გვ. 355-356.
[292] იქვე, გვ. 378-379.

თემურ-ლენგს ეს ამბავი ძალიან იამა და გიორგი მეფეს თხოვნას შეუსრულა: წარსულის პასუხი არ მოუთხოვნია და უხვად დასაჩუქრებული მისი ძმა-დესპანიც უკან გამოისტუმრა. შინ მიმავალს საქართველოს დესპანს თემურ-ლენგმა დაავალა გიორგი მეფისათვის გადაეცა: შენ ძმას უთხარი, რომ შევუნდობ კიდეცა და მის ქვეყანას ძალადობასაც თავითგან ავაცდენ, მაგრამ მხოლოდ იმ პირობით, თუ თავისას აასრულებს და მაჰმადიანებსაც კარგად მოეპყრობა და საქართველოთგან მეშველ ჯარსაც მომაშველებს ხოლმეო[293].

დადებული ზავისდა მიუხედავად, 1401 წ. აპრილში თემურ-ლენგმა სამხედრო მოქმედება კვლავ განაახლა. რანის (არანის) ყარაბაღითგან წამოსული, ის შამქორისაკენ გამოემგზავრა, შემდეგ აღატაღში მივიდა და იქითგან საქართველოს საზღვარს მოადგა. კოლის მთიანეთითგან მონღოლთა მბრძანებელს ამბავი მოუვიდა, რომ 200 კაცამდე "აჯანყებული ქართველი თორთუმის ციხეში გამაგრებული იყო და არც ხარკს იხდიდნენ და თანაც მაჰმადიანებსა და გამვლელ-გამომვლელებსაც ავიწროებდნენ და აწუხებდნენ. ამ სანახების მმართველს თავის მაგიერ ეს ადგილი ვინმე გურჯიბეგისათვის ჰქონია ჩაბარებულიო[294].

თემურ-ლენგმა რომ ეს შეიტყო, შეიხ ნურედდინი და სხვა ნოინები ლაშქრითურთ თორთუმისაკენ წარგზავნა. იქ მისვლისთანავე, ამ სარდლებმა თორთუმის სიმაგრეში მყოფ ქართველებს წინადადება მისცეს, ნებაყოფლობით დამორჩილებოდნენ, ამ შემთხვევაში მეციხოვნეთ უვნებლობასაც-კი შეჰპირდნენ, მაგრამ დამორჩილებაზე მათ მედიდურად უარი შემოუთვალეს. ამის შემდეგ ხუთი დღის განმავლობაში ორთავე მხრით გაცხარებული ბრძოლა სწარმოებდა. ალყაშემორტყმული ქართველები მედგრად უწევდნენ წინააღმდეგობას, მაგრამ მეექვსე დღეს თემურ-ლენგის ლაშქარმა, ძლიერი იერიშის მიტანის შემდგომ, თორთუმის ციხის აღებაც მოახერხა. ყველა ორასივე იქ მყოფი აჯანყებული ქართველი მეომარნი დახოცეს. სიკვდილს მხოლოდ ამ თემის მმართველი გადაურჩა, ისიც მხოლოდ იმიტომ, რომ მობოდიშება იქ არ-მყოფობით შეეძლო და მორჩილების მოსახსენებლადაც მათთან თვითვე გამოცხადდა[295].

9. თემურ-ლენგის მერვე შემოსევა და ბრძოლის ასპარეზად დასავლეთ საქართველოს ქცევა

გიორგი მეფემ დადებული ზავის პირობების ასრულება 1402 წ. უკვე აღარ მოისურვა. ამის გაგებისთანავე, თემურ-ლენგმა გადასწყვიტა ისევ საქართველოს შემოჰსეოდა. ამ მიზნით ის ჯერ კოლის მთიანეთში მივიდა. ამ დროისათვის საქართველოში უკვე შინაურმა განხეთქილებამ იჩინა თავი: გიორგი მეფეს მესხეთის მთავარი ივანე აღბუღას ძე და თვით გიორგი მეფის ძმა კოსტანტინე ბატონიშვილიც გადაუდგნენ. თუ გავიხსენებთ, რომ ერთი წლის წინათ სწორედ ეს კოსტანტინე საქართველოს ის დესპანი იყო, რომელმაც მეფის სახელით თემურ-ლენგთან დამორჩილებისა და ზავის პირობები დასდო, შესაძლებელია აზრი დაგვებადოს, რომ შინაური უთანხმოებისა და ჩამოვარდნილი განხეთქილების ერთ მიზეზთაგანად სწორედ გიორგი მეფისაგან ამ შეთანხმების დარღვევა იყო, რათგან ამას აუცილებლად თემურ-ლენგის წინანდელზე უფრო მრისხანე შურისძიება და ისედაც საშინლად დაზარალებული გაოხრებული ქვეყნის განადგურება უნდა მოჰყოლოდა.

---

[293] იქვე, გვ. 379-380.

[294] **შერეფედდინი,** გვ. 398, 400.

[295] იქვე, გვ. 401.

მეფეს, მის ძმასა და ივანე აღბუღას ძეს შორის განხეთქილება უკვე იმდენად გამწვავებული ყოფილა, რომ, როდესაც თემურ-ლენგი კოლის მთიანეთში მივიდა, ისინი მასთან სადარბაზოდ და საჩუქრებით წარსდგნენ. მესხეთის მთავარმა სანადირო ცხოველები, ცხენები და ზოგი რამე სხვაც ძღვნად მიართვა და, რასაკვირველია, თავის მხრით მონღოლთა მბრძანებელს კოსტანტინემაც უფეშქაშა[296]. თემურ-ლენგს, უეჭველია, იმდენად მათი საჩუქრებისა არ უნდა გაჰხარებოდა, რამდენადაც საქართველოში უკვე ჩამოვარდნილი შუღლისა: მისთვის სწორედ ეს იყო სასიამოვნო და ხელსაყრელი, რათგან საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლა ეხლა უკვე გაადვილებული ჰქონდა.

კოლის მთიანეთითგან თემურ-ლენგი ჯერ ყარსში მივიდა, იქთგან–კი საქართველოში. მაგრამ ასეთ ხელსაყრელ პირობებშიც მონღოლთა მბრძანებელმა, სამხედრო მოქმედების გასაადვილებლად, მაინც შირვანის მმართველს შეიხ იბრაჰიმს, რომელიც მისი ერთგული მორჩილი იყო, უბრძანა საქართველოს აღმოსავლეთითგან შეჰსევოდა. განკარგულება ასრულებულ იქმნა კიდეც[297].

ასეთ მდგომარეობაში ჩავარდნილმა გიორგი მეფემ, მოსალოდნელი აოხრებით შეშინებულმა, თემურ-ლენგს დიდი საჩუქრებით დატვირთული დესპანები აახლა ისევე მორჩილების გამოსაცხადებლად, მაგრამ განრისხებულმა მონღოლთა მბრძანებელმა აღარც ელჩების განცხადებას მიაქცია ყურადღება და არც საჩუქრები მიიღო. თემურმა საქართველოს მეფის დესპანებს დააბარა მხოლოდ, გიორგისათვის მოეხსენებინათ, რომ, თუ მას შერიგება და გადარჩენა ჰსურს, უნდა თითონ გამოცხადდეს და ყველა ნაკისრი ვალდებულება აასრულოს. მაშინ შენც იმედიანად დაგაბრუნებ შინ, შენი ქვეყნის მოსახლეობასაც ხოცვისა და ტყვენვა-ნავარდისაგან ვიხსნი და შენთანაც მომავალში ისეთივე დამოკიდებულება მექნება, როგორიც კოსტანტინეპოლის კეისართან მაქვს, რომელიც როგორც იცი, შენი თანამორწმუნევე არისო.

გიორგი მეფის დესპანები რომ ამ დავალებით გააბრუნა, მაინც, რაკი იმ დროს მოსავალი უკვე შემოსული იყო, თემურ-ლენგმა გადასწყვიტა ქართველებისათვის მოსავლის მომკა-წაღების საშუალება მოესპო, რომ ამის შემდეგ ისინი, კვლავ წინააღმდეგობის გაწევასა და ბრძოლას არ შესდგომოდნენ. ამიტომ მან ბრძანება გასცა, რომ შეიხ იბრაჰიმისა და სხვა ნოინების ლაშქარი აყრილიყო და საქართველოში მოსავლის აკრებას შესდგომოდა. ბრძანება ასრულებულ იქმნა და ამნაირად მის ჯარს დიდძალი სურსათ-სანოვაგე ჩაუვარდა ხელში[298].

ცხადია, რომ, ამის გაგებისთანავე, გიორგი მეფეს, თუნდაც რომ მანამდე თემურ-ლენგთან მისვლა და შეთანხმება სდომებოდა, ყოველგვარი სურვილი უნდა დაჰკარგვოდა მონღოლთა მტარვალთან მოლაპარაკება განეგრძო. შესაძლებელია, საქართველოს მეფე თემურთან უამისოდაც არ მისულიყო, მაგრამ საქართველოში მთელი მოსავლის თემურის ლაშქრისაგან ხელში ჩაგდების მარტო განზრახვასაც-კი გიორგი მეფისათვის უნდა დაენახვებინა, რომ თემურის გულში საქართველოსადმი ისეთი დაუშრეტელი მტრობა იყო დაგუბებული, რომელიც მასთან მშვიდობიანი შეთანხმების შესაძლებლობას სრულებით უნიადაგო ოცნებად ხდიდა. თემურის შელახულს თავმოყვარეობას, ცხადია, მხოლოდ შურისძიება სწყუროდა. ამრიგად, გიორგი მეფე არც თემურთან მისულა და არც ხარკი გაუგზავნია მისთვის.

რაკი მიზანი ისევე მიუღწეველი დარჩა, ამის შემდეგ თემურ-ლენგმა 1403 წ. ივლისში თავის ლაშქარს უბრძანა საქართველოს ერთი ყველაზე გამაგრებული და მიუვლად მიჩნეული ციხე აეღო. იგი ორ ღრმა ხეობას შუა მდებარეს, 75 მეტრიანს, მაღალ მთაზე იყო აგებული,

---

[296] იქვე, გვ. 512-513.
[297] იქვე, გვ. 515 და 551.
[298] იქვე, გვ. 522-523.

რომელსაც მხოლოდ ერთის მხრით, ისიც ვიწრო და ციცაბო ბილიკით, ჰქონდა ასასვლელი. ქართველებს ეს ციხე ხელოვნურადაც ძალიან ჰქონდათ გამაშრებული. შიგნითაც ის წყლით, სურსათითა და საჭმელ-სასმელითაც საუცხოვოდ იყო უზრუნველყოფილი ისე, რომ ცხვრებიც ჰყავდათ და ღვინოც-კი ბლომად მოეპოვებოდათ. ამ ციხეს თავისი ციხისთავი განაგებდა, რომელსაც ამალად 30 დიდი აზნაური და მოზრდილი მეციხოვნე ჯარი ექვემდებარებოდა. ეს ციხე იმდენად მიუვალ და აუღებელ სიმაგრედ ითვლებოდა, რომ მისი თანაგამზრახნი ამ ციხეზე იერიშის მიტანას თემურ-ლენგს არ ურჩევდნენ, მაგრამ მონღოლთა მბრძანებელმა გადასწყვიტა, რომ, რადაც ეს არ უნდა დასჯდომოდა, მაინც უეჭველად აეღო[299].

მართლაც, 8 ივლისს, 1403 წ. თემურ-ლენგი სამხედრო მოქმედებას შეუდგა. მან თავისი ლაშქრის სამსავე ნაწილს უბრძანა ასაღები ციხის პირდაპირ ზჰუდეები აეგო, შიგ იმ შემთხვევისათვის თავის შესაფარავად, თუ ვინცობაა ციხეს დიდხანს დასჭირდებოდა გარემოცვა. თემურმა საბრძოლველი მანქანებიც-კი დაამზადებინა, მაგრამ გამარჯვება მაინც სულ სხვა ხელშემწყობი გარემოებითა და სხვა საშუალებით იქმნა მოპოვებული.

თემურ-ლენგის ჯარში ოთხი მეკრიტელი მოლაშქრე აღმოჩნდა, რომელნიც ფრიალო კედლეებზე დახელოვნებული ამსვლელები იყვნენ. მათი რჩევით აბრეშუმისა და სელისაგან გრძელი საბლები დააგრეხინეს. და ერთმა ამ მეკრიტათგანმა ამ ციხეში ღამე შეუმჩნევლად ასვლა მოახერხა. ის ასევე უჩუმრივ ქვევით ჩამოვიდა და მეორე დღეს თემურ-ლენგს იმ ციხის ვითარებაზე ყველაფერი დაწვრილებით მოახსენა. მან იმავე ღამესაც იქვე კვლავ ასვლა იკისრა და მართლაც, ღამე, იმ დროს, როდესაც ციხის მიუვალობის მოიმედე მეციხოვნეებს არხეინად ეძინათ, ის ამ თოკითურთ კლდეზე ისევე შეუმჩნევლად ავიდა და ციხის გალავანთან მდგომ ხეზე თან ატანილი გრძელი საბელი გამოაბა. რაკი თოკი ძირს ჩაუშვა, ამ საბელზე დანარჩენი გულადი მეომარნიც ციხეში ავიდნენ და უდარდელად მძინარე მეციხოვნეთ ყიჟინა დასცეს. ისინი თავზარდაცემულნი წამოვარდნენ და უმალ იარაღს სტაცეს ხელი, მაგრამ, რასაკვირველია, მაინც ვეღარაფერი გააწყეს: თემურ-ლენგის მოლაშქრეებმა დაუდევარ ქართველ მეციხოვნეთ მუსრი გაავლეს. ამრიგად მიუვალად მიჩნეული ეს სიმაგრეც მონღოლთა მბრძანებელმა აგვისტოში უკვე ხელში ჩაიგდო და სრული უფლება ჰქონდა კიდეც ამით ეამაყა[300].

რა თქმა უნდა, რომ თემურ-ლენგმა ციხისთავი და მისი ხელქვეითი 30-ვე აზნაური ყველანი დაახოცინა. ციხისთავის უბედური ცოლი მონღოლთა მბრძანებელმა შარვანის მმართველს შეიხ იბრაჰიმს აჩუქა, ხოლო დანარჩენთა ცოლები და ბავშვები მისმა მოლაშქრეებმა ჩაიგდეს ტყვედ. თვით ციხე თემურმა ხვარასნელვა ერთ სარდალთაგანს მუჰამმედ თურანსა და ხვარასნელს მოლაშქრეებს ჩააბარა, მთელი ეს სანახებიც მათ უწყალობა. მონღოლთა მბრძანებელმა ხვარასნელებს ამასთანავე დაავალა, რომ იქაურობა ქართველ ქრისტიანე მოსახლეობისაგან გაეწმინდათ და მომავალშიც აღარც ერთი ქართველი იქ არ შეეშვათ, ხოლო ეკლესიები მიგზითებად გადაექციათ[301].

საქართველოს განთქმული სიმაგრის ასე ადვილად აღების შემდეგ, თემურ-ლენგმა ამ გამარჯვების სადღესასწაულოდ მონღოლურად ყურულტაჲ-ად წოდებული საზეიმო შეკრებილობა-დარბაზობა გამართა, რომელზედაც მისი დიდი ნოინები და მხედართმთავრები იქმნენ მოწვეულნი[302].

---

[299] **შერეფედდინი,** გვ. 524-525.
[300] იქვე, გვ. 527-530.
[301] იქვე, გვ. 529-532.
[302] იქვე, გვ. 535.

მონღოლთა მბრძანებელმა ეხლა უკვე დასავლეთ საქართველოშიც (”აბხაზეთში”) შეჭრა და იქაც კოცონის გაჩაღება გადასწყვიტა, რისთვისაც თავის მხედრობას ამის შესაფერისი ბრძანებაც მისცა. დავალების თანახმად, მის ლაშქარს, უნდა ლიხთ-იმერეთის უკიდურეს საზღვრამდე ყველაფერი გაენადგურებინა. ამრიგად, აქამდე მონღოლთა მბრძანებლის მტარვალობისა შურისძიებისაგან გადარჩენილი საქართველოს ეს ერთად-ერთი ნაწილიც უნდა თემურ-ლენგის ურდოების სათარეშოდ ქცეულიყო.

შეიხ ნურედდინის, შაჰმელიქისა და სხვა ნოინების მეთაურობით თემურ-ლენგის მრავალრიცხოვანი ლაშქარი ამ ბრძანების შესრულებას შეუდგა. რაკი დას. საქართველოში შესაჭრელიცა და მიმოსვლის გზებიც ტყეებით იყო მოცული, ესოდენ დიდი მხედრობისათვის წინასწარ გზების გაკაფვა გახდა აუცილებელი და მონღოლთა მბრძანებლის ლაშქარსაც წინსვლა მხოლოდ ხეების მოჭრისა და გზების მოსუფთავების შემდგომ შეეძლო[303]. ამას, უეჭველია, მათი მოქმედება უნდა დაეყოვნებინა, ეს-კი ქართველთა თავდაცვისათვის ხელსაყრელი გარემოება იყო, რამდენადაც შემომსევი მტრისათვის წინააღმდეგობის გაწევისა და მოულოდნელი თავდასხმისათვის ბევრს მარჯვე შემთხვევასა და საშუალებას მისცემდა. მაგრამ საქართველოს უდიდესი ნაწილი უკვე იმდენად განადგურებული და ხალხიც ამ უთანასწორო ბრძოლისაგან იმდენად შემცირებული და მოქანცული იყო, რომ წინანდელი აღფრთოვანებითა და მხნეობით წინააღმდეგობის გაწევა ქვეყანას, რასაკვირველია, უკვე აღარ შეეძლო: მტერზე შეტევის მისატანად ძალა აღარ შესწევდა, ამიტომაც უნებლიეთ მოგერიებითი წინააღმდეგობითა და თავდაცვით უნდა დაკმაყოფილებულიყო.

პირიქით, თემურ-ლენგის ლაშქარი დიდი სისწრაფით იკაფავდა გზას. შერეფედდინის სიტყვით, რამდენსამე დღეში მას ვითომც ლიხთ-იმერეთის შიგ შუაგულშიც-კი მოეხერხებინოს შეჭრა. მიღებული განკარგულების თანახმად, მტერი ყველგან ყველაფერსა და ყველას ანადგურებდა ისე, რომ, სპარსელი ისტორიკოსის სიტყვით, ამ დროს შვიდასი მარტო სოფელი ყოფილა აოხრებული, დაწიოკებულ მაზრებს გარდა. ქვითკირით ნაშენი ეკლესიებიც და მონასტრებიც, სადაც-კი მათ ხელი მიუწევდათ, ყველგან დაანგრიეს და მიწასთან გაასწორეს.

თავზარდაცემული მოსახლეობა გარბოდა და ცდილობდა მტრის ამ საშინელი მრისხანებისაგან საქართველოს ამ ნაწილშიც მრავალგან არსებულს გამოქვაბულებში, მაღალ მთებსა და მიუვალს ხეობებში შეეფარებინა თავი. მაგრამ თემურ-ლენგი აქაც ისევე მოიქცა და ამავე საშუალებას მიჰმართა, როგორც ის მსგავსავე შემთხვევაში აღმ. საქართველოში უკვე მოქმედებდა და რა ბრძოლის ღონისძიებაც მას უკვე კარგად ჰქონდა გამოცდილი: ზანდუკებში ჩასხმული თავის მოლაშქრენი გამოქვაბულების გასწვრივ ჩამოაშვებინა და გამოქვაბულებში წეხიზნულსა და იქითგან მებრძოლ ქართველებს ასე ახოცვინებდა[304].

”ერისთავთა ძეგლის” ავტორის ცნობით, ”მოიწია ლაშქარი მათი (ე. ი. თემურ-ლენგის) ქუთათის”. ხოლო ამ მტარვალის ჯარის მოთარეშეებმა მრავალგზისი შემოსევის დროს, ”მოწვეს და მოაოხრეს ყოველი საქართველო და დაყარნეს მძოვრნი მკვდრისა ვითარცა მჭელი თივისა”-ო[305].

10. თემურ-ლენგისაგან ომის შეწყვეტა საქართველოში და ზავის ჩამოგდება

---

[303] იქვე, გვ. 535.

[304] **შერეფედდინი**, გვ. 535-537.

[305] ქკ˜ბი, გვ.16.

1403 წ. დეკემბრის 12-ს, თემურ-ლენგმა მოულოდნელად ბრძოლა შეაჩერა, შესაძლებელია გვეფიქრა, იმიტომ, რომ გადასწყვიტა, დას. საქართველო ეხლა უკვე იმდენად აოხრებულია, რომ ქედმოუხრელი და ამაყი გიორგი მეფეცა და მისი მრჩევლებიც ალბათ გონს მოვიდნენ და დამორჩილების გუნებაზე დადგებოდნენო[306]. მაგრამ ამასთანავე ერთი უცნაური ამბავიც მოხდა: ტყვედ ჩავარდნილმა და თემურ-ლენგის ბანაკში მყოფმა ქართველმა სარდლებმა, შერეფედდინის ცნობით, გიორგი მეფეს შეუთვალეს, რომ, თუ დაზავება არ მოხდა, თემურ-ლენგი თავის მტრულს სამხედრო მოქმედებას შემდეგშიც განაგრძობს, მაშინ სომხეთსაც დაუწყებს აოხრებასა და იქ ამის შემდეგ აღარც სომხეთი და აღარც სომხები-ღა დარჩებიანო[307].

ძნელი დასაჯერებელია, რომ ყველაფერი, რაც ამ შემთხვევაში შერეფედდინს მოთხრობილი აქვს, მართლაც ასე მომხდარიყოს და თემურ-ლენგისაგან საომარი მოქმედების შეჩერებასა და დატყვევებული ქართველი სარდლებისაგან მიწერილ წერილსა და რჩევას ერთმანეთთან არავითარი კავშირი არა ჰქონდეს. რა საფიქრებელია, რომ თემურ-ლენგის უცნობელად და მასთან შეუთანხმებლივ, მით უმეტეს მისი სურვილის წინააღმდეგ, ქართველ ტყვე სარდლებს ვინმე ასეთ უფლებას მისცემდა და ასეთი გამბედაობისათვის უმალ თავს არ გააგდებინებდნენ? ამიტომ ვგონებ სრული უფლება უნდა გვქონდეს ვიფიქროთ, რომ დატყვევებული ქართველი სარდლების მიმართვაცა და რჩევაც თვით თემურ-ლენგისავე პოლიტიკური ოსტატობით საიდუმლოდ მოწყობილი შთაგონების შედეგი უნდა ყოფილიყო. საფიქრებელია, რომ ეს ამბავი დას. საქართველოში მისგანვე სამხედრო მოქმედების შეჩერებასთან იქმნებოდა დაკავშირებული. უკვე მარტო ის მუქარა რად ღირს, რომლითაც თემურ-ლენგს ქართველი სარდლების პირით გიორგი მეფე ვითომც უნდა შეეშინებინა: სომხეთსაც ააოხრებს და სომხებს მთლიანად გასწყვეტსო! განა ამ სარდლებმა და გიორგი მეფემ არ იცოდნენ, რომ დიდი ხანი იყო, რაც თემურმა სომხეთი უკვე ააოხრა? ცხადია, რომ ასეთ რამეს ქართველი სარდლები ვერ მისწერდნენ! ეს სპარსელი ისტორიკოსის საკუთარ შენათხზს წარმოადგენს.

უეჭველია, დაბურულ ტყეებსა და ვიწრო ხეობებში ომის დროს, მაღალ მწვერვალზე მდებარე ციხეების აღებისა და მიუდგომელ გამოქვაბულ-სახიზნარების თავგანწირულებით ხელში ჩაგდებისას, მრავლად ხალხი მარტო ქართველებს არ დაეღუპებოდათ, არამედ, თუ იმაზე მეტი არა, დიდძალი მსხვერპლის, განწირვა თემურ-ლენგის ლაშქარსაც მოუხდებოდა. ამას შეუძლებელია, მისი მრავალრიცხოვანი მხედრობაც ძალზე არ შეეთხელებინა და არ მოექანცა. თუ ამ გარემოებას გავითვალისწინებთ, მაშინ თემურ-ლენგისაგან საომარი მოქმედების შეჩერების ნამდვილი მიზეზი ძნელი მისახვედრი არ იქნება: დაზარალებულ ლაშქარს დასვენება და შევსება–გამხნევება სჭირდებოდა, რათგან გიორგი მეფის ხელში ჩაგდება ვერ მოხერხდა და ომს დასასრული არ უჩანდა. ასეთ პირობებში ურიგო არ იქნებოდა, რომ ტყვედ მყოფ სარდლებს, რომელთაც სხვა შემთხვევაში ის შეუბრალებლივ თავებს გააგდებინებდა ხოლმე, მიწერმოწერის საშუალებაც–კი მისცემოდათ, რა თქმა უნდა, თუ ისინი თავიანთ მეფეს იმასვე ურჩევდნენ, რაც თემურ-ლენგსა და მის თანაგამზრახთ ჰსურდათ.

საქართველოც ამ ხანგრძლივი ომით ძალზე იყო დასუსტებული და, რასაკვირველია, დას. საქართველოშიაც დატრიალებული ცოდვის მნახველი გიორგი მეფისათვისაც, ტყვეობაში მყოფი ქართველი სარდლების ურჩეველადაც, ცხადი უნდა ყოფილიყო, რომ ქვეყნის მპყრობელად ქცუეული უძველესი მტარვალისათვის შემდეგშიც წინააღმდეგობის გაწევა უკვე სრული უგუნურება იქნებოდა.

---

[306] **შერეფედდინი,** გვ.536-537.

[307] იქვე, გვ. 538.

ამიტომ გიორგი მეფემ თემურ-ლენგის ნოინებს, სარდლებსა და მისი კარის სხვა გავლენიან პირებს საჩუქრებით დატვირთული თავისი მოციქულები მიუგზავნა, რომ მათ მონღოლთა მბრძანებლის წინაშე მის შესარიგებლადა და დასაზავებლად შუამდგომლობა ეკისრათ. ის უთვლიდა, რომ თუ თემური მას შეუნდობდა და საქართველოს აოხრებას თავს დაანებებდა, ის მზად იყო ხარაჯაც, ხარკიცა და ყველა სხვა გადასახადებიც ყოველწლივ მის სალაროში შეეტანა, მეშველ ჯარსაც, როდესაც და რამდენიც დასჭირდებოდა, მისი მოთხოვნისამებრ გამოუყვანდა[308].

თემურ-ლენგის ზემოაღნიშნულმა სარდლებმა და კარისკაცებმა გიორგი მეფის დავალების ასრულება იკისრეს და თავიანთ მბრძანებელს მონღოლური წესით მუხლმოყრილებმა საქართველოს მეფის შემოთვლილობა დაწვრილებით მოახსენეს. უკვე ასეთი შუადგომლობა მათ მომხრეობასა და თანხმობას ამჟღავნებდა, მაგრამ ისინი, შერეფედდინის ცნობით, თურმე პირდაპირაც ყოველნაირად ცდილობდნენ თავიანთ მბრძანებელი შერიგებაზე დაეთანხმებინათ. თნმურ-ლენგმა, იმავე ისტორიკოსის სიტყვით, მაინც ნოინებს დაავალა ეს გადასაწყვეტი საკითხი და საქმე ულემებისა და მუფთიებისათვის, ე. ი. მაჰმადიანთა სჯულის მეცნიერთა და უმაღლეს სასულიერო პირებისათვის, გადაეცათ დასკვნისათვის და გადასაჭრელად.

მაჰმადიანთა სჯულის-მეცნიერებმა და სასულიერო მთავარმა პირებმა, მსჯელობის შემდეგ, ყაანს ასეთი დასკვნა მოახსენეს: რაკი საქართველოს მეფე ხარკის გადახდის თანახმაა და მაჰმადიანთაც აღარ ემტრობა, საღმრთო სჯულში ნაბრძანებია, რომ ასეთნი უნდა დანდობილნი იყვნენ და მათი ხოცვა და ცარცვაც უნდა შესწყდესო. ამას თემურ-ლენგის დაახლოვებულმა შეიხ იბრაჰიმ შირვანელმაც დაუჭირა მხარი. ამის შემდეგ თემურ-ლენგიც გიორგი მეფის პირობებზე დათანხმდა და მისი დესპანები მშვიდობიანად დააბრუნა[309].

ისევე, როგორც გიორგი მეფესთან გაგზავნილი დატყვევებული ქართველი სარდლების წერილი და თემურ-ლენგისათვის დამორჩილების რჩევა თვით მონღოლთა მბრძანებელის მოწყობილი საქმე უნდა ყოფილიყო, თავის ცნობაში საქართველოს დესპანების თემურის ბანაკში მოსვლისა და მოლაპარაკების მთელი ზემომოყვანილი მიმდინარეობის შესახებაც თემურის მადიდებელ სპარსელ ისტორიკოსს მთავარი მაინც ნათქვამი არა აქვს. საქმის ვითარება შერეფედდინის მოთხრობაში ისეა წარმოდგენილი, რომ მისი დაჯერება გულუბრყვილობა იქნებოდა.

ამ მოთხრობაში უკვე თემურ-ლენგის სარდლებისა და კარისკაცების ქცევაა მეტად საეჭვო. განა დასაჯერებელია, რომ თემურ-ლენგს, რომელმაც რათქმა უნდა, იცოდა, თუ საჩუქრების მირთმევით საქართველოს მეფის დესპანებმა წინასწარ როგორ მოიგეს თავიანთთვის მისი მრჩევლების გული, მათთვის ამის შემდგომ არამცთუ შუამდგომლობის უფლება მიეცა, არამედ ამაზე კრინტიც–კი დაეძრეინებინა, პირადად მასაც რომ დაზავება ასევე არ ჰსურვებოდა.ანდა მით უმეტეს თითონ ის რომ მართლაც ამის წინააღმდეგი ყოფილიყო? ასეთ საქციელს თემური, უეჭველია, მათ ღალატად ჩაუთვლიდა და არც ერთს მათგანს ამას არ აპატიებდა. მონღოლთა მბრძანებელი-კი, რომელსაც რასაკვირველია, მათთვის უხვად საჩუქრების მიცემის ამბავი ზედმიწევნით ეცოდინება, ქართველებისაგან ამ მოქრთამულ პირებს არამცთუ საუბარს უსმენს, არამედ მათ ვითომცდა ჩაციებასა და დაჟინებითს რჩევას მოთმინებითა და ყურადღებითაც-კი იხილავს.

დასასრულ, მთლად დაუჯერებელი ამბავია, რომ ან თემურ-ლენგს პირადად, რომელსაც მთელი თავისი სამხედრო მოღვაწეობის დროს ქრისტიანებთან მრავალგან და ბევრჯელ

---

[308] იქვე, 538-540.

[309] **შერეფედდინი,** გვ. 540-542.

უომნია, ან და გინდა მის სარდლებს, ყურანისა და მაჰმადიანთა სჯულის ძირითადი მოძღვრება, თუ როგორ უნდა მოეპყრონ ქრისტიანებს, როდესაც ისინი მაჰმადიანებს მორჩილებას გამოუცხადებდნენ, მანამდე არც გაგონილი ჰქონოდეთ, არც სცოდნოდეთ და ამის გამო მონღოლთა მბრძანებელს ამის გადასაწყვეტად ვითომცდა მართლაც ულემებისა და მუფტიების შეწუხებაც–კი დასჭირდებოდეს და ვითომც მათ შეუკითხავად შიშით თანხმობის გამოცხადება ვერც-კი გაებედნოს. რაკი ასეთი რამე სრულებით დაუჯერებელია, ცხადი ხდება, რომ ყველა ეს თვით თემურ-ლენგისავე მოწყობილი უნდა ყოფილიყო, რომ ერთი მხრით ქართველებისათვის ეჩვენებინა, რომ პირადად მას არამცთუ სრულებით არ სწადიან დაზავება, არამედ, რომ ამაზე ის თავის სურვილის წინააღმდეგაც-კი ძლივს-ძლივობით დაითანხმეს, მეორე მხრით, რომ თავისი ლაშქრისათვისაც ის ჭმუნვა დაეფარა, რომელიც მას საქართველოსთან ომში ასე შეტოპვისა და ამოდენა მსხვერპლის განწირვის გამო გულში ჰქონდა, რასაკვირველია, თემურ-ლენგის ეს იდუმალი მოქმედება შესაძლებელია მხოლოდ რამდენიმე მასთან უმჭიდროესად დაახლოვებულ პირს სცოდნოდა, დანარჩენს უმრავლესობას, მათ შორის სარდლებსაც, შესაძლებელია, გულუბრყვილოდ სჯეროდათ კიდეც ის, რაც საჯაროდ კეთდებოდა და რაც შერეფედდინს აქვს მოთხრობილი.

მაინც-და-მაინც რომ თემურ-ლენგი საქართველოს მეფის გიორგის პირობების თანახმად ზავის შეკვრის არამცთუ წინააღმდეგი არ იყო, არამედ გულით მოწადინებული ყოფილა, ამდენი წლების განმავლობაში საქართველოში ძალთა დიდი დაძაბულობით ნაწარმოებს ომს როგორმე ბოლო მოჰღებოდა, იქითგანაც კარგად ჩანს, რომ საქართველოში ელჩების გასტუმრების თანავე და ზავის დადების უკვე უეჭველს მოლოდინში თემურ-ლენგმა, როგორც შერეფედდინი გვიამბობს, რამდენიმე დღის განმავლობაში ლხინსა და ნადირობაში გაატარა.

11. ზავის პირობები, დაზავება და თემურ-ლენგის გაცლა საქართველოთგან

დასასრულ, საკმარისია დაზავების პირობებსაც ჩავუკვირდეთ, რომ ზემოგამოთქმული დებულების დამაჯერებლობის კიდევ ერთი გარკვეული გამაძლიერებელი გარემოებაც შეგვემატოს. თავის ადგილას მოყვანილი ცნობითგან უკვე ვიცით, რომ დაზავების აუცილებელ პირობად თემურ-ლენგმა საქართველოს მეფეს გადაჭრით მოსთხოვა, რომ მისთვის მას დესპანები–კი არ ეგზავნა, არამედ დამორჩილების გამოსაცხადებლად პირადად თვითონ წარსდგომოდა. თემურ-ლენგს, რომელიც თავის თავს მსოფლიოს მბრძანებლად სთვლიდა და რომლის წინაშე უკვე ბევრს ხელმწიფეს, კეისარს, სულტანსა და სხვა ქვეყნის მფლობელებს ჰქონდათ ქედი მოხრილი, ბრაზსა ჰგვრიდა, რომ ვერას გზით საქართველოს მეფეს ქედი ვერ მოახრევინა თავის წინაშე დამორჩილების აღთქმა ვერ დაადებინა. იმისდა მიუხედავად, რომ მას შემდგომ თემურმა დას. საქართველოც ააოხრა და უფრო მეტი სიმკაცრეც გამოიჩინა, თავისი გადაჭრით წამოყენებულისა და უცილობლად ასასრულებელი ამ პირობის საქართველოს მეფის გიორგისაგან ასრულებას მაინც ვერ ეღირსა: გიორგი მასთან არ გამოცხადებულა. თემურ-ლენგი იძულებული იყო მხოლოდ მისი უკვე ნანახი დესპანების მზერითა და მათგან მოხსენებული მორჩილების განცხადებით დაკმაყოფილებულიყო. ეს, რა თქმა უნდა, მისი სიამაყისათვის ისეთი უსიამოვნო გარემოება იყო, რომ თავის პირობის აუსრულებლობას, ცხადია, არას გზით არ დათანხმდებოდა, საქართველოში ზავის ჩამოგდება რომ მისთვისაც ძალზე საჭირო არ ყოფილიყო. ყველა სწორედ ყველა ამ უსიამოვნო გარემოებათა დასაფარავად უნდა ჰქონოდა თემურ-ლენგს სამხედრო მოქმედების დასასრული საქართველოში ისე მოწყობილი, როგორც ზევით მოთხრობილი გვქონდა.

განცხრომა-მხიარულებაში მყოფს თემურ-ლენგს საქართველოთგან გიორგი მეფის დესპანები მოუვიდნენ, რომელთაც წარდგომისთანავე მონღოლთა მბრძანებელს ძვირფასი და

იშვიათი საჩუქრები მიართვეს: ათასი ოქროს თანგა (ფული) მისი სახელით შემკული ზედწერილითურთ, ათასი ცხენი, ბევრი ძვირფასი ქსოვილი, ძვირფასი სხვა ძღვენი, მათ შორის ოქროს, ვერცხლისა და ბროლის ფიალები, თვრამეტ-მისხლიანი ლამაზი და მანათობელი ლალი, რომელზედაც შერეფედდინის სიტყვით, მნახველთ უთქვამთ თურმე, რომ ამოდენა და ამისთანა თვალი იშვიათად თუ სადმე კიდევ აღმოჩნდესო[310].

საქართველოს დამორჩილებით გახარებული და ძვირფასი და იშვიათი საჩუქრებით ნასიამოვნები თემურ-ლენგი თავისი ლაშქრითურთ აიყარა და ტფილისში მოვიდა. მაჰმადიანთა სჯულის მეცნიერთა ზემოხსენებული მკაფიო განმარტებისა და დადებული ზავის პირობებისდა მიუხედავად, მონღოლთა მბრძანებელმა მაინც თავი ვერ შეიკავა და ტფილისის სანახებში ყველა მონასტრებისა და ეკლესიების დანგრევა უბრძანა, შემდეგ მტკვარს გაღმა გავიდა, ხოლო მერმე ყარაბახის გზით საქართველოს სრულებითაც მოეცალა[311].

12. თემურ-ლენგის ზოგადი დახასიათება

თემურ-ლენგი რომ საქართველოთგან წავიდა, ამის შემდეგ მას დიდხანს აღარც უცოცხლია: 18 თებერვალს 1405 წ. ოტრარში ის ცხელებისაგან გარდაიცვალა. გაწამებულს აზიასა და აღმ. ევროპას ეხლა-კი შეეძლო ცოტა მაინც დამშვიდებით ამოესუნთქა და ამ მტარვალისაგან გაოხრებული ქვეყნების აღდგენას შესდგომოდა.

რასაკვირველია, თემურ-ლენგის არაჩვეულეულებრივი სამხედრო ნიჭი და ორგანიზაციის უნარი ცხადზე-უცხადესია. მართალია, ყველა მისი გამარჯვება მარტო მისი სტრატეგტული გენიოსობისა და მისი ლაშქარის თავგანწირული გულადობის შედეგი არ იყო: არაერთხელ მას მხოლოდ ცბიერებით, მოქრთამვითა და მოღალატეთა გამოყენებითაც ჰქონდა ძლევამოსილება მოპოვებული. მოწინააღმდეგის შინაური შუღლი და დაქსაქსულობაც უწყობდა მას ბევრჯელ ხელს. მაგრამ მაინც მისი დიდი ძლიერების საფუძველს იმ დროისათვის სამაგალითო სამხედრო ორგანიზაცია და უცილობლად დიდი მისი ბუნებრივი სტრატეგიული ნიჭი წარმოადგენდა. უძლეველობის სახელი თემურ-ლენგს ამან მოუხვეჭა, ამანვე შეაძლებინა მას სივრცით უმაგალითო, მაგრამ მეტად დღემოკლე საბრძანებელი შეექმნა.

თემურ-ლენგის სამხედრო ძალის მთავარ ბირთვს ჩაღატაი-ები შეადგენდნენ. ჩაღატაი, ანუ ჯაღატაი თავდაპირველად მხოლოდ ჯაღატაის ხანის შთამომავლობასა და ტომს ეწოდებოდა. მაგრამ შემდეგ მას უკვე მნიშვნელობა შეეცვალა და მე-14 საუკუნეში ეს სახელი უკვე უბინადრო მომთაბარის გამოსახატავად იხმარებოდა. თემურ-ლენგმა თავისი ლაშქრის თავდაპირველი ნაწილი სწორედ ასეთი ჩაღატაებისაგან შეადგინა, რომელთაც მონღოლური ლაშქრის ყოფაცხოვრებისა და სამხედრო წესწყობილების წინანდელი წესები შენარჩუნებული ჰქონდათ[312]. როგორც დავრწმუნდით, მონღოლთა სამხედრო ძალის ასეთმა თვისებამ ჩინგიზ-ხანსაცა და მის მემკვიდრეებსაც, მოწინააღმდეგეებთან შედარებით, დიდი უპირატესობა მიანიჭა.

ისევე, როგორც მე-13 ს. ჩინგიზ-ხანის საყაანოს მესვეურთ განკარგულებაში, მათი ლაშქრის უბინადრობისა და მთელი სახლობობით გადასვლ-გადმოსვლის წყალობით, უაღრესად მოძრავი და დანაკლისის ადვილად შემვსები ჯარი იმყოფებოდა, თემურ-ლენგის ჩაღატაიებსაც, თავიანთ წინაპრებივით, ყველგან, სადაც-კი მიდიოდნენ, ცოლშვილნიც თან

---

[310] **შერეფედდინი,** გვ. 542.

[311] იქვე,.

[312] **ბართოლდი,** Улуг., გვ. 23-24.

მისდევდნენ. ამრიგად, თემურ-ლენგს სრული საშუალება ჰქონდა ჩინგიზ-ხანსავით თავისი სამხედრო ძალის ეს ორი თვისება მთლიანად თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა.

რაკი ჩაღატაები თავის მბრძანებელს ყველა ლაშქრობაში ახლდნენ ხოლმე და თანაც მომთაბარენი იყვნენ, მათ, რასაკვირველია, თავიანთი მოთხოვნილების ოდნავად მაინც დამაკმაყოფილებელი მეურნეობა შეუძლებელია რომ ჰქონოდათ. მართალია, თემურ-ლენგმა ბრძნული წინდახედულებით თავის ლაშქრის ძირითად ნაწილზე დიდი მზრუნველობა გამოიჩინა და ჩაღატაიებს განსაკუთრებული უფლებები მიანიჭა, ისე რომ მათ შეეძლოთ თავიანთი საქონელი ყველგან ეძოვებინათ, სადაც მოისურვებდნენ. ამასთანავე ისინი თარხან-ებათ იყვნენ გამოცხადებულნი და ამიტომ ყოველგვარი გადასახადიდანაც განთავისუფლებულადაც ითვლებოდნენ[313]. მაგრამ ჩაღატაიების მადას, რასაკვირველია, მარტო ეს ვერ დააკმაყოფილებდა. ეს გარემოება მათ მუდამ ომის მონატრულად ხდიდა, რათგან მათი გამორჩენა-გამდიდრების მთავარი წყაროს სწორედ ბრძოლით მოპოვებული ნადავლ-ნაცარცვი წარმოადგენდა. თემურ-ლენგის დამპყრობელობითი პოლიტიკისათვის ეს ფრიად ხელსაყრელი იყო: მას და მის ჩაღატაიებს ერთიდაიგივე მიზანი ჰქონდათ და ამის გამოც ომის დროს თავგამომეტებით იბრძოდნენ ხოლმე.

თემურ-ლენგს, უსწავლელობისა და გაუნათლებლობისდა მიუხედავად, სარდლის თანდაყოლილი დიდი ნიჭი ჰქონდა, რომელიც თავისი ლაშქრის ორგანიზაციაშიც გამოიჩინა და სამხედრო მოქმედების დროს მარჯვედ მოფიქრებული და შეუდრეკელი ნებისყოფით განხორციელებული საომარი გეგმითაც გამოიხატებოდა. თავის მოლაშქრეების უფრო მჭიდროდ შესაკავშირებლად, თემურ-ლენგმა მათ განსხვავებული თავსაბურავი მოუგონა, რომლითაც ერთმანეთის ცნობა ადვილად შეეძლოთ[314]. ციხეებზე იერიშის მიტანის დროს, დიდრონ ფარებით აღჭურვილთ აბრძოლებდა ხოლმე. თოხთამიშ-ხანის ულუსის მრავალრიცხოვან ლაშქართან ბრძოლაში თემურ-ლენგმა მანამდე უცნობი დიდი შვიდნაწილოვანი სამხედრო წყობილება გამოიყენა[315]. მტრის შესაცდენად გამოსადეგ საომარ ცბიერებაში ხომ მას ბადალი იშვიათად თუ მოეძებნებოდა: გზების განზრახ აბნევისა და მოულოდნელი თავდასხმის ხერხი[316] ისევე, როგორც მოწინააღმდეგის მოსყიდული თანამდებობის პირების, მაგალითად მთავარსარდლის მედროშისაც-კი, გამოყენებით გამარჯვების მოპოვებას ის ისევე ხალისიანად მისდევდა, როგორც მტრის წინააღმდეგ პირისპირ უშიშრად შებმას.

მაგრამ, რამდენადაც თემურ-ლენგი იშვიათი ნიჭის მხედართ-მთავარი იყო, იმდენადვე იგი ბეცი გამოდგა, როგორც ქვეყნის მმართველი და მხეცი იყო თავის ბუნების თვისებებით. სახელმწიფოებრივი შემოქმედებითი ნიჭი მას თითქმის არ გამოუჩენია, რათგან თავისთვისა და თავისიანებისთვის საუცხოო სასახლეების, ბაღ-წალკოტებისა და მიზგითის აგება, რა თქმა უნდა, სახელმწიფოებრივი აღმშენებლობა არ არის. ორგან, გინდა ოთხგან აღდგენილი, თუ გაყვანილი არხის წყალიც ვერ წალეკავს იმ ცოდვას, რომელიც მან ყველგან, სადაც-კი თავის ლაშქრითურთ ფეხი შეუდგამს, დაატრიალა და ვერც იმ ბარბაროსობას წარხოცავს, რომელიც მას მთელი თავისი სიცოცხლისა და მოღვაწეობის დროს აზიასა და აღმ. ევროპაში ჩადენილი ჰქონდა და იმ ქვეყნებში მისი იქ ყოფნის ერთადერთ სახსოვრად-ღა დარჩა.

თემურ-ლენგის ძლევამოსილებას მაშინაც მისი პირადი უარყოფითი თვისებები ამცირებდა და მისი სრულებით მხეცური მრისხანება და გარეული ნადირისათვისაც-კი

---

[313] იქვე, გვ. 24.

[314] **იბნ-არაბშაჰ: ბართოლდი,** Улуг., გვ. 24.

[315] **შერეფედდინი, I,** გვ.532; **ბართლოდი,** Улуг., გვ. 24.

[316] **ბართლოდი,** Улуг., გვ. 24-25.

გასაოცარი გაუმაძღრობა ადამიანის სისხლის ღვრაში ეხლაც უნებლიედ მისდამი ზიზღს იწვევს. საკმარისია გავიხსენოთ, რომ ქვეყნის დამპყრობელობის ბორგნეულობით (მანიით) გატაცებულმა ამ ხანმა ისფიზარის აღების შემდეგ 2000 ტყვედ ჩაგდებულ ცოცხალ მოწინააღმდეგეთა ერთმანეთზე დადებითა და თიხისა და აგურის ნაჭრების შუა-და-შუა ჩატყორცნით კოშკი ააგებინა, ხოლო სივასის აღებისას თემურ-ლენგმა 4000 ტყვე ჯარისკაცი ცოცხლივ დაამარხვინა[317],რომ ამ უმაგალითო მტარვალის მთელი საშინელება, მისგან ჩადენილი სხვა მსგავსი სიმხეცის მოუხსენებლივადაც, ნათლად წარმოგვიდგენს თვალებ წინ. უეჭველია, ყველა ეს თემურ-ლენგის ბუნებაში ანორმალური, შესაძლებელია ითქვას პათოლოგიური ნიშნების გამომჟღავნებად უნდა ჩაითვალოს. ეს რომ სწორედ ასეც უნდა ყოფილიყო, მისი შვილის მირანშაჰის მაგალითითგანაც ჩანს, რომელსაც განადგურების ასეთივე ბორგნეულობა, უეჭველია, მამამისიგან დამკვიდრებული, იმდენად ძლიერად ჰქონდა მორეული, რომ ბოლოს მისმა მახლობლებმაც-კი გიჟად მიიჩნიეს და ეს სიგიჟე, გულწრფელად, თუ თემურ-ლენგის შიშით, ძნელი სათქმელია, ცხენითგან ჩამოვარდნისა და თავზე დაცემის შედეგად აღიარეს. ესპანიის დესპანის კლავიხოს სიტყვით-კი, მას პირადად მირანშაჰის სიგიჟე არ შეუმჩნევია[318]. ამისდა მიუხედავად ამ მირანშაჰის მხეცური ბუნების გასათვალისწინებლად ყველა მისგან ჩადენილი საშინელების ჩამოთვლა საჭირო არც-კია. საკმარისია მხოლოდ გავიხსენოთ, რომ მან ჰერატის მთავრის შვილს ფირ-მუჰამედს ნადიმის დროს სიცილით თავი გაგდებინა, მერმე-კი თავისი საზიზღარი დანაშაულება სიმთვრალით მოიბოდიშა[319].

თემურ-ლენგს იმითაც-კი არ შეეძლო დაეკვეხნა, რასაც ჩინგიზ-ხანს და მისი მემკვიდრე მონღოლთა ყაანებს ზოგიერთი მკვლევარნი დამსახურებად უთვლიდნენ, რომ თავიანთ უზარმაზარ სახელმწიფოს შექმნით მათ შორეული აღმოსავლეთის კულტურა მახლობელი აღმოსავლეთისა და ევროპის ერებს გააცნეს: განადგურების მეტი, კაცობრიობას თემურ-ლენგისაგან არც უნახავს და არც რამე სხვა შერჩენია.

თემურს იმდენი სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის უნარიც-კი ვერ აღმოაჩნდა, რომ მისგან შექმნილი თვალგადაუწდენელი საბრძანებელი მისი სიკვდილისთანავე არ დაშლილიყო. თვით თემურისავე მოქმედება ისეთი იყო, რომ მისი სახელმწიფოს რღვევას ვერაფერი შეაჩერებდა: მთელი მოსახლეობის სიძულვილისა და წყევლა-კრულვის დამსახურებით და დაპყრობილი ქვეყნების თავის შვილების, შვილისშილებისა და სხვებისათვისაც დარიგებით, თავისსავე შექმნილს საბრძანებელს ის თითონვე აცლიდა ნიადაგს. სწორედ ამიტომაც იყო, რომ თემურ-ლენგის სიკვდილი იმავე დროს მისი სახელმწიფოს აღსასრულადაც იქცა.

მართალია, თემურ-ლენგის 1386 წ. საქართველოში პირველად შემოსევითგან მოყოლებული 1403 წლამდე, როდესაც გიორგი მეფემ მასთან ზავი დასდო, ბრძოლა განუწყვეტლივ არ სწარმოებდა, მაგრამ ამ ჩვიდმეტი წლის მანძილზე მაინც საქართველოს მხოლოდ ორჯერ ჰქონდა საშუალება რამდენიმე წლის განმავლობაში ომის საშინელებისაგან დაეღწია თავი. კარგად არის ცნობილი, რომ უბედურება, რომელიც მაშინ საქართველოს თავს დაატყდა, მარტო მისი ხვედრი არ იყო, არამედ ასეთი ბედი, როგორც ვიცით, ვერც აზიის უდიდესმა ნაწილმა, მთელმა მახლობელმა აღმოსავლეთმა და აღმ. ევროპის მოზრდილმაც ნაწილმაც აიცდინა თავითგან. სტიქიური უბედურებისა და ბორბალქარის გრიგალის მსგავსად მოევლინა ამ ქვეყნებს ეს თემურ-ლენგის ლაშქარობა და მათი მოსახლეობის მრავალი სულის

---

[317] **შერეფედდინი**, I, გვ. 360; II, გვ. 269 და **ბართლოდი,** Улуг., გვ. 34.

[318] **კლავიხო,** გვ. 176; **ბართლოდი,** გვ. 31.

[319] **აბდ-არ-რეზაკ; შერეფედდინი, I,**გვ. 468; **ბართლოდი,** Улуг., გვ. 29.

სიცოცხლე, ქონებრივი კეთილდღეობა და კულტურის მონაპოვარი იმსხვერპლა, მანამდე აყვავებული და მჭიდროდ დასახლებული ადგილებიც უკაცრიელად და ნაოხრად აქცია.

13. ბაგრატ V და გიორგი VII, როგორც პოლიტიკოსები

მომხდარი ისტორიული ამბის სისწორით შესაფასებლად, მკვლევარი ვალდებულია პირუთვნელად გამოარკვიოს ყველაფერი, რაც მასთან არის დაკავშირებული. თემურ-ლენგზე უკვე გვქონდა ზოგადად საუბარი, ამიტომ ახლა უკვე საქართველოსა და მის მესაჭეებზეც არის მსჯელობა საჭირო.

ბაგრატ V-ეს გულადი მეომრის სახელი ხომ საქართველოს გარეშეც ჰქონდა მოხვეჭილი, მისი შვილი გიორგიც უცილობლად მხნედ და მამაც მებრძოლად მოჩანს, ეროვნული და პოლიტიკური თავმოყვარეობითაც ის საკმაოდ ყოფილა გამსჭვალული, მაგრამ, რამდენადაც სპარსელი ისტორიკოსის მოთხრობის მიხედვით მსჯელობა შეიძლება, გიორგი მეფეს, როგორც პოლიტიკოსსა და როგორც სამხედრო საქმის ხელმძღვანელს, თუნდაც, მაგ., თავდაცვის მოწყობისათვის, ზოგიერთი აუცილებლად საჭირო თვისება ჰკლებია. მართალია, იმ რაოდენობით მებრძოლი ძალის გამოყვანა, რამდენიც თემურ-ლენგს ჰყავდა, საქართველოს არ შეეძლო, მაგრამ სამაგიეროდ მას თვით ბუნება უწყობდა ბევრნაირად ხელს.

მტრის მადიდებელ ისტორიკოსის თხზულებაში აღბეჭდილი მოთხრობითგანაც ჩანს, რომ საქართველო თემურ-ლენგს ყველგან მედგარს წინააღმდეგობას უწევდა და თავგანწირულადაც იბრძოდა, სამხედრო ნაგებობათა სიკეთითაც იმ დროისათვის საუცხოვოდ ყოფილა უზრუნველყოფილი. ასეთ ბირობებში, მაღალი და ძნელად გასავალი მთებითაც ბუნებით კარგად მოზღუდვილობასთან დაკავშირებით, მაშინდელ საქართველოს მტრის იერიშების მოგერიებაცა და თავის დაცვაც, უეჭველია, გაცილებით უფრო ხანგრძლივაც და უკეთესადაც შეეძლო, ერთი დიდი ნაკლი, გაუფრთხილებლობა და უდარდელობის მსგავსად გადაჭარბებული მოიმედეობა რომ არ ჰქონოდა. შერეფედდინის სიტყვებითგანაც ირკვევა, რომ საქართველოს ყველა აუღებლად ცნობილი და იმ დროისათვის მართლაც გასაოცრად გამაგრებულ-უზრუნველყოფილი ციხეები თემურ-ლენგის ლაშქარს მხოლოდ ქართველ მეციხოვენთა ასეთი მიუტევებელი დაუდევრობით ჰქონია აღებული!.. ცხადია, ეს სამხედრო ორგანიზაციის დიდი და საბედისწერო ნაკლი, იყო რომლის გამოყენებაც მტერმა საუკეთესოდ მოახერხა.

იგივე უნდა ითქვას გიორგი მეფეზე, როგორც პოლიტიკოსზე. თავის ადგილას უკვე გვქონდა აღნიშნული, რომ თემურ-ლენგის პირველი შემოსევა საქართველოში უნდა ჩრდილოეთის ულუსის მტრობასთან ყოფილიყო დაკავშირებული. მაგრამ, უეჭველია, მონღოლთა მბრძანებელი საქართველოს ადრე-თუ-გვიან ხელში ჩაიგდებას უამისოდაც ეცდებოდა სრულებით დაუჯერებელია, რომ მსოფლიოს დაპყრობის წადილით გატაცებულს თემურ-ლენგს პოლიტიკურად ისეთი მნიშვნელოვანი და მდიდარი სამეფო და ქვეყანა, როგორიც დარიალანის კარის პატრონი და სომხეთის მსგავსად მშვენიერი საქართველო იყო, ხელუხლებელი დაეტოვებინა!

თემურ-ლენგის მეორე და მომდევნო შემოსევა საქართველოში მონღოლთა ბატონობის წინააღმდეგ ამტყდარმა აჯანყებამ გამოიწვია. არც საქართველოს, არც სხვა დაპყრობილ ქვეყნებს მონღოლთა მტარვალის მონობის ქვეშ ყოფნა არ ჰსურდათ და ასეთი სულისკვეთება ბუნებრივიც იყო. მაგრამ საქართველოს საგარეო პოლიტიკის მესვეურნი და უპირველესად გიორგი მეფე ფიქრობდნენ, რომ მათ აქტიური საგარეო პოლიტიკის წარმოების ძალაც შესწევდათ და გარემოებაც ხელს უწყობდა ამისათვის.

რა თქმა უნდა, ოქროს, ანუ ყივჩაყთა ულუსთან და თოხთამიშ ხანთან პოლიტიკური კავშირის გაბმისა და მათი თემურ-ლენგთან მტრობის თავის სასარგებლოდ გამოყენების ცდაც ადვილი გასაგებია, მაგრამ მხოლოდ გარკვეულ დრომდე და ამისთვის ხელშემწყობს პირობებში. ამაზე იმედის დამყარება მარტო მანამდე შეიძლებოდა, სანამ თემურ-ლენგის ძლევამოსილება ცხადი არ შეიქმნებოდა და ვიდრე თოხთამიშ-ხანის სისუსტე თემურთან შედარებით ჯერ გამომჟღავნებული არ იყო. მაგრამ მას შემდეგ, რაც იგი არაერთი დიდი და ერმრავალი ქვეყნის მპყრობელად იქცა, მათ შორის ინდიოთისაც-კი და ისეთი ძლიერისა და ვრცელი საყაანოს ბრძანებელსაც, როგორიც თოხთამიში იყო, მარცხი მოუვიდა, საქართველოს მთავრობისათვის თუნლდაც მარტო უბრალო პოლიტიკურ შორგამჭვრეტელობასაც-კი უაღრესი სიფრთხილე უნდა ეკარნახა.

ზემოაღნიშნულ პირობებში აქტიური საგარეო პოლიტიკის წარმოება შეუძლებელია მიზანშეწონილი ყოფილიყო. მით უმეტეს ქართველთაგან ალინჯის ციხის ხელში ჩაგდება და ნახჭავნის სანახების დარბევა, იმ ქვეყნის, რომელშიც თემურ-ლენგს თავისი ხელისუფლები ჰყავდა ჩაყენებული, მხოლოდ მრისხანე მტარვალის განზრახ გაღიზიანებას უდრიდა და მისი თავმოყვარეობის ამგვარს შელახვას მართლაც ასეთი შედეგიც მოჰყვა: 1399 წლის შემოსევა საქართველოში სწორედ ქართველთაგან ალინჯის აღების შურისსმაძიებლად იყო მოწყობილი და თემურ–ლენგმა დაუნდობელი და ყოველნაირი საშუალებით გამანადგურებელი ბრძოლაც ხომ სწორედ ამის შემდეგ გააჩაღა. თვით ქართველებიც კარგად გრძნობდნენ მაშინ, რომ საქართველოზე თავსდამტყდარი უბედურების გამწვავება ალინჯის ციხის აღებისა და იქითგან გამოქცეული ტაჰერის დაფარვის შედეგი იყო. მდგომარეობის ესოდენი გაუარესების ბრალიც რომ გიორგი მეფესა და მის პოლიტიკურ მრჩეველებს ედებოდათ, ესეც ყველამ კარგად იცოდა. აკი გიორგი მეფის პოლიტიკას შინაურობაში განხეთქილებაც-კი გამოუწვევია, ხოლო იმ დროინდელს ერთს ძეგლში დაცული ანდერძი გიორგის მეფეს ამის გამო წყევლა-კრულვითაც იხსენიებს.

თუ ადამიანი თემურ-ლენგის მოქმედებას საქართველოში ჩაუკვირდება, შეამჩნევს, თავშეუკავებელი მრისხანების შემოტევის შემდგომ, მას არაერთხელ, საქმის მოგვარება მისთვის არაჩვეულებრივი შეთანხმების გზითაც, უცდია. შერეფედდინის მოთხრობა-კი ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს, რომ თემურ-ლენგი არაგვის ხეობაში მიზან-მიუღწევლად ლაშქრის მრავლად ჩახოცვის შემდეგ ზავს შეჰკრავდა, საქართველოს რომ შეთანხმება და ხარკის ძლევა ეკისრა. რა თქმა უნდა, თემურ-ლენგს ამ შემთხვევაში ლმობიერებით არ უხელმძღვანელია, არამედ მხოლოდ იმ დიდი მსხვერპლით, რომლის განწირვაც ყოველი შესევის დროს მთაგორიანსა და ტყით დაბურულს საქართველოში გულად ქართველ მეომრებთან საბრძოლველად უხდებოდა. დაზავების აუცილებლობა ბოლოსდაბოლოს ხომ გიორგი მეფემაც შეიგნო, მაგრამ გვიან, როდესაც უკვე ხალხიც ძალზე გაწყვეტილი იყო და ქვეყანაც უკიდურესად აოხრდა. ამ დროს მოყენებული ზიანი-კი იმდენად საბედისწერო აღმოჩნდა, რომ მისგან გამოკეთება საქართველომ მომდევნო ორი საუკუნის განმავლობაშიც-კი ვეღარ შესძლო. თემურ-ლენგის სიკვდილის შემდეგ მისი საბრძანებლის სწრაფმა დაშლამ-კი ცხად-ჰყო, რომ მონღოლთა ამ მტარვალობისაგან განთავისუფლება უამსაშინელმსხვერპლოდაც მოხერხდებოდა.

საქართველოსთვის მარტო ის კი არ იყო საბედისწერო, რომ თემურ-ლენგის შემოსევამ ამდენი ხალხის სიცოცხლე და კეთილდღეობა შეიწირა მსხვერპლად, რომ ერი სისხლით დაიწრიტა და აყვავებული ქვეყანა უდაბნოს დაემსგავსა, არამედ ამაზე უფრო მეტს საშიშროებას მისთვის ის გარემოება წარმოადგენდა, რომ საქართველოს ჩრდილოეთითაც, ქედს იქით, დიდი ცვლილება მოხდა. წინათ ქართველთა მონათესავე ჩრდილო-კავკასიელი ტომები, როგორც უკვე დავით აღმაშენებელის დროითგანვე საქართველოს ყმადნაფიცნი,

სახელმწიფოებრივად ქართველობასთან იყვნენ დაკავშირებულნი და კულტურულად და სარწმუნოებრივადაც მათი ქვეყანა უცილობლად ქართული გავლენის სფეროსვე ეკუთვნოდა. ამის წყალობით საქართველოს ზურგი ჩრდილოეთითგან მაინც მაგარი ჰქონდა და სამხრეთითგან მომავალი მტრის წინააღმდეგ მოსაშველებლადაც იქ სამხედრო ძალის საკმაო მარაგსაც ყოველთვის დაუბრკოლებლივ შოულობდა. თემურ-ლენგმა იმდენი ქნა, რომ, მანამდე ჩრდილო კავკასიაში გავრცელებული საქართველოსთან დამაკავშირებელი ქრისტიანობის მაგიერ, მაჰმადიანობა ჩაათესლა. ამის შედეგად იქაურობასა და საქართველოს შორის წინანდელი კავშირი შესწყდა, მათ შორის განკერძოება დაიწყო და, მაჰმადიანების იქ გაძლიერებისდა გვარად საქართველოს ზურგთ უკან უკვე სარწმუნოებრივად მოწინააღმდეგე და მტრულად განწყობილი სამყარო აღმოუჩნდა. საქართველოს ამ გარემოებამ საბედისწერო პოლიტიკური პირობები შეუქმნა. შესაძლებელია, იმ დროს ზემოაღნიშნული მოვლენის მთელი საშიშროება საქართველოში ჯერ გათვალისწინებული არც-კი ჰქონდათ, მაგრამ მერმე თანდათანობით ეს სულ უფროდაუფრო საგრძნობი შეიქმნა.

14. საქართველოს მდგომარეობა თემურ-ლენგთან უთანასწორო ომის შემდეგ და გიორგი VII s–ის მეფობის უკანასკნელი წლები.

თემურ-ლენგის სიკვდილის ამბავი საქართველოსთვის, ისევე როგორც სხვა მსგავსსავე მდგომარეობაში მყოფი ქვეყნებისათვისაც, იმდენად სასიხარულო იყო, რომ ხალხს უმალ მტრისაგან დადებული უღლისაგან განთავისუფლების იმედი უნდა კვლავ მისცემოდა. ყველანი ეცოდებოდნენ, მისგან აქა-იქ დატოვებული მეციხოვნე ლაშქარი საქართველოთგან ან განედევნგათ, ანდა გაეწყვიტათ. მართლაც, ვახუშტის ცნობითაც, გიორგი VII საქართველოს მტრის ნაშთებისაგან განთავისუფლებას მხნედ შესდგომია: "განასხმიდა თათართა საზღვართა თვისთაგან და მოსვრიდა და აღიღებდა ალაფთა მათთან დიდძალთა"-ო[320].

მტრის ხანგრძლივი ყოფნისა და თარეშის დროს ყველაზე დიდი ხიფათი ყოველთვის ქვეყნის პოლიტიკურ მდგომარეობას, მეტადრე მის მთლიანობას მოელის ხოლმე: იმას გარდა, რომ სანაპირო, შესევისათვის მნიშვნელოვანი თემები, თუ ცალკეული ადგილები, ხშირად ძლევამოსილ მოწინააღმდეგესა და მის მხარეზე გადასულ მოსაზღვრე მეზობლებს უვარდებოდათ ხოლმე ხელში, სამეფოს თივთ შინაგანი განხეთქილების შედეგადაც. ასეთ პირობებში შესაძლებელია პოლიტიკური და ეროვნული მთლიანობაც დაირღვეს. ამიტომ საქართველოს ისტორიკოსმაც უნდა გამოარკვიოს, თუ თემურ-ლენგის შემოსევის დროსა და მეტადრე მის შემდგომ რა ვითარება იყო ამ მხრივ საქართველოში.

შერეფედდინის საისტორიო თხზულებითგან ნათლად ჩანს, რომ ისევე, როგორც თემურის პირველი შემოსევისას საქართველოს მეფედ ბაგრატ V-ის გარდა სხვა არავინა ჩანს, ასევე მომდევნო შემოსევათა აღწერილობაშიც საქართველოში მეფედ მხოლოდ გიორგია დასახელებული და სხვა არავინ არსად იხსენიება: როგორც აღმ. საქართველო ისევე ლიხთ-იმერეთიც, რომელსაც სპარსელი ისტორიკოსი წარსულითგან შერჩენილს სახელს, "აფხაზ"-ს უწოდებს, გიორგი მეფეს ეკუთვნოდა. იქ გადადიოდა იგი განსაცდელის დროს, იქითგანვე ბრუნდებოდა კვლავ, როცა-კი საჭიროდ დაინახავდა, ამერეთში. აღმ. საქართველოს ხელისუფალნიც ლიხთ-იმერეთში გადასულსა და მყოფ გიორგი მეფეს ეკითხებოდნენ და მის გადაწყვეტილებაზე იყო დამოკიდებული ამერეთ-იმერეთის დაზავების საკითხიც.

---

[320] [**ვახუშტი**], ისტ. ბაქრაძის [გამოც.], 296.

მაგრამ საქართველოს პოლიტიკური მთლიანობის დაშლა ყველაზე უფრო ადვილად, რა თქმა უნდა, მაშინ იყო მოსალოდნელი, როდესაც გიორგი მეფესა და კონსტანტინეს შორის პოლიტიკურ ნიადაგზე განხეთქილებამ იჩინა თავი და კონსტანტინე თემურ-ლენგს წარუდგა, მისი ძმა მეფე გიორგი-კი ლიხთ იმერეთში იყო გადასული. ამისდა მიუხედავად შერეფედდინის არსად ერთი სიტყვაც-კი ნათქვამი არა აქვს, რომ კოსტანტინეს საქართველოს რომელსამე ნაწილში თავის ძმის წინააღმდეგ პოლიტიკური ხელისუფლების დაპატრონება, მით უმეტეს გამეფება ეცადოს. ასეთი რამე რომ მომხდარიყო-კი, ამის აღნიშვა სპარსელ ისტორიკოსს, უეჭველია არ დაავიწყდებოდა. დასასრულ, თემურ-ლენგიც ხომ საქართველოსთან ზავის დადებას მხოლოდ გიორგი მეფესთან თხოულობდა. ამრიგად, მე-15 ს. დამდეგსაც იმიერ-ამიერ საქართველოს სამეფოს მხოლოდ ერთადერთი საჭეთმპყრობელი ჰყავდა.

ამავე დროს მცირე აზიასა და საქართველოში ნამყოფი გერმანელი მეომარი ჰანს შილტბერგერ-იც ამ ქვეყნებში ერთადერთ სამეფოდ (Königreich) საქარველოს (Gursy) ასახელებს. თუმცა ის აფხაზეთსა და სამეგშრელოსაც იხსენიებს, მაგრამ მათ მხოლოდ ქვეყანას (Land) უწოდებს, ე. ი. თემად სთვლის და მათ პოლიტიკურ დამოუკიდებლობაზე არაფერი აქვს ნათქვამი[321]. ცხადია, რომ დას. საქართველო (”აფხაზეთი” და ”სამეგრელო”) პოლიტიკურად წინანდებულად ამერეთთანვე ყოფილა დაკავშირებული.

თემურ-ლენგის ურდოების საქართველოს სამეფოში ხანგრძლივმა თარეშმა თვით მონღოლთა პოლიტიკური ასპარეზითგან სრულიად დაშლის შემდგომაც, ჩვენ ქვეყანას მძიმე მემკვიდრეობა დაუტოვა. ყოფილი ალბანეთის გათურქების პროცესი, მართალია, უკვე დიდი ხანია დაწყებული იყო, ჯერ დარუბანდის გზით ხაზართა შემოსევა-ჩათესლების გამო, შემდეგ კიდევ სამხრეთითგან სელჩუკების თურქთა ტალღა–ტალღაზე მოწოლილი წამლეკავი ელების იქაურ საძოვრებზე დამკვიდრების წყალობით. მაგრამ რაკი თვით სელჩუკიანთა მაღალი ფენა, ძლიერი სპარსელი კულტურის გავლენით, სახელმწიფო და სამწერლობო ენად სპარსულს ხმარობდა, ძალით გამაჰმადიანებული ალბანელებისა და თურქთა შემონარევი მოსახლეობისაგან შემდგარს შირვანისა და შაქის პოლიტიკურს სამფლობელოებში, შირვანშაჰებისა და არრანის საბრძანებელში, როგორც ადგილობრივი მკვიდრი ტომების დედაენა, ალბანური სახელმწიფო დაწესებულებებსა და საზოგადოებრივს ასპარეზზწე უკვე მე-10 ს-ითგან აღარ ისმოდა, ასევე თურქულიც ამავე ხანაში სპარსულისაგან მთლიანად დაჩაგრული და განდევნილი იყო. მონღოლთა ბატონობამ პირველ ხანებში სპარსული პოლიტიკური გავლენა მოსპო, მაგრამ ერანის ილხანების ურდოს მონღოლ ყაანებს შორის მაჰმადიანობის გავრცელების შემდეგ, სპარსულის გავლენამ წინანდებურად ფართო გზა გაიკაფა.

იმისდა მიუხედავად, რომ თვით თემურ-ლენგისა და მისი ლაშქრის ძირითადი ნაწილის დედაენა მონღოლური იყო, მის ბატონობის ხანაში მაინც სპარსული, ვითარცა კულტურის ენა, ყველა სხვას სჭარბობდა. მაგრამ, რაკი სამშობლოს გარეშე მყოფ მონღოლთა გათურქების უკვე მე-13 ს. დამლევს დაწყებული პროცესი მეტად სწრაფად მიმდინარეობდა, მაჰმადიან მონღოლ თემურ-ლენგის ბატონობას მონღოლური ენის გავრცელება-გავლენისათვის არა შეუძენია რა, თურქული ელემენტი-კი სტიქიურად გაძლიერდა. იგი საქართველოს მეზობლად აღმოსავლეთით მდებარე. მე -12 ს. მის ყმადნაფიცი შაქისა და შირვანშაჰების სამფლობელოებში ძალზე საგრძნობი გახდა. ადგილობრივი მოსახლეობის თურქულ-სპარსულ-მაჰმადიანური წამლეკავი გავლენა აღმოსავლეთითგან დასავლეთისაკენ თანდათან ვრცელდებოდა და თავის სფეროდ სულ ახალ-ახალ ადგილებს ხდიდა.

---

[321] H. Sehilterge, Rerse-Buch, გვ. 57.

ეროვნული გადაგვარების ასეთივე პროცესი, მძლავრი ნიაღვრის მსგავსად, საქართველოს სამხრეთით მდებარე წინანდელი სომხეთის სამეფოებშიც მიმდინარეობდა, მაგრამ ქართულმა სახელმწიფოებრივობამ სომხეთის ასეთი ძალდატანებითი ეროვნულ-სარწმუნოებრივი შეცვლის პროცესი შეაჩერა და სომხობას თავის სამშობლოში მშვიდობიანად თავის მოყრისა და გაძლიერების საშუალება მისცა. თემურ-ლენგის ხანამ მდგომარეობა აქაც მეტად გააუარესა და, საქართველოს პოლიტიკურ დასუსტებასთან ერთად, სომხური თემებიც თანდათან თურქული მოდგმის მმართველთ ჩაუვარდათ ხელში: ვინც გამაჰმადიანება-გათურქებას ვერ ურიგდებოდა, მისი მდგომარეობა თანდათან საშინელი ხდებოდა და ასეთი მკვიდრი სომხური მოსახლეობის დაწიოკება-აოხრებისა და აყრა-გადასახლების შეჩერება უკვე აღარავითარ ძალას აღარ შეეძლო.

ზემოხსენებული თვალსაზრისით აღსანიშნავია, რომ წინანდელი ალბანეთის, შემდეგ-კი საქართველოს აღმოსავლეთის ერთი თემთაგანი, გაჩიან-ხაჩენი, რომლის გამგეებად საქართველოს მეფისაგან დანიშნული ხაჩინელები იყვნენ, მოსახლეობა-კი შერეული ალბანურ-ქართულ–სომხური იყო, საქართველოს ხელითგან სწორედ თემურ-ლენგის ხანაში გამოეცალა. სომეხთა მონაზონის მათეოს განძასარელის 1417 წ. ანდერძითგან ირკვევა, რომ სუმბატ ბირთველი, რომელიც ხაჩენის მერმინდელ მმართველთა შთამომავალი იყო, იძულებული ყოფილა საქართველოში გაქცეულიყო და იქ ისე გარდაიცვალა, რომ თავის სიცოცხლეში საკუთარ საგვარეულოს სამფლობელოში დაბრუნება ვეღარ ეღირსა. მართალია, მე-15 ს. დამდეგს მისი ორი შვილი სამშობლო თემში დაბრუნდნენ, მაგრამ უკვე მხოლოდ როგორც კერძო პირები: მათ იქ აღარავითარი თანამდებობა აღარ ჰქონდათ და ეს ქვეყანაც ამ დროს უკვე მაჰმადიან მმართველთა ხელში იყო. ზაზა და ჯალალ ხაჩინელების შვილებიცა და ძმებიც ამავე მაჰმადიანი ხელისუფლების ქვეშ იმყოფებოდნენ.

ამრიგად, საქართველოს აღმოსავლეთის სახელმწიფო საზღვრის სანაპირო თემად არამცთუ უკვე შამქორი აღარ იყო, არამედ მას ხაჩენიც წაუვიდა ხელითგან. სამეფოს ფართობის შემცირებასთან ერთად, ეს გარემოება, რა თქმა უნდა, ქვეყნის თავდაცვასაც წინანდელზე უფრო აძნელებდა. ამავე დროს–კი გარეშე მტრის შემოსევის საშიშროება კვლავ საგრძნობი გახდა.

თემურის მემკვიდრეთა შორის ატეხილ ურთიერთშორისი ბრძოლა შავბატკნიანთა (ყარა ყოინლუ) ტომების მეთაურებმა ყარა-იუსუფმა და აჰმედ იბნ ოვეის ჯელაირმა თავიანთი პოლიტიკური მიზნების განსახორციელებლად გამოიყენეს. მაგრამ ამ ორ მეთაურს შორისაც, პოლიტიკური ინტერესების წინააღმდეგობის გამო, სასტიკი ბრძოლა გაჩაღდა. დიარბექირსა და სომხეთის დასავლეთ-სამხრეთის თემებში ყარა-იუსუფი გაძლიერდა და იქაურობა თემურ-ლენგის შთამომავლობისაგან გასწმინდა. აჰმედ იბნ ოვეის ჯელაირმა-კი 1406 წ. ბაღდადი ჩაიგდო ხელში და და იქითგან დაძრულმა ერანის ადერბეჯანის დედაქალაქის აღებაც–კი მოახერხა. მაგრამ ხანგრძლივ მისი შენარჩუნება აჰმედმა მაინც ვერ შესძლო, რათგან რამდენიმე თვის შემდეგ თემურ-ლენგის შვილიშვილისა და მირანშაჰის ძის აბუ-ბექრ მირზას მიერ განდევნილი იქმნა და იძულებული იყო თავრიზითგან ისევ ბაღდადში დაეხია. ბედმა არც თემურ-ლენგის მემკვიდეებს გაუღიმა: მათ წინააღმდეგ ეხლა უკვე შავბატკნიანთა ტომების მეთაურმა ყარა-იუსუფმა გამოილაშქრა და მდ. არეზის პირას მომხდარს სასტიკს ბრძოლაში იმის გარდა, რომ მირანშაჰი მოკლულ იქმნა, მისი შვილი აბუ-ბექრ მირზაც მთლად დამარცხდა ისე, რომ ერანის ადერბეჯანის უკვე ყარა-იუსუფმა ჩაიგდო ხელში[322].

ზემოაღნიშნული გარემოება მარტო ერანისათვის არ იყო საყურადღებო, არამედ საქართველოსა და მის მეზობლებისათვისაც. შავბატკნიანთა თურქმენების გაძლიერება და ასე ახლო გაბატონება მათთვის არაფერს არც ხელსაყრელსა და არც სასიამოვნოს არ წარმოადგენდა,

[322] K. MüIIer, II, გვ. 316-317 და მათეოს განძასარელის ცნობა: ილ. აბულაძე გვ. 45.

რათგან ყარა-იუსუფის დამპყრობელობით ზრახვა, რასაკვირველია, მარტო მიღწეული გამარჯვებით არ შემოიფარგლებოდა. ამიტომ შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ სწორედ 1407 წელს, ვახუშტის მიერ დაცული მატიანისებური ცნობით, "დიდი ომი იყო", რომელშიც "მეფე გიორგი მოკლეს თურქთა" და ამასთანავე თვით საქართველოს "სრულიად ლაშქარნი მოსწყვიდნეს"[323]. სამწუხაროდ, ამ ბრძოლის ატეხის არც მიზეზისა და არც გარემოებათა შესახებ, ჯერ-ჯერობით არავითარი ცნობები არ მოგვეპოვება, მაგრამ ქრონოლოგიურ და გეოგრაფიულ მოსაზრებათა გამო, საფიქრებელია, რომ ზემოდასახელებული საბედისწერო ბრძოლა შავბატკნიანთა ტომების მეთაურთან უნდა იყოს დაკავშირებული.

XIX. კონსტანტინე მეფე

ბრძოლაში მოკლულუი გიორგი მეფის მაგიერ, საქართველოში "ძმა მისი კოსტანტინე მეფედ დაჯდა"[324],რომელსაც თანმეცხედრედ ქუცნა და რუსა ამირეჯიბის ასული ნათია ჰყავდა.

როგორც თემურ-ლენგის საქართველოში შემოსევათა მომსწრე და ძმის თანაგამზრახი, იგი, როგორც ვიცით, გიორგი მეფის მიერ დესპანადაც-კი იყო წარგზავნილი თემურ-ლენგთან დასაზავებლად. მაგრამ შემდეგში მასა და მის ძმას, მეფე გიორგის, შორის, როგორც ეტყობა საგარეო პოლიტიკის გამო, იმდენად ძლიერი განხეთქილება ჩამოვარდნილა, რომ თემურ-ლენგის მომდევნო შემოსევის დროს კოსტანტინე, ივანე ათაბაგთან ერთად, თემურ-ლენგთან მივიდა საჩუქრებითურთ. რასაკვირველია, ამით მათ თემურისადმი თავიანთი მორჩილება, გიორგი მეფისა-კი ურჩობა გამოამჟღავნეს. საფიქრებელია, რომ ძმათა შორის უთანხმოებაც სწორედ ამის გამო უნდა ყოფილიყო ამტყდარი. კოსტანტინეს მაინც თავისი თავი საქართველოს მეფეს წინააღმდეგ მტრის ხელში გამოსაყენებელ იარაღად არ უქცევია: შერეფედდინსაც-კი არსად არა აქვს აღნიშნული, რომ მას რაიმე მსგავსი, ან ეკისროს, ანდა დავალებული ჰქონოდეს. თემურის ისტორიკოსს ამის შემდგომ მისი ხსენება აღარსად არც-კი მოიპოვება და ეს გარემოება იმის მომასწავებელი მაინც უნდა იყოს, რომ მას შემდგომ კოსტანტინე აღარაფერში გარეულა.

ცნობების უქონლობის გამო. ჯერ არაფერი ვიცით, თუ რა დამოკიდებულება ჰქონდათ ძმებს თემურ-ლენგის საქართველოთგან წასვლის შემდგომ კოსტანტინეს, საქართველოში გამეფების უმალ, რასაკვირველია, იგივე საზრუნავი უნდა ჰქონოდა, რაც მის ძმას, გიორგი მეფეს: აოხრებული საქართველოს აღდგენა და მტრის ნაშთების ქვეყნითგან განდევნა. ორივე ეს ამოცანა ისეთი ადვილი საქმე არ იყო: პირველისათვის შინაური მყუდროება და მშვიდობიანი ყოფაცხოვრების შესაძლებლობა იყო საჭირო, მეორისათვის კიდევ ხელშემწყობი საერთაშორისო მდგომარეობა შეადგენდა აუცილებელ პირობას.

მაშინდელს საქართველოში შინაური მყუდროების შესახებ საუბარი ჯერჯერობით მაინც ძნელია, საჭირო ცნობების უქონლობის გამო. ვიცით მხოლოდ, რომ კოსტანტინე მეფეს თავის საკუთარ ოჯახშიაც-კი ამ მხრით ბევრი რამ ჰქონდა სანატრელი. უკვე 1407 წ. მასა და მის შვილს ალექსანდრეს შორის უთანხმოება ჩამოვარდნილა. ატეხილი უსიამოვნება იმდენად გამწვავებულა, რომ მისი ვაჟი ალექსანდრე მშობლების კერასაც-კი გასცლია. იგი აიყარა "ათაბაგსა ივანესთანა წავიდა", იმ პირთან, რომელთანაც, როგორც ვიცით, თემურ-ლენგის შემოსევის დროს. მის მამას, კოსტანტინეს, კარგი დამოკიდებულება ჰქონდა.ცხადია,რომ 1407 წ-ისათვის კოსტანტინე მეფეს ივანე ათაბაგთანაც ურთიერთობა უკვე გაუარესებული უნდა

---

[323] [**ვახუშტი**], ქორონ., ჭიჭ., გვ. 363.

[324] იქვე.

ჰქონოდა: უამისოდ ძნელი დასაჯერებელია, რომ ივანე ათაბაგს შვილზე გამწყრალი კოსტანტინეს ხათრითა და მორიდებით, მისი ძე ალექსანდრე თავისთან შეეფარებინა. საფიქრებელია, რომ არც თითონ ალექსანდრე მივიდოდა მესხეთის მთავართან შესახიზნავად, ამ შემთხვევაში ივანე ათაბაგი რომ თავის თანაგრძნობადა და მისი მამის მოწინააღმდეგედ არ ჰყოლოდა მიჩნეული.

მამა-შვილს შორის ჩამოვარდნილი უთანხმოება რომ ფრიად სერიოზული ყოფილა იქითგანაც ჩანს, რომ ისინი კარგა ხანს ყოფილან მწყრალად და მას შემდეგ, რაც ალექსანდრე თავის მამას, კოსტანტინე მეფეს, გაეცალა, ის შინ უკვე აღარ დაბრუნებულა. ზევდგინიძის მოწმობით, ალექსანდრემ მესხეთში "ხუთსა წელიწადსა ღარიბობასა[325]" დაჰყო. განხეთქილების სიღრმეს ის გარემოებაც ამჟღავნებს, რომ მამის ომში გამგზავრების წინაც-კი, შვილი მამის სანახავად არ დაბრუნებულა და მამას შვილი არ უნახავს. ცხადია, რომ სამეფო ოჯახში ჩამოვარდნილი ასეთი უთანხმოება იმ მდგომარეობაში, რომელშიც მაშინ საქართველო იმყოფებოდა, მისი პოლიტიკური სიმტკიცისათვის კარგს არაფერს წარმოადგენდა.

ამავე დროს, საქართველოს მეზობლად, მეტადრე სამხრეთით, საგარეო მდგომარეობა მეტად გართულებული იყო: ბრძოლა, რომელსაც შავბატკნიანთა ტომების მეთაური და ჯელაირი აწარმოებდნენ ერთი-ერთმანეთის წინააღმდეგ, ერანსა და მცირე აზიაში თემურის ყოფილი სამფლობელოების ხელში ჩასაგდებად, ჯერ დამთავრებული არ იყო და არც იცოდა ვინმემ. როგორ წავიდოდა საქმე. უკვე ეს გარემოება საქართველოს სიფრთხილესა და წინასწარ სამზადისზე მზრუნველობას უკარნახებდა.

მართლაც, ყარა-იუსუფსა და ჯელაირს შორის მტრობამ ისევ იფეთქა და საქართველოც კვლავ განსაცდელში ჩავარდა. აჰმედ ბინ ოვეის ჯელაირს შავბატკნიანთა მეთაურის ყარა-იუსუფის ესოდენი გაძლიერება, რომელიც მან1406 წ. მოიპოვა, რასაკვირველია, არაფრად ეჭაშნიკებოდა და, როდესაც 1410 წ. ყარა-იუსუფს თეთრბატკნიანთა (აღყოინლუ) ტომების მეთაურთან ერზინგანის გამო ბრძოლა ჰქონდა, აჰმედ ჯელაირმა ამით ისარგებლა: ერანის ადერბეჯანში შეიჭრა და თავრიზისაკენ გაეშურა. მაგრამ, ვიდრე აჰმედი თავრიზამდე მიაღწევდა, ყარა-იუსუფმა მოუსწრო და მოქიშპე მოწინააღმდეგეთა შორის გააფთრებული ბრძოლა ატყდა. აჰმედმა სცადა ყოველნაირად თავისი გაეტანა, მაგრამ, დიდი პირადი გულადობისდა მიუხედავად, მაინც დამარცხდა. მას ლტოლვის დროსაც-კი უღალატეს მოწინააღმდეგეს ტყვედ ჩაუგდეს. ამით ყარა-იუსუფმა, რასაკვირველია, უმალ ისარგებლა და მის ხელთ მყოფი აჰმედ იბნ ოვეისიცა და მისი შვილებიც დაახოცინა[326]. ამრიგად, შავბატკნიანთა თურქმანების მეთაურს ძლიერი მოწინააღმდეგე უკვე აღარა ჰყავდა.

გამარჯვებამ ყარა-იუსუფს, რა თქმა უნდა, მადა უფრო გაუხსნა, მისთვის ერანის ადერბეჯანიც საკმარისი აღარ იყო. მას უკვე შირვანისა და აღმ. კავკასიის ხელში ჩაგდებაც მოუნდა. მაგრამ შირვანის მფლობელს არავითარი სურვილი არ ჰქონდა შავბატკნიანთა მეთაურის მონა-მორჩილად ქცეულიყო. გასაჭირში მყოფმა შირვანის ამირამ საქართველოს მეფეს სთხოვა დახმარება და მანაც, ალბად ძველი წესის მიხედვით, დახმარება გაუწია. მაინც ყარა-იუსუფი თავისას არ იშლიდა და შირვანზე იერიში იერიშზე მიჰქონდა. მისი ორი იერიში მოგერიებულ იქმნა. მესამედ-კი, თუ სპარსელ ისტორიკოსს მირჰონდს დავუჯერებთ, ბრძოლა ვითომ შირვან-შაქისა და საქართველოს პოლიტიკის მესვეურთა თაოსნობით დაწყებულიყოს.

ამ შემთხვევაში რომ შემტევი ვითომც საქართველოს მეფე და მისი მოკავშირეები იყვნენ, ეს თითქოს ქართული წყაროთიც, ზევდგინიძისაგან დარბაზისათვის მირთმეული აჯა-მოხსენებითაც, მტკიცდება. იქ, სახელდობრ, აღნიშნულია: "კონსტანტინე მეფემან ჩალაღანს

---

[325] **ნ. ბერძენიშვილი,** ფეოდ. ურთ,: მას., I, გვ. 40.

[326] **თომა მეწოფელი,** გვ. 72-73; K. Müller, II, გვ. 317 და მათეოს **განძასარელი,** ანდ., [გვ. 45.]

გაილაშქრა და იქი მოკლეს”-ო[327]. მაგრამ საკმარისისა იმ ადგილის მდებარეობის გარემოება გავითვალისწინოთ, სადაც შეერთებულს მხედრობასა და ყარა-იუსუფის ლაშქარს შორის ბრძოლა მოხდა, რომ საქმის ნამდვილი ვითარება სულ სხვანაირად წარმოგვიდგეს.

ჩალაღან-ი ველსაც ჰქვიან და მდინარესაც. უკანასკნელს ჩალაღანჩაი ეწოდება. ჩალაღანის ველი საქართველოში იყო და ელდარის ველის სამხრეთ–აღმოსავლეთისაკენ გადაჭიმულსა და მტკვარსა და ყანუხის მდინარეებს შორის მოქცეულს ფართობს ეწოდება. ამ ადგილს ეხლაც ასეთივე სახელი შერჩა. მისი უკიდურესი აღმოსავლეთის საზღვარი განჯის სანახებამდის აღწევდა, მდ. ჩალაღან-ჩაი-კი ნუხის სანახებში იყო და არის ეხლაც.

სამწუხაროდ, ქართულ წყაროებში აღნიშნული არ არის, ჩალაღანი, სადაც ბრძოლა მომხდარა, ველი იყო, თუ მდინარის სანაპირო ადგილი იგულისხმება. ის გარემოება, რომ კოსტანტინე მეფე შედარებით მცირერიცხოვანი ჯარითურთ იყო საბრძოლველად გამოსული, გვაფიქრებინებს, რომ ჩალაღანი, ამ შემთხვევაში ნუხის სანახების მდინარის სანაპიროდ არის უფრო მისაჩნევი და ბრძოლაც იქ უნდა იყოს მომხდარი. მაგრამ, რომელი ამ ორი ჩალაღანთაგანიც არ უნდა იგულისხმებოდეს, მაინც ცხადია, რომ ნამდვილად სწორედ მტერი, ყარა-იუსუფი, ყოფილა თავის ლაშქრითურთ შემოჭრილი საქართველოში, ანდა შაქ-შირვანში, საქართველო და მისი მოკაშირენი, შაქისა და შირვანის მფლობელნი-კი თავიანთ მიწაწყალს იცავდნენ და მხოლოდ შემოსეული მტრის უკუსაქცევად ამხედრებულან.

მოკავშირეთა შემადგენლობის ვინაობასა და ქართველ მებრძოლთა რიცხვზე რამდენიმე უფრო ვრცელი ცნობა სპარსელ ისტორიკოსს მოეპოვება. მისი სიტყვით, 1411 წ. შირვანის ვალიმ შეიხ იბრაჰიმმა, შაქის მფლობელმა სიდი ალიმ შვილებითურთ და საქართველოს მეფემ კოსტანტინემ თავიანთი შეერთებული მხედრობითურთ ყარა-იუსუფის წინააღმდეგ გაილაშქრეს. ეს ცნობა მთლად სწორი იქნება, თუ დავუმატებთ: ”შემოსეული” ყარა-იუსუფის წინააღმდეგ. კოსტანტინე მეფეს 2000 ცხენოსანი ჯარისკაცი ჰყავდა თან. მხნე ყარა-იუსუფს, რასაკვირველია, ომისათვის თავი არ აურიდებია და იმავე წლის ზამთარშივე იგი მოკავშირეებს შეებრძოლა. თუმცა მორჰონდს ბრძოლის ველის ადგილმდებარეობა მოხსენებული არა აქვს, სასტიკი ბრძოლა, როგორც ქართული წყაროებითგან უკვე ვიცით, ჩალაღანს მოხდა. იმისდა მიუხედავად, რომ საქართველოს მეფემა და მხედრობამ, აზნაურმა სარდლებმა, სპარსელი ისტორიკოსის სიტყვით, გულადობით ისახელეს თავი, გამარჯვება მაინც შავბატკნიანთა მეთაურს ყარა-იუსუფს ხვდა, მოკავშირენი-კი დამარცხდნენ. ეს ბრძოლა იმდენად სისხლისმღვრელი იყო, რომ თივით მეფე კოსტანტინეც –კი შეეწირა მას მსხვერპლად.

ქართულ წყაროში ეს გარემოება მოკლედ არის აღბეჭდილი: ქრონიკონსა პ[ი]თ (99=1411) მეფე კონსტანტინე მოკლეს ჩალაღანს”-ო[328]. სპარსელი ისტორიკოსის მორჰონდის ცნობაში და მათეოს განძასარელის 1417 წ. დაწერილი წიგნის ანდერძში ეს ამბავი ცოტა უფრო დაწვრილებით არის მოთხრობილი: შირვანის მმართველი შეიხ იმრაჰიმი და კოსტანტინე მეფე თავის თანამებრძოლ აზნაურებითურთ ყარა-იუსუფს ტყვედ ჩაუგდია ხელში. ტყვეობაშიც ქართველთა ამაყმა ქცევამ თურმე ამ დამარცხებულთა ბედი გადასწყვიტა: შირვანის ვალი შეიხ იბრაჰიმი, მეფე კოსტანტინე და ქართველი მებრძოლი ტყვე აზნაურები დახოცეს. საქართველოს მეფე, თურმე პირადად ყარა-იუსუფმა და ამირ ფირ-ბუდაღმა მოკლეს[329].

გამარჯვებულმა ყარა-იუსუფმა, რასაკვირველია, ჯავრი შაქსა და შირვანზეც ამოიყარა. ამ თურქმან ურდოების რბევასა და ცარცვა-გლეჯას ვერც გაჩიანის, ანუ ხაჩენის თემი გადაურჩა,

---

[327] **ნ. ბერძენიშვილი,** ფეოდ. ურთ.: მას., I, გვ. 40.

[328] ვახუშტი, ქრონიკ, ჭიჭ., გვ. 363: ქ˜კბი, II, გვ. 206.

[329] M. Defremery, Jornal Asiatique IV –e serie, t. XVII, p. 147; **ბროსეს,** Add. XXII, გვ. 399 და **მათე განძასარელის** ცნობა, ილ. აბულაძის, გვ. 45.

სადაც, მათეოს განძასარელის ცნობით, ამ ბრძოლის შემდეგაც კარგა ხანს, 1417 წლამდეც-კი დროგამოშვებით, თავიანთ ერთმორწმუნეთა დაუზოგავადაც-კი, ხალხს აწიოკებდნენ და ჰყვლფდნენ.

ქართველი ერის ისტორია

წიგნი მესამე

ნაწილი მეორე

(XV ს.)

ავტორისაგან

მეოთხე წიგნად განზრახული XV-XVI სს. ქართველი ერის ისტორის პირველი, XV ს. ამბების შემცველი, ნაწილი უკვე დაბეჭდილია და, რათგან ერთგვარად მთლიანს სურათს წარმოადგენს და საკმაოდ მოზრდილიც გამოვიდა ცალკე, მეოთხე წიგნის I ნაწილად გამოშვება ვამჯობინე. ჩემ თავს მოვალედა ვრაცხ მადლობა მოვახსენო "ჩვენი მეცნიერების" გამომცემელს ანდ. შილაკაძეს და კრებულის რედაქციას, მეტადრე სვ. ყაუხჩიშვილს, რომელმაც თავისი მზრუნველობით ჩემი ნაშრომის სათანადოდ დაბეჭდვა-გამოცემას ბევრად შეუწყო ხელი, აგრეთვე უნივერსიტეტთან დატოვებულს თამარ ლომოურის, რომელმაც საძიებელთა შედგენით ამ წიგნით სარგებლობა მკითხველს ძალიან გაუადვილა. მოხარული ვარ, რომ ერთხელაც არის ნატვრა ამისრულდა და ჩემი ნაშრომი ყველა იმ სარჩევ-საძიებლებით შემკული გამოვიდა, რომელთა დართვა მუდამ აუცილებლად მიმაჩნდა.

1924.30. V.

წინასიტყვაობა

ქართველი ერის ისტორიის დაწერას რომ შევუდექი, მთელი შრომა ოთხ წიგნად მქონდა ნავარაუდევი, მაგრამ შემდეგ ჩემთვის ცხადი გახდა, რომ მეცამეტე საუკუნითგან მოყოლებული ჩვენი სამშობლოსა და ერის თავგადასავლის უტყუარი სურათის აღდგენა წყაროების მეტად დიდ კრიტიკულ განხილვას მოითხოვს და ოთხი წიგნი ამის გამო საკმარისი არ იქნებოდა. ყველაზე უფრო ძნელი, რასაკვირველია, XIV--XVI საუკუნეების ისტორია აღსადგენელი, მაგრამ მუშაობის დროს გამოირკვა, რომ საქართველოს არც XIII საუკუნის ისტორიული თავგადასავალია მაშინდელ ქართულ და უცხოურ წყაროებში სრული სინამდვილით აღბეჭდილი და ამ ხანისათვისათც დიდი რთული კრიტიკული კვლევა-ძიება ყოფილა საჭირო. მესამე წიგნის მეტის მეტი სიდიდის თავითგან ასაცილებლად და განსაკუთრებით კი რათგან XIII საუკუ. და XIV საუკუნის დასასრულს

საქართველოს პოლიტიკურს ცხოვრებას მონღოლთა ბატონობა თავისებურს ელფერს ადებს, გადავწყვიტე XIII–XIV სს- ისათვის ცალეკ წიგნი მეძღვნა. ამგვარად, უფრო მიზანშეწონილად ვცანი ეს ხანა მესამე ტომად გამომეყო, XV–XVI ს .ს. - კი მეოთხე წიგნად მექცია, რომ XVII და XVIII ს. ს. ამბები მეხუთე წიგნში ყოფილიყო მოქცეული. რაკი მესამე წიგნი ჯერ კიდევ მთლად დაწერილი არა მაქვს, ამიტომ მეოთხე წიგნი მესამეზე ადრე იბეჭდება.

გულახდილად უნდა აღვიარო, რომ ჩვეულებრივ პირობებში ამ სახით მეოთხე წიგნსაც არ დავბეჭდავდი. ჯერ კიდევ ბევრი საკითხია გამოსარკვევი და თანაც ჩვენს ხელთნაწერებში უეჭველია მრავალი ძვირფასი ცნობები უნდა მოიპოვებოდეს XV –XVI ს.ს. შესახებ, რომელთა საშუალებითც არა ერთი ბუნდოვანი საკითხი გამოირკვეოდა და სრულებით ახლებიც იქნებოდა გაშუქებული. ამიტომ უკეთესი იყო, რომ მესამე და მეოთხე წიგნი ჩვენი ხელთნაწერების აღწერის დამთავრების შემდგომ გამოქვეყნებულიყო: მაშინ წარსული ცხოვრების სურათი უფრო მეტი ხორცშესხმულობით წარმოგვიდგებოდა და მოთხრობასაც ისეთი მონოგრაფიული გამოკვლევის ხასიათი არ ექნებოდა, როგორც ამჟამად აქვს, საქართველოს ამ ხნის კრიტიკული ისტორიის მხოლოდ სრულმა უქონლობამ მაიძულა მეოთხე წიგნის გამოქვეყნება გამებედნა. ამ უსრულო სახითაც იმედი მაქვს მას ერთგვარი სამსახურის გაწევა შეუძლია იმ მხრივ მაინც, რომ აქ ყოველივე ცნობა წინასწარ კრიტიკულად არის განხილული და არა ერთი შეცდომაა გასწორებული; მაშინდელი თავმომაბეზრებელი პოლიტიკური ამბების მთავარი მამოძრავებელი მიზეზებიც შეძლებისამებრ გამორკვეული არის.

ჯერ კიდევ ვახტანგ მეფის მიერ მოწვეულ სწავლულ კაცთა დროითგან მოყოლებული საქართველოს XIV - XVIII ს. ს. ისტორია ქართველ მეცნიერთა მთავარ საზრუნავსა და კვლევა-ძიების საგანს შეადგენდა. ეგნატაშვილი ბერი, ფარსადან გორგიჯანიძე, ბატონიშვილი ვახუშტი და ქ˜ცის შევს.-გადაკ. გაგრძელების შემდგენელი XVIII საუკუნეში და XIX საუკ. მკვლევარნი ცდილობდნენ იმ დიდი ხარვეზის ამოვსებას, რომელიც ჩვენი ქვეყნის წარსულის შესახებ ცოდნას ამ ხანაში ისტორიული თხზულებების უქონლობის გამო ასე ძლიერად ემჩნევა. უკვე XVIII საუკ. ქართველ მეცნიერთა მიერ გზები, რომლებითაც დასახული მიზნის მიღწევა შესაძლებელია, მიგნებული და ნაჩვენები იყო, მასალებიც მათ მიერვე მრავლად იყო შეგროვილი. მაგრამ ჩვენი ერის წარსულის ამ გზითა და მასალებით აღდგენილი სურათი დამაკმაყოფილებელი არ აღმოჩნდა. ეს გარემოება ბატონიშვილმა ვახუშტმა გამოააშკარავა სრული სიცხადით. თავისი ბასრი კრიტიკით ვახტანგისეული კომისიის ქ˜ცის გაგრძელების ბევრი შეცდომა გამოამჟღვავნა და ცნობების კრიტიკული განხილვის აუცილებლობის ცხად-ყოფით ქ˜ლ საისტორიო მწერლობას საუკეთესო მაგალითი და სახელმძღვანელო აზრი მისცა, მაგრამ არც მისი ცდა, მისი შედგენილი საქართველოს ისტორია აღმოჩნდა მთლად დამაკმაყოფილებელი, მ. ბროსემ, თ. ჟორდანიამ, ე. თაყაიშვილმა და ს. კაკაბაძემ გამოარკვიეს ის მრავალი შეცდომები, რომელნიც ვერც დიდებულმა ქართველმა მეცნიერმა აიცდინა თავითგან. ამის მთავარი მიზეზი ის გარემოება იყო, რომ ეგნატაშვილი ბერის მეთაურობით შედგენილი ქ˜ცის გაგრძელების ასე ულმობელად, მაგრამ სამართლიანად კრიტიკულად განმსჯელი, თვითვე ბატონიშვილი ვახუშტი სრულისა და გულუბრყვილო ნდობით ეპყრობოდა ყველაფერს, რასაც საბუთის სახელი ეწოდება. სწორედ ამან ჩაადენინა მას მრავალი შეცდომები. სამწუხაროდ, ამგვარი მოწიწებით გამსჭვალული ნდობა საბუთებისადმი მას შემდგომ არამცთუ არ შერყეულა, არამედ აქამომდე განუსაზღვრელად ბატონობს. ეს დიდ შეცდომად და ნაკლად უნდა ჩაითვალოს და, სანამ ამ შეხედულებას თავითგან არ მოვიცილებთ, ჩვენს ცდას XIV-XVII ს.ს. [ისტორიის] აღსადგენად ნაყოფიერი შედეგი არ მოჰყვება.

მართალია, ჩვენ გაცილებით უფრო მეტი და მრავალმხრივი შინაარსიის წყაროები გვაქვს ხელთ, როდესაც საქართველოს ისტორიის ხარვეზის შევსებას ვცდილობთ, მეტადრე ხალხის აღწერისა და შემოსავლის დავთრებისა და ეკონომიური ისტორიის სხვა ძეგლებისა და უცხოელ მოგზაურთა ცნობების გამოყენების წყალობით, მაგრამ უმთავრესი განსხვავება მეთოდოლოგიური ხასიათისაა. მთელი წინამდებარე წიგნი წინა წიგნებივით იმ დებულებაზეა დამყარებული, რომ ყოველი წყარო, მათ შორის საბუთებიც, აუცილებლად ჯერ წინასწარ ყოველმხრივ უნდა იყოს შესწავლილ- შეფასებული და მხოლოდ ამის შემდგომ შეიძლება გამოყენებულ იყოს და რომ არაფერი თავის და თავად ცხადად და დამტკიცებულად არ უნდა იქმნას მიჩნეული. ამიტომაა, რომ ამ წიგნში ყოველივე ცნობა, როგორც მარტივი, გენეალოგიურ- ქრონოლოგიური, ისევე უფრო რთული თვისებისა, ისეა განხილული, თითქოს სრულებით არაფერი ცნობილი არ ყოფილიყოს. ეს აუცილებლად საჭირო იყო საქართველოს ისტორიის ამ წყვდიადით მოცული ხანისათვის მტკიცე და შეძლებისაებრ ურყეველი საფუძვლის შესაქმნელად. მე კარგად ვგრძნობდი, რომ ჩემი შრომის ამგვარი კრიტიკული კვლევა-ძიებით დატვირთულობა ჩემი თხზულების პირველსა და მეორე წიგნზე მას მეტად ძნელ საკითხავად და ჩვეულებრივი მკითხველისათვის ზოგჯერ მოსაწყენადაც ხდის. მაგრამ სხვანაირად იმ დაბურულ ტყეში, თუ უდაბნოში, რომელსაც XIV-XVI ს.ს. ეწოდება, გზის გაგნება შეუძლებელი იყო. მაინც ყოველგვარი გაუგებრობის თავითგან ასაცილებლად უნდა განვაცხადო, რომ ეს შრომა ჩვეულებრივ, ადვილ საკითხავ წიგნად არც არის განზრახული და განკუთვნილი. როდესაც ამ ნაწარმოების ბეჭდვა დამთავრდება. მაშინ ვფიქრობ ჩვეულებრივი მკითხველისთვის შედგენილი ისტორიაც გამოვაქვეყნო.

წერის დროს წამოიჭრა საკითხი, თუ როგორ უნდა დალაგდეს საქართველოს ისტორია სამეფოებადა და სამთავროებად დაყოფის შემდგომ. ეგნატაშვილს ბერს და ქ˜ცის შევს.-გადაკ. გაგრძელების შემდგენელს სამეფოებადა და სამთავროებად დაყოფილი მთლიანი მოთხრობა შეუჩნევიათ საუმჯობესოდ, მაგრამ პირველისაც და მეტადრე უკანასკნელი შრომა მატიანისებურად არის დალაგებული. ბატონიშვილმა ვახუშტმა მოთხრობის სამეფოებისა და სამთავროებისდა მიხედვით დაყოფა ირჩია. რაკი სამეფოებისა და სამთავროების ამბები ერთიმეორეზეა გადახლართული, ამის გამო სახელოვან ქართველ ისტორიკოსს ხშირად ერთსა და იმავე ამბავზე რამდენჯერმე უხდებოდა ლაპარაკი. ეს რომ თავითგან ამეცილებინა და იმიტომაც, რომ დაყოფის შემდგომაც საქართველოს ისტორიული ამბების მიმდინარეობას თავისი მთლიანობა დაკარგული არ ჰქონოდა, უმჯობესად დაუყოფელი მოთხრობა ვცანი. მაგრამ, სამეფო-სამთავროების კერძოობითი საკითხებისა და თავისებურების გაშუქებაც რომ დაჩრდილული არ ყოფილიყო, გენეალოგიურ-ქრონოლოგიური საკითხები ცალკე გამოვყავი და პირველად სწორედ ეს საკითხები ირჩევა ხოლმე და მხოლოდ შემდეგ მისდევს პოლიტიკური თუ კულტურული ისტორიის სურათები.

საქართველოს XIII - XVIII ს.ს. ისტორიის კვლევა-ძიებას 1917 წ. შევუდეგი, განსაკუთრებით 1918 წ.; მის შემდეგ, რაც ჩვენი უნივერსიტეტი გაიხსნა, მუშაობის ინტენსიური წარმოება აუცილებელი გახდა და 1918 –1921 წლებშია დაწერილი ეს ქართველი ერის ისტორიის მეოთხე წიგნიც, მაგრამ შემდეგშიაც ბევრი რამეა ჩამატებული. ვითარცა მრავალ სხვადასხვა საქმეებით დატვირთულს, განუწყვეტლივ ამაზე მუშაობის საშუალება არ მქონდა და ამ გარემოებას არ შეეძლო, რასაკვირველია, თავისი ცუდი გავლენა არ მოეხდინა: თუ ერთხელ უნებლიედ შეწყვეტილი შრომის განახლება ყოველთვის ადვილი საქმე არ არის, მით უმეტეს ძნელია მთლიანობის დაცვა მაშინ, როდესაც მკვლევარს თავისი თხზულების წერის შეწყვეტა ხშირად უხდება. ეს წიგნი ერთი წლის განმავლობაში ამაოდ იდვა სახელმწიფო გამომცემლობაში მისი სასწრაფოდ დაბეჭდვის შესახებ განკარგულებისდა მიუხედავად და ეხლა ”ჩვენი მეცნიერების” წყალობით ეღირსება მას ნაწილნაწილ დაბეჭდვა და გამოქვეყნება.

ქარაგმიანი და შემოკლებული სიტყვების განმარტება

ქ˜კსა=ქრონიკონსა.
ქ˜ცა=ქართლის ცხოვრება.
ქ˜კბი=თ. ჟორდანია, ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა.
დამატ.=ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარიანტი. დამატება II, მაგ. ე. თაყაიშვილისა.
სქ˜ს სძვლნი=საქართველოს სიძველენი, გამ. ე. თაყაიშვილის რედაქტორობით.
პარიზ. ქრ.=პარიზის ქრონიკა.
ისტ. საბ.=ისტორიული საბუთები, გამ. ს. კაკაბაძისა.
3 ქკ˜ა=სამი ისტორიული ქრონიკა, გამ. ე. თაყაიშვილისა.
ბაქ.=დ. ბაქრაძის }
ბროს.=ბროსეს }
ს. კაკ.=ს. კაკაბაძის } გამოცემას
ჩუბ.=დ. ჩუბინაშვილის }
ჭიჭ.=ზ.ჭიჭინაძის. }
ჯან.=მ. მარჯანიშვილის }
СМОМПК=Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа.
ЗВОРАО=Записки Восточного отд. Рус. Археол. Обш.

შესავალი

თემურ–ლენგის შემოსევის შემდგომ საქართველო განმანადგურებელი მიწისძვრისა და ბორბალ-ქარისაგან დაზიანებულს ქვეყანას მიაგავდა. ჩვენს ერსა და სამშობლოს თავისი ხანგრძლივი არსებობის დროს ხშირად უნახავს დიდი უბედურება, მაგრამ თემურ-ლენგისაგან ჩადენილი მტარვალობის მსგავსი მას არასოდეს თავს არ დასტყდომია. მისს შემოსევას თვით მონღოლთა ბატონობისათვისაც არაფერი მიუმატებია: მსოფლიო ისტორიის ასპარეზითგან მონღოლთა გაქრობას ვერც თემურ-ლენგმა შეუშალა ხელი და მის მიერ სისხლითა და ცეცხლით შექმნილი უზარმაზარი სახელმწიფო მასთანვე ერთად დაიმხო. კაცობრიობას მან მხოლოდ გადაბუგულ-განადგურებული ქვეყნები და მის მიერ მსხვერპლად შეწირული აზიის ყველა ერისშვილთაგან მინარებად დადგმული ძეგლები და აღმოსავლეთის კულტურული და ეკონომიური დაქვეითება დაუტოვა სახსოვრად. არა ერთი ქვეყანა იყო, რომელმაც საუკუნეების განმავლობაში ამ საშინელებისაგან გამოკეთება ვეღარ შესძლო, არა ერთი ერის წარმატება საუკუნეებით იყო შეფერხებული.

მგონი შეცდომა არ უნდა იყოს, თუ ვიტყვით, რომ საქართველოზედაც თემურ-ლენგის შემოსევა-განადგურებამ წარუხოცელი კვალი დასტოვა: წინანდებურად ჩვენმა ერმა ქვეყანამ აღორძინება ვეღარ შესძლო და მრავალი მაშინ გაოხრებული სოფელი სამუდამოდ უკაცრიელი დარჩა. მაგრამ თემურ-ლენგის უკან გაბრუნების უმალ საქართველოში მაინც განადგურებული ქვეყნის აღსადგენად მუშაობა გაჩაღდა, რომელიც ჯერ კერძო თაოსნობით, შემდეგ კი ფართოდ

და თვით სახელმწიფოს მიერ იყო წარმოებული. ამ საქართველოს განახლებისათვის დიადს მუშაობას სათავეში მეფე ალექსანდრე I ჩაუდგა.

მეფეთა-მეფე ალექსანდრე დიდი

1. ბიოგრაფიული ცნობები მეფეთა-მეფე ალექსანდრესა და მისი სახლობის შესახებ

ალექსანდრეს გამეფების თარიღი

ალექსანდრე რომ მეფედ დამჯდარა, არსებული ცნობების მიხედვით 101 ქრონიკონი ყოფილა. ეს თარიღი თვით მის სიგელშივეა აღნიშნული: "ქ˜კსა:რა: მეფედ დავჯედ"-ო[330]. გამეფების თარიღის ქრისტესაქათი წელთაღრიცხვით ზედმიწევნილობით გამოანგარიშებისათვის ამ მეფის სიგელებში აღნიშნული ქრონიკონებისა და მეფობის ინდიქტიონების შედარებითი შესწავლა თითქოს სრულებით გარკვეულს პასუხს ვერ გვაძლევს. ს. კაკაბაძის გამოანგარიშებით მეფე ალექსანდრე 1412 წ. 11-19 სექტემბერს უნდა ასულიყო სამეფო ტახტზე[331]. თავისი გამოანგარიშება ავტორს იმ საყურადღებო საკითხზე აქვს დამყარებული, თუ როდის იწყებოდა ჩვენში წელიწადი, იანვარში თუ ენკენისთვეში? მისი დაკვირვებით საქართველოში წელიწადის თავად ამ დროს ენკენისთვე უნდა ყოფილიყო[332]. მაგრამ თვით ს. კაკაბაძისვე სიტყვით ერთს სიგელში წელიწადის თავი უეჭველია პირველი იანვრითგან არის ნაგულისხმევი და არა პირველი ენკენისთვითგან[333]. ეს გარემოება იმით აიხსნება, რომ წელიწადის თავი ორგვარი და სამგვარიც იყო: ერთი საეკლესიო, მეორე კიდევ სამოქალაქო. ზოგან და ზოგჯერ ერთსა და იმავე დღეს ხვდებოდა ხოლმე, მაგრამ შეიძლებოდა სულ სხვადასხვა დროსაც ყოფილიყო, მაგ., საეკლესიო 1 იანვარს იყო დაწესებული, სამოქალაქო კი ზოგან 1 ენკენისთვეს. საქართველოშიც, როგორც ეს იოანე–ზოსიმეს სინას მთის X საუკუნის კალენდრითგანა ჩანს, საეკლესიო წელიწადის დასაწყისი 1 იანვარსა ყოფილა. მაშასადამე, საკითხი მხოლოდ სამოქალაქო წელიწადის თავზე შეიძლება იყოს ენკენისთვეში. ამგვარად, ერც ეს გზაა გადამწყვეტი. იმ საკითხის გამორკვევა, თუ როდის გამეფდა ალექსანდრე დიდი, უმართულ ცნობებოდაც, ალექსანდრე მეფის ისევ და ისევ სიგელებისვე თარიღების საშუალებითაც შეიძლება.

საბუთების მიხედვით შემდეგი სურათი გვეხატება:

საბუთის გამოცემა: წელს ქ˜კნსა თვესა ყოფილა ინდიქტიონი მეფობისა მაშასადამე გამეფებულა

ისტ.საბ. III, 10 1413 101 სეკდემბერ.20 პირველი 100-101 ქ˜სა სექ. 20-მდე

---

[330] 1440 წ. სიგ: ქ˜კბი II, 247.

[331] "დიდის ალექსანდრე მეფის გამეფების თარიღი", ტფილისი, 1913 წ. გვ. 5.

[332] იქვე, 4-6.

[333] იქვე, 4.

ქ˜კები II, 220 1413 101 მარტსა 21 ერთი(1) 100 ქ˜კსა. მარტ. 21-მდე
ისტ. საბ. II, 4 1414 102 მეორე 101
ქ˜კები. II, 224 1417 105 სეკდემბერსა 29 მეექუსე100 ”სექტ. 29-მდე
ისტ. საბ. III, 12 1420 (?) სეკდემბერ 10 მეშუიდე(?) 100 ” სექტ. 10-მდე
ქ˜კები. II, 228 1424 112 იანვარსა 6 მეათორმეტე 101 ”იანვ. 6-მდე
ისტ. საბ. III, 14 1429 117 16 101 ”
ქ˜კები. II, 237-8 1431 119 19 100 ”
ისტ. საბ. III, 16 1433 121 21 100”
” ” III, 18 1434 122 21 101 ”
ქ˜კები. II, 242 1434 122 21 101 ”
ქ˜კები. II, 243 1435 123 23 100 ”
” ”. II, 243 1437 125 (რკე. რკვ? 126?) 26 99(100?) ”
ისტ. საბ. III, 20 1438 126 26 100 ”
” ” III, 21 1439 127 26 101 ”
ს˜ქლს სიძ . II, 15 1440 128 ფებერვალ 20 28 100 ”თებ. 20-მდე
ისტ. საბ. III, 22 1441 129 29 100 ”
” ” III, 24 1441 129 29 100 ”

ალექსანდრეს გამეფების პირველი ინდიქტიონისა და წელიწადის ზედმიწევნილობითი გამოანგარიშების დროს გათვალისწინებული უნდა გვქონდეს ერთი გარემოება. მწიგნობრებს სიგელებში ყოველთვის აღნიშნული აქვთ ხოლმე ინდიქტიონი სრულ იყო, თუ წელიწადი მხოლოდ მიმდინარე იყო და დასრულებულად არ ითვლებოდა, ე. ი. ხან ნათქვამია ინდიქტიონსა მეფეობისა ჩუენისასა ერთსა, ან ოცდარვასა, ხან ინდიქტიონსა მეფობისა ჩუენისასა პირველსა, ან მეორესა, მეექუსესა, მეათორმეტესა და სხვ. ზედმიწევნილობითი გამოანგარიშებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ინდიქტიონების სრულ რიცხვებსა აქვთ და არა დაუსრულებელსა და მიმდინარეს. თუ ამ გარემოებას მხედველობაში მივიღებთ, მაშინ ჩვენ ყურადღებას ორი რიცხვი მიიპყრობს: 21 მარტს 101 ქრონიკონს ალექსანდრეს მეფობის უკვე ერთი ერთი ინდიქტიონი ყოფილა შესრულებული, ხოლო 20 თებერვალს 128 ქრონიკონს ალექსანდრეს მეფობის სრული 28 ინდიქტიონი ითვლებოდა. აქეთგან ცხადია, რომ ალექსანდრე უნდა გამეფებულიყო 100 ქრონიკონის 20 თებერვალსა და 21 მარტს შუა, ე.ი. 1412 წელს 20 თებერვალს-21 მარტს.ეს გამოანგარიშება რომ სწორია, ამას ყველა სხვა მიმდინარე ინდიქტიონების და ქრონიკონების თვეებისა და დღის რიცხვის შემცველი ცნობები ამტკიცებენ ერთის გარდა, სადაც ქრონიკონად 10 სექტ. 108 არის აღნიშნული, მეფობის ინდიქტიონად კი ”მეშუიდე”-ა ნაჩვენები, რაც ცხად შეცდომას უნდა შეიცავდეს ან ქრონიკონში ან ინდიქტიონში.

მაგრამ ამ დასკვნას თითქოს თვით ალექსანდრე მეფის ზემომოყვანილი განცხადებაც ეწინააღმდეგება, რომ ”ქ˜კნსა: რა: (101) მეფედ დავჯედ”-ო, რასაკვირველია, თუ რომ აქ გადამწერის შეცდომა არ არის თარიღში და თუ თავდაპირველს დედანში არ ეწერა: ”ქ˜კსა: რა: სა (ე. ი. ასსა) მეფედ დავჯედ”-ო და აქეთგან გადმოწერის დროს დამახინჯდა და ”რა”-ად იქცა. ამ საბუთის თვით დედანი სამწუხაროდ შენახული არ არის, არამედ მხოლოდ XVII საუკუნეში გადაწერილი პირი არსებობს[334]. უკვე ქ˜ცის შევსებულ-გადაკეთებული გაგრძელების შემდგენელს ამგვარად შესწორებულ-დამახინჯებული ტექსტი ჰქონია: ”დაჯდა მისი წილ... ალექსანდრე ქ˜კსა: რა”[335]. ამ ადგილას რომ საბუთის პირვანდელი დედნის ტექსტი

[334] იხ. ქ˜კბი II, 247.
[335] დამატება, გვ. 887.

დამახინჯებული უნდა იყოს, ამას ის გარემოებაც ცხადჰყოფს, რომ სიგელი დათარიღებულია 128 ქრონიკონით, როდესაც ალექსანდრეს მეფობის 28 სრული[336] ინდიქტიონი ყოფილა[337], მაშასადამე, ცხადია ალექსანდრე ამ საბუთებისავე ცნობით 100 ქრონიკონს უნდა გამეფებულიყო და ასე ეწერებოდა ამ სიგელის თვით დედნის თავშიაც. ამგვარად ირკვევა, რომ ზემოაღნიშნული წინააღმდეგობა არსებითი თვისებისა კი არა, არამედ გადამწერის შეცდომის შედეგი უნდა იყოს.

ამას უნდა დავუმატოთ, რომ ვახტანგ მეფის მეცნიერ ისტორიკოსთაც თავიანთ ქ˜ცის გაგრძელებაში ალექსანდრე მეფის ტახტზე ასვლის თარიღად იგივე 1412 წელიწადი აქვთ დასახელებული, რომელიც ჩვენ სიგელების შესწავლის შემდეგ მივიღეთ. მათ ნათქვამი აქვთ: ”დაჯდა მეფედ ალექსანდრე ქრისტეს აქათ ჩუიბ (1412)”[338]. მაშასადამე, უნდა ვიფიქროთ, რომ მათ ხელში მყოფს ალექსანდრე მეფის ზემოხსენებულს 1440 წ. სიგელის დადანში სწორედ ისე უნდა წერებულიყო, როგორც ჩვენ ეს ადგილი ზევით აღვადგინეთ: ” ქ˜კსა: რ:სა მეფედ დავჯედ”-ო,ხოლო ეს ქრონიკონით მოყვანილი თარიღი მათ ჩვეულებისამებრ[339] ქრისტესაქათი წელთაღრიცხვით მოუყვანიათ.

ალექსანდრეს დაბადების წელიწადი

ალექსანდრე მეფის დაბადების თარიღის გამოსარკვევად შეიძლებოდა იმ ცნობის გამოყენება, რომელიც მის მცხეთისადმი ბოძებულს 1419 წ. სიგელში მოიპოვება. იქ ალექსანდრე ამბობს, რომ თემურ-ლენგმა ”საყდარი დედაქალაქი მცხეთა დააქცია არათუ ჩუენისა პატრონობისა და მეფობისა ჟამსა, უწინარეს ჩუენსა, სხუათა მეფეთა ჟამსა და მე მეფეთა-მეფემან ალექსანდრე ოცდაორისა წლისამან... ჴელვყავ შენებად საყდრისა მცხეთისა და შენ, ღმერთო, სრულ და მტკიცე ყავ საწადელი ესე ჩემი”-ო[340]. მაშასადამე, თუ ჩვენ გვეცოდინება, თუ როდის დაიწყო მცხეთის საყდრის შენება, იმავე დროს გამორკვეული იქნება, თუ როდის შესრულდა ალექსანდრე ოცდა ორი წლისა.

მცხეთის საყდარი, რომელიც თემურმა თავისი შემოსევის დროს დააქცევინა, ”სულკურთხეულსა ბებიასა ჩემსა რუსასა... ჴელეყო... აღშენებად”-ო, ამბობს ალექსანდრე მეფე, და კიდეც ”გამოჰკაზმა საყდარი და იწყო შენებად სუეტთა საყდრისათა” და იმედიც ჰქონდა, რომ დაწყებულ საქმეს დაამთავრებდა, მაგრამ ”ვინაითგან სოფელი ესე ცრუ, მტყუანი, უნამუსო და უმდგომო არის, მან მისი ბეგარი არ დაიკლო და ამის მიერ ვეღარა სრულ იქმნა სურვილითა საწადელი მისი”-ო[341]. რუსას აღმაშენებლობითი მოღვაწეობა, მაშასადამე, ულმობელს სიკვდილს შეუწყვეტია. რაკი ის სიგელი, რომელშიაც უკანასკნელი ცნობაა მოყვანილი, 101 ქრონიკონს სექტემბრის ოცს არის დაწერილი, ამიტომ ცხადია, რომ რუსა უკვე ამ დროს მკვდარი ყოფილა. ამ დრომდის როგორც ჩანს მცხეთის ტაძრის განახლება ალექსანდრეს ბებიის თაოსნობითა და ხელმძღვანელობით წარმოებდა, ამის შემდგომ კი - ეს საქმე თვით მეფეს

---

[336]და არა “მე-28”-ე, როგორც **ს. კაკაბაძეს** შეცდომით აქვს აღნიშნული (დიდი ალექსანდრე მეფის გამეფების თარიღი, 4).

[337] ქ˜კბი II, 248.

[338] **მ. დანაშვილის** გამ. 34.

[339] იხ. **ივ. ჯავახიშვილი,** ისტოიის მიზანი, წ. 1, გვ. 280.

[340] ისტ. საბ. III, 12- ქ˜კბი II, 226.

[341] 1412-3 წ. მცხ. სიგ. ისტ. საბ. III, 9. ქ˜კბი II, 220.

განუგრძია. ხოლო რაკი თვით ალექსანდრე მეფე ამბობს, რომ იმ დროს, როცა იგი ამ აღშენების განაგრძობას შესდგომია, 22 წლისა ყოფილა, მისი ბებია კი როგორც დავინახეთ, იმავე 101 ქრონიკონამდე გარდაცვლილა,- დაახლოვებით იმ დროს, როდესაც იგი 100 ქრონიკონს მეფედ დამჯდარა, - ამიტომ ირკვევა, რომ ალექსანდრე გამეფების ჟამს ან მეფობის პირველს წელიწადს ოცდა ორის წლისა ყოფილა. მაშასადამე, ალექსანდრე დაახლოვებით 1390 წ. დაბადებულა.

მაგრამ ქ˜ცის შევსებულ-გადაკეთებული გაგრძელების შემდგენელს ამ ზემომოყვანილი სიგელის შინაარსი სხვანაირად აქვს გადმოცემული. იქ ნათქვამია მეფე ალექსანდრემ "ოცდა ოთხისა წლისამან იწყო აღშენებად სვეტისა ცხოველისა"-ო[342]. თავისთავად იბადება ორი საკითხი:1) დედანია, თუ პირი მცხეთის №3 სიგ. 1420 წ., რომელშიაც მეფე ალექსანდრე თავის თავს ოცდაორის წლისად აცხადებს, და 2) თუ დედანი არ არის, რომელს ამ ცნობათაგანს უნდა მიენიჭოს უპირატესობა? თ.ჟორდანიას დაბეჭდილი აქვს ერთი XVII საუკუნის ხელით გადაწერილი 1419 წ. სიგელი, რომელშიაც სწორედ იმგვარივე ცნობა, მოიპოვება, როგორც ზევით ქ˜ცის შევსებულ-გადაკეთებული გაგრძელებითგან იყო მოყვანილი. იქ მართლადაც ნათქვამია: "აწ მე...ოცდა ოთხისა წლისამან ჴელ-ვყავ შენებად" სვეტიცხოვლის ტაძრისაო[343]. საფიქრებელია, რომ ქ˜ცის გაგრძელების შემდგენელს სწორედ ამ წყაროთგან ჰქონდეს თავისი ცნობა ამოღებული. ეს ცნობა რომ თვით დედანში ყოფილიყო, მაშინ ალექსანდრეს დაბადების თარიღად 1388 წ.უნდა მიგვეღო. მაგრამ XVII ს.-ის პირს შეუძლებელია დედნის მსგავსი ნდობა მიენიჭოს.

ალექსანდრე მეფის ბებია-აღმზრდელი

მეფე ალექსანდრეს ბებიას რუსა რქმევია. ალექსანდრე მეფე როგორც ეტყობა თავისი ბებიის რუსას გაზრდილი უნდა ყოფილიყო. ალბათ, ამ მნიშვნელობით უნდა გავიგოთ ალექსანდრე მეფის სიტყვები "ბებიისა ჩემისა ჩემზედა მრავალ-ფერად ვალდებულისა და ჭირნახულისა რუსასა სულისათუის "აღაპი გამიჩენიაო[344]. თავის ვალდებულებას ალექსანდრე მეფე სწორედ იმაზე ამყარებდა, რომ ის რუსას გაზრდილი ყოფილა. ამას თვით ალექსანდრე მეფე ხაზგასმით ამბობს თავისს 1412 სიგელში, სადაც ნათქვამი აქვს: მე, "ვითა ასრე მრავალფერად მათგან ჭირნახულსა მართებს მრავალსა მათგან ჩუენზედა ზრდასა და ვალდებულებობასა ვემართლებით", ამის შესაფერისად დავაწესე მისი სულისათვის" აღაპიო[345].

ზემომოყვანილი სიტყვებითგან ნათლად ჩანს, რომ რუსას თავისი გაზრდილი შვილიშვილისათვის, მეფე ალექსანდრესათვის, ღრმა სიყვარული და დიდი და გულწრფელი პატივისცემა ჩაუნერგავს, როგორც დედობრივი მზრუნველობისა და ჭირნახულობისათვის, ისევე სწავლა-აღზრდისათვის. უეჭველია, რუსა არაჩვეულებრივი პიროვნება, დიდი მხნეობისა და ნებისყოფის პატრონი, ნამდვილი სახელმწიფოებრივ-აღმაშენებლობითი უნარითა და თაოსნობით დაჯილდოვებული ადამიანი უნდა ყოფილიყო. თემურ-ლენგისაგან განადგურებულს საქართველოში პირველს მას გამოუჩენია ნამდვილი მამაცური მხნეობა: მრავალგვარი გაჭირვებისა და დაბრკოლებისდა მიუხედავად ყველასათვის ქვეყნის განახლებისა და აღმაშენებლობის გამამხნევებელი მაგალითი მიუცია. იმ დროს, როდესაც ქვეყანა "უსჯულოსა თემურის" ველური შემოსევის შემდეგ "უნუგეშინისცემოდ განსრული" იყო, საქართველოს დიდებული საყდრები და ციხე-ქალაქები დანგრეული და მრავალზე

---

[342] დამტ., 888.
[343] ქ˜კბი II, 224
[344] 1412-3 წ. მცხ. საბ., ისტ. სიგ. III, 8.
[345] ისტ. საბ. III, 9$_{14-16}$.

უმრავლესი სოფლები გადაბუგული იდო, თანაც "მუდმივი ტყუენვა და რბევა იყო საქართველოსა[346]", - აი ასეთ დროს მას, დედაკაცს, უკვე კარგა ხანშიშესულს, გული არ გაუტეხია და ბარბაროსთა ხელით დანგრეული ქართული ხელოვნებისა და ცხოველი სასოების მშვენიერი ძეგლის აღდგენას შესდგომია. ჭაბუკური აღტაცებით მიუყვია ხელი მას ამ დიადი საქმისათვის: "გამოჰკაზმა საყდარი და იწყო შენებად სუეტთა საყდრისათა." ის უკვე ოცნებობდა ალბათ გატაცებით იმ ბედნიერ წამზე, როდესაც დიდი შრომის დაგვირგვინებას ეღირსებოდა, მაგრამ მუხთალმა ბედმა და წუთისოფელმა, რომელიც ასე "ცრუ და მტყუანი, უნამუსო და უმდგომო არის", რასაკვირველია, "მან მისი ბეგარი არ დაიკლო" და ეგოდენ დიადი და მშვენიერი საქმის დამვთავრება არ დააცალა[347].თუნდაც რომ ანდერძად არ დაეტოვებინა, განა მის შვილიშვილს ალექსანდრე მეფეს თითონ კი შეეძლო უპატრონოდ და დაუმთავრებლად დაეტოვებინა ეს კეთილშობილური, სამაგალითო საქმე, რომელიც ყოველსავე მჭევრმეტყველ ანდერძის წიგნზე უფრო ძლიერად ღაღადებდა მისი ბებიისაგან დაწყებული აღმაშენებლობის დამთავრების ვალდებულებასა და აუცილებლობაზე? რუსას ფასდაუდებელ ღვაწლს ისიც შეადგენს, რომ მას თავისი შვილისათვისფასდაუდებელ ღვაწლს ისიც შეადგენს, რომ მას თავისი შვილიშვილისათვის, ალექსანდრე მეფისათვის – პირადი მაგალითით თუ სიტყვით და აღზრდით ქვეყნის კეთილდღეობაზე და აღმაშენებლობაზე ზრუნვის წყურვილი და მოვალეობის გრძნობა ჩაუნერგავს. ალექსანდრე მეფის მოღვაწეობის მთელს მიმზიდველობასა და დიდს ღირებულებას საქართველოსათვის მისი ფართო გეგმითა და გამჭვრეტელობით წარმოებული აღშენებლობა, თანაც დაუღალავი და მიზან-შეწონილი მუშაობა შეადგენს მტრისაგან განადგურებული ქვეყნისა და ერის აღსადგენად. უძვირფასესი ნიჭი და უნარია, როდესაც ერს, თუ კერძო პიროვნებას განსაცდელისა და გაჭირვების, სიკვდილისა და ნგრევის დროს აღორძინებისა და აღმაშენებლობის წყურვილი და ხალისი არ დაუკარგავს, ეს საღი საზოგადოებრივი სხეულისა და ადამიანის ძლიერი მაჯისცემა და ცხოველყოფელი დაუშრეტელი სიცოცხლის დამამტკიცებელია. ეს წყურვილი და გრძნობა კი ალექსანდრე მეფისათვის, როგორც ირკვევა მის ბებიას, დიდს ქართველს მანდილოსანს, რუსას ჩაუნერგავს.

ალექსანდრე მეფის ნათესაობა

ალექსანდრე მეფე თავის ბებიად რუსას სთვლის, არა ჩანს კი მამისა თუ დედის მხრით. თუ რუსა ალექსანდრე მეფის დედის დედა იყო, იქნება ის ქუცნა ამირეჯიბის მეუღლე რუსა იყოს, რომელთა ასული "დედოფალი ნათია" ეგების ალექსანდრე მეფის დედა ყოფილიყო. ქუცნა ამირეჯიბი თავისი აღაპების ნუსხაში თუმცა იხსენიებს - "ოთხი დღე მეუღლისა ჩემისა რუსასთჳს... სამი დღე მეფის ალექსანდრესათჳს, ორი დღე მეფისა კოსტანტინესთჳს, ერთი დღე დედოფლისა ნათიასთჳს, ორი დღე გიორგი მეფისა"[348], - მაგრამ არც მეფე ალექსანდრესი და არც დედოფალი ნათიას ნათესაობრივი დამოკიდებულება აღნიშნული არა აქვს და ამის გამო ზემომოყვანილი ცნობითგან არა ჩანს დედოფალი ნათია მართლაც ქუცნა-რუსას ასული იყო, თუ არა? არც ალექსანდრე მეფის შესახებ არის ნათქვამი, რომ ის ქუცნა-რუსას შვილიშვილი ყოფილიყოს.

ერთი რამ მაინც შეიძლება დანამდვილებით ითქვას: ალექსანდრე მეფის ბებია რუსა დედოფალი არ უნდა ყოფილიყო. ეს იმითა მტკიცდება, რომ თვით ალექსანდრე არსად

---

[346] **ალექსანდრე მეფის 1440 სიგ:** ქ˜კბი II, 247-248.
[347] 1412 წ. სიგ.: ისტ. საბ. III, 9.
[348] ქ˜კბი II, 209.

საბუთებში დედოფლად არ იხსენიებს, არამედ ყოველთვის მარტივად პატრონს უწოდებს, მაგ.: ”პატრონისა და ყოვლად სანატრელისა სულკურთხეულისა ბებიისა ჩემისა რუსასთუის”[349]. ”პატრონისა და მის სულკურთხეულისა ბებიისა ჩუენისა რუსასთუის”[350]. რუსა რომ დედოფალი ყოფილიყო, ალექსანდრე ამ გარემოებას აღუნიშვნელს არ დასტოვებდა და თავის ბებიას დედოფლათა-დედოფლობით მოიხსენიებდა. ხოლო თუ რუსა, ალექსანდრე მეფის ბებია, დედოფალი არ ყოფილა, ეს ცხადჰყოფს, რომ რუსა ალექსანდრეს დედის დედა იქნებოდა და არა მამისა. ამ მხრივ, მაშასადამე, არავითარი დაბრკოლება არ იქნებოდა, რომ ქუცნა ამირეჯიბის მეუღლე ალექსანდრე მეფის ბებია ყოფილიყო.

ნათია დედოფლის ვინაობის შესახებ გარკვეულს და გადამწყვეტ ცნობას ერთი სულთა მატიანითაგან თ. ჟორდანიას მიერ მოყვანილი XV საუკუნის ხელით ნაწერი აღაპი გვაძლევს, სადაც ნათქვამი ყოფილა: ”სულსა მის ყოვლისა აღმოსავლეთისა ვიდრე დასავლეთამდის ჴელმწიფედ ფლობით-მპყრობელსა მეფეთა შორის წარჩინებულსა ალექსანდრეს შეუნდოს ღმერთმან. სულსა დედისა მათისა ნათია-ყოფილისა ნინოსი შეუნდოს ღმერთმან”-ო[351]. მაშასადამე, ალექსანდრე მეფის დედას ნათია რქმევია ნათია დედოფალი მოლოზნად შემდგარა და ნინოდ წოდებულა. ნათიას შემონაზონების შემდგომ მისი შვილის ალექსანდრეს აღზრდა და მოვლა-პატრონობა უეჭველია მის ბებიას რუსას უკისრია და ალბათ სხვათა შორის ამ ჭირნახულობასა და ვალდებულობას ჰგულისხმობდა მისი მადლიერი შვილიშვილი მეფე ალექსანდრე თავის 1412 წ. სიგელში. ქუცნა ამირეჯიბის სიტყვითგან ჩანს, რომ დედოფალ ნათიას დიდხანს ვაჟიშვილი არ მისცემია და ამის გამო ”დედოფალი ნათია ვით უბედო ყოფილიყო”. როგორც მაშინ მიღებული იყო, იგი ძლიერს სალოცავებსა და ხატებს ეევედრებოდა და სხვადასხვა აღთქმას სდებდა, რომ მათი ოჯახი უძეობით არ გადაშენებულიყო. ბოლოს ნატვრა აუსრულდა კიდეც: ”შეეწყალა პატიოსანსა ულუმბისა ღვთისმშობელსა და მიეცა ძე”[352], რომელსაც დედ-მამამ ალექსანდრე დაარქვეს. დედოფალი ნათია თავის თავს იმდენად გაბედნიერებულად და შეწყალებულად გრძნობდა, რომ მოვიდა ”კახეთით” და ულუმბის ღვთის-მშობლის მონასტერს ”მოუტანა საქონელი ურიცხჳ” და შესწირა[353]. ეტყობა ნათია დედოფალს კახეთში მოულოგინნია და, ალექსანდრე ბატონიშვილი დაბადებულა თუ არა, აღთქმა მაშინვე აუსრულებია და შესაწირავი მიურთმევია ხატისათვის.

ალექსანდრეს მამისშვილობა

ალექსანდრე მეფის მამისშვილობის შესახებ ბატონიშვილი ვახუშტი თავის ისტორიაში ამბობს, რომ ის იყო კონსტანტინე მეფის ”ძმისწული” და ”ძე გიორგი მეფისა”. სახელოვან ქართველ ისტორიკოსსაც, როგორც ეტყობოდა, ამ საკითხის შესახებ პირდაპირი და უეჭველი უნობები არ ჰქონია და ამის გამო თავის აზრს შენიშვნაში ასე ასაბუთებს: ”ჰმოწმობს ბარათიანთ გუჯარი. რომელ ესე ალექსანდრე ძე არს გიორგი მეფისა”-ო[354]. მაშასადამე, ვახუშტის მტკიცება სწორად ამ საბუთზე ყოფილა დამყარებული.

ეს დასკვნა თვით ალექსანდრე მეფის შვილის გიორგი მეფის მკაფიო და უეჭველს განცხადებას სრულებით ეწინააღმდეგება. მცხეთის საკათალიკოზო მამულების 1447-48 წ.

---

[349] 1412 წ. სიგ.: ისტ. საბ. III, 8$_{40}$-9$_{1}$.
[350] იქვე, III,9$_{35-36}$.
[351] ქ˜კბი II, 208
[352] იქვე, 211-212.
[353] იქვე, 212
[354] ისტ. ბაქ. 297.

თავის გუჯარში ის ამბობს: ”ჟამსა პაპის ძმისა ჩუენისა მეფეთა-მეფისა გიორგისსა და მეფობასა... შინა მისსა მოსრულიყო” თემური საქართველოში. მერმე მშვიდობიანობა დამყარდა საქართველოში და ”შემდგომად ამისსა ღირს ყო ღმერმან მამა ჩუენი პატივსა მეფობისსა მოღებად”, რომელმაც სვეტიცხოვლის მცხეთის საყდარი განაახლაო[355]. ცნობილია და ქვემოთაც დავრწმუნდებით, რომ ამ სიგელის მიმცემი გიორგი მცხეთის განმაახლებელის ძე იყო. ზემომოყვანილი სიტყვებითგან, მაშასადამე, ირკვევა, რომ ის გიორგი მეფეთ-მეფე, რომლის დროსაც თემურის შემოსევა მომხდარა, მეფე ალექსანდრეს შვილის გიორგი მეფის ”პაპის ძმა” ყოფილა. აქეთგან ცხადია, რომ თვით ალექსანდრე გიორგი მეფეთა მეფის შვილი კი არ ყოფილა, არამედ ძმისწული.

მას შემდგომ, რაც ქუცნა ამირეჯიბის მიერ დაწესებულს აღაპებში მოხსენებულ პირთა ვინაობა ორის უკვე გარდა უკვე გამორკვეული გვაქვს, ვგონებ ალექსანდრეს მამის ვინაობის გამორკვევაც შეიძლება იმ აღაპებში მოხსენიებული იყვნენ რუსა, შემდეგ მეფე ალექსანდრე, მეფე კონსტანტინე, დედოფალი ნათია. გიორგი მეფე და სულ ბოლოს რუსუდან მეფე[356]. ამ პირთაგან რუსა ალექსანდრე მეფის ბებიაა და დედოფალ ნათიას დედა. მეფე ალექსანდრესა და მის დედას, დედოფალ ნათიას, შუა მოხსენიებული და მოქცეული მეფე კონსტანტინე ვინღა უნდა ყოფილიყო? თავისთავად იბადება აზრი, რომ კონსტანტინე მეფე ალექსანდრეს მამა, ხოლო ნათიას თანამეცხედრე უნდა ყოფილიყო. ჩვენ უკვე დავრწმუნდით, რომ ალექსანდრე მეფის მამის ძმად გიორგი მეფე ყოფილა. აქაც, ამ აღაპების სიაშია კონსტანტინე-ნათიას ხსენებას გიორგი მეფის სახელი მისდევს და შესაძლებელია იგი სწორედ ალექსანდრე მეფის მამა კონსტანტინე მეფის ძმა იყო[357]. მართლაც, როგორც ვიცით, გიორგი მეფეთა-მეფეს, ბაგრატ მეფეთ-მეფის ძეს, რომელთა დროსაც თემურის საზარელი შემოსევა მოხდა საქართველოში, ჰყავდა ძმა კონსტანტინე, რომელიც შემდეგ მეფედ დაჯდა[358]. მაშასადამე, ირკვევა, რომ ალექსანდრე მეფე კონსტანტინე მეფისა და ნათია დედოფლისშვილი და მართლაც გიორგი მეფეთა-მეფის, ბაგრატის ძის, ძმისწული უნდა ყოფილიყო. თუმცა გიორგი მეფეთ-მეფეს კონსტანტინეს გარდა კიდევ ერთი ძმაც ჰყავდა დავითი, მაგრამ ის არც ზემომოყვანილს აღაპებშია ნახსენები და არც მეფედა ჩანს.

ჩვენ ზემომოყვანილ დასკვნას ალექსანდრე მეფის მამიშვილობის შესახებ ერთი 1407 წ. სიგელის დასაწყისიც საუცხოოდ ამტკიცებს. იქ ნათქვამია: ”სახელითა ღმრთისათა კოსტანტინესაგან ბაგრატიონისასა, ძისა ბაგრატისა, და ძეთა ჩვენთა სასურველთა ალექსანდრე, ბაგრატ და გიორგისაგან ნებითა ღ˜თისათა აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა მეფეთა შარვანშა და შანშე (sic) და ყოვლისა აღმოსავლეთისა... ჴელმწიფედ თუით-მფლობელმპყრობელთასა”-ო[359]. მაშასადამე, აქ უკვე პირდაპირ არის ნათქვამი, რომ ალექსანდრე, რომელიც 1408 წ. ჯერ კიდევ ბატონიშვილი იყო მხოლოდ და რომელსაც, როგორც თვით ალექსანდრეს ქვემომოყვანილი სიგელებითგანა ჩანს, მართლაც ორი ძმა-ბაგრატი და გიორგი–ჰყოლია, სწორედ კონსტანტინე მეფის ძე და, ეტყობა, პირმშო შვილი ყოფილა.

ალექსანდრეს სახლობა

---

[355] **ს. კაკაბაძე,** 3[10-12, 24-25] და ქ˜კბი II, 259.

[356] ქ˜კბი II, 209.

[357] არა ჩანს, რატომ არის რუსუდან მეფე მოქცეული აღაპების ამ სიაში. თ. **ჟორდანიას** ეგონა, რომ “როგორც გამაძლიერებელი ამირეჯიბთ გვარისა” (ქ˜კბი II, 209, შენ. 8), მაგრამ არ ვიცი რამდენად მართალია ეს განმარტება.

[358] იხ. **ივ. ჯავახიშვილი,** ქ˜ლი ერის ისტორიის III წიგნი.

[359] საქ. სძ˜ვლნი III, 434.

სიგელების საშუალებით ალექსანდრე მეფის ოჯახობის შედგენილობის და თანდათანი ზრდის გამორკვევაც შეიძლება. თავის პირველსავე შენახულს სიგელში მეფეს ორი შვილი ჰყავს მოხსენებული: "ძეთა ჩემთა... ვახტანგ და დიმიტრი"[360]. 1414 წ. სიგელშიაც იგივე შვილები არიან მოხსენიებული და მათთან ერთად არიან დასახელებული ალექსანდრეს ძმებიც. იქ სწერია: "ჩვუენ მეფეთა მეფემან ალექსანდრე და ძეთა ჩვუენთა ვახტანგ და დიმიტრი და ძმათა ჩვუენთა ბაგრატ და გიორგი"-ო[361]. 1417 წ. საბუთში, რომელსაც თავი აკლია, უკვე ალექსანდრე მეფის მესამე და მეოთხე შვილიც იხსენიება. იქ სახელდობრ ნათქვამია: "ძეთა ჩვენთა ვახტანგ, დემეტრე, გიორგი, დავით"[362]. ორი წლის შემდეგ დაწერილს სიგელში ალექსანდრეს თანამეცხედრეცაა მოხსენებული და სხვა მხრივაც საყურადღებო ცნობა მოიპოვება. მეფე ამბობს იქ: თანამეცხედრემან ჩემმა დედოფალთა-დედოფალმან თამარ და ძეთა ჩუენთა სათნომან ღ˜თისამან და ჩვუენ მიერ... საწადელმან მონაზონმან დავით, ვახტანგ, დიმიტრი და გიორგი და ძმათა ჩუენთა ბაგრატ და გიორგი"[363]. აქედგან ცხადი ხდება, რომ ალექსანდრე მეფეს თავისი უმცროსი შვილი დავითი 1417-1419 წ. მონაზონად შეუყენებია. მაგრამ უკვე ბერად აღკვეცის დროს მამა თურმე თავის შვილს მომავალში დიდი თანამდებობისათვის ამზადებდა: თუ ღმერთმა დღეგრძელობა მისცა "ძე ჩუენი მონაზონი დავით" თვით ქართლისა კათოლიკოზის მიქაელის "მერვე ჴელდასხმულ იქმნას"-ო[364]. 1424 წ. სიგელში ალექსანდრე მეფეს სრულებით გარკვევითა აქვს თავისი სურვილი გამოთქმული და ცხადი ხდება, რომ შემონაზონებულს ბატონიშვილს დავითს საკათოლიკოზოდ ამზადებდა. ეს სიგელი გიბოძეთო, ამბობს ალექსანდრე, მე და "ძეთა ჩუენთა... დედა-ქალაქისა მცხეთისა პატრიარქად განმზადებულმან მონაზონმან დავით, ვახტანგ, დიმიტრი და გიორგი", შემოგწირეთო "თქუენ... ქაართლისა კათოლიკოზსა მიქაელს და თქუენ მიერ აღზრდილსა და კათოლიკოზად... განმზავდებულსა... საწადელსა ძესა ჩუენსა მონაზონსა დავითსა"-ო[365].

ალექსანდრე მეფის შემონაზონებული ძის დავით ბატონიშვილის მერმინდელი ბედიღბლის შესახებ ცნობები არეულია. თ. ჟორდანიას მოყვანილი აქვს ორი სიგელი: ერთი 1426 წ., ხოლო მეორე 1428 წ., რომელშიაც დავითი უკვე ქართლისა კათოლიკოზად იხსენიება: "ჩვუენ მეფეთ-მეფისა ალექსანდრესაგან... და ძეთა ჩუენთა ქართლისა კათოლიკოზისა და[ვით]ისაგან, ვახტანგ, დიმიტრი და გიორგისაგან"[366], "თქვენ... ქართლისა კათოლიკოზო დავით[367]. მაგრამ ამ ცნობას ცხადად ეწინააღმდეგება სხვა სიგელის ცნობები. ალექსანდრე მეფე რომ ტახტზე ავიდა, "ამავე ჟამსა დაიდგნა პატრიარქად... კათოლიკოზი მიქაელ"[368]. მაშასადამე, 1412 წ. კათოლიკოზად მიქაელი დაუსვამთ, რომელიც 1419 წ[369]. და 1424 წ[370]. ჯერ კიდევ კათოლიკოზად ჩანს[371]. ხოლო 1427 წ. სიგელში კათოლიკოზად უკვე თეოდორეა

---

[360] 1413 წ. სიგ.: ისტ. საბ. III, 8$_{7-8}$.
[361] ისტ. საბ II., 3$_{3-5}$.
[362] ქ˜კბი II, 223.
[363] 1419 წ. სიგ. : ისტ. საბ. III, 11$_{7-11}$.
[364] 1419 წ. სიგ.: ისტ. საბ. III, 12.
[365] ქ˜კბი II, 228.
[366] ქ˜კბი II, 229.
[367] ქ˜კბი II, 231.
[368] 1419 წ. სიგ: ისტ. საბ. III, 12.
[369] იქვე.
[370] ქ˜კბი II, 228.
[371] თუმცა 1419 წ. სიგ-ში კ˜ზი შიოც იხსენიება (ქ˜კბი II, 224-225), რომელიც იქნება "აფხაზეთისა კ˜ზი" იყო? 1419 წ. სიგ-ის ბოლოს სწერია "ქართლისა და აბხაზეთისა კზ˜ნი", (იქვე II, 224).

მოხსენიებული[372], რომელიც 1428 წ.[373], 1429 წ.[374], 1431 წ.[375], 1433 წ.[376], და 1434 წ.[377], ცოცხალი ჩანს, და მხოლოდ 1438 წ. სიგელში კათოლიკოზად უკვე დავითი იხსენიება[378], მაგრამ არ ეტყობა რომ ის ნაბატონიშვილარი იყოს. ხოლო რაკი ის ორი საბუთი, რომელშიაც კათოლიკოზი დავითი 1426-1428 წ. იხსენიება, დედანი კი არ არის, არამედ პირი, ამიტომ ამ ცნობებს გულდასმით უნდა განხილვა.

1428 წ. სიგელში მეფე ალექსანდრე უკვე თავის მეხუთე შვილსაც იხსენიებს, რომელსაც სახელად ზაალი რქმევია, და დავითის გარდა საბუთში ჩამოთვლილია ვახტანგ, დიმიტრი და ზაალ[379]. თუ ამ საბუთს არ ვენდობით, მაშინ 1428-29 წ.[380] და 1433 წ. სიგელების ცნობა ხომ სრულებით უეჭველია. ამ უკანასკნელში, მაგ., ნათქვამია: "ძეთა ჩუენთა მეფისა ვახ[ტანგისა], დიმიტრი, გიორგი და ზაალისაგან"[381].

მაგრამ საყურადღებოა, რომ 1438, 1438-39 და 1441 წ. სიგელებში ალექსანდრე მეფე ზაალს თავისი შვილთა შორის უკვე აღარ ასახელებს და იქ მხოლოდ ვახტანგი, დიმიტრი და გიორგი[382] იხსენიება[383]. იქნებ ზაალი 1438 წ. ან ცოტა უწინ გარდაიცვალა? განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ თავის სიცოცხლეშივე, 1433 წ. სიგელში, თვითვე მეფე ალექსანდრე სრულებით მოულოდნელად თავისს უფროს შვილს ვახტანგს მეფის წოდებულობით იხსენიებს: "ძეთა ჩუენთა მეფისა ვახ[ტანგისა], დიმიტრი გიორგი და ზალისაგან"-ო[384]. აქ რომ არავითარი შეცდომა არ უნდა იყოს, ამას ის გარემოებაც ცხადჰყოფს, რომ მეორე ამგვარივე შინაარსის საბუთიც არსებობს, იმავე 1433-34 წელს დაწერილი[385]. 1438-39 წ. ერთს სიგელში ალექსანდრე მეფე კიდევ იხსენიებს ვახტანგს მეფედ: "მეფეთ-მეფემან ალექსანდრე, თანამეცხედრემან ჩუენმან დედოფალთა-დედოფალმან თამარ და ძეთა ჩუენთა მეფემან ვახტანგ, დიმიტრი და გიორგი"-ო[386]. ეს საბუთი ცოტა საეჭვოა. ამავე 1438 წ. სიგელში, რომელიც, ვითარცა 126 ქრონიკონს დაწერილი, ზემოაღნიშნულს, 127 ქრონიკონს, 1438-39 წ. ნაბოძებს საბუთზე ადრინდელია, მეფე ალექსანდრე თავის ძეს ვახტანგს მეფედ არ იხსენიებს[387]. ამგვარადვე მეფედ არა ჰყავს ალექსანდრეს მოხსენებული ვახტანგი 1441 წ. სიგელშიაც[388]. უეჭველია შემთხვევითი მოვლენა არ უნდა იყოს ის გარემოება, რომ ალექსანდრე მეფე თავის სიცოცხლეშივე 1433 წ. ვახტანგს მეფედ და, მაშასადამე, თანამოსაყდრედ ასახელებს, ამგვარადვე, როგორც უბრალო შემთხვევა არ იქმნება, რომ 1438 წ-ის შემდგომ მამას იგივე ვახტანგი საბუთებში მეფედ აღარსადა ჰყავს მოხსენებული. მაგრამ ამის ნამდვილი მიზეზი ცნობების უქონლობის გამო ამჟამად სრულებით გაუგებარია.

---

[372] ქ˜კბი II, 230.
[373] ისტ. საბ. III, 13.
[374] ქ˜კბი II, 235 დან ისტ. საბ. III, 13-14.
[375] ქ˜კბი II, 237-238.
[376] ისტ. საბ. II, 4 და 5.
[377] ქ˜კბი II 243.
[378] ისტ. საბ. III, 20.
[379] ქ˜კბი II, 231.
[380] ქ˜კბი II, 235. შეად. ისტ. საბ. III, 13.
[381] ისტ. საბ. III, 15 და ქ˜კბი II, 239.
[382] ისტ. საბ. III, 18, 20 და 23.
[383] **თ. ჟორდანიას** მხოლოდ 1442 წ. დაზიანებულს სიგელშია ზაალი მოხსენებული, რომელიც XVII საუკ. პირის მიხედვით აღუდგენია, მაგრამ რამდენად სწორია ეს პირი, არა ჩანს (ქ˜კბი II, 253).
[384] ისტ. საბ. III, 15.
[385] იქვე, 17.
[386] იქვე, 26.
[387] იქვე,18.
[388] იქვე, 23.

ალექსანდრე მეფის თანამეცხედრე

საყურადღებო გარემოებაა, რომ ალექსანდრე მეფის თანამეცხედრე დედოფალთ-დედოფალი თამარ პირველად იხსენიება მხოლოდ 1419 წ. სიგელში. მაგრამ საფიქრებელია, რომ უკვე 1417 წ. სიგელში, რომელსაც თავი აკლია[389], თამარი უნდა მოხსენიებული ყოფილიყო. სამაგიერორდ გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ალექსანდრე მეფის პირველს ორს სიგელში 1413 და 1414 წ.[390], რომლებმაც კი ჩვენამდის მოაღწია, თამარის ხსენება არ არის და არც ყოფილა. მისი ორი შვილი კი, ვახტანგი და დიმიტრი, ამ ორსავე საბუთში აღნიშნული არიან. იმავე დროს 1413 წ. სიგელის ბოლოში სერია: "მეფეთა-მეფესა ალექსანდრეს პატრონსა, დედოფალთა დედოფალსა პატრონსა დულანდუხტ შემოგვიწირავს და მოგუიჴსენებია"-ო[391]. ალექსანდრე მეფე რომ ტახტზე ასვლამდე უნდა ცოლიანი ყოფილიყო, ამას ის გარემოებაც ამტკიცებს, რომ პირველსავე თავის 1413 წ. სიგელისდა თანახმად ალექსანდრე უკვე ორი შვილის, ვახტანგისა და დიმიტრის, პატრონი ყოფილა. რაკი არც 1413 წ. და არც 1414 წ. სიგელში თამარი დედოფლად და თანამეცხედრედ არა ჩანს, ამიტომ საფიქრებელია, რომ ის ვახტანგისა და დიმიტრის დედა არ ყოფილიყოს. ამასთანავე ეჭვი იბადება, რომ იქნება სწორედ მათი დედა იყო ის "დედოფალთა-დედოფალი პატრონი დულადხტ", რომელიც 1413წ. სიგელში ბოლოში ალექსანდრესთან ერთად შემწირველად არის მოხსენიებული[392]. უცნაურია მხოლოდ, თუ რატომ თვით სიგელის შესავალში არ მოიხსენია დულანდუხტი ალექსანდრემ, თუ იგი მართლაც მისი თანამეცხედრე იყო.

თუ აქ რაიმე გაუგებრობა არ არის და ალექსანდრე მეფეს მართლაც ორი თანამეცხედრე ჰყავდა, რომელთაგანაც მეორეს თამარი ერქვა, მაშინ ბუნებრივად იბადება საკითხი, თუ როდის უნდა შეერთო ალექსანდრეს მეორე ცოლი? რაკი 1417 წ. სიგელში უკვე ალექსანდრე მეფის ორი შვილიც გიორგი და დავითიც იხსენიება, ამიტომ ცხადია, გიორგი ბატონიშვილი დაახლოვებით 1415 წ. დასასრულს უნდა დაბადებულიყო. ხოლო თამარს მეფე ალექსანდრე, ალბათ, 1414-1415 წ. მოიყვანდა თანამეცხედრედ.

2. ალექსანდრე მეფის სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა

საქართველოს გარეშე მტრისაგან უზრუნველყოფა

მალის ამოკვეთილობის შესახებ სიგელში 1440 წ. ალექსანდრე მეფე თავისი პირველს პოლიტიკურს და სახელმწიფოებრივს მოღვაწეობას ასე გვიხატავს. თემურმა რომ შემოსევის დროს საქართველო ააოხრა, მრავალი სული დახოცა და ტყვედ წაიყვანა, საყდრები ეკლესიები და ციხეები დააქციაო და "ჩუენის მეფობისა დაჭირვადმდე მუდამი ტყუენვა და რბევა იყო საქართველოსა"-ო. ქვეყანა უმწეო მდგომარეობაში იმყოფებოდა: "მოოჴრდა და იავარ იქმნა და ყოველადვე ძალი და ნუგეშინისცემა არსით ჰქონდა"-ო. გამეფებისთანავე "ვიწყე ბრძოლად უსჯულოთა და განვასხენ მზღუართაგან ჩუენთა და ქრისტიანენი ფრიადსა მშჯდობასა და

---

[389] ქ˜კბი II, 223.

[390] ისტ. საბ. III, 8 და II, 3.

[391] იქვე, 10.

[392] ისტ. საბ. III, 19[19-20].

მყუდროებასა მიეცნეს”-ო, ამბობს ალექსანდრე მეფე[393]. მაშასადამე მონღოლთა წინააღმდეგ მრძოლა და მათი საქართველოთგან განდევნა, ქვეყნის დაწყნარება და გარეშე მტრის შემოსევისაგან უზრუნველყოფა, ალექსანდრეს სწორედ თავისი სახელმწიფოებრივისა და სამხედრო მოღვაწეობის პირად ღვაწლად მიაჩნია. ამ გარკვეულსა და უთუმაცო ცნობას თვით ალექსანდრე მეფისავე ერთი უფრო ძველი სიგელის მკაფიო ცნობა თუ არ ეწინააღმდეგება, საგრძნობლად ასუსტებს მაინც. სახელდობრ 1412-13 მცხეთისადმი ბოძებულს შეწირულობის წიგნში იგივე მეფე თავის თავზე ამბობს: ”მე... ორისავე სამეფოსა მტკიცედ, შეუჭრეთლად და შეურეველად მპყრობელმან... მეფეთ-მეფემან ალექსანდრე” შემოგწირე ისეთს დროს, როდესაც ”აჰა ესერა ბრწყინვენ ოთხნივე კედარნი მეფობისა ჩუენისანი და... [აგარის ნათესავნი, მტერნი და წინააღმდეგნი ქრისტიანეთანი] სამარადისოდ ლტოლვილ და უკუნქცეულ არიან”-ო[394]. სწორედ ამგვარივე სიტყვებია ნახმარი და იგივე აზრია გამოთქმული ალექსანდრეს 1419-20 წ. სიგელშიაც[395]. განსაკუთრებული მნიშვნელობა, რასაკვირველია, პირველი საბუთის ცნობასა აქვს იმიტომ, რომ ის ალექსანდრეს მეფობის ”ინდიკტიონსა ... პირველსა”[396], ანუ მეფობისა პირველსავე წელიწადს არის დაწერილი. მაშასადამე, მაშინვე, როდესაც ალექსანდრე მეფედ დამჯდარა, მტრები უკვე ”სამარადისოდ ლტოლვილი უკუნქცეული” ყოფილან. თუ მეფობის დასაწყისშივე საქართველო გარეშე მტრებისაგან მაჰმადიან-მონღოლებისაგან განთავისუფლებული ყოფილა, მაშინ ცხადია, რომ ალექსანდრე მეფის მერმინდელი, 1440 წ. ცნობა, სწორედ მე ”ვიწყე ბრძოლად” და მტერი საქართველოს საზღვრებითგან განვდევნეო, სიტყვა-სიტყვით არ უნდა გავიგოთ ერთგვარ გადაჭარბებად მივიჩნიოთ.

მაგრამ, თუ თემურის შემოსევისა და მონღოლთა თავდასხმის მოგერიება უეჭველია ალექსანდრე მეფის პირადს ღვაწლს არ შეადგენდა, 1441 წ. კონსტანტინე მეფისა და ლაშქრის ყარა-ჲუსუფის ხელში ტყვედ ჩავარდნა და გამარჯვებული მტრისაგან მათი დახოცვა, საქართველოს მოწინააღმდეგე ”აგარიანთა ნათესავებს” თურქ ელებს უეჭველია გაათამამებდა და გააკადნიერებდა. მეზობლებიც აიშლებოდნენ და თავდასხმას მიჰყოფდნენ ხელს. ასეთ პირობებში, ცხადია, საქართველოში ”ტყუენვა და რბევა” თუ ”მუდამი” არა, როგორც, ალბათ, გაზვიადებით ნათქვამი აქვს მეფე ალექსანდრეს, იშვიათი მაინც არ იქნებოდა, როცა ალექსანდრე მეფედ დაჯდა, მას უეჭველია ჯერ გათამამებული მტრის ალაგმა-უკუქცევა დასჭირდებოდა, რომ მშვიდობიანი აღმაშენებლობითი მუშაობა საქართველოში შესაძლებელი გამხდარიყო.

ალექსანდრე მეფის მოღვაწეობა ქვეყნის მთლიანობის აღდგენისა და გამტკიცებისათვის

ვახუშტს ნათქვამი აქვს, ვითომც ალექსანდრე მეფემ ”კვალად მოიყვანა დიმიტრი ძე ალექსანდრესი და მისცა ერისთაობა იმერეთისა, რამეთუ ამის დიმიტრის დაჲ კოსტანტინე ბიძისა თვისისა სიცოცხლესავე შინა მოეყვანა ალექსანდრეს ცოლად თამარ და ექმნა ქორწილი და ამით დაამშვიდნა იმერნი და დიმტრი ერისთაობდა მორჩილებასა შინა ალექსანდრესსა”-

[393] ქ˜კბი II, 248.
[394] ისტ. საბ. III, 8[4-5 11].
[395] იქვე, 11[5-7, 14-17].
[396] ისტ.საბ. II, 10[14-15].

ო[397]. ეს ცნობა მეტად საყურადღებოა, მაგრამ არ ჩანს, საითგან არის ამოღებული და არც ვიცით, რაიმე წყაროზეა დამყარებული, თუ თვით ისტორიკოსის კვლევა-ძიების ნაყოფს შეადგენს? როგორც ზევით თავის ადგილას დავრწმუნდით, ვახუშტი ალექსანდრე მეფის მამად შეცდომით გიორგი მეფესა სთვლის და აქაც კონსტანტინე მეფეს ალექსანდრეს ბიძად ასახელებს, რაც შეცდომაა.

მაინც საყურადღებოა სახელოვანი ისტორიკოსის ცნობა, რომ თამარი იმერეთის შტოს წარმომადგენელი იყო და რომ მისი შერთვით ალექსანდრე მეფეს პოლიტიკური მიზნის მიღწევაც სწადდა და ამით დასავლეთ-აღმოსავლეთ საქართველოს უფრო მჭიდრო მომტკიცება სურდა. რამდენად სამართლიანია საერთოდ მთელი ცნობა და შეხედულება, ჯერ ძნელი სათქმელია, მაგრამ თამაშის შერთვის ამბავი ჯერ კიდევ კონსტანტინე მეფის სიცოცხლეში თითქოს არა მართლდება თვით ალექსანდრე მეფის საბუთებითვე, რომლებშიაც თამარ დედოფალი თავითგანვე არ იხსენიება: იგი 1212-1424 წ. არა ჩანს იმ დროს, როდესაც ერთს ამგვარს საბუთთაგანს ალექსანდრე მეფის გვერდით დულანდუხტ დედოფლის სახელი აქვს მოხსენებული.

ბატონიშვილი ვახუშტის სიტყვით, სანამ ალექსანდრე მეფედ იკურთხებოდა, გამეფებისთანავე ჯერ სამეგრელოში, ხოლო შემდეგ აფხაზეთში გადასულა ლაშქრით და ქვეყანა მოუმტკიცებია. მეფის გალაშქრება იმ გარემოებას გამოუწვევია, რომ მამია დადიანს აფხაზეთის დამორჩილება მოუწადინებია, მაგრამ აფხაზეთში რომ მისულა შარვაშიძეს სასტიკად დაუმარცხებია, თვით მამია დადიანი მოუკლავს, ხოლო ჯარის ნაწილი ამოუხოცია, ნაწილი განუდევნია. ამ ამბის გაგონებაზე მეფე ალექსანდრე ქვეყნის აშლის შიშით სწრაფად სამეგრელოში გადასულა. მას მიჰგებებია მოკლული მამიას შვილი ლიპარიტი, რომელსაც მამის შეცდომის შენდობა უთხოვნია. ალექსანდრე მეფეს უპატიებია და ლიპარიტ დადიანი სამეგრელოს მთავრად დაუსვამს. შემდეგ ლიპარიტისავე თანხლებით აფხაზეთში ჩასულა, რომლის მთავარს შარვაშიძესაც მეფისათვის მორჩილება გამოუცხადებია[398]. ასე სათავეშივე ჩაუქრია ალექსანდრე მეფეს შინაური არეულობა და მიხდომ–მოხდომის დასაწყისი.

მეცნიერი ბატონიშვილის ზემომოყვანილი მოთხრობის ცოტად თუ ბევრად დამადასტურებელი მხოლოდ ერთი მეტად მოკლე ცნობა მოიპოვება კინკლოსში. იქ ნათქვამია მარტო: 1414 წ. ”ქ˜კს: რბ. (102) მოკლეს აბხაზთა მამია და დაჯდა ძე მისი ლიპარიტ”[399]. ახალი ამ ცნობაში მხოლოდ თარიღია, რაც ვახუშტის თავის წყაროებში, როგორც ჩანს, ვერ მოუნახავს. მისი შინაარსი ასე თუ ისე ვახუშტის მოთხრობის პირველს ნაწილს ადასტურებს. მამიას შვილის სამეგრელოს მთავრად დაჯდომის შესახებ კი კინკლოსში არაფერია ნათქვამი, რომ იგი ალექსანდრე მეფემ დასვა. საზოგადოდ, რაკი კინკლოსში მეფე ალექსანდრე სულებით არ იხსენიება, ამიტომ ვახუშტის მოთხრობის მთელი მეორე და უმნიშვნელოვანესი ნაწილის შესახებ აქ დამამტკიცებელი ცნობა არა ჩანს

ესევე სათავეში ჩაუქრია ალექსანდრეს მესხეთის ათაბაგის ურჩობა. ვახუშტის სიტყვით ალექსანდრე მეფეს შეუტყვია, რომ ათაბაგი განდგომას აპირებდა. მეფემ ქედფიცხელი მთავარი გააფრთხილა და მშვიდობიანად ყოფნა ურჩია. მაგრამ ათაბაგი ამის საპასუხოდ თავისი ჯარის შეგროვებას შეუდგა და იმეფე ალექსანდრეს წინააღმდეგ გაილაშქრა. მეფე მაშინ კოხტას თავს მდგარა. ფიცხელ ომში ათაბაგი საშინლად დამარცხდა და ტყვედ მეფეს ჩაუვარდა ხელში. ეს ბრძოლა ვახუშტის სიტყვით 1415 წ. მომხდარა. ათაბაგის შეპყრობის შემდგომ მეფე ”შევიდა

---

[397] **ვახუშტი,** ისტ. 298.
[398] **ვახუშტი,** ისტ. 297- 298.
[399] დადიანის ქ˜კა: ქ˜კბი II, 221.

სამცხეს და დაიპყრნა ყოველნი ციხენი და ექსორიაჰყვნა ურჩნი და რომელნიმე უმკვიდრო ჰყვნა და დასხნა ერისთავნი თვისნი". დატუსაღებულმა ათაბაგმა ახლა კი შენდობა–პატიების თხოვნა და ერთგულების შეფიცვა იკადრა. ალექსანდრე მეფემ აპატია, "განაგნა და დაამშვიდნა მუნებურნი სიბრძნე-მეცნიერებითა თვისითა და მოვიდა ტფილისს"[400]. ამ ამბავს მოკლედ, მაგრამ არსებითად ადასტურებს ორი კინკლოსის ცნობა, რომელებშიაც ნათქვამია: 1414 წ. "ქ˜კს: რბ: (102) მეფე ალექსანდრე და ივანე ათაბაგი კოხტას შეიბნეს"-ო[401]. ამ ცნობაში, მაშასადამე, ურჩი და აჯანყებული ათაბაგის სახელიც არის აღნიშნული, რითაც ვახუშტის მოთხრობას სწორედ ის გარკვეულობა ენიჭება,რომელიც მას უსახელობის გამო ასე ცხადად აკლდა. კოხტა, სადაც მეფე ათაბაგს შორის ბრძოლა მომხდარა, ციხე იყო, რომლის ნანგრევები ეხლაც არსებობს. კოხტას ციხე ასპინძის ცოტა ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარეობდა კინკლოსის ცნობა 1414 წ., ე. ი. ერთი წლით უფრო ადრე სდებს კოხტას თავს მომხდარი ბრძოლის თარიღს, ვიდრე ვახუშტი, და ასეთი განსხვავება მეცნიერ ისტორიკოსის შრომაში შესაძლებელია მისი წყაროთგანვე მიმდინარეობდეს. რაკი სამეგრელო-აფხაზეთის ამბები, როგორც დავრწმუნდით, 1414 წ. მომხდარა, ხოლო ვახუშტისავე ცნობით ათაბაგთან ბრძოლა იმ ამბებს მისდევდა და ახლოხანში უნდა მომხდარიყო, ამიტომ საფიქრებელია, რომ კინკლოსის ცნობა უფრო სწორი უნდა იყოს, ან არადა, თუ კოხტას თავის ბრძოლა მართლაც 1415 წ. მოხდა, მაშინ ამ წლის დამდეგს უნდა მომხდარიყო.

კინკლოსებს შენახული აქვთ ერთი საყურადღებო ცნობა, რომლის მსგავსი სხვა ქართულ წყაროებში არ გვხვდება. 1416 წ. " ქ˜კს: რდ (104): თურქთა ახალ-ციხე ამოაგდეს"-ო[402]. ეს ამბავი მეორე ხელნაწერში ერთი წილით მერმინდელი თარიღით " ქ˜კს: რე:"[403] ანუ 1417 წ. არის აღნიშნული. ეს მოკლე ცნობა პირველი რედაქციით უნდა იყოს სამართლიანი. დაწვრილებითი ცნობები ამის შესახებ სომეხთა ისტორიკოსის თომა მეწობელის თხზულებაშია შენახული. მართლაც 1416 წ-ს თომა მეწობელის სიტყვით საქართველოს თურმე მტერი შემოესია. ამ შემოსევის მიზეზად ერთი გაქრისტიანებული სპარსელის უგუნური და აღმაშფოთებელი საქციელი ყოფილა. ის ქალაქ ახალციხეში მისულა და ერთხელ, ღორის ხორცი უჭამია, ქართველ და სომეხ ყმაწვილებთან ერთად ღორის ძვლები მაჰმადიანთა მიზგითში შეუყრია. ასეთი უგვანო საქციელით ადგილობრივ მაჰმადიანთა სარწმუნოებრივი გრძნობა, რომელიც ღორის ხორცს უწმინდურად სთვლის, რასაკვირველია, შელახული უნდა ყოფილიყო. თუმცა მესხეთის მთავარი ივანე აღბუღას ძე (სომხური, ძე არღბუღასი ივანე) მაჰმადიანთა დიდს მფარველობას უწევდა და თომა მეწობელის სიტყვით ვითომც ქრისტიან ქვეშევრდომებზე უფრო მაღლა აყენებდა, მაგრამ მაინც მათი გულისწყრომა იმდენად ძლიერი ყოფილა, რომ ვალაშკერტში (სომხური) მისულან და ყარა-ჲუსუფისათვის შეუჩივლიათ საქართველოში ასეთი საქმე შეგვამთხვიესო.

ყარა-ჲუსუფმა თვითონაც მართლა აღშფოთებულმა, თუ მხოლოდ მარჯვე შემთხვევით გახარებულმა, საქართველოსაკენ გამოილაშქრა და ახალციხეს მიადგა. ადგილობრივ მაჰმადიანთა შინათგამცემლობის წყალობით, ქალაქი აღებულ იქნა. ხმალი შეუბრალებლივ ტრიალებდა შურისძიებით განძვინებული მტრის ხელში, რომელმაც მთელი ეს კუთხე აიღო და ტყვედ წაიყვანაო[404]. მაგრამ ეს შემოსევა უფრო უბრალო შურისძიებასა და თავდასხმას მიაგავს,

---

[400] **ვახუშტი**, ისტ. 298.
[401] ქ˜კბი II, 221.
[402] ჩხეიძის ქ˜კა: ქ˜კბი, II, 223.
[403] იქვე.
[404] **თ. მეწობელის** ისტ., 77-8.

ვიდრე ომს. მაინცდამაინც ყარა-Ძუსუფი, როგორც ეტყობა, ამით დაკმაყოფილებული და მის მოქმედებას არავითარი ფართო პოლიტიკური ზრახვა არ ემჩნევა.

ალექსანდრე მეფე სრულიად საქართველოს მბრძანებელი იყო: მას "ორივე სამეფო" ემორჩილებოდა და ეს გარემოება ხაზგასმით აქვს აღნიშნული თავის სიგელებშიაც. "მე...ორისავე სამეფოსა მტკიცედ, შეუჭრეთლად და შეურყევლად მპყრობელმან აფხაზთა და ქართველთა მეფეთა მეფემან ალექსანდრე"-მაო[405],"ჩუენ... ორთავე სამეფოთა ტახტისა მპყრობელმან... მეფეთა მეფემან ალექსანდრე"-ო[406].

ალექსანდრე მეფე ტყუილად არ სთვლიდა თავის თავს ორისავე სამეფოსა და ტახტის მპყრობელად. აღმოსავლეთ-დასავლეთი საქართველო გაერთიანებული და გზებიც გახსნილი ყოფილა. ეს ქუცნა ამირეჯიბის სიგელითგანაც ჩანს, სადაც ქართლ-იმერეთის საზღვრებზე მდებარე ქ. ალისათვის ბეგრად აღნიშნულია "ულაყი აქათ თბილისადმი და იქით ქუთაისამდი"[407]. თბილის-ქუთაისს შუა, მაშასადამე, პირდაპირი მიმოსვლა და გზა ყოფილა მაშინაც.

ჩრდილოეთის კარიც დარიალანიც ალექსანდრე მეფისა და საქართველოს ხელში იყო. 1439 წ. მეფის ბრძანებით ხეობათა შორის დადებული ხელშეკრულება[408] გვიჩვენებს, რომ ამ კუთხის ამაყი და თავისუფლების მოყვარული მკვიდრი მცხოვრებნიც ალექსანდრე მეფის სიტყვის უცილობელ ბრძანებად სთვლიდნენ.

ლორის ციხის აღება და საქართველოსთან შემოერთება

1431 წ. მრავალი კინკლოსის ცნობით "მეფემან ალექსანდრე ლორე აიღო"[409]. ამ ცნობის სიმართლეს მეფე ალექსანდრეს 1433 წ. მცხეთის სიგელიც ადასტურებს. ლორის ციხე თურმე ყოფილა "მიტაცებული აგარეანთაგან"[410]. ამ დიდმნიშვნელოვანი ციხის წინააღმდეგ გალაშქრებაში სიტყვით და ჩაგონებით მხურვალე მონაწილეობა კათალიკოზ თეოდორეს მიუღია. მას თურმე "ლაშქართა მიმცნებითა" და დარიგებით მებრძოლთა სულიერი განწყობილება განუმტკიცებია. ბრძოლის წინ კათალიკოზი ამხნევებდა და მამულიშვილურ გრძნობებს უღვივებდა: გახსოვდეთ, რომ "ამა უსჯულოთა აგარის ნათესავთა ანდრონიკეს შვილი ალასტანელი გიორგი მოუკლავს და მრავალნი ქრისტიანენი წამებითა აღესრულებიან და დაუტყვევებიან და ტახტი მეფეთა განურყვნია და საპატიონი და ცამდის მაღალნი საყდარნი შეურაცხ უქმნიან, სახლი სალოცველი ქუაბ-ავაზაკთა უქმნია და უნეთა მათთათჳს საყოფად განუჩენია"[411]. აი, ასეთ მოწინააღმდეგესა და მტერთანა გაქვთ საქმე და ამიტომ "აწ ბრძოლეთ ძლიერად, და დაღუთუ ვინმე ომსა შიგან აღსასრული მიიღოთ, ქრისტესთუის წამებულთა გუერდს მიითუალვით"-ო. ხოლო თუ ვინმე "დაკოდითა ანუ დაშავებითა და რათაცა

---

[405] 1413 წ. სიგ.: ისტ. საბ. III, 8, შეად. აგრეთვე 1419 წ. სიგ: ისტ. საბ. III, 11.
[406] 1424წ. სიგ.: ქ˜კბი II, 228.
[407] 1401-15წ. სიგ: ქ˜კბი II, 210.
[408] ქ˜კბი II, 245-246.
[409] ქ˜კბი II,236.
[410] ქ˜კბი II, 242 და **ს. კაკაბაძის** წვრილი ეტიუდები 13.
[411] იქვე.

ტკივილით იტანჯებით, ყოველსავე ქრისტე მისად ნებისმყოფელად მიუთვალავს”-ო[412]. კათალიკოზ თეოდორეს მოქადაგეობას უმოქმედნია და მისი ჩაგონებითა და გამხნევებით აღფრთოვანებულს საქართველოს ჯარს ლორე მტრისათვის წაურთმევია და თითონ დაუჭერია[413].

როდის უნდა ყოფილიყო ”მიტაცებული აგარეანთაგან” ეს ლორის ციხე და ქალაქი? ვახუშტის სიტყვით[414] ლორეს ვითომც1430 წ. მოულოდნელად დასცემიან ”სარკინოზნი”, რომელთაც ”მოარბიეს სომხითისანი სამცხემდე” და ავნეს დიდად ”ქართველთა”. თუმცა ისინი ”უკუიქცნენ და წარვიდნენ”, მაგრამ ლორის ციხე მაინც ხელში შეინარჩუნესო. აცნობეს თუ არა მეფეს ეს ამბავი, 1431 წ. ქართლში გამოვიდა, შეკრიბა ჯარი, მოადგა ამბერდს და დაიმორჩილაო. 1432 წ. მეფე ალექსანდრემ ლორის ციხის უკან დასაბრუნებლად გაილაშქრა და მართლაც ”აიღო იგი და მოსრნა სარკინოზნი და დაიპყრო თავისად ლორე”-ო[415]. ვახუშტის ეს სიტყვები თივთ ალექსანდრე მეფისავე ცნობას სრულებით ეწინააღმდეგება.

ალექსანდრე მეფეს მოთხრობილი აქვს, რომ, როგორც კი მას ლორე დაუბრუნებია ვისაც კი ”ქართველთა დარბაზის ერთა ზემოთა და ანუ ქუემოთა” იქ მამული ”ჰქონებოდა, ანუ ნიშანი (ე. ი. სიგელი) ვისმეღა დარჩომოდა და ანუ ჩამომავლობით პაპათა და მამათაგან არა თუ მაჴსოვრობით, მათი მომავალთაგან სმენით სმენოდა”, ყველამ, ვინც ”იაჯეს” თავიანთი ქონების დაბრუნება, ”განუყავით და უბოძეთ”-ო[416].

ამ სიტყვებითგან ნათლადა ჩანს, რომ ლორე დიდხანს უნდა ჰქონოდა მტერს ხელში: მფლობელობის საკითხის გადაწყვეტა მხოლოდ საბუთებითა და მამათა და პაპათაგან სმენითა და მეხსიერებით ყოფილა შესაძლებელი. მაშასადამე ალექსანდრე მეფის დროს ამ ამბავის მომსწრე აღარავინ ყოფილა და სად, ვის და რა მამული ეკუთვნოდა, ამის გადაწყვეტა შესაძლებელი ყოფილა ან სიგელების საშუალებით, ან ისეთ პირთა მოწმობით, რომელთაც მამებისა და პაპებისაგან ჰქონდათ გაგონილი. ცხადია, ეს ამბავი სულ ცოტა ერთი-ორი თაობის წინათ მომხდარა. აქ ბატონიშვილი ვახუშტი ცდება უეჭველია და, ლორე რომ, მხოლოდ 1430 წ. დაეპყრათ ”სარკინოზებს”, ალექსანდრე მეფეს ამ ციხე-ქალაქის უკან დაბრუნებისას მფლობელობის უფლების აღდგენა ისე არ გაუძნელდებოდა. თავის ადგილას ეს გამორკვეულია, რომ ალექსანდრე მეფის სიგელის ცნობა მართლაც სამართლიანია.

რაკი ალექსანდრე მეფეს 1433 წ. ლორეში მამულები და მიწები უკვე განაწილებულ-დარიგებული ჰქონია, უეჭველია თვით ლორე უფრო ადრე უნდა იყოს აღებული და ამიტომ კინკლოსებში მოყვანილი თარიღი 1431 წ. უეჭველია უფრო სწორი უნდა იყოს, ვიდრე ვახუშტისა. ლორის აღებამ საქართველოს სამხრეთის საზღვარიც გაამაგრა და უზრუნველჰყო.

სივნიეთისა და მახლობელი ადგილების შემოერთება

[412] იქვე: ქ˜კბი II, 242-243.
[413] ქ˜კბი II, 242.
[414] **ვახუშტი,** საქ. ისტ. 299.
[415] იქვე
[416] 1433 წ. სიგ.: ქ˜კბი II, 242 და **ს. კაკაბაძის** წვრ. ეტიუდ. 13.

ლორის აღების შემდეგ ბეშქენ ორბელიანს, სუმბატ ორბელიანის შვილს და ბურთელის შვილისშვილს, მთელი სივნიეთის მხარე და ყველა მის მახლობლად მდებარე სანახებნი, 60.000-ზე მეტი ქრისტიანი სახლობითურთ დაუპყრია და საქართველოსათვის შემოუერთებია. სომეხთა ისტორიკოსის თომა მეწობელის სიტყვით ეს გამარჯვება ამ კუთხის და საქართველოს შაჰრუჰისაგან სრულს განთავისუფლებას მოასწავებდა[417], რათგან შაჰრუჰი სომხეთის დაპატრონების შემდეგ უეჭველია საქართველოსაც მოადგებოდა. ეს ამბავი ალბათ 1434-35 წ. უნდა მომხდარიყო, როდესაც თვით შაჰრუჰს ან ჯეჰან-შაჰის წინაშე ადერბეჯანში ქედი უნდა მოეხარა, ან უნდა განსცლოდა და, როცა ეს ქვეყანა ჯეჰან-შაჰის ხელში გადავიდა[418], ასეთი ღვაწლისათვის მეფე ალექსანდრეს ბეშქენ ორბელიანისათვის ლორის ციხე უწყალობებია. ბეშქენ ორბელიანთან 1435-38 წ. განმავლობაში თურმე მრავალმა სომეხმა ლტოლვილმა მოიყარა თავი, რომელთაც ის პურითაც, ბინითა და სამოსელითაც ძალიან ეხმარებოდა. ამის გამო ამ კუთხეს მაჰმადიანთა მიერ დაპყრობილი სომხეთითგან იმდენი სომხობა მოაწყდა, რომ მეფე ალექსანდრეს და მთავრობას ამდენი სომხობის აქ შეკრება და დამკვიდრება საქართველოსთვის საზიანოდა და სახიფათოდ მიუჩნევიათ და, როგორც ეტყობა, ამ მოვლენისათვის წინააღმდეგობა გაუწევიათ კიდეც[419]. ამიტომ, როდესაც 1438 წ. ვიღაც სომეხმა ამნადინმა ბეშქენ ორბელიანი პურის ჭამის დროს მოწამლა, სომხობაში ხმა გავარდნილა, ვითომც ბეშქენი ამ სომეხს მეფე ალექსანდრესა და ქართველ დიდებულთა დავალებით მოეწამლოს. მაგრამ ამ ჭორის უსაფუძლობას ის გარემოებაც ცხადყოფს, რომ ბეშქენის მომწამვლელ სომეხს წამებისა და გამოძიების დროს არც ალექსანდრე მეფე და არც სხვა ვინმე საქართველოს მმართველ წრისაგან არ დაუსახელებია თავისი ბოროტმოქმედების მონაწილედ[420].

ამგვარად, ალექსანდრე მეფემ საქართველოს დაუბრუნა ყველაფერი, რაც მას ეკუთვნოდა, შიგნით ქვეყნის ერთობა და მთლიანობა განამტკიცა. ზოგი მოსაზღვრე ქვეყანანიც, რომელნიც წინათ საქართველოს სახელმწიფოს საზღვრებში შედიოდა, კვლავ საქართველოსვე შემოუერთა.

3. ალექსანდრეს შინაური აღმაშენებლობითი მოღვაწეობა

სვეტიცხოვლის განახლება

ალექსანდრე მეფის მოღვაწეობა მარტო ამ სამხედრო და პოლიტიკურ ასპარეზს არ ეხებოდა. სწორედ უნდა ითქვას, რომ სახელი და მეფეთა შორის წარჩინებულება მას იმდენად სამხედრო ძლევამოსილებით არ უნდა ჰქონდეს მოხვეჭილი, რამდენადაც საქართველოს შინაური აღმაშენებლობისა, განახლებისა და აღორძინებისათვის ზრუნვითა, ფართო გეგმითა და მიზანშეწონილი საშუალებით წარმოებული დიადი მუშაობით. ზევით უკვე აღნიშნული

---

[417] **თ. მეწობელი,** ისტ. 117.
[418] A. Müller, Islam etc. II, 320.
[419] **თ. მეწობელი,** ისტ. 117-118.
[420] იქვე, გვ. 118-119.

გვქონდა, რომ ამგვარი აღმაშენებლობითი მოღვაწეობისადმი მიდრეკილება და ხალისი ალექსანდრე მეფეს თავის ბებიის რუსასგან ჰქონდა შეთვისებული. პირადი მაგალითით მას თავისი შვილიშვილისა და თანამედროვეებისათვის უჩვენებია, როგორის მხნეობით უნდა ეცადოს ხოლმე ადამიანი მტრისაგან განადგურებული ქვეყნის აღდგენას. პირადი მაგალითითვე მან ყველას დაანახვა, რამდენის გაკეთება შეუძლია ერთს ადამიანსაც, გინდა კერძო თაოსნობით.

რუსას დიდებული საქმე, მცხეთის სვეტიცხოველის განახლება, დაუმთავრებელი დარჩა. მისი შვილიშვილისათვის მისი დამთავრება სასიამოვნო ზნეობრივ მოვალეობად უნდა ყოფილიყო. და თავისი აღმაშენებლობითი მოღვაწეობა ალექსანდრე მეფემაც პირველად სწორედ თევისი ბებიის ნანდერძევი მუშაობის დამთავრებით დაიწყო.

სვეტიცხოვლის ტაძარი თემურ-ლენგის შემოსევის დროს იმდენად დაზიანებულა, რომ მისი აღდგენა და განახლება ადვილი საქმე არ იქნებოდა. ამის დამთავრება ვერც რუსამ მოასწრო და ალექსანდრე მეფემაც დიდი დრო, მხნეობა და ფული შეალია, სანამ ამ დიდებული ძეგლის განახლების დამთავრებას ეღირსებოდა.

იმისდა მიუხედავად, რომ ალექსანდრე მეფემ გამეფების თანავე ანუ უკვე 1412 წ-ითგან მოყოლებული თავისი ბებიის ნაანდერძევ საქმეს მიჰყო ხელი, მაინც 1419 წელსაც მცხეთის საკათალიკოზო საყდრის განახლება და შეკეთება ჯერ კიდევ დამთავრებული არ ყოფილა და თვით ალექსანდრე მეფე სთხოვს "სრულ... ყავ საწადელი ესე ჩემი"-ო[421].ეს განახლებით მუშაობა კარგა ხანს გაგრძელებულა. ალექსანდრე მეფეს კათალიკოზის დახმარებით სვეტიცხოვლის საყდრის "ახლად განვრცომა და აღშენება", როგორც ეტყობა, 1431 წ. დაუმთავრებია. ამ წლის სიგელებში მეფე ამბობს, რომ უკვე "განსრულდა... ყოვლადვე უნაკლულოდ თავი ცათა-მობაძავი საყდარი და შიგან ღთივ აღმართებული სუეტიცხოველი... და ჩუენი საფლავი და ვითარ ჯერ იყო ეგევითარითა თავი-საყდარი პატივითა და წესითა შევამკევ"[422]-ო. მაშასადამე, მარტო ალექსანდრეს თავის მეფობაში მცხეთის საკათალიკოზო ტაძრის განახლებისათვის ცხრამეტი წლის მუშაობა მოუნდომებია. ხოლო რაკი მისი განახლება ჯერ კიდევ ალექსანდრე მეფის ბებიას რუსას დაუწყია, ცხადია, ამ საყდრის შეკეთებას და განახლებას დიდი დრო დასჭირებია. ეს გარემოება გაფიქრებინებს, რომ თემურ-ლენგის მრისხანე შემოსევის დროს დიდებული ტაძარი ძალიან უნდა დაზიანებულიყო.

საქართველოს დანგრეული ციხე-საყდრების აღდგენა

ალექსანდრე მეფეს რომ თავისი აღმაშენებლობითი მოღვაწეობა მარტო მცხეთის დიდებული საყდრის განახლებით გაეთავებინა და მეტი არა გაეკეთებინა რა, ქართული ხელოვნებისათვის ესეც თვალსაჩინო წვლილი იქნებოდა, მაგრამ ამ შემთხვევაში მაინც მხოლოდ ერთი, განმარტოებული ფართო მნიშვნელობას მოკლებული მოვლენა იქნებოდა, და თაოსნობაც და, მაშასადამე, თვით ღვაწლიც უმთავრესად ალექსანდრე მეფის ბებიას რუსას მიუძღოდა. ალექსანდრე კი არ დაკმაყოფილებულა. იმ კერძო და ნაწილობრივი აღმაშენებლობის მაგიერ, რომელსაც იგი თავისი ბებიის დაწყებული საქმის დამთავრების დროს აწარმოებდა, ალექსანდრე მეფე მთელ საქართველოს განადგურებული ციხეებისა და ეკლესია-მონასტრების აღდგენას შეუდგა. თემურ- ლენგის შემოსევამ ისე გააოხრა ქვეყანა,

---

[421] ისტ. საბ. III, 12.

[422] ქ˜კბი II, 237 და 238.

იმდენად დიდი იყო საქართველოსათვის მოყენებული ზიანი, რომ კერძო,ნაწილობრივი და თანდათანობითი შეკეთებითა და განახლებით ჩვენი სამშობლოს გამოსწორება შეუძლებელი იყო. მხოლოდ მთელი სახელმწიფოს და ერის შეერთებული, თანხმობრივი, მიზანშეწონილი და ხანგრძლივი მოქმედებითა და დიდი ქონებრივი სახსრის გამოღებით შეიძლებოდა მონღოლთა ბარბაროსული შემოსევისაგან განადგურებული ქვეყნის აღდგენა. სწორედ ასეთი გეგმისა და საშუალებისათვის მიუმართავს ალექსანდრე მეფესაც. ჯერ კიდევ მცხეთის დიდებული ტაძრის აღდგენა დამთავრებული არ ყოფილა, რომ სახელოვანს მეფეს მთელ სახელმწიფოში ფართო გეგმითა და არაჩვეულებრივი შეერთებული ქონებრივი ძალღონით აღმშენებლობითი მცშაობა განუზრახავს. ალექსანდრე მეფეს ამის შესახებ ნათქვამი აქვს: ”ვითარ ჩუენგან სათანადო იყო, ეგრეთ ვინებე ...ყოველთავე საქართველოსა ციხეთა და საყდართა აღშენებად. მას ჟამსა შემოსავალი ჩუენისა სახლისა არსით რა იყო და ამად საქართველოს კუამლსა ზედა ორმოცი თეთრი მალად განვაჩინე და ასოცდარვად ქ˜კნადმდე (ე. ი. 1440 წ.) რაოდენი საქართველოსა ციხენი საყდარნი და მონასტერნი არიან, ყოველნივე ს˜დ ახლად აღვაშენენ და შევამკუენ და აწ ჩუენსავე ჟამსა შიგან ამოგჯკვეთია”-ო[423].

თუმცა ეს ცნობა სრულებით მკაფიოა, მაგრამ მაინც მეტად მოკლეა, რომ ამ დიადი საქმის მთელი მისი სიღრმე-სივრცით წარმოდგენა შეიძლებოდეს. ბატონიშვილს ვახუშტს ეს ამბავი სხვანაირადაც აქვს მოთხრობილი და გაცილებით უფრო მეტი ცნობებიც მოეპოვება. ალექსანდრე მეფის ზემომოყვანილს სიგელში აღნიშნული არ არის, თუ როდის დაიწყო მეფემ თავისი აღმაშენებლობითი და განმაახლებლობითი მოღვაწეობა და თითქოს ისეა ნაგულისხმევი, ვითომც ალექსანდრე მეფე გამეთების თანავე შესდგომოდეს ამ საქმეს. ვახუშტს კი ნათქვამი აქვს, რომ მხოლოდ მას შემდგომ , რაც მან თავისი ურჩი მთავრები დაიმორჩილა და როდესაც ”დაემშვიდნეს ყველანი თვისნი ქვეყანანი”, მაშინ შეუდგა თავის საკულტურო მოღვაწეობასაო[424],

დიდებულ ქართველ ისტორიკოსს ისეთი ცნობაც კი მოეპოვება, რომლის საშუალებითაც ალექსანდრე მეფის ამ დიადი და ფართო ასპარეზით ნაწარმოები განმაახლებლობითი მოღვაწეობის დასაწყისის თარიღის გამორკვევაც შეიძლება. ვახუშტი ამტკიცებს, რომ ალექსანდრე მეფემ ”ათხუთმეტსა წელსა შეასრულა განზრახვანი თვისნი”-ო[425]. ბატონიშვილს ვახუშტის ეს ცნობა ალბათ რომელიმე საბუთითგან ექნება ამოღებული; ხოლო რაკი თვით დიდებული მეფის სიგელითგან ვიცით, რომ მას თავისი გეგმის განხორციელება სწორედ 1440 წ. მოუხერხებია, ისე გამოდის, რომ საქართველოს ერთობლივი განახლების მუშაობის დასაწყისის თარიღად 1425 წ. უნდა მივიღოთ.

ალექსანდრე მეფის ზემომოყვანილ სიგელში ცნობა რომ სიმართლეს შეიცავს და მარტო ლამაზ სიტყვად და ჩვეულებრივ გადაჭარბებად ვერ ჩაითვლება, ამას რუისის საყდრის დასავლეთის კარიბჭის ასომთავრული წარწერაც ამტკიცებს, სადაც ნათქვამია: ”ზე ადიდენ ღმერთმან მეფეთა-მეფობა დიდისა ალექსანდრესი, რომლისა მიერ კვალად აღეშენა საყდარი ესე. ადიდენ ღმერთმან და სული მათი კურთხეულ ყავნ”-ო[426] საქართველოში რომ ისტორიული ნაშთები კარგად ყოფილიყო შენახული და გადარჩენილი, უეჭველია ბევრი ციხისა და ეკლესიის ან მონასტრის კედლებზე იქნებოდა ზემომოყვანილის მსგავსი წარწერები.

---

[423] 1440 წ. სიგ.: ქ˜კბი II, 248.

[424] **ვახუშტი,** საქ. ისტ. 298.

[425] საქ. ისტ. 299.

[426] Brosset , Voyage, Six. rap. 6 და ე. თაყაიშვილის არქ . მოგზაურობანი .I, 106

სწორედ სამწუხაროა, რომ ალექსანდრე მეფის მოღვაწეობის ასეთი ყოველნაირად საყურადღებო და საგულისხმო ხანის შესახებ ასე ცოტა და მოკლე ცნობებია შერჩენილი. ამის გამო ბევრი რამე სრულებით გამოურკვეველი რჩება და არა ვიცით რა, ეს ფართო და დიდი საალმშენებლო გეგმა, ან წინასწარ როგორ იყო შემუშავებული და განხილულ-დაკანონებული, ან ვინ და როგორი წყობილებით უძღვებოდა ამ რთულ ტექნიკურსა და ქონებრივს საქმეს მისი ხანგრძლივი განხორციელების დროს, ან რა დაუჯდა ქართველს ერს ეს სახელმწიფოებრივი ძალღონით წარმოებული მტრისაგან გაოხრებული ქვეყნის აღდგენა-აღმაშენებლობა.

ერთი რამე მაინც სრულებით ცხადია: ალექსანდრე მეფის მოღვაწეობის ფართო აღმაშენებლობითი ხასიათის მთელი მნიშვნელობა და მომხიბლველი სიდიადე მშვენივრად ჰქონიათ შეგნებული მის თანამედროვეებსაც და შთამომავლობასაც. სწორედ ამან მოუხვეჭა ალექსანდრეს "მეფეთა შორის წარჩინებულის" წოდებულება, ამანვე შესძღვნა მას თანამედროვეთა, შთამომავლობისა და საქართველოს ისტორიისაგან "დიდის ალექსანდრეს" სახელი.

ქართველი ხალხი აღტაცებული იყო იმითაც, რომ მან ასეთი დიადი საქმე, განადგურებული ქვეყნის აღდგენა განიზრახა და მოახერხა კიდეც, და იმითაც, რომ ყოველივე თავისი დაპირება ალექსანდრე მეფემ პირნათლად აასრულა და ეს წმინდა საშვილიშვილო საქმე ღირსეულად დააგვირგვინა. ხალხი წინათაც და ეხლაც გამოცდილებით მიჩვეული იყო და არის, რომ თითქმის ყოველთვის დროებით და ვითარცა არაჩვეულებრივად შემოღებული გადასახადი თანდათან მუდმივ და ჩვეულებრივ გადასახადად იქცეოდა ხოლმე. მით უმეტეს მადლიერი უნდა ყოფილიყო ქართველი ერი, როდესაც ალექსანდრე მეფემ თავისი მშვენიერი და საშვილიშვილო აღმაშენებლობის დამთავრების შემდგომ საქვეყნოდ გამოაცხადა: ყველაფერი რაც მტრისაგან განადგურებული იყო "ყოველნივე სრულიად ახლად აღვაშენენ და შევამკუენ და აწ", რაკი მიზანი უკვე მიღწეულია, საგანგებო გადასახადი საჭირო აღარ არის და "ჩუენსავე ჟამსა შიგან ამოგჯკვეთია"-ო[427].

საქართველოში სამხედრო და პოლიტიკური სიმტკიცისა და მყუდროების დამყარების შემდეგ ალექსანდრე მეფე და მმართველი წრეები განადგურებული და გაუკაცრიელებული ქვეყნების დასახლებასა და აღდგენაზე ზრუნავდნენ. ციხე-სიმაგრეებისა და შენობების შეკეთება-განახლებასთან ერთად საახალშენო მუშაობაც წარმოებდა და ტყვედ წაყვანილთა გამოსყიდვითა, თუ ლტოლვილთა უკან დაბრუნებით ძალზე შეთხელებული მოსახლეობის გასამრავლებლად იღვწოდნენ. ერთი და ორი არ იყო საქართველოში ისეთნაირად აოხრებული სოფელი, სადაც უკვე კარგახანია "კაცი არ ესახლა". საქართველოს დიდებული მოამაგე მეფე მოგვითხრობს, რომ ამგვარ ადგილებში "თათართა ქუეყნიდაღმან კაცები მოვასხი", დავასახლე და ყოველნაირად დავეხმარე, "ჴარი, ფური და პური ჩუენ მივეცით", რომ თავიანთი მეურნეობა მოეწყოთო[428].

ალექსანდრე მეფის აღმაშენებლობითი მოღვაწეობა მარტო სამშობლო ქვეყნის მიწაწყალს არ შეჰხებია, არამედ მისი მადლიანი ხელი და კეთილდღეობისათვის მზრუნველი გული უცხოეთში გაფანტულ ქართულ დაწესებულებებსაც მისწვდომია: მისი თაოსნობითა და მხნეობით გამობრუნებული და მოღონიერებული საქართველო მარტო შინაურობაში და თავის მიწაწყალზე კი არ იჩენდა თავის აღმაშენებლობითსა და განახლებითს ძალას, არამედ უცხოეთშიაც, საბერძნეთში და პალესტინაში მყოფ ქართველთა მონასტრებსა და

---

[427] ქ˜კბი II, 248.

[428] 1441 წ. მცხეთის სიგ.: საბ. III, 21 და ქ˜კბი II, 249-250.

დაწესებულებებსაც კვლავ მზრუნველი და გულშემატკივარი მფარველი გაუჩნდა. ტიმოთე ქართლისა მთავარეპისკოპოსს ათონის ქართველთა მონასტერში ყოფნის დროს თავისი თვალით უნახავს და ამოუკითხავს ცნობა, რომ იქ "სასნეულო და ამის კერძონი გოდოლნი და სენაკნი განუახლებია მეფესა ალექსანდრე ქართუელსა, რუისის საყდრისა კარზედ რომ მეფე ალექსანდრე სწერია"-ო[429].

4. ალექსანდრე მეფის უკანასკნელი წლები ავადმყოფობა

1439 წ. ალექსანდრე მეფე თომა მეწობელის სიტყვით მძიმე ავადმყოფი შექმნილა. მას რაღაც ავადმყოფობა შეჰყრია, მძაფრი ტკივილებისა გამო საშინლად იტანჯებოდა თურმე. ხანგრძლივ მეფე ისეთს მდგომარეობაში ყოფილა, რომ ყოველდღე მისი სიკვდილის მოლოდინში იყვნენ, მაგრამ მძიმედ შეწუხებული მრავალჯერ გამობრუნებულა და მახლობლებს მორჩენის იმედი მისცემიათ. მრავლად მოწვეული ექიმები და მკურნალნი ვერას შველოდნენ, ავადმყოფობა უძნელდებოდა ხსნა თითქმის არსაითგან იყო მოსალოდნელი[430]. ბოლოს, როგორც ეტყობა, სხეულს სენისათვის მაინც დაუძლევია და მეფე ალექსანდრე განკურნებულა.

ცნობა ჯეჰან-შჰის შემოსევების შესახებ

ერთი წლის შემდეგ, 1440 წ. იმავე სომეხთა ისტორიკოსის ცნობით საქართველოს დიდი უბედურება დაატყდა თავზე: თავრიზის მეფე და მფლობელი ჯეჰან-შაჰი თავისი ლაშქრითურთ და არდაველის მთავრისა, ყადიებისა და მუდარისების თანხლებით საქართველოს წინააღმდეგ ამხედრებულა. სანამ გამოილაშქრებდა ჯეჰან-შაჰმა ალექსანდრე მეფეს მრავალჯერ მოუგზავნა დესპანები, ნებაყოფლობით დამორჩილება და ჩვეულებრივი ხარკის დადება მოსთხოვა. მაგრამ ალექსანდრე მეფემ, რომელიც თავის საბუთებშიაც კი თავმომწონედ წერდა ხოლმე, რომ "აგარის ნათესავნი, მტერნი და წინააღმდეგნი ქრისტიანეთანი, სამარადისოდ ტოლვილ და უკუნქცეულ" იყვნენ, ეს წინადადება გადაჭრით უარჰყო და მკვახე პასუხიც შეუთვალა, ამით გაბრაზებული ჯეჰან-შაჰი მთელი თავისი ჯარით უეცრად აღდგომა დღეს საქართველოს შემოესია და რაკი ასეთს დროს თავდასხმას არავინ ელოდა, ტყვე ბევრი ჩაუვარდა ხელში და ხალხიც ბლომად დაიხოცა. შემდეგ თვით ქ. სამშვილდესაც კი მიადგა და გარშემოერტყა. სულიწმინდის მოფენამდე მტერმა მოტყუებით და მუქარით სამშვილდის აღება მოახერხა. ჯეჰან-შაჰმა ალბათ თავისი გამარჯვების სახსოვარ ძეგლად სამშვილდის კარებწინ 1664 მოჭრილი თავისაგან მინარა. დაადგმეინა. მარტო ტყვეთა რიცხვი ამ ქალაქის დაპყრობის დროს 9400 უდრიდაო. მთელი სანაპირო ქვეყანა ამის შემდგომ მტრისაგან აოხრებული და აკლებული იყო. ხალხის ქონება და სარჩო–საბადებელი დატაცებულ იქმნა შემოსეულ ლაშქრისაგან ისე, რომ როდესაც ტყვეებს გაყიდვა დაუწყეს და 1000 თანგის ფასად ტყვეობითგან ათავისუფლებდნენ, თ. მეწობელის სიტყვით, ხალხი ისე იყო გაღარიბებული, რომ არც სოფლელებსა და არც ქალაქელებს თავიანთი ტყვედ წაყვანილი ნათესავ- მახლობლების გამოსყიდვა არ შეეძლოთ[431].

---

[429] მოხილვა წმინდათა ადგილთა, **პ. იოსელიანის** გამ. 43.

[430] **თ. მეწობელის,** ისტ. 119.

[431] იქვე, 119-122.

რაკი სამშვილდე აღებული იყო, მტერს საქართველოს დედა-ქალაქამდე დაბრკოლებას ველარაფერი გაუწევდა. ჯეჰან-შაჰიც თბილისის ასაღებად წამოსულა და როგორც თ. მეწობელის სიტყვითგანა ჩანს, ქალაქი აუღია კიდეც. სომეხთა ისტორიკოსს მოთხრობილი აქვს, ვითომ მტერს ყველა ეკლესიები, ძველიც და ახალიც, სულ მთლიანად დაენგრიოს. დაპყრობილს ადგილებში მტერმა ისეთი საშინელი სიმკაცრე და სიმხეცე გამოიჩინა, რომ თავზარდაცემულს ხალხს არ სცოდნია, სად შეეფარებინა თავი[432]. არდაველის შეიხის რჩევით ჯეჰან-შაჰს ქრისტიანებზე დიდი ხარკი და ხარჯა დაუდვია, რომ აუტანელი მეხარკეობით შეწუხებულთ ქრისტიანობაზე უარი ეთქვათ და და გამაჰმადიანებულიყვნენ[433]. სომეხთა ისტორიკოსს არაფერი აქვს ნათქვამი, რით დამთავრდა ეს ლაშქრობა და რაგვარი პოლიტიკური დამოკიდებულება დამყარდა ალექსანდრე მეფესა და ჯეჰან-შაჰს შორის. მისი მოთხრობა ზემომოყვანილს გარდა არავითარს ცნობებს არ შეიცავს, დაბოლოვებული არ არის და ბუნდოვან შთაბეჭდილებას სტოვებს. ხოლო ქართულ ძველ წყაროებში ჯეჰან-შაჰის ამ შემოსევის შესახებ ცნობები ჯერჯერობით მაინც აღმოჩენილი არ არის. ბატონიშვილს ვახუშტს კი ჯეჰან-შაჰის შემოსევა 1444 წ. აქვს აღნიშნული და ეს ამბავი სულ სხვანაირადაც აქვს აღწერილი[434]. მაგრამ არა სჩანს, თუ რა წყაროებზეა მისი ცნობა დამყარებული, ამიტომ სიმართლის გამორკვევა ძნელია.

ალექსანდრე მეფის შემონაზონება და უსაფუძვლო ცნობა საქართველოს მისგან დაყოფის შესახებ

ალექსანდრე მეფე თავის სიცოცხლის უკანასკნელ წლებში ბერად შემდგარა და მონაზონად აღკვეცილა. ეს მისი შვილი, გიორგი მეფის, 1449 წ. სიგელითგანაც ჩანს, სადაც იგი თავისთავს "დიდისა და მეფეთა შორის წარჩინებულისა და სანატრელისა ღ˜თივ-გუირგუინოსანისა და ღთივ–დიდებულისა, სულკურთხეულისა მეფეთა-მეფისა მონაზონისა ალექსანდრეს"-ძედ ასახელებს[435] რაკი ჩვენამდის 1441 წ. სიგელმა მოაღწია, რომელიც ალექსანდრე მეფის მიერ არის ნაწყალობევი[436], ხოლო რათგან ამასთანავე შენახულია ალექსანდრე მეფის მიერ 1442 წელს ნაწყალობევი სიგელიც[437], ამიტომ ცხადია, რომ ალექსანდრე მეფის შემონაზონება 1441-42 წლების შემდგომ უნდა მომხდარიყო. მეფე ალექსანდრეს ბერად შედგომის შესახებ არც ვახტანგის ისტორიკოსთა კომისიის ნაშრომში. არც ქ˜ცის გაგრძელებაში[438] და არც ბატონიშვილის ვახუშტის ისტორიაში[439] არის რაიმე ნათქვამი, მხოლოდ ქ˜ცის შევსებულ-გადაკეთებულს გაგრძელებაშია ვრცელი ცნობა შეტანილი. იქ ნათქვამია, რომ ალექსანდრე მეფემ 1442 წ. "ქ˜კსა: რლ: დასვა მეფე [დ] ქართლსა და იმერეთს პირველი შვილი ვახტანგ და შეჰრთო ფანასკერტელის ქალი და დაჲ

---

[432] **თ. მეწობელის** ისტ. გვ. 122.
[433] იქვე, 124.
[434] **ვახუშტი,** ისტ. 302.
[435] ისტ. საბ. III, 30 და ქ˜კბი II, 261.
[436] ისტ. საბ. III, 22-24.
[437] ქ˜კბი II, 251-252.
[438] ი ხ . მ. ჯანაშვილი, გამ. გვ.35.
[439] **ვახუშტი,** ისტორია, გვ. 300.

ფანასკერტელისა თაყასი, დედოფალი სითიხათუნ. ხოლო თვით მეფემან ალექსანდრემ სახე მონაზონებისა, შეიმოსა და უწოდეს სახელად ათანასი და აღაშენნა თჳსად სენაკი და სახლნი დიდნი ქვიტკირისანი მცხეთას მისგან აღშენებულს მთავარ ანგელოზის ეკვდერთანა და მუნ დადგა ვიდრემდის ცხოვრებდა... ხოლო ოდეს დასვა პირველი შვილი ვახტანგ ქართლსა და იმერეთს მასთან დააყენა უმრწემესი ძმა მისი დიმიტრი და დასვა კახეთს ქ˜კს: რლგ (1445): მეფედ უმრწემესი ძმა დიმიტრისი გიორგი და შერთეს ნესტანდარეჯან იმერელი მეფის ქალი”-ო[440].

ამ ცნობითგან ირკვევა, რომ ალექსანდრე მეფე მართლაც 1442 წ. შემონაზონებულა და მონაზნობაში მისთვის ათანასი უწოდებიათ. ეს ქ˜ცის შევს-გადაკეთებული გაგრძელების ავტორს ალბათ საბუთებითგან ექმნება ამოღებული, მაგრამ ამასთანავე ბერად შედგომის დროს ვითომც ალექსანდრე მეფეს საქართველო შვილებისათვის გაეყოს და სათითაოდ მათთვის ცალ-ცალკე სამეფო მიეცეს, ამ აზრს კი საფუძვლიანი კრიტიკული განხილვა ეჭირვება. ეს სწორედ ის საკითხია, რომლისთვისაც ვახტანგისეული სწავლული კაცები და ბატონიშვილი ვახუშტიც თავებს იმტვრევდნენ, მაგრამ მაინც მიზანს ვერ მიაღწიეს[441]. როდის და რა მიზნით მოხდა გაერთიანებული საქართველოს სამ სამეფოდ და რამდენსამე სამთავროდ დაყოფა, სრულის უეჭველობით ზემოაღნიშნულმა ისტორიკოსებმა ეს ვერ გადაწყვიტეს და მხოლოდ ქ˜ცის შევს.გადაკ. გაგრძელების ავტორი გვაძლევს მკაფიო პასუხს: დიდი ალექსანდრე მეფის დროს, თვით მისივე პირადი თაოსნობით 1442 და 1445 წელშიო. მაგრამ რამდენად სამართლიანია ეს მკაფიო ცნობა? ქ˜ცის შევს.-გადაკ. გაგრძელების ავტორის სიტყვით ალექსანდრეს ძე გიორგი 1445 წ. დაუსვამთ მეფედ. თივთ გიორგი მეფის სიგელების მიხედვით კი ცხადი ხდება, რომ ის 1447 წ. გამეფებულა. მაშასადამე, ქ˜ცის გაგრძელების შემდგენელი შემცდარი ყოფილა იმავე ავტორის სიტყვით ვითომც ალექსანდრე მეფეს 1442 წ-სვე იმერეთის მეფედ თავისი შვილი დიმიტრი დაესვას. ამ ცნობას თითქოს 1445 წ. მცხეთის №292 ქაღალდებზე მხედრულად ნაწერი სიგელი ადასტურებს, რომელშიაც ნათქვამია: ”ჩვენ მეფეთა-მეფის ალექსანდრეს ძემან, მეფემან დიმიტრი ეს ნასყიდობის წიგნი გიბოძე... ქ˜კს: რლგ... აგვისტოს: კვ ”[442]. აქეთგან თითქოს ისე გამოდის, ვითომც 1445 წ. დიმიტრი, ალექსანდრე მეფეთ-მეფის შვილი, მეფედ მჯდარიყოს. მაგრამ ამას გიორგი მეფეთა-მეფის ალექსანდრის ძის 1449 წ. სიგელში შენახული ცნობა ეწინააღმდეგება, რომელშიაც გიორგი მეფეს ნათქვამი აქვს: ”ესე სამი აღაპი ჩემთუის და ჩუენისა ძმისა დიმიტრისათუის შეჰკუეთეთ”-ო[443]. გიორგი თავის ძმას დიმიტრის აქ მეფედ არ იხსენიებს, მეფედ კი რომ ყოფილიყო ეს გარემოება უეჭველად იქნებოდა აღნიშნული. ეს საბუთი თავდაპირველი დედანია, ზემომოყვანილი 1445 წ. სიგელი კი, როგორც ეტყობა, მხოლოდ მერმინდელი პირი. ამ გარემოებას კი ცნობათა შედარებითი ღირსება-ეჭვმიუტანლობის დროს, რასაკვირველია, არსებითი მნიშვნელობა აქვს და 1445 წ. საბუთს ფასს უკარგავს.

იქაც, სადაც ბატონიშვილს ვახუშტს დიმიტრი ალექსანდრეს ძის სიკვდილი აქვს აღნიშნული, იგი მეფედ არ იხსენიებს. დიმიტრი 1452 წ. გარდაცვლილა: ”ნადირობასა შინა მოკლა ცხენმან დიმიტრი ძე ალექსანდრე მეფისა წელსა 1452 წ. ქართულსა 140”[444]. სახელოვანი ისტორიკოსის ეს ცნობა ისეთი თვისებისაა, რომ იგი უეჭველია რომელიმე კინკლოსითგან უნდა ჰქონდეს ამოღებული. მაშასადამე, ჯერ-ჯერობით იმის თქმა მაინც

---

[440] დამტ. 889-890.

[441] იხ. ჩემი ისტორიის მიზანი 275 და 296-297.

[442] ქ˜კბი II, 257.

[443] ისტ. საბ. III, 32 და ქ˜კბი II, 261.

[444] **ვახუშტი,** ისტ. 303.

შეიძლება, რომ დიმიტრი მეფედ არ უნდა ყოფილიყო დასმული და ცნობა ალექსანდრე მეფის მიერ შვილებს შორის საქართველოს გაყოფის შესახებ არ მართლდება, რაც შემდეგში უფრო მეტი სიცხადით გამოირკვევა.

ვახტანგ მეფე, ძე მეფეთა-მეფისა ალექსანდრესი

ალექსანდრე მეფე რომ ბერად შედგა და ქვეყნის საჭეთმპყრობელობას თავი დაანება, სამეფო ტახტზე, როგორც უკვე აღნიშნული იყო, მისი შვილი ვახტანგი ავიდა. ვახტანგის მეფობას ადასტურებს გიორგი მეფის 1449 წ. ერთი სიგელი, რომლის მხოლოდ პატარა ნაწყვეტი აქვს მოყვანილი ბატონიშვილს ვახუშტს. ამ საბუთში გიორგი მეფე თავის თავს ვახტანგ მეფის ძედ ასახელებს;"ჩვენ მეფემან გიორგიმ, ძმამ მეფისა ვახტანგისამან" ესა და ეს გიწყალობეთ[445]. ამავე გარემოებას ცხადჰყოფს იკორთის წინამძღვრის იოაკიმე თითას-მანელისძის მიერ დაწერილი ზატიკი, რომელიც დამთავრებული ყოფილა "მეფობასა ვახტანგისასა"[446] ქ˜კსა 134, ანუ 1446 წ.

რამდენად შინაარსიანი იყო ვახტანგის მეფობა, ამაზე ეხლა არაფრის თქმა არ შეიძლება იმიტომ, რომ მისი ჯერ არც სიგელია აღმოჩენილი, არც სხვა რაიმე წყაროებშია შენახული საკმაო ცნობები. არეულია აგრეთვე ვახტანგ მეფის გარდაცვალების თარიღიც. ვახუშტის ცნობით ვახტანგი ვითომც "გარდაიცვალა წელსა 1445" უძეოდ და "დაფლეს ბანასავე ცოლისა თვისისა თანა"[447]. ჩხეიძის კინკლოსს თარიღად 1446 წ. აქვს მიღებული, ხოლო იკორთის ძილისპირის კინკლოსში 1447 წ. არის დასახელებული[448]. იგივე წელიწადია თარიღად მიღებული ქ˜ცის შევს-გადაკ. პირველსა და მეორე გაგრძელებაშიაც[449]. საბოლოო თარიღად 1446 წ. ვგონებ უფრო სწორი უნდა იყოს, რათგან მისი ძმა გიორგიც სწორედ 1446 წ. გამეფდა, ალბათ თავისი ძმის ვახტანგ მეფის სიკვდილის შემდგომ.

ვახტანგის მეფობაში, 1444 წ. კინკლოსებსა, ქ˜ცის შევს.-გადაკ. ორსავე გაგრძელებაში და ბატონიშვილი ვახუშტის ისტორიაში ჯეჰან-შაჰის ახალციხეში შესევის ამბავია მოთხრობილი. პირველსა და მეორეში ცნობა მეტად მოკლეა და ნათქვამია მხოლოდ, რომ "ამავე (ე. ი. 132) ქ˜კს (1444 წ.) ჯანშა ყაენი ახალციხეს მოუჴდა"[450]-ო[451]. ვახუშტის ცნობა გაცილებით უფრო ვრცელი და შინაარსიანია. მეცნიერი ისტორიკოსის სიტყვით ჯეჰან-შაჰის თავისი პოლიტიკური სიძლიერის განსამტკიცებლად და სამფლობელოს საზღვრების გასაფართოვებლად "წამოემართა და უგრძნეულოდ მოვიდა სამცხეს და ბრძოდა ძლიერად წელსა 1444". ამის გაგონებაზე ვახტანგ მეფეს ჯარი შეუყრია და მტერს შებრძოლებია. " იქმნა ბრძოლა ძლიერი დილით მწუხრადმე". ორთავე მხრით ბევრი დახოცილა. ამის გამო "სწორი ძლევა იქმნა და ვერცა ერთმა ძლო და სიღამით უკუდგნენ ბრძოლისაგან ხვალისად ორივე მემუქარენი. არამედ მასვე ღამესა აიყარა ჯაანშაჰ ყაენი" და წავიდა სპარსეთში. მეორე დღეს,

---

[445] იხ. **ვახუშტის** "ქრონიკონები ", 1449 წ. ქვეშე.
[446] ქ˜კბი II, 258.
[447] **ვახუშტი,** ისტ. 302.
[448] ქ˜კბი II,258, და **ს. კაკაბაძის** ქრონიკა იკორთის №6 ჟამნ-გულანისა 4.
[449] დამტ. 891 და პარიზ. ქრ. 6.
[450] იხ. ქ˜კბი II, 255-256, დამატ. 891 და პარიზ. ქრ. **ზ.ჭიჭინაძე. 6.**

რომ ეს გარემოება გამოაშკარავდა, დიდებულებმა ვახტანგ მეფეს უკანდადევნების ნება არ მისცეს და ლაშქრობა დამთავრებულად ჩასთვალესო[452].

ჯეჰან-შაჰის საქართველოში შემოსევის ერთი ამბავი, როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, სომეხთა ისტორიკოსს თ. მეწობელს აქვს მოთხრობილი, მაგრამ მისი მოთხრობა შინაარსითაც ძალზე განსხვავდება და ქრონოლოგიურადაც უფრო ადრინდელ დროს, 1440 წელს, ეკუთვნის. ამიტომ თავისთავად იბადება საკითხი, 1444 წლის შემოსევის ამბავი მეორე შემოსევის აღწერილობაა, თუ ორივე მოთხრობა ერთსა და იმავე შემთხვეულებას ეხება. თუ უკანასკნელი გარემოება უფრო დასაჯერებელი უნდა იყოს, მაშინ რომელი ამ ორ მოთხრობათაგანია ჭეშმარიტი? სამწუხაროდ ჯერჯერობით არც ერთი ამ საკითხთაგანის გადაწყვეტა არ შეიძლება.

მეფე გიორგი ალექსანდრეს ძე

1.ბიოგრაფიული ცნობები გიორგი მეფისა და მისი ოჯახობის შესახებ

გიორგი მეფის მამისშვილობა

გიორგი მეფე ალექსანდრე I-ის ძე იყო. ამას მისივე 1449 წ. მცხეთისადმი ბოძებული სიგელი ამტკიცებს, სადაც ის თავის თავზე ამბობს: ჩვენ "იესე-დავითიან, სოლომონ-ბაგრატიონიანმან ნებითა ღ˜თისათა აფხაზთა ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა, შარვანშა და შანშა და ყოვლისა აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთისა (sic) სამანთა კედართა თვით-ფლობით ჴელმწიფედ მპყრობელმქონებელმან მეფეთა მეფემან გიორგი ძემან დიდისა და მეფეთა შორის წარჩინებულისა და სანატრელისა ღ˜თივ გუირგუინოსნისა და ღ˜თივ დიდებულისა საკურთხეულისა მეფეთა მეფისა მონაზონისა ალექსანდრესმან" შეგწირე ეს მცირე შესაწირავიო[453]. ერთს თავის სიგელში ამ გიორგი მეფეს თავის ჩამომავლობაზე და წინაპრებზე აქვს ცნობები მოთხრობილი. იქ ნათქვამია: "ჟამსა პაპის ძმისა ჩუენისა მეფეთ-მეფისა გიორგისსა და მეფობასა და პატრონობასა შინა მისსა მოსულიყო" თემურ-ლენგი, რომელმაც სხვა ქვეყნებთან ერთად საქართველოც ააოხრაო. შემდეგ "მშჯდობა ყო საქართველოსა ზედა და შემდგომად ამისსა ღირს ყო ღ˜ნ მამა ჩუენი პატივსა მეფობისსა მოღებად"[454]. მერმე "ინება მოწყალებამან ღ˜თისამან და ორისავე ტახტისა ჴელმწიფედ მპყრობელ ვიქმენით" -ო[455] და როგორც თავის დროს "ესე სულკურთხეულსა მამასა ჩუენსა მეფეთა მეფესა ალექსანდრეს შეეწირნეს" და დაემტკიცებინა, ჩვენც ჩვენის მხრით დავამტკიცეთო[456].

---

[452] **ვახუშტი,** ისტ. 302.

[453] ისტ. საბ. III, 30, ქ˜კბი II, 260-261.

[454] **ს. კაკაბაძის,** გამ. მცხეთის საკათალიკოსო მამულების გუჯარი. 1447-1448 წ. გიორგი IX მიერ ბოძებული გვ. 3 და ქ˜კბი II, 259.

[455] იქვე, 4.

[456] იქვე, 6.

გამეფების თარიღი

გიორგი მეფე 135 ქრონიკონს დამჯდარა მეფედ. ”დაიწერა გუჯარი ესე ჩუენი ინდიქტიონსა მეფობისა ჩუენისასა ა: ქ˜კნსა რლე დეკემბერსა კე”-ო[457], ნათქვამია მისი მეფობის პირველი წლის საბუთში. დანარჩენ სიგელებში შემდეგი ცნობა მოიპოვება: ”დაიწერა ბრძანება და სიგელი ესე ჩუენი ქ˜კნსა რლვ (136), ინდიქტიონსა მეფობისა ჩუენისასა მესამესა”[458].

”დაიწერა ბ˜ბა და სიგელი ესე ინდიქტიონსა მეფობისა ჩუენისასა: გ(3) ...ქკ˜ნსარლზ (137) დეკემბერსა კე (25)”[459]

დაიწერა ბ˜ბა და სიგელი ესე ინდიქტიონსა მეფობისა ჩუენისასა: ე:(5) ქ˜კნსა: რლთ: (139) ივლისსა: ა: (1)”[460].

დაიწერა ”ბრძანება ესე ქ˜კს: - რმა: - (141) აგუისტოსა: - ვ: - (6) ინდიქტიონსა მეფობისა ჩუენისასა მეექუსესა”-ო[461].

”დაიწერა მტკიცე სიგელი ესე ინდიქტიონსა მეფობისა ჩუენისასა ზ(8), ქკ˜ნსა: რმა: (141) ნოემბერს იბ(12)”[462]. ამ სიგელის მხოლოდ პირია შენახული[463].

დაიწერა ”წყალობისა სიგელი ჩვენი ესე ინდიქტიონსა მეფობისა ჩვენისასა მერვესა, ქ˜კს რმა(141)”[464]. მაგრამ აქ ცხადი შეცდომაა, ეს სიგელი კონსტანტინე მეფისა უნდა იყოს[465].

”დაიწერა სიგელი ესე ინდიქტიონსა მეფობისა ჩუენისასა იგ (13) ქკნ˜სა: რმზ (148) იანვარსა ლ: (30)”[466].

გ. ჟურულის სასისხლო სიგელში ნათქვამია: ”დაიწერა ბრძანება ესე ჩუენი და სიგელი ინდიქტიონსა მეფობისა ჩუენისასა მეათოთხმეტესა ქკნ˜სა რმზ (148) ივნისსა ათორმეტსა” [467].

”დაიწერა პიტაკი ესე ქრ˜კნსა: - რნა: - (151) თუესა სეკდენბერსა: - ბ: -(2) ინდიქტიონსა მეფობისა ჩუენისასა მეაჩვიდმეტესა”-ო[468].

გიორგი მეფის ტახტზე ასვლის თარიღის შესახებ მკვლევარნი შემდეგ აზრს ადგანან. თ. ჟორდანიას თავის ქრონიკებში[469] ნათქვამი აქვს: მცხეთის სიგელი (№ 124) 1460 წ. ”ურდოველაშვილისადმი მიცემულია 30 იანვარს, მე-13 წელს გიორგის მეფობისას. რადგან ქვემოდაბეჭდილს ჟურულის გუჯარში, 12 ივნისს იმავე წლისას მიცემულში, აღნიშნულია მე-14 წელი გიორგის მეფობისა, ამის გამო საგულისხმებელია (თუ კი სიგელის დამწერი თვითონ

---

[457] **ს. კაკაბაძე,** მცხეთის საკათ. მამულების გუჯ. 1447-1448 წ., გვ. 8, ქ˜კბი II, 260.
[458] ისტ. საბ. III, 29 და ქ˜კბი II, 260.
[459] ისტ. საბ. III, 32 და ქ˜კბი II, 261.
[460] ქ˜კბი II, 263 და ს˜ქლს სძ˜ვლნი II, 3.
[461] ს˜ქლს სძ˜ვლნი 17.
[462] ქ˜კბი II, 267.
[463] იქვე, 266.
[464] ს˜ქლს სძ˜ვლნი 38-39.
[465] შეად. სიგელს ს˜ქლს სძ˜ვლნი II, 20-21.
[466] ქ˜კბი II, 277 და ისტ. საბ. III, 35.
[467] ს˜ქლს სძ˜ვლნი II, 6 და ქ˜კბი II, 279.
[468] ს˜ქლს სძ˜ვლნი II, 19.
[469] II, 277.

შემცდარი არ არის), რომ გიორგი გამეფებულა 1447 წელს 30 იანვრის და 12 ივნისს შუა”-ო. ს. კაკაბაძესაც ერთს თავის პატარა 1912 წ. დაბეჭდილს წიგნში ”ვახტანგ უცნობი XV საუკუნის აფხაზ-იმერეთის მეფეთაგანი და მისი მემკვიდრე მეფე გიორგი”, ეხება რა ამავე საკითხს გიორგი მეფის 7 სიგელის ქრონიკონებისა და მეფობის ინდიქტიონების ჩამოთვლის შემდგომ, დაძენილი აქვს: ”ამის მიხედვით ადვილად შეიძლება გამოვიანგარიშოთ, რომ გიორგი IX მეფე გამეფებულა 1447 წ. 31 იანვარსა და 11 ივნისს შორის”-ო[470]. მაშასადამე, ს. კაკაბაძეც თ. ჟორდანიას აზრს ემხრობა.

გიორგი მეფის ტახტზე ასვლის თარიღის გამოანგარიშების დროსაც ზემოდასახელებულ მკვლევართ ყურადღება არ მიუქცევიათ, ამა თუ იმ სიგელში მეფობის ინდიქტიონი სრულია აღნიშნული, თუ მხოლოდ მიმდინარე. ამ გარემოებას კი არსებითი მნიშვნელობა აქვს. სამწუხაროდ, ყველა საბუთების დედნები არ არის შენახული და გამომცემლებიც ჩვეულებრივ დედნობის ამ საკითხს ჯერჯერობით სათანადო დაკვირვებით არ ეპყრობიან და ხშირად არა ჩანს, დედნის მიხედვით არის გამოცემული სიგელი, თუ ძველი დროის პირის მიხედვით. ზოგიერთ სიგელში ინდიქტიონების ცნობა ცხადს შეცდომას უნდა წარმოადგენდეს და ასეთს შემთხვევებში საბუთის დედან-პირის შესახებს ცნობას, რასაკვირველია, გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნებოდა.

თუ სრული და მიმდინარე ინდიქტიონების სათვალავში მიღების აუცილებლობას გავითვალისწინებთ, უნებლიეთ ყურადღებას იქცევს ერთი 135 ქრონიკონს დაწერილი სიგელი, მეორე კიდევ 137 ქრონიკონს. პირველი სიგელითგან ჩანს, რომ 135 ქრონიკონს 25 დეკემბერს გიორგის მეფობის უკვე ”ა”, ე. ი. ”ერთი” სრული ინდიქტიონი ყოფილა. ამიტომ საფიქრებელია, რომ გიორგი 134 ქრონიკონს 25 დეკემბრის ახლო ხანებში უნდა გამეფებულიყო. მეორე სიგელითგანაც ირკვევა, რომ 137 ქრონიკონს 25 დეკემბერსავე გიორგის მეფობის უკვე სრული სამი ინდიქტიონი ყოფილა. ამ ცნობითგან ჩანს, რომ გიორგი მართლაც 134 ქრონიკონს ანუ 1446 წ. 25 დეკ. ახლო ხანებში უნდა დამჯდარიყო მეფედ. ის გარემოება, რომ ორი სხვადასხვა, მაგრამ ახლო დროის და მეფობის დასაწყისის ხანის, საბუთი ასე გასაოცრად შეთანხმებულს და ზედმიწევნითს (25 დეკ.) ცნობას გვაწვდიან სრული ინდიქტიონების რაოდენობის შესახებ, უფრო აძლიერებს ზემომოყვანილ დასკვნას გიორგი მეფის გამეფების თარიღის შესახებ.

გიორგი მეფის პირველი და მეორე თანამეცხედრე

გიორგი მეფე თავისი მეფობის პირველს სიგელში და 1447 წ. მცხეთის საკათალიკოზო მამულების გუჯარში თავის თანამეცხედრეს და შვილს არ იხსენიებს. აქამდე გამოქვეყნებულ მის საბუთებს შორის 1453 წ. მღვდელ ფილიპე ერემაძისთვის ნაბოძებ შეწყალების სიგელზე უწინარესში, თუ არ ვცდები, არ გვხვდება. ამ საბუთში კი მეფე გიორგი ამბობს: ”თანამეცხედრემან ჩუენმან პატრონმან დედოფალთა-დედოფალმან თამარ” და მე ეს და ეს გიწყალობეთო[471]. 1453 წელითგან 1460 წლამდე მოყოლებული ჯერ არც ერთი საბუთი არ მოიპოვება, რომ გიორგი მეფის თანამეცხედრე მოხსენებული იყოს. 1460 წ.-ის სიგელში კი უკვე თამარის მაგიერ ნესტანდარეჯანი არის დასახელებული. იქ სწერია: ”ჩუენ... მეფეთ-

[470] გვ. 15.
[471] სქ˜ლს სძ˜ვლნი II, 16.

მეფისა გიორგისაგან და თანამეცხედრისა ჩუენისა პატრონისა დედოფალთა-დედოფლისა ნესტანდარეჯანისაგან და ძისა ჩუენისა ალექსანდრესაგან”-ო[472].

რაკი ერთი 1457 წ. სიგელი არსებობს, რომელშიაც გიორგი მეფე თავის გარდა მხოლოდ შვილს ალექსანდრეს იხსენიებს და ამბობს, - ჩვენ ”მეფეთა-მეფემან გიორგი და ძემან ჩუენმან ალექსანდრე”-მო, შვილს ასახელებს, თანამეცხედრე კი მოხსენებული არა ჰყავს, ეს გარემოება შეიძლებოდა იმ მიზეზით აგვეხსნა, ვითომც მაშინ ნესტანდარეჯანი ჯერ დედოფალი არ ყოფილიყოს, თამარი კი უკვე დედოფალი აღარ იყო, რათგან ის მკვდარი იქნებოდა. ამავე მოსაზრების გამო შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ალექსანდრე ნესტანდარეჯანის კი არა, არამედ პირველი ცოლის თამარის შვილი უნდა ყოფილიყო.

მაგრამ ამგვარი დასკვნა მცდარი იქნებოდა. ალექსანდრე თვით თავის დედ-მამად მეფეთა-მეფეს გიორგის და დედოფალთა დედოფალს ნესტან დარეჯანსა სთვლის (იხ. ქვევით). მაშასადამე, ის ნესტანდარეჯანის შვილი ყოფილა და არა თამარისა. ამიტომვე ცხადია, რომ თუმცა ნესტანდარეჯანი გიორგი მეფეთა-მეფის 1457 წ. სიგელში არ იხსენიება, მაგრამ რაკი მისი ძე ალექსანდრე უკვე დასახელებულია, ნესტანდარეჯანი გიორგის 1457 წ. უწინარეს უნდა შეერთო. რათგან 1453 წ. გიორგი მეფის თანამეცხედრედ თამარი ყოფილა, 1457 წ. კი მისი მეორე ცოლის ნესტანდარეჯანის შვილი ალექსანდრე დაბადებული ჩანს, ამიტომ ნესტანდარეჯანი გიორგის დაახლოვებით 1454 - 1456 წ. უნდა შეერთო.

გიორგი მეფის შვილი

მცხეთის ერთს სიგელში (№ 33) გიორგი მეფე თავისი შვილის შესახებ ამბობს: ”საყუარელმან ძემან ჩუენმან მეფემან ალექსანდრე”-მო[473]. საფიქრებელია, რომ გიორგის ალექსანდრეს გარდა სხვა შვილიც უნდა ჰყოლოდა. და ერისთავთ-ერისთავის ვამიყ შაბურიძის 1465 წ. საბუთი მართლაც ამტკიცებს, რომ გიორგი მეფეს ასულიც ჰყოლია[474]. ამასთანავე შესაძლებელია არა ერთი, არამედ ორი. ერთი მათგანი ბიზანტიის კეისრის თანამეცხედრედ უნდა გამხდარიყო.

გიორგი მეფის ასულის დანიშვნა ბიზანტიის კეისარზე

1451 წელს ბიზანტიის უკანასკნელმა კეისარმა კონსტანტინემ თავისი ერთგული კარისკაცი და მეგობარი ფრანძესი ტრაპიზონისა და საქართველოს მეფეებთან გამოგზავნა, რომ მას ერთ-ერთს ამ ქვეყანათაგანში მისთვის შესაფერისი საცოლო მოეძებნა. ფრანძესი დიდის ამალით გამოემგზავრა, კეისრისათვის საცოლოდ ღირსი ასულნი თავისი თვალით ნახა, მათი ხასიათისა და ყველა თვისების ამბავი თავის მბრძანებელს ჩაუტანა და მათი სურათიც მიართვა. ორთაგან კონსტანტინე კეისარს საქართველოს მეფის შვილი უფრო მოეწონა და საცოლოდ არჩია. საქართველოს მეფემ გიორგიმ კეისრის დესპანს ფრანძესს განუცხადა თურმე: რაკი ჩვენი ქვეყნის ზნეჩვეულებისამებრ საქმროს მოაქვს ქონება საცოლისათვის და არა საცოლოს, ამიტომ მე ჩემს ასულს მზითევს არ გამოვატანო. მაგრამ

[472] ისტ. საბ. III, 34 და ქ˜კბი II, 277.
[473] ქ˜კბი II, 283-284 და ისტ. საბ. III, 39.
[474] ისტ. საბ. II, 17.

იმის დასამტკიცებლად, რომ ამ ქორწინების გულით მოწადინებული ვარ, თანახმა ვარ ჩემს ასულს კონსტანტინეპოლში გასტუმრების დროს თან საჩუქრის სახით ერთდროულად 56000 ოქროს ფული გავატანო და ამას გარდა 3000 ოქროს ფულივე ყოველწლიურად სარგოდ ვაძლიო ხოლმე. მას ამასთანავე ნებას მივცემ ყველა თავისი ძვირფასი თვლები და ქვანი პატიოსანნი, ავეჯეულობა და ყველა თავისი ძვირფასი ტანისამოსი თან წაიღოს. თვით ამ საქმის შუამავალს კეისრის დესპანს ფრანძესს ის შეჰპირებია, რომ როდესაც მომავალ გაზაფხულზე მისი ასულის კეისრისათვის საცოლოდ წასაყვანად მოვიდოდა, საჩუქრად საუკეთესო ღირსების აბრეშუმს ოთხს შულოს ანუ ბოკლს, თითოს 500 ფლურად[475] ღირებულს მისცემდა[476].

ვისაც ქართული სამართლის ისტორია შესწავლილი აქვს, ზემომოყვანილი ბერძნული ცნობა გიორგი მეფის მიერ კეისრის დესპანისათვის ნათქვამის შესახებ, რომ საქართველოში საქმრომ უნდა მიუტანოს საცოლოს ქონება და არა საცოლომაო, არ გააკვირვებს. თუმცა მზითევი საქართველოში უკვე VIII - IX. ს.ს.-ში არსებობდა და შემდეგ ჩვეულებრივ მოვლენად იქცა, მაგრამ ქორწინების XVIII საუკ. ზნეჩვეულების მიხედვით კი ისე იყო დაწესებული, რომ ჯერ უეჭველად საქმრო მიართმევდა საცოლოს საჩუქარს, ხოლო შემდეგ საცოლოს მზითვის წიგნს წაიკითხავდნენ ხოლმე. წესი იყო, რომ ქორწილის დროს "ადგებოდის ეჯიბი მეფისა ორისა შიშვილისა ჴლმითა და მდივანმა ანუ მწიგნობარმან ვინმე წარუკითხის ნუსხა ქალსა მას ქმრის თვისისაგან მიცემულთა სოფელთა ნუსხა პირბადისა ასახდელად. შემდგომად მივიდის ეჯიბი, დაუჩოქოს ჴრმლებითა და აჰხადოს პირბადე სძალსა მას. შემდგომად წარმოდგებოდის საშუალ მდივანი ანუ მწიგნობარი ვინმე და წარიკითხის რასაცა ქალს მას გაატანდიან ზითვადა"-ო[477].

მაშასადამე, ძველი ქართული ზნეჩვეულება თავდაპირველად ვაჟს ავალებდა, რომ საცოლისათვის საჩუქარი მიეტანა და ძველის ძველი ხანის იმ "ურადის" ნაშთი უნდა იყოს, რომელიც "ურვადის"-აგან არის წარმომდგარი და იმ დროს უნდა დაწესებულიყო, როდესაც ქალის ცოლად შერთვა მოტაცება-სყიდვით, სწორედ "ურვადის" მიცემით შეიძლებოდა მხოლოდ. საფიქრებელია, რომ გიორგი მეფეს ქართული ზნეჩვეულების ამ ადათზე ჰქონდა ლაპარაკი და არა იმაზე, თითქოს საქართველოში მაშინ მზითევის მიცემა წესად არა ჰქონოდეთ.

კონსტანტინე კეისარს საქართველოს მეფის გიორგის ასული აურჩევია თავის საცოლოდ და ბიზანტიის კეისრის თანამეცხედრედ, საქორწინო ხელშეკრულებისათვის ხელიც მოუწერია და საქართველოს დესპანისათვის გაუტანებია. მალე ქორწილიც უნდა მომხდარიყო. მაგრამ კონსტანტინეპოლის თურქთა მიერ აღებამ და კონსტანტინე კეისრის სიკვდილმა ეს საქმე ჩაშალა[478].

ზემოხსენებული გიორგი მეფის ასული შესაძლებელია ის ქალი იყოს, რომელიც საქართველოს მეფეს 1465 წ. თავის ყმისათვის ერისთავთა-ერისთავის ვამიყ შაბურისძისათვის მისი შვილის საცოლოდ მიუცია. ვამიყ შაბურისძე ამბობს: "ჩუენდა უღირსად დიდად და საპატიოდ შეგუიწყალეს პატრონმან მეფეთა-მეფემან გიორგი და მათი ასული ჩუენისა

---

[475] Ecus d'or. ოქროს ფული იყო 3 და 6 მისხლიანი, მაგრამ რაკი საქართველოში ამ დროს ფლური ტრიალებდა, საფიქრებელია, რომ ფლურზე უნდა ყოფილიყო ლაპარაკი.

[476] Phrantz. I. 3, c. I. და შემდეგი; იხ. Lebeau, Histoire du Bas-Empire, nouvelle édition, t. XXI, 219-221.

[477] **ბატონიშვილი** ვახტანგ, ისტორიები აღწერა, გამ. **ს. კაკაბაძისა,** 1914 წ., გვ. 15.

[478] Lebeau, op. cit, t. XXI, 221-222.

შვილისათვის გუიბოძეს და მოგუცეს”-ო[479]. თუ ეს ქალი გიორგი მეფის ერთადერთი შვილი იყო და მართლაც სწორედ ის ასული იყო, რომელიც ბიზანტიის კეისრის თანამეცხედრედ უნდა გამხდარიყო, რასაკვირველია, შაბურისძეზე გათხოვება დიდად უღირსად უნდა ჩათვლილიყო. ერთი გარემოებაა აქ მხოლოდ დამაფიქრებელი: გიორგი მეფის ასული კეისარზე 1452 წ. უნდა გათხოვებულიყო. მაშასადამე, ის მაშინ სულ ცოტა ალბათ 13 – 15 წლისა იქნებოდა. თუ ის 1465 წ. გათხოვდა, 13 წლის განმავლობაში ის პირველი ჩაშლილი დანიშვნის შემდეგ გაუთხოვარი დარჩენილა და მაშინ ისე გამოდის, რომ შაბურისძეზე გათხოვების დროს 26 - 28 წლისა უნდა ყოფილიყო. იმ დროში ასე გვიან გათხოვება და ასე ხანგრძლივი გაუთხოველობა იშვიათი მოვლენა იყო და ამიტომ ეჭვი გვებადება, გიორგი მეფეს მეორე ქალი ხომ არა ჰყავდა და აქ მეორე ასულზე ხომ არ არის ლაპარაკი?

2. ბრძოლა საქართველოს დანაწილებისა და მთლიანობის გამო მეფე-მთავართა შორის

ყუარყუარე და აღბუღა ათაბაგი

გიორგი მეფის მეფობის პირველსავე წელს მესხეთში ჯაყელთა მმართველ საგვარეულოში ბრძოლა მომხდარა. კინკლოსები ამ ამბავს მეტად მოკლედ მოგვითხრობენ: ”ქ˜კსა რლე (135=1447 წ.) აღბუღა და ყუარყუარე შეიბნეს”[480]. მხოლოდ ჩხეიძის ქ˜კა ამ ბრძოლის თარიღად 1446 წ. ასახელებს. ამ ცნობითგან არც მებრძოლთა ვინაობა ჩანს, არც შებმის მიზეზი და ბრძოლის შედეგი ირკვევა. ბატონიშვილს ვახუშტს აღბუღა იმ ათაბაგად მიაჩნია, რომელმაც ცნობილი სამართლის წიგნი შეადგინა. ამის საბუთად, როგორც ეტყობა, მას მხოლოდ თვით ეს სასამართლო ძეგლი უნდა ჰქონოდა[481]. მაგრამ ვახუშტის აზრი ამ ორი აღბუღას იგივეობის შესახებ მცდარი უნდა იყოს[482]. სახელოვანს ისტორიკოსს შედარებით დაწვრილებითი ცნობები მოეპოვება აღბუღა-ყუარყუარეს შებმის მიზეზისა და ბრძოლის შედეგის შესახებაც. მისი სიტყვით ყუარყუარე აღბუღას ბიძა უნდა ყოფილიყოს. ამ ყუარყუარემ მესხთა გადაბირება დაიწყო. ეს რომ აღბუღამ შეიტყო, ყუარყუარეს შეპყრობა განიზრახა, მაგრამ ყუარყუარემ დაასწრო და ”ეწყო ძლიერად წელსა 1447 წელსა, ქართულსა 135”. ამ ბრძოლაში ”იძლია აღბუღა ათაბაგი” და ლტოლვილი ”მოვიდა წინაშე გიორგი მეფისა”, რომელმაც აღბუღას დახმარება გაუწია და ყუარყუარეს წინააღმდეგ გაილაშქრა სამცხეში. ყუარყუარეს შებრძოლება ვერ გაუბედნია და თურმე თითონვე მოგება მეფესა და

”იტყოდა უცოდველ-ყოფასა”. გიორგი მეფემ, როგორც ეტყობა, მაინც აღბუღას დაუჭირა მხარი და კვლავ ”აღიყვანა აღბუღავე პატივსა ათაბაგობისასა”. ხოლო ყუარყუარე, ვითარცა საეჭვო ზრახვების მატარებელი, ”დაიმჭირა კარსა თვისსა ზედა”. რასაკვირველია, ამ დროითგან მოყოლებული მეფე გიორგისა და ყუარყუარეს შორის უნდობლობა და უსიამოვნო დამოკიდებულება უნდა ჩამოვარდნილიყო და არც გასაკვირველია, თუ ”ამიერითგან იქნა

---

[479] ისტ. საბ. II, 17 ვამიყ შაბურისძის სიგ. 1465 წ.

[480] იკორთის № 6 ჟამნ-გულანი, **ს. კაკაბაძე,** 4, ჟამნი № 2 და ქ˜ცის შევს-გად. მეორე გაგრძ., ქ˜კბი II, 258, და პარიზ. ქრ. **ზ.ჭიჭინაძე,** 6.

[481] **ვახუშტი,** ისტ. 302.

[482] იხ.**ს. კაკაბაძის** სჯულმდებელთა ბექას და აღბუღას ვინაობა, 1912წ., 4-7.

ყვარყვარე ქვეგამხედველი მეფისა". თვით გიორგი მეფემ დროთა განმავლობაში ყუარყუარეს მაინც აპატია და როდესაც 1451 წ. ათაბაგი აღბუღა მოკვდა, მან "მიუბოძა ბიძასა მისსა ყუარყუარეს მობირებითა ვეზირთათა ათაბაგობა"[483]. თუმცა არა ჩანს, რა წყარო ჰქონდა ბატონიშვილს ვახუშტს, მაგრამ რომ მთელი ეს მოთხრობა სანდო შთაბეჭდილებასა სტოვებს და შეუძლებელია სახელოვან ისტორიკოსის მიერ თავითგან ბოლომდის შეთხზული იყოს, ეს ვგონებ ცხადი უნდა იყოს.

ქართული წყაროების დუმილი შინაური ბრძოლის შესახებ და საქმის ნამდვილი ვითარება

ამ დროითგან მოყოლებული 1462 წლამდე არც კინკლოსებში, არც ქ˜ც-ის გაგრძელებაში და არც თვით ბატონიშვილი ვახუშტის საისტორიო თხზულებაშია მოხსენებული რაიმე ცნობა გიორგი მეფესა და ათაბაგ ყუარყუარეს შორის ბრძოლის შესახებ. ისე გამოდის თითქოს მთელი ამ ათი წლის განმავლობაში საქართველოში სრული მშვიდობიანობა და თანხმობა სუფევდა. მაგრამ ირკვევა, რომ იმდროინდელი ამბების შესახებ ცნობები ქართულ საისტორიო მწერლობაში ძალიან ცოტაა შენახული. სხვა მასალებითგან კი ცხადადა ჩანს, რომ ზემოაღნიშნული დასკვნა მშვიდობიანობის შესახებ სრულებით მცდარი იქნებოდა. თვით ყუარყუარე ათაბაგი 1459 წელს ბურგუნდიის მთავარს სწერდა, რომ 50 წელიწადია ჩვენს ქვეყანაში ისეთი ზავი, როგორც ამჟამად შევკარით, არ გაგონილაო[484]. წინათაც მიბრძოლია და გამიმარჯვნია ურჯულოებზედ და უფრო მეტადაც გავიმარჯვებდი, ამ უკანასკნელ წლებში მეზობელ ქრისტიან მთავრებსა და ჩემს შუა რომ ომი არ ატეხილიყოო[485]. რათგან ყუარყუარეს მეზობლად ქართველ მეფე-მთავრებს გარდა ქრისტიანი მბრძანებლები სხვა არავინ იყო, ცხადია ათაბაგი აქ საქართველოს შინაურს მტრობა–ომზე უნდა ლაპარაკობდეს. თვით გიორგი მეფის სიტყვებითგანაც ჩანს, რომ 1459 წლამდე მას შინაურობაში ბრძოლა ჰქონია, რომელიც, ზავი რომ არ ჩამოეგდოთ, მისი სიტყვით ალბათ მის სასარგებლოდ უნდა დამთავრებულიყო ისე, რომ ეს სხვათა შუამავლობით დადებული ზავი პირადად თავისთვის საზარალოდ მიაჩნდა[486]. დასასრულ, დასავლეთ ევროპაში 1460 წ. ჩასულს ქართველს დესპანებსაც იქაური ქრისტიანებისათვის და პაპისათვის არ დაუმალავთ, რომ მათ უკანასკნელ დროს ერთმანეთში დიდი მტრობა ჰქონდათ უომნიათ კიდეც[487].

ამგვარად ცხადი ხდება, რომ ქართული წყაროების მდგომარეობისდა მიუხედავად მეფე გიორგისა და მის მთავრებს შორის დიდი უთანხმოება და სასტიკი ბრძოლა ყოფილა. მოწინააღმდეგეთა მოთავედ უეჭველია ყუარყუარე ათაბაგი უნდა ყოფილიყო. ეს ბრძოლა საქართველოს განკერძოება-დანაწილებისა და მის მთლიანობა-განუყოფლობის გამო იყო ატეხილი და მესხეთის ათაბაგი, სამეგრელოს მთავარი და გურიელი თავიანთ თავს უკვე საკმაოდ დამოუკიდებლად გრძნობდნენ, რომ ცალ-ცალკე გამოეყვანათ ჯარი, ხოლო

---

[483] **ვახუშტი,** ისტ., 302-303.

[484] **თამარაშვილი,** ისტ. კათ., 595. "Nos haec omnia pacem ad ligam ex parte nostra fecimus quae a quingentis annis citra in his nostris reqgonibus non sunt audita".

[485] იქვე, გვ.549. "Nisi his superioribus annis bella quaedam inter me et aliquos principes Christianos finitimos meos orta fuissent, maiora profecto contra infideles gessissem".

[486] იქვე, გიორგი მეფის 1459 წლ. ეპისტოლე ბურგუნდიის მეფისადმი, გვ. 597.

[487] იქვე, 598.
"Cum gravibus inter se odiis discordarent, Bellumqua gererent".

ყუარყუარე ათაბაგს საქართველოს მეფის გიორგის დესპანთან ერთად თავისი საკუთარი განსაკუთრებული ელჩი გაეგზავნა დასავლეთ ევროპის ქრისტიან სახელმწიფოებში.

ათაბაგის ცდა მესხეთის ეკლესიების საქართველოს დედა-ეკლესიისაგან ჩამოსაშორებლად

ჯერჯერობით ჩვენ არავითარი სხვა ცნობები არ მოგვეპოვება ქართველ მეფე-მთავრების ამ შინაური ბრძოლისა და ატეხილი ომის შესახებ. ირკვევა მხოლოდ, რომ ყუარყუარე ათაბაგი იმდენად დაბრმავებული ყოფილა ამ მტრობითა და განკერძოებისთვის ბრძოლით, რომ უთანხმოება და სიძულვილი საეკლესიო სფეროშიაც გადაუტანია. როგორც მესხეთის შინაურ მართვა-გამგეობაში დაუკითხავად მოქმედებდა და საგარეო საქმეშიაც, თუ სრულებით დამოუკიდებლივ არ აწარმოებდა საქმეს, საკუთარი დესპანები ჰყავდა მაინც, იმგვარადვე საეკლესიო წესწყობილებაში და ცხოვრებაშიაც მესხეთის საკათალიკოზო საყდრისაგან ჩამოშორება და სრული დამოუკიდებლობის მოპოვება სურდა. საქართველოს კათალიკოზები სამართლიანად შიშის თვალით შეჰყურებდნენ მესხეთის მთავრისა და ეპისკოპოსების განკერძოების პოლიტიკას და ამაში ქართული დედა-ეკლესიისა და საქართველოს პოლიტიკური მთლიანობის ორგულობას ხედავდნენ. ათაბაგები იმდენად გაკადნიერებული იყვნენ, რომ ადგილობრივი ვიწრო თემობრივი მამულიშვილობითა და მტრობით დაბრმავებულნი წირვა-ლოცვაში, როგორც ეტყობა, უკვე საქართველოს მეფესა და კათალიკოზს აღარ იხსენიებდნენ[488].

საეკლესიო იერარქიის მხრივაც მესხეთის ათაბაგეს თავიანთი საბრძანებლის მცხეთის საკათალიკოზო საყდრისაგან ჩამოშორება სურდათ და ცდილობდნენ, რომ მათი "მღრდელი და დიაკონი" და მათზე უფროსნიც ადგილობრივ, "უმცხეთოდ" კურთხეულიყვნენ[489]. ამის მიღწევა მათ, რასაკვირველია, მხოლოდ საქართველოს საეკლესიო ერთობის მოსპობითა და თავისთვის დამოუკიდებლობის მოპოვებით შეეძლოთ. ამ მიზნის განმახორციელებელ საუკეთესო საშუალებად ყუარყუარე ათაბაგს, როგორც ჩანს, მაწყვერელი ეპისკოპოსის ამაღლება და მესხეთის საეპისკოპოსო საყდრების უფროსად ქცევა მიუჩნევია, ის, რაც მისმა მემკვიდრე ათაბაგებმა და განსაკუთრებით მზეჭაბუკ ათაბაგმა ცოტა ხნის შემდგომ განახორციელეს კიდეც[490].

იმის მაგიერ, რომ ეპისკოპოსად და არქიმანდრიტად არჩეულნი წინანდებურად მცხეთაში წასულიყვნენ, მათ სურდათ, რომ კათალიკოზის მაგიერობა თვით მაწყვერელს გაეწია და მაწყვერელს ეკურთხებინა.

ყუარყუარე ათაბაგს საეპისკოპოსო პირების არჩევის უფლება უკანონოდ მოუტაცნია და თვით ჩაუგდია ხელში. ამას, რასაკვირველია, იმ მოსაზრებით სჩადიოდა, რომ საშუალება

---

[488] **ანჩელის** ერთგულების სიგ.: ქ˜ბი II, 267.
[489] **ვარძიის ძმათა** ერთგულების წიგნი: ქ˜კბი II, 269.
[490] იხ. **დოროთეოს პატრიარქის** სიგ.: ქ˜კბი II, 317.

ჰქონოდა თავისი პოლიტიკის მომხრე პირები და მის ბრძანებათა ყურმოჭრილი ყმები აერჩია ეპისკოპოსებად.

საქართველოს პატრიარქ-კათალიკოსების მედგარი ბრძოლა ქართული ეკლესიის მთლიანობის შესანარჩუნებლად

ასეთ ცხადს უკანონო და დამღუპველ პოლიტიკას საქართველოს ეკლესიის მთლიანობისა და ერთობის გაპიროვნებული გამოხატულების მტარებელი, "ქართლისა კათალიკოსი და ყოვლისა საქართველოჲსა პატრიარქი", სასტიკად ებრძოდა და ყოველს მესხეთით მცხეთაში საკურთხებლად მოსულს სამღვდელო პირს შემდეგს პირობის წიგნსა და ფიცს ადებინებდა: "თუ ყუარყუარემ მაწყუერელობა ან სხვა რამე ჴელი გუაძლიოს და დაგუპატიჯოს კურთხევისა მიზეზითა, სადამდის თქუენსა საყდარსა არ დაემორჩილნენ... ჴელი არა გამოვართუა"-ო, თუ "მაწყუერელობა ანუ სხვა ჴელი რამე გაუძლიოს, არა გამოვართუათ ყუარყუარეს თქუენდა დაუმოწმებლად"-ო[491]. ამ უკანასკნელი სიტყვებითგან ცხადად ჩანს, რომ მესხეთში საეკლესიო არჩევნების მაგიერ ათაბაგ ყუარყუარეს პირადი არჩევანი სწყვეტდა მაღალ საეკლესიო თანამდებობისათვის საჭირო პირთა ვინაობას და მაწყვერელობას თუ სხვა საეპისკოპოსო "ჴელს" ის შეაძლევდა და ის ჴნიშნავდა.

მცხეთისგან მესხეთის საეკლესიო ჩამოშორება საეკლესიო კანონების თვალსაზრისით არც ისეთი ადვილი და მარტივი საქმე იყო, როგორც ეს ჯაყელთა გვარის ათაბაგებს ეგონათ. უზენაესი მწყემსთ-მთავრის ურჩობა დიდ და მიუტევებელ ცოდვად ითვლებოდა და ასეთს დანაშაულს შესაფერისი სასჯელიც მოჰყვებოდა ხოლმე: შეიძლებოდა კრულვითა და შეჩვენებით გათავებულიყო საქმე. საეკლესიო კანონებით კი კრულსა და შეჩვენებელს სამღვდელო პირს მღვდელმსახურების უფლება არ ჰქონდა. ხოლო თუ დამნაშავე ცოდვას არ მოინანიებდა და " შეუნდობლად" დარჩებოდა, სასჯელის "ახსნილობისა და შენდობის" წიგნს არ მიიღებდა, მას შეიძლებოდა ქრისტიანული თვალსაზრისით უსაშინელესი სასჯელი "უზიარებლობა" დასტყდომოდა თავზე.

ქართული ეკლესიის საჭეთ-მპყრობელს მესხეთის ათაბაგის უგუნური პოლიტიკისა და მისი მოდამქაშე ეპისკოპოსებისათვის სასტიკი და შეუდრეკელი ბრძოლა გამოუცხადებია კიდეც. კათალიკოზი დავითი ურჩსა და განხეთქილებისა და განკერძოების მომხრე მესხეთის ეპისკოპოსებს გასწყრომია და მათ მოსარჯულებლად უკიდურესი საშუალებისათვისაც კი მიუმართავს და შეუჩვენებია ისე, რომ მისგან "მაწყუერელი და სამცხის ეპისკოპოსნი... უჯუარო და შეუნდობელნი იყუნეს საფარისა თავზედაო"-ო[492].

ათაბაგის ცდა მესხეთის ეკლესიების საქართველოს კათალიკოსის ხელთდასხმითგან განთავისუფლებულისათვის

[491] **ანჩელის** 1453 წ. ახლო ხანის ფიცის წიგნი: ქ˜კბი II, 268.

[492] 1453 წ. ახლო ხანის ანჩელი არქიმანდრიტისა და ყუმურდოელის ერთგულების წიგნები: ქ˜კბი II, 267, 268.

მაგრამ არც ჯაყელნი შეურიგდებოდნენ ასე ადვილად პირადად თავიანთსა და მათ მომხრე ეპისკოპოსთა ბედს. აკი არც შეჰრიგებიან და წინანდელზე უფრო უკადრისისა და ეროვნული თვალსაზრისით უფრო საძრახისი საშუალებისათვის მიუმართავთ. მაჰმადიანთა მიერ აღმოსავლეთის დაპყრობისა და განსაკუთრებით ბიზანტიის სახელმწიფოს დაუძლურებისა და თურქთაგან დაპყრობის შემდგომ, ანტიოქიის და იერუსალიმის მღვდელთ-მთავარნი, თვით პატრიარქიც კი ხშირად თავიანთ სამწყსოს ჰშორდებოდნენ და უცხოეთის საქრისტიანო სახელმწიფოებს ეწვეოდნენ ხოლმე ფულის და სხვა ყოველგვარი დახმარების სათხოვნელად და შესაგროვებლად. მათხოვრობის გზაზე მდგომთ მათ უცხოეთის გულუბრყვილო ქრისტიანების წინაშე თავიანთი სახელის გატეხა არ სურდათ და თავიანთი თავი "უსჯულოების" აღმომფხვრელად და ძველი საეკლესიო კანონებისა და უფლებრივი მდგომარეობის აღმადგენელად მოჰქონდათ. ჩვეულებრივ ამგვარ პირებს, რასაკვირველია, ცბიერება და ცრუმორწმუნე ხალხის მიზიდვა საშუალებას აძლევდა თავიანთი პირადი საქმე, ფულის შეგროვება, ვითომც "უსჯულოთა" ხელითგან წმიდა ადგილებისა და ტანჯულ ქრისტიანთა განსათავისუფლებლად მოწყობილი, ფართოდ და ბრწყინვალედ მოეხერხებინათ.

ძველ დროსაც, X-XIII ს. ს–შიც, ამგვარი მოგზაურობისა მათხოვრობის მიმდევარი მღვდელთ-მთავარნი თითო-ოროლა მაინც ალბათ იქმნებოდნენ, მაგრამ მაშინ ცბიერი სიტყვებითა და მოჩვენებით ქართველობის მიზიდვა ისე ადვილი არ იყო და თუნდაც რომ გულუბრყვილო ხალხი მიეზიდათ, ამას, რასაკვირველია, სრულებით კერძო ხასიათი ექმნებოდა. მათ არავინ უფლებას არ მისცემდა ისეთი რამე ექადაგად, ან ჩაედინათ, რაც პოლიტიკური, ან ეროვნული თვალსაზრისით საქართველოსთვის საზიანო, ან თუნდაც მხოლოდ სახიფათო ყოფილიყო. XIV და განსაკუთრებით XVს-ითგან გამოყოლებული თურქ-ოსმალთა გაძლიერების შემდგომ ამგვარ მოგზაურ უცხო მღვდელთ-მთავართა რიცხვი უნდა გამრავლებულიყო და საისტორიო ცნობებითგანაც ჩანს, რომ გამრავლებულა კიდეც. ვარძიის მონასტრის ძმობას თავისი ერთგულების წიგნში აღნიშნული აქვს, რომ "მას ჟამსა"-ც თურმე მესხეთში ერთი ამნაირი "მცბიერი ბერი ბერძენი მოვიდა ცრუ-წინასწარმეტყველი", რომელმაც "მცირითა რათმე სიტყჳთა მიგჳზიდნა" და მოგვხიბლაო[493]. ეს ცბიერი ბერძენი ბერი "მიტროპოლიტი" ყოფილა. მას თავისი "წიგნი" და "მცნება" დაუწერია და უქადაგნია სამცხეში[494]. ადვილი მისახვედრია, თუ რა უნდა ემცნო ამ "ცრუ წინასწარმეტყველს" საქართველოს ამ განკერძოებისა განდგომილობის სენით შეპყრობილს კუთხეში. საეკლესიო კანონები ეპისკოპოსს სხვის სამწყსოში ადგილობრივ მღვდელთ-მთავრის ნებადაურთველად ყოფნას უკრძალავენ. მით უმეტეს "არა ჴელეწიფების ეპისკოპოსსა სხვისა ეპისკოპოსისა სამრევლოსა ქალაქსა ანუ სოფელსა საერო მოძღვრებად, ანუ კურთხევად ხუცისა, გინა დიაკონისა უნებლიეთ ეპისკოპოსისა მის ადგილისა"[495]. ამიტომ რაიმე გასამართლებელი საბუთი უნდა ჰქონოდა ინტიოქიის მწყემსთ-მთავრებს თავიანთი საქართველოში მისვლისა და მოქმედებისათვის. საფიქრებელია, რომ ამისათვის ანტიოქიელი პატრიარქის მიხეილის მსგავსად, როგორც ეს ქვევით თავის ადგილას ვრცლად მოთხრობილი იქნება, მრავალ საუკუნეებით მივიწყებული ცნობა ქართული ეკლესიის ანტიოქიის ეკლესიისგან ოდინდელი დამოკიდებულების შესახებ უნდა გამოემზეურებინათ. ამით თითქოს თვით ქართული

---

[493] ქ-კბი II, 269

[494] ქ˜კბი II, 269.

[495] VI მსოფ. კრების კანონების § 22, **ი. ხახანაშვილის** გამ, გვ. 98.

ეკლესიის თვით–მწყსობასა და დამოუკიდებლობას "სოფლის სივერაგის" შედეგად და წესთა "შეშლილობად" გამოიყვანდნენ. ამგვარი რწმენის განმტკიცებით მათ ცოტა არ იყოს თავიანთი უკანონო მოქმედებისათვის გულუბრყვილო და უფრო კი "მცბიერი" და ვერაგი ადამიანისათვის გარეგნულად გამოსაყენებელი საბუთი შექმნეს. გიორგი ხუცეს-მონაზონის თხზულებითგან კარგად ვიცით, რომ ანტიოქიის საპატრიარქოს მმართველ წრეებში ამგვარი მსჯელობა და ქართული ეკლესიის დაპატრონების წადილი წინათაც, მაგ., XI საუკუნეშიაც ჰყვარებიათ. მაგრამ ქართველებში მაშინ პოლიტიკური და ეროვნული შეგნება იმდენად საღი და ძლიერი იყო, რომ ყოველი ამგვარი ცდა დაუყოვნებლივ უკუქცეული იყო ხოლმე და აღშფოთებას იწვევდა. ამიტომაც ანტიოქიის სამღვდელოების პრეტენზიები საქართველოსთვის მაშინ სრულებით უვნებელი იყო.

მაგრამ XV საუკუნეში უკვე სხვა პირობები იყო საქართველოში საზოგადოდ და კერძოდ მესხეთში. მოგზაურმა მღვდელთ-მთავრებმა თავიანთთვის შესაფერისი ნიადაგი ჰპოვეს. ათაბაგთა განკერძოებისა და დამოუკიდებლობის მოპოვებისაკენ მიმართული პოლიტიკისათვის, განსაკუთრებით მესხეთის საეპისკოპოზოს საქართველოს ეკლესიისგან ჩამოსაშორებლად, ანტიოქიელი პატრიარქები სახელდახელო, მარჯვე იარაღად გამოდგებოდნენ. ეს ორივე მხარისათვის სასარგებლო იყო: ანტიოქიელი მწყემსთ-მთავრების უკანონო საქციელს, საქართველოს საეკლესიო საქმეებში ჩარევას, ასე თუ ისე ვითომაც კანონიერ ელფერს სდებდა, და იმავე საქართველოში მათ ფულების საფასის მოხვეჭას უადვილებდა. ათაბაგების უგუნურსა და ეროვნული თვალსაზრისით დამღუპველს მოღვაწეობას კი გულუბრყვილოთა წინაშე ცოტად მაინც გარეგნულს თავის გასამართლებელ საბუთს აძლევდა, რათგან ანტიოქიის ფართო კალთის ქვეშ ამოფარება ათაბაგებს პირადი პოლიტიკური ზრახვის განხორციელებას უადვილებდა.

ამიტომ იყო, რომ "მცბიერი ბერძენი" მღვდელთ-მთავრის ქადაგება თურმე ღაღადებდა იმასვე, რაც ათაბაგს სწადდა: რომ "უმცხეთოდ ჩვენი მღრდელი და დიაკონი იკურთხებოდეს"-ო[496].და ეპისკოპოსნიცა და სამღვდელო დასიც ქართლისა კათალიკოსის "ბრძანებისა მორჩილნი" არა ყოფილიყვნენ[497]. ამგვარს ქადაგებას გავლენა მოუხდენია და თავისი ნაყოფიც გამოუღია. თვით ვარძიის ძმობას გულახდილად აღიარებული აქვს "სიტყჳთა მიგჳზიდნა"-ო[498]. საქმე ისე დატრიალდა, რომ "მაწყუერელი და სამცხისა ეპისკოპოსნი" მართლაც ურჩობის გზას დაადგნენ და მცხეთის საკათალიკოსო "საყდარსა არა დაემორჩილნენ"[499].

მესხეთის ურჩი სამღვდელოების შეჩვენება კათალიკოსისაგან და ამის შედეგი

ასეთი საქციელისათვის საქართველოს ეკლესიის საჭეთ-მპყრობელი "გასწყრომია" ეპისკოპოსებს და დამნაშავე სამღვდელო პირნი, "უჯუარობითა" და "შეუნდობლობით"

---

[496] ქ˜კბი II, 269.
[497] იქვე, 269.
[498] ქ˜კბი II, 269.
[499] 1453 წ. ანჩელის ფიცის წიგნი: ქ˜კბი II, 267, 268.

დაუსჯია და შეუჩვენებია[500]. თუმცა ამ სასჯელისა ყველა ბრალეულს არ შეჰშინებია, მაგრამ შეუნდობლობა მაინც იმდენად მძიმე მისაგებელი საშუალება იყო, რომ "შეუნდობელ" სამღვდელო პირებს არც თითონ ჰქონდათ მღვდელთ-მსახურების უფლება და არც სხვებს შეეძლოთ "შეუნდობელთა ეპისკოპოსთა გუერდით ჟამის" წირვა. პირიქით, სხვები ამ შეჩვენებული ადამიანის ვითარცა საკათალიკოსო "საყდრის მტერისა მტერნი" უნდა ყოფილიყვნენ და მისი მიმღები და შემწყნარებელი თითონაც კრული და შეჩვენებული იქნებოდა[501]. ქრისტიანისთვის მაშინ ასეთი მძიმე სასჯელისაგან თავის დაღწევა ადვილი საქმე არ იყო. სანამ ანტიოქიელი პატრიარქი ან მიტროპოლიტი საქართველოში, მესხეთში, იმყოფებოდა, ის, რასაკვირველია, საქართველოს ეკლესიის საჭეთ-მპყრობელის ამ სასჯელის გაქარწყლებას ეცდებოდა და მოახერხებდა, შეჩვენებულ სამღვდელო პირს გაამხნევებდა კიდეც. მაგრამ ანტიოქიელნი ხომ მუდმივ მესხეთში არ დარჩებოდნენ. როდესაც ჯიბეებს გაივსებდნენ, ისინი უეჭველია ისევ თავის სამწყსოში დაბრუნდებოდნენ. მაშინ კი მცხეთის საკათალიკოსო საყდრის გარდა ათაბაგებსა და მათ მომხრეებს სხვა ადგილი, სადაც მესხეთისათვის სამღვდელო პირთა ხელთდასხმა შეეძლოთ, არ მოეპოვებოდა. არც დადებული უჯვარობისა და შეჩვენების სასჯელის "აკსნილობისა და შენდობის" წიგნის მიცემა შეეძლო ვისმე საქართველოს კათალიკოსის გარდა.

ხოლო რაკი მორწმუნე ქრისტიანისთვის ამგვარი წყევლა-კრულვის სასჯელის ატანა სამძიმო იყო და შეუნდობელ სამღვდელოებას სამწყსოს თვალში ღირსება და ზნეობრივი გავლენა შებღალული უნდა ჰქონოდა, ამიტომ მცხეთის კათალიკოსის საშუალებამ მაინც გასჭრა და მესხეთის ურჩსა და ჩამოშორების მოტრფიალე სამღვდელო პირთ საქართველოს ეკლესიის კათალიკოს-პატრიარქის წინაშე ქედი მოახრეინა.

მესხეთის სამღვდელოებისაგან ფიცისა და ერთგულების ხელწერილის ჩამორთმევა კათალიკოსის მიერ.

მაგრამ საქართველოს მწყემსთ-მთავარი ამიერითგან თითოეული მომნანიებელი და ხელდასხმისათვის მოაჯე მესხეთის სამღვდელო პირის სიტყვიერს განცხადებას აღარ სჯერდებოდა და კურთხევამდის ამგვარს ფიცისა და ერთგულების პირობის წიგნებზე ხელს აწერინებდა ხოლმე: "სუეტისა ცხოველისა...და ყოვლად საშინელისა ანჩის ხატისა თავსმდებობითა... ყოველთა ღვთისა წმიდათა ზეცისა და ქუეყანისათა თავსმდებობითა და შუამდგომელობითა ესე წიგნი და პირი გკადრეთ თქუენ ქრისტეს ღმერთისა მიერ ქართლისა კათალიკოსსა დავითს მე აბელისძემან ანჩელ არქიმანდრიტმან ქერობინ მის ჟამისა შედეგად, ოდეს მაწყუერელი და სამცხისა ეპისკოპოსნი თქუენგან უჯუარო და შეუნდობელნი იყუნეს საფარისა თავზედა და თქუენ დიდითა ხუაიშნითა მაკურთხეთ. აწ დღეისითგან წაღმა ჩემად დღედ სიკუდილამდი ვიყო თქუენი და თქუენისა საყდრისა ერდგული და მეფეთა მლოცველი და ყოველთა წირვათა და ლოცვათა შინა თქუენ მოგიჯსენებდეთ. ვინ თქუენგან უჯუარო და შეუნდობელნი იყვნენ, ჩუენგანაცა უჯუარო და შეუნდობელი იყოს. თქუენგან შეუნდობელთა ეპისკოპოსთა გუერდით ჟამი არა ვწიროთ სადამდის თქუენგან აკსნილობისა და შენდობისა ნიშანი არ მოგჳ[ვი]დეს. ვის სწყალობდეთ, ჩუენცა მისნი მლოცველნი ვიქმნეთ და თუ ყუარყუარემ მაწყუერელობა ანუ სხვა რაიმე ჴელი გუაძლიოს და დაგუპატიჯოს კართხევისა მიზეზითა, სადამდის თქუენსა საყდარსა არა დაემორჩილნენ და რაზედაც

[500] 1453 წ. ანჩელის და ვარძიელთა ფიცის წინგნები: ქ˜კბი II, 267-8 და 269.
[501] 1453წ. ანჩელის ფიცის წიგნი : ქ˜კბი II, 268.

უწყრებით თქუენისა საყდრისა წესითა იგი ესრეთვე არ დაგეურვოს, როგორაცა თქუენ და თქუენსა საყდარსა მართებს, მით წესითა, სხუა ჴელი არა გამოვართუა და არცა რა ვინდომო თქუენად დაუმოწმებელად და შეუნდობელად. თქუენისა საყდრისა მტერისა მტერნი ვიყუნეთ და ერთგულთა მოყუარენი და მლოცველნი ვიყუნეთ... რისაც მიზეზისათჳს ესე აღთქუმა გიტყუვოთ და არა გაგითაოთ, თქუენისა კურთხევისა წილ წყევასა ქუეშე ვიყუნეთ... ვინცა ანუ სამწყსომან ანუ სხუამან ვინ კაცმან შემიწყნაროს, იგიცა კაცი კრულია...., სადამდი თქუენვე არ შემიწყალოთ. ამას გარეთ მაწყუერელობა ანუ სხვა ჴელი რამე გუაძლიოს, არა გამოვართუათ ყუარყუარეს, თქუენდა დაუმოწმებლად და ბატონისა ჩემისა უზიანოთა საქმითა საყდრისა და თქუენი ერთგულნი ვიყუნეთ”-ო[502].

როდესაც მომნანიებელი სასულიერო პირი ანტიოქიელი მღვდელთ-მთავრის მაცდური ქადაგების შემწყნარებელი იყო, მას თავის კათალიკოსისადმი მირთმეულ აღთქმაში საგანგებოდ უნდა ფიცი დაედვა: ამგვარი ვინმე სხვა დროს არც ”შემოუშვათ, არც მისი წიგნი ვნახოთ, არც მისი მცნება გავიგონოთ და არასთანა მისი არა ვირწმუნოთ, არც უმცხეთოდ ჩუენი მღრდელი და დიაკონი იკურთხეოდეს...და ვიყუნეთ თქუენისა ბრძანებისა მორჩილნი”-ო[503].

ამ ბრძოლის მნიშვნელობა სახელმწიფოებრივი და ეროვნული თვალსაზრისით

ამ ორი-სამი აღთქმისა და ფიცის წიგნითგან სრულის სიცხადითა და მიმზიდველობით აშკარავდება საქართველოს ეკლესიის საჭეთ-მპყრობელის ბრძნული, ნამდვილად სახელმწიფოებრივ-ეროვნული მიზანშეწონილი პოლიტიკა და მოღვაწეობა.

უეჭველია ყოველი შეგნებული ქართველი მოღვაწის თანაგრძნობა მაშინაც, როდესაც ეს ბრძოლა წარმოებდა, ქართული ეკლესიის მწყემსთ–მთავრის მხარეზე იქნებოდა და ეხლაც, საუკუნეთა შემდგომაც, საქართველოს კათალიკოსთა ეს მედგარი ცდა საქართველოს განხეთქილებისა და განკერძოების პროცესის შესაჩერებლად მშვენიერი მიმზიდველობით მოსილ ბრძოლად გვეხატება.

განა ქართველი ერისთავის მართლადაც დამღუპველი არ უნდა ყოფილიყო მესხეთის ეკლესიის წადილი და მცდელობა სრულიად საქართველოს საკათალიკოსო საყდრისაგან ჩამოსაშორებლად? იმ განსაცდელის დროს, როდესაც ქართველ პატარა ერს სამხრეთ-დასავლეთით მრავალრიცხოვანი და ძლიერი მტერი ოსმალეთის სახით მეზობლად გაუხდა და დასავლეთით მას ერთმორწმუნე, მეგობრულად განწყობილი ბიზანტიისა და ტრაპიზონის სახელმწფოების მაგიერ ახალი, მაჰმადიანობით აღფრთოვანებული მებრძოლი სამფლობელო ეგულებოდა, დანაწილებისა და განკერძოების მაგიერ მას ცხადია თავისი ქვეყნის ერთობისა და მთლიანობის განმტკიცებაზე უნდა ეფიქრა. და როდესაც საქართველოს ეკლესიის საჭეთ-მპყრობელნი მესხეთის სამღვდელოებისაგან საკათალიკოსო საყდრის მორჩილებას მოითხოვდნენ, როდესაც იქაურ ეპისკოპოსებსა და ხუცესთ უეჭველად მტკიცე ფიცს ადებინებდნენ, რომ თითოეული მათგანი საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქთა და ”მეფეთა მლოცველი და ყოველთა წირვათა და ლოცვათა შინა” მომხსენებელი ყოფილიყო, განა ამით ისინი საქართველოს მთლიანობისა და ერთობის განმტკიცებისათვის არ იღწვოდნენ? მესხეთის ეკლესიებში საქართველოს მეფისა და კათალიკოსის სახელების

---

[502] ქ˜კბი II, 267-268, იხ. ყუმურდოელი ივანე ლასურისძის ამგვარივე აღთქმის წიგნი, იქვე, II, 268.

[503] ვარძიის ძმათა აღთქმის წიგნი : ქ˜კბი II, 269.

მოხსენება წირვის დროს სრულიად საქართველოს მთლიანობისა და განუყოფელობის თუმც გარეგანი, მაგრამ მაინც დიდმნიშვნელოვანი სიმბოლური გამოხატულება იყო და ამის საწინააღმდეგოდ ბრძოლა მხოლოდ საქართველოს ან დაუძინებელს მტერს, ან მის შეუგნებელსა და პირადი პატივმოყვარეობით გონება-დახშულს შვილს შეეძლო.

ათაბაგებს კარგად ესმოდათ ვისა და რის წინააღმდეგაც იყო საქართველოს მწყემსმთავრების მიერ მესხეთის სამღვდელოებისათვის შემოღებული ფიცი და აღშფოთებული და განრისხებული ჩიოდნენ: "ვინც ჩუენი ეპისკოპოზი მაგათ (ე. ი. კათალიკოსის) წინა საკურთხევლად მოვა, მაგათი და მეფის ერთგულებაზედ აფიცებდნენ"-ო[504]. ის ფარისევლურად საეკლესიო კანონების დარღვევაზე და "სჯულის გარდამავალ საქმე"-ზე სწუხდა, რომელსაც ვითომაც კათალიკოსები ამგვარს შემთხვევებში სჩადიოდნენ. "მაგათ უკეთ იციან, ნაფიცარი არც ეპისკოპოსი შეიწყნარების და არც ხუცესი და ნურც ჩუენ გვიზმენ უწესო რამე საქმე შემოიღონ"-ო[505], ვერაგული ცბიერებით გაიძახოდნენ ისინი, თითქოს თავისი დედა-ეკლესიისა და მის საჭეთ-მპყრობელის ურჩი და ერისა და სამშობლოს მთლიანობის უარისმყოფელი და დამრღვევი ეპისკოპოსი, ან მღვდელი კი შესაწყნარებელი ყოფილიყოს!

მაგრამ ათაბაგი ასეთს ფორმალურს საწინააღმდეგო საბუთსაც არ დასჯერებია და საქართველოს კათალიკოსის წინააღმდეგ უფრო მძიმე და უკადრისი ბრალდებაც წამოუყენებია: ჩვენგან მოსულ სამღვდელო პირთაგანს კათალიკოსი მხოლოდ ისეთებს აკურთხებს ხოლმე, რომლებიც ერთგულების ფიცს იღებენ და მას ქრთამს აძლევენო. ვითომცდა ამ უწესობით აღშფოთებული გოდებდა: "ქრთამით ჴელთდასხმა ანუ ეპისკოპოსისა და ანუ ხუცეს-დიაკონთა ნუცა ეგენიღა იკადრებენ და ნუცა მათ ჴელთქუეშეთი ეპისკოპოზი, ნუცა მანდითი, ნუცა აქათი"-ო[506].

ცხადია, ეს ბრალდებაც მხოლოდ საბრძოლველი იარაღი და პირადად ათაბაგის საძრახისი მოქმედების გასამართლებლად წამოყენებული საბუთია, თორემ რა დასაჯერებელია, რომ ქართლის კათალიკოსს, რომელსაც მესხეთის უმაღლესი სამღვდელოება ათაბაგის წაბაძულობით ისედაც ეურჩებოდა და გაურბოდა, თავისი თავი თითონვე უფრო უარესს მდგომარეობაში ჩაეყენებინა და საქართველოს ეკლესიის მთლიანობის საქმე ქრთამების აღებით გაეფუჭებინა. მისთვის ასეთს პირობებში ყოველ ქრთამზე უფრო ძვირფასი ის იყო, რომ იქაური სამღვდელო პირი მასთან მოდიოდა, მის ბრძანებასა და ხელქვეშეთობას სცნობოდა. რაკი მეფე-კათალიკოს-ათაბაგს შორის ასეთი დაუნდობელი მტრობა და ბრძოლა სუფევდა, რასაკვირველია, კათალიკოსის მიერ ნაკურთხს ეპისკოპოსს ათაბაგი ხეირს არ დააყრიდა და ყოველნაირად შეავიწროებდა. ასეთს პირობებში ამ სამღვდელო პირთა მდგომარეობა მაინცდამაინც სახარბიელოს ბევრს არაფერს წარმოადგენდა. ამავე მიზეზით დაუჯერებელი რამე არის, თუნდა მხოლოდ იმიტომაც, რაკი საამისო ობიექტური პირობები არ მოიპოვებოდა, რომ საქართველოს კათალიკოსს მართლაც ქრთამებით დაერიგებინოს საეპისკოპოსო საყდრები მესხეთითგან ჩამოსულ სამღვდელო პირებისათვის.

თუ ამისდა მიუხედავად ათაბაგის და მის მომხრეთა ბანაკში მაინც საჯაროდ ლაპარაკობდნენ კათალიკოსის მექრთამეობაზე, ეს მხოლოდ იმის მაჩვენებელია, თუ რამდენად ულმობელი და დაუზოგავი ბრძოლა ყოფილა მეფე-კათალიკოს-ათაბაგს შორის და

---

[504] იხ. უცნობი პირისადმი მიწერილი ათაბაგის ჩივილი : ქ˜კბი II, 302.
[505] იქვე, 302-303.
[506] იქვე, 302.

საქართველოს ერთობისა და განკერძოების მომხრეთა შუა, რაოდენი გესლითა და შხამით უნდა ყოფილიყო აღსავსე ამის გამო მესხეთის მაშინდელი ცხოვრება!...

დიაღ, მცხეთის კათალიკოსები მესხეთის სამღვდელო პირთ სწორედ კათალიკოსისა და მეფის ერთგულებაზე აფიცებდნენ და, რაკი ეს ფიცი იმავე დროს საქართველოს სახელმწიფოსი და ეკლესიიის მთლიანობისა და ერთობის ფიცი იყო, ამიტომაც მათ მოქმედებას თანამედროვეთა გულწრფელი თანაგრძნობა და სიხარული უნდა გამოეწვია, შთამომავლობასა და ისტორიას კი არ შეუძლია მათი ღვაწლი ერისა და ქვეყნის წინაშე მთელი თავისი სიღრმე-სივრცით არ დააფასოს. ამ ბრძოლის გართულება და ტყუილ-უბრალოდ გამწვავება ქართული ეკლესიის მღვდელ-მთავარს მაინც არ უნდოდა. იგი ცდილობდა საკათალიკოსო საყდრისა და საქართველოს მთლიანობის ერთგულ პირთათვის საერთო საქვეყნო მოვალეობისა და თავიანთ ადგილობრივი სათემო ვალდებულების ასრულება არ გაეძნელებინა. ამიტომაც მას მათი ამხედრება და გადამტერება ათაბაგის წინააღმდეგ არ სურდა, არც უკრძალავდა მათ ათაბაგების, ვითარცა მესხეთის მთავრის, წინაშე ადგილობრივი ვალი მოეხადათ. ამის გამო კათალიკოსები ნებას აძლევდნენ აღთქმის დამდებ სამღვდელო პირთ ფიცის წიგნში შეეტანათ: ”ბატონისა ჩემისა (ე. ი. ათაბაგის) უზიანოთა საქმითა საყდრისა და თქუენი ერთგულნი ვიყუნეთ”-ო. მათ უნდოდათ, რომ არც ათაბაგების სათემო საქმეს რაიმე ზიანი მოსვლოდა და არც საქართველოს სახელმწიფოსი და ეკლესიის მთლიანობის საქვეყნო საქმე დაზარალებულიყო.

საქართველოს შინაური პოლიტიკური მდგომარეობა

XV საუკ. სამოციან წლებში საქართველოს პოლიტიკური და გიორგი მეფის უფლებრივი მდგომარეობა და სხვებთან დამოკიდებულება თვით გიორგი მეფისა და ყუარყუარე ათაბაგის მიერ დასავლეთ ევროპაში 1459 წ. გაგზავნილი ეპისტოლეებითგან ასე გვეხატება: ქართველთა ათაბაგს ყუარყუარეს თავისი თავი იმდენად დამოუკიდებლად მიაჩნდა, რომ ევროპაში თავის საკუთარ დესპანს ჰგზავნიდა და უცხოეთთან გიორგი მეფისაგან დამოუკიდებელი დიპლომატიური ურთიერთობა და მიწერ-მოწერა ჰქონდა. რასაკვირველია, მას ჯარიც საკუთარი ჰყავდა. ის ცნობილი იყო უცხოეთში და ძლიერი მთავრის სახელი ჰქონდა მოპოვებული. გიორგი მეფე მას მოკავშირედ იხსენიებს. ბედიანიც ცალკე ერთეულის მთავრად ითვლებოდა. იგი სამეგრელოს და აფხაზეთის მფლობელი იყო და იმდენად ფართო უფლებით ყოფილა მოსილი, რომ მეფედაც კი იწოდება. ჯარიც საკუთარი ჰყოლია და მართვა-გამგეობაც თავისი ექმნებოდა. მაგრამ ბედიანის დამოუკიდებლობა მაინც ისე არ აშორებდა მას საქართველოს მეფისაგან, როგორც ათაბაგს. დასავლეთ ევროპაში დესპანების გაგზავნის დროს სამეგრელო-აფხაზეთის მთავარს თავისი განსაკუთრებული წარმომადგენელი არ გაუგზავნია და ალბათ საქართველოს მეფის დესპანი იყო საერთო წარმომადგენელი. მოკავშირეთა შორის გურიაც იხსენიება თავისი საკუთარი ჯარით. ეს გარემოება ცხადჰყოფს, რომ ამ დროს გურიაც უკვე საკმაოდ ცალკე პოლიტიკურს ერთეულს შეადგენდა და საქართველოს მეფეს უშუალოდ აღარ ემორჩილებოდა.

თუ ზემოაღნიშნულ ვითარებას გავითვალისწინებთ, მაშინ ცხადი იქნება, რომ თუმცა გიორგი მეფე თავის თავს ლიხთ-ამერისა და ლიხთ-იმერის საქართველოს გამაერთიანებლად და ორისავე ტახტის მპყრობელადა სთვლიდა, მაგრამ ნამდვილად არც სამეგრელოა-აფხაზეთი, არც გურია და არც სამცხე-საათაბაგო უკვე პირდაპირ მას აღარ ემორჩილებოდნენ.

მაშასადამე, მისი სამეფო მხოლოდ-ღა იმერეთს, ქართლსა და ქიზიყ-კახეთს შეიცავდა. ამგვარად, აშკარა ხდება, რომ შავ ზღვას გიორგი მეფის საბრძანებელი უკვე ჩამოშორებული ყოფილა. თავი წამოყვეს საქართველოს ყმად ნაფიცმა მეზობლებმაც: "უკუდგნენ შირვანელნი და არღარა მოსცნეს ხარკნი. ამისთვის შეიკრიბნა (გიორგი) მეფემან სპანი და შევიდა ყაბალას, წარავლინნა სპანი და მოსრნა ურჩნი და დაამშვიდნა სხვანი, შეჰკვეთნა ხარკნი და მოვიდა თავისად"-ო[507]. თუმცა ამის მსგავსი ცნობა სხვაგან არსადა გვხვდება, მაგრამ მაინც ცხადია ჩვენს მეცნიერ ისტორიკოსს ეს ამბავი რომელიღაც წყაროთგან უნდა ჰქონდეს ამოღებული. ამას ის გარემოებაც ცხადჰყოფს, რომ ვახუშტს ამ ცნობის შესახებ შენიშვნაში ნათქვამი აქვს: "აქა ჩანს ისევ ერთი მეფობა იყო და არა სამი, რამეთუ ყაბალის გზა კახეთი არს, ვითა აჩენს გაყრის წიგნი ბარათიანთა"-ო[508]. მაშასადამე, თვით სახელოვანი ისტორიკოსი ზემომოყვანილ ცნობას ისე უყურებს, როგორც წყაროს, რომლითაც ამათუ იმ ისტორიული საკითხის გამორკვევა შეიძლებოდა.

საქართველოს საგარეო მდგომარეობა და პოლიტიკური ვითარება საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთ-დასავლეთით

სპარსეთი

იმ დროს, როდესაც ქართველობას შინაურობაში ასეთი მტრობა და დაუნდობელი ბრძოლა ჰქონდა და თავის თავს ამ უგუნური მოქმედებით ასუსტებდა სამხრეთ-დასავლეთითა და სამხრეთ-აღმოსავლეთით ერთიმეორეზე უფრო დიდ-მნიშვნელოვანი ამბები მზადდებოდა. სპარსეთში ჯერ კიდევ მხოლოდ დასაწყისი იყო და გამოუცდელ თვალს გარეგნულად ჩვეულებრივი ურთიერთშორისი ბრძოლის გარდა ეგების ვერაფერი შეემჩნია. შაჰროხმა ადერბეიჯანში გამგედ ჯეჰან-შაჰი დასვა, რომელიც თავის შავბატკნიანთა ტომს დროგამოშვებით სომხეთსა და საქართველოს აკლებინებდა ხოლმე. შაჰროხის სიკვდილის შემდგომ 1451 წ. ჯეჰან-შაჰი უკვე თვით სპარსეთს, მიდთა ქვეყანას, მოადგა, ხოლო 1452 წ. ფარსსაც დაეპატრონა[509]. ამის წყალობით ჯეჰან-შაჰის სამფლობელო ქირმანითგან საქართველომდის გარდმოიჭიმა[510].

ჯეჰან-შაჰის გაძლიერებას საზღვარი თეთრბატკნიანთა ტომის მთავრის ყარა-ჲელეკის შვილის-შვილმა უზუნ-ჰასანმა (ე. ი. გრძელმა ჰასანმა) დაუდვა, რომელმაც უკვე 1449 წ. თავისი მეტომენი შეიერთა და გაძლიერება დაიწყო. 1451 და 1457 წწ. შავბატკნიანთა სამფლობელოს შეესია. ამის გამოვე ჯეჰან-შაჰი იძულებული შეიქმნა ხვარასნის წინააღმდეგ ლაშქრობა შეეწყვიტა. ერთი სიტყვით, სპარსეთის მიწა-წყალზე პოლიტიკური შეჯგუფება დაიწყო და სპარსეთის უდიდესი ნაწილის სათავეში ისეთი ძლიერი ნებისყოფისა, გამბედაობისა და შორსმჭვრეტელობის პატრონი ადამიანი მოექცა, როგორიც უზუნ-ჰასანი იყო. ასეთს პირობებში საქართველო ფრთხილად უნდა ყოფილიყო და გამაგრება-გაძლიერებაზე ეფიქრა.

---

[507] ვახუშტის ისტ. 303-304.
[508] ისტ. 303, შენიშვნა 2.

[509] Müller Islam II, 323.
[510] იქვე, 324.

ოსმალეთი

დასავლეთით სპარსეთის ამბებზე გაცილებით უფრო დიდმნიშვნელოვანი ამბები დიდი სიწრაფით ერთიმეორეს მისდევდა. თუმცა გასაოცარია, მაგრამ იმდროინდელ ქართულ კინკლოსებს თუ დავაკვირდებით, ისეთს შთაბეჭდილებას ახდენს, თითქოს ქართველებს ყველა ეს ამბები გამოჰპარვოდეთ, თითქოს შინაური ბრძოლითა და ერთმანეთის ხოცვა-ჟლეტით გართულნი, ისინი ვერც კი ამჩნევდნენ, როგორ შეიქმნა მათ მახლობლად ახალი, დიდი და ძლიერი ოსმალეთის სახელმწიფო, რომელმაც შეუჩერებელი ძლევამოსილობით დედამიწის ზურგითგან აღდგა ოდესღაც ბრწყინვალე მბრძანებელი ბიზანტია.

მაშინდელი საქართველო, როგორც ეტყობა, ჯერ კარგად ვერ გრძნობდა მთელ იმ საშიშროებას, რომელსაც ეს ახლად აღორძინებული სახელმწიფო უქადდა, და უდარდელად განაგგრძობდა თავის შინაარს, დამაუძლურებელს ბრძოლას. შეუდრეკელი ნებისყოფით აღჭურვილი ოსმალეთი კი თანდათანობით აფართოებდა თავისიახალი სამფლობელოს საზღვრებს და ბოლოს თვით ბიზანტიის დიდებული სატახტო ქალაქის ბატონ-პატრონადაც იქცა. მაგრამ ბერძენთა უკანასკნელს კეისარს უბრძოლველად არ დაუთმია თავისი უკანასკნელი თავშესაფარი.

კონსტანტინეპოლის აღება

1453 წ. 29 მაისს შუაღამის ორ საათზე დაიწყო თურქთა ჯარის გარდამწყვეტი ბრძოლა ბიზანტიის სახელმწიფოს დიდებული დედაქალაქის ასაღებად. პირველი ორი იერიში უნაყოფო იყო და ბერძნებმა გულადად მოიგერიეს, მტერი საგრძნობლად დააზარალეს კიდეც. მაგრამ ამ გარემოებას ოსმალთა სულტანი ოდნავადაც არ შეუფიქრიანებია; მუჰამედმა ახლა თავისი იანიჩარები გამოიყვანა, რომელთაც სამხედრო მოქმედებას ოსმალთა უშველებელი ზარბაზნების გრიალი და განმანადგურებელი მოქმედება უადვილებდა. ბერძნები წინანდებურად მედგარს წინააღმდეგობას უწევდნენ მოზღვავებულს მტერს და მუსრს ავლებდნენ იერიშის მომტანთ, მაგრამ მაინც თურქებს ბრძოლის ველზე მრავალრიცხოვანი ჯარი ჰყავდათ და ეს 70000 მებრძოლი ოსმალების აქტიურს მოქმედებას შეუდრეკელი ნებისყოფის ხასიათს ანიჭებდა და აღფრთოვანებით ავსებდა ჯარს. ამიტომ საკმარისი იყო თურქთა ბედითს ისარს კონსტანტინეპოლის დასაცავად მოსული გენუელი ახალშენის მეშველი ჯარის გულადი მეთაური ჯუსტინიანი იმდენად მძიმედ განეგმირა, რომ მას გრძნობა დაჰკარგოდა, რომ ბიზანტიის სახელმწიფოს დედაქალაქის დამცველთ თავზარი დასცემოდათ და შემდრკალიყვნენ. ამით, რასაკვირველია, ოსმალებმა ისარგებლეს და ერთს თავის რაზმს საშუალება მისცეს ქალაქის კედლებზე ასულიყო. შემდეგ დაუდევრობით დაუკეტავად დარჩენილი კერკოპორტას კარებითაც შეესივნენ ოსმალთა ჯარისკაცნი და ზურგით მოექცნენ კონსტანტინე კეისარსა, რომელმაც თავის სამშობლოსა და სახელმწიფოს დამოუკიდებლობას გმირულად თავი შეაკლა.

დილის რვა საათი იქნებოდა, როდესაც ოსმალები კონსტანტინეპოლში შეიჭრნენ, შუადღე იყო, როდესაც სულტანს მუჰამედ II-ეს მახარობელმა მოახსენა, რომ მისი დიდი ხნის გულისნადები და ნატვრა აღსრულდა და კონსტანტინეპოლი მისი ძლევამოსილი ლაშქრის ხელში იყო.

თავზარდაცემულ ბერძნებს გული არ უჯერებდა, არ შეეძლოთ დარწმუნებულიყვნენ, რომ ის რაც მოხდა, სრული და გამოუსწორებელი სინამდვილე იყო: საუკუნეთა

განმავლობაში ხალხში თქმულება იყო გავრცელებული, რომ კონსტანტინეპოლის აღება არავის შეუძლია და საბერძნეთის სატახტო ქალაქი ღვთისაგან არის დაცული. ამიტომ ახლაც ხალხი სასწაულთ-მოქმედებას ელოდა და დიდებულს სოფიის ტაძარში მუხლმოდრეკილი ღმერთს შესტიროდა და "უსჯულოთა" ხელისაგან ხსნას ევედრებოდა. მხოლოდ საყდრის კარზე მომდგარმა მტერმა მთელის თავისი შემაძრწუნებელი სინამდვილით დაარწმუნა ისინი, რომ ყოველივე ამაო იყო და ბედის ჩარხის მოტრიალება აღარ შეიძლებოდა. და როდესაც ამ უმაგალითო გამარჯვებით გახარებული სულტანი თავისი მრავალრიცხოვანი ამალითა და ყველა კარისკაცებითურთ ადრიანოპოლის კარით დიდის ზეიმით კონსტანტინეპოლში შებრძანდა, პირველად წ˜ა სოფიის ტაძრისაკენ გაეშურა და შიგ შევიდა. მისი ბრძანებისაებრ მოლამ ამბიონითგან, საითგანაც მუდამ საქრისტიანო ლოცვა ისმოდა, მაჰმადიანთა მრწამსი წარმოთქვა, ხოლო თვით "ურჯულო" სულტანი მკრეხელი თავმომწონეობით საკურთხეველში შევიდა და დაწესებული ლოცვა შეასრულა[511]. მაშინ კი უკვე ყველაფერი ცხადი შეიქმნა და სასწაულთ-მოქმედების მომლოდინე ხალხს თვალები აეხილა.

ეხლა ჩვენთვის ძნელი წარმოსადგენი უნდა იყოს ის საზარელი შთაბეჭდილება, რომელიც კონსტანტინეპოლის ოსმალთა მიერ დაპყრობისა და ოდესღაც უძლიერესი და უბრწყინვალესი საქრისტიანო სახელმწიფოს მოსპობის ამბავს უნდა მოეხდინა. თვით ბერძნებს ხომ ამ გარემოებამ დაბრმავებული თვალები აუხილა და მათი უგუნური სარწმუნოებრივი მძულვარებისა და შეუთანხმებლობის საშინელი შედეგი დაანახა. 1452 წ. ეკლესიათა შეერთებისათვის მოსულ რომის პაპის მოციქულს კარდინალ ისიდორეს გონება-დახშულ ბერძენ ბერებისა და მდაბიო ხალხის ფეხის-ხმის ამყოლმა მეცნიერმა ბერმა გენადიოსმა და ბიზანტიის სამეფოს მინისტრთა უპირველესმა ლუკა ნოტარასმა ისეთი მძულვარე წინააღმდეგობა გაუწიეს, რომ უკანასკნელმა გაცხარებული კამათის დროს წამოისროლა კიდეც: "ისევე სჯობია კონსტანტინეპოლი მაჰმადიანთა დოლბანდს ემორჩილებოდეს, ვიდრე პაპის მიტრას"-ო[512]. მხოლოდ მაშინ, როდესაც მოულოდნელად ეს სურვილი აღსრულდა, იგრძნო ყველამ და უეჭველია თვით ნოტარასმაც ამ უგუნური სიტყვის მნიშვნელობის მთელი საშინელება, მაგრამ უკვე გვიან იყო.

ბერძენთა წინააღმდეგობით განრისხებული რომის პაპიც ვერ გრძნობდა იმ განსაცდელს, რომელსაც კონსტანტინეპოლის ოსმალთა ხელში გადასვლა დასავლეთის ქრისტიანობასაც უმზადებდა, და ისიც მძულვარებით დაბრმავებული არ მალავდა, რომ მისთვის უკეთესი იქნებოდა კონსტანტინეპოლი და საბერძნეთი თურქებს დაეპყრათ, ვიდრე "მწვალებლებისათვის" რითიმე დახმარება გაეწია[513]. რომში მაინც უფრო ადრე შეიგნეს მოსალოდნელი საფრთხის მნიშვნელობა: კარდინალმა ისიდორემ მოახერხა და პაპი როგორც იყო დაიყოლია, რომ კონსტანტინეპოლში მისაშველებლად ჯარი და სამხედრო ხომალდები გაეგზავნა ამ მიშველებაში პაპის ხომალდებს გარდა ვენეტიკელთა 10 დიდს საომარს ხომალდსა და ნეაპოლის მეფეს ალფონსსაც უნდა მიეღო მონაწილეობა. მაგრამ აქაც უკვე დაგვიანებული იყო და ამ მეშველ ძალას ბიზანტიის დედაქალაქი ორი დღის აღებული დახვდა, როდესაც იგი ნეგროპონტეს ნავთსადგურში შევიდა[514].

---

[511] Prof. G. Herstberg, Geschichte der Bysantiner und des Osmanischen Reiches, 588-589.

[512] იქვე, გვ. 582.

[513] Prof. K. Müller, Kirchengeschichte II, 112, 1897 წ. გამ.

[514] [514] Prof. G. Herztberd, Geschichte d. Byzant. 582, 587 და 591.

რომის პაპის ცდა კონსტანტინეპოლის ოსმალთაგან განთავისუფლებისათვის

ეხლა, როდესაც ბიზანტიის სახელოვანი დედაქალაქი ოსმალებს ეკუთვნოდათ და თვით სახელმწიფოც აღარ არსებობდა, პაპმა ნიკოლოზ V-ემ თავისი შეცდომა კარგად შეიგნო და მხურვალე მოწოდებით მიჰმართა დასავლეთი ევროპის ქრისტიანებს ოსმალთა წინააღმდეგ ჯვაროსნული ომის მოსაწყობად, რომ საბერძნეთი და კონსტანტინეპოლი "ურჯულოთა" ხელისაგან განეთავისუფლებინათ. მაგრამ ამ დროს აღარც რომის პაპს ჰქონდა წინანდელი გავლენა, რომ მის სიტყვას ძლიერად ემოქმედა და რეალური შედეგები მოჰყოლოდა, და აღარც დრო და მაშინდელი სულიერი განწყობილება, არც ეკნომიური პირობები ძველებურ ჯვაროსანთა ომის მოწყობას ხელს აღარ უწყობდნენ. ამიტომ პაპი ნიკოლოზ V-ის ყოველივე ცდა ამაო გამოდგა[515]. ამგვარადვე უნაყოფო იყო მისი მოადგილის კალიქსტი III-ის წადილი და სამზადისი მებრძოლთა შესაგროვებლად: ის, რის შემოკრებაც მან მოახერხა, იმდენად მცირე რამ იყო, რომ თვით აღტაცებულს ადამიანსაც კი ვერ შეაცდენდა და ვერ დააკმაყოფილებდა[516].

კონსიანტინეპოლის თურქთა მიერ დაპყრობის მნიშვნელობა საქართველოსათვის

თუ კონსტანტინეპოლის ოსმალთა მიერ აღებამ ასე შეაწუხა პაპი და დასავლეთი ევროპის შორსგამჭვრეტელი პოლიტკური წრეები, ადვილი წარმოსადგენია რა შთაბეჭდილება უნდა მოეხდინა ამ ამბავს საქართველოში, რომელიც ბიზანტიასთან სულიერ-სარწმუნოებრივადაც უმჭიდროესად იყო დაკავშირებული და კონსტანტინე კეისრის მიერ გიორგი მეფის ასულის საცოლოდ დანიშვნის შემდგომ ხომ უფრო დაუახლოვდა საბეკრძნეთის მმართველთა წრეს. ამიტომაც კონსტანტინეპოლის თურქთა მიერ დაპყრობა საქართველოსათვის მარტო პოლიტიკური და კულტურული თვალსაზრისით კი არ იყო სავალალო, არამედ მისი სამეფო სახლობისათვისაც ეს ამბავი პირადი უბედურებისა და მწუხარების მომასწავებელი იყო, რათგან გიორგი მეფეს და მის ასულს ამავე დროს ბრწყინვალე სასიძოსი და საქმროს სიკვდილი უნდა ეგლოვათ. ამ პირადი და ოჯახური გარემოების გარდა, ბიზანტიის მოსპობა და ოსმალთა გაბატონება კონსტანტინეპოლში საქართველოს დასავლეთისაკენ მიმავალს მთავარ და უმოკლეს გზას უკრავდა და მაჰმადიანთა ძლიერი საბრძანებლის რკალს არტყამდა. თავისუფალი კულტურულ-პოლიტიკური კავშირის შესაძლებლობა ახლად გამოღვიძებულ დასავლეთთან მას ამიერითგან მოსპობილი ჰქონდა. ამიტომ სწორედ განმაცვიფრებელია, რომ ქართულ საისტორიო წყაროებში კონსტანტინეპოლის აღების შესახებ ასეთი მცირე და მხოლოდ მშრალი მატიანისებური ცნობები მოიპოვება.

---

[515] K. Müller, Kirchengeschichte II, 112-113.

[516] იქვე, 113.

პაპი პიო II-ის გეგმა ჯვაროსანთა ომის მოსაწყობად და საქართველოს პოლიტიკოსთა მონაწილეობა

წინამოსაყდრე პაპთა გეგმის დამსხვრევისდა მიუხედავად პაპს პიო II-ეს ჯვაროსანთა ომის მოსაწყობად უფრო ფართო და რთული გეგმა შეუმუშავებია. მას მთელი აღმოსავლეთ-დასავლეთის საქრისტიანო ქვეყნების ამოძრავება განუზრახავს და შეუგნია, რომ კონსტანტინეპოლის დასაბრუნებლად თურქების მთელი ძლიერების დამხობა იყო საჭირო, რაც მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა მოსახერხებელი, თუ ოსმალებს მცირე აზიაშიაც ნიადაგი ფეხებითგან გამოეცლებოდათ. ამ მიზნის მისაღწევად აუცილებლად საჭირო იყო ევროპის ჯვაროსნების ოსმალთა საწინააღმდეგოდ ამხედრებას მცირე აზიაში მყოფი ქრისტიანებიც მიმხრობოდნენ. ამ საქმის მოსაწყობად პაპს მინორიტების მოწესეთაგან ლუდოვიკო ბოლონიელი გამოუგზავნია მახლობელ აზიაში. ის საქართველოშიაც მოსულა და აქ უამბია, რომ რომის პაპი მანტუაში წაბრძანდა საეკლესიო კრების მოსახდენად და თურქთა ხელმწიფის მუჰამედის წინააღმდეგ ომის მოსაწყობად. ლუდოვიკო ბოლონიელს ამასთანავე უთქვამს, რომ რომის ეკლესიის საჭეთ-მპყრობელს სურდა, რომ როცა ის ევროპაში ოსმალებს ომს აუტეხდა, ქართველ მეფე-მთავრებსაც მათთვის ჩხუბი აეტეხათ[517]. ამ სიტყვებითგან ჩანს, რომ ამით პაპს თურქთა წინააღმდეგ სამხედრო მოქმედების შემსუბუქება სურდა, რათგან აზიაშიც ოსმალებს ჯარის დაბანდება მოუხდებოდათ და ამის გამო უნებლიეთ მთელს თავიანთ ძალას ევროპის ბრძოლის ველზე ვერ მოიშველებდნენ.

რაკი ქართველებს თითონაც თურქები მტრად ჰყავდათ გადაკიდებული და სძულდათ, ამიტომ ეს აზრი საქართველოს მმართველ წრეებს ძალიან მოსწონებიათ[518]. მაგრამ ქართველ მეფე-მთავრებს ამ დროს ურთიერთშორის უთანხმოება და ბრძოლაც კი ჰქონდათ. ეს გარემოება, რასაკვირველია, ამ გეგმის განხორციელებას ქართველთა და აღმოსავლეთის ქრისტიანთა დახმარებას რომის პაპის ჯარის ოსმალთა საწინააღმდეგო გალაშქრებაში მეტად სათუოდ ხდიდა. ამიტომ პაპის მოციქულს გადამტერებული და ერთიერთმანეთის წინააღმდეგ ამხედრებული ქართველი მეფე-მთავრების შესარიგებლად შუამავლობა უკისრია. ის ალბათ შეარცხვენდა მათ და ეტყოდა, რომ ძმათა და ერთმორწმუნეთა შორის სისხლის ღვრის მაგიერ, რაც არც მათთვის იყო სახეირო და ღვთის წინაშეც დიდ და მიუტევებელ ცოდვად ითვლებოდა, მათი სულისათვისაც და სახელმწიფოებრივი არსებობის უზრუნველყოფისათვისაც გაცილებით უფრო უკეთესი იყო თავიანთი ძალღონე თურქების წინააღმდეგ მოეხმარათ და გამოეყენებინათ.

ლუდოვიკო ბოლონიელს არამც თუ აბობოქრებულ ვნებათა ღელვისა და მტრობის ალის განელება და ჩაქრობა მოუხერხებია, მათ შორის თანხმობაც ჩამოუგდია[519].

საქართველოში დადებული ხელშეკრულება ოსმალთა საწინააღმდეგო ჯვაროსანთა ომის მოსაწყობად და მისი მონაწილენი

---

[517] Waddingo, Annales Minorum t. 13, p. 154,იხ.**მ. თამარაშვილის** ისტორია კათjლიკობისა ქართველთა შორის, გვ 597,შეად. გვ. 61.

[518] იქვე, 597.

[519] იხ. ყუარყუარეს 1459 წ. დაწერილი ეპისტოლე ბურგუნდიის მთავრისადმი და Waddingo,-ს o. c. t. 13, p. 154. იხ. **მ. თამარაშვილის** ისტ. კათ. 594 და 598.

1459 წ. საქართველოს მეფე-მთავრებს შორის უკვე ზავი ჩამოგდებული იყო და ხელშეკრულებაც კი დაიდო. გორგი მეფე ამ ამბავს ბურგუნდიის მთავარს ატყობინებდა და სწორედ: ჩვენ, ყველა ქრისტიანმა მთავრებმა, რომელნიც ამ ქვეყანაში ვცხოვრობთ, ურთიერთშორის ზავი, კავშირი და ერთობა დავდეთ და ერთიერთმანეთს შევფიცეთ მთელი ჩვენი ცოდნითა და ძალღონით თურქებს ვეომოთ, განსაკუთრებით იმით, რომელნიც კონსტანტინეპოლში არიან, რათგან ისინი ქრისტიანთა ყველაზე უფრო მოძულენი არიან[520].

ყუარყუარე ათაბაგიც 1459 წელს ახალციხეთგან იმავე ბურგუნდიის მთავარს ატყობინებდა: წინათაც ჩემი წინაპრების მსგავსად უსჯულოებს ვებრძოდი და უკანასკნელ წლებში რომ ჩემსა და სხვა ჩემ მეზობელ ქრისტიანე მთავართა შორის ომი არ ამტყდარიყო, უფრო მეტის ძლევამოსილებით ვაწარმოებდით ბრძოლას ურწმუნოთა წინააღმდეგ. ეხლა კი ლუდოვიკო ბოლონიელის ჩაგონებით ყველა ჩემ მეზობელ ქრიტიანებს ზავით შევეკარი და გადავწყვიტე მთელი ჩემი ძალ-ღონე და შეძლება თურქთა საწინააღმდეგო ბრძოლას მოვახმაროო[521].

მოკავშირეთა სიები

საქართველოს მეფე-მთავართა ამ კავშირის მონაწილეთა რამდენიმე სიაა შენახული. ორი ამ სიათაგანი გიორგი მეფისა და ყუარყუარე ათაბაგის წერილებშია მოყვანილი, ერთი კიდევ იმ აღწერილობაში მოიპოვება, რომელიც საქართველოთგან ევროპაში მისული ელჩების შესახები ცნობების აღნუხხვას წარმოადგენს. ამ სიებში სრული თანხმობა არ არის, მაგრამ არსებითი განსხვავება მაინც არ მოიპოვება და ყველაფერი გადამწერთა ან იქნებ ზოგან უკვე ჩამწერთა დამახინჯებით უნდა აიხსნებოდეს. დედნის აღდგენა ძნელი არ არის. გიორგი მეფე თავის 1459 წლის ეპისტოლეში მოკავშირეებად ასახელებს:

"Ego Georgius rex Persarum" – მე გიორგი მეფე პერსთა (sic, სპარსთა?)

"Bedian rex Mingreliae" – ბედიანი სამეგრელოს მეფე

"Georgora dux Georgianae" – ყურყუარე ქართველთა მთავარი

"Rabia (sic) dux Anocaciae" – რაბია (sic) ანოკაციის მთავარი[522].

---

[520] **თ. თამარაშვილი,** ისტ. კათ. 596.

[521] Aenea Sylvius, lib. I· 489. იხ. **მ. თამარაშვილის** ისტ. კათ. 596, შეად. გვ. 57.

[522] **მ. თამარაშვილი,** ისტ. კათ. 596- 597, შეად. გვ. 59.

თვით ყუარყუარე ამავე წელს დაწერილსა და ბურგუნდიის მთავრისადმი გაგზავნილს წიგნში ამ საქმის მონაწილედ სთვლის თავის თავს და შემდეგ პირებს:

"Ego Georgora dux Georgianae" – მე ყუარყუარე ქართველთვა მთავარი

"Georgius rex Persarum" – გიორგი მეფე პერსთა (სპარსთა?)

"Bendian rex Mingreliae" – მენდიან სამეგრელოს მეფე

"Rabia (sic) dux Anocasiae" – რაბია ანოკასიის მთავარი[523]

დასასრულ, საქართველოთგან ევროპაში 1460 წელს მისულს ელჩებს განუცხადებიათ, რომ ოსმალთა საწინააღმდეგო სამხედრო მოქმედებაში მონაწილეობას მიიღებდნენ:

"Bendas (sic) Mengreliac et – ბენდას (sic) სამეგრელოს და

Abasiae rex et – აფხაზეთის მეფე და

Pancratius Iberorum qui – ბაგრატი იბერთა, რომელნიც

nunc Georgiani vocantur et – აწ გიორგიანებად იწოდებიან, და

Mania (sic) marchio Goriae – მანია (=მამიას) გურიის ერისთავი

et Fabia dux Angósiae" – და ფაბია ანგოსიის მთავარი[524]

მოკავშირეთა დამახინჯებული სახელების აღდგენა-შესწორება

ამ ნუსხებში მოხსენიებული გიორგის "პერსთა" მეფის წოდებულება განგებ დავტოვე უთარგმნოთ. პირდაპირ შეუსწორებლივ რომ გადმოითარგმნოს, მაშინ "rex Persarum" სპარსთა მეფედ უნდა გადმოგვექართულებინა, მაგრამ უკვე მ. ბროსე და შემდეგ მ. თამარაშვილი ამ გიორგის სამართლიანად საქართველოს მეფედ სთვლიდნენ და არა სპარსეთისად[525]. აქ რომ მართლაც საქართველოს მეფეზეა ლაპარაკი და არა სპარსეთისაზე, ამას ცხადად ის გარემოებაც ამტკიცებს, რომ მის ელჩს ეწოდება "Nicolaus orator Georgii Alexandri magni Regis Persarum"- ნიკოლოზი გიორგი დიდი ალექსანდრეს "პერსთა" მეფის შვილის მოციქული[526]. ცნობილია, რომ გიორგი მეფე მართლაც დიდი ალექსანდრე მეფის შვილი იყო, სპარსეთში კი ამგვარი სახელის მეფე არ ყოფილა. ბროსემაც მიაქცია ყურადღება იმ გარემოებას, რომ გიორგი სპარსთა მეფედ იწოდება და ასეთი განმარტება აქვს: გიორგი მეფე თითონაც თავის თავს უწოდებდა "მეფე სპარსთა, დიდი სომხეთისა და მცირე იბერიისა"-ო, ხოლო იმავე დროს იმერეთში მეფე ბაგრატი ყოფილა, ბაგრატ II, რომელიც გიორგის აუჯანყდა და 1462 წ. მეფედ ეკურთხა და თავის თავს უწოდა მეფე იბერთა, "ეხლა რომ გიორგიანებად ცნობილნი

[523] იქვე, 594-595, შეად. გვ. 57-58.
[524] Waddingo, Annales Minorum. იხ. მ. თამარაშვილის ისტ. კათ. 598. შეად. გვ. 62.
[525] Brosset, Add. et écIair. XXIII, 411 შენ. 2. და **მ. თამარაშვილის** ისტ. კათ. 60-61.
[526] Aeneae Sylvii pii ll pontif. Epist. lib. I, p. 852 იხ. **მ. თამარაშვილის** ისტ.კათ.598.

არიან”[527], მ. თამარაშვილიც განცვიფრებული ამბობს: ”არ ვიცით ნამდვილი მიზეზი თუ თავის თავს (გიორგი) სპარსეთის მეფედ რად უწოდებს, ხოლო ვფიქრობთ იმიტომ დაირქვა ეს სახელი, რომ ამ დროებში (sic) თუ ქუთაისის მეფემ ბაგრატმა და თუ სხვა მთავრებმა ბევრჯერ ჩამოართვეს საქართველოს ტახტი და არ ასვენებდნენ თავის სამეფოში”-ო[528].

უცნაური დასაბუთება და განმარტებაა: განა ვისაც თავისი სამეფო ტახტის დაცვისა და შერჩენის ძალა არ შესწავდა, თავისი თავის სხვა სახელმწიფოს მეფედ გამოცხადება შეეძლო? და ფუნდაც რომ ასეთი უცნაური სიცრუე ეკადრა, განა ამას საქართველოში ნამყოფი პაპის ელჩი არ გაამხელდა? ცხადია ამგვარი განმარტებით დაკმაყოფილება არ შეიძლება.

მაგრამ ვერც მ. ბროსეს განმარტება ჩაითვლება უცილობელ ჭეშმარიტებად, რათგან გიორგი მეფე თავის სიგელებში არას დროს თავის თავს ”სპარსთა დიდი სომხეთის და მცირე იბერიის მეფედ” არ უწოდებს, თუ ამით ბროსე საქართველოს მეფეთა ჩვეულებრივს წოდებულებებს-”მეფე... ქართველთა, სომეხთა” და სხვას არ ჰგულისხმობს. მაგრამ თვით ბაგრატიც ამგვარსავე წოდებულებას ხმარობს თავის სიგელ-გუჯრებში. ხოლო თუ ბროსეს თავისი დასკვნა ლათინურად შენახულ საბუთებზე ჰქონდა დამყარებული, მაშინ მისი განმარტება მცდარად უნდა ჩაითვალოს, რათგან ჯერ სწორედ ის უნდა დამტკიცდეს, რომ თვით საბუთები სწორად არის შენახული და ამ ადგილას იმგვარადვე, როგორც ბევრგან სხვაგანაც, ქვეყნის სახელი დამახინჯებული არ არის. პირიქით, სწორედ ის გარემოება, რომ ამ ლათინურად შენახულს საბუთებში ”ბენდასი” სწერია ”ბედიანის” მაგიერ, ”მანია” ”მამიას” მაგიერ, ამ შემთხვევაშიაც სიფრთხილეს გვიკარნახებს და გვათიქრებიებს, რომ აქაც სახელი უნდა დამახინჯებული იყოს. თუ ”მეფე სპარსთა”–”rex Persarum” თივთ თავდაპირველს დედანშიაც მართლა ეწერა, მაშინ ერთადერთ შესაძლებელ განმარტებად შეიძლება მხოლოდ ის მოსაზრება იყოს მოყვანილი, რომ საქართველოს მეფის წოდებულება იქნება იქ სრულად იყო მოყვანილი და მეფე ”სპარსთა” ქართველი ტექსტის შაჰან-შაჰს უდრის. მაგრამ თუ ამ განმარტებით დავკმაყოფილდებით, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ მერმინდელ გადამწერთაგან დაუდევრობით ყველა საბუთებში სამეფო წოდებულების უმეტესი ნაწილი, ამ ”მეფე სპარსთას” გარდა, გამოტოვებულ იქმნა, ის გარემოება, რომ ყველა საბუთებში ერთნაირად არის დაწერილი, ამ განმარტებას ცოტა არ იყოს საეჭვოდა ჰხდის. ხოლო თუ ჩვენ წარმოვიდგენთ, რომ მეფე ”სპარსთა” მერმინდელი გადამწერის შეცდომაა და არა თავდაპირველი დედნის კუთვნილება, მაშინ ”rex Persarum” შესაძლებელია დამახინჯებულიყოს ”rex Abasgarum” ან ”Abasarum”-ისაგან[529], ესე იგი დედანში ”აფხაზთა მეფე” წერებულიყოს. ხოლო რათგან საშუალო საუკუნეების რომაელ გადამწერთათვის ეს სახელი სრულებით უცნობი იყო, სპარსთა სახელი კი ყველამ იცოდა, ამიტომ გადამწერთ დედნის სიტყვის მაგიერ ტექსტში შეიტანეს rex Persarum, რამაც საბუთის აზრი თუმცა სრულებით დაამახინჯა, მაგრამ ხალხის სახელი მაინც ყველასათვის გასაგები გახადა.

რომაელ მისიონერთა ცნობებში ქართველთა მეფისა სამეგრელოს მთავრის გარდა თავდაპირველად, ზოგჯერ მაინც, სხვა მეფეც ყოფილა მოხსენებული. 1458 წ. პაპის ერთ წერილში ნათქვამია:

რომელთა შორის ითვლებიან...

Inter quos sunt... Catholicon – ქართლისა კათოლიკოზი,

---

[527] Add. XXIII, 411, შენ.2

[528] ისტ. კათ. 61.

[529] იხ. მაგ. “Bendas Mengreliae et Abasiae rex” (Waddingo, Annales Minorum. **მ. თამარაშვილის** ისტ. კათ. 598).

Georgianis, rex persarum, – მეფე, “პერსთა” (?) მეფე საქართველოსი,

rex Georgianiae, rex Men-, – მეფე სამეგრელოსი,

greliae imperator Trapezuntinus: – ტრაპიზონის ხელმწიფე[530].

ამ ლათინურს დედანში “Catholicon Geogianis” “ქართლისა კათალიკოსს” უდრის Rex Georgianae - “ქართუელთა მეფეს”, ხოლო რაკი ”rex persarum” ქართლის კათალიკოსსა და ქართველთა მეფეს შუაა მოქცეული და ცხადია აზრით ქრისტიანს მეფეს ეხება და არა მაჰმადიანს, სპარსეთის შაჰს, ამიტომ საფიქრებელია აქაც თავდაპირველად აფხაზთა მეფე იქნებოდა მოხსენებული და შემდეგში უნდა დაემახინჯებინათ და სპარსთა მეფედ ექციათ. მაგრამ ეს ცნობა და სია მაინც დამაფიქრებელია.

სამეგრელოს მთავრის ანუ, როგორც იქ არის ნათქვამი, “მეფის” სახელის აღდგენა ადვილია, რათგან პირველს ცნობაში სწორად სწერია და რასაკვირველია, ბედიანი იქნებოდა, როგორც სამეგრელოს მთავრები ქართულ წყაროებშიაც ცნობილი არიან.

გორგორა (Gorgora dux Georgianiae) უდრის ყუარყუარეს, რომელიც მის დროინდელ ქართულ საისტორიო წყაროებში ასე იწოდება: **“საქართველოჲსა ათაბაგი,** სამცხისა სპასალარი ჯაყელ–ციხისჯვარელი... პატრონი ყუარყუარე”[531]. თუ ლათინურს გამონათქვამს ქართულ ზემომოყვანილ ცნობას შევადარებთ, ცხადი იქნება, რომ dux Georgianiae სწორედ ამ ქართული წოდებულების “საქართველოს ათაბაგის” თარგმანს წარმოადგენს.

“მანია” (Mania Marchio Goriae), როგორც **თამარაშვილმაც** შეასწორა, რასაკვირველია, მამია უნდა იყოს, ხოლო მარკიზი ალბათ ერისთავს უდრის. მაშასადამე, სრულად იქმნება “მამია გურიის ერისთავი”.

ძნელი შესასწორებელია მხოლოდ უკანასკნელ სტრიქონში მოქცეული ცნობა Rabia (ან Fabia) dux Anocaciae (Anocasiae, Angosiae) თუ აქ dux მთავარს ან ერისთავს უდრის, გეოგრაფიულ სახელად შეიძლება Anacopiae ყოფილიყო თავდაპირველს დედანში, ე. ი. ანაკოფიის ერისთავი. თვით ამ პირის საკუთარი სახელი კი როგორ უნდა შესწორდეს, ძნელი სათქმელია.

ქართველ პოლიტიკოსთა ოსმალთა საწინააღმდეგო ფართო გეგმა

რაკი საქართველოს მეფე-მთავრებისათვის ოსმალთა საშიშროება არც განყენებული აზროვნების მოჩვენება ყოფილა, არც შორეული განსაცდელის წინაგანჭვრეტილობა, არამედ მშობლიური ცხოვრების სინამდვილე, ამიტომ ისინი მხურვალე გულით და აღფრთოვანებით შეუდგნენ ამ საქმეს. თუ რომის პაპი ფიქრობდა, რომ ქართველებსა და მათ მოკავშირეებს მხოლოდ უნდა შეემსუბუქებინათ ევროპის ჯვაროსანთათვის ოსმალთა წინააღმდეგ სამხედრო მოქმედება კონსტანტინეპოლის განსათავისუფლებლად განზრახული, რომ ოსმალეთს თავისი მხრით უფრო ადვილად შეჰსეოდნენ, ქართველებმა უფრო ფართო და გაბედული მიზანი დაისახეს. **ქართველ მეფე-მთავრებს უნდოდათ** საქმე ისე მოეწყოთ, რომ **ოსმალთა სრული დამარცხება, საბოლოვო განადგურება** და თვით სახსენებლის მოსპობაც კი შესაძლებელი გამხდარიყო. ამისათვის ქართველებს ოსმალთა წინააღმდეგ ერთდროული

---

[530] იხ. **მ. თამარაშვილის** ისტ. კათ. 592, შად.გვ. 51.

[531] ათონის აღაპ., იხ. ათონის კრებ., 266[1-3].

თანხმობრივი მოქმედების მოწყობა მიაჩნდათ საჭიროდ ისე, რომ ოსმალეთისათვის ორთავე მხრით შეეტიათ და სამხედრო მოქმედება ეწარმოებინათ. ოსმალთა მცირე აზიის სამფლობელოში, ანატოლიაში, ქართველები უნა შეჭრილიყვნენ თავიანთი მოკავშირეებითურთ, დანარჩენს კი, საბერძნეთისა და შავი ზღვის ნაწილს, ქართველი პოლიტიკოსები დასავლეთი ევროპის ჯვაროსან ქრიტიანებს უტოვებდნენ სამოქმედო ასპარეზად. ამგვარად შემუშავებული სამხედრო გეგმის განხორციელება ქართველებს სრულს იმედს აძლევდა, ვითომც ერთს ზაფხულში მთელს ანატოლიასა და მცირე აზიაში მყოფ სამფლობელოს ოსმალთა ხელითგან გამოგლეჯას შესძლებდნენ, და რაკი ოსმალეთზე ამასთანავე ორთავე მხრითგან იქნებოდა იერიში მიტანილი, ორ ჯარს შუა მოქცეული წინააღმდეგობის გაწევას ნაკლებად შესძლებს, მალე დამარცხდება და თვით მათ სახსენებელსაც კი მოვსპობთ **დედამიწის ზურგზეო**[532].

ქართველ მოკავშირე მეფე-მთავრობისაგან ამ საქმისათვის გამომეტებული სამხედრო ძალის რაოდენობა

ოსმალთა წინააღმდეგ გალაშქრების გეგმა რომ შეემუშავებიათ და ურთიერთშორის პირობა დაუდვიათ, ქართველ მეფე-მთავრებს ისიც გამოურკვევიათ, თუ თითოეული მათგანი რა მონაწილეობას მიიღებდა ამ საქმეში. გიორგი მეფეს აღუთქვამს, რომ ამ ომში პირადადაც მონაწილეობას მიიღებდა და 40000 მეომარსაც გამოიყვანდა. ყუარყუარე ათაბაგსაც განუცხადებია, რომ ისიც პირადად გამოვიდოდა 20000 ცხენოსან ჯარითურთ. სამეგრელოს მთავარი მთელი თავისი მებრძოლი ძალის გამოყვანას შეჰპირებია. ანაკოფიის (?) ერისთავიც ძმებითა, აზნაურებითა და მთელი თავისი ძალით მონაწილეობას ჰკისრულობდა[533].

ამ ორ მთავარს თავისი მებრძოლი ძალ-ღონის ზედმიწევნით განსაზღვრა არ მოუსურვებია, მაგრამ დაახლოებით და სავარაუდოდ ქართველებს ნაანგარიშევი ჰქონიათ. მთელ თავის მებრძოლთა რიცხვს, სამხედრო ძალას, როგორც საკუთარს, ისევე ალბათ ქრისტიანე მოკავშირეებისასაც, ქართველი პოლიტიკოსები 120000 ჯარისკაცად ანგარიშობდნენ[534]. ხოლო ქვემომოყვანილი ცნობითგან ჩანს, რომ ორს არა ქართველს ქრისტიანე მოკავშირეს ამ საქმისათვის სულ 50000 მებრძოლი უნდა გამოეყვანა, მაშასადამე, ქართველი ჯარის–კაცების რიცხვი სულ 70000 უნდა ყოფილიყო. ზემომოყვანილთაგან ცხადია, რომ მარტო გიორგი მეფისა და ყუარყუარე ათაბაგის საომარი ძალა 60000 მოლაშქრეს შეიცავდა და ეს გარემოება უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ სამეგრელო-აფხაზეთის მთავართა ჯარი სავარაუდოდ 10000-ად ყოფილა ნაანგარიშევი. თუ ჩვენ მარტო იმ

---

[532] 1459 წ. ყუარყუარე ათაბაგის წერილი ბურგუნდიის მთავრისადმი: იხ. **მ. თამარაშვილის** ისტ. კათ. 595-596. შეად. გვ. 57-59.
"Hoc unum vobis pollicemur in una aestate debellare et auferre totam Nataliam (Anatoliam) et quidquid dominus Othomanorum, id est ipse Turcus Constantinopolitanus, possidet ex nostro latere. Alteram vero partem dominii sui quae Graecia est, quam Mare Euxinum dividit, vobis expugnandam relinquimus quod vobis facile erit, nam ipse Turcus in medio positus duorum exercituum cum resistere minime poterit, cito succumbet et nomen suum e terra delebimus".
[533] გორგი მეფის წერილი: **მ. თამარაშვილის** ისტ. კათ 596-597.
[534] Waddingo, Annales Minorum 13, P. 154. იხ. ისტ. კათ. 598.

გარემოებასაც გავითვალისწინებთ, რომ ისეთს ძლიერსა და დიდ საბრძანებელის პატრონს, როგორიც სამცხე-საათაბაგოს მფლობელი ყუარყუარე იყო, 20000 ჯარისკაცზე მტრის გამოყვანა ვერ აღუთქვამს, მეომართა ზემომოყვანილი რაოდენობა სამეგრელო-აფხაზეთისათვის მცირე არ გვეჩვენება.

ქართველთა ქრისტიანე მოკავშირენი მცირე აზიაში და მათი ამ საქმეში მონაწილეობა

ქართველებს კარგად ესმოდათ. რომ ასეთი ფართო და გაბედული გეგმის განხორციელება ოსმალეთის წინააღმდეგ, თუნდაც მხოლოდ მცირე აზიაში, მარტო თავისი, გინდა შეერთებულის ძალითაც, არ შეეძლოთ, თუ რომ მეზობლებს არ მოიშველიებდნენ და საქმის მხურვალე მონაწილედ არ გაიხდიდნენ. ამიტომ მათ ტრაპიზონის იმპერატორისა და მცირე სომხეთის პატრონისათვისაც მიუმართავთ, რომ ქართველთა მოკავშირედ ყოფილიყვნენ ამ საქმეში. როგორც ქრისტიანებს და ოსმალთა საშიშროების უმახლობელს მსხვერპლთ, მათ უეჭველია სიხარული უნდა ეგრძნოთ ამ ამბავის გაგების დროს. დავით ტრაპიზონის მეფეს აღუთქვამს, რომ 30 ხომალდს და 30000 ჯარისკაცს გამოიყვანდა თავისი მხრით, მცირე სომხეთის პატრონი კი 20000 მებრძოლის მოშველებას დაჰპირებია[535].

ოსმალთა წინააღმდეგ ქართველთა გეგმის პოლიტიკური და არა სარწმუნოებრივი თვალსაზრისი

ტრაპიზონელი და მცირე სომხეთელი მეშველი ჯარითაც ქართველთა და მათ მოკავშირეთა შეერთებული ლაშქარი მაინც მხოლოდ 120000 მებრძოლს შეიცავდა. ქართველმა მმართველმა წრეებმა კარგად იცოდნენ ოსმალთა სიძლიერე და უნდა ყოველგვარი დაბრკოლება ეძლიათ, რაც კი წინასწარ მათ გზაზე გადაეღობებოდათ, რომ თავიანთი სამხედრო მიზნის შესრულება ცოტად მაინც გაეადვილებინათ. ალბათ, სწორედ ამიტომ **ქართველი პოლიტიკოსები მარტო ქრისტიან მეზობელთა თანამშრომლობით არ დაკმაყოფილებულან და თავიანთი გეგმა სარწმუნოებრივი ზღუდეებით კი არ შემოუფარგლავთ, არამედ ამ საქმის განხორციელების დროს საფუძვლად პოლიტიკური თვალსაზრისით უხელმძღვანლიათ.** ქართველ მეფე-მთავრებს მაჰმადიან თურქ მთავრებისათვისაც მიუმართავთ და უთხოვიათ ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლაში მათაც მონაწილეობა მიეღოთ. ქართველებს იმ გარემოებით უსარგებლიათ, რომ მათ გულში სტამბოლის თურქთა წინააღმდეგ იმდენად ძლიერი მტრული გრძნობა ღვიოდა, რომ მათ დასამხობად ქრისტიანებთანაც სიამოვნებით შეერთდებოდნენ. ქართველელებს მოუხერხებიათ კიდეც და თავიანთ მოკაშირეებად მიუმხრიათ "სამი ძლიერი უსჯულო მთავარი, რომელნიც კონსტანტინეპოლელ თურქთა მტრები" იყვნენ: ერთს "ყარამანი" ერქვა,

[535] გორგი მეფის წერილი: იხ. **მ. თამარაშვილის** ისტ. კათ. 596-597.

მეორეს ჰასანბეგი, მესამეს, რომელიც "ყარაადლუკის" შვილი იყო, "ალემბეგი" ეწოდებოდა. უკანასკნელი შუამდინარის მეფედ (Rex Mesopotamiae) არის დასახელებული[536].

ქართველთა მაჰმადიანი მოკავშირეები ოსმალთა წინააღმდეგ

თუმცა სახელები დამახინჯებულია, მაგრამ მათი აღდგენა შეიძლება: Assambech უდრის დედნის ჰასანბეგს, ე. ი. უზუნ-ჰასანად ცნობილის სპარსეთის მეფეს."Filius Caraluci Aliembech"-ის შესახებ უნდა ითქვას, რომ ყარაადლუკის ერთს შვილს მართლაც ალიბეგი ერქვა[537]. იქნებ ეს ალიბეგი იგულისხმება, მაგრამ ის ხომ უზუნ-ჰასანის მამა იყო? Caramanum ან Caramanis ყარამანად აქ ალბათ ლიკაონის მმართველთა ყარამანის საგვარეულოს იბრაჰიამბეგის შვილი ყარამანი იგულისხმება[538].

უზან-ჰასანი მართლაც ოსმალთა დაუძინებელი მტერი იყო და ამიტომაც არის, რომ ვენეტიკის რესპუბლიკის მმართველი წრეებიცა და რომის პაპიც მასთან შეთანხმებასა და დაკავშირებაზე ყოველთვის ოცნებობდნენ[539]. ამიტომვეა, რომ ქართველებმა თავიანთი სამხედრო გეგმის მონაწილე და მოკავშირედ გახადეს ანუ, როგორც საბუთში ნათქვამია, "კონფედერაციის წევრად" შემოიყვანეს (Habemus etiam nobiscum in nostra cofederatione). მის მომხრეობას ქართველთათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ჯერ ერთი იმიტომ, რომ თითონ ზურგი მაგარი ექნებოდათ და იმ დროს, როდესაც ოსმალთა წინააღმდეგ გაილაშქრებდნენ, სპარსთა თავდასხმისაგან უზრუნველყოფილი იქნებოდნენ. მაგრამ ამის გარდა იმიტომაც, რაკი უზუნ-ჰასანისა და ოსმალთა სამფლობელოები მომიჯნავენი იყვნენ, და უზან –ჰასანის დახმარება, რასაკვირველია, მით უფრო ძვირფასი იყო, რომ ოსმალეთში შესასევად გზის დანებებასაც დაჰპირებია და თითონაც პირადად მთელი სამხედრო ძალით ქართველებთან ერთად ლაშქრობაში მონაწილეობის მიღება უკისრია. იმ მტრობის გარდა, რომელიც მას მოძმე ერთმორწმუნე ოსმალთა მოწინააღმდეგედა და ქრისტიან ქართველთა თანამოლაშქრედ ხდიდა, მას გამორჩენის იმედიც ამოძრავებდა და აგულიანებდა.

უზუნ–ჰასანს ქ. ბურსის დასაკუთრება და შემოერთება სურდა (in prmis caper civitatem Bursiae ut possideat pro se). ამ წადილს განხორციელება რომ ჰღირსებოდა, ოსმალეთი მართლაც უნდა საბოლოოდ დამხობილიყო. რამდენად ძლიერი უნდა ყოფილიყო ეს წადილი, ის გარემოებაც ცხადჰყოფს რომ მას ქართველი მეფე-მთავრებისათვის პირობის წერილი მიუცია, რომ ის მარად ქრისტიანთა უუმეგობრესი გრძნობით იქნებოდა განმსჭვალული[540].

---

[536] გიორგი მეფისა და ყუარყარე ათაბაგის 1459 წ. ეპისტოლეები ბურგუნდიის მთავრისადმი: **მ. თამარაშვილის** ისტ. კათ 596-597 და 595.

[537] იხ. С. Лэн- Пулъ, Мусулъманск. династии. Проф. **ვ. ბარტოლდის** გამ., 302 და **ჰამმერი**, Hist. de l'Empire Ottoman II, 510.

[538] **ჰამმერის** იგივე თხზულება, II, 509, იხ. აგრეთვე С. Лэн-Пулъ, Мусулъьан. династии, გვ. 158. შეადარე **მ. თამარაშვილის** თარგმანს ისტ. კათ. 58 და 60 და **ბროსეს.**

[539] P. Horn, Geschichte Irans in islamischer Zeit. Grundriiss d. iranischen Philologie II, 578.

[540] ყუარყუარე ათაბაგის 1459 წ. ეპისტოლე ბურგუნდიის მთავრისადმი: **მ. თამარაშვილის** ისტ. კათ. 595, შეად. 58..

ქართველ პოლიტიკოსთა მიერ სამოქმედო გეგმის გაფართოება

მაგრამ ქართველი მეფე-მთავრები არც ამით დაკმაყოფილებულან, მათ უკვე ამაზე უფრო ფართო და მიმზიდველი მიზანი ესახებოდათ: იერუსალიმის "უსჯულოთა" ხელითგან გამოგლეჯა და განთავისუფლება. ამის თაობაზედაც ჰქონიათ მათ უზუნ-ჰასანთან მოლაპარაკება და სიტყვა ჩამოურთმევიათ, რომ მოვალე იყო, თუკი დასავლეთი ევროპის ქრისტიანები იერუსალიმის ასაღებად გამოილაშქრებდნენ, მთელი თავისი ძალღონით შეძლებისამებრ მიჰშველებოდა[541].

საქართველოს მეფე–თავართა და მათ მოკავშირეთა მოციქულების დასავლეთ ევროპაში გაგზავნა

ქართველი მეფე-მთავრები და მათი მოკავშირენი ისე დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ოსმალთა წინააღმდეგ დასავლეთ-აღმოსავლეთის ქრისტეანეთა შეერთებული და თანხმობრივი სამხედრო მოქმედება მოეწყობოდა, რომ დასავლეთში თავიანთი დესპანები გაისტუმრეს ეპისტოლეებითა და სიტყვიერი დავალებით დატვირთულნი. ქართველები მოუთმენლივ ეკითხებოდნენ დასავლეთის ქრისტიანებს, გვაცნობეთ მზადა ხართ თუ არა საომრად, რომ ჩვენც დანამდვილებით ვიცოდეთ, რა დროისათვის ავისხათ იარაღი და საბრძოლველად წამოვიდეთო[542].

ლუდოვიკო ბოლონიელის წინამძღოლობით საქართველოს დესპანები ნიკოლოზ ტფილელი და "ქასადან ყარჩიხან" (თუ ყორჩიხან) სამეგრელოს გზით და მდინარე დანუბით ჯერ უნგრეთში მივიდნენ, შემდეგ გერმანიაშიც ფრიდრიკო იმპერატორს საქართველოს მეფე-მთავრების სალამი მოახსენეს. მერმე ელჩები ვენეტიკს მივიდნენ, რომლის სენატმა დესპანები დიდის პატივისცემით მიიღო. 1460 წ. მათ რომს მიაღწიეს. იქ მათ ვითარცა მეფეთა ელჩებს დიდის ამბით სასულიერო დასნი დაუხვდნენ ეკისკოპოსითურთ, სადგომად სამთავრო სასახლე მიუჩინეს და ხუთივე ელჩი – გიორგი მეფისა - ნიკოლოზ ტფილელი, ყუარყუარესი – ქასადანი, დავით ტრაპიზონელი კეისრისა- მიხეილი, მცირე სომხეთის მთავრისა – მორალო და უზუნ-ჰასანისა – მაჰმედ, მთავრობის ხარჯით შეინახეს[543].

საქართველოთგან ჩასულმა ელჩებმა პაპს პიო II-ეს თავიანთ ბატონების გიორგი მეფისა და ყუარყუარე ათაბაგის ეპისტოლეებიც მიართვეს და საქმის მთელი ვითარებაც პირადად მოახსენეს: უამბეს რაოდენი სიხარული და აღფრთოვანება გამოიწვია რომის პაპის წინადადებამ, რომ მათაც კონსტანტინეპოლის ოსმალთგან განთავისუფლებაში დასავლეთის ჯვაროსანთათვის დახმარება გაეწიათ.

---

[541] ყუარყუარე ათაბ. 1459 წ. ეპისტოლე ბურგუნდიის მთავრისადმი **მ. თამარაშვილის** ისტ. კათ. ისტ. 559, შეად. 58.

[542] იქვე, 595.

[543] **მ. თამარაშვილი,** ისტ. კათ.61.

გეგმის ჩაშლა და ოცნების გაცრუება

პაპი უეჭველია შეამჩნევდა, რომ გარკვეული და ვიწროდ შემოფარგლული მიზნის მაგიერ, რომელიც რომში იყო შემუშავებული, საქართველოში მეტად დიდი და ფართო სამოქმედო გეგმა შეითხზა. მაგრამ მწარე გამოცდილებამ რომის ეკლესიის საჭეთ-მპყრობელი დაარწმუნა, რომ არამც თუ უსაზღვროდ ვრცელი გეგმა, მისი და მის მოადგილეთა მიზანიც კი მიუღწეველი და განუხორციელებელი იყო. მას არ შეეძლო საქართველოთგან ჩამოსული ელჩებისთვის დაემალა, რომ მისი ყოველივე ცდა უნაყოფო გამოდგა და დასავლეთის ქრისტიან მთავრებს პაპის ქადაგება კონსტანტინეპოლის განსათავისუფლებლად ჯვაროსნული ომის მოწყობის საჭიროების შესახებ ოდნავადაც გულს არ მოჰხვედრია. ბიზანტიის სატახტო ქალაქი მათთვის მეტად შორეული ადგილი იყო და ოსმალთა ბატონობის საშიშროებასაც ისე ძლიერად არ გრძნობდნენ, რომ პაპის ქადაგებას შესაფერი გავლენა მოეხდინა[544].

ასეთ პირობებში პაპს სხვა არა დარჩენოდა რა იმის გარდა, რომ საქართველოს მეფე-მთავრების და მათი მოკავშირეების დესპანებისათვის ერჩია საფრანგეთის მეფე და ბურგუნდიის მთავარი პირადად ენახათ და მათთვის ოსმალეთის საწინააღმდეგო ბრძოლაში მონაწილეობის მიღება ეთხოვათ. სხვა გზა არ იყო, ქართველთა და მათ თანამოაზრეთა ელჩებს უნდა შემოევლოთ ევროპა და ხვეწნა-მუდარა დაეწყოთ. **მდგომარეობა ისე შეიცვალა, რომ თუ თავდაპირველად აზრი ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ დასავლეთის ეკლესიის მმართველ წრეებს ეკუთვნოდათ და ისინი ეხვეწებოდნენ ქართველებს, რომ მათაც ამ საქმეში მონაწილეობა მიეღოთ, მალე ეს აზრი ქართველებისათვის ისეთ გუისნადებად იქცა, რომლის განხორციელებაზე ისინი აღრფთოვანებით ოცნებობდნენ და თვით მათვე იმავე დასავლეთის მმართველი წრეების ხვეწნა-ვედრება მოუხდათ.**

ქართველთა და მოკავშირეების მოციქულთა ამაო ხვეწნა-ვედრება ევროპაში

საქართველოთგან წარგზავნილი დესპანები რომითგან საფრანგეთში წავიდნენ და 1461 წ. იქ მეფე კარლოს VII-ეს წარუდგნენ სადარბაზოდ და დავალებული საქმე მოახსენეს, მაგრამ მაინც ოსმალთა საწინააღმდეგო ომში მონაწილეობაზე ვერ დაითანხმეს. ელჩები ჯერ კიდევ საფრანგეთში იყვნენ, რომ კარლოს VII გარდაიცვალა ისე, რომ ისინი მისი შვილისა და მემკვიდრის ლუდოვიკო XI-ტახტზე ასვლასა, დაგვირგვინებასა და მეფედ კურთხევას დაესწრნენ. ეხლა ამ მეფეს დაუწყეს დესპანებმა თხოვნა, მაგრამ ამაოდ: აქაც არ გამოვიდა რა[545]. როგორც ეტყობა, ამგვარადვე უნაყოფო უნდა ყოფილიყო მათი ცდა ბურგუნდიის მთავართან და დასავლეთის დანარჩენ მთავრებთანაც. თითქოს ყუარყუარე ათაბაგს გულმა უგრძნო (იქნებ ლუდოვიკო ბოლონიელის წყალობით?), რომ ამ საქმეს დასავლეთში დაბრკოლება გადაეღობებოდა, და ამიტომაც ის ბურგუნდიის მთავარს ბრძნული შორსგამჭვრეტელობით და ადამიანის ბუნების ღრმა ცოდნით 1459 წ. დაწერილის ეპისტოლით აფრთხილებდა, რომ თუ დასავლეთის ქრისტიანები არ ისარგებლებთ ასეთი

---

[544] **მ. თამარაშვილი,** ისტ. კათ. 61.

[545] **მ. თამარაშვილი,** ისტ. კათ. 63

განსაკუთრებით ხელსაყრელი და მარჯვე პირობით, როცა აღმოსავლეთის ქრისტიანებიც მათთან ერთად ოსმალთა წინააღმდეგ თანხმობრივი სამხედრო მოქმედებისათვის ემზადებიან, და ბრძოლას არ დაიწყებთ, შემდეგში, რაც უფრო მეტი დრო გაივლის, ოსმალები ისე გამაგრდებიან, რომ ვეღარაფერს დააკლებთო[546]. და ეს სიტყვები მართლაც წინასწარმეტყველებად იქცა. საქართველოთგან ჩამოსული დესპანები ბოლოს დარწმუნდნენ, რომ ყოველივე ცდა და საბუთიანობა ამაო იყო: არცერთი მთავართაგანი თავის ქვეყნითგან ფეხის დაძვრას არ აპირებდა. საფრანგეთში ჯერ ერთი შინაურობაში უთანხმოება ჰქონდათ, განსაკუთრებით კი **ოსმალეთის გაძლიერება მათთვის ისეთს ცხადად საგრძნობსა და დასანახს საფრთხეს არ წარმოადგენდა, როგორც მთელი თავისი არსებით შეიძლება ეგრძნოთ და დაენახათ ქართველებს. მათთვის ეს განყენებული და შორეული პოლიტიკური გეგმა იყო,** ქართველებისათვის კი ხორცშესხმული საშინელი სინამდვილის აუცილებელი საჭიროება და ამიტომაც იყო, რომ მთელი ეს **გეგმა ასე უწყალოდ დაიმსხვრა** და ქართველთა მათ მოკავშირეთა თანხმობრივი ერთობლივი სამხედრო მოქმედება ოსმალთა სამუდამო დასამარცხებლად შეუძლებული შეიქმნა.

4. შინაური ბრძოლის განახლება საქართველოში

მაგრამ არც ქართველ მეფე–მთავართა თანხმობა ყოფილა ხანგრძლივი. შესაძლებელია ქართველთა დესპანები დასავლეთი ევროპითგან ჯერ დაბრუნებულიც კი არ იყვნენ, ან, უფრო საფიქრებელია, ახალი მოსული იქნებოდნენ, რომ თვით საქართველოშიც ძმათა შორის წინანდელზე უფრო გამწვავებული დაუნდობელი ბრძოლა ატყდა. ყუარყუარე ათაბაგსა, გიორგი მეფეს და დანარჩენ მონაწილეებს ასე მალე დაავიწყდათ თავიანთი შეთანხმების ამბავიც და ისიც, თუ როგორ ტკბილად უგალობდნენ დასავლეთის ქრისტიანებს ერთობა-თანხმობის ჰანგებს და რანაირი ენაწყლიანობით ასაბუთებდნენ გაერთიანებული მოქმედების უპირატესობას მტერთან ბრძოლის დროს.

ამ შინაური განხეთქილების შესახებ ცნობები შედარებით ბლომად მოიპოვება, მაგრამ ერთიმეორის საწინააღმდეგო, თანაც მოკლე და ნაკლულევანი. ამ ამბავის უფრო ვრცელი და გაბმული აღწერილობა ბატონიშვილს **ვახუშტს** მოეპოვება, რომელსაც, ალბათ, ამისთვის შესაფერისი წყაროები უნდა ჰქონოდა.

ვახუშტის ცნობები ამ ბრძოლის შესახებ

ბატონიშვილ **ვახუშტს** მოთხრობილი აქვს, რომ 1462 წ. ყუარყუარე ათაბაგის "განზრახვით" იწყო "ზრახვად იმერთა ერისთავმან ბაგრატ ძემან დიმიტრისამან, რათა ჰყონ იგი მეფედ და აღუთქვა თავისუფლება დადიანს, გურიელს, შარვაშიძეს და სვანთა. ესე სთნდათ მთავართა მათ" და "ჰყვეს მეფედ იმერთა"-ო[547]. გიორგი მეფემ რომ ეს შეიტყო, ჯარი შეჰყარა და დასავლეთ საქართველოსაკენ გაილაშქრა და თანაც "უბრძანა ათაბაგს შთამოსვლა სპითა" და მოშველება, მაგრამ იგი თურმე სამცხითგან არ დაიძრა და გარეშე მაყურებლობა ირჩია: "მჭვრეტელი საქმისა თუ რაჲ იქნების". მისი წაბაძულობით სხვებიც განზე გადგნენ და

[546] იქვე, გვ.596.
[547] **ვახუშტი,** ისტ. 304.

”არცაღა უშველეს ბაგრატს დადიანმან, გურიელმან, აფხაზთა და სვანთა”[548]. მეფე გიორგისა და ბაგრატს შორის ბრძოლა ჩიხორს მომხდარა. სასტიკი და ორთავე მხრის დამაზარალებელი ბრძოლის შემდეგ მეფე გიორგი დამარცხებულ იქმნა და ქართლში დაბრუნდა. ბაგრატი კი გაემართა და ”აღიღო ქუთაისი და ეკურთხა მუნ მეფედ”[549]. ცოტა ხნის შემდგომ მეფე გიორგის ჯარითურთ სამცხეში გაულაშქრია ათაბაგის ორგულობის დასასჯელად. რაკი ათაბაგ ყუარყუარეს წინააღმდეგობის გაწევა არ შეეძლო, ამიტომ ”წარვიდა იმერეთს ბაგრატსა თანა ლტოლვილი”. მეფე გიორგი უკვე მესხეთის საქმის ისე მოგვარებასა და მის მომტკიცებაზე ჰფიქრობდა, რომ ერთხელ და საბოლოოდ თავისი თავი საათაბაგოს ურჩობისაგან უზრუნველეყო, მაგრამ ამ დროს ქართლითგან უზუნ-ჰასანის შემოსევის ამბავი მოუვიდა, ამიტომ ის იძულებული იყო უკან დაბრუნებულიყო. 1463 წ. ”ქართულსა 151” მომხდარ ომში გიორგი მეფე დამარცხდაო. ამით გათამამებულნი ”რანი, მოვაკანი და შირვანი არღარა მოსცემდნენ ხარკსა”. ბაგრატიც ყუარყუარე ათაბაგს მიეშველა და უკანასკნელმა ამის წყალობით თავისი საბრძანებელი უკან დაიბრუნა. მესხეთის ურჩ ერისთავთა საწინააღმდეგო ბრძოლაში რომ დახმარებოდა, ”მისცა ყვარყვარემ აჭარა და რომელნიმე ჭანეთისა გურიელსა კახაბერს”. გურიელი პირობისაებრ ათაბაგ ყუარყუარეს გიორგი მეფის მომხრეთა დასამორჩილებლად დაეხმარა. ამის გარდა ”ჰყვანდა ბაგრატ-ცა მარადის მწედ.”1465 წ., ”ქართულსა 153”, გიორგი მეფემ ყუარყუარეს დასაჯელად კვლავ გაილაშქრა და ფარავნაზე დადგა. აქ ”შემოუჩინეს განდგომილთა მეფისათა გიორგი მეფესა მოღალატენი, რათა მოკლან იგი და ტაძრეულნივე თვისნი”. მაგრამ იოთამ ზევდგინიძემ ამ შეთქმულების ამბავი შეიტყო და მეფეს გაუმჟღავნა. გიორგი მეფემ მას არ დაუჯერა. მეფე რომ აუცილებელი სიკვდილისაგან გადაერჩინა, ზევდგინიძემ თავისი თავი გასწირა და მეფეს სთხოვა სამეფო კარავში თავის მაგიერ იმ ღამეს საიდუმლოდ ის დაეწვინა, რაც ასრულებულ იქმნა კიდეც. მეორე დღეს ერთგული ქვეშევრდომი კარავში მოკლული აღმოჩნდაო. რაკი შეთქმულების არსებობა გიორგი მეფისათვისაც ცხადი შეიქმნა, მან ყველა ამ ღალატის განზრახ-გამგებელნი, ძალმცემელნი, მეშველნი და შინათ–გამცემნი დააჭერინა და მათი სიკვდილით დასჯას შეუდგა. მაგრამ ამ საქმით გამოწვეული არევ-დარევით ისარგებლა ყუარყუარე ათაბაგმა, გიორგი მეფეს სწრაფად თავს დაესხა, ხელთ იგდო და სამცხეში ტყვედ წაიყვანა. ამით, რასაკვირველია, ბაგრატ იმერეთის მეფემ ისარგებლა, გადმოვიდა და ”დაიპყრა ქართლი თებერვალსა შინა”[550]. მაშინვე ჰერეთ-კახეთიც განდგა და, ბაგრატს, რომ იქაც გაბატონება ვერ მოეხერხებინა, დავითმა ”იწყო მეფედ წოდება კახთა ზედა”-ო.

1466 წ. ”ქართულსა 154, იანვარსა შინა” ყუარყუარე ათაბაგი გარდაიცვალა და მის მაგიერ მისი შვილი ბაადური დაჯდა. მან გადაწყვიტა, რომ ბაგრატის გაძლიერება მისთვისაც, ვითარცა მესხეთის მთავრისათვის, მომავალში საფრთხის მომასწავლებელი იყო და ამიტომ მოლაპარაკება დაიწყო გიორგი მეფესთან, რომ მან ამიერითგან წინანდელი მტრობა დაივიწყოს და ათაბაგისაგან მესხეთის ჩამორთმევას აღარ ეცადოს. გიორგი მეფე ამაზე დათანხმდა. და ათაბაგის დახმარებით თავისი სამეფო დაიბრუნა. ბაგრატმა იცნო თავისი საქმის უიმედობა და ”არღარა ინება ბრძოლად და წარვიდა იმერეთს”, კახეთიც წინანდებურად მეფე გიორგის დაემორჩილა და მთელი აღმოსავლეთი საქართველო გაერთიანდა. გიორგი მეფე ”იყო ფრიად მწუხარე განხეთქილებისათვის სამეფოსა ესევითარად”, რომ მთელი დასავლეთი საქართველო და მესხეთი ჩამოშორებული იყო, და ”მცდელობდა შეერთებასა”, მაგრამ თავისი წადილის განხორციელებას ვეღარ ეღირსა:

---

[548] **იქვე.**

[549] იქვე, 305.

[550] **ვახუშტი,** ისტ. 305-306.

”ვერღარა ღონისა მძიებელი და მპოვნელი გარდაიცვალა მეფე გიორგი წელსა 1469, ქართლისა 157 და დაფლეს მცხეთას”-ო. ასე აქვს მოთხრობილი ბატონიშვილს **ვახუშტს** გორგი მეფის უკანასკნელი წლებისა და საქართველოს განხეთქილების ამბავი[551].სახელოვანი ისტორიკოსის სიტყვით 1469 წ-სვე მამის მაგიერ სამეფო ტახტზე მისი შვილი კონსტანტინე ადის[552].

ვახუშტის ცნობების კრიტიკული განხილვა

რამდენად შეესაბამება საერთოდ მაშინდელს სინამდვილეს ქართველი დიდებული ისტორიკოსის რეკონსტრუქცია და რა საბუთებზე აქვს მას თავისი მოთხრობა დამყარებული?

ამ საკითხს ერთს თავის პატარა შრომაში **ს. კაკაბაძეც** ეხება საზოგადოდ და ერთგან ამბობს, რომ ”ვახუშტის ქრონიკა იმ სახით, რა გვარადაც ის ვახუშტის კალმიდან გამოსულია, ავტორიტეტულ წყაროდ ვერ ჩაითვლება, ვინაიდგან ჩვენს ისტორიკოსს შიგ და შიგ ხშირად ისეთი ცნობები შეაქვს. რომელიც მას თუ გნებავთ მეცნიერულს, მაგრამ მაინც სუბიექტურს შეხედულებას შეესაბამება, მაგრამ დოკუმენტალურად ისტორიულს საბუთებზე დამყარებული არ არის. რასაკვირველია... კარგი მასალებიც ჰქონდა, მაგრამ არსებული მასალები არა კმაროდა პოლიტიკური ცხოვრების შესაფერ სურათის წარმოსადგენად. ამიტომაც ვახუშტი თავისი მართლაც ჩინებული მეცნიერული ალღოს მიუხედავად, ხშირად ჭეშმაროიტ გზას უხვევდა, განსაკუთრებით XIV-XV საუკუნის ისტორიის შედგენის დროს.” ს. კაკაბაძის აზრით, ”ასეთი თვით ვახუშტის მიერ შეთხზული ცნობათაგანია ცნობა ბაგრატ VI-ს ჩამომავლობის შესახებ”[553].

რაკი ვახუშტის მოთხრობა შედარებით ბევრს ცნობებს შეიცავს და რთულს საკითხებს ეხება, ამის გამო, კრიტიკული განხილვა რომ უფრო გაადვილდეს და შეძლებისდა გვარად ზედმიწევნით იყოს გარჩეული, უკეთესია თითოეული საკითხი ცალკე იყოს განხილული. პირველი საკითხი ბაგრატ მეფის ვინაობასა და ჩამომავლობას ეხება, მეორე ჩიხორში მომხდარს ბრძოლას, მესამე ყუარყუარე ათაბაგსა და გიორგი მეფეს შორის მტრობას, ომსა და იოთამ ზედგენიძის თავგანწირულების ამბავს.

ბაგრატ მეფის ვინაობა და ჩამომავლობა

ბაგრატ მეფის არსებობა ამ დროს არა ერთი მისი სიგელითა მტკიცდება. საკამათოა და გამოსარკვევი მხოლოდ მისი პიროვნება და ჩამომავლობა. ბატონიშვილი ვახუშტი ფიქრობდა, რომ ბაგრატ მეფის მამას დიმიტრი ერქვა და რომ არც მისი მამა და არც თითონ ბაგრატი თავდაპირველად მეფედ არ ყოფილან და მხოლოდ აჯანყების შემდგომ გამეფდა. ს. კაკაბაძეს ეს ორივე ცნობა ვახუშტის შეთხზულად მიაჩნია. ბაგრატის მამა დიმიტრი არ ყოფილაო და მეორე ცნობაც ”უნდა უკუგდებულ იქმნას”-ო[554].

ს. კაკაბაძის **პირველი აზრი სამართლიანი უნდა იყვეს** იმიტომ, რომ იგი საბუთზე, თვით ბაგრატის **სიგელზეა დამყარებული.** ამგვარივე აზრი უკვე 1897 წელს **თ. ჟორდანიასაც** აქვს გამოთქმული და სწორედ იმავე სიგელის მიხედვით, რომელიც კაკაბაძესაც ჰქონია საფუძვლად. ”არ ვიცი, ამბობდა თ. ჟორდანია, რად უწოდს ბაგრატ მეფე მამად თვისად გიორგის, როდესაც იგი ცნობილია დიმიტრის ძედ?” ხოლო შემდეგ მას დაძენილი აქვს: ”

---

[551] იქვე, 304-307.

[552]იქვე, ქრონიკონები, 365.

[553] **ს. კაკაბაძე,** გენეალოგია ბაგრატ VI აფხაზთა და ქართველთა მეფისა, ტფ., 1912 წ., 1-2.

[554] იქვე, გვ. 3-8.

ჩვენი გუჯარი ასაბუთებს, რომ ბაგრატი ამ გიორგის შვილია”-ო[555]. მაშასადამე, თ. ჟორდანიაც ამ სიგელით დარწმუნებულია, რომ ჩვეულებრივი ცნობა, ვითომც ბაგრატი დიმიტრის ძე ყოფილიყოს, მცდარია და ნამდვილად ბაგრატი გიორგის შვილად უნდა ჩაითვალოს.

მართლაც 1466 წელს დაწერილს სიგელში ”მპყრობელი ორისავე ტახტისა ლიხთიმერისა და ლიხთამერისა იესიან-დავითიან-სოლომონიან ბაგრატონიანი მეფეთ-მეფე ბაგრატი”[556] ამბობს: ”შემოგუიწირავს სააღაპოდ და სამლოცველოდ პატრონისა მამისა **ჩუენისა გიორგისა** სულისათჳს და წარსამართებლად მეფობისა ჩუენისა”-ო და ამიტომ აღაპი ”გარდაიჴდებოდეს აღდგომასა ორშაბათსა დღესა **მამისა ჩუენისა გიორგისათჳს** და სამშაბათსა ჩვენთჳს”-ო[557].

ს. კაკაბაძეს ჰგონია, რომ ვახუშტისა და მის წინამორბედ ისტორიკოსთათვის არსებულს სიძნელეს სძლია და აღადგინა უტყუარი «სურათი აფხაზეთის მეფეების შესახებ XV საუკუნეში». ეს სურათი ს. კაკაბაძეს ასე ეხატება: «კონსტანტინეს სიკვდილის შემდეგ 1413 წ უმცროსი შვილი მისი ალექსანდრე დამჯდარა საქართველოს ტახტზე, ხოლო მეორე შვილი მისი ბაგრატ აფხაზეთს (თვით კონსტანტინე ფლობდა ლიხთიმერსა და ლიხთამერსაც). ბაგრატ V აფხაზთა მეფის სიკვდილის შემდეგ გამეფებულა ძე მისი კონსტანტინე, რომელიც გარდაიცვალა 1439 წ. და აფხაზეთის ტახტზე ავიდა ძმა მისი გიორგი. ამისი შვილი იყო ბაგრატ VI, გამეფებული 1455 წ., რომელმაც 1463 წ. ქართლიც დაიპყრო და თვისი ბიძა გიორგი IX გარდააგდო»-ო.[558]

სხვა ზემოჩამოთვლილ პირებს რომ თავი დავანებოთ, ს. კაკაბაძის აზრით ბაგრატის მამაც, მაშასადამე, მეფე უნდა ყოფილიყო და თვით ბაგრატის იმერეთში გამეფების შესახებ ვახუშტის ცნობა ვითომც უსაფუძვლოდ უნდა იყოს მიჩნეული. რამდენად სამართლიანია ეს აზრი?

ვახუშტს თავისი დებულება, რომ არც ბაგრატი და არც მისი მამა თავდაპირველად მეფეები არ იყვნენ და ბაგრატი მხოლოდ მერმე დაჯდა მეფედ დასაბუთებული აქვს ისტორიული წყაროს შემდეგი ცნობით: ”მეფე გიორგი და ბაგრატ შეიბნენ ჩიხორს და ბაგრატს გაემარჯვა ქ˜ს ჩუიბ (1462 წ.) ქრ. რნ (150) **იხილე, რამეთუ (მემატიანე) არა იტყვის მეფედ ვინადგან ერისთავი იყო”-ო,** ამბობს სახელოვანი ქართველი მეცნიერი ისტორიკოსი[559]. ს. კაკაბაძეს ეს საბუთიანობა სუსტად მიაჩნია, ”რადგან ქრონიკულ ცნობაში თავისუფლად შეიძლება ვიგულისხმოთ: მეფე გიორგი და (მეფე) ბაგრატ შეიბნენ ჩიხორს. ისიც კიდევ საკითხავია, აქ გიორგი IX ალექსანდრეს ძე იგულისხმება, თუ სხვა პიროვნება”-ო? ამბობს ს. კაკაბაძე[560].

---

[555] ქ˜კბი II, 288.

[556] **ს. კაკაბაძის** გენეალოგია, გვ. 3 და ქ˜კბი II, 287.

[557] გენეალოგია, 4 და ქ˜კბი II, 288.

ს. კაკაბაძე მართალია, როდესაც ამბობს, რომ “საძიებელი ხდება, საიდან უნდა ამოეღოს მას (ვახუშტს) ცნობა იმერეთის ერისთავის დიმიტრის შესახებ, რომელიც თითქოს 1455 წელს გარდაიცვალა” (გენეალოგია,2). ბატონიშვილი ვახუშტის სამეცნიერო მოღვაწეობის მთელი ხასიათი (იხ. ჩემი ისტორიის მიზანი და სხვა, I, ბატ. ვახუშტი) გვარწმუნებს, რომ ამ შემთხვევაში შესაძლებელია მხოლოდ ცნობა დიმიტრის ერისთაობის შესახებ ვახუშტის სამეცნიერო დაკვირვების ნაყოფი იყოს, თვით სახელი დიმიტრი კი უეჭველია მისი შეთხზული არ უნდა იყოს, არამედ რომელიმე წყაროთგან იქმნება ამოღებული, ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ მას უნდა ჰქონოდა ისეთი ცნობა, სადაც ბაგრატი დიმიტრის ძე იხსენებოდა და მისი შეცდომა მხოლოდ იქითგან წარმომდინარეობდა, რომ მას ალბათ სხვა ბაგრატი ამ ბაგრატად მიუჩნევია.

[558] **ს. კაკაბაძე,** გენეალოგია, 8

[559] იხ. უწყებულება მკითხველთათვის, ჩუბ., 6. **ჭიჭინაძე,** 10.

[560] **ს. კაკაბაძე.** გენეოლოგია, 8.

ზემომოყვანილი ცნობის ს. კაკაბაძის მიერ წამოყენებული განმარტება ძალდატანებითია და დედანს ეწინააღმდეგება, იმიტომ რომ, თუნდაც იმ შემთხვევაში, როდესაც გიორგი ბაგრატი ერთად არიან მოხსენებულნი, ვერწმუნოთ კიდეც მის გულისხმობას, განუმარტავი რჩება მაინც ამ მატიანის მეორე ნაწილის ცნობაში ნათქვამი "და ბაგრატს გაემარჯვა"-ო. როგორღა უნდა ავხსნათ, ან რა მიზეზია, რომ ამ შემთხვევაშიაც ბაგრატი მეფედ არ არის წოდებული. ნუთუ აქაც იმნაირადვე უნდა ვიგულისხმოთ?

ამასაც რომ თავი დავანებოთ, ვახუშტის დაკვირვება უფრო მეტი ყურადღების ღირსია. ბაგრატის მამა მართალია მეფე იყო, როგორც ს. კაკაბაძე ამტკიცებს, თუ ვახუშტის აზრი უფრო საფუძვლიანია? თვით ბაგრატ მეფის 1466 წლის სიგელში მაინცდამაინც ს. კაკაბაძის შეხედულების დამამტკიცებული ცნობა არ მოიპოვება და ამ საბუთში თვით ბაგრატიც თავის მამას მეფის სახელს არ უწოდებს. მას მხოლოდ მარტივად ნათქვამი აქვს: შემოგწირეთ "სამლოცველოდ **პატრონისა მამისა ჩუენისა გიორგისა** სულისათჳს და წარსამართებლად **მეფობისა** ჩუენისა"-ო, აღაპი გარდაიხდებოდეს "ორშაბათსა დღეს **მამისა ჩუენისა გიორგისათჳს"-ო**[561]. ორსავე შემთხვევაში ბაგრატი, **რომელსაც თავისი მეფეთ-მეფობა არ ავიწყდება, მამას მხოლოდ ან მარტივად გიორგის სახელით ან პატრონის წოდებულებით იხსენიებს.** პატრონი კი, როგორც ვიცით, მარტო მეფეს კი არ ეწოდებოდა, არამედ ყოველს ყმისა, ან ყმათა მფლობელსაც. ასე იყო ძველად, X-XIII საუკ.-ში[562], ასევე იყო XIV-XV საუკ-შიც. მაგ., სალაროს მოლარე ბარათა ქაჩიბასძე თავის ცოლზე ამბობს: "მეუღლემან ჩუენმან პატრონმან თინათინ"-ო[563], კათალიკოსიც პატრონად იწოდებოდა: "პატრონი... ქართლისა კათალიკოზი ელიოზ... აღაპსა გარდაიჴდიდეს"-ო[564]. "სოფელნი, აგარაკნი აღმიშენებიან მეფეთა, ერისთავთა, ქართლისა ერისთავთა და **ყოველთა პატრონთა და ხელისუფალთაგან** შეუვალი"-ო[565]. ხოლო **იმ შემთხვევებში, როდესაც "პატრონი" იმავე დროს მეფე, ან დედოფალი იყო, საბუთებში მაშინ სახელისა და ამ ტერმინის გვერდით ამ პირის მეფობა, თუ დედოფლობაც აღნიშნული იყო ხოლმე,** მაგ.: "ორჯელ **პატრონსა სურკუთხეულსა მეფესა კონსტანტინეს** ურდოს ხლებოდი"[566]. "ჩუენ ... მეფეთა მეფისა გიორგისაგან და თანამეცხედრისა ჩუენისა **პატრონისა დედოფალ-დედოფლისა ნესტანდარეჯანისაგან** და ძისა ჩუენისა ალექსანდრესაგან"[567], ჩუენ "**მეფეთა მეფემან** კონსტანტინე და პირმშომან **ძემან** ჩუენმან **პატრონმან მეფემან დავით,** გიორგი და ბაგრატ"-ო[568].

ყველა ზემოაღნიშნულ მაგალითების შემდგომ ცხადია, რომ საკითხი სრულებით ისე მარტივი არ არის, როგორც შეიძლება ადამიანს ეჩვენოს. ის გარემოება, რომ თვით ბაგრატი თავისს 1466 წ. სიგელში არც ერთხელ თავის მამას მეფედ არ იხსენიებს, უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ის არც ყოფილა მეფედ. ასეთი დაკვირვებისა და დასკვნის შემდგომ ვახუშტის ზემომოყვანილ დაკვირვებასაც მნიშვნელობა ენიჭება და გულდასმითი ყურადღების ღირსია, რასაკვირველია, თუ აქ რაიმე შეცდომა არ მოუვიდა და დიდებულ ისტორიკოსს და მატიანის ტექსტი სწორად არის მოყვანილი. მაშასადამე, ირკვევა რომ **ბაგრატი რომელიც გიორგი მეფის მეტოქედა და მოწინააღმდეგე მებრძოლად გამოსულა და**

---

[561] გენეოლოგია, 4 და ქ˜კბი II, 288.

[562] **ივ. ჯავახიშვილი,** ქართული სამართლის ისტ., II, 1, [თბ., 1928], გვ. 64-65, 68-69.

[563] 1447-59წ. შეწირ. წიგ.: ისტ. III, 37.

[564] ალექსანდრე მეფის 1412 წ. სიგ.: ისტ. საბ. III, 8.

[565] ქვენიფნეველის გუჯარი 1470 წ.: ს˜ქლს სძვ˜ლნი III, 559.

[566] 1440 წ. სიგ.: ისტ. საბ. II, 7.

[567] 1460 წ. სიგ: ისტ. საბ. III, 34.

[568] 1488 წ. სიგ.: ქ˜კბი II, 306 და **ს. კაკაბაძის** მაგ., გვ.5.

მეფეთ-მეფობა მოუტაცნია, გიორგის ძე ყოფილა. ეს გიორგი პირადად მეფე არ უნდა ყოფილიყო.

ბაგრატ მეფისაგან ზაქარია, კახა და ზაზა ჯავახიშვილებისადმი 1468 წ. ნაბოძები სიგელი მაინც გვაფიქრებინებს, რომ ბაგრატი ბაგრატონიანთა შთამომავალი უნდა ყოფილიყო. ბაგრატს იქ ნათქვამი აქვს: ჯავახიშვილებმა წარმოგვიდგინეს სიგელები "თამარ მეფისაგან და **სხვათა ჩვენთა გვართა და ჩამომავალთაგან** სამკვიდროდ მათთვის ბოძებული" –ო[569]. მაშასადამე, თამარ მეფესა და საქართველოს სხვა გვირგვინოსნებს ბაგრატი თავის გვარის წინაპრებად და შთამომავლობისად აცხადებს. თუ აქ პოლიტიკური მოსაზრებით ხელოვნურად შეთხზულ ნათესაობასა და მიჩემებასთან არ გვაქვს საქმე, უნდა ვიფიქროთ რომ ბაგრატი პირდაპირ, თუ დედის მხრით ეგების რუსუდანის შთამომავლობის ბაგრატონიანთა საგვარეულოს იმ შტოს ეკუთვნოდა, რომელიც საქართველოს ორისავე ტახტისა და ლიხთიმერისა და ლიხთამერის გაერთიანების შემდგომ მეფობას მოაკლდა და ჩამომცრობილ იქმნა.

ბაგრატ მეფეს დაც ჰყოლია, რომელიც მოლოზნად შემდგარა. **ამ "დამან მეფისა ბაგრატისამან გაიანე** სახითა ოდენ **მონაზონმან"** 1508 წ. შიომღვიმის მონასტერს კასპში ნაყიდი ვენახი შესწირა[570].

ჩიხორის ომი

ეხლა ჩიხორის ომის შესახებ როდის, სად და როგორ მოხდა ეს ბრძოლა და რა შედეგები მოჰყვა? როგორც ზევით აღნიშნული იყო, ვახუშტი ბატონიშვილს ნათქვამი აქვს, რომ "წელსა 1462, ქართულსა 150" გიორგიმ მის საწინააღმდეგოდ გამოილაშქრა. "მეფე გიორგი და ბაგრატ ეწყვნენ ჩიხორს ურთიერთსა და ძლიერითა ბრძოლითა მოსწყდნენ მრავალნი იმერნი და ამერნი. შემდგომად იძლია მეფე გიორგი და ივლტოდა ქართლს. მაშინ ბაგრატმან დაიპყრა იმერეთი, აღიღო ქუთათისი და ეკურთხა მუნ მეფედ"-ო[571].

კინკლოსების ცნობნები ჩიხორის ომის შესახებ

ჩიხორთან მომხდარი ბრძოლის შესახებ სხვა წყაროებშიაც არის ცნობა შენახული, კინკლოსებშიც და ქ˜ცის გაგრძელებებში, მაგრამ უმთავრეს სიძნელეს ის გარემოება შეადგენს, რომ ჯერჯერობით სწორედ იმგვარი ცნობა, როგორიც ვახუშტსა აქვს, არა ჩანს **თ. ჟორდანიას** მიერ შეგროვილს მასალებს შორის[572]ჩიხორის ომის შესახები ამბები შემდეგი სახით არის გადმოცემული:

1462 წ. "ქ˜კს: რნ (153): აქა უზუმ ასამ (sic) მოვიდა სამცხეს. ყუარყუარე [ს] [მიე] შველა, ჩიხორს შეიბნენ **მეფე** და ათაბაგს გაე[მარჯვა] "-ო[573].

1463 წ. "ქ˜კს: რნა (151): **აქა მეფე** და ყუარყუარე ჩიხორს შეიბნეს. ათაბაგს გაემარჯვა"-ო[574].

---

[569] სქ˜სძ˜ ვლნი II, 40.

[570] ისტ. საბ. II, 25 და ქ˜კბი II, 326.

[571] **ვახუშტი,** ისტორია, ბაქრაძის გამ., 300-305.

[572] ქ˜კბი II, 281.

[573] ჟამნი №2: ქ˜კბი II, 281.

[574] **ჩხეიძისა და ძილისპირი** №6 ქრონ.: ქ˜კბი II, 281.

იკორთის XVII-XVIII სს. ჟამნგულანში უზუნ-ჰასანის სამცხეში მოსვლის თარიღად 1461 წელია, მეფე-ათაბაგის ბრძოლის ამბავი კი 1463 წ. არის აღნიშნული, ვითარცა ერთიმეორისაგან დამოუკიდებელი მოვლენები. იქ ნათქვამია: 1461 წ. "ქ˜კს: რმთ (149): აქა უზუნ ჰასან მოვიდა სამცხეს". 1463 წ. " ქ˜კს: რნა (151): აქა **მეფე** ყუარყუარე ჩიხორს შეიბნეს, ათაბაგს გაემარჯუა"-ო[575]. ქ˜ცის შევს.-შესწორებულს გაგრძელებაშიც ნათქვამია[576]: 1462 წ. "ქ˜კსა: რნ (150): კ˜დ უზუნოს (sic) ჰასანი მოვიდა სამცხეს, ყუარყუარეს უშველა, ჩიხორს შეიბნეს და ათაბაგს გაემარჯვა"-ო.

არსებული ცნობების შედარებითი დაფასება

ზემომოყვანილი **ცნობები შინაარსის მხრივ ორ ჯგუფად იყოფება. ერთს ჯგუფს ყველა კინკლოსებისა და ქ˜ცის მეორე გაგრძელება (პარიზ. ქრ.) შეადგენს,** ხოლო ყველა ამ **შეერთებულ მოწმობას არ უდგება ქ˜ცის შევსებულ-გადაკეთებული პირველი გაგრძელება.** პირველ ჯგუფში თვით წყაროებია და ერთი გამოკრებილი მატიანე. **წყაროებში, კინკლოსის ცნობებში და პარიზის ქრონიკაში, იმ მეფის სახელი, რომელსაც ყუარყუარე შეება და დაამარცხა, აღნიშნული არ არის.** სახელის მოუხსენებლობის გარდა, **არც მეფის სადაურობაა მოყვანილი,** იქნებ იმიტომ, რომ ამ ცნობის ჩამწერს საქართველოში ერთი მეფის მეტი სხვა არავინ ეგულებოდა. თუ ასეა, მაშინ, რასაკვირველია, მეფის სადაურობის აღნიშვნა მეკინკლოსეს ფიქრადაც ვერ მოუვიდოდა. **ქ˜ცის გადაკეთებულ-შევსებულ პირველ გაგრძელებას პირიქით ნიშანდობლივ და ზედმიწევნით ნათქვამი აქვს,** რომ **ბაგატი იმერეთის** მეფე იყო. ბუნებრივად საკითხი იბადება, ასეთი გარკვეული ცნობა ქ˜ცის გაგრძელების შემავსებელ-გადამკეთებელს რომელსამე კინკლოსში აქვს ნაპოვნი, თუ მეფის სახელი და სადაურობა თვით მისი დამატებულია?

მაგრამ თუმცა რომ ამჟამად ამ საკითხსაც თავი დავანებოთ, თავისთავად **ვახუშტის მიერ მოყვანილს მატიანისებურს ცნობასა და კინკლოსების ყველა ზემოაღნიშნულ ცნობათა შორის გარდაუვალი უფსკრულია.** ვახუშტს უწერია, მეფე გიორგი და ბაგრატ შეიბნენ ჩიხორს და ბაგრატს გაემარჯვაო, ყველა აქამდე ცნობილს **კინკლოსებში კი საუბარი მეფე-ათაბაგს შორის მომხდარი** ბრძოლის შესახებაა და გამარჯვებულად ბაგრატი კი არ არის აღნიშნული, არამედ **ათაბაგი.** ცხადია, რომ აქ ორი სხვადასხვა ცნობაა და არა ერთი მეორისაგან დამოკიდებული. ვახუშტს სრულებით გარკვევით ჰსურდა ეგრძნობინებინა მკითხველისათვის, რომ მისი დასკვნა მატიანის მკაფიო ცნობებზე, თვით დედა-წყაროზე იყო დამყარებული. ჩვენ უკვე ვიცით, რომ ამგვარს შემთხვევაში დიდებული ქართველი ისტორიკოსი წყაროების გარეგან სახესაც კი იცავდა ხოლმე, ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ მას ასეთი მატიანისებური ცნობა უნდა ხელთა ჰქონოდა. რომ მოიძებნოს, იქნებ ეხლაც იყოს ისეთი კინკლოსები შენახული, სადაც ამგვარი ცნობა მოიპოვებოდეს.

მაგრამ აქ უნებლიეთ ერთი საკითხი იბადება: შესაძლებელია თუ **არა, რომ ორივე ბრძოლა მეფე გიორგისა და ბაგრატს შორის ერთი მხრით და მეფე-ყუპარყუარეს შორის მეორე მხრით ერთსა და იმავე ადგილას ჩიხორში მოხდარიყოს** და აქ რაიმე შეცდომა ხომ არ არის შეპარული?

---

[575] იხ. **ს. კაკაბაძის გამ., "ქრონიკა იკორთის** №6 ჟამნ-გულანისა", 1911 წ., ტფ., გვ. 4.

[576] დამატ., გვ. 898 და პარიზ. ქრ., 6.

ჩიხორის მდებარეობა

ჩიხორის მდებარეობაც გამოსარკვევია. თანამედროვე 5-ვერსიან რუკაზე "ჩიხორი" მხოლოდ შავშეთშია აღნიშნული, მაშასადამე, იმ კუთხეში, რომელიც XV საუკ.-ში მესხეთის მთავარს, ათაბაგს ემორჩილებოდა, და ჩიხორის ეს მდებარეობა უფრო იმ ცნობას უდგება, რომელიც მეფე-ათაბაგის შებრძოლების ამბავს მოგვითხრობს. მაგრამ ეს ადგილი იმდენად დაშორებულია ცენტრს და ისეთ მიყრუებულ ალაგას მდებარეობს, რომ საეჭვოა იქ გადამწყვეტი ბრძოლა მომხდარიყოს.

ვახუშტს კი ჩიხორი სულ სხვა ადგილას, სახელდობრ იმერეთში აქვს აღნიშნული. თვით გეოგრაფიაში მას ნათქვამი აქვს: "საზანოს წყალზე არის საზანოს ციხე" და "ამ ციხეს ზეით ზუსას მდინარის დასავლეთით არის ჩოხორი, ქალაქი მცირე, მოსახლენი არიან იმერნი, სომეხნი, ურიანი ვაჭარნი"-ო[577]. თავის რუკაზე ჩიხორი ვახუშტს ალისებნის სამხრეთით და რუფოთის ჩრდილოეთით უხატია[578]. ვახუშტის ცნობის სიმართლეს იმერეთის მეფის ალექსანდრეს ბრძანებით შედგენილი დასავლეთ საქართველოს რუკაც ამტკიცებს: იქაც სკანდას სამხრეთით და ქ. ჩხარის ჩრდილო-აღმოსავლეთით ხატია და აღნიშნულია "ქალაქი ჩიხორი სომეხთა საყდარი"-ო. მაშასადამე, ჩიხორი იმერეთშიც ყოფილა და ეს გარემოება კარგად უდგება ვახუშტის მიერ მოყვანილ მატიანისებურს ცნობას გიორგი მეფისა და ბაგრატის ბრძოლის შესახებ. ამიტომ უფრო საფიქრებელია, რომ ზემომოყვანილ ცნობებში მოხსენებული ჩიხორი იმერეთში ყოფილს ჩიხორს ჰგულისხმობდეს.

დასკვნა ჩიხორის ომის შესახებ

როგორ უნდა შევათანხმოთ ეს ორი სხვადასხვა ცნობა ჩიხორში მომხდარი ბრძოლის შესახებ? რომ ვიფიქროთ, ვითომც ეს ცნობა ერთს ამბავს ეხებოდეს და ჩიხორში შეერთებული ბრძოლა მომხდარიყოს ერთი მხრით ბაგრატ-ათაბაგსა და მეორე მხრით მეფე გიორგის შორის, რომ ყუარყუარე ათაბაგი და ბაგრატი იმ შემთხვევაში მოკავშირენი იყვნენ, გიორგი მეფისათვის კი ისინი საერთო მტრად ითვლებოდნენ, და შემდეგ, ამ თავდაპირველი ცნობითგან მერმინდელ გადამწერთაგან ვითომც ორი ზემოაღნიშნული ცნობა წარმომდგარიყოს, ამგვარ აზრს ბატონიშვილი ვახუშტის გარკვეული ცნობა ეწინააღმდეგება, რომლის მიხედვით მეფე გიორგი-ბაგრატს შორის ბრძოლაში ყუარყუარე ათაბაგს მონაწილეობა არ მიუღია. ამის გამო ცხადია, რომ ათაბაგს არც შეეძლო გაემარჯვა.

რაკი ყველა წყაროების ერთმხრივი მოწმობით ბრძოლა **ჩიხორში მომხდარა,** ამიტომ უფრო **საფიქრებელია იმერეთში მდებარე ჩიხორში ყოფილიყოს ომი.** მაშასადამე, **თვით ბრძოლაც მეფე გიორგისა და ბაგრატს შორის უნდა მომხდარიყო.** თუ ყველა ეს მოსაზრება სამართლიანია, მაშინ **ბატონიშვილი ვახუშტის ცნობაც, რომ ბრძოლა ჩიხორთან ბაგრატის გიორგი მეფის წინააღმდეგ აჯანყებისა და მეფობის მიტაცების შემდგომ მოხდა, სინამდვილედ მოჩანს.**

---

[577] ბროსეს გამოცემა, 362.

[578] იხ. №5.

უზუნ-ჰასანის შემოსევა საქართველოში

საფიქრებელია, რომ ცნობაც გიორგი მეფესა და ათაბაგს შორის მომხდარი ბრძოლისა და უზუნ-ჰასანის საქართველოში შესევის შესახებ ვითომცდა ყუარყუარე ათაბაგის მისაშველებლად, მართალი უნდა იყოს. რაკი უზუნ–ჰასანი სამცხეში შესულა, ამიტომ ალბათ საქართველოს სამხრეთითგან ე. წ. სომხითითგან უნდა გადასულიყო ჯავახეთ-სამცხისაკენ. ხოლო **რათგან ამ დროითგან მოყოლებული 1477** წლამდე ქართულ და უცხოეთის წყაროებში **უზუნ-ჰასანის საქართველოში შემოსევა არსად იხსენიება,** 1473-74 წელს კი, როგორც **ამბროსი კონტარინის მოგზაურობის აღწერილობა ამტკიცებს, უზუნ-ჰასანს სომხითი სჭერია და ლორის ციხე და ველიც სპარსეთის საბრძანებელს ჰკუთვნებია, ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ უზუნ-ჰასანი ვითომცდა ყუარყუარეს მისაშველებლად მართლაც უნდა შემოსულიყოს საქართველოში და სწორედ ამ დროითგან მოყოლებული ლორის ციხეში თავისი მეციხოვნენი ჩაეყენებინოს** და ლორის მთელი ველიც თავის საბრძანებლად გაეხადოს. მაგრამ შესაძლებელია ამ ამბავს გიორგი და ბაგრატ მეფის ბრძოლასთან საერთო არც კი ჰქონდეს რა და უზუნ-ჰასანის "მეგობრული" შემოსევა და ლორის ველის დაპყრობა 1461 ან 1462 წელს მომხდარიყოს, ბაგრატ-გიორგის შებრძოლება კი ერთი წლის შემდგომ.

ზევდგინიძე-ამილახორის საჩივრის წიგნის ცნობები გიორგი მეფის წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულების შესახებ

გირგის მეფობის ისტორიის აღსადგენად ბატონიშვილს ვახუშტს თავის ერთ-ერთ წყაროდ ამილახვრიანთ საგვარეულო გუჯრები აქვს დასახელებული. გიორგი მეფემ "მოიყვანა ძე იოთამისა, მიუბოძა მას ციხენი და მამულნი და სპასპეტობა ქართლისა, მოურაობა გორისა და სასაფლაოდ სამთავისი და კარისა თავისისა ამილახვრობა მსახურებისათვის მამისა მისისა, **ვითარცა აჩენენ გუჯარნი მათნი"-ო**[579]**.** უეჭველია ამავე წყაროთგან უნდა ჰქონდეს ამოკრებილი ცნობები მას გიორგი მეფის წინააღმდეგ ატეხილი ბრძოლისა და მის მოსაკლავად მოწყობილი შეთქმულებისა და შემცდელობის შესახებ.

მართლაც ამ შეთქმულების ამბავი აღწერილი აქვს ერთ ზევდგინიძეს (ამილახორს) თავის საჩივრის წიგნში, რომელიც დარბაზის ერთათვის მიურთმევია. ეს ძვირფასი და საგულისხმო საბუთი პროფ. **ექ. თაყაიშვილმა** დაბეჭდა ს˜ქლს სიძველეთა IV წიგნში[580].

მეფე გიორგისა და ბაგრატს შორის მომხდარი ბრძოლის ერთ-ერთს საფეხურს უნდა გვისურათებდეს ერთი საყურადღებო ცნობა, რომელიც ზევდგინიძის საჩივრის წიგნში მოიპოვება. იქ სწერია: "[გიორ]გი მე[ფემან ქუთა]თისი წაართო"[581]. შემდეგ ტექსტს აკლია და არა ჩანს, ვის წაართვა, მაგრამ ქვემო-მიმყოლი გვაფიქრებინებს, რომ ბაგრატს. იქ სახელდობრ ნათქვამია: "**ბაგრატ ქუთათისსა გაილაშქრა"**[582]**.** ალბათ მეფე გიორგის წინააღმდეგ და მის

---

[579] ისტ., 307.

[580] პროფ. **ექ. თაყაიშვილს** გულითად მადლობას მოვახსენებ იმისათვის, რომ წიგნის გამოცემამდე დაბეჭდილი ნაწილით სარგებლობის საშუალება მომცა.

[581] გვ. 22.

[582] გვ. 22.

განსადევნად. ტექსტის დანაკლისი საშუალებას არ გვაძლევს ამ ბრძოლის სურათი მთლიანად წარმოვიდგინოთ და მხოლოდ ნაწყვეტ-ნაწყვეტად არის შენახული. ბაგრატი და **გიორგი "მეფე შევიბენით"-ო**[583] და ეტყობა მეფე გიორგი **დამარცხებულა** ისე, რომ "ჩემი ძმა ჴელთა დაირჩუნ[ეს]"-ო, ამბობს ზევდგენიძე, თვით მეფე კი განსაცდელში ჩავარდნილა. მაგრამ "ღმერთმან იპრიანა, **გიო[რგი] მეფე წამოვიყუანე** და ოცდა ოთხი [შუბი] და ისარი ჴრმალი მესო ისეთმან წამოვიყუანე" ბრძოლის ველითგანო[584].

იქნება ეს ცნობა გიორგი მეფის პირველ გალაშქრებას ეხებოდეს აჯანყებული ბაგრატის წინააღმდეგ. საყურადღებოა, რომ ამ სიგელშიაც ბაგრატი მეფედ არ იწოდება. თუ ეს სიგელი მართლაც სწორედ ამ ბრძოლის დასაწყისს ეხება, მაშინ ვახუშტის აღწერილობის შევსება შეიძლება. პირველად იერიში გიორგი მეფეს მიუტანია, რომელსაც ბაგრატის იქ არ ყოფნის დროს ქუთაისი დაუჭერია. მაგრამ ბაგრატს ქუთაისზე გაულაშქრია. აღწერილობის მეორე ნაწილი შესაძლებელია ჩიხორთან მომხდარ ბრძოლას გვისურათებდეს. აქ სასტიკი ბრძოლა მომხდარა, რომელთაგანაც განსაცდელში ჩავარდნილი გიორგი მეფე ზევდგინიძეს ძლივს გამოუყვანია სამშვიდობოს.

შემდეგ იქნებ XV საუკუნის ნაწერი ერთი უთარიღო პატარა თხრობა სწორედ იმ ამბავს გვისურათებდეს, რომლის თანახმადაც ყუარყუარე ათაბაგის ორგულობისათვის დასასჯელად გიორგი მეფემ სამცხეში გაილაშქრა და ათაბაგი "**წარვიდა იმერეთს ბაგრატისა თანა ლტოლვილი"-ო.** ხოლო "ცხოვრება ჩუენი, ნათქვამია იქ, ესრეთ იყო"-ო: "ვიყვენით ჩუენ კავკასისძისა სახლსა პატრონნი ამირინდო [და] მისი მეუღლე ნესტარჯან. **მოვიდა რისხვა ღვთისა დიდ**[ი] **საქართველოდამ და წაიკიდეს მეფე და ათაბაგი, შეიბნეს. მოიწია რისხვა სამცხედ და გაუმარჯ**[ვ]**და მეფესა.** მოიწია რისხვა ღვთისა ჩემზედა: მუნ აღესრულა ქმარი იგი ჩემი: კვ (26): წლისა და მე ვიყავ: ით (19): წლისა"-ო[585].

შეთქმულება გიორგი მეფის წინააღმდეგ

ერთს ადგილას ზევდგინიძეს მოსამართლეებისათვის უთქვამს: "გაილაშქრა გიორგი მე[ფემ]ა. იქ ჩემი გუარის კაცი ოცდა ცხრა [მოკლეს] და ერთი ჴელთ დაირჩუნეს"-ო[586]. არა ჩანს, სად და ვისთან მოუხდა ბრძოლა გიორგი მეფეს. მხოლოდ შემდეგ მისდევს ცნობა: "აღბუღას თათარნი მოჴდეს. ერთი... თავადი თათარი დარჩა ჴელთა" და "იმათა დაიხსნა დიდმა აღბუღა" ვიღაც უცნობი პირი, რომლის სახელი საბუთში შენახული არ არის[587], მაგრამ აზრის მიმდინარეობის მიხედვით საფიქრებელია, რომ ის ერთი ზევდგინიძის გვარის კაცთაგანია, რომელიც მტერს "ჴელთა" დარჩა. რაკი "დიდი აღბუღა" გიორგი მეფის მომხრედა ჩანს, და "თათარნი" აღბუღას ესხმიან, შესაძლებელია. ეს ცნობა გიორგი მეფის უზუნ-ჰასანის წინააღმდეგ გალაშქრების დროს მომხდარი ბრძოლის ერთ-ერთს საფეხურს ეხებოდეს. მერმე ნათქვამია, რომ "ყოველნი ერთობ დაღონებულნი" იყვნენ, მაგრამ არ-კი ჩანს რატომ. შემდეგ იკითხება, რომ "მეფე აღბუღას შეეხვეწა" რაღაცას, რაც მოგლეჯილ ნაწილებზე უნდა ყოფილიყო აღნიშნული. ამის შემდეგ იწყება თვით შეთქმულების აღწერილობა: "გამოარჩივეს ერთი უშვილო კა[ცი]. [მე]ფე ჴელთა შევიპყრათ და ქართლი [ჩუენ დაგურ]ჩებისო. ჭუკას გუარის კაცმან ჩემსა [გუარის კაცსა გა]ანდო. იმან მეფესა არ დაუმალა, [უთხრა მეფე]სა

---

[583] გვ. 23.
[584] გვ. 23.
[585] ქ˜კბი II, 301.
[586] ზევდგინიძის საჩივრის წიგნი, გვ. 20.
[587] გვ. 20.

დასტურად გუიღალატებენ”[588]. მერმე ისევ აკლია და მხოლოდ იმის მიხვედრა შეიძლება, რომ მეფეს, როგორც ვახუშტსაცა აქვს მოთხრობილი, ეს ცნობა უსაფუძვლო ჭორად მიუჩნევია და, რომ მოსალოდნელი ხიფათი მეფის თავითგან აეცდინა, იმ ზევდგინიძემ, რომელმაც შეთქმულება გამოამჟღავნა, თავის გაწირვა გადასწყვიტა, და ისე მოაწყეს, რომ მეფის საგებელში ჩემი ”გუარის კაცი დაწვა და მეფე წ[ავიდა და ჩემი გუა]რის კაცი დაიღრჩუნეს და მწოვედ დაკო[დეს, სიკუდილ]სა ულამოდეს და როგორცა, ეს [შეიტყეს] ზევდგენიძე არისო, აღარ მოკლეს”-ო[589]. ჩამოხეული ადგილი კვლავ აზრსა და აღწერილობას სწყვეტს და ბოლოში ნათქვამია მხოლოდ: ”მეფემა ნასისხლად მღუიმე მისცა სასაფლაოდ, ახალციხე, სამოცი კ[უმალი] კაცი ესახლა და ხუთი დახატული ჩარდ[ახი] მოწყობილი უბოძა სისხლად”-ო[590].

მაშასადამე, ვახუშტ ბატონიშვილის ცნობა მეფე გიორგის მოსაკლავად მოწყობილი შეთქმულების შესახებ მართალი ყოფილა. მხოლოდ ზევდგინიძე კი არ მოუკლავთ, არამედ მძიმედ დაუჭრიათ. ეს განსხვავება მაიცნ ამტკიცებს, რომ ვახუშტს სხვა წყაროთი უნდა ესარგებლა. ბატონიშვილ ვახუშტს რომ ზევდგინიძის ზემომოყვანილი წიგნით არ უნდა ესარგებლა, ამას კიდევ ის გარემოებაც ამტკიცებს, რომ ვახუშტის მიერ მოყვანილი სია გიორგი მეფისაგან ზევდგინიძისათვის ნაწყალობევი მამულებისა და მონასტრისა თვალსაჩინოდ განირჩევა საჩივრის წიგნის ცნობისაგან. იმ შემთხვევაშიაც, თუ ჩვენ წარმოვიდგენთ, რომ ვახუშტს საჩივრის წიგნით კი არა, არამედ ზევდგინიძიანთ სხვა საგვარეულო საბუთებით უსარგებლია, მაშინაც თავგანწირულ ზევდგინიძისათვის ნაწყალობევი მამულების სიის განსხვავების მიზეზი ძნელი ასახსნელია. ბატონიშვილს ვახუშტს შესაძლებელია თვით სიგელ-გუჯრების მაგიერ შემდეგში საბუთების მიხედვით შედგენილი ამილახვრიანთ საგვარეულოს თავგადასავლის აღწერილობა ჰქონდა ხელთა.

ბაგრატის გამოლაშქრება გიორგი მეფის წინააღმდეგ

სახელოვან ქართველ ისტორიკოსს, როგორც ვნახეთ, აღნიშნული აქვს, რომ ყუარყურე ათაბაგმა ისარგებლა იმ არევდარევით, რომელიც მეფის წინააღმდეგ გამოაშკარავებული შეთქმულების მონაწილეთა დევნამა და დასჯამ გამოიწვია, გიორგი მეფეს უცბად თავს დაესხა და თვით მეფეც ტყვედ ჩაიგდო. ამით თავისი მხრით ბაგრატ მეფესაც თავისი წადილის განხორციელება გაუადვილდა. გამოვიდა ქართლში და ისიც თავის სამფლობელოს შეუერთა. ბატონიშვილის ვახუშტის ამ ცნობის სიმართლესაც სხვადასხვა იმდროინდელი საბუთები ადასტურებენ. გიორგი მეფის ყუარყუარე ათაბაგის მიერ შეპყრობა და ბაგრატ მეფის აღმოსავლეთ საქართველოშიაც გამეფება ზევდგინიძეს, მაგალითად, ასე აქვს თავის საჩივრის წიგნში აწერილი.

”**[შეიპყ]რა ათაბაგმან გიორგი”** მეფე და მაშინვე გამოვიდა ”ბაგრატ. მე ბატონსა დავითს ასრე [მო]ვახსენე: თუ შენ ბაგრატ მეფისა ყმა არ შეიქმნები, მე ჩემსა მამულსა არავინ მამცემს. წაუვიდა [მის] ძმასა ჩემისა მამულის გულისთჳს და **ბაგრატ მეფისა ყმა შეიქნა.** თუმცა ყმა არ შექმნილიყო, ჩემსა მამულსა არავინ მოგუცემდა. ამისი მოწამე ბატონი დავითი არის”-ო[591].

ყუარყუარეს მიერ მეფის შერყრობის ამბავს იკორთის ჟამან-გულანის კინკლოსიც იხსენიებს და თარიღსაც ასახელებს: 1466 წ. ”**ქრონიკონსა ჩნდ (154) აქა მეფე დაიჭირა**

[588] ზევდგინიძის საჩივრის წიგნი, გვ. 20.
[589] გვ.20.
[590] გვ. 21.
[591] ზევდგინიძის საჩივრის წიგნი, გვ. 24.

ყუარყუარე[მ] ტყუედ"[592]. ქ˜ცის შევსებულ-გადაკეთებულ მეორე გაგრძელებაში ამავე ამბავის თარიღად 1465 წ. არის დადებული: "ქ˜კსა: რნგ: (153) მეფე დაიჭირა ყუარყუარემ ტყუედ"[593]. კინკლოსების გამოურკვეველსა და ზევდგენიძის საჩივრის წინგის ნაკლულევანს ცნობებს ავსებს და არკვევს კონსტანტინე მეფის ზაქ. ჯავახიშვილისადმი მიცემული წყალობის სიგელი, სადაც ნათქვამია: "**ღ˜თისა გარეგანმან ყუარყუარე პატრონსა ბიძასა ჩუენისა მეფესა გიორგის უღალატა"[594].** რაკი ეს საბუთი 1466 წ. არის დაწერილი, ისეთს დროს, როდესაც თვით ეს ამბავი მოხდა, **ყუარყუარეს ღალატის შესახები ცნობა გიორგი მეფის წინააღმდეგ სრულ და უეჭველ ჭეშმარიტებად უნდა ჩაითვალოს.** ამავე კონსტანტინე ბატონიშვილის მიერ ბოძებული სიგელის შინაარსი ამ ამბის შესახებ სხვა საყურადღებო ცნობებსაც გვაწვდის . იქ ნათქვამია სახელდობრ: 1466 წ. "გიბოძეთ თქუენ ჩუენთა ერთგულთა და ჩუენსა ზედა მრავალფერად ჭირნახულთა ჯავახიშვილთა ზაქარიასა, კახასა და ზაზას და შვილთა თქუენთა... **მას ჟამს, ოდეს ღ˜თისა გარეგანმან ყუარყუარე პატრონსა ბიძასა ჩუენსა მეფესა** გიორგის უღალატა და **ჩუენსაცა ღალატსა და ავსა აპირებდა.** ღ˜თმან მოგუარჩინა, წამოუველთ და თქუენ დიდი ვალი და ნამსახური დაგუდევით: **გორის ციხეს შემოგუყევით და დაგუამაგრეთ და ისრე დაჭირებულს ქუთათის ციხეს შეგუიდეგით და იქიცა** დიდი გუმსახურეთ. ჩვენ შეგიწყალეთ და თქუენისა დიდისა ვალდებულობისა მუქაფად გიბოძეთ ცხირეთის გუერდი სრულად და გაერთებით, ხანდაკი და რაცა ცხირეთის შესავალი არის სრულად და უკლებად და ამას გარეთ ქალაქის პირთა სოფელი თხილოვნა მისითა შესავლითა"[595]. ამ სიგელითგანა ჩანს, რომ **გიორგი მეფესთან მახლობლად იმ დროს, როდესაც ყუარყუარე ათაბაგს თავისი ღალატი მოუწყვია, კონსტანტინე ბატონიშვილიცა ყოფილა. ათაბაგი თურმე კონსტანტინეს წინააღმდეგაც აპირებდა მოქმედების გაჩაღებას:** "ჩუენსაცა ღალატსა და ავსა აპირებდა"-ო, მაგრამ "წამოუველთ" და ამით განსაცდელს თავი დავახწიეთო. **ცხადია, გიორგი მეფე კი** ვერ წამოსვლია და **ყუარყუარეს ჩავარდნია ხელში.**

ათაბაგი გამოქცეულს ბატონიშვილს კონსტანტინეს დასდევნებია. ბატონიშვილს გორის ციხეში შეუფარებია თავი და გამაგრებულა, მაგრამ ბოლოს, როგორც ეტყობა, იქაც დარჩენა საშიში შექმნილა. ამის გამო კონსტანტინეს დიდად, "დაჭირვებულს" ქუთაისის ციხეში მოუხერხებია შეხიზვნა და გამაგრება. რაკი ქუთაისი და დასავლეთი საქართველო ბაგრატ მეფესს ეჭირა, გასაოცარია, რომ კონსტანტინემ ქუთაისის ციხეში შესვლა მოახერხა. საფიქრებელია, რომ ეს უნდა იმ დროს მომხდარიყო, როდესაც ბაგრატ მეფე ქართლის დასაპყრობად იყო აღმოსავლეთ საქართველოში გადმოსული.

ხოლო ეს უკანასკნელი გარემოება, ბაგრატ მეფის ქართლში გადმოსვლა-გაბატონება, ზევდგინიძის საჩივრის წიგნის ცნობითაც მტკიცდება. ამაშიაც ბატონიშვილი ვახუშტი მართალი გამოდის. მარტო ბატონიშვილ დავითის კახეთში გამეფების შესახებ დიდებული ქართველი ისტორიკოსის ცნობას ზევდგენიძის მოთხრობა თითქოს ეწინააღმდეგება. ის ამტკიცებს, რომ დავით "ბაგრატ მეფისა ყმა შეიქმნა", მაშასადამე, **დავითს ბაგრატის ქართლში გამეფების კანონიერება უცვნია და მეფეთ-მეფობის უფლება აღუარებია.** ვახუშტის სიტყვით კი დავით ბატონიშვილმა თავისი თავი კახთა მეფედ გამოაცხადა იმ მიზნით, რომ ბაგრატ კახეთშიაც არ გაბატონებულიყო. მაგრამ იქნებ აქ ცნობათა წინააღმდეგობა კი არ იყოს, არამედ

---

[592] **ს. კაკაბაძე,** ქ˜კა იკორთის №7 ჟამნ-გულანისა, გვ. 4.

[593] პარიზ ქრ., ჭიჭინაძე, გვ. 6.

[594] ს˜ქლს სძ˜ვლნი II, 20.

ქართლის ცხოვრების შევსებულ-გადაკეთებულს პირველს გაგრძელებას იგივე 1465 წ. აქვს მოხსენებული, მაგრამ მეფის სახელი სულ სხვაა: "ქრონიკონსა რნგ: **მეფე ბაგრატ იმერეთისა** დაიჭირა ყუარყუარემ ტყვედ და დაატყვევა ციხესა შინა"-ო (დამატ. 893).

[595] ს˜ქლს სძ˜ვლნი II, 20-21.

ზევდგინიძის ცნობა დავით ბატონიშვილის დამორჩილების შესახებ თავდაპირველს მდგომარეობას გვისურათებდეს, რომელიც შემდეგ შეცვლილიყოს, და დავითს ასეთს პირობებში გამეფება ერჩიოს? საეჭვოა და, როგორც ქვემოთ აღნიშნული იქნება, კახეთში უფრო საფიქრებელია თვით გიორგი მეფე გამაგრებულიყო.

სხვადასხვა თეორიები საქართველოს დანაწილების შესახებ

დიდი ხანია, უკვე XVI საუკ. დასარულითგან მოყოლებული, საქართველოს პოლიტიკური მოღვაწეები და ისტორიის მკვლევარნი სრულიადი საქართველოს დანაწილების ხანითა და მიზეზით იყვნენ დაინტერესებულნი, უნდოდათ გაეგოთ, თუ რამ, ან ვინ და როდის მოუღო ბოლო საქართველოს მთლიანობას? ეგნატაშვილი ბერის მეთაურობით შედგენილი ქ˜ცის გაგრძელება საქართველოს დაყოფას ალექსანდრე და ვახტანგ მეფეებს მიაწერს, მაგრამ ცნობათა უქონლობას უჩივის[596]. ვახუშტი ბატონიშვილის სიტყვით კახეთში ზეპირი გადმოცემა ყოფილა, ვითომც საქართველო თივთ ალექსანდრე მეფეს გაეყოს, ვითომც "ამ ალექსანდრემ გაჰყო ძენი თვისნი: უხუცესსა ბაგრატს მისცა იმერეთი, მეორესა გიორგის მისცა ქართლი, სომხეთი და სამცხე-კლარჯეთი, მესამესა დავითს მისცა ჰერეთი და კახეთი"-ო[597]. სახელოვანი ქართველი მეცნიერი ამ აზრს უარჰყოფდა[598] და, როგორც დავრწმუნდით, ეს შეხედულება მართლაც უსაფუძვლო გამოდგა. ალექსანდრე მეფეს ამგვარი უგუნური დანაშაული ქართველი ერის წინაშე არ მიუძღვის.

ქ˜ცის შევს.-გადაკ. გაგრძელების ავტორსაც საქართველოს სამ სამეფოდ გაყოფის მიზეზი ისე ჰქონია წარმოდგენილი, თითქოს ეს გაყოფა თვით მეფის მიერ ყოფილიყოს მოწყობილი მისივე ნებაყოფლობითა და მშვიდობიანად, როდესაც საქართველო კერძო საკუთრებასავით მამის მიერ ბატონიშვილებს შორის იყო განაწილებული. თუმცა ეს შეხედულება ქართულს საისტორიო მწერლობაში, როგორც აღნიშნული იყო, ჯერ მხოლოდ ამ XVIII საუკ. ძეგლში გვხვდება, მაგრამ საყურადღებო ის არის, რომ ისე, ზეპირად მაინც, როგორც ეტყობა, ამაზე გაცილებით უფრო ადრე არსებობდა და უკვე ძველ დროსაც ყოფილა გავრცელებული. ამას კახთ-ბატონის ალექსანდრე მეფის სიტყვებიც ცხადჰყოფენ. 1589 წ. მას რუსთ ხელმწიფის დესპანისათვის სხვათა შორის უამბნია: ძველთაგან მთელი საქართველო ერთს სახელმწიფოს შეადგენდა და ჩვენმა პაპის მამამ (Прадед) სამალ გაჰყოო[599]. მაშასადამე, ამგვარი ცნობა და შეხედულება უკვე XVI საუკ. დასასრულს მაინც საქართველოში გავრცელებული ყოფილა.

სახელოვანი ქართველი მეცნიერი ისტორიკოსი ამტკიცებს, რომ საქართველოს გაყოფა და დანაწილება ალექსანდრე მეფის დროს კი არ მოხდა, არამედ მისი შვილის გიორგი მეფის დროს. ვახუშტის სიტყვით გიორგი მეფე იყო, "პირველ მეფობასა ბედნიერი და წარმატებული და წარმართებული, არამედ შემდგომად უბრკმა ბრძოლისა სვიანობამა შარავანდედობისამან და განსქდა ჟამსა ამისსა სამეფო სამ სამეფოდ და ხუთ სამთავროდ"[600]. აქ, მაშასადამე, ბატონიშვილ ვახუშტს გიორგი მეფისაგან საქართველოს ნებაყოფლობითს გაყოფაზე კი არ აქვს საუბარი, არამედ ისეთ განხეთქაზე, რომელიც მისდა უნებურად და მის ყოველგვარ ცდისდა მიუხედავად მოხდა.

---

[596] იხ. **ივ. ჯავახიშვილი,** ისტორიის მიზანი, [თბ., 1916], გვ. 275.
[597] **ვახუშტი.** ისტ. **ჭიჭინაძე,** 154.
[598] იხ. ისტორიის მიზანი.
[599] Посолъство в Грузию **Звенигородского:** Сношения Росии с Кавказом, I 169-170.
[600] **ვახუშტი,** ისტ. 302.

ბატონიშვილი ვახუშტის ცნობით გიორგი მეფე 1469 წ. უნდა გარდაცვლილიყო და ამავე წელს "დაჯდა ძე მისი კონსტანტინე მეფედ და ჰერ-კახთა ჩამოიყვანეს დავით, მეფედ ჰყვეს"-ო[601]. რაზეა ეს ცნობა დამყარებული არა ჩანს, მხოლოდ არც კონსტანტინესა და არც დავითის შესახებ მას ნამდვილი უტყუარი საბუთები, როგორც ეტყობა, არ უნდა ჰქონოდა. 1469 წ. კონსტანტინე რომ არ გაბატონებულა აღმოსავლეთ საქართველოში, არამედ ამ დროს იმერ-ამერი საქართველოს მეფედ ბაგრატი იყო, ეს ქვემოთ გამორკვეული იქნება, ხოლო დავითის ვინაობის შესახებ რომ გარკვეული, საბუთებზე დამყარებული, ცნობები ხელთ არა ჰქონია, ამას ვახუშტისავე სიტყვები ცხადჰყოფენ. მას ნათქვამი აქვს: ბაგრატი რომ ქართლს დაეპატრონა, კახთ "გამოირჩიეს მუნვე მყოფი **ერისთავთაგანი ანუ გამოკულეული ჩვენი ესე ოვ (76) მეფის ალექსანდრეს ძის დიმიტრის ძე** დავით [და] დასვეს ვითარცა მეფე"-ო[602]. აქეთგანა ჩანს, რომ დავითის დიმიტრის შვილობა თვით ვახუშტის გამოკვლევის შედეგს წარმოედგენს და საბუთებითგან არ არის ამოღებული. სხვა შეხედულებაც არსებობდა თურმე, რომელიც ამ დავითს ბატონიშვილად კი არა, არამედ ერისთავთ-ერისთავად სთვლიდა. მხოლოდ ვახტანგისეულ სწავლულ კაცთა შრომითგან აქვს ვახუშტს შეთვისებული ცნობა დავითის მეფედ დაჯდომის შესახებ, თუ რაიმე ძველს და სანდო წყაროშიაც იპოვა, ჯერ არა ჩანს. მხოლოდ ზევდგინიძის ზემომოყვანილი სიტყვები ამტკიცებენ, რომ დავით ბატონიშვილი ბაგრატ მეფეს დაჰმორჩილებია, მაშასადამე, შეუძლებელია ის ბაგრატის საწინააღმდეგოდ კახეთში მეფედ დამჯდარიყო.

როგორც კახთა მეფის ალექსანდრეს 1479 წლის ორი გუჯარითგანა ჩანს, ის გიორგი მეფის შვილი ყოფილა. ბატონიშვილი ვახუშტი ფიქრობდა, რომ ალექსანდრე კახთა მეფის მამა გიორგი მეფე მისგან კახთა მეფედ მიჩნეული დავითის ძე იყო[603]. **თ. ჟორდანიაც,** როგორც ეტყობა, ასევე ფიქრობდა[604] და გიორგი მეფეთ-მეფე, ალექსანდრე I ძე, და გიორგი კახთა მეფე, ალექსანდრე კახთა მეფის მამა, ორ სხვადასხვა პირად მიაჩნდა. თვითონ ალექსანდრე მეფეს კი თავის გუჯრებში ნათქვამი აქვს: "ჩუენ... **ლიხთი-მერეთისა და ლიხთ ამერის ორისავე ტახტისა მტკიცედ მპყრობელისა მეფეთ-მეფისა სულკურთხეულისა გიორგის ძემან,** მეფემან **ალექბსანდრე,** ბატრონმან (sic) დე˜უფალთ **დედუფალმან დედამან ჩუენმან ნესტანდარეჯან** და თანამეცხედრემან ჩუენმან დედუფალმან ანა"-ო[605]. **მაშასადამე, ალექსანდრე კახთა მეფე გიორგი მეფეთა-მეფისა და დედუფალთ-დედუფ ნესტანდარეჯანის შვილი** ყოფილა. ჩვენ უკვე ვიცით, რომ სწორედ ალექსანდრე I-ის ძეს, გიორგი მეფეთა-მეფესა ჰყავდა თანამეცხედრედ დედუფალთ-დედუფალი ნესტანდარეჯან და შვილად ბატონიშვილი ალექსანდრე (იხ. ზევით). **დაუჯერებელი რამეა, რომ ერთსა და იმავე დროს საქართველოში, თუნდაც ქართლში და კახეთში, ორი გიორგი მეფე ყოფილიყოს და ორისავე თანამეცხედრესაც ნესტანდარეჯანი და შვილსაც ალექსანდრე ჰრქმეოდეს. ამიტომ თავისთავად აზრი იბადება, რომ ალექსანდრე კახთა მეფის მამა, გიორგი მეფე სწორედ ის ალექსანდრე I-ის ძე მეფეთა-მეფე გიორგი უნდა ყოფილიყო, რომლის ტახტი და მეფეთა-მეფობა ბაგრატმა დაიპყრა და არა კახთა მეფე გიორგისა, რომელიც ვითომც დავით კახთა მეფის შვილი უნდა ყოფილიყო.** ჩვენს ისტორიკოსებს ერთი და იგივე პიროვნება შეცდომით ორად მიუჩნევიათ.

---

[601] ქრონიკონები, **ვახუშტი,** ისტ. **ჭიჭინაძე,** 365.

[602] ქრონიკონები; **ვახუშტი**, ისტ. , **ჭიჭინაძე**, გვ. 157

[603] იქვე, 157

[604] ქ˜კბი II, 291.

[605] 1479 წ. **დავით გარეჯის** სიგ.: ქ˜კბი II, 300 და მცხეთის № ტვ. სიგ.: იქვე II, გვ. 301.

ალექსანდრე კახთა მეფე 1476 წელს უნდა გამეფებულიყო, რათგან ქ˜კსა: რნიზ (167): თუესა იანვარსა: კგ (23): მისი მეფობის გ (3) ინდიკტიონი ყოფილა[606]. მცხეთის № ტვ. სიგელიც, რომელიც ნაბოძებია იმავე ქრონიკონს, მხოლოდ ერთი დღის შემდგომ, 24 იანვარს, დაწერილია ალექსანდრეს მეფობის ინდიქტიონსა "სამსა"[607]. 1479 წელს ალექსანდრე კახთა მეფის მამა მეფეთა-მეფე გიორგი უკვე "სულკურთხეული"[608], ანუ გარდაცვლილი ყოფილა. როდის უნდა გარდაცვლილიყო გიორგი მეფეთ-მეფე? არც კინკლოსებში და არც სხვა იმდროინდელს ძეგლებში ამის შესახებ ცნობა არ მოიპოვება. როგორც მოხსენებული გვქონდა, მხოლოდ ბატონიშვილს ვახუშტს აქვს აღნიშნული, რომ გიორგი 1469 წ. გარდაიცვალა და იმავე წელს მისი შვილი კონსტანტინე გამეფდა, მაგრამ სახელოვანს ქართველ მეცნიერსაც, როგორც ეტყობა, ეს ცნობა პირდაპირ ძეგლითგან ამოღებული არ უნდა ჰქონდეს, არამედ ვგონებ კონსტანტინე მეფის გამეფების თარიღის მიხედვით მიღებული, რათგან აქ ორი შეცდომაა: პირველი ის, რომ კონსტანტინე მეფე, როგორც თავის ალაგას გამოკვლეული იქმნება, გიორგი მეფეთა-მეფის შვილი არ ყოფილა და მეორეც ის, რომ გამეფების თარიღიც სწორი არ არის. სადმე აქვს ვახუშტს ნაპოვნი ეს უკანასკნელი თარიღი, თუ თითონ მისი გამოანგარიშებულია, არა ჩანს, მაგრამ უეჭველია, როგორც შემდეგში დავრწმუნდებით, რომ კონსტანტინე გაცილებით უფრო გვიან გამეფდა, ვიდრე ვახუშტსა აქვს აღნიშნული, სახელდობრ 1477 ან 1478 წელს. ამიტომ გიორგი მეფის სიკვდილისა და კონსტანტინეს მეფობას გამეფებას შორის რომ რაიმე დამოკიდებულება არსებულიყო, მაშინ გიორგი მეფის სიკვდილი 1477-78 წელს უნდა დაგვედვა.

უფრო საფიქრებელია, რომ ალექსანდრე კახთა მეფის ტახტზე ასვლის თარიღსა და გიორგი მეფეთა-მეფის სიკვდილს შორის კავშირი არსებულიყო.თვით ბატონიშვილი ვახუშტიც ამ გარემოებას არ უარჰყოფდა, მხოლოდ გიორგი მეფე კახთ ბატონად მიაჩნდა. უკვე გამორკვეული გვქონდა, რომ ალექსანდრე კახთა მეფე 1476 წ. უნდა გამეფებულიყო. მაშასადამე, გიორგი მეფეთ-მეფე ალბათ 1476 წ. უნდა გარდაცვლილიყო. მართალია ბატონიშვილი ვახუშტი ალექსანდრე კახთა მეფის მამის სიკვდილის თარიღად 1492 წ. ასახელებს[609], მაგრამ რომ აქ ჩვენს დიდებულს ისტორიკოსს ცხადი შეცდომა მოსვლია, ამას თვით ალექსანდრე კახთა მეფის 1479 წ. დავით გარეჯისადმი ნაბოძები გუჯარიც ცხადჰყოფს, რომელშიაც თვით ალექსანდრე მეფე თავის მამას გიორგი მეფეთ-მეფეს "სულკურთხეულად" ანუ მკვდრად იხსენიებს.

რაკი გმოირკვა, რომ **გიორგი მეფეთ-მეფე** 1476 **წლამდე მაინც ცოცხალი ყოფილა,** ხოლო ჩვენ ეხლა უკვე **დანამდვილებით ვიცით** და ქვევით გამორკვეულიც იქნება, **რომ 1470 წ. ქართლიც იმიერ საქართველოსთან ერთად ბაგრატ მეფის ხელში იყო,** უნებლიეთ **საკითხი იბადება, თუ სად უნდა ყოფილიყო ამ დროს გიორგი მეფეთ-მეფე? საფიქრებელია,** რომ მას შემდგომ, როცა დარწმუნდა, რომ ბაგრატის დაძლევა არ ძალუძდა და ქართლის ტახტის დაბრუნებაც უკვე აღარ შეეძლო, **ის კახეთში გამაგრდა და კახთა მეფობით დაკმაყოფილდა.** თუ სწორედ ამგვარად დატრიალდა საქმე, მაშინ ცხადია, რომ იმიერ-ამიერი საქართველო და ორისავე ტახტის მფლობელობა ამ დროს უკვე სრულებით არ უდრიდა მთელი საქართველოს სამეფოს. იმის გარდა, რომ მას, როგორც დავრწმუნდით, საბედიანო, აფხაზეთ-სამეგრელო და გურია, სამცხე-საათაბაგოც ჩამოშორებული ჰქონდა, კახეთის სამეფოც აღარ ეკუთვნოდა. მაშასადამე, **მთლიანი საქართველო უკვე,** აღარ არსებობდა და **დანაწილებული იყო.** მხოლოდ

---

[606] 1479 წ. დავით გარეჯ. გუჯ. იქვე , ქ˜კბი II, 300.

[607] იქვე, 301.

[608] იხ. იგივე საბუთები: ქ˜კბი II,გვ 300.

[609] **ვახუშტი,** ისტ. **ჭიჭინაძე,** 158.

ქართლი და იმერეთი-ღა იყო ბაგრატის ხელში. ჯერ სრულის სიცხადით არა ჩანს, როგორ მოხდა ამ ორი უკანასკნელი ნაწილის განცალკევება და მხოლოდ მომავალში, როდესაც ახალი ცნობები აღმოჩნდება, ეს საკითხიც საბოლოოდ გამოირკვევა. უცილობელია მაინც, რომ სწორედ ამ ხანაში მომხდარა საქართველოს ისეთი დანაწილება, როდესაც მთლიანობის დარღვევამ რამდენიმე სამეფო და სამთავრო შეჰქმნა. მაშასადამე, თუ მთელს ზემომოთხრობილს საქმეთა მიმდინარეობას გავითვალისწინებთ, ცხადი იქმნება, რომ ვახუშტის დაკვირვება ნაწილობრივ მაინც სამართლიანია: **გიორგი მეფის დროს მართლაც სამცხე-საათაბაგო, სამეგრელო-აფხაზეთი და გურია ცალკე სამთავროებს წარმოადგენდნენ და დიდს საქართველოს ჩამოშორებული იყვნენ. ბაგრატ მეფის მიერ იმერ-ამერი საქართველოს ტახტის დაპყრობის შემდეგმ,** როგორც ეტყობა, თვით გიორგი მეფისავ ცდით **კახეთის სამეფოც დაარსდა და სრულიად საქართველოს გამოეყო.**

მაგრამ ყუარყუარე ათაბაგის 1459 წ. დასავლეთ ევროპაში გაგზავნილი ერთი ეპისტოლითგან ჩანს, რომ **განკერძოებისათვის ბრძოლა გაცილებით უფრო ადრე უნდა დაწყებულიყო.** ის სხვათაშორის ამბობს, ორმოცდაათი წელიწადია რაც ჩვენს ქვეყანაში ამგვარი ზავი და მშვიდობიანობა, როგორიც ჩამოვაგდეთ, არ გაგონილაო (იხ. ზევით). ეს უეჭველია იმის მომასწავლებელია, რომ საქართველოში, მაშასადემე, დაახლოვებით უკვე 1410 წ.-ითგან მოყოლებული დროგამოშვებით მეფე-მთავართა შორის ბრძოლა უნდა ყოფილიყო. გიორგი მეფეთა-მეფის დროს იმავე ყუარყუარეს სიყტვით ომებიც კი ჰქონიათ ერთიერმანეთში. ამგვარად ირკვევა, რომ საქართველოს დაყოფა სამეფოებად და სამთავროებად ხანგრძლივი პროცესისა და ბრძოლის შემდგომ მომხდარა, ამასთანავე ერთბაშად **კი არა, არამედ თანდათანობით. პირველად სამცხე-საათაბაგო ჩამოშორდა, შემდეგ სამეგრელო–აფხაზეთი და გურია, მერმე კახეთის სამეფოც დაარსდა.** მალე ქართლი და იმერეთიც ცალკე სამეფოებად გაიყვნენ. **მაგრამ** ეს მდგომარეობა საბოლოო არ ყოფილა: **ბრძოლა საქართველოს მთლიანობის აღსადგენად შემდეგშიაც არ შეწყვეტილა. ამიტომ საქართველოს პოლიტიკური სურათი ცვალებადი იყო** და ახალ შექმნილი ერთეულების სივრცე-საზღვრებიც მრავალჯერ შეცვლილა.

ბაგრატ მეფე

1. ბიოგრაფიული ცნობები ბაგრატ მეფის შესახებ

მისი გამეფების თარიღი

როგორც უკვე დავრწმუნდით, ყუარყუარე ათაბაგმა, რომ 1465-66წ. გიორგი მეფე ტყვედ წაიყვანა, ბაგრატ მეფე დასავლეთ საქართველოთგან ქართლში გადმოვიდა და დაიპყრო. ამიერთგან ის ლიხთამერისა და ლიხთიმერისა ორივე ტახტის მფლობელად და მეფეთა-მეფედ იქცა. ეს გარემოება არა ერთი საბუთით მტკიცდება, მათ შორის ერთს თვით ბაგრატ მეფის სიგელი ადასტურებს, სადაც ჩვეულებრივ თარიღს გარდა მისი მეფობის ინდიქტიონიც არის აღნიშნული. აი ამ საბუთის ოდნავ შემოკლებული ტექსტი:

ჩვენ ორისავე ტახტისა და სახელმწიფოსა ლიხთიმერისა და ლიხთამერისა ღ˜თივ გვირგვინოსანმან მეფეთ-მეფემან ბაგრატ და ძმამან ჩუენმან პატრონმან კოსტანტინე ნებითა მღ˜თისითა აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა მეფის, შანშა და შირვანშა და ყოვლისა აღმოსავლეთისა დასავლეთამდის თვითმფლობით ჴელმწიფედ მპყრობელისა, მოვიდეს წინაშე ჩვენსა ჩვენნი დიდად ერთგულნი და ჩვენისა მორჭუმისა და გადიდებისათვის

დღე და ღამე მომჭირნე-მოცადენი ჯავახისშვილნი ზაქარია, კახა და ზაზა და გვეაჯნეს და მოგვახსენეს რათამცა ერთგულობისა მათისა სამუქფოდ სიგელითა ამით შევიწყალე და ძუელნი სიგელნიცა უნახენით თამარ მეფისაგან და **სხვათა ჩვენთა გვართა და ჩამომავალთაგან** სამკვიდროდ მათთვის ბოძებული" და ჩვენც "მათივე მკვიდრი მამული მათითა ალალითა საქონლითა მათვე მივჰყიდენით"-ო და ეს სიგელი ვუბოძეთ დაწერილი "**ინდიკტიონსა მეფობისა ჩუენისასა მესამესა, ქ˜კს** რნვ (156=1468 წ.) ნოემბერსა კ (20) ჴელითა კარისა ჩვენისა მდივნისა თუმანგიშვილისა მურადისათა"[610].

თუ 1468 წ. 20 ნოემბერს ბაგრატის მეფობის მესამე ინდიქტიონი იყო, მაშასადამე, ის 1465-66 წ. გამეფებულა, ე. ი. სწორედ იმ წელს, როდესაც ყუარყუარემ გიორგი მეფეს უღალატა და დაატყვევა.

მართლაც ბაგრატი უკვე 1466 წ. "ქორონიკონსა რნდ" დაწერილს წყალობის წიგნში მცხეთის საკათალიკოსო საყდარს და მის საჭეთმპყრობელს დავითს დიღომში 2 კომლ გლეხს სწირავს მთელი მათი ქონებით[611]. მაშასადამე, 1466 წ.-ს ბაგრატი კიდეც ქართლში ბატონობს[612].

შემდეგ არსებობს კიდევ ერთი 1472 წ. სიგელი, რომელშიაც აღნიშნულია, რომ იგი დაწერილია ბაგრატის მეფობის 7 ინდიქტიონს[613]. მაშასადემე, ამ საბუთითაც მტკიცდება, რომ ბაგრატი 1465 წ. უნდა გამეფებულიყო. რასაკვირველია, აქ მისი ქართლშიაც გაბატონება და მეფეთა-მეფედ ქცევაა ნაგულისხმევი.

ბაგრატის გამეფების თარიღის გამოსარკვევად შეიძლება ერთს ლათინურად შენახულს ცნობასაც ჰქონდეს მნიშვნელობა. **ვადდინგოს** თავის Annales Minorum-ში ნათქვამია აქვს, რომ 1460 წ. დასავლეთ ევროპაში საქართველოთგან მისულ დესპანებს ოსმალთა საწინააღმდეგო მოქმედების მონაწილეთა შორის დაუსახელებიათ აგრეთვე Pancratius Iberorum qui nuns Georgiani vocantur "ბაგრატი იბერთა (მეფე), რომელნიც აწ გიორგიანებად (ე. ი. ქართველებად) იწოდებიანო"[614]. საიდგან აქვს ეს ცნობა ავტორს ამოღებული, არ ვიცი. ეს არის მხოლოდ გასაოცარი, რომ ამ სიაში მონაწილეთა შორის დასახელებული არ არიან ამ კავშირის ისეთი დიდმნიშვნელოვანი წევრები, როგორიც გიორგი მეფე და ყუარყუარე ათაბაგი იყვნენ, რომელთა 1459 წ. ეპისტოლეები რომის პაპისა და ბურგუნდიის მთავრისადმი შენახულია კიდეც. საყურადღებოა ამასთანავე, რომ არც გიორგი მეფესა და არც ყუარყუარე ათაბაგსაც კი ოსმალთა საწინააღმდეგო კავშირის მონაწილედ თავიანთ წერილებში ბაგრატ მეფე მოხსენებული არ ჰყავთ. საითგან და რა გზით შეეძლოთ ასე სწრაფად მიეღოთ ცნობა ქართველ დესპანებს იმ პოლიტიკური ცვლილებების შესახებ, რომლის მომასწავლებელი უნდა იყოს გიორგი მეფის მოუხსენებლობა და ბაგრატ მეფის მოხსენება, თუ რომ ვადდინგოს ცნობა ამ დროისათვის რაიმე შეცდომას არ შეიცავს?

---

[610] სქ˜ლს სძ˜ლენი II, 40.

[611] ქკ˜ბი II, 287-288 და **ს. კაკაბაძის** გენეალოგია ბაგრატ VI, გვ. 3.

[612] მაგრამ სწორედ ესევე საბუთი ერთს ეჭვსა ჰბადებს, ამ სიგელის ბოლოს ნათქვამია: "დიწერა სიგელი ესე ინდიქტიონსა მეფობისა ჩუენისა იბ (12) ქორონიკონსა რნდ"-ო (იქვე). ისე გამოდის, რომ 1466 წ. უკვე თორმეტი, თუ მეთორმეტე წელიწადი ყოფილა, რაც ბაგრატი მეფედ მჯდარა, მაშასადამე, ის თითქოს 1454-55 წ. უნდა გამეფებულიყო. ამას ჯერ კიდევ გამორკვევა ეჭირვება, დედანთან თუ გარდანაწერთან გვაქვს აქ საქმე და აქ ხომ გადამწერს რაიმე შეცდომა არ მოსვლია?

[613]იხ. **ს. კაკაბაძის** ბაგრატ VI, გვ. 6.

[614] იხ. **მ. თამარაშვილის** ისტ. კათ. 598.

დამოკიდებულება მეფე ბანგრატსა და კონსტანტინეს შორის

მეფე ბაგრატი და კონსტანტინე ბატონიშვილი ბაგრატის საბოლოო გამარჯვების შემდეგ, როგორც ეტყობა, შერიგებულან. უკვე ქართლში გადმოსვლის ორი წლის შემდგომ, 1468 წ., ბაგრატ მეფე კონსტანტინეს ძმად იხსენიებს და სიგელშიაც თავის გვერდით ჰყავს დასახელებული. ამ საბუთში ნათქვამია სახელდობრ: ”**ჩვენ ორისავე ტახტისა და სახელმწიფოსა და ლიხთიმერისა და ლიხთამერისა ღ˜თივ გვირგვინოსანმან მეფეთ-მეფემან ბაგრატ** და ძმამან ჩვენმან **პატრონმან კოსტანტინე,** ნებითა მღ˜თისითა აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა მეფის, შანშა და შირვანშა და ყოვლისა აღმოსავლეთისა დასავლეთამდის თვითმფლობით ჴელმწიფედ მპყრობელისა”, ჩვენთან ესა და ეს პირნი მოვიდნენ და წყალობა გვთხოვეს და ჩვენც ვუწყალობეთო[615]. ამ სიგელის დასაწყისი ისეა დაწერილი, რომ მისი შინაარსის გაგებისათვის ერთგვარი დაკვირვება და განმარტებაა საჭირო. ბაგრატის ვინაობა მკაფიოდ არის აღნიშნული: ის ”ღ˜თივ გვირგვინოსანი მეფეთ-მეფე”-ა, ”ორისავე ტახტისა და სახელმწიფოს” გამაერთებელი. კონსტანტინე ვინღაა? ამ საბუთის გამომცემელს **ე. თაყაიშვილს** ეგონა, რომ ”აქ მოხსენებული ბაგრატ მეფე არის ბაგრატ მეორე იმერეთისა, ხოლო კოსტანტინე არის მეფე კოსტანტინე მესამე ქართლისა. ბაგრატ მეორემ როგორც ვიცით დაიპყრო ქართლი, მაგრამ ეტყობა მეფის ხარისხი კოსტანტინესათვის არ ჩამროურთმევია და ქართლში გაცემული იმ დროის სიგელები ორთავე მეფეს იხსენიებენ”-ო[616].

ეს განმარტება თვით სიგელის შინაარსით არა მტკიცდება. კონსტანტინეს ბაგრატ მეფეთა-მეფე პატრნს უწოდებს მხოლოდ და არა მეფეს. რაკი ბაგრატს კონსტანტინეს მეფობა არ მოუხსენებია და პატრონის გარდა სხვა წოდებულება არ უხმარია, ეს გარემოება ცხადჰყოფს, რომ კონსტანტინე მეფე კი არ ყოფილა, არამედ მხოლოდ ბატონიშვილი. მართალია, სიტყვებს ”ძმამან ჩვენმან პატრონმან კოსტანტინე” სიგელში მოსდევს ”ნებითა მღ˜თისითა აფხაზთა, ქართველთა” და სხვა ისე, რომ შეიძლება მკითხველმა იფიქროს, ვითომც ეს მეფური წოდებულება კონსტანტინეს ეკუთვნოდეს. მაგ. მაგრამ ამგვარი აზრი მცდარი იქმნებოდა. უეჭველია, ეს ბაგრატ მეფის წოდებულებაა, თუმცა ბაგრატის სახელს კი არ მისდევს, არამედ კონსტანტინესას. ამგვარი მოვლენა ქართულ დიპლომატიკაში იშვიათი არ არის. ამას, მაგ., ალექსანდრე დიდის სიგელებიც ამტკიცებენ. აქაც ასე სწერია: ჩუენ მეფეთა-მეფისა ალექსანდრესაგან დავითიან–ბაგრატონიანისა და თანამეცხედრისა ჩუენისა პატრონისა დედოფალთა-დედოფლისა თამარისაგან და ძეთა ჩუენთა ვახტანგ, დიმიტრი და გიორგისაგან ნებითა ღ˜თისათა აბხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა მეფისა, შირვანშა და შანშა და ყოვლისა აღმოსავლეთით ვიდრე დასავლეთამდის თუითფლობით მქონებელ-მპყრობელისა”-ო[617]. აქაც როგორც ვხედავთ მეფის წოდებულება თვით მეფის სახელს კი არ მისდევს, არამედ მისი სახელობის წევრთა სახელების შემდეგ ბოლოშია მოქცეული. როგორც ამ შემთხვევაში შეუძლებელია მარტო იმიტომ, რომ მეფის წოდებულება გიორგი ბატონიშვილის სახელს მისდევს, ადამიანმა იფიქროს ვითომც უკვე თავის მამის, მეფე ალექსანდრეს, დროს 1433 და 1438 წ. გიორგი მეფე ყოფილიყოს, ამგვარადვე ჩვენ შეცდომა მოგვივიდოდა, თუ კონსტანტინეს მეფედ ჩავთლიდით. კონსტანტინე რომ მართლა ქართლის მეფე ყოფილიყო, მაშინ ეს გარემოება საბუთში უეჭველად აღნიწნული იქნებოდა

---

[615] სქ˜ლს სძვ˜ლნი II, 40.

[616] იქვე, 39.

[617] 1438 წ. მცხეთის სიგელი, **ს. კაკაბაძის** ისტორ. საბუთ. III. 18; იხ. აგრეთვე 1433 წლის სიგელი, იქვე, გვ. 15, 1438 წ. სიგ. გვ. 16 და სხვ.

და ეწერებოდა ”პატრონმან მეფემან კოსტანტინე”-ო. მაგრამ რა საფიქრებელი, რომ კონსტანტინე ამ დროს, 1468 წ., ქართლს მეფედ მჯდარიყო, როდესაც ბაგრატ მეფეს თავისი თავი თვით ამავე სიგელში **”ორისავე ტახტისა და სახელმწიფოსა ლიხთიმერისა და ლიხთამერისა”** გვირგვინოსნად, ე. ი. აღმოსავლეთ საქართველო და, მაშასადამე, ქართლის მეფედაც ჰყავს მოხსენებული?

ზემონათქვამის შემდგომ ცხადია, რომ თუმცა 1468 წ. კონსტანტინე ბატონიშვილი მეფობას არ ჰღირსებია და იმიერ-ამიერ საქართველოში მეფეთა-მეფედ ბაგრატი იჯდა. მაგრამ კონსტანტინე ამ დროისათვის ბაგრატს შეჰრიგებია და, რასაკვირველია, ამით მისი მეფობაც უცვნია.

ბაგრატ მეფის უცილობელი მფლობელობა

ბატონიშვილს ვახუშტს მოთხრობილი აქვს, რომ 1466 წ. ყუარყუარე ათაბაგის სიკვდილის შემდგომ მის შვილს ბაგრატის გაძლიერება საზარალოდ უცვნია და ისევ გიორგი მეფე გაუმეფებია საქართველოში. ბაგრატმა წინააღმდეგობის გაუწევლად დათმობა ირჩია და იმერეთს დაბრუნდა. ხოლო გიორგი მეფე სიკვდილამდე, ე. ი. 1469 წ. აღმოსავლეთ საქ˜ლოში ბატონობდა და მთელი ქვეყნის გაერთიანებას ამაოდ ცდილობდაო. 1469 წ. შემდგომ აღმოსავლეთ საქ˜ლოში ვითომც მისი ძე კონსტანტინე გამეფებცლიყოს. მაგრამ ვახუშტის ამ ცნობას არა ერთი და ორი იმდროინდელი საბუთი და მოწმობა ეწინააღმდეგება. ამ საბუთებითგანა ჩანს, რომ 1470 წ., მაგ., აღმოსავლეთ სქ˜ლში, ქართლში, მაინც გიორგი მეფე კი არა. არამედ ბაგრატი ბატონობს, რომელიც მეფეთა-მეფედ იწოდება თვით ქსნის ერისთავის ქვენითნეველის მიერ. მას ნათქვამი აქვს, რომ მას ლარგვისის მონასტერში თავისი საგვარეულო ”საძუალე” აუშენებია და შეუმკია. ”აღვაშენე და შევამკევ ქრონიკონსა მეათოთხმეტედ მოქცეულსა: რნწ (158): სრულ ვყავით მეფობასა ღ˜თივ გჳრგჳნოსნისა მეფეთ-მეფისა ბაგრატისსა”-ო[618]. მას ქუენიფნეველსვე ლარგვისის მიდამოებისათვის სამოსამართლო წიგნი გაუჩენია **”კითხულობითა და ბრძანებითა ღ˜თივ გჳრგჳნოსნისა მეფეთა-მეფისა ბაგრატისითა”[619].** ვენეტიკის რესპუბლიკის დესპანების იოსაფა ბარბაროს და ამბროზიო კონტარინის მოგზაურობის აღწერილობაც სრული უეჭველობით ცხადჰყოფს, რომ ბაგრატ მეფე 1471-1475 წ.-ში, როდესაც ისინი საქართველოში ყოფილან, წინანდებურად ქართლის მფლობელად და ორისავე ტახტის ლიხთამერისა და ლიხთიმერისა მპყრობელად ყოფილა. იოსაფა ბარბარო, მაგ., ამბობს, რომ საქართველოს მეფეს ბაგრატი ერქვა და ამ ქვეყნის დედაქალაქს თბილისი ეწოდებოდა[620]. ამბროზიო კონტარინიც ამოწმებს, რომ იმავე ბაგრატ მეფეს, რომელსაც ერთი სასახლე ქუთაისში ჰქონდა[621]. ქალაქი გორიც ეკუთვნოდა[622], სატახტო ქალაქად კი მეფე ბაგრატი საბრძნებელში კი თბილისი ითვლებოდა[623].

ზემომოყვანილ 1470 წ. საბუთისა და ვენეტიკელ დესპანების ცნობებითგანა ჩანს, რომ ბატონიშვილი ვახუშტის მოთხრობა, ვითომცდა გიორგი მეფეს 1466-67 წ. ქართლი დაებრუნებინოს და სიკვდილამდის მისი მფლობელი ყოფილიყოს და კიდევ საქართველოს

---

[618] სქ˜ლს სძ˜ვლენი III, 558.

[619] იქვე, 560.

[620] იხ. ქართული თარგმანი “მოამბე”-ში 1894 წ. № XI, გვ. 47 და 48.

[621] იხ. ქართული თარგმანი “მოამბე”-ში 1894 წ. № XI, გვ. 51.

[622] იქვე, გვ. 53.

[623] იქვე, გვ. 61.

გაერთიანებისათვის ცდილიყოს, მაინცდამაინც სრულ სინამდვილედ ვერ ჩაივლება. 1470 წლითგან მოყოლებული, რომ ბაგრატ მეფე მთელი ლიხთამერეთის თუ არა, ქართლის მფლობელიც იყო, ეს უეჭველია. მომავალში გამოირკვევა, მოხდა თუ არა იმგვარი პოლიტიკური ცვლილება 1466-1469 წლებში, რამაც სახელოვანს ქართველ ისტორიკოსს უფლება მისცა ეფიქრა, რომ გიორგი მეფემ ქართლი წინანდებურად დაიბრუნა. რაც უნდა იყოს ცხადია, რომ თუ რაიმე ამის მსგავსი მომხდარა, კონსტანტინეს ქართლში ბატონობის ამბავი სწორი არ არის და 1470 წლითგან მოყოლებული ამიერ საქართველოშიც ისევ ბაგრატი ჩანს მეფედ.

ცნობები ბაგრატ მეფის პიროვნების შესახებ

ამბროზიო კონტარინის სიტყვით ბაგრატ მეფე მაღალი ტანის კაცი ყოფილა, შავგვრემანი და თუმცა სახე ვითომც თათრული მოყვანილობისა ჰქონია, მაგრამ მაინც ლამაზი კაცი ყოფილა. ვენეტიკელს დესპანს ბაგრატი 1475 წ. წლოვანობით ორმოცი წლისა სჩვენებია[624]. თავისთავად ცხადია, რომ ეს ცნობა დაახლოებითია, მაგრამ სიმართლეს ძალიან დაშორებული არ უნდა იყოს. თუ 1475 წ. დაახლოებით ორმოცი წლისა ყოფილა, მაშინ ცხადია იგი 1435 ახლო ხანებში უნდა ყოფილიყო დაბადებული. გიორგი მეფისათვის რომ ლიხთ-იმერეთი წაურთმევია, ბაგრატი დაახლოებით 27 წლისა იქმნებოდა.

ვენეტიკელი დესპანი ამბრ. კონტარინი მეფე ბაგრატს ახირებულ და უცნაურ კაცად ახასიათებს. მის კითხვა-პასუხს, უცხოეთის ელჩის მიღება-დახვედრას და მოპყრობას[625] არც სიდინჯე ატყვია და არც წინანდელი ქართული თავაზიანობა, ზრდილობა და სიდარბაისლე-ღა ემჩნევა.

ბაგრატ მეფე რომ აღმოსავლეთ საქართველოში დამკვიდრებულა, ”მამულებისა” და მოხელეობის დამტკიცებას შესდგომია. ზევდგინიძე ამბობს, რომ ”სანამდისი იმავე ჩემგან ნაშოების მამულიდაღმა წიწამურიდაღმა ასი კოკა ღვინო არ მივეცით, მანამდის გიორგის მოურაობა არ გუიბოძა, ასრე არა გუაქუს რა ბაგრატ მეფისაგან”-ო[626]. მაშასადემე, თვით მეფესაც კი ქრთამი აუღია. ვენეტიკელი დესპანიც ამბროზიო კონტარინიც მოგვითხრობს, რომ ბაგრატი უცხო ელჩის ქონებასაც კი არ ინდობდა და მან თავის მწერლებს ამ იტალიელი დესპანის მთელი ბარგი ააწერინა თურმე ”და რაც კი მოეწონათ, ცალკე გადაალაგეს და ძალით მიმაცემინეს მეფისთვისა”-ო[627].

ამბროზიო კონსტარინის სიტყვით ბაგრატ მეფეს მისთვის, ვენეტიკის რესპუბლიკის დესპანისათვის, უნებლიეთი ძღვენის სახით სამოცდაათი ოქროს ფული წაურთმევია. შემდეგ მდევარიც დაუდევნებია და კიდევ 26 ოქრო ერთი და ამას გარდა 6 ოქრო მხლებლებისათვის წაურთმევინებია[628]. ბაგრატ მეფე იმდენად ხარბი ყოფილა, რომ წინაპართა მიერ საშივილიშვილოდ ნაწყალობევ მამულებს მემკვიდრეებს აღარ უმტკიცებდა, სანამ მამულებს არ შეისყიდდნენ. აი, მაგ., რას ამბობს თვით ბაგრატ მეფე თავის ერთს 1468 წ. სიგელში: ”მოვიდეს წინაშე ჩვენსა ჩვენნი **დიდად ერთგულნი და ჩვენისა მორჭუმისა და გადიდებისათვის დღე და ღამე მომჭირნე-მოცადენი** ჯავახისშვილნი ზაქარია, კახა და ზაზა

[624] იქვე, გვ. 56.
[625] იქვე, გვ. 52-54, 56.
[626] **ზევდგინიძის** საჩივარი, გვ. 24.
[627] მოამბე,1894 წ. IX, გვ. 53.
[628] იქვე, გვ. 54.

და **გვეაჯნეს** და მოგვახსენეს, **რათამცა ერთგულებისა მათისა სამუქფოდ სიგელითა ამით შევიწყალე და ძუელნი სიგელნიცა უნახენით თამარ მეფისაგან და სხვათა ჩვენთა ნათესავთა და ჩამომავალთაგან სამკვიდროდ მათთვის ბოძებული და ახლავე დიდი ფასი და საქონელი გამოიღეს და მათივე მკვიდრი მამული მათივე ალალითა საქონლითა მათვე მივჰყიდეთ** და დაუმტკიცეთ”-ო[629].

ზევდგინიძესაც ერთს თავის საჩივრის წიგნში აღნიშნული აქვს: “დიდი მალი შემოგუაგდო ბაგრატ მეფემან”-ო[630].

რასაკვირველია, როდესაც ასეთ საქმეს თვით მეფე კადრულობდა, მისი მოხელეები და ჩვეულებრივი წვრილფეხა ხალხი უფრო უარესსაც ჩაიდენდნენ[631].

2. საქართველოს საგარეო მდგომარეობა

დამოკიდებულება უზუნ-ჰასანთან და სპარსეთთან

რა დამოკიდეკბულება ჰქონდა საქართველოს მეფეს თავის სამხრეთით მცხოვრებ ხალხთან, სპარსელებთან და მის გამჭრიახ მბრძანებელ უზუნ-ჰასანთან?

იმგვარადვე როგორც ქართველებს 1459 წელს ევროპელ ქრისტიანთა ხვეწნა მოუხდათ თურქ-ოსმალების წინააღმდეგ შეერთებული ბრძოლის მოსაწყობად, თუმცა თავდაპირველად ამგვარი გეგმა სწორედ დასავლეთში იყო შეთხზული, ამნაირადვე ოსმალთა საწინააღმდეგო ლაშქრობის ჩაფუშვა აღმოსავლეთში სხვაზე მეტად უზუნ-ჰასანს სწყენია და მალე სახვეწარი გახდომია კიდეც. გასაკვირველიც არაფერია, რათგან სპარსეთის მბრძანებელს როგორც მოსაზღვრეს, ოსმალთა მეზობლობის საშიშროება უკვე კარგადა ჰქონდა გამოცდილი და მათი ძლიერებისა და დამპყრობელობითი მადის ზრდისაგან მოსალოდნელი საფრთხე საკმაოდ ჰქონდა გათვალისწინებული. ამიტომ ის სიხარულით ხვდებოდა ყოველი, გინდ ქრისტიანი სახელმწიფოს, მაგ., ვენეტიკელსა და საქართველოს დესპანებს, რომელნიც კი ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლაში მოკავშირეობასა სთხოვდნენ[632].

რაკი ოსმალთა ყოველივე წინსვლა აღმოსავლეთისაკენ სპარსეთის მფლობელობისათვის მეტად უსიამოვნო და დამაფიქრებელი გარემოება იყო, ამიტომ, როდესაც 1471 წ. ისინი ყარამანს დაეპატრონენ და ხელში ჩაიგდეს, უზუნ-ჰასანმა ამ ქვეყნის მასთან შემოხიზნული ამირა ახმედი პატივისცემით მიიღო და დახმარება აღუთქვა. ოცი წლის ბრძოლით გამობრძმედილს უზუნ-ჰასანს თავისი თავი საკმაოდ ძლიერად მიაჩნდა, რომ ოსმალებს შეჰბრძოლებოდა, რათგან, ამ დროს ის უკვე ქირმანის, ფარსის, ორთავე ერაყისა, ადერბაიჯანისა, სომხეთისა და შუამდინარის მფლობელი იყო. განსაკუთრებით მას თავისი თარაქამა ცხენოსანი ჯარის იმედი ჰქონდა და გამარჯვების ეჭვიც კი არ ებადებოდა. 1471 წ. უზუნ-ჰასანი დიდი ლაშქრით ოსმალეთს შეესია, რომ ახმედი და მისი ძმა ყაზიმ-ბეგი კვლავ ყარამანის ბატონად დაესვა. ოსმალთა ჯარი მართლაც დამარცხდა და იძულებული

[629] სქ˜ლს სძვ˜ლნი II, გვ. 40.
[630] **ზევდგინიძის** საჩივარი, გვ. 24.
[631] მოამბე, 1894 წ. IX, გვ. 52 და 57.

[632] პროფ. მჯლერის der lslam II, გვ. 338-339.

შეიქმნა უკან დაეხია. ამის წყალობით ყარამანის მომეტებული ნაწილი სპარსეთის მბრძანებელს ჩაუვარდა ხელში, რომელმაც ეს ქვეყანა მის წინანდელ ბატონს დაუბრუნა. ჯერ-ჯერობით გამოურკვეველი მიზეზის გამო უზუნ-ჰასანმა ამ საქმეს თავი მიანება და თავის ქვეყანაში დაბრუნდა ისე კი, რომ ახალ დაპყრობილ ქვეყანაში 10.000 ჯარისკაცის მეტი არ დაუტოვებია. ამით რა თქმა უნდა ოსმალებმა ისარგებლეს და უკვე 1472 წ. ეს უზუნ-ჰასანის მიერ დატოვებული ლაშქარი კერელუს (ნუ როგორც ეხლა ეწოდება ბეჟშერ-გიოლის) ტბასთან თავიანთ მთავარ ძალის დაუხმარებლივადაც დაამარცხეს. 1473 წ. გაზაფხულზე კი უკვე თვით სულტანი მუჰამედიც ბოსფორითგან გადმოვიდა ოსმალეთის მთავარი ლაშქრითურთ[633].ამ ამბის გაგების უმალ უზან–ჰასანიც, რასაკვირველი, ოსმალეთის წინააღმდეგ უნდა ამხედრებულიყო.

საფიქრებელია, რომ სწორედ **ამ დროს უნდა მიემართა განსაცდელში მყოფს სპარსეთის მბრძანებელს საქართველოს მეფისათვის ოსმალთა წინააღმდეგ დახმარების შესახებ,** რომელზედაც იტალიელ დესპანს **ჯიოვან მარია ანჯიოლელლოს** გაკვრით ნათქვამი აქვს თავის უზან-ჰასანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის აღწერილობის შემცველ თხზულებაში[634]. **ქართველებს სპარსეთის შაჰისთვის** მოშველებაზე უარი შეუთვლიათ[635].

თუ გავიხსენებთ, რომ იგივე ქართველები იყვნენ, რომ 1459 წ. უზუნ-ჰასანი ოსმალთა წინააღმდეგ და მათ საბოლოოდ გასანადგურებლად განზრახულ ლაშქრობაში მონაწილეობის მისაღებად და მოკავშირედ მოიწვიეს, ეს უარი ქართველთა მხრივ, როდესაც უკვე თვით უზუნ-ჰასანს გაუხდა საქმე სახვეწრად, შეიძლება ცოტა არ იყოს გვეუცხოვოს. რა მიზეზით და მოსაზრებით შეუთვალა საქართველოს მეფემ სპარსეთის მბრძანებელს უარი, დანამდვილებით არ ვიცით, მაგრამ შესაძლებელია ქართველ პოლიტიკოსებს შემდეგი თვალსაზრისით ეხელმძღვანელათ. მაშინ, როდესაც 1459 წ. ოსმალთა მოსასპობად განზრუხულ ლაშქრობაზე იყო მოლაპარაკება, ყველაფერი დასავლეთ ევროპისა და ქართველთა და მათ მოკავშირე ქრისტიანების თაოსნობით უნდა მომხდარიყო. ამიტომ ქართველებს იმედი ექნებოდათ, რომ გამარჯვება მათ პოლიტიკურადაც გაამაგრებდა და ქონებრივ-ტერიტორიულადაც დიდს სარგებლობას მოუტანდა. ისინი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მაშინ სპარსთა თეთრ-თუ შავ–ბატკანიანი ტომების მეთაურთა თავდასხმისაგან და წაგლეჯისაგან თავს დაახწევდნენ და წართმეულ მიწებსაც უკან დაიბრუნებდნენ. ეხლა კი რის იმედით-ღა უნდა ყოფილიყვნენ? სპარსეთი რომელიც დღითი-დღე ძლიერდებოდა და თავსი საზღვრებს აფართოებდა, მეორე ერთმორწმუნე სახელმწიფოს, ოსმალეთს ებრძოდა. ასეთს პირობებში გამარჯვებული და გაძლიერებული სპარსეთი საქართველოს სამეფოსათვის უფრო საშიში უნდა ყოფილიყო, ვიდრე ოსმალეთი, მით უმეტეს, რომ სპარსეთს, როგორც ეს ვენეტიკელი დესპანის **ამბროზიო კონტარინის** სიტყვებითგანა ჩანს, საქართველოს სამხრეთის კარი და მისი ძლიერი ციხე ლორე ხელში სჭერია და ლორისციხეში უზუნ-ჰასანს თავისი მეციხოვნე ჯარი ჰყენებია. 1474 წ. კონტარინის ისინი იქ თავისი თვალით უნახავს. მისი სიტყვით საქართველოს ველი ანუ ე. წ. სომხითის მინდორი უკვე უზუნ-ჰასანის საბრძანებლად ითვლებოდა[636]. საქართველოს თავდაცვისათვის ამ კუთხეს ისეთი

---

[633] იქვე, II, გვ., 340-341

[634] Breve narratione della vita et fatti dei signore Ussuncassano.იხ. Ramusio Navigationi et viaggi II. გვ. 70.

[635] იქვე.

[636] Il viaggio del magnifico M Ambrosio Contarini, ambasciadore della illustrissima signoria Di Venetia al gran Signore Uassan, Cassan Re di Persia, ქ˜ლი თარგმანი "მოამბეში" 1894 წ. №XI, გვ. 54-55.

მნიშვნელობა აქვს და მისი მფლობელობა მოწინააღმდეგეს ისეთს უპირატესობას ანიჭებს, რომ საქართველოს მხოლოდ მოსისხლე მტერს შეუძლია მოიწადინოს მისი ხელში ჩაგდება. ამიტომ და ასეთს პირობებში გასაკვირველიც არაფერია, რომ საქართველოს მთავრობას განსაცდელის მოლოდინში მყოფს უზუნ-ჰასანისათვის ოსმალთა წინააღმდეგ დახმარებაზე უარი შეუთვალა.

როდესაც უზუნ-ჰასანისა და მუჰამედის ლაშქრები პირველად ერთიმეორეს ეკვეთნენ და ომი სპარსეთსა და ოსმალეთს შორის ისევ განახლდა, პირველად ბედმა უზუნ–ჰასანს გაუღიმა. მაგრამ როდესაც აზრუმსა და ერზინჯანს შუა მდებარე თერჯანის მახლობლად სპარს-ოსმალთა გადამწყვეტი ბრძოლა მოხდა, უზუნ-ჰასანის ლაშქარი მისმა თავგანწირულმა პირადმა გულადობამაც ვერ იხსნა ოსმალეთის ძლიერი არტილერიის საზარელი განადგურებისაგან. უზუნ-ჰასანი საშინლად დამარცხდა და იძულებული იყო მცირე აზიაში ძლევამოსილებით წინმსვლელი ოსმალეთის წინაშე თუმც ბრაზმორეულს, მაგრამ მაინც უკან დაეხია. ამ დროითგან მოყოლებული სპარსეთის მბრძანებელი მხოლოდ შურისძიებაზე ოცნებობდა, როგორც თვით ოსმალეთის წინააღმდეგ[637], ისევე ყველა იმ მეზობლების დასასჯელადაც, რომელთაც მას ასეთ გაჭირვების ჟამს ხელი არ გაუმართეს და ოსმალთა წინააღმდეგ არ მიეშველნენ.

3. საქართველოს შინაური პოლიტიკური ვითარება

საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა 1470-1475 წლებში ვენეტიკელი დესპანის აღწერილობისდა თანახმად ასე გვეხატება.

საბედიანო

საქართველოს დასავლეთის ნაწილს სამეგრელოს მთავრის სამფლობელო შეადგენდა. მთავარს ბედიანი (Bendian) ეწოდებოდა. ბედიანის სამთავროს **დასავლეთით შავი ზღვა საზღვრავდა, სამხრეთით ბათუმი და ჩრდილოეთით სებასტოპოლი მასვე ეკუთვნოდა[638].** კონტარინის სიტყვით **ბათუმის მახლობლად, სამხრეთით უკვე ოსმალეთის სახელმწიფო საზღვარი იწყებოდა და** საქართველოს ეს სამხრეთ-დასავლეთის ნაწილი უკვე ოსმალეთის მოხარკე ყოფილა[639]. ბათუმი მაშინ პატარა ციხე-ქალაქი ყოფილა[640]. ჩამოთვლილ ქალაქებს გარდა ბედიანს შავი ზღვის პირად ერთი პატარა ქალაქი (Caltichea) ჰქონია, რომელიც ერთგვარ სავაჭრო ცენტრად ყოფილა. იქ თურმე აბრეშუმს , მომსხო ტილოს და თაფლს ჰყიდდნენ[641]. სამეგრელოს მთავარ ბედიანსვე ეკუთვნოდა, რასაკვირველია, ფოთიც, რომელიც მაშინ თურმე ზღვის პირამდის აღარ აღწევდა,, არამედ ცოტა მოშორებით იყო რიონის პირად. ზღვითგან ნავებით აღმა ადიოდნენ და ნავთსადგურის მახლობლად მდებარე კუნძულს რომ გასცილდებოდნენ, აქეთგან ოდნავ აღმოსავლეთით თვით გარშემო ტყით მოცული ქალაქი

---

[637] Prof. A. Müiier, Der Islam II, გვ. 341.

[638] იოს. ბარბარო, მოამბე, 1894 წ. XI, გვ. 45 და ამბროზიო კონტარინი, იქვე, გვ. 49.

[639] იქვე, გვ. 58.

[640] ამბ. **კონტარინი,** გვ. 49.

[641] იქვე, გვ. 49

მდებარეობდა. ამ ადგილას რიონი იმდენედ განიერი იყო, რომ სიგანით "ორი შვილდის სროლის" ოდენა ყოფილა[642].

იოსაფა ბარბაროს სიტყვით სამეგრელოს მოსაზღვრედ ვითომც კაიტაქნი (Caitachi) იყვნენ, ის კაიტაქნი, რომელნიც კასპიის მთის მახლობლად ცხოვრობენო[643]. ქართველ მთარგმნელს აღნიშნული აქვს, რომ ყაიტაღები დაღესტანში ცხოვრობენ, სადაც ყაითაღ-თაბასარანის ოლქიც კი არსებობს, მაგრამ იქვე ნათქვამია, რომ სამეგრელო არ ემხრობა ყაიტაღებსო[644]. ბარბაროს არც აქვს მოხსენებული, რომ კაიტაქნი კასპიის მთებში ცხოვრობენ. ის ამბობს მხოლოდ ამ მთების **მახლობლად** ბინადრობენო. ამ შემთხვევაში ორი შესაძლებლობაა: სახელი შეიძლება ან სწორად იყოს შენახული და ბარბაროს მართლაც ყაიტაღები ჰყავდა თავის აღწერილობაში მოხსენებული ან შესაძლებელია მერმინდელ გადამწერთაგან ან გამომცემლისაგან იყოს დამახინჯებული. პირველ შემთხვევაში ჩვენ არ უნდა გვავიწყდებოდეს, რომ თუ XVIII - XIX საუკუნეებში ყაიტაღების სახელი მხოლოდ დაღესტანშია შენახული, ამის გამო უფლება არა გვაქვს ვიფიქროთ, ვითომც ისინი მუდამ დაღესტანში იყვნენ დასახლებულნი. ადვილი შესაძლებელია, რომ XV ს-ში, როდესაც იოს.ბარბარო საქართველოში იყო, მათ იმიერკავკასიაში, ეხლანდელზე გაცილებით უფრო დასავლეთით ჰქონოდათ მოსახლეობა სწორედ იქ, სადაც ვენეტიკელ ელჩსა აქვს აღნიშნული. ხოლო, თუ თუ სახელი დამახინჯებულია, იქმნება იტალიელს ავტორს ყარაჩაელნი ეწერა.

ბარბაროს სიტყვებითგან თითქოს ისე გამოდის, რომ **სამეგრელოს მთავრის სამფლობელო კავკასიონის ქედამდის აღწევდა.** ის ამტკიცებს, რომ ჩრდილოეთით საბედიანოს ჩერქეზეთის მთაგრეხილი საზღვრავდა[645]. ხოლო თუ გავიხსენებთ, რომ ბედიანი დასავლეთ ევროპაში გაგზავნილ დესპანს იქაური ქრისტიან მეფე-მთავრებისა და პაპისთვის გაუცვნიათ როგორც სამეგრელოსა და **და აფხაზეთის მეფე** (Mengreliae et Abasiae rex), მაშინ ჩვენთვის ცხადი გახდება, რომ **ბედიანის სამთავროს საზღვრებში აფხაზეთიც შედიოდა.**

"მცნება სასჯულო" საშუალებას გვაძლევს იმდროინდელ საბედიანოს სამთავროს დასავლეთისა და სამხრეთის საზღვრების ზოგიერთი ადგილები უფრო მეტი ზედმიწევნილობით გამოვარკვიოთ. თუმცა იქ აფხაზეთის კათალიკოსის სამწყსოზეა ლაპარაკი, მაგრამ საფიქრებელია, რომ საკათალიკოსოს საზღვრები მეტ წილად პოლიტიკური ერთეულების საზღვრებს მისდევდა. ხოლო აფხაზეთის კათალიკოსის სამწყსოს შეადგენდა ქვეყანა "ლიხთ ამერისა[646], ოდიშისა გურიისა და აფხაზეთისაო"[647]. ამავე ძეგლითგან ჩანს, რომ ბედიანი დიდი ერისთავთერისთავი **შამადავლე "დადიან-გურიელი"** ყოფილა[648]. მაშასადამე, **სამეგრელოს გარდა მას გურიაც სჭერია.** სწორედ ამიტომაც არის, აფხაზეთის კათალიკოსის სამწყსოს საზღვარი აღნიშნულია "**ჭოროხსა** აქათ, **ოსეთსა** აქათ, ზღუაჲ **პონტოსა** აქათ, **სადა დიდისა ბიჭუინტისა საზღვარი მიაწევს"[649].** საბედიანო სამთავროს საზღვარიც დაახლოებით ალბათ ეს უნდა ყოფილიყო.

აღმოსავლეთით სამეგრელოს მთავრის ბედიანის სამფლობელოს **საქართველოს მეფის ბაგრატის საბრძანებელი საზღვრავდა[650].** ამბროზიო კონტარინის სიტყვით ბედიანის სამთავრო

---

[642] იქვე.
[643] იქვე, გვ. 45.
[644] იქვე, შენ. 2.
[645] იქვე, გვ. 45.
[646] ძეგლი დასავლეთ საქარველოშია დაწერილი და ამტომ აქ დასავლეთ საქართველო იგულისხმება.
[647] მეც. სასჯ. **ს. კაკაბაძე, 4,** ქ˜კბი, II, 294.
[648] იქვე.
[649] იქვე, 5 და ქ˜კბი, II, 294.
[650] იოს. **ბარბარო,** 47 და ამბ. **კონტარინი,** 51.

იმდენად პატარა ყოფილა, რომ საზღვრითგან საზღვრამდის სულ სამი დღის სავალი იყო. თურმე[651]. **საზღვრად სამეგრელოს მთავრისა და ბაგრატის სამეფოს შორის** ერთი მდინარე ყოფილა, რომელიც ქუთაისის დასავლეთით მდებარეობდა, ამ მოსაზღვრე მდინარითგან ქუთაისამდის ერთი დღის სავალი ყოფილა[652]. ცხადია, რომ ვენეტიკის დესპანის მიერ მოხსენებული **მდინარე ცხენის წყალი უნდა ყოფილიყო.**

ამბროზიო კონტარინისა და იოს. ბარბაროს აღწერილობითგან ჩანს, რომ **ბედიანის სამთავრო ამ დროს ცალკე პოლიტიკურ ერთეულს შეადგენდა,** რომელსაც თავისი საზღვრები და მართვა-გამგეობა ჰქონდა და საკუთარი ჯარი ჰყავდა. მაინც **საქართველოს მეფეს უზენაესი უფლება ამ სამთავროზეც შენარჩუნებული ჰქონია** და განსაკუთრებულ შემთხვევაში ის ამ სამთავროს საქმეებშიც ერეოდა.ხოლმე. 1475 წ. ივლისში ბედიანის სიკვდილის შემდგომ არეულობა მომხდარა სამეგრელოში და ბაგრატ მეფეს წესიერების დასამყარებლად იქ თავისი ერთ-ერთი ჯარის უფროსი გაუგზავნია ცხენოსან და ქვეითა რაზმითურთ[653]. საყურადღებო გარემოებაა, რომ სამეგრელოსა და აფხაზეთის მთავარს ბედიანს საერთაშორისო დამოკიდებულებაში თავისი საკუთარი წარმომადგენლობა არა ჰყოლია და, დასავლეთს ევროპაში რომ საქართველოთგან დესპანები გაიგზავნენ თურქების განსადევნად შეერთებულ სამხედრო მოქმედების მოსაწყობად, ბედიანს მესხეთის ათაბაგსავით ცალკე თავისი განსაკუთრებული ელჩი არ გაუგზავნია.

ამბროზიო კონტარინი ამბობს, ვითომც სამეგრელოს მთავარს, რომელიც 1474 წ. ბედიანად ყოფილა, გორბოლა (Gorbola) რქმეოდეს[654]. ვენეტიკელ დესპანს ეს ბედიანი 5 ივლისს 1474 წ. პირადად უნახავს[655], ხოლო 1475 წ. ივლისში ის უკვე მკვდარი ყოფილა[656]. ზემოაღნიშნული ბედიანი იტალიელი დესპანის სიტყვით გარეგნულ შეხედულობით 1474 წ. ორმოცდაათი წლის კაცად მოჩანდა და საკმაოდ შნოიანი ყოფილა[657]. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით 1470 წ. მომკვდარა დადიანი **ლიპარიტ** და მის მაგიერ დამჯდარა მისივე შვილი **შამადავლა[658], რომელიც 1474 წ.** გარდაცვლილა[659]. ეს შამადავლა (ვახუშტს შამანდავლედ უწერია) იხსენიება "მცნება სასჯულო"-ში[660] და ბიჭვინტის საკათალიკოსო საბუთში № 92[661], სადაც ეს სახელი "შამანდავლა"-დ არის დაწერილი. ორსავე ზემომოხსენებულ ძეგლში იგი დადიან-გურიელად იწოდება, რაც ცხადჰყოფს, რომ შამადავლას სამეგრელოს სამთავროს გარდა მართლაც გურიაც სჭერია. "მცნება სასჯულო" ამის გარდა "დიდი **ერისთავთ-ერისთავის**" სახელით იხსენიებს მას[662].

ზემოაღნიშნულითგან ჩანს, რომ ბედიანი დაახლოებით 1474 წ.–**ივლ**. 1475 წ. **უნდა გარდაცვლილიყო.** ბატონიშვილი ვახუშტის ცნობითაც შამადავლა 1474 წ. მომკვდარა, რაც იტალიელი დესპანის ცნობას კარგად უდგება. ამიტომ საფიქრებელია, რომ ამბ. კონტარინის თხზულებაში ბედიანის სახელად მოყვანილი "Gorbola" "გორბოლა" (Samadola-ისგან წარმომდგარი) დამახინჯებული" "შამადავლა" იყოს.

---

[651] **კონტარინი,** გვ. 50.
[652] იქვე, 51.
[653] იქვე, 56.
[654] **კონტარინი,** გვ. 49.
[655] იქვე, გვ. 50-51.
[656] იქვე, გვ. 56.
[657] იქვე, 51.
[658] **ვახუშტი,** ისტ. **ჭიჭინაძე,** გვ. 365.
[659] იქვე.
[660] ს. კაკაბაძე, 4 ქ˜კბი, II, 294.
[661] **ს. კაკაბაძე,** დასავლ. საქ. საბ. I, გვ. 2.
[662] **ს. კაკაბაძე,** 4 და ქ˜კბი, II, 294.

იტალიელ დესპანთა სიტყვითაცა და ქართული სიგელებითგანაც ჩანს, რომ საბედიანოში, განსაკუთრებით აფხაზეთ-სამეგრელოში **ხალხი კულტურულად დაქვეითებული ყოფილა, სასოფლო მეურნეობაცა და მრეწველობა-აღებმიცემობაც** იმდენად **დაცემულა,** რომ **ხალხი გაღარიბებული და გონებრივად ჩამორჩენილი ყოფილა,** ცოდნაც ჰკლებია. ხოლო მუშაობის უნარი და შრომის ნაყოფიერება იმდენად მოდუნებული ჰქონია, **რომ ამ ბუნებით უხვად დაჯილდოებულსა და კურთხეულს კუთხეში მკვიდრთ არამც თუ უცხოეთში ცოტა რამის გატანა შეეძლოთ, თავიანთ თავის გამოკვება და რჩენაც-კი უძნელდებოდათ თურმე**[663].

საათაბაგო

ბაგრატ მეფის საბრძანებლისაგან გამოყოფილი იყო და დამოკიდებულ პოლიტიკურ ერთეულს შეადგენდა ყუარყუარე (Gorgora) **ათაბაგის სამფლობელო** მესხეთი. კონტარინი მას **ახალციხის მთავარს ეძახის**[664]. ალბათ ასე იწოდებოდა ის ჩვეულებრივ საუბარში, რათგან ახალციხე ათაბაგის საჯდომი ქალაქი იყო. თურქების მიერ ათაბაგებისათვის შემდეგში შემოღებული ახალციხის ფაშის სახელიც აქეთგან უნდა იყოს წარმომდგარი.

ათაბაგებს ისეთი ძალა და გავლენა ჰქონდათ, რომ **ყველა მეზობლები მათ ანგარიშს უწევდნენ.** ამ ძლიერებისდა მიუხედავად **ჯაყელნი თავიანთ თავს ათაბაგებს უწოდებდნენ.** მხოლოდ ერთი საბუთია შენახული, სადაც ერთ მათგანს მეფისა და ხელმწიფის წოდებულება აქვს მიკუთვნილი.”**დიდისა მეფისა ჩუენისა და ყოვლისა აღმოსავლეთისა ჴელმწიფისა პატრონისა მზეჭაბუკისაგან”** ძლეულ იქმენ ყველა მტრებიო[665], ნათქვამია იქა და ეს ნაწყვეტიც საკმაოდ გვიჩვენებს მათ მაშინდნლს წადილსა და გავლენიანობას. მაგრამ ჩვეულებრივ ჯაყელნი, რომელთაც მესხეთის უზენაესი ხელისუფლება ეპყრათ, წინანდებურად ცნობილნი იყვნენ ”**საქართველოს ათაბაგად და სამცხისა სპასალარად”.**

მოკლე ბიოგრაფიული ცნობები ათაბაგის სახლობის წევრთა შესახებ

”დიდი და სახელგანთქმული **საქართველოს ათაბაგი, სამცხისა სპასალარი** ჯაყელ-ციხისჯუარელი და დიდად წარჩინებული პატრონი **ყუაყუარე** ნებიერად და ღ˜თის მსახურებით ცხოვრობდა და დღეკეთილობით აღასრულნა ყოველნი დღენი მისნი და **სიბერითა კეთილითა** უფლისა მიერ მიიცვალა ქ˜ნსა: რპზ” ანუ 1498 წელსო, ნათქვამია ათონის მონასტრის აღაპებში[666]. იგივე წელიწადი აქვს იკორთის ჟამნგულანის და კიდევ ხუთს სხვა კინკლოსსაც[667]. ქ˜ცის შევსებულ-გადაკეთებული გაგრძელება თარიღად ქ˜კს რპზ (188) ანუ 1500 წ. სდებს და თანაც დაძენილი აქვს, რომ ათაბაგი ”მიიცვალა წლისა პბ (82) ივნისსა ა”[668].

---

[663] იხ. ჩემი საქართ. ეკონომ ისტორია II.
[664] ამბ. **კონტარინი,** გვ. 58.
[665] 1500-16 წ. საბუთი:II, 317.
[666] იხ. ათონის კრებ. გვ. 265-266.
[667] იხ. **კაკაბაძე,** გამ. 5 და ქ˜კბი II, 312.
[668] დამატ., 904.

ქ˜ცის მეორე გაგრძელებაში გარდაცვალების ქრონიკონად ”რჟე” (195) ანუ 1507 წ. არის აღნიშნული და მიცვალების წლოვანებაც მომატებულია: ”მიიცვალა წლისა ჟბ (92) **ივნისსა”**[669].

ამ ქრონოლოგიურ ცნობათა შორის უპირატესობა ათონის აღაპებს უნდა მიენიჭოს. რათგან ის თანამედროვისა და ათაბაგის ოჯახში აღზრდილის ამბროსისმიერ არის მიწოდებული და დაწერილი[670]. და თანაც ვითარცა მაშინდელი საისტორიო ამბების ყველა სხვა ცნობებზე უფრო შესაბამს. ქ˜ცის ორსავე გაგრძელებაში უეჭველია გადამწერის შეცდომა უნდა იყოს და მათს დედანშიაც, საითგანაც ეს თარიღი ამოღებული იქნება, ”რპე” ეწერებოდა. ცხადია მაინც, რომ მათ ყველა სხვა შენახულ კინკლოსებზე უკეთესი და განსხვავებული წყარო უნდა ჰქონოდათ, რათგან მხოლოდ იქ არის ყუარყუარე ათაბაგის წლოვანება და გარდაცვალების თვე და რიცხვი ზედმიწევნილობით აღნიშნული. თვით თანამედროვის მიერ აღწერილს ათონის მონასტრის აღაპშიაც კი ამ მხრივ ცნობა სრული არ არის და გარდაცვალების თვე და რიცხვი ხომ სრულებით დასახელებული არ არის. წლოვანებაც მხოლოდ ზოგადი სიტყვებითაა დახასიათებული: ”სიბერითა კეთილითა მიიცვალა”-ო. სამწუხაროდ

ქ˜ცის შევსებულ-გადაკეთებულ ორსავე გაგრძელებაში ყუარყუარეს წლოვანების შესახებ თანხმობა არ სუფევს: პირველს გაგრძელებაში გარდაცვლილი ათაბაგი 82 წლის მოხუცად იხსეიება, მეორეში კი 92 წლისად. დანამდვილებით იმის თქმა, თუ რომელი ამ ორ ცნობითგანია ჭეშმარიტი, ძნელია მხოლოდ რაკი 92 წ. ღრმა მოხუცებულებას წარმოადგენს, ამბროსის მოწმობით კი ათაბაგი ყუარყუარე ”სიბერითა კეთილითა” აღესრულა, ამიტომ საფიქრებელია თითქოს ქ˜ცის პირველი გაგრძელების ცნობა, 82 წ., უფრო სწორი უნდა იყოს.

თუ გარდაცვალების ჟამს **ყუარყუარე** მართლაც 82 წლისა იყო, მაშინ ის 1416 წ. **უნდა დაბადებულიყო,** ხოლო თუ 92 წ.–1406 წ. უნდა მივიჩნიოთ დაბალებულად.

ქართველთა ათაბაგისა და სამცხის სპასალარის ჯაყელ-ციხისჯვარელის **ყუარყუარეს ”მეუღლისა პატრონსა დედისიმიდსა” ეძახდნენ**[671]**.** დედისიმედის გარდაცვალების თარიღიც არის შენახული ქ˜ცის შევსებულ გადაკეთებულს ორსავე გაგრძელებაში თითქმის ერთნაირად არის ნათქვამი: ”ქ˜კსროთ (179) მიიცვალა მეუღლე ყუარყუარე ათაბაგისა ბატონი დედისიმედი წლისა ნდ (54): სეკდემბერსა: იწ:”[672]. მეორე გაგრძელებაში თვე და რიცხვი განსხვავდება: ”დეკემბერს იე (15)”-საო[673]. ბატონიშვილს ვახუშტსაც ამგვარივე თარიღი აქვს: ”მოკუდა დედისიმედი ქ˜ს ჩუჟა (1491წ.) ქრ. როთ დეკემბერს იწ”[674]. მაშასადამე, 54 წლის **დედისიმედი** 1491წ. ან 18 **სექტემბერს ან 15 დეკემბერს გარდაცვლილა.**

ყუარყუარე ათაბაგისა და დედისიმედის უფროსს შვილს ქაიხოსრო ერქვა. მამის შემდგომ ის ათაბაგობდა. გარდაცვალების ჟამს ქაიხოსრო ჯერ კიდევ შუახნის კაცი ყოფილა. ბატონიშვილს ვახუშტს ნათქვამი აქვს: ”მოკუდა ქაიხოსრო ათაბაგი **წლისაგან** (53) მაისს ვქს ჩფბ (1502) ქრ. რჟ.”[675], მაგრამ ამ ცნობას სხვა წყაროები არღვევენ, სადაც თარიღად 1500 წელია დადებული[676]. თუ ქაიხოსრო 1500 წ-ს 53 წლისა ყოფილა, მაშასადამე, ის 1447 წ-ს დაბადებულა.

რაკი ყუარყუარესა და დედისიმედის პირმშო შვილი, როგორც დავრწმუნდით, 1447წ. დაბადებულა, ამ დროს მისი მშობელი დედისიმედი, 1437 დაბადებული, ცხადია, 10 წლისა იქმნებოდა. მაშასადამე, ისე გამოდის, რომ დედისიმედი 9 წლისა უნდა გათხოვილიყო და

---

[669] პარიზ., ქ˜კა, გვ. 6.
[670] ათონ. კრებული, 266.
[671] ათონის აღაპები, იხ. ათონ. კრებული, 268.
[672] დამატ., 904.
[673] პარიზ., ქ˜კა, 6.
[674] **ვახუშტი,** ისტ. **ჭიჭინაძე,** 239.
[675] იქვე, 241.
[676] ქ˜კბი II, 313.

ქორწინების პირველსავე წელს შვილი ჰყოლოდა, რაც ამ ხანში იშვიათ მოვლენად ითვლება. ქალის სქესობრითვი სიმწიფე თუმცა 11 წილითგან, ხოლო იშვიათად 10 წ-ზე უწინარესაც იწყება ხოლმე, მაგრამ 15 წლამდე ჩვეულებრივ შვილოსნობა იშვიათ მოვლენად არის ცნობილი[677].

ყუარყუარე-დედისიმედს საკმაოდ მრავალრიცხოვანი **სახლობა ჰყოლიათ და "მათსა ძესა პირმშოსა" ქაიხოსრო** ერქვა, **მეორეს მზეჭაბუკი, მესამეს ბაჰადური და სულ უმცროსს იანქო[678].**

ყუარყუარეს შვილითგან **ბაჰადური** გარდაცვლილა და "**წარვიდა გზასა მას საუკუნესა"** ჯერ კიდევ იმ ხანაში, როდესაც ის "ჭაბუკი" იყო "**ჰასაკითა ოცისა გინა თუ კა (21)-ისა წლისა"[679].** რაკი ქართველი მონაზონის აკაკის სიტყვით[680] ამ გარდაცვალებულის "საჴსენებელის" დასაწესებლად "დიდებულთა **მშობელთა და ძმათა"** უხვი შეწირულება დაარიგეს საქართველოშიცა და უცხოეთშიც[681], ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ ბაჰადურის სიკვდილის დროს ათაბაგი ყუარყუარე და მისი მეუღლე დედისიმედი ცოცხალი ყოფილან: მაშასადამე, არამც თუ 1498 წ. უწინარეს, არამედ 1491 წ. ადრეც უნდა ვიგულისხმოთ მკვდარად. ბაჰადური 10 ოქტომბერს გარდაცვლილა და სწორედ ამ "დღესა მიცვალებისა ოკდონბერსა ათსა" იყო დაწესებული მისი მოსახსენებელი აღაპი ათონის ქართველთა მონასტერში[682].

ბაჰადურის სიკვდილის თარიღი ქ˜ცის შევსებულ-გადაკეთებულ ორსავე გაგრძელებასა და ვახუშტსაცა აქვთ. პირველს გარძელებაში ნათქვამია: "ქ˜კსა რ̈ბ (163): ათაბაგი ბაჰადურ გარდაიცვალა წლისა: კა: ოკტომბერსა: ი: დასაბამითგან ქ˜კსა ექვსი ათსა ცხრაას ოთხმოც და ორსა"-ო[683]. დასაბამითგანი წელი ამტკიცებს, რომ ცნობა თავდაპირველ მინაწერითგან უნდა მომდინარეობდეს. ქორონიკონი 1475 წელს უდრის, დასაბამითგანი წელიწადი კი, თუ ბერძნული წელთაღრიცხვით ვიხელმძღვანელებთ, რომელიც უეჭველია ამ შემთხვევაში ნაგულისხმევი უნდა იყოს 1474 წ. გამოდის.

ბატონიშვილს ვახუშტს იგივე თარიღი აქვს დასახელებული: მოკვდა "ბაადურ ათაბაგი წლისა კა, ქ˜ს ჩუოე (1475 წ.), ქრ რ̈ბ"[684], ქ˜ცის მეორე გაგრძელებაში სწერია: "ქ˜კსა რ̈ბ (166=1478 წ.) ათაბაგი ბაადურ გარდაიცვალა წლისა კა (21) ოკდომბერს ი, დასაბამითგან ქ˜კსა ექვსიათას ცხრაას ჟბ (92)"[685]. დასაბამიდგანს თარიღში ცხადი შეცდომაა და "პ"-ის მაგიერ გადამწერს "ჟ" დაუსვამს. ქ˜კ-შიც ალბათ "ვ"-ი "გ"-ის მაგიერ ზის შეცდომით. მაშასადამე, **ყველა წყაროები თანხმობრივ ბაჰადურის სიკვდილის თარიღად** 1475 წ. 10 **ოქტომბერსა სდებენ.**

რაკი **ბაჰადური** 1475 წ-ს ოცდაერთი წლისა ყოფილა, ცხადია ის 1454 წ. დაბადებულა.

ბაგრატ მეფის საბრძანებელი

---

677 Prof. Strassman, Gesundheitspflege des Weibes, 1913 წ. გვ. 33 და 28.

678 ათონის აღაპ., ათონ. კრებ., 268.

679 ათონის აღაპ., ათონ. კრებ., 268.

680 იქვე, 269.

681 იქვე, 268.

682 იქვე, 269.

683 დამატ., 893.

684 **ვახუშტი**, ისტ. **ჭიჭინაძე**, 237, ჩუბ., 155.

685 პარიზ. ქ˜კა, **ჭიჭინაძე, 6**

ბაგრატ მეფის საბრძანებელს იტალიელი დესპანი საქართველოს (Zorzania) უწოდებენ. **დასავლეთით ბაგრატის სამეფოს ბედიანის სამთავრო საზღვრავდა. მოსაზღვრე ხაზად,** როგორც დავრწმუნდით, მდინარე **ცხენის წყალი ითვლებოდა.** საქართველოს მეფეს ბაგრატს ერთი სასახლეთგანი ქუთაისში ჰქონდა. მაშინ ქუთაისი პატარა ქალაქი ყოფილა. წყალ-გაღმა გორაზე იდგა ქვითკირით ნაშენი ციხე, რომელშიაც ვენეტიკელ დესპანს ერთი ძალიან ძველი ეკლესია, უეჭველია ბაგრატის ტაძარი, უნახავს. ქალაქსა და ციხეს მდინარე რიონზე გადებული ქვის ხიდი აერთებდა. მეფის სასახლე მდინარის გამოღმა მდგარა საკმაოდ დიდ მინდორზე[686].

ბაგრატსავე ეკუთვნოდა სკანდის (Scander) ციხე, რომელიც მთაზე იყო აშენებული. სკანდა, როგორც ეტყობა, ბაგრატ მეფის საზაფხულო საჯდომთაგანი ყოფილა[687]. დასავლეთ საქართველოს გარდა გარდა **აღმოსავლეთი საქართველოსაც** 1470-1476 წლებშიაც კვლავინდებურად **ბაგრატ მეფეს ეჭირა**. ამბ. კონტარინის სიტყვით მას ეკუთვნოდა ქ. გორი, რომელიც ვაკეზე იყო გაშენებული. გორის ციხე კი გორაზე იდგა, მაგრამ მაშინ ჯერ მხოლოდ ხის ციხე ყოფილა[688]. **ბაგრატ მეფის საქტახტო ქალაქად ტფილისი ჰქონია[689],** თვით ქალაქსა და მეტეხის ციხეს მტკვარი ჰყოფდა. იტალიელს დესპანს ციხე იმ დროისათვის საკმაოდ მაგარ ციხედ სჩვენებია[690]. ის მოწმობს, რომ ტფილისი წინათ განთქმული იყო სიდიდით, ამჟამად კი დაცემულიაო. მაგრამ მაინც ქალაქის ის უბნები, რომელნიც მტრის აოხრებას გადაურჩენ, ეხლაც კარგად არის დასახელებულიო[691]. იოს. ბარბაროზეც ამგვარივე შთაბეჭდილება მოუხდენია ტფილისს: ქალაქი კარგია, მაგრამ მცხოვრებნი ნაკლებად არიანო[692].

ამბ. კონტარინის სიტყვებითგანა ჩანს, რომ **ქვემო ქართლის სამხრეთი კუთხე ე. წ. სომხითი, ლორეს ციხე და მინდორი ამ დროს, მაგ., 1474 წ., მტერს ჰქონია დაპყრობილი და სჭერია ხელში**. ის ამბობს: » მივედით უზუნ-ჰასანის იმ ციხესთან, რომელსაც ლორე ეწოდება. ეს ციხე ვაკეზე მდებარეობს და ერთი მხრით მთა აკრავს, ხოლო მეორე მხრით მდინარე ჩაუდის. ეს მდინარე ძალიან ღრმაა, მაგრამ წყლის სიმრავლის გამო კი არა, არამედ ნაპირების სიმაღლის მიზეზით. მდინარეში რომ გავედით, სომხების ერთს სოფელში მივედით»-ო. ლორეს ციხეში უზუნ-ჰასანს თურმე თურქი მეციხოვნენი ჰყოლია ჩაყენებული[693]. ვენეტიკის დესპანის ეს ცნობა ცხადჰყოფს , რომ **ბაგრატ მეფეს უზუნ-ჰასანისაგან დაპყრობილი ეს საქართველოს კუთხე ველარ დაბრუნებია. მაშასადამე, ბაგრატ მეფის საბრძანებლის საზღვარი ლორეს მინდვრების ჩრდილოეთით უნდა ყოფილიყო.**

საქართველოს ის ნაწილი, რომელიც ბაგრატ მეფის საბრძანებელს შეადგენდა, **მშვენიერ და ნაყოფიერ ქვეყნად** აქვს იტალიელ დესპანებს აღწერილი. მოსახლეობა მაინც და მაინც მჭიდრო არ ყოფილა. სხვა სამეურნეო დარგებთან შედარებით მესაქონლეობა, როგორც უფრო ადვილი გასაძღოლი, **ისე დაქვეითებული არ ყოფილა. მევენახეობაც** კვლავინდებურად **გავრცელებული ყოფილა.** ღვინო საქართველოში ბლომად მოდიოდა და ღვინის სმაც მეტად გავრცელებული ყოფილა — ისე რომ ღვინის სიუხვე თურმე საუკეთესო მასპინძლობად ყოფილა მიჩნეული[694].

---

[686] ამბ. **კონტარინი,** 51.
[687] იქვე, 52.
[688] იქვე, გვ. 53-54.
[689] ამბ. **კონტარინი.** 61 და 55 და იოს. **ბარბარო, 48.**
[690] ამბ. **კონტარინი., 56.**
[691] იქვე. 56.
[692] გვ. 48.

[693] იქვე, გვ. 55
[694] იხ. ჩემი საქართ. ეკონომიური ისტორია, II

იოს. ბარბაროს სიტყვით **საქართველოს მკვიდრნი მშვენიერნი და მოსულნი ყოფილან. ქონებრივადაც შედარებით კარგს მდგომრეობაში ყოფილან**[695]. მაგრამ მათი ზნეჩვეულება იტალიელ მოგზაურს არ მოსწონებია[696] უწუნებს ქართველებს ზნეჩვეულებასა და სარწმუნოებას მეორე ვენეტიკელი დესპანი ამბ. კონტარინიც: ბაგრატის სამეფო საქართველო სამეგრელოზე ცოტად უკეთესია, მაგრამ ზნე-ჩვეულება და სარწმუნოება ერთი და იგივე აქვთ[697] და ისეთივე უვიცნი არიან, როგორც მეგრელებიო[698] . თუმცა კონტარინის მსჯელობას ცხადი გადაჭარბება და გამწარება ეტყობა იმ მრავალგვარი წვალების გამო, რომელიც მას მთელს საქართველოში გამოუვლია, მაგრამ მისი ცნობები მაინც **მაშინდელ საქართველოს დიდს კულტურულსა და ეკონომიურს დაქვეითებას ააშკარავებენ**. როგორც სახელმწიფო დარბაზობა, ისე დიდებულთა სტუმართ-მასპინძლობა და ყოფა-ცხოვრება მოკლებული ყოფილა წინანდელს ბრწყინვალებას, წესრიგსა და სიდარბაისლეს. ხალხის გაველურების ერთ-ერთ ნიშნად მგზავრების ის თავაღებული ცარცვა-გლეჯა უნდა ჩაითვალოს, რომელსაც მოხელეებიც და კერძო პირნიც გულიანად მისდევდნენ და რაც იმდენად გავრცელებული ყოფილა, რომ უცხოელს, დასავლეთ ევროპიელს მოგზაურს თავბედს აწყევლინებდა ხოლმე[699] მეკობრობაც, როგორც ჩანს, იმდენად ჩვეულებრივ და ხალხის შემაწუხებელ მოვლენად გამხდარა, რომ ავაზაკთა მსხვერპლად აფხაზეთში ამ დროს ანტიოქიის კათოლიკე პატრიარქი ლუდოვიკოც გამხდარა[700]. გაბოროტებულ ხალხს იმ დროს საქართველოში მყოფი ანტიოქელ-იერუსალიმელი მწყემსმთავარი მიხეილიც ურჩევდა: «მეკობრეთა-ხუცესსა მოარჩობდით»-ო[701].

XV საუკ-ის მეორე ნახევარში დასავლეთ საქართველოს კულტურული დაქვეითება უფრო მკაფიოდ ემჩნეოდა. ანტიოქელ-იერუსალიმელი პატრიარქი მიხეილი მოწმობს, რომ იქ «მრავალნი წესნი შეშლით და გარდაქცევით ვნახე»-ო[702]. **რაც უფრო დასავლეთ-ჩრდილოეთით წავიდოდა ადამიანი, კულტურული დაქვეითება უფრო და უფრო ცხადად მოჩანდა**. აფხაზეთში უკვე ქრისტიანობა, როგორც ეტყობა, კვლავ წარმართობას უთმობდა ასპარეზს: »აფხაზთაი ქრისტიანობისაგან სრულიად განდრეკილ იყვნეს, ქრისტეს მცნებათაგან განშორებულ იყუნეს»-ო, ამბობს მიხეილ პატრიარქი[703].

თუ იტალიელ მოგზაურთა ზემომოყვანილ ცნობებს ჩაუკვირდებით, ცხადი გახდება, რომ ბაგრატ **მეფე ლიხთიმერეთისა და ამერეთის ერთად-ერთი მფლობელი თუ არა ყოფილა, ორივე ტახტის ერთად-ერთი მპყრობელი მაინც იყო**: იმერეთიცა და აღმოსავლეთი საქართველოც მის ხელში იყო. **ამ საქართველოს** სამეფოს საბედიანოს ჩამოშორების გამო **შავ ზღვასთან უშუალო მისავალი გზა აღარა ჰქონდა. მესხეთიც ცალკე პოლიტიკურს ერთეულს შეადგენდა** და ათაბაგნი დამოუკიდებლად მოქმედებდნენ. ვენეტიკელ დესპანებს სამწუხაროდ კახეთის შესახებ არაფერი აქვთ ნათქვამი, რომ გამორკვეულიყო, რანაირი დამოკიდებულება სუფევდა მასა და დანარჩენ საქართველოს შორის, მაგრამ ისე კი ვიცით, რომ **კახეთიც ცალკე სამეფოს შეადგენდა**. ამგვარად ირკვევა, რომ **ბაგრატ მეფის დროს საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა არსებითად თითქმის** (კახეთის გამოყოფის გარდა) **არ განსხვავდებოდა იმ მდგომარეობისაგან, რა მდგომარეობაშიც საქართველო გიორგი მეფის დროს იყო**: მაშინაც

---

[695] **იოს. ბარბარო**, გვ. 47.
[696] იქვე.
[697] **ამბ. კონტარინი**, გვ. 54.
[698] იქვე, გვ. 51.
[699] კონტარინი, 52, 53, 54, 57 და 61.
[700] იქვე. 61.
[701] მცნ. სასჯ. 7.
[702] მცნ. სასჯ. 4.
[703] იქვე, 5.

მესხეთის მფლობელი ათაბაგი და სამეგრელოს მთავარი ბედიანი თავიანთ თავს საკმაოდ დამოუკიდებლად გრძნობდნენ და გამოცალკევებულნი იყვნენ. მაშასადამე, **მცდარია ის შეხედულება, ვითომც ბაგრატ მეფის დროს მომხდარიყოს მთლიანი საქართველოს გაყოფა სამ სამეფოდ და სამთავროებად**. ბაგრატი მართლაც სხვებსავით ლიხთიმერეთისა და ლიხთამერეთის გამაერთიანებელი და ორისავე ტახტის მპყრობელი ყოფილა და, როცა თითონ გაბატონებულა, უკვე **საქართველოს დაყოფაზე არ უფიქრია.**

4. საქართველოს ეკლესიის მთლიანობის დარღვევა და მისი ერთი ნაწილის დამოუკიდებლობის შელახვა

ანტიოქ-იერუს პატრიარქის მიხეილის მოსვლა საქარველოში და მოღვაწეობა

ბაგრატ მეფის სახელთან მაინც დაკავშირებულია ერთი მეტად საყურადღებო მოვლენა და დამახასიათებელი ძეგლი, რომელსაც **"მცნება სასჯულოჲ"** ეწოდება. **საქართველოს სწვევია ანტიოქიისა და იერუსალიმის პატრიარქი მიხეილი.** ჩვენი ქვეყანა ჩვეული იყო ამ უცხოქვეყნელ მღვდელმთავართა სტუმრობასა და კალმასობას. თავის მოგზაურობის გასამართლებლად და ფულების დატყუების გასაადვილებლად, თანაც საქართველოს თავის მუდმივ შემოსავლის წყაროდ ქცევისათვის იერუსალიმელ-ანტიოქელი პატრიარქები ცდილობდნენ მთელი თავიანთი ყოფაქცევისათვის კანონიერი საფუძველი მოეძებნათ. განკერძოების მომხრე მეფე-მთავრებიც საქართველოში სარგებლობდნენ ამ მღვდელმთავრების მოგზაურობით თავიანთი მიზნების განსახორციელებლად.

როდესაც **ანტიოქელ-იერუსალიმელი პატრიარქი მიხეილი საქართველოს სწვევია და მეფე ბაგრატთანა და დიდ ერისთავთ-ერისთავ დადიან-გურიელ შამადავლესთან მისულა,** მაშინვე თავის საქმეს შესდგომია: **"იქმნა გამოძიებაჲ და მოკითხვაჲ გუჯართა, დავთართა და იადგართა"-ო**[704]**.**

უეჭველია ტყუილ-უბრალოდ არ შეიწუხებდნენ თავს პატრიარქი და მისი მიმდევარნი. **ანტიოქიელ მღვდელმთავარს უნდოდოდა ქართულ წყაროებში ეპოვა ცნობა, თუ "ვითარ იგი პირველად ქართლისა და აფხაზეთისა კათალიკოზნი ანდიოშიისა (ე. ი. ანტიოქიისა) პატრიარქთაგან იკურთხეოდიან"**[705]**.** ცხადია თუ რისთვის დასჭირდებოდა ეს ცნობა მიხეილ პატრიარქს. მას უნდოდა ამ ძველი დამოკიდებულებით ესარგებლა. იგი ანტიოქიის მღვდელმთავართა საქართვლოს ეკლესიაზე ბატონობის განახლება-აღდგენაზე ოცნებობდა უკვე. როდესაც მას ამგვარი ცნობა ხელთ ექმნებოდა, მაშინ გულუბრყვილო ხალხს უფრო ადვილად დაარწმუნებდა, რომ საქართველოს ეკლესიის შინაურს საქმეებში ჩარევის უფლება ჰქონდა და როგორც "ჟამთა სიძუელისაგან და სოფლისა სივერაგეთაგან იყვნეს მრავალნი წესნი შეშლით და გარდაქცევით"[706], ვითომც ამგვარადვე **ქართული ეკლესიის თვითმწყსობა და დამოუკიდებლობა უკანონო და "შეშლილ" წესად უნდოდა გამოეცხადებინა.**

იპოვეს თუ არა მაშინ ამგვარი ცნობა, არა ჩანს, მაგრამ თუმცა ამნაირი ცნობა მართლაც მოიპოვება. ამისდა მიუხედავად ყოველმა ცოტად მაინც განათლებულმა ქართველმა იცოდა და იცის, რომ მას შემდგომ ქართულმა ეკლესიამ სრული დამოუკიდებლობა მოიპოვა და ბერძენთა არა ერთგზისი იერიშისდა მიუხედავად საუკუნეთა განმავლობაში შეურყევლად შეინარჩუნა.

---

[704] **ს. კაკაბაძე,** მცნება სასჯელი, ტექსტი. ტფილისი 1913, გვ.4.

[705] იქვე.

[706] იქვე.

ქართული ეკლესიის უზენაესი მესაჭეობის უფლების მითვისება

პატრიარქმა მიხეილმა ამ მივიწყებული და მნიშვნელობა-მოკლებული ცნობის გამომზევებით თავისი თავი საქართველოს უზენაეს მწყემსმთავრად მოაჩვენა. მან **ქართული ეკლესიის** მოძღვრობა და უმაღლესი **მესაჭეობა იკისრა,** ისე, რომ **თავის ხელით აფხაზეთის კათალიკოზად აკურთხა იოვაკიმე.** მიხეილი თვითა წერს "მცნება სასჯულო"-ში: "ცათა მობაძავისა იერუსალიმისა მადლითა და ცათამდის მაღალისა კათოლიკე საყდრისა ანდიოშიისა ღთისმშობლისა მეოხებითა ვაკურთხეთ კათოლიკოზი იოვაკიმ, მარჯუენაჲ იერუსალიმისა, აფხაზეთისა კათოლიკოზი (sic) და,-კურთხეულმცა არის,-დავაყენე და დავსუით აფხაზეთს საყდართა მათ ანდრია მოციქულისათა"-ო[707].

ქართული ეკლესია მრავალ საუკუნეთა განმავლობაში დამოუკიდებელი იყო და თვითმწყსობის უფლებით იყო მოსილი: საკათალიკოსოდ არჩეულს მღვდელმთავარს ქართული ეკლესიის ეპისკოპოსთა კრებული აკურთხებდა ხოლმე და არც ერთს უცხო ეკლესიას, არც ერთს მსოფლიო პატრიარქს ქართული ეკლესიის ამ თვითმწყსობის უფლებაში ჩარევა არ შეეძლო. ცნობების უქონლობის გამო ჯერჯერობით გამორკვეული არ არის. როგორ იყო მოწყობილი ხელდასხმის საქმე მას შემდგომ, რაც აფხაზეთის კათალიკოსობა წინანდებურად აღდგა, ვინ აკურთხებდა ხოლმე საკათალიკოსოდ განკუთვნილ ეპისკოპოსს? მაგრამ თავის თავად მაინც ცხადია, რომ ორგვარი შესაძლებლობაა: ან მაკურთხეველი სრულიად საქართვლოს კათალიკოს-პატრიარქი უნდა ყოფილიყო, ან თვით აფხაზეთის ეკლესიის თვითმწყსობა და დამოუკიდებლობა უეჭველია დაცული იქმნებოდა.

ანტიოქიის პატრიარქმა მიხეილმა ეს წესი "შეშლილად" სცნო და თითონ აკურთხა და დასვა ცაიშელ-ბედიელ მთავარეპისკოპოსი იოვაკიმე აფხაზეთის კათალიკოსად. **ამით აფხაზეთის ქართული ეკლესიის თვითმწყომსობის უფლება შეილახა, დამოუკიდებლობა მოისპო და იერუსალიმ-ანტიოქიის პატრიარქის ხელთ-ქვეშეთი შეიქმნა.** ამიტომაც არის, რომ მიხეილმა აფხაზეთის კათალიკოსს თავის "მცნება"-ში უწოდა "მარჯუენაჲ იერუსალიმისა". ამგვარად და **ამ საქციელით პატრიარქმა მიხეილმა, ბაგრატ მეფემ და დადიან-გურიელმა შამადავლამ ქართველი ერის და საუკეთესო შვილთა და მთელი ხალხის მიერ საუკუნეთა ბრძოლით მონაპოვარი, ქართული ეკლესიის თავისუფლება მოსპეს და გაანადგურეს!** მარტო ეს გარემოებაც კმარა მაშინდელ საქართველოს და ბაგრატ მეფის ეროვნულ-პოლიტიკური თვითშემეცნების დაქვეითებისა და დაცემის საბუთად!..

საქართველოს ეკლესიის წიაღითგან ლიხთიმერეთის საკათალიკოსოს გამოყოფა

მაგრამ ზემოაღნიშნული პირნი მარტო ამით არ დაკმაყოფილებულან. წინათ მხოლოდ მარტივად "**აფხაზეთის კათალიკოზი" იყო. მიხეილ პატრიარქმა კი** უეჭველია ბაგრატ მეფის სურვილისამებრ, იოვაკიმეს "**ლიხთამერისა** და აფხაზეთისა **კათოლიკოზი" უწოდა[708]. გარდა "ლიხთამერისა" მისი სამწყსოს საზღვრებში შედიოდა** მთელი მიწაწყალი "**ჭოროხსა აქათ,** ოვსეთსა აქათ, ზღუაჲ პონტოსა აქათ, სადა დიდისა ბიჭუინტისა სამზღუარი მიაწევს"[709], მაშასადამე, **იმერეთს, გურიას, ოდიშს და აფხაზეთს გარდა მთელი აჭარა, შავშეთი და კლარჯეთიც.** ამგვარად **სამხრეთ-დასავლეთი საქართველოც აფხაზეთისა და ლიხთიმერეთის**

---

[707] **ს. კაკაბაძე,** მცნება სასჯ. 4; ქ˜კბი II, 294.

[708] მცნ. სასჯ., 5, 10.

[709] იქვე.

კათალიკოზისათვის მიუკუთვნებიათ და ქართული ეკლესია ორად გაუყვიათ, რომელთაგან **დასავლეთ საქართველოს ეკლესიას თვითმწყსობისა და დამოუკიდებლობის უფლებაც კი დაუკარგავს.** ცხადია, თუ რაოდენად საზარელო და მავნებელი უნდა ყოფილიყო ეს ქართველი ერის მთლიანობისა და ერთობის თვითშემეცნებისათვის: **პოლიტიკურს დაქსაქსვასა და დანაწილებას საეკლესიო მთლიანობისა და განუყოფელობის ჩაშლაც დაედვა მტკიცე საფუძვლად,** აღმოსავლეთ-დასავლეთი საქართველოს საეკლესიო მართვაგამგეობის მხრივაც ერთიმეორეს უნდა დაჰშორებოდა!

ქართული საეკლესიო-ისტორიული თეორიის შერყევის მცდელობა საქართველოს ეკლესიის მთლიანობის დასარღვევად

აღმოსავლეთ-დასავლეთი საქართველოს ერთიერთმანეთისაგან საეკლესიო მართვა-გამგეობის მხრით უფრო საფუძვლიანად დასაშორებლად მიხეილ პატრიარქმა შემდეგი მოსაზრება და თეორია წამოაყენა. თავისი "მცნება სასჯულო"-ში ანტიოქიელ-იერუსალიმელი მწყემსმთავარი სხვათა შორის ამბობდა: როგორც "**ნინო** ქართველთა დედამან **მოაქცინა ქართლი მისთა საზღვართა აქათი,** წმიდამან **ანდრია მოციქულმან** ნათლითა მიუჩრდილებელითა **განანათლნა**" და "აწ მსგავსად[ა] **მისსა ვაკურთხეთ და დავამტკიცეთ რჯულისა თავადად"** და ამიერითგან "ვითარცა ქრისტე ღმერთი, კათალიკოზი იოვაკიმ თავი არს ეკლესიათა"-ო[710].

ზემომოყვანილი სიტყვებითგან ცხადად ირკვევა, რომ **მიხეილ პატრიარქს უნდოდა ქართველთათვის ჩაენერგა, რომ წ˜ა ნინო მხოლოდ ქართლის განმანათლებელი იყო, ხოლო ანდრია მოციქული მხოლოდ ქართლის "აქათი" ქვეყნის, ანუ დასავლეთ საქართველოს მქადაგებელი და მომაქცეველი იყო,** რომ ლიხთამერეთი და ლიხთიმერეთი წარსულშიაც, განმანათლებელთა მხრივაც ერთიმეორისაგან განსხვავებულნი იყვნენ. რაკი აღმოსავლეთ-დასვლეთ საქართველოს ეკლესიას ორი ცალკე მქადაგებელი და დამაარსებელი ჰყავდა, "**აწ მსგავსად ამისა"** მეც ცალკე მწყემსმთავრად "ლიხთამერისა და აფხაზეთის" კათალიკოსად ვაკურთხე იოვაკიმეო. ამ გვარად ანტიოქელ-იერუსალიმელი **პატრიარქი მიხეილი ცდილობდა დასავლეთ საქართველოს მკვიდრთათვის გულ-გონებაში ის აზრი ჩაენერგა, რომ საეკლესიო ჩამომავლობითა და წარსულით ისინი აღმოსავლეთ საქართველოსთან დაკავშირებული არ არიან** და რომ ამიტომ **ეხლაც სრული ჩამოშორება კანონიერი და სამართლიანი იყო.**

მთელი ეს მოქადაგეობა საქართველოს საუკეთესო მეცნიერ-მოღვაწეთა მიერ შემუშავებული და განმტკიცებული ისტორიული შეხედულების გასაცრუებლად და გასაქარწყლებლად იყო მოწყობილი. ქართველი ერისა და სრულიად საქართველოს მთლიანობისა და განუყოფელობის შეგნებით გამსჭვალულნი, ამ აზრის ხალხში განმტკიცებისათვის მებრძოლნი გიორგი მთაწმინდელი და განსაკუთრებით ეფრემ მცირე, რუის-ურბნისის 1103 წ. საეკლესიო კრების ყველა სულის ჩამდგმელნი და ნიკოლოზ კათოლიკოსი ამტკიცებდნენ, რომ ანდრია მოციქულმა იქადაგა "ყოველსა ქუეყანასა საქართველოჲსასა"[711], ხოლო შემდეგში დავიწყებული ქრისტიანობა კვლავ აღადგინა წ˜ა ნინომ, რომლის სასწაულთმოქმედებამ და ქადაგებამ "მიიზიდა **ყოველი სავსებაჲ ყოვლისა**

---

[710] მცნ., სასჯ., გვ. 9.

[711] რუის-ურბ. კრების ძეგლის წერა: ქ˜კბი II, 58, შეად. ც˜აგ˜ი მთ˜წმდლსჲ; ათონის კრკებული, გვ. 315.

ქართველთა ნათესავისაჲ"[712]. ნიკოლოზ კათალიკოსიც წ˜ა ნინოს საერთო მოციქულად და განმანათლებლად სთვლიდა "ჩვუენ ქართველთაჲსა"[713].

ერთი სიტყვით, **ანდრია მოციქულიცა და წ˜ა ნინოც საერთო ქართული ეკლესიის დამაარსებლად და მთელი ქართველი ერის განმანათლებლად იყვნენ ცნობილნი. საქართველოს სხვადასხვა ნაწილებისათვის ცალკე და განსაკუთრებული მქადაგებლის არსებობის აზრი და გამოძებნის სურვილიც არა ჰქონიათ,** რათგან **ისინი მთლიანი და განუყოფელი საქართველოს განმტკიცებისა და აღორძინებისათვის იღვწოდნენ. ანტიოქიელ-იერუსალიმელი პატრიარქი მიხეილი სწორედ ამ ქართველ სახელოვან მეცნიერთა მიერ შექმნილსა და მთელი ქართველი ერისაგან შესისხლხორცებულს შემეცნებას სპობდა.** გასაოცარია, რომ ამაში მონაწილეობას იღებდა და ასეთი რამის ქადაგების ნებას აძლევდა ის ბაგრატ მეფე, რომელსაც თავისი თავი მეფეთა-მეფედ და ლიხთიმერისა და ლიხთამერის საქართველოს გამაერთიანებლად და მფლობელად მიაჩნდა. როგორ შეეძლო მას ქართველთა ერთობის ერთ-ერთი გამოხატულობის ფსიქიური საფუძვლის ნიადაგის გამოცლისათვის თუნდაც ხელი შეეწყო?

"მცნება სასჯულოს" დაწერის თარიღის საკითხი

ეს იმდენად უგუნური საქციელია, რომ უნებლიედ იბადება ეჭვი, "მცნება სასჯულო" მართლა 1470-1474 წ-ში უნდა იყოს დაწერილი, იმ დროს, როდესაც ბაგრატ მეფე მართლაც ორისავე ტახტის მპყრობელი იყო და როდესაც მას ბუნებრივად საქართველოს ერთობა-განუყოფელობისათვის უნდა ეზრუნა, თუ ეს ძეგლი უფრო ადრეა შედგენილი, სახელდობრ მაშინ, როდესაც მის ხელთ მხოლოდ დასავლეთი საქართველო იყო და როდესაც პირადი სიმტკიცმს გულისათვის და სიძულვილით დაბრმავებულს ამგვარი ნაბიჯის გადადგმა უფრო ადვილად შეეძლო? 1470-1474წ. "მცნებპა სჯულს" დაწერის თარიღად თ. ჟორდანიას და ს. კაკაბაძის მიერ იმიტომ არის მიღებული, რომ ბატონიშვილი ვახუშტის ცნობით ამ ძეგლში მოხსენებული შამადავლა ბედიანად 1470წ. გახდა და 1474 წ. გარდაიცვალა. უკანასკნელი თარიღი, როგორც დავრწმუნდით, სწორი უნდა იყოს. მომავალი გვიჩვენებს, რამდენად სამართლიანია პირველი თარიღიც?

5. უზუნ-ჰასანის შემოსევა საქართველოში

იმ დროს, როდესაც თვით საქართველოში ასეთი გამწარებული ბრძოლა იყო, ხან ჩუმი, ხან გაჩაღებული, ერთი მხრით ქვეყნის მთლიანობის დასარღვევად და თემური დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად, მეორე მხრით სრულიადი საქართველოს აღსადგენად. ჩვენი ქვეყნის მახლობლად, სპარსეთში და ოსმალეთში დამღუპველი შინაური ბრძოლით გართულ ქართველთათვის თითქმის სრულებით შეუმჩნევლად დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური ამბები მზადდებოდა. მხოლოდ მოულოდნელად თავზე დამტყდარს მტრის შემოსევას უნდა დროებით მაინც გამოეფხიზლებინა მებრძოლნი.

---

[712] რუის-ურბ. კრების ძეგლის წერა: ქ˜კბი II, 58.

[713] სასწ. სვეტიცხოვ., 40-43; 69.

1476 წ. **"ქორონიკონს რჲდ (164) აქა უზუნასთან საქართველო ამოსწყჳდა!-ო,** ასე მოკლედ და მშრალად მოგვითხრობს ამ ამბავს იკორთის ჟამნგულანის კინკლოსი[714]. სხვა ქართულ წყაროებშიაც ამ შემოსეთის შესახებ ძალიან ცოტა ცნობებია შენახული. სამაგიეროდ უზუნ-ჰასანის საქართველოში შემოსევის შესახებ ორი თანამედროვის მიერ შედგენილი აღწერილობა მოგვეპოვება, რომელთა ავტორები ამ ამბავის თვითმხილველნიც კი ყოფილან: ერთი **ჯიოვან მარია ანჯიოლელლოს** კალამს ეკუთვნის, მეორე **იოსაფა ბარბაროს.** ორივე სპარსეთის შაჰთან წარვლენილი იტალიელი დესპანები იყვნენ. პირველის ცნობები უფრო მოკლეა, თუმცა არსებითად ორივენი თითქმის ერთსადაიმავეს მოგვითხრობენ. იოს. ბარბაროს აღწერილობა მხოლოდ ანჯიოლელლოს აღწერილობასთან შედარებით ზოგიერთს ახალ ცნობებს შეიცავს.

უზუნ-ჰასანის საიდუმლო სამზადისი

1475 წ-თგან მოყოლებული უზუნ-ჰასანი 1477 წლამდე მოსვენებით ყოფილა. ამ წელს კი დიდი ლაშქრის მოწყობას შესდგომია. თანაც თურმე ხმას ავრცელებდა, ვითომც ოსმალების წინააღმდეგ აპირებდა გალაშქრებას, ნამდვილად კი საქართველოში შესასევად ემზადებოდა. სპარსეთის მბრძანებელი საქართველოს აოხრებას იმიტომ უპირებდა, რომ ქართველებმა მისთვის დახმარების აღმოჩენა არ მოისურვეს, როდესაც იგი თურქთ-ოსმალების წინააღმდეგ მიემგზავრებოდაო[715].

შემოსევის თარიღი

უზუნ-ჰასანს ორთავე იტალიელი დესპანი სიტყვით საქართველოზე სწორედ 1477 წ. გამოულაშქრია და ამ თანამედროვეთა და ერთი მათგანის ვითარცა თანადამხვედურის მოწმობა ცხადჰყოფს, რომ ქართულ წყაროებში მოყვანილი თარიღი 1476 წ. მცდარია.

ჰასანის ლაშქრის რაოდენობა

ჰასანბეგის ანუ უზან-ჰასანის ჯარი ანჯილელლოს სიტყვით 20000-24000 ცხენოსან ჯარისკაცისაგან და 11000 ქვეითობისაგან შესდგებოდა. იოს. ბარბაროს კი ქვეითი ჯარის რაოდენობა გაცილებით ნაკლები აქვს აღნიშნული, სახელდობრ მხოლოდ 4-5000-მდე. მაგრამ ეს მოლაშქრენი თურმე ცოლშვილითა და მთელი სახლეულობით წამოსულან[716], როგორც მოხეტიალე, უბინადრო ტომს შეჰშვენოდა. ესენი საომარი ასპარეზისათვის დასახმარებლად იყვნენ განკუთვნილნი და სულ დაახლოებით ექვს ათასამდე იქმნებოდნენ[717]. მაშასადამე, **საქართველოს წინააღმდეგ ამხედრებული ძალის საერთო რიცხვი 35-40000 კაცამდის ყოფილა.**

გამოლაშქრება

---

[714] **ს. კაკაბაძე,** გამ. 4.

[715] Breve narratione della vita et fatti del signor Ussuncassano. Fatta per Giovan Maria Angiolello. იხ. Ramusio, Navigationi et viaggi v. II, 70 და Josafa Barbaro, genti`luomo venetiano. II viaggio della Tana. Cap. 27 იმავე რამუზიოს წიგნში.

[716] **ანჯიოლელლო,** იხ რამუზიოს გამოც. II, 70 და იოს. ბარბარო იქვე, cap. 27.

[717] J. Barbaro, cap. 27.

უზუნ-ჰასანს ისე მოხერხებულად უწარმოებია სამზადისი და თავისი ნამდვილი განზრახვა უკანასკნელ წუთამდის ისე საიდუმლოდ შეუნახავს, რომ მაშინაც, როცა ის **თავისი ლაქრითურთ საომრად წამოსულა,** პირდაპირ საქართველოსაკენ მომავალი გზა კი არ აურჩევია, **არამედ ქართველთათვის თვალების ასახვევად შვიდი დღის განმავლობაში ჯერ თურმე სხვა მიმართულებითა და გზით** (via di Ponente) **უტარებია თავისი ჯარი,** ხოლო შემდეგ კი მხარ-მარჯვნით უბრუნებია პირი სწორედ საქართველოსაკენ, რომელსაც შემოჰსევია კიდეც.

შემოსევა

თავის ჩვეულებისამებრ მას წინ 5000 წინამავალი მოთარეშე ჯარისკაცი (corridori) გაუსტუმრებია, რომელნიც გზადაგზა ჰკაფავდნენ და სწვავდნენ ხეებს, რათგან სპარსეთის მბრძანებლის ლაშქარს მაღალი მთებიცა ჰქონდათ გადასალახავი და უუდიდესი ტყეებიც გასავლელი. ამნაირი ხერხის წყალობით რაკი უზუნ-ჰასანი და მისი ლაშქარი შორითგანვე ხედავდნენ ცეცხლს, დანამდვილებით იცოდნენ, რა გზასაც უნდა დასდგომოდნენ და საითკენ უნდა წასულიყვნენ[718].

თბილისისა, გორისა და ქართლის დაჭერა

ორი დღის განმავლობაში საქართველოში ამგვარად სიარული შემდგომ სპარსეთის ბატონი თავისი ჯარითურთ ქალაქ თბილისსა და ციხეს მისდგომია, რომელიც იმგვარადვე, როგორც მთელი სანახები, მცხოვრებთაგა და ჯარის მიერ დაცლილ-მიტოვებული დახვედრია და ამის წყალობით უბრძოლველად დაუკავებია კიდეც. ამის შემდგომ უზუნ-ჰასანი კვლავ დაძრულა და დაწინაურებულა. რაკი ამ დასავლეთის მიმართულებითაც ხალხი გახიზნული აღმოჩნდა და ქვეყანა მომეტებულ ნაწილად მიტოვებული დახვდა, გზადაგზა ყველაფრის გამანადგურებელმა უზუნ-ჰასანმა ამგვარადვე უბრძოლველად გორიცა და მისი მიდამოებიც დაიკავა[719].

როგორც ეტყობა, უზუნ-ჰასანის ხერხს კარგად გაუჭრია და ქართველნი, რომელთაც ისედაც დაუდევრობა ხასიათის დიდ ნაკლად აქვთ, სრულებით მოუმზადებელნი დახვედრიან. როდესაც მათ უზუნ-ჰასანისა და მისი ჯარის საქართველოსაკენ გალაშქრების ამბავს მიუტანდნენ, ტყუილად ეჩვენებოდათ კიდეც, სანამ მტრის ჯარის მიერ საქართველოს საზღვრის გადმოლახვა არ დაარწმუნებდა, რომ უზუნი ოსმალთა წინააღმდეგ კი არა, არამედ საქართველოს დასასჯელად მოდიოდა. ასეთს პირობებში სრულებით მოუმზადებელ ბაგრატ მეფეს, რასაკვირველია, თბილისთან მტრისათვის არავითარი წინააღმდეგობის გაწევა არ შეეძლო და უეჭველია უბრძოლველად უნდა დაეხია უკან, როგორც ეტყობა ბაგრატი გორთან აპირებდა გამაგრებას და შებრძოლებას. მაგრამ საქმე იმდენად გაფუჭებული და ხალხიც უკვე ისე იყო არეული, რომ ცხადი აშლილობა ეტყობოდა ყველას. სწორედ ამ მდგომარეობას გვისურათებს ზევდგინიძის საჩივრის წიგნი, სადაც სხვათაშორის ნათქვამია: ”მოვიდეს

---

[718] J. Barbaro, cap. 27.

[719] იქვე.

თათარნი და მეფეს **ბაგრატს ასე ებრძანა ჩემისა ძმისა ამილახორისათუის: "გორს შემიდეგ"-ო. გორს ისი აღარ შევაყენეთ** და ჩემი ძმა სულმამა შევაყენეთ"-ო[720].

მოლაპარაკება დაზავების შესახებ

ქ. გორისა და მისი სანახების დაპყრობის წემდგომ სპარსეთის მბრძანებელს თურმე საქართველოს მეფე ბაგრატთან და მის მეზობელ ყუარყუარე ათაბაგთან (Corgora) მოლაპარაკება დაუწყია, ასე მოგვითხრობს იოსაფა ბარბარო (cap. 27). ჯიოვან მარია ანჯიოლელლოს კი ნათქვამი აქვს, რომ თვით ბაგრატ მეფემ საქართველოს სხვა მეზობელ მთავართან (con un' altro Re di Congiurre) და შვიდ დანარჩენ ბატონთან ერთად შეთანხმება და დაზავება ითხოვესო. **უზუნ-ჰასანმა** მათ თურმე 16000 **დუკატი მოსთხოვა და მთელი ქვეყნის დაცლა აღუთქვა თბილისს გარდა, რომლის თავის ხელში შენარჩუნება უზუნ-ჰასანს,** ანჯიოლელლოს სიტყვით **იმიტომ უნდოდა, რომ გზა ადგილი და კარი იყო** ("per esser luogo di passo"). მოპირდაპირენი შეთანხმებულან, ქართველებს 16000 დუკატის გადახდა უკისრიათ. ამ ფულის მთლად ფლურად (danari) გადახდის მაგიერ ოთხი მონღოლური ოქროს დიდი, "ბალიშ"-ად წოდებული ფულის მიცემა სდომებიათ და ბაგრატ მეფეს უზუნ-ჰასანისათვის გაუგზავნია კიდეც. სპარსეთის ბატონს მათ დასაფასებლად იტალიელი დესპანი იოსაფა ბარბარო მიუწვევია, მაგრამ სანამ შაჰთან მივიდოდა ბაგრატ მეფისა და ყუარყუარეს მოციქულებს დაუსწრიათ და საიდუმლოდ შეჰხვეწნიან, რომ "ბალიშების" ფასი დიდი ეთქვა უზუნ-ჰასანისათვის, რათგან ჩვენც ქრისტიანები ვართ და თქვენცაო.

როდესაც იოს. ბარბარო უზუნ-ჰასანს ჰხლებია და "ბალიშები" გაუშინჯავს, უთქვამს: თითო 4000 დუკატი ირსო. ამაზე სპარსეთის ბატონს გაუცინია და უპასუხნია, ეტყობა თქვენს ქვეყანაში მეტად ძვირად ფასობს, "ბალიშები" არ მინდა, ფლურად გადაიხადონო.

სამხედრო მოქმედების განახლება და მესხეთში შესევა

იმიტომ, რომ ქართველებმა უზუნ-ჰასანის ეს მოთხოვნილება ვერ აასრულეს, თუ სხვა რაიმე მიზეზის გამო, მხოლოდ იოს. ბარბაროს სიტყვით ამის შემდგომ სპარსეთის ბატონის ჯარი სწრაფად დაძრულა და მხარ-მარცხნივ წასულა ყუარყუარე ათაბაგის ქვეყნის წინააღმდეგ. როგორ მიმდინარეობდა აქ სამხედრო მოქმედება, ამაზე იტალიელს მოგზაურს არაფერი აქვს ნათქვამი (cap. 27).

მხოლოდ ქ˜ცის შევს.-გადაკ. პირველს გაგრძელებას მოეპოვება ცნობა უზუნ-ჰასანის მესხეთში შეჭრისა და სამხედრო მოქმედების შესახებ. თარიღად აქაც შეცდომით 1476 წ. (ქ˜კსა რჲდ) არის დასახელებული. იქ ნათქვამია: "წარმოემართა უზუნ-ჰასან ძალითა დიდითა სამცხესა ზედა. ესმა ესე ყვარყვარეს და ოთხთა ძეთა მისთა, **რამეთუ** პირისპირ განწყობა ვერ ძალედვა სიმრავლისაგან ურიცხვობისა სპათა მათთასა და ქმნეს განზრახვა რათა სამთაგან

[720] **ზევდგინიძის** საჩივრის წიგნი, 24.

ერთი წარსულიყო და დაეცხრო გულისწყრომა **მძლავრისა მის რათა არღარა მოსულიყუნეს ქვეყანასა სამცხისასა. მოვიდა სამცხეს და მერმე მოიწივნეს აწყვერს და მოსრნეს მრავალნი ქრისტიანენი მღვდელნი და მონაზონნი და ერისაგანნი და წარტყვევნეს სრულიად სამცხე და** ტყვეყვეს ხატი აწყვერსა ღ˜ის მშობლი[სა] და წარიყვანეს ქუეყანასა მათსა"[721].

საქართველოს დამარცხების მოჩვენებითი და ნამდვილი მიზეზი

ამნაირად, აქაც სპარსეთის მბრძანებლისათვის ვერავითარი **წინააღმდეგობა ვერ გაუწევიათ. მიზეზად** უკვე **უზუნ-ჰასანის ჯარის ურიცხვობაა დასახელებული, მაგრამ,** როგორც გამოირკვა, შემოსეულ სპარსთა რაოდენობა 34-40000-ს არ აღემატებოდა. ხოლო ზევით, როდესაც ქართველ-ევროპიელთა ოსმალთა საწინააღმდეგოდ განზრახული ლაშქრობის შესახებ გვქონდა საუბარი, უკვე აღნიშნული იყო, რომ მარტო გიორგი მეფეს პირადად მაშინ თავისუფლად 40000 ჯარისკაცის გამოყვანა შესძლებია ბრძოლის ყველაზე, ხოლო ყუარყუარე ათაბაგს 20000 კაცი მეომარი ჰყოლია. მთელი სრულიადი საქართველო მაშინ თურმე ოსმალეთის გასანადგურებლად 70000 ჯარისკაცის მიშველებას ჰპირდებოდა დასავლეთი ევროპის ქრისტიანებს. **სრულებით ცხადია,** მაშასადამე, **რომ ქართველთა უძლურების მთავარი მიზეზი სპარსთა ლაშქრის ურიცხვობა კი არ იყო, არამედ შინაური შეუთანხმებლობა, განკერძოება და უდარდელი მოუმზადებლობა,** თორემ თავის სადარაჯოზე ფხიზლად მყოფს შეერთებულს, სრულიად საქართველოს, როგორც დავრწმუნდით, უზუნ-ჰასანის ლაშქარზე ერთი-ორად მეტი "ურიცხვობის" გამოყვანა და მტრისათვის ღირსეული წინააღმდეგობის გაწევა შეეძლო.

მართლაც, ქართველთა შორის მაშინდელი უთანხმოებისა და მტრობის შესახებ ერთს ასურულად დაწერილ წყაროშიაც კია ცნობა შენახული. იქ სწერია: ბერძენთა წელთაღრიცხვის 1789 წ. ანუ 1477 წ. ქ. შ. ქართველ მეფეთა შორის ჩამოვარდნილი უთანხმოების დროს ყუარყუარე-ბეგმა ოთმანისშვილს ჰასანბეგს იმ სანახებთა გადაცემა აღუთქვა, რომელიც მას ეკუთვნოდა, იმ პირობით კი, თუ ის თავისი მხრით თურქთა ჯარითურთ საქართველოს შემოესეოდა, ალბათ მის, ყუარყუარეს, მოსაშველებლად. სწორედ ასეც მოხდაო, ისე რომ ჰასანბეგმა ეკლესიები და მონასტრები აოხრა, ხალხი ტყვედ წაასხა და სიწმიდის სამსახურებელი ბარძიმ-ფეშხუმი, ჯვრები და ფიალები თან გაიტაცა. ხუცესნი, დიაკონები და ბერები დაახოცინა და ბევრი ჭაბუკი და ბავშვი თან გაიყოლა. ტყვე ქრისტიანები ზოგი ძალით გამაჰმადიანდნენ, ზოგი გაყიდულ იქმნენ, ზოგი კიდევ მონებად აქციეს[722]. ამ ცნობაში ბევრი რამეა ბუნდოვანი და გამოსარკვევი. უფრო საფიქრებელია, რომ ყუარყუარეს ეს მოღალატური საქციელი, უზუნ-ჰასანის მოწვევა საქართველოში შემოსასევად, უეჭველია საქართველოს მეფის საწინააღმდეგოდ და მის, ათაბაგის მოსაშველებლად, გიორგი მეფის დროს მომხდარიყოს, ვიდრე ბაგრატის მეფობაში. ამგვარი ცნობა, როგორც უკვე აღნიშნული იყო, ქართულ წყაროებშიც მოიპოვება. შემდეგ, როდესაც თვით ყუარყუარეს უგუნურებითვე გზა საქართველოში შესევისათვის უკვე გაკვლეული იყო და ქართველთა შეუთანხმებლობა კვლავ

---

[721] დამატ. 894.

[722] იხ. Rerum seculo XV in Mesopotamia gestarum librum e codice bibliothecae Bodleianae Syriaco edidit et interpretatione latina illustravit doctor Ottomar Behusch Breslau 1838, p. 16. აქეთგან ამონაწერი მ. ბროსესთვის ყაზანის პროფესორს Gottwald-ს მოუწოდებია, იხ. Histoire moderne l-re livr. გვ. 209-210 შენ. 3.

გამომჟღავნებულ ჭირად იქცა, უზუნ-ჰასანს ათაბაგის დაუხმარებლივაც და თვით მის სურვილისდა წინააღმდეგაც შეეძლო რომ საქართველოს დაუპატიჟებელ სტუმრად ქცეულიყო. ამის გამო ზემომოყვანილ ასურულ ცნობაში შესაძლებელია ორი თუმცა ახლო, მაგრამ მაინც სხვადასხვა დროის ამბავს ჰქონდეს ერთად თავი მოყრილი.

ასე იყო, თუ ისე, ერთი გარემოება კი მაინც ცხადია, რომ უზუნ-ჰასანის შემოსევისთვის ხელი სწორედ ყუარყუარე ათაბაგის მეფისადმი მტრობასადა შეუთანხმებლობას შეუწყვია. იტალიელი დესპანის აღწერილობითგანა ჩანს, რომ თვით უზუნ-ჰასანის ამ შემოსევის დროს საქართველოს მეფესა და ყუარყუარეს შორის მტრობა თითქოს არ უნდა ყოფილიყო და მაშინ ყუარყუარეც სპარსეთის მბრძანებლის მოწინააღმდეგეთა ბანაკში ყოფილა.

ამაზე უფრო მეტის თქმაც შეიძლება: თუ ასურულ წყაროს ზემომოყვანილი ცნობა ყუარყუარეს ათაბაგისაგან უზუნ-ჰასანის საქართველოში შემოსასევად წაქეზების შესახებ მართალია, თვით ჰასანის მოქმედებითგან აშკარავდება, რომ შემდეგში მდგომარეობა ასე თუ ისე უნდა შეცვლილიყო: უზუნ-ჰასანს ყუარყუარე უკვე თავის მოკავშირედ კი არა, არამედ მტრად მიუჩნევია.

უზუნ-ჰასანის უკან დაბრუნება

უზუნ-ჰასანი, როგორც ჩანს, სამცხის აოხრებით დაკმაყოფილებულა და თითქოს აწყურს იქით აღარ წასულა.

ყუარყუარე ათაბაგის სამფლობელოზე უზუნ-ჰასანის გალაშქრების ამბავის შემდეგ იოს. ბარბაროს ქუთაისისა და სკანდის ციხეების მდებარეობისა და მდგომარეობისა და მდგომარეობის შესახებაც აქვს ცნობები მოყვანილი, მაგრამ იყო თუ არა ლიხიმერეთში თვით უზუნ-ჰასანი თავისი ლაშქრითურთ, გარკვევით არ ჩანს. შინ გაბრუნებისას უზუნ-ჰასანს, როგორც ეტყობა, თბილისზე აღარ გაუვლია, არამედ რაღაც მთა გადაულახავს და სომხეთში მისულა, რომელიც სპარსეთის ბატონს ეჭირა, და სამი დღის სიარულის შემდგომ ლორეს ციხემდის მიუღწევია კიდეც. ცხადია, მაშასადამე, რომ უზუნ-ჰასანი სამხრეთის გზით დაბრუნებულა სპარსეთში.

ზავის პირობები

სპარსეთის ბატონს საქართველოს მიწაწყლისათვის მხოლოდ მაშინ დაუნებებია თავი და წასულა, როდესაც **ბაგრატ მეფესა და ყუარყუარე ათაბაგთან საბოლოოდ შეთანხმებულა და 16000 დუკატი მიუღია.** ზავის პირობაში გარკვეული ხარკის (certo tributo) **გადახდა იყო აღთქმული[723].** ნათლად არა ჩანს მხოლოდ, ის 16000 დუკატი წლიური ხარკის რაოდენობას შეადგენდა, თუ ერთდროული კონტრიბუცია იყო და ყოველწლიურად ხარკიც ცალკე ჰქონდათ გადასახდელი?

თუ ყოველწლიური ხარკი სხვა იყო და 16000 დუკატი კიდევ სხვა, მაშინ ხარკის რაოდენობა გამოურკვეველი გვრჩება. იტალიელი დესპანის აღწერილობითგან არც ისა ჩანს, თუ რით დამთავრდა საბოლოო შეთანხმება, შეინარჩუნა თუ არა უზუნ-ჰასანმა, როგორც აპირებდა, ქ. თბილისი თავის ხელში, თუ საქართველოს დედაქალაქზე ხელი აიღო? ის გარემოება რომ უზუნ-ჰასანს უკან დაბრუნებისას თბილისზე არ გაუვლია, თითქოს

---

[723] **ჯიოვან ანჯიოლელლო,** იქვე, II,70.

გვაფიქრებინებდა, რომ უკანასკნელი უფრო მართალი უნდა იყოს. მაგრამ ვენეტიკელი ელჩების სიტყვებითგან ირკვევა, რომ **აღმოსავლ. საქართველოს სამხრეთის ისეთი დიდმნიშვნელოვანი კუთხე, როგორც ლორეს ველია, უზუნ-ჰასანს ისევ სპარსეთისათვის შეუნარჩუნებია.** ხოლო ქ˜ცის შევს.-გადაკეთ. პირველი გაგრძელების ცნობა ამტკიცებს, რომ **სპარსეთის ბატონს სომხითისა და ლორეს ველის გარდა საქართველოს დედაქალაქი თბილისიც შეუნარჩუნებია...** 5000-მდე მარტო ტყვე წაუყვანია უზუნ-ჰასანს საქართელოთგან[724].

კონსტანტინე ბატონიშვილისა და მზეჭაბუკის სპარსეთში გამგზავრება

ამის შემდეგ ქ˜ცის შევს.-გადაკ. პირველი გაგრძელების სიტყვით "გარდაჴვდა მცირე ხანი და წარვიდა" ბატონიშვილი "კოსტანტინე თათარშიგან და სხვამან ვერავინ გაბედა ქართველმან დარბაისელმან წარსვლა თათარშიგან და ბატონის ხლება. დიდად ერთგულად და კარგად იყვნენ ბარათიანნი და იგინივე წარჰვეს თანა და მსახურეს. და წარჰყვაცა მზეჭაბუკ, პირმშო შვილი ყუარყუარესი"[725]. მათ ორთავეს ალბათ საგანგებო მინდობილობა და დავალება ექმნებოდათ უზუნ-ჰასანთან საქართველოს შესახებ.

უზუნ-ჰასანის სიკვდილი

იმ დროს, როცა კონსტანტინე ბატონიშვილი და მზეჭაბუკი უზუნ-ჰასანთან იყვნენ, ეს ოსმალთა შეუპოვარი და დაუძინებელი მტერი, მათ წინააღმდეგ შურისძიებისა და სამაგიეროს გადახდის ოცნებით გატაცებული, 1478 წ. გარდაიცვალა. ვენეტიკის რესპუბლიკას ოსმალთა დასამხობად აღმოსავლეთში საუკეთესო მებრძოლად უზუნ-ჰასანი მიაჩნდა, რომელსაც ვენეტიკელნი თავიანთ დესპანების პირით ყოველგვარს დახმარებას ჰპირდებოდნენ, ოღონდ მას ოსმალთა წინააღმდეგ ებრძოლა. მაგრამ უზუნ-ჰასანის სიკვდილთან ერთად ვენეტიკელი პოლიტიკოსების ოსმალებზე გამარჯვების იმედებსაც სამუდამოდ ბოლო მოეღო, რათგან მის შემდგომ ოსმალთა ღირსეული მოწინააღმდეგე არა ჩანდა.

ჰასანის სიკვდილის შემდგომ

მამის შემდგომ სპარსეთის ტახტზე თუმცა ჰასანის შვილი ხალილი ავიდა, მაგრამ მას კიდევ სამი ძმა ჰყავდა და მემკვიდრეობის გამო სპარსეთში ჩვეულებრივი ძმათაშორის ბრძოლა და სისხლის ღვრა გაჩაღდა. **ხალილს კონსტანტინე ბატონიშვილი და მზეჭაბუკი საქართველოში გამოუსტუმრებია "შეწყალებული"[726].** რა გვარს შეწყალებას ჰგულისხმობს ამ ცნობის ავტორი, არა ჩანს, **მხოლოდ ხალილიაღუბ შორის სამეფო ტახტის გამო დაწყებული ბრძოლით სპარსეთში ამტყდარი არეულობის დროს "დააგდეს თათართა ტფლისი და სომხითი".** ამ გარემოებით ისარგებლა და "**დაიჭირა მეფემან ბაგრატ" საქართველოს დედაქალაქი და ჩვენი ქვეყნის სამხრეთის კარი[727].** მაგრამ ამის შემდეგ დიდხანს აღარც ბაგრატ მეფეს უცოცხლია და ტახტზე კონსტანტინე დამჯდარა მეფედ.

---

[724] **ჯიოვან ანჯიოლელლო,** იქვე, II,70.
[725] დამატ. 894.
[726] ქ˜ცის შევს.-გადაკ. გაგრძ. დამატ. 895.
[727] ქ˜ცის შევს.-გადაკ. გაგრძ. დამატ. 894.

უკანასკნელი მცდელობა წინანდელი მდგომარეობის აღსადგენად

1. ბიოგრაფიული ცნობები კონსტანტინე მეფისა და მისი ოჯახის წევრთა შესახებ

კონსტანტინეს მამისშვილობა და გამეფების თარიღი

კონსტანტინე მეფის სამეფო ტახტზე ასვლის თარიღი ქ˜ცის მეორე გაგრძელებაშია მოყვანილი. იქ ნათქვამია "ქ˜კა რჲვ (166) დაჯდა მეფე კონსტანტინე"[728].

ამგვარი ცნობა ერთ კინკლოსშიცაა, სადაც წერია: "ქ˜სა რჲვ: კოსტანტინე დაჯდა მეფედ"[729]. ქ˜ცის პირველს შევსებულ-გადაკეთებულს გაგრძელებაში უფრო ვრცელი ცნობაა და კონსტანტინეს მამისშვილობაც არის მოხსენებული. "ქ˜კსა: რჲვ: მეფედ ალექსანდრე მეფის ძის დიმიტრის შვილი კოსტანტინე"-ო[730]. მაშასადამე, გამეფების წლად 1478 წ. აღნიშნული.

ქ˜ცის იმ გაგრძელებას, რომელიც ვახტანგსეული საისტორიო კომისიის მიერ არის შედგენილი, სულ სხვა ცნობა აქვს: "შემდგომად გარდაცვალებისა **ბაგრატისა** დაჯდა მის წილად **ძე მისი კოსტანტილე** ქრისტეს აქათ: ჩუჲა" (1461) და მხოლოდ არშიაზე სწერია უცნობი პირის შენიშვნა: "ეს გიორგი მეფის ძე იყო და არა ბაგრატისი"-ო[731].

ბატონიშვილს ვახუშტსაც ეს ამბავი სულ სხვანაირად აქვს წარმოდგენილი: მამისშვილობითაცა და თარიღითაც მისი ცნობა ყველა ზემომოყვანილისაგან ძალიან განსხვავდება. ის ამბობს: "ქ˜ს ჩუჲთ (1469) ქრ. რნზ, ინდიქტიონსა ბ შემდგომად მეფისა გიორგისა დაჯდა ძე მისი კოსტანტინე"-ო[732].

მაშასადამე. წყაროებსა და ავტორთა შორის ამ საკითხი შესახებ თვალსაჩინო შეუთანხმებლობაა, კონსტანტინეს როგორც გამეფების თარიღის განსაზღვრისა, ისევე მამისშვილობის დასახელების დროს.

ცნობების წინააღმდეგობა და საბუთები

---

[728] პარიზ. ქ˜კა, 6.
[729] ქ˜კბი II, 298.
[730] დამატ., 895.
[731] **მ. ჯანაშვილის** გამ., 38.
[732] ისტ. **ჭიჭინაძე, 16.**

გამეფების თარიღად 1461 წ., 1469 წ. და 1478 წელია დადებული. რომელი მათგანი უნდა ჩაითვალოს ნამდვილ თარიღად? რაკი ვახტანგისეულ საისტორიო კომისიის ქ˜ცის გაგრძელება და ბატონიშვილი ვახუშტის თხზულება წყაროების მიხედვით შედგენილი საისტორიო ნაწარმოებია, ქ˜ცის გადაკეთებული გაგრძელებანი კი გამოკრებული ნაშრომებია და ყველა ზემოხსენებული დედაწყაროების მაგიერობას ვერ გაგვიწევენ, ამიტომ ჩვენი საკითხის გამოსარკვევად ერთად-ერთი სანდო და გამოსადეგი გზა ისევ თვით კონსტანტინე მეფის სიგელ-გუჯრების შესწავლაა.

თავის 1487 წ. "ბრძანება"-ში კონსტანტინე თავის თავზე ამბობს: "**ჩუენ იესიან დავითიან სოლომონიანმა... ღ˜** თივ გჯირგჯნოსანმან და ღთისაგან შეწყალებულმან პატივუემულმან **მეფეთა-მეფემან კოსტანტინე** და თანამეცხედრემან ჩუენმან დედოფალთა დედოფალმან თამარ და ძეთა ჩუენთა პირმშომან დავით, გიორგი და ბაგრატ" ეს სიგელი გიბოძეთ, რომელიც დაიწერა "**ინდიქტიონსა მეფობისა ჩუენისა** მეათესა. ქ˜კს: როე (175): ჴელითა მდივნისა ჩუენისა თუმანიშვილის ზაქარიასითა"-ო[733].

1488 წ. მცხეთისადმი ბოძებულს გუჯარში კი კონსტანტინე თავის თავზე შემდეგს ცნობებს გვაწვდის: ჩვენ "**განმაერთებელმან ლიხთიმერისა და ლიხთამერისამან, ორისავე სამეფოსამან მტკიცედ და შეურყეველად პყრობელმან აფხაზთა და ქართველთა მეფეთა-მეფემან კოსტანტინე** და პირმშომან ძემან ჩუენმან პატრონმან მეფემან დავით, გიორგი და ბაგრატ"[734] ეს გუჯარი გიბოძეთ, დაწერილი "**ინდიქტიონსა მეფობისა ჩუენისა მეათესა** ქ˜კსა: როვ (176) ჴელი [თა]... კარისა ჩუენისა მდივანმწიგნობრისა ფახრიშვილისა ანდრონიკესათა"[735].

1492 წ. მცხეთისათვის ნაბოძებს სიგელში სწერია: "**მეფეთა-მეფისა კოსტანტინესგან და თანამეცხედრისა** ჩუენისა **დედოფალთ-დედოფლისა თამარისაგან და ძეთა** ჩუენთა დავით, გიორგი და **ბაგრატისაგან** ნებითა და შეწევნითა ღ˜თისათა **აფხაზთა და ქართველთა,** კახთა, რანთა და სომეხთა მეფისა, შანშა და შირვანშა და ყოვლისა საქართველოსა და ჩრდილოეთისა აღმოსავლით ვიდრე დასავალამდე თუით ჴელმწიფედ ფლობით მპყრობილმქონებელმან" ეს სიგელი მოგეცით "**ინდიქტიონსა მეფობისა ჩუენისასა მეათხუთმეტესა.** ქ˜კსა: რპ (180)"-ო[736].

გამეფების თარიღი

ამგვარად, 1487 წ. კონსტანტინეს მეფობის მე-10 ინდიქტიონი იყო, 1488 წელსაც– მე-10 და 1492 წ.–მე-15. **ამ შედარებითი წესწავლითგან ნათლად ჩანს, რომ კონსტანტინე 1478 წ. გამეფებულა. მხოლოდ ქვათახევის მონასტრის 1477 წ. ერთს შეწირულობის წიგნში კონსტანტინე უკვე** მეფედ იხსენიება.[737]. ამიტომ თითქოს ისე გამოდის რომ იგი 1477 წელს დამჯდარა[738] და არა 1478 წ. **მაგრამ ეს კონსტანტინე მეფის 1477 წ. ტახტზე**

---

[733] ქ˜კბი II, 305-306.

[734] გვ. 5.

[735] ქ˜კბი II, 306 და **ს. კაკაბაძე,** სიგ. ქ˜ლის მეფე კოსტანტინესი, 1488 წ. ტფ. 1913 წ., გვ. 5 და 7-8.

[736] ქ˜კბი II, 309-310 და ისტ. საბ. III, 41-42.

[737] ისტ. საბ. II, 21.

[738] **ე. თაყაიშვილის** საქ. სიძვ-ში გამოცემული აქვს 1466 წ. "პიტაკი", რომელსაც თვით დაზიანებული აქვს, ხოლო ამ საბუთის პირში სწორია "მეფემან კონსტანტინემან ხელმან (sic!?) ჩვენმან გულაშარ"

ასვლის თარიღი ბევრს ეჭვს და წინააღმდეგობას იწვევს. იგი რომ უტყუარ ჭეშმარიტებად მივიჩნიოთ, მაშინ უნდა ვითიქროთ, რომ უკვე უზუნ-ჰასანის საქართველოში შემოსევისა და მაინცდამაინც მისი სიცოცხლის დროს კონსტანტინე გამეფებული ყოფილა. ჩვენ კი ზემოდასახელებულ **თანამედროვე და თანადამხვდური იტალიელი მოგზაურებისაგან დანამდვილებით ვიცით, რომ უზუნ-ჰასანის საქართველოში შემოსევის დროს მათ მეფედ ბაგრატი დახვედრიათ და მასთანვე დაუდვია ზავის პირობა სპარსეთის მბრძანებელს, როდესაც ის საქართველოთგან გასულა.** ამასთანავე თუ ჩვენ წარმოვიდგენთ, რომ კონსტანტინე მართლაც 1477 წ. გამეფდა, მაშინ მთლად ირღვევა ყველა იმ ცნობების ქსელი, რომელიც ქ˜ცის შევს.-გად. მეორე გაგრძელებაშია, რომ კონსტანტინე ჰასანის შვილმა ხალილმა გამოისტუმრა "შეწყალებული", რომ ბაგრატ მეფემ ამ დროს თბილისი და სომხითი დაიბრუნა. მაგრამ იქნებ ქ˜ცის შევს.-გად. მეორე გაგრძელების ვითარცა მერმინდელ, გვიან შედგენილი და სხვადასხვა წყაროებითგან გამოკრებილი ძეგლის ამ ცნობებს მაინც არ უნდა ენდოს ადამიანი და იქნებ კონსტანტინე იმავე 1477 წ. უზუნ-ჰასანთან მივიდა სპარსეთში, ბაგრატ მეფის წინააღმდეგ დაიწყო მოქმედება და უზუნ-ჰასანისაგან და არა ხალილისგან იმავე 1477 წელს მეფედ "შეწყალებული" საქართველოში დაბრუნდა? სანამ ამ აზრს დავადგებოდეთ, უნდა დარწმუნებული ვიყოთ. რომ 1477 წ. ქვათახევის მონასტრის სიგელი უტყუარია და ნუსხა-დედანია და არა პირი, რომ მის ცნობა სრულს ჭეშმარიტებას შეიცავს. ჩვენ კი ამის შესახებ ვიცით მხოლოდ, რომ საბუთი "ტყავზეა" დაწერილი "მქრალად ლამაზი ხელით"[739] და თარიღი ნაწილი რიცხვითი ნიშნით, ნაწილი მთლიანად სწერია: "დაიწერა: ქ˜კნს: რ: სამოცდა ხუთსა:"[740]. ხოლო თვით ძეგლი და, მაშასადამე, ტექსტიც ნუსხა–დედნად უნდა იყოს მიჩნეული, თუ შეიძლება იმდროინდელი, ან მერმინდელი პირი იყოს, არა ჩანს. ასეთს პირობებში საკითხის უეჭველობით გადაჭრა შეუძლებელია და უპირატესობა ჯერჯერობით მაინც 1478 წ. უნდა მიეცეს.

კონსტანტინეს მამისშვილობა

კონსტანტინე მეფის მამისშვილობის საკითხის გამოსარკვევად გადამწყვეტი მნიშვნელობა თვით ამავე მეფის ზაქარია ჯავახიშვილისადმი 1466 წ. ბოძებულს წყალობის წიგნსა აქვს, რომელშიაც იგი გიორგი მეფეს თავის ბიძად იხსენიებს: **"ბიძასა ჩვენსა მეფესა გიორგის** უღალატა" ყუარყუარემაო[741]. **მაშასადამე, ცხადია,** რომ ბატონიშვილის ვახუშტის ცნობა, ვითომც კონსტანტინე გიორგი მეფის შვილი ყოფილიყოს, მცდარია: **კონსტანტინე გიორგი მეფის ძმისწული ყოფილა.** გიორგი მეფე დიდი ალექსანდრე მეფის შვილი იყო, რომელსაც გიორგის გარდა შვილად დავითი,

---

გიწყალობეთო (იხ. II, 20). რაკი სხვა წყაროებითგან ვიცით, რომ ამ დროს მეფედ ბგრატი იჯდა, ამიტომ საფიქრებელია, რომ ან დედნის ტექსტი გადამწერს შეცდომით აღუდგენია და კონსტანტინე მეფედ უქცევია, ან ჯერ კიდევ იმ ჟამშია დაწერილი, როდესაც ბრძოლის შედეგი საბოლოოდ გამორკვეული არ იყო და გიორგი მეფეთა-მეფის დატყვევების შემდგომ კონსტანტინეს თავისი თავი მეფედ ჩაუთვლია.

[739] ისტ. საბ. II, 20.

[740] იქვე, 21.

[741] ს˜ქლს სძ˜ვლნი II, 20.

ვახტანგი და დიმიტრი ჰყავდა. ხოლო რაკი დავითი პატარაობითგანვე ბერად იყო შეყენებული, ამიტომ კონსტანტინე უნდა ან ვახტანგისა, ან დიმიტრის შვილი ყოფილიყო. ამ უკანასკნელი საკითხის გადასაწყვეტად კი, თუ რომელი მათგანის შვილი იყო მეფე კონსტანტინე, ერთი საბოლოოდ გადამჭრელი ცნობა არის შენახული ქვათახევის მონასტრის 1477 წლის სიგელში, რომელშიაც ნათქვამია: ვიყიდე მამული "კითხვითა და ბრძანებითა **დიმიტრის ძისა მეფისა კონსტანტინესითა"**-ო[742]. მაშასადამე, ქ˜ცის შევსებულ-გადაკეთებული პირველი გაგრძელება მართალი იყო და **კონსტანტინე მეფე** სწორედ **დიმიტრის შვილი ყოფილა.**

კონსტანტინეს თანამეცხედრე და შვილები

კონსტანტინე მეფის 1487, 1488 და 1492 წლის სიგელებითგან, რომელთა ამონაწერები ზემოთ უკვე მოყვანილი გვქონდა, ირკვევა, რომ მისს **თანამეცხედრეს დედოფალთა-დედოფალს თამარი რქმევია,** ხოლო **ვაჟიშვილი სამი ჰყოლია: დავით, გიორგი და ბაგრატი,** მათგან **დავითი "პირმშო" ძე ყოფილა.** მხოლოდ აღბუღა ფანიაშვილისათვის 1491 წ. ნაბოძებს წყალობის წიგნში სამის მაგიერ ოთხი შვილია მოხსენებული. იქ სახელდობრ ნათქვამია: "მეფეთ-მეფისა კონსტანტინესაგან და ძეთა ჩუენთა დავით, გიორგი, ბაგრატ და **დიმიტრისაგან...** აფხაზთა და ქართველთა, კახთა, რანთა და სომეხთა მეფისა, შანშა და შირვანშა და ყოვლისა ჩრდილოეთისა და საქართველოსა მტკიცედ-ჴელმწიფედ მპყრობელ-მქონებელთასა"[743]. რაკი 1492 წ. ეს მეოთხე შვილი დიმიტრი უკვე აღარა ჩანს და კონსტანტინე მეფის ისევ სამი ძე არის მოხსენებული[744], ამიტომ საფიქრებელია, რომ მეოთხე შვილი მეფეს მოჰკვდომია.

საყურადღებო ცნობაა კონსტანტინე მეფის მცხეთის საკათალიკოსო საყდრისათვის 1488 წელს ნაბოძებს სიგელში მოხსენიებული, რომელშიაც თვით კონსტანტინე მეფე თავისი პირმშო ძეს მეფეს უწოდებს და ამბობს: "პირმშომან ძემან ჩუენმან **პატრონმან მეფემან** დავით"-ო[745]. ამ დროს, 1488 წ.-ს ის უკვე დაქორწიებული, ახალ ჯვარდაწერილი ყოფილა და ცოლად ბარათაშვილის ასული ჰყოლია. "სოფლისა ვითარებისაგან ცოდვისა საქმე შეესწრა"-ო, ნათქვამია ზემოაღნიშნულს სიგელში, "ჩვენი შვილი დავით და უხუედრი ბარათაშვილის ასული შეირთო"-ო[746]. საგულისხმო ის არის, რომ დავითი მხოლოდ ამ ერთს მამის სიგალში იხსენიება მეფედ: არც წინათ, მაგ., 1487 წ., არც შემდეგ, მაგ., 1491 და 1392 წ., ის უკვე მეფედ არ იწოდება. ჯერ კიდევ გამოსარკვევია (და მომავალში ამ საკითხს უნდა ყურადცება მიექცეს), შეიძლება თუ არა ეს გარემოება ისე გავიგოთ, რომ დავითმა 1488 წ. მიიღო მეფობა და შემდეგში მაგ., 1491 და 1492 წ. სამეფო ტახტი დაკარგა, თუ ამ გარემოებას სხვა რაიმე მიზეზი ჰქონდა?

კონსტანტინე მეფის წოდებულება

---

[742] ისტ. საბ. II, 21.

[743] ს˜ქლს სძ˜ვლენი III, 475.

[744] ისტ. საბ. III, 41.

[745] ქ˜კბი II 306 და **ს. კაკაბაძე,** "სიგელი ქართ. მეფე კონსტანტინესი", 5.

[746] იქვე, ქ˜კბი II, 306 და **ს. კაკაბაძე,** 6.

კონსტანტინე მეფეც თავის წინაპრებივით, რომელთაც საამისო უფლებაც ჰქონდათ და საკუთარი ღვაწლითა თუ მემკვიდრეობით მოიპოვეს, თავის თავს ყველა საბუთებში მეფეთ-მეფეს უწოდებს. მისი თანამეცხედრეც ყოველთვის დედოფალთ-დედოფლად იხსენიება. ამას გარდა კონსტანტინე წინა მოსაყდრეებივით 1488 წ. თავის თავზე ამბობს, ჩვენ "**გამაერთიანებელმა ლიხთიმერისა და ლიხთამერისამან ორისავე სამეფოსამან მტკიცედ და შეურყევლად მპყრობელმან"-ო**[747]**.** მეფური წოდებულებაც თავის წინაპრებთან შედარებით მას ოდნავადაც არ შეუცვლია: ისიც "აფხაზთა და ქართველთა, კახთა, რანთა და სომეხთა მეფე, შანშა და შირვანშა" არის[748].

მომავალში იმედია გამოირკვევა, თუ რა მიზეზი უნდა იყოს, რომ კონსტანტინე მეფე 1491 წ. და 1492 წ. სიგელებში წინანდებულად, როგორც მაგ., 1488 წ., უკვე თავის თავს ლიხთიმერისა და ლიხთამერის გამაერთიანებლად და ორისავე ტახტის მპყრობელად აღარ იხსენიებს, არამედ მხოლოდ "ყოვლისა ჩრდილოეთისა და საქართველოსა მტკიცედ ჴელმწიფედ მპყრობელ-მქონებელ"-ად[749], ან "ყოვლისა საქართველოისა და ჩრდილოეთისა აღმოსავლით ვიდრე დასავალადმდე თუით-ჴედმწიფედ მფლობელ-მპყრობელ-მქონებელ"-ად[750],-ის, რომ ასეთი მაღალხმიანი სამკაული უკვე ოდნავადაც ცხოვრების სინამდვილეს აღარ შეეფერებოდა, თუ აქ შემთხვევით, მხოლოდ დიპლომატიკის სფეროს გარემოებასთან გვაქვს საქმე? ძველებური მეფის წოდებულება თითქოს ამ უკანაკნელ აზრს უფრო ამართლებს.

კონსტანტინეს გამეფების გარემოება

აქ თავისთავად იბადება საკითხი, თუ როგორ მოხდა, რომ ბაგრატის შემდგომ სამეფო ტახტზე მისი შვილი კი არ ასულა, არამედ კონსტანტინე? სამწუხაროდ წყაროების უქონლობის გამო ჰიპოთეზის გარდა დანამდვილებით ამის შესახებ არაფრის თქმა არ შეიძლება. საფიქრებბელია, რომ ბაგრატის სიკვდილის უმალ ბატონიშვილს კონსტანტინეს მარჯვე შემთხვევით უსარგებლია და აღმოსავლეთ საქართველოში სამეფო ტახტი დაუპყრია და აქედგან დასავლეთ საქართველოზეც მოუხერხებია თავისი ხელისუფლების გავრცელება. ამგვარად, ის ორისავე ტახტისა მპყრობელობისა და საქართველოს მთლიანობის პოლიტიკის მიმდევარი უნდა ყოფილიყო.

უეჭველია ბაგრატ მეფის ძე ალექსანდრე ბატონიშვილიც ამ შემთხვეულობის გულხელდაკრებილი მაყურებელი არ იქმნებოდა და მეფე კონსტანტინესა და ალექსანდრეს შორის ბრძოლა მოხდებრდა, მაგრამ არც ქართულ წყაროებში და არც უცხოურში ამაზე ჯერჯერობით არავითარი ცნობნები არ ჩანს. მხოლოდ ვახუშტს აქვს ორიოდე წინადადებით აღწერილი ამ ორ პირთა შორის მომხდარი ბრძოლა ლიხთიმერეთის გამო, რაზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი. ცნობათა უქონლობის გამო ბევრი რამე ჯერჯერობით სრულებით გამოურკვეველი რჩება და მომავლისათვის უნდა გადაიდოს.

---

[747] ქ˜კბი II, 306, **ს. კაკაბაძე,** სიგელი ქ˜ლის მეფის კონსტანტინესი, 1488 წ., გვ.8.

[748] 1491 წ. სიგ.: სქ˜ს სძ˜ვლნი, III, 475 და 1492 წ. სიგ.: ქ˜კბი II, 309-310 და ისტ. საბ. III, 41-42.

[749] 1491 წ. სიგ. **ფანიაშვილისა :** ს˜ქს ს˜ძვლნი, III, 475.

[750] 1492 წ. მცხეთის № 480 სიგ.: ისტ. საბ. III, 41.

კახთა მეფე ალექსანდრე და მისი სახლობა

კონსტანტინე მეფის თანამედროვე იყო კახთა მეფე ალექსანდრე, რომელიც როგორც დავრწმუნდით, გიორგი მეფეთა-მეფის ძე იყო. სამეფო ტახტზე ალექსანდრე 1476 წელს ასულა, რათგან 1479 წელს 23 და 24 იანვარს დაწერილს ორს სიგელში მისი მეფობის უკვე სამი ინდიქტიონი ყოფილა[751]. 1479 წელსაც და 1503 წელსაც მისი დედა **"დედუფალთ-დედუფალი"** ნესტან–დარეჯანი ჯერ კიდევ ცოცხალი ყოფილა და საბუთებში მოხსენებულია[752].

ალექსანდრე კახთა ბატნის თანამეცხედრეს ანა ერქვა, რომლისაგან ალექსანდრეს ორი შვილი ჰყოლია, გიორგი და დიმიტრი. რაკი არც დავით გარეჯის 1479 წ. გუჯარში და არც იმავე წლის მცხეთის სიგელში ალექსანდრეს და ანას შვილები არ იხსენებიან, ამიტომ საფიქრებელია, რომ ისინი ჯერ ან დაბადებული არ იყვნენ, ან პატარები უნდა ყოფილიყვნენ. 1503 წ. სიგელში ალექსანდრე მეფე თავის ორსავე შვილს, გიორგისა და დიმიტრის, იხსენიებს[753], ხოლო 1505 წლის სიგლითგანა ჩანს, რომ მათგან გიორგი "პირმშო ძე" ყოფილა[754].

დამახასიათებელია, რომ კახთა ბატონი ალექსანდრე თავის თავზე 1505 წლის სიგელში ამბობს: "ნებითა ღ˜თისათა **აფხაზთა, ქართველთა, რანთა და კახთა და სომეხთა მეფისა, შაჰანშა და შაჰრვანშა (sic) და ყოვლისა საქართველოსა და ჩრდილოეთისა აღმოსავლეთით ვიდრე დასავლეთამდე თუითჴელმწიფედ ფლობით მპყრობელ-მქონებელისა ნათესავმან მეფემან** ალექსანდრე"-ო[755], ამასთანავე ოთხსავე, 1479, 1503 და 1505 წლების ჩვენამდე მიღწეულს სიგელში **ალექსანდრე თავის თავს მარტივად მხოლოდ მეფედ იხსენიებს და არც ერთში მას თავის თავისთვის მეფეთ-მეფის წოდებულება არ უხმარია[756].**

ბატონიშვილი ვახუშტის წყაროაღუნიშვნელი ცნობით კახთ ბატონი "ალექსანდრე იყო მშვენიერი, ჰაეროვანი, მოისარ-მოასპარეზე საჩინო და უებრო, კეთილ-უბოროტო, მოწყალე, მშვიდი და მდაბალი"[757]. მაგრამ ჩვენი სახელოვანი ისტორიკოსის ის სიტყვამვირობა, რომელიც ალექსანდრეს მეფობის შესახებს მის მოთხრობას ასე ცხადად ემჩნევა, გვაფიქრებინებს, რომ კახთა ბატონის ზემოჩამოთვლილ ღირსებათა უხვი შემკულობის დამამტკიცებელი ნიშანდობლივი

---

[751] ქ˜კბი II, 300 და 301.
[752] იქვე, 300, 301 და 319.
[753] იქვე, 319.
[754] ისტ. საბ. III, 42. ქ˜კბი II, 325.
[755] ისტ. საბ. III, 42. .
[756] იხ. ქ˜კბი II, 300, 301, 319, 325, ისტ. საბ. III, 42.
[757] **ვახუშტი,** ისტ. **ჭიჭინაძე,** 159.

ცნობები არც მას უნდა ჰქონოდა ხელთ, არამედ ზეპირსიტყვაობაზე უნდა იყოს დამყარებული.

ვახუშტისავე სიტყვით ალექსანდრე კახთა მეფე კონსტანტინე მეფეს დაჰზავებია და საზავო ხელშეკრულებაში ქართლისა და კახეთის საზღვრებიც განუსაზღვრავთ[758]. როგორი თვისებისა იყო ეს ხელშეკრულება და რანაირი უფლებრივი ურთიერთობა იყო ამ საბუთით დამყარებული, არა ვიცით რა. მხოლოდ ის გარემოება, რომ კახთ-ბატონი თავის თავს საბუთებში მარტივად მეფეს და არა მეფეთა-მეფეს უწოდებდა, როგორც კონსტანტინე მეფე იყო ჩვეული, გვაფიქრებინებს, რომ თითქოს კახთა მეფე საქართველოში უფროსობას არ ჩემულობდა და ამით კონსტანტინე მეფის პირველობას უცილობლად სცნობდა. ჯერჯერობით ძნელი სათქმელია, ეს გარემოება ზემოაღნიშნული დაზავება ხელშეკრულების ერთ-ერთი პირობის შედეგია, თუ მხოლოდ ცხოვრების სინამდვილით ნაკარნახევი ნაბიჯი?

ალექსანდრე ბაგრატის ძის მცდელობა იმერეთში გასამეფებლად. კონსტანტინე მეფის გამარჯვება

კონსტანტინე მეფის მეორე თანამედროვედ ბაგრატ მეფის ძე ალექსანდრე იყო. მისი იმერეთში გამეფების შესახებ ბატონიშვილს ვახუშტს ნათქვამი აქვს, რომ თავისი მამის სიკვდილის შემდგომ მეფედ დაჯდა და უკვე კურთხევასაც აპირებდა, ისე რომ მოუწოდა "დადიან-გურიელსა, შარვაშიძეს და გელოვანს". მაგრამ არც ერთს მათგანს ალექსანდრესთან მოსვლა არ უნებებიათ. კონსტანტინე მეფემ, ასეთი ურჩობის ამბავის შეტყობის უმალ, იფიქრა რომ საქართველოს გაერთიანებისათვის მარჯვე დრო დაუდგა: საჩქაროდ ჯარი შეაგროვა, თანაც "ეზრახა დადიანსა" და შეუთანხმდა და 1479 წ[759]. იმერეთს ჩავიდა, სადაც, მას "მიერთნენ ყოველანი იმერნი, ვინათგან დადიანსა მისცა პირი მტკიცე". ასეთს გარემოებაში ალექსანდრეს არავითარი წინააღმდეგობის გაწევა არ შეეძლო და "წარვიდა სიმაგრეთა შინა". ხოლო კონსტანტინე მეფე იმერეთის მთავართა თანადგომით, განსაკუთრებით ბაგრატ მეფის მომდურავი დაიანის დახმარებით, იმერეთშიც გაბატონდა და მას "მისცეს ციხე ქუთათისა"-ო[760]. ამგვარად, ალექსანდრე ბატონიშვილის მცდელობა გასამეფებლად ამაო გამომდგარა, კონსტანტინე კი ორისა ტახტისა, ლიხთიმერისა და ლიხთამერის მეფეთა-მეფედ გამხდარა. ხოლო კონსტანტინე მეფე რომ დამარცხებულა ათაბაგთან ბრძოლაში, მარტო მაშინ და მის შემდგომ, 1484 წ[761]. ალექსანდრე ბატონიშვილმა ისარგებლა თურმე შემთხვევით, "შემოიკრიბა რაჭა, ლეჩხუმი" და მათი დახმარებით "მოვიდა და აღიღო ქუთათისი" და ეხლა კი უკვე მეფედაც ეკურთხა და "დაიპყრა იმერეთი"-ო[762].

1484 წ. ალექსანდრეს გამეფებას ერთი ჩხეიძის კინკლოსიც იხსენიებს[763]. მაგრამ ამაზე უფრო მეტი და გადამწყვეტი მნიშვნელობა, რასაკვირველია, გელათის მონასტრისადმი 1485 წ. ნაბოძებს ეტრატზე დაწერილს ალექსანდრე მეფის სიგელსა

---

[758] იქვე
[759] ქრ. ჩუოთ, ქრ. რ-ზ.
[760] **ვახუშტი, ისტ. ჭიჭინაძე, 283.**
[761] ქრ. ჩუ-ბ, ქრ. რ-ბ.
[762] **ვახუშტი,** ისტ. **ჭიჭინაძე, 283.**
[763] ქ˜კბი II, 303.

აქვს, რათგან ამ საბუთში ნათქვამია: "დაიწერა... **ინდიქტიონსა მეფობისა ჩ˜ნისასა მეათორმეტესა, ქორონიკონსა ასოთხმოცდა სამსა"-ო**[764]**.** თუ 1495 წ. ალექსანდრეს მეფობის მე-12 წელიწადი ყოფილა, მაშასადამე, ის მართლაც 1484 წ. გამეფებულა, როგორც ვახუშტის აქვს აღნიშნული. სამწუხაროდ ამავე მეფისა და იმავე მონასტრისადმი მეორე 1509 წ. ნაწყალობევი სიგელი სულ სხვანაირს ცნობას გვაძლევს. იქ ნათქვამია: დაიწერა "**ქორონიკონსა, ასოთხმოცდა ჩვიდმეტსა, ინდიქტიონსა მეფობისა ჩ˜ნისასა ათხუთმეტსა**"[765]. ამ უკანასკნელი ცნობის თანახმად ალექსანდრე ვითომც 1494 წ. უნდა გამეფებულიყოს. მაგრამ საფიქრებელია, რომ აქ ათი წლით შეცდომა იყოს თარიღში ან თვით დედანში, ან გადაწერის დროს.

ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, ალექსანდრე თავისი მამის ბაგრატ მეფის სიკვდილის უმალვე, ჯერ კიდევ 1478 წ. გამეფებას ცდილა, მაგრამ მეფობა ვერ შეუნარჩუნებია. პოლიტიკურადაც და ქრონოლოგიურადაც მთელი ეს ცნობა ბაგრატის სიკვდილის თარიღთან არის დაკავშირებული. **თ. ჟორდანია** ფიქრობდა, რომ "რათგან 1495 წელს ყოფილა მე-12 წელი ალექსანდრეს მეფობისა, ამის გამო ბაგრატის სიკვდილი და ალექსანდრეს გამეფება, წინააღმდეგ არსებულ ცნობათა, უნდა ყოფილიყო 1483 ან 1484 წ., რაიცა ეთანხმება ჟურულის გუჯარს, სადაც ბაგრატ II ცოცხლად ჩანს 1482 წ."-ო[766]. მაგრამ ჟურულიანთ სიგელის ცნობაზე ასეთი საკითხის გადაჭრის დროს დამყარება არ შეიძლება, რათგან სხვა სასისხლო სიგელებივით იგიც ნატყუარ საბუთად უნდა იყოს მიჩნეული, როგორც ეს საგანგებოდ გამორკვეული მაქვს "დიპლომატიკის" წიგნში (იხ. თავი, ნატყუარი საბუთები)[767]. ამგვარად, ის ლოგიკური კავშირი, რომელიც **თ. ჟორდანიას** აზრით ვითომც ბაგრატ მეფის გარდაცვალებასა და მისი ძის ალექსანდრეს 1484 წ. იმერეთში გამეფებას შორის უნდა ყოფილიყო, ირღვევა და ეს გარემოება ვახუშტის ზემომოყვანილს მოთხრობას თითქოს უფრო სანდოდა ხდის.

ალექსანდრე მეფის სახლობა

ალექსანდრე მეფის თანამეცხედრედ **დედოფალი თამარი** ყოფილა, რომელიც გელათის 1502 წ. და 1509 წ. სიგელებში იხსენიება[768].

ალექსანდრე მეფის 1509 წ. შეწირულების წიგნში ნათქვამი აქვს თავის "ძეთა" შესახებაც, მაგრამ მათგან მხოლოდ ერთს, ბაგრატს, იხსენიებს სახელდებით: "ჩვენ მეფეთა-მეფემა თამარ და **ძეთა ჩუენთა,** საყვარელმა, თქვენ შევედრებულმა ძისა თქვენისამან ბაგრატ"[769], ქ˜ცის შევსებულ-გადაკეთებულ პირველს გაგრძელებაში ბაგრატ ბატონიშვილის დაბადების თარიღიც კი მოიპოვება: "1495 წ. ქ˜კსა რპგ ბაგრატ დაიბადა ძე ალექსანდრესი თებერვალისა კგ-სა"[770]. ქ˜ცის შევს.-გად. მეორე გარძელებას

---

[764] იქვე, 311.

[765] **ს. კაკაბაძე,** დასავ. საქ. საბ. I, 4$_{7-8}$.

[766] ქ˜კბი II, 303.

[767] [**ივ. ჯავახიშვილი,** ქართული სიგელთა-მცოდნეობა ანუ დიპლომატიკა თბ., 1926, გვ 176-178, 185-187].

[768] ქ˜კბი II, 318-319 და **ს. კაკაბაძე,** დასავ. საქ. საბ., I, 3$_{10-11}$

[769] **ს. კაკაბაძე,** დასავ. საქ. საბ., I, 3$_{9-12}$.

[770] დამატ., 904.

თარიღად "ქ˜კნი: რპგ" ანუ 1505 წ. აქვს[771], რაც მატიანის ქრონოლოგიურს რიგსა და მიმდევნობასაც არღვევს და თავისთავადაც შეუსაბამოა და ცხად შეცდომად უნდა ჩაითვალოს, როგორც უკვე განსვ. **მ. ბროსემაც და თ. ჟორდანიამაც** შენიშნეს[772]. ბატონიშვილს ვახუშტსაც თარიღად 1495 წ. აქვს აღნიშნული. ამასთანავე, როგორც ალექსანდრე მეფის ზემომოყვანილ 1509 წ. სიგელის მიხედვით მოსალოდნელი იყო, რათგან იქ მეფეს ნათქვამი აქვს "ძეთა ჩვენთა"-ო, ვახუშტს ალექსანდრეს მეორე შვილიცა ჰყავს დასახელებული. ვახუშტს სახელდობრ უწერია: "უშვა ალექსანდრე მეფესა დედოფალმან თამარ ძე ბაგრატ ქ˜ს ჩუჟე (1495 წ.), ქრ. რპგ, შემდგომად ამისა უშვა ძე დავით"[773].

ბრძოლა კონსტანტინე მეფესა და ყუარყუარე ათაბაგს შორის არადეთთან

თუმცა კონსტანტინე მეფეს საქართველოში შექმნილი პოლიტიკური გარემოება თავში თითქოს სწყალობდა და იმიერ-ამიერ სახელმწიფო ტახტის მფლობელი შეიქმნა, მაგრამ შემდეგში და უკვე ცოტა ხნის შემდგომ მისმა ბედმაც უკუღმა იწყო ტრიალი. აქაც უმთავრესი მნიშვნელობა მესხეთის მთავრებსა ჰქონდათ. როგორი დამოკიდებულება სუფევდა მეფე-ათაბაგს შორის კონსტანტინეს გამეფებისთანავე, დანამდვილებით არ ვიცით, მხოლოდ ვგონებ მშიდობიანობა მაინც უნდა ყოფილიყო. მაგრამ ეს სიწყნარე ხანგრძლივი არ ყოფილა და 1483 წ. კვლავ ძმათა სისხლი დაღვრა. ამის შესახებ კინულოსებში მეტად მოკლედ არის მოჭრილი სიტყვა და ნათქვამია მარტო: 1483 წ., ქკ˜სა როა აქა მეფე კოსტანტინე და ყუარყუარე არადეთს შეიბნეს, ყუარყუარეს გაემარჯვა"-ო[774] ქ˜ცის ვახტანგისეული გაგრძელება წელიწადს, თვესა და რიცხვსაც უმატებს: "თვესა აგვისტოსა იბ"[775] ხოლო შევს.-გად. მეორე გაგრძელება ამ შემთხვეულობას იმავე თვესა, მაგრამ რიცხვად "აგვისტოს 16" სდებს[776]

ამ ბრძოლის მიზეზის შესახები ცნობები

რამ გამოიწვია ეს ბრძოლა, ძეგლებში ნათქვამი არ არის. ხოლო ქ˜ცის ვახტანგისეულსა და შევს.-გადაკ. პირველ გაგრძელებას სულ სხვადასხვა მიზეზი აქვს დასახელებული. ვახტანგისეულ "სწავლულ კაცთა" სიტყვით ყუარყუარე ათაბაგის ერთი ვაჭარი არეშში წასულა აბრეშუმის "სყიდვად". იქ მას ვიღაც არეშელ ვაჭართან ჩხუბი მოსვლია, ამ უკანასკნელს მესხი ვაჭრისათვის უცემნია კიდეც და აბრეშუმიც წაურთმევია, თანაც თურმე დაცინვით წაუძახნია: "წარვედ პატრონისა შენისადა და აუწყე ჭირი შენი და ესე არ მიყოს ბატონმა შენმა, დუქანი არ დამიქციოსო და ჩემს დუქანზედ ყურით არ მიმაკრასო". მიმძლავრებული და შეურაცხყოფილი ვაჭარი

---

[771] პარიზის ქრონიკა, **ჭიჭინაძე, 6.**
[772] Hist. de la G. I, 642 და ქ˜კბი II, 311.
[773] **ვახუშტი,** ისტ., 284.
[774] იკორთის № 6 ჟამნგულანი 5 და სხვანი. ქ˜კბი II, 302
[775] **მ. ჯანაშვილი,** 43
[776] პარიზ. ქ˜კა, **ჭიჭინაძე**, 6

ათაბაგთან მისულა და შეუჩივლია. განრისხებულმა ყარყუარემ "ხუთასითა რჩეულითა სპითა გარდმოვლო ფარავანი ჩამოვლო დმანისი", სადაც "უმასპინძლეს ორბელიანთა". შემდეგ აქეთგან "წარვიდა, ჩამოვლო ხუნანი, განვიდა მტკუარსა და მივიდა არეშს, მიიძღვნა (შეურაცხყოფილი) ვაჭარი სახლსა მის არეშელისა ვაჭრისსა, შეუხდუნნა კაცნი. გამოიყუანეს კაცი იგი და მიიყუანეს თავის დუქანზედა და ყურითა მიაჭედეს და წიხლიც უკრა დუქანსა და ეგრეთვე უყო, როგორც მას ეთქვა და აბრეშუმიც გამოატანინა ვაჭარსა[777]. ამგვარი შურისძიების შემდეგ ყუაყუარე ათაბაგი შინისაკენ გამოემგზავრა, გზად "შემოვლო კახეთი და შემოიარა ყარაიაზედა, შეულო მცხეთაზედა და მივიდა შიდა ქართლსა"[778]. აქ კი მას გზა გადაუღობეს შიდა ქართლელებმა. კონსტანტინე მეფემ ყუაყუარე ათაბაგის არც არეშში გალაშქრების და არც უკან გამობრუნების ამბავი არ იცოდა და ამიტომ მეფის "უდასტუროდ" გაშვება ვერ გაბედესო. ყუარყუარესათვის გზის გადაღობვის გულმოდგინე მომხრენი ყოფილან "ციციშვილნი და უფროსად ზაზა ციციშვილი თაობდა", რომელთაც ათაბაგს გადაჭრით აუწყეს "გაუშვებლობა". ყუარყუარემ მოციქულის პირით შემოუთვალა: "მე თქვენს მამულში არა წამიხდენია-რაო. ჩვენსა და თქვენსა მტრობა ხომ არ არის რაო, ძმობისა და მეზობლობის მეტი თქვენთან საქმე არა მაქვს რაო. ჩემს მტერს პასუხი უყავ და ჩემს გზაზე მივალო. თქვენ რა სამართლით მიდგებით წინაო?" ციციშვილებმა და მათმა მომხრეებმა ამას ყურადღება არ მიაქციეს და ამიტომ "იქმნა ბრძოლა ძლიერი ქრისტეს აქათ: ჩუპდ (1484წ.): თვესა აგვისტოსა იბ არადეთს". სასტიკი და სისხლისმღვრელი ბრძოლის დროს "შალიკაშვილი, რომელი იჯდა ურასა კვიცსა ზედა" და მაჩაბელი ერთმანეთს შეხვდნენ და შეეჩეხნენ "შემოსცა შუბი შალიკაშვილმა და გაუხეთქა კუბო ფარისა და განვლო მხარსა შიგან და გარდმოაგდო ცხენიდამა, შეუძახა ესრეთ "აწყურისა ღვთისმშობლის მადლმა, თუ ურას კვიცს არა ვმჯდარიყავ, შიგ გაგაგდებინებდიო". მაშინ წარმოიჩოქა მაჩაბელმა, გაიკრა ხმალსა ხელი, შემოუკრა ცხენსა, ცხენს თავი გაუგდებინა და ტახტზედ დაასო, და შესძახა მაჩაბელმა "სპარსმა წმიდა გიორგიმა, თუ გარდმოგდებული არ ვყოფილიყავ, შუა გაგკვეთდიო". ამგვარი ორთავემხრივ გულადობისდა მიუხედავად, მაინც "სძლო ათაბაგმან ამისთვის, რომ არას ემართლებოდნენ და სამართალი მისი სჯობდა"-ო[779].

ვახუშტის ცნობა

ბატონიშვილს ვახუშტს არადეთის ბრძოლის როგორც საბაბი, ისევე ამბავი ქ˜ცის გაგრძელების მსგავსადვე აქვს მოთხრობილი, მხოლოდ აქა-იქ ისეთი ცნობებიცაა ჩართული, რომელიც ქ˜ცის გაგრძელებაში არ მოიპოვება. ეს გარემოება ცხადჰყოფს, რომ სახელოვანს მეცნიერს ამ შემთხვევაში პირდაპირ ქ˜ცის გაგრძელებით კი არ უსარგებლია, არამედ მხოლოდ იმგვარივე წყაროთი, რომელზედაც ქ˜ცის გაგრძელების შემდგენელთ თავიანთი მოთხრობა დაუმყარებიათ. ვახუშტის აღწერილობას თვალსაჩინო განსხვავება განსაკუთრებით თვით ბრძოლის წინა და მერმინდელი გარემოების ამბებს ემჩნევა. მას სახელდობრ ყუარყუარეს ნათქვამი სხვანაირად აქვს

---

[777] **ჯანაშვილი,** 42.
[778] იქვე, 42-43.
[779] ქ˜ცა გაგრძ., **ჯანაშვილი,** გვ. 43.

გადმოცემული, მისი სიტყვით ყუარყუარეს თავის უზიანობის გარდა ისიც აღუნიშნავს, რომ "უმეტესად განვადიდე სახელი ქართველთა, ვინადგან უმტერე მტერსა. ამისთვის ჯერ არს თქვენდაც სიხარული, რამეთუ ვარ მკვიდრი და მონათესავე თქვენი"-ო. ვახუშტის ცნობით ციციშვილებსა დამ მათ მომხრე ქართველებს მესხეთის მთავართან მოსალაპარაკებლად მროველი ეპისკოპოსი გაუგზავნიათ, რომელსაც ათაბაგისთვის გადაჭრით გამოუცხადებია: "**ანუ მოვედ და მორჩილ ექმენ მეფესა ჩვენსა ვინადგან ხარ მკვიდრი, ანუ შეგიპყრობთ"-ო.** როდესაც ათაბაგმა ამაზე უარი უთხრა, მროველმა მოაგონა, "არა უწყი, რამეთუ ძალი ხნავს აღმართსა"-ო? ასეთი მკვახე სიტყვით ეს მოციქული ყუარყუარემ უკან გაისტუმრა და "მიაქცა ათაბაგმა მროველი ბრძოლისა პირსა ზედა"-ო. ამას არადეთთან ბრძოლაც მოჰყვა, რომელიც ქართლეთა დამარცხებით დამთავრებულა. მაშინ ათაბაგის მოლაშქრეებმა სხვათა შორის ეს მროველიც შეიპყრეს და გაბოროტებულებმა "დაიწყეს თრევა მეტყველთა "უკეთუ ხნავს ძალი აღმართსა, ნებამ დაფარცხოს თავდაღმართი"-ო. ასე იმიტომ მოეპყრნენ, რომ მან მღვდელმთავარმა მშვიდობიანობის ჩამოგდებას ხელი არ შეუწყოო[780]. ცხადია, ყველა ზემომოყვანილი ცნობები სახელოვანი ქართველი ისტორიკოსის შეთხზული არ იქმნება, არამედ მას იმავე წყაროთგან ეცოდინებოდა, საითგანაც ქ˜ცის გაგრძელების შემდგენელთ ამოუღიათ. საყურადღებო გარემოებაა, რომ **არც ქ˜ცის გაგრძელებაში, არც ვახუშტის აღწერილობაში, არც არადეთთან მომხდარ ბრძოლაში და არც მთელ ამ ამბავში კონსტანტინე მეფე მონაწილედ არ იხსენიება.** პირიქით, ქ˜ცის გაგრძელებაში ბოლოში დაძენილია: "ვითარ ესმა მეფესა კონსტანტინესა საქმე ესე, დაუმძიმდა დიდად", მაგრამ ვერა გააწყო რაო[781].

ქ˜ცის შევს.-გადაკ. გაგრძელების ცნობა

ქ˜ცის შევს.-გადაკ. პირველს გაგრძელებას ყუარყურე ათაბაგის შაქში გალაშქრების ამბავის შესახებ არაფერი აქვს ნათქვამი და აქ არადეთის ბრძოლის მიზეზედ სულ სხვა გარემოებაა დასახელებული. მთელი ეს ამბავი უზუნ-ჰასანის მიერ გატაცებულ აწყურის ღვთისმშობლის ხატის უკან დაბრუნების მოთხრობასთან არის დაკავშირებული და თითქოს რომელიღაც მაწყვერელი მემატიანის ნაწარმოებითგან უნდა იყოს ამოღებული. რაკი ბატონიშვილს ვახუშტს ამგვარი ცნობა, არ მოეპოვება, ცხადია, რომ მოთხრობა მესხური მატიანითგან არ უნდა იყოს გადმოწერილი.

ეს ქ˜ცის შევს-გადაკ. პირველს გაგრძელებაში შეტანილი მოთხრობა სასწაულებრივ-საარაკო ცნობებით არის უხვად შემკული. იქ ნათქვამია, რომ უზუნ-ჰასანის შემოსევის დროს აწყურის ღვთისმშობლის გატაცების შემდგომ, სპარსეთში "არცა შობა დედაკაცმან, არცა პირუტყვმან, არცა ჰყო ხემან ნაყოფი, არცა მიწამან აღმოაცენა"[782]. როდესაც სპარსელნი ამ საზარელი მოვლენის მიზეზის გამორკვევას შეუდგენენო, მიხვდნენ, რომ ყველაფერი ღვთის რისხვა იყო და გატაცებული ხატისაგან ემართებოდათ. ამიტომ ეს ხატი მოძებნეს და სამცხეში დაბრუნება

---

[780] **ვახუშტი,** ისტ. **ჭიჭინაძე,** 239-240.

[781] **ჯანაშვილი,** გვ. 44.

[782] დამატ., 896.

გადასწყვიტეს, იმ იმედით, რომ სახედარი, რომელზედაც ხატი აკიდებული იყო, გზას თვით გაიგნებდა და ვითომც სწორედ ასეც მომხდარიყოს[783].

შემდეგ ამ მოთხრობაზედვეა ხელოვნურად დაკავშირებული მეფე კონსტანტინესა და ყუარყუარეს შორის არადეთს მომხდარი ბრძოლის ამბავიც. ვითომ უზუნ-ჰასანის შემოსევისა და ხატის გატაცების უმალ "აღდგეს ყოველნი და შთავიდეს ქართლს და მწირობდენ მუნ შვილ წელ"[784]. ხოლო როცა მოესმათ ხატის "სასწაულითა მოსვლა", ვითომ მაშინვე "მესხთა ქართლს მყოფთა" სამშობლოში დაბრუნება გადაეწყვიტოთ. მეფე კონსტანტინე კი "აყენებდა და არა უტევებდა წარმოსვლად"-ო. ამიტომ მესხ ლტოლვილებს ვითომც ღამით გაპარვა ურჩევიათ. როცა "ესმა მეფესა, ვითარმედ მესხნი წარვიდეს, აღიმჴედრა ლაშქრითა თჳისთა და დევნა უყო... და მოეწივნეს **ადგილსა, რომელსა არადეთ ეწოდების.** ხოლო მესხნი მოუბრუნდეს სახელსა ზედა ყ˜დ წმიდისა აწყურისა ღ˜თს მშობელისასა და განეწყვნეს ურთიერთას და **შეიბნეს კონსტანტინე მეფე და ყუარყუარე ათაბაგი და მესხნი** ქ˜კს: როა (171=1483 წ.) **თთვესა აგვისტოს: იგ: ათაბაგსა და მესხთ გაემარჯვა"-ო[785].** დამარცხებული "მეფე ლტოლვილ მცირედითა მჴედრითა განერა და უკუნიქცა სახიდ თჳსად"[786].

ცნობათა კრიტიკული გარჩევა

თავისთავად იბადება საკითხი, რომელი ამ ორ მოთხრობათგანი უფრო მართალი უნდა იყოს, ან საზოგადოდ, რამდენად დასაჯერებელი და უტყუარია ორივე?

არადეთი, სადაც ციციანთ-ქართლელთა და ყუარყუარე-მესხთა შორის ანუ მეფე კონსტანტინესა და ათაბაგ ყუარყუარეს შორის ბრძოლა მომხდარა, ქართლში მდებარეობს მდ. ფრონის მარჯვენა ნაპირზე სწორედ იმ შარა გზაზედ, რომელიც ქართლითგან, გორითგან რუისით და საღოლაშენ – არადეთ-მოხის-ვაყით ბორჯომის ხეობაში მიდის.

ქ˜ცის შევს.-გადაკ. გაგრძელების მოთხრობა ისე უხვად არის დაუჯერებელი ამბებით შემკული, რომ თანამედროვე **მკითხველს უფრო არაკად ან თქმულებად ეჩვენება, ვიდრე ისტორიული მოვლენის აღწერილობად.** ზემომოყვანილ ცნობებს გარდა მრავალი დაუჯერებელი "სასწაულთმოქმედებაა" ბავშური გულუბრყვილობით ჩაქსოვილი ამ მოთხრობაში[787]. ამიტომ იგი უნებლიეთ უნდობლობას იწვევს და დაუჯერებელი არაკის შთაბეჭდილებას ახდენს.

ამ მოთხრობის კრიტიკული განხილვა ამ გრძნობასა და შთაბეჭდილებას უფრო აძლიერებს. სრულებით დაუჯერებელი რამეა, რომ მესხნი "ყოველნი" აწყურის ღვთისმშობლის ხატის წარტყვენვით შეწუხებულნი თავიანთ ადგილითგან აყრილიყვნენ და შვიდი წლის განმავლობაში ქართლში ყოფილიყვნენ ხიზნად. ამგვარადვე დაუჯერებელია, რომ ამდენი ხნის ქართლში გადმოსახლებულნი ამ ხატის დაბრუნების ამბავის გაგონებისთანავე აყრილიყვნენ სამშობლოში დასაბრუნებლად. გაუგებარია აგრეთვე, რატომ უნდა შეეშალა ხელი კონსტანტინე მეფეს დროებით

---

[783] იქვე.
[784] იქვე.894.
[785] იქვე, 897.
[786] იქვე.
[787] დამატ. 896-897.

შემოხიზნული მესხებისათვის თავიანთ ქვეყანაში წასვლისათვის? ყველა ამ საეჭვო გარემოებას შემდეგი მნიშვნელოვანი დაკვივებაც უნდა ზედ დაერთვას. **მთელს მოთხრობაში არსად ათაბაგი ყუარყუარე არა ჩანს. მხოლოდ ბოლოში სრულებით მოულოდნელად ნათქვამია,** რომ, როდესაც ჩუმად გაპარულ მესხთ კონსტანტინე მეფე დაედევნა და ლტოლვილნი და მდევარნი "განეწყვნეს ურთიერთს", მარტო აქა **ჩნდება საითგანღაც ყუარყუარე ათაბაგიც** და სწერია: "შეიბნეს კონსტანტინე მეფე და ყუარყუარე ათაბაგი და მესხნი" და ამ ბრძოლაში "ათაბაგსა და მესხთა გაემარჯვა"-ო[788].

რათგან სრულებით დაუჯერებელია, რომ ყუარყუარე ათაბაგიც შვიდი წლის განმავლობაში ქართლში კონსტანტინე მეფესთან შეხიზნული ყოფილიყოს, ამიტომ უნებლიეთ იბადება აზრი, რომ **არადეთის ბრძოლის კინკლოსური მოკლე ცნობა შემდეგში უნდა იყოს სრულებით ხელოვნურად და უშნოდ გადაბმულ-დაკავშირებული ხატის სასწაულთმოქმედების აღმწერელ მოთხრობასთან.** საფიქრებელია, რომ ეს საქმე უკვე ამ ხატის მემატიანის ნამუშევარი იყოს, მაგრამ საბოლოოდ ეს კავშირი შესაძლებელია ქ˜ცის შევს.- გადაკ. პირველი გაგრძელების ავტორს განემტკიუებინოს. რომ ძველადაც, თვით მახლობელ თაობასაც კი, ზოგიერთი იმდროინდელი მოვლენა აწყურის ღვთისმშობლის ხატის სასწაულთმოქმედების შედეგად მიუჩნევია, ამას მზეჭაბუკ ათაბაგის XVI საუკ. დამდეგის აწყვერის საყდრისადმი წერილობის წიგნიც ცხადყოფს. მზეჭაბუკ ათაბაგს ამ საბუთში სხვათა შორის ნათქვამი აქვს: აწყურის ხატო "რაოდენნი ნიშნი და სასწაულნი აღასრულენ სამხილებელად ბარბაროზთა ზედა, რამეთუ პირველ წყლულებითა ჰგუემენ უსჯულონი და მტერნი ხატისა შენისანი და აწ ჟამთა ამათ შინა ჩუენთა"-ც სასტიკად დასაჯეო[789]. საფიქრებელია, რომ აქ ბარბაროსებად სპარსელები იწოდებიან, მაგრამ რას გულისხმობდა, სახელდობრ რა ნიშნებსა და სასწაულებზე ლაპარაკობდა, ძნელი სათქმელია. მაინც საეჭვოა, რომ ის "სასწაულთმოქმედებათა" აღწერილობა, რომელიც ქ˜ცის შევს.-გადაკ. პირველს გაგრძელებაშია ჩართული, თანამედროვის, გინდ მზეჭაბუკის თანამოჟამის მიერ ყოფილიყოს შედგენილი.

ეს ნაწარმოები რომ მართლაც თანამედროვის კალამს არ ეკუთვნის და მერმინდელი აღმწერლის ნაშრომად უნდა ჩაითვალოს, ამას ავტორის შემდეგი სიტყვებიც ამტკიცებენ: აწყურის ღვთისმშობლის ხატით დატვირთული უხედნი კვიცი "განგებითა საღმრთოთა მცირედთა ჟამთა სამცხეს მოიწია ადგილსა, რომელსა აწ ელავსი **ეწოდების"-ო[790].** რა ერქვა ამ ადგილს წინათ, ავტორს ნათქვამი არა აქვს. თანამედროვეს კი წინანდელი სახელი უეჭველია მოხსენებული ექნებოდა. ავტორი ამბობს, ვითომც ხატმა აქამდის მოაღწია თუ არა,"მყის განათლდა სრულად სამცხე" ისე, რომ "იხილეს ყოველთა ანაზდათი იგი შეცვალებაᲘ ბნელისა ნათლად და მიხედნეს ადგილსა მას და სახედ ელვისა ბრწყინვიდა ხატი... და განკვირვებულთა თქვეს, რაᲘმე არს ელვის სახედ ბრწყინვალე და ვითომც ამიტომ და "მიერითგან ეწოდა ადგილსა მას ელავსი"-ო[791]. ეს მოთხრობა ჩვეულებრივი ხალხური თქმულებაა გაუგებარი საგეოგრაფიო სახელის "ელავსი"-ს მნიშვნელობის ასახსნელად შეთხზული. ჩვენთვის მაინც ის გარემოებაა საყურადღებო, რომ ავტორი ისეთ დროს ყოფილა, როდესაც

---

[788] იქვე, 897.

[789] ისტ. საბ. II, 27[17-22].

[790] დამატ., 896.

[791] იქვე, 897.

მხოლოდ "მერმინდელი" სახელი-ღა ახსოვდათ, პირვანდელი სახელი კი უკვე აღარ იცოდნენ.

მართალია, ვახტანგისეულ სწავლულ კაცთა მიერ შედგენილი მოთხრობა ამავე არადეთის ბრძოლის მიზეზის, ანუ საბაბის შესახებ არაფერს სასწაულებრივს არ შეიცავს და ყუარყუარეს მიერ შაქში მოწყობილი მოულოდნელი თავდასხმა მცირერიცხოვანი ჯარითურთ მაშინ არაფერს გასაოცარს არ წარმოადგენდა, მაგრამ ჩვეულებრივ ამგვარ თავდასხმას საპასუხო შურისსაძიებლად მოწყობილი ლაშქრობა მოჰყვებოდა ხოლმე. **ქ˜ცის გაგრძელებაში მოყვანილი მოთხრობაც გარეგნული სანდოობისდა მიუხედავად აქა-იქ ეჭვს ჰბადებს.** იქ ნათქვამია, ვითომც კონსტანტინე მეფეს ყუარყუარეს შაქში გალაშქრებისა და უკან გამობრუნების ამბავი არც კი სცოდნოდეს. მაგრამ ეს გარემოება ძნელი დასაჯერებელია და თვით მოთხრობაში მოყვანილ ერთს ცნობასაც ეწინააღმდეგება. თავში იქ სახელდობრ ნათქვამია, რომ ყუარყუარე ათაბაგმა შაქში ჯარითურთ მიმავალმა დმანისზე გაიარა, სადაც მას ორბელიანთ მასპინძლობა გაუწიესო. აქედგანა ჩანს, რომ მესხეთის მფლობელს პირველადაც ქართლის მეფის კონსტანტინეს საბრძანებელზე გამოუვლია. ამიტომ და მეტადრე ორბელთა ასეთ მასპინძლობის გამო, დაუჯერებელია კონსტანტინეს ყუარყუარეს ამბავისა არა სცოდნოდეს რა?

შემდეგ **მთელ მოთხრობასაც უფრო გმირული, ხალხური ზეპირსიტყვაობის ელფერი აზის,** როგორც შაქში ლაშქრობის შესახებ, ისევე და მეტადრე არადეთის ბრძოლის ზოგიერთ მეომართა მამაცური მოქმედების აღწერილობაში, თუმცა იქ შეუძლებელი არაფერია მოთხრობილი. **მროველის შესახებ ნათქვამსაც ზეპირსიტყვაობითი ენამახვილობის ელფერი გადაჰკრავს.**

უმთავრეს საეჭვო გარემოებად კი ის ცნობა უნდა ჩაითვალოს, ვითომც კონსტანტინეს ყუარყუარეს გალაშქრებისა და უკან გამობრუნების შესახებ არა სცოდნოდეს და არა შეეტყოს რა. წარმოუდგენელია, რომ მის ქვეყანაში სამხედრო მოქმედებისათვის სამზადისი და შეთანხმებაზე მოლაპარაკება ეწარმოებინათ და მას კი ამის შესახებ არც რამე სცოდნოდეს და არც რამეს შეჰკითხებოდნენ. მკითხველი რომ **ჩაუკვირდეს ვახტანგისეულ კაცთა ნაამბობს, ისე გამოდის თითქოს ბრძოლა არადეთთან ყუარყუარე ათაბაგსა და მესხთ ზაზა ციციშვილთან და მის მიმდგომ ქართლელებთან მოსვლოდეს და თითქოს ამ ბრძოლაში კონსტანტინე არც სულიერად და არც ხორციელად გარეული არა ყოფილიყოს** და მხოლოდ შემდეგში შეეტყოს. ეს ცნობა არსებითად **ეწინააღმდეგება ყველა კინკლოსებს,** სადაც გარკვევით არის აღნიშნული, რომ არადეთთან კონსტანტინე მეფე და ყუარყუარე შეიბნენ.

ამ შეუთანხმებლობის გამო თავისთავად იბადება საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენად სანდო წყაროებითგან აქვთ ამოღებული ვახტანგისეულ სწავლულ კაცებს **ცნობები შაქის ლაშქრობისა და არადეთის** ბრძოლის **შესახებ?** ზოგიერთი უკვე ზემოაღნიშნული თვისებები გვაფიქრებინებენ, რომ მთელი ეს ამბავი ზეპირსიტყვაობაზე, ხალხში თუ მოწინავე წრეებში არსებული გადმოცემის მიხედვით უნდა იყოს შედგენილი. ეს რომ ასე ყოფილიყო, მაშინ ზემოდასახელებული წინააღმდეგობაც ადვილი ასახსნელი იქნებოდა. მაგრამ სწორედ ამ ხანისათვის, კონსტანტინეს მეფობისათვის სწავლულ კაცთ თავიანთი წყარო დასახელებული აქვთ და ირკვევა, რომ მათ ხელთ წერილობითი საისტორიო წყარო ჰქონიათ. ერთგან მათ ნათქვამი აქვთ: "ამა ალექსანდრესა და კონსტანტინესა ჟამში განდგნენ იმერელნი, ოდიშარნი და გურიელნი და არღარა მორჩილებდა ათაბაგი და განდგა კახეთი, რამეთუ **თუით ძველად ნაწერი** რომელიმე **ვპოეთ კონსტანტინეს ცხოვრება, მაშიგან**

დაგვიწერია”-ო[792]**.** ეს ცნობა და გარემოება, რასაკვირველია, სწავლულ კაცთა ნაამბობს უფრო მეტს ნდობას ანიჭებს, მაგრამ რაკი თვით ძეგლი, ეს კონსტანტინეს ცხოვრება, შენახული არ არის, მისი ღირსებისა და ნაკლის შესახებ არაფრის თქმა არ შეიძლება. თავისთავადაც ის გარემოება, რომ XVIII საუკ. დამდეგის მეცნიერთ ეს ნაშრომი ძველად აქვთ მიჩნეული, რასაკვირველია, კონსტანტინე მეფის, ჯერჯერობით მაინც, დაკარგული ცხოვრების შემდგენელის თანამედროვეობის და სხვა თვისებათა გამოსარკვევად არ გამოდგება.

დასკვნა არადეთის ბრძოლის შესახებ

წყაროების კრიტიკული განხილვის შემდგომ ჩვენ დავრწმუნდით, რომ **თუმცა ქ˜ცის გაგრძელების ცნობა ქ˜ცის შევს.-გადაკ. პირველი გაგრძელების დაუჯერებელს მოთხრობას სჯობია და უფრო სანდო შთაბეჭდილებას ახდენს, მაგრამ სრულებით უზადოდ ვერც ეს ცნობა ჩაითვლება.** ხოლო რაკი იქ კონსტანტინე მეფის პირადი მონაწილეობა არადეთის ბრძოლაში არ იხსენიება, ამიტომ, როგორც კინკლოსების ცნობების საწინააღმდეგო, ჩვენი მთავარი მიზნისათვის, **არადედთან კონსტანტინე მეფესა და ყუარყუარე ათაბაგს შორის მომხდარი ბრძოლის მიზეზის გამოსარკვევად გამოსადეგიც არ არის.** ამგვარად, იმის გარდა, და იმაზე მეტი, რაც სულ მოკლედ **კინკლოსშია არადეთის ბრძოლის შესახებ ნათქვამი, დანამდვილებით არა ვიცით რა.**

არადეთის ბრძოლის შემდგომ ალექსანდრეს გამეფება იმერეთში

არადეთის ბრძოლამ სრულის სიცხადით გამოარკვია კონსტანტინე მეფის სისუსტე და ამით, რასაკვირველია, მისმა მეტოქე მოწინააღმდეგეებმა მაშინვე ისარგებლეს. მართლაც, ვახუშტის სიტყვით საჩქაროდ ”შემოიკრიბა რაჭა, ლეჩხუმი ალექსანდრე, ძემან ბაგრატ მეფისამან, მოვიდა და აღიღო ქუთათისი ქ˜ს ჩუპდ (1484), ქრ. რობ, დაჯდა მეფედ, ეკურთხა და დაიპყრა იმერეთი”[793]. სრულებით ბუნებრივია, რომ რაჭა-ლეჩხუმის მოწინავე წოდებას ამის გამო ალექსანდრე მეფე განსაკუთრებულის ყურადღებით მოჰპყრობოდა და მათი გრძნობა გუნებისათვის ანგარიში გაეწია. ამ მხრივ ერთი საყურადღებო საბუთია შენახული. იქ მოთხრობილია, რომ რაჭა–ლეჩხუმის თავად სარგის ჯაფარიძესა, კუჭაიძესა და ლაშხიშვილის სვანეთის მცხოვრებთათვის შურისძიების მიზნით შვიდი წლით სრულიად გზა შეუკრავთ. უკიდურეს გაჭირვებაში ჩაცვივნულ სვანებს დადიანის შუამავლობით მეფე ალექსანდრესათვის დახმარება და შველა უთხოვიათ. ამაზე ასე უბრძანებია ”მეფეთა მეფესა პატრონსა ალექსანდრეს, თუ ჯაფარიძისთანა თავადი რაჭას არა მყავსო. თუ ჯაფარიძის სისხლს გარდიხდიანო, სვანთ გზას მივცემო, და ჯაფარიძეთაც ჩამოვხსნითო, თუ არა და ჯაფარიძეს საქმეს არ გარდავწყვეტო”. ამასთანავე მეფესა გულახდილად აღუარებია: ჯაფარიძენი ”მწვედ მძლავრნი კაცნი არიანო და სრულიად

---

[792] ქ˜ცის გაგრძ., **ჯანაშვილი, 44.**
[793] **ვახუშტი, ისტ., ჭიჭინაძე, 283.**

რაჭველნი და ლეჩხუმელნი დამეკარგვიანო”[794], თუ რომ მეფე ამ საქმეში მხარს სვანებს დაუჭერდა. რაკი ალექსანდრემ რაჭა-ლეჩხუმელთა თანადგომითა და დახმარებით შესძლო გამეფება, მისთვის მათ სულისკვეთებას თუ მომხრეობას, რასაკვირველია, დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა.

ალექსანდრე მეფის სიგელის თარიღი

მართალია, ამ სიგელის ბოლოს ნათქვამია: ”დაიწერა წიგნი ესე ქ˜კსა რკ და ერთსა ჴელითა ფრიად ცოდვილისა ფალავანდიშვილისა ფალავანდისათა”-ო[795]. და ამის გამო ამ საბუთის ფრანგული თარგმანის გამომცემელს აკად. მ. ბროსეს, ვითარცა 1433 წლისა, დიდი ალექსანდრის სიგალად მიაჩნდა[796], ხოლო ამ ძეგლის ქართული ტექსტის დამბეჭდავს ს. კაკაბაძეს, არა ჩანს რატომ, სხვა ალექსანდრეს საბუთად მიაჩნია, სახელდობრ იმ ალექსანდრესიო, ”რომლის 1392 წლის სიგელმა ჩვენამდის მოაღწია და რომელსაც ყოლია შვილი ვახტანგ. მეფე ალექსანდრე ამოწმებს 1408 წლის ცირღილასძეთა სიგელსა... ალექსანდრეს შვილი ვახტანგი 1432 წ. უკვე მეფედ იხსენებდა” და ”გორგასლად წოდებული, გარდაიცვალა 1445 წ. ვახტანგი იყო რაჭა-არგვეთის მფლობელთა შტოს წარმომადგენელი” და ”ამ სიგლის მბოძებელი ალექსანდრე მეფეც რაჭას ფლობს და იმავე სამეფოს შტოს წარმომადგენელი უნდა იყოს”-ო[797]. ნატყუარ სასისხლო სიგელებზე დამყარების მაგიერ **ს. კაკაბაძეს** რომ ალექსანდრე მეფის ზემომოყვანილი საბუთის მწიგნობრის ვინაობისა და მოღვაწეობის დროსათვის მიექცია ყურადღება, ის ადვილად დარწმუნდებოდა, რომ მთელი მისი **თეორია** მცდარია. მას მაშინ ეცოდინებოდა, რომ **”ჴელითა ფრიად ცოდვილისა ფალავანდიშვილისა და ფალავანდისათა” დაწერილია გელათის ეტრატზე ნაწერი 1495 წ. მეფეთა-მეფისა ალექსანდრესი და მისი თანამეცხედრესი თამარის მიერ ნაბოძები სიგელი[798].** რაკი ამ საბუთითგან ირკვევა, რომ ფალავანდი ფალავანდიშვილი იმერეთის მეფის მწიგნობარი ყოფილა, **ცხადია, რომ ბროსე-კაკაბაძის მიერ გამოცემული ზემოაღნიშუნლი სიგელიც იმერეთის მეფის ალექსანდრეს უნდა იყოს.** თარიღი შეცდომით უნდა იყოს გადმოწერილი და დედანში ალბათ ეწერებოდა ”ქ˜კნსა: რპ: ერთსა”, რაც 149 წ. უდრის და გამომწერს ”პ”-არი ”კ”-ანად წაუკითხვას. დიდი **ალექსანდრეს ბლომად შენახულ სიგელთა შორის კი არც ერთი არ არის ფალავანდ ფალავანდიშვილისაგან დაწერილი, რათგან მის დროს ამგვარი მწიგნობარი არ ყოფილა.**

ბრძოლა ალექსანდრეს მეფობის წინააღმდეგ და აღმოს. საქ˜ლოში მტრის შემოსევა

სახელოვანი ქ˜ლი მეცნიერი ისტორიკოსის ცნობისდა თანახმად არც ამ შემთხვევაში დაუნებებიათ ალექსანდრე მეფის მოწინააღმდეგებს იმერეთის სამეფო

---

[794] იხ. **ს. კაკაბაძე,** წერილები და მასალები, I, 128.
[795] იქვე, 131.
[796] Bullet. Scien. t. IV, 268-72.
[797] **ს. კაკაბაძე,** წერილები და მასალები, I, 131.
[798] ქ˜კბი II, 310-311.

ტახტი. დადიანს ეხლაც ისევ კონსტანტინე მეფე მოუწვევია, რაც სიხარულით შესრულებული ყოფილა კიდეც. 1487 წ. კონსტანტინე სპითურთ იმერეთს გადავიდა თუ არა, მაშინვე სამეგრელოთგან ლიპარიტ დადიანი მოეგებაო. ალექსანდრე ვერც ამ შემთხვევაში შეჰბრძოლებია მტრებს და ისევ მაღალ მთებში შეხიზნულა. კონსტანტინე მეფემ კვლავ დაიპყრა ქუთაისი და ჩაიბარა დანარჩენი სიმაგრეებიც და უკვე საბოლოოდ იმერეთის მომტკიცებას აპირებდა, რომ უეცრად ქართლითგან შეატყობინეს «მოსლვა სპასპეტის ასანბეგისა ყეენისაგან და მოდგომა ტფილისისა მისგან სპითა ქს. ჩუპ (1488), ქრ. როვ»-ო. ამის გაგონებისთანავე კონსტანტინემ ქუთაისი მიატოვა და თბილისის დასაცავად და მტრის მოსაგერიებლად წავიდა. მაშინ ალექსანდრე მეფემ ისევ დაიბრუნა ქუთაისი და იმერეთის სამეფო და როგორც იყო დადიან-გურიელიც დაიზავაო[799].

თუმცა ვახუშტის ზემომოყვანილი მოთხრობის წყარო არა ჩანს, მაგრამ რომ მისი მოთხრობა უსაფუძვლო არ უნდა იყოს, ამას ერთს ჟამნში და ქ᾽ცის შევს.-გადაკ. პირველსა და მეორე გაგრძელებაში შენახული მატიანისებური ცნობაც ცხადჰყოფს. იქ ნათქვამია: 1489 წ. «ქ᾽კსა: როზ: ახალციხეს თათარნი მოვიდეს: მასვე წელიწადსა ალექსანდრემ ქუთაისი აიღო ძემან ბაგრატისამან»-ო[800]. რაკი აქ ახალციხეში თათრების მოსვლაზეა ლაპარაკი და არა თბილისზე გარემოდგომაზე, ამასთანავე ქრონიკონიც განსხვავდება, ამიტომ საფიქრებელია, რომ ვახუშტსა და ზემოაღნიშნულ ძეგლებს სხვადასხვა წყარო უნდა ჰქონოდათ ამ ამბავის შესახებ.

მაშასადამე, **სხვა ცნობებითაც მტკიცდება, რომ იმერეთის მეფეს ალექსანდრეს 1488-სა თუ 1489 წელს ქუთაისი აუღია. ხოლო რაკი იმავე მეფის სიგელებითგან უკვე გამორკვეული იყო, რომ ალექსანდრე 1484 წ. გამეფდა, ცხადია ამის შემდგომ ისეთი რამე უნდა მომხდარიყოს, რამაც ალექსანდრეს სამეფოს ქალაქი დააკარგვინა და 1489 წ. კვლავ ასაღები გაუხადა**. ამის გამო ბატონიშვილი ვახუშტის მოთხრობა, როგორც ეტყობა, უტყუარი უნდა იყოს. ქ᾽ცის გაგრძელებათა და ჟამნის ზემომოყვანილი სიტყვებითგან არა ჩანს, რომ ალექსანდრე მეფის მიერ ქუთაისის აღებასა და თათრების ახალციხეში მოსვლას შორის რაიმე მიზეზობრივი დამოკიდებულება ყოფილიყოს, მაგრამ ის მაინც მტკიცდება, რომ გარეშე მტერი აღმოსავლეთ საქართველოს შემოჰსევია. ამითაც ვახუშტის ნაამბობს ერთგვარი ნდობა ენიჭება და საფიქრებელია, რომ სიმართლეს უნდა გვიხატავდეს.

ცნობები იაყუბ-ყაენის აღმოს. საქართველოში შემოსევაზე

მაგრამ ქ᾽ცის შევს.-გადაკ.პირველს გაგრძელებასა და უკვე ვახუშტსაც იაყუბ-ყაენის აღმოსავლეთ საქართვლეოში შემოსევის შესახებ სხვა უფრო ვრცელი და შინაარსიანი ცნობებიც მოეპოვებათ. სახელოვან ქ᾽ლ ისტორიკოსს თარიღად 1486 წ. აქვს აღნიშნული და შემდეგს მოგვითხრობს: იაყუბ-ყაენმა თურმე სამხრეთითგან შემოუტია საქართველოს და ჯერ «გამოვლო აბოცი» შემდეგ მესხეთში გადმოვიდა და «მოადგა ახალქალაქსა და გარემოთა ქვეყანათა». სპარსეთის მბრძანებლის ამ შემოსევას «მანუჩარ ვერ წინააღუდგა და ვერღა რასმე ავნებდა სპათა მისთა, გარნა მცდელობდა მაგრებასა და ციხე-ქვეყანისასა». ამისდა მიუხედავად იაყუბის ლაშქარმა «მცირეს ხანსა

---

[799] **ვახუშტი**, ისტ., 284.

[800] ქ᾽კბი II, 307 დამატ., 904 და პარ. ქრ., ჭიჭინაძე, 6.

შინა შემუსრა ახალქალაქი და გამოიყვანნა მუნით მესხნი წარჩინებულნი და ტყვენი მრავალნი მუნ მყოფნი». შემდეგ თვით ქალაქიც დაუწვავს და მერმე ახალციხეს მისდგომია. «აღიღო იგიცა და უყო ეგრეთვე მასცა». ბოლოს ჯერი აწყურზედაც მიმდგარა, რომელიც თურმე «შეაჭირვა ფრიად». უმწეო მდგომარეობაში მყოფმა და დახმარების იმედ-გადაწყვეტილმა მოქალაქეებმა «ითხოვეს ზავი» უვნებლობისა ყაენისაგან თავიანთთვისაცა და ქალაქ-საყდრისათვისაც. იაყუბმა თურმე «მისცა პირი მტკიცე, ვინადგან მკსინვარებდა ჰაერი და მისცეს მოქალაქეთა აწყვერი ციხით სეკტემბერსა კე»[801]. აწყურთან მყოფ სპარსეთის ბატონს ქართლის დარბევაც მოუნდომებია და იმავე დროს ყაენმა «წარმოავლინა აწყვერითგან სპანი. ესენი დაესხნეს დბანისს და ქვეშიჴევს, მოსტყვევნეს და წარვიდნენ». მაგრამ ბარათაშვილები თავის ჯარითურთ გზაში ჩასაფრებიან და მოთარეშენი ძალიან დაუზარალებიათ[802]. ამ ამბავმა იაყუბ-ყაენი ცუდ გუნებაზე დააყენა. ამიტომ რა «მოვიდნენ სპანი ყეენისანი მოწყვეტილნი ქართლის სომხითიდამ, განრისხნა ყეენი და არღარა აღუსრულა პირი მესხთა, ტყვე-ჰყვნა აწყვერისანი სრულიად და აწყუერის ღუთისმშობელი». შემდეგ ამ კუთხის მოოხრების უმალ იაყუბი ისევ შინისაკენ გაბრუნდა. რაკი «მანუჩარ ათაბაგს აღუმნდა დატყვევება აწყურის ღვთისმშობლისა, წარავლინა ვეცხლი დიდ-ძალი და დაიხსნა და დაასვენა აწყურსავე»-ო[803].

ქ᾽ცის შევს.-გადაკ. პირველი გაგრძელების მოთხრობა თუმცა უფრო ვრცელია, მაგრამ შინაარსით ვახუშტის ნაამბობისაგან არსებითად არ განირჩევა, ისე კი მაინც რამდენიმე თვალსაჩინო განსხვავება მოიპოვება. ქ᾽ცის გაგრძელებით იაყუბის შემოსევა საქართველოში ვითომც ერთი წლით ადრე, 1485 წ. დაეწყოს, ტაშირს შემოჰსეოდეს და ვითომც ქართლის მეფისთვის შეეთვალოს, რომ ქვემოქართლელნი მათთან ერთად მესხეთს მიხდომოდნენ. გაუგიათ თუ არა ეს ამბავი ”ყვარყვარეს და ძეთა მისთა მზეჭაბუკს და ბაადურს», სამზადისს შესდგომიან: ქვეყანა დახიზნეს და გაამაგრესო. თვით მესხეთს ამ წყაროს ცნობითაც იაყუბი 1486 წ. შეჰსევია. ქ᾽ცის გაგრძელებაში ახალქალაქის აღების შესახებ არაფერია ნათქვამი და პირდაპირ ახალციხის გარემოდგომის მოთხრობით იწყება[804], მაგრამ იქნებ ახალქალაქის აღება თავისთავად იგულისხმებოდეს. ახალციხის და აწყურის აღების ამბავი იმით განირჩევა მხოლოდ ვახუშტის მოთხრობისგან, რომ იქ ჩართულია ცნობა აწყურის ღვთისმშობლის ხატის «შემკობილების» გაძარცვისა და ხატის სასწაულთმოქმედების შესახებ. როდესაც ხატის დაწვა მოიწადინეს და აღგზნებულ ცეცხლში ჩააგდესო, მაშინვე «ცეცხლი იგი დაშრტა და ხატსა ყოვლადვე არა შეეხო, არცა თუ ნაბრძვილი აჩინა, რომელი ესე მრავალთაგან და თვით თვალითაცა ჩვენითა სახილველ იქმნა»-ო. ამ უცნობი (ალბათ მაწყვერელი უნდა ყოფილიყო) მემატიანის სიტყვით, დაინახა თუ არა ეს «სასწაული» იაყუბ-ყაენის ლაშქარში მყოფმა ერთმა «არამართლმადიდებელმა» ქრისტიანმა, იაყუბ-ყაენის შინ გაბრუნების შემდგომ მაშინვე ხატი აიღო, შეახვია და თავის ქვეყანაში წაიღოო[805]. რამდენადაც ამ ხატის დაბრუნების ამბავი ვახუშტს, როგორც დავრწმუნდით, მარტივად და ბუნებრივად აქვს მოთხრობილი და ნათქვამი აქვს მხოლოდ, რომ დიდი ფულით დაიხსნაო, იმდენად სასწაულებრივი ბურუსით აქვს მოცული ქ᾽ცის შევს.-გადაკ. პირველი გაგრძელების წყაროს. იქ მოთხრობილია, ვითომც იმ კაცს თვით

---

[801] **ვახუშტი**, ისტ., **ჭიჭინაძე,** 238.
[802] **იქვე**, 19—20.
[803] **იქვე**, 238.
[804] დამატ., 898.
[805] დამატ., 899-900.

აწბურის ღვთისმშობელი გამოსცხადებოდეს და ეთქვას, რომ თუ ჩემ ქვეყანაში არ დაგიბრუნებივარ, «დიდი ბოროტი მოვაწიო შენზედა»-ო. ამის შემდეგ ეს კაცი წამოვიდა და «აუწყა ყოველივე პატრონსა ყვარყვარეს და მანუჩარს. ხოლო მათ განიხარეს სიხარულითა დიდითა და მსწრაფლ წარგზავნნეს კაცნი სარწმუნონი და დაიჴსნა პატრონმა მანუჩარ»-ო[806]. ამგვარად, ბოლოსდაბოლოს აქაც ხატი ფულით ყოფილა გამოხსნილი და «სასწაულთმოქმედება» მერმინდელი მემატიანის მიერ მხოლოდ გარეგნულად არის მიკერებული.

წყაროთა ცნობების შედარებითი დაფასება

ვახუშტისა და ქ᾽ცის გაგრძელების მოთხრობათა შედარება ამგვარად გვარწმუნებს, რომ მათ მაინც თუმცა სხვადასხვა, მაგრამ ერთგვარი, ერთ სათავითგან მომდინარე წყარო უნდა ჰქონოდათ. **საზოგადოდ ვახუშტის მოთხრობა უფრო უძველეს შთაბეჭდილებას ახდენს, ქ᾽ცისა კი «სასწაულთმოქმდებით» შემკულია**, რაც საფიქრებელია მერმინდელი ავტორის საქმე უნდა იყოს. **მაგრამ** ერთი გარემოებაა განსაკუთრებით საყურადღებო: **ვახუშტის მოთხრობით** მთელი **ეს ამბავი**, მტრის შემოსევა და ხატის თავგადასავალიც, მანუჩარის დროს უნდა მომხდარიყო, და მის გარდა სხვა არავინ იხსენიება. **ქ᾽ცის გაგრძელებაში კი ყუარყუარე ათაბაგისა და მისი შვილების გარდა** ამდროინდელი ამბების მოთხრობაში **არავინ იხსენიება**. მხოლოდ აწყურის გატაცებული ხატის დამხსნელად და გაომოსყიდველად აქაც მანუჩარი ჩანს. როგორც ზევით თავის ალაგას ათონის აღაპების მიხედვით გამორკვეული იყო, **ამ დროს ყუარყუარე ათაბაგი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. ამიტომ ცხადია იმ შემთხვევაში ქ᾽ცის გაგრძელების ცნობა სჯობია ვახუშტისას**, რომლის ქრონოლოგიური, გენეალოგიური ცნობები ამ დროს სამცხის ათაბაგთა შესახებ ათონის ზემოაღნიშნულ უტყუარ წყაროს სრულებით არ უდგება.

უკვე **მ. ბროსესა** აქვს აღნიშნული, რომ იაყუბ-ყაენის ამ შემოსევის შესახებ საქართველოში სხვაგან არსად ცნობები არ მოიპოვება და ამის გამო მათი სრული სიმართლის გამორკვევა საბოლოოდ შეუძლებელია[807]. მაგრამ თავისდათავად თვით მოთხრობა დაუჯერებელს არაფერს შეიცავს და თანაც სპარსული საისტორიო წყაროები ეხლაც წინანდებურად ისე ნაკლებ არის შესწავლილი და უფრო ნაკლებ გამოქვეყნებული, რომ სპარსულ მწერლობაში ამჟამად რაიმე შემთხვეულობის შესახებ ცნობების უქონლობა არავითარ საწინააღმდეგო საბუთად არ გამოდგება.

მაწყვერელის დასჯა აწყურის გაცემისათვის

სამცხის ათაბაგს აწყურთან მტრის გამარჯვება ღალატის შედეგად მიუჩნევია და მემატიანის სიტყვით საშინლად განრისხებულა. «ვითარცა ესმა ესე ყურაყუარეს და მეუღლესა და ძეთა მისთა, განრისხნეს გმცემელთათჳს ციხისათა და სიკვდილად დასჯა ბრძანეს მაწყვერელისა და სხვათა ყოველთა რომელნი შინაგამცემელნი იქმნეს»[808], მაგრამ შემდეგ შეჰბრალებია და მხოლოდ ექსორია უყვია. ხოლო მის მაგიერ «მოიძიეს სხვა ეპისკოპოსი და ჰპოვეს საზღვართაგან პონტოსათა ქალაქით

---

[806] იქვე, 900.
[807] Hist. mod I, 14.
[808] ქ᾽ცის შევს.-გადაკ. გაგრძ. დამატ., 900.

ტრაპიზონელი სახელით სჴმეონ, რომელი მაშინ საჭეთმპყრობელობდა საყდარსა ტბეთისასა. ამას მოუბოძა უკანასკნელ მაწყვერელობა»-ო[809]. რაკი ეს სჴმეონი ტრაპიზონელი ყოფილა, საფიქრებელია რომ ის ბერძენი ყოფილიყო და მაშინ უნებლიეთ იბადება საკითხი, ეს ახალი, 1485 წ. შემდგომ დასმული, მაწყვერელი სჴმეონი ის «ბერძენი... მღვდელმონაზონი სჴმონი» ხომ არ იყო, რომელიც ყუარყუარე ათაბაგის მახლობელი პირი ყოფილა, «დიდით ხნით ყმა მათდა ქმნილიყო»[810] და 1475 წ. ყუარყუარეს მიერ ახალგარდაცვალებული ბაჰადურის სულის სახსენებელის დასაწესებლად საბერძნეთსა და ათონის მთაზე იყო გაგზავნილი?

იაყუბ-ყაენის მეორეგზისი შემოსევა

ვახუშტისა და ქ´ცის შევს.-გადაკ. გაგრძელების სიტყვით 1488 წ. იაყუბ-ყაენმა თავისი ლაშქარი ხალილ-ბეგის მეთაურობით გამოგზავნა საქართველოში და ქაოზიანთა და აღჯაყალის ციხეების აღებას შეუდგა[811]. აღჯაყალის ციხე მერმინდელ ბორჩალოში იყო და მისი ნანგრევები ეხლაც არის აღნიშნული 5-ვერსიან რუკაზე. ხოლო ქაოზიანი როგორც ეტყობა უკვე ბატონიშვილი ვახუშტის დროს აღარ არსებობდა და საძიებელი იყო. სახელოვან ქ´ლ გეოგრაფს ორთავე ციხის შესახებ შემდეგი ცნობები აქვს: »ძველად ადგილისა ამის სახელი არს ქურდვაჭრისა ჴევი და აწ უწოდებენ აღჯაყალას თეთრიციხეს, იაყუფყეენისაგან წოდებულს, რომელმან პირველ აღაშენა ციხე ესე»[812]. ქაოზიანის მდებარეობის განსაზღვრა ცოტა ბუნდოვანია: «არქევანი პირველ იყო გაჩიანი[813] და სანადირო ქალაქი, მერმე ქაოზიანი და აწ ესე დაბა რომელი დასავლითცა არს ხუნანისა და საზღვარიცა მათი: არამედ ჭაპალის ჩრდილო ქციის კბოდეზედ არს არქევანი. ამას ეწოდა ქაოზიანი, სადაც არს დიდ-დიდნი ნაშენებნი»-ო[814]. რათგან არც ერთი აქ დასახელებული ადგილთაგანი თანამედროვე რუკებზე აღარ მოიპოვება, ამიტომ ქაოზიანის მდებარეობის გამოსარკვევად ვახუშტის რუკა უნდა მოვიშველიოთ. იქ არქევანი მაშავერის ქციასთან შესართავის ახლოს, აღმოსავლეთით არის ნაჩვენები. თანამედროვე ხუთვერსიან რუკაზე, მაშასადამე, ეს ციხე მოლა-ახმედლოს მახლობლად უნდა ვეძიოთ, თუმცა იქ რუკაზე ციხის ნანგრევები არ იხსენიება. ვგონებ თვით ვახუშტსაც ქაოზიანის მდებარეობა დანამდვილებით არ უნდა სცოდნოდა.

კონსტანტინე მეფემ, რასაკვირველია, მაშინვე მტრის საწინააღმდეგოდ ჯარი გაგზავნა. ბრძოლა გაჩაღდა. ყაენმაც თავის ლაშქარს მეშველი სამხედრო ნაწილებით ზურგიც გაუმაგრა თურმე და წინსვლის საშუალებაც მისცა. სპარსელებმა თბილისამდისაც კი მიაღწიეს და ბრძოლა დაუწყეს. თავის ჯარს კონსტანტინე მეფეც მოეშველა. თავის მხრივ ქაიხოსრო ციციშვილი, ცავახ ჯავახიშვილი და ბარათიანნი ჭანდარს დაბანაკებულ მტერს თავს დასცემიან და საგრძნობლად დაუზარალებიათ. ამ

---

[809] იქვე, დამატ., 900.
[810] ათონის აღაპ., 269.
[811] **ვახუშტი**, ისტ. **ჭიჭინაძე**, 20 და დამატ., 900.
[812] გ´გფა. ბროს., 138.
[813] **იქვე**,144.
[814] **იქვე.**

გარემოებას თბილისის წინააღმდეგ მებრძოლი მტრის ჯარი შეუფიქრიანებია ალბათ გზის შეკვრის შესაძლებლობით შეშინებულს თბილისი მიუტოვებია და უკან დახევას შესდგომია, მაგრამ ყუმისის ბოლოს ქართველები გადასდგომიან და ბრძოლა აუტეხიათ. ამგვარადვე სამხედრო მოქმედება ორბეთის ძირსაც სწარმოებდა. საბოლოო გამარჯვება ქართველებს ხვდათ.

მაგრამ შემდეგ ყაენმა ხალილბეგს კვლავ ჯარი მიაშველა. მოვიდნენ სომხითის გზით და ორბეთის ძირს მიადგნენ. მერმე კოჟრის ციხესაც დაუწყეს ბრძოლა. ქართველებმა მეშველი ჯარის უქონლობის გამო ღამით ციხე მიატოვეს.მტერმა დააქცია ეს ციხე და შემდეგ, რასაკვირველია, თბილისისაკენ გამოემართა. კოჟრის ციხის დაცლის ამბავმა ნიჩბისის წყალზე მდგომი მეფე კონსტანტინე, რასაკვირველია, ძალიან შეაწუხა. ათაბაგთან და კახთ ბატონთან მოლაპარაკებამ შეერთებული ძალით მტრის განდევნის შესახებ ფუჭად ჩაურა. ამიტომ კონსტანტინე მეფემ სპარსეთის ჯართან პირდაპირ შებმა ვერ გაბედა და ნაწილობრივი, მოულოდნელი თავდასხმითა და შებმით დაკმაყოფილდა. რათგან სამხედრო მოქმედება და მტრის თარეში ქვედა ქართლში, სომხით-საბარათიანოში იყო, ამის გამო წინააღმდეგობის გაწევა მეტადრე ადგილობრივ მოსახლეობას დააწვა ტვირთად. მათ ბარათიანთა, ჯავახიშვილების და სოლაღაშვილების საგვარეულოები მეთაურობდნენ, რომელთაგან თავის გულადობითა და სიმარჯვით მერაბ ბარათაშვილს უსახელნია თავი. ენაგეთთან დამარცხებულსა და გაქცეულს მტერს რომ დევნა დაუწყეს ქართველებმა, «მისჯარნეს ჴევსა ჴირჴალსა» და მიესიენ. აქა და მეორე რაზმზე ქართველებს იმდენად დიდი გამარჯვება რგებიათ სპარსელებზე, რომ თბილისის წინააღმდეგ მებრძოლს მტრის ნაწილებს შიშით ქალაქის გარემოცვისათვის თავი მიუნებებიათ და წასულან[815].

ამ ცნობების დამამტკიცებელი თუ უარისმყოფელი სხვა რაიმე წყაროები არ მოგვეპოვება. თვით ვახუშტისა და ქ´ცის შევს.-გად. გაგრძელების მოთხრობა ამ ადგილას ბაგრატ და კონსტანტინე მეფეთა ცხოვრებაზე არის დამყარებული. ამ წყაროს კი თავისთავად დიდი ღირსება არა აქვს, შეცდომებიც მოეპოვება, ერთგვარი ბარათაშვილებისადმი მიმკერძოებელი მიდრეკილებაც ემჩნევა[816]. ამიტომ მხოლოდ მომავალში, როდესაც სპარსული საისტორიო წყაროები საკმაოდ იქნება გამოქვეყნებული და შესწავლილი და ქართული სხვა ძეგლებიც გამოქვეყნდება, ზემომოყვანილი ცნობების სრული სიმართლის გამორკვევა შესაძლებელი შეიქმნება.

საქართველოს მთლიანობის საკუთარი ძალით აღდგენის იმედის ჩაშლა

ყველა ზემომოთხრობილი ცხადად ჰყოფს, რომ კონსტანტინე მეფის დაუცხრომელს ცდას აღმოსავლეთ-დასავლეთ საქართველოს გსაერთიანებლად და სახელმწიფოს წინანდელი მთლიანობის აღსადგენად, გარეშე მტრის ხშირი შემოსევა ან ბოლოს უღებდა ხოლმე, ან უკვე გაკეთებულ საქმეს სპობდა და მიღწეულის შედეგს აქარწყლებდა. შინაურობაში კი განკერძოებისადმი მიდრეკილებას ისე გაუდგამს ფესვები, რომ მათ მოსასპობად განსაკუთრებით ხელშემწყობი პოლიტიკური გარემოება და გარეშე მტრის შემოჭრისაგან და საქართელოს ბრძოლაში ჩარევისაგან ხანგრძლივი უზრუნველყოფა იყო საჭირო. მაშინდელ მდგომარეობაში კონსტანტინე მეფე ბოლოს და ბოლოს უნდა დარწმუნებულიყო, რომ მისი ცდა ამაო იყო.

---

[815] **ვახუშტის** ისტ. ჭიჭინაძე, 20-22 და დამატ., 900-903.

[816][ივ. ჯავახიშვილი, ისტორიის მიზანი, I, თბ., 1916, გვ. 218-220].

ბატონიშვილს ვახუშტს ამ საკითხისათვის მაინც ერთი საგულისხმო ცნობა აქვს. მას აღნიშნული აქვს, რომ 1490 წელს შემოსეული «თათრები» რომ უკან წავიდნენ და კონსტანტინე მეფემ აღჯაყალა და ქაოზიანი დაარღვია, თბილისში დაბრუნდა თუ არა, «შემოკრიბა კათალიკოზი, ეპისკოპოსნი და წარჩინებულნი თვისნი და განიზრახვიდა თუ რაჲ ჰყონ განდგომილებისათვის ქვეყანათა და ვითარ მოაგონ კვალად მეფობასავე თვისსა. მაშინ დიდებულნი იტყოდნენ: «ვინადგან მტკიცედ სდგან ერთგულებასა ზედა თვისთა რჩეულთა მეფეთა იმერნი და კახნი და კვალად ათაბაგისა სამცხელნი, ამისთვის არ განგიზრახავთ ბრძოლასა, რამეთუ თუმცა მერე (მძლე?) ვექმნეთ ერთსა, არღარა მიგუცემს მეორე ნებასა, არამედ ვაცადოთ ჟამი, უკეთუ კვალად აგოს მეფობასავე შენსა». ხოლო იხილა რა ესე ვითარება თვისთაგანცა მეფემან, ამისთვის აღირჩია მშვიდობა» და კიდეც გაეზავა დანარჩენ ქართველ მეფემთავრებს. «კახთა ბატონმან ალექსანდრე და მეფემან კონსტანტინე ჰყვეს მშვიდობა სიყვარულისა, კვალად ათაბაგისათანა და შემდგომად ალექსანდრე იმერთა მეფისათანა და რომელნი აღვწერენით საზღვარნი დაიპყრეს ეგრეთ»-ო[817].

ალექსანდრე იმერთა მეფესთან დაზავების თარიღი

ამ სიტყვებითგანაც თითქოს ისე გამოდის, რომ ყველაზე გვიან კონსტანტინე მეფეს ზავი და მშვიდობა მაინც იმერეთის მეფე ალექსანდრესთან უნდა დაედვა. როდის, ამის შესახებ სამწუხაროდ სახელოვან ისტორიკოსს არაფერი აქვს ნათქვამი და არც სხვაგან მოიპოვება რაიმე ცნობა. მხოლოდ განსვენებულ **თ. ჟორდანიას** დაბეჭდილი აქვს «მთის წ´ა გიორგის» გუჯრის, როგორც თვით აქვს აღნიშნული, «მეტად დამახინჯებული» პირი, რომელსაც ბოლოში 1491-ს «მეფეთ-მეფე» კონსტანტინე ამტკიცებს თავისი თანამეცხედრე თამარითა და შვილებითურთ[818] ამ დამტკიცებას წინ უძღვის «მეფეთ-მეფე» ალექსანდრესი და «დედოფალთა დედოფალი» თამარის ძეებითურთ «გამთავებლობის» მოწმობა. ხოლო თვით სიგელი ბაგრატ მეფეთა-მეფის მიერ არის ბოძებული მაგრამ თარიღი არც ბაგრატისას აქვს და არც ალექსანდრესას[819], არამედ მხოლოდ კონსტანტინე მეფისას. ეს საეჭვო გარემოებაა, თუ აქ გადამწერს არ გამორჩა ბაგრატ მეფის მოცემულობის შესახები ცნობა და ქრონიკონი. ხოლო თუ ეს და სხვა ზოგიერთი ნაკლი მართლაც გადამწერთაგან იყო შეპარული და თვით საბუთი უეჭვოა, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ ან კონსტანტინე მეფეს საბოლოო დაზავებამდის კიდევ უცდია გაბატონება დასავლეთ საქართველოში და 1491 წ. სამეფო ხელისუფლება ხელთა ჰქონია ისე, რომ დაზავება, უეჭველია რაიმე მაიძულებელი გარემოებით გამოწვეული, ამ წლის შემდგომ უნდა ვიგულისხმოთ, ან უნდა დავასკვნათ, რომ ზემომოყვანილი წყაროების ცნობა მცდარია და კონსტანტინე 1491 წ-მდე დასავლეთ საქართველოს მფლობელად ყოფილიყოს. ის გარემოება, რომ კონსტანტინე მეფის ხელის მოწერას ალექსანდრე მეფის ხელის მოწერა უძღვის წინ, გვაფიქრებინებს, რომ პირველი აზრი თითქოს უფრო სამართლიანი უნდა იყოს.

სამეფოებისა და სამთავროების შემოსაზღვრულობა

---

[817] **ვახუშტის** ისტ., ჭიჭინაძე, 23.
[818] ქ´კბი II, 308-309.
[819] იქვე, 307 და 308.

სრულიად საქართველოს დაშლის შემდგომ შექმნილი ქართული სამეფოები და სამთავროები მართალია ურთიერთს ხშირად ებრძოდნენ და რაკი თითოეული თავის საბრძანებლის საზღვრების გაფართოებასა ცდილობდა, ამ სამეფო-სამთავროების მოხაზულობა ხშირად იცვლებოდა, მაგრამ მაინც ყველა ამ ერთეულებს უეჭველია თავიანთი ჩვეულებრივი და ასე თუ ისე უდავო საზღვრებიც ექნებოდათ. ეს ჯერ ერთი იმიტომ იყო შესაძლებელი, რომ თითოეული ამ ერთეულთაგანი ამა თუ იმ წინანდელს თემს წარმოადგენდა, როგორც მაგალითად გურია, სამცხე-საათაბაგო, ანუ მესხეთი, ქართლი, იმერეთი, კახეთი და სხვა, რომელთაც წინათაც ვითარცა საერისთავთ-ერისთავოებს თავიანთი საგამგეო და სათემო საზღვრები ჰქონდათ. მეორეც იმიტომ, რომ მას შემდგომ, რაც კონსტანტინესა და დანარჩენ მეფე-მთავართა შორის შეთანხმება მომხდარა და მოპირდაპირენი დაზავებულან, მშვიდობიანობის ჩამოსაგდებად თავიანთ სამფლობელოების საზღვრების შესახებაც უნდა ავად თუ კარგად შეთანხმებულიყვნენ. ამას ვახტანგის მიერ შეყრილი სწავლული კაცნიც გრძნობდნენ და მათ თავიანთ შრომაში მოყვანილი აქვთ კიდეც დაწვრილებითი ცნობები ახალი დაარსებული სამეფო-სამთავროების მოხაზულობის შესახებ, მაგრამ ჯერჯერობით არა ჩანს ის წყარო, რომლითგანაც ამოღებული უნდა იყოს ეს ცნობები. ამის გამო მათი ღირსების დაფასება და სანდოობაც ჯერ გამოსარკვევია.

კახეთის სამეფოს საზღვრები

კახთ ბატონების საბრძანებელი მათის სიტყვით ასე ყოფილა შემოფარგლული: «კახთა ბატონთა მას ჟამსა ეპყრა-გადმოღმართი ლეკის მთისა ეპყრა თუშეთი,-ხოლო დიდონი არა მორჩილობდენ ნებისაებრ მისისა,-ზემოთ ფშავი და თიანეთი, სადა შეერთვის ფშავის წყალი არაგვსა, მიერითგან ვიდრე არაგუსა გაღმართი ხეუმმორამდის. ხეუმმორიდამ გაყოლილი ლილოს სერამდის რადენის სერსა წყალი გასდის და გაერთუის მარტყოფის წყალსა გაყოლით ამართულამდე, გაყოლით ვიდრე აჯისუმდე, აჯისუს ვიდრე მტკვრის შესართავამდე. მას ქუემოთი მტკუარს გაღმართი ვიდრე შაქისის სიმძღურამდე»-ო[820].

ქართლის სამეფოს საზღვრები

ქართლის სამეფოს საზღვრებად სწავლულ კაცთ აღნიშნული აქვთ: «აჯისუს ზეით უდაბნონი და სამგორს ქვემოთი, ლილო და ლილოს ქვემოთი და ხეუ-ძმარას ქვემოთი და არაგუს აქათი და ფშავის წყალს აქათი, გუდამაყარი და ხეუხილაკას აქათი და კასრის ხევს აქათი და წედისის მთის გადმოღმართი და კუდარო და ჭალის მთის გადმოღმართი, ერწო და შვილდაურსა და პერანგას გადმოღმართი, გორას ძირს აქათი, ლიჩი, ღოდორა, ქეფინის ხევი და ჩხერის ციხე და მას ზემოთი ისრე გაყოლით მთის აქათი ხეობა ვიდრე დვირამდის, კოდიანს გადმოღმართი, ნინოს ხევი რომ ჩამოივლის გაღმით სამგორისაკენ: ცივ-წყაროს ხევ-ხევ გაჰყვება გახშული ბარშიამის მთა, ჩამოივლის ჯანჯლის ციხე საღამოს თავსა ბორცვს ზემოთი წაივლის სერ-სერ სათხე-ქუნცელის თავსა გარდავლითა ხენჭურის თავსა პალაკაციოს მთამდე, რომელსა თურქნი იელდოღდის ეძახიან, პალაკაციოდამდე სერ-სერი ჩაივლის, კარის სოფლის

[820] იხ. ქ᾽ ცის გაგრძ., **ჯანაშვილი**, 45.

აქათი ერეუნის საზღვრამდის ჩაყოლებით ბანბაკი და ლორე ვიდრე ყაზახის სამძღვრამდე ეპყრა მეფესა ქართლისასა»-ო[821].

იმერეთის სამეფოს საზღვრები

იმერეთის სამეფოს საზღვრებად სწავლულ კაცთ დასახელებული აქვთ: «წედისის მთის აქათი, დიგორის მთის აქათი, ლენტეხი და თაკვერი, რომელსა აწ ჰქუიან ლეჩხუმი, ცხენისწყალს ჩაყოლით, გამოღმართი და საჯავახოს აქათი გაყოლით ფერსათის მთას აქათი ვიდრე ქართლის სამძღვრამდის»[822].

სამეგრელოს საზღვრები

ბედიანს ანუ სამეგრელოს მთავარს «ეპყრა ცხენისწყალს ჩაღმართი, ლეჩხუმის ქვემოთი, სვანეთის მთის გადმოღმართი, აფხაზეთის ზემოთი»[823]. სამეგრელოს მთავარს აფხაზეთის მთავარიც ექვემდებარებოდა, მაგრამ «მორჩილობდა არა ყოველსავე ბრძანებასა დადიანისასა». აფხაზეთის მთავრის სამფლბელოს შეადგენდა მთელი «აფხაზეთი ჯიქეთამდის»[824]. აფხაზეთის გარდა სამეგრელოს მთავარსვე ეკუთვნოდა «ზღვას ჩამოღმართი და რიონის გაღმართი»[825].

გურიის საზღვრები

გურიის სამთავროს «ეპყრა რიონს გაღმართი საჯავახო, იმას აქათი გამოსწურივ ღომისციხეს გადმოღმართი, ერგე, აჭარა და ჭანეთი რკინისპალოს აქათ»[826]. როგორც დავრწმუნდით, ბაგრატის დროს გურია ბედიანს ეკუთვნოდა და ჯერ კიდევ გამოსარკვევია, წარმოადგენდა თუ არა გურია კონსტანტინეს მეფობის ჟამს უკვე გამოცალკევებულს პოლიტიკურს ერთეულს, თუ ეგნატაშვილი ბერის მეთაურობით შედგენილი ქ᾽ცის გაგრძელების ცნობა მცდარია.

საათაბაგოს საზღვრები

მესხეთის მთავარს «ათაბაგს ეპყრა გურიელის სამზღვარს ზეითი, ფერსათის მთის გადაღმართი, დვირს ზეითი, აქათ ქართლის საზღვრამდის, იქით კარის სამძღვრამდის, არზრუმისაკენ გურჯი-ბოღაზის აქათი»[827]. ეს ცნობა ვგონებ სრული არ უნდა იყოს.

კონსტანტინე მეფის მცდელობა შორეული მოკავშირეების დახმარებით თავისი პოლიტიკური მიზნის მისაღწევად

---

[821] **იქვე**, 45-46.
[822] **იქვე**, 46.
[823] **იქვე**.
[824] ქ᾽ცის გარძ., **ჯანაშვილი**, 46.
[825] **იქვე**.
[826] **იქვე**,46.
[827] **იქვე**, 46.

შინაურ ბრძოლაში მარცხსა და მძლავრ მაჰმადიან მეზობლებთან უსწორო ბრძოლას კონსტანტინე მეფის დაუცხრომელი მხნეობა ვერ შეუსუსტებია. მას ახლა შორეული მოკავშირეებისა და მფარველების ძებნა დაუწყია, რომ მათი დახმარებით ზურგიც გამაგრებული ჰქონდა და მტრისათვის შეტევაც შესძლებოდა.

მოციქულობა ეგვიპტის სულტანთან

პოლიტიკური მიზნითა და დავალებით კონსტანტინე მეფეს ეგვიპტის სულტანთან ქაიროში დესპანად კარის ეკლესიის მოძღვარი «ნილოსი»[828] გაუგზავნია[829]. რათგან, როგორც შემდეგში დავრწმუნდებით, ეს ამბავი 1492 წ. შემდგომ 1496 წლამდე უნდა მომხდარიყო, ცხადია, რომ კონსტანტინე მეფეს თავისი დესპანი ეგვიპტის მამლუკ ხალიფა აშრაფ სეიფ-ად-დინ კაიტბეისთვის (1468-1496 წ. წ.) გაუგზავნია. საქართველოს მეფეებს ეგვიპტის მბრძანებლებთან უკვე XV საუკ. დამდეგითგან მეგობრობა და ურთიერთისადმი პატივისცემა ჰქონდათ[830]. რა მინდობილობით გაუგზავნია კონსტანტინე მეფეს თავისი დესპანი ეგვიპტის მფლობელთან, არა ჩანს, მხოლოდ ქაიროში საქართველოს მეფის წარმომადგენელი დიდი სიხარულით მიუღიათ. არც გასაკვირველია, რათგან კონსტანტინე და ხალიფა ურთიერთის მოკავშირენი ყოფილან. ამ გარემოებას თვით საქართველოს მეფისავე სიტყვა ცხადჰყოფს. ესპანიის დედოფალს იზაბელას ის სხვათა შორის ატყობინებდა, რომ მას არც ერთ სხვა «უსჯულო» ხელმწიფესთან კავშირი არ ჰქონდა (იხ. წერილი). აქეთგან აშკარაა, მაშასადამე, რომ კონსტანტინე მეფეს ეგვიპტის ხალიფასთანაც კი მოკავშირეობა შეკრული ჰქონია.

არაბთა განდევნა ესპანიითგან და კონსტანტინეს მცდელობა ესპანიასთან კავშირის შესაკვრელად

კონსტანტინე მეფის დესპანი რომ ქაიროთგან იერუსალემში მისულა, იქ ესპანიის დედოფლის დესპანებს შეჰხვედრია. მათგან საქართველოს ელჩს უნდა გაეგონა მაშინდელ ქრისტიანეთათვის, განსაკუთრებით აღმოსავლეთში სასიხარულო ამბავი იზაბელა დედოფლის ჯარისაგან არაბების საბოლოო დამარცხებისა და ესპანიითგან სამუდამოდ განდევნის შესახებ. გახარებულს ქართველს დესპანს ესპანიის ძლევამოსილი დედოფლის დესპანები საქართველოში დაუპატიჟნია და თავის მეფესთან წამოუყვანია. უეჭველია მას პოლიტიკური მიზანი ექნებოდა. იქნებ მასვე დაჰბადებოდეს ის გეგმა, რომელმაც შემდეგ კონსტანტინე მეფე აიძულა თავისი მოციქული თვით ესპანიის მბრძანებელთან გაეგზავნა.

დასავლეთის ქრისტიანებთან ერთად მაჰმადიანების წინააღმდეგ ბრძოლის წარმოების ძველი გეგმის განახლება.

---

[828] ტექსტში შეცდომით «კორნელი» სწერია. ამ შეცდომის განმარტება იხ. ქვემოთ.

[829] იხ. კონსტანტინეს წერილი ესპანიის დედოფლისადმი, **ბროსე**. H. moder. de la G. I, 408.

[830] იხ. მარტიროზ სომეხთა ეპისკოპოსის ცნობა ნ. მარის предварительный отчет-ში Сообш. Прав. Палест. Об. т. XIV, ч. II, 1903 წ., გვ, 50.

საქართველოში ჩამოსვლისთანავე იზაბელას დესპანებს კონსტანტინე მეფისათვის არაბებზე თავიანთი საბოლოო გამარჯვების ამბავი მოუხსენებიათ. წრფელი აღტაცებითა და სიხარულით აივსებოდა ყოველი ქართველის გული ამ მოულოდნელი ამბავის გაგონებაზე. თავიანთ სამშობლოში მძლავრ მაჰმადიან მეზობელ სახელმწიფოთაგან უაღრესად შეწუხებულ საქართველოს გაერთიანებისა და განახლების მოტრფიალე პოლიტიკურ წრეებს ამ დროს ეგებ თავიანთი ოცნების უიმედობის აზრი გულში უკვე შეპარული ჰქონოდათ. ეს ახალი სასიხარულო გამარჯვება, ეს თუმც შორეულ, მაგრამ მაინც ქრისტიანთა მტარვალ მაჰმადიანებზე ძლევამოსილების ამბავი, კვლავ სასოებას გაუცხოველებდათ. აკი კონსტანტინე წერდა კიდეც ესპანიის ძლევამოსილ დედოფალს: »გვგონია და ვხედავთ კიდეც, რომ ამიერითგან აღმოსავლეთის მზე უკვე იწყებს დედამიწის მთელი დანარჩენი ნაწილის მოფენას თავისი მაცისკროვნებელი ბრწყინვალებითა»-ო[831]. ამ შორეული, სხვისი გამარჯვების სასიხარულო ამბავის მოღწევაც კი საკმაო ყოფილა, რომ ქართველ პოლიტიკოსთათვის კონსტანტინე მეფის მეთაურობით კვლავ ძველი ოცნებისა და გეგმის განხორციელების შესაძლებლობის აზრი აღეძრა. ამიტომ მათ ამ შემთხვევით უსარგებლიათ დასავლეთის ქრისტიანობასთან კავშირის განსაახლებლად. კონსტანტინე მეფეს იგივე ხუცესი ნილოსი ალბათ იმავე ესპანიის ელჩებისათვის გაუყოლებია. საქართელოს მამულიშვილთ თავიანთ ქვეყნის ხსნისა და პოლიტიკური აღორძინების იმედი მისცემიათ. ისინი ფიქრობდნენ, რომ რაკი ესპანიის დედოფალმა არაბთა დამარცხება და თავის სამშობლოთგან სამუდამოდ განდევნა შესძლო, ოსმალთა და სპარსთა დამარცხება-განდევნაც ადვილად შესაძლებელი იქმნებოდა, თუ რომ დასავლეთ-აღმოსავლეთის ქრისტიანობა შეერთებული ძალით მაჰმადიანობას შეებრძოლებოდა.

რომის პაპთან და ესპანიის დიდოფალთან დესპანის გაგზავნა

ამ ოცნების განსახორციელებლად კონსტანტინე მეფემ დესპანი ნილოსი[832], რომელიც ეგვიპტეში ჰყავდა გაგზავნილი, ეხლა დასავლეთ ევროპაში გაგზავნა. ეს დესპანი რომის პაპთან და ესპანიის ძლევამოსილ დედოფალთან გაისტუმრა საგანგებო სიგელებითა, საიდუმლო დავალებითა და მისართმევი საჩუქრებით დატვირთული. არც ერთი ამ წერილთაგანის დედანს ჩვენამდის არ მოუღწევია. პაპი ალექსანდრე VI-ის სახელობაზე დაწერილი ეპისტოლე დაკარგულია და მისი შინაარსის გაგება მხოლოდ პაპის საპასუხო ეპისტოლითგან შეიძლება. მისი ლათინური ტექსტი და ქართული თარგმანი **მ. თამარაშვილსა** აქვს დაბეჭდილი თავის ცნობილ წიგნში «ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის»[833]. ესპანიის დედოფლისადმი გაგზავნილი საბუთისა კი მხოლოდ ძველი რუსული ენით ნათარგმნი პირი არის შენახული. იგი

---

[831] Brosset, I, 408.

[832] იზაბელას სახელობაზე დაწერილს სიგელში დესპანი თუმცა კორნილიოსად არის წოდებული, მაგრამ რომის პაპის ალექსანდრე VI-ის კონსტანტინე მეფისადმი 1496 წ. საპასუხო ეპისტოლეში დესპანად ნილოსია (Nilum confessorem et oratorem tuum). უეჭველია ამ ორსავე საბუთში ერთი და იმავე პირის სახელი უნდა იყოს. «კორნილიოს» რუსული თარგმანის დამახინჯება უნდა იყოს და წარმომდგარი იქმნება «კჯრ-ნილოს»-ითგან [**არაბული**]. როგორც რუსული საბუთების ენაში მიღებული იყო.

[833] იხ. გვ. 598-599 და 64-65.

სრულებით შემთხვევით იყო 1823 წ. აღმოჩენილი **ბ-ნ ბუსსეს** მიერ ვარშავის არქივში და 1823-ვე წელს იყო დაბეჭდილი[834].

კონსტანტინე მეფის ეპისტოლის ნატყუარობა-უეჭველობის საკითხი

იმ გარემოებამ, რომ კონსტანტინე მეფის წერილი რუსულად აღმოჩნდა, ბუნებრივად ეჭვი დაბადა. კონსტანტინეს მეფური წოდებულობა ცხადად დამახინჯებულია თარგმნის დროს და ეს გარემოება არც გასაკვირველია, რათგან იქ ჩამოთვლილი ქვეყნების სახელები რუსებისა და პოლონელებისათვის სრულებით გაუგებარი და უცნობი იყო. ესპანიის დედოფლის სახელად ელისაბედი სწერია იზაბელას მაგიერ, როგორც უნდა ყოფილიყო, რათგან არაბთა საბოლოო დამარცხება და ესპანიითგან განდევნა 1492 წ. მოხდა სწორედ იზაბელას დროსა და პირადი მონაწილეობით[835]. ბროსეს ეს ორი სახელი სინონიმებად მიაჩნია და საჭიროდ არც კი სთვლის, რომ აქ გადამწერის შეცდომა ვიგულისხმოთ[836]. ეს შეცდომა შეიძლება საქართველოშიც მოსვლოდეთ, რათგან ამგვარი სახელი ქართველებს პირველად ექნებოდათ გაგონილი, მაგრამ შესაძლებელია საბუთის თარგმანისა და გადაწერის დროსაც მომხდარიყო.

უფრო მსხვილ შეცდომად ამ საბუთის რუსულ თარგმანში მოყვანილი თარიღი უნდა ჩაითვალოს. «დაიწერა [სიგელი] ესე მარტსა ათსა დღესა 1465 წელსა შობითგან ქრისტესითა»-ო[837]. ეს თარიღი არც კონსტანტინეს მეფობას უდგება და არც იზაბელასას. ამ გარემოებამ თავის დროზე მ. ბროსე ისე შეაფიქრიანა, რომ თვით საბუთის სიყალბის აზრიც კი დაებადა. მაგრამ სიყალბის შესაძლებლობა თვითვე უარჰყო. სამაგიეროდ ამ შეცდომითი თარიღის გასამართლებლად განსვენებულს აკადემიკოსს არა ერთი მცდარი მოსაზრება აქვს გამოთქმული[838].

ეპისტოლის თარიღი მცდარი და ნამდვილი

პაპი ალექსანდრე VI კონსტანტინე მეფისადმი 1496 წ. დაწერილი ეპისტოლითგან, რომელიც მ. თამარაშვილსა აქვს გამოქვეყნებული, სრული უეჭველობით მტკიცდება, რომ კონსტანტინე მეფეს ესპანიის დედოფლის არაბებზე გამარჯვება მართლაც მიულოცია პაპისათვის. ეს გარემოება ცხადჰყოფს, რომ კონსტანტინე მეფეს არაბთა ესპანიით განდევნის ამბავი გაგებული ჰქონია. ხოლო, რათგან კონსტანტინე მეფის ეპისტოლის რუსულ თარგმანშიაც და ალექსანდრე VI საპასუხო ეპისტოლეშიაც, როგორც აღნიშნული გვქონდა, საქართველოს დესპანად ერთი და იგივე პიროვნება, ხუცესმონაზონი ნილოსია მოხსენებული და ამ ეპისტოლეების შინაარსი, ერთიმეორეს კარგად უდგება, თანაც დაუჯერებელია, რომ

---

[834] რუსულ სამეცნეირო საზოგადოების გამოცემაში «Труды Высочайше утвержденного вольного Общества россійской литературы» რომელსაც აგრეთვე «Соревнователь просвещения и благотворения» ერქვა (იხ. წ. II, გვ. 213-219, № 5, 1823.). ეს საბუთი 1850 წ. გადმობეჭდილი იყო Закавказский Вестник-შიც. აკად მ. ბროსემ მისი ფრანგული თარგმანი ისტორიული განმარტებითურთ ჩაურთო თავისს Histoire moderne de la Georgie addition premiere, p. 407-411.

[835] CL Huart, Histoire des arabes. t. II, p. 193-194 1913 წ.

[836] Brosset, H. mod. I, 509.

[837] იქვე, 409.

[838] იქვე, 410.

კონსტანტინე მეფეს არაბებზე ძლევამოსილების გამო მხოლოდ რომის პაპისათვის მიელოცა, თვით გამარჯვების ძლევამოსილი გმირისთვის კი არა მიეწერა-რა, ამიტომ სრულებით ცხადი ხდება, რომ **კონსტანტინე მეფის ეპისტოლის ძველი რუსული თარგმანი ნამდვილი, უეჭველი საბუთის თარგმანი უნდა იყოს.**

ამ საბუთის დაწერის თარიღიც ადვილად ირკვევა: რაკი პაპი ალექსანდრეს საპასუხო ეპისტოლე 1496 წ. ივლისის ათს არის დაწერილი[839], კონსტანტინე მეფის იზაბელა დედოფლის მიმართ წარგზავნილი და არაბებზე გამარჯვების გამო დაწერილი მისალოცი სიგელი შეიძლება მხოლოდ 1492 წ. შემდგომ იყოს დაწერილი 1496 წლამდე. რათგან რუსულ თარგმანში ეს საბუთი 1465 წ. 10 მარტით არის დათარიღებული, ამიტომ საფიქრებელია, რომ თვით დედანი 1495 წ. 10 მარტს იქნებოდა შედგენილი. თუ კონსტანტინე მეფის ეპისტოლე ქართულად იყო დაწერილი, რაც თავისდათავად საეჭვოა ესპანიის დედოფლისადმი მიმართვის გამო, თარიღი ქ᾽კნით იქნებოდა აღნიშნული, რათგან ამ დროს ქრისტესით წელთაღრიცხვა ქ᾽ლ საბუთებში მიღებული არ იყო. **ბროსეს** აზრი ვითომც კონსტანტინე მეფის ვარშავაში აღმოჩენილი საბუთი, გამოურკვეველი მიზეზების გამო ვარშავაში დატოვებული, თვით დედანი იყოს და არა პირი[840], უსაფუძვლო აზრად უნდა ჩაითვალოს, რათგან პაპი ალექსანდრეს საპასუხო წერილითგან ვიცით, რომ საქართველოს მეფის დესპანმა ნილოსმა დასავლეთ ევროპას მიაღწია და თავის მბრძანებლის სიგელიც თან მიიტანა. მაგრამ ბროსსე რომ მართალიც ყოფილიყო, ამ შემთხვევაშიაც თარიღი ქრისტესით არ იქნებოდა აღნიშნული: რუსეთში ამ დროს დასაბამითგანი წელთაღრიცხვა იყო მიებული. ამგვარად, ცხადია, რომ ორთავე შემთხვევაში საბუთის რუსულად გადმოთარგმნის დროს თარიღის ქრისტესით გამოანგარიშება არ დასჭირდებოდათ. მაგრამ რაკი საბუთის დაწერის დროს საქართველოში თვით ესპანიის დესპანები იყვნენ და დასავლეთთან მიწერ-მოწერა წინათაც, მაგ., გიორგი მეფის დროსაც, ლათინურად უწარმოებიათ, ამიტომ ჭკუასთან უფრო ახლო იქნება დავასკვნათ, რომ კონსტანტინე მეფის ეპისტოლის დედანი საქართველოში ჯერ ქართულად იქნებოდა შედგენილი და მერმე იქვე და მაშინვე ლათინურად ნათარგმნიც დაერთობოდა. ლათინური თარგმანის თარიღი, როგორც პაპების იმდროინდელ საბუთებშიც გვხვდება, ქრისტესით იქნებოდა აღნიშუნლი. ამიტომ რუსულ თარგმანში შეპარული შეცდომა უფრო რომ გრაფიკულ ნიადაგზე უნდა იყოს წარმომდგარი ან თარგმნის, ან გადაწერის დროს. მაინცდამაინც თვით კონსტანტინე მეფის და პაპი ალექსანდრე VI წერილებითგან ნათლადა ჩანს, რომ კონსტანტინე მეფის წერილი შეუძლებელია 1465 წ. ყოფილიყო დაწერილი, არამედ უნდა 1493-1495 წ. იყოს შედგენილი.

როგორ მოხდა, რომ კონსტანტინე მეფის ეპისტოლის რუსული თარგმანი ვარშავაში აღმოჩნდა?

რაკი პირდაპირი გზა საქართველოთგან რომში და ესპანიაში ოსმალების ხელთ იყო და იმ საიდუმლო პოლიტიკური გეგმის გამჟღავნება, რომელიც კონსტანტინე მეფის წერილებში იყო აღნიშნული, ოსმალებს რომ ხელში ჩავარდნოდათ, საბედისწერო შეიქმნებოდა თვით დესპანისა და საქართველოსთვისაც, ამიტომ როგორც შემდეგშიც მომხდარა, ქართველი დესპანი პოლონეთის, ხმელეთის გზით

---

[839] იხ. **თამარაშვილის** გამ., 600 და 66.

[840] Add. I,409 შენ. I.

წასულა. სწორედ ამ გზით წარმავლობის კვალად უნდა ჩაითვალოს ის პირველი შეხედვით უცნაური გარემოება, რომ კონსტანტინე მეფის ეპისტოლის ძველი რუსული თარგმანი პოლონეთის დედაქალაქის არქივში აღმოჩნდა. აქ ეს საბუთი, ჯერ გამოურკვეველი მიზეზის გამო, იმ დროს პოლონეთში ძალიან გავრცელებული ძველი რუსული ენით უთარგმნიათ.

კონსტანტინე მეფის ეპისტოლის შინაარსი და მიზანი

კონსტანტინე მეფე ესპანიის ძლევამოსილს დედოფალს იზაბელას თავის ეპისტოლეში სიხარულს უცხადებდა არაბებზე საბოლოო გამარჯვების გამო, ღმერთს მისთვის ყოველ სიკეთეს შესთხოვდა და სხვათა შორის სწერდა: ღვთით შენ დაიმორჩილე ყველა ურწმუნო მფლობელნი და განსაკუთრებით უსჯულო სარკინოზნი, სირცხვილეულ ჰყავ მათი მრჩეველნი და უუდიდესი ქალაქები წაართვი მათ ისე კი რომ ღვთის გარდა არავინ შემწე მშველელი არ გყოლია ამ გამარჯვებაში, რომელიც ღმერთმა მხოლო გიწყალობა და აგარის უწმინდურ ნათესავზე ძლევამოსილების გვირგვინით შეგამოკოო. სიხარულით გავიგეთ აგრეთვე, რომ ზოგიერთი მეფეები თქვენი მოკავშირეები ყოფილან და ღმერთს მადლობა შევწირეთ, რომ მან ყველა ქრისტიან მეფეთა და მართლმადიდებელთა სიყვარულითა და კავშირით უზრუნველ გყოთ.

რა იქმნა სიდიადე და დიდება ქრისტიანთა, რა მოუვიდა მათ პატივსა და იმედს, დიდსა და სახელოვან ქალაქს კონსტანტინეპოლს, სად არიან მართლმადიდებელი მეფეები, მათი სიხარული და განცხრომა? სიხარული მწუხარებად და ვაებად შეიცვალა. დიდება დამცირებად. ოდესღაც გაბრწყინვებულნი ეხლა წყვდიადში ვიმყოფებით. ოდესღაც ჩვენ პატივისცემით მოსილ ხელმწიფესთან გვქონდა ხოლმე ურთიერთობა, ეხლა მწუხარებისა და ცრემლების გარდა არასა ვხედავთ. ჰოდ, რაოდენ სიკეთეს არის მოკლებული ნათესავი ჩვენი? სად არიან ტრაპიზონის ხელმწიფეები ან სხვები, რა მოუვიდა სერბთა ქვეყანას და მრავალ სხვასაც?!

მაგრამ **ვიცით და ეხლა მტკიცედ ვიმედოვნებთ, რომ უფალი ჩვენი იესო ქრისტე ჭეშმარიტი ღმერთი ჩვენ ძლევამოსილებას მოგვანიჭებს აგარის უწმინდურ ნათესავზე.** ეგვიპტის სულტანთან ამავე მიზნით გაგზავნილმა ჩვენმა დესპანმა შინისაკენ მომავალმა იერუსალემში თქვენი დესპანები ნახა, რომელნიც თან წამოიყვანა. მათგან გაგონილმა **ახალმა ამბავმა თქვენი გამარჯვების შესახებ დიდი სიხარულით აგვავსო.** და იგივე ჩვენი დესპანი ეპისტოლითურთ გამოვისტუმრეთ თქვენთან, მაგრამ **იმის გარდა, რაც ამ ეპისტოლეშია დაწერილი, ჩვენი დესპანი ბევრს სხვასაც რასმე პირადად სიტყვიერად მოგახსენებთ** იმიტომ, რომ გზაზე მრავალი მტერია, უსჯულო სპარსელები ხომ, როგორც იცით, უწყალოდ გვტანჯავენ. **ამ ჩვენს მტრებს ბევრი უბედურება მოუყენებიათ ჩვენთვის** და სამს რამესა **გვთხოვენ ხოლმე: გადაიხადეთ დიდი ხარკი, იბრძოლეთ მუდამ ჩვენთან ერთად და გამაჰმადიანდითო. ისინი მრავალრიცხოვანი არიან, ჩვენ კი ტრაპიზონის, კონსტანტინე პოლის და სხვა ქრისტიანთა დაცემის შემდგომ მარტოდ-მარტონი და სრულიად დამდაბლებულნი დავრჩით.** მაგრამ აწ ურიცხვნი ერნი აგარიანთა, სპარსთა, თურქთა და არაბთა, შერცხვენილ-აღშფოთებული არიან. დროც მოახლოვებულია. სახელითა ღვთისათა **გევედრებით დაუყოვნებლივ პირდაპირ კონსტანტინეპოლზე გამოილაშქროთ.** აიღეთ

ფარად უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს ჯვარი და მაცხოვარი ჩვენი თქვენს სურვილს ხელს შეუწყობს. **მეც პირადად შვილებითურთ და მთელი ლაშქრით,** რომლის შეყრასაც კი შევსძლებ, დაბრუნდება თუ არა ჩემთან შენი დესპანი, არ დავაყოვნებ და **შენთან ერთად საბრძოლველად წამოსასვლელად მზად ვიქნები**. ხოლო სიყვარულის ნიშნად ამ მცირე ძღვენს გაახლებთ: იეზდის 19 ოქროქსოვილს, 40 მისხალს ობოლ მარგალიტს და 17 ვეფხვის ტყავს. დაიწერა სიგელი ესე ჩვენი 1495 წელსა მარტისა ათსა დღესა.

ქართველ პოლიტიკოსთა სულისკვეთება

კონსტანტინე მეფის ამ წერილში მშვენიერად არის გამოხატული მაშინდელ ქართველ მამულიშვილთა სულიერი მდგომარეობა და გულისნადები. იმის შიშით, რომ საქართველოს მეფის ეს ეპისტოლე მტერს არ ჩავარდნოდა ხელში კონსტანტინეს, როგორც იქ აღნიშნულია, ყველაფრის თქმა არ შეეძლო და რაც უფრო მნიშვნელოვანი იყო და ჩვენთვისაც საყურადღებო იქმნებოდა, ის თურმე სიტყვიერად ჰქონია დესპანს დაბარებული. იმისდა მიუხედავად, რომ როგორც ირკვევა, მრავალი საგულისხმო და დიდმნიშვნელოვანი ცნობა მაშინდელი საქართველოსა და ქართველთა გულითადი ზრახვების შესახებ ამ წერილში შეტანილი არ ყოფილა, მაინც მთავარი საიდუმლოების მიხვედრა ძნელი არ არის. კონსტანტინე მეფის სიტყვებითგანა ჩანს, რომ საქართველოს მმართველ წრეებს თავიანთი ქვეყნის წარსული სიძლიერე და სიდიადე სრულებითაც დავიწყებული არ ჰქონდათ. ურიგოდ არ ჰქონიათ გათვალისწინებული მახლობელ აღმოსავლეთის ის საზოგადო პოლიტიკური მდგომარეობაც, რომელმაც საქართველოს დაუძლურებას შეუწყო ხელი და ეხლაც მოღონიერება-განახლებისათვის დროსა და საშუალებას არ აძლევდა. ეს წერილი ამტკიცებს, რომ მაშინდელი საქართველოს უმწეო მდგომარეობისდა მიუხედავად ქართველ მამულიშვილებს კონსტანტინე მეფის მეთაურობით სასოწარკვეთილებითა და უიმედობით არ გაუტეხიათ გული, არც ფარ-ხმალი დაუყრიათ, არამედ საქართველოს აღდგენისათვის მაინც იღვწოდნენ და უკეთეს მომავლის შესაძლებლობაზე ოცნებოდნენ ხოლმე. რამდენად ფართოდ უყურებდნენ ისინი ამ საქმეს ის გარმოებაც ამტკიცებს, რომ თვით მაჰმადიან ხელმწიფის, ეგვიპტის სულტნის მეგობრული კავშირის და დახმარების იმედი და გეგმა ჰქონიათ თავიანთ მეზობელ მაჰმადიანთა მძლავრი სახელმწიფოების საწინააღმდეგო ბრძოლაში გამოსაყენებლად.

ის გარემოებაცაა საყურადღებო, რომ წინანდელი მოსაზღვრე ძლიერი საქრისტიანო ქვეყნების, განსაკუთრებით ბიზანტიისა და ტრაპიზონის, მოსპობის საქართველოსათვის საბედისწერო მნიშვნელობის გათვალისწინებას შეუგნებინებია, რომ საქართველოს ნამდვილი და საბოლოო ხსნაც მხოლოდ მაშინ იქნებოდა შესაძლებელი, თუ რომ შეერთებულის ძალით აღმოსავლეთის მაჰმადიანობის მძლავრობას ბოლო მოეღებოდა და ბიზანტიის საქრისტიანო სახელმწიფოს ბრწყინვალე დედაქალაქი და საქართველოსათვის დასავლეთისაკენ უახლოესი გზა კვლავ ქრისტიანთა ხელში გადავიდოდა და მაჰმადიანთა მძლავრობისგან თავისუფალი იქნებოდა.

საგულისხმოა, რომ კონსტანტინე მეფე ესპანიის დედოფლისადმი წარგზავნილს ზემომოყვანილს წერილში მხოლოდ და მხოლოდ კონსტანტინეპოლზე გალაშქრებას ეხვეწება ესპანიის მბრძანებელს და საქართველოს მაჰმადიან მტარვალობისაგან დახსნაზე იქ არაფერია ნათქვამი. პაპი ალექსანდრე VI-ის 1496 წ. საპასუხო

წერილითგანაც ჩანს, რომ საქართველოს მეფე რომის ეკლესიის მაღალს მწყემსმთავარს ესპანიის მეფე-დედოფლის უსჯულოებზე ბრწყინვალე გამარჯვებას ულოცავდა და თანაც სთხოვდა მათ კონსტანტინეპოლისა და იერუსალემის უსჯულოთა ხელითგან განთავისუფლებისათვის დასავლეთის ქრისტიანე სახელმწიფოებს თავისი ჯარითურთ გამოელაშქრათ[841].

კონსტანტინე მეფე თავის მხრივ თავისი შვილითა და ჯარითურთ ამ ლაშქრობაში მხურვალე მონაწილეობის მიღებას ჰპირდებოდა.

კონსტანტინე მეფისგან თავისი უმთავრესი მიზნის გამოუმჟღავნებლობის მიზეზი

უეჭველია და თავისდათავად ცხადი, რომ საქართველოს მეფესა და პოლიტიკოსებს უმთავრესად თავიანთ ქვეყნის უმწეო მდგომარეობითგანა და მტრის ხელითგან განთავისუფლების სურვილი ალაპარაკებდათ. მაშ რა მიზეზია, რომ იქ ფართო გეგმებზე კი არის ლაპარაკი, საქართველოს მაჰმადიანთა მძლავრებისაგან განთავისუფლების შესახებ კი ვედრება არ ჩანს. იქნებ ქართველ მმართველ წრეებს ესმოდათ, რომ კონსტანტინეპოლის ოსმალთა ხელთაგან გამოგელეჯა და აღმოსავლეთის მაჰმადიანთა დამარცხება იმავე დროს მათი სამშობლოს განთავისუფლების და აღორძინების მომასწავებელი იყო და ამიტომ საქართველოსთვის დახმარებაზე ლაპარაკი ზედმეტად მიიჩნიეს? ან იქნებ იმიტომ სდუმდნენ ამის შესახებ, რომ კარგად იცოდნენ, რომ მარტო საქართველოს გულისათვის დასავლეთის ქრისტიანები თავს არ შეიწუხებდნენ და საქმე რომ ასე დაეყენებინათ, სრულებით ჩაიფუშებოდა? შესაძლებელია, მაგრამ დუმილის ერთ-ერთი მთავარი მიზეზთაგანი უეჭველია პოლიტიკური სიფრთხილე უნდა ყოფილიყო და შიში, რომ ეს გარემოება შემთხვევით ქართველთა დაუძინებელ მტრებს უდროოდ არ გაეგოთ და შური არ ეძიათ. საფიქრებელია, რომ ამის მოხსენება უნდა ჰქონოდა დავალებული საქართველოს დესპანს პირადად და სიტყვიერად; სწორედ ეს უნდა ყოფილიყო ის საიდუმლოება, რის დაწერაც ეპისტოლეში კონსტანტინე მეფემა და ქართველმა პოლიტიკოსებმა შეუძლებლად სცნეს.

კონსტანტინე მეფის პიროვნების დამახასიათებელი გარემოებანი

ერთი გარემოებაა განსაკუთრებით საყურადღებო კონსტანტინე მეფის წერილში: ფართო საგარეო პოლიტიკის წარმოება საქართველოს მტრის მძლავრობისაგან განსათავისუფლებლად მხოლოდ მას მოსვლია ფიქრად, ეტყობა მართლაც მხოლდ მას შესტკივოდა გული სრულიად საქართველოს კეთილდღეობისათვის. არც ათაბაგს, არც

---

[841] იხ. თამარაშვილის ისტ. კათ. 598-599.

”Accpimus…Iiteras tuas quibus summam erga nos ac sanctam sedem Apostolicam devotionem et reverentiam tuam quantumve reipublicae christianae de Victoria adversus infideles per clarissimos filios nostros Regem et Reginam Hispaniarum illustres potita gratulabaris… Intelleximus etiam… Sententiam tuam in expeditionem adversus Jesu Christi fidei rebelles undique parandam et quantum ad hujusmodi salutaria coepta una cum fillio tuo exercitus offerebas ad prophanata templa expianda et opressos populos in Christi libertatem vindicandos… Nihil est quod magis cupiamus… semperque invigilamus et supra vires enitimur ita principes hos christianos tenere pacatos, ut de Constantinopolitana et Jerosolimitana aliisque patriarchalibus sedibus recuperandis apes certa cupiatur”.

იმერეთის მეფეს, ან ბედიანს ამ გეგმაში მონაწილეობა არ მიუღიათ. დამახასიათებელია, რომ კონსტანტინე მეფეს არც ესპანიის დედოფლისადმი წარგზავნილს ეპისტოლეში და, როგორც პაპი ალექსანდრეს საპასუხო წერილითგან ჩანს, არც რომის ეკლესიის მწყემსმთავრისადმი მიმართულ მილოცვის წიგნში თავისი საკუთარი შვილის გარდა არცერთი სხვა ქართველი მეფე-მთავართაგანი მოკავშირედ, ან ლაშქრობის მოსალოდნელ მონაწილედ მაინც არ დაუსახელებია. ალბათ, მათ შორის ისეთი ქიშპობა და შეუთანხმებლობა იყო, რომ ასეთ საქმეშიაც კი კონსტანტინეს მათი თანადგომის იმედი არა ჰქონია.

კონსტანტინე მეფის ზემოაღნიშნულ არა ერთ მაღალ სულიერ ღირსებასთან ერთად აღსანიშნავია ის გულუბრყვილობა და ესპანიის გეოგრაფიული მდებარეობის და მაშინდელი პოლიტიკური მდგომარეობის სრული უცოდინარობა, რომელსაც იგი იჩენდა, როდესაც ის ესპანიის დედოფალს სთხოვდა თავის ჯარით დაუყოვნებლივ პირდაპირ კონსტანტინეპოლზე გამოელაშქრა!...

დასავლეთ ევროპაში მოციქულობის უნაყოფობა

რა შედეგი მოჰყვა კონსტანტინე მეფის ეპისტოლეებსა და დესპანობას დასავლეთ ევროპის ქრისტიანი სახელმწიფოების წინაშე? იგივე რაც გიორგი მეფის დროს მოჰყვა. რა პასუხი შემოუთვალა ესპანიის ძლევამოსილმა დედოფალმა, არ ვიცით, რომ პაპს კი ეშმაკის შეწუხება მოუხდა: მაჰმადიანთაგან დამონავებული ქრისტიანების განთავისუფლება ადვილად მოსახერხებელი იყო, მაგრამ ყოველი კეთილი რჩევის ძველმა მოწინააღმდეგე მტერმა (ე. ი. ეშმაკმა) უთანხმოების თესლი დათესა იმ მთავართა შორის, რომელნიც ამ ლაშქრობაში მონაწილეობის მიღებას გვპირდებოდნენო. საქართველოს მეფისთვის რომ გული არ გაეტეხა და არ აეცრუვებინა, პაპმა შემოუთვალა: მე მაინც იმედი მაქვს, რომ ჩამოვარდნილ უთანხმოებას ვძლევ და თქვენს წადილს ავასრულებო[842].

მესხეთის ამბები. ქაიხოსრო ათაბაგი

უკვე გამორკვეული გვქონდა, რომ 1498 წ. ღრმა მოხუცებული ყუარყუარე ათაბაგი მიიცვალა. "შემდგომად მისა პირმშო ძე მისი ქაიხოსრო ეპატრონა ყოველსა საჴელმწიფოსა მამისა მისისსა»[843]. ამ ქაიხოსროს პიროვნებისა და ათაბაგობის შესახებ ძალიან ცოტა ცნობებია შენახული. ქაიხსრო ათაბაგის აღზრდილი ამბროსი მეტად აქებს თავის აღმზრდელს: ქაიხოსრო იყო "ღმრთის მსახური და ყოვლითურთ სრული საღმრთოჲთა და საკაცობოჲთა ზნე-უკლები, გლახაკთა, ობოლთა და დაღონებულთა ჴელისა ამპყრობელი»[844]. მაგრამ ამგვარი დახასიათება მაშინ ჩვეულებრივი, გაზეპირებული ქება იყო და, ვითარცა გამზრდელისაგან ნათქვამი, დიდს არაფერს ჰნიშნავს თავისდათავად. ქაიხოსრო ათაბაგის შესახებ არც სხვა წყაროებს მოეპოვებათ რამე. თვით ვახუშტ ბატონიშვილსაც დაწვრილებითი ცნობები არ ჰქონია და მხოლოდ საზოგადოდ აღნიშნული აქვს, რომ "ჟამსა მისსა იწყეს კირთება აზრუმტრაპეზონის

---

[842] **თამარაშვილის** ისტ. კათ. 599.

[843] ათონის1500 წ. ახლო ხანის აღაპი. იხ. ათონის კრებული, 266.

[844] **იქვე.**

ფაშათა საათაბაგოსი და ჭანეთისა და ამშვიდებდა ქაიხოსრო ათაბაგი მორჩილებისა პირსა ზედა და სძღნობდა მარადის»-ო[845].

ცნობათა სიმცირე ქაიხოსრო ათაბაგის შესახებ, რასაკვირველია, იმითაც უნდა აიხსნებოდეს, რომ მისი გაზრდილის ამბროსის სიტყვით "ამა სოფლისა პატრონობასა ზედა არღარასა ხანისა დამყოფელი" ყოფილა და "სიტყუითა ღუთისაჲთა ამა საწუთოჲთ საუკუნოჲდ მიიზიდა»[846]. მაშასადამე, ქაიხოსროს ათაბაგობა ხანმოკლე ყოფილა.

სამწუხაროდ, ქაიხოსროს გარდაცვალების თარიღი ამბროსის აღნიშნული არა აქვს[847]. ის იხსენიებს მხოლოდ "დღესა მიცვალებისა მისისსა", მაისის ექუსსა[848]. სახელოვანი ქართველი ისტორიკოსის სიტყვით "**მოკუდა** ქაიხოსრო ათაბაგი **წლისა** ნგ. (53) მაისსა ვ (6) ქს. ჩფბ (1502) ქრ. რჟ»[849] ამავე ცნობას ქ᾽ცის შევს.- გადაკ. პირველი და მეორე გაგრძელებანიც იმეორებენ[850]. ყანჩაეთის ჟამნ-გულანში, წ᾽ა ნიკოლოზის ქრონიკაში და წ. კ. ს. № 252 ხელთნაწერში ნათქვამია: 1500 წ. "ქ᾽კსა: რპწ: აქა მიიცვალა ქრისტიანობისა ნათელი ქაიხოსრო ათაბაგი»-ო[851]. ქაიხოსროს გარდაცვალების ეს თარიღი, 1500 წ. ნამდვილი უნდა იყოს.

ქაიხოსროსა და მის ძმას მზეჭაბუკს შორის ძალია კარგი დამოკიდებულება ყოფილა. ქაიხოსროს გაზრდილის ამბროსის სიტყვით მათ "ფრიადი სიყვარული აქუნდა ურთიერთას". ამიტომ არც გასაკვირველია, რომ მზეჭაბუკი ძმის დაკარგვით შეწუხებულიყო. ამავე ამბროსის თუ დავუჯერებთ, მთელ იქაურ მოსახლეობასაც ეს დანაკლისი მწვავედ უგრძვნია ისე, რომ "დიდი მწუხარებაჲ და გლოვა მოატყუა მამულსა სახლსა მისსა და უფროჲსღა ძმასა მისსა პატრონსა მზეჭაბუკს»-ო[852].

მაშინდელი წესისდა მიხედვით მზეჭაბუკმა თავის ახლად გარდაცვალებული ძმის ქაიხოსროს სულისათვის "დიდად იზრუნა" და ამ მიზნით "უხუად მიჰფინა საჴსენებელად სულისა მისისა-თჳს" როგორც საქართველოში "თჳსთა ქვეყანათაცა", ისევე "უცხო ქვეყანათაცა". მზეჭაბუკს ქაიხოსროს გაზრდილი ამბროსი სწორედ ამგვარი მინდობილობით გაუგზავნია "სრულიად საბერძნეთად, იწრუსალიმს და სინასცა მრავლითა საქონლითა". ამბროსის დაუწყია სახსენებლისათვის შესაწირავის «გაცემა ტრაპიზონით კონსტანტინეპოლამდის», მოუვლია ათონის მთის ყველა მონასტრები, «სადაყუდებულონი და მესენაკენი» და ყველასთვის სალოცავად სასყიდელი მიუცია. ამბროსის უეჭველია გადაჭარბებული სიტყვით «სრულად ელადისა და მაკედონის თემსა მონასტერთა, მიტრაპოლიტთა, ეპისკოპოზთა, ხუცესთა, გლახაკთა და ტყჳსუფალთა», ერთი სიტყვით ყველაზე დიდძალი ქონება დაუხარჯავს ქაიხოსროს სულის შესანდობარისა და სახსენებლისათვის. მარტო ათონის ქართველთა მონასტრისათვის 25500 «ოთმანურისა» საფასე შეუწირავს, ზოგი ოქროს, ზოგი

---

[845] **ვახუშტი**, ისტორია, **ჭიჭინაძე**, 241.

[846] ათონის კრ. 266.

[847] ე. თაყაიშვილს ნათქვამი აქვს, ვითომც ათონის აღაპებში 1500 წ. ყოფილიყოს აღნიშნული (Канчаетский жам-гулани: СМОМПК XXIX . 10), მაგრამ ეს შეცდომაა

[848] ათონ კრ., 267.

[849] **ვახუშტი**, ისტ., **ჭიჭინაძე**, 241.

[850] დამატ. 904 და პარიზის ქრ. **ჭიჭინაძე**, 6.

[851] იხ.**ე. თაყაიშვილის** Канч. жам-гул.10 და ქ᾽კბი II, 313.

[852] ათონის აღაპები, 266.

ვერცხლის ფულად[853]. ამ უხვი ხელგაშლილობითგანა ჩანს, რომ მზეჭაბუკს თავისი ძმა ქაიხოსრო ათაბაგი მართლაც ძლიერად უნდა ჰყვარებოდა.

მზეჭაბუკის გაბატონება მესხეთში და მისი ვინაობა

ქაიხოსროს გარდაცვალების შემდგომ მესხეთში, როგორც ეტყობა, მზეჭაბუკი გაბატონებულა. ბატონიშვილს ვახუშტს მზეჭაბუკი ქაიხოსროს შვილად და ათაბაგად მიუჩნევია. მას სახელდობრ ნათქვამი აქვს: "ქაიხოსროს შემდგომად დაჯდა **ძე ამისი ათაბაგად მზეჭაბუკი"-ო[854].** მაგრამ დიდებულს ისტორიკოსს აქ ორი შეცდომა შეჰპარვია. თვით მზეჭაბუკის საკუთარი სიტყვები ცხად-ჰყოფენ, რომ იგი ქაიხოსროსი კი არა, ყუარყუარეს შვილი იყო. "**მე ძემან** დიდისა პატრონისა **ყუარყუარესმან** პატრონმან **მზეჭაბუკ**"-მაო, ნათქვამი აქვს მას თავზე სუიმონ მაწყუერელისადმი ნაბოძებს სიგელში[855]. ამასვე ადასტურებს მზეჭაბუკისაგან ათონს და სხვა სალოცავებში გაგზავნილისა და ქაიხოსროს გაზრდილის ამბროსის მიერ დაწერილი აღაპის ცნობა, რომელშიაც ნათქვამია, რომ **მზეჭაბუკი განსვენებული ქაიხოსროს ძმა** იყო[856].

ვახუშტის მეორე შეცდომად ვგონებ მზეჭაბუკის ათაბაგობის შესახები ცნობა უნდა იყოს მიჩნეული. უკვე **თ. ჟორდანიამ** მიაქცია ყურადღება ამ გარემოებას, რომ გერასიმე კუმურდოელი თავის ქართლისა კათალიკოსისადმი 1500-1502 წ. მირთმეულს ფიცის წიგნში "პატრონად მზეჭაბუკს უწოდებს და არა ათაბაგად, თუმცა ის იყო საათაბაგოს მმართველი. ცხადია, რომ გერასიმე მემკვიდრეობის წესით ათაბაგად ჰხადიდა ათაბაგის ქაიხოსროს შვილს ყუარყუარეს (თუმცა ის არ იჯდა ათაბაგად) და არა ქაიხოსროს ძმას მზეჭაბუკს, რომელიც ერთგული არ იყო მცხეთისა და მეფისა, როგორც ამას ცხადად ასაბუთებს ქვემოდაბეჭდილი მცხეთის სიგელი № 415[857]. ჩანს, რომ ქართლში კანონიერ ათაბაგად მიაჩნდათ ყვარყვარე IV"-ო, ამბობს თ. ჟორდანია[858].

თ. ჟორდანიას დაკვირვება გერასიმე კუმურდოელის ფიცის წიგნის შესახებ ყურადღების ღირსია. ის გარემოება, რომ გერასიმე მზეჭაბუკს მხოლოდ პატრონს უწოდებს და არა ათაბაგს, მართლაც იმის მაჩვენებელი უნდა იყოს, რომ მზეჭაბუკი არც უნდა ყოფილიყო ათაბაგად. მაგრამ ამ გარემოების განმარტება, რომლითაც თ. ჟორდანიას ამ საგულისხმო მოვლენის ახსნა უნდოდა, მცდარია. გერასიმე კუმურდოელის ფიცის წიგნითგან, როგორც შემდეგში დავრწმუნდებით, არა ჩანს, რომ მზეჭაბუკს მაშინ მცხეთის საკათალიკოსო საყდართან, ან მეფესთან რაიმე მტრობა ჰქონოდა და ამის გამო არც შეიძლება ქართლში კანონიერ ათაბაგად ყუარყუარე მიეჩნიათ. ამასთანავე ყუარყუარეს ათაბაგად თვით იგივე გერასიმე კუმურდოელივე იხსენიებს და არა ქართლის მმართველი წრეები[859]. ამაზე უფრო საყურადღებოა ის გარემოება, რმ თვით ყუარყუარე ათაბაგიც ქაიხოსროს ძე, რომელიც თავის ათაბაგ-ამირსპასალარობას არ ივიწყებს, თავის ბიძას მზეჭაბუკს 1518 წ. სიგელში ათაბაგად არ იხსენიებს, არამედ მარტივად ნათქვამი აქვს "პატრონი ბიძა ჩემი"-ო[860]. ეს გარემოება

---

[853] ათონის აღაპები, 266-267.
[854] **ვახუშტი**, ისტ., **ჭიჭინაძე,** 241.
[855] ისტ.საბ. II, 27.
[856] ათონის აღაპები, 266.
[857] დოროთეოს ანტიოქიის პატრიარქისაგან აღწერილი.
[858] ქ´კბი II, 315 შენ.**
[859] ქ´კბი II, 315, გერასიმე კუმურდოელის ფიცის წიგნი.
[860] ქ´კბი II, 335.

ცხადჰყოფს, რომ მზეჭაბუკი ქართლში კი არა, თვით მესხეთშივე არ ითვლებოდა ათაბაგად. მაგრამ საბუთებით სრული უეჭველობით მტკიცდება, რომ განსაზღვრულს ხანაში მესხეთს სწორედ მზეჭაბუკი განაგებდა, თუმცა უკვე 1500-1502 წ. გერასიმე კუმურდოელის ფიცის წიგნში ათაბაგად ყუარყუარე იხსენიება. ამ უცნაური მოვლენის ნამდვილი მიზეზის გამორკვევა ამჟამად რასაკვირველია შეუძლებელია სრული უეჭველობით, მაგრამ იქნებ ეს გარემოება ყუარყუარეს ქვეყნის გამგეობისათვის უსრულასაკობით ყოფილიყო გამოწვეული მისი მამის ქაიხოსრო ათაბაგის გარდაცვალების დროს, თუმცა გერასიმე კუმურდოელის ფიცის წიგნში ყუარყუარე ათაბაგის შვილნიც კი იხსენიებიან. იქნებ მზეჭაბუკი მის სრულწლოვანობამდე ქვეყნის დროებით მმართველადა და ყუარყუარეს მზრუნველად ითვლებოდა?

მზეჭაბუკის მოქმედების გეზი თავდაპირველად

ბატონიშვილი ვახუშტის ცნობით მზეჭაბუკი "დაეზავა მეფესა კოსტანტინეს" რომელსაც "პატივისცემდა და ისმენდა"-ო[861]. საითგან აქვს სახელოვანს ქართველ ისტორიკოსს ეს ცნობა ამოღებული, არა ჩანს. მხოლოდ ერთი დ. **ბაქრაძის** მიერ პირველად დაბეჭდილი საბუთი[862] რომელიც შემდეგ თ. ჟორდანიამ ხელმეორედ გამოსცა და თავის ქ´კბის მეორე წიგნში ჩაურთო (გვ. 317-318), გვაფიქრებინებს, რომ კონსტანტინე მეფესთან მზეჭაბუკს, თუ ოდესმე მართლაც ზავი და სიყვარული, ან მისი პატივისცემა ჰქონდა, დაზავება მაინც ხანგრძლივი არ უნდა ყოფილიყო. თავდაპირველად მზეჭაბუკს, როგორც ეს გერასიმე კუმურდოელი მთავარეპისკოპოსის ფიცის წიგნითგანა ჩანს, მეფე კონსტანტინესა და საქართველოს კათალიკოს-პატრიარქთან მართლაც კარგი თუ არა, წესიერი დამოკიდებულება მაინც ჰქონია. გერასიმე კუმურდოელი ქართლისა კათალიკოსის ევაგრეს წინაშე ამოწმებს, რომ როდესაც კუმურდოს საეპისკოპოსო საყდრის განთავისუფლების შემდგომ "პატრონმა მზეჭაბუკ შემიწყალა და კუმურდოსა საყდარი და ჴელი მიბოძა", მაშინვე მცხეთაში "თქუენსა წინაშე საკურთხევლად გამოგუგზავნნა"-ო[863]. ეს გარემოება ამტკიცებს, რომ მზეჭაბუკი თავის წინაპრებივით არ მოქცეულა, არამედ მცხეთის საკათალიკოსო ტახტის უზენაეს საეკლესიო უფლებებისა და სამცხე-საათაბაგოს სამწყსოების მასთან ხელქვეშეთი დამოკიდებულების დამცველი ყოფილა: თითონ მას გაუგზავნია საეპისკოპოსოდ არჩეული პირი საქართველოს კათალიკოსთან საკურთხევლად. მზეჭაბუკს რომ სდომებოდა და მცხეთის საკათალიკოსო ტახის წინააღმდეგ ემოქმედა, საკურთხეველი ეპისკოპოსი აფხაზეთის კათალიკოზთან შეეძლო გაეგზავნა. ბაგრატ მეფისა და ანტიოქიის პატრიარქის მიხეილის წაყალობით ხომ აფთხაზეთის კათალიკოსს მესხეთის ეკლესიაც უნდა დაჰმორჩილებოდა. ამისდა მიხედვით მზეჭაბუკის ამგვარს ნაბიჯს თავისი მოჩვენებით მაინც გამამართლებელი საფუძველი ექმნებოდა. და თუ მზეჭაბუკს თავის სამოქმედოდ ეს გზა არ აურჩევია, ეს მართლაც იმის მაჩვენებელი უნდა იყოს, რომ მისი თავდაპირველი გეზი წესიერი და მშვიდობიანი ყოფილა.

გერასიმე კუმურდოელს კურთხევის წინ ევაგრე კათალიკოსისათვის წერილობითი აღთქმა დაუდვია: «**დღესითგან წაღმა ჩემად დღედ სიკუდილამდე ვიყო**

---

[861] **ვახუშტი,** ისტ, **ჭიჭინაძე,** 241.
[862] **ვახუშტი,** საქართველოს ისტორია, 287. შენ.
[863] ქ´კბი II, 315.

თქუენი და თქუენისა საყდრისა ერდგული და მეფეთა მლოცველი»-ო. საქართველოს დედა-ეკლესიისა და საჭეთმპყრობელისადმი ერთგულებასა და მეფეთა მლოცველობას კუმურდოელი იმით ჰპირდებოდა გამოხატვას, რომ ფიცსა სდებდა **«ყოველთა წირვათა და ლოცვათა შინა თქუენ მოგიჴსენებდეთ»-ო**[864]. რათგან გერასიმე თვით მზეჭაბუკისაგან იყო არჩეული კუმურდოელად და მისგანვე იყო მცხეთაში წარმოგზავნილი, მას ალბათ უნდა სცოდნოდა, რომ მისი ამგვარი აღთქმის წინააღმდეგ თვით მზეჭაბუკსაც არა ექნებოდა რა. თუ ეს აზრი მცდარი არ არის, საფიქრებელი ხდება, რომ მზეჭაბუკი როგორც საქართველოს კათალიკოს-პატრიარქისა, ისევე მეფე კონსტანტინეს უზენაეს უფლებებსა სცნობდა. გერასიმე კუმურდოელის ფიცის წიგნი, თ. ჟორდანიას საფუძვლიანი საბუთიანობის მიხედვით, ვგონებ, 1500-1502 წ. უნდა იყოს დაწერილი[865], და ეს გარემოება ცხადყოფს, რომ მზეჭაბუკი თავის მოღვაწეობის პირველ ხანებში მართლაც, ვახუშტისა არ იყოს, უფრო ზავის გუნებაზე უნდა ყოფილიყო.

მზეჭაბუკისაგან პოლიტიკური გეზის შეცვლა და განკერძოების გზაზე დადგომა

შემდეგ, როგორც ჩანს, მდგომარეობა სრულებით შეცვლილა და დამოკიდებულებაც ქართლის მეფისადმი მეტად უნდა გამწვავებულიყო. მზეჭაბუკსაც თავის მოქმედებისათვის სრულებით სხვა გეზი მიუცია. რა გარემოებამ და მიზეზმა გამოიწვია ასეთი ძლიერი ცვლილება, ჯერჯერობით საკმაო სიცხადით ვერ ირკვევა. მხოლოდ ქაიხოსროს ძესა და მზეჭაბუკის ძმისწულს ყუარყუარე ათაბაგ-ამირსპასალარს თავის 1518 წ. სიგელში აქვს აღნიშნული, რომ «პატრონი მეფე და პატრონი ბიძა ჩემი შემდურდეს და მან სამცხის საეპისკოპოსონი უკუიჭირნა»-ო[866], და ეს ცნობა ცხადჰყოფს, რომ მეფე-მზეჭაბუკს შორის რაღაც მიზეზის გამო უსიამოვნება ჩამოვარდნილა და გადამტერებულან. მზეჭაბუკის მთელი მერმინდელი მოქმედებაც ამით ყოფილა ნაკარნახევი.

მზეჭაბუკის მტრობის შედეგი მკაფიოდ არის გამოხატული ერთს ფრიად დამახასიათებელ ძეგლში, რომელიც "ანტიოქიისა და ყოვლისა აღმოსავლეთისა» პატრიარქის დოროთეოსისაგან არის აღწერილი და როგორც უკვე აღნიშნული იყო ჯერ **დ. ბაქრაძემ,** შემდეგ **თ. ჟორდანიამ** დაბეჭდეს. თუ გერასიმე კუმარდოელი თავისს 1500-1502 წ. ფიცის წიგნში მზეჭაბუკს მარტივად მხოლოდ «პატრონს უწოდებდა, დოროთეოს პატრიარქი მას **«დიდისა პატრონის** მზეჭაბუკის» და თვით «**დიდისა მეფისა** ჩუენისა და **ყოვლისა აღმოსავლეთისა ჴელმწიფისა, პატრონისა** მზეჭაბუკის» წოდებულებით ამკობდა[867]. მართალია, თვით მზეჭაბუკი თავის ამდროინდელს ან ოდნავ მერმინდელს სიგელშიც თავის თავს წინანდებურად მხოლოდ «პატრონს» ეძახის[868], მაგრამ დოროთეოს პატრიარქისაგან ნახმარი ზემომოყვანილი წოდებულება რომ მარტო მისი მლიქვნელობით არ უნდა აიხსნებოდეს, ამას თვით მისივე გულუბრყვილობითა თუ განზრახ ნათქვამი სიტყვებიც ცხადჰყოფენ, რომ საბუთში

---

[864] იქვე.
[865] იქვე.
[866] ქ კბი II, 335.
[867] იქვე, 317.
[868] **სუიმონ მაწყუერელისადმი** ნაბოძები 1500-1516 წ.: ისტ. საბ.II, 28.

აღნიშნულია «თქუმად ვიიძულენით... დიდისა პატრონის მზეჭაბუკის მიერ»-ო[869]. ამ სიტყვებითგანა ჩანს, რომ დოროთეოს პატრიარქს მზეჭაბუკის გულისნადები კარგად უნდა სცოდნოდა და ამიტომ მზეჭაბუკის ზემომოყვანილი ბრწყინვალე, მეფური წოდებულებაც მისი გულის ზრახვებისა და მისწრაფების ალბათ უტყუარს გამოხატულებას უნდა წარმოადგენდეს. ამის გამო საფიქრებელი ხდება, რომ მას შემდგომ რაც მზეჭაბუკი მეფეს «შეემდურა», მას უნდოდა ყველასთვის და სხვებზე მეტად, რასაკვირველია, მეფისათვის ეგრძნობინებინა, რომ მესხეთის ბატონი არამც თუ ქართლის მეფეს არაფრით ჩამოუვარდებოდა, არამედ სჯობდა კიდეც. იგი ნამდვილად «დიდი მეფე» იყო და თანაც «ყოვლისა აღმოსავლეთისა ჴელმწიფე». იგი თავისი საბრძანებლის სრული ბატონ-პატრონი იყო, თანაც ჭეშმარიტი ქრისტიანე და ღვთისმოსავი ისე, რომ «დედის მუცლით ჩემითგან» ღვთისმშობლისადმი «მოლტოლვილი» ვიყავიო, გაიძახოდა თვით მზეჭაბუკი[870]. დოროთეოს ანტიოქიის პატრიარქიც მისდა საამებლად ამას კვერს უკრავდა და გაიძახოდა «მაგან ოდენ მხოლომან იყურჭუმ [ა] ჭეშმარიტად ემბაზსა შინა ნათლისღებისასა»-ო[871] .

მართალია, მესხეთის სამწყსოები და ეკლესია-მონასტრები საქართველოს მწყემსთმთავარს, მცხეთის საკათალიკოსო საყდარს ექვემდებარებოდნენ, მაგრამ ეს იყო და ეს მხოლოდ, რომ მზეჭაბუკსა და მის ქვეშევრდომთ აიძულებდა და ქართლის კათალიკოს-პატრიარქის უზენაესობა უნებლიეთ გამოემჟღავნებინათ: საეპისკოპოსო პირები ხომ უეჭველად უნდა გაეგზავნა საკურთხევლად. ეს იყო რომ მზეჭაბუკის, ამ «დიდი მეფისა» და «ყოვლისა აღმოსავლეთის ჴელმწიფის», დამოუკიდებლობის შარავანდედს ჩრდილს აყენებდა. მაგრამ ბაგრატ მეფემ თავისი საქციელითა და მაგალითით მზეჭაბუკისთანა პატივმოყვარე ხალხს თუმცა სათაკილო, მაგრამ ადვილი გზა უჩვენა თავისი საბრძანებელი მესხეთისათვის ამ მხრივაც დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად. მტრობით დაბრმავებულს მზეჭაბუკსაც სწორედ ეს გზა აურჩევია. თუმცა მზეჭაბუკს აფხაზეთის კათალიკოსთანაც შეეძლო საეპისკოპოსო პირები წარევლინა მით უმეტეს, რომ ბაგრატ მეფისა და ანტიოქიის პატრიარქის მიხეილის წყალობით მესხეთის სამწყსო სწორედ აფხაზეთისა და ლიხთიმერეთის კათალიკოსის ხელქვეშეთად უნდა ქცეულიყო. მაგრამ მზეჭაბუკს, როგორც ეტყობა, ეს არ მოუსურვებია. არც გასაკვირალია, მას, «დიდს მეფეს» ეს არც შეჰშვენოდა: საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს ის იმიტომ ხომ არ ჩამოსცილდებოდა, რომ თავისი ეპისკოპოსები და მესხეთის სამწყსო აფხაზეთის კათალიკოსისათვის ეყმო და დაემორჩილებინა. მას სრული და ყოველმხრივი დამოუკიდებლობის მოპოება და ბატონობის გაფართოება სურდა. სწორედ ეს უნდა ყოფილიყო მზეჭაბუკის ის «ყოველი ნება და წადილი», რომლის აღსრულებასაც დოროთეოს პატრიარქი მას უსურვებდა[872] .

ანტიოქიის პატრიარქის დოროთეოსის მოსვლა და მზეჭაბუკის ფართო გეგმა

მზეჭაბუკის საბედნიეროდ ანტიოქიის პატრიარქი კვლავ სწვევია საქართველოს. იყო თუ არა იგი აღმოსავლეთში, არა ჩანს, მესხეთს კი სწვევია. ანტიოქიის პატრიარქებს

---

[869] ქ´კბი II, 317.
[870] **სუიმონ მაწყუერელისადმი** ნაბოძები სიგ.: ისტ. საბ. II, 27.
[871] ქ´კბი II , 317.
[872] ქ´კბი II, 317.

საქართველოში სტუმრობა, როგორც ეტყობა, გაუტკბათ. ალბათ, უხვად დატვირთულები ბრუნდებოდნენ აქეთგან შინ, რომ უცხოქვეყნელი მიტროპოლიტ-პატრიარქები ჩვენი ქვეყნის ასეთი ხშირი სტუმრები გამხდარან: 50-60 წლის განმავლობაში საქართველოს სულ ცოტა სამი ამგვარად მოკალმასე პატრიარქ-მიტროპოლიტისათვის გაუვსია ჯიბეები. ეხლა მესხეთის ბატონს «წყალობითა ღვთისათა დოროთეოს პატრიარქი დიდისა ღ´თისისა ქალაქისა და ყოვლისა აღმოსავლეთისა» მწყემსთ-მთავარი სწვევია. როგორც თვით დოროთეოს მესხეთის მკვიდრთათვის «ყოვლისა აღმოსავლეთისა» ეკლესიის მესაჭედ მოუჩვენებია თავი, ისევე არაც პატივმოყვარე მზეჭაბუკისათვის დაუკლია წყალობა, არც მისთვის დაუშურვია «ყოვლისა აღმოსავლეთისა ჴელმწიფობა».

დოროთეოს პატრიარქის გულახდილი განცხადებითგანა ჩანს, რომ მზეჭაბუკს მისი სტუმრობა თავის მიზნებისა და წადილის განსახორციელებლად გამოუყენებია და მძულვარების გრძნობაც ჩაუნერგავს თავის მტრად მიჩნეულ თანამ´ძმეებისადმი. დოროთეოს პატრიარქი ამბობს, რომ **მზეჭაბუკს «ებრძანა აწყურის ღ´თისმშობლისა საქმენი პირველნიცა და უკანაჲს რაჲ გარდაჴდა** და თუ რაბამნი სასწაულნი აღასრულნა და [ნიშ]ნი სურვილითა და სიყუარულითა მისითა... და **ჩვუენიცა ებისკოპოზი ყოფილიყო მათ წინაშე სახელით გრიგოლ ებისკოპოზი ბოლოზნისა და მას თჳთ განეცადა ყოველი საქმე და თუალითა ეხილა და გულისჴმაჲ ეყო´ უსჯულოება მეფეთა და ერისა მათისა და´ პატრონისა მზეჭაბუკის ღ´თისმოშიშებაჲ და მართლმადიდებლობაჲ და ღ´თის მოყუარებაჲ»**[873]. მაშ მზეჭაბუკი უმანკო მტრედი გამომდგარა, ქვეყნის მთლიანობის აღსადგენად მებრძოლნი ქართლის მეფე და კათალიკოს-პატრიარქი და ხალხი კი «უსჯულო» ყოფილან. განა ამის შემდგომ სამართლიანი არ უნდა ყოფილიყო ანტიოქიელი პატრიარქის ამ უსჯულოებისადმი მიმართული რისხვა და ლოცვა-კურთხევა მზეჭაბუკისათვის, რომ დოროთეოსს ეთქვა და ესურვა: «რომელთა იხილონ წუერი ჰოროლისა მისისა, თჳნიერ´ კუეთებისა ლტოლვილ იქმნენ ყოველნი წინააღმდგომნი პატიოსნისა და ღ´თის მიერ განმტკიცებულისა და განძლიერებულისა დიდისა მეფისა ჩუენისა და ყოვლისა აღმოსავლეთისა ჴელმწიფისა პატრონისა მზეჭაბუკისაგან»-ო[874].

რასაკვირველია, ეს ყველაფერი დოროთეოს პატრიარქის პირადი შეთხზული არ იქმნებოდა. არამედ მზეჭაბუკისა და მის მომხრეთა ოცნება. თვით დოროთეოსს ეს გარემოება თავის ეპისტოლის და სიგელის მკითხველებისათვის არც დაუმალავს და პირდაპირ აქვს ნათქვამი, რომ **«ბრძანებითა ვიიძულენით თქუმად ამას დიდისა პატრონის მზეჭაბუკის მიერ»-ო[875] .**

ამის შემდგომ ჩვენთვის ცხადი უნდა იყოს, რაოდენად ფართოდ ჰქონია მზეჭაბუკს თავისი პოლიტიკური გეგმა განზრახული. მას ნდომებია, რომ «თჳნიერ ბრძოლისა» უბრძოლველად მოსცემოდა «ურჯულო», ე. ი. ქართლის მეფის საბრძანებელი და მისი ჯარი უბრძოლველადვე «თჳნიერ კუეთებისა» გაქცეულიყო. ერთი სიტყვით მას ქართლის დაპყრობა-შემოერთება და, როგორც ეტყობა, მართლაც «დიდისა მეფისა» სახელისა და წოდებულების მოხვეჭა ჰსურდა, გამეფებაც უნდოდა, რომ «სახელი მისი მზისა და მთვარისაებრ» ყოფილიყო დიდებული[876].

---

[873] 1500-16 წ. საბუთი: ქ´კბი II, 317-318.
[874] ქ´კბი II, 317.
[875] იქვე.
[876] იქვე.

მზეჭაბუკის გათამამების მიზეზი: გურიელის სამფლობელოს დასაკუთრება

უნებლიეთ იბადება საკითხი თუ რას შეეძლო ასე გაეთამამებინა მზეჭაბუკი, რომ ქართლის უბრძოლველად დაპყრობაზე გინდ მხოლოდ ოცნება დაეწყო. ბატონიშვილს ვახუშტს მოეპოვება ერთი ცნობა, რომელმაც იქნებ ამ საკითხს ასე თუ ისე ნათელი მოჰფინოს. მას ნათქვამი აქვს, რომ «მზეჭაბუკ დაეზავა ოსმალთა მორჩილების პირსა ზედა». ამით გამაგრებულმა «**მიუხუნა გურიელსა ბრძოლითა აჭარა და ჭანეთი და დაიპყრა თვით»-ო**[877].

საითგან აქვს ეს ცნობა ვახუშტს ამოღებული და რამდენად სწორი უნდა იყოს მზეჭაბუკის ოსმალებთან დაზავებისა და მორჩილების ამბავი, ჯერ კიდევ გამოსარკვევია, მხოლოდ მოთხრობა მზეჭაბუკისაგან გურიელის სამფლობელოს დაპყრობა-დასაკუთრების შესახებ ვგონებ მართალი უნდა იყოს. ამას ცოტა არ იყოს თვით მზეჭაბუკის შემდეგი სიტყვებიც ადასტურებენ. სუიმონ მაწყუერელისადმი ნაბოძებ წყალობის წიგნში მას სხვათა შორის ნათქვამი აქვს: აწყურის საყდრისათვის შემომიწირავს «დიდებული მონასტერი ზარზმა სრულად მისითა შესავლითა აგარაკ-სოფლიანითა და გლეხებითა რასცა მამულისა მქონებელი ყოფილა ზარზმა და დღესცა არის ანუ ქალაქად სადმე სახლობს მონასტრისა ყმა ანუ სოფლოანში [გ]ან»-ო. შემდეგ მზეჭაბუკს დამატებული აქვს: «შემომიწირავს და მომიჴსენებია **აჭარულითა და გურიულითა მამულითა»-ო**[878].

მზეჭაბუკს იმ დროს რომ აჭარა და გურიის ნაწილი მაინც არ სჭეროდა, როგორ შეეძლო აწყურის საყდრისათვის შეეწირა ის, რაც მას არ ეკუთვნოდა და მის საბრძანებელში არ იყო? ხოლო თუ მზეჭაბუკი ზარზმის მონასტრის აჭარაში და გურიაში მდებარე მამულებსაც აწყურის საყდარს სწირავდა და აძლევდა, საფიქრებელი ხდება, რომ ამ დროს მას, ვახუშტ ბატონიშვილის თქმისა არ იყოს, გურიელის სამფლობელოს ნაწილი, აჭარა და თვით გურიის რომელიღაც კუთხე უნდა დაპყრობილი ჰქონოდა. თუ ჩვენი დასკვნა მცდარი არ არის, მაშინ მზეჭაბუკის გაკადნიერებისა და გადიდგულების ასახსნელად ეს გარემოებაც გამოდგებოდა. ბატონიშვილს ვახუშტს მზეჭაბუკისაგან აჭარა-ჭანეთის დაპყრობის ამბავი ოსმალთა 1512 წ. შემოსევამდე აქვს ნაგულისხმევი, მაგრამ არა ჩანს, თუ რამდენად უწინარეს უნდა მომხდარიყო.

მესხეთის ეკლესიის გამოყოფა

ასე იყო თუ ისე, მართლა გურიელზე გამარჯვებამ გაუბრუა თავი მზეჭაბუკს და გააამპარტავნა, თუ სხვა მიზეზმა წააქეზა იგი, ეს კი ცხადია, რაც მას მაინც კარგად ეცოდინებოდა, რომ მარტო ანტიოქიისა და გინდ «ყოვლისა აღმოსავლეთის» პატრიარქის ლოცვა-კურთხევითა და გამარჯვების წადილით ბევრს ვერაფერს გააკეთებდა. ამიტომ მან ჯერ თავისი საბრძანებლის სარწმუნოებრივადაც საქართველოს დედაეკლესიისაგან მოწყვეტა გადასწყვიტა, რომ ამ საშუალებით, ეკლესიებში საქართველოს კათალიკოსისა და მეფის ხსენების ამოკვეთით,

---

[877] **ვახუშტი**, ისტ., **ჭიჭინაძე**. 241.
[878] ისტ. საბ. II. 27.

საქართველოს პოლიტიკური მთლიანობის ეს გარეგნული, სიმბოლური გამოხატულებაც გამქრალიყო და მცხეთის საყდართან დამოკიდებულება მოსპობილიყო.

ამგვარი მიდრეკილება, როგორც დავრწმუნდით, მესხეთის მთავრებს წინათაც ეტყობოდათ, მაგრამ არც ერთს მათგანს ეს საქმე ბოლომდე არ მიუყვანია და მცდელობა დაუმთავრებელი რჩებოდა. მზეჭაბუკმა ეხლა ანტიოქიითგან სტუმრად მოსული პატრიარქის დახმარებით ამის უცილობლად განხორციელება გადასწყვიტა. ამისთვის აწყურის საეპისკოპოსო საყდრის «განმთავრება» იყო საჭირო, რომ მესხეთის ყველა საეპისკოპოსოები მისი ხელქვეშეთი გამხდარიყვნენ, რომ მესხეთს თვითმწყსობის უფლება მოეპოვნა. მზეჭაბუკი თვითვე ამბობს: »**ვინებე მეცა განდიდება და განმთავრება წმიდისა საყდრისა» აწყურისაო**[879]. მაგრამ ეს არა კმაროდა, რათგან ეკლესიის დამოუკიდებლობისათვის თვითმწყსობა იყო აუცილებლად საჭირო. ამისთვისაც მზეჭაბუკს ღირსეული კანდიდატი ჰყავდა და მღვდელმთავართმთავრად სუიმონ მაწყუერლის დადგენა ჰქონდა განზრახული. ის, თუ არ ვცდებით, ჯაყელთა ოჯახში შეზრდილი ტრაპიზონელი ბერძენი უნდა ყოფილიყო. მისთვის, ვითარცა არა ქართველისა და უცხოელისათვის, საქართველოს მთლიანობაზე ზრუნვა და დედაეკლესიის ერთგულების გრძნობა გაუგებარი იყო და ასეთს პიროვნებას უფრო ადვილად შეეძლო მზეჭაბუკის უკუღმართი პოლიტიკურ-ეროვნული ზრახვების განხორციელება ეკისრა.

რაკი შესაფერისი კაცი აღმოჩნდა, ეხლა ამ გეგმის განხორციელებისათვის მხოლოდ უზენაესი მწყემსთმთავრის დასტური და ლოცვა-კურთხევა-ღა იყო საჭირო. მზეჭაბუკი ამას აფხაზეთის კათალიკოსისგან ვერ მიიღებდა. მაგრამ მას ამ საქმის გაკეთება უიმისოთაც შეეძლო ეხლა, როდესაც კალმასობისათვის მოსული ანტიოქიის პატრიარქი დოროთეოსი მასთან იყო სტუმრად. დოროთეოს პატრიარქი მოგვითხორობს კიდეც, რომ მზეჭაბუკ ათაბაგმა თავისი აზრი და გრძნობა, რომლითაც ის სჯმეონ მაწყვერელისადმი გამსჭვალული ყოფილა, «გულისჴმა გვიყო»-ო, «ეგრეთვე მაწყვერელისა სიკეთე და ღ᾽თის მოშიშება და მართლმადიდებლობაჲ და მეცნიერება და სჯულთა ღ᾽თისათა კეთილად დაპყრობაჲ და დაცვა მცნებათა ღ᾽თისათაჲ»-ო. ვითომც სწორედ «ამისთჳს» და ვითომც «ვითარცა ჯერ იყო და სამართალ, მადლითა ღ᾽თისათა ვინებეთ» და ამ მაწყუერელს **«მივათუალეთ ყოველი საბრძანებელი პატრონისა მზეჭაბუკისი, რათა ებისკოპოსნი მისგან იკურთხეოდენ ყოველნივე და მისსა წესსა და ბრძანებასა მორჩილებდნენ და სჯულთა მისთა ერჩოდენ და მისგან იმწყესებოდნენ** და მაკურთხეველნი მისნი კურთხეულ იყვნენ და მწყევარნი მისნი წყეულ». ამ მაწყუერელისათვის «მიგვიცემიეს ჴელმწიფებაჲ შეკრვისა და განჴსნისა»-ო[880].

მზეჭაბუკის მიზანი მიღწეული იყო: მესხეთის საეპისკოპოსო პირებს მცხეთაში წასვლა და მეფე-კათალიკოსის ერთგულების აღთქმის დადება აღარ დასჭირდებოდათ. მესხეთს თვითმწყსობის უფლება ჰქონდა მიღებული, საქართველოს დედასაყდარსაც ჩამოშორებული იყო. ამ გზით მზეჭაბუკმა მესხეთსა და დანარჩენ საქართველოს შორის ის კავშირიც გასწყვიტა, რომელიც ამ დაქსაქსულობისა და განკერძოების ჟამს ჩვენი ქვეყნის ერთობის გრძნობასა და ხსოვნას არ აქრობდა. პირადი პატივმოყვარეობითა და მტრული გრძნობით დაბრმავებულს მზეჭაბუკს ავიწყდებოდა, რომ ამით ქართველი

---

[879] სუიმონ მაწყუერელისადმი ნაბოძები წყალობის წიგნი: ისტ. საბ. II, 27.
[880] 1500-16 წ. საბუთი: ქ᾽კბი II, 318.

ერის ისედაც მცირე ძალას უფრო ასუსტებდა და მტრის გაბატონებას საუკეთესო ნიადაგს უმზადებდა. იმ ზნეობრივ-სარწმუნოებრივი ძალის განმტკიცების მაგიერ, რომელსაც საქართველოს ეკლესიის მთლიანობა ჰქმნიდა და გარეშე უცხოთესლი და უცხოსჯული მტერთან ბრძოლას აადვილებდა, ქ´ლ ეკლესიას სახელი გაუტეხა და დაქუცმაცებით მოზღვავებულ ოსმალებთანა და მაჰმადიანობასთან ბრძოლის უნარი მოაკლო. მართალია, მზეჭაბუკის საქციელის შედეგი მერმე მისმა ძმისწულმა მოსპო და ბიძისაგან მოწყობილი უგუნური საქმე გამოასწორა, მაგრამ შხამიანი თესლი ნიადაგში მაინც ჩაბნეულ იქმნა, და საძრახისი მაგალითი უკვე ნაჩვენები იყო. პირველსავე ხელსაყრელ პირობებში გარეშე მტრის მლავრებისა და კირთების ქვეშე ეს შხამიანი თესლი კვლავ აღმოცენდებოდა და მესხეთში მცხოვრებ ქართველობისათვის საბედისწერო შეიქმნებოდა.

საქართველოს მდგომარეობა XV საუკუნის განმავლობაში

საქართველოს განახლება თემურ-ლენგის განადგურების შემდგომ

XV საუკ. დამდეგს თემურ-ლენგის შემოსევამ საქართველოს მთავრობას უუძნელესი ამოცანა წამოუყენა. ქვეყანა საშინელს მდგომარეობაში იყო როგორც პოლიტიკურადა და კულტურულად, ისევე ზნეობრივადაც. არა ერთს მაშინდელს მოღვაწეს შეეძლო სასოწარკვეთილებით შეეხედნა დანგრეული და გადაბუგული ციხე-ქალაქებისა, მრავლად განადგურებული სოფლებისა და მხეცური ხოცვა-ჟლეტისაგან შეთხელებული მოსახლეობისათვის. მტრის მრისხანებისაგან მიფანტულ-მოფანტული ხალხი ზნეობრივადაც თავზარდაცემული იყო. ქვეყნის აშლილობის აუცილებელს თანამგზავრებს დაქსაქსულობასა და თემობრივი განკერძოებისადმი მიდრეკილებასაც უნდა ეჩინა თავი. ასეც იყო სწორედ.

მეფე ალექსანდრე დიდმა, როგორც დავრწმუნდით, გასაოცარი მხნეობითა და დაუღალავი მოღვაწეობით თავისი სამწუხაროდ ჯერეთ უცნობი თანამშრომლებითურთ XV საუკ. პირველ ნახევარში არამც-თუ დაშლილი და ტანჯული ქვეყანა კვლავ მოასულიერა, სახელმწიფოებრივი მანქანა აღადგინა. დაწიოკებული ხალხი თავის კერას დაუბრუნა და დააბინავა, არამედ დანგრეული საყდრებისა, ეკლესიებისა და ციხეების აღდგენაც განიზრახა. ამ დიადი საქმის განსახორციელებლად მან, ალბათ, საქართველოს საკანონმდებლო კრების დასტურით დროებითი საგანგებო გადასახადი შემოიღო და თუ ყველა ვერა, უმთავრესი ციხე-ქალაქებისა და შესანიშნავი ძეგლების აღდგნა მაინც მოახერხა. განადგურებულსა და გადაბუგულს საქართველოში, რომლის ყოველ კუთხესაც წინათ სიკვდილის აჩრდილი დასტრიალებდა, 24 წლის მედგარი მუშაობის წყალობით სიცოცხლისა და აღმაშენებლობის საამური ხმა გაისმა. განახლებული სვეტიცხოველი, რუისის ტაძარი და სხვა ძეგლები ცოტად მაინც გვიჩვენებენ, თუ რაოდენი **აღორძინების ნიჭი და უნარი გამოიჩინა მაშინ ქართველმა ერმა**. ულუმბო-ნაბახტევის ეკლესიის კედლის მოხატულობას, რომელსაც თვით ამ დიდებული გვირგვინოსნისა და მისი

თანამეცხედრის[881], ქუცნა ამირეჯიბისა და სხვა იმდროინდელ ისტორიულ პირთა სურათებიც ამშვენებდნენ, კარგად შეუძლია მაშინდელი ბერძნულ-ქართული მხატვრობის მაღალი ღირსება და თავისებური იერი წარმოგვიდგინოს, ხოლო ალექსანდრეს ბრძანებით მოჭედილი დიდი ოქროს ჯვარი წ´ა გიორგის ცხოვრებისაგან ამოღებული. ნაჭედი სურათებით შემკული, მაშინდელი ქართული ოქროსმქანდაკებლობითი ხელოვნების ზეაღმატებული თვისებების საუცხოვო ნიმუშია.

მოსალოდნელი გაძლიერების მაგიერ საქმის უკუღმა დატრიალება და ამის მიზეზები

ყველა ეს მაშინდელი საქართველოს აღორძინების ფრიად გამამხნევებელი მოვლენა იყო და ქვეყანა **საფიქრებელი იყო სწრაფი ნაბიჯით განახლებისა და კვლავ გაძლიერების გზას უნდა დასდგომოდა, მაგრამ საქმეთა მერმინდელმა მიმდინარეობამ ეს იმედები არ გაამართლა.**

მოსახლეობის შემცირება და მისი შედეგები

უნდა გათვალისწინებული გვქონდეს, რომ ამ დიად **აღმაშენებლობითს მუშაობას მაშინდელი ცხოვრების მხოლოდ სახელმწიფოებრივ-კულტურულისა და ნივთიერი მხარის გაუმჯობესება შეეძლო.** ქართველი ერის **ერთი მთავარი მაშინდელი უბედურებათაგანი თემურ-ლენგის დროს საქართველოს მრავალრიცხოვანი შვილების გაწყვეტა და მთელი სოფლებისა და ოჯახების ამოხოცვა იყო.** ამის ანაზღაურება, ამ საშინელი დანაკლისის შევსება აღარავის ძალუძდა. ამან დააუძლურა ხანგრძლივ საქართველო პოლიტიკურ-კულტურულად და გააღარიბა ეკონომიურად. თემურ-ლენგისაგან მ**ოყენებული ზიანი იმდენად დიდი იყო, რომ განადგურებული ქვეყნის წინანდებურად აღდგენა და დასახლება შეუძლებელი შეიქმნა.** ყველა გაოხრებული სოფლების დასაშენებლად საქართველოში მცხოვრებნი აღარა კმაროდნენ იმიტომ, რომ მონღოლთა მრისხანე ხოცვა-ჟლეტის წყალობით ქართველობის რიცხვმაც ძალზე იკლო. მრავალი დანგრეული და გაუკაცრიელებული სოფელი ისევე ოხრად დარჩა და ჯერ ნასოფლარად იქცა, შემდეგ კი ბალახითა და ტყითაც დაიბურა.

საქართელოს მოსახლეობის **ასეთი საშინელი დანაკლისის შევსება მხოლოდ და მხოლოდ დროსა და ხელშემწყობ პირობებს, მყუდრო შინაურს ცხოვრებას და საგარეო პოლიტიკრ დამოუკიდებლობას შეეძლო, მაგრამ საქართელოს მშვიდობიანი ურთიერთობა არც მეზობლეთან ჰღირსებია და არც შინაურობაში.** უკვე ორმოციან წლებში, როგორც დავრწმუნდით ჯეჰან-შაჰის შემოსევას აღმოს.-საქართელოს მყუდროება დაურღვევია. შემდეგ სამოციან წლებითგან მოყოლებული უზუნ-ჰასანის ორგზისს, მეტადრე 1477 წლის შემოსევას, აღმოს. საქართველოსთვისვე საგრძნობი ზარალი უნდა მოეყენებინა. ამასთანავე ამბროზიო კონტარინის სიტყვით 1475 წ.

---

[881] სამწუხაროდ, როდესაც მე ვნახე ეს მოხატულობა, ალექსანდრე მეფისა და მისი მეუღლის სურათს ზედა ნაწილი უკვე ჩამოცვივნული ჰქონდა.

თბილისში და, რასაკვირველია, საქართველოს სხვა ადგილებშიაც შავი ჭირი ყოფილა მოდებული, რომელიც ძალიან ჰმუსრავდა თურმე ხალხს[882]. ამის წყალობით მცხოვრებთა რიცხვის ზრდით შენაძენი მოსახლეობის ნამატი კვლავ საგრძნობლად უნდა შემცირებულიყო.

მაშინდელი საქართველოს უმთავრესი უბედურება შინაური ბრძოლა და განკერძოებისადმი მიდრეკილება იყო

XV საუკ. საქართველოს ცხოვრების უმთავრესს უბედურებას, ამ საუკუნის პირველი სამი მეოთხედის განმავლობაში მაინც, იმდენად გარეშე მტერი არა, რამდენადაც შინაური ძმათაშორისი ბრძოლა შეადგენდა. უეჭველია ამ საუკუნეში ჩვენი სამშობლო ამ შინაურმა ბრძოლამ უფრო დააუძლურა, ვიდრე გარეშე მტრის შემოსევამ, რომელიც ამ დროს შედარებით არც ხშირი ყოფილა და არც წინანდებურად გამანადგურებელი.

თუმცა ნაწილობრივ წინათაც, მაგრამ მეტადრე XV საუკ. **მეორე ნახევარში, საქართველოს შინაური ყოფა-ცხოვრების დამახასიათებელ მოვლენად უნდა ერთის მხრით საქართველოს თემობრივი განკერძოებისადმი მიდრეკილება და დანაწილებისათვის მცდელობა, მეორე მხრით ამ პროცესის საწინააღმდეგო და საქართველოს მთლიანობის შესანარჩუნებლად წარმოებული ბრძოლა ჩაითვალოს.** ამ ორგვარი ბრძოლის დასაწყისი, როგორც დავრწმუნდით, თვით ალექსანდრე დიდის ხანამდის აღწევს, თუმცა ზედმიწევნითი ცნობები ამის შესახებ ჯერჯერობით არ მოგვეპოვება.

პოლიტიკური ისტორიის განხილვის დროს ამ ბრძოლის მიმდინარეობა და ხასიათი შეძლებისაებრ გადაშლილი იყო, და იქ დავრწმუნდით, რომ წინანდელი თეორიები სრულიადი საქართველოს სამეფოებადა და სამთავროებად დანაწილების შესახებ მცდარია და ნამდვილად მთლიანი სახელმწიფოებრივი სხეულის დაშლა თანდათანი, შედარებით ხანგრძლივი პროცესისა და ბრძოლის შედეგი ყოფილა. მონღოლთა ასწლოვანი ბატონობით გამოწვეულ კულტურული დაქვეითების ნიადაგზე აღმოცენებული და საქართველოს გეოგრაფიული პირობებით ხელშეწყობილი თემობრივი განკერძოებისადმი მისწრაფება თემურ-ლენგის მრისხანე შემოსევით გამოწვეული დაქსაქსულობით უფრო უნდა გაძლიერებულიყო. ალექსანდრე I ეს მოძრაობა თუმცა ალაგმა, მაგრამ, როგორც ეტყობა, მხოლოდ ნაწილობრივ. **მისი სრული მოსპობისათვის ორი ხელისუფლება იბრძოდა: საერო და სასულიერო მთავრობა. თემური განკერძოების მომხრენიც** თავის მხრივ **მარტო სახელმწიფოს მთლიანობის დაშლა-დანაწილებისათვის კი არ იღვწოდნენ, არამედ თვით ქართულ ეკლესიასაც კი არ ზოგავდნენ** და მისი მთლიანობის დარღვევასაც არ მოჰრიდებიან.

სამწუხაროდ, XV საუკ. წერილობითი ძეგლების სიმცირის გამო, მეტადრე იმდროინდელი საისტორიო თხზულებების, თვით მატიანეებისაც კი უქონლობის გამო, **ძალიან ცოტა რამ ვიცით იმ გამწარებული ბრძოლის შესახებ**, რომელიც მაშინ

[882] იხ. მოგზაურობა: მოამბე, 1894 წ. № XI, 60-61.

გაჩაღებული იყო საქართველოში მეფესა და მთავრებს შორის ჩვენი სახელმწიფოს განუყოფელობის შესანარჩუნებლად. რათგან ჩვენი ცნობები უმთავრესად კინკლოსებზეა დამყარებული, **ჩვენ ამ ბრძოლის მხოლოდ ისეთ შემთხვევების შესახებ ვტყობილობთ ხოლმე ამბებს**, იმასაც სულ მცირედ და მშრალად დაწერილს, **როდესაც საქმე ომამდე და სისხლისღვრამდე მივიდოდა**. ამის გამო ამ მნიშვნელოვანი პროცესის განვითარების მთლიანი სურათის სრულად აღდგენა შეუძლებელი ხდება და ჯერჯერობით მხოლოდ ნაწყვეტ-ნაწყვეტად გვეხატება.

შედარებით უფრო უკეთესად შეიძლება ადღგენილი იყოს ამ ბრძოლის მეორე მხარე, როდესაც საქართველოს თემური განკერძოება-დამოუკიდებლობის მომხრენი და მებრძოლნი ქართული ეკლესიის მთლიანობის დარღვევასაც შეეცადნენ. მართალია აქაც მხოლოდ სამიოდე საბუთი გვაქვს, მაგრამ ისეთი, რომელიც ამ ბრძოლის შინაგან პროცესს გვისურათებს და თავისი შინაარსიანობით მრავალმეტყველია.

საქართველოს კათალიკოსების პოლიტიკა

სრულიადი საქართველოს მთლიანობა-განუყოფელობისა და დანაწილების გარშემო ატეხილ ბრძოლაში საქართველოს საკათალიკოსო საყდრის მწყემსთმთავრები გადაჭრით მთლიანობისა და განუყოფელობის მომხრენი იყვნენ და მთელი თავიანთი ძალღონით სრულიად საქართველოს დანაწილებისა და ქვეყნის დაშლის მომხრეთა წინააღმდეგ იბრძოდნენ. ჩვენ უკვე განხილული გვქონდა ამ საბედისწერო ბრძოლის მონაწილეთა საბუთიანობა, თუ როგორი დაუნდობლობით ცდილობდნენ განკერძოების და თემობრივი დამოუკიდებლობის მომხრენი ქართველი ერის ერთობის სულიერ-კულტურული საფუძვლის შერყევასაც კი[883] თუ როგორი კადნიერებით თავიანთ მიზნის მიღწევისათვის ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის შელახვასა და დარღვევასაც კი არ თაკილობდნენ. მეორე მხრით ჩვენ თვალწინ იმ მტკიცე და მედგარი პოლიტიკისა და წინააღმდეგობის სურათიც გადაიშალა, რომელსაც საქართველოს კათალიკოს-პატრიარქები მთელი თავიანთი სარწმუნოებრივი და ზნეობრივი იარაღითა და გავლენით აწარმოებდნენ საქართველოს ეკლესიის მთლიანობის დაშლის შემცდელთა და მათ მომხრეთა წინააღმდეგ.

ეკლესიის მთლიანობის სახელმწიფოებრივ-ეროვნული მნიშვნელობა და გაყოფის საბედისწერო შედეგი

სანამ ჯერ კიდევ **ბრძოლა დამთავრებული არ იყო** და საქართელო ჯერ სამეფო-სამთავროებად მთლად არ იყო დანაწილებული, კათალიკოსები **სრულიადი, განუყოფელი საქართველოს შერჩენისათვის იბრძოდნენ** და, როგორც დავრწმუნდით, განკერძოებისაკენ მიდრეკილ სამთავროების ეპისკოპოსებს **საქართველოს მეფისა და კათალიკოს-პატრიარქის ერთგულების ფიცსა და აღთქმას ადებინებდნენ. როდესაც სრულიადი საქართველოს სამეფოს** სამეფოებად და სამთავროებად **დაყოფისა და დაშლის თანდათანი პროცესი დაიწყო, ამ დროს საქართველოს ეკლესიის მთლიანობის დაცვას უფრო მეტი პოლიტიკურ-ეროვნული მნიშვნელობა მიენიჭა**: ამიერითგან მხოლოდ ის და მისი საჭეთმპყრობელი, კათალიკოს-პატრიარქი-ღა იყო საქართველოსი

[883] იხ. აქვე "საქართველოს ეკლესიის მთლიანობის დარღვევა" და სზვა.

და ქართველი ერის მთლიანობის გამომხატველი. დედაეკლესიისაგან ჩამოშორება მაშინ იმ სულიერ სარწმუნოებრივ კავშირსა სწყვეტდა, რომელიც მხოლოდ-ღა აერთებდა დანარჩენ საქართველოსთან ამა თუ იმ პოლიტიკურად უკვე განკერძოებულს ნაწილს. მესხეთის გამაჰმადიანებას, საქართველოსაგან ჩამოშორებას და მისი უდიდესი ნაწილის გათურქებას უეჭველია სხვათა შორის ათაბაგთა მიერ მისი საქართველოს ეკლესიისაგან ჩამოსაშორებლად წარმოებულმა დაუნდობელმა ბრძოლამ და, რასაკვირველია, თვით გამოყოფამ შეუწყო ხელი. ერთი მხრით ამ გამწარებულმა ბრძოლამ ხალხის თვალში ეკლესიისა და ქრისტიანობის ავტორიტეტი შეასუსტა, მეორე მხრით მესხეთის სამღვდელოებას, დედაეკლესიას მოწყვეტილს და განმარტოებულს, მაჰმადიანობის გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლის უნარიანობა დაუკარგა. ხოლო იქ, სადაც ქრისტიანობამ მაჰმადიანობას დაუთმო ასპარეზი, ქართველობის ეროვნული გადაგვარება და გათურქებაც დაიწყო. ამგვარად ცხადია, რომ **მაშინდელ პირობებში ქართული ეკლესიის მთლიანობის დამცველი საქართველოსა და ქართველი ერის მთლიანობისათვის მებრძოლი იყო და მისი დამრღვევი კი ქართული ეროვნული საქმის დამღუპველი.**

ეპისკოპოსთათვის ერთგულება-მორჩილების ფიცის შემოღება

აღსანიშნავია, რომ მესხეთის მთავართან, ათაბაგთანა და **ურჩი სამღვდელოების წინააღმდეგ ბრძოლის დროს ქედფიცხელი სამღვდელოების დასამორჩილებლად ეკლესიის უზენაესი საჭეთმპყრობელის ხელთ მყოფი სჯულის კანონზე დამყარებული ხელისუფლება უკვე საკმარისი არ ყოფილა.** მარტო ამ იარაღით მორჩილების დამყარება და წესიერი დამოკიდებულების აღდგენა შეუძლებელი გამხდარა და **საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი იძულებული იყო საგანგებო საშუალებისათვის მიემართა და ერთი მხრით ურჩთა შეჩვენება, მეორე მხრით საეპისკოპოსოდ კურთხევისათვის მცხეთაში ახალმოსულთათვის სრულიად საქართველოს დედაეკლესიის მორჩილების და ერთგულების ფიცისა და ხელწერილის წესი შემოეღო.** მაშასადამე, ჩვენშიც დასავლეთ ევროპის საეკლესიო ისტორიითგან კარგად ცნობილი მოვლენის მსგავსი დაწესებულება და წესი შექმნილა და, როგორც რომის პაპები პირველად XV საუკუნეში და შემდეგ საუკუნეებში არაერთხელ იძულებული იყვნენ ეპისკოპოსთა ურჩობისაგან უზრუნველსაყოფელ საეპისკოპოსო კანდიდატებისათვის ეგრეთ წოდებული «Juramentum oboedientiae» მორჩილების ფიცი (Gehorsamseid) შემოეღოთ, **საქართველოს კათალიკოს-პატრიარქებსაც** ამავე იარაღისათვის **მიუმართავთ და თავიანთი სჯულისკანონზე დამყარებული უფლება ფიცსა და ხელშეკრულებაზე დამყარებული უფლებით გაუმაგრებიათ** (იხ. ჩემი ჯერ დაუბეჭდავი "ქართული სამართლის ისტორია" II წიგნი).[884]

საქართველოს დაყოფის დამღუპველობა

უდავოა და ამ აზრის უარყოფა უეჭველია მაშინაც არავის შეეძლო, რომ სამეფოებად და სამთავროებად დაყოფა საქართელოსთვის პოლიტიკურად დამღუპველი, კულტურულად დამაქვეითებელი და დამაკნინებელი იყო. რასაკვირველია, იგი ქართველი ერისათვის ქონებრივადაც დამღუპველი იყო: ერთი

[884] [დაიბეჭდა 1929 წელს "ქართული სამაოთლის ისტორია II, b".]

მეფისა და სამეფო კარის, ერთი დარბაზის კართან მყოფ დაწესებულებათა და უმაღლეს მოხელეთა შენახვის მაგიერ მას სამი - ხუთი ერთგვარი დაწესებულებისა და ხელისუფალთა შენახვა უნდა ეკისრა. მართალია წინანდელი ბრწყინვალება ამ სამეფო-სამთავროებში აღარ იყო, მაგრამ ჯერ ერთი, ყოველს სახელმწიფოს თავისი აუცილებლად საჭირო აპარატი უნდა ჰქონოდა, და თანაც მეფე-მთავართა შორის გაჩაღებული მეტოქეობა-შეცილება არც ერთ მათგანის თავმოყვარეობას საშუალებას არ აძლევდა თავისი პატარა საბრძანებლის ხარჯები გონივრული მომჭირნეობით ვიწროდ შემოეფარგლა. ამის გამო არა ერთი უკვე ზედმეტი ხელისუფლების თანამდებობის მოსპობა ვერ ხერხდებოდა და ისედაც გაჭირვებულს ხალხს მძიმე ტვირთად აწვებოდა.

საქართველოს მთლიანობის დარღვევის მიზეზები

მაშ რა მიზეზი იყო, რომ საქართველოს მთლიანობა მაინც დაირღვა და დანაწილებისადმი მისწრაფებამ გაიმარჯვა, თემობრივობამ თავისი გაიტანა და სრულიად საქართველოს მეფე დმარცხდა?

თემობრივობა

რასაკვირველია, დიდი მნიშვნელობა ამ ბრძოლის ბედ-იღბლის გადაწყვეტაში ქართველი ერის წიაღში არსებულს და ტომობრივ-გეოგრაფიული პირობების წყალობით ყოველთვის ძლიერს თემობრივ თავისებურობასა ჰქონდა. მონღოლთა ბატონობამ და თემურ-ლენგის შემოსევამ, როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, ეს მოვლენა უფრო გააძლიერა. მაგრამ თემობრივი თავისებურება მხოლოდ მაშინ არის საშიში, თუ ამავე დროს ამ ერის სახელმწიფოებრივობა სუსტია და ერთობის გრძნობას და საზოგადოებრივობის ალღოს სჭარბობს. მტკიცე სახელმწიფო ხელისუფლებისა და ძლიერი ეროვნული თვითშემეცნებისათვის იგი სრულებით უვნებელია.

სახელმწიფოებრივობის შესუსტება. სამეფოს საქმეებში მეფის სახლობის ჩამრეველობა

ქართულ სახელმწიფოებრივობას კი წინანდელთან შედარებით უკვე XV საუკ. დამდეგითგან მოყოლებული ერთი არსებითი ცვლილება ეტყობა. მართალია, ალექსანდრე I, გიორგი მეფე და ბაგრატ მეფე თავიანთ თავს კვლავინდებურად მეფეთა-მეფეს უწოდებდნენ, მაგრამ ამ გაერთიანების ხანაშიაც მეფის წოდებულობაში სრულიადი საქართველოს ორად დაყოფილობის კვალი მაინც შენახული იყო და მეფეთ-მეფეები ვალადა რაცხდნენ თავიანთ თავს ორისავე სამეფოსა და ტახტის ლიხთიმერისა და ლიხთამერი საქართველოს გამაერთიანებლობა და სამეფოს უცილობლად მპყრობელობა მოეხსენებინათ ხოლმე, ამავე დროს მათს ხელისუფლებას შემცირებისა და შესუსტების ცხადი ნიშნები ატყვია. ამ მხრივ, რასაკვირველია, შემთხვევითი მოვლენა არ არის და, პირიქით, ფრიად დამახასიათებელია, რომ ალექსანდრე I-ითგან მოყოლებული სამეფო სიგელები წინანდებურად მარტო მეფის სახელით კი აღარ იწერებოდა და მარტო მბოძებელი მეფის სახელდებას კი არ შეიცავდა, არამედ მეფის თანამეცხედრე დედოფალთ-დედოფალი, მეფის ყველა

შვილები და ძმებიც კი იხსენიებოდნენ. ამგვარად, საბუთები მთელი სამეფო ოჯახის სახელით გამოდის დაწერილ-ნაბოძები[885].

ეს გარემოება, თუ ადამიანი ქართული სიგელთმცოდნეობის წინანდელ წესებს გაითვალისწინებს, ძლიერს შთაბეჭდილებას სტოვებს და საუცხოოდ გვისურათებს მაშინდელი ჩვენი სახელმწიფოებრივობის ერთს დემღუპველ ნაკლთაგანს. ცხადად ეტყობა, რომ სახელმწიფოს მართვა-გამგეობის დროს მეფე უკვე ერთადერთი ბატონ-პატრონი აღარ ყოფილა: მის საქმეებში დედოფალიც, შვილები და ძმებიც იღებდნენ მონაწილეობას და ერეოდნენ. მეფე უკვე ისეთს მდგომარეობაში და პირობებში იმყოფებოდა, რომ ქალებისა და ოჯახის სხვა წევრთა სურვილისა და გავლენისათვის ანგარიში უნდა გაეწია, უნდა ცდილიყო, რომ მათი პატივმოყვარეობა შელახული არ ყოფილიყო. ამიტომვეა, რომ ყველას იხსენიებდა ხოლმე საბუთებში და სიგელებს ყველას სახელით აწერინებდა. რასაკვირველია, ამგვარი მდგომარეობა მეფის ხელისუფლებისათვის და ჩვენი სახელმწიფოებრივობისათვის დამღუპველი უნდა ყოფილიყო და იყო კიდევაც.

ამ მოვლენის დასაწყისი და მიზეზები

უეჭველია, ამ სამწუხარო მოვლენის დასაწყისი თუ არა, მიზეზები მაინც უფრო ადრინდელ ხანაში უნდა ვეძიოთ. იგი წარმოშობილი უნდა იყოს იმ ძველი წესის დარღვევის წყალობით, რომლის მიხედვითაც წინათ საქართველოს მეფეს თავისი ქვეშევრდომის ცოლად შერთვა არ შეეძლო და თავისი მეფური ღირსების თანასწორი, უცხოქვეყნელი თუ მეზობელი სახელმწიფოს სამეფო ოჯახის წევრი უნდა მოეყვანა თანამეცხედრედ. ეს წესი მეფის ცოლის ნათესაობას საშუალებას არ აძლევდა საქართველოს მეფის პოლიტიკასა და მოქმედებაზე რაიმე გავლენა მოეხდინა. ამასთანავე მაშინ შინაური ოჯახური პატივმოყვარეობის ნიადაგზე აღმოცენებული ინტრიგებიც უფრო ნაკლებ იყო შესაძლებელი და მოსალოდნელი.

პირველად ლაშა- გიორგიმ დაარღვია ქართული სახელმწიფო სამართლის ეს წესი და შემდეგ მონღოლთა ბატონობის ხანაში ქვეშევრდომთა ცოლად მოყვანა უკვე იშვიათს მოვლენას აღარ წარმოადგენდა. ამ გარემოებამ დედოფლის ნათესავები მეფეს დაუახლოვა და მათ გავლენა მოუპოვა. რასაკვირველია, მას სხვა წოდებრივად თანასწორი წრეების უკმაყოფილება უნდა გამოეწვია და მეფის მდგომარეობა საგრძნობლად უნდა გაეძნელებინა. მონღოლთა-დროინდელი ქართველთა ჟამთააღმწერელის სიტყვებითგან ვიცით მართლაც, რომ XIII საუკუნეში სამეფო კრაზე მეფის თანამეცხედრეთა გავლენის წყალობით შუღლისა და მტრობის ქსელი ყოფილა გაბმული, რომელიც ქართული სახელმწიფოებრივობისათვის მეტად დამღუპველი გამოდგა. ამან ქართული სახელმწიფო სამართლის საფუძვლებიც კი შეარყია. მაგრამ აღსანიშნავია, რომ მაშინ მეფის სახლობის ამნაირმა გავლენიანობამ ქართულ სიგელთა დაწერილობაში თავისი გამოხატულობა მაინც ვერ ჰპოვა და იმდროინდელ მეფეთა სიგელებში საბუთის მბოძებელი მეფის გარდა არავინ იხსენიებოდა.

როგორც ჩანს, მეფის ოჯახის გავლენა XV საუკუნითგან უფრო ძლიერი უნდა ყოფილიყო და სწორედ დედოფლის ნათესავთა პატივმოყვარეობის გამოხატულებას

---

[885] იხ. ამის შესახებ ჩემი გამოკვლევა «დიპლომატიკა ანუ სიგელთმცოდნეობა საზოგადოდ და მეტადრე ქართული». [იხ. ივ. **ჯავახიშვილი**, ქართული სიგელთა-მცოდნეობა ანუ დიპლომატიკა, თბ., 1926, გვ. 132].

წარმოადგენს ქართული დიპლომატიკის წესების ზემოაღნიშნული ცვლილება სიგელთა სახელდებაში და მათი გავლენითვე უნდა ყოფილიყო წარმოშობილი: გუშინ სხვებსავით მხოლოდ მოყმის ასულად ყოფილს, დღეს საქართველოს დედოფალთ-დედოფლად ქცეულს, ალბათ ჰსურდა რომ მისი ასეთი აღზევება ყველას წინაშე და საბუთებშიაც აღბეჭდილი ყოფილიყო. წვრილმანმა ოჯახურმა პატივმოყვარეობამ და თავმომოწონეობამ საქართველოს მეფის ტახტისაკენ გზა გაიკვლია და თავის დამღუპველი გავლენის ქვეშე მოქცევას ჰლამობდა. ცხადია, ასეთ პირობებში მეფეს მტკიცე ხელისუფლების შექმნა ძალიან გაუჭირდებოდა და ძლიერი სახელმწიფოებრივობის გამოჭედვას, რაც ამ დროს საქართველოს ყველაზე მეტად ესაჭიროებოდა, ის უკვე ვეღარ მოახერხებდა. ყოველი ბატონიშვილი დედის ნათესავთა და საგვარეულოს ზეგავლენით, წაქეზებითა და თანადგომით, მეტადრე თუ იგი გამეფებული ძმის ღვიძლი ძმა კი არა, არამედ სხვა დედის ნაშობი ნახევარძმა იყო, ასეთ პირობებში ადვილად შეიძლება ძმის წინააღმდეგ ტახტის მაძიებლად გამხდარიყო.

მეზობელ საქრისტიანო სამეფოების მოსპობამ ქართველ სამეფო სახლობის ასულთა მეზობელ მეფე-მთავრებზე გათხოვებაც შეუძლებელი გახადა. ასეთს პირობებში ისინი ან მეზობელ მაჰმადიან მბრძანებლებს უნდა გაჰყოლოდნენ ცოლად და მაშინ გამაჰმადიანების მოლოდინშიც ყოფილიყვნენ, ან თვით საქართველოში დარჩენილიყვნენ და თავიანთ ქვეშევრდომებზე, დიდებულებზე გათხოვილიყვნენ. როგორც პირველი, ისევე მეორე გზა არა ერთხელ ყოფილა ნაცადი, მაგრამ გამაჰმადიანების უნდომელობის გამო თანდათან მეფის ასულთა საქართველოშივე გათხოვება სულ უფრო და უფრო გახშირდა. თუ მეზობელ მაჰმადიან მბრძანებლებზე გათხოვება კეთილმოყვრობის წყალობით ხშირად საქართველოს მეზობლებთან ურთიერთობას აუმჯობესებდა, მეფის ასულთა შინაურობაში გათხოვებას საქართველოს სახელმწიფოებრივობისათვის მაინც და მაინც კარგი შედეგი არ უნდა ჰქონოდა იმავე თვალსაზრისით, რომლის მიხედვითაც საქართველოს დედოფლების დიდებულთა საგვარეულოებითგან აყვანა ჩვენი მაშინდელი სახელმწიფოებრივობისათვის საზიანო შეიქმნა. მეფის სახლობას და მეფეებს თავისივე ქვეშევრდომები სიძეებად უხდებოდნენ და ამით მეფის პოლიტიკასა და ბედიღბალზე გავლენიან უპასუხისგებო წრის შემადგენლობა, რასაკვირველია, ფართოვდებოდა. თანაც მეფესთან შესიძებულ ოჯახში მეფეთა ასულების მედიდურება შედიოდა და ქვეშევრდომთადმი მეფისაგან ერთგვარი, თანასწორი დამოკიდებულების შესაძლებლობას აფერხებდა. ამ ნიადაგზე შური და უკმაყოფილება დიდებულთა შორის ბუნებრივად უნდა წარმოშობილიყო და საქართველოს ისედაც გართულებული შინაური მდგომარეობა უფრო და უფრო უნდა გაეძნელებინა.

საგულისხმოა, რომ საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელიცა და ვაზირები და დარბაისელნიც, როგორც მეფეთა მხრივ, ისევე მათ ასულთა გათხოვების დროს, უსწორო ანუ, როგორც მაშინ ამბობდნენ, "უხვედრი" ცოლქმრობის წინააღმდეგი იყვნენ და ამ მოვლენას კიდეც ებრძოდნენ. საშუალო საუკუნეებისათვის ჩვეულებრივი წოდებრიობის თვალსაზრისის გარდა, საფიქრებელია, რომ საქართველოს კათალიკოსებს, ვითარცა თავიანთი ქვეყნის მთლიანობისა და ძლიერებისათვის მებრძოლთ, ამ შემთხვევაში ის მავნებლობისა და ზიანის გათვალისწინებაც ალაპარაკებდათ, რომელიც ამ უხვედრ ქორწინებას ქართული სახელმწიფოებრივობისათვის მოჰქონდა.

ჩვენი ქვეყნის მაშინდელ ამგვარ სახელმწიფოებრივობაში და მეფეთა ხელისუფლების სისუსტის გამო თემობრივი განკერძოებისადმი მიდრეკილება, რაც

უფრო დრო მიდიოდა, სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა და საქართველოს მთლიანობისათვის უკვე სახიფათო შეიქმნა.

კონსტანტინეპოლის ოსმალეთის დედაქალაქად გადაქცევის შედეგი საქართველოსთვის

ამ შინაური ყოფაცხოვრების პირობებით შემზადებულს ნიადაგს ერთმა საქართველოს გარეშე მომხდარმა მსოფლიო ისტორიულმა მოვლენამაც თავისი ძლიერი კვალი დააჩნია და ზემოაღნიშნული მისწრაფების განმტკიცებას თავის მხრივაც ხელი შეუწყო. ოსმალთა ძლევამოსილების შეუჩერებლივმა სწრაფმა წარმატებამ მათ, როგორც ვიცით ბიზანტიისა და ტრაპიზონის სახელმწიფოების სრული მოსპობა შეაძლებინა. 1453 წელი, დიდებული დედაქალაქის ბრწყინვალე კონსტანტინეპოლის თურქ-ოსმალთაგან აღების თარიღი, მთელი მახლობელი აღმოსავლეთის ბედიღბლის გადამწყვეტი შეიქმნა მრავალი საუკუნეების განმავლობაში მაინც. საქართველოსათვისაც იგი საბედისწერო გამოდგა. ჩვენ დავრწმუნდით, რომ მაშინდელ ქართულ კინკლოსებს ეს ისტორიული მოვლენა გაკვრით აქვთ მხოლოდ მოხსენებული და თითქოს მისი დიადი მნიშვნელობის შეგნება არც კი ემჩნევათ, მაგრამ სამაგიეროდ საქართველოს მთავრობასა და მმართველ წრეებს, როგორც ეს გიორგი მეფეთ-მეფისა და მეტადრე კონსტანტინე მეფის ეპისტოლეებითგანა ჩანს, ოსმალთა ამ გამარჯვების საშინელი შედეგი საკმაოდ კარგად ჰქონიათ გათვალისწინებული. რაც დრო გადიოდა, ეს შეგნება უფრო და უფრო მკაფიო ხდებოდა და ამ გარემოებას კონსტანტინე მეფის ეპისტოლის მთელი შინაარსიც საუცხოოდ ადასტურებს.

დასავლეთის, ზღვის გზის შეკვრა, კულტურის ცენტრის დასავლეთ ევროპაში გადასვლა და მისი შედეგი

იმას გარდა, რომ ბიზანტიისა და ტრაპიზონის სამეფოების მოსპობის შემდგომ საქართველოს დასავლეთით ქრისტიან, თანამგრძნობ სახელმწიფოს მაგიერ უკვე მტრულად განწყობილი მაჰმადიან-ოსმალთა ძლიერი სამფლობელო ეგულებოდა და ამის გამო ქართველობას ამიერითგან დასავლეთითგანაც მუდამ განსაცდელი და პირდაპირი საფრთხეც კი მოელოდა, **კულტურულადაც ეს ისტორიული მოვლენა ქართველი ერისათვის დიდი უბედურება იყო**. ბიზანტიის დამხობითა და მისი გონებრივად დაქვეითებით საქართველოს ის საშუალებაც მოესპო, რომ დასავლეთ ევროპის კულტურული წარმატებისათვის თვალყური ედევნებინა და ცხოველმყოფელი განახლების, რენესანსის მოზიარე გამხდარიყო.

რაკი ამასთანავე გონებრივი და მხატვრული კულტურის **ცენტრო საბერძნეთითგან და აღმოსავლეთითგან უკვე დასავლეთ ევროპაში გადავიდა და მაშინდელი განათლებული კაცობრიობის საერთაშორისო და საკულტურო ენად უკვე ლათინური იქცა, მხოლოდ დასავლეთ ევროპასთან პირდაპირი, უშუალო კავშირითა და ლათინური ენის შეთვისებით შეეძლოთ ქართველებს, რომ დაწინაურებულ კაცობრიობას არ ჩამორჩენოდნენ და თითონაც იმ მშვენიერი აღორძინების მონაწილენიც გამხდარიყვნენ,** რომელმაც დასავლეთ ევროპაში ჭაბუკური სიძლიერით იჩინა თავი და სწრაფი წარმატების გზაც გაუკაფა კაცობრიობას. საქართველოს კი დასავლეთთან უშუალო კავშირის დაჭერის ყოველივე შესაძლებლობა მოსპობილი

ჰქონდა: **იქითკენ მიმავალი გზა იმ ძლიერ ოსმალეთის მიერ იყო გადაღობილი, რომელიც ევროპისაგან მხოლოდ სამხედრო ხელოვნებას ითვისებდა, გონებრივი დ კულტურული წარმატებისათვის კი გულისყური და ცოდნის მოყვარეობა დახშული ჰქონდა.** ასეთ პირობებში მონღოლთა მიერ აკლებული და განადგურებული საქართველოსათვის კულტურული დაქვეითებისაგან თავის დაღწევა მეტად ძნელი იყო.

ჩვენ დავრწმუნდით, რომ საქართველოს მეფეები ოსმალთა კონსტანტინეპოლში გაბატონების შემდგომ რამდენჯერმე შეეცადნენ დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებთან როგორმე კავშირი დაეჭირათ, რომ მათი დახმარებით მაშინდელ მახლობელ აღმოსავლეთში და თავიანთ ქვეყანაში შექმნილი საზოგადო საშიში პოლიტიკური მდგომარეობა შეეცვალათ. უნდოდათ იმ საშინელი პირობებისათვის, იმ ალყაშემორტყმულობისათვის, რომელშიაც ოსმალთა ძლევამოსილებამ ქართველობა ჩააგდო, როგორმე დაეღწიათ თავი. თავ-თავის ადგილას ყოველი ამგვარი ცდის უნაყოფობა უკვე აღნიშნული გვქონდა.

ქვეყნის დაქვეითების ფსიქოლოგიური საფუძველი

უიმედოდ სიცოცხლე, თუ მთლად შეუძლებელი არა, უხალისო ცხოველურ არსებობად იქცევა ხოლმე. ხოლო რამდენადაც უფრო ძლიერია იმედი, იმდენადვე უფრო ძლიერია ხოლმე ამ იმედების გაცრუებით გამოწვეული სასოწარკვეთილება. დიდი, სტიქიურის მსგავსი უდებურების, ან ძლიერი მტრისაგან დამარცხების შემდგომ ხსნისა და გამოსვლის უიმედობის გრძნობა და შიში ზოგჯერ დამარცხებული, გაჭირვებაში ჩავარდნილი ერის ნებისყოფას სტეხს, სულიერად აკნინებს და ზნეობრივად აძაბუნებს ხოლმე. ასეთს მდგომარეობაში ადამიანის არსებაში ეგოისტური გრძნობა და ცხოველური თავდაცვის ალღო იღვიძებს და მაშინ პირად კეთილდღეობაზე მზრუნველობა საერთოსაზე სძლევს ხოლმე და სახელმწიფოებრივობა და საზოგადო ინტერესი კერძოსა და პირადულს სულისკვეთებას უთმობს ბატონობას. სახელმწიფოს შემადგენელი ერთეული, თვით კერძო პიროვნებაც უპირველესად თავისი თავის, თავისი თემის, თავისი კუთხის გადარჩენაზე იწყებს ფიქრს და საერთო კეთილდღეობაზე მზრუნველობის მოვალეობის თავითგან მოცილებას სცდილობს. როგორც დაბალი ფიზიკური სხეული განსაცდელის დროს თავდაცვის მიზნით იკუმშება და თავის ქერქში ძვრება ხოლმე, ისევე სოციალურ სხეულს ემართება და რაკი სახელმწიფოსი და საერთო ძალის უკვე იმედგადაწყვეტილობაა ხოლმე გამეფებული, ასეთ პირობებში შეიძლება სახელმწიფოებრივობის დაქვეითებისა და დაშლის პროცესიც დაიწყოს.

დაქვეითების პროცესი

ამ დაშლა-დანაწილებისადმი მისწრაფების დროს სახელმწიფოებრივობის განვითარების გზა თითქოს კვლავ განვლილი უნდა იყოს ხოლმე მხოლოდ უკუქცევითი მიმართულებით, იმავე საფეხურებზე თანდათანი ჩამოქვეითებით, რომელიც მას სახელმწიფოს შექმნის დროს ზეაღმავლობით განვლილი ჰქონდა. სახელმწიფო შემადგენელ ნაწილებად, წინანდელ სამეფოებად და თემებად იწყებს განკერძოებას: გავლენიან წრეებში და ხალხში თემობრივობისა და ტომობრივობის გაბატონებას ვეღარაფერი ეღობება, თვით გაყრილი გვარიშვილებიც კი თავიანთ

საგვარეულოს იგონებენ და განსაცდელ-გაჭირვების წინააღმდეგ საერთო ძალით იწყებენ ბრძოლას: გაყრილობის პროცესი შეყრილობის პროცესს უთმობს ადგილს და შესაძლებელია ასეთ პირობებში გვაროვნული წესწყობილებაც კი აღდგეს. ასეთს დროს დღევანდელ, პირადს, გინდაც ნაწილობრივს, კეთილდღეობას რჩეობენ ხვალინდელისა ან მომავლისას და ივიწყებენ, რომ ყოველსავე გაჭირვებას თუ ძალმომრეობას თავისი დასასრული აქვს ხოლმე და ბოლოს და ბოლოს ერის ერთადერთი ხსნა ერთობა-განუყოფელობაშია და მტერი, თუ ცხოვრების დუხჭირი, მძიმე პირობები მათ ცალ-ცალკე უფრო ადვილად მოერევა, ვიდრე გაერთიანებულ-გაკჟებულს.

რამდენადაც უფრო დიდი იყო თავზე დამტყდარი უბედურება და რამდენადაც უფრო ფართოდ იყო მოდებული ხალხში და ღრმად ჩამჯდარი განსაცდელით გამოწვეული უიმედობა და სასოწარკვეთილება, ამასთანავე რამდენადაც სუსტი იყო სახელმწიფოს ხელისუფლება და ძლიერი კულტურული დაქვეითება, იმდენად უფრო ადვილად და სწრაფად მიმდინარეობდა ხოლმე და მიმიდინარეობს სახელმწიფოებრივობის დაშლის ზემოაღნიშნული პროცესი. სხვადასხვა ხელშემწყობ, თუ დამაბრკოლებელ, თანმდევ და მერმინდელ გარემოებებზე არის, რასაკვირველია, აგრეთვე დამოკიდებული, რომელ საფეხურამდე დაქვეითდება ასეთ მდგომარეობაში ჩავარდნილი სახელმწიფოებრივობა. ამ საგანზე სიტყვის გაგრძელება აქ უადგილო იქნებოდა, რათგან ეს ისტორიის ფილოსოფიის საკითხია, მით უმეტეს, რომ ჩემი ”ისტორიის მიზანი”-ს მესამე წიგნში, საქართველოს, სომხეთის, სპარსეთისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიაზე დამყარებულ დაკვირვებათა გათვალისწინებით, ისტორიის ფილოსოფიის ყველა საკითხების საგანგებოდ განხილვას ვფიქრობ.

აი რამ წარმოშვა სრულიადი საქართველოს სამეფოებადა და სამთავროებად დაყოფა და რამ შეუწყო ხელი ამ პროცესს. ამის გამო სრულებით შემთხვევითი მოვლენა არ უნდა იყოს ის გარემოება, რომ გამოყოფისათვის ატეხილი ბაგრატის აჯანყება და ყუარყუარე ათაბაგის ღალატი სწორედ გიორგი მეფის დროს დაიწყო და სწორედ მაშინ, როდესაც ოსმალთა წინააღმდეგ დასავლეთ ევროპის ქრისტიან სახელმწიფოებთან მოკავშირეობით განზრახული შეერთებული ომის მოწყობის უიმედობა ცხადი შეიქმნა.

მოსახლეობის შემცირების შედეგები საზოგადოდ და კერძოდ მეურნეობაში

ყველა ზემოაღნიშნულმა გარემოებებმა თავისი დაღი დაასვეს საქართველოს XV საუკ. ისტორიას, მეტადრე მის შინაურს ყოფა-ცხოვრებასა და კულტურულსა და ეკონომიურ მდგომარეობას. თემურ-ლენგის შემოსევის დროს მომხდარმა ხალხის ჟლეტამ, შემდეგ შინაურმა ბრძოლამ, ძმათაშორისმა სისხლის ღვრამ და შავმა ჭირმა საქართველოს მოსახლეობა, როგორც აღვნიშნეთ, საგრძნობლად შეამცირა. ასეთ პირობებში საქართველოს თავისი მიწაწყლის წინანდებურად ინტენსიური დამუშავება აღარ შეეძლო და ბევრგან გაუკაცრიელებული ადგილები ისევ უკაცურადვე დარჩა. ამიტომაც არის, რომ ამ ხანის საბუთებში ქალაქისა, სოფლისა, ფუძისა, სახლისა და ვენახის გვერდით ჩნდება და ხშირადა გვხვდება ნაქალაქევი, ნასოფლარი, ნაფუზარი, ნასახლარი, ნავენახარი, პარტახი და სხვა ამის მსგავსი ტერმინები. ცხოვრების სინამდვილემ წარმოშვა ეს ქვეყნის გაოხრების მომასწავებელი სიტყვები, ურომლოთაც საქართველოს მაშინდელი მდგომარეობისა და მეურნეობის პირობათა დასურათება შეუძლებელი იყო. რაკი ინტენსიური მეურნეობის წარმოება ვეღარ ხერხდებოდა,

სასოფლო მეურნეობა დ ვაჭრობა-მრეწველობაც უნდა დაცემულიყო და მართლა დაეცა კიდეც.

სასოფლო მეურნეობის დაქვეითება

დაქვეითება დასავლეთ საქართველოს უფრო ადრე და მეტად დაეტყო, ვიდრე აღმოსავლეთს; მაგ., მევენახეობა-მეღვინეობა სამეგრელოში უკვე იმდენად იყო დაცემული, რომ ადგილობრივი ღვინო დაბალხარისხოვანი დგებოდა და ტრაპიზონითგან შემოტანილს მეტოქეობას ვეღარ უწევდა. საფეიქრო ხელოვნებასა და ქსოვილებსაც ცხადი ჩამოქვეითება დამჩნევიათ: აქაური ქსოვილები თუმცა გაჰქონდათ უცხოეთში, მაგრამ მათი დაბალი ღირსების გამო წინანდებურზე გაცილებით ნაკლები. იმერეთსა და მეტადრე აღმოსავლეთ საქართველოში სასოფლო მეურნეობა შედარებით უკეთეს მდგომარეობაში იყო, მაგრამ აქაც სხვადასხვა სამეურნეო დარგებთან შედარებით მესაქონლეობა, ვითარცა უფრო ადვილი გასაძღოლი, უფრო ნაკლებ იყო დაქვეითებული.

აღებმიცემობის დაცვა

დაცემული იყო, რასაკვირველია, ვაჭრობაც. ფული აღებმიცემობის დროს ქალაქებსა და სავაჭრო ცენტროებსა და გზებზე მახლობლად მდებარე ადგილებში ტრიალებდა, მოშორებით კი უკვე იშვიათი სანახავი და სახმარებელი იყო: ვაჭრობა იქ სულადობაზე, გაცვლა-გამოცვლით წარმოებდა. საქართველოს სახელმწიფოს მრავალ ნაწილად დაქუცმაცებამ საზღვრები და საბაჟოები გაამრავლა, რამაც აღებ-მიცემობის წარმოება და ეკონომიური ურთიერთობაც გააძნელა და საქონელიც წინანდელთან შედარებით ძვირი გახადა.

სრულიადი საქართველოს დაყოფის ეკონომიური შედეგი

საქართველოს შემადგენელ ნაწილებს, როგორც მაგ., მესხეთს და თვით ისეთს თითქოს მოწყვეტილს თემსაც კი როგორიც სვანეთი იყო, სრულიადი საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაყოფის გამო გაჭირვება დაადგათ. ბუნებრივი პირობების გამო, ოროგრაფიულ თვისებათა წყალობით, მესხეთიცა, მისი უდიდესი ნაწილი მაინც, და სვანეთიც დანარჩენ საქართველოსთან იყო ეკონომიურად დაკავშირებული და ყველა ბუნებრივი სავაჭრო გზები მათ ქართლ-იმერეთისაკენ ჰქონდა და აქვს მიმართული. ამიტომ მესხეთის ჩამოშორებამ დანარჩენ საქართველოს ეკონომიური მდგომარეობა შეასუსტა, ხოლო სვანეთივით მიყრუებულ კუთხესაც კი როგორც თავის ადგილას სვან - ჯაფარიძე - კუჭაიძეთა მტრობის შესახები ცნობებითგან ცხადი შეიქმნა, უიმერეთ-გურიოთ და ქართლ-კახეთოთ ადამიანური ცხოვრება არ შეეძლო: სავაჭროდ, თუ სამუშაოდ და საჯამაგიროდ სწორედ აქ უნდა ჩამოსულიყნენ. დაყოფის შემდგომ საქართველოს მეფე-მთავართა შორის ხშირი ურთიერთშორისი ბრძოლისა და მტრობის გამო ეს ბუნებრივი ეკონომიური კავშირი და ურთიერთობაც წამდაუწუმ სწყდებოდა და ჩვენი ქვეყნის წესიერ განვითარებას აფერხებდა, რაც ქონებრივად, რასაკვირველია. დამღუპველი იყო.

კულტურული დაქვეითება

ასეთ პირობებში თითოეული თემი ხშირად უნებლიეთ თავის ქურქში უნდა მომწყვდეული ყოფილიყო და ვიწროდ შემოფარგლულს კულტურულ ცხოვრებასა და მეურნეობას უნდა შესჩვეოდა. ამას ჩვენი ერის მსოფლმხედველობაც უეჭველია უნდა დაეკნინებინა, ყოველი სამეფო-სამთავროს მკვიდრნი თანდათანობით მისი საკუთარი კუთხის ინტერესთა დამცველად გაეხადა და საერთო ეროვნულ ინტერესებზე ზრუნვა გულშემატკივრობას გადაეჩვეინა. იმდროინდელი წერილობითი ძეგლებითგან ცხადადა ჩანს, რომ წერაკითხვის ცოდნაც უკვე საგრძნობლად დაქვეითებულა და ჩვენი ერის კულტურული დონე დაწეული იყო. დადუმდა ამ დროს მშვენიერი ქართული მხატვრული მწერლობაც და შემოქმედების კერაში ცეცხლი უკვე ძალზე იყო დაფერფლილი. წინათ ესოდენ მდიდარი და მაღალი ნიჭით მონაბერი ქართული საისტორიო მწერლობაც, რომელმაც XIV საუკუნეში ჯერ კიდევ შესძლო ჟამთააღმწერლისთანა შინაარსიანი მემატიანე წარმოეშვა, XV საუკ. ისე დაძაბუნდა, რომ საგვარეულო დღიურებისა და მშრალი კინკლოსების დონეს ვერ ასცილებოდა.

იმ დროს, დროსაც დასავლეთ ევროპის ერთა მსოფლმხედველობა ჰუმანურობისა და რენესანსის წყალობით ძველი ბერძნულ-ლათინური და არაბული მწერლობისა და კულტურის დაწაფებით თანდათან ღრმავდებოდა და ფართოვდებოდა, სხვადასხვა სახელმწიფოში უნივერსიტეტები არსდებოდაა და მეცნიერული კვლევა-ძიება განახლდა, მხატვრულმა მწერლობამაც ფრთების თავისუფლად გაშლა დაიწყო, იოჰან გუტენბერგისაგან ბეჭდვითი ხელოვნების მომპოვნელობით ადამიანის გონებრივი შემოქმედების აქამდე წარმოუდგენელი სისწრაფითა და სივრცით გავრცელება შესაძლებელი შეიქმნა, მარტინ ლუთერის წყალობით სარწმუნოებრივი საკითხების მეცნიერული კვლევაძიება გაცხოველდა, დასასრულ ქრისტეფორე კოლუმბოსაგან ამერიკის აღმოჩენამ კაცობრიობას მანამდე უხილავი ქვეყნები, ხალხები და კულტურა, თანაც ახალი მიმოსვლისა და სავაჭრო გზები და მოღვაწეობის ასპარეზი მოუპოვა, ერთი სიტყვით, როდესაც დასავლეთი ჭაბუკური ხალისით წარმატების გზას დაადგა, ამ დროს დასავლეთისაკენ გზადახშული, მაგრამ დასავლეთთან კავშირის მოიმედე პატარა საქართველო მაშინდელ მახლობელ აღმოსავლეთთან ერთად დაწინაურების მაგიერ დაქვეითებისა და ჩამორჩენილობის გზაზე იყო დამდგარი და დამაღონებელს სანახაობას წარმოადგენდა.

საქართელოს მაშინდელი ეკონომიური მდგომარეობა

ყველა ზემოაღნიშნულმა გარემოებამა და მიზეზებმა საქართველოს ქონებრივ კეთილდღეობასაც გარკვეული მიმდინარეობა შეუქმნა. პირველ ხანს, ალექსანდრე I-ისა და გიორგის მეფეთ-მეფობაში ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ მდგომარეობას თანდათანი გამჯობესება უნდა დასტყობოდა და დასტყობია კიდეც. ქვეყანამ 24 წლის განმავლობაში ჩვეულებრივს გარდა განსაკუთრებული აღმაშენებლობისათვის დანიშნული გადასახადის გამოღებაც შესძლო. გიორგი მეფე ფინანსიურად თავისთავს იმდენად კარგადა გრძნობდა, რომ მარტო ერთს თავის ასულს, ბიზანტიის კეისრის საცოლოდ დანიშნულს ყოველწლიურ სარგოდ 3000 ოქროს ფულს აძლევდა. შემდეგ კი შინაური ბრძოლის ატეხისა და ქვეყნის აშლილობასთან ერთად საქართველოს კეთილდღეობასაც დაქვეითება დაეტყო. უკვე აჯანყების წყალობით გამეფებული

ბაგრატის დროს 16000 დუკატის გამოღება სამძიმო ყოფილა. საქართველოს ყოფაცხოვრებას აშლილობისა და უწესრიგობის დაღი დაეტყო: გახშირებული ცარცვა-გლეჯა და მეკობრეობა ამისი შედეგი და დამამტკიცებელი იყო. ამიტომ თანდათან ქონებრივი გაჭირვება, რასაკვირველია, უფრო და უფრო უნდა გაძლიერებულიყო: ხალხს კულტურული დაქვეითება, გაღარიბება და დაგლახაკება უნდა დასჩნეოდა და დაეტყო კიდეც ცხადად.

ყველაზე ადრე ამგვარი მდგომარეობა უცხოეთში მდებარე ათონისა და პალესტინა-სინას მთის ქართულ მონასტრებსა და სავანეებს დამჩნევიათ, თუმცა მართალია უკვე XII საუკ. დამლევითგან მათ წინანდელი კულტურული მნიშვნელობა აღარა ჰქონდათ და ამის გამო უწინდელი ბრწყინვალება და მიმზიდველობა მოაკლდათ, მაგრამ ათონი და პალესტინა მაშინდელ მორწმუნეთათვის მაინც ძვირფასი იყო და მათი მოხილვა-მოლოცვის მონატრულიც ბევრი მოიძებნებოდა. ეს ამ მონასტრებს არსებობისათვის შემოსავლის უხვს წყაროს აძლევდა შემოწირულებათა სახით. ქვეყნის აშლილობითა და თურქთა გაბატონებით გამოწვეულმა შორეული გზების საშიშროებამ ერთი მხრით, მეორე მხრით ხალხის გაღარიბებამ ათონსა და პალესტინაში წამსვლელთა რიცხვი წინანდელთან შედარებით ძალზე შეამცირა. თანაც მლოცველებსაც წინანდებურად დიდი ფულის თანწაღება და შეწირვა აღარ შეეძლოთ. ამის გამო მონასტრები გაჭირვებაში ჩაცვივდნენ და უსახსრობა დაეტყოთ. უფულობის გამოისობით შენობების შეკეთებას ვეღარ ახერხებდნენ და ლამის თავზე დანგრეოდათ. მონასტრების XV საუკ. მეორე ნახევრითგან მოყოლებული სავაგლახო მდგომარეობის წარმოსადგენად ერთი ფრიად დამახასიათებელი ცნობაა შენახული. 1475 წ. სამცხითგან საბერძნეთს წარგზავნილი ქართველი მონაზონი აკაკი ათონის ქართველთა მონასტერში მისულა და მისი მდგომარეობის შესახებ შემდეგი საგულისხმო ამბავი აქვს მოთხრობილი: ”განვიცადეთ **ჩუენი ესე მონასტერი,** რამეთუ **ყოველთაგან უმეტეს დაგლახავებულიყო და ეკლესია ფრიად დაძუელებულიყო და სენაკები და ზღუდენი და პირღოსნი უმეტესნი დაქცეულიყვნენ და ფრიად უნუგეშინისცემოდ განსრულიყო და ... ესევითარსა უპოვარებასა შინა” იმყოფებოდაო**[886].

რასაკვირველია, შენობების ამგვარი სავალალო მდგომრეობა და საზოგადო დაგლახაკება უცხოეთში მყოფ მონასტრებს უფრო ძლიერად უნდა დასტყობოდათ. საქართველოში ამგვარი დაგლახაკების პროცესი, იმ კუთხეებს გარდა, რომელნიც თემურ-ლენგის მხეცური შემოსევისა და მრისხანების ასპარეზად იქცა, ასე ძლიერად არ უნდა ყოფილიყო მოდებული. მაგრამ ზემომოყვანილი სურათი თვით საქართველოს მაშინდელი დაქვეითების ხასიათის გასათვალისწინებლად ერთგვარად მაინც გამოდგება: ასე ძლიერად კი არა, მაგრამ ამისი მსგავსი მოვლენა თვით საქართველოშიაც, მეტადრე ცენტროს მოშორებულ ადგილებში სრულებით იშვიათი არ უნდა ყოფილიყო. ეს გარემოება საშუალებას გვაძლევს წარმოვიდგინოთ, თუ რასა და როგორ უნდა მოესპო და ემსხვერპლა არა ერთი მტრის განადგურებისაგან გადარჩენილი, ან დაზიანებული ქართული ხელოვნების ძეგლები.

საერთო გაჭირვების გამო უცხოეთში მყოფ მონასტრებს სამშობლოთგან დიდი შემოწირულება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში-ღა მოსდიოდათ, როდესაც გარდაცვლილი მეფისა თუ მთავრის სახლობის საყვარელი წევრის სულის მოსახსენებლად გამოიმეტებდნენ. ასეთი შემთხვევა, როგორც მაგ., 1475 წ. იყო, როდესაც ყუარყუარე ათაბაგმა თავისი უდროოდ გარდაცვლილი შვილის ბაჰადურის

[886] ბაჰადურის 1475 წ. აღაპი: ათონის კრებული 269.

სულის მოსახსენებლად ათონის მონასტერს 20000 ოთმანურის ოქრო და ვერცხლის ფული, ფლური და თეთრი შესწირა, ან 1498 წ., როდესაც მზეჭაბუკმა იმავე სავანეს თავისი საყვარელი განსვენებული ძმის ქაიხოსრო ათაბაგის ხსოვნისათვის 25500 ოთმანურის ფლური და თეთრი გადასცა[887], ამ ხანაში უკვე ძალიან იშვიათი მოვლენა იყო ხოლმე.

საქართველოს კათალიკოსების ეკონომიური პოლიტიკა

საქართველოს ეკლესია მონღოლთა ბატონობის დროს ქონებრივად იმდენად თვით მონღოლებისაგან არ დაზარალებულა, რამდენადაც საქართველოს მთავრობისავე პოლიტიკის წყალობით. ულუ-დავითისა და მწიგნობართუხუცესისა და ვაზირთა ყოველთა უპირველესის ბასილი უჯარმელისაგან საეკლესიო მამულების ჩამორთმევისა და სხვებზე გადაცემის გამო. ამან საქართველოს მდიდარს ეკლესიას თავისი უძრავი ქონების დიდი ნაწილი დააკარგვინა. მონღოლთა ბატონობის დროს დატრიალებული ეკონომიური კატასტროფა იმდენად დიდი და სტიქიური იყო, რომ ამის გამოსწორება მაშინ შეუძლებელი შეიქმნა: გაღარიბებული საგვარეულოების წევრნი, რომელთაც მოტაცებული საეკლესიო მამულები ჩაუვარდათ ხელში. ამ მამულებს ვერასგზით ვეღარ დასთმობდნენ. XV საუკ. საქართველოს ეკლესის მწყემსთმთავრები საკათალიკოსო ტახტის მიმოფანტული მამულების კვლავ შეგროვებას შესდგომიან. თავიანთი გეგმის განსახორციელებლად მათ თავისებური სარწმუნოებრივ-ეკონომიური პოლიტიკის წარმოება დაუწყიათ და ამით მიზნისათვის კარგად მიუღწევიათ კიდეც.

ქართულმა საეკლესიო სამართალმა, რომის საეკლესიო სამართლის მსგავსად, რომელმაც ე. წ. ინდულგენცია ანუ ქონებრივი საზღაურის საშუალებით ცოდვათა მონანიება შემოიღო საშუალო საუკუნეებში, "სასჯულო და საკანონო საქმე" და "ჯურუმის" წესი შეიმუშავა. ამ წესისდა თანახმად კათალიკოსი დამნაშავეს "შეუნდობლობას" უცხადებდა და "უზიარებლობით" სჯიდა, სანამ ის თავის დანაშაულობას არ მოინანიებდა და ამისთვის ჯარიმად დადებულ ქონებრივ საზღაურს არ გადაიხდიდა.

საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელთ ეს წესი და დებულება თავიანთი ეკონომიური პოლიტიკისათვის, მიტაცებული მამულების უკან დასაბრუნებლად და შესაგროვებლად გამოუყენებიათ. ისინი ყოველი, მცირეოდენი ცოდვა-დანაშაულობითაც კი სარგებლობდნენ და იმ პირთ, რომელთაც მიტაცებულ-მიბოძებული საეკლესიო მამულები ეჭირათ და დაჩემებული ჰქონდათ, მაშინვე სასჯულო და საკანონო საქმე აუტეხდნენ და სასჯელად "შეუნდობლობას" დაადებდნენ ხოლმე. ამ უზიარებლობითა თუ "გაწყრომით" კათალიკოსები თავიანთ მიზანს აღწევდნენ ხოლმე და დამნაშავედ მიჩნეული და გაბმული პირი სასჯელისა და გაწყრომის თავითგან მოსაცილებლად ქონებრივ საზღაურს მიართმევდა ხოლმე. ამგვარ საზღაურად ყოველთვის ეკლესიის ზოგჯერ დიდიხნის მიტაცებულ-მითვისებული მამული იყო ხოლმე არჩეული. ამნაირი სარწმუნოებრივ-ეკონომიური პოლიტიკის წყალობით საქართველოს ეკლესიამ ნაწილობრივ მაინც თავისი უძრავი ქონება უკან დაიბრუნა. რათგან XIII საუკუნესთან შედარებით XV საუკუნეში მიწის სიმცირის მაგიერ ხალხის ნაკლებობა შეიქმნა საგრძნობი და მოსახლეობის გაწყვეტისა

[887] ათონის კრებული 268 – 269 და 266-267.

და შემცირების გამო პარტახტი ბლომად იყო, მემამულეები ამ დროს თავიანთ უძრავ ქონების მოვლას ვეღარ ასდიოდნენ და ნაწილობრივ დაუმუშავებელი რჩებოდათ. ამ გარემოებამ მიტაცებული მამულების უკან დაბრუნებას წინანდელი მტკივნეულობა დაუკარგა და საქართველოს კათალიკოსებს თავიანთი ეკონომიური გეგმისა და პოლიტიკის განხორციელება გაუადვილა[888].

ფინანსური პოლიტიკა საქართველოში

მოსახლეობის შემცირებისა და სასოფლო მეურნეობა-აღებმიცემობის დაქვეითების გამო როგორც საქართველოს სახელმწიფოსი, ისევე კერძო პირებისა და მესაკუთრეების შემოსავალმა საგრძნობლად იკლო. ხარჯები კი მთლად წინანდებურად თუ არა, მაინც ბლომად იყო გასაწევი, სრულიადი საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაშლამ, როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, პირიქით ზოგიერთი ზედმეტი ხარჯებიც კი გამოიწვია, კულტურული სახელმწიფოს დაქვეითებისა და დიდი ეკონომიური კრიზისების დროს ქონებრივი გაჭირვება ყოველთვის ქალაქებისა, ქალაქის მცხოვრებთა, მოხელეობისა და მსხვილი მესაკუთრეებისათვის არის ხოლმე უფრო მწვავედ საგრძნობი, სოფელი მას შედარებით უფრო ადვილად და უმტკივნეულოდ იტანს ხოლმე.

რაკი აუცილებლად საჭირო ხარჯების დასაფარავად ეკონომიურად გაჭირვებულ მდგომარეობაში მყოფ საქართველოში **ჩვეულებრივი შემოსავალი აღარა კმაროდა** და არც სახელმწიფოს-ღა ჰყოფნიდა და არც მემამულეებს, **შემოსავლის რაიმე გზით გადიდებაზე ზრუნვა თავისთავად უნდა დაბადებულიყო**. ამის მისაღწევად ყოველთვის და ყოველგან უპირველესად ახალი გადასახადების შემოღებასა და ძველების ნორმის გადიდებას ეტანებიან ხოლმე. შესაძლებელია, რომ XV საუკუნეში საქართველოშიც ზოგიერთი ახალი გადასახადი შემოეღოთ, მაგრამ ეს საკითხი ჯერ სრულებით შესწავლილი არ არის. ესეც რომ დამტკიცდეს, განსაკუთრებული აქ არა იქმნებოდა რა. ქალაქებისა და ვაჭრობა-მრეწველობის დიდი დაქვეითების გამო, ქალაქსა და საბაჟო დაწესებულებებს შემოსავლის ახალი წყაროს მოცემა არ შეეძლო. ამიტომ ეს ახალი ტვირთი, როგორც ჩვეულებრივ ხდებოდა, ისევ სოფელს დააწვა.

საინტრესოა ის ფინანსიური ღონეობა და ხერხი, რომელიც მაშინდელ საქართველოში ყოფილა ნახმარი. დამახასიათებელია, რომ XV საუკ. შუა წლებითგან მოყოლებული საბუთებში ერთი მხრით "პირველი საწყაო" და საზომი იხსენიება, რომელიც იმავე დროს "ცოტა", ესე იგი პატარა საზომი ყოფილა, მეორე მხრით ახალი, რომელიც დიდ კოკად, ლიტრად და კაბიწად, საზოგადოდ დიდ საზომად იწოდება. ამავე ძეგლებში საზომების გამოცვლა-გადიდებაზეა ლაპარაკი. ყველა ამ ცნობებითა მტკიცდება, რომ XV საუკ-ში **წინანდელთან შედარებით საზომები გაუდიდებიათ** და გამოუცვლიათ. ზედმიწევნითი გამოანგარიშება ცხადჰყოფს, რომ XVI საუკ. დამდეგისათვის, მაგ., **მაშინდელი ლიტრა პირვანდელ ლიტრასთან შედარებით ექვსჯერ იყო უკვე გადიდებული.**

საფიქრებელია, რომ **საზომების გადიდება მაშინდელი ფინანსისტების ერთგვარი ოსტატური ხერხი უნდა ყოფილიყო შემოსავლის გასადიდებლად.** მთელი ამ ღონეობის ცბიერება იმაში მდგომარეობდა, რომ გადასახადების ნორმები და გამოსაღებელის ოდენობის სახელ-რიცხვები ძველი და უცვლელი რჩებოდა, **კანონი და**

[888] იხ. ამის შესახებ ჩვენს ჯერ დაუბეჭდავ «საქართველოს ეკონომიური ისტორიის» II წიგნში.

გამოსაღებელის გარიგების წიგნები დაურღვეველი იყო, შემოსავალი კი მეტი შემოვიდოდა და საგრძნობლადაც გადიდდებოდა, რათგან გადასახადები წინანდელი პატარა ლიტრისა, კაბიწისა და კოკის მაგიერ ახალი გადიდებული საზომებით უნდა გამოეღოთ.

მაშასადამე, ცხადი ხდება, რომ ნორმების იგივეობისდა მიუხედავად გადასახადები საქართველოში საგრძნობლად გაუდიდებიათ. ამის სიმძიმეს მობეგრე, გადასახადების გამომღებელი ხალხი ამ ფინანსიურ-ეკონომიური ღონეობის ხერხიანობისდა მიუხედავად, რასაკვირველია, იგრძნობდა და **შეუძლებელია ამას უკმაყოფილება და წინააღმდეგობა არ გამოეწვია**. უეჭველია სწორედ **ამ გარემოების მომასწავებელი უნდა იყოს ის, რომ ზოგიერთ საბუთებში ყმები მებატონეებს საზომების გამოუცვლელობისა და გაუდიდებლობის პირობას ადებინებდნენ.**

გადასახადების გადიდება მხოლოდ მაშინ შეიძლება შემოსავლის გასადიდებლად მიზანშეწონილ და საღ საშუალებად იქმნეს ცნობილი, როდესაც ამას ხალხის კეთილდღეობის უცილობელი გაუმჯობესება წინ უსწრებს, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი, რასაკვირველია, მეტი გაღარიბების მიზეზად შეიქმნება. ამის გამო უეჭველია საქართველოს მაშინდელ პირობებში გადასახადების ესოდენი გადიდება ჩვენი ერის ეკონომიური კეთილდღეობისათვის სახეირო არ უნდა ყოფილიყო და ხალხისა და მეურნეობის დაგლახაკებას უფრო გააძლიერებდა[889].

საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობა

საქართველოს პოლიტიკურ დაკნინებას, სამეფო-სამთავროებად დაყოფასაცა და ეკონომიურ დაქვეითებასაც საერთაშორისო დამოკიდებულებაში ჩვენი სახელმწიფოს სახელისა და პატივისცემისთვის, რასაკვირველია, ზიანი უნდა მიეყენებინა. მართლაც უკვე ცნობილს არაბ მწერალს **შეჰაბედდინ ელ-კალკაშანდის** (+1448 წ.) აქვს აღნიშნული, რომ XIV ს. მეორე ნახევრითგან და ცოტა უფრო ადრეც ქართველთა მეფეებისადმი წინანდელი ზეაღმატებული პატივისცემა შემცირდა. მათ უკვე ისეთი ძალზე შექებულ-შემკობილი წოდებულებით აღარა სწერდნენ, როგორც ეს უწინ და ჯერ კიდევ გიორგი ბრწყინვალის დროს იყო მიღებული. ელ-კალკაშანდის დროს უკვე ამგვარი ჩამომცრობილი მომართვისა და მოსალმების წესი იხმარებოდა თურმე, როდესაც საქართველოს მეფეებსა სწერდნენ[890]. ამდენად მგრძნობიერი ყოფილა მაშინაც საერთაშორისო დამოკიდებულება ყოველგვარი პოლიტიკური ცვლილებებისადმი, რომელიც კი ამა თუ იმ სახელმწიფოში ხდებოდა. ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ XV საუკ-ში, მეტადრე მთლიანობის დარღვევისა და შინაური ბრძოლის გაჩაღების შემდგომ საქართველოს სახელი უფრო უნდა დაცემულიყო მით უმეტეს, რომ დასავლეთით მას უკვე ოსმალეთის ძლევამოსილი სახელმწიფო გაუჩნდა მეზობლად.

მაგრამ ამისდა მიუხედავად, რაკი ქართველები უშიშარ და მედგარ მეომრებად იყვნენ ცნობილნი და მათი ქვეყნის მტრისაგან ფეხებ ქვეშ გათელა ყოველთვის სამაგიეროს იწვევდა ხოლმე, სამხედრო ძალაც იმ დროისათვის საკმაო ჰქონდათ, მეზობლები საქართველოს, დაკნინება-დაქვეითებისდა მიუხედავად, მაინც ანგარიშს უწევდნენ და პატივსაცა სცემდნენ, ისეთ შორეულ ქვეყნებშიაც კი, როგორიც ეგვიპტე და პალესტინა იყო, ქართველებს განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობოდნენ.

---

[889] იხ. საქართველოს ეკონომიური ისტორია, II წ.

[890] იხ. ბარონ ვ. **ტიზენჰაუზენის** Заметка Элькалькашанди о Грузинах: ЗВОРАО I 208-215.

იმდროინდელ ევროპიელ მოგზაურთაგან ვიცით, რომ ქართველები მაშინაც იერესალიმში სალოცავად შესვლის დროს სხვებივით სულტანს გადასახადს კი არ აძლევდნენ, არამედ თავისუფლად საზეიმოდ მორთულ-მოკაზმულ აქლემებსა და ცხენებზე მჯდომარენი გაშლილ-გაფრიალებული ეროვნული დროშითურთ სრულებით თავისუფლად შედიოდნენ ხოლმე. თვით ეგვიპტისა და ოსმალეთის სულტნებსაც კი ქართველებისა ეშინიანთო[891].

XV საუკ-შიაც ქართველებს მაინც იმდენი გავლენა ქონდათ იერუსალიმსა და ეგვიპტეში, რომ როდესაც სომეხთა ეპისკოპოსს მარტიროსს უნდოდა ქართველ მონაზონთაგან გოლგოთა დაებრუნებინა, იმისდა მიუხედავად, რომ მისივე სიტყვით ამ საქმისათვის ეგვიპტეშიც კი გამგზავრებულა რამდენჯერმე, ეგვიპტელი მოხელეებისათვის მირთმეულ საჩუქრებშიაც დიდძალი ფული დაუხარჯავს, მაინც ვერა გაურიგებია რა. ეგვიპტის სამეფო კარზე მას ბოლოს თურმე გულახდილად ურჩიეს გოლგოთას სამუდამოდ გამოსთხოვებოდა და ქართველებთან შეცილებისათვის ისევ თავი დაენებებინა იმიტომ, რომ ქართველ ბერებს ზურგს მათი მეფე უმაგრებს, რომელიც ძღვენს გარდა ჩვენ შეგვპირდა, რომ თავის სამეფოში მაჰმადიანებს არ შეავიწროებსო.

ეგვიპტის მამლუკების ბრძანებით ქართველ მლოცავთა დასაცავად და უზრუნველყოფისათვის ქართველთა ჯვარის მონასტერთან ყოველთვის საგანგებო მოხელე არაბი იმყოფებოდა ხოლმე, რომელიც მოვალე იყო ქართველ მლოცავებს ალაბშივე (ალეპოში) დაჰხვედროდა, იერუსალემამდის გაჰყოლოდა და ამგვარადვე გამოეცილებინა ისინი, როდესაც უკან დაბრუნდებოდნენ. ამის შესახები ბრძანების თვით არაბული დედანიც კი არის შენახული[892].

ზემომოყვანილი ცნობებითგან ცხადი ხდება, რომ დაკნინებისა და დაქვეითებისდა მიუხედავად საქართველოს საერთაშორისო დამოკიდებულებასა და მეზობლობაში სახელი და მნიშვნელობა თუმცა შემცირებით მაგრამ მაინც შენარჩუნებული ჰქონდა და მას ანგარიშს უწევდნენ შორეულ ქვეყნებშიაც კი. ეს გარემოება ამტკიცებს, რომ განუყოფელად დაცული საქართველო უეჭველია უფრო მოსაკრძალავი იქმნებოდა და რომ ჩვენი ქვეყნის უკუღმართობის მიზეზი XV საუკუნეში იმდენად გარეშე მტერი აღარ იყო, რამდენადაც შინაური ბრძოლა-დაქსაქსულობა და განკეროება.

ჩვენი სამშობლოს პოლიტიკური ისტორიის განხილვა ამჟღავნებს ამასთანავე, რომ მთლიანობის მოსპობისა და დაყოფის შემდგომაც სრულიადი საქართველოს დედააზრი არ გამქრალა, არამედ მაინც არსებობდა: მას მხურვალე მომხრე-მებრძოლნიც ჰყავდა, წინანდელი სახელმწიფოებრივი მდგომარეობის აღსადგენადაც მცდელობა არა ერთხელ და სხვადასხვა გზით ყოფილა მოწყობილი. ამგვარს მდგომარეობაში იყო საქართველო XV საუკ. და ასეთი, მრავალი ნაკლით დატვირთული მემკვიდრეობა გადასცა მან XVI საუკ. ქართველობას.

---

[891] **"Georgiani isti quando Hierosolymam eunt peregrinatum, Sultano tributum non solvunt, sed in camelis, dromedariis et equis pompatricis venientes, erectis vexiliis Hierosolymam ingrediuntur… Sultanus ac Turca eos valde timent" Bartolomaei de Salignaco. Ltinerarium Hierosolymitanum an. 1522 t**. VIII (ამჟამად თვით ამ თხზულების ხელთუქონლობის გამო მ. თამარაშვილის ამონაწერის მიხედვით მომყავს).

[892] იხ. ნ. **მარ**ის предварительный отчет о рабтах на синае и в Иерусалиме; сообщ. прав. палестинского общ. т. XIV, ч. II,50-51.

[მეორე ნაწილში გადმოცემული]

ამბების ქრონოლოგიური სია

1390 წ. (დაახლოებით) ალექსანდრე მეფის დაბადება
1411 წ. კონსტანტინე მეფის და მისი ლაშქრის ყარა-იუსუფის მიერ ტყვედ წაყვანა და დახოცვა
1412 წ. 20 თებ. - 21 მარტი ქრონ. 100, ალექსანდრე დიდის გამეფება
1414 წ. მამია დადიანის მკვლელობა და მისი ძის ლიპარიტის სამეგრელოს მთავრად დაჯდომა
1414 - 15 წ. ალექსანდრე მეფის მიერ ივანე ათაბაგის დამარცხება და ტყვედ ჩაგდება
1414 -15 წ. ალექსანდრე მეფის მიერ თამარის ცოლად შერთვა
1416 წ. თურქთა მიერ ახალციხის ამოგდება
1417 - 19 წ. ალექსანდრე მეფის ძის დავითის შემონაზონება
1425 წ. ალექსანდრე მეფის მიერ საქართველოს ერთობლივი განახლების მუშაობის დაწყება
1431 წ. ალექსანდრე მეფის მიერ სვეტიცხოვლის განახლების დამთავრება
1431 წ. ალექსანდრე მეფის მიერ ლორის აღება
1434 - 35 წ. (დაახლოებით) ბეშქენ ორბელიანის მიესივნიეთის და მახლობელი ადგილების შემოერთება
1435 წ.(დაახლ.) ბაგრატ მეფის დაბადება
1438 წ. ბეშქენ ორბელიანის მოწამლვა
1439 წ. მეფე ალექსანდრეს ავადმყოფობა
1440 წ. ალექსანდრე მეფის მიერ საგანგებო გადასახადის ამოკვეთა
1440 წ.თავრიზის მეფის ჯეჰან-შაჰის შემოსევა (თ.მეწობელის ცნობა)
1442 წ. ალექსანდრე მეფის შემონაზონება
1442 წ. ვახტანგ ალექსანდრეს ძის გამეფება
1444 წ. ჯეჰან-შაჰის შემოსევა
1446 წ. ვახტანგ მეფის გარდაცვალება
1446 წ. ალექსანდრეს ძის გიორგის გამეფება
1447 წ. ბრძოლა აღბუღა ათაბაგსა და ყუარყუარეს შორის
1449 წ. უზუნ-ჰასანის მიერ თეთრბატკნიანთა ტომების შეერთება
1451 წ. ბიზანტიის კეისრის კონსტანტინეს მიერ კარისკაც ფრანძესის გამოგზავნა საცოლოს ამოსარჩევად
1451 წ. ჯეჰან-შაჰის მიერ სპარსეთის დაპყრობა
1451 წ. და 1457 წ. უზუნ-ჰასანის შესევა შავბატკნიანთა სამფლობელოში
1452 წ. ალექსანდრე მეფის ძის დიმიტრის გარდაცვალება
1452 წ. ჯეჰან-შაჰის მიერ ფარსის დაპყრობა
1453 წ. 29 მაისი კონსტანტინეპოლის აღება თურქ-ოსმალების მიერ
1454 წ. ყუარყუარე ათაბაგის ძის ბაჰადურის დაბადება
1454-1456 წ. მეფე გიორგი ალექსანდრეს ძის მიერ ნესტანდარეჯანის ცოლად შერთვა

1459 წ. საქართველოს მეფე-მთავრებს შორის ზავის ჩამოგდება და ხელშეკრულების დადება

1460 წ. საქართველოს ელჩების ევროპაში მისვლა

1461 წ. ქართველი დესპანების საფრანგეთში მისვლა

1461 ან 62 წ. უზუნ-ჰასანის შემოსევა საქართველოში და ლორის დაპყრობა

1462 ან 63 წ. ჩიხორის ბრძოლა

1465 წ. გიორგი მეფის მიერ თავისი ასულის ცოლად მიცემა ერისთავ ვამიყ შაბურის ძისათვის

1465-66 წ. ბაგრატ გიორგის ძის გამეფება ქართლში

1465-66 წ. ყუარყუარე ათაბაგის მიერ გიორგი მეფის ტყვედ წაყვანა

1471 წ. ოსმალთა მიერ ყარამანის დაპყრობა. უზუნ-ჰასანის ოსმალეთში შესევა

1472 წ. ოსმალების მიერ უზუნ-ჰასანის ლაშქრის კერელუს ტბასთან დამარცხება

1473 წ. სულტან მუჰამედის მცირე აზიაში გადმოსვლა

1474-75 წ. ბედიანი შამადავლას გარდაცვალება

1475 წ. არეულობა სამეგრელოში

1475 წ. ყურაყუარე ათაბაგის ძის ბაჰადურის გარდაცვალება

1475 წ. შავი ჭირი თბილისში

1476 წ. გიორგი მეფის სიკვდილი

1476 წ. ალექსანდრე გიორგის ძის კახეთში გამეფება

1477 წ. უზუნ-ჰასანის საქართველოში შემოსევა

1478 წ. კონსტანტინე დიმიტრის ძის გამეფება

1478 წ. უზუნ-ჰასანის გარდაცვალება

1479 წ. კონსტანტინე დიმიტრის ძის იმერეთში გაბატონება

1483.წ. კონსტანტინე მეფის და ყუარყუარე ათაბაგის არადეთთან შებრძოლება

1484 წ. ალექსანდრე ბაგრატ მეფის ძის იმერეთში გამეფება

1485 -86 წ. იაყუბ-ყაენის აღმოს. საქართველოში შემოსევა

1487 წ. კონსტანტინე მეფის მიერ ქუთაისის მეორედ დაპყრობა

1488 წ. იაყუბ-ყაენის მეორეგზისი შემოსევა

1488-89 წ. ალექსანდრე ბაგრატის ძის მიერ ქუთაისის კვლავ აღება

1491 წ. ყუარყუარე ათაბაგის მეუღლის დედისიმედის გარდაცვალება

1492 წ. არაბების ესპანიითგან განდევნა

1492 - 96 წლებს შუა კონსტანტინე მეფის მიერ ეგვიპტის სულტანთან დესპანის გაგზავნა

1493 - 95 წ. კონსტანტინე მეფის მიერ ესპანიის დედოფალ იზაბელასადმი ეპისტოლის გაგზავნა

1495 წ. ალექსანდრე იმერთა მეფის ძის ბაგრატის დაბადება

1498 წ. ყუარყუარე ათაბაგის სიკვდილი

1500 წ. ქაიხოსრო ათაბაგის გარდაცვალება

განხილული და მოხსენებული ისტორიული ძეგლები
და გამოკვლევანი

Aenea syIvius, Pii II Pontif.,Epist. Iib, I.
489
852
ათაბაგის ჩივილი უცნობი პირისადმი მიწერილი, ქკბი II
302-303
ანჯიოლელლო მარია, Breve narratione della vita et fatti del signor Ussuncassano, გამოც. რამუზიოსი - Navigationi et viaggi, II
70
აღაპები, ათონის კრებული 266
265-66
268
269
267
აღაპების ნუსხა ქუცნა ამირეჯიბისა, ქკბი,II
208-12
ბარბარო იოსაფა, მოგზაურობა "მოამბე" 1894 წ. № XI
47-48
45
47
Barbaro Josafa,Navigationi et viaggi, რამუზიოს გამოცემა V. II cap.
27
Brosset M., Add. Et eclair XXIII,
411 შენიშ. 2
Voyage Six. rap.6
Histoire de la Georgie I,
642
Bullet. Scient., IV 268 - 72
Histoire moderne de la Georgie I
14
408
409
410

დასავლეთ საქართველოს საბუთები, ტ.I, გამოც. ს. კაკაბაძისა
2
3
4
Waddingo, Annales Minorum t.13
154
ვახტანგ ბატონიშვილი,ისტორიებრი აღწერა,გამოც. ს. კაკაბაძისა,
1914 15
ვახუშტ ბატონიშვილი, გეოგრაფია, გამოც. ბროსესი
362

138
144
საქართველოს ისტორია, გამოც. დ. ბაქრაძისა
287 შენიშვნა
297
297-8
298
299
298
300
302
302-3
303
303 შენიშ. 2
303-4
304
305
305-6
304-7
304-5
307
ვახუშტ ბატონიშვილი, საქართველოს ისტორია, გამოც. ჩუბინაშვილისა
6
155
239
საქ. ისტორია, გამოც. ზ ჭიჭინაძისა
10
16
19-20
20
20-22
23
ვახუშტ ბატონიშვილი, საქართველოს ისტორია, გამოც. ზ. ჭიჭინაძისა
154
157
158
159
237
238
239
239-240
241
283
284
365

ზედგენიძე-ამილახორის საჩივრის წიგნი, საქ. სიძველენი წ. IV
20
21
22
23
24
თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის
58
60
60-61
61
63
64-65
66
592
594
595
596
597
598
698-99
599
600
თაყაიშვილი ექ. არქეოლოგიური მოგზაურობანი, 1.
106
თაყაიშვილი ექ., საქ. სძვლნი II, 39
Канчаетский Жам-гулан, **СМОМПК XXIX**
10
თითას მანელის ძის ზატიკი, ქკბი II
258
თომა მეწოზელი, ისტორია 77-8
117
117-18
118-19
119
119-122
122
124
იკორთის ჯამგ-გულანი № 6
1447 წ. ს. კაკაბაძის გამოც. 4; ქკბი II 258
1461 წ. « « 4
1463 წ « « 5 « 312
1466 წ. « « 4
1476 წ. « « 4
1484 წ. « « 5 « 302

კაკაბაძე ს., დიდი ალექსანდრე მეფის გამეფების თარიღი, თბ. 1913 წ.

4,5,7

წვრილი ეტიუდები 13

ვახტანგ უცნობი XV საუკ. აფხაზ-იმერეთის მეფეთაგანი და მისი მემკვიდრე

მეფე გიორგი

15

სჯულმდებელთა ბექას და აღბუღას ვინაობა, 1912 წ.

4-7

კაკაბაძე ს., გენეალოგია ბაგრატ VI აფხ. და ქართ. მეფისა. თბ., 1913 წ.

1-2

3

4

6

8

წერილები და მასალები I

128

კინკლოსები: 1414 წლისა, ქკბი II, 221

1416 წლ. « « 223

1431 წლ. « « 236

1446 წლ. « « 258

1447 წლ. « « 258

1462 წლ. « « 281

1463 წლ.

1478 წლ. « « 298

1483 წლ. « « 302

1484 წლ « « 303

1489 წლ « « 307

1498 წლ. « « 312

1500 წლ. « « 313

1500 წლ « « 313

კონტარინი აბროზიო,II viaggio del magnifico M. Ambrosio Contrini ambasciadore della illustissima signoria Di Venetia al gran Signore Ussun Cassan, Re di Persia. ქართული თარგმანი «მოამბე»

1894 წ. № XI

49

50

51

51

52

52-54

53

53-54

54

54-55

55

56
57
58
60-61
61
Lebeau, Histoire du Bas-Empire, nouvelle edition t. XXI
219-221
221-222
ЛЕН-ПУЛЬ, Мсульманск. династии, პროფ. ვ. ბარტოლდის დამატ.
158
302
მარი ნ.,Предварительний отчет о работах на Синае и в Иерусалиме- сообщ. Прав. Палест. об. т. IV ч. II 1903 წ. (მარტიროზ სომეხთა ეპისკოპოსის ცნობა)
50
50-51
VI მსოფლიო კრების კანონები, ა. ხახანაშვილის გამოცემა
98
მინაწერი XV ს. ხელით ქკბი II,
301
მოხილვა წმიდათა ადგილთა, პ. იოსელიანის გამოცემა,
43
მცნება სასჯულო, გამოც. ს. კაკაბაძისა, 4; ქკბიII, 294
5. « « 294
4
5
7
9
10
Müller A., Der Islam etc. II, 320
323
324
338-39
340-41
341
Müller K., prof. Kirchengeschichte, II, 1897 წლის გამოცემა,
112
112-13
113
ნიკოლოზ კათალიკოსი- სასწაულნი სვეტიცხოველისანი
40-43,69
პარიზის ქრონიკა გამ. ზ. ჭიჭინაძისა
6
Посольство в Г. Звениг С.Р.К. I

169-70

Phratzes, I 3 c.I
ჟორდანიათ., ქკბი II
277
288
291
303
311
315-16 შენიშ.**)

რუის-ურბნისის ძეგლის წერა, ქკბი II.
56,58
სიგელი 1408 წ. კონსტანტინე მეფისა, საქ. სიძვლნი, III,
434
სიგელი 1412 წ.ალექსანდრე მეფმსა, ისტ. საბ. III,
7-10
1412-13 წ. ალექ. მეფ., ისტ. საბ.III,
7-10; ქკბი II, 220
1413 წ. ალექს. მეფისა, ქკბი II, 220
1414 წ. « « ისტ. საბ. II,
3-4
1417 წ. ალექს. მეფისა, ქკბი II 223- 24
1419 წ. « « ქკბი II 224
1419-20 წლ. ალექ. მეფ., ისტ. საბ. III
10-12; ქკბი II 226
1424 წ.ალექ. მეფისა, ქკბი II 228
1426 წ. « « ქკბი II 229
1427 წ. « « ქკბი II 230
1428 წ. « « ქკბი II 231
1428 წ. « « ისტ. საბ. III
13-14
1429 წ. ალექს. მეფისა, ისტ. საბ. III
13-14; ქკბი II 235- 36
1431 წ. ალექს. მეფისა, ქკბი II 237-38
1433 წ. « « ისტ. საბ. II 4-6
სიგელი 1433 წ. ალექს. მეფისა, ისტ. საბ. III
15-16 ; ქკბი II 239- 40
1433-34 ალექს. მეფისა, ისტ. საბ. III
17
1434 წ.ალექს. მეფისა, ქკბი II 242
1435 წ. « « ქკბი II 242-243
1437 წ. « « ქკბი II 243
1438 წ. « « ისტ. საბ. III
20-21
1438 წ. ალექსანდრე მეფისა, ისტ. საბ. III
18-20

1439 წ. ალექსანდრე მეფის მიერ დადებული «განჩინება მთიულთა», ქკბი II
245-46
1440 წ. ალექს. მეფისა, ქკბი II 247-8
1440 წ. ივანე მანგლელ-ტფილელისა, ისტ. საბ. II
6-7
1440 წ. ალექსანდრე მეფისა, სქელს სძვლნი II
15
1441 წ. ალექსანდრე მეფისა, ისტ. საბ. III
22-24
1441 წ. ალექსანდრე მეფისა, ისტ. საბ. III
21-22; ქკბი II 249-50
1442 წ. ალექს. მეფისა, ქკბი II 251-52
1445 წ. დიმიტრის მეფისა, ქკბი II 257
1447-48 წ. გიორგი მეფისა, გამოც. ს. კაკაბაძისა-მცხეთის საკათალიკოსო
მამულების გუჯარი 3; ქკბი II
259-60
1447-59 წ. ქაჩიბას ძისა, ისტ. საბ. III
36-38
1449 წ. გიორგი მეფისა, ისტ. საბ. III
29-32; ქკბი II 261
1451 წ. გიორგი მეფისა, სქლს სძვლნი II
3; ქკბი II 262-63
1452 წ. გიორგი მეფისა, სქლს სძვლნი II
17
1453 წ. გიორგი მეფისა, ქკბი II 226-67
1453 წ. « « სქელს სძვლნი II
38-39
1453 წ. ანჩელისა, ქკბი II 267-68
1453 წ. ვარძიის ძმათა, ქკბი II 269
1453 წ. კუმურდოელის ერთგულების წიგნი, ქკბი II
268
1453 წ. გიორგი მეფისა, სქელს სძვლნი II
16
სიგელი 1460 წ. გიორგის მეფისა, ისტ. საბ. III
34-36; ქკბი II . 277-78
1460 წ. გიორგის მეფისა. სქლს სძვლნი II
6; ქკბი II, 278-79
1463 წ. გიორგი მეფისა, სქლს სძვლნი II
19
1464 წ. – 76 წლ. გიორგი მეფისა, ისტ საბ. III
39-40; ქკბი II, 283-84
1465 წ შაბურის ძისა, ისტ. საბ.II, 15-18
1466 წ. ბაგრატ მეფისა, ქკბი II, 287-88
1466 წ. კონსტანტინე მეფისა, სქლს სძვლნი II
20-21

1468 წ. ბაგრატ მეფისა, სქლს სძვლნი II
40
1470 წ. ქვენიფნეველისა, სქლს სძვლნი III
555-61
1477 წ. დედაბერი ნინოსი, ისტ. საბ.II
20-21
1479 წ. ალექს. მეფისა, ქკბი II 300-1
1479 წ. « « ქკბი II 301
1487 წ. კონსტანტ. მეფისა, ქკბი II 305- 306
1488 წ. « « ქკბი II 306; ს. კაკაბაძის გამოც.
« ქ́ლის მეფის კონსტანტინეს სიგელი 1488 წლ.»
5, 7- 8
1491 წ. კონსტანტინე მეფისა, სქლს სძვლენი III
475-76
1491 წ. მთის წმ. გიორგის გუჯარი, ქკბი II
307-309
1492 წ. კონსტანტინე მეფისა, ისტ. საბ. III
41-42; ქკბი II, 309-310
1495 წ. ალექსანდრე იმერთა მეფისა, ქკბი II
310-11
1500-2 წ. კუმურდოელის ფიცის წიგნი, ქკბი II
315
1500-16 წ. მზეჭაბუკისა, ისტ. საბ. II
26-28
1500-16 წ.დოროთეოს პატრიარქისა, ქკბი II
317-18 ; ბაქრაძე-ვახუშტის
საქართველოს ისტ. 287 შენიშ.
1502 წ. ალექსანდრე იმერთა მეფისა, ქკბი II
318-19
1503 წ. ალექსანდრე კახთა მეფისა, ქკბი II
319
სიგელი 1505 წ. ალექსანდრე კახთა მეფისა, ისტ. საბ. III
42-43 ;ქკბი II 325
1508 წ. ბაგრატ მეფის დის გაიანესი, ისტ. საბ. II
25-26 ; ქკბი II 326
1509 წ. ალექსანდრე იმერთა მეფისა- ს. კაკაბაძის გამოც.
«დასავლეთ საქართველოს საბუთები» , წ. 1
4
1518 წ. მზეჭაბუკ ათაბაგისა, ქკბი II
335
ტიზენჰაუზენი ვ., Заметка Элькалькашанди о Грузинах, ЗВОРАО I
208-215
«Труды высочайше утвержденного вольного общества российской литературы»
ანუ « соревнователь просвещения и благотворения»,წ. II, № 5, 1823 წ.;
გადმობეჭდილი «Закавказский вестник»-ში 1850 წ.

165 შენიშვნა
ქ´ცის შევსბულ-გადაკეთებული გაგრძელება, დამატება
887
888
889-90
891
893
894
895
896
896-97
897
898
899-900
900
900-903
904
ქ´ცის გაგრძელება, გამოც. ჯანაშვილისა
34
35
38
42
42-43
43
44
45
45-46
46
Strassman prof., Gesundheitspflege des Weibes, 1903 წ.
28, 33
ც´ა ჲ გ´ი მთაწმინდელისაჲ, ათონის კრებული
315
ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, წ. III
ქართული სამართლის ისტორია წ. I
63, 64. 67-68
წიგნი II
ისტორიია მიზანი 218-220
275
275
296-97
საქართველოს ეკონომიური ისტ. წ. II
დიპლომატიკა
ჰამერი, Hist. de l´empire Ottoman, **II**
509
510

Herztberg G. prof. Geschichte der Byzantiner und des Osmanischen
588-89
582,587,591
Horn p. Geschichte Irabs in islamischer Zeit: Grundriss d. iranischen Philologie II
578
Huart Cl. Histore des arabes, t.II
193-94

საქართველო XV საუკუნეში (ამონაბეჭდი ივ. ჯავახიშვილის მიერ 1940 წ. დაწერილი საქართველოს ისტორიის «მოკლე კურსიდან»)

ალექსანდრე პირველი დიდი (1412–1442 წ.)

კონსტანტინე მეფე რომ ჩალაღანში მსხვერნლად შეეწირა. ივანე ათაბაგთან შეხიზნული მისი ვაჟიშვილი **ალექსანდრე** ქართლში დაბრუნდა და 1412 წელს 20 თებერვალსა და 21 მარტს შუა საქართველოს სამეფო ტახტზე ავიდა. ალექსანდრე თავისი მამის მხოლოდ უფროსი ვაჟიშვილი იყო. მას ძმებიც ჰყავდა, **ბაგრატი** და **გიორგი**. იმისდა მიუხედავად, რომ ალექსანდრე 1412 წელს ჯერ კიდევ ჭაბუკი იყო, გამეფებისას ის უკვე დაცოლშვილიანებული იყო. თანამეცხედრედ **გულანდუხტი** ჰყავდა, რომლისგანაც ორი ვაჟიშვილი, **ვახტანგი** და **დემეტრე** შეეძინა. 1414 წელს რომ გულანდუხტ დედოფალი გარდაიცვალა, ერთი წლის შემდგომ ცოლად **თამარი** შეირთო, რომლისგანაც კიდევ ორი ვაჟიშვილი, **გიორგი** და **დავითი**, ეყოლა. ამრიგად, ალექსნადრე პირველს მრავალრიცხოვანი ოცახობა ჰყავდა, რამაც შემდეგში საქართველოს სახელმწიფო საქმეებზედაც იქონია გავლენა.

ალექსანდრე საქართველოში ისეთ პირობებში მოუხდა გამეფება, როდესაც ჩალაღანში მეფე და ქართველთა ლაშქარი დამარცხდა. სარდლები ამ ბრძოლას შეეწირნენ მსხვერნლად. ცხადია, რომ საქართველოში მწუხარება და სასოწარკვეთილება უნდა ყოფილიყო გამეფებული. მის მეფობამდის, ამგვარად საქართველო გაჭირვებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა: მტერთან ბრძოლა და დროგამოშვებით საქართველოს რბევა ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენდა. ამის გამო ახალი ადგილებიც გაოხრებული იყო და წინანდელი, თემურლენგის შემოსევების დროს განადგურებული, ნაოხარი ადგილების აღდგენაც ძნელდებოდა. ალექსანდრე I- ს უნდა გადაეწყვიტა, რა დაესახა თავის უპირველეს მიზნად.

მან სცადა ყველაზე უწინარეს საქართველო უზრუნველეყო გარეშე მტრის შემოსევისაგან. თავის არა ერთს სიგელში მას აღნიშნული აქვს, რომ ის იბრძოდა «ურჯულოთა» წინააღმდეგ და საქართველოს საზღვრებიდან გააძევა. და ამის წყალობით მის მეფობაში მშვიდობა და მყუდროება დამყარდა. სამწუხაროდ, ამ ხნის მოღვაწეობის შესახებ კონკრეტული ცნობები იმაზე, თუ რა და რა ბრძოლა, სად და როდის მოხდა, არ მოგვეპოვება. ვიცით მხოლოდ, რომ 1416 წელს, თვით ქართველთავე წინდაუხედავი და გამაღიზიანებელი ქცევით, სამაგიეროს გადასახდელად საქართველოს მტერი შემოესია.

ათაბაგ ივანე აღბუღას ძის სამფლობელოში, სამცხეში, გაქრისტიანებულ სპარსელ, ქართველ და სომეხ ყმაწვილებს ღორის ხორცი უჭამიათ და ძვლები მაჰმადიანთა

სამლოცველოში შეუყრიათ. ამ გამაწბილებლად მიჩნეულ საქციელს ახალციხელი მაჰმადიანები აუღელვებია, რათგან ყურანით მართლმორწმუნე მუსლიმანს ღორის ხორცის ჭამა არ შეუძლია, რათგან ღორი უწმინდურ ცხოველად ითვლება. განრისხებული მაჰმადიანები წავიდნენ ყარა-იუსუფთან და ქრისტიანეთაგან მაჰმადიანთა დევნა შესჩივლეს. ყარა-იუსუფმაც ისარგებლა ასეთი შემთხვევით და სამაგიეროს გადასახდელად საქართველოს შემოესია. რასაკვირველია, ამავე დროს, შემოსეულ მტრებს ადგილობრივ მაჰმადიანებიც უწევდნენ დახმარებას და ასეთი გამცემლობის წყალობით ქალაქი **ახალციხეც** მარბიელი ლაშქრის მსხვერნლად იქცა, მიდამოებიც მთლიანად გაძარცული იყო. მაგრამ ამაზე მეტი ყარა-იუსუფს არაფერი გაუკეთებია.

ალექსანდრე მეფეს სრულიადი საქართველო ემორჩილებოდა: ის თავის თავს სრულებით სამართლიანად «აფხაზთა და ქართველთა მეფეთ-მეფეს» უწოდებს და, როგორც თბილისი, ისევე ქუთაისის ერთიერთმანეთთან პირდაპირი გზით იყო შეერთებული და მათ საქარავნო-სავაჭრო გზაც აერთებდა. მაინც ალექსანდრე პირველის დროინდელი სრულიადი საქართველო, იმასთან შედარებითაც, რაც ბაგრატ დიდის დროს იყო, უკვე გაცილებით ჩამომცრობილ სახელმწიფოს წარმოადგენდა. აღმოსავლეთით, როგორც ვიცით, ძველი **გაჩიანი,** ანუ მერმინდელი ხაჩენი საქართველოს საზღვრებს გარეშე იყო დარჩენილი. საქართელოს სამხრეთის საზღვრის სანაპიროც ძალზე შემცირებული იყო. ამ დროს ანისიც-კი უკვე საქართველოს აღარ ეკუთვნოდა. ამაზე მეტის თქმაც შეიძლება. საქართველოს დაცვის თვალსაზრისით ისეთი აუცილებელი ციხექალაქიც-კი, როგორიც **ლორეა**, მტერს ჰქონდა ხელში ჩაგდებული. ეს უკვე ორი-სამი თაობის წინათ მომხდარი ამბავი იყო და ლორის ველზე წინანდელი მდგომარეობა ისე შეიცვალა, რომ როდესაც შემდეგში ალექსანდრე პირველმა ამ თემის საქართველოსთან კვლავ შემოერთება მოახერხა, ღრმა მოხუცებულებს გარდა და საბუთების გამოყენების გარეშე, მფლობელობის საკითხის გამორკვევა შეუძლებელი შეიქნა.

რაკი მტერი ლორის ველზე ჯერ კიდევ იყო დარჩენილი, ცხადია, რომ მას ყოველთვის საშუალება ექნებოდა საქართველოს უფრო სწრაფად და უფრო ადვილად შემოჰსეოდა. სამაგიეროდ საქართველოსათვის თავის დაცვაცა და მისი უკან დაბრუნებაც გაცილებით უფრო გაძნელებული იყო იმის გამო, რომ ლორის ველი მაღალ მთიანეთს წარმოადგენდა და სამხედრო მოქმედება უნდა დაბლობიდან მაღლობისაკენ ყოფილიყო მიმართული. მხოლოდ 20 წლის მეფობის შემდეგ, 1431 წელს, ალექსანდრე მეფემ, ხანგრძლივი სამზადისის შემდგომ, ამ ლაშქრობის დაწყება გაბედა და ლორის ველი კვლავ საქართველოს შემოუერთდა. რასაკვირველია, ამ გამარჯვებას საქართელოსათვის ფრიად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც პოლიტიკური და სამხედრო, ისევე ეკონომიური თვალსაზრისითაც, რათგან ლორის ველი ისეთს აუცილებლად საჭირო მაღალ-საძოვრიან ადგილს წარმოადგენს, ურომლისოდაც საქართველოს მესაქონლეობას წესიერი განვითარება და დაწინაურება არ შეეძლო.

1431 წელს ველის საქართველოსთან შემოერთების შემდგომ, საქართველომ თავისი საზღვრის ბუნებრივ ზღუდეს მიაღწია. მაღალი მთები მის სამეფოს კარგად იცავდნენ. საქართველოს სამეფოს საზღვრების ასეთმა უშიშროებამ, ალექსანდრე მეფესა და საქართველოს მთავრობას საშუალება მისცა წინათ საქართველოს საკუთრებად მყოფი, მახლობლად მდებარე, თემებიც დაებრუნებინა. ალექსანდრე მეფემ ისარგებლა შემთხვევით, რომ შაჰრუსა და ჯეჰან-შაჰს შორის ერანში ბრძოლა იყო ამტყდარი, და მისი ნებართვით **ბეშქენ ორბელიანმა** საქართველოს აღმოსავლეთით მდებარე სივნიეთის თემები შემოუერთა. ალექსანდრემ ბეშქენ ორბელიანს ამ გამარჯვებისათვის ლორის ციხე უწყალობა, ის სიმაგრე, რომელიც მის საგვარეულოს დემნას აჯანყების მოწყობის გამო გიორგი მესამისაგან ჰქონდა ჩამორთმეული.

სივნიეთისა და მახლობელი თემების შემოერთებამ საქართველოს შეთხელებულ მოსახლეობას 60 ათასზე მეტი მცხოვრები კომლი შესძინა და ამასაც, რასაკვირველია, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

რაკი საქართველომ ასე გაძლიერება დაიწყო, საქართველოს საზღვრებს გარეშე მცხოვრებ სომხების ლტოლვილთა ტალღა მოაწყდა, ისინი მაჰმადიანთა საბრძანებლებიდან გადმოდიოდნენ, რომ საქართველოში დასახლებულიყვნენ და მყუდრო ცხოვრებისა და შრომის საშუალება ჰქონოდათ.

ალექსანდრე I-ის ქვეყნის აღმშენებლობითი მოღვაწეობა

როცა ალექსანდრე პირველმა საქართველო გარეშე მტრის შემოსევისაგან უზრუნველჰყო და სახელმწიფო განამტკიცა, ის განადგურებული და აოხრებული ქვეყნების განახლებასაც შეუდგა. ალექსანდრე პირველი გამეფებისას 22 წლის ჭაბუკი იყო. ბავშვობიდან მოყოლებული 17 წლამდის ის თავის ბებია ქუცნა ამირეჯიბის მეუღლე **რუსასთან** იზრდებოდა, იმ შესანიშნავ ქართველ მანდილოსანთან, რომლის სახელი საქართველოს ისტორიაშიც აღიბეჭდა. რუსამ გასაოცარი მხნეობა და თაოსნობა გამოიჩინა: იმ საერთო გაჭირვებისა და მწუხარების დროს რუსამ თემურლენგისაგან განადგურებული სვეტიცხოველის აღდგენასა და განახლებას მიჰყო ხელი. ეს იმდენად დიდი და იმდენად ძნელად გადასაწყვეტი ამოცანა იყო, რომ მისი დაძლევა ერთი ადამიანისათვის გასაოცარიც-კია. მაგრამ ის ამას არ შეჰშინებია და ამ მნიშვნელოვან მოღვაწეობას შეუდგა.

ბებიის მაგალითს ნორჩ ალექსანდრეზე ღრმა შთაბეჭდილება მოუხდენია და შემდეგში, როდესაც რუსა ისე გარდაიცვალა, რომ მას დაწყებული საქმის დამთავრება არ დასცალდა, ალექსანდრე მეფემ თავისი ბებიის თაოსნობის ბოლომდის მიყვანა თავის უშუალოდ და წმინდა მოვალეობად მიიჩნია. ალექსანდრე მეფეს თავის სიგელებში ბებიის მასზე ჭირნახულობაც და ის ღვაწლიც, რომელიც მას ალექსანდრეს წინაშე აღზრდისა და მისთვის მაღალი ზნეობრივი მოვალეობის შთაგონებით მიუძღვის, არა ერთხელ აქვს აღნიშნული.

ალექსანდრემ, იმას გარდა, რომ ბებიისაგან დაწყებული სვეტიცხოვლის განახლება განაგრძო, ამავე დროს უფრო ფართო ამოცანა და უფრო რთული გეგმაც დაისახა. რასაკვირველია, ის, რაც რუსამ დაიწყო, ერთი ადამიანისათვის დიდი და გაბედული ნაბიჯი იყო, მაგრამ განა საქართველოში მარტო სვეტიცხოველი იყო დანგრეული. თითქმის არც ერთი დიდი და მნიშვნელოვანი ნაგებობა, საყდრები, ეკლესიები, ციხეები, ქალაქის ზღუდეები არ მოიპოვებოდა, რომლებიც თემურლენგის ურდოებს არ დაეზიანებინათ და არ დაენგრიათ. ვის უნდა ეკისრა ყველა ამის განახლება-აღდგენა და, თუ ეს ნაკისრი არ იქნებოდა, როგორ შეიძლებოდა, რომ საქართველო პოლიტიკურად გამაგრებულიყო? ამის სათანადოდ მოგვარება მხოლოდ მთელს სამეფოს, მთელ ქართველ ერს შეეძლო. ამიტომ ალექსანდრე პირველმა გადასწყვიტა, რომ ეს საქმე თვით ეთავა და საქართველოში თემურლენგის მიერ დანგრეული ციხეების, ეკლესიების, საყდრებისა და სხვა მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობათა აღდგენას შესდგომოდა.

ცხადია, რომ ასეთი ფართო ამოცანის განხორციელება, წინასწარ კარგად შემუშავებული გეგმისა და საჭირო სახსრების წყაროს გაუთვალისწინებლივ, სრულებით შეუძლებელი იყო. ამ ყველა საკითხების განხილვა ალექსანდრე პირველს მოუხდა. რაკი თემურლენგის შემოსევის შემდგომ იმდროინდელი აოხრებული საქართველო

გაღატაკებულიც იყო, ისეთი სახსრები, რომლის დასახული მიზნის განსახორციელებლად გამოყოფაც შესაძლებელი ყოფილიყო, სახელმწიფო ხაზინას არ მოეპოვებოდა. მაშასადამე, უნდა სხვა რაიმე წყარო გამოენახათ. ალექსანდრე მეფემა და საქართველოს მაშინდელმა მთავრობამ გადაწყვიტეს, საქართველოს განახლებისათვის საგანგებო დროებითი გადასახადები დაეწესებინათ, რომელიც სანამ დასახული ამოცანა მიღწეული და გეგმა შესრულებული არ იქნებოდა ყოველწლიურად უნდა აეკრიბათ. ცხადია, რომ ასეთს ფართო განახლებითს მშენებლობას დიდი დროცა და დიდი თანხაც უნდა დასჭირებოდა. თუ გავითვალისწინებთ, რომ ერთი ძეგლის, სვეტიცხოვლის განახლება რუსამ ჯერ კიდევ თავის სიცოცხლის დროს დაიწყო, როდესაც ალექსანდრე ჯერ გამეფებული არ იყო, და ამ სამუშაოს დამთავრება მხოლოდ 1431 წლისათვის გახდა შესაძლებელი, მაშინ ცხადი შეიქმნება, თუ რამდენად ძნელი იყო იმ დროს ასეთი სამუშაოს წარმოება, მით უმეტეს დიდი სიძნელე უნდა ყოფილიყო გადასალახავი იმ შეუდარებლივ დიადი გეგმის განსახორციელებლად, რომელიც ალექსანდრე მეფეს ჰქონდა დასახული. ალექსანდრე I-მა ამ საგანგებო გადასახადად კომლზე 40 თეთრი შემოიღო: თითოეულ მეკომურს ამ სააღმშენებლო სათავნოს შესადგენად მაშინდელ საქართველოში 40 თეთრი (ე. ი. ვერცხლის ფული) უნდა გამოეღო.

ალექსანდრე მეფემ ეს დროებითი საგანგებო გადასახადი 1425 წელს დააწესა და ამ წლიდან მოყოლებული საქართველოს თითოეული სრულფუძიანი მეკომური 40 თეთრს იხდიდა, რომ განადგურებული ქვეყანა აღდგენილი ყოფილიყო. ხოლო 1440 წლისათვის მიზანიცა და გეგმაც მთლიანად განხორციელებული აღმოჩნდა: ალექსანდრე მეფეს თავის სიგელში აღნიშნული აქვს, რომ რამდენიც-კი საქართველოში ციხე, საყდარი, მონასტერი და სხვა შენობა იყო, ყოველივე სრულიად ახლად აღვაშენე და შევამკეო.

რაკი მიზანი უკვე მიღწეული იყო, ალექსანდრე მეფემ განკარგულება გასცა, რომ 1440 წლიდან მოყოლებული საგანგებო სააღმშენებლო გადასახადი კომლზე 40 თეთრი ამოეკვეთათ და მოესპოთ.

ცხადია, რომ 15 წლის განმავლობაში, რა დიდი თანხაც არ უნდა ყოფილიყო შეგროვებული, სრულებით შეუძლებელი იყო, რომ ყველაფერი აღედგინათ: ამისათვის მაშინდელ საქართველოს არც საკმაო ქონებრივი სახსრები ჰქონდა და არც ფიზიკური საშუალება იყო იმდროინდელ საქართველოში, რომ 15 წლის განმავლობაში ასეთი უზარმაზარი ამოცანა განხორციელებული ყოფილიყო. ამიტომაც, ცხადია, რომ ალექსანდრე I-სა და საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებულს გეგმაში განსაახლებლად მხოლოდ ისეთ უმთავრეს ნაგებობათა აღდგენა იქნებოდა შეტანილი, რომელთა აღუდგენლობა საშიშროებას წარმოადგენდა და რომელთა განახლება კულტურული მოთხოვნილებისათვისაც აუცილებლად საჭირო იყო. რა თქმა უნდა, რომ მრავალი ნაოხარი სოფელი ისევ ისევე დარჩებოდა; ასეთი განადგურებული, გაპარტახებული სოფლებისათვის ხომ უპირველესად მოსახლეობა იყო საჭირო. თემურლენგის მრავალგზისმა შემოსევამ-კი იმდენი ხალხი იმსხვერპლა საქართველოში, რომ არამც თუ სრულიად განადგურებული სოფლებისათვის მოახალშენე ხალხი არ იყო, არამედ შეთხელებული სოფლების მოსახლეობის შევსებისთვისაც-კი ხალხი, ტყვეობიდან დაბრუნებულთ გარდა, ძნელად თუ სადმე მოიპოვებოდა. ალექსანდრე მეფემ ამ საშუალებასაც მიმართა და, რამდენადაც-კი შესაძლებელი იყო, ცდილობდა, გაუკაცრიელებული ადგილები კვლავ შენად გაეხადა. მაგრამ ფართოდ ამ გეგმის განხორციელება იმდენად დიდ თანხას მოითხოვდა, რომ ისევ საქართველოს სამეფოს შერჩენილი მოსახლეობის ხელმეორედ ზედმეტად დატვირთვა სრულებით შეუძლებელი იყო. ამიტომაც ამ ამოცანის გადაწყვეტა უფრო კერძო თაოსნობას ჰქონდა მინდობილი. ასეთ პირობებში ბუნებრივია, რომ თემურლენგის შემოსევის დროს

განადგურებული ბევრი სოფელი სამუდამოდ ნასოფლარად დარჩა, დროთა განმავლობაში ტყითაც დაიბურა და მის შემდგომ ვეღარც აღსდგა.

ალექსანდრე პირველის აღმშენებლობითი მუშაობა იმდენად დიადი იყო და მისი შედეგი იმდენად ყველასათვის თვალსაჩინო აღმოჩნდა, რომ თანამედროვეებმაცა და მომდევნო თაობამაც მას მეფეთა შორის წარჩინებული სახელი უწოდა და საქართველოს ისტორიამ **დიდი ალექსანდრეს** წოდებულებაც-კი მიაკუთვნა.

სოციალური ვითარება საქართველოში ალექსანდრე პირველის მეფობაში

რასაკვირველია, ალექსანდრე I-ს ამაზე უფრო ფართო გეგმის განხორციელებაც შეეძლებოდა, რომ მაშინდელი საქართველოს სოციალურ წესწყობილებას მისთვის გადაულახავი დაბრკოლება არ შეექმნა.

მეფის ხელისუფლების გავლენა ხანგრძლივი ომის განმავლობაში უნებლიედ უნდა შესუსტებულიყო. ამავე დროს დიდგვარიან აზნაურთა გაძლიერება იმ არეულობის ხანაში, რომელშიც საქართველო მაშინ იმყოფებოდა ამნაირადვე ბუნებრივი შედეგი იყო. ალექსანდრეს საკუთარ ოჯახშიც-კი, მოცილეები თუ არა, ყოველ შემთხვევაში თანამონაწილენი უკვე აღმოუჩნდნენ. თავის მთავრობასა და ვაზირებთან მას აღარ შეეძლო ისევე თავისუფლად ემოქმედა, როგორც წინათ, როდესაც საქართველოს სახელმწიფოს მხოლოდ მეფეები განაგებდნენ და მათსა და ვაზირთა ნებისყოფაზე იყო ყველაფერი დამოკიდებული და სხვას არავის ჰქონდა უფლება ჩარეულიყო.

ალექსანდრე მეფე უკვე იძულებული იყო თავისი ძმებისა და ცოლშვილისათვისაც გაეწია ანგარიში: მათი აზრი და სურვილი უმნიშვნელო აღარ იყო. ხოლო, რაკი საქართველოს მეფე ცოლად წინანდებურად უცხო სამეფოების ასულს ვეღარ ირთავდა, არამედ რომელიმე თავისივე ქვეშევრდომის ასული მოჰყავდა ხოლმე ცოლად, ცოლის ნათესავებიც, ვითარცა მეფესთან უფრო დაახლოვებულნი, სხვებზე მეტად გავლენიანი ხდებოდნენ. ბატონიშვილებიც ადგილობრივვე ირთავდნენ ცოლებს, მათი ნათესაური კავშირიც სამეფო საგვარეულოს და სახლობას დიდგვარიან აზნაურთა გარკვეულ წრეს უახლოვებდა ხოლმე. ეს დიდგვარიან აზნაურთა დანარჩენ წრეებში ბუნებრივად შურსა და უკმაყოფილებას იწვევდა. მათ ის არ მოსწონდათ, რომ წოდებრივად მათი თასასწორი საგვარეულოების წარმომადგენლები მათზე უფრო გავლენიანი ხდებოდნენ. ეს გარემოებავე საქართველოს მეფეს საშუალებას უსპობდა თავის ყველა ქვეშევრდომთან პირუთვნელობა და მიუკერძებლობა დაეცვა: ნათესაობის გავლენის ანარეკლი მის მოქმედებაში უნებლიედ ჩანდა ხოლმე და მისი მოქმედების თავისუფლება ამ მხრივ შეზღუდული იყო.

რასაკვირველია, ყველაფერი ეს საქართველოს მეფის ხელისუფლების დასუსტებასა და გავლენიანობის შემცირებას უწყობდა ხელს. ეს გარემოება იმდროინდელ ძეგლებში გარეგნულადაც-კი არის აღბეჭდილი. ალექსანდრე მეფის ხნიდან მოყოლებული, საქართველოს მეფეები თავიანთ სიგელებს წინანდებურად მარტო თავიანთი სახელით-კი აღარ აწერინებდნენ, არამედ შიგ თანამეცხედრეც, ძმებიცა და შვილებიც არიან დასახელებულნი, რომელთაც, რასაკვირველია, არავითარი უფლება არ ჰქონდათ, რომ საქმეებში ჩარეულიყვნენ, მაგრამ რომელთა ჩარევის უცილობელ საბუთს სიგელში მათი მოხსენების გარემოება წარმოადგენს.

ასეთ პირობებში განა გასაკვირველია, რომ თვით მეფის ოჯახშიც, მის შვილთა შორის ისეთები აღმოჩენილიყვნენ, რომელთა ესეც აღარ დააკმაყოფილებდა და რომელნიც ამაზე მეტი ხელისუფლების ჩაგდებას მოიწადინებდნენ. ალექსანდრე I-ს სიგელში თავისი უფროსი

ვაჟიშვილი **ვახტანგი** თავისი სიცოცხლის დროსვე მეფეთ- მეფედ ჰყავდა დასახელებული. შემდეგში ალექსანდრე პირველის საბუთებში ვახტანგი მეფედ აღარ იხსენიება, მაგრამ ის გარემოება, რომ ალექსანდრე რატომღაც იძულებული იყო თავისი ვაჟიშვილი ვახტანგი მეფედ მოეხსენებინა, ამჟღავნებს იმ გარემოებას, რომ მეფის ოჯახში რაღაც ისეთი განხეთქილება მომხდარა, რომელმაც აიძულა ასე არაჩვეულებრივად მოქცეულიყო და თავისი სიცოცხლის დროსაც თავისი ვაჟიშვილი მეფედ მოეხსენებინა.

ამგვარადვე შემხვევითი მოვლენა არ უნდა იყოს, რომ 1442 წელს საქართველოს მეფემ ალექსანდრემ ქვეყნის მესაჭეობას თავი დაანება და ბერად აღიკვეცა და, **ათანასედ** სახელდებული, ის ამის შემდეგ სვეტიცხოვლის ეკვდერში ცხოვრობდა. სამეფო ტახტზე-კი მის მაგიერ სწორედ მისი ვაჟიშვილი **ბაგრატი** ავიდა, რომელიც ალექსანდრეს თავის სიცოცხლის დროს რამდენიმე წლის წინათ მეფედ ჰყავდა მოხსენებული. 1442 წელს ალექსანდრე 62 წლის იყო და მას, რასაკვირველია, ჯერ კიდევ კარგა ხანს შეეძლო სამეფო საქმეებს გასძღოლოდა: ფიზიკურიცა და გონებრივი ძალაც ამისათვის მას ექნებოდა. მისი ენერგიული ბუნებაც უმოქმედო ბერმონაზონად ძნელი წარმოსადგენია, ამიტომაც საფიქრებელია, რომ, თავის საკუთარ ოჯახშივე ჩამოვარდნილი უთანხმოების გამწვავების ასაცილებლად, მან ამჯობინა თავის პატივმოყვარე შვილისათვის მეფობა თვითონვე დაეთმო, ვიდრე განხეთქილება ჩამოეგდო და საქართველო განსაცდელში გაეხვია.

ვახტანგ IV ალექსანდრეს ძე (1442 – 1446 წ.)

ვახტანგ IV-ს დიდხანს არ მოუხდა სამეფო ტახტზე ყოფნა. 1442 წელს გამეფებული, ოთხი წლის შემდგომ ის უკვე მკვდარი ჩანს. მისი მეფობის შესახებ ძალიან მცირე ცნობები მოგვეპოვება და ისიც, რაც არის, დანამდვილებით ძნელი სათქმელია, რამდენად მის მეფობას ეხება. ეს ჯეჰან-შაჰის შემოსევის ამბავია. ვახტანგ IV-ს ქართლის დიდგვარიან აზნაურ მოხელეებთან ბრძოლა ჰქონია, მათი მოღალატური ქცევის გამო, კერძოდ **ამილახვარი ზევდგინიძე** მას ასეთი ქცევისათვის შეუპყრია კიდეც. რაღაც მძიმე დანაშაული უნდა სდებოდა მას ბრალად, რადგან დაჭერილს ამილახორს ზევდგინიძეს მეფემ მთელი მკვიდრი მამული ჩამოართვა და ყმებიც წაართვა. ამას გარდა დაუჭერია და დასამწყვდევად ლიხთ-იმერეთში წაუყვანია. ეს ერთი გარემოებაც უკვე იმ აშლილობის დასაწყისის მომასწავებელია, რომელმაც შემდეგში საქართველოს სახელმწიფოებრიობის მთლიანობა იმსხვერპლა.

ბრძოლა საქართველოს მთლიანობის დარღვევის წინააღმდეგ

გიორგი VII ალექსანდრეს ძე (1446-1466 წ.)

ვახტანგ IV-ის მაგიერ სამეფო ტახტზე საქრთველოში 1446 წელს მისი ძმა **გიორგი** ავიდა. გამეფებისას ის 31-32 წლისა იყო და ქვეყნის მესაჭეობისათვის თითქოს საკმაო გამოცდილება უნდა ჰქონოდა. მას ორი ცოლი ჰყავდა. მეორე ცოლის, ნესტან-დარეჯანისაგან, გიორგი მეფეს 1457 წელს ვაჟიშვილი ალექსანდრე შესძენია. მას ორი ქალიშვილიც ჰყავდა, რომელთაგან ერთი 1452 წელს ბიზანტიის კეისარ კონსტანტინეზე იყო დანიშნული, მაგრამ, თურქებისაგან კონსტანტინეპოლის 1453 წელს აღებისა და კეისრის სიკვდილის გამო, ქორწინება ჩაიშალა.

გიორგი VII-მ მთელი თავისი მეფობა ხელისუფლებისა და ბატონობის გამო ამტყდარს ბრძოლას შეალია. ამ ხანაში მთავრებმა წამოყვეს თავი, რასაკვირველია, უპირველესად მესხეთის მმართველმა, რომელმაც, როგორც ვიცით, უკვე XIII საუკუნეში საქართველოს მეფისაგან დამოუკიდებლობა მოიპოვა. მართალია, გიორგი ბრწყინვალემ საქართველოს ეს გამდგარი თემი დაუბრუნა, მაგრამ თემურლენგის შემოსევის შემდეგ მომხდარმა საქართველოს დასუსტებამ მესხეთის მთავარს აღბუღას კვლავ საღერღელი აღუძრა, რომ თავისი საბრძანებელი საქართველოს სამეფოსაგან გამოეცალკევებინა.

ბრძოლა მესხეთის მთავარს ყვარყვარასა და გიორგი მეფეს შორის

უთანხმოება ჯერ თვით მესხეთის მთავრების, ჯაყელთა ოჯახში დაიწყო: გამწვავდა ურთიერთობა აღბუღასა და მის ბიძას ყვარყვარას შორის, რომელთაგან უკანასკნელმა ხელისუფლების ხელში ჩაგდება მოიწადინა და მესხებს თავისკენ გადაბირება დაუწყო. აღბუღამ, თავისი ბიძის შეპყრობა გადაწყვიტა, მაგრამ ყვარყვარამ დაასწრო, 1447 წელს აღბუღას წინააღმდეგ გაილაშქრა და გაიმარჯვა კიდეც.

დამარცხებული აღბუღა გიორგი მეფესთან წავიდა დახმარების სათხოვნელად, მაგრამ ყვარყვარამ აქაც დაასწრო: გიორგი მეფე რომ დახმარების აღმოსაჩენად მესხეთში მივიდა, ყვარყვარა მეფეს არ შებრძოლებია, არამედ გზაშივე დაუხვდა და მისი გულის მოგება მოიწადინა: უდანაშაულობა შეჰფიცა მას იმედი ჰქონდა, რომ გიორგი VII ასეთი ქცევისათვის მას დაუმადლებდა და დასაჯილდოვებლად მისცემდა იმას, რაც სწადდა. მაგრამ მისი იმედი ტყუილი გამოდგა: გიორგი VII-მ აღბუღას დაუჭირა მხარი და ათაბაგად ისევ აღბუღა დასტოვა, ყვარყვარა-კი თავის კარზე წამოიყვანა და იქ ჰყავდა.

ყვარყვარა საქმის ასეთი დასასრულით ძალზე უკმაყოფილო იყო და უსიამოვნება, რომელიც თავდაპირველად ბიძა-ძმისწულს შორის იყო ჩამოვარდნილი, ეხლა უკვე ყვარყვარასა და გიორგი მეფის უთანხმოებად იქცა.

1451 წელს რომ აღბუღა ათაბაგი გარდაიცვალა, კვლავ საკითხი დაიბადა იმის შესახებ, თუ მესხეთის ათაბაგობა ვისთვის მიეცათ. სამეფო დარბაზის დაახლოვებულ წევრთა რჩევით, გიორგი მეფემ ათაბაგობა წინდაუხედავად ყვარყვარას უწყალობა, რომ ამით მოემშვიდობიანებინა და მისი გული მოეგო. მაგრამ ყვარყვარა ათაბაგი სრულებით სხვა გუნებაზე იყო დამდგარი: მას მეფისაგან დამოუკიდებლობის მოპოვება ჰსურდა. იმას თავისი თავი ისე ეჭირა, რომ საქართველოს მეფისაგან დამოუკიდებელ პოლიტიკის წარმოებასაც-კი ლამბოდა. მაგალითად, 1459 წელს, როდესაც დასავლეთ ევროპაში საქართველოდან საერთო პოლიტიკური გეგმის შესახებ მოსალაპარაკებლად დესპანი უნდა ყოფილიყო გაგზავნილი, ყვარყვარა ათაბაგმა საქართველოს მეფის გიორგი VII-ის დესპანით დაკმაყოფილება არ მოისურვა, არამედ თავის საკუთარი დესპანიც გააყოლა და ეს, რასაკვირველია, მისი დამოუკიდებელი პოლიტიკის გეგმის ცხადი გამომჟღავნებელი იყო.

ყვარყვარა ათაბაგის ფართო გეგმა მესხეთის საქართველოს სამეფოთგან გამოსაყოფად და ამის საწინააღმდეგოდ ბრძოლა

მას ამაზე უფრო ფართო გეგმაც ჰქონდა განზრახული. ათაბაგმა თავისი სამფლობელოს საქართველოსაგან მარტო პოლიტიკურად ჩამოშორება-კი არ მოისურვა, არამედ უნდოდა მესხეთის მთელი სამწყსოც ქართული ეკლესიისაგან გამოეყო. ამ მიზნით მან **მაწყვერელი** ეპისკოპოსის განდიდება მოიწადინა, რომ მისთვის თავის სამფლობელოს ყველა სხვა ეკლესიების დაექვემდებარებინა. რასაკვირველია, ყვარყვარას მთელი მოქმედება საქართველოს პოლიტიკური დანაწილებისათვის საუკეთესო პირობების შექმნას უდრიდა და მთელი ქართველი ერის ინტერესების საწინააღმდეგოდ მოღალატური ნაბიჯი იყო.

საეკლესიო კანონების თანახმად ეპისკოპოსად არჩეული პირი უეჭველად უნდა მცხეთაში წასულიყო და საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის მიერ სვეტიცხოველში ყოფილიყო ხელდასხმული. მესხეთის მთავარმა სწორედ ამის მოსპობა მოისურვა. ეს იმ გარემოებით აიხსნება, რომ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი მესხეთის მთავრის განკერძოებითს პოლიტიკას მთელი თავის ძალღონით ებრძოდა და ყველა იმ საეპისკოპოსოდ არჩეულ პირებს, რომელნიც მესხეთიდან ჩამოდიოდნენ, კურთხევამდის კატეგორიულად ფიცს და აღთქმას ადებინებდა, რომ ის საქართველოს მწყემსმთავრის ერთგული და საქართველოს მეფის მომხსენებელი და მლოცველი იქნებოდა. წირვა-ლოცვის დროს საქართველოს მეფის მოხსენება საქართველოს პოლიტიკური მთლიანობის გამოხატულებას წარმოადგენდა და ყვარყვარა ათაბაგსაც სწორედ ამის მოსპობა ჰსურდა.

საქართველოს ეკლესიის მეთაურის ბრძოლის შედეგი ყვარყვარა ათაბაგის პოლიტიკის წინააღმდეგ

როდესაც ყვარაყვარა დარწმუნდა, რომ საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელი მისი პოლიტიკური გეგმების ჩაშლას ლამობს, მაშინ მან გადაწყვიტა, რომ **მაწყვერელობა** და ეპისკოპოსების ხელისუფლება უმცხეთოთ ადგილობრივვე მიენიჭებინა. მაგრამ საქართელოს ეკლესის მწყემსმთავარმა ამის საპასუხოდ საეკლესიო კანონებით მისთვის მინიჭებული უფლება გამოიყენა. როგორც მაწყვერელი, ისევე ის საეკლესიო პირებიც, რომელთაც ამ გზით საეკლესიო თანამდებობის ხელში ჩაგდება იკადრეს, შეაჩვენა, საქვეყნოდ შეჩვენებულ პირს საეკლესიო კანონით მღვდელმსახურების ასრულება,-წირვა-ლოცვა, ზიარება, მონათვლა, ჯვარის წერა და დასაფლავება აკრძალული ჰქონდა; ეს იმას ნიშნავდა, რომ ამისათვის განკუთვნილი გასამრჯელოც მას აღარ შემოუვიდოდა და, რასაკვირველია, განკერძოების გუნებაზე დამდგარი მესხეთის საეკლესიო დიდ მოხელეებისათვის ამ სასჯელის ასეთი ეკონომიურ-ფინანსიური მხარე გაცილებით უფრო საგრძნობი იყო, ვიდრე სხვა ყოველგვარი სასჯელის საშუალება. ამიტომაც ამ საშუალებამ ძლიერი გავლენა მოახდინა და უნებლიედ გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავარდნილი ეს პირები იძულებულნი გახდნენ, რომ საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელთან შეთანხმების გუნებაზე დამდგარიყვნენ.

გეგმა რომ არ ჩაჰშლოდა, ყვარყვარა ათაბაგმა ამაზე უფრო უკადრის საქციელს მიჰმართა თავისი დასახული ამოცანის განსახორციელებლად. მან ისარგებლა შემთხვევით, რომ საქართველოში მახლობელი აღმოსავლეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ერთ-ერთი დიდი სამღვდელო პირთაგანი მოვიდა, რომელსაც მიზნად საქართველოში შემოწირულების შეგროვება ჰქონდა დასახული. ეს სამღვდელო პირი ბერძენი მიტროპოლიტი იყო. ის საკმაოდ ცბიერი აღმოჩნდა: რასაკვირველია, ყვარყვარასთან წინასწარ შეთანხმებითა და სამაგიეროდ შესაფერისი კარგი ქონებრივი ჯილდოს მიღების შემდგომ, ამ უცხოეთიდან მოსულმა ბერძენმა მიტროპოლიტმა სწორედ იმის ქადაგებავე დაიწყო, რაც თვითონ ყვარყვარა ათაბაგს სწადდა, ე. ი. რომ მღვდელისა და დიაკონის კურთხევა უმცხეთოთაც იყო შესაძლებელი და

რომ საქართველოს საპატრიარქო ეკლესიის მორჩილება სრულებით მათთვის სავალდებულო არ იყო.

როცა საკალმასოდ მოსულმა ამ ბერძენმა მიტროპოლიტმა ჯიბეები საკმაოდ გაისქელა და საქართველოდან წავიდა, მესხეთის სამღვდელო პირები ისევ ისეთსავე მდგომარეობაში ჩავარდნენ, რა მდგომარეობაშიც წინათ იყვნენ. სანამ მაღალი უცხო სამღვდელო პირი მესხეთში იყო, შეჩვენებულ მესხ ეპისკოპოსებსა და სამღვდელო პირებს ზურგი ასეთუ-ისე გამაგრებული ჰქონდათ, მაგრამ, როდესაც ის უკვე საქართველოს მოშორდა, მათ დამცველიც მოაკლდათ და, ან უნდა საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავარს დამორჩილებოდნენ, ანდა უნდა იმ გარემოებას შეჰრიგებოდნენ, რომ მათ სამწყსოდან ქონებრივი შემოსავალი აღარ ექნებოდათ.

ყვარყვარა ათაბაგის გეგმის ჩაშლა და ქართული ეკლესიის მთლიანობის შენარჩუნება

უკანასკნელმა გარემოებამ, ქონებრივმა გაჭირვებამ, აიძულა ისინი, დამორჩილებოდნენ საქართველოს ეკლესიის მაშინდელ **კათალიკოს დავითს,** რომელიც ალექსანდრე პირველის შვილი იყო და რომელიც ქართული ეკლესიის მთლიანობის დაცვასთან ერთად საქართველოს პოლიტიკური მთლიანობის დაცვასაც თავის მოვალეობად სთვლიდა.

გაჭირვებულ მდგომარეობაში მყოფი მესხეთის შეჩვენებული სამღვდელო პირები რომ მცხეთაში ჩავიდნენ და კათალიკოსს ვედრება დაუწყეს, მათთვის წინანდელი მათი შეცოდება და დანაშაული შეენდო, მან ამ პირების თხოვნა არ შეისმინა, სანამ ფიცის წიგნზე ხელი არ მოაწერინა, რომელშიც ისინი აღთქმას სდებდნენ, რომ საქართველოს ეკლესიის კათალიკოს-პატრარქის ყოველ ბრძანებას დაემორჩილებოდნენ, საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელის ერთგული და საქართველოს მეფეთა მლოცავი იქნებოდნენ ყოველი წირვა-ლოცვის დროს. ვისაც კათალიკოს-პატრიარქი შერისხავდა, ისინი ვალდებულნი იყვნენ, რომ იმასთან კავშირი შეეწყვიტათ: შეჩვენებულ ეპისკოპოსებთან ერთად წირვა არ ეწირათ და, სანამ შენდობას არ მიიღებდნე, მათთან საერთო არაფერი ჰქონოდათ. ამავე აღთქმაში იყო აღნიშნული, რომ, თუნდაც ყვარყვარამ მაწყვერელობა ან სხვა ეპისკოპოსობა შემოგვთავაზოს, სანამ ყვარყვარა და მისი შეჩვენებული ეპისკოპოსები თქვენს განკარგულებას არ დაემორჩილებინა, მანამდის ყვარყვარასაგან შემოძლეული ხელისუფლება არ მივიღოთ და უარვყოთო.

ამ აღთქმის წიგნის პოლიტიკური შინაარსი და მნიშვნელობა სრულებით ცხადად ჩანს. დავით კათალიკოსი თავის მოვალეობად სთვლიდა, მის განკარგულებაში მყოფი ყოველი საშუალებით ის დამღუპველი მიმართულება შეეჩერებინა, რომელსაც მესხეთის მთავარი დაადგა და რომელსაც მიზნად საქართველოს მეფისაგან სრული პოლიტიკური და საეკლესიო დამოუკიდებლობის მოპოვება ჰქონდა დასახული. ასეთი ენერგიული საშუალებით და ბრძოლის წარმოების წესით, დავით კათალიკოსმა ბოლოს იმდენი მოახერხა, რომ ყვარყვარა ათაბაგმა თავისი წადილის მიღწევა ვერ შესძლო.

რასაკვირველია, ასეთი განკარგულებისა და მთლიანობის დარღვევისადმი მისწრაფება გულში მარტო მესხეთის მთავარს არ ექნებოდა. სხვებს, ეგების, ისე მძლავრად არ ჰქონდათ იგი გამოხატული, მაგრამ მესხეთის მთავრის თანამგრძნობნი რომ შესაძლებელია სხვებიც ყოფილიყვნენ, ამის არავითარი ეჭვი არ უნდა გვქონდეს.

საქართველოს სამეფოს პოლიტიკური ვითარება და სამთავროებად დანაწილება

ამ დროს საქართველო უკვე მკვეთრად იყო სამთავროებად დაყოფილი, თუმცა მთლიანობა ჯერ დარღვეული არ იყო: აფხაზეთი და სამეგრელო ერთ სამთავროს წარმოადგენდა. ამ სამთავროს სათავეში **ბედიანი** იდგა. ჯერ კიდევ XV საუკუნის პირველ წლებში აფხაზეთი და სამეგრელც ერთ სამთავროდ არ იყო ქცეული, არამედ აფხაზეთი და სამეგრელო ცალ-ცალკე საგამგეო ერთეულებს წარმოადგენდნენ. აფხაზეთის მთავარ ქალაქად მაშინ **ცხუმი** ითვლებოდა, სამეგრელოს მთავარი ქალაქი კი **ბათომი** იყო და ეს გარემოება ცხადყოფს, რომ სამეგრელოს მთავარს მაშინ გურია და აჭარაც სჭერია. მას შემდგომ ცვლილება მომხდარა: 1459 წლისათვის გურია სამეგრელოს ჩამოჭშორებია. ის ცალკე სამთავროს წარმოადგენდა. აფხაზეთი და სამეგრელო კი ერთ სამთავროდ ქცეულა და მისი მართვა-გამგეობა ბედიანს ჩაუგდია ხელში.

აფხაზეთ-სამეგრელოს მთავარი, ასეთი გაძლიერებისდა მიუხედავად, მაინც საქართველოს პოლიტიკურ საზღვრებში დაეტია და ჩამოშორების მიზანი ამ ხანაში მაინც მას დასახული არ ჰქონდა. მას არც თავისი განსაკუთრებული რომელიმე რწმუნებული გაუყოლბია დასავლეთ ევროპაში და საქართველოს დესპანით დაკმაყოფილებულა.

ამრიგად, საქართველოს პოლიტიკური მთლიანობა, მართალია ჯერ დარღვეული არ იყო, მაგრამ რღვევის პროცესის დასაწყისი უკვე საკმაოდ მკაფიოდ მოჩანს. ყველაზე ძლიერად ეს მესხეთის მთავართა პოლიტიკაშ იყო გამოხატული.

საერთაშორისო პოლიტიკაში მომხდარი დიდი ცვლილება, ოსმალთაგან ბიზანტიის მოსპობა და ამის შედეგი

საქართველოს ასეთი შინაური ვითარება მეტად სახიფათო იყო იმ საერთაშორისო პირობების გამო, რომლებიც მახლობელ აღმოსავლეთში ამ დროისათვის შეიქნა: საქართველოს ორივე მხრით, სამხრეთ-აღმოსავლეთითაცა და სამხრეთ-დასავლეთითაც, საკმაოდ ძლიერი ახალი პოლიტიკური მეზობლები გაჩნდნენ.

შაჰროჰი რომ გარდაიცვალა, 1451 წელს, ერანის მბრძანებლად ჯეჰანშაჰი გახდა. ქირმანიდან მოყოლებული საქართველოს საზღვრამდე მას უკვე მთელი მიწა-წყალი ეჭირა ხელში.

სამხრეთ-დასავლეთით საქართველოს უფრო საშიში მეზობელი **ოსმალეთი** გაუჩნდა. ამ ხანაში, თურქებმა მცირე-აზიაში იმდენად სწრაფად მოახერხეს გაძლიერება, რომ სულტანმა მუჰამედმა 1453 წელს თავისი უშველებელი ზარბაზნების მარჯვედ გამოყენებისა დ 70 ათასი ჯარისკაცის იერიშის მიტანით ბიზანტიის სახელმწიფოს დედაქალაქი კონსტანტინეპოლიც-კი აიღო და მთელს მაშინდელ მსოფლიოში მრავალ საუკუნეთა განმავლობაში ცნობილი ბიზანტიის იმპერია, ამგვარად, დედამიწის ზურგიდან აღიგავა. საქართველოსათვის ეს ისეთი უბედურება იყო, რომლის მსგავსი მის წარსულში ბევრი არ მოიპოვება.

იმას გარდა, რომ ოსმალეთი მახლობელ აღმოსავლეთში უძლიერეს სახელმწიფოდ იქცა, საქართველოს ამიერიდან დასავლეთის გზაც დაეხშო და დასავლეთთან უშუალო კავშირის ყოველგვარი შესაძლებლობა მოესპო. თუ წინათ მას მეზობლად სუსტი ბიზანტიის საკეისრო ჰყავდა, ეხლა უკვე ძლიერი, ენერგიით აღსავსე, საუცხოვოდ შეიარაღებული ოსმალეთის სახელმწიფო აღმოუჩნდა. **სწორედ იმ დროს, როდესაც დასავლეთ ევროპაში რენესანსად წოდებული კულტურის მძლავრი აყვავება დაიწყო და შეუჩერებელი წარმტებით**

მიმდინარეობდა, საქართველოს ყოველგვარი საშუალება მოესპო, რომ ამ ნაყოფიერს შემოქმედების წყაროს გასცნობოდა და თვითონაც ამ მოძრაობის მოზიარე გამხდარიყო.

საქართველოს მთავრობას, როგორც ჩანს, ოსმალეთის თანდათანი გაძლიერება გამოჰპარვია: თურქთა მახლობელ აღმოსავლეთში და მცირე აზიაში ყოფნა იმდენად ხანგრძლივი ისტორიული ამბავი იყო, რომ ის ცვლილება, რომელიც თანდათან ხდებოდა, ქართველებისათვის ისე საგრძნობი არ აღმოჩნდა, როგორც დასავლეთ ევროპისათვის, რომელზედაც მომხდარმა პოლიტიკურმა ცვლილებამ თავზარდამცემი შთაბეჭდილება მოახდინა.

სამხედრო პოლიტიკური გეგმა ოსმალთა კონსტანტინეპოლითგან განსადევნად

დამახასიათებელია, რომ კონსტანტინეპოლის ოსმალთაგან აღებას ყველაზე უწინარეს სწორედ დასავლეთ ევროპაში მიაქციეს ყურადღება. რომის პაპმა ნიკოლოზ V-მ მაშინვე სცადა ბიზანტიის დედაქალაქის თურქ-ოსმალთაგან განსათავისუფლებლად ჯვაროსანთა ომი მოეწყო, მაგრამ ვერას გახდა: მისი ცდა უშედეგო აღმოჩნდა. მისმა მოადგილემ კალისტ III-მაც ვერაფერი მოახერხა. მაშინ ჯვაროსანთა ომის მოწყობისათვის ევროპაში უკვე შესაფერისი პირობები აღარ არსებობდა, არც რომის პაპის ქადაგებას-ღა ჰქონდა ისეთი ყოვლად გადამწყვეტი გავლენა, როგორიც წინათ. ბიზანტიის დედაქალაქისათვის თავის შეწუხება ევროპაში არავის ჰსურდა, რამდენადაც ეს მათთვის უშუალო საშიშროებას არ წარმოადგენდა. ორგზისი ცდის უნაყოფობისდა მიუხედავად რომის პაპმა პიომ გადასწყვიტა დასახული მიზნისათვის ისეთი გეგმა შეედგინა, რომ მის განსახორციელებლად დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქრისტიანთა სახელმწიფოებს მიეღოთ მონაწილეობა: ოსმალეთის წინააღმდეგ დასავლეთ ევროპიდან უნდა წამოსულიყო მხედრობა და აღმოსავლეთის ქრისტიანებსაც, ოსმალთა საბრძანებლის სათანადო თემებში თურქთა მრავალრიცხოვანი ჯარის დასაბანდებლად აღმოსავლეთიდან უნდა დაეწყო შეტევა; ოსმალებს მაშინ საშუალება არ ექნებოდათ მთელი თავისი სამხედრო ძალა ევროპაში გადაეტანათ.

რომის პაპი პიო რომ საეკლესიო კრებაზე თავის გეგმის წარსადგენად და თურქთა წინააღმდეგ ლაშქრობის მოსაწყობად მანტუაში გაემგზავრა, იმავე დროს მახლობელ აღმოსავლეთში მან თავის დესპანად **ლუდოვიკო ბოლონიელი** გამოგზავნა მახლობელი აღმოსავლეთის ქრისტიანი სახელმწიფოების განზრახულ გეგმაში მხურვალე მონაწილეობის მიღებაზე დასაყოლიებლად.

რომის პაპის დესპანის საქართველოში მოსვლა და ქართველ პოლიტიკოსთა ფართო გეგმა

რომის პაპის დესპანი უპირველესად საქართველოს ესტუმრა, რათგან მისი გეგმის მთავარი ნაწილი ამ საქმეში სწორედ საქართველოს პოლიტიკურსა და სამხედრო მონაწილეობას გულისხმობდა. 1459 წელს ლუდოვიკო ბოლონიელმა გიორგი მეფეს თავისი ეკლესიის უფროსის გეგმა გადაუშალა ოსმალთა ხელიდან კონსტანტინეპოლის გამოსაგლეჯად. ამ განზრახვამ საქართველოს პოლიტიკის მესვეურნი მეტად მოხიბლა და ისე გაიტაცა, რომ მათ ამაზე მეტის განხორციელებაც-კი გადაწყვიტეს.

მათალია, რომ პაპის დესპანის მოსვლისას, საქართველოში მეფე-მთავრებს შორის შინაური უთნხმოება იყო, მაგრამ ლუდოვიკო ბოლონიელმა სცადა ისინი ერთი-ერთმანეთთან შეერიგებინა. დასახული გეგმის მომხიბვლელობით, ყვარყვარა ათაბაგსა და საქართველოს მეფეს შორის შეთანხმება მოხერხდა: 1459 წელსვე გიორგი მეფესა და მთავართა შორის ზავი დაიდო და განზრახული გეგმის განსახორციელებლად მსჯელობა დაიწყო.

რომის პაპსა და დასავლეთის პოლიტიკოსებს უპირველესად კონსტანტინეპოლის თურქთა ხელიდან გამოგლეჯა აინტერესებდათ, ქართველებისათვის-კი მარტო ეს საკითხი არ იყო საჭირბოროტო. ამ დროისათვის მათ უკვე თურქ-ოსმალთა გაძლიერების მთელი საშიშროება იგრძნეს, ამიტომ უნდოდათ ამ შემთხვევით ესარგებლათ და მცირე აზიაში თურქთა პოლიტიკური ძალა მოესპოთ, რომ მომავლისათვისაც მათი საშიშროება სამუდამოდ ჰქონოდათ თავიდან აცილებული.

ამრიგად, ქართველ პოლიტიკოსთა აზრით გეგმა გაცილებით უფრო ფართო უნდა ყოფილიყო. ფართო გეგმის განხორციელებას-კი, რასაკვირველია, უფრო მეტი მონაწილენიცა და უფრო მრავალრიცხოვანი სამხედრო ძალაც სჭირდებოდა, თუ რომის პაპი უმთავრესად ქრისტიანთა მონაწილეობას გულისხმობდა. რაკი ქართველები დასახულ ამოცანას ასე აფართოებდნენ და მიზნად თურქ- ოსმალთა განადგურება ჰქონდათ დასახული, ის სამხედრო ძალა, რომლის გამოყვანა საქართველოს შეეძლო. -70 ათასი ჯარისკაცი, რასაკვირველია, სრულებით საკმარი არ იყო. ამიტომ საქართველოს პოლიტიკოსებმა გადასწყვიტეს, რომ უნდა მეზობელ ბერძნებისათვის, ტრაპიზონის სამეფოს კეისრისათვისაც და მცირე სომხეთის მმართველისათვისაც მიემართათ. მაგრამ ამითაც არ დაკმაყოფილდნენ: მათ გადასწყვიტეს, რომ შესაძლებელი იყო ოსმალთა წინააღმდეგ თვით მახლობელი აღმოსავლეთის იმ მაჰმადიან მმართველთა ძალაც-კი ყოფილიყო გამოყენებული, რომელთაც ოსმალებთან დაუძინებელი მეტოქეობა და მტრობა ჰქონდათ.

საქართველოს პოლიტიკური მოკავშირენი ოსმალთა წინააღმდეგ განზრახულს ბრძოლაში

ამ გეგმის თანახმად მათ მოლაპარაკება დაიწყეს კიდეც ტრაპიზონის კეისართან, მცირე სომხეთის პატრონთანა და ერანის მბრძანებელთან. **დავით ტრაპიზონის** მეფე 30 ათასი ჯარისკაცისა და 30 კატარღის გამოყვანას შეჰპირდა. მცირე სომხეთის პატრონმა 20 ათასი მოლაშქრის გამოყვანა იკისრა თავის თავზე და უკვე ამის წყალობით მარტო მახლობელ აღმოსავლეთის ქრისტიან სამფლობელოების ჯარის რაოდენობა 120 ათასს მებრძოლამდე ავიდა და 30 სამხედრო კატარღაც შესაძლებელია ჰყოლოდათ.

ცხადია, იმ ფართო გეგმისათვის, რომელიც ქართველებს ჰქონდათ დასახული, მებრძოლთა არც ეს ოდენობა იყო საკმარისი, ერანის მბრძანებელს უზუნ-ჰასანს უნდოდა თავისი სამფლობელოები ისევე გაედიდებინა, როგორც ოსმალებმა მოახერხეს. ამის გამო, რასაკვირველია, ის შურის თვალით უყურებდა ოსმალთა გაძლიერებას და მათ შორის მეტოქეობა უაღრესად იყო გამწვავებული. ამით ისარგებლეს ქართველმა პოლიტიკოსებმა და უზუნ-ჰასანს წინადადება მისცეს ოსმალთა წინააღმდეგ განზრახულ ლაშქრობაში მონაწილეობა მიეღო. იმისდა მიუხედავად, რომ ისიც მაჰმადიანი იყო, მან მონაწილეობის მიღება სიხარულით იკისრა, რასაკვირველია იმ იმედით, რომ სამაგიეროდ შესაფერის ტერიტორიულ ჯილდოს მიიღებდა.

გეგმის ასეთი გაფართოება ცხადყოფდა, რომ საქართველოს მაშინდელ პოლიტიკოსებს კარგად არ ჰქონდათ წარმოდგენილი დასავლეთ ევროპის იმდროინდელი მდგომარეობაცა და ოსმალეთის მთელი ძლიერებაც. მახლობელ აღმოსავლეთში ასეთი დიპლომატიური

გამარჯვებით აღფრთოვანებულმა, ქართველმა პოლიტიკოსებმა დასავლეთ ევროპაში თავიანთი დესპანები გაგზავნეს იქაურ ქრისტიან სახელმწიფოების წარმომადგენლებთან ერთად იმ გეგმის განხორციელების შესახებ საბოლოოდ მოსალაპარაკებლად.

საქართველოს და მისი მოკავშირეების დესპანების გამგზავრება დასავლეთ ევროპაში საბოლოო გეგმის შესადგენად და შესათანხმებლად

ლუდოვიკო ბოლონიელის წინამძღოლობით ისინი საქართველოდან ჩრდილოეთის გზით გაემგზავრნენ, რადგან იმ დროს ასეთი მიზნის დამსახველი თავისებური კოალიციის წარმომადგენლებს კონსტანტინეპოლზე მგზავრობა ხიფათის მეტს არაფერს უქადდა.

საქართველოს მეფის დესპანს **ნიკოლოზ თბილელს** გარდა, ამ დესპანობაში მონაწილეობას იღებდა ყუარყუარა ათაბაგის ელჩი, ვიღაც **ქასადანი**, დავით ტრაპიზონის კეისრისა-**მიხეილი**, მცირე სომხეთის მთავრისა-**მორალო** და უზუნ-ჰასანისა-**მაჰმედი**.

ჩრდილოეთის გზით მიმვლებმა უნგრეთამდის რომ მიაღწიეს, იქითგან ჯერ გერმანიაში მივიდნენ და ფრედერიკო იმპერატორს წარუდგნენ სადარბაზოდ, რომელსაც საქართველოს მეფე-მთავრების სალამი მოახსენეს. გერმანიიდან იტალიაში გაემგზავრნენ და ქალაქ ვენედიკაში ჩავიდნენ თუ არა, ამ რესპუბლიკის სენატმა ისინი დიდი ზეიმით მიიღო. 1460 წელს-კი ყველა ეს პირები უკვე რომში იმყოფებოდნენ.

გეგმის ჩაშლა

საქართველოდან ჩასულ დესპან-ელჩებს რომშიც საზეიმოდ დაუხვდნენ: საგანგებოდ დანიშნული პირები, სასულიერო დასნიც მოაგებეს, სამთავროს სასახლეში შესაფერისი სადგომიც დაუმზადეს, მაგრამ მაინც რომში ყოფნისას დესპანებს სასიხარულო არაფერი დაჰხვედრიათ. ამ დროისათვის უკვე გამორკვეული იყო, რომ რომის პაპის ყოველივე ცდა ამაო გამოდგა და გეგმა სრულებით უნიადაგო აღმოჩნდა. არც საეკლესიო კრებამ, არც დასავლეთ ევროპის პოლიტიკოსებმა ამ გეგმას არავითარი ყურადღება არ მიაქციეს: განზრახული ომის მოწყობა შეუძლებელი შეიქნა და საქმე უნდა მთლიანად ჩაშლილიყო. რასაკვირველია, საქართველოდან და მახლობელ აღმოსავლეთიდან ჩამოსულ დესპანების კოალიციაზე ამ ამბავს თავზარდამცემი შთაბეჭდილება უნდა მოეხდინა. მაინც რომ გული მთლიანად არ გაეტეხათ, რომის პაპმა ურჩია: დასავლეთ ევროპის ქრისტიან სახელმწიფოების მესვეურთ თქვენ თვითონ მიმართეთ და სთხოვეთ, რომ ამ გეგმის განხორციელებაში მონაწილეობა მიიღონ.

მართალია, ქართველები და მათი მოკავშირეები სწორედ დასავლეთ ევროპის ქრისტიანეთა და რომის პაპის თაოსნობით და წინადადებით იყვნენ ჩასული, ახლა-კი საქმე ისე დატრიალდა, რომ საქმე თვითონვე გაუხადეს სახვეწნად, მაგრამ, რაკი სხვა გამოსავალი არ იყო

და სამშობლოში და ქვეყანაში უკან ისე დაბრუნება, რომ ერთხელ მაინც განზრახული გეგმის განხორციელების შესაძლებლობის გამორკვევა არ ეცადათ, მუტევებელი დანაშაულება იქნებოდა, ამიტომ მათ რომის პაპის ამ რჩევისათვის უნდა ყური ეგდოთ. 1460 წელს საქართველოს დესპანები საფრანგეთის მეფეს კარლოს VII-ს წარუდგნენ კიდეც და ოსმალეთის წინააღმდეგ ომში მონაწილეობა სთხოვეს. რასაკვირველია, ამ თხოვნითაც არა გამოსულა რა: დესპანები ჯერ კიდევ საფრანგეთიდან წამოსული არ იყვნენ, რომ კარლოს VII გარდაიცვალა და მათ საშუალება ჰქონდათ მისი შვილის ლუდოვიკოს მეფედ კურთხევას დასწრებოდნენ. საქართველოს დესპანებმა მასაც სთხოვეს ხელახლა, მაგრამ არც ამით გამოსულა რამე.

რაკი მათი მოგზაურობა დასავლეთ ევროპაში ასე უნაყოფო გამოდგა, ისინი ხულცარიელები უნდა დაბრუნებულიყვნენ. ყველაზე მეტად ამ საქმის ჩაშლით უნდა საქართველო ყოფილიყო შეშფოთებული, რამდენადაც პოლიტიკური გეგმის ფართო დასახვა საქართველოს თაოსნობით მოხდა და ამ ფართო გეგმის ჩაშლაც მახლობელ აღმოსავლეთში იმდენად დასავლეთ ევროპის ქრისტიან სახელმწიფოთა მარცხად არ შეიძლება ყოფილიყო მიჩნეული, რათგან ისინი მახლობელ აღმოსავლეთს ძალზე დაშორებულნიც იყვნენ, რამდენადაც საქართველოსათვის, რომელიც მახლობელ აღმოსავლეთში მათი მეზობელი იყო და რომლის პოლიტიკური ზრახვები თურქ-ოსმალთა წინააღმდეგ ეხლა უკვე აღარავითარ საიდუმლოებას აღარ წარმოადგენდა.

შინაური ზავის ჩაშლა საქართველოში; გიორგი მეფესა და ყვარყვარა ათაბაგს შორის ბრძოლის განახლება

დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქრისტიანეთა შეერთებული ლაშქრობის გეგმის ჩაშლასთან ერთად, დღემოკლე აღმოჩნდა აგრეთვე საქართველოს მეფე მთავრებს შორის დადებული 1459 წლის ზავის ხელშეკრულებაც. ამაზე უფრო უარესი ის იყო, რომ გარეშე მტრის დიდი განსაცდელისდა მიუხედავად, საქართველოს შინაურობაში ისეთი დაუნდობელი მტრობა ატყდა, რომელიც საქართველოს საზღვრებზე მოზღვავებული მტრის მოქმედებას ყოველნაირად უწყობდა ხელს.

სწორედ ის პირი, რომელმაც საჭიროდ დაინახა, დასავლეთ ევროპაში გაგზავნილს დელეგაციაში თავისი დესპანიც აუცილებლად გაერია, ყუარყუარა ათაბაგი, ერთი იმ პირველთაგანი იყო, რომელმაც საქართველოში შინაური ბრძოლის კოცონი კვლავ დაანთო: განახლდა ბრძოლა გიორგი VII-სა და ყუარყუარა ათაბაგს შორის. მათი დამოკიდებულება იმდენად გამწვავდა, რომ სამხედრო ბრძოლითაც-კი დამთავრდა. მესხეთის მთავარს თავის თავისთვის ნება მიუცია, რომ საქართველოს მეზობლად მყოფი ერანის მბრძანებელი უზუნ-ჰასანიც-კი გამოეყენებინა. თუ წინათ უზუნ-ჰასანი საქართველოს მეფის მოკავშირე იყო ოსმალთა წინააღმდეგ განზრახულ ბრძოლაში. ეხლა, ყუარყუარა ათაბაგის წყალობით, უზუნ-ჰასანი უნდა მას დაჰხმარებოდა თვით საქართველოს მეფის წინააღმდეგ. რასაკვირველია, ერანის მფლობელისათვის სულერთი იყო, სად შესძლებდა ის და რა გზით მოახერხებდა თავის სამფლობელოს გადიდებას. უზუნ-ჰასანი 1462 წელს მოვიდა სამცხეში და ყუარყუარა ათაბაგს საქართველოს მეფის წინააღმდეგ ბრძოლაში მიეშველა. ამის წყალობით ყუარყუარა ათაბაგმა გამარჯვებაც მოიპოვა.

ბაგრატის აჯანყება გიორგი მეფის წინააღმდეგ და მისი გამარჯვება ჩიხორთან

ათაბაგის გამარჯვება საკმარისი იყო, რომ საქართველოს პოლიტიკურ ასპარეზზე მდგომარეობა წინანდელზე უფრო გართულებულიყო. მებრძოლთა შორის **ბაგრატიც** გამოჩნდა, რომლის ვინაობის შესახებ მანამდე ცნობები არ მოგვეპოვება, მაგრამ რომელიც, ყოველ შემთხვევაში მეფური შთამომავლობისა არ ყოფილა. ქუთაისის სანახებში, ე. ი. სამოქალაქოში, მას საქვეყნოდ გამრიგის თანამდებობა ჰქონდა და ამიტომ ქუთაისიც მას ექვემდებარებოდა. გიორგი მეფემ ამ ბაგრატს ორჭოფული ქცევისათვის ქუთაისი წაართვა. მაშინ ბაგრატი გიორგი მეფეს უკვე ცხადად აუჯანყდა და ისეთ მდგომარეობაში ჩააგდო, რომ ან სამხედრო ძალით უნდა დაემორჩილებინა, ან და ასპარეზი მისთვის დაეთმო.

მეფესა და აჯანყებულ ბაგრატს შორის სკანდას ციხისა და ჩხარის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე ქ. ჩიხორთან 1463 წელს დიდი ბრძოლა მოხდა. სასტიკი სისხლის ღვრის შემდგომ, გიორგი მეფე დამარცხდა. მოწინააღმდეგეთა შორის იმდენად დაუნდობელი ბრძოლა იყო, რომ ამ ბრძოლის ერთი მონაწილეთაგანი სიტყვით ისრისა, ხმლისა და შუბისაგან 24 ჭრილობა მქონდა, როდესაც ბრძოლის ველიდან თავის დახწევა მოვახერხეო.

დიდგვარიან აზნაურთა პოლიტიკური გახრწნილება
და ყუარყუარა ათაბაგის ღალატი

რასაკვირველია, ბაგრატს ასეთი გამარჯვების მოპოვება მხოლოდ ზოგიერთი დიდგვარიანი აზნაურის მოღალატური ქცევის წყალობით შეეძლო. მაშინდელ დიდგვარიანთა საგვარეულოებში იმდენად იყო შეპარული პოლიტიკური გახრწნილება, რომ ცალ-ცალკე ოჯახის წევრებიც-კი სხვადასხვა პოლიტიკურ ჯგუფს ეკუთვნოდნენ: ზოგი ბაგრატის მომხრე იყო, ზოგი გიორგი მეფეს იცავდა. ბაგრატს გამარჯვების დროს გიორგი მეფის არა ერთი ერთგული აზნაური ჩაჰვარდნია ხელში.

აღმოსავლეთ საქართველოში გადმოსვლისას გიორგი მეფემ ბაგრატის მომხრე დიდგვარიან აზნაურებს შავი დღე დააყენა. ყველანი დააჭერინა და გამოუცხადა: თუ ბაგრატს ჩემს ერთგულ დაჭერილ აზნაურებს არ გამოაშვებინებთ, არც ერთს ცოცხალს არ გაგიშვებთო. თუმცა ჯგუფის ერთმა მეთაურთაგანმა, ზევდგინიძემ, პირობა მისცა, რომ ამას მოახერხებდა, რითაც თავისი ცხადი ორჭოფობა და ბაგრატის მოკავშირეობა გამოამჟღავნა, მაგრამ შეპირების ასრულება ვერ მოახერხა, ბაგრატს არავითარი საფუძველი არ ჰქონდა შეესრულებინა ის, რაც გიორგი მეფემ ამ აზნაურს ძალით დასტყუა.

თუმცა ბაგრატმა ჩიხორთან გაიმარჯვა, მაგრამ ქუთაისის დაპყრობა მაინც ვერ შესძლო; ვერც აღმოსავლეთ საქართველოში მოიკიდა ფეხი; გორი ყოველ შემთხვევაში ხელში ვერ ჩაიგდო. ამრიგად, ბრძოლის საბოლოო შედეგი ჯერ კიდევ გამოურკვეველი იყო და მხოლოდ თვითონ გიორგი VII-ის დაბნეულობამ შეუწყო ხელი მის მოწინააღმდეგეს, რომ მოპოვებული უპირატესობა სრულ გამარჯვებად ექციათ. ამგვარი მარჯვე შემთხვევა ბაგრატს ყუარყუარა ათაბაგმა 1465 წელს ჩადენილი ღალატის საშუალებით მისცა: ამ წელს ათაბაგმა გიორგი მეფეს უღალატა და ტყვედ ჩაიგდო ხელში.

შეთქმულება წინასწარ იყო მოფიქრებული და მოწყობილი. ეს ამბავი ამგვარად მოხდა: 1465 წელს გიორგი მეფე თავისი ჯარითურთ ურჩი ყუარყუარა ათაბაგის დასასჯელად სამცხეში გაემართა. მაგრამ, სანამ განზრახულ ადგილს მივიდოდა, ფარავანზე იყო დაბანაკებული. ათაბაგმა შებრძოლება არ მოისურვა, არამედ გამარჯვების მოპოვება ვერაგობით სცადა და მეფის შესაპყრობად და მოსაკლავად საიდუმლო შეთქმულება მოაწყო. გიორგი მეფეს ამ შეთქმულების ამბავი ერთმა განდობილმა კარის კაცმა, **იოთამ ზევდგინიძემ** აცნობა. თუმცა მეფემ ეს ცნობა არ დაიჯერა, მაგრამ მაინც თვითონ, იოთამ ზევდგინიძის რჩევით, იმ ღამეს გაეცალა, იოთამ ზევდგინიძე-კი მეფის კარავში დაწვა. ყუარყუარა ათაბაგის თავსდამსხმელმა

მოღალატეებმა, რომელთაც იქ საქართველოს მეფე ეგულებოდათ, სამეფო კარავში მწოლარე იოთამ ზევდგინიძე სასიკვდილოდ დასჭრეს.

გიორგი მეფის ყუარყუარა ათაბაგისაგან შეპყრობა
და ბაგრატის გამეფება

მეფეს საშუალება ჰქონდა დარწმუნებულიყო, რომ მოტანილი ცნობა სრულ ჭეშმარიტებას წარმოადგენდა და ამიტომ მან გადასწყვიტა, ყუარყუარა ათაბაგი სასტიკად დაესაჯა. დაიწყო ამ საქმის გამოძიება, რამაც ბუნებრივად მღელვარება გამოიწვია. ყუარყუარა ათაბაგმა ამ არევ-დარევით ისარგებლა. მეფეს 1465 წელს უეცრად თავს დაეცა, ტყვედ ჩაიგდო და სამცხეში წაიყვანა.

კონსტანტინე ბატონიშვილი, რომელიც იქვე იმყოფებოდა, ამავე ბედიღბალს ძლივს გადაურჩა: მან იქიდან გამოქცევა მოახერხა და ჯერ გორის ციხეში გამაგრდა. მაგრამ როდესაც დარწმუნდა, რომ ყუარყუარა ათაბაგი მას კვალდაკვალ სდევდა და გორის ციხეს მოადგა, კონსტანტინემ გადასწყვიტა, რომ გორში დარჩენა მისთვის უკვე სახიფათო იყო, ლიხთ-იმერეთში გადავიდა და ქუთაისის ციხეში გამაგრდა.

ბაგრატმა უმალ ამ ატეხილი შინაური ბრძოლით ისარგებლა და, რაკი გიორგი მეფე დატყვევებული იყო, ხოლო კონსტანტინე ბატონიშვილი ქართლიდან წასული აღმოჩნდა, ბაგრატი ქართლში გადმოვიდა და 1466 წელს თავისი თავი სრულიადი საქართველოს მეფეთ-მეფედ გამოაცხადა. ამისათვის ბაგრატს წინასწარვე ჰქონდა მომზადებული ნიადაგი: მომხრე დიდგვარიანი აზნაურები დაფაცურდნენ და დავით ბატონიშვილს, რომელსაც დატრიალებული ამბებით გონება სრულებით დაბნეული ჰქონდა, შეუჩნდნენ, რომ მას ახალი პოლიტიკური მდგომარეობა ეცნო და ბაგრატი მეფედ ეღიარებინა. იმ დიდგვარიან აზნაურებსაც და თვით დავით ბატონიშვილსაც ამ შემთხვევაში მხოლოდ საკუთარი საპატრონყმო მამულების დაკარგვის შიში ამოქმედებდა. დიდგვარიანმა აზნაურებმა დავით ბატონიშვილი თავიანთ ნებაზე დაიყოლიეს: ის ბაგრატს მიემხრო და ბაგრატი მეფეთ-მეფედ აღიარა.

რაკი დავით ბატონიშვილი ბაგრატს დაემორჩილა, მას ქართლში მოწინააღმდეგე პრეტენდენტი უკვე აღარავინ აღმოუჩნდა, რათგან კონსტანტინე ბატონიშვილი დასავლეთ საქართველოში, ქუთაისში იყო გამაგრებული. ხოლო, რაკი დასავლეთი საქართველოს დანარჩენი ნაწილი, ქუთაისს გარდა, იმავე ბაგრატს ჰქონდა დაპყრობილი, ამიტომ კონსტანტინე ბატონიშვილსაც, რომელიც ქუთაისის ციხეში იმყოფებოდა, დიდხანს წინააღმდეგობის გაწევა, ცხადია, აღარ შეეძლო. ამიტომ 1468 წელს ნოემბრამდე ბაგრატსა და კონსტანტინეს შორის მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით შეთანხმება მოხდა და ზავი იქნა დადებული: კონსტანტინე ბატონიშვილმა ბაგრატის მეფეთ-მეფობა სცნო და ბაგრატმა კონსტანტინე ბატონიშვილი თავის სიგელში თავის ძმადაც-კი გამოაცხადა.

გიორგი მეფის ყვარყვარა ათაბაგისაგან განთავისუფლება
და ბაგრატის წინააღმდეგ ბრძოლის ამაო ცდა

ყვარყვარა ათაბაგი დარწმუნდა, რომ მისგან ატეხილი არეულობით ყველაზე მეტად სხვამ ისარგებლა: მას არაფერი შერჩა იმის გარდა, რაც წინათაც ჰქონდა: ქართლში მან გორის ციხის აღებაც-კი ვერ შესძლო, ბაგრატი-კი აღმოსავლეთ საქართველოში გადმოვიდა და თავისი თავი მეფედ აღიარა. იმ პოლიტიკური ზრახვებისათვის, რომლებიც ყვარყვარას ჰქონდა, მისთვის გაცილებით უფრო ხელსაყრელი იყო, რომ მოწინააღმდეგედ უფრო სუსტი

ნებისყოფის პატრონი, გიორგი VII, ჰყოლოდა, ვიდრე ისეთი ენერგიული პიროვნება, როგორიც ბაგრატი გამოდგა. ამ გარემოებამ ყვარყვარა ათაბაგი იმ დასკვნამდის მიიყვანა, რომ მისი მოქმედების უკიდურესობა მცდარი აღმოჩნდა და მიზანშეწონილი არ იყო. მაშინ ყვარყვარამ გიორგი მეფე ტყვეობიდან გამოუშვა, რომ გიორგისა და ბაგრატს შორის ბრძოლა ატეხილიყო. ეს ამბავი მალევე უნდა მომხდარიყო, ყოველ შემთხვევაში 1468 წლამდის, როდესაც კონსტანტინე ბაგრატს შეურიგდა და მისი მეფეთ-მეფობა სცნო.

განთავისუფლდა, თუ არა, გიორგი მეფე ტყვეობიდან, მან თავის ხელისუფლების დასაბრუნებლად ქართლში ბრძოლა დაიწყო, მაგრამ დიდგვარიან აზნაურთა წრეში ბაგრატს უკვე ბლომად ჰყავდნენ მომხრენი გიორგი მეფეს-კი ისეთი დაბნეულობა ეტყობოდა, რომ მისი დროშის ქვეშ ამოდგომასა და მასთან ერთად თავგამოდებული ბრძოლის წარმოებას ვეღარავინ გაბედავდა.

გიორგი მეფემ არც იცოდა დიდგვარიან აზნაურთა შორის ვის მიჰნდობოდა და ზოგიერთ შემთხვევაში თავისსავე ერთგულ ყმებსაც არ ეხმარებოდა, როდესაც ბაგრატი მათ წინააღმდეგ მოქმედებას იწყებდა ხოლმე. ცხადად ჩანდა, რომ გიორგის მეფეთ-მეფობა აღარ შეეძლო და წინანდელი ხელისუფლების დასაბრუნებლად უკვე ყოველგვარი საშუალება დაკარგული ჰქონდა. ისიც შექმნილ ვითარებას შეურიგდა და კახეთში გადავიდა.

ბაგრატ VI (1466-1478 წ.)

ბაგრატ VI იქცა იმიერ-ამიერ საქართველოს მეფეთ-მეფედ 1466 წელს, მაგრამ ბრძოლა მის წინააღმდეგ ჯერ კიდევ მთლად დამთავრებული არ იყო, რათგან კონსტანტინე ბატონიშვილი მას მხოლოდ 1468 წლისათვის შეურიგდა. ამ დროს-კი მას თავისი ხელისუფლების განმტკიცების სრული საშუალება ჰქონდა.

როდესაც ბაგრატმა საქართველოს მეფეთ-მეფის ხელისუფლება ჩაიგდო, ის 27 წლის კაცი იყო. მაშინდელი უცხოელი ავტორების ცნობით, ბაგრატი ლამაზი, ტანადი, მაგრამ ახირებული ქცევისა და ზრდილობის პიროვნება ყოფილა. საუბარიც შეუფერებელი სცოდნია: მას სიდინჯე ჰკლებია. ამასთანავე უაღრესად მკაცრი და დაუზოგავი მმართველიც გამოდგა.

ბაგრატ VI-ის საბრძანებელის ფართობი და საზღვრები

ბაგრატი თავის თავს სრულიადი საქართველოს მეფეთ-მეფედ სცნობდა და ასევე არის დაწერილი მისი სახელით ნაბოძები სიგელებიც: აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა მეფედ, შარვანშად და შაჰანშად, ყოვლისა აღმოსავლეთ-დასავლეთის მპყრობელ ხელმწიფედ ასახელებდა ის თავის თავს. ნამდვილად-კი უკვე კარგა ხანია, რაც საქართველოს პოლიტიკური ძლიერების დროს, ისტორიულად შექმნილი ეს წოდებულება რეალურ პოლიტიკურ ვითარებას აღარ შეეფერებოდა: არც შაჰანშას და არც შარვანშას წოდებულობა საქართველოს მეფეს აღარ ეკუთვნოდა: არც ერთი ამ სამფლობელოთაგანი საქართველოს საზღვარში აღარ იყო მოქცეული: ვიწროდ შემოფარგლული საქართველოს ყველა ნაწილიც-კი იმ დროს ბაგრატის ხელთ არ იყო.

ბაგრატ მეფის უშუალო მფლობელობაში მყოფი ტერიტორია დასავლეთით ბედიანის საგამგეოს საზღვრით იყო შემოფარგლული, შავი ზღვის სანაპიროდან მოყოლებული მდინარე ცხენისწყალამდე სწრედ ბედიანის საგამგეოს შეადგენდა. ამ საგამგეოში, ან სამთავროში აფხაზეთი, სამეგრელო, გურია და აჭარა შედიოდა. ჩრდილოეთით მას კავკასიონის ქედი საზღვრავდა, სამხრეთით მდინარე ჭოროხი. ჭოროხს იქით უკვე ოსმალეთი იყო

გაბატონებული. მას ჰქონდა ჩაგდებული საქართველოს ამაზე უფრო სამხრეთით მდებარე ყველა თემები.

ბათომი, იმ დროს პატარა ციხე-ქალაქი, საბედიანოს ეკუთვნოდა. ამგვარად, ბაგრატ მეფის უშუალო მფლობელობაში მყოფი მიწაწყლის დასავლეთის საზღვარი ცხენისწყლიდან იწყებოდა, მთელი დანარჩენი ლიხთ-იმერეთი შედიოდა და აღმოსავლეთ საქართველოში კახთა მეფის საზღვრამდე აღწევდა.

საბედიანო

საბედიანოს მთავარს, ბათომს გარდა, კიდევ სამი ქალაქი ეკუთვნოდა: აფხაზეთში მდებარე **სებასტოპოლი**, შავი ზღვის სანაპიროზე აგრეთვე **ფოთი** და შემდეგ კიდევ ერთი (Caltichea), აბრეშუმის ტილოსი და თაფლის სავაჭრო ცენტრი, სადაც საგარეო ვაჭრობა წარმოებდა ხოლმე. საბედიანოს სამთავროს სათავეში **ბედიანი** იდგა, რომელსაც ქართულ ძეგლებში დადიან-გურიელი ეწოდება იმის გამო, რომ ამ ხანაში გურიაც მას ეკუთვნოდა. ბედიანი, იგივე დადიან-გურიელი, ქართულ წყაროებში დიდი ერისთავთ-ერისთავის წოდებულობით არის ხოლმე მოხსენებული და ამაზე მეტს არც თვითონ და არც მისი თანამედროვენი ამ ხანაში არ ხმარობდნენ. 1470 წლითგან მოყოლებული 1474 წლამდის **შამადავლა** იყო ბედიანად, რომელიც თანამედროვეთა ცნობით 50 წლის შნოიანი ადამიანი ყოფილა.

თუმცა ბაგრატ VI- ის სამფლობელო დასავლეთით ცხენისწყლიდან იწყებოდა, მაგრამ საბედიანო მაინც მას ემრჩილებოდა, როგორც უზენაეს საჭეთმპყრობელს.

მესხეთი

საქართველოს სამხრეთ დასავლეთ თემს მესხეთი წარმოადგენდა, რომელიც ყვარყვარა ათაბაგს ჰქონდა ხელთ, ჯაყელთა საგვარეულოს ამ წარმომადგენელს, რომელიც გამუდმებით საქართველოსაგან გამოყოფის დაუცხრომელი წადილით იყო შეპყრობილი. საათაბაგო ამ დროს დიდი სამფლობელო იყო: ჭოროხის იქით მდებარე მიწა-წყალი, მართალია, უკვე მას აღარ ეკუთვნოდა, არამედ ოსმალეთის სახელმწიფოს ჰქონდა ჩაგდებული ხელში; ამგვარად, შავშეთ-კლარჯეთი და ტაოც, თავისთავად ცხადია, უკვე ოსმალებს ჰქონდათ დაპყრობილი. მაგრამ დანარჩენი მესხეთი ყვარყვარა ათაბაგის ხელში იყო. მისი სამფლობელოს საკმაო დიდი სივრცის გამო და მისი ენერგიული ხასიათის წყალობით ყვარყვარა ათაბაგს მეზობელთა შორის ძლიერი მბრძანებლის სახელი ჰქონდა დამსახურებული, მას ყველანი უნებლიეთ უწევდნენ ანგარიშს. ყვარყვარა ათაბაგიც, დამოუკიდებლობის მოსაპოებლად გამოყენებულ ყოველგვარ საშუალებათა მიუხედავად, არასდროს თავის თავისთვის სხვა წოდებულობას, საქართველოს ათაბაგისა და სამცხის სპასალარის გარდა, არ ხმარობდა, ასევე უწოდებდნენ მას სხვა თანამედროვენიც. ვენედიკის რესპულიკის დესპანი-კი მას ახალციხის მთავარს უწოდებს და, როგორც ჩანს, ამ ხანაში მას მოკლედ ასე ეძახდნენ ხოლმე.

ბაგრატ VI-ის სამფლობელოს სამხრეთ-აღმოსავლეთის საზღვარი

ბაგრატ VI-ის სამფლობელოს სამხრეთ-აღმოსავლეთის საზღვარი ლოქის მთის გასწვრივ იყო, ლორის ველი და მთელი მთიანეთი-კი უზუნ-ჰასანს ეჭირა, ე. ი. ერანის მფლობელის ხელში იყო. მას ლორის ციხეში თავისი თურქი მეციხოვნენი ჰყავდა, რომელნიც ამგვარად ამ

ძლიერ ციხეს ქართველთა შესაძლებელი თავდასხმისაგან იცავდნენ. ამრიგად, ქვეყნის დასაცავად ესოდენ მნიშვნელოვანი ციხე საქართველოს დაკარგული ჰქონდა. უეჭველია, ლორის ველი მტერს იმ დროს უნდა ჰქონოდა ჩავარდნილი ხელში, როდესაც უზუნ-ჰასანი მესხეთში ყვარყვარა ათაბაგის საშველად მოვიდა.

ბაგრატის საბრძანებელში ორი დიდი ქალაქი, ქუთაისი და თბილისი იყო. თბილისი ისევე, როგორც წინათ, დედაქალაქად ითვლებოდა, ბაგრატიც იქ იმყოფებოდა. ქუთაისი უკვე ძალზე დაპატარავებული იყო. იქ გორაზე ბაგრატ მესამის ტაძარი იდგა და ციხე-ქალაქი-კი რიონის გამოღმა ველად იყო მოთავსებული. ციხესა და ქალაქს ქვის ხიდი აერთებდა ერთმანეთთან. სამეფო სასახლე რიონის პირას იყო აშენებული. დასავლეთ საქართველოში ქუთაისის ციხის გარდა ბაგრატ VI-ს ძლიერ ციხედ **სკანდა** ჰქონდა მიჩნეული, სადაც ბაგრატVI-ის საზაფხულო სასახლე იყო.

აღმოსავლეთ საქართველოში, ქართლის შუა გულში, სხვებზე უფრო მნიშვნელოვანი **გორის ციხე** იყო, მაგრამ ამ დროს გორის ციხე ხის ნაგებობას წარმოადგენდა, ქვიტკირის ზღუდეები მაშინ მას არ ჰქონდა.

საქართველოს დედაქალაქი თბილისი, რომელიც ძველად თავის სიდიდითაც და სიმდიდრითაც იყო განთქმული, ამ ხანისათვის უკვე მტრის მრავალგზისი შემოსევის წყალობით წინანდელთან შედარებით აგრეთვე შემცირებული იყო. მაგრამ ქალაქის ის უბნები, რომელთათვისაც მტერს თავისი მსახვრელი ხელი არ ჰქონდა დადებული, იმ ხანაშიც კარგა მჭიდროდ იყო დასახლებული. ქალაქი ლამაზი იყო, მხოლოდ მცხოვრებთა ნაკლებობა იყო საგრძნობი. თბილისის ზღუდეს ისნის ციხე წარმოადგენდა, რომელიც მთაზე იყო აგებული. **ისნის ციხე** იმ დროისათვისაც კარგ და მაგარ ზღუდედ ითვლებოდა.

ბაგრატ VI-ის უგუნური პოლიტიკა და საქართველოს ეკლესიის მთლიანობის დარღვევის მცდელობა

ბაგრატ VI-ს ჯერ კიდევ იმ დროს, როდესაც ის სრულიადი საქართველოს მეფეთ-მეფედ არ იყო ქცეული და გიორგი მეფეს ხელისუფლების გამო ებრძოდა, გადაგმული ჰქონდა ისეთი ნაბიჯი, რომელიც მის სრულ პოლიტიკურ სიბეცეს ამჟღავნებდა. საქართველოში **ანტიოქიელ-იერუსალიმელი პატრიარქი მიხეილი** ჩამოვიდა. როგორც წინათაც არა ერთხელ მოსულნი, ისიც, რასაკვირველია, უმთავრესად, შეწირულებისა და ფულის შესაგროვებლად იყო გარჯილი, მაგრამ ბაგრატმა მისი საქართველოში ყოფნით ისარგებლა და «მცნება სასჯულო» დააწერინა, რომელშიც საეკლესიო საფარველ ქვეშ საინტერესო პოლიტიკურ-ეროვნული დებულებები არის წამოყენებული. მას აღნიშნული აქვს, რომ წინათ ქართლისა და აფხაზეთის კათალიკოსნი ანტიოქიის პატრიარქისაგან იყვნენ დამოკიდებულნი და მათგან ჰქონდათ მიღებული ხელდასხმა. ქართული ეკლესიის მერმინდელი თვითმწყსობა და საეკლესიო თვითმმართველობა ანტიოქიელ-იერუსალიმელ პატრიარქს უკანონო მოვლენად ჰქონდა გამოცხადებული. იმ საფუძველით, რომ ის ანტიოქიისა და იერუსალიმის პატრიარქად ითვლებოდა, მან, რასაკვირველია, ბაგრატ მეფესთან შეთანხმებით და სათანადო ჯილდოს მიღების შემდეგ, აფხაზეთის კათალიკოსად აკურთხა იოვაკიმე, რომელიც საქართველოს ეკლესიის კათალიკოს პატრაირქისაგან სრულებით დამოუკიდებლად გამოაცხადა.

აღსანიშნავია, რომ ანტიოქიელ-იერუსალიმელმა პატრიარქმა აფხაზეთის კათალიკოსი «საყდარსა ზედა ანდრია მოციქულისასა» დასმულად აღიარა. ამავე დროს «სასჯულო მცნებაში» ნათქამია, რომ ნინო ქართველთა განმანათლებელმა მხოლოდ ქართლი მოაქცია, ანდრია მოციქულმა-კი დასავლეთი საქართველო გააქრისტიანა. ამით ანტიოქიელ-იერუსალიმელ

პატრიარქს მიხეილს საქართველოს საეკლესიო მთლიანობის დაშლა, [რაც] ბაგრატ მეფეს იმ დროს პოლიტიკური მიზნით სწადდა, უნდოდა, რომ ისტორიული საბუთით დაემტკიცებინა.

რაკი აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ქრისტიანობის სხვადასხვა მქადაგებლები ჰყავდა, ამით მას უნდოდა დაესაბუთებინა, რომ, მაშასადამე, აფხაზეთის კათალიკოსს დამოუკიდებლად არსებობისა და თვითმწყსობის უფლება ჰქონდა: ის მცხეთის კათალიკოსისაგან არ უნდა ყოფილიყო ხელდასხმული.

ამრიგად, ბაგრატ მეფის უგუნური ქცევისა და პოლიტიკის წყალობით, ანტიოქიელ-იერუსალიმელ ანგარ პატრიარქის დახმარებით ბოლო უნდა მოჰღებოდა საქართველოს საეკლესიო მთლიანობასაც კი. თუ წინათ ქართულ ეკლესიის მთლიანობაზწე იერიში მესხეთის სამთავროდან იყო მიტანილი, ეხლა უკვე დასავლეთი საქართველოც უნდა ჩამოჰშორებოდა და პოლიტიკურ დაშლასთან ერთად პარალელურად საეკლესიო მთლიანობის რღვევაც დაიწყო.

დამახასიათებლია, რომ ამ მიხეილ პატრიარქმა აფხაზეთის კათალიკოსს მთელი იმერეთის, გურია-ოდიშის, აფხაზეთის, აჭარის, შავშეთის და კლარჯეთის ყველა ეკლესიები დაუქვემდებარა. ამგვარად, ქართული ეკლესია სამ ნაწილად უნდა გაყოფილიყო. მხოლოდ საქართველოს დაუძინებელ მტერს შეეძლო ამისთანა საქციელი ჩაედინა და ესეც საკმაოდ ცხადჰყოფს, თუ რამდენად პოლიტიკურად ბეცი და საშუალებათა გაურჩეველი იყო ბაგრატ მეფე, შემდეგში მეფეთ-მეფედ წოდებული.

ბრძოლა ერანსა და ოსმალეთს შორის და უზუნ-ჰასანის საქართველოში შემოსევის სამზადისი

უზუნ-ჰასანი, როგორც უკვე დავრწმუნდით, მზად იყო ქართველებთან ერთად ეომნა ოსმალეთის წინააღმდეგ, ოღონდ-კი ამისათვის შესაფერისი ტერიტორიული ჯილდო მიეღო და ის საბრძანებელი ჩაეგდო ხელში, რომელზედაც ასე გაფაციცებით ეჭირა თვალი. მაგრამ, როდესაც ეს ოცნება უნიადაგო გამოდგა, ის მაინც ცდილობდა, ევროპის ზოგიერთი სახელმწიფოსა და საქართველოს მოკავშირეობით ოსმალეთს შეჰბრძოლებოდა.

უზუნ-ჰასანი ამ დროითგან მოყოლებული განზრახ ეხმარებოდა თითოეულ ისეთ პირს, რომელიც ოსმალებს აუჯანყდებოდა და განსაცდელისაგან თავის დასახწევად მათ გამოექცეოდა. 1471 წელს ოსმალებმა ყარამანის ამირას აჰმედს სამფლობელო წაართვა. იგი, რასაკვირველია, მაშინვე უზუნ-ჰასანთან გამოიქცა, რომელმაც ამ შემთხვევით ისარგებლა და თავისი მრავალრიცხოვანი ლაშქრითურთ ოსმალეთს შეესია. ერანის მბრძანებელმა ოსმალების დამარცხება მოახერხა და ყარამანის სამფლობელოს დიდი ნაწილი ხელში ჩაიგდო. უმალ უზუნ-ჰასანმა იქ თავის ყმადნაფიცად ამირა აჰმედი დასვა. ერანის მბრძანებელი ამ დროს მხოლოდ ამით დაკმაყოფილდა და იმის იქით უკვე აღარ დაძრულა. დაპყრობილ ქვეყანაში მან თავისი ათი ათასი მოლაშქრე დასტოვა, თვითონ კი ერანში წამოვიდა.

ოსმალებმა, რასაკვირველია, 1472 წელს ამ ათი ათასი ჯარისკაცის განადგურება ადვილად შესძლეს. ერანის მბრძანებელის დასასჯელად მრავალრიცხოვან ჯარითურთ თვითონ ოსმალეთის სულტანი მუჰამედიც წამოვიდა. მაშინ-კი უზუნ-ჰასანმა იგრძნო, რომ ხუმრობა საქმე არ იყო, ამიტომ საქართველოს სთხოვა დახმარება გაეწია ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლაში. საქართველოს მთავრობამ უარი შეუთვალა.

საქართველოს უარი იმით იყო გამოწვეული, რომ 1459 წელს შემდგომ პოლიტიკური ვითარება უკვე შეცვლილი იყო, თვითონ ერანის მფლობელმაც საქართველოს ერთი თემის ხელში ჩაგდება იკადრა და, ამგვარად, მტრული მოქმედებით თავისი ზრახვები გამოამჟღავნა. მეორე მხრით, ოსმალეთის სახელმწიფოს საზღვარი საქართველოს დასავლეთით უკვე

ჭორეხამდის იყო მოსული. საქართველოს მთავრობისთვის ცხადი შეიქმნა, რომ საქართველოსათვის არც უზუნ-ჰასანის გამარჯვება იყო ხელსაყრელი: პირიქი, ორი ძლიერი მაჰმადიანი სამფლობელოს სამხედრო შეხლა და ძლიერი ბრძოლა საქართველოსთვის გაცილებით უფრო ხელსაყრელი იყო, რამდენადაც ერთ-ერთი მათგანი უეჭველად უნდა დასუსტებულიყო.

უზუნ-ჰასანისა და სულტან მუჰამედის სამხედრო ძალებს შორის **თერჯანის** მახლობლად დიდი ბრძოლა მოხდა. ოსმალებმა გაიმარჯვეს და დამარცხებული უზუნ-ჰასანი იძულებული იყო უკან დაეხია. კვალდაკვალ დადევნებულმა ოსმალებმა ერანის მბრძანებელი ისეთ მდგომარეობაში ჩააგდეს, რომ მას ომის გაგრძელება ღარ შეეძლო. უზუნ-ჰასანი თავის სამფლობელოში დაბრუნდა და მეზობლებს, რასაკვირველია, უპირველესად, საქართველოს, რომელმაც დახმარება არ გაუწია ოსმალების წინააღმდეგ, მუქარას მუქარაზე უთვლიდა. მაგრამ შემდეგ პოლიტიკური მოსაზრებით მან თავისი ვნებათა-ღელვა დაიმორჩილა და დაწყნარდა.

უზუნ-ჰასანის საქართველოში შემოსევა

ერანის ბატონს იდუმალად გადაწყვეტილი ჰქონდა ქართველები და საქართველო დაუხმარებლობისათვის სამაგალითოდ დაესაჯა, მაგრამ, ის დიდი სამზადისი, რომელსაც საქართველოს წინააღმდეგ გამოსალაშქრებლად აწარმოებდა, ისეთი საიდუმლოებით ჰქონდა მოწყობილი, რომ საქართველოს წინააღმდეგ მისი ამხედრების შესახებ არავის ფიქრად არ მოსვლია. საქართველოს მთავრობის შესაცდენად მაშინაც, როდესაც ის 1477 წელს თავის მრავალრიცხოვანი ჯარითურთ დაიძრა, საქართველოზე მომავალმა პირდაპირი გზა-კი არ აირჩია, არამედ თავისი ლაშქარი, რომელიც 40 ათასი ცხენოსანი და ქვეითი ჯარისკაცისაგან შესდგებოდა, შვიდი დღის განმავლობაში სულ სხვა გზაზე დააყენა. მხოლოდ შვიდი დღის ამ სხვა მიმართულებით სიარულის შემდგომ, მან თავის სამხედრო ძალას უეცრად პირი საქართელოსაკენ აბრუნებინა და დიდი სისწრაფით შემოესია.

სამხედრო საიდუმლოების ამგვარად დაცვის საშუალებით, ერანის მბრძანებელს შეეძლო სრულებით მოუმზადებელს ბაგრატ VI-ს თავს დასხმოდა. უზუნ-ჰასანის ლაშქარმა თბილისამდე მოაღწია. ქართველებმა მაინც ამბის გაგებისთანავე აყრა და გახიზვნა მოასწრეს: თბილისისა და მისი მთელი სანახების მოსახლეობა აყრილი იყო. ერანის ლაშქარს საშუალება ჰქონდა მხოლოდ სოფლები და ნაგებობანი გაენადგურებინა, აქედან მან თავისი სამხედრო ძალა გორისაკენ დასძრა, მაგრამ იქაც ისეთსავე მდგომარეობას წააწყდა: ხალხი ყველგან გახიზნული დახვდა. უზუნ-ჰასანმა ამ შემთხვევით ისარგებლა და თბილისიცა და გორიც უბრძოლველად ჩაიგდო ხელში. ცხადია ერანისათვის ეს ხელსაყრელი იყო.

ბაგრატ VI- ის უმწეობა და დაზავების ცდა

ბაგრატს არც გამბედაობა, არც საჭირო თაოსნობა არ აღმოაჩნდა, რომ მას შემდგომ მაინც, რაც მტერი შემოესია, ძალა მოეკრიფა და უზუნ-ჰასანის ლაშქრისათვის სადმე წინააღმდეგობა გაეწია. პირიქით, ბაგრატს მალე სურვილი აღეძრა უზუნ-ჰასანს დაჰზავებოდა. უზუნ-ჰასანმა ზავის საფასურად საქართველოს 16 ათასი დუკატი (ე. ი. ოქროს ფული) ყოველწლიური ხარკის გადახდა მოსთხოვა. ამასთანავე თბილისის, ვითარცა მნიშვნელოვანი სავაჭრო ცენტრის, ხელში ჩაგდებაც ჰქონოდა გადაწყვეტილი. თუმცა ბაგრატ VI-მ თანხმობა შემოუთვალა უზუნ-ჰასანს ფულის გადახდაზე, მაგრამ, როდესაც ამ 16 ათასი დუკატი დათვლა იყო საჭირო, სამაგიეროდ თანაბარ ღირებულებად ოთხი დიდი მონღოლური ოქროს ბალიში (ბალიში ფული სახელია) შეაძლია, რაც უარყოფილ იქნა უზუნ-ჰასანის მიერ და საზავო მოლაპარაკება ამის გამო შეწყდა.

უზუნ-ჰასანმა მაშინვე განაახლა ბრძოლა საქართველოს წინააღმდეგ და ქართლიდან დასავლეთ საქართველოში-კი არ გადავიდა, არამედ მოქმედების ასპარეზად სამცხე აქცია.

უზუნ-ჰასანთან დადებული ზავის პირობები და შედეგი

ყვარყვარა ათაბაგი, რომელიც საქართველოს მეფესთან ბრძოლაში ასე დახელოვნებული იყო, ერანის მფლობელს, თავის წინანდელ მოკავშირეს, მაინც ვერ გაუმკლავდა: უზუნ-ჰასანს შეეძლო ქვეყანა აეოხრებინა და ნადავლი წაეღო. ბაგრატ VI და ყვარყვარა ათაბაგი ამ გარემოებამ ისეთ დასკვნამდე მიიყვანეს, რომ ისევ დაზავება იყო უკეთესი, რათგან, რაკი მათ წინააღმდეგობის გაწევა არ შეეძლოთ, ქვეყნის აოხრების მეტი, ბრძოლის გაგრძელებას არაფერი შეეძლო მოეტანა. 16 ათასი დუკატის გადახდას დათანხმდნენ და ყოველწლიური ხარკის მიცემაც იკისრეს. უზუნ-ჰასანი ამის შემდგომ საქართველოს საზღვრებიდან გადავიდა, მაგრამ ლორის ველი მაინც წინანდებურად თავისად დაიჭირა, არც თბილისი დასცალა, 6 ათასი ტყვეც წაიყვანა საქართველოდან.

საქართველოს დამარცხების მიზეზი

ამგვარად, საქართველო უზუნ-ჰასანის მოქმედებით და ბაგრატ VI-ის სრული უმოქმედობის წყალობით, ძალიან მძიმე მდგომარეობაში იყო ჩაგდებული: შინაური შუღლისა და დამღუპველი ბრძოლის შედეგი მთელი თავისი საშინელებით გამომჟღავნდა. ბაგრატ VI-მ და ყვარყვარა ათაბაგმა, რომლებმაც საქართველოს პოლიტიკური მთლიანობის დარღვევას ასე გაშმაგებით შეუწყეს ხელი, თავიანთივე უგუნური პოლიტიკის მსხვერპლი თვითონვე შეიქმნენ, მაგრამ ამაზე სამწუხარო ის იყო, რომ ამ მსხვერპლის მთელი საშინელების ატანა იმდენად მათ არა, რამდენადაც ხალხს უხდებოდა. საქართველოს ჯერ კიდევ გიორგი მეფის დროს 70 ათასი ჯარისკაცის გამოყვანა შეეძლო, უზუნ-ჰასანს-კი 40 ათასზე მეტი მოლაშქრე არ მოუყვანია თან, როდესაც საქართველოს შემოესია. საქართველოში რომ თანხმობა ყოფილიყო, ცხადია, საქართველოს არამც თუ მტრის მოგერიება შეეძლო, არამედ თვითონაც სამაგიეროს გადახდის საშუალება ექნებოდა და უზუნ-ჰასანის დამარცხებასაც შესძლებდა, მაგრამ შინაური ბრძოლით და ქვეყნის აოხრებით გაწამებული ხალხი და პოლიტიკურად დაქუცმაცებული საქართველო მტრის თარეშის ასპარაზად უნდა ქცეულიყო.

კონსტანტინე მეფე

ბაგრატ VI გარდაიცვალა თუ არა, სამეფო ტახტზე ასვლა მისმა შვილმა **ალექსანდრემ** I სცადა, მაგრამ ეს ხელისუფლება ვერ შეინარჩუნდა და იძულებული იყო რაჭა-ლეჩხუმში გამაგრებით დაკმაყოფილებულიყო. ბაგრატ VI-ის მაგიერ 1479 წ. **კონსტანტინე ბატონიშვილი** გამეფდა. რომელიც გიორგი VII მეფეთ-მეფის ძმის დიმიტრის შვილი იყო. თანამეცხედრედ მას თამარი ჰყავდა, რომლისგანაც სამი ვაჟიშვილი, **დავითი, გიორგი და ბაგრატი** შეეძინა.

კონსტანტინეს საბრძანებელი

თუმცა კონსტანტინე თავის თავს საბუთებში წინანდებურად მეფეთ-მეფეს და ლიხთ-იმერეთისა და ლიხთ-ამერის ორისავე სამეფოს გამაერთიანებლად უწოდებდა, მაგრამ მასაც ლიხთ-ამერეთის ისეთი თემი, როგორც ჰერეთ-კახეთი იყო, არ ემორჩილებოდა. ჰერეთ-კახეთს უკვე თავისი მეფე ჰყავდა: 1476 წლიდან იქ გიორგი მეფეთ-მეფის ძე ალექსანდრე მეფობს,

რომელიც თავის თავს მხოლოდ მეფეს უწოდებდა და, როგორც ჩანს, მეფეთ-მეფობის პრეტენზიები არ ჰქონდა. ეს გარემოება ადასტურებს ვახუშტის ცნობას, რომ კონსტანტინე მეფეთ-მეფე და ალექსანდრე კახთა მეფე ერთმანეთს დაეზავნენ და თავიანთი სამფლობელოების საზღვრებზე საბოლოოდ შეთანხმდნენ.

არადეთის ბრძოლა და ალექსანდრეს გამეფება იმერეთში

კონსტანტინემ მეფეთ-მეფობა დიდი ხნით ვერ შეინარჩუნა, რათგან კვლავ განახლდა ბრძოლა საქართველოს მეფესა და სამცხის ათაბაგს ყვარყვარას შორის, რომელიც 1483 წ. აგვისტოში არადეთთან მომხდარი სამხედრო შეტაკებითაც-კი დამთავრდა. ამ ბრძოლაში ყვარყვარა ათაბაგმა გაიმარჯვა. კონსტანტინე მეფის დამარცხებით მაშინვე რაჭა-ლეჩხუმში გამაგრებულმა ალექსანდრე ბატონიშვილმა, ბაგრატ VI-ის ძემ ისარგებლა, თავის სამეფოდ აღიარა და ლიხთ-იმერეთი ჩაიგდო ხელში. ამნაირად, ლიხთ-ამერეთისა და ლიხთ-იმერეთის პოლიტიკურ მთლიანობას უკანასკნელი საყრდენიც-კი გამოეცალა: ამერეთი ხომ უკვე ისედაც იმდენად იყო შემცირებული, რომ კახეთ-ჰერეთი ცალკეკულ კახთა სამეფოდ იქცა. ეხლა ლიხთ-იმერეთის უმთავრესი ნაწილიც იმერეთის სამეფოდ გამოეყო.

კონსტანტინეს ამაო ცდა საკუთარი ძალით მთლიანობის აღსადგენად

კონსტანტინე მეფე ამ ამბავს გულხელდაკრეფით არ შეხვედრია, არამედ, ალექსანდრეს ქუთაისიდან განსადევნად დას. საქართველოში გადავიდა და შეებრძოლა. სამეგრელოს მთავარი ლიპარიტ დადიანი კონსტანტინე მეფეს მიემხრო და ალექსანდრე იძულებული იყო ქუთაისიდან გასცლოდა. მაგრამ გარეშე მტრის, ერანის მბრძანებლის, აღმ. საქართველოში შემოსევამ კონსტანტინეს ლიხთ-იმერეთი მიატოვებინა ისე, რომ ალექსანდრემ, ბაგრატის ძემ, 1489 წ. ქუთაისის კვლავ ხელში ჩაგდება მოახერხა.

იმერეთში გამეებულს ალექსანდრე ბაგრატის ძესაც თანამეცხედრედ თამარი ჰყავდა. მისგან ორი ვაჟი შეეძინა, რომელთაგან უფროსს 1495 წ. დაბადებულს, **ბაგრატი** ერქვა, მეორეს-კი, **დავითი.**

კონსტანტინეს გეგმა დასახული მიზნის საგარეო პოლიტიკის საშუალებით მისაღწევად

რაკი კონსტანტინე მეფე დარწმუნდა, რომ საკუთარი ძალ-ღონით მას საქართველოს უკვე დარღვეული მთლიანობის აღდგენა არ შეეძლო, საქმის გამოსწორება მან გარეშე მოკავშირეების დახმარების მარჯვედ გამოყენებით მოისურვა. ამ მიზნით 1492-1496 წ. შუა კონსტანტინე მეფემ თავისი დესპანი ხუცესი **ნილოსი** ეგვიპტის მბრძანებელთან მამლუკ ხალიფა აშრაფ სეიფ-ადდინ კაიტბეისთან (1468-1496 წ.) გაგზავნა, რომელმაც საქართველოს მეფის მოციქული ქაიროში კარგად მიიღო. ქაიროდან იერუსალმში მოსულმა დესპანმა ნილოსმა იქ ესპანიის დედოფლის იზაბელლას დესპანებისაგან არაბთა ესპანიიდან საბოლოოდ განდევნის ამბავი შეიტყო. ამით გახარებულს კონსტანტინე მეფის დესპანს ხუცესს ნილოსს იმედი მოეცა და ამიტომ ესპანიის დედოფლის დესპანი მან საქართველოში მოიყვანა თავის მბრძანებელთან.

კონსტანტინე მეფის ეპისტოლე ესპანიის დედოფლის

იზაბელლასადმი

კონსტანტინე მეფესა და მის მრჩეველთ ესპანიის მბრაძანებლის ძლევამოსილებამ აფიქრებინა, რომ ასეთ გამარჯვებულს სახელმწიფოს საქართველოსთვის შველა შეეძლო. ამიტომ ისევე, როგორც კონსტანტინეპოლის თურქთაგან დაპყრობის შემდეგ ქართველ პოლიტიკოსებს დას. ევროპის ქრისტიანეთა სამხედრო ძალის თავიანთი გაჭირვებული პოლიტიკური მდგომარეობის გამოსასწორებლად გამოყენება სურდათ, ეხლაც ეგონათ, რომ ხსნის ერთადერთი იმედი დას. ევროპის ძლევამოსილი სახელმწიფო იყო. ამიტომ კონსტანტინე მეფემ იზაბელლა დედოფლის დესპანს თავისი მოციქული ხუცესი ნილოსი გააყოლა, რომელსაც თან რომის პაპისა და ესპანიის მბრძანებლისადმი მიწერილი ეპისტოლეები გაატანა. ამ წერილობითს მიმართვას გარდა, ნილოსს უფრო მეტად სიტყვიერად ჰქონდა საიდუმლო მოლაპარაკება დავალებული.

1495 წ. 10 მარტს კონსტანტინე მეფემ ესპანეთის დედოფალს იზაბელლას შემდეგი შინაარსის ეპისტოლე მისწერა: არაბეთის დამარცხება-განდევნის გამო სიხარულით ავსებულს, მას აგონდებ აამის საწინააღმდეგო შემაძრწუნებელი პოლიტიკური მდგომარეობა, რომელშიც აღმოსავლეთის ქრისტიანობა ჩავარდა: კონსტანტინეპოლი და ბიზანტია ისევე, როგორც ტრაპიზონის საკეისრო, მოისპნენ და ოსმალთ ეპყრათ ხელში. ასეთი ბედი ეწია სერბთა სამეფოსაც. საქართველოშიც ჩვენს თავს დიდი განსაცდელი დაგვტრიალებსო: ჩვენ მტრებს ჩვენთვის ბევრი უბედურება მოუყენებიათ და ყოველთვის სამი პირობის ასრულებას გვთხოვენ ხოლმე: დიდი ხარკი გადაიხადეთ, ჩვენთან ერთად იბრძოლეთ და გამაჰმადიანდითო. ჩვენი მტრები მაჰმადიანნი მრავალრიცხოვანნი არიან. ჩვენ კი, კონსტანტინეპოლისა და ტრაპიზონის ქრისტიან სამეფოების გაქრობის შემდეგ, მახლობელ აღმოსავლეთში მარტოდ-მარტონი-ღა დავრჩით და ამის გამო ჩვენც დამდაბლებულნი ვართო. მაგრამ ისევე, როგორც თქვენმა არაბებზე მანდაურმა გამარცვებამ მაჰმადიანი სპარსნი, თურქნი და არაბნი შეაშფოთა, ასევე თქვენმა გამარჯვებამ ჩვენ გაგვახარა, მეტადრე როცა გავიგეთ, რომ ზოგიერთი მანდაური მეფეებიც თქვენი მოკავშირენი არიან და ქრისტიანეთა ასეთი სიყვარულითა და თანხმობით უზრუნველყოფილი ხართო. გევედრებით, ნუ დააყოვნებთ და პირდაპირ კონსტანტინეპოლზე გამოილაშქრეთ და მაცხოვარი თქვენს წადილს ხელს შეუწყობს. მეც პირადად, ჩემი დესპანი დაბრუნდება, თუ არა, და შესაფერის ამბავს მომიტანს, შვილითა და მთელი ჩემი ლაშქრითურთ თქვენთან ერთად საბრძოლველად წამოსვლისათვის განმზადებული ვიქნებიო.

კონსტანტინე მეფის მთავარი მიზანი

ოსმალთა შიშით ესპანიისა და საქართველოს მეფეთა დესპანები უნდა ჩრდილოეთის გზით პოლონეთზე გავლით გასულიყვნენ როგორც მაშინ მოგზაურობდნენ ხოლმე. ამავე პოლიტიკური სიფრთხილით, კონსტანტინეს თავის ეპისტოლეში მთავარს გულისნადებზე არაფერი აქვს ნათქვამი, რათგან მას ეშინოდა, რომ გზაში მისი ეპისტოლე ხელში არ ჩაეგდოთ და საიდუმლო გეგმა არ შეეტყოთ. ცხადია, რომ საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობის შემსუბუქებას მარტო კონსტანტინეპოლის ოსმალთა ხელიდან გამოგლეჯით ვერ ეღირსებოდა. მას სხვა მხრიდანაც ჰყავდა მტერი. როდესაც კონსტანტინე მეფემ ეგვიპტის ხალიფისაგან თავისი მოციქულის პირით პოლიტიკური შეთანხმება მოისურვა, ცხადია, მიზნად კონსტანტინეპოლის განთავისუფლება არ ექმნებოდა დასახული, არამედ უპირველესად მოსაზღვრე მცირე აზიისა, უმთავრესად ერანის მბრძანებლის წინააღმდეგ მოკავშირის მოპოვება. ვინ ეგულებოდა აქ საქართველოს მეფეს მოკავშირედ და რა მონაწილეობის მიღება ჰქონდა მას დას. ევროპის ქრისტიანეთა მხრით ამ გეგმით ნაგულისხმევი, არა ჩანს.

კონსტანტინე მეფის იმედის გაცრუება და ამის მიზეზი

ისევე, როგორც გიორგი VII-ის დასავლეთ ქრისტიანთა და საქართველოსა და მისი მოკავშირეების შეერთებული სამხედრო მოქმედების ფართო გეგმა თავიდანვე ჩაიშალა, ამნაირადვე და ამაზე უფრო მეტად უნიადაგო პოლიტიკურ ოცნებას წარმოადგენდა კონსტანტინე მეფის გეგმაც. მისი ეპისტოლიდან ჩანს, რომ მას მახლობელ აღმოსავლეთში მომხდარი პოლიტიკური ცვლილებების მთელი საშინელება საქართველოსთვის კარგად ჰქონია გათვალისწინებული, მაგრამ მას ავიწყდებოდა, რომ საქართველოს სახელმწიფოებრივობის სისუსტის მრავალი მიზეზი მაინც მარტო გარეშე ძალა არ იყო, არამედ ეროვნულ-პოლიტიკური შეგნების დაქვეითების შედეგად მომხდარი პოლიტიკური მთლიანობის რღვევა და მასთან დაკავშირებული ქიშპობა-შუღლიანობა. შორეული ევროპელი ქრისტიანები რისთვის ჩააგდებდნენ თავიანთ თავს საქართველოს გასაძლიერებლად ომის ცეცხლში, როდესაც თვით ქართველებივე, პოლიტიკური მთლიანობის აღდგენისათვის ზრუნვის მაგიერ, ერთმანეთს ძმათაშორისი სისხლის ღვრით აუძლურებდნენ. წინანდელთან შედარებით, კონსტანტინე მეფის დროს საქართველოს შინაური მდგომარეობა იმდენად გაუარესებული იყო, რომ თუ გიორგი VII-ს შეეძლო დას. ევროპის ქრისტიან სახელმწიფოთა მესვეურებისათვის მიეწერა და დაეჯერებინა, რომ მათთან ერთად საბრძოლველად მთელი საქართველო ყველა თავისი ნაწილებითურთ გამოვიდოდა, კონსტანტინე მეფეს თავის შვილისა და თავისი საკუთარი ძალ-ღონის გამოყვანის გარდა ვეღარავის ჰპირდებოდა. თუ რამდენიმე ათეულის წლის წინათ საქართველოს მთლიანი და მოკავშირეთა დამხმარე სამხედრო ძალის შეპირებითაც არა გამოვიდა რა, როგორ შეიძლებოდა კონსტანტინეს დროინდელს ვითარებას ვისთვისმე დას. ევროპაში ასეთი ომის ატეხა გაებედინებიან? დასასრულ, აღსანიშნავია, რომ საქართველოს პოლიტიკოსებს ესპანიის სამეფოს სამხედრო ძლიერებაზედაც გადაჭარბებული წარმოდგენა ჰქონიათ, ვერც ის გარემოება გაუთვალისწინებიათ, თუ რა დიდი მანძილისა და, მაშასადამე, რამდენი დაბრკოლების დაძლევა იყო საჭირო, რომ ესპანიიდან კონსტანტინეპოლის წინააღმდეგ დაეწყოთ ბრძოლა.

ყვარყვარა ათაბაგისა და ქაიხოსროს სიკვდილი და მზეჭაბუკის გაბატონება მესხეთში

ძალზე მოხუცებული ყვარყვარა ათაბაგი რომ 1498 წ. გარდაიცვალა, მის მაგიერ მესხეთის მთავრად მისი უფროსი ვაჟიშვილი **ქაიხოსრო** გახდა, მაგრამ ბედმა მას მეტად ხანმოკლე დროის განმავლობაში არგუნა მთავრობაცა და სიცოცხლითაც მას ბევრი დროს არ მოუჭამია. ქაიხოსრო ათაბაგი 1500 წელს, როცა ორმოცდაათ წელსაც ძლივს იყო ჯერ გადაცილებული, უკვე გარდაიცვალა, მის მაგიერ მესხეთის პატრონად ქაიხოსროს მომდევნო ძმა **მზეჭაბუკი** დაჯდა. თუმცა მთელ მესხეთს ის განაგებდა, მაგრამ ამირსპასალარად და ათაბაგად მზეჭაბუკი-კი არა, არამედ ქაიხოსროს შვილი ყვარყვარა ითვლებოდა.

მზეჭაბუკის მშვიდობიანი გონიერი პოლიტიკა

მზეჭაბუკს კონსტანტინე მეფესა და საქართველოს ეკლესიის კათალიკოს-პატრიარქთან წესიერი და მშვიდობიანი დამოკიდებულება ჰქონდა. ამ განკერძოებით პოლიტიკას, რომელსაც ყვარყვარა ათაბაგი აწარმოებდა და მიზნად მესხეთის საქართველოთგან სრული ჩამოშორება ჰქონდა დასახული, მზეჭაბუკი არ მისდევდა. პირიქით, კუმურდოს საეპისკოპოსოს

მღვდელმთავრის თანამდებობის განთავისუფლების შემდეგ, მზეჭაბუკმა **კუმურდოელად** არჩეული გერასიმე საკურთხევლად აფხაზეთის კათალიკოსთან-კი არ გაგზავნა, არამედ მცხეთაში საქართველოს კათალიკოს-პატრიარქ ევაგრესთან. გერასიმე კუმურდოელმა ეპისკოპოსად კურთხევის წინ ქართული ეკლესიის საჭემპყრობელს წერილობითი აღთქმა მიართვა, რომელშიც ნათქვამია: «დღესითგან წაღმა ჩემად დღედ სიკუდილამდე ვიყო თქუენი და თქუენისა საყდრისა ერთგული და მეფეთა მლოცველი». ამით მეფის უზენაესობაც იყო ცნობილი და ქართული ეკლესიის განუყოფელობაც.

მზეჭაბუკისა და კონსტანტინე მეფის გადამტერება და მესხეთის ბატონის უკუღმართის პოლიტიკურ გზაზე დადგომა

სამწუხაროდ, კონსტანტინე-მზეჭაბუკს შორის დამყარებული კარგი დამოკიდებულებაც ხანგრძლივი ვერ გამოდგა: მეფე კონსტანტინე და პატრონი მზეჭაბუკი «შემდურდეს» და მესხეთის მესაჭემ თავისი მამის პოლიტიკის განხორციელებას მიჰყო ხელი. მზეჭაბუკის პატივმოყვარეობას უკვე საზღვარი აღარ უჩანდა: მის ხელში შემყურე და მისი ქონებრივი წყალობის მოიმედე ანტიოქიის პატრიარქი დოროთეოსი, რომელიც იმ ხანებში მესხეთს იყო საკალმასობოდ მოსული, მზეჭაბუკისათვის არც ერთს მაღალ წოდებულებას არ იშურებს და მას «დიდი პატრონის» სახელითაც-კი ამკობს. რასაკვირველია, ყველა ეს მესხეთის ბატონ-პატრონის განუსაზღვრელი პატივმოყვარეობის პრეტენზიების გამომჟღავნებელია. მას და მის მადიდებელს უნდა ყველასთვის, უპირველესად კი კონსტანტინესთვის, ეგრძნობინებინა, რომ მეფობის ღირსიცა და ნამდვილადაც მეფე სწორედ ის არის და არა კონსტანტინე.

მზეჭაბუკისა და დოროთეოს პატრიარქის ღონისძიება საქართველოს ეკლესიის მთლიანობის დასარღვევად

მოკალმასე ანტიოქიის პატრიარქი **დოროთეოსი** იმდენად იყო მზეჭაბუკის წადილითა და ქცევით წაქეზებული, რომ საჭიროდ სცნო აღენიშნა მზეჭაბუკის ვითომცდა «ღვთისმოშიშობა და მართლმადიდებლობა» და დაეგმო «უსჯულოება მეფეთა (ე. ი. კონსტანტინესი) და ერისა მათისა». რასაკვირველია, მზეჭაბუკის «ღვთისმოშიშობა» ანტიოქიის პატრიარქის თვალში იმაში მოჩანდა, რომ მესხეთის პატრონი მის შეთხელებულ საფულეს უხვად ავსებდა, მაგრამ მუქთად და ტყუილად ხომ არა. პატიოსან მწყემსთმთავარს უნდა სამაგიეროდ ყველა ის გაეკეთებინა, რომ მზეჭაბუკს ჰსურდა. პატრიარქი დოროთეოსი სრული გულახდილობით თვითონვე აღიარებს «ბრძანებითა ვიიძულენით თქუმად ამას დიდისა პატრონის მზეჭაბუკის მიერ»-ო. ანტიოქიის პატრიარქი გვიმჟღავნებს მზეჭაბუკის პოლიტიკურ ზრახვას, თავის გამოთქმულს დალოცვა-სურვილში, რომ კონსტანტინე მეფის საბრძანებელი მას ხელში «თვინიერ ბრძოლისა» ჩავარდნოდა, რასაკვირველია, იმ საშუალებით, რომ მისი ჯარი წინასწარ «თვინიერ კუეთებისა», ე. ი. უბრძოლველად გაქცეულიყო «ღვთისმოშიში» და «ღვთისმოყუარე» მზეჭაბუკის წინაშე. ამრიგად, მესხეთის მესვეური ქართლის მეფის ხელში ჩაგდებასაც კი ოცნებობდა.

მაგრამ ეს უფრო შორეული მიზანი იყო. ჯერჯერობით-კი მას მესხეთის ყველა სამწყსოებისა და ეკლესიის ჩამოშორება ჰქონდა გადაწყვეტილი, რომ ამით შეწყვეტილიყო ის მცირედი კავშირიც, რომელიც, მცხეთაში ხელდასხმისა და მეფეთა წირვის დროს მოხსენების სახით, საქართველოს წინანდელი პოლიტიკური მთლიანობისა და ეროვნული ერთობის

გამომხატველი იყო. დასახული მიზნის მისაღწევად მზეჭაბუკმა ანტიოქიის პატრიარქს დოროთეოსს აწყურის ეპისკოპოსი მესხეთის ეკლესიის უფროსად გამოაცხადებინა და მესხეთის ყველა ეპისკოპოსების ეკლესიის უფლება მიანიჭებინა. მოკალმასე პატრიარქმაც თავისი უხვი მწყალობელის წადილი აასრულა, თუმცა საეკლესიო კანონებით ამის არავითარი უფლება არ ჰქონდა. ამრიგად, არამც თუ საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა, კონსტანტინე მეფის ოცნებისდა მიუხედავად, არ გამოსწორებულა, არამედ ის კავშირიც-კი, რომელიც მანამდე ოდნავ მაინც კიდევ იყო შერჩენილი, შესწყდა და მესხეთის მთავარმა სრული ადმოუკიდებლობაც-კი მოიპოვა.

საქართველოს ვითარება მეთხუთმეტე საუკუნეში

საქართველოს ეკონომიური მდგომარეობა XV

როგორც დავრწმუნდით, თითქმის მთელი მეთხუთმეტე საკუნის განმავლობაში ბრძოლა წარმოებდა საქართველოს განმაახლებელსა და დამაქვეითებელს ძალას შორის. თემურლენგთან უთანასწორო ხანგძლივსა და გამანადგურებელს ბრძოლაში ჩვენი ქვეყანა იმდენად აოხრდა და ეკონომიურად დაზარალდა, ხალხი იმდენი დაიხოცა, რომ მხოლოდ საგანგებოდ ხელშემწყობი პირობების წყალობით, თანაც დიდი დროის განმავლობაში შეეძლო ქართველ ერს იმ საშინელი მდგომარეობისათვის დაეღწია თავი, რომელშიც ის ჩავარდა.

წლობის განმავლობაში მიმდინარე ომმა, მეტადრე თემურლენგისაგან ბრძოლის წარმოების წესად ეკონომიური ომის გამოყენებამ საქართველოს ქონებრივი კეთილდღეობის თვით საფუძველიც-კი მოუსპო. რაღა აღადგენდა გაკაფულ ბაღ-ვენახებს და მტრის ხელით განადგურებულს სასოფლო მეურნეობის სხვა დარგებს... რამდენი დრო და რამდენი ძალა, მუშა-ხელი იყო ამისათვის საჭირო. ბრძოლის დროს გაწყვეტილი და ომის მსხვერპლად ქცეული მოსახლეობა-კი იმდენად შეთხელდა და შემცირდა, რომ არამცთუ გაუკაცრიელებული სოფლების აღდგენა ძნელი იყო, უმეტეს შემთხვევაში შეუძლებელიც-კი შეიქმნა, არამედ გადარჩენილ დაბა-სოფლებშიც-კი გაპარტახებული მიწების წინანდებურად დასამუშავებლად აღარც მუშა-ხელი იყო და აღარც სხვაფრივ შესწევდათ ძალ-ღონე. XVI ს. საბუთებიდანაც-კი ჩანს, რომ ბარად ქვეყანა სანახევროდ, ზოგან ნახევარზე მეტადაც-კი აოხრებულ- გაპარტახებული ყოფილა.

ქვეყნის აოხრებულობა და სასოფლო მეურნეობის დაქვეითება

ცხადია, რომ XIV ს-ში, თემურლენგის შემოსევისა და ველურობის მთელი ეს შედეგი ამაზე უფრო მეტი საშინელებით წარმოუდგებოდა ადამიანს და გავერანებული ადგილების რაოდენობა ზემოაღნიშნულზე უფრო დიდი იქნებოდა. ამიტომაც არის, რომ XV-ს-ითგან ქართულ ძეგლებში ასე ხშირად შეხვდება მკითხველი წინათ ასეთ იშვიათსა, ანდა სრულებით უცნობსაც-კი ტერმინებს, როგორც **ნაფუზარი, ნასახლარი, ნასოფლარი, ნაქალაქევი, ნავენახევი, პარდახტი** და სხვაც ამის მსგავსია.

რა თქმა უნდა, ყველა ამის გამო საქართველოს ეკონომიური კეთილდღეობა უნდა ძალზე გაუარესებულიყო, მეტადრე სასოფლო მეურნეობის დაკნინებისა და დაქვეითების შედეგად. დას. საქართველოშიც-კი, რომელიც მტრის შემოსევისაგან, აღმოსავლეთთან შედარებით, ნაკლებ დაზარალდა, კულტურული დაქვეითება ცხადად საგრძნობი გახდა. მაგ. ამ მიზეზის

გამო XV საუკუნეში მევენახეობა-მეღვინეობა იმდენად გაუარესდა, რომ სამეგრელოში ადგილობრივ ღვინოსაც-კი ხეირიანს ვეღარ აყენებდნენ და იქაური ღვინო ტრაპიზონიდან შემოტანილსაც-კი ჩამოუვარდებოდა ღირსებით.

ამგვარადვე წინათ უძველეს დროიდან თავისი სელის ქსოვილებით, ტილოთი, განთქმული კოლხეთი, ეხლა ამ დარგშიც დაქვეითებული იყო: ქსოვილები აქ დაბალხარისხოვანი-ღა იშოვებოდა. ამიტომაც აქაური ტოლებიც უცხოეთში უკვე გაცილებით ნაკლებ გაჰქონდათ.

თუმცა აღმ. საქართველოში სასოფლო მეურნეობა და მრეწველობა ასე დაქვეითებული არ იყო, მაგრამ აქაც ინტენსიური მეურნეობის წარმოებისათვის ხალხს ძალა აღარ შესწევდა და სასოფლო მეურნეობის დარგიდან სხვებზე ნაკლებ უფრო ადვილად გასაძღოლი მესაქონლეობის დარგი იყო დაზარალებულ-ჩამორჩენილი.

საქართველოს კულტურული დაქვეითება

ხანგრძლივმა ომმა და მტრის მტარვალობამ მოსახლეობის გაბოროტებასა და გაავებას,მის გონებრივ-ზნეობრივს დაქვეითებასაც შეუწყო ხელი, რათგან, მშვიდობიანი ნაყოფიერი მუშაობის მაგიერ, ადამიანი მაშინ უნებლიედ უნდა იარაღის გამუდმებით ტრიალსა და სისხლის ღვრას მისჩვეოდა. ომის საშინელება და ქვეყნის მწარე სინამდვილე აიძულებდა ველურებას შეჰგუებოდა და, წინანდელი კულტურული ყოფა-ცხოვრების მაგიერ, გამოქვაბულებსა და სახიზნარებში ყოფნას შეჰრიგებოდა. სწავლისა და განათლებისათვის, მწერლობისა და ხელოვნებისათვის ასეთს პირობებში ვის შეეძლო მოეცალა, ანდა ვის ექნებოდა ამისათვის გული და ხალისი.

აღმშენებლობითი მოღვაწეობისა და განახლების შეჩერება შინაური ბრძოლის გამწვავების გამო

ალექსანდრე დიდი, როგორც ვიცით განადგურებული საქართველოს აღორძინებისათვის თავგამოდებით იბრძოდა და ჩვენ სამშობლოს წინაშე მას ამ მხრივ დაუვიწყარი ღვაწლი მიუძღვის. საფიქრებელი იყო, რომ თანდათანობით საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული მდგომარეობა სულ უფრო და უფრო უნდა გაუმჯობესებულიყო, მაგრამ XV ს. უკვე ორმოციან-ორმოცდაათიან წლებიდან მოყოლებული შინაურობაში მეფე-მთავართა შორის ამტყდარმა ბრძოლამ არამცთუ საქართველოს გამოკეთება შეაჩერა, არამედ თანდათანობით მას პოლიტიკური მთლიანობაც-კი მოუსპო და სამ სამეფოდა და სამთავროებად აქცია. საქართველოსთვის გარეშე მტერს იმდენი არ დაუკლია, რამდენი ვნებაც მთავრებისა და დიდგვარიან აზნაურების თავგასულობამ, უგუნურმა ქცევამა და ქვეყნისა და ხალხის ღალატმა მიაყენა. ყოველი დიდი თემის მმართველი გამთავრების დაუშრეტელი პატივმოყვარეობის სენითა და ბორგნეულობით (მანიით) აღმოჩნდა შეპყრობილი. თითოეულს მათგანს საქართველოში გაბატონების იმედი ჰქონდა და დაუცხრომელი წადილი უღვიოდა გულში.

საქართველოს პოლიტიკური მთლიანობის მოსპობის ეკონომიური შედეგი

განკერძოება-გაბატონების გზაზე დამდგარი ყოველი მთავარი ცდილობდა თავისი კარი საქართველოს სამეფო კარის მსგავსად მოეწყო: სათანადო მოხელეები გაეჩინა და გარეგნული

ბრწყინვალება მოეპოვა. ამრიგად, წინანდელი გაერთიანებული სრულიადი საქართველოს ერთი სახელმწიფო დარბაზის და სამეფო სასახლის და დარბაზის კარსა მყოფი მოხელეების განსაზღვრული რიცხვის მაგიერ, ეხლა ქართველ ხალხს სამი სამეფო და ამდენივე კარ-დარბაზი მრავალრიცხოვან მოხელეებითურთ უნდა შეენახა. ადვილი წარმოსადგენია, თუ რამდენად მძიმე ტვირთად უნდა დასწოლოდა მას მთავრებისა და დიდებულ-აზნაურების ქვეყნის დამღუპველი ეს პოლიტიკა.

საქართველოს გაღარიბება

ეკონომიურად განადგურებისა და მოსახლეობის ძალზე შემცირების გამო, საქართველო ქონებრივადაც გაღარიბდა. ეს გაღარიბების პროცესი მეთხუთმეტე საუკუნეში ამტყდარი შინაური ბრძოლისა და პოლიტიკური მთლიანობის დაშლის შედეგად უფრო გაძლიერდა. რამდენიმე ათეული წლების მანძილზეც-კი მდგომარეობა იმდენად გაუარესდა, რომ თუ გიორგი მეფე, ალექსანდრეს ძე, მარტო თავის ასულს, რომელიც ბიზანტიის კეისარს უნდა მისთხოვებოდა, ყოველწლიურად 3.000 ოქროს ფულის ძლევას ჰპირდებოდა, ბაგრატ VI-ის დროს მთელ სამეფო ხაზინასაც 16.000 დუკატის გამოღება უკვე ეძნელებოდა.

საქართველოს პოლიტიკური მთლიანობის დარღვევისა და სამი სამეფოსა და სამთავროების შექმნის შედეგად ხარჯები გადიდდა. სამ სამეფოდ და სამთავროებად დაყოფილსა და ქცეულს საქართველოს მესვეურთ ხარჯები თავიანთი სასახლე დარბაზებისა და კარის მოხელეთა შესანახავად არამცთუ არ შეჰმცირებიათ, არამედ უფრო მოემატათ კიდეც.

მოსახლეობის სოციალური განშრეების პროცესი

ამავე ხანში დიდგვარიან აზნაურთა სოციალურს მდგომარეობაში, მათ წიაღშიც თანდათანობით დიდი ცვლილება მოხდა. უკვე XIV ს. ვითარების დახასიათებისას აღნიშნული გვქონდა, რომ აზნაურთა წოდება ამ ხანაში უმაღლეს წოდებრივ ფენას აღარ წარმოადგენდა, არამედ უკვე **დიდებულნი** ჩანან. ისინი დიდგვარიან აზნაურთა საგვარეულოების უფროს შტოს ეკუთვნოდნენ, «დიდგვართ თავადნი» იყვნენ. მათი უფროსობა მარტო ხნიერებაზე-კი აღარ იყო დამოკიდებული, არამედ დიდს მოხელეობაზე, დიდებულებაზედაც. როდესაც ამ დიდგვარიან აზნაურთა საგვარეულოების თავადთ თავიანთი აღზევების მემკვიდრეობით კუთვნილებად გადაქცევა შესძლეს, ამ დროითგან მოყოლებული **თავადობა** უკვე წოდებრიობად იქცა და თავადობამ აზნაურთა წოდებაზე უპირატესი მდგომარეობა მოიპოვა.ამრიგად, ტერმნი **თავადი** მოსახლეობის სოციალური განშრეების უმაღლესი წოდების წარმომადგენლის სახელად და ტერმინად გახდა. აზნაურთა წოდების წიაღიდან თავადობის წარმოშობის პროცეის XV ს. მიმდინარეობდა, მაგრამ საბოლოოდ მხოლოდ XVI დამთავრდა.

შემცირებული შემოსავლის გასადიდებლად სახსრების ძებნა

ცხადია, რომ ამ ახალ სოციალურ ფენასაცა და აზნაურთა წოდებასაც, ისევე, როგორც მეფე-მთავრებს თავიანთი ძალზე შეთხელებული სახსრების გადიდებაზე უნდა ეზრუნათ იმიტომ, რომ ახალ-აღზევებულ უფლებრივსა და სოციალურ მდგომარეობასაც მეტი ქონებრივი დონის ძიება სჭირდებოდა. მაშინდელ ვითარებაში მმართველსა და ზემდგომ

წრეებს ამ მიზნის მისაღწევად უპირველესად მშრომელი, გადასახადების გამომღები, მოსახლეობის გამოყენების აზრი და წადილი გაუჩნდათ.

შემოსავლის გადიდების ორგვარი შესაძლებლობა

სამეფო-სამთავროებისა და კერძო-მესაკუთრეთა შეთხელებული ქონებრივი ავლა-დიდების გაძლიერება, ან მეურნეობის გაინტენსივებით შეიძლებოდა, ანდა გადასახადების გადიდებით. ორივე ამ პირობის შესრულება უფლებრივი იძულების გარეშე შეუძლებელი იყო, რათგან ცხადია, თვითონაც, გაჭირვებული მშრომელი ხალხი ზედმეტ ტვირთს ნებაყოფლობით არ იკისრებდა. მეურნეობის გაინტენსივებისათვის მშვიდობიანი სამოქალაქო ყოფაცხოვრების პირობები და მოსახლეობის გამრავლება იყო საჭირო, რაც ამ ხანაში არც არსებობდა და არც იყო შესაძლებელი, ამიტომაც მეორე საშუალება იქმნა გამოყენებული.

მშრომელი ხალხის მდგომარეობის გაუარესება და ბატონყმობის ჩასახვა

იძულებითი უფლების გასაძლიერებლად სოციალური ურთიერთობის შეცვლა იყო აუცილებელი საჭირო. ამიტომაც სოციალურს ურთიერთობაში XV საუკუნის განმავლობაში საქართველოში, წინანდელთან შედარებით, ახალი მოვლენა ჩნდება, მეათე საუკუნის მეორე ნახევრიდან მოყოლებული XVI საუკუნემდე საქართველოში **პატრონყმობა** გვხვდება მხოლოდ: სოციალური ურთიერთობის ამ მოვლენის ერთს წარმომადგენელს **პატრონი** ეწოდებოდა, მეორეს **ყმა.** ხოლო **ბატონის** სახელი მთელი ამ ხუთი საუკუნის განმავლობაში წერილობითს ძეგლებში არსად გვხვდება. ბატონი მხოლოდ XVI საუკუნიდან ჩნდება. ამიტომაც ამ წინა საუკუნეების განმავლობაში **ბატონყმობის** სახელიც არ მოგვეპოვება და ეს გარემოება ცხადჰყოფს, რომ ბატონყმობაზე დამყარებული ურთიერთობა მაშინ ჯერ არ იყო ჩამოყალიბებული.

პატრონყმობის გვერდით ბატონყმობის გაჩენა და გაბატონება

სოციალური მოვლენა მხოლოდ მაშინ იპყრობს ხოლმე განსაკუთრებულ ყურადღებას, როდესაც ხშირ და ზოგად მოვლენად იქცევა ხოლმე. ასეთი პროცესი არც უეცრად ჩნდება და არც სწრაფად ჩამოინაკვთება ხოლმე: ჩანასახი ხანიდან მოყოლებული საბოლოო ჩამოყალიბებამდე, ჩვეულებრივ, დროის გარკვეული მანძილი სჭირდება. ასევე იყო ბატონყმობის ჩასახვა-ჩამოყალიბების პროცესშიც.

პატრონყმობის ურთიერთობას უკვე XIV ს. ისეთი ცვლილება დაეტყო, რომ მის აღსანიშნავდ ხალხის მეტყველებას ახალი სახელის აუცილებლობა აგრძნობინა: წინანდელისაგან განსხვავებული მოვლენის გამოსახატავად სახელის განსხვავება მაინც იყო საჭირო, რომ ძველი და ახალის ერთმანეთისაგან განრჩევა შესაძლებელი გამხდარიყო.

XIV ს. მეორე ნახევრის ქართულს ძეგლებში **პატრონის** მაგიერ და მის გვერდით **ბატონი** ჩნდება, ახალი ფორმა, რომელსაც, წინანდელ ფორმასთან შედარებით, შუაში **რ** თანხმოვანი აქვს გამქრალი. ამ ოდინდელი ფორმის მეორე ხმოვან-შენაცვლებული ნაშთი მეგრულს **პატენისა, პატინისა და პატნის** სახით დღევანდლამდის აქვს შენარჩუნებული.

პატრონისაგან განსხვავებული ახალი სოციალური მოვლენის გამოსახატავად ქართული ენა მარტო ზემომოყვანილი ბგერითი ცვლილებით არ დაკმაყოფილებულა, არამედ მეორე-

ნაირი ბგერითი სახესხვაობაც გაჩნდა, რომელმაც გაიმარჯვა და ახალი სოციალური მოვლენის აღმნიშვნელ საბოლოო ტერმინად იქცა.

პატრონისაგან ბგერითი ცვლილებით წარმომდგარი მეორე ფორმა პირველი თანხმოვანის გამჟღერებით დაიწყო და ამ გზით **პატრონის** გვერდით **ბატრონი** გაჩნდა. XV ს. მეორე ნახევრის ქართულ ძეგლებში ასეთი ტერმინი უკვე ჩვეულებრივია.

«პატრონის» გამჟღერებული ფორმის **ბატრონისაგან** იმავე ბგერითი ცვლილებით **რ**-ს გაქრობით, რომელმაც XIV ს . **პატრონი** **პატონად** აქცია, ახალი სოციალური მოვლენის გამომხატველი ტერმინი **ბატონიც** შეიქმნა, რომელიც XVI ს. ძეგლებში უკვე საბოლოოდ განმტკიცებულია. ეს გარემოება ცხადჰყოფს, რომ ფორმა **ბატონი** XV საუკუნის მეორე ნახევარშია გაჩენილი.

რამდენადაც ტერმინ **ბატონის** ძველ ქართულ საბუთებში საბოლოოდ დამკვიდრება და მეტყველებაშიც ჩვეულებრივ სიტყვად ქცევა XVI ს. მოვლენას წარმოადგენს, **ბატონყმობის** გვერდით, **ბატონყმობის** ტერმინის გაჩენით გამომჟღავნებული ახალი სოციალური ურთიერთობის რაობის განსაზღვრა XVI ს. ისტორიას ეხება და იქ უნდა იყოს ამაზე საუბარი; აქ-კი უნდა ზოგადად აღინიშნოს ის ძირითადი საფუძველი, რომელმაც პატრონყმობისაგან წარმოშვა [«ბატონყმობა»].

ბატონყმობის წარმომშობი საფუძველი

ამ ორის სოციალური ურთიერთობის გამომხატველი ტერმინის **პატრონყმობისა და ბატონყმობის** ერთმანეთთან შედარება ცხადჰყოფს, რომ ურთიერთობაში მომხდარი ცვლილების უმთავრესი წარმომადგენელი ამ ურთიერთობის პირველი მონაწილე **პატრონი** უნდა ყოფილიყო: წინანდელი **პატრონი** ყმას პატრონად-კი აღარ მოევლინა, არამედ **ბატონად**, ხოლო, რაკი პატრონი ძირითადად მზრუნველისა და მხოლოდ შემდეგში მესაკუთრის **აღმნიშვნელი** იყო და ასეთივე მნიშვნელობა ამ ტერმინს შემდეგშიც შეჰრჩა, **ბატონი**-კი უმთავრესად **მბრძანებლობის** **ცნების** გამომხატველად იქცა,ეს გარემოება ამჟღავნებს, რომ **პატრონყმობისაგან** წარმომდგარი **ბატონყმობა** სწორედ პატრონისაგან ყმის უფლების შეზღუდვითა და მასზე მბრძანებლობის უფლების ხელში ჩაგდებით წარმოიშვა. XIV ს. სოციალურს ვითარებაში მომხდარმა ცვლილებამ, როგორც თავის ადგილას აღნიშნული იყო, გლეხთა და ყმების უფლებრივი მდგომარეობა ძალზე გააუარესა. ეს პროცესი XV ს. არც შეჩერებულა და არც შენელებულა, არამედ თანდათან უფრო გამწვავდა და ბოლოს **ბატონყმობით** დამთავრდა.

გადასახად-გამოსაღებების გადიდება და მშრომელი ხალხის და ყმათა მძიმე ეკონომიური მდგომარეობა

ყმების მარტო უფლების შეზღუდვა ვერც სამეფო სამთავროებისა და ვერც კერძო მესაკუთრე «ბატრონების» ქონებრივ მდგომარეობას, რასაკვირველია, ვერ გაუმჯობესებდა: შემოსავალს საგრძნობლად მაიცნ ვერ გაუდიდებდა. ამიტომ მეტი შემოსავლის მისაღებად რაიმე სხვა საშუალება იყო საჭირო. ჩვეულებრივ ასეთ საშუალებად ან ახალი გადასახადების შემოღება, ანდა ძველის გადიდება იყო და არის ხოლმე მიღებული. ქართულ საფინანსო პოლიტიკის იმდროინდელს არც მესვეურებსა და არც ყმათა მფლობელ კერძო მემამულეებს ამ ორი გზით დასახული მიზნის მიღწევა არ უცდიათ, არამედ სულ სხვა გამოუნახავთ: ამის მაგიერ მათ საზომ-საწყაოები გაუდიდებით. რაკი სულადი გადასახადები, მარცვლეულისა და ღვინის მოსავალზე, კაბიწითა (=კოდს) და კოკით იყო განსაზღვრული, თუნდაც რომ

გადასახადების ნორმები პურისა, ქრთილისა და ქერის ისევე როგორც ღვინის გამოსაღებაზე ძველებურად უცვლელი დარჩენილიყო, რაკი საზომ-საწყაო გადიდებული იყო, გადასახადები სამეფო და სამთავრო სალაროებსაცა და ყმათა მფლობელ კერძო მემამულეებსაც, ცხადია, წინანდელზე მეტი შეუვიდოდათ.

ამნაირი ოსტატურად მოფიქრებული საშუალებით ახალი საზომები გაჩნდა XV საუკუნეში. ძეგლებშიც ძველ საზომ-საწყაოთა გარდა, ახლებიც არის მოხსენებული. თავდაპირველს საზომებს საბუთებში ერთი მხრით **პირველი საწყაო**, ანუ საზომი ეწოდებოდა, ანდა მეორე მხრით **ცოტა** (ე. ი. პატარა) საწყაო; ახალ საზომ-საწყაოებს-კი **დიდი ლიტრა, კოკა** და **კაბიწი** (=კოდს) ერქვა. საზომ-საწყაოების გადიდებაც, რა თქმა უნდა, შეუძლებელია, რომ მეფე-მთავრებსა და მებატონეებს ერთბაშად გაებედნათ, არამედ, ცხოვრების გაძვირებასა და ფასების ზრდასთან დაკავშირებით, საზომებიც თანდათანობით დიდდებოდა. ამასთანავე საწყაოებისა და საწონის ყველა საზომის გადიდება არც იყო საჭირო: საკმარისი იქნებოდა, თუ მათი ძირითადი ერთეული გადიდდებოდა, რაკი **კაბიწისა და კოკის** სიდიდე მათი ლიტრიანობის რაოდენობით იყო ხოლმე განსაზღვრული, **ლიტრის** გადიდება თავისდათავად კაბიწსაცა და კოკასაც გაადიდებდა, ასეც მოქცეულან.

საზომების გადიდება უკვე XII –XIII ს-შივე დაუწყიათ, მაგრამ შემდეგში, რაც უფრო მეტად და სწრაფად უარესდებოდა ეკონომიური მდგომარეობა საზომების შეუჩერებელ გადიდებას მიჰყვეს ხელი, XVI-ს. დამდეგისათვის-კი **ლიტრა,** ამ საზომის თავდაპირველ ოდენობასთან შედარებით, უკვე ექვსჯერ იყო გადიდებული. მაშასადამე, მშრომელ ხალხსაც ამ დროს სულადი გადასახადები წინანდელთან შედარებით ექვსჯერ უფრო მეტი უნდა გადაეხადა. მარტო ეს გარემოებაც საკმარისია, სხვას ყველაფერსაც რომ თავი დავანებოთ, იმის გასათვალისწინებლად, თუ რამდენად მძიმე იყო ის ტვირთი, რომელიც მაშინ ყმებსა და მიწის დამმუშავებელ მოსახლეობას ჰქონდათ საზიდი, და რა საშინელ მდგომარეობაში უნდა ყოფილიყვნენ ისინი ამის გამო ჩაცვივნულნი.

რასაკვირველია, წინააღმდეგობის გაუწევლივ, ყმები თავიანთ ასეთს დატვირთულობას ვერ შეურიგდებოდნენ და ბრძოლაც, უეჭველია, იქნებოდა, მაგრამ, იმდროინდელი გადარჩენილი ძეგლების სიმცირის გამო, ცნობები ამის შესახებ არ მოგვეპოვება. მაინც ზოგიერთი მაშინდელი საბუთებიდანაც ჩანს, რომ მომავალში საზომების მებატონეთაგან თვითნებურად გადიდების საშიშროების თავიდან ასაცილებლად ყმებს მათთვის წერილობითი ვალდებულება ჩამოურთმევიათ საზომების გამოუცვლელობისა და გაუდიდებლობის შესახებ. ეს მაინც, უეჭველია, ამ ნიადაგზე ამტყდარი უკმაყოფილებისა და წინააღმდეგობის ანარეკლია.

საქართველოს ეკონომიური დაქვეითება: ფულის გავრცელებისა და აღებ-მიცემობის შემცირება

ყველა ზემოაღნიშუნლი გარემოების გამო, ცხადია, რომ მაშინდელს საქართველოში მოსახლეობის ქონებრივ-კულტურულ დაქვეითობასთან დაკავშირებით მისი ნაყოფიერებაც და მყიდველობითი ძალაც საგრძნობლად შემცირებულიყო.ამის გამო, რასაკვირველია, აღებ-მიცემობაც უნდა დაქვეითებული ყოფილიყო. საგარეო ვაჭარობა, როგორც მოსალოდნელიც იყო, ძალზე დაკნინდა. როცა აოხრებულ-დაზარალებულ ქვეყანას თავისთვისაც-კი ყველაფერი სამყოფი აღარ ჰქონდა და კულტურაც დაქვეითებული იყო, უცხოეთში გასატანს ბევრსა და კარგს ვერაფერს-ღა დაამზადებდა. შინაგანი აღებმიცემობაც სახარბიელოს ცოტას-ღა შეიცავდა.

მართალია, როგორც უკანასკნელი ათეული წლების მონაპოვარმა განძებმა ცხად-ჰყო, ფულის მოჭრა საქართველოში, იმდროინდელი საშინელი ეკონომიური ვითარებისდა მიუხედავად, თურმე მაინც მთელი XV ს. განმავლობაში არ შეჩერებულა. დაქვეითებული სახელმწიფოებრივობისა და ქართველი ხალხის მაინც ეკონომიური ბრძოლის უნარსა და კულტურულ ცხოვრების მონაპოვართა შენარჩუნების ნებისყოფას ცხადად ამჟღავნებს. მაგრამ მაშინდელი საბუთებიდან ჩანს, რომ ლითონის ფული უმთავრესად ბარად და ქალაქებსა,თუ სხვა სავაჭრო ცენტრებსა და შარაგზების მახლობლად მდებარე ადგილებში ყოფილა გავრცელებული; სხვა მოშორებულ თემებში-კი ფული იშვიათი იყო და იქ ვაჭრობა სულადობაზე, გაცვლა-გამოცვლის წესით უწარმოებიათ. ამასთანავე XV ს. მოჭრილი ვერცხლის ფული მეტად მდარე ღირსებისა და მცირე ზომისაც არის. მისი ეს თვისებებიც მაშინდელი საქართველოს გაღარიბება-დაქვეითებისათვის დამახასიათებელია.

კონსტანტინეპოლის ოსმალთაგან დაპყრბამ და დასავლეთის ზღვის სავაჭრო გზის შეკვრამ ევროპასთან აღმოსავლეთის ვაჭრობისა და მიმოსვლების გზების და ცენტრების შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროების ნავთსადგურებში გადატანამაც ხომ საქართველოს ისედაც სავალალო მდგომარეობა საბედისწერო გახადა...

საქართველოს კულტურული დაქვეითების ნიშნები

პოლიტიკურად დანაწილებული და სამხედრო თვალსაზრისით დასუსტებული, ორს ძლიერს, მტრულად განწყობილ, მაჰმადიან სახელმწიფოს შუა მომწყვდეული საქართველო დამაღონებელს სანახაობას წარმოადგენდა: ქვეყნის მესვეურთ თითქოს გონიერება დაკარგეს და თავიანთ ქვეყნისა და პირადს კეთილდღეობასაც თავიანთივე მოქმედებით აცლიდნენ ნიადაგს.

ადამიანის ეგოისტურმა გრძნობამა და მხოლოდ პირად გადარჩენა-კეთილდღეობაზე ზრუნვამ სძლია და თემობრივმა განკერძოებამაც სახელმწიფოებრივისა და ეროვნული მთლიანობის შეგნებას აჯობა.

მაშინდელი საქართველოს კულტურული დაქვეითების მთელი სიღრმე იმაშიც ნათლად მოჩანს, რომ XV საუკუნისა და უფრო ადრინდელი ხელნაწერების ანდერძებსა და მინაწერებში წერისაცა და მართლწერის დიდი უვიცობაა საგრძნობი: ზოგიერთს მაშინდელს უცხოეთში გამგზავრებულს პირსაც-კი თავისი სახელისა და გვარის სწორად დაწერაც-კი აღარ შესძლებია. რა გასაკვირველია, რომ ასეთ პირობებში ამ საერთო კულტურული დაქვეითების წყალობით ქართული მხატვრული და საისტორიო მწერლობაც დადუმებული იყო. ეს კი არ არის გასაკვირველი, არამედ უფრო ის გარემოება, რომ, ამ ჯოჯოხეთური პირობებისდა მიუხედავად, ქართველი ხალხი არ დაიღუპა და მაშინაც ცდილობდნენ დამტყდარი უბედურებისათვის თავი დაეღწიათ, რომ ქართული ხელოვნების ზოგიერთ დარგებში მაშინაც ყოფილან კიდევ ისეთი წარმომადგენლები, რომელთაც თავიანთი მაღალხარისხოვანი შემოქმედების ნიმუშები დაგვიტოვეს. ამის დასარწმუნებლად თუნდაც **ულუმბოს** ეკლესის სარწმუნოებრივი და საერო შინაარსის იმდროინდელი კედლის მხატვრობისა და ალექსანდრე I დიდის ბრძანებით გაკეთებული ნაჭედი სურათებით შემკული დიდი ოქროს ჯვარის დასახელებაც კმარა, რომელნიც მათ შემქმნელ ხელოვანთა იშვიათ ნიჭსა და თავისი დარგის მაღალ ცოდნას უცილობლად ცხად-ჰყოფენ.

საქართველოს იმდროინდელი მდგომარეობა უცხო ქვეყნებში

იგივე უნდა ითქვას საქართველოს იმდროინდელს საგარეო მდგომარეობაზე. ყველა იმის შემდგომ, [რაც] საქართველოს გარეშე და შინაური მტრებისაგან XIII საუკუნიდან მოყოლებული გამოვლილი ჰქონდა, მისი სამხედრო ძლიერების შესუსტება და სახელმწიფოებრივობის დაკნინება ბუნებრივს შედეგს წარმოადგენს და ესეც, რასაკვირველია, განმაცვიფრებელი არ არის. პირიქით, გასაკვირველია, რომ ასე დაქუცმაცებულ-დაკნინებულმა საქართველომ შეინარჩუნა მაინც საერთაშორისო დამოკიდებულებაში ზოგი ის უპირატესობანი, რომელნიც მას წინა საუკუნეებში და ხანაში ჰქონდა მოპოვებული, თუ აღდგენილი, დასავლეთ ევროპის იმდროინდელი მოგზაურების თხზულებებში, ქართველთა მაშინდელი მდგომარეობა უცხო ქვეყნებში კარგად არის აღბეჭდილი და იქითგან ირკვევა, რომ ამ ხანაშიცა და ისეთ შორეულ ქვეყნებშიც, როგორიც საქართველოსთვის ეგვიპტე და პალესტინა იყო, ქართველებს პატივისცემით ეპყრობოდნენ და ყველა ის უპირატესობანი, რომელნიც-კი მათ წინათ ჰქონდათ, შეუნარჩუნებიათ. **ბართოლომე და სალინდაგო მოგვითხრობს**: იერუსალემში სალოცავად მისვლის დროს ქართველები,საზეიმოდ მორთულ-მოკაზმულ ცხენებსა და აქლემებზე სხედან და გაშლილ-აფრიალებული ეროვნული დროშებით თავისუფლად შედიოდნენ ქალაქში და სხვებივით სულტანს ამისთვის დაწესებულს გადასახადს არ აძლევენო. **სალინდაგო** ამასთანავე უმატებს, რომ ეგვიპტისა და ოსმალეთის სულტნებს ქართველებისა ეშინიათო.

დაცულია იმდროინდელი არაბული საბუთიც, რომლითაც ეგვიპტის მამლუკებს განკარგულება ჰქონდათ გაცემული და ქართველთა იერუსალემის ჯავრის მონასტრის უზრუნველსაყოფად საგანგებო არაბი მოხელე იყო დანიშნული. ის ვალდებული იყო საქართველოდან მომავალ მლოცავებს ალაბშივე (ალეპოში) დაჰხვედროდა, იქიდან იერუსალემამდის მიეცილებინა და უკან გაბრუნებისას ისევ ნავთსადგურამდე გამოჰყოლოდა. XV ს. მეორე, უკვე სომხური ცნობაც მოგვეპოვება, რომელშიც ქართველთა პოლიტიკური გავლენის მთელი ძალა აგრეთვე ნათლად მოჩანს. რა თქმა უნდა, ყველა ესეც უმთავრესად წარსული საუკუნეების საქართველოს სახელმწიფოებრიობის ანარეკლს წარმოადგენდა. თავის ადგილას, გიორგი V ბრწყინვალის მეფობაში, უკვე გვქონდა აღნიშნული, რომ საქართველოს საგარეო მდგომარეობა და წინანდელი უპირატესობანიც სწორედ მან აღადგინა. სახელმწიფოებრივი ძლიერების ძველი მარაგის მდიდარმა მემკვიდრეობამა და ქართველი ხალხის განთქმულმა მამაცობამ საქართველოს პოლიტიკური დაკნინების ხანაშიც მას საერთაშორისო ურთიერთობაში წინანდელი ადგილი და პატივისცემა შეუნარჩუნა.

კომენტარები

ა. პირველი ნაწილის

რედაქციის მიერ ამ ნაწილისათვის წამძღვარებულ «სქოლიოებში მითითებულ შემოკლებათა განმარტება» რამდენადმე განტვირთავს ქვემოთ მოტანილ შენიშვნებს, სადაც წარმოდგენილია ზოგიერთი ტექსტობრივი დაზუსტება და დასახელებულია ამა თუ იმ საკითხზე ივ. ჯავახიშვილის გარდაცვალების შემდეგ დაბეჭდილი სიახლის შემცველი უმთავრესი ნარკვევები თუ წყაროთა პუბლიკაციები.

გვ. 2. ჟამთააღმწერელის ტექსტის ბოლო გამოცემა დაიბეჭდა სიმ. ყაუხჩიშვილის რედაქციით (ქართლის ცხოვრება, ტ. II, თბ., 1959).

გვ. 4. შენ.1. კირაკოს განძაკელის თხზ. უკანასკნელი რუსული თარგმანი: Киракос Гандзакеци. История Армении, под ред. Л. А. Ханларяна, М., 1976.

გვ. 5. იხ. რ. კიკნაძის «კიდევ ერთი ქართული წყარო ლაშა-გიორგის ისტორიისათვის» («საქართველო რუსთაველის ხანაში», თბ., 1966).

გვ. 6. ჟამთააღმწერლის თხზულების კრიტიკული განხილვა იხ. ივ. ჯავახიშვილის «ძველ ქართულ საისტორიო მწერლობაში» (თხზ., ტ.VIII, თბ., 1977. გვ. 246-262).

გვ. 8. ეპიფანე კათოლიკოსის 1218 წლის ანისის ქართული წარწერის მნიშვნელობის შესახებ უფრო დაწვრილებით იხ. ივ. ჯავახიშვილი, სოციალური ბრძოლის ისტორია საქართველოში IX-XIII სს. წიგნში: ქართველი ერის ისტორია, ტ. III, თბ., 1966; Дондуа В., К социально-экономической жизни средневековой Грузии по анийской надписи (1218) Епифания, креб. АН СССР академику Н. Я. Марру, М. Л., 1935.

გვ. 9. შენ. 1. ნესევის დასახ. შრომა ბოლო დროს არაბულიდან თარგმნა, კომენტარები და საძიებლები დაურთო ზ. ბუნიავოთმა (З. Буниятов, Шихаб ад-Дин Мухаммед Насави. Жизнеописание султана Джалал ад-Дина манкбурны, баку, 1973).

გვ. 12. შენ. 1. ივ. ჯავახიშვილი უთითებს იბნ ალ-ასირის შრომის **«თარიხულ-ქამილი»-ს** დეფრემერისეულ ფრანგულ თარგმანს. არსებობს ტექსტის ტორნბერგისეული სრული გამოცემაც 12 ტომად (2 ტომი დამატებით შეიცავს საძიებლებს და შესწორებებს). იხ. Ibn el Athiri Chronikon quod perfectissimum inscribitur. ed. C. J. Tornberg, vol. I-XIV, Upsalie et Lugduni Batavorum, 1851-1876. ამიერკავკასიის შესახებ მისი ცნობები რუსულად თარგმნა ჟუზემ (П. Жузе, Материалы по истории Азербайджана из Тарихи ал-Камиль Ибн ал-Асира, Баку, 1940). იბნ ალ-ასირის ცნობები საქართველოს შესახებ შეისწავლა ბ. სილაგაძემ. იხ. მისი-XII-XIII სს. საქართველოს ისტორიის ზოგიერთი საკითხი იბნ ალ-ასირის ცნობათა შუქზე, კრებულში «საქართველო რუსთაველის ხანაში», თბ., 1966, გვ. 130-137.

გვ. 14. თბილისის მტრისაგან განთავისუფლება მომხდარა უფრო გვიან-1227 წ. თებერვალში (საქართვ. ისტ. ნარკვევები, ტ. III. თბ., 1979, გვ. 543-544).

გვ. 15. ხლათის აღება მომხდარა ცოტა მოგვიანებით-1230 წ. 14 აპრილს (დასახ. ნარკვ., ტ. III, გვ. 545).

გვ. 25. მონღოლთა სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური წყობის შესახებ ივ. ჯავახიშვილის შემდეგ გამოქვეყნდა: Б. Д. Греков, А. Ю. Якубовский. Золотая Орда и ее падение, М. Л., 1950; А. Ю. Якубовский, Из истории изучения монголов периода XI-XIII вв. ”Очерки по истории русского востоковедения», М., 1955; ვ. გაბაშვილი, მონღოლები (ნარკვევები მახლ. აღმოსავლეთის ისტორიიდან, თბ., 1957), ი. ცინცაძე, მონღოლები და მონღოლთა დაპყრობები (XII-XIII სს.), თბ, 1960, და სხვ.

გვ. 28. «ურუხი-ხვასტაგთ გვარი» (სულხან-საბა ორბ.).

გვ. 34. შენ. 2. «საიდუმლო თქმულება» (იხ. Сокровенное сказание-Юань чао бы ши, т. 1, М.-Л., 1941).

გვ. 35. შენ. 2. რაშიდ ად-დინისშრომის თანამედროვე კრიტიკული გამოცემები: Ф. Рашид ад-Дин, Джами ат-таварих (Сборник летописей), т. I, ч. I. Критич. текст А. А. Ромаскевича, Л. А. Хетагурова, А. Али-Заде, М., 1965; т. I, кн. 1. Перевод с персидского Хетагурова, М.-Л., 1952; т. II, кн. 2.. Перевод с персидского О. И. Смирногой, примеч. Б. И. Панкратовой, О. И. Смирновой, редакция Семенова, М. –Л., 1952; т. III. Перевод с персидкого А. К. Арендса, под ред. А. А. Ромаскевича, Е. Э. Бертельса и А. Ю. Якубовского, М,-Л., 1946; то же, под ред. А. Али-Заде, Баку, 1956.

გვ. 37. ჯუვეინის შესახებ იხ. რ. კიკნაძე, ჯუვეინის ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1974.

გვ. 51. ორმეფობის დროინდელი ამბების შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის XIII ს. იტალიელი მოგზაური პლანო კარპინი. იხ. მისი «ისტორია მონღოლებისა, რომელთაც ჩვენ თათრებს ვუწოდებთ», თარგმნილია რუსული გამოცემიდან გერონტი ქიქოძის მიერ (მასალები საქ. და კავკ. ისტორიისათვის, ნაკვ. II, თბ., 1942); იმავე პერიოდში იმოგზაურა აღმოსავლეთში აგრეთვე იტალიელმა ბერმა გუილიომ რუბრუკვისმა. მისი «მოგზაურობის» ტექსტი ფრანგული თარგმანიდან ქართულზე თარგმნა გ. ქიქოძემ (იხ. დასახ. «მასალები», ნაკვ. V, 1942 წ.).

გვ. 53, 66. მონღოლთა მიერ დაწესებული გადასახადებისა და ბეგარის შესახებ იხ.: В. В. Бартольд, Персидская надпись... Соч., т. IV, М., 1966; И. Петрушевский, Замлевладение и аграрные отношения в Иране XIII-XIV вв., Л., 1960; А. Али-Заде. Социально-Экономическая и политическая история Азербайджана в XIII-XIV вв. Баку, 1956, ბ. ლომინაძე, მონღოლური გადასახადები და სამხედრო ბეგარა (საქართვ. ისტ. ნარკ., ტ. III); რ. კიკნაძე, თამღა ილხანთა სახელმწიფოში («აღმოსავლ. კრებ», I, 1960); ვ. გაბაშვილი, მახლობელი აღმოს. სოც. ეკონომ. ისტორიის მასალები ჟამთააღმწერელის თხზულებაში (მახლობელი აღმ. სოციალურ-ეკონომიური ისტორიის ნარკვევები, თბ., 1968) და სხვ.

გვ. 68. კახა გამრეკელ-თორელის 1259 წ. რკონის მონასტრისადმი შეწირულობის წიგნის გამოც. იხ. ქართ. სამართლის ძეგლები, II, ი. დოლიძის რედ., თბ.,1966; В. Дондуа, Писание о вкладе Кахи Торели в Рконский монастырь («ქართ. წყაროთმცოდნეობა», II, 1968); Н. Шошиашвили. Рконская грамота, как исторический источник. Автореферат канд. диссертации, Тб.,1953.

გვ. 95. მ. პანარეტოსის «ტრაპიზონის ქრონიკის» უკანასკნელი მეცნიერულ-კრიტიკული გამოცემებიდან იხ. ალ. გამყრელიძის გამოცემა (მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 33, თბ., 1960).

გვ. 98. შენ. 1. მალაქია-გრ. აკანელი (შეცდომით იყო აღიარებული «მალაქია ბერად»). იხ. გრიგოლ აკანელი. მოისართა ტომის ისტორია. სომხური ტექსტი ქართული თარგმანითა და კომენტარით გამოსცა ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1961.

გვ. 99. ქ. თელავისა და ბელაქანის სადუნ მანკაბერდელის ხელში ჩაგდების თარიღად, რ. კიკნაძის გამოკვლევის მიხედვით, 1278 წ. ნაცვლად, უფრო სწორადაა მიჩნეული 1272 წ. იხ. მისი, XIII ს. II ნახ. საქართველოს ისტორიის ქრონოლოგიიდან («მაცნე», ისტორიის სერია, 1973, №4).

გვ. 103. შენ. 2. სტ. ორბელიანი; მისი «ცხოვრება ორბელიანთა»-ს ძველი ქართული თარგმანები, გამოსცა ე. ცაგარეიშვილმა, თბ., 1978.

გვ. 113. ხოჯა-აზიზის შვილისა და ხუტლუბუღა სადუნის ძის დემეტრე II-თან მტრული ურთიერთობის შესახებ იხ. რ. კიკნაძე. ახალი მასალა XIII ს. II ნახ. საქართველოს ისტორიისათვის («მაცნე», ისტორიის სერია, 1973, № 2).

გვ. 124. «დავით VI დემეტრეს ძე»-ამჟამად მიღებული მეფეთა რიგით დავით VIII (1291-1311).

გვ. 125. «სდგა [ხარ] ერთგულობასა...» კვადრატულ ფრჩხილში ჩასმული სიტყვა აღვადგინეთ ჟამთაღმწერლის ნუსხების მიხედვით (ჟამთააღმწერელი, ქართლ. ცხ., ტ. II, გვ. 297).

გვ. 125. აქ ივ. ჯავახიშვილი, ქეღათუს (1291-1295) გაყაენების დასაწყისად 1293 წ. სდებს, რაც კორექტურული შეცდომა ჩანს. ქეღათუ გაყაენდა 1291 წ. ივლისში და ამას თვითონ ივ. ჯავახიშვილიც აღნიშნავს ქართველი ერის ისტორიის III ტომის ე. წ. ვრცელ ვარიანტში. (იხ. 1966 წ. გამოც., 237).

გვ. 128. «ძაგნასარის» ნაცვლად უნდა იყოს «მანგასარ» ან «მანგასარისასა». იხ. რ. კიკნაძის დასახ. ნაშრ., გვ. 114, შენიშვნ., 173-4.

გვ. 137-138. ვახტანგ III-ის გამეფების თარიღად ივ. ჯავახიშვილი, ჟამთააღმწერლის ტექსტიდან გამომდინარე, 1302 წ. მიიჩნევდა. ეს თარიღი დამკვიდრდა ქართულ ისტორიოგრაფიაშიც. თ. ლომოურის აზრით, ვახტანგ III 1298– 99 წწ. უკვე სამეფო ტახტზე უნდა იჯდეს, რადგანაც შემორჩენილია ჰიჯრის 698 წ. დათარიღებული მისი მონეტა. იხ. თ. ლომოურის-დავით VIII-სა და ვახტანგ III-ის ფულები (საქართველოს მუზეუმის მოამბე, ტ. XV-B, 1948,. 75-78; ჯ. ოდიშელი, აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკური ისტორიისათვის XIV-XVII სს. კრებულში- «XV-XVIIII სს. რამდენიმე ისტორიული დოკუმენტი», თბ., 1964).

გვ. 144. ვაშლოვანი მდებარეობს იმიერტაოში, უღელტ. გურჯი-ბოღაზის (ქართველთა ყელის) ჩრდ. დასავლეთით. იხ. ა. თორდია, ვ. კიკნაძე, ქართლის ცხოვრების ერთი პუნქტის ლოკალიზაციისათვის (ვაშლოვანი). ახალგ. მეცნ. მუშაკთა საქალაქო კონფერენციის თეზისები, თბ., 1981.

გვ. 150. «მცირე გიორგი» -გიორგი VI მცირე, დავით VIII-ს ძე (1309-1317).

გვ. 151. ყაზან-ყაენის (1295-1304) რეფორმების შესახებ იხ. რაშიდ ადდინი, «ჯამი ათ თავარიხ», ბაქო, 1957 (ალი-ზადეს რედაქციით, არენდსის რუსული თარგმანით): И. Петрушевский, Земледелие и аграрн. отношения в Иране XIII-XIV вв., Л., 1960; Фомина, Реформы Газан-хана, Ученые записки Института востоковедения АН СССР, т. XVII, 1959, და სხვ..

გვ. 151. ქვემოდან X-XI სტრიქონოები ივ. ჯავახიშვილის ავტოგრაფიული ტექსტის მიხედვითაა შევსებული-ჩართულია სიტყვები- «ისევე მათ უღელქვეშ მყოფი სხვა ქვეყნებისათვის».

გვ. 153. მარკო პოლოს მოგზაურობის ტექსტი გამოცემული იყო ევროპულ ენებზე. არსებობდა რუსული თარგმანიც - И. П. Минаев, Путешествие Марко Поло, под ред В. Бартольда, СПБ.,1902 (ЗИРГО, по отд. этнографии, т. XXVI).

გვ. 158. XIII-XVI სს. საქართველოს სოციალურ წყობაში მომხდარი ცვლილებების შესახებ უფრო დაწვრილებით იხ. ბ. ლომინაძის მიერ დაწერილი თავები საქართვ. ისტ. ნარკვევების III ტომში (1979 წ.).

გვ. 163. სამეცნიერო ლიტერატურაში მიუთითებენ გიორგი V ბრწყინვალის გამეფების ორ თარიღზე - 1314 და 1318 წწ. ივ. ჯავახიშვილი თვლის, რომ გიორგის მეფობა 1318 წელზე «გაცილებით ადრე უნდა დაეწყო». ამ თარიღის დაზუსტებაზე მსჯელობენ: ჯ. ოდიშელი წერილში- აღმ. საქართველოს პოლიტიკური ისტორიისათვის XIV-XVII სს. (დასახ. კრებულში) და ვ. კიკნაძე-გიორგი V-ის გამეფების თარიღის საკითხისათვის («საისტორიო კრებული», VII, თბ., 1977).

გვ. 164. შენ. 1. «ძეგლის დადება» სათანადო წინასიტყვაობითა და გამოკვლევით, გამოსცა ი. დოლიძემ -«გიორგი ბრწყინვალის სამართალი», თბ., 1957 წ., იხ. აგრეთვე,»ძეგლის დადება მეფეთ-მეფის გიორგის მიერ» (ქართული სამ. ძეგლები, ტ. I, ი. დოლიძის რედ., თბ., 1963 წ., გვ. 401-421 და 614-619, სადაც შენიშვნებია).

გვ. 167. შენ. 1. «წიგნი სამართლისა კაცთა შეცოდებისა ყოველისავე»- იხ. სამართალი ბექასი და აღბუღასი, ქართ. სამართლის ძეგლები, ტ. I, ი. დოლიძის რედ., თბ., 1963; მისივე მონოგრაფია, ძველი ქართული სამართალი, თბ., 1953.

გვ. 169. შენ. 1. «ძეგლი ერისთავთა». იხ. შ. მესხიას გამოცემა (მასალები საქართველოსა და კავკ. ისტორიისათვის, ნაკვ. 30, თბ., 1954); Памятник эриставов. Перевод, исследование и примечания С. С. Какабадзе, ТБ.,1979.

გვ. 173. გიორგი V-ს მიერ საკუთარი მომენტის მოჭრის საკითხში გამოთქმულია სხვადასხვა თვალსაზრისი. იხ. დ. კაპანაძე, ქართული ნუმიზმატიკა, თბ., 1969; მისივე, Продолжительность и характер монгольского владычества по нумизматич. данным, ”Сов. Археология”, № 2, М., 1964. გ. დუნდუა, სამონეტო მიმოქცევის საკითხისათვის XV ს.

საქართველოში, თბ., 1964.; **D. M. Lang, Georgia in the reign of Giorgi the Brilliant, BSOAS,** 1955 (XVII) 1; ვ. გაბაშვილი, საქართველოში მონღოლთა ბატონობის ხანგრძლივობის საკითხისათვის (აღმოსავლ. კრებ., I, თბ., 1960).

გვ. 173. «ხელმწიფის კარის გარიგებაზე» იხ. ქართული სამართლის ძეგლები, ი. სურგულაძის გამოცემა (ტექსტი გამოკვლევითურთ), თბ., 1970.

გვ. 174. «მეფეთა მფარველისა» - უკანასკნელი სიტყვა ივ. ჯავახიშვილის დედანში არაა, თუმცა ადგილია დატოვებული. აღვადგინეთ საქართველოს XI-XV სს. ისტ. მოკლე კურსის მიხედვით (ქართვ. ერის ისტ., ტ. III, თბ., 1966, გვ. 403).

გვ. 176. ელ. მეტრეველის გამოკვლევით, გიორგი V-მ ჯვრის მონასტერი კი არ დაუბრუნა ქართველებს (როგორც ამას ვარაუდობდა ივ. ჯავახიშვილი, არაბულ წყაროზე დაყრდნობით), არამედ-იერუსალიმის ქრისტეს საფლავის სალოცავის კლიტე (კლიტენი იერუსალემისანი»); ჯვრის მონასტრის ქართველთათვის დაბრუნება, მის მიხედვით, 1305 წ. უნდა მომხდარიყო (ე. მეტრეველი, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, თბ., 1962, გვ. 45-46).

გვ. 179. «დავით VII», - დავით IX გიორგი V-ს ძე-(1346-1360).

გვ. 182. თემურ-ლენგის ხანის წყაროების პუბლიკაციებისა და შესწავლის თანამედროვე მდგომარეობის შესახებ იხ. მონოგრაფიები: კ. ტაბატაძე, ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ XIV-XV სს. მიჯნაზე, თბ., 1974; ასევე: დ. კაციტაძე, საქართველო XIV-XV სს. მიჯნაზე, თბ., 1975.

გვ. 183-184. თემურ-ლენგის საქართველოში ლაშქრობებისა და საერთოდ მისი დაპყრობითი ომების მიზეზებისა და მიზნების შესახებ უფრო ფართოდ იხ. დ. კაციტაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 66-110.

გვ. 186. ივ. ჯავახიშვილი თემურ-ლენგს ხშირად უწოდებს «მონღოლთა ბრძანებელს» .თემური უკვე (XIV ს…) გათურქებული მონღოლი ტომის (ბარლასთა) წარმომადგენელი იყო.

გვ. 186. შენ. 3. **ქაითუს** მთის შესახებ იხ. Летопись Себастаци, წიგნში: Армянские источники о монголах. Перевод с древнеармянского и комментарий А. Г. Галстяна, М., 1962, С. 29, 212 (შენ. № 56).

გვ. 192. «გიორგი VI, ბაგრატ V-ის ძე»-ივ. ჯავახიშვილის დედანში უმეტესად სწორად არის ნაჩვენები გიორგი VII-დ (1393-1407), ამიტომ წიგნშიც ყველგან ასეა გასწორებული.

გვ. 192. სომხურ ხელნაწერთა ფონდების შესწავლის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ნაშრომი: სომხურ ხელნაწერთა XIV-XV სს. ანდერძების (ჰიშატაკარანების) ცნობების საქართველოს შესახებ. ძვ. სომხურიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო ალ. აბდალაძემ, თბ., 1978.

გვ. 204. **რკონის** ეკლესიის მოტანილი წარწერა ივ. ჯავახიშვილს ადგილზე გადმოუწერია. იხ. მისივე, ქართვ. ერის ისტ., ტ. III, თბ., 1966, გვ. 299.

გვ. 228. შენ. 1. ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლ. ცხ., ტ. IV, თბ., 1973 (ს. ყაუხჩიშვილის რედ.).

გვ. 229. შენ. 1. არსებობს ი. შილტბერგერის «მოგზაურობის» XIX ს. რუსული თარგმანიც; იხ.: Путешествия И. Шильтбергера по Европе, Азии и Африке с 1394 г. По 1427 г. Перевел с намецкого и снабдил примеч. Ф. Брун (Записки Имп. Новороссийск. Университета, т. I, Одесса, 1887).

ბ. მეორე ნაწილის

«მეორე ნაწილს» თვით ავტორმა დაურთო «ქარაგმიანი და შემოკლებული სიტყვების განმარტება» და წიგნში «განხილული და მოხსენებული ისტორიული ძეგლების და გამოკვლევების» სია, რაც აქ უცვლელად იბეჭდება. ორივე მათგანს სისრულე აკლია და ბევრი რამ განმარტებას საჭიროებს. ამიტომ კომენტარებში ბევრი მეტი დაეთმო წყაროებისა და ლიტერატურის დასახელებასთან დაკავშირებულ გასწორება-შევსებას. ამავე დროს, აქაც დავიწყებული არაა სხვა რიგის საჭირო დაზუსტებანი თუ მითითებანი უკანასკნელი პერიოდის უმთავრეს ნარკვევებსა და პუბლიკაციებზე, რომლებშიაც წიგნში აღძრული საკითხები შედარებით უფრო მეტი სიღრმით შუქდება.

გვ. 237-239. ივ. ჯავახიშვილი თვითონ გვანიშნებს, რომ მის მიერ დაწერილი XIII-XIV სს. ისტორიისაგან განსხვავებით, XV საუკუნისადმი მიძღვნილ ნაშრომში წარმოდგენილია «საქართველოს ამ ხანის კრიტიკული ისტორია», სადაც «შეძლებისამებრ» გაშუქებულია «პოლიტიკური ამბების მთავარი მამოძრავებელი მიზეზებიც».

ეს წიგნი «ჩვეულებრივ, ადვილ საკითხავ წიგნად არც არის განზრახული და განკუთვნილი»-ო, დასძენდა მეცნიერი (გვ. 239).

გვ. 244. შენ. 2. «დამატების» ავტორისეულ განმარტებაში (იხ. მისი «შემოკლ. განმ») იგულისხმება «ქართლის ცხოვრების» დასახ. ვარიანტის 1906 წ. გამოცემა სამი დამატებით.

გვ. 244. შენ. 5. «მ. ჯანაშვილის გამ.»- იგულისხმება «ვახტანგის ისტორიკოსთა კომისიის ნაშრომი» (გვ. 38), ტექსტი, რომელიც «B» ხელნაწერის მიხედვით გამოსცა მ. ჯანაშვილმა 1907 წ. თავისი «ნაშრომი»-ს I წიგნში.

იხ. ეგნატაშვილი ბერი. ახალი ქართლის ცხოვრება. XVIII ს. დამდ. I: ტექსტი ივ. ჯავახიშვილის წინასიტყვაობითა და რედაქციით, თბ., 1940 წ. გამოცემულია «A» და «B» ხელნაწერების მიხედვით. შემდეგი გამოცემა ეკუთვნის ს. ყაუხჩიშვილს («ქართლის ცხოვრება», II, 1959 წ.).

გვ. 244. შენ. 6. «ივ. ჯავახიშვილი, ისტორიის მიზანი, წ. I»-ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა. წიგნი I. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა (V-XVIII სს), თბ., 1916 წ.

იხ. ბოლო გამოცემა - ივ. ჯავახიშვილის თხზულებანი, ტ. VIII . 1977 წ., რედ. მ. ლორთქიფანიძე.

გვ. 249. დამოწმებულია ქართველი ერის ისტორიის III ტომის ხელნაწერი, რომელზედაც მუშაობა ავტორმა 1940 წ. დაასრულა. გამოიცა 1941 წ.

გვ. 254. ”ვახუშტი, ისტ.»- ვახუშტი. საქართველოს ისტორია, განმარტებული და შევსებული ახლად შეძენილის არქეოლოგიურისა და ისტორიულის ცნობებით დ. ზ. ბაქრაძის მიერ. ნაწ. I, თბ., 1885 წ. ერთვის დამატება.

ბოლო და სრული გამოცემა: ქართლის ცხოვრება, ტ. IV. ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973 წ.

გვ. 256. « თომა მეწობელის (მეწოფეცის) თხზულება», «თ. მეწობელის ისტ.» (გვ. 195). ავტორი სარგებლობს 1860 წ. პარიზის გამოცემით: «ლანგ-თემურისა და მის მემკვიდრეთა ისტორია», სომხურ ენაზე.

მეწოფეცის თხზულებაში დაცული საქართველოს შესახები ცნობების ქართული თარგმანი გამოსცა ლ. მელიქსეთ-ბეგმა (თომა მეწოფელი... თბილისი, 1937 წ).

გვ. 257-258. საქართველოსაგან ლორეს ჩამოცილებისა და მისი დაბრუნების შესახებ დაწვრილებით მსჯელობს ა. აბდალაძე (იხ. მისი «სომხურ ხელნაწერთა XIV-XV სს. ანდერძების... ცნობები საქ. შესახებ», გვ. 143-146, კომენტარები).

გვ. 262. ბროსეს ნაშრომის დამოწმებაში გვ. 6-ის ნაცვლად უნდა იყოს 7.

გვ. 263. «მოხილვა წმინდათა ადგილთა, პ. იოსელიანის გამ.»- გაბაშვილი ტიმოთე, მთაწმინდისა და იერუსალიმისა და სხვათა ადგილთა მიმოხილთა, პ. იოსელიანის წინასიტყვაობით, თბ., 1852 წ.

იხ. «ტიმოთე გაბაშვილი. მიმოსლვა». ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ელ. მეტრეველმა, თბ., 1956.

გვ. 268. შენ. 6. გვ. 132. დასახ. «პარიზის ქრონიკის» ზ. ჭიჭინაძისეული გამოცემა. ბოლო გამოცემა იხ. «ცხოვრება საქართველოჲსა» (პარიზის ქრონიკა). ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გიული ალასანიამ. თბ., 1980.

გვ. 274. შენ. 2. გიორგი ფრანძესის ელჩობის შესახებ იბერიასა და ტრაპიზონში იხ. **გეორგიკა**. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. VIII. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა, თბ., 1970 წ., გვ. 49-88. იქვე მითითებული **ლებოს** ნაშრომი გამოქვეყნდა პარიზში 1836 წ.

გვ. 280. VI მსოფლიო კრების კანონებზე იხ. "დიდი სჯულის კანონი», ე. გაბიძაშვილის რედ., თბ., 1975; მისივე რედ. - «მცირე სჯულის კანონი», თბ., 1973 წ.

გვ. 286. მაშინდელი აზერბაიჯანის შესახებ იხ. И. Петрушевский. Государство Азербайджана в XV в. (Сборник статей по истории Азербайджана, вып. I, 1949).

გვ. 288. შენ. 1. ჰერცტბერგის წიგნის სრული დასახელება - **Geschichte der Bizantine und Osmanischen Reiches bis gegen Ende des sechzenten Jahrhundert, Berlin, 1833**

გვ. 290. ლ. ბოლონიელისა და ქართველთა ელჩობის შესახებ იხ. **A. Bryer, Ludovico da ' Bologna and the Georgian and Anatolian embassy of 1460 – 61 ("Bedi Kartlisa" № XIX – XX, Paris, 1965, p. 178 -198).**

გვ.290,291 (292, 294). ენეა სილვიოსა და ვადინგოს ცნობებს ავტორი იყენებს ორიგინალებში მ. თამარაშვილის იქვე დასახ. გამოცემის მიხედვით - «ისტ. კათ.» - ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის. ნამდვილი საბუთების შემოტანით და განმარტებით, XIII საუკ. ვიდრე XX საუკუნემდე. თბ., გამოც. ავტორისა, 1902.

გვ. 290. «პიი II ». ერისკაცობაში «ენეა სილვიო» (Aenea Silvius).რომის პაპად აირჩიეს 1458 წ. ცნობილია თავისი პოეტური და ისტორიულ-ლიტერატურული ხასიათის ნაწარმოებებით.

გვ. 298. ქ. ბურსა (ან «ბრუსა») მდებარეობს მარმარილოს ზღვის (ჰემლიყის სრუტის) სამხრეთით.

გვ. 297. შენ. Hammer J., Geschichte des Osmanischen Reiches grossenheils aus bisher unbenützen Handschriften und Archiven, 2 verb. Aufl., Bd. I – IV, Pesth. 1834-1836. ივ. ჯავახიშვილი სარგებლობს ფრანგული თარგმანით.

გვ. 297. შენ. 4. პ. ჰორნის აღნიშნული სტატია დაიბეჭდა: "Grundriss der iranischen Philologie" Hersg. Von W.- Geiger und Kuhn, Strassburg, Bd. II (1894 – 1904).

გვ. 298-99. დასახ. ამბებთან დაკავშირებით იხ. ლ. ტარდი, ვენეციის როლი უნგრეთთან საქართველოსა და სპარსეთის ურთიერთობაში (დაიბ. კრებულში « ევროპის ქვეყნების ისტორიის პრობლემები», თბ. 1978).

გვ. 299-300. «მოკლე კურსში» (იხ. აქ დართ. დამატება, გვ. 441) ნაცვლად 1461 წლისა მითითებულია 1460 წ. კარლოს VII 1461 წ. ივლისში შეცვალა ლუი XI-მ. ასე რომ, 1461 წ. შეიძლება უფრო ზუსტი იყოს; ელჩები ხომ ორივე მეფეს შეხვდნენ.

გვ. 310. ზევდგენიძეთა საბუთები დაიბეჭდა «საქართველოს სიძველენის» IV წიგნში კი არა (ასეთი ტომი არ გამოცემულა), არამედ III ტომის დამატებაში, რომელიც ე. თაყაიშვილმა 1926 წ. გამოაქვეყნა. ამ დამატებაში, ზევდგენიძე - ამილახორის «საჩივრის წიგნი», დარბაზისადმი წარმოდგენილი, არაა. ჩანს, ივ. ჯავახიშვილი ამ დოკუმენტს ხელნაწერში გაეცნო. ეს «საჩივრის წიგნი» გამოაქვეყნა ნ. ბერძენიშვილმა. იხ. მისი «ფეოდალური ურთიერთობიდან XV საუკუნეში

(დოკუმენტები კრიტიკული წერილით)». დაიბეჭდა «მასალებში საქ. და კავკ. ისტორიისათვის», 1937 წ., ნაკვ.I.

გვ. 315. შენ. 3. იგულისხმება С. Белокуров, Сношения Росии с Кавказом. Материалы, извл. из Москов. гл. архива Минист. иностр. дел., Вып. I, 1578-1613, М., 1889.

გვ. 328-342. იტალიელი მოგზაურების ბარბაროსა და კონტარინის შესახებ, დასახ. გამოცემებთან ერთად, იხ. მათი თხზულების რუსული თარგმანები წიგნში - Библиотека иностранных писателей о России отд. I, СПб, 1836; Е.Ч. Скрижинская, Барбаро и Контарини о России, 1971, აგრეთვე; XV ს. იტალიელ მოგზაურთა ცნობები საქართველოს შესახებ. თარგმნა და გამოსცა ე. მამისთვალიშვილმა, 1981.

გვ. 340. შენ. 1. იხ. «ქართული სამართლის ძეგლები», ტ.III, ი. დოლიძის რედ., თბ., 1970; ამავე საგანზე გამოკვლევა - «დიდი სჯულისკანონის» დასახ. გამოცემაში.

გვ. 340. შენ. 3. «სასწ. სვეტიცხოვლისანი» («ნიკოლოზ კათოლიკოსი - სასწაულნი სვტიცხოვლისანი», გვ. 197) - «საკითხავი სუჭტის ცხოველისაჲ...» შედგენილი ნიკ. კათალიკოსის მიერ, გამოც. 1908 წ.

გვ. 341. მაშინდელი საქართველოს ირანთან ურთიერთობის შესახებ იხ. რ. კიკნაძე, საქართველო-ირანის ურთიერთობის ისტორიიდან XV საუკუნის II ნახევარში (ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, VII, 1963).

გვ. 349. ივ. ჯავახიშვილი კონსტანტინე II-ის გამეფების შესახებ თარიღად «მოკლე კურსში» (იხ. აქ დართ. დამატება, გვ. 451) ასახელებს 1479 წ.

გვ. 356-357. კინკლოსების ისტორიული მინაწერები გამოსცა ჯ. ოდიშელმა - მცირე ქრონიკები (კინკლოსების ისტორიული მინაწერები), თბ., 1968 წ.

გვ. 358 «სპარსი წმ. გიორგის» შესახებ: ამ სალოცავს ივ. ჯავახიშვილი გაკვრით იხსენიებს, აგრეთვე, ქართვ. ერის ისტ. I ტომში (1979 წ., 89). ვახუშტის განმარტებით, «გერის მთის თხემზედ არს **ეკლესია სპარსის წმიდის გიორგისა**, და არს ხატი დიდი ოქროსი, სპარსთაგან ქმნული. სასწაულისათჳს მის მიერ ქმნულისა, და აწცა არს სასწაულიანი» (ვახუშტი, «ქ. ცხ.» IV, 1973, თბ., გვ. 371). ამგვარად, ორთა ბრძოლის დროს მაჩაბელს დაუფიცებია თავისი კუთხის მთავარი სალოცავი.

გვ. 365. შენ. 2.**"Bulletin de I' Akademie imp. Sciences de St. Petersbourg".**

გვ. 366. იაყუბ-ყაენის პირველ შემოსევის თარიღად რ. კიკნაძე მიიჩნევს 1482 წელს (იხ. მისი დასახ. ნაშრ., გვ. 127; საქ ისტ. ნარკვევები, ტ. III, 1979 წ., გვ. 748).

გვ. 368. "Hist. Mod., I" – Brosset M., Histoire de la Geogie, II-e partie. Histoire moderne. I-re Iivraison... SPb, 1856.

გვ. 369. შენ. 3. "გგ˜ფა, ბროს" - «გეოგრაფიული («ღეოღრაფიული») აღწერა საქართველოჲსა ბატონიშვილის ვახუშტის მიერ, მის ნამდჳლზე (ორიგინალის მიხედვით), დაბეჭდილი აკადემიკოს ბროსეტისა-გან», სპბ, 1842.

გვ. 371, 395, 398-411. ივ. ჯავახიშვილი ძირითადად სწორად განსაზღვრავს საქართველოს პოლიტიკური დაშლის გამომწვევ მიზეზებს. რამდენადმე დარღვეულია მხოლოდ თანამიმდევრობა მათ ჩამოთვლაში. მიზეზთა შორის უპირატესობა ენიჭება საგარეო და ფსიქოლოგიურ ფაქტორებს. აქ გარკვეული გადაჭარბება იგრძნობა, მაგრამ მოცემულ მსჯელობას ხსენებული პროცესის თავისებურებათა ცხადყოფისათვის უდავოდ დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

ივ. ჯავახიშვილის შემდეგ ისტორიკოსთა მომდევნო თაობამ შედარებით მეტი ყურადღება დაუთმო საშინაო ფაქტორებს, დაიხვეწა საკითხისადმი მეთოდოლოგიური მიდგომა.

იხ. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. II, თბ., 1965 წ.; ტ. III, (1966 წ.); აბ. კიკვიძე, სამცხის სამთავროს წარმოშობა საქართველოს ფეოდალურ მონარქიაში (თსუ

შრომები, XXXVII, 1949); დ. გვრიტიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან (XV-XVII სს.), II, თბ. 1965; ბ. ლომინაძის გამოკვლევები საქართველოს ისტორიის ნარკვევების III ტომში (1979 წ.); ავტორთა კოლექტივი. საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის პერიოდიზაცია, თბ., 1980 წ. და სხვ.

გვ. 404-405, 406. მეცნიერი მოკლედ ჩერდება საქართველოს პოლიტიკური დაშლის ეკონომიკურ მიზეზებსა და შედეგებზე.

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ერთიანი პროცესის საკითხები შედარებით გვიან მოექცა ქართველ საბჭოთა ისტორიკოსების ყურადღების ცენტრში. გამოქვეყნდა დოკუმენტური მასალები, დაიწერა განმაზოგადებელი ნარკვევები, რომლებშიაც მეტნაკლებად აისახა XV საუკუნის სინამდვილეც:

მასალები საქართელოს ეკონომიური ისტორიისათვის, წ. I. მასალები შეარჩია და გამოსცა ნ. ბერძენიშვილმა, თბ., 1938 წ; ნ. ბერძენიშვილი, საქ. ისტ. საკითხები, წ.II, 1965 წ.; Ш. Месхиа, Города и городской строй феодальной Грузии, თბ., 1959; გ. დონდუა, სამონეტო მიმოქცევის საკითხისათვის XV ს. საქართველოში, თბ., 1964 და სხვ.

გვ. 407.»ათონის კრებული», «აღაპები, ათონის კრებული» (1950 - ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელნაწერი აღაპებით, საიუბილეო გამოცემა საეკლესიო მუზეუმისა. თბ., 1901 წ.

გვ. 409 (410). ივ. ჯავახიშვილის საქართველოს ეკონომიური ისტორიის II ტომი გამოქვეყნდა 1935 წ.

გ. დამატების

1940 წ. დაწერილ «მოკლე კურსში» შედარებით უფრო ღრმადაა გააზრებული XV ს. საქართველოს ისტორიული განვითარების პროცესები. ცალკე პარაგრაფების სახითაა გამოყოფილი «მოსახლეობის სოციალური განშრევების პროცესი», «პატრონყმობიდან» «ბატონყმობაში» გადასვლის საფეხური, გლეხთა ფეოდალური ექსპლუატაციის გაძლიერება და სხვ.

გვ. 441. ფრანგ მეფეებთან ქართველი ელჩების შეხვედრის თარიღის დაზუსტება იხ. II ნაწილის კომენტარები - გვ. 299-300.

გვ. 451. კონსტანტინე II-ის გამეფების განსხვავებული თარიღის შესახებ იხ. II ნაწილის კომენტარები- გვ. 349.

გვ. 459. განსაკუთრებით გაფართოვდა ივ. ჯავახიშვილის შემდეგ საქართველოს სოციალური განვითარების პრობლემის შესწავლა. ეს შეეხო XV ს. სინამდვილესაც.

იხ. ნ. ბერძენიშვილის დასახ. ნარკვევები; ვ. გაბაშვილის - ქართული ფეოდალური წყობილება XVI-XVII სს., თბ., 1958 (თავები II-IV); დ. გვრიტიშვილის, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1955; З. Анчабадзе. Из истории средневековой Абхазии (VI-XVII вв.), Сухуми, 1959 г.; გ. აკოფაშვილის, სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან XV-XVIII სს. ქართლში, თბ., 1965 წ.; ო. სოსელიას, ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან, თბ., 1966; საქართველოს ისტ. ნარკვ., ტ. III 1979 წ. (ბ. ლომინაძის მიერ დაწერილი თავები - XII-XIV) და სხვ.

გვ. 461-462. ქართული ფეოდალიზმის ბატონყმური პერიოდის განსაზღვრის შესახებ ჩვენს ისტორიოგრაფიაში სხვადასხვა თვალსაზრისი არსებობს. იხ. ავტორთა კოლექტივის - საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის პერიოდიზაცია, თბ., 1980 წ.

გვ. 465. ივ. ჯავახიშვილის შემდეგ საქართველოში საგრძნობი მუშაობა ჩატარდა დოკუმენტური წყაროების შესწავლა-გამოცემის მიმართულებით. პუბლიკაციებში სათანადო

ადგილი ეთმობა XV საუკუნეს: პ. ინგოროყვა, სვანეთის საისტორიო ძეგლები, ნაკვ. II, თბ., 1941 წ.; ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II. საერო საკანონმდებლო ძეგლები (X-XIX სს.). ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1965; ტ. III. საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX სს.), თბ., 1970, (მისივე რედ.); დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, I, ბატონყმური ურთიერთობა (XV-XVIII სს.), თბ., 1940; ტ.II (XV-XIX სს.) თბ., 1953, (ნ. ბერძენიშვილის რედაქციით); ქ. შარაშიძე, საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVIII სს.). გამოკვლევა და ტექსტები, «მასალები საქ. და კავკ. ისტორიისათვის», ნაკვ. 30, 1954; მისივე სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, თბ, 1961; სომხურ ხელნაწერთა XIV-XV სს. ანდერძების (ჰიშატაკარანების) ცნობები საქართველოს შესახებ. ძვ. სომხურიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო ალ. აბდალაძემ, თბ., 1978 წ.; ნ. შენგელია, XV-XIX სს. საქართველოს ისტორიის ოსმალური წყაროები, თბ., 1974 წ.; ბ. გიორგაძე, ვენეციელი ავტორის მარინო სანუტოს ცნობები საქართველოზე (XV-XVI სს. მიჯნა) დაიბ. კრებულში «ევროპის ქვეყნების ისტორიის პრობლემები», II, თბ., 1978 და სხვ.

XX ს. 20-70-იან წლებში ფეოდალური ეპოქის შესწავლის დარგში მოპოვებულ წარმატებათა შესახებ იხ. მოკლე მიმოხილვა - "ქართული ფეოდალიზმის ისტორიის შესწავლა 60 წლის მანძილზე" (დაიბეჭდა კრებულში "ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფიის ძირითადი მიღწევები», თბ., 1978 წ.).

საქართველოს ვითარება მეთხუთმეტე საუკუნეში

საქართველოს ეკონომიური მდგომარეობა XV

როგორც დავრწმუნდით, თითქმის მთელი მეთხუთმეტე საკუნის განმავლობაში ბრძოლა წარმოებდა საქართველოს განმაახლებელსა და დამაქვეითებელს ძალას შორის. თემურლენგთან უთანასწორო ხანგძლივსა და გამანადგურებელს ბრძოლაში ჩვენი ქვეყანა იმდენად აოხრდა და ეკონომიურად დაზარალდა, ხალხი იმდენი დაიხოცა, რომ მხოლოდ საგანგებოდ ხელშემწყობი პირობების წყალობით, თანაც დიდი დროის განმავლობაში შეეძლო ქართველ ერს იმ საშინელი მდგომარეობისათვის დაეღწია თავი, რომელშიც ის ჩავარდა.

წლბის განმავლობაში მიმდინარე ომმა, მეტადრე თემურლენგისაგან ბრძოლის წარმოების წესად ეკონომიური ომის გამოყენებამ საქართველოს ქონებრივი კეთილდღეობის თვით საფუძველიც-კი მოუსპო. რაღა აღადგენდა გაკაფულ ბაღ-ვენახებს და მტრის ხელით განადგურებულს სასოფლო მეურნეობის სხვა დარგებს... რამდენი დრო და რამდენი ძალა, მუშა-ხელი იყო ამისათვის საჭირო. ბრძოლის დროს გაწყვეტილი და ომის მსხვერპლად ქცეული მოსახლეობა-კი იმდენად შეთხელდა და შემცირდა, რომ არამცთუ გაუკაცრიელებული სოფლების აღდგენა ძნელი იყო, უმეტეს შემთხვევაში შეუძლებელიცკი შეიქმნა, არამედ გადარჩენილ დაბა-სოფლებშიც-კი გაპარტახებული მიწების წინანდებურად დასამუშავებლად აღარც მუშა-ხელი იყო და აღარც სხვაფრივ შესწევდათ ძალ-ღონე. XVI ს. საბუთებიდანაც-კი ჩანს, რომ ბარად ქვეყანა სანახევროდ, ზოგან ნახევარზე მეტადაც-კი აოხრებულ- გაპარტახებული ყოფილა.

ქვეყნის აოხრებულობა და სასოფლო მეურნეობის დაქვეითება

ცხადია, რომ XIV ს-ში, თემურლენგის შემოსევისა და ველურობის მთელი ეს შედეგი ამაზე უფრო მეტი საშინელებით წარმოუდგებოდა ადამიანს და გავერანებული ადგილების რაოდენობა ზემოაღნიშნულზე უფრო დიდი იქნებოდა. ამიტომაც არის, რომ XV-ს-ითგან ქართულ ძეგლებში ასე ხშირად შეხვდება მკითხველი წინათ ასეთ შვიათსა, ანდა სრულებით უცნობსაც-კი ტერმინებს, როგორც **ნაფუზარი, ნასახლარი, ნასოფლარი, ნაქალაქევი, ნავენახევი, პარდახტი** და სხვაც ამის მსგავსია.

რა თქმა უნდა, ყველა ამის გამო საქართველოს ეკონომიური კეთილდღეობა უნდა ძალზე გაუარესებულიყო, მეტადრე სასოფლო მეურნეობის დაკნინებისა და დაქვეითების შედეგად. დას. საქართველოშიც-კი, რომელიც მტრის შემოსევისაგან, აღმოსავლეთთან შედარებით, ნაკლებ დაზარალდა, კულტურული დაქვეითება ცხადად საგრძნობი გახდა. ამ მიზეზის გამო XV საუკუნეში მევენახეობა-მეღვინეობა იმდენად გაუარესდა, რომ სამეგრელოში ადგილობრივ ღვინოსაც-კი ხეირიანს ვეღარ აყენებდნენ და იქაური ღვინო ტრაპიზონიდან შემოტანილსაც-კი ჩამოუვარდებოდა ღირსებით.

ამგვარადვე წინათ უძველეს დროიდან თავისი სელის ქსოვილებით, ტილოთი, განთქმული კოლხეთი, ეხლა ამ დარგშიც დაქვეითებული იყო: ქსოვილები აქ დაბალხარისხოვანი-ღა იშოვებოდა. ამიტომაც აქაური ტოლებიც უცხოეთში უკვე გაცილებით ნაკლებ გაჰქონდათ.

თუმცა აღმ. საქართველოში სასოფლო მეურნეობა და მრეწველობა ასე დაქვეითებული არ იყო, მაგრამ აქაც ინტენსიური მეურნეობის წარმოებისათვის ხალხს ძალა აღარ შესწევდა და სასოფლო მეურნეობის დარგიდან სხვებზე ნაკლებ უფრო ადვილად გასაძღოლი მესაქონლეობისდარგი იყო დაზარალებულ-ჩამორჩენილი.

საქართველოს კულტურული დაქვეითება

ხანგრძლივმა ომმა და მტრის მტარვალობამ მოსახლეობის გაბოროტებასა და გაავებას,მის გონებრივ-ზნეობრივს დაქვეითებასაც შეუწყო ხელი, რათგან, მშვიდობიანი ნაყოფიერი მუშაობის მგიერ, ადამიანი მაშინ უნებლიედ უნდა იარაის გამუდმებით ტრიალსა და სისხლის ღვრას მისჩვეოდა. ომის საშინელება და ქვეყნის მწარე სინამდვილე აიძულებდა ველურებას შეჰგუებოდა და, წინანდელი კულტურული ყოფა-ცხოვრების მაგიერ, გამოქვაბულებსა და სახიზნარებში ყოფნის შეჰრიგებოდა. სწავლისა და განათლებისათვის, მწერლობისა და ხელოვნებისათვის ასეთს პირობებში ვის შეეძლო მოეცალა, ანდა ვის ექნებოდა ამისათვის გული და ხალისი.

აღმშენე ბლობითი მოღვაწეობისა და განახლების შეჩერება შინაური ბრძოლის გამწვავების გამო

ალექსანდრე დიდი, როგორც ვიცით განადგურებული საქართველოს აღორძინებისათვის თავგამოდებით იბრძოდა და ჩვენ სამშობლოს წინაშე მას ამ მხრივ დაუვიწყარი ღვაწლი მიუძღვის. საფიქრებელი იყო, რომ თანდათანობით საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული მდგომარეობა სულ უ ფრო და უფრო უნდა გაუმჯობესებულიყო, მაგრამ XV ს. უკვე ორმოციან-ორმოცდაათიან წლებიდან მოყოლებული შინაურობაში მეფე-მთავართა შორის ამტყდარმა ბრძოლამ არამცთუ საქართველოს გამოკეთება შეაჩერა, არამედ თანდათანობით მას პოლიტიკური მთლიანობაც-კი მოუსპო და სამ სამეფოდა და სამთავროებად აქცია. საქართველოსთვის გარეშე მტერს იმდენი არ დაუკლია, რამდენი ვნებაც მთავრებისა და დიდგვარიან აზნაურების თავგასულობამ,

უგუნურმა ქცევამ და ქვეყნისა და ხალხის ღალატმა მიაყენა. ყოველი დიდი თემის მმართველი გამთავრე ბის დაუშრეტელი პატივმოყვარეობის სენითა და ბორგნეულობით (მანიით) აღმოჩნდა შეპყრობილი. თითოეულს მათგანს საქართველოში გაბატონების იმედი ჰქონდა და დაუცხრომელი წადილი უღვიოდა გულში.

საქართველოს პოლიტიკური მთლიანობის მოსპობის ეკონომიური შედეგი

განკერძოება-გაბატონების გზაზე დამდგარი ყოველი მთავარი ცდილობდა თავისი კარი საქართველოს სამეფო კარის მსგავსად მოეწყო: სათანადო მოხელეები გაეჩინა და გარეგნული ბრწყინვალება მოეპოვა. ამრიგად, წინანდელი გაერთიანებული სრულიადი საქართველოს ერთი სახელმწიფო დარბაზის და სამეფო სასახლის და დარბაზის კარსა მყოფი მოხელეების განსაზღვრული რიცხვის მაგიერ, ეხლა ქართველ ხალხს სამი სამეფო და ამდენივე კარ-დარბაზი მრავალრიცხოვან მოხელეებითურთ უნდა შეენახა. ადვილი წარმოსადგენია, თუ რამდენად მძიმე ტვირთად უნდა დასწოლოდა მას მთავრებისა და დიდებულ-აზნაურების ქვეყნის დამღუპველი ეს პოლიტიკა.

საქართველოს გაღარიბება

ეკონომიურად განადგურებისა და მოსახლეობის ძალზე შემცირების გამო, საქართველო ქონებრივადაც გაღარიბდა. ეს გაღარიბების პროცესი მეთხუთმეტე საუკუნეში ამტყდარი შინაური ბრძოლისა და პოლიტიკური მთლიანობის დაშლის შედეგად უფრო გაძლიერდა. რამდენიმე ათეული წლების მანძილზე კი მდგომარეობა იმდენად გაუარესდა, რომ თუ გიორგი მეფე, ალექსანდრე ძე, მარტო თავის ასულს, რომელიც ბიზანტიის კეისარს უნდა მისთხოვებოდა, ყოველწლიურად 3.000 ოქროს ფულის ძლევას ჰპირდებოდა, ბაგრატ VI-ის დროს მთელ სამეფო ხაზინასაც 16.000 დუკატის გამოღება უკვე ეძნელებოდა.

საქართველოს პოლიტიკური მთლიანობის დარღვევისა და სამი სამეფოსა და სამთავროების შექმნის შედეგად ხარჯები გადიდდა. სამ სამეფოდ და სამვიანთი სასახლე დარბაზებისა და კარის მოხელეთა შესანახავად არამცთუ არ შეჰმცირებიათ, არამედ უფრო მოემატათ კიდეც.

მოსახლეობის სოციალური განშრეების პროცესი

ამავე ხანში დიდგვარიან აზნაურთა სოციალურს მდგომარეობაში, მათ წიაღშიც თანდათანობით დიდი ცვლილება მოხდა. უკვე XIV ს. ვითარების დახასიათებისას აღნიშნული გვქონდა, რომ აზნაურთა წოდება ამ ხანაში უმაღლეს წოდებრივ ფ ენას აღარ წარმოადგენდა, არამედ უკვე **დიდებულნი** ჩანან. ისინი დიდგვარიან აზნაურთა საგვარეულოების უფროს შტოს ეკუთვნოდნენ, «დიდგვართ თავადნი» იყვნენ. მათი უფროსობა მარტო ხნიერებაზე-კი აღარ იყო დამოკიდებული, არამედ დიდს მოხელეობაზე, დიდებულებაზედაც. როდესაც ამ დიდგვარიან აზნაურთა საგვარეულოების თავადთ თავიანთი აღზევების მემკვიდრეობით კუთვნილებად გადაქცევა შესძლეს, ამ დროითგან მოყოლებული **თავადობა** უკვე წოდებრიობად იქცა და თავადობამ აზნაურთა წოდებაზე უპირატესი მდგომარეობა მოიპოვა.ამრიგად, ტერმნი **თავადი** მოსახლეობის სოციალური განშრეების უმაღლესი წოდების წარმომადგენლის სახელად და ტერმინად გახდა. აზნაურთა

წოდების წიაღიდან თავადობის წარმოშობის პროცეის XV ს. მიმდინარეობდა, მაგრამ საბოლოოდ მხოლოდ XVI დამთავრდა.

შემცირებული შემოსავლის გასადიდებლად სახსრების ძებნა

ცხადია, რომ ამ ახალ სოციალურ ფენასაცა და აზნაურთა წოდებასაც, ისევე, როგორც მეფე-მთავრებს თავიანთი ძალზე შეთხელებული სახსრების გადიდებაზე უნდა ეზრუნათ იმიტომ, რომ ახალ-აღზევებულ უფლებრივსა და სოციალურ მდგომარეობასაც მეტი ქონებრივი დონის ძიება სჭირდებოდა. მაშინდელ ვითარებაში მმართველსა და ზემდგომ წრეებს ამ მიზნის მისაღწევად უპირველესად მშრომელი, გადასახადების გამომღები, მოსახლეობის გამოყენების აზრი და წადილი გაუჩნდათ.

შემოსავლის გადიდების ორგვარი შესაძლებლობა

სამეფო-სამთავროებისა და კერძო-მესაკუთრეთა შეთხელებული ქონებრივი ავლა-დიდების გაძლიერება, ან მეურნეობის გაინტენსივებით შეიძლებოდა, ანდა გადასახადების გადიდებით. ორივე ამ პირობის შესრულება უფლებრივი იძულების გარეშე შეუძლებელი იყო, რათგან ცხადია, თვითონაც, გაჭირვებული მშრომელი ხალხი ზედმეტ ტვირთს ნებაყოფლობით არ იკისრებდა. მეურნეობის გაინტენსივებისათვის მშვიდობიანი სამოქალაქო ყოფაცხოვრების პირობები და მოსახლეობის გამრავლება იყო საჭირო, რაც ამ ხანაში არც არსებობდა და არც იყო შესაძლებელი, ამიტომაც მეორე საშუალება იქმნა გამოყენებული.

მშრომელი ხალხის მდგომარეობის გაუარესება და ბატონყმობის ჩასახვა

იძულებითი უფლების გასაძლიერებლად სოციალური ურთიერთობის შეცვლა იყო აუცილებელი საჭირო. ამიტომაც სოციალურს ურთიერთობაში XV საუკუნის განმავლობაში საქართველოში, წინანდელთან შედარებით, ახალი მოვლენა ჩნდება, მეათე საუკუნის მეორე ნახევრიდან მოყოლებული XVI საუკუნემდე საქართველოში **პატრონყმობა** გვხვდება მხოლოდ: სოციალური ურთიერთობის ამ მოვლენის ერთს წარმომადგენელს **პატრონი** ეწოდებოდა, მეორეს **ყმა.** ხოლო **ბატონის** სახელი მთელი ამ ხუთი საუკუნის განმავლობაში წერილობითს ძეგლებში არსად გვხვდება. ბატონი მხოლოდ XVI საუკუნიდან ჩნდება. ამიტომაც ამ წინა საუკუნეების განმავლობაში ბატონყმობის სახელიც არ მოგვეპოვება და ეს გარემოება ცხადჰყოფს, რომ **ბატონყმობაზე** დამყარებული ურთიერთობა მაშინ ჯერ არ იყო ჩამოყალიბებული.

პატრონყმობის გვერდით ბატონყმობის გაჩენა და გაბატონება

სოციალური მოვლენა მხოლოდ მაშინ იპყრობს ხოლმე განსაკუთრებულ ყურადღებას,როდესაც ხშირ და ზოგად მოვლენად იქცევა ხოლმე. ასეთი პროცესი არც უეცრად ჩნდება და არც სწრაფად ჩამოინაკვთება ხოლმე: ჩანასახი ხანიდან მოყოლებული საბოლოო ჩამოყალიბებამდე, ჩვეულებრივ, დროის გარკვეული მანძილი სჭირდება. ასევე იყო ბატონყმობის ჩასახვა-ჩამოყალიბების პროცესშიც.

პატრონყმობის ურთიერთობას უკვე XIV ს. ისეთი ცვლილება დაეტყო, რომ მის აღსანიშნავდ ხალხის მეტყველებას ახალი სახელის აუცილებლობა აგრძნობინა:

წინანდელისაგან განსხვავებული მოვლენის გამოსახატავად სახელის განსხვავება მაინც იყო საჭირო, რომ ძველი და ახალი ერთმანეთისაგან განრჩევა შესაძლებელი გამხდარიყო.

XIV ს. მეორე ნახევრის ქართულს ძეგლებში **პატრონის** მაგიერ და მის გვერდით ბატონი ჩნდება, ახალი ფორმა, რომელსაც, წინანდელ ფორმასთან შედარებით, შუაში **რ** თანხმოვანი აქვს გამქრალი. ამ ოდინდელი ფორმის მეორე ხმოვან-შენაცვლებული ნაშთი მეგრულს **პატენისა, პატინისა და პატნის** სახით დღევანდლამდის აქვს შენარჩუნებული.

პატრონისაგან განსხვავებული ახალი სოციალური მოვლენის გამოსახატავად ქართული ენა მარტო ზემომოყვანილი ბგერითი ცვლილებით არ დაკმაყოფილებულა, არამედ მეორე-ნაირი ბგერითი სახესხვაობაც გაჩნდა, რომელმაც გაიმარჯვა და ახალი სოციალური მოვლენის აღმნიშვნელ საბოლოო ტერმინად იქცა.

პატრონისაგან ბგერითი ცვლილებით წარმომდგარი მეორე ფორმა პირველი თანხმოვანის გამჟღერებით დაიწყო და ამ გზით **პატრონის** გვერდით **ბატრონი** გაჩნდა. XV ს. მეორე ნახევრის ქართულ ძეგლებში ასეთი ტერმინი უკვე ჩვეულებრივია.

«პატრონის» გამჟღერებული ფორმის **ბატრონისაგან** იმავე ბგერითი ცვლილებით **რ**-ს გაქრობით, რომელმაც XIVს . **პატრონი პატონად** აქცია, ახალი სოციალური მოვლენის გამომხატველი ტერმინი ბატონიც შეიქმნა, რომელიც XVI ს. ძეგლებში უკვე საბოლოოდ განმტკიცებულია. ეს გარემოება ცხადჰყოფს, რომ ფორმა **ბატონი** XV საუკუნის მეორე ნახევარშია გაჩენილი.

რამდენადაც ტერმინ **ბატონის** ძველ ქართულ საბუთებში საბოლოოდ დამკვიდრება და მეტყველებაშიც ჩვეულებრივ სიტყვად ქცევა XVI ს. მოვლენას წარმოადგენს, **ბატონყმობის** გვერდით, **ბატონყმობის** ტერმინის გაჩენით გამომჟღავნებული ახალი სოციალური ურთიერთობის რაობის განსაზღვრა XVI ს. ისტორიას ეხება და იქ უნდა იყოს ამაზე საუბარი; აქკი უნდა ზოგადად აღინიშნოს ის ძირითადი საფუძველი, რომელმაც პატრონყმობისაგან წარმოშვა [«ბატონყმობა»].

ბატონყმობის წარმომშობი საფუძველი

ამ ორის სოციალური ურთიერთობის გამომხატველი ტერმინის **პატრონყმობისა და ბატონყმობის** ერთმანეთთან შედარება ცხადჰყოფს, რომ ურთიერთობაში მომხდარი ცვლილების უმთავრესი წარმომადგენელი ამ ურთიერთობის პირველი მონაწილე **პატრონი** უნდა ყოფილიყო: წინანდელი **პატრონი** ყმას პატრონად-კი აღარ მოევლინა, არამედ **ბატონად**, ხოლო, რაკი პატრონი ძირითადად მზრუნველისა და მხოლოდ შემდეგში მესაკუთრის **აღმნიშვნელი** იყო და ასეთივე მნიშვნელობა ამ ტერმინს შემდეგშიც შეჰრჩა, **ბატონი**-კი უმთავრესად **მბრძანებლობის** ცნების გამომხატველად იქცა,ეს გარემოება ამჟღავნებს, რომ **პატრონყმობისაგან** წარმომდგარი **ბატონყმობა** სწორედ პატრონისაგან ყმის უფლების შეზღუდვითა და მასზე მბრძანებლობის უფლების ხელში ჩაგდებთ წარმოიშვა. XIV ს. სოციალურს ვითარებაში მომხდარმა ცვლილებამ, როგორც თავის ადგილას აღნიშნული იყო, გლეხთა და ყმების უფლებრივი მდგომარეობა ძალზე გააუარესა. ეს პროცესი XV ს. არც შეჩერებულა და არც შენელებულა, არამედ თანდათან უფრო გამწვავდა და ბოლოს **ბატონყმობით** დამთავრდა.

გადასახად-გამოსაღებების გადიდება და მშრომელი ხალხის და ყმათა მძიმე ეკონომიური მდგომარეობა

ყმების მარტო უფლების შეზღუდვა ვერც სამეფო სამთავროებისა და ვერც კერძო მესაკუთრე «ბატრონობის» ქონებრივ მდგომარეობას, რასაკვირველია, ვერ გაუმჯობესებდა: შემოსავალს საგრძნობლად მაიცნ ვერ გაუდიდებდა. ამიტომ მეტი შემოსავლის მისაღებად რაიმე სხვა საშუალება იყო საჭირო. ჩვეულებრივ ასეთ საშუალებად ან ახალი გადასახადების შემოღება, ანდა ძველის გადიდება იყო და არის ხოლმე მიღებული, ქართულ საფინანსო პოლიტიკის იმდროინდელს არც მესვეურებსა და არც ყმათა მფლობელ კერძო მემამულეებს ამ ორი გზით დასახული მიზნის მიღწევა არ უცდიათ, არამედ სულ სხვა გამოუნახავთ: ამის მაგიერ მათ საზომ-საწყაოები გაუდიდებით. რაკი სულადი გადასახადები, მარცვლეულისა და ღვინის მოსავალზე, კაბიწითა (=კოდს) და კოკით იყო განსაზღვრული, თუნდაც რომ გადასახადების ნორმები პურისა, ქრთილისა და ქერის ისევე როგორც ღვინის გამოსაღებაზე ძველებურად უცვლელი დარჩენილიყო, რაკი საზომ-საწყაო გადიდებული იყო, გადასახადები სამეფო და სამთავრო სალაროებსაცა და ყმათა მფლობელ კერძო მემამულეებსაც, ცხადია, წინანდელზე მეტი შეუვიდოდათ.

ამნაირი ოსტატურად მოფიქრებული საშუალებით ახალი საზომები გაჩნდა XV საუკუნეში. ძეგლებშიც ძველ საზომ-საწყაოთა გარდა, ახლებიც არის მოხსენებული. თავდაპირველს საზომებს საბუთებში ერთი მხრით **პირველი საწყაო**, ანუ საზომი ეწოდებოდა, ანდა მეორე მხრით **ცოტა** (ე.ი. პატარა) საწყაო; ახალ საზომ-საწყაოებს-კი **დიდი ლიტრა, კოკა** და **კაბიწი** (=კოდს) ერქვა. საზომ-საწყაოების გადიდებაც, რა თქმა უნდა, შეუძლებელია, რომ მეფე-მთავრებსა და მებატონეებს ერთბაშად გაებედნათ, არამედ, ცხოვრების გაძვირებასა და ფასების ზრდასთან დაკავშირებით, საზომებიც თანდათანობით დიდდებოდა. ამასთანავე საწყაოებისა და საწონის ყველა საზომის გადიდება არც იყო საჭირო: საკმარისი იქნებოდა, თუ მათი ძირითადი ერთეული გადიდდებოდა, რაკი **კაბიწისა და კოკის** სიდიდე მათი ლიტრიანობის რაოდენობით იყო ხოლმე განსაზღვრული, **ლიტრის** გადიდება თავისდათავად კაბიწსაცა და კოკასაც გაადიდებდა, ასეც მოქცეულან.

საზომების გადიდება უკვე XII –XIII ს-შივე დაუწყიათ, მაგრამ შემდეგში, რაც უფრო მეტად და სწრაფად უარესდებოდა ეკონომიური მდგომარეობა საზომების შეუჩერებელ გადიდებას მიჰყვეს ხელი, XVI-ს. დამდეგისათვის-კი **ლიტრა,** ამ საზომის თავდაპირველ ოდენობასთან შედარებით, უკვე ექვსჯერ იყო გადიდებული. მაშასადამე, მშრომელ ხალხსაც ამ დროს სულადი გადასახადები წინანდელთან შედარებით ექვსჯერ უფრო მეტი უნდა გადაეხადა. მარტო ეს გარემოებაც საკმარისია, სხვას ყველაფერსაც რომ თავი დავანებოთ, იმის გასათვალისწინებლად, თუ რამდენად მძიმე იყო ის ტვირთი, რომელიც მაშინ ყმებსა და მიწის დამმუშავებელ მოსახლეობას ჰქონდათ საზიდი, და რა საშინელ მდგომარეობაში უნდა ყოფილიყვნენ ისინი ამის გამო ჩაცვივნულნი.

რასაკვირველია, წინააღმდეგობის გაუწევლივ, ყმები თავიანთ ასეთს დატვირთულობას ვერ შეურიგდებოდნენ და ბრძოლაც, უეჭველია, იქნებოდა, მაგრამ, იმდროინდელი გადარჩენილი ძეგლების სიმცირის გამო, ცნობები ამის შესახებ არ მოგვეპოვება. მაინც ზოგიერთი მაშინდელი საბუთებიდანაც ჩანს, რომ მომავალში საზომების მებატონეთაგან თვითნებურად გადიდების საშიშროების თავიდან ასაცილებლად ყმებს მათთვის წერილობითი ვალდებულება ჩამოურთმევიათ საზომების გამოუცვლელობისა და გაუდიდებლობის შესახებ. ეს მაინც, უეჭველია, ამ ნიადაგზე ამტყდარი უკმაყოფილებისა და წინააღმდეგობის ანარეკლია.

საქართველოს ეკონომიური დაქვეითება: ფულის გავრცელებისა და აღებ-მიცემობის შემცირება

ყველა ზემოაღნიშუნლი გარემოების გამო, ცხადია, რომ მაშინდელს საქართველოში მოსახლეობის ქონებრივ-კულტურულ დაქვეითობასთან დაკავშირებით მისი ნაყოფიერებაც და მყიდველობითი ძალაც საგრძნობლად შემცირებულიყო.ამის გამო, რასაკვირველია, აღებ-მიცემობაც უნდა დაქვეითებული ყოფილიყო. საგარეო ვაჭარობა, როგორც მოსალოდნელიც იყო, ძალზე დაკნინდა. როცა აოხრებულ-დაზარალებულ ქვეყანას თავისთვისაც-კი ყველაფერი სამყოფი აღარ ჰქონდა და კულტურაც დაქვეითებული იყო, უცხოეთში გასატანს ბევრსა და კარგს ვერაფერს-ღა დაამზადებდა. შინაგანი აღებმიცემობაც სახარბიელოს ცოტას-ღა შეიცავდა.

მართალია, როგორც უკანასკნელი ათეული წლების მონაპოვარმა განძებმა ცხად-ჰყო, ფულის მოჭრა საქართველოში, იმდროინდელი საშინელი ეკონომიური ვითარებისდა მიუხედავად, თურმე მაინც მთელი XV ს. განმავლობაში არ შეჩერებულა. დაქვეითებული სახელმწიფოებრივობისა და ქართველი ხალხის მაინც ეკონომიური ბრძოლის უნარსა და კულტურულ ცხოვრების მონაპოვართა შენარჩუნების ნებისყოფას ცხადად ამჟღავნებს. მაგრამ მაშინდელი საბუთებიდან ჩანს, რომ ლითონის ფული უმთავრესად ბარად და ქალაქებსა,თუ სხვა სავაჭრო ცენტრებსა და შარაგზების მახლობლად მდებარე ადგილებში ყოფილა გავრცელებული; სხვა მოშორებულ თემებში-კი ფული იშვიათი იყო და იქ ვაჭრობა სულადობაზე, გაცვლა-გამოცვლის წესით უწარმოებიათ. ამასთანავე XV ს. მოჭრილი ვერცხლის ფული მეტად მდარე ღირსებისა და მცირე ზომისაც არის. მისი ეს თვისებებიც მაშინდელი საქართველოს გაღარიბება-დაქვეითებისათვის დამახასიათებელია.

კონსტანტინპოლის ოსმალთაგან დაპყრბამ და დასავლეთის ზღვის სავაჭრო გზის შეკვრამ ევროპასთან აღმოსავლეთის ვაჭრობისა და მიმოსვლების გზების და ცენტრების შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროების ნავთსადგურებში გადატანამაც ხომ საქართველოს ისედაც სავალალო მდგომარეობა საბედისწერო გახადა...

საქართველოს კულტურული დაქვეითების ნიშნები

პოლიტიკურად დანაწილებული და სამხედრო თვალსაზრისით დასუსტებული, ორს ძლიერს, მტრულად განწყობილ, მაჰმადიან სახელმწიფოს შუა მომწყვდეული საქართველო დამაღონებელს სანახაობას წარმოადგენდა: ქვეყნის მესვეურთ თითქოს გონიერება დაკარგეს და თავიანთ ქვეყნისა და პირადს კეთილდღეობასაც თავიანთივე მოქმედებით აცლიდნენ ნიადაგს.

ადამიანის ეგოისტურმა გრძნობამა და მხოლოდ პირად გადარჩენა-კეთილდღეობაზე ზრუნვამ სძლია და თემობრივმა განკერძოებამაც სახელმწიფოებრივისა და ეროვნული მთლიანობის შეგნებას აჯობა.

მაშინდელი საქართველოს კულტურული დაქვეითების მთელი სიღრმე იმაშიც ნათლად მოჩანს, რომ XV საუკუნისა და უფრო ადრინდელი ხელნაწერების ანდერძებსა და მინაწერებში წერისაცა და მართლწერის დიდი უვიცობაა საგრძნობი: ზოგიერთს მაშინდელს უცხოეთში გამგზავრებულს პირსაც-კი თავისი სახელისა და გვარის სწორად დაწერაც-კი აღარ შესძლებია. რა გასაკვირველია, რომ ასეთ პირობებში ამ საერთო კულტურული დაქვეითების წყალობით ქართული მხატვრული და საისტორიო მწერლობაც დადუმებული იყო. ეს კი არ არის გასაკვირველი, არამედ უფრო ის გარემოება, რომ, ამ ჯოჯოხეთური პირობებისდა მიუხედავად, ქართველი ხალხი არ დაიღუპა და მაშინაც ცდილობდნენ დამტყდარი უბედურებისათვის თავი დაეღწიათ, რომ ქართული ხელოვნების ზოგიერთ დარგებში მაშინაც ყოფილან კიდევ ისეთი წარმომადგენლები, რომელთაც თავიანთი მაღალხარისხოვანი შემოქმედების ნიმუშები დაგვიტოვეს. ამის დასარწმუნებლად თუნდაც

ულუმბოს ეკლესის სარწმუნოებრივი და საერო შინაარსის იმდროინდელი კედლის მხატვრობისა და ალექსანდრე I დიდის ბრძანებით გაკეთებული ნაჭედი სურათებით შემკული დიდი ოქროს ჯვარის დასახელებაც კმარა, რომელნიც მათ შემქმნელ ხელოვანთა იშვიათ ნიჭსა და თავისი დარგის მაღალ ცოდნას უცილობლად ცხად-ჰყოფენ.

საქართველოს იმდროინდელი მდგომარეობა უცხო ქვეყნებში

იგივე უნდა ითქვას საქართველოს იმდროინდელს საგარეო მდგომარეობაზე.ყველა იმის შემდგომ, [რაც] საქართველოს გარეშე და შინაური მტრებისაგან XIII საუკუნიდან მოყოლებული გამოვლილი ჰქონდა, მისი სამხედრო ძლიერების შესუსტება და სახელმწიფოებრივობის დაკნინება ბუნებრივს შედეგს წარმოადგენს და ესეც, რასაკვირველია, განმაცვიფრებელი არ არის. პირიქით, გასაკვირველია, რომ ასე დაქუცმაცებულ-დაკნინებულმა საქართველომ შეინარჩუნა მაინც საერთაშორისო დამოკიდებულებაში ზოგი ის უპირატესობანი, რომელნიც მას წინა საუკუნეებში და ხანაში ჰქონდა მოპოვებული, თუ აღდგენილი, დასავლეთ ევროპის იმდროინდელი მოგზაურების თხზულებებში, ქართველთა მაშინდელი მდგომარეობა უცხო ქვეყნებში კარგად არის აღბეჭდილი და იქითგან ირკვევა, რომ ამ ხანაშიცა და ისეთ შორეულ ქვეყნებშიც, როგორიც საქართველოსთვის ეგვიპტე და პალესტინა იყო, ქართველებს პატივისცემით ეპყრობოდნენ და ყველა ის უპირატესობანი, რომელნიც-კი მათ წინათ ჰქონდათ, შეუნარჩუნებიათ. ბართოლომე და სალინ**ი**ბო მოგვითხრობს: იერუსალემში სალოცავად მისვლის დროს ქართველები,საზეიმოდ მორთულ-მოკაზმულ ცხენებსა და აქლემებზე სხედან და გაშლილაფრიალებული ეროვნული დროშებით თავისუფლად შედიოდნენ ქალაქში და სხვებივით სულტანს ამისთვის დაწესებულს გადასახადს არ აძლევენო. **სალინ**ბ**ა**ბ**ო** ამასთანავე უმატებს, რომ ეგვიპტისა და ოსმალეთის სულტნებს ქართველებისა ეშინიათო.

დაცულია იმდროინდელი არაბული საბუთიც, რომლითაც ეგვიპტის მამლუკებს განკარგულება ჰქონდათ გაცემული და ქართველთა იერუსალემის ჯავრის მონასტრის უზრუნველსაყოფად საგანგებო არაბი მოხელე იყო დანიშნული. ის ვალდებული იყო საქართველოდან მომავალ მლოცავებს ალაბშივე (ალეპოში) დაჰხვედროდა, იქიდან იერუსალემამდის მიეცილებინა და უკან გაბრუნებისას ისევ ნავთსადგურამდე გამოჰყოლოდა. XV ს. მეორე, უკვე სომხური ცნობაც მოგვეპოვება, რომელშიც ქართველთა პოლიტიკური გავლენის მთელი ძალა აგრეთვე ნათლად მოჩანს. რა თქმა უნდა, ყველა ესეც უმთავრესად წარსული საუკუნეების საქართველოს სახელმწიფოებრიობის ანარეკლს წარმოადგენდა. თავის ადგილას, გიორგი V ბრწყინვალის მეფობაში, უკვე გვქონდა აღნიშნული, რომ საქართველოს საგარეო მდგომარეობა და წინანდელი უპირატესობანიც სწორედ მან აღადგინა. სახელმწიფოებრივი ძლიერების ძველი მარაგის მდიდარმა მემკვიდრეობამა და ქართველი ხალხის განთქმულმა მამაცობამ საქართველოს პოლიტიკური დაკნინების ხანაშიც მას საერთაშორისო ურთიერთობაში წინანდელი ადგილი და პატივისცემა შეუნარჩუნა.

კომენტარები

ა. პირველი ნაწილის

რედაქციის მიერ ამ ნაწილისათვის წამძღვარებულ « სქოლიოებში მითითებულ შემოკლებათა განმარტება» რამდენადმე განტვირთავს ქვემოთ მოტანილ შენიშვნებს, სადაც

წარმოდგენილია ზოგიერთი ტექსტობრივი დაზუსტება და დასახელებულია ამა თუ იმ საკითხზე ივ. ჯავახიშვილის გარდაცვალების შემდეგ დაბეჭდილი სიახლის შემცველი უმთავრესი ნარკვევები თუ წყაროთა პუბლიკაციები.

გვ. 2. ჟამთააღმწერელის ტექსტის ბოლო გამოცემა დაიბეჭდა სიმ. ყაუხჩიშვილის რედაქციით (ქართლის ცხოვრება, ტ. II, თბ., 1959).

გვ.4.შენ.1. კირაკოს განძაკელის თხზ. უკანასკნელი რუსული თარგმანი: Киракос Гандзакеци. История Армении, под ред. Л.А. Ханларяна,М., 1976.

გვ.5. იხ.რ. კიკნაძის «კიდევ ერთი ქართლუი წყარო ლაშა-გიორგის ისტორიისათვის» («საქართველო რუსთაველის ხანაში», თბ., 1966).

გვ.6.ჟამთააღმწერლის თხზულების კრიტიკული განხილვა იხ.ივ. ჯავახიშვილის «ძველ ქართულ საისტორიო მწერლობაში» (თხზ., ტ.VIII, თბ., 1977. გვ. 246-262).

გვ.8. ეპიფანე კათოლიკოსის 1218 წლის ანისის ქართული წარწერის მნიშვნელობის შესახებ უფრო დაწვრილებით იხ.ივ. ჯავახიშვილი, სოციალური ბრძოლის ისტორია საქართველოში IX-XIII სს. წიგნში: ქართველი ერის ისტორია, ტ. III, თბ., 1966; Дондуа В., К социально-экономической жизни средневековой Грузии по анийской надписи (1218) Епифания, креб. АН СССР академику Н.Я. Марру, М. Л., 1935.

გვ.9. შენ. 1. ნესევის დასახ. შრომა ბოლო დროს არაბულიდან თარგმნა, კომენტარები და საძიებლები დაურთო ზ. ბუნიავოთმა (З. Буниятов, шихаб аддин мухаммед ан насави. Жизнеописание султана Джалал ад-дина манкбурны, баку, 1973).

გვ. 12. შენ. 1. ივ. ჯავახიშვილი უთითებს იბნ ალ-ასირის შრომის **«თარიხულ-ქამილი»-ს** დეფრემერისეულ ფრანგულ თარგმანს. არსებობს ტექსტის ტორნბერგისეული სრული გამოცემაც 12 ტომად (2 ტომი დამატებით შეიცავს საძიებლებს და შესწორებებს). იხ. Ibn el Athiri,Chronicon quod perfectissimum inscribitur. ed. C. J. Tornberg, vol. I-XIV,Upsalie et Lugduni Batavorum, 1851-1876. ამიერკავკასიის შესახებ მისი ცნობები რუსულად თარგმნა ჟუზემ (П. Жузе, материалы по истории азербайджана из Тарихи ал- камиль Иби ал-Асира, Баку,1940). იბნ ალ-ასირის ცნობები საქართველოს შესახებ შეისწავლა ბ. სილაგაძემ. იხ. მისი- XII-XIII სს. საქართველოს ისტორიის ზოგიერთი საკითხი იბნ ალ-ასირის ცნობათა შუქზე, კრებულში «საქართველო რუსთაველის ხანაში», თბ., 1966, გვ. 130-137.

გვ.14. თბილისის მტრისაგან განთავისუფლება მომხდარა უფრო გვიან- 1227 წ. თებერვალში (საქართვ. ისტ. ნარკვევები, ტ. III. თბ., 1979, გვ. 543-544).

გვ. 15. ხლათის აღება მომხდარა ცოტა მოგვიანებით - 1230 წ. 14 აპრილს (დასახ.ნარკვ., ტ. III, გვ. 545).

გვ. 25. მონღოლთა სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური წყობის შესახებ ივ. ჯავახიშვილის შემდეგ გამოქვეყნდა: Б.Д. Греков, А.Ю. Якубовский. Золотая Орда и ее падение, М.Л., 1950; А.Ю. якубовский, Из истории изучения монголов периода XI-XIII вв. ЭОчерки по истории русского востоковедения», М., 1955; ვ. გაბაშვილი, მონღოლები (ნარკვევები მახლ. აღმოსავლეთის ისტორიიდან, თბ., 1957), ი. ცინცაძე, მონღოლები და მონღოლთა დაპყრობები (XI-XIII სს.), თბ, 1960, და სხვ.

გვ. 28. «ურუხი-ხვასტაგთ გვარი» (სულხან-საბა ორბ.).

გვ. 34. შენ. 2. «საიდუმლო თქმულება» (იხ.Сокровенное сказание-Юань чао быши, т.1, М.-Л., 1941).

გვ. 25. შენ. 2. რაშიდ ად-დინისშრომის თანამედრვოე კრიტიკული გამოცემები: Ф.Рашид ад-дин, Джами ат-таварих (Сборник летописей), т.I,ч.I. Критич. текст А.А. Перевод с персидского Хетагурова, А.Али-Заде, М., 1965; т. I, кн.. 1. Перевод с персидского Хетагурова, М.-Л., 1952; т. II, кн. 2. Перевод с персидского О.И. Смирновой, примеч. Б.И. Панкратовой, О.И. смирновоЙ,

редакция семенова, М.-Л., 1952; т. III. Перевод с персидского А.К. Арендса, под ред. А.А. Ромаскевича, Е.Э. Бертельса и А.Ю. Якубовского, М,-,Л., 1946; то же, под ред. А. Али-Заде, Баку, 1956.

გვ. 37. ჯუვეინის შესახებ იხ.რ. კიკნაძე, ჯუვეინის ცონობები საქართველოს შესახებ, თბ., 1974.

გვ. 51. ორმეფობის დროინდელი ამბების შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის XIII ს. იტალიელი მოგზაური პლანო კარპინი. იხ. მისი «ისტორია მონღოლებისა, რომელთაც ჩვენ თათრებს ვუწოდებთ», თარრგმნილია რუსული გამოცემიდან გერონტი ქიქოძის მიერ (მასალები საქ. და კავკ. ისტორიისათვის, ნაკვ.II, თბ., 1942); იმავე პერიოდში იმოგზაურა აღმოსავლეთში აგრეთვე იტალიელმა ბერმა გუილიომ რუბრუკვისმა. მისი «მოგზაურობის» ტექსტი ფრანგული თარგმანიდან ქართულზე თარგმნა გ. ქიქოძემ (იხ.დასახ. «მასალები», ნაკვ. V, 1942 წ.).

გვ. 53, 66. მონღოლთა მიერ დაწესებული გადასახადებისა და ბეგარის შესახებ იხ.: В.В. Бартольд, Персидская надпись... Соч., т. IV, М., 1966; И. Петрушевский, Замлевладение и аграрные отношения в Иране XIII-XIV ыы., Л., 1960; А.Али-Заде. Социально-Экономическая и политическая история Азербайджана в XIII-XIV вв. Баку, 1956, ბ. ლომინაძე, მონღოლური გადასახადები და სამხედრო ბეგარა (საქართვ.ისტ.ნარკ., ტ.III); რ. კიკნაძე, თამღა ილხანთა სახელმწიფოში («აღმოსავლ.კრებ.», I,1960); ვ. გაბაშვილი, მახლობელი აღმოს. სოც. ეკონომ. ისტორიის მასალები ჟამთააღმწერელის თხზულებაში (მახლობელი აღმ. სოციალურ-ეკონომიური ისტორიის ნარკვევები, თბ., 1968) და სხვ.

გვ. 68. კახა გამრეკელ-თორელის 1259 წ. რკონის მონასტრისადმი შეწირულობის წიგნის გამოც. იხ. ქართ. სამართლის ძეგლები, II, ი. დოლიძის რედ., თბ.,1966; В.Дондуа, Писание о вкладе Кахи Торели в Рконский монастырь(«ქართ. წყაროთმცოდნეობა», II, 1968); Н.Шоыиашвили. Рконская грамота, как исторический источник. Автореферат канд. диссертации, ТБ.,1953.

გვ. 95. მ. პანარეტოსის «ტრაპიზონის ქრონიკის» უკანასკნელი მეცნიერულ-კრიტიკული გამოცემებიდან იხ. ალ. გამყრელიძის გამოცემა (მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 33,თბ., 1960).

გვ. 98. შენ. 1. მალაქია- გრ. აკანელი (შეცდომით იყო აღიარებული «მალაქია ბერად»). იხ. გრიგოლ აკანელი. მოისართა ტომის ისტორია. სომხური ტექსტი ქართული თარგმანითა და კომენტარით გამოსცა ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1961.

გვ. 99. ქ. თელავისა და ბელქანის სადუნ მანკაბერდელის ხელში ჩაგდების თარიღად, რ. კიკნაძის გამოკვლევის მიხედვით, 1278 წ. ნაცვლად, უფრო სწორადაა მიჩნეული 1272 წ. იხ. მისი, XIII ს. II ნახ. საქართველოს ისტორიის ქრონოლოგიიდან («მაცნე»,ისტორიის სერია, 1973, №4).

გვ. 103. შენ. 2. სტ. ორბელიანი; მისი «ცხოვრება ორბელიანთა»-ს ძველი ქართული თარგმანები, გამოსცა ე. ცაგარეიშვილმა, თბ., 1978.

გვ. 113. ხოჯა-აზიზის შვილისა და ხუტლუბუღა სადუნის ძის დემეტრე II-თან მტრული ურთიერთობის შესახებ იხ. რ. კიკნაძე. ახალი მასალა XIII ს.II ნახ. საქართველოს ისტორიისათვის («მაცნე», ისტორიის სერია, 1973,№ 2).

გვ. 124. «დავით VI დემეტრეს ძე»-ამჟამად მიღებული მეფეთა რიგით დავით VIII (1291-1311).

გვ. 125. «სდგა [ხარ] ერთგულობასა...» კვადრატულ ფრჩხილში ჩასმულ სიტყვა აღვადგინეთ ჟამთაღმწერლის ნუსხების მიხედვით (ჟამთააღმწერელი, ქართლ. ცხ., ტ. II, გვ. 297).

გვ. 125. აქ ივ. ჯავახიშვილი, ქეღათუს (1291-1295) გაყაენების დასაწყისად 1293 წ. სდებს, რაც კორექტურული შეცდომა ჩანს. ქეღათუ გაყაენდა 1291 წ. ივლისში და ამას თვითონ ივ. ჯავახიშვილიც აღნიშნავს ქართველი ერის ისტორიის III ტომის ე.წ. ვრცელ ვარიანტში. (იხ. 1966 წ. გამოც., 237).

გვ. 128. «ძაგნასარის» ნაცვლად უნდა იყოს «მანგასარ» ან «მანგასარისასა». იხ.რ. კიკნაძის დასახ. ნაშრ., 114, შენიშვნ., 173-4.

გვ. 137-138. ვახტანგ III-ის გამეფების თარიღად ივ. ჯავახიშვილი, ჟამთააღმწერლის ტექსტიდან გამომდინარე, 1302 წ. მიიჩნევდა. ეს თარიღი დამკვიდრდა ქართულ ისტორიოგრაფიაშიც. თ. ლომოურის აზრით, ვახტანგ III 1298 – 99 წწ. უკვე სამეფო ტახტზე უნდა იჯდეს, რადგანაც შემორჩენილია ჰიჯრის 698 წ. დათარიღებული მისი მონეტა. იხ. თ. ლომოურის- დავით VIII-სა და ვახტანგ III-ის ულები (საქართველოს მუზეუმის მოამბე, ტ. XV-B, 1948,. 75-78 ; ჯ. ოდიშელი, აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკური ისტორიისათვის XIV-XVII სს. კრებულში - «XV-XVIIII სს. რამდენიმე ისტორიული დოკუმენტი», თბ., 1964).

გვ. 144. **ვაშლოვანი** მდებარეობს იმიერტაოში, უღელტ. გურჯი-ბოღაზია (ქართველთა ყელის) ჩრდ. დასავლეთით. იხ.ა. თორდია, ვ. კიკნაძე, ქართლის ცხოვრების ერთი პუნქტის ლოკალიზაციისათვის (ვაშლოვანი). ახალგ. მეცნ. მუშაკთა საქალაქო კონფერენციის თეზისები, თბ., 1981.

გვ. 150. «მცირე გიორგი» - გიორგი VI მცირე, დავით VIII-ს ძე (1309-1317).

გვ. 151.ყაზან-ყაენის (1295-1304) რეფორმების შესახებ იხ. რაშიდ ადდინი, «ჯამი ათ თავარიხ», ბაქო, 1957 (ალი-ზადეს რედაქციით, არენდსის რუსული თარგმანით): И. Петрушевский, Земледелие и аграрн. отношения в Иране XIII-XIV вв., Л., 1960; Фомина, Реформы Газан-хана, Ученые записки Института востоковедения АН СССР, т. XVII, 1959, да схв.

გვ. 151.X-XI სტრიქონოები ივ. ჯავახიშვილის ავტოგრაფიული ტექსტის მიხედვითაა შევსებული- ჩართულია სიტყვები- « ისევე მათ უღელქვეშ მყოფი სხვა ქვეყნებისათვის».

გვ. 153. მარკო პოლოს მოგზაურობის ტექსტი გამოცემული იყო ევროპულ ენებზე. არსებობდა რუსული თარგმანიც - И.П. Минаев, Путешествие Марко Поло, под ред В. Бартольда, СПБ.,1902 (ЗИРГО, по отд. Этнографии, т. XXI).

გვ. 158. XIII-XVI სს. საქართველოს სოციალურ წყობაში მომხდარი ცვლილებების შესახებ უფრო დაწვრილებით იხ. ბ. ლომინაძის მიერ დაწერილი თავები საქართვ. ისტ. ნარკვევების III ტომში (1979 წ.).

გვ. 163. სამეცნიერო ლიტერატურაში მიუთითებენ გიორგი V ბრწყინვალის გამეფების ორ თარიღზე - 1314 და 1318 წწ. ივ. ჯავახიშვილი თვლის, რომ გიორგის მეფობა 1318 წელზე «გაცილებით ადრე უნდა დაეწყო». ამ თარიღის დაზუსტებაზე მსჯელობენ: ჯ. ოდიშელი წერილში- აღმ. საქართველოს პოლიტიკური ისტორიისათვის XIV-XVI სს. (დასახ. კრებულში) და ვ. კიკნაძე- გიორგი V-ის გამეფების თარიღის საკითხისათვის («საისტორიო კრებული», VII,თბ., 1977).

გვ.164. შენ. 1. «ძეგლის დადება» სათანადო წინასიტყვაობითა და გამოკვლევით, გამოსცა ი. დოლიძემ -« გიორგი ბრწყინვალის სამართალი»,თბ., 1957 წ., იხ. აგრეთვე,» ძეგლის დადება მეფეთ-მეფის გიორგის მიერ» (ქართული სამ. ძეგლები, ტ. I, ი. დოლიძის რედ., თბ., 1963 წ., გვ. 401-421 და 614-619, სადაც შენიშვნებია).

გვ. 167. შენ. 1. «წიგნი სამართლისა კაცთა შეცოდებისა ყოველისავე»- იხ. სამართალი ბექასი და აღბუღასი, ქართ. სამართლის ძეგლები, ტ. I, ი. დოლიძის რედ., თბ., 1963; მისივე მონოგრაფია, ძველი ქართული სამართალი, თბ., 1953.

გვ. 169. შენ. 1. «ძველი ერისთავთა». იხ. შ. მესხიას გამოცემა (მასალები საქართველოსა და კავკ. ისტორიისათვის, ნაკვ. 30, თბ., 1954); Памятник эриставов. Перевод, исследование и примечания С. С. Какабадзе, ТБ.,1979.

გვ. 173. გიორგი V-ს მიერ საკუთარი მომენტის მოჭრის საკითხში გამოთქმულია სხვადასხვა თვალსაზრისი. იხ. დ. კაპანაძე, ქართული ნუმიზმატიკა, თბ., 1969; მისივე, Продолжительность и характер монгольского владычества по нумизматич. данным, ЭСов. АрхеологияЭ, № 2, М., 1964. გ. დუნდუა, სამონეტო მიმოქცევის საკითხისათვის XV ს. საქართველოში, თბ., 1964.; **(ინგლისური)** 1955 (XVII) 1; ვ. გაბაშვილი, საქართველოში მონღოლთა ბატონობის ხანგრძლივობის საკითხისათვის (აღმოსავლ. კრებ., I, თბ., 1960).

გვ. 173. «ხელმწიფის კარის გარიგებაზე» იხ. ქართული სამართლის ძეგლები, ი. სურგულაძის გამოცემა (ტექსტი გამოკვლევითურთ), თბ., 1970.

გვ. 174. «მეფეთა მფარველისა»- უკანასკნელი სიტყვა ივ. ჯავახიშვილის დედანში არაა, თუმცა ადგილია დატოვებული. აღვადგინეთ საქართველოს XI-XV სს. ისტ. მოკლე კურსის მიხედვით (ქართვ. ერის ისტ., ტ. III, თბ., 1966, გვ. 403).

გვ. 176. ელ. მეტრეველის გამოკვლევით, გიორგი V-მ ჯვრის მონასტერი კი არ დაუბრუნა ქართველებს (როგორც ამას ვარაუდობდა ივ. ჯავახიშვილი, არაბულ წყაროზე დაყრდნობით), არამედ- იერუსალიმის ქრისტეს საფლავის სალოცავის კლიტე (კლიტენი იერუსალემისანი»); ჯვრის მონასტრის ქართველთათვის დაბრუნება, მის მიხედვით, 1305 წ. უნდა მომხდარიყო (ე. მეტრეველი, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის , თბ., 1962, გვ. 45-46).

გვ. 179. «დავით VII», - დავით IX გიორგი V-ს ძე- (1346-1360).

გვ. 182. თემურ-ლენგის ხანის წყაროების პუბლიკაციებისა და შესწავლის თანამედროვე მდგომარეობის შესახებ იხ. მონოგრაფიები: კ. ტაბატაძე, ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ XIV-XV სს. მიჯნაზე, თბ., 1974; ასევე: დ. კაციტაძე, საქართველო XIV-XV სს. მიჯნაზე, თბ., 1975.

გვ. 183-184. თემურ-ლენგის საქართველოში ლაშქრობებისა და საერთოდ მისი დაპყრობითი ომების მიზეზებისა და მიზნების შესახებ უფრო ფართოდ იხ. დ. კაციტაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 66-110.

გვ. 186. ივ. ჯავახიშვილი თემურ-ლენგს ხშირად უწოდებს «მონღოლთა ბრძანებელს» .თემური უკვე (XIV ს..) გათურქებული მონღოლი ტომის (ბარლასთა) წარმომადგენელი იყო.

გვ. 186. შენ. 3. **ქაითუს** მთის შესახებ იხ. Летопись Себастачи, წიგნში: Армянские источники о монголах. Перевод с древнеармянского и комментарий А.Г.Галстяна, М., 1962, С. 29,212 (შენ. № 56).

გვ. 192. «გიორგი VI, ბაგრატ V-ის ძე»- ივ. ჯავახიშვილის დედანში უმეტესად სწორად არის ნაჩვენები გიორგი VII-დ (1393-1407) , ამიტომ წიგნშიც ყველგან ასეა გასწორებული.

გვ. 192. სომხურ ხელნაწერთა ფონდების შესწავლის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ნაშრომი: სომხურ ხელნაწერთა XIV-XV სს. ანდერძების (ჰიშატაკარანების) ცნობების საქართველოს შესახებ. ძვ. სომხურიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო ალ. აბდალაძემ, თბ., 1978.

გვ. 204. **რკონის** ეკლესიის მოტანილი წარწერა ივ. ჯავახიშვილს ადგილზე გადმოუწერია. იხ. მისივე, ქართვ. ერის ისტ., ტ. III, თბ., 1966, გვ. 299.

გვ. 228. შენ. 1. ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლ. ცხ., ტ. IV, თბ., 1973 (ს. ყაუხჩიშვილის რედ.).

გვ. 229. შენ. !. არსებობს ი. შილტბერგერის «მოგზაურობის»XIX ს. რუსული თარგმანიც; იხ.: Путешествия И. Шильтбергера по Европе, Азии и Африке с 1394 г. Перевел с намецкого и снабдил примеч. Ф. Брун (Записки Имп. Роворoссийск. Университета, т. I, Одесса, 1887).

ბ. მეორე ნაწილის

«მეორე ნაწილს» თვით ავტორმა დაურთო «ქარაგმიანი და შემოკლებული სიტყვების განმარტება» და წიგნში «განხილული და მოხსენებული ისტორიული ძეგლების და გამოკვლევების» სია, რაც აქ უცვლელად იბეჭდება. ორივე მათგანს სისრულე აკლია და ბევრი რამ განმარტებას საჭიროებს. ამიტომ კომენტარებში ბევრი მეტი დაეთმო წყაროებისა და ლიტერატურის დასახელებასთან დაკავშირებულ გასწორება-შევსებას. ამავე დროს, აქაც დავიწყებულიარაა სხვა რიგის საჭირო დაზუსტებანი თუ მითითებანი უკანასკნელი პერიოდის უმთავრეს ნარკვევებსა და პუბლიკაციებზე, რომლებშიაც წიგნში აღძრული საკითხები შედარებით უფრო მეტი სიღრმით შუქდება.

გვ. 237-239. ივ. ჯავახიშვილი თვითონ გვანიშნებს, რომ მის მიერ დაწერილი XII-XIV სს. ისტორიისაგან განსხვავებით, XV საუკუნისადმი მიძღვნილ ნაშრომში წარმოდგენილია «საქართველოს ამ ხანის კრიტიკული ისტორია», სადაც «წეძლებისამებრ» გაშუქებულია « პოლიტიკური ამბების მთავარი მამოძრავებელი მიზეზებიც».

ეს წიგნი «ჩვეულებრივ, ადვილ საკითხავ წიგნად არც არის განზრახული და განკუთვნილი»-ო, დასძენდა მეცნიერი (გვ. 239).

გვ. 244. შენ. 2. « დამატების» ავტორისეულ განმარტებაში (იხ. მისი «შემოკლ. განმ.») იგულისხმება «ქართლის ცხოვრების» დასახ. ვარიანტის 1906 წ. გამოცემა სამი დამატებით.

გვ. 244. შენ. 5. «მ. ჯანაშვილის გამ.»- იგულისხმება «ვახტანგის ისტორიკოსთა კომისიის ნაშრომი» (გვ. 38), ტექსტი, რომელიც «B» ხელნაწერის მიხედვით გამოსცა მ. ჯანაშვილმა 1907 წ. თავისი «ნაშრომი»-ს I წიგნში.

იხ. ეგნატიშვილი ბერი. ახალი ქართლის ცხოვრება. XVIII ს. დამდ. I: ტექსტი ივ. ჯავახიშვილის წინასიტყვაობითა და რედაქციით, თბ., 1940 წ. გამოცემულია «A» და «B» ხელნაწერების მიხედვით. შემდეგი გამოცემა ეკუთვნის ს. ყაუხჩიშვილს («ქართლის ცხოვრება», II, 1959 წ.).

გვ. 244. შენ. 6. «ივ. ჯავახიშვილი, ისტორიის მიზანი, წ. I»- ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა. წიგნი I. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა (V-XVIII სს), თბ., 1916 წ.

იხ. ბოლო გამოცემა - ივ. ჯავახიშვილის თხზულებანი , ტ. VIII . 1977 წ., რედ. მ. ლორთქიფანიძე.

გვ. 249. დამოწმებულია ქართველი ერის ისტორიის III ტომის ხელნაწერი, რომელზედაც მუშაობა ავტორმა 1940 წ. დაასრულა. გამოიცა 1941 წ.

გვ. 254. ძვახუშტი, ისტ.»- ვახუშტი. საქართველოს ისტორია, განმარტებული და შევსებული ახლად შეძენილის არქეოლოგიურისა და ისტორიულის ცნობებით დ. ზ. ბაქრაძის მიერ. ნაწ. I, თბ., 1885 წ. ერთვის დამატება.

ბოლო და სრული გამოცემა: ქართლის ცხოვრება, ტ. IV. ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973 წ.

გვ. 256. « თომა მეწობელის (მეწოფეცის) თხზულება», « თ. მეწობელის ისტ.» (გვ. 195). ავტორი სარგებლობს 1860 წ. პარიზის გამოცემით: «ლანგ- თემურისა და მის მემკვიდრეთა ისტორია», სომხურ ენაზე.

მეწოფეცის თხზულებაში დაცული საქართველოს შესახები ცნობების ქართული თარგმანი გამოსცა ლ. მელიქსეთ-ბეგმა (თომა მეწოფელი... თბილისი, 1937 წ).

გვ. 257-258. საქართველოდან ლორეს ჩამოცილებისა და მისი დაბრუნების შესახებ დაწვრილებით მსჯელობს ა. აბდალაძე (იხ. მისი «სომხურ ხელნაწერთა XIV-XV სს. ანდერძების... ცნობები საქ. შესახებ», გვ. 143-146, კომ ენტარები).

გვ. 262. ბროსეს ნაშრომის დამოწმებაში გვ. 6-ის ნაცვლად უნდა იყოს 7.

გვ. 263. «მოხილვა წმინდათა ადგილთა, პ. იოსელიანის გამ.»- გაბაშვილი ტიმოთე, მთაწმინდისა და იერუსალიმისა და სხვათა ადგილთა მიმოხილთა, პ. იოსელიანის წინასიტყვაობით, თბ., 1852 წ.

იხ. «ტიმოთე გაბაშვილი. მიმოსლვა». ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ელ. მეტრეველმა, თბ., 1956.

გვ. 268. შენ. 6. გვ. 132. დასახ. «პარიზის ქრონიკის» ზ. ჭიჭინაძისეული გამოცემა. ბოლო გამოცემა იხ. «ცხოვრება საქართველოჲსა» (პარიზის ქრონიკა). ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გიული ალასანიამ. თბ., 1980.

გვ. 274. შენ. 2. გიორგი ფრანძესის ელჩობის შესახებ იბერიასა და ტრაპიზონში იხ. **გეორგიკა**. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. VIII. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა, თბ., 1970 წ., გვ. 49-88. იქვე მითითებული **ლეგოს** ნაშრომი გამოქვეყნდა პარიზში 1836 წ.

გვ. 280. VI მსოფლიო კრების კანონებზე იხ. ძდიდი სჯულის კანონი», ე. გაბიძაშვილის რედ., თბ., 1975; მისივე რედ.,- «მცირე სჯულის კანონი», თბ., 1973 წ.

გვ. 286. მაშინდელი აზერბაიჯანის შესახებ იხ. И. Петрушевский. Государство Азербайджана в XV в. (Сборник статей по истории Азербайджана, вып. I, 1949).

გვ. 288. შენ. 1. ჰერცტბერგის წიგნის სრული დასახელება -Geschichte der Bizantiner und Osmanischen Reiches bis gegen Ende des sechzenten Jahrhundert, Berlin, 1833.

გვ. 290. ლ. ბოლონიელისა და ქართველთა ელჩობის შესახებ იხ. A.Bryer, Ludovico da Bologna and the Georgian and Anatolian embassy of 1460-61 (“Bedi Kartlisa”, № XIX-XX, Paris,1965, p178-198).

გვ.290,291 (292, 294). ენეა სილვიოსა და ვადინგოს ცნობებს ავტორი იყენებს ორიგინალებში მ. თამარაშვილის იქვე დასახ. გამოცემის მიხედვით-« ისტ. კათ.»- ისტორია კათოლიკობსია ქართველთა შორის. ნამდვილი საბუთების შემოტანით და განმარტებით, XIII საუკ. ვიდრეXX საუკუნემდე. თბ., გამოც. ავტორისა, 1902.

გვ. 290. « პიი II». ერისკაცობაში «ენეა სილვიო» (Aenea Silvius). რომის პაპად აირჩიეს 1458 წ. ცნობილია თავისი პოეტური და ისტორიულ-ლიტერატურული ხასიათის ნაწარმოებებით.

გვ. 298. ქ. ბურსა (ან « ბრუსა») მდებარეობს მარმარილოს ზღვის (ჰემლიყის სრუტის) სამხრეთით.

გვ. 297. შენ. (Hammer J., Geschichte des osmanischen Reiches grossentheils aus bisher unbenutzten Handschriften und Archiven. 2 verb. Aufl., Bd.I- IV, Pesth, 1834-1836. ივ. ჯავახიშვილი სარგებლობს ფრანგული თარგმანით.

გვ. 297. შენ. 4. პ. ჰორნის აღნიშნული სტატია დაიბეჭდა: “Grundriss der iranischen Philologie” Hersg. Von W.-Geiger und Kuhn, Strassburg, Bd. II (1894-1904).

გვ. 298-99. დასახ. ამბებთან დაკავშირებით იხ. ლ. ტარდი, ვენეციის როლი უნგრეთთან საქართველოსა და სპარსეთის ურთიერთობაში (დაიბ. კრებულში « ევროპის ქვეყნების ისტორიის პრობლემები», თბ. 1978).

გვ. 299-300. «მოკლე კურსში» (იხ. აქ დართ. დამატება, გვ. 441) ნაცვლად 1461 წლისა მითითებულია 1460 წ. კარლოს VII 1461 წ. ივლისში შეცვალა ლუი XI-მ . ასე რომ, 1461 წ. შეიძლება უფრო ზუსტი იყოს: ელჩები ხომ ორივე მეფეს შეხვდნენ.

გვ. 310. ზევდგენიძეთა საბუთები დაიბეჭდა « საქართველოს სიძველენის» IV წიგნში კი არა(ასეთი ტომი არ გამოცემულა), არამედ III ტომის დამატებაში, რომელიც ე. თაყაიშვილმა 1926 წ. გამოაქვეყნა. ამ დამატებაში, ზევდგენიძე- ამილახორის «საჩივრის წიგნი», დარბაზისადმი წარმოდგენილი, არაა. ჩანს, ივ. ჯავახიშვილი ამ დოკუმენტს ხელნაწერში გაეცნო. ეს «საჩივრის წიგნი» გამოაქვეყნა ნ. ბერძენიშვილმა. იხ. მისი «ფეოდალური ურთიერთობიდან XV საუკუნეში (დოკუმენტები კრიტიკური წერილით)». დაიბეჭდა «მასალებში საქ. და კავკ. ისტორიისათვის», 1937 წ., ნაკვ.I.

გვ. 315. შენ. 3. იგულისხმება С. Белокуров, Сношения Росии с Кавказом. Материалы, извл. из Москов. гл. архива Минист. иностр. дел., Вып. I, 1578 -1613, М., 1889.

გვ. 328-342. იტალიელი მოგზაურების ბარბაროსა და კონტარინის შესახებ, დასახ. გამოცემებთან ერთად, იხ. მათი თხზულების რუსული თარგმანები წიგნში- Библиотека иностранных писателей о Росиию отд. I, СПБ, 1836; Е.Ч. Скрижинская, Барбаро и Контарини о Росии, 1971, აგრეთვე; XV ს. იტალიელ მოგზაურთა ცნობები საქართველოს შესახებ. თარგმნა და გამოსცა ე. მამისთვალიშვილმა, 1981.

გვ. 340. შენ. 1. იხ. «ქართული სამართლის ძეგლები», III, ი. დოლიძის რედ., თბ., 1970; ამავე საგანზე გამოკვლევა- «დიდი სჯულისკანონის» დასახ. გამოცემაში.

გვ. 340. შენ. 3. «სასწ. სვეტიცხოვლისანი» («ნიკოლოზ კათოლიკოსი- სასწაულნი სვტიცხოვლისანი», გვ. 197)- «საკითხი სუჩტის ცხოველისაჲ...» შედგენილი ნიკ. კათალიკოსის მიერ, გამოც. 1908 წ.

გვ. 341. მაშინდელი საქართველოს ირანთან ურთიერთობის შესახებ იხ. რ. კიკნაძე, საქართველო-ირანის ურთიერთობის ისტორიიდან XV საუკუნის II ნახევარნში (ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, VII, 1963).

გვ. 349. ივ. ჯავახიშვილი კონსტანტინე II-ის გამეფების შესახებ თარიღად «მოკლე კურსში» (იხ. აქ დართ. დამატება, გვ. 451) ასახელებს 1479 წ.

გვ. 356-357. კინკლოსების ისტორიული მინაწერები გამოსცა ჯ. ოდიშელმა- მცირე ქრონიკები (კინკლოსების ისტორიული მინაწერები), თბ., 1968 წ.

გვ. 358 «სპარსი წმ. გიორგის» შესახებ: ამ სალოცავსივ. ჯავახიშვილი გაკვრით იხსენიებს, აგრეთვე, ქართვ. ერის ისტ. I ტომში (1979 წ., 89). ვახუშტის განმარტებით, « გერის მთის თხემზედ არს **ეკლესია სპარსის წმიდის გიორგისა**, და არს ხატი დიდი ოქროსი, სპარსთაგან ქმნული. სასწაულისათჳს მის მიერ ქმნულისა, და აწცა არს სასწაულიანი» (ვახუშტი, « ქ. ცხ.» IV, 1973, თბ., გვ. 371). ამგვარად, ორთა ბრძოლის დროს მაჩაბელს დაუფიცებია თავისი კუთხის მთავარი სალოცავი.

გვ. 365. შენ.

გვ. 366.. იაყუბ-ყაენის პირველ შემოსევის თარიღად რ. კიკნაძე მიიჩნევს 1482 წელს (იხ. მისი დასახ. ნაშრ., გვ. 127; საქ ისტ. ნარკვევები, ქ. III, 1979 წ., გვ. 748).

გვ. 368. “Hist. mod., I”-Brosset M., Histoire de la Georgia, II-e partie. Histoire moderne. I-re livrasion… SPb, 1856.

გვ. 369. შენ. 3.» გგ~ფა, ბროს»- «გეოგრაფიული («ღეოღრაფიული») აღწერა საქართველოჲსა ბატონიშვილის ვახუშტის მიერ, მის ნამდჳლზე (ორიგინალის მიხედვით), დაბეჭდილი აკადემიკოს ბროსეტისა-გან», სპბ, 1842.

გვ. 371,395,398-411. ივ. ჯავახიშვილი ძირითადად სწორად განსაზღვრავს საქართველოს პოლიტიკური დაშლის გამომწვევ მიზეზებს. რამდენადმე დარღვეულია მხოლოდ თანამიმდევრობა მათ ჩამოთვლაში. მიზეზთა შორის უპირატესობა ენიჭება საგარეო და ფსიქოლოგიურ ფაქტორებს. აქ გარკვეული გადაჭარბება იგრძნობა, მაგრამ მოცემულ მსჯელობას ხსენებული პროცესის თავისებურებათა ცხადყოფისათვის უდავოდ დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

ივ. ჯავახიშვილის შემდეგ ისტორიკოსთა მომდევნო თაობამ შედარებით მეტი ყურადღება დაუთმო საშინაო ფაქტორებს, დაიხვეწა საკითხისადმი მეთოდოლოგიური მიდგომა.

იხ. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. II, თბ., 1965 წ.; ტ. III, (1966 წ.); აბ. კიკვიძე, სამცხის სამთავროს წარმოშობა საქართველოს ფეოდალურ მონარქიაში (თსუ შრომები, XXXVII, 1949); დ. გვრიტიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან (XV-XVII სს.), II, თბ.. 1965; ბ. ლომინაძის გამოკვლევები საქართველოს ისტორიის ნარკვევების III ტომში (1979 წ.); ავტორთა კოლექტივი. საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის პერიოდიზაცია, თბ., 1980 წ. და სხვ.

გვ. 404-405, 406. მეცნიერი მოკლედ ჩერდება საქართველოს პოლიტიკური დაშლის ეკონომიკურ მიზეზებსა და შედეგებზე.

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ერთიანი პროცესის საკითხები შედარებით გვიან მოექცა ქართველ საბჭოთა ისტორიკოსების ყურადღების ცენტრში. გამოქვეყნდა დოკუმენტური მასალები, დაიწერა განმაზოგადებელი ნარკვევები, რომლებშიაც მეტნაკლებად აისახა XV საუკუნის სინამდვილეც:

მასალები საქართელოს ეკონომიური ისტორიისათვის, წ. I. მასალები შეარჩია და გამოსცა ნ. ბერძენიშვილმა, თბ., 1938 წ; ნ. ბერძენიშვილი, საქ. ისტ. საკითხები, წ.II, 1965 წ.; Ш. Месхиа, Города и городской строй феодальной Грузии, თბ., 1959; გ. დონდუა, სამონეტო მიმოქცევის საკითხისათვის XV ს. საქართველოში, თბ., 1964 და სხვ.

გვ. 407.»ათონის კრებული», «აღაპები, ათონის კრებული» (1950- ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელნაწერი აღაპებით, საიუბილეო გამოცემა საეკლესიო მუზეუმისა. თბ., 1901 წ.

გვ. 409 (410). ივ. ჯავახიშვილის საქართველოს ეკონომიური ისტორიის II ტომი გამოქვეყნდა 1935 წ.

გ. დამატების

1940 წ. დაწერილი «მოკლე კურსში» შედარებით უფრო ღრმადაა გააზრებული XV ს. საქართველოს ისტორიული განვითარების პროცესები. ცალკე პარაგრაფების სახითაა გამოყოფილი «მოსახლეობის სოციალური განშრევების პროცესი», «პატრონყმობიდან» «ბატონყმობაში» გადასვლის საფეხური, გლეხთა ფეოდალური ექსპლუატაციის გაძლიერება და სხვ.

გვ. 441. ფრანგ მეფეებთან ქართველი ელჩების შეხვედრის თარიღის დაზუსტება იხ. II ნაწილის კომენტარები - გვ. 299-300.

გვ. 451. კონსტანტინე II-ის გამეფების განსხვავებული თარიღის შესახებ იხ. II ნაწილის კომენტარები- გვ. 349.

გვ. 459. განსაკუთრებით გაფართოვდა ივ. ჯავახიშვილის შემდეგ საქართველოს სოციალური განვითარების პრობლემის შესწავლა. ეს შეეხო XV ს. სინამდვილესაც.

იხ. ნ. ბერძენიშვილის დასახ. ნარკვევები; ვ. გაბაშვილის - ქართული ფ ეოდალური წყობილება XVI-XVII სს., თბ., 1958 (თავები II-IV); დ. გვრიტიშვილის, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1955; З. Анчабадзе. Из истории средневековой Абхазии (VI-XVII вв.), Сухуми, 1959 г.; გ. აკოფაშვილის, სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან XV-XVIII სს. ქართლში, თბ., 1965 წ.; ო. სოსელიას, ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან, თბ., 1966; საქართველოს ისტ. ნარკვ., ტ. III1979 წ. (ბ. ლომინაძის მიერ დაწერილი თავები - XII-XIV) და სხვ.

გვ. 461-462. ქართული ფეოდალიზმის ბატონყმური პერიოდის განსაზღვრის შესახებ ჩვენს ისტორიოგრაფიაში სხვადასხვა თვალსაზრისი არსებობს. იხ. ავტორთა კოლექტივის- საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის პერიოდიზაცია, თბ., 1980 წ.

გვ. 465. ივ. ჯავახიშვილის შემდეგ საქართველოში საგრძნობი მუშაობა ჩატარდა დოკუმენტური წყაროების შესწავლა -გამოცემის მიმართულებით. პუბლიკაციებში სათანადოადგილი ეთმობა XV საუკუკნეს: პ. ინგოროყვა, სვანეთის საისტორიო ძეგლები, ნაკვ. II, თბ., 1941 წ.; ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II. საერო საკანონმდებლო ძეგლები (X-XIX მმ.). ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1965; ტ. III. საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX სს.), თბ., 1970, (მისივე რედ.); დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, I, ბატონყმური ურთიერთობა (XV-XVIII სს.), თბ., 1940; ტ.II (XV-XIX სს.) თბ., 1953 , (ნ. ბერძენიშვილის რედაქციით); ქ. შარაშიძე, საქართველოს ისტორიის მასალები (XV-VIII სს.). გამოკვლევა და ტექსტები, «მასალები საქ. და კავკ. ისტორიისათვის», ნაკვ. 30, 1954; მისივე სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, თბ, 1961; სომხურ ხელნაწერთა XIV-XV სს. ანდერძების (ჰიშატაკარანების) ცნობები საქართველოს შესახებ. ძვ. სომხურიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო ალ. აბდალაძემ, თბ., 1978 წ.: ნ. შენგელია, XV-XIX სს. საქართველოს ისტორიის ოსმალური წყაროები, თბ., 1974 წ.: გიორგაძე, ვენეციელი ავტორის მარინო სანუტოს ცნობების საქართველოზე (XV-XVI სს. მიჯნა) დაიბ. კრებულში «ევროპის ქვეყნების ისტორიის პრობლემები», II, თბ., 1978 და სხვ.

XX ს. 20-70-იან წლებში ფეოდალური ეპოქის შესწავლის დარგში მოპოვებულ წარმატებათა შესახებ იხ. მოკლე მიმოხილვა- «ქართული ფეოდალიზმის ისტორიის შესწავლა 60 წლის მანძილზეძ (დაიბეჭდა კრებულში «ქართული საბჭოთა ისტოროგრაფიის ძირითადი მიღწევები», თბ., 1978 წ.).

შინაარსი

რედაქტორისაგან.

ქართველი ერის ისტორია, წიგნი III, ნაწილი I (XII-XIVსს.).

სქოლიოებში მითითებულ შემოკლებათა.

საქართველოს სახელმწიფო დიდი მემკვიდრეობისა და ფართო პოლიტიკური ამოცანებისათვის შეუფერებელ მემკვიდრე-მესვეურთა ხელში: გიორგი IV და რუსუდანი.

1. გიორგი IV -ლაშა.
1.გიორგი-ლაშას ბუნების და მისი პოლიტიკური საქმიანობა.
მონღოლთა პირველი ხანმოკლე გამოჩენა საქართველოში და გიორგი-ლაშას ნაადრევი სიკვდილი.
3. გიორგი-ლაშას ზოგადი დახასიათება.
4.ეკონომიური კრიზისის პირველი ნიშანი საქართველოში..
II.რუსუდან მეფე.
1. გამეფება და მთავრობის წვრილმანი საქმიანობა პირველ წლებში.
2. საქართველოს მთავრობის მედიდური დაუდევრობა და ჯალალედინის შემოსევა
გარნისის ბრძოლა და მარცხი, დვინისა და ტფილისის აღება ჯალალედინისაგან.
4. საქართველოს მთავრსარდლობის დაბნეულობა და უგეგმო ბრძოლა.
პოლიტიკური მდგომარეობის გაუმჯობესება და ტფილისის მტრის ხელითგან
დროებით გამოგლეჯა.
6. ჯალალედინის უკანასკნელი გამარჯვება და საქართველოთგან გაქცევა მონღოლთა
კვლავ გამოჩენის გამო.
7. ჯალედინის დახასიათება, როგორც სარდლისა და პოლიტიკოსის.
8. რუსუდანისაგან თავისი შვილის დავით IV-ის თანამოსაყდრედ დასმა.
9.მონღოლთა კვლავ გამოჩენა მახლობელი აღმოსავლეთის დასაპყრობად.
10.მონღოლთა მეორე შემოსევა საქართველოს დასაპყრობად და მთავარსადლობისა და საქვეყნოდ გამრიგე ხელისუფალთა სრული დაბნეულობა და უილაჯობა.
11. მტერთან ბრძოლის მცდარი გეგმის საბედისწერო შედეგი.
12.ამირსპასალარისაგან მტრისათვის თვითნებურად დამორჩილების სამარცხვინო მაგალითის მიცემა და მონღოლებთან ბრძოლის ჩაშლა.
13.სამცხის ერისთავთ-ერისთავის იოანე-ყუარყუარა ჯაყელის შეგნებული პატიოსანი ქცევა და მტერთან განმარტოებული ბრძოლის უიმედობა.
4. რუსუდანის ამაო ცდა მონღოლთა წინააღმდეგ დასავლეთ ევროპითგან სამხედრო დახმარების მისაღებად.
15. მონღოლთა განდევნის ყოველგვარი იმედის გაქარწყლება და მათთან შეთანხმება-დაზავების აუცილებლობა.
16. ზავის პირობების და დავით IV -ის მონღოლთა ყაანის ურდოში გამგზავრება. რუსუდანის სიკვდილი.
II.მონღოლნი, მათი სოციალურ-პოლიტიკური წესწყობილება, ყოფაცხოვრება და კულტურული განვითარების დონე მე-12 ს. დამლევსა და მე-13 ს. დამდეგს.
1.მონღოლთა გვარტომობა და ყოფაცხოვრება.
2. მონღოლთა სოციალური წესწყობილება.
3. ჩინგიზ-ხანისაგან შექმნილი მონღოლთა ახალი ორგანიზაცია.
4.მონღოლთა კულტურული დონე და ამაზე დამოკიდებული მათი საბრძანებლის ბედიღბალი.
5 ჩინგიზ-ხანისა და მონღოლთა გამარჯვება-ძლევამოსილების მიზეზები.
IV.უმეფობის ხანა საქართველოში.
1.მონღოლთაგან საქართველოში შემოღებული წყობილებ და უმეფობის
დროს დამყარებული მდგომარეობა.
2.ეგარსლან ბაკურციხელის მცდელობა საქართველოს მესაჭეობის ხელში ჩასაგდებად და მის საწინააღმდეგოდ ტახტის კანონიერი მემკვიდრის ძებნა-წამოყენება.

3.დავით V-ის გიორგი-ლაშას ძის საქართველოს ტახტის მემკვიდრედ დასახელება და გამწვავებული ბრძოლა დავით IV-ისა და დავით V-ის მომხრეთა შორის საქართველოშიც და ყაანის კარზეც.
4.საქართველოს მესვეურთა პოლიტიკური სიბეცის შედეგი და მონღოლთა ყაანის გადაწყვეტილება.
V ორთა მეფობა სრულიად საქართველოში.
1. დავით V, გიორგი-ლაშას ძე, და დავით IV, რუსუდანის ძე.
2. საქართველოს მდგომარეობა მონღოლთა გაბატონების დასაწყისს ხანაში.
ა. მონღოლთაგან შემოღებული გადასახადები და ბეგარა.
ბ. საქართველოს იმდროინდელი პოლიტიკური ვითარება.
3. საქართველოს წესწყობილებაში მომხდარი ღრმა ცვლილება. მედროვეობა.
მესტუმრე ჯიქურის აღზევება,მოღვაწეობა და ბედუკუღმართი დასასრული.
4. დიდი გაჭირვება საქართველოში.
5. აჯანყება მონღოლთა წინააღმდეგ და მისი შედეგი.
ა. ამბოხება საქართველოში დავით IV ნარინის მეთაურობით.
ბ. დავით V-ის ნაგვიანევი აჯანყება და შეუთანხმებელი მოქმედებით გამოწვეული მარცხი.
გ. დავით V ულუს აჯანყება და ბრძოლა მონღოლებთან.
6.ორივე დავით მეფის ლიხთიმერეთში შეხიზნვა და ამით შექმნილი ვითარება საქართველოში.
7. მეფე დავით V-ის, გიორგი-ლაშას ძის, მონღოლებთან დაზავების მიზეზი, კვლავ აღმ. საქართველოში დამკვიდრებ ა და საქართველოს მთლიანობის დარღვევა.
8. ოქროს ულუსსა და ერანის ილხანებს შორის ატეხილი ბრძოლა და მისი ანარეკლი საქართელოში.
საშინელი ეკონომიური კრიზისი საქართველოში და მის შესანელებლად
აღმ. საქართველოს მთავრობისაგან გამოყენებული გაბედული
აგრარული ღონისძიება.
VI.მწიგნობართუხუცესის ბასილ უჯარმელ-ჭყონდიდელის მოღვაწეობა,
საქართველოს ეკლესიის გამწვავებული ბრძოლა მთავრობის
წინააღმდეგ და მისი შედეგი.
1. მწიგნობართუხუცესი ბასილი უჯარმელ-ჭყონდიდელი.
2. დიდი ეკონომიური კრიზისი და მიწების ღირებულების უკიდურესი გაიაფების
შედეგი.
3. ეკონომიური კრიზისის შესანელებლად და გაღატაკებული მოსახლეობისათვის
დასახმარებლად აღმ. საქართველოს მთავრობისაგან გამოყენებული ღონისძიება.
4. ეკლესიის უკმაყოფილება და მედგარი ბრძოლა მთავრობის ღონისძიების წინააღმდეგ.
5. მკაცრი განხეთქილება ქართული ეკლესიის მესვეურთა და აღმ. საქართველოს მთავრობას შორის. საეკლესიო კრების მუქარა.
6. დამარცხებული ეკლესიის მესვეურთა შურისძიება და ბასილ მწიგნობართუხუცესის ტრაგიკული დასასრული.
VII. **დავით V ულუს მალემრწმენობის შედეგი აღმ. საქართველოს**
მთლიანობისათვის.
მესხეთის ულუსიანად ქცევა.
VIII.ოქროს ულუსსა და ერანის ილხანებს შორის ბრძოლის განახლება
და მისი დამღუპველი შედეგი აღმ. საქართველოს მოსახლეობისათვის
მოარული სენის მოდება და დავით V სიკვდილი.
დასავლეთ საქართველოს განთავისუფლება მონღოლთა

დამოკიდებულებისაგან.
IX.დავით- ნარინი და მისი პოლიტიკა.
1. დავით IV-ის საგარეო პოლიტიკის გეზი.
2.თეგუდარის შეთქმულების გამომჟღავნება აბაღა ყაანის წინააღმდეგ და მისი შეფარება დას. საქართველოში.
3. თეგუდარის მტრობის მავნე შედეგი აღმ. საქართველოსათვის და მისი ვერაგობის გამომჟღავნებასთან დაკავშირებული ღონისძიება.
4. ერანის ყაანის მეამბოხის ღალღურის დას. საქართველოში შეფარება. მისი ვერაგობა და რაჭის ერისთავის კახაბერიძის შინათგამცემლობა.
5. დავით IV ღონისძიება ტრაპიზონის საკეისროში საქართველოს პოლიტიკური გავლენის აღსადგენად.
6. საქართველოს და ბიზანტიას შორის გაცხარებული ბრძოლა ტრაპიზონის საკეისროში პოლიტიკური გავლენის გამო.
X. აღმ. საქართველო დემეტრე II თავდადებულის დროს.
1. აღმ. საქართველო მცირეწლოვანი მეფისა და ძლიერი მედროვის ხელში.
2. სადუნ მანკაბერდელი, მედროვე ქვეყნის მმართველი და მისი მოღვაწეობა აღმ. საქართელოში.
3. მეტოქეობა დიდ საგვარეულო წარმომადგენლებს შორის ხელისუფლების გამო.
4. აღმ. საქართველოს ჯარის ერანის ყაანთა ყველა ლაშქრობაში აუცილებელი მონაწილეობის დამღუპველი შედეგი.
5.დიდი ქონებრივი გაჭირვება და ხალხის გაღარიბება.
6. დიდი სტიქიური უბედურება კატასტროფული მიწისძვრის გამო.
7. ეკონომიური კრიზისით გამოწვეული მოძრაობა და აგრარული ბრძოლა.
8. ეკლესიის გავლენიანობის შერყევა-შემცირება საქართველოში.
9. მონღოლთა საყაანოში ატეხილს შინაურ ბრძოლაში დემეტრე II-ის ჩათრევით გამოწვეული განსაცდელი.
10. ბუღა ჩინგსანგის შეთქმულების გამომჟღავნება და დემეტრეს მეფობის ტრაგიკული დასასრული.
11. დემეტრე II თავდადებულის პიროვნების ზოგადი დახასიათება.
სრულიადი საქართველოს პოლიტიკური მთლიანობის აღდგენა.
XI. ვახტანგ II დავით-ნარინის ძე.
1. გაერთიანების მიზანი და გარემოება.
2.მედროვე ხუტლუბუღა ათაბაგის თავხედური ქცევა.
სრულიადი საქართველოს სახელმწიფოებრივი მთლიანობის კვლავ ჩაშლა.
XII.დავით VI დემეტრე თავდადებულის ძე და კოსტანტინე დავით ნარინის-ძე.
1.დავით VI გამეფების გარემოება აღმ. საქართველოში და კოსტანტინესი დას. საქართველოში.
2. დავით VI-ის საბრძანებლის საზღვრები და ოსთა ქართლში თარეში, როგორც ქვეყნის აშლილობის ერთი ნიშანთაგანი.
3. ერნის საყაანოს მონღოლთა შინაურს ბრძოლაში აღმ.საქართელოს მეფის ჩათრევა.
4. ერანში ყაზან ყაანის გამარჯვება და სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა.
5. ურთიერთი უნდობლობა ყაზან ყაანსა და დავით VI- ეს შორის, დავით მეფის ურჩობა და მისი ქცევისა და პოლიტიკის საბედისწერო შედეგი ქვეყნისათვის.

XIII. მესხეთის მდგომარეობა და მისი მმართველნი სარგის და მანდატურთუხუცესი ბექა ჯაყელნი.
1. მესხეთის სამთავროს საზღვრები და დამოკიდებულება საქართელოს სამეფოსთან.
2. ბექა მანდატურთუხუცესი როგორც ქვეყნის მმართველი და პოლიტიკოსი.
3. შემოსეულ თურქთა დამარცხება და განდევნა.
4. ბექას მზრუნველობა მესხეთის კეთილდღეობისა და მშვიდობიანი წარმატებისათვის და ტრაპიზონის საკეისროში ქართული პოლიტიკური გავლენის დასაცავად.
XIV. ვახტანგ III.
ვახტანგ III-ის საბრძანებელი და მონღოლთა ლაშქრობაში უნებლიეთი მონაწილეობა.
XV. **ერანის მონღოლთა და ილხანების დაუძლურებისა და მათი საყაანოს გაქრობის მიზეზები.**
1. შინაურობაში შუღლი და მონღოლ-დამპყრობელთა დაბალი კულტურული დონე.
2. სწავლა-განათლებისადმი მონღოლთა სრული გულგრილობა და მათი წინანდებურად მომთაბარე ხალხად დარჩენა.
3. დამპყრობელ მონღოლთა დაპყრობილ მაღალკულტურისან ხალხთაგან განცალკევებით დაბანაკების წესი და ადგილობრივი მოსახლეობისგან განკერძოება, საოკუპაციო ჯარის მსგავსად.
4. დაპყრობილი ქვეყნების ერებთან შედარებით მონღოლ-დამპყრობელთა მცირერიცხოვნობისა და უკულტურობის გამო ეროვნული გადაგვარება და სრულიადი გაქრობა.
XVI. აღმ. საქართველოში მომხდარი ცვლილება მონღოლთა ბატონობის თითქმის საუკნოვანს ხანაში.
1.ქვეყნის მდგომარეობა ზოგადი დახასიათება.
2. საქართველოს სოციალურს წყობილებაში მომხდარი ცვლილება.
სრულიადი საქართველოს პოლიტიკრი გაერთიანება და კვლავ აღდგენა.
XVII. გიორგი V ბრწყინვალე.
1. გიორგი V-ის პიროვნება და გამეფების გარემოება.
2. აღმ. საქართელოს მდგომარეობა გიორგი V-ის მეფობის ხანაში.
3. გიორგი ბრწყინვალის პოლიტიკის ზოგადი გეზი.
4. გიორგი ბრწყინვალის შინაური პოლიტიკა.
5. გიორგი ბრწყინვალის საგარეო პოლიტიკა და საქართველოს დიდი ხვედრითი წონა მახლობელი აღმოსავლეთის საერთაშორისო ცხოვრებაში.
6. ტრაპიზონის საკეისროში საქართველოს პოლიტიკური გავლენის აღსადგენად ბრძოლის განახლება.
დავით VII, გიორგი ბრწყინვალის ძე.
თემურ-ლენგის შემოსევა და საქართველოს თავგანწირული ბრძოლა მტერთან დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად.
XVII .ბაგრატ V.
1. თემურ-ლენგის პოლიტიკურ ასპარეზზე გამოჩენა და საქართველოში მისი პირველი შემოსევის მიზეზი და გარემოება.
2. გიორგი VII, ბაგრატ V-ის ძე და თემურ-ლენგის მეორე შემოსევა საქართველოში თემურ-ლენგის შემოსევა საქართველოში.
4. თემურ-ლენგის მეოთხე შემოსევა საქართველოში.
5. მონღოლთა მბრძანებელის მეხუთე შემოსევა საქართველოში.

6. თემურ-ლენგის უკანასკნელი შემოსევის შედეგი და საქართველოს შუაგულისმდგომარეობა.
7. გიორგი მეფისაგან თემურ-ლენგთან დაზავების უშედეგო ცდა და მტრის მეექვსე შემოსევა მესხეთსა და არაგვის ხეობაში.
8. თემურ-ლენგის მეშვიდე შემოსევა საქართველოში.
9. თემურ-ლენგის მერვე შემოსევა და ბრძოლის ასპარეზად დასავლეთ საქართველოს ქცევა.
10. თემურ-ლენგისაგან ომის შეწყვეტა საქართელოში და ზავის ჩამოგდება.
11. ზავის პირობები, დაზავება და თემურ-ლენგის გაცლა საქართველოთგან.
12. თემურ-ლენგის ზოგადი დახასიათება.
13.ბაგრატ V და გიორგი VII, როგორც პოლიტიკოსები.
14. საქართველოს მდგომარეობა თემურ-ლენგთან უთანასწორო ომის შემდეგ და გიორგი VII-ის მეფობის უკანასკნელი წლები.

XIX. კოსტანტინე მეფე.

ქართველი ერის ისტორია, წიგნი III, ნაწ. II (XV ს.).

ავტორისაგან.
წინასიტყვაობა.
ქარაგმიანი და შემოკლებული სიტყვების განმარტება.
შესავალი.

მეფეთა-მეფე ალექსანდრე დიდი.

1. ბიოგრაფიული ცნობები მეფეთა-მეფე ალექსანდრესა და მისი სახლობის შესახებ.
ალექსანდრეს გამეფების თარიღი.
ალექსანდრეს დაბადების წელიწადი.
ალექსანდრე მეფის ბებია-აღმზრდელი.
ალექსანდრე მეფის ნათესაობა.
ალექსანდრეს მამისშვილობა.
ალექსანდრეს სახლობა.
ალექსანდრე მეფის თანამეცხედრე.
ალექსანდრე მეფის სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა.
საქართველოს გარეშე მტრისაგან უზრუნველყოფა.
ალექსანდრე მეფის მოღვაწეობა ქვეყნის მთლიანობის აღდგენისა და გამტკიცებისათვის.
ლორის ციხის აღება და საქართველოსთან შემოერთება.
სივნიეთისა და მახლობელი ადგილების შემოერთება.
3. ალექსანდრეს შინაური აღმშენებლობითი მოღვაწეობა.
სვეტიცხოვლის განახლება.
საქართველოს დანგრეული ციხე-საყდრების აღდგენა.
4. ალექსანდრე მეფის უკანასკნელი წლები.
ავადმყოფობა.
ცნობა ჯეჰან-შაჰის შემოსევის შესახებ.
ალექსანდრე მეფის შემონაზონება და უსაფუძვლო ცნობა საქართველოს მისაგან დაყოფის შესახებ.
ვახტანგ მეფე, ძე მეფეთა-მეფისა ალექსანდრესი.

მეფე გიორგი ალექსანდრეს ძე.

1. ბიოგრაფიული ცნობები გიორგი მეფისა და მისი ოჯახობის შესახებ.
გიორგი მეფის მამისშვილობა.

გიორგი მეფის პირველი და მეორე თანამეცხედრე.
გიორგი მეფის შვილები.
გიორგი მეფის ასული დანიშვნა ბიზანტიის კეისარზე.
2. ბრძოლა საქართველოს დანაწილებისა და მთლიანობის გამო მეფე-მთავართა შორისყუარყუარე და აღბუღა ათაბაგი.
ქართული წყაროების დუმილი შინაური ბრძოლის შესახებ და საქმის ნამდვილი ვითარება.
ბაგის ცდა მესხეთის ეკლესიების საქართველოს დედა-ეკლესიისაგან ჩამოსაშორებლად.
საქართველოს პატრიარქ-კათალიკოსების მედგარი ბრძოლა ქართული ეკლესიის მთლიანობის შესანარჩუნებლად.
ათაბაგის ცდა მესხეთის ეკლესიების საქართველოს კათალიკოსის ხელთდასხმითგან განთავისუფლებისათვის.
მესხეთის ურჩი სამღვდელოების შეჩვენება კათალიკოსისაგან და ამის შედეგი.
მესხეთის სამღვდელოებისაგან ფიცისა და ერთგულების ხელწერილის ჩამორთმევა კათალიკოსის მიერ.
ამ ბრძოლის მნიშვნელობა სახელმწიფოებრივი და ეროვნული თვალსაზრისით.
საქართველოს შინაური პოლიტიკური მდგომარეობა.
3. საქართველოს საგარეო მდგომარეობა და პოლიტიკური ვითარება საქართველოს სამხრეთ- დასავლეთ-აღმოსავლეთით.
სპარსეთი.
ოსმალეთი.
კონსტანტინეპოლის აღება.
რომის პაპების ცდა კონსტანტინეპოლის ოსმალთაგან განთავისულებისათვის.
კონსტანტინეპოლის თურქთა მიერ დაპყრობის მნიშვნელობა საქართველოსათვის.
პაპი პიო II-ის გეგმა ჯვაროსანთა ომის მოსაწყობად და საქართველოს პოლიტიკოსთა მონაწილეობა.
საქართველოში დადებული ხელშეკრულება ოსმალთა საწინააღმდეგო ჯვაროსანთა ომის მოსაწყობად და მისი მონაწილენი.
მოკავშირეთა დამახინჯებული სახელების აღდგენა-შესწორება.
ქართველ პოლიტიკოსთა ოსმალთა საწინააღმდეგო ფართო გეგმა.
ქართველ მოკავშირე მეფე-მთავრებისაგან ამ საქმისათვის გამომეტებული სამხედრო ძალის რაოდენობა.
ქართველთა ქრისტიანე მოკავშირენი მცირე აზიაში და მათი ამ საქმეში მონაწილეობა.
ოსმალთა წინააღმდეგ ქართველთა გეგმის პოლიტიკური და არა სარწმუნოებრივი თვალსაზრისი.
ქართველთა მაჰმადიანი მოკავშირეები ოსმალთა წინააღმდეგ.
ქართველ პოლიტიკოსთა მიერ სამოქმედო გეგმის გაფართოება.
საქართველოს მეფე-მთავართა და მათ მოკავშირეთა მოციქულების დასავლეთ ევროპაში გაგაზავნა.
გეგმის ჩაშლა და ოცნების გაცრუება.
ქართველთა და მოკავშირეების მოციქულთა ამაო ხვეწნა-ვედრება ევროპაში.
4. შინაური ბრძოლის განახლება საქართველოში.
ვახუშტის ცნობები ამ ბრძოლის შესახებ.
ვახუშტის ცნობების კრიტიკული განხილვა.
ბაგრატ მეფის ვინაობა და ჩამომავლობა.

ჩიხორის ომი.
კინკლოსების ცნობები ჩიხორის ომის შესახებ.
არსებული ცნობების შედარებითი დაფასება.
ჩიხორის მდებარეობა.
დასკვნა ჩიხორის ომის შესახებ.
უზუნ -ჰასანის შემოსევა საქართველოში.
ზევდგინიძე-ამილახორის საჩივრისწიგნის ცნობები გიორგი მეფის წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულების შესახებ.
შეთქმულება გიორგი მეფის წინააღმდეგ.
ბაგრატის გამოლაშქრება გიორგი მეფის წინააღმდეგ.
სხვადასხვა თეორიები საქართველოს დანაწილების შესახებ.
ბაგრატ მეფე.
1. ბიოგრაფიული ცნობები ბაგრატ მეფის შესახებ.
მისი გამეფების თარიღი.
დამოკიდებულება მეფე ბაგრატსა და კონსტანტინეს შორის.
ბაგრატ მეფის უცილობელი მფლობელობა.
ცნობები ბაგრატ მეფის პიროვნების შესახებ.
2. საქართველოს საგარეო მდგომარეობა.
დამოკიდებულება უზუნ-ჰასანთან და სპარსეთთან.
3. საქართველოს შინაური პოლიტიკური ვითარება.
საბედიანო.
საათაბაგო.
მოკლე ბიოგრაფიული ცნობები ათაბაგის სახლობის წევრთა შესახებ.
ბაგრატ მეფის საბრძანებელი.
4. საქართველოს ეკლესიის მთლიანობის დარღვევა და მისი ერთი ნაწილის დამოუკიდებლობის შელახვა.
ანტიოქ-იერუს,. პატრიარქის მიხეილის მოსვლა საქართველოში და მოღვაწეობა.
ქართული ეკლესიის უზენაესი მესაჭეობის უფლების მითვისება.
საქართველოს ეკლესიის წიაღითგან ლიხთიმერეთის საკათალიკოსოს გამოყოფა.
ქართული საეკლესიო-ისტორიული თეორიის შერყევის მცდელობა საქართველოს ეკლესიის მთლიანობის დასარღვევად.
”მცნება სასჯულოს” დაწეის თარიღის საკითხი.
5. უზუნ-ჰასანის შემოსევა საქართველოში.
უზუნ-ჰასანის საიდუმლო სამზადისი.
შემოსევის თარიღი.
ჰასანის ლაშქრის რაოდენობა.
გამოლაშქრება.
შემოსევა.
თბილისისა, გორისა და ქართლის დაჭერა.
მოლაპარაკება დაზავების შესახებ.
სამხედრო მოქმედების განახლება და მესხეთში შესევა.
საქართველოს დამარცხების მოჩვენებითი და ნამდვილი მიზეზი.
უზუნ-ჰასანის უკან დაბრუნება.
ზავის პირობები.
კონსტანტინე ბატონიშვილისა და მზეჭაბუკის სპარსეთში გამგზავრება.

უზუნ-ჰასანის სიკვდილი.
ჰასანის სიკვდილის შემდგომ.
უკანასკენელი მცდელობა წინანდელი მდგომარეობის აღსადგენად.
1. ბიოგრაფიული ცნობები კონსტანტინე მეფისა და მისი ოჯახის წევრთა შესახებ.
კონსტანტინეს მამისშვილობა და გამეფების თარიღი.
ცნობების წინააღმდეგობა და საბუთები.
გამეფების თარიღი.
კონსტანტინეს მამისშვილობა.
კონსტანტინეს თანამეცხედრე და შვილები.
კონსტანტინე მეფის წოდებულება.
კონსტანტინეს გამეფების გარემოება.
კახთა მეფე ალექსანდრე და მისი სახლობა.
ალექსანდრე ბაგრატის ძის მცდელობა იმერეთში გასამეფებლად. კონსტანტინე მეფის გამარჯვება.
ალექსანდრე მეფის სახლობა.
ბრძოლა კონსტანტინე მეფესა და ყუარყუარე ათაბაგს შორის არადეთთან.
ამ ბრძოლის მიზეზის შესახები ცნობები.
ვახუშტის ცნობა.
ქ´ცის შევს-გადაკ. გაგრძელების ცნობა.
ცნობათა კრიტიკური გარჩევა.
დასკვნა არადეთის ბრძოლის შესახებ.
არადეთის ბრძოლის შემდგომ ალექსანდრეს გამეფება იმერეთში.
ალექსანდრე მეფის სიგელის თარიღი.
ბრძოლა ალექსანდრეს მეფობის წინააღმდეგ და აღმოს.საქ´ში მტრის შემოსევა.
ცნობები იაყუბ-ყაენის აღმოს. საქართველოში შემოსევაზე.
წყაროთა ცნობების შედარებითი დაფასება.
მწყვერელის დასჯა აწყურის გაცემისათვის.
იაყუბ-ყაენის მეორეგზისი შემოსევა.
საქართველოს მთლიანობის საკუთარი ძალით აღდგენის იმედის ჩაშლა.
ალექსანდრე იმერთა მეფესთან დაზავების თარიღი.
სამეფოებისა და სამთავროების შემოსაზღვრულობა.
კახეთის სამეფოს საზღვრები.
ქართლის სამეფოს საზღვრები.
იმერეთის სამეფოს საზღვრები.
სამეგრელოს საზღვრები.
გურიის საზღვრები.
საათაბაგოს საზღვრები.
კონსტანტინე მეფის მცდელობა შორეული მოკავშირეების დახმარებით თავისი პოლიტიკური მიზნის მისაღწევად.
მოციქულობა ეგვიპტის სულტანთან.
არაბთა განდევნა ესპანიითგან და კონსტანტინეს მცდელობა ესპანიასთან კავშირის შესაკვრელად.
დასავლეთის ქრისტიანებთან ერთად მაჰმადიანების წინააღმდეგ ბრძოლის წარმოების ძველი გეგმის განახლება.
რომის პაპთან და ესპანიის დედოფალთან დესპანის გაგზავნა.

კონსტანტინე მეფის ეპისტოლის ნატყუარობა-უეჭველობის საკითხი.
ეპისტოლის თარიღი მცდარი და ნამდვილი.
როგორ მოხდა, რომ კონსტანტინე მეფის ეპისტოლის რუსული თარგმანი ვარშავაში აღმოჩნდა?.
კონსტანტინე მეფის ეპისტოლის შინაარსი და მიზანი.
ქართველ პოლიტიკოსთა სულისკვეთება.
კონსტანტინე მეფისაგან თავისი უმთავრესი მიზნის გამოუმჟღავნებლობის მიზეზი.
კონსტანტინე მეფის პიროვნების დამახასიათებელი გარემოებანი.
დასავლეთ ევროპაში მოციქულობის უნაყოფობა.
მესხეთის ამბები. ქაიხოსრო ათაბაგი.
მზეჭაბუკის გაბატონება მესხეთში და მისი ვინაობა.
მზეჭაბუკის მოქმედების გეზი თავდაპირველად.
მზეჭაბუკისაგან პოლიტიკური გეზის შეცვლა და განკერძოების გზაზე დადგომა.
ანტიოქიის პატრიარქის დოროთეოსის მოსვლა და მზეჭაბუკის ფართო გეგმა.
მზეჭაბუკის გათამამების მიზეზი: გურიელის სამფლობელოს დასაკუთრება.
მესხეთის ეკლესის გამოყოფა.
საქართველოს მდგომარეობა XV საუკუნის განმავლობაში.
საქართველოს განახლება თემურ-ლენგის განადგურების შემდგომ.
მოსალოდნელი გაძლიერების მაგიერ საქმის უკუღმა დატრიალება და ამის მიზეზები.
მოსახლეობის შემცირება და მისი შედეგი.
მაშინდელი საქართველოს უმთავრესი უბედურება შინაური ბრძოლა და განკერძოებისადმი მიდრეკილება იყო.
საქართველოს კათალიკოსების პოლიტიკა.
ეკლესიის მთლიანობის სახელმწიფოებრივ-ეროვნული მნიშვნელობა და გაყოფის საბედისწერო შედეგი.
ეპისკოპოსთათვის ერთგულება-მორჩილების ფიცის შემოღება.
საქართველოს დაყოფის დამღუპველობა.
საქართველოს მთლიანობის დარღვევის მიზეზები.
თემობრივობა.
სახელმწიფოებრივობის შესუსტება. სამეფოს საქმეებში მეფის სახლობის ჩამრეველობა.
ამ მოვლენის დასაწყისი და მიზეზები.
კონსტანტინეპოლის ოსმალეთის დედაქალაქად გადაქცევის შედეგი საქართველოსთვის.
დასავლეთის, ზღვის გზის შეკვრა, კულტურის ცენტრის დასავლეთ ევროპაში გადასვლა და მისი შედეგი.
ქვეყნის დაქვეითების ფსიქოლოგიური საფუძველი.
დაქვეითების პროცესი.
მოსახლეობის შემცირების შედეგები საზოგადოდ და კერძოდ მეურნეობაში.
სასოფლო მეურნეობის დაქვეითება.
აღებმიცემობის დაცემა.
სრულიადი საქართველოს დაყოფის ეკონომიური შედეგი.
კულტურული დაქვეითება.
საქართველოს მაშინდელი ეკონომიური მდგომარეობა.
საქართველოს კათალიკოსების ეკონომიური პოლიტიკა.
ფინანსური პოლიტიკა საქართველოში.
საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობა.

(მეორე ნაწილში გადმოცემული) ამბების ქრონოლოგიური სია.
განხილული და მოხსენებული ისტორიული ძეგლები და გამოკვლევანი.
დამატება: საქართველო XV საუკუნეში (ამონაბეჭდი ივ. ჯავახიშვილის მიერ 1940 წ. დაწერილი საქართველოს ისტორიის «მოკლე კურსიდან»).
ალექსანდრე პირველი დიდი (1412-1442 წ.წ).
ალექსანდრე I-ის ქვეყნის აღმშენებლობითი მოღვაწეობა.
სოციალური ვითარება საქართველოში ალექსანდრე პირველის მეფობაში.
ვახტანგ IV ალექსანდრე ძე (1442-1446 წწ.).
ბრძოლა საქართველოს მთლიანობის დარღვევის წინააღმდეგ.
გიორგი VII ალექსანდრე ძე (1446-1466 წწ.).
ბრძოლა მესხეთის მთავარს ყუარყუარესა და გიორგი მეფეს შორის.
ყვარყვარე ათაბაგის ფართო გეგმა მესხეთის საქართველოს სამეფოთგან გამოსაყოფად და ამის საწინააღმდეგო ბრძოლა.
საქართველოს ეკლესიის მეთაურის ბრძოლის შედეგი ყვარყვარა ათაბაგის პოლიტიკის წინააღმდეგ.
ყვარყვარა ათაბაგის გეგმის ჩაშლა და ქართული ეკლესიის მთლიანობის შენარჩუნება.
საქართველოს სამეფოს პოლიტიკური ვითარება და სამთავროებად დანაწილება.
საერთაშორისო პოლიტიკაში მომხდარი დიდი ცვლილება, ოსმალთაგან ბიზანტიის მოსპობა და ამის შედეგი.
სამხედრო პოლიტიკური გეგმა ოსმალთა კონსტანტინეპოლითგან განსადევნად.
რომის პაპის დესპანის საქართველოში მოსვლა და ქართველ პოლიტიკოსთა ფართო გეგმა.
საქართველოს პოლიტიკური მოკავშირენი ოსმალთა წინააღმდეგ განზრახულს ბრძოლაში.
საქართველოს და მისი მოკავშირეების დესპანების გამგზავრება დასავლეთ ევროპაში საბოლოო გეგმის შესადგენად და შესათანხმებლად.
გეგმის ჩაშლა.
შინაური ზავის ჩაშლა საქართველოში. გიორგი მეფესა და ყვარყვარა ათაბაგს შორის ბრძოლის განახლება.
ბაგრატის აჯანყება გიორგი მეფის წინააღმდეგ და მისი გამარჯვება ჩიხორთან.
დიდგვარიან აზნაურთა პოლიტიკური გახრწნილება და ყუარყუარა ათაბაგის ღალატი.
გიორგი მეფის ყუარყუარა ათაბაგისაგან შეპყრობა და ბაგრატის გამეფება.
გიორგი მეფის ყვარყვარა ათაბაგისაგან განთავისუფლება და ბაგრატის წინააღმ დეგ ბრძოლის ამაო ცდა.
ბაგრატ V (1446-1478 წწ.).
ბაგრატ VI-ის საბრძანებლის ფართობი და საზღვრები.
საბედიანო.
მესხეთი.
ბაგრატ VI-ის უგუნური პოლიტიკა და საქართველოს ეკლესიის მთლიანობის დარღვევის მცდელობა.
ბრძოლა ერანსა და ოსმალეთს შორის და უზუნ-ჰასანის საქართველოში შემოსევის სამზადისი.
უზუნ-ჰასანის საქართველოში შემოსევა.
ბაგრატ VI-ის უმწეობა და დაზავების ცდა.
უზუნ-ჰასანთან დადებული ზავის პირობები და შედეგი.
საქართველოში დამარცხების მიზეზი.
კონსტანტინე მეფე.
კონსტანტინეს საბრძანებელი.

არადეთის ბრძოლა და ალექსანდრეს გამეფება იმერეთში.
კონსტანტინეს ამაო ცდა საკუთარი ძალით მთლიანობის აღსადგენად.
კონსტანტინეს გეგმა დასახული მიზნის საგარეო პოლიტიკის საშუალებით მისაღწევად.
კონსტანტინე მეფის ეპისტოლე ესპანიის დედოფლის იზაბელლასადმი.
კონსტანტინე მეფის მთავარი მიზანი.
კონსტანტინე მეფის იმედის გაცრუება და ამის მიზეზი.
ყვარყვარა ათაბაგისა და ქაიხოსროს სიკვდილი და მზეჭაბუკის გაბატონება მესხეთში.
მზეჭაბუკის მშვიდობიანი გონიერი პოლიტიკა.
მზეჭაბუკის და კონსტანტინე მეფის გადამტერება და მესხეთის ბატონის უკუღმართს პოლიტიკურ გზაზე დადგომა.
მზეჭაბუკისა და დოროთეოს პატრიარქის ღონისძიება საქართველოს ეკლესიის მთლიანობის დასარღვევად.
საქართველოს ვითარება მეთხუთმეტე საუკუნეში.
საქართველოს ეკონომიური მდგომარეობა XV საუკუნეში.
ქვეყნის აოხრებულობა და სასოფლო მეურნეობის დაქვეითება.
საქართველოს კულტურული დაქვეითება.
აღმშენებლობითი მოღვაწეობისა და განახლების შეჩერება შინაური ბრძოლის გამწვავების გამო.
საქართველოს პოლიტიკური მთლიანობის მოსპობის ეკონომიური შედეგი.
საქართველოს გაღარიბება.
მოსახლეობის სოღციალური განშრეების პროცესი.
შემცირებული შემოსავლის გასადიდებლად სახსრების ძებნა.
შემოსავლის გადიდების ორგვარი შესაძლებლობა.
მშრომელი ხალხის მდგომარეობის გაუარესება და ბატონყმობის ჩასახვა.
პატრონყმობის გვერდით ბატონყმობის გაჩენა და გაბატონება.
ბატონყმობის წარმომშობი საფუძველი.
გადასახად-გამოსაღებების და მშრომელი ხალხის და ყმათა მძიმე ეკონომიური მდგომარეობა.
საქართველოს ეკონომიური დაქვეითება ფულის გავრცელებისა და აღებ-მიცემობის შემცირება.
საქართველოს კულტურული დაქვეითების ნიშნები.
საქართველოს იმდროინდელი მდგომარეობა უცხო ქვეყნებში.
კომენტარები.
ა) პირველი ნაწილის.
ბ) მეორე ნაწილის.
გ) დამატების.
საძიებლები.
ა) პირთა.
ბ) გეოგრაფიულ სახელთა.
გ) ეთნიკურ სახელთა.